DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Japaridze, O. / ჯაფარიძე, ო. /
- Title: საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები (სტატიები, წერილები, მოგონებები)
- Publication Date: 2012
- Publisher: Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_ad65f3419b

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights


The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

IV-E
5233

ოთარ ჯაფარიძე

საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები

სტატიები, წერილები, მოგონებები



საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები

სტატიები, წერილები, მოგონებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოთარ ჯაფარიძე

საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები

სტატიები, წერილები, მოგონებები



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული საქართველოს არქეოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, ეთნოკულტურულ პრობლემებთან დაკავშირებული სტატიები, რეცენზიები და საგაზეთო წერილები; წარმოდგენილია საქართველოს არქეოლოგიაში მოღვაწე ზოგიერთი მკვლევრის ცხოვრება და მოღვაწეობა. ბოლო თავი ეძღვნება მოგონებებს.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს არქეოლოგიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორი პროფ. გურამ გრიგოლია

რეცენზენტები: პროფ. კიაზო ფიცხელაური
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

ლეილა ფანცხავა
ისტორიის მეცნიერებათ დოქტორი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012

ISBN 978-9941-13-246-9

შინაარსი

ცოტა რამ ჩემ შესახებ 9

თავი I

საქართველოს არქეოლოგიის საკითხები

კოლხური ცული 11

დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში 59

Бронзовые топоры Западной Грузии 71

მიწათმოქმედების იარაღები დასავლურქართულ კულტურაში 90

„განჯისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში 120

არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში 133

არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოჟორაში 151

დოლმენური კულტურა საქართველოში 178

შენიშვნები ზურტაკეტის ყორღანების ნიშნიანი ქვების შესახებ 214

Эпоха Ранней бронзы в Закавказье 227

Художественное ремесло в Древней Грузии 240

დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში 248

ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში 285

ერთი სამარხული კომპლექსი ქსნის ხეობიდან 312

ÜBER DIE ETHNOKULTURELLE SITUATION IN GEORGIEN
GEGEN ENDE DES 3. JAHRTAUSENDS V. CHR 322

ეთნოკულტურული პროცესები აღმოსავლეთ საქართველოში
ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში 335

К этнокультурной ситуации Северо-Западного Закавказья в эпоху камня и раннего металла 358

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ამიერკავკასიის უძველესი კონტაქტების ისტორიიდან 371

მონაწილეობდნენ თუ არა ქართველი ტომები ტროას ომში 376

ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის საკითხისათვის 385

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენები 397

ქსნის ხეობაში 1986 წელს ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების ანგარიში 407

ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი პირველყოფილი ეპოქის სათავეებთან 421

კავკასიის უძველესი მოსახლეობის ადრეული ეთნოგენეზის საკითხები 434

კავკასიის წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის 439

О ранней стадии этногенеза коренных народов Кавказа 462

თავი II

რეცენზიები

რეცენზია მარგო ლორთქიფანიძის ნაშრომზე „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები“ 466

რეცენზია როსტომ აბრამიშვილის ნაშრომზე „რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ . წ. XIV-VI სს.)“ 470

რეცენზია თეიმურაზ მიქელაძის ნაშრომზე „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულები)“ 475

რეცენზია მანანა ხიდაშელის ნაშრომზე „რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში“ 482

Рецензия на монографию Р. М. Мунчаева «Кавказ на заре бронзового века» 486

თავი III

საქართველოს არქეოლოგიის მკვლევრები

ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს არქეოლოგია 499

ივანე ჯავახიშვილის და არქეოლოგია 503

სიმონ ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია 508

შალვა ამირანაშვილი და საქართველოს არქეოლოგია 511

ოთარ ლორთქიფანიძე და საქართველოს არქეოლოგია 513

გიორგი ნიორაძე და თბილისის სახელმიწოფო უნივერსიტეტი 516

ბრინჯაოს ხანის ძეგლები გიორგი ნიორაძის კვლევის სფეროში 524

ბორის კუფტინის ცხოვრება და მოღვაწეობა 534

ანდრია აფაქიძის ცხოვრება და მოღვაწეობა 540

ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა 545

ტარიელ ჩუბინიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა 551

იაზონ კიკვიძის ცხოვრება და მოღვაწეობა 555

თავი IV

სტატიები და საგაზეთო ინტერვიუები

სიძველისადმი გრძნობა, პატივი 557

ცრუპატრიოტიზმს მხოლოდ ზიანი მოაქვს 563

ვინ რითი ცოცხლობს 567

ყველა ექვთიმე თაყაიშვილი ვერ იქნება 570

ცხოვრება ხელახლა რომ დავიწყო, იმავე გზას გავუყვებოდი 573

თუ საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად გაიმართა, ვითარება არ გამოსწორდება 577

აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით 580

ორნი არიან, სწორნი არიან 582

მსახიობი და რედაქტორი მიხეილ (მიშაგო) ჯაფარიძე 584
ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიიდან 591

თავი V

მოგონებები

ირაკლი აბაშიძე 593
ლეო გაბუნია 595
ფერდინანდ თავაძე 597
შოთა მესხია..... 599
დავით გვრიტიშვილი 601
კაკო სურგულაძე 603
გიორგი მელიქიშვილი 604
გივი ჟორდანია..... 606
ზურაბ ანჩაბაძე 607
ნაპო ზაქარაია 608
ლევან ჭილაშვილი 610
მალხაზ აბდუშელიშვილი 612
დავით (დურსუნ) ხახუტაიშვილი 613
თამრიკო 615
ნოდარ კიკვაძე 617
სერგო ჯორბენაძე.....620
ნოდარ ამაღლობელი 622
მიშა (კუწა) კაკაბაძე 623

ცოტა რამ ჩემ შესახებ

დავიბადე 1921 წლის 16 სექტემბერს ახლად გასაბჭოებულ თბილისში. დედაჩემი, რიტა კეგელუხისი, ოდესელი ებრაელი იყო. პირველი მსოფლიო ომის წლებში იგი ბაქოში თავის მამიდასთან ცხოვრობდა და სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა მედდად. მამაჩემი რაჭის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლიდან, ხირხონისიდან იყო, რომელიც ონის თავზე მდებარეობს, საიდანაც მოჩანს რიონის ხეობა, მარად თოვლიანი კავკასიონის მწვერვალები. მისი მამა, სიმონ ჯაფარიძე, „დიდ სიმონად“ წოდებული, წლების მანძილზე რაჭა-ლეჩხუმის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო. ომის დროს მამა ბაქოს სამხედრო ჰოსპიტალში განაწესეს სამუშაოდ. ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი სწორედ იქ გაიცნეს. 1920 წელს ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოდის, მაგრამ მათი თანაცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. ორი წლის ვიყავი, როდესაც ოჯახი დაირღვა. დედაჩემმა დედა, და და ორი ძმა საცხოვრებლად ოდესიდან თბილისში გადმოიყვანა, ეტყობა მამამ ვერ გაუძლო ოჯახში შექმნილ ვითარებას. ვიზრდებოდი რუსულენოვან ებრაელთა გარემოში. მართალია, მამა ყურადღებას არ მაკლებდა და თითქმის ყოველდღე ჩემ გვერდით იყო, მშობლიური ენა მაინც ცუდად ვიცოდი – „ეზოს ქართულის“ დონეზე. ჩვენი სახლის მცხოვრებლები, ვერაზე, არაგვის ქუჩა 5-ში, ძირითადად ქართველები იყვნენ და პატარა, მყუდრო ეზო სავსე იყო ბავშვებით. თუმცა ჩვენი ქუჩის მოსახლეობა საკმაოდ ჭრელი იყო – სომხები, ქურთები, აისორები, რუსები და სხვ.

სასკოლო ასაკი რომ შემისრულდა, დედის სურვილი იყო, რუსულ სკოლაში შეველყვანე, მაგრამ მამამ თავისი გაიტანა და მე ქართულ 25-ე შრომის სკოლაში მიმაბარეს. პირველ წლებში გამიჭირდა სწავლა ენობრივი ბარიერის გამო, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, დაწყებით კლასებში ბრწყინვალე მასწავლებლის ხელში აღმოვჩნდი. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი კლასის დამრიგებლის, ნინო მიქელაძის (დავით მეველეს ქალიშვილის) მიმართ, რომელმაც გამიადვილა სირთულეების დაძლევა. დიდად ვუმადლი სკოლის მეგობრებს, რომლებთანაც ერთად ცხოვრების ავ-კარგი გამოვიარე. ჩვენ უაღრესად მძიმე ვითარებაში მოგვიხდა ცხოვრება, მაგრამ ურთიერთთანადგომით შევძელით სირთულეების დაძლევა და შეძლებისდაგვარად ვემსახურეთ სამშობლოს. ჩვენ გვჯეროდა, გვწამდა და ვენდობოდით ერთმანეთს, რამაც გაგვიადვილა ამქვეყნად ყოფნა. და მაინც, ყველაზე მეტად ვუმადლი მამას, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, რომ ჩემში სამშობლოს სიყვარული გაეღვიძებინა. არ ვიცი, რამდენად შევძელი მისი წადილის შესრულება, მაგრამ ჩემი საქმიანობით ყოველთვის ვცდილობდი, მოკრძალებული წვლილი შემეტანა ჩემი სამშობლოს უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში. ამიტომ ნაშრომთა ამ კრებულს მამის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი.

1939 წელს დავამთავრე სკოლა, მაგრამ სამომავლო გზა ჯერ კიდევ არ მქონდა არჩეული. არც ოჯახში იყო აზრთა ერთიანობა ჩემი შემდგომი ბედის შესახებ. დე-

დაჩემს, ექიმს, დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მის პროფესიას გავყოლოდი. ამას იმით ასაბუთებდა, რომ «Вот арестуют, врачом будешь». ეს ხომ საბჭოთა რეპრესიების საოცარი ხანა იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მამაჩემი წინააღმდეგი იყო, ექიმის პროფესიას გავყოლოდი. მაშინ სამედიცინო ინსტიტუტს ახალგაზრდობა ძალიან ეტანებოდა და ჩემი მეგობრების დიდი ნაწილი იქ აპირებდა სწავლის გაგრძელებას.

1939 წელს უნივერსიტეტის (მას 1989 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელი ეწოდა) ისტორიის ფაკულტეტზე გამოცხადდა მიღება ხელოვნების ისტორიის განხრაზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლიდან ყველაზე ნაკლები ცოდნა ისტორიაში გამოგვყვა, მეგობრების ერთმა ნაწილმა გადავწყვიტეთ, სწავლა ისტორიის ფაკულტეტზე გაგვეგრძელებინა. სკოლაში, ფაქტობრივად, ისტორია არ გვისწავლია. გვასწავლიდნენ რაღაც გაუგებარ საგანს „საზმეცს“. სწავლის ბოლო წლებში მოგვისწრო „პარტიის ისტორიის მოკლე კურსმა“. სკოლა ისე დავამთავრეთ, რომ თითქმის არც ერთი დიდი ქართველი ისტორიული პიროვნების სახელიც კი არ გაგვიგონია. თუ რამ ვიცოდით მათ შესახებ, ისევ ოჯახიდან, ან ზოგიერთი მასწავლებელი გვაწვდიდა ფარულად ცნობას მათ შესახებ.

მეორე კურსს რომ ვამთავრებდი, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ხელოვნების ისტორიისათვის და საერთოდ სწავლისათვის ვიღას ეცალა. უნივერსიტეტი 1943 წელს დავამთავრე მსოფლიო ისტორიის სპეციალობით. იმავე წელს სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში არქეოლოგიის განხრით. ასპირანტურის დასრულების შემდეგ მუშაობა დავიწყე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, შემდეგ კი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1952 წლიდან ვმოღვაწეობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ყველა საფეხური განვვლე – მასწავლებლიდან კათედრის გამგემდე. ცოტა ხანს უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას ვასრულებდი. შეთავსებით ვმოღვაწეობდი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და არქეოლოგიის კვლევით ცენტრში.

როგორც საველე მუშაკმა, ფეხი ავიდგი მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, სადაც 1944-1948 წლებში ვმუშაობდი არმაზის ხევში, ბაგინეთსა და სამთავროს სამაროვანზე. ვხელმძღვანელობდი არქეოლოგიურ ექსპედიციებს საქართველოს თითქმის ყველა მხარეში – შიდა და ქვემო ქართლში, თრიალეთში, მესხეთ-ჯავახეთში, დასავლეთ საქართველოში –აფხაზეთში. ამ ექსპედიციებში არაერთი არქეოლოგი აღიზარდა, რომლებიც წარმატებით სწავლობენ საქართველოს უძველესი ისტორიის სხვადასხვა ეპოქას.

კოლხური ცული*

კავკასიამ არქეოლოგთა ყურადღება გასული საუკუნის მხოლოდ 70-იან წლებში მიიქცია. 1869 წელს ჩრდილო ოსეთში, სოფ. ყობანთან შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები; ნივთების ერთი ნაწილი ადგილობრივმა მცხოვრებმა, ხაბოშ კანუკოვმა, კავკასიის მუზეუმში ჩამოიტანა. მეცნიერთათვის ეს საყურადღებო აღმოჩენა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გახდა ცნობილი. ანთროპოლოგიური გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით 1877 წელს მოსკოვიდან კავკასიაში მოვლინებული იყო გ. ფილიმონოვი, რომელმაც თბილისის მუზეუმის კოლექციების შესწავლის დროს აღწერა ყობანში აღმოჩენილი მასალა. მანვე, იმავე წელს, პირველმა ჩაატარა სისტემატური გათხრები ყობანში და მომდევნო წელს გამოაქვეყნა კიდეც გათხრების შედეგები.[1] გ. ფილიმონოვის მიერ მოპოვებულმა და გამოქვეყნებულმა მასალებმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია სპეციალისტთა შორის. 1879 წელს არქეოლოგთა V ყრილობის მოსამზადებელმა კომიტეტმა ყობანში მიავლინა არქეოლოგი ვ. ანტონოვიჩი, რომელმაც მხოლოდ ხუთი სამარხი გათხარა.[2] შემდეგ წლებში ეს საყურადღებო სამაროვანი ზედიზედ ინახულეს რუსმა და უცხოელმა არქეოლოგებმა (ა. უვაროვი, ფ. ბაიერნი, რ. ვირხოვი და სხვა).

V არქეოლოგიური ყრილობის შრომებში ა. უვაროვმა გამოაქვეყნა საყურადღებო წერილი: «К какому заключению о бронзовом периоде приводят сведения о находках бронзовых предметов на Кавказе»,[3] რომელშიც თითქმის მხოლოდ ყობანის სამაროვანზე ამახვილებს ყურადღებას. ორი წლის შემდეგ რ. ვირხოვმა ვრცელი და საფუძვლიანი მონოგრაფია უძღვნა ყობანს.[4] ფრანგმა არქეოლოგმა ე. შანტრმა თავის ნაშრომში სათანადო ადგილი დაუთმო ამ სამაროვანს.[5] დიდი ადგილი დაუთმო აგრეთვე ყობანს პ. უვაროვამ.[6] ყობანის სამაროვანიდან მომდინარე ნივთებმა რუსეთის და უცხოეთის არა ერთი და ორი მუზეუმი გაამდიდრა. სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა ვ. მილერი, რომ ყობანის სამაროვანი ევროპის მეცნიერთათვის ჰალშტატზე ნაკლებად ცნობილი არ იყო.[7]

---

* დაიბეჭდა კრებულში „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", ტ. XVI, 1950.

1 Филимонов Г.Д., О доисторической культуре Осетии. Изв. Общ.Люб. Ест. Антр. и Этногр., т. XXXI, приложение, Москва, 1878.

2 Антонович В. Б., Дневник раскопок. Кобань. Пятый Арх. Съезд в Тифлисе. Протоколы Подготовительного Комитета, Москва, 1879, стр. 242.

3 Уваров А. С., К какому заключению о бронзовом периоде приводят сведения о находках бронзовых предметов на Кавказе. Труды V археологического съезда в Тифлисе; приложение, 1887.

4 Yirchow R., Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Berlin 1883.

5 Chantre E., Recherches anthropologiques dans le Caucase, t. II, Paris – Lyon, 1885.

6 Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, стр. 3.

7 Миллер В., Терская область, МАК I, Москва, 1888. стр. 44.

სწორედ ყობანის სამაროვანში აღმოჩნდა პირველად იმ ხანისათვის სრულიად უცნობი ტიპის ცული, რომელმაც აღმოჩენის ადგილის მიხედვით მიიღო ყობანური ცულის სახელწოდება, ხოლო მასთან დაკავშირებულმა კულტურამ ყობანური კულტურისა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მკვლევრები ამ ტიპის ცულს თითქმის მხოლოდ ყობანის სამაროვნიდან იცნობდნენ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ცულს დასავლეთ საქართველოდან.[1]

საქართველოდან ამ დროისათვის მხოლოდ სამთავროს სამაროვანი და ყაზბეგის განძი იყო ცნობილი. დასავლეთ საქართველო კი სრულიად შეუსწავლელი იყო. კავკასიის სიძველეთა შესწავლაში არქეოლოგთა V ყრილობამ, უთუოდ, ისტორიული როლი შეასრულა. სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი კავკასიის სიძველეებისადმი. კავკასიის მუზეუმში დიდძალი მასალა იყრის თავს კავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან, კერძოდ კი საქართველოდან. მაგრამ ნამდვილი მეცნიერული შესწავლა საქართველოს სიძველეებისა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსდება ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, სადაც თავს იყრის მრავალი კოლექცია სხვადასხვა რაიონიდან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და დასავლეთ საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში თანდათანობით გროვდება მასალა დასავლეთ საქართველოდან. უკვე 1926 წელს ვ. სტრაჟევმა გამოაქვეყნა საინტერესო ნარკვევი აფხაზეთის ბრინჯაოს კულტურის შესახებ, რომელშიც აღნიშნავს, რომ სოხუმის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ნივთები ახლო ანალოგიას პოულობს ყობანურ ნივთებთან.[2] რამდენიმე წლის შემდეგ მ. ივაშჩენკო, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებულ წერილებში, სპეციალურად ჩერდება ამ საკითხზე.[3] მან პირველმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოს, სვანეთის და აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყობანური კულტურის ნივთები რამდენჯერმე აღემატებიან ჩრდილო ოსეთისას, სადაც პირველად აღმოჩნდა ეს კულტურა; ამიტომ, შესაძლოა, სწორედ ეს მხარე (დას. საქ. – ო.ჯ.)მივიჩნიოთ ამ კულტურის ცენტრადო.[4] უფრო დაწვრილებით იხილავს ამ საკითხს ა. იესენი თავის საყურადღებო ნაშრომში კავკასიის უძველესი მეტალურგიის შესახებ.[5] იგი აღნიშნავს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში გვხვდება ნივთების ორი ჯგუფი: ერთი დამახასიათებელი საკუთრივ დასავლეთ ამიერკავკასიისათვის, მეორე კი – აგრეთვე, ყობანის კულტურისათვის.[6] ა. იესენი, რომელმაც კავკასიის ლითონის ინდუსტრია სამ ეტაპად დაჰყო, აღნიშნავს, რომ მესამე ეტაპზე წამყვანი როლი დასავლეთ ამიერკავკასიას ეკუთვნის. აქედან მიდიოდა ძირითადი მასა ლითონისა და, ბუნებრივია, აქვე წარმოიშვა და აქედან გავრცელდა სათანადო ტიპები.[7] თავის მე-

1 Yirchow R., Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Berlin 1883. p. 87; Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, стр. 14; Комаров А., Краткий обзор последных археологических находок в Кавказском крае. Известия Кавказского общества Истории и Археологии, т. I, вып. 1, 1882. стр. 1–6.

2 Стражев В. И., Бронзовая культура в Абхазии. Известия Абхазского Научного Общества, вып. IV, Сухум, 1936, стр. 113.

3 Иващенко М. М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935, стр. 11.

4 Jvaēčenko M. M., Beiträge zur Vorgeschichte Abchasiens, ESA VII Helsinki, 1932, 111.

5 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 137.

6 იქვე, გვ. 130.

7 იქვე, გვ. 138.

ორე წერილში იგი მიუთითებს, რომ „ყობანური კომპლექსის ლითონის წარმოშობის პირველად ბაზად გვევლინება ამიერკავკასია.[1]

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი ახლო ანალოგიას პოულობს ყობანის ცნობილ კულტურასთან. განსაკუთრებით მათ აახლოვებს ბრინჯაოს ცულები. აქაც და იქაც სავსებით ერთნაირი ფორმისა და მოყვანილობის ცულები გვხვდება. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივად დაისვა არქეოლოგიურ ლიტერატურაში საკითხი, რომ ყობანური კულტურის ცენტრი დასავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო. ქართველმა არქეოლოგებმა წამოაყენეს საკითხი ყობანური კულტურის კოლხურ კულტურად გამოცხადების შესახებ. აკად. ს. ჯანაშია თავის ერთ-ერთ საყურადღებო ნაშრომში აღნიშნავს, რომ „თუ ამას დავუკავშირებთ თანამედროვე არქეოლოგიის მიერ დადგენილ ფაქტს, რომ ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურა, რომელსაც წინათ ყობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად კოლხეთის კულტურაა, რომ ამ კულტურის აყვავების ხანა სწორედ თაბალ-თუბალის ეპოქაზე მოდის, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა, უახლოეს აღმოჩენებით, ვრცელდება შორს, სამხრეთით, მცირე აზიისაკენ (ვგულისხმობ ართვინისა და ორდუს განძებს), მაშინ ბუნებრივად შეიძლება დავსვათ საკითხი: ხომ არ არის კოლხური ბრინჯაოს კულტურა ნამდვილი თუბალების ანუ იმავე თუბალ-კაინების კულტურა“.[2]

საყურადღებოა, აგრეთვე, პროფ. ბ. კუფტინის მიერ გამოთქმული მოსაზრება თავისი ნაშრომის – «Археологические раскопки в Триалети» – შესავალში. იგი აღნიშნავს, რომ ყობანის კულტურა არა მარტო თავისი გეოგრაფიული გავრცელებით, არამედ წარმოშობითაც კოლხურია.[3] ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ დასავლეთ საქართველოსა და ყობანში სრულიად ერთგვაროვანი კულტურა არსებობდა და იგი ამ კულტურას „კოლხურ-ყობანურს“ უწოდებს, ამ კულტურისათვის დამახასიათებელ ცულს კი „კოლხურ-ყობანურ“ ცულს.[4]

ვფიქრობთ, რომ ამ კულტურების გაიგივება არ უნდა იყო სწორი. მართალია, მათ ზოგი რამ საერთო ახასიათებს, მაგრამ მათ შორის საკმაო განსხვავებაცაა. როგორც აღნიშნული გვქონდა ა. იესენი მიუთითებდა, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში ორი ჯგუფის ნივთები გვხვდება: ერთი საკუთრივ ამიერკავკასიური, მეორე კი – ყობანისათვისაც დამახასიათებელი. დასავლურქართულ კულტურის წრეში გვხვდება ისეთი ნივთები, რომლებიც სრულიად უცხოა ყობანისათვის. გვიანბრინჯაოს ხანაში, დასავლეთ საქართველოში, დიდი რაოდენობითაა ცნობილი ბრინჯაოს თოხები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის სეგმენტისებრი იარაღი, ბრტყელი ცულები და ხელეჩოები, წალდები, სატეხები და სხვ. დასავლურქართულ კულტურის ეს წამყვანი ტიპები სრულიად უცნობია ყობანისათვის. თავის მხრივ ყობანში გვხვდება ისეთი ნივთები, რომლებიც მხოლოდ ამ კულტურისთვისაა დამახასიათებელი: მოზრდილი ქინძისთავები, სწორკუთხა ბალთები, სპირალურბოლოებიანი სამაჯურები, ყუაკვერიანი ცულები და სხვ. ამ ორ კულტურას ძირითადად მხოლოდ ცულები აახლოებს.

---

1 Иессен А.А., Древнейшая металлургия Кавказа и ее роль в Передней Азии. Доклады III международного конгресса по иранскому искусству и археологии, М.-Л., 1939. стр. 36.

2 ჯანაშია ს.ნ., თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, თბილისი, 1937, გვ. 240.

3 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი, 1944, გვ.16; Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941,стр. 292.

4 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII, იქვე, 1944, გვ. 68.

აქაც და იქაც სრულიად ერთგვაროვანი ცულები გვხვდება და სწორედ ეს ცულებია ამ კულტურათა გაიგივების მთავარი მიზეზი. ჩანს, რომ იმთავითვე, ეს კულტურები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. საფიქრებელია, რომ ერთ-ერთი ძირითადი რაიონი, სადაც ეს ორი კულტურა ერთმანეთს ხვდებოდა და თავის გამოცდილებას უზიარებდა, შიდა ქართლის ის კუთხე უნდა ყოფილიყო, რომელიც დღეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შედის. ამაში გვარწმუნებს როგორც საქართველოს მუზეუმში დაცული მასალები, ისე სტალინირის მუზეუმის კოლექციები. მაგრამ ამაზე ქვევით უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

საქართველოში საკუთრივ ყობანის კულტურისათვის დამახასიათებელი არა ერთი და ორი ნივთია აღმოჩენილი. ჩვენს მუზეუმში ინახება ერთი რკინით ინკრუსტირებული სწორკუთხა ბალთა ვანიდან;[1] ერთი ბალთა სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა სოფელ წვერმაღალაში (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. №$\frac{2-46}{4}$); ასეთივე ბალთა აღმოჩნდა აგრეთვე აწყურში (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. №$\frac{56-14}{19}$); ყობანური სწორკუთხა ბალთები ნაპოვნი იქნა სამთავროში და თრიალეთში;[2] სტალინირის მუზეუმში ინახება ერთი ამგვარი ბალთა, ნაპოვნი ჯავის რაიონის ერთ-ერთ ეკლესიაში (სტალინირის მუზ. კოლ. №913); სოხუმის მუზეუმში დაცულია პატარა ზომის ბალთა სოფ. ანუხვადან (სოხუმის მუზ. კოლ. №334); ერთი ყობანური ბალთა ჟაკ დე მორგანმა აღმოაჩინა ახტალაში.[3] გარდა ამისა, საქართველოში რამდენიმე სპირალურბოლოებიანი სამაჯურიც აღმოჩნდა. ერთი ამგვარი სამაჯური ნაპოვნია ლაჯობის ძირის კოლექციაში.[4] რამდენიმე სამაჯური აღმოჩნდა რაჭაში, ბრილის ნეკროპოლში (საქართველოს მუზ. არქ. განყ. გამოფენა) და სხვ. აფხაზეთში ნაპოვნია რამდენიმე ყობანური ხატისუღელი.[5] ერთი ამგვარი ხატისუღელი აღმოჩნდა ლაჯობის ძირის კოლექციაში[6]. ამრიგად, როგორც ჩანს, ეს ორი კულტურა მჭიდრო კავშირში ყოფილა და ამიტომაც არაფერია გასაკვირი იმაში, რომ კოლხეთისათვის დამახასიათებელმა ბრინჯაოს ცულმა ესოდენ დიდი გავრცელება პოვა ყობანში. ვფიქრობთ, ამჟამად აღარ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ კოლხური ცულის სამშობლო დასავლეთ საქართველოა. დასავლეთ საქართველოს ნიადაგმა გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის ცულები მოგვცა, ვიდრე ყობანმა. ჩვენთვის საინტერესო ტიპის ცულები მთელ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, ჩრდილო კავკასიაში კი იგი ძირითადად ყობანიდანაა ცნობილი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში კოლხური ცულები ხშირად გვხვდება განძებში (ლაჯობის ძირის განძი; ციხისძირის განძი; ჩაქვის განძი; ვაკიჯვარის განძი; შრომის განძი; ახალქალაქის განძი; ცხინვალის განძი და სხვ). აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ცულებთან ერთად ხშირად ვხვდებით ხოლმე სპილენძის თუ ბრინჯაოს ზოდებს. თუ მოვიგონებთ, აგრეთვე, იმასაც, რომ ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოშია აღმოჩენილი კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბები, მაშინ უფრო აშკარა გახდება, რომ ამ ტიპის ცულები ადგილობრივ მზადდებოდა.

---

1 Уварова П.С., Коллекции Кавказского Музея, археология, IV, Тифлис, 1902, стр. 107.

2 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი, 1944, გვ. 68. ნახ. 70.

3 Morgan J., Mission Scientifique au Caucase, t. I, Paris, 1889. გვ. 116, ნახ. 84.

4 Куфтин Б.А., Урартский „колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 29, ტაბ. XIV, 1.

5 იქვე, გვ. 29.

6 იქვე, ტაბ. XIV, 3.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ დღეს უკვე კარგად შეიმჩნევა კოლხური ცულის პროტოტიპები საქართველოს მასალებში. მაგრამ ამაზე სხვა ადგილას გვექნება საუბარი. ყობანში კი კოლხური ცულები მხოლოდ სამარხებშია ნაპოვნი. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ კოლხური ცულები ყობანში, უთუოდ, დასავლეთ საქართველოდან უნდა შესულიყო. ზემოთ აღნიშნული გვქონდა და სათანადო ადგილას კიდევ უფრო დაწვრილებით შევეხებით საკითხს კოლხური და ყობანური კულტურების იმთავითვე შეხვედრის შესახებ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ყობანურმა კულტურამ გადმოიღო და შეითვისა კოლხური კულტურის დამახასიათებელი ბრინჯაოს ცული.

უსათუოდ აღსანიშნავია აგრეთვე რკალისებრი ფიბულები, რომელთაც ორივე კულტურაში ვხვდებით, ოღონდ გაცილებით უფრო ჭარბადაა წარმოდგენილი ყობანში.[1] ზოგიერთი ავტორის აზრით, ფიბულა კავკასიაში საბერძნეთიდან უნდა შემოსულიყო.[2] ამიტომ, ეგებ, ერთ-ერთი გზა მათი გავრცელებისა ჩრდილოეთში საქართველოდან მიდიოდა და საკმაოდ მყარად დამკვიდრდა კავკასიის მთიან ნაწილში, ალბათ, იმის გამო, რომ იქ შედარებით მკაცრი ჰავა იყო და ფიბულებს ხომ უხეში და თბილი ტანსაცმლის [ტყავი, ბეწვი] შესაბნევად ხმარობდნენ.

ამრიგად, არ უნდა იყოს მართებული კოლხური და ყობანური კულტურების გაიგივება; ეს ორი საკუთარი ტრადიციების მქონე კულტურა უნდა ყოფილიყო. ეს კულტურები ხვდებოდნენ და მათ კიდევაც შეითვისეს ზოგი რამ ერთმანეთისაგან. უმართებულოდ გვეჩვენება ე. კრეპნოვის მიერ ახლახან გამოთქმული მოსაზრება, თითქოს ჯერჯერობით ნაადრევი იყოს სამხრეთის კომპლექსის კოლხურ კულტურად გამოცხადება.[3] სავსებით სამართლიანია ქართველ არქეოლოგთა მიერ დასავლურქართული კულტურისათვის შემოღებული ტერმინი „კოლხური კულტურა“. მათვე შემოიღეს ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ცულისათვის სახელწოდება – „კოლხური ცული“, რომელსაც წინათ ყობანურს უწოდებდნენ, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ამ ცულის სამშობლო სწორედ ის ტერიტორია უნდა ყოფილიყო, რომელსაც მოიცავდა შემდეგი ხანის დასავლურქართული, კოლხური სამეფო.

კოლხურ ცულებში რამდენიმე ვარიანტი გამოირჩევა. მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ცდა მოცემულია რ. ვირხოვის,[4] ე. შანტრის,[5] პ. უვაროვას[6] და ფ. ჰანჩარის[7] ნაშრომებში.

რ. ვირხოვი თავის მონოგრაფიაში ყობანის სამაროვანის შესახებ დაწვრილებით განიხილავს თითოეულ ნივთს, განსაკუთრებით კი ცულებს. იგი აღნიშნავს, რომ წვეტიან-ოვალური ხვრელის ამობურცული კედლები ცულს ორ ნაწილად ყოფს: უფრო მოკლე – უკანა (ე.ი. ყუა) და უფრო გრძელი – წინა (ე.ი. პირი). უკანა ნაწილი, მი-

---

1 Куфтин Б.А., Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 28.

2 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 315; Hancar F., Kaukasus Luristan, ESA, т. IX, Helsinki, 1934, p. 89.

3 Крупнов Е.И., К вопросу о хронологии кобанской культуры, Кабардинский научно-исследовательский институт. Ученые записки, т. I, Нальчик, 1946, стр. 145.

4 Yirchow R., Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Berlin, 1883, 81-89.

5 Chantre E., Recherches anthropologiques dans le Caucase, t. II, Paris-Lyon, 1885, 42-46.

6 Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, стр. 14-23.

7 Hancar F., Die Beile aus Koban in der Sammlung Kaukasischer Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, t. XXI, Wien, 1934.

უხედავად თავისი სიმოკლისა, უფრო მრავალგვარ, თავისებურ ვარიანტებს იძლევა. რ. ვირხოვი ცულებს უკანა ნაწილის (ყუა) მიხედვით აჯგუფებს და სამ ტიპს გამოყოფს. უნდა შევნიშნოთ, რომ კულხურ ცულებს ყუა ხშირად ერთნაირი აქვთ, მაგრამ პირის მოყვანილობით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ან პირიქით. ამიტომ კოლხური ცულების კლასიფიკაციის დროს უნდა გამოვდიოდეთ არა მხოლოდ ერთი რომელიმე არსებითი მომენტიდან, არამედ მთლიანად ცულის ფორმიდან, მისი საერთო მოყვანილობიდან.

ე. შანტრი თავის კაპიტალურ ნაშრომში[1] საკმაოდ ვრცლად ჩერდება ყობანის სამაროვნიდან მომდინარე ნივთების განხილვაზე, კერძოდ კი – ცულებზე, ოღონდ იგი ცულების შემკულობას უფრო ეხება, ვიდრე ტიპოლოგიას. ე. შანტრი აღნიშნავს, რომ ყობანში აღმოჩენილ ცულებში ოთხი ტიპი გამოირჩევა, მაგრამ ის არ იძლევა ცალკეულ ტიპთა დახასიათებას.

უფრო სრული და საფუძვლიანია პ. უვაროვის მიერ მოცემული კლასიფიკაცია. იგი კოლხურ ცულებში ექვს ტიპს გამოყოფს. ტიპების დაჯგუფების დროს პ. უვაროვა ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ ცულების მოყვანილობით, არამედ, აგრეთვე, მათი ზომითა და წონით. მაგალითად, მისი კლასიფიკაციის „Б“ და „ В“ ტიპი ერთი ფორმისა და მოყვანილობისაა, ოღონდ „В“ ტიპი უფრო მასიურია და მძიმე. „е“ ტიპი იმავე ფორმისაა, რაც „Б“ ტიპი, ოღონდ გაცილებით პატარა ზომისა. ამ შემთხვევაში პ. უვაროვა ტიპს საფუძვლად უდებს არა მის მოყვანილობას, არამედ ზომას. ვფიქრობთ, რომ ტიპის გამოყოფა მხოლოდ ზომის მიხედვით მართებული არ უნდა იყოს. კოლხურმა ცულმა თავისი არსებობის მანძილზე რამდენიმე ვარიანტი მოგვცა. თითქმის ყოველ ვარიანტში გვხვდება როგორც მოზრდილი, ისე მომცრო ცულები. პ. უვაროვას, ალბათ, ხელთ არ ჰქონია „Г“ ტიპის უფრო მოზრდილი ცულები, თორემ იგი, უთუოდ, კიდევ ერთ ტიპოლოგიურ ჯგუფს გამოყოფდა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებში კი არა ერთი ასეთი ეგზემპლარი ინახება. ფ. ჰანჩარი თავის კლასიფიკაციის I_2 ქვეტიპის განხილვის დროს აღნიშნავს, რომ პ. უვაროვა შორს მიდის, როდესაც ამ ტიპის ცულებს ორად ყოფსო.[2]

ფ. ჰანჩარი ვენის მუზეუმში დაცულ კოლხურ ცულებს სამ ტიპად ყოფს. ტიპების ჩამოთვლის დროს იგი მხოლოდ პირველ ტიპს უწოდებს „ყობანის ცულს“, ოღონდ თითოეული ტიპის ცალკე განხილვის დროს მეორე ტიპსაც „ყობანის საბრძოლო ცულს“ უწოდებს და ორთავე ტიპს ყობანისათვის დამახასიათებლად სთვლის.[3]

რაც შეეხება მესამე ტიპს, აქ, ვფიქრობთ, ერთგვარ გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი. მესამე ტიპად იგი მიიჩნევს ყუადაქანებულ ცულს. როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, ჰეგერს ცულების ერთი ნაწილი თითო-თითოდ შეუძენია, უდიდესი ნაწილი კი – სამაროვნის სხვა ნივთებთან ერთად.[4] ამრიგად, არ არის გამორიცხული რომ ყუადაქანებული თუ დაშვებული ცული შემთხვევით მოხვედრილიყო ყობანურ კომპლექტში, მით უმეტეს, რომ ჰეგერს თვით არ უწარმოებია გათხრები და მთელი მასალა მესამე პირთაგან შეუძენია. თუ გავიხსენებთ, აგრეთვე, რომ ანალოგიურ შემთხვევებს არაერთხელ ჰქონია ადგილი კავკასიურ მასალებში (მაგ.: კუმბულთა,

---

1 Chantre E., Recherches anthroplogiques dans le Caucase, t. II, Paris-Lyon, 1885.

2 Hancar F., Die Beile aus Koban in der Sammlung Kaukasischer Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, t. XXI, Wien, 1934, 17.


3 იქვე, გვ. 32.

4 იქვე, გვ. 12.

ფასკაუ, რუთხა და სხვა, სადაც შედარებით გვიანდელ მასალებს შორის გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებიც წინ უსწრებენ ყობანურ კულტურას,[1] მაშინ უფრო დამაჯერებელი გახდება ის ფაქტი, რომ ყუადაქანებულ ცული შემთხვევით მოხვედრილა ყობანის სამაროვანის ერთ-ერთი მამაკაცის სამარხში.

ყუადაშვებული ცულები მრავლადაა ცნობილი კავკასიაში და მის მეზობელ ქვეყნებში. ასაკით ისინი წინ უსწრებენ ყობანური კულტურის უძველეს პერიოდს. მათი არქაული ტიპები უკვე გვხვდება მაიკოპისა[2] და ნოვოსვობოდნაიას ყორღანებში.[3] განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ყუადაშვებული და ყუამილიანი ცულები იესენისეულ მეორე ეტაპის დროს.[4] ამის გამო ყუადაშვებული ცულები „ყობანურ ცულთა“ ჯგუფში არ უნდა ყოფილიყო განხილული.

ზემოაღნიშნულიდანაც ნათლად ჩანს, რომ მრავალი ცდა კოლხური ცულის დაჯგუფებისა წარმატებით არ დასრულებულა: ვერც ერთმა ავტორმა ვერ მოგვცა ცულების მეტ-ნაკლებად სრული კლასიფიკაცია. ჩვენ შევეცადეთ, შეგვემუშავებინა კოლხური ცულების გამასხვავებელი ტიპოლოგია. დაჯგუფების დროს ძირითადად ვხელმძღვანელობდით ცულის მოყვანილობით, მისი ფორმით, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მომენტი მივიჩნიეთ ყველაზე არსებითად.



სურ. 1

კოლხური ცულები სამ ძირითად ტიპად დავყავით. პირველი ორი ტიპი, თავის მხრივ, კიდევ თითო ქვეტიპს შეიცავს (სურ. 1). ტიპების განხილვისას ვჯერდებით მხოლოდ მათ საერთო დახასიათებას, ვინაიდან ცალკე აღწერა თითოეული ცულისა ხშირ და ზედმეტ განმეორებას გამოიწვევდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, შეძლებისდაგვარად მივცეთ ტიპს საერთო, მეტ-ნაკლებად სრული დახასიათება და გზადაგზა აღვნიშ-

1 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი, 1944, გვ. 12; Куфтин Б.А., К вопросу о ранных стадиях бронзовой культуры на территории Грузии. Кратк. сообщ. о докладах и пол. исследованиях ИИМК, VIII, М. -Л., 1940 გვ. 7.

2 ОАК. за 1897 г., С. Петербург, 1900, стр. 2.

3 იქვე, გვ. 33.


4 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва–Ленинград, 1935, стр. 95.

ნოთ ის უმნიშვნელო გადახრები, რომელსაც, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ვამჩნევთ ხოლმე ზოგიერთ ეგზემპლარებს.

ჩვენს კლასიფიკაციაში არ შევიტანეთ „ყუაკვერიანი“ ცული, რომელსაც ზემოაღნიშნული ავტორები ცალკე ტიპად იხილავდნენ (უვაროვა „д“, ჰანჩარი I_3 ტიპი). ვფიქრობთ, რომ ეს ტიპი არ უნდა იყოს კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი და ამიტომაც არ ვიხილავთ მას კოლხურ ცულებთან ერთად, მაგრამ ამაზე ქვევით.

ვიდრე ცულების ტიპობრივ განხილვაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვა იმ ტერმინების შესახებ, რომელსაც ტექსტში შევხვდებით.

კოლხური ცული, როგორც, საერთოდ, ყველა ცული, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ყუა, სატარე, წელი და პირი.



სურ. 2

„ყუად“ იწოდება ცულის ის ნაწილი, რომელიც სატარის ზევითაა მოქცეული: ხშირად ყუის ცნებაში ესმით ხოლმე მთელი სატარე, რაც არ არის სწორი. საბას მიხედვითაც ყუა ნაპირი ან გარეგანი კიდეა. კოლხურ ცულებს თავისებური მაღალი ყუა აქვთ და ზოგიერთ ტიპში იგი მასიური და დაწახნაგებული „ყუის თავით“ მთავრდება.

„სატარე“ ეწოდება ცულის იმ ნაწილს, რომელიც ყუასა და წელს შორისაა მოთავსებული და ტარის დასაგებადაა გამიზნული. სატარე შედგება „სატარე ხვრელისაგან“ ან პირდაპირ „ხვრელისაგან“ და „ხვრელის კედლებისაგან“; სატარე ხვრელს აქვს „წინა პირი“ და „უკანა პირი“. კოლხური ცულისათვის დამახასიათებელ რელიეფურ ზოლებს, რომლებიც ხვრელის კედლებს გარედან გაუყვებიან, „წიბურებს“ ვუწოდებთ. წიბურები „ღარებსა“ ქმნიან. სატარე ხვრელი ძირითადად „წვეტიანოვალური“ მოყვანილობისაა მცირე გამონაკლისის გარდა, როდესაც ხვრელი მხოლოდ ოვალურია.

სატარესა და პირს შორის მოთავსებულია ცულის „წელი“. წელის წინა მხარეს „შუბლი“ ეწოდება. შუბლი იწყება ხვრელის წინა პირის ძირიდან და წინა ნიღრს აღწევს. შუბლის მოპირდაპირე მხარეზე მოქცეულია „კაჭა“. კაჭა ცულს ჩაუყვება ხვრელის უკანა პირის ძირიდან უკანა ნიღრამდე. კოლხურ ცულებში შუბლი და კაჭა უმეტესად ორ-ორწახნაგოვანია, ოღონდ გვხვდება ცულები, რომელთა შუბლი და კაჭა ექვს-ექვსწახნაგოვანი ან შუბლა წიბო ოდნავ შესამჩნევი აქვთ ხოლმე.

შუბლსა და კაჭას შორის მოთავსებულია ცულის მარჯვენა და მარცხენა გვერდი.

წელს ქვემოთ იწყება ცულის „პირი“. „პირად იწოდება ცულის ის ნაწილი, რომელიც საგანგებოდაა წამახული გაჭრა-გაკვეთის მიზნით“.[1] საბა ასე განმარტავს პირის მნიშვნელობას: „პირად უწოდენ ლახუართა და მახლთა მკვეთელობათა“. პირს აქვს ორი „ლოყა“ – მარჯვენა და მარცხენა. პირის მჭრელ ნაპირს „ფხა“ ეწოდება. საბა სხვა მნიშვნელობასთან ერთად აღნიშნავს, რომ „ფხად ითქმის მახვილის პირთა მლესველობაცა“. შუბლისა და პირის შეყრის ადგილზე ჩნდება ცულის წინა „ნიღრი“, ხოლო კაჩისა და პირის შეერთებისას – ცულის უკანა „ნიღრი“. საბას განმარტებით, „ნიღრი მახჯლის ყუთის გნდე“ არის, ხოლო ნაპირის განმარტებისას აღნიშნავს: „მახჯლთა და მანგალთა ყუათა ნაპირსა – ნიღრი რომელიმე გნდესა უწოდენ“. ნიღრი ამავე მნიშვნელობით დღესაც იხმარება ქართლში.[2] კოლხურ ცულს ახასიათებს მომრგვალებული ან, როგორც ხშირად უწოდებდნენ ხოლმე, „სეგმენტისებრი“ პირი. ზოგიერთი ავტორი „მომრგვალებული პირის“ შესატყვისად „გორდა პირს“ ხმარობს, ხოლო ოდნავ მომრგვალებულის – „მცირედით გორდას“.[3] ჩვენ სასურველად მივიჩნიეთ ამ ტერმინის ხმარება. როგორც ეთნოგრაფმა ნ. რეხვიაშვილმა გადმოგვცა, დღესაც ფართოდ იხმარება ეს ტერმინი ხალხში.

დასასრულ, ტანის შესახებ. ტანი შეიცავს ცულის ყველა კომპონენტს, გარდა პირისა, ე.ი. ყუა, სატარე და წელი შეადგენენ ცულის ტარს. კოლხურ ცულს ახასიათებს როგორც „შვეტილი“, ისე მრუდე, არასწორი ტანი. პირველს სწორი ტანის შესატყვისად ვხმარობთ. საბა ასე განმარტავს ამ ტერმინს: „შვეტი-სწორე, გაუხრელი“. მრუდტანიან კოლხურ ცულს ორგზის მოღუნულობა ახასიათებს: სატარეში ჩაღუნვა და წელთან ამოღუნვა (სურ.2).

I ტიპი

ძირითადი და არსებითი ამ ტიპში მოქცეული ცულებისა ის არის, რომ მათ ყუა მახვილი, ტანი შვეტილი და პირი თითქმის სიმეტრიული მოყვანილობის აქვთ. პ. უვაროვა ამ ტიპს თავისი კლასიფიკაციის „r“ ტიპს, ფ. ჰანჩარი კი II ტიპს მიაკუთვნებენ.

ყუა საკმაოდ მაღალია; იგი თავისაკენ თანდათანობით ფართოვდება. ყუა, საერთოდ, პირის უკანა ნიღრისაკენაა დაქანებული, რის გამოც მისი წინა წვერი უკანაზე უფრო მაღალია. ზოგიერთ ეგზემპლარში დაქანება მეტია, ზოგში კი ნაკლები. ამ ტიპში არც ყუის მოყვანილობაა ყოველთვის ერთნაირი. გვხვდება ისეთი ეგზემპლარები, რომლებსაც ყუა მეტ-ნაკლებად რკალისებრ ჩაზნექილი აქვთ.

სატარე ხვრელს წვეტიან-ოვალური მოყვანილობა აქვს; მისი წინა პირი უკანაზე უფრო მაღლაა ამოჭრილი (0,5-1,0 სმ), რის გამოც ტარის დაგების დროს ცული ტარისაკენაა მოქანდული, როგორც ეს კარგად ჩანს აფხაზეთში აღმოჩენილ ბრინჯაოსტარიან ეგზემპლარზე.[4] ხვრელის წინა და უკანა პირი შიგნით რამდენადმე შეზნექილია. ამიტომ სატარე ხვრელის კედლები ცულის ყველაზე ვიწრო ნაწილს წარმოადგენენ.

---

1 რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა რაჭაში, თბილისი, 1941 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი), გვ.157.


2 იქვე, გვ. 159.

3 გობეჯიშვილი გ., ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, თბილისი, 1943 (საკანდ. დისერტაცია, ხელნაბეჭდი), გვ. 123; ნ. რეხვიაშვილი. მჭედლობა რაჭაში, თბილისი, 1941. (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი), გვ. 165.

4 Иващенко М.М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935. ტაბ. XVI.

ზოგიერთ ეგზემპლარს ხვრელი ოდნავ შეზნექილი აქვს, ზოგს კი უფრო მკვეთრად; სატარე ხვრელი საკმაოდ მოზრდილია. ნიშანდობლივია, რომ ხვრელის წინა პირი თითქმის ყველა ეგზემპლარში უფრო მაღალი და განიერია (ორიოდე მილიმეტრით), ვიდრე უკანა პირი.

ამ ტიპის თითქმის უკლებრივ ყველა ცულის სატარე ხვრელს გარედან დაუყვება რელიეფური წიბურები. წიბურები, საერთოდ, კოლხური ცულის დამახასიათებელი თავისებურებაა, ოღონდ ამ ტიპში ისინი განსხვავებულ სახეს იღებენ. ზოგიერთ ეგზემპლარში წელის მარჯვენა და მარცხენა წახნაგი სწრაფად ვიწროვდება ზედა ნაწილში და რელიეფური წიბურების სახით გადაუყვება სატარეს წინა მხრიდან; უკანა



სურ. 3

წიბური იწყება ყუის უკანა წვერიდან და ხვრელის უკანა პირის მოხაზულობას იმეორებს; ზოგზე კი წელის მარჯვენა და მარცხენა წახნაგის წიბურები ახლოს მიდიან ერთმანეთთან და წელს ზემოთ რელიეფურ წიბურებად იქცევიან. წინა წიბური ყუის წინა წვერს აღწევს, შუა კი ყუასთან იკარგება. უკანა წიბური აქაც ყუის უკანა წვერიდან იწყება და რელიეფურად ხვრელის უკანა პირის მოხაზულობას იმეორებს. გვხვდება აგრეთვე ისეთი ეგზემპლარები, რომელთა შუა წიბური სატარის შუა ნაწილზე მკვეთრად უხვევს უკანვე, ხვრელის უკანა პირის პარალელურად მიდის და მის მოხაზულობას იმეორებს. წინა და უკანა წიბური აქაც ისევეა განლაგებული, როგორც ზემოაღწერილ ცალებში (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. № $\frac{24-29}{3}$; $\frac{11-3?}{25-2?}$). არის ისეთი ცულებიც, რომელთაც გარედან ოთხი წიბური და მათ შორის სამი მცირე სიღრმის ფართო ღარი გაუყვება (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. № $\frac{8-09}{5}$ $\frac{97-11}{11}$). წიბურები ყუასაც გაუყვებიან და ყუისთავს აღწევენ. წელთან ორი წინა წიბური წახნაგების წიბოებად იქცევა, ორი უკანა კი ხვრელის უკანა პირის მოხაზულობას იმეორებს.

პირი გორდაა და ოდნავ ასიმეტრიული. ასიმეტრიულობას ქმნის ის გარემოება, რომ უკანა ნიღრი 0,4-0,5 სმ-ით უფრო ზემოთაა აწეული, ვიდრე წინა ნიღრი. პირი მკვეთრად გადადის წელში და გადასვლის ადგილას ნიღრებს ქმნის. ფხისაკენ პირი თანდათანობით თხელდება. ცულების უმეტესობას ფხაზე აშკარად ეტყობა გამოყენების კვალი. გვხვდება აგრეთვე ისეთი ცულები, რომლებიც საეჭვოა ხმარებაში ყოფილიყვნენ.

უკლებლივ ყველა ცული სიგრძივ მკვეთრადაა ექვსად დაწახნაგებული (სურ. 3).

საქართველოს მუზეუმში დაცული კოლხური ცულების უმეტესობა ან შემთხვევითაა ნაპოვნი და მოწყვეტილი თანმხლებ ინვენტარს, ანდა მისი აღმოჩენის ადგილი სრულიად უცნობია. მხოლოდ ცულების მცირე ნაწილს ვხვდებით კომპლექსში.

სადღეისოდ, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, სრულიად დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ I ტიპის კოლხური ცული ყველაზე გავრცელებულ ტიპად ჩანს დასავლეთ საქართველოში. ამაში გვარწმუნებს როგორც მუზეუმში თავმოყრილი მასალა, ისე ლიტერატურაში დაცული ცნობები. საერთო კი დასავლეთ საქართველო თითქმის შეუსწავლელია. მხოლოდ აფხაზეთია ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში.[1]

აფხაზეთში პირველი ტიპის ცულები საკმაოდ მრავლად არის აღმოჩენილი. ორი ცული შემთხვევით აღმოჩნდა გუდაუთის რაიონში სოფ. პ ე ტ რ ო პ ა ვ ლ ო ვ ს კ ა ი ა შ ი.[2] ერთი ცული აგრეთვე შემთხვევით იქნა ნაპოვნი სოფ. კ უ ლ ა ნ უ რ ხ ვ ა შ ი (გუდაუთის რაიონი);[3] ამავე ტიპის ცული აღმოჩნდა გუდაუთის რაიონში სოფ. უათხარაში;[4] I ტიპის ცული შემთხვევით იპოვეს სოფ. აჩანდარში (გუდაუთის რაიონი); ამ აღმოჩენას იხსენიებს ჯერ ვ. სტრაჟევი,[5] შემდეგ ივაშჩენკო,[6] ოღონდ მათ ნაშრომებში არ ჩანს, კერძოდ, კოლხური ცულის რომელი ტიპისა უნდა ყოფილიყო ეს ცულები. ამ მხრივ ა. ლუკინის ახლახან გამოსული ნაშრომი ავსებს ამ ხარვეზს. იგი იძლევა ორივე ცულის სურათს.[7] ა. ლუკინი აღნიშნავს, რომ ცულებს თან ახლდა სამი შუბისპირი და ბეჭედი.

განსაკუთრებით საყურადღებოა გუდაუთაში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ცული ბრინჯაოსავე სახელურით. ეს უკვე მეორე შემთხვევაა ბრინჯაოსტარიანი ცულის აღმოჩენისა ამ რაიონში, ოღონდ გუდაუთის ეგზემპლარი განსხვავდება ეშერის ბრინჯაოსტარიანი ცულისაგან იმით, რომ პირველს ყუაზე ცხოველის სამი

---

1 Стражев В.И., Бронзовая культура в Абхазии. Известия Абхазского Научного Общества, вып. IV, Сухум, 1936, стр. 105; Jvaščenko M.M., Beiträge zur Vorgeschichte Abchasiens, ESA VII Helsinki, 1932. p. 98; Иващенко М.М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935; Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии. Государственный Эрмитаж. Труды отдела истории первобытной культуры, т. I, Ленинград, 1941, стр. 17.

2 Стражев В.И., Бронзовая культура в Абхазии. Известия Абхазского Научного Общества, вып. IV, Сухум, 1936, стр. 110.

3 Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии. Государственный Эрмитаж. Труды отдела истории первобытной культуры, т. I, Ленинград, 1941, стр. 55, сур. 3.

4 იქვე, გვ. 53, სურ. 4.

5 Стражев В.И., Бронзовая культура в Абхазии. Известия Абхазского Научного Общества, вып. IV, Сухум, 1936, стр. 108.

6 Иващенко М.М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935, стр. 53.

7 Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии. Государственный Эрмитаж. Труды отдела истории первобытной культуры, т. I, Ленинград, 1941, стр. 54, сур. 5.

ქანდაკება აზის.[1] ა. ლუკინი ფიქრობს, რომ ყუაზე ცხენის ქანდაკებებია გამოყვანილი. ა. ლუკინის მოსაზრება სავსებით სამართლიანია. ცხენის გამოსახულება საკმაოდ გავრცელებული მოტივია კავკასიაში.

1928 წელს ახალ ათონში, მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები.[2] ნივთების მხოლოდ ერთი ნაწილი მოხვდა ა. ლუკინთან, დანარჩენი კი დაიკარგა. კოლექცია შედგება შემდეგი ნივთებისაგან: ბრინჯაოს ორი ნაკლული ცული; ერთი ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი; ბრინჯაოს ორი გატეხილი ხეშუბისპირი; ნატეხი მოზრდილი მამალი დუგმისა (?); ბრინჯაოს ერთი კოხტა სასმისი; ბრინჯაოს სამაჯური და ერთიც ბრინჯაოს რკალისებრი ფიბულა.

ფრიად საყურადღებო აღმოჩენას ადგილი ჰქონდა 1929 წელს გუდაუთის რაიონში, სოფ. მუგუძირხვაში (ადგილი ააქსტა). არხის გაჭრის დროს შემთხვევით ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ნივთები.[3] აღმოჩენის ადგილი ინახულა ა. ლუკინმა და თავის ახლახან გამოსულ ნაშრომში დაწვრილებით აღწერა „ააქსტის სამარხი".[4] მან აქ მცირე გათხრები ჩაატარა, აღმოაჩინა ქვედა კიდურების ძვლები და ორი საწვივე რგოლი. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, უკვე გვიან იყო; სამარხი ძირითადად დაზიანებული აღმოჩნდა. აქ ნაპოვნი იქნა სამი I ტიპის კოლხური ცული;[5] ბრინჯაოს ძლიერ დაზიანებული ბალთა; ბრინჯაოს ოთხი საკანჭური;[6] ბრინჯაოს კონუსისებრი ფორმის სამკაულები ცხოველების ქანდაკებებით;[7] სერდოლიკისა და ბრინჯაოს მძივები.[8] გარდა ამისა, აღმოჩნდა, აგრეთვე, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. „ააქსტის სამარხში" აღმოჩენილი საწვივე რგოლების მიხედვით ა. ლუკინი ასკვნის, რომ ეს სამარხი ბავშვის უნდა ყოფილიყო.[9] მ. ივაშჩენკოს აზრით, სამარხი, ინვეტარის მიხედვით, მოზრდილი ინდივიდისაა, მიუხედავად იმისა, რომ საწვივე რგოლების შიდა დიამეტრი მართლაც ისეთია, რომ რგოლები მხოლოდ ბავშვებს თუ მოერგებოდა.[10]

ამ სამარხის ინვენტარი გვაფიქრებინებს, რომ ძალზე საეჭვოა აქ ერთ, და ისიც ბავშვის, სამარხთან გვქონდეს საქმე. სავსებით მართალია ა. ლუკინი, როდესაც აღნიშნავს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მოგვეპოვება ცნობები ბავშვის სამარხში იარაღის ჩატანების შესახებ. ასეთი ფაქტები სამთავროს სამაროვანშიაც გვხვდება. სამთავროს ველმა სამოცდაათამდე ბავშვის სამარხი მოგვცა და მხოლოდ მცირე ნაწილში თუ ვხვდებით იარაღს (სატევარი, შუბისპირი, ისრისპირი და სხვ.). საეჭვოა, რომ ერთ სამარხში (ისიც ბავშვის) ერთი ტიპის სავსებით ერთნაირი იარაღი ჩაეტანებიათ. სამთავროში ე.წ. „წარჩინებული მეომრის" მხოლოდ ორ სამარხში ვხვდებით

---

1 Государственный Эрмитаж. Общий путеводитель, вып. 1, Ленинград, 1940; Отдел доклассового общества, табл. III.

2 Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии. Государственный Эрмитаж. Труды отдела истории первобытной культуры, т. I, Ленинград, 1941, стр. 43, ტაბ. VIII და IX.

3 Иващенко М.М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935, стр. 56.

4 Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии. Государственный Эрмитаж. Труды отдела истории первобытной культуры, т. I, Ленинград, 1941, стр. 29.

5 იქვე, ტაბ. III.

6 იქვე, ტაბ. VI.

7 იქვე, ტაბ. IV.

8 იქვე, ტაბ. V.

9 იქვე, გვ. 36.

10 Иващенко М.М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935, стр. 57.

ერთი ტიპის ორ იარაღს (208-ე ორმოსამარხი, მეორე კი ბაიერინის მიერ აღმოჩენილი) და ისიც ერთი ბოლოკვეთილი და მეორე კი წვერმომრგვალებული მახვილია.[1] ამიტომ, ეგებ, უფრო მართებული იყოს, ვიფიქროთ, რომ აქ ერთი სამარხის კომპლექსთან კი არა გვაქვს საქმე, როგორც ეს ა. ლუკინს ჰგონია, არამედ სამარხთა თუ სხვა რაიმე ხასიათის ძეგლთა დაზიანების შედეგად ერთმანეთში არეულ ნივთებთან. მით უმეტეს, რომ ა. ლუკინს ადგილი ძირითადად უკვე გათხრილი, ნივთები კი მუშების მიერ ამოყრილი დახვდა. მის მიერ მოყვანილი „ააქსტის სამარხის" გეგმა მოწმობს სწორედ იმას, რომ ეს ადგილი საკმაოდ არეულ-დარეული ყოფილა.[2]

მეორე მნიშვნელოვან აღმოჩენას ადგილი ჰქონდა 1930 წელს სოფ. ეშერაში (სოხუმიდან 11 კმ). მიცვალებულნი მოთავსებული ყოფილან მოზრდილ შავ ურნებში. აღმომჩენებს ურნები დაუმტვრევიათ და ნაწილი ნივთებისა სოხუმის მუზეუმში მიუტანიათ.[3] კოლექციაში შემდეგი ნივთებია: ბრინჯაოს ოთხი სატევრისპირი; გრძელი და მასრაგახსნილი ბრინჯაოს ოთხი შუბისპირი; ბრინჯაოს ორი საწვივე რგოლი; ბრინჯაოს სამაჯურები; ბრინჯაოს კონუსისებრი სამკაული; ბრინჯაოს ბრტყელი სარტყლის ფრაგმენტები; ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხები; ბრინჯაოს და სერდოლიკის მძივები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს კოლხური ცული ბრინჯაოს სახელურით (სიგრძე – 16 სმ; სახელურის სიგრძე – 29 სმ). სახელური ბოლოსაკენ თანდათანობით ვიწროვდება და ბოლოში კვლავ ოდნავ ფართოვდება.[4]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს, საერთოდ, მეორე შემთხვევაა ბრინჯაოსტარიან კოლხური ცულის აღმოჩენისა. ნიშანდობლივია, რომ ბრინჯაოსტარიანი ორივე ცული აფხაზეთშია ნაპოვნი. ჩვეულებრ, კოლხურ ცულს ხის ტარს აგებდნენ. სამთავროს სამაროვანში 1946 წლის კამპანიის დროს 260-ე ორმოსამარხში II ტიპის კოლხურ ცულთან ერთად აღმოჩნდა, აგრეთვე, ხის ტარის ნაშთი.

კოლხური ცულის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ თითქმის ყველას წვეტიან-ოვალური მოყვანილობის სატარე ხვრელი აქვს. ეს კი მოწმობს ცულების ამ ტიპის უკვე საკმაოდ განვითარებას. წინამორბედ ეპოქაში გავრცელებულ ცულებს უმთავრესად ცილინდრული მოყვანილობის ხვრელი აქვთ, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს ქვის ცულებისაგან. ცილინდრული ხვრელი დიდხანს შემორჩა ლითონის ცულებს, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული მიზნისათვის ასეთი მოყვანილობის ხვრელი ნაკლებ გამოსადეგი იყო, ვინაიდან ცული ადვილად ბრუნავდა ტარზე. გაცილებით უფრო მიზანშეწონილია ოვალური და, მით უმეტეს, წვეტიან-ოვალური ფორმის ხვრელი (აღარ ბრუნავს სახელურზე). ამ შემთხვევაში თვით ტარს ჭრილში ოვალური მოყვანილობა უნდა ჰქონოდა.

ტარის დაგების ორგვარი წესი არსებობს: ტარის „დაგება" და ტარის „მორგება". პირველი წესით დაგების შემთხვევაში ტარს ცალი ბოლო უფრო სქელი უნდა ჰქონდეს; ცული ვიწრო ბოლოდან ეგება და მთელ ტარს გაივლის. მეორე წესით კი ცულს

---


1 ლომთათიძე ა., ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი), თბილისი, 1944, გვ. 237.

2 Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии. Государственный Эрмитаж. Труды отдела истории первобытной культуры, т. I, Ленинград, 1941, сур. 2.


3 Иващенко М. М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935, стр. 58; Jvaēĉenko M. M., Beiträge zur Vorgeschichte Abchasiens, ESA VII Helsinki, 1932? p. 103.

4 Иващенко М. М., დასახ. ნაშრ., ტაბ. XVI; Jvaēĉenko M. M., დასახ. ნაშრ., სურ. 20-28.

უბრალოდ მოარგებენ ტარს და შემდეგ სოლით გაამაგრებენ.[1] კოლხური ცული ტარზე პირველი წესით ეგებოდა. ამაში გვარწმუნებს როგორც ბრინჯაოსტარიანი ორივე ცული, ისე თვით სატარე ხვრელის მოყვანილობა. კოლხურ ცულში ხვრელის წინა პირი რამდენიმე მილიმეტრით უფრო მაღალი და განიერია, ვიდრე უკანა, და ამიტომაც ცული უკეთ ჯდებოდა ტარის განიერ ბოლოში. ტარის ამ წესით დაგების დროს შეუძლებელია ცულის წინიდან დაძრობა; მისი მოძრაობა მხოლოდ ბოლოდან შეიძლება.



სურ. 4



სურ. 5

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ერთი კოლექციაა დაცული სოფ. ეშერიდან. საფიქრებელია, რომ ეს კოლექცია იმავე სამაროვნიდან უნდა იყოს, ვინაიდან აქაც და იქაც სრულიად ერთგვაროვანი ნივთები გვხვდება (სურ. 4). სოხუმის მუზეუმში ინახება კიდევ ორი ცალი ცული ეშერიდან. ერთი აღმოჩენილი ყოფილა 1934 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის მიერ (საქართველოს. მუზ. კოლ. № 353). მეორე ცული შემთხვევით აღმოჩენილა 1939 წ. ორმოს ამოღების დროს. ცული მეტად საინტერესოა, ჩვენ არ ვიცნობთ სხვა ამგვარ ცულს (სურ. 5). მას ყუა სრულიად მრგვალი აქვს და ზედ ოთხი მკვეთრი წიბური დაუყვება. ცული კარგადაა შენახული და დაფარულია შავი პლატინით. მას სრულიად არ ეტყობა გამოყენების კვალი. ცულის პირს ფხა არა აქვს გამოყვანილი. საფიქრებელია, რომ იგი პრაქტიკული დანიშნულებისათვის არ იყო გამიზნული და, ეგებ, რიტუალური ნივთი იყო (სოხუმის მუზ. კოლ №5-41). გარდა ამისა, ამავე მუზეუმში ინახება ორი ცული სოფ. ლაბრიდან (სოხუმის მუზ. კოლ. №258 და 260) და ორიც სოფ. ლეჩქოფიდან (სოხუმის მუზ. კოლ. №30 და 97). ახალი ათონის მონასტრის მახლობლად აღმოჩენილი ერთი მოზრდილი ცული მოსკოვის ისტორიის მუზეუმში ინახება.[2] მუზეუმში შეტანილია ა. კომაროვის კოლექციასთან ერთად.

---

1 რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა რაჭაში, თბილისი, 1941 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი), გვ. 187.

2 Рудинский М., Археологичиі збіркй Полтавського Музею. Полтавський Державний Музей ім В.Г. Короленка, збірник, т. I, Присвячений 35-річчю Музею, 1928, стр. 167.

დასასრულ, უსათუოდ აღსანიშნავია პირველი ტიპის კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბის აღმოჩენა სოფ. თაგილონთან (გალის რაიონი). აქ ნაპოვნი იქნა: ბრინჯაოს ჭურჭელი, რომელშიაც ეწყო ბრინჯაოს ერთი მთელი და ორი ნატეხი ყალიბისა; ერთი II ტიპის ცული; სეგმენტისებრი იარაღი და ბრინჯაოს მავთული. ჯერჯერობით მხოლოდ აქაა აღმოჩენილი I ტიპის კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი.[1]

ჩვენს მუზეუმში ამ ტიპის მხოლოდ ორი ცულია დაცული სვანეთიდან. სამწუხაროდ, აღმოჩენის ზუსტი ადგილი კატალოგში აღნიშნული არ არის.

სოფ. ხეთას (ხობის რაიონი) მახლობლად აღმოჩნდა ნატეხები ბრინჯაოს I და II ტიპის ცულებისა.[2] 1916 წ. სოფ. მახარიასთან (ზუგდიდის რაიონი) ნაპოვნია სამი მოზრდილი ბრინჯაოს ჭურჭელი ბრინჯაოს ნივთებით. ნივთების დიდი ნაწილი დაიკარგა. ზუგდიდის მუზეუმში მხოლოდ რამდენიმე ნივთია დაცული ამ კოლექციიდან: ერთი კოლხური ცული, ბრტყელი ცული, თოხი და პატარა ნამგლისებრი დანა.[3] საინტერესო აღმოჩენას ადგილი ჰქონდა სოფ. ჯვარში (წალენჯიხის რაიონი) 1903 წელს. ა. იესენი ფიქრობს, რომ ამ კოლექციის ნაწილი ერმიტაჟშია დაცული, მეორე ნაწილი კი – ზუგდიდის მუზეუმში. ზუგდიდში აქედან მხოლოდ სამი ცულია: ერთი I ტიპისა და ორი II ტიპის; ერმიტაჟში კი ამ კოლექციიდან შემდეგი ნივთებია: II ტიპის ცული, თოხი, ხატისუღელი, სამაჯურები, რკალისებრი ფიბულა და სპირალური მილაკი.[4] ერთი ამ ტიპის ცული სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა სოფ. ხუდონთან (წალენჯიხის რაიონი).[5]

ზუგდიდის მუზეუმში ინახება რვა I ტიპის ცული, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ სამი ცულის აღმოჩენის ადგილის დადგენა შევძელით. იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში იქნა აღმოჩენილი დანარჩენი ცულები, მუზეუმში არავითარი ცნობა არ არის დაცული. ერთი ცული აღმოჩნდა სოფ. კორცხელში (ზუგდიდის რაიონი; ზუგდიდის მუზ. კოლ. №3), მეორე – სოფ. ხეთაში (ხობის რაიონი; ზუგდიდის მუზ. კოლ. №65) და მესამე – გეგეჭკორის რაიონში ორ სეგმენტისებრ იარაღთან ერთად. ფოთის მუზეუმში დაცულია ერთი ამ ტიპის ცული, აღმოჩენილი პალიასტომის ტბასთან, პალიასტომისა და რიონის შემაერთებელი არხის გაჭრის დროს (ფოთის მუზ. კოლ. №163).

გურიასა და აჭარაში საკმაოდ მრავლად გვხვდება ეს ტიპი. საქართველოს მუზეუმში დაცულია ორი ცული: ერთი აღმოჩენილია ჩოხატაურის რაიონის სოფ. მეწიეთში (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. № $\frac{11-32}{31}$), მეორე კი ლანჩხუთის რაიონის სოფ. წვერმაღალაში (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. № $\frac{2-46}{1}$). ქალაქ მახარაძის მუზეუმში ინახება განძი სოფ. შრომიდან, რომელშიაც ერთი კოლხური ცულია. საყურადღებოა ჩაქვთან (ქობულეთის რაიონი) 1896 წელს აღმოჩენილი განძი, რომელიც შედგებოდა ბრინჯაოს ცულებისა და რგოლებისაგან.[6] განძი დაცულია მოსკოვის ისტორიის მუზეუმში. იგი შეიცავს ხუთ მთელსა და სამ ნატეხს პირველი ტიპის კოლხური ცულისა და ექვს მთელსა და თოთხმეტ ნატეხს მასივური რგოლისა.[7] ციხისძირში, 1927 წელს მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა თიხის ჭურჭელში ჩალა-

1 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 124.
2 იქვე, გვ. 124.
3 იქვე.
4 იქვე, სურ. 17.
5 Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, ტაბ. VIII, 6-9.
6 ОАК за 1896. С.-Петербург, 1898, стр. 126.
7 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 121.

გებული ბრინჯაოს ნივთები: ერთი კოლხური ცული, ოთხი მთელი და ხუთი ნატეხი სეგმენტისებრი იარაღისა და სპილენძის ზოდები.[1] საინტერესო აღმოჩენას ადგილი ჰქონდა 1926 წელს სოფ. ზენითში (ქობულეთის რაიონი). მიწის ხვნის დროს შემთხვევით ნაპოვნი იყო თიხის ქილა, რომელშიაც შემდეგი ნივთები აღმოჩნდა: ერთი მთელი და ოთხი ნატეხი კოლხური ცულისა, წალდის ფრაგმენტები, ოთხი თოხი, ნამგლის ნატეხი და ხუთიც სხვა წვრილი ნატეხი. გარდა ამისა, ქილაში აღმოჩნდა სპილენძის ზოდები.[2] ბათუმის მახლობლად 1935 წელს აღმოჩნდა რამდენიმე ბრინჯაოს ნივთი: კოლხური ცული, ერთი წალდი და სამი თოხი.[3] ალბათ, პირველი ტიპის ცული უნდა იყოს ხუცუბანსა და ქობულეთს შორის აღმოჩენილი ცულის ნატეხი. ა. კომაროვი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ბრინჯაოს ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ცულის მახვილი ყუა.[4] ბათუმის მუზეუმში ინახება ერთი კოლექცია კოლხური ცულებისა სოფ. ერგედან (ბათუმის რაიონი). კოლექცია შემთხვევით აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს 1936 წელს. იგი ათი ცულისაგან შედგება. ბათუმის მუზეუმში ჩვენ მხოლოდ რვა ცული ვნახეთ, აქედან ერთი I ქვეტიპის კოლხური ცულია, დანარჩენი კი I ტიპის (ბათუმის მუზ. კოლ. №32). ერთი კოლხური ცული აღმოჩნდა ქობულეთის რაიონში, სოფ. ალამბარში (ბათუმის მუზ. კოლ №$\frac{34}{34}$). დასასრულ, უსათუოდ აღსანიშნავია, ამავე მუზეუმში დაცული ცულების კოლექცია სოფ. ზენითიდან (ქობულეთის რაიონი). ეს ცულები საინტერესო არის იმით, რომ, ერთი მხრივ, უახლოვდება ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილ კოლხური ცულის პროტოტიპს,[5] მეორე მხრივ კი – კოლხური ცულის I ტიპს. ცულები, კოლხურთან შედარებით, უფრო თხელია. სატარე ხვრელის წინა და უკანა პირი ძლიერ შეჭრილია, რის გამოც ხვრელის ძირზე მკვეთრი ქიმი იქმნება. წელს ზემოთ წახნაგის ნიბოები ოდნავ შესამჩნევ წიბურებად იქცევა და გაუყვება სატარის წინა და უკანა პირს. ცულები სიგრძივ მკვეთრად დაწახნაგებულია. სამივე ცულის პირი ძლიერ გორდაა და თითქმის სიმეტრიული (ბათუმის მუზ. კოლ. № 33). ამიტომ, ეგებ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ცულები ერთგვარ გარდამავალ ფორმას წარმოადგენენ (სურ. 6).[6]

იმერეთიდან ჩვენს მუზეუმში ამ ტიპის რამდენიმე ცულია დაცული. ორი აღმოჩნდა სოფ. კინჩხაში (წულუკიძის რაიონი; საქართველოს მუზ. კოლ. №$\frac{16-29}{1}$). ორი – მაიაკოვსკის რაიონში, სოფ. ხანში (საქართველოს მუზ. კოლ. №$\frac{8-38}{1.2}$; სურ.7), ერთი წულუკიძის რაიონის სოფ. გორდიდან (საქართველოს მუზ. კოლ. №$\frac{7-37}{1}$) და ერთიც

1 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 122.

2 იქვე, სურ. 14.

3 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, таб. VIII, 1-5.

4 Комаров А., Краткий обзор последных археологических находок в Кавказском крае. Известия Кавказского общества Истории и Археологии, т. вып. 1, 1882, стр. 3.

5 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი, 1944, გვ. 17.


6 უსათუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბათუმის მუზეუმში დაცული მასალა ძალზე არეულია. ამიტომაც რამდენად ზუსტად გვაქვს მოცემული აღმოჩენის ადგილები, ძნელი სათქმელია. ვერ ვნახეთ ციხისძირში აღმოჩენილი ცულები (ბათ. მუზ. კოლ. №531). ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ვნახეთ ა. იოსელიანის მიერ მოპოვებული ცულები სოფ. ხუცუბნიდან, სადაც მან რვა სამარხი გათხარა. ამ კოლექციაში სამი კოლხური ცულია (ბათ. მუზ. კოლ. № 635-672).



სურ. 6

ნაპოვნია სამტრედიის მახლობლად (საქართველოს მუზ. კოლ. № $\frac{2-33}{1}$). ქუთაისის მუზეუმში ინახება ოთხი ცული მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ზეკარიდან (ქუთაისის მუზ. კოლ. №732; 570; 435), ოთხი ცული სოფ. ოფშკვითიდან (ქუთაისის რაიონი) (ქუთაისის მუზ. კოლ. № 1619). კატალოგში აღნიშნულია, რომ აქ აღმოჩნდა თხუთმეტი ცული, ოცდახუთი სეგმენტისებრი იარაღი, ერთი თოხის ნატეხი, ორი რგოლი, ორი ზოდის ნატეხი და ერთი სატეხი (?). ჩვენ მხოლოდ ოთხი ცული ვნახეთ. ერთი ცული ნაპოვნია ჩხარის რაიონში (ქუთაისის მუზ. კოლ. №1223) და ერთიც გოდოგანში (ქუთაისის რაიონი) (ქუთაისის მუზ. კოლ. №1223). მ. ივაშჩენკოს ქუთაისის მუზეუმის კოლხური ცულებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი აქვს გამოქვეყნებული.[1] მაიაკოვსკის რაიონში (ადგილი ზუსტად არ არის ნაჩვენები) აღმოჩნდა ერთი განძი, რომელიც შედგებოდა შემდეგი ნივთებისაგან: ერთი მთელი და სამი ნატეხი კოლხური ცულისა, ხუთი თოხი, თერთმეტი სეგმენტისებრი იარაღი და ერთი ზოდი.[2] გარდა ამისა ქუთაისის მუზეუმში დაცულია ერთი კოლექცია, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია. ა. იესენი ფიქრობს, რომ ეს კოლექცია, განძი უნდა იყოს. იგი შედგება ცხრამეტი ნივთისაგან; აქედან თერთმეტი I ტიპის კოლხური ცულია, ხუთი – II ტიპის და ერთიც – გაურკვეველი ტიპის ცული.[3]

რაჭაში ჯერჯერობით I ტიპის მხოლოდ ორი ცულია აღმოჩენილი: ერთი სოფ. ქვიშართან (ამბროლაურის რაიონში), მეორე კი სოფ. ახალსოფელთან (ამბროლაურის რაიონი) (ქუთაისის მუზ. კოლ. №216 ა). ქუთაისის მუზეუმის კატალოგში აღნიშნულია, რომ სოფ. ახალსოფელში ხუთი



სურ. 7

1 Иващенко М.М., Материалы к изучению культуры Колхов. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბილისი, 1941, გვ. 5.

2 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 127.

3 იქვე, გვ. 128.

ცული აღმოჩნდა. ჩვენ მხოლოდ სამი ვნახეთ; აქედან ერთი I ტიპის, ერთი II ტიპის და ერთიც აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულია (ქუთაისის მუზ. კოლ. №216).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი რაიონი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. სადღეისოდ, ხელთარსებული მასალების მიხედვით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლეჩხუმი კოლხური კულტურის მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი ძირითადი კერა უნდა ყოფილიყო. ამაში გვარწმუნებს ის დიდძალი მასალა, რომელიც ჩვენს მუზეუმებშია თავმოყრილი. ყოველ შემთხვევაში, დღეს უკვე აშკარაა, რომ კოლხური ცულები, ეს ძირითადი ტიპი კოლხური კულტურისა, ყველაზე მეტი ლეჩხუმის ნიადაგმა მოგვცა. ნიშანდობლივია, რომ ცულებს აქ უმთავრესად განძებში ვხვდებით. ამიტომ, ეგებ, სავსებით მართებული არ იყოს ა. იესენის მოსაზრება, რომ კოლხური კულტურის ძირითადი ცენტრი ჭოროხის აუზთან უნდა ყოფილიყო, ხოლო ლეჩხუმს იგი უფრო წვრილ მეტალურგიულ ცენტრად სთვლის.[1] ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს ჭოროხის აუზი არ იყო წარმოების ძირითადი ცენტრი. პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ სწორედ ჭოროხის აუზში, ლეჩხუმსა და, ეგებ, აფხაზეთში უნდა ვეძიოთ კოლხური კულტურის ძირითადი მწარმოებელი ცენტრები.

ლეჩხუმის აღმოჩენებიდან, უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ ლაჯობისძირის კოლექცია. იგი შედგება 32 ნივთისაგან, აქედან 18 კოლხური ცულია (ცხრა I ტიპისაა). ქუთაისის მუზეუმში დაცულია ერთი ცული სურმუშიდან (ცაგერის რაიონი).[2] მეტად საინტერესო კოლექცია დაცულია ერმიტაჟში. ნივთები აღმოჩნდა სოფ. ლუხვანოში[3]. ა. იესენი ფიქრობს, რომ კოლექცია განძი უნდა ყოფილიყო. იგი შედგება შემდეგი ნივთებისაგან: შვიდი კოლხური ცული (ერთია მხოლოდ I ტიპის), სამი ბრინჯაოს შუბისპირი, ერთი დანისებრი რაღაც ნივთი და ერთიც ბრინჯაოს ჭურჭელი. გარდა ამ კოლექციისა, ერმიტაჟში ინახება სამი I ტიპის ცული და ერთი შუბისპირი სურმუშიდან, აღმოჩენილი 1908 წელს და, აგრეთვე, სოფელ ლაილაშში ნაყიდი ცულების კოლექცია, რომელიც შედგება ერთი ტიპის და თერთმეტი II-ე ტიპის კოლხური ცულისაგან.[4]

ამით თითქმის ამოიწურა დასავლეთ საქართველოში კოლხური ცულების სია. მაგრამ კოლხური კულტურა მარტო დასავლეთ საქართველოთი არ იფარგლება. ახლა უკვე შესაძლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ მესხეთი კოლხური კულტურის სფეროში ექცევა. ამაში გვარწმუნებს როგორც ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თავმოყრილი მასალები,[5] ისე პროფ. გ. ნიორაძის ნაშრომი.[6] მესხეთი უშუალოდ ემიჯნებოდა კოლხეთს; სწორედ სადღაც საზღვართან ახლოს, ჭოროხის აუზში უნდა ყოფილიყო კოლხური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი მაწარმოებელი კერა.[7] ნიშანდობლივია, რომ სწორედ მესხეთის ტერიტორიაზეა ნახული კოლხური ცულის

---

1 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 128.

2 Иващенко М.М., Материалы к изучению культуры Колхов. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბილისი, 1941, გვ. 6.

3 ა. იესენი შეცდომით ლეხვანოს უწოდებს.

4 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 128.

5 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 319; ტაბ. VI.

6 ნიორაძე გ., არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XIII-B, თბილისი, 1944.

7 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 127.

(II ტიპის) ჩამოსასხმელი ყალიბი. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფ. მიტარბაში აღმოჩენილი ცული ზუსტად ერგება სოფ. თელოვანის ყალიბს[1]. ეს კი მოწმობს რომ კოლხური ცული მარტო კოლხეთიდან კი არ შემოდიოდა, არამედ ადგილობრივად იწარმოებოდა. პროფ. გ. ნიორაძე აღნიშნავს: „ფრიად საინტერესოა ის გარემოება, რომ სოფ. მიტარბში აღმოუჩენიათ „ყობანის“ ტიპის ცული (სურ. 4, b), რომელიც მშვენივრად ერგება სოფ. თელოვანის მახლობლად აღმოჩენილ ცულის ყალიბს (სურ. 4, c). ეს ფაქტი კი უდავოდ გვეუბნება, რომ ცულების ადგილობრივ კეთდებოდა. ახლა, თუ ჩვენ მოვიგონებთ ზემოთ უკვე აღნიშნულ პროფ. გოროდცოვის აღმოჩენას წაღვერში, სადაც ნათლად იყო მოცემული ყველაფერი ის, რაც საჭიროა სპილენძის მადნის დასამუშავებლად, ე.ი. სპილენძის მისაღებად, ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ როგორც სპილენძის მიღება სპილენძის მადნიდან, აგრეთვე სპილენძის იარაღის გაკეთება, უეჭველად ადგილობრივი იყო“.[2]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი თითქმის სრულიად შეუსწავლელია, უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ეს რაიონი დასავლურქართული კულტურის წრეში ექცევა.[3] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მხოლოდ ორი ცული ინახება ამ რაიონიდან.

ამრიგად, ჩვენ დავამთავრეთ I ტიპის კოლხური ცულების განხილვა დასავლურქართული კულტურის წრეში და მივადექით აღმოსავლურქართული კულტურის წრეს. ქართლში, უფრო სწორედ კი „შიდა ქართლში“, ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით ვხვდებით კოლხურ ელემენტს, ოღონდ უკვე აშკარაა, რომ ეს რაიონი აღმოსავლურქართული კულტურის წრეში ექცევა. ამაში გვარწმუნებენ როგორც ცალკეული

---

1 ა. იესენი შეცდომით აღნიშნავს, რომ ეს ყალიბი თითქოს გოროდცოვმა წაღვერში აღმოაჩინა [ნიორაძე გ., არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 179].

2 ნიორაძე გ., არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 194.

3 ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ უნდა იყოს სწორი პროფ. შ. ამირანაშვილის აღმოსავლურქართული კულტურისათვის ახლად შემოღებული ტერმინი. იგი აღნიშნავს: „რაც შეეხება მეორე ტერმინს „იბერიულს“, მის ნაცვლად უნდა მივიღოთ ტერმინი იბერულ-მესხურ-ალბანური, ვინაიდან უკანასკნელი საქმის ფაქტიურ მდგომარეობას უკეთ გამოხატავს“ [შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ. 1944, გვ. 37]. ტერმინის სირთულესა და უხერხულობაზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ტერმინია არასწორი. მესხეთი პოლიტიკურად და გეოგრაფიულად იბერიის ნაწილი იყო. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნში აღნიშნავს: „ლეონტი მროველმა ჩვენ ჩამოგვითვალა ქართლის სამეფოს ანუ იბერიის საზღვარი, რომელსაც, სტრაბონის სიტყვით, მესხეთი უძველეს დროიდგანვე მოყოლებული ეკუთვნოდა“ [ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1913, გვ. 284]. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს მართებული გამოთქმა იბერულ-მესხური. იბერულში უკვე მესხურიც იგულისხმება (იბერიის საზღვრების შესახებ იხ. ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №17, თბ., 1942, გვ. 723; ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით. თბ., 1946, გვ. 55). დღეს უკვე მოგვეპოვება ამ კულტურის (იბერულის) აღმნიშვნელილ ტერმინი „აღმოსავლურ-ქართული კულტურა“. ალბანურისათვის კი არქეოლოგიაში უკვე კარგად დამკვიდრებული ტერმინი არსებობს – „განჯა-ყარაბაღული კულტურა“. რაც შეეხება მესხურს, როგორც აღნიშნული გვქონდა, მესხეთი დასავლურქართული კულტურის წრეში ექცევა და ამიტომაც მისი შეყვანა „მეორე კომპლექსში“ ანუ „იბერიულში“ არ უნდა იყოს მართებული.

აღმოჩენები, ისე აქ ნაპოვნი შერეული ხასიათის კომპლექსები (ქვემო სასირეთის განძი, ახალქალაქის განძი, ცხინვალის განძი, და სხვ.), სადაც აშკარად აღმოსავლური ელემენტი ჭარბობს. აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავს: „დღევანდელი ქართლი, ჩანს, მაშინაც ისეთი ცენტრალური თემა იყო, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა და თავის გამოცდილებას უზიარებდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა. აქ პოულობენ ხოლმე როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურის ძეგლებს“.[1] ეს გასაგებიცაა, ვინაიდან „შიდა ქართლი“ ტაშისკართან უშუალოდ ემიჯნებოდა მესხეთს. სწორედ მესხეთიდან შემოდიოდა, ალბათ, ძირითადად კოლხური ელემენტი აღმოსავლურში. დამახასიათებელია, რომ კოლხური კულტურის ელემენტი აღმოსავლეთით მცხეთამდე აღწევს (გარდა ერთადერთი აღმოჩენისა ვართაშენთან). დაახლოებით აქვე უნდა ყოფილიყო „შიდა ქართლის“ აღმოსავლეთი საზღვარი.[2]

უსათუოდ აღსანიშნავია „შიდა ქართლის“ ერთი კუთხე, რომელიც დღეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შედის. აღსანიშნავია, რომ აქ დასავლურქართული კულტურის ნივთებთან ერთად, გვხვდება, აგრეთვე, წმინდა ყობანური ელემენტი. ამას კარგად მოწმობს როგორც სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ისე საქართველოს მუზეუმში თავმოყრილი მასალები ამ რაიონიდან. ჩვენს მუზეუმში ინახება ხუთი ბრინჯაოს თოხი (ზნაურის რაიონი) სოფ. თერეგვანიდან (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. №64-14/15, 6, 7, 8, 9); ერთი თოხი ნაპოვნია, აგრეთვე, ზნაურის რაიონში სოფ. ჩურისხევთან აღმოჩენილ კოლექციაში (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. $№\frac{4-33}{6}$). სტალინირის მუზეუმში ინახება ერთი სეგმენტისებრი იარაღი (სტალინირის მუზ. კოლ. № 837), რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია, ოღონდ, როგორც მუზეუმის დირექტორმა გადმოგვცა, იგი უთუოდ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეა მოპოვებული. ნიშანდობლივია, რომ ცხინვალის განძში კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ სხვა ნივთთა შორის აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს ცულნამგალას ყუა. ერთი ამგვარი სავსებით მთელი ცულნამგალა ნაპოვნია ლაჯობისძირის კოლექციაში. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს უძველესი ქართული ბალთები აგრეთვე მრავლადაა აღმოჩენილი ქართლის ამ კუთხეში. გ. გობეჯიშვილი ბალთების გავრცელების შესახებ აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ რაიონებს შორის პირველი ადგილი უჭირავს იმერეთს, რაჭას და მის მოსაზღვრე სამხრეთ ოსეთს.[3]

რაც შეეხება ყობანური კულტურის ნივთებს, ისინიც საკმაო რაოდენობით გვხვდება ამ ტერიტორიაზე. სტალინირის მუზეუმში ინახება ერთი სწორკუთხა ბალთა, რომელიც აღმოჩნდა ჯავის რაიონის ეკლესია „ფიცართა“-ში (სტალინირის მუზ. კოლ. № 913).

დიდი რაოდენობითაა სამხრეთ ოსეთში ნაპოვნი რკალისებრი ფიბულები. აღსანიშნავია სოფ. სოხთაში აღმოჩენილი ერთი რკალისებრი ფიბულა, რომელსაც რკალის შუაზე ცხვრის თავის ქანდაკება აზის. ნიშანდობლივია, რომ ასეთივე ფიბულა, ოღონდ სამი ცხვრის თავით შემკული, აღმოჩნდა ყობანში.[4] ამავე მუზეუმში ინახება

---

1 ჯავახიშვილი ი., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით. თბ., 1946, გვ. 27.

2 ჯანაშია ს., აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბილისი, გვ. 244.


3 გობეჯიშვილი გ., ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, თბილისი, 1943 (საკანდ. დისერტაცია, ხელნაბეჭდი), გვ. 36.

4 Chantre E., Recherches anthropologiques dans le Caucase, t. II, Paris-Lyon, 1885, p. 64, სურ. 65; pe. XXII, 4.

სატევრისპირი, რომელიც ძლიერ უახლოვდება პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებულ ყობანში ნაპოვნ სატევრისპირს.[1] დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ბრინჯაოს მოზრდილი ქინძისთავები, რომლებიც ძლიერ წააგავს კუმბულთაში აღმოჩენილ ქინძისთავებს.[2] სამწუხაროდ, ორი ქინძისთავის აღმოჩენის ადგილი უცნობია. ერთი ამგვარი ქინძისთავი ახლახან აღმოჩნდა სოფ. ქვასათალთან (სტალინირის რაიონი).

ამრიგად, ამ მცირე ექსკურსიდანაც კარგად ჩანს, რომ ეს კუთხე იმთავითვე მჭიდროდ უკავშირდებოდა გადასასვლელებით, ერთი მხრივ, ჩრდილო კავკასიას, მეორე მხრივ კი – იმერეთს. ამიტომ, საფიქრებელია, რომ აქ უნდა გაევლო ერთ-ერთ ძირითად გზას, რომლითაც ერთმანეთს ხვდებოდნენ კოლხური და ყობანური კულტურები.

I ტიპის კოლხური ცული საკმაო რაოდენობითაა ნაპოვნი აღმოსავლურქართული კულტურის წრეში. საქართველოს მუზეუმში დაცულია: ოთხი დაზიანებული ცული ახალქალაქის განძიდან, ერთი ცული ფასანაურიდან, ორი ცული ცხინვალის განძიდან. ერთი ცული ნაპოვნი იყო საძიგურში (ლენინგორის რაიონი). სტალინირის რაიონში სამი ამგვარი ცულია დაცული: ერთი აღმოჩენილია სტალინირის რაიონში სოფ. ღრომში (სტალინირის მუზ. კოლ. №830), დანარჩენი ორი კი – სოფ. წოისში (ჯავის რაიონი). მუზეუმის დირექტორის სიტყვით, სოფ. წოისში 1926 წელს მიწის ორმოში აღმოჩნდა შვიდი ცული. ორი ცული იმავე წელს ე. პჩელინას წაუღია ლენინგრადში, დანარჩენი ხუთი ცული კი დაცულია სტალინირის მუზეუმში, აქედან ორი



სურ. 8

I ტიპის კოლხური ცულია (სტალინირის მუზ. კოლ. №828 და 837), სამი კი – II ტიპისა. უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ სოფ. წოისი მდებარეობს სამხრეთ ოსეთისა და იმერეთის საზღვარზე, რაც, ვფიქრობთ, აგრეთვე მოწმობს ჩვენს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას. ერთი ნაკლული ცული აღმოჩნდა სოფ. გოსტიბეში. ნარეკვავში 1939 წელს შემთხვევით იპოვეს რამდენიმე ბრინჯაოს ნივთი და მათ შორის ერთი მოხდენილი კოლხური ცული. სამთავროში ჯერჯერობით I ტიპის მხოლოდ ერთი ცულია მოპოვებული 208-ე ორმოსამარხში (სურ.8); მოსკოვის ისტორიის მუზეუმში დაცულია ერთი ცული სოფ. ცხირეთიდან (კასპის რაიონი).

საქართველოს სამხრეთ ნაწილში („ქვემო ქართლი“) ერთადერთი ცულია ნანახი თრიალეთის ექსპედიციის მიერ.


---

1 Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, ფაბ. XII, 3

2 იქვე, ტაბ. LXXXVII, 3 და 4.

საქართველოს ფარგლებს გარეთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ დღევანდელ თურქეთში მოქცეული ის ტერიტორია, რომელიც კულტურულად და ისტორიულად საქართველოს უკავშირდებოდა. მართალია, ამ კუთხის შესახებ სადღეისოდ მეტად მცირე მასალა მოგვეპოვება, მაინც დაბეჯითებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ეს ტერიტორია დასავლურქართული კულტურის წრეში ექცევა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, ვიმეორებთ, სწორედ ჭოროხის აუზში უნდა ყოფილიყო ამ კულტურის ერთ-ერთი ძირითადი წარმოების კერა.

საყურადღებო აღმოჩენას ადგილი ჰქონდა ართვინის მიდამოებში 1932 წელს. ართვინის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ მიგდებულ მაღაროში მოწაფეებმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე ბრინჯაოს ნივთი: I ტიპის ორი მოზრდილი ცული,[1] ერთი მეტად ორიგინალური ცული. იგი პირის მოყვანილობით I ტიპის კოლხურ ცულს უახლოვდება, ოღონდ სატარე ხვრელი მას ვერტიკალურად აქვს ისე, როგორც კელტებს აქვთ ხოლმე. ჩვენ არ ვიცნობთ სხვა ამგვარ ცულს.[2] ქუთაისის მუზეუმში ინახება: ერთი ცული (?), რომელსაც, აგრეთვე, ვერტიკალური ხვრელი აქვს (სურ.9). პირის მოყვანილობით იგი განსხვავდება ართვინის ეგზემპლარისაგან (აღმოჩენილია ქუთაისში, მწვანე ყვავილასთან; ქუთაისის მუზ. კოლ. №215); ერთი თოხი;[3] ორი სეგმენტისებრი იარაღი,[4] რომელთაც კ. ბიტელი შეცდომით წყვილცულას გატეხილ ნაწილებად მიიჩნევს[5] და ერთი სპილენძის ზოდი.



სურ. 9

როგორც ვნახეთ, ართვინის განძი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ ძირითადი ნივთებისაგან შედგება. კ. ბიტელი აღნიშნავს, რომ თითოეულ ნივთს ემჩნევა ძლიერი დაზიანების და გაცვეთის კვალი და ამიტომ ეს განძი, ალბათ, მჭედლის კუთვნილება იყო, რომელსაც მაღაროში გაუხსნია თავისი სახელოსნო, ანდა საშიშროების გამო აქ თავისი იარაღეულობა დაუმალია.[6] ვფიქრობთ, რომ ეს განძი ჩვეულებრივი ე.წ. „клад литейщика“ უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორდუსთან აღმოჩენილი განძი, რომელიც პოლონელმა არქეოლოგმა ს. პრშევორსკიმ გამოაქვეყნა.[7] განძი შედგებოდა ბრინჯაოს შვიდი ნივთისაგან: ხუთი კოლხური ცული; ერთი წალდი, რომელსაც ავტორი შეცდომით პირმოტეხილ ცულად მიიჩნევს[8] და ერთი ბრტყელი ცული თუ ხელეჩო. ამრიგად, ეს განძიც თითქმის მთლიანად შედგება კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთებისაგან, გარდა ხელეჩოსი და ბრტყელი ცულისა, რომელიც თავისი ფორმით მცირეაზიურ „ხელეჩოებს“ უახლოვდება.[9] განძში წარმოდგენილი კოლხური ცულები

---

1 ბიტელი კ., ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები, ენიმკის მოამბე. ტ. II, თბ., 1938, სურ. 1-3.

2 იქვე, სურ. 5.

3 იქვე, სურ. 6.

4 იქვე, სურ. 7.

5 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 320.

6 ბიტელი კ., ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები, ენიმკის მოამბე. ტ. II, თბ., 1938.

7 Przeworski S.V., Der Grottenfund von Ordu. Archiv Orientalni, Vol. 7, № 8;8 Nr. Praha, 1935-36.

8 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 320.

9 Куфтин Б.А., Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 31.

ყველა I ტიპისაა, გარდა ერთისა, რომელსაც წაგრძელებული და „მცირედი გორდა“ პირი აქვს;[1] სატარე ნაწილით და რელიეფური წიბურებით იგი კოლხურ ცულს წააგავს, ოღონდ პირით მისგან განსხვავებულია. ჯერჯერობით სხვა ამგვარი ცული არ შეგვხვედრია. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ ცულს, ერთი მათგანი აშკარად I ტიპის ცულია.[2] სხვებიც ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ. მართალია, ისინი ტლანქადაა ნაკეთები და არც მკვეთრად ჩამოყალიბებულ ტიპს წარმოადგენენ, მაგრამ პირის მოყვანილობით და ტანის შვეტილობით ისინი უფრო I ტიპს უნდა მივაკუთვნოთ (ტაბ. XIVI, a; XIXVII, b, c). ამიტომ, ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს მართებული ს. პრშევორსკის მოსაზრება, რომელიც ორდუს ცულებს თვლის კოლხური ცულის პროვინციულ, თავისებურ ფორმად.[3] არც ისაა სწორი, თითქოს მსგავსი ფორმის ცულები არ გვხვდება კავკასიის ტერიტორიაზე.[4] საქართველოს მუზეუმში ინახება საქართველოში აღმოჩენილი რამდენიმე ცული, რომლებიც ფორმით უახლოვდებიან ორდუს ცულებს (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. № $\frac{1-38}{1.2}$: $\frac{8-38}{2}$).

ამრიგად, კოლხური კულტურა სამხრეთით ორდუმდე აღწევს; ეს ჯერჯერობით ყველაზედ უკიდურესი პუნქტია.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ მურღულის ხეობაში (ჭოროხის შენაკადი), სოფ. ბორჩხასთან, ძველი საბადო ძანსულის მახლობლად, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი I ტიპის კოლხური ცული.[5] ა. იესენი ფიქრობს, რომ ეს ცული ბაცევიჩის კოლექციასთან ერთად მოხვედრილა მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.[6]

უსათუოდ აღსანიშნავია კიდევ ერთი საყურადღებო აღმოჩენა. ყოფილ ყარსის ოლქში მეხჩისციხესთან 1896 წ. შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი: ორი მოზრდილი აღმოსავლურქართული ტიპის ცული, ორი II ტიპის კოლხური ცული. სამი I ტიპის ცული, ერთი თოხი, ერთი ბრტყელი ცული თუ ხელეჩო, სატეხი, ლაგამის საყბეური, სატევრის ტარის დაფანჯრული თავი, შვიდი მასივური რგოლი, სპილენძის და ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხები და სხვ. განძი ინახება მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.[7] ეს განძი შერეულ კომპლექსს წარმოადგენს; მასში აღმოსავლურქართულ ცულებთან და სატევრის დაფანჯრულ ტარის თავთან ერთად გვხვდება ტიპური კოლხური ნივთები.[8]

განსაკუთრებით ფართო გავრცელება კოლხურმა ცულმა ჩრდილო კავკასიაში პოვა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ყობანის ცნობილი სამაროვანი, სადაც პირველად აღმოჩნდა კოლხური ცული. ყობანის სამაროვნიდან მომდინარე ცულების განხილვის დროს პ. უვაროვა აღნიშნავს, რომ I ტიპის ცული (მისი კლასიფიკაციის „r“ ტიპი) ყველაზე იშვიათად გვხვდება აქ.[9] მართლაც, კოლხური ცულის ეს ტიპი

---

1 Przeworski S.V., Der Grottenfund von Ordu. Archiv Orientalni, Vol. 7, № 8;8 Nr. Praha, 1935-36, ტაბ. XIVI, b.

2 იქვე, ტაბ. XIVI, c.

3 იქვე, გვ. 401.

4 იქვე, გვ. 406.

5 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, სურ. 1.

6 იქვე, გვ. 45.

7 იქვე, გვ. 139.

8 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 329, სურ. 21.

9 Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, стр. 16.

სხვა ტიპებთან შედარებით, უფრო იშვიათია ყობანში. I ტიპის ერთი ცული აღმოჩნდა კუმბულთაში;[1] მოსკოვის ისტორიის მუზეუმში ჩვენ მხოლოდ ორი ამ ტიპის ცული ვნახეთ: ერთი – ს. გოლიათიდან და ერთიც – ფასკაუდან.[2] ერთი ცული ნაპოვნი იქნა ყაბარდო-ბალყარეთში სოფ. გიშგითში.[3]

ჩრდილო კავკასიის გარეთ ჯერჯერობით მხოლოდ სამი ცული აღმოჩნდა: ერთი – პოლტავის მახლობლად სოფ. ლუბნისთან, ინახება პოლტავის მუზეუმში[4] და ორიც – აკერმანთან.[5] ეს ჯერჯერობით ყველაზე უკიდურესი პუნქტია.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, I ტიპის კოლხური ცული საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებულილ. სამხრეთით იგი ორდუს აღწევს, ჩრდილოეთით აკერმანამდე მიდის, აღმოსავლეთით კი, ჯერჯერობით, მისი გავრცელების საზღვარი მცხეთას აღწევს.

ქ ვ ე ტ ი პ ი. ამ ქვეტიპში გაერთიანებული ფორმები არსებითად იმავე ნიშნებით ხასიათდება: შვეტილი ტანი, მახვილი ყუა და გორდა პირი, ოღონდ რიგი ნიშნებით და მოყვანილობით მაინც განსხვავდება ძირითადი ტიპისაგან.

ყუა საკმაოდ მაღალი აქვს; იგი თავისაკენ თანდათანობით ფართოვდება. ყუა მთლიანად პირის უკანა ნიღრისაკენაა დაქანებული, რის გამოც მისი წინა წვერი უკანაზე მაღალია. არსებითად ყუა ისეთივეა, როგორც ძირითად ტიპში, ოღონდ უფრო დაბალი.

სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა. მისი წინა პირი უფრო შეჭრილია, ვიდრე უკანა, აგრეთვე უფრო მაღალიც. ხვრელი, შედარებით ძირითად ტიპთან, გრძელია, სიმაღლით კი უფრო ნაკლები. სიგანე ორთავეს დაახლოებით ერთნაირი აქვს. აქაც ხვრელის წინაპირი რამდენიმე მილიმეტრით უფრო მაღალი და განიერია, ვიდრე უკანა.

ქვეტიპის ყველაზე არსებითი თავისებურება კაჩასა და სატარის ძირზე შექმნილი ქიმისებრი შვერილი, რომელსაც ცულის „იღლია“ ეწოდება. ყველა ეგზემპლარზე, გარდა ერთისა (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. № $\frac{3-45}{2}$), „იღლია“ მკვეთრადაა გამოსახული.

სატარის კედლებს გარედან რელიეფური წიბურები გადაუყვება. წიბურები ისევე არის განლაგებული, როგორც ძირითად ტიპში. ზოგიერთ ეგზემპლარზე წელის მარჯვენა და მარცხენა წახნაგის წიბოები არამკვეთრ წიბურებად იქცევიან. წინა წიბური ყუის წინა წვერს აღწევს, შუალა კი მკვეთრად უხვევს და ხვრელის უკანა პირის ქვედა ნაწილის მოხატულობას იმეორებს; უკანა წიბური იწყება ყუის უკანა წვერიდან და უკანა პირს შემოუყვება.

---

1 Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, ტაბ. XCIV, I.

2 Отчет Российского Исторического Музея за 1906 г., Москва, 1907, стр. 103, სურ. 3.

3 Иессен А.А., Археологические памятники Кабардино-Балкарии. Материалы по археологии Кабардино-Балкарии. Материалы и исследования по археологии ССР, №3, М.-Л., 1941, стр. 20, ტაბ. 11,2.

4 Рудинский М., Археологичйі збіркй Полтавьского Музею. Полтавский Державний Музей ім В.Г. Короленка, збірник, т. I, Присвячений 35-річчю Музею, 1928, стр. 61, ტაბ. IV; Куфтин Б.А., Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944; Tallgren A.M., Le Pontide prescythique, ESA, II, Helsinki, 1926, p. 166, სურ. 7; Przeworski S., Znalerisko Kruchowickie, Worszawa, 1929, p. 21, სურ. 13; Труды восьмого Археологического С´езда в Москве 1890, Москва, 1897, стр. 239; ტაბ. LXXXII, 1.

5 Иессеи А.А., Греческая колонизация северного причерноморья, Ленинград, 1947, стр. 31.


სატარე ხვრელი გადადის ცულის წელში. ძირითად ტიპთან შედარებით, წელი უფრო წვრილია და გრძელი. იგი ცულის ყველაზე ვიწრო ნაწილს წარმოადგენს.

წელს ქვემოთ იწყება ცულისპირი. იგი გორდაა და აშკარად ასიმეტრიული. ასიმეტრიულობას ქმნის ის გარემოება, რომ უკანა ნიღრი დაახლოებით ერთი სმ-ით უფრო ზემოთაა აწეული, ვიდრე წინა ნიღრი. ნიღრები მკვეთრადაა გამოსახული. პირი ფხისაკენ თანდათანობით თხელდება. ფხები ყველას დაზიანებული აქვს და ამდენად, ეჭვგარეშეა, რომ ისინი ხმარებაში ყოფილან. პირი გაცილებით პატარაა, ვიდრე ძირითადი ტიპისა.

ცული სიგრძივ ექვსადაა დაწახნაგებული. ჯერჯერობით არ შეგვხვედრია ამ ქვეტიპის შემკული ცული. საერთოდ კი ცულები მოხდენილი ფორმისაა, თუმცა ზოგიერთი შედარებით ტლანქია.

აღნიშნული ქვეტიპის მხოლოდ ექვსი ცულია კომპლექსში ნახული; დანარჩენი კი ან შემთხვევითაა ნაპოვნი და მოწყვეტილი თავის თანმხლებ ინვენტარს, ანდა სრულიად უცნობია მათი აღმოჩენის ადგილი.

კოლხური ცულის ეს ვარიანტი, შედარებით ძირითად ტიპთან, უფრო ნაკლებად გვხვდება. დასავლეთ საქართველოდან ჩვენს მუზეუმში დაცულია ერთი ცული, აღმოჩენილი სოფ. კვეზანში და ერთიც პატარა ზომის ცული ღარიდან (ონის რაიონი). სოხუმის მუზეუმში ინახება ორი ამგვარი ცული: ერთი სოფ. ლეჩქოფიდან (სოხუმის რაიონი); (სოხუმის მუზ. კოლ. №259), მეორე კი ბიჭვინთიდან (სურ. 10; გაგრის რაიონი); (სოხუმის მუზ. კოლ. № 53.40). მახარაძის მუზეუმში ერთი ამგვარი ცულია ვაკიჯვარის განძიდან (მახარაძის რაიონი) (მახარაძის მუზ. კოლ. №322). ბათუმის მუზეუმში მხოლოდ ერთი ცული შეგვხვდა სოფ. ერგეში აღმოჩენილ კოლექციაში.



სურ. 10

ზუგდიდის მუზეუმში დაცულია 2 ცული: ერთი სოფ. თაგილონიდან (ზუგდიდის მუზ. კოლ. № 59/7), მეორე კი ხეთადან (ზუგდიდის მუზ. კოლ. № 139/4). ქუთაისის მუზეუმში ხუთი ამ ტიპის ცულია დაცული. ერთი ცული აღმოჩნდა სოფ. საქარაში (ზესტაფონის რაიონი) (ქუთაისის მუზ. კოლ. № 833 ა) თოხთან და სეგმენტისებრ იარაღთან ერთად; ორი ცული ნაპოვნია ქ. ქუთაისში (ქუთაისის მუზ. კოლ. № 3456); ერთი –სოფ. ფარცხანაყანევში (ქუთაისის მუზ. კოლ. №1586) და ერთიც – ვანის რაიონის; სოფ. გორასთან (ქუთაისის მუზ. კოლ. №752). ერთი I_1 ქვეტიპის ცული აღმოჩნდა სოფ. გომნაში, ბორჯომის რაიონში.[1]

აღმოსავლურქართული კულტურის წრიდან საქართველოს მუზეუმში დაცულია სამი ცული: ერთი სურამიდან (საქართველოს მუზ. კოლ. № $\frac{3-35}{1}$); მეორე აღმოჩნდა სასირეთის განძში; მესამის აღმოჩენის ადგილი ზუსტად არ არის ნაჩვენები, აღნიშნულია მხოლოდ, რომ იგი გორის რაიონშია ნაპოვნი (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. № $\frac{3-45}{2}$). დანარჩენი ორი ცულის აღმოჩენის ადგილი უცნობია. გორის მუზეუმში ინახება მხოლოდ ერთი ნაკლული ცული, შემთხვევით ნაპოვნი სოფ. ხევში (გორის მუზ. კოლ. № 1905). სტალინირის მუზეუმში ინახება ერთი ამგვარი ცული, აღმო-

1 ნიორაძე გ., არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 209, ტაბ. XIII, q.


ჩენილი სოფ. ნულში (ზნაურის რაიონი) 1945 წელს ბ. კუფტინის მიერ (სტალინირის მუზ. კოლ. № 1414).

საქართველოს ფარგლებს გარეთ ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი I_1 ქვეტიპის კოლხური ცულია აღმოჩენილი სოფ. გოლიათში (ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში). ყობანის სამაროვნისათვის სრულიად უცნობია ეს ტიპი. ამრიგად, I_1 ქვეტიპის კოლხური ცული ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება (გარდა ერთი შემთხვევისა) ორივე კულტურის წრეში.

II ტიპი

ამ ტიპის ყველაზე უფრო არსებითი თავისებურება მასივური დაწახნაგებული ყუა, შვეტილი შუბლი და გორდა, ძლიერ ასიმეტრიული პირია. უვაროვა მათ ორ ტიპად ყოფს; მოზრდილ ტიპს იგი „B“ ტიპში, უფრო მომცროს კი „Б“ ტიპში აერთიანებს. ფ. ჰანჩარი ამ ტიპს თავისი კლასიფიკაციის I_2 ქვეტიპად გამოყოფს.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპში, ერთი მხრივ, ვხვდებით შედარებით მომცრო ზომის, მოხდენილ და ლამაზ, ზოგჯერ ორნამენტირებულ ცულებს და მეორე მხრივ კი უფრო მოზრდილ, მძიმე და ტლანქ, ყოველთვის სადა ცულებს. როგორც აღნიშნული გვქონდა, პ. უვაროვას დაყოფა არ არის ზუსტი. ცულები მხოლოდ ზომითა და წონით განსხვავდებიან, თორემ სხვა მხრივ სრულიად ერთნაირებია. თუმცა, საფიქრებელია, რომ ფუნქციით ისინი მართლაც განსხვავდებოდნენ. მოზრდილ ცულებს, ეგებ, შინ სამუშაოდ უფრო ხმარობდნენ, მომცროს კი საომარ თუ რაიმე სხვა დანიშნულებისათვის.



სურ. 11

ტიპის ერთი ყველაზე არსებითი ნიშანია მასივური, დაწახნაგებული ყუა. იგი საკმაოდ მაღალია. ხვრელს ზემოთ ყუა ყელს იკეთებს და მთავრდება დაწახნაგებული ყუის თავით. ყუის თავი უმთავრესად სამწახნაგაა, თუმცა გვხვდება ისეთი ეგზემპლარები, სადაც ყუის თავი ორი წახნაგისაგან შედგება. ზოგიერთ ცალში ყუის თავი ძლიერ დაბეჟილია დარტყმისაგან, რაც მოწმობს მის ხმარებას. განსაკუთრებით ეს ითქმის მოზრდილ ცულებზე.

ყუა გადადის სატარეში. ხვრელს აქაც წვეტიან-ოვალური მოყვანილობა აქვს. მისი წინა პირი რამდენიმე მილიმეტრით უფრო მაღალი და განიერია, ვიდრე უკანა. სატარე კედლებს გარედან სამ-სამი მკვეთრი, სიმეტრიული წიბური და მათ შორის ორი ფართო და ღრმა ღარი გაუყვება. წინა და უკანა წიბური წელთან

წახნაგების წიბოებად იქცევა, შუალა კი ოდნავ სცილდება სატარეს და იკარგება. ზოგიერთ მომცრო ზომის ეგზემპლარებს ხუთი წიბური და მათ შორის ოთხი ღარი გაუყვება.

პირი გორდაა და ძლიერ ასიმეტრიული. უკანა ნიღრი უფრო მაღალია, ვიდრე წინა, რის გამო პირი მთლიანად კაჩისაკენაა მოქცეული. წინა ნიღრი შუბლის ხაზზე ძევს. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ეგზემპლარები, რომელთაც წინა ნიღრი წინა აქვთ გაშვერილი და ამდენად ირღვევა შუბლის შვეტილობა (მაგ., საქართველოს მუზ. კოლ. № $\frac{11-32}{11.\ 15}$ და სხვ.). პირი ფხისაკენ თანდათანობით თხელდება. უმრავლესობას ეტყობა ხმარების კვალი, განსაკუთრებით მოზრდილებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მუზეუმში ინახება ორი ეგზემპლარი, რომელთაც ფხა სრულიად არა აქვთ გამოყვანილი; პირი ბლაგვია და პრაქტიკული დანიშნულებისათვის სრულიად გამოუსადეგარი; ამიტომაც, საფიქრებელია, რომ ეს ცულები პრაქტიკული დანიშნულებისათვის არ იყო გამიზნული და, ეგებ, რიტუალური ან სხვა მიზნისათვის იხმარებოდა. მით უმეტეს, რომ ორივე ცულის მთელი ზედაპირი ორნამენტირებულია და, საერთოდ, ცულები მეტად მოხდენილი და ლამაზი ფორმისაა. ყველა ცული სიგრძივ ექვსადაა დაწახნაგებული.

მომცრო ზომის ცულებში გვხვდება მეტად მოხდენილი ფორმის და ლამაზად ორნამენტირებული ცულები. მოზრდილებში კი ორნამენტირებული ცული ჯერ არ შეგვხვედრია, გარდა ერთი მოზრდილი ცულისა (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. № $\frac{11-32}{2}$), რომლის რელიეფური წიბურები ირიბად ჭდეულნი არიან.

დასასრულ, აღსანიშნავია ორი ცული, რომელთაც კაჩის მარცხენა წახნაგზე X-ებრი ნიშანი აქვს გამოყვანილი (საქართველოს მუზ. კოლ. № $\frac{11-32}{15}$, $\frac{3-21}{2}$). ერთი მათგანი ნანახია ლეჩხუმში, სოფ. ოყურეშის ზემოთ, ლაჯობის ძირზე, მეორე კი – სამურზაყანოში. საინტერესოა, რომ ზუსტად ასეთივე ნიშანი აზის სოლოი-პომპეიოპოლისთან აღმოჩენილ განძის ერთ-ერთი ბრტყელი ცულის ვიწრო წახნაგს. ამავე ცულის ფართო წახნაგზე ადამიანის ფეხი თუ ხელია გამოყვანილი.[1]

ამ ტიპის ცულებიც უმთავრესად შემთხვევითაა ნაპოვნი და მხოლოდ მცირე ნაწილია აღმოჩენილი კომპლექსში, უმთავრესად, პირველ ტიპთან ერთად. ჩვენს მუზეუმში დაცულია რამდენიმე ცული ყობანიდან, ოღონდ, სამწუხაროდ, უვაროვას ტიპობრივად აქვს დაჯგუფებული მასალა და სრულიად არ იძლევა თანმხლებ ინვენტარს.[2]

მეორე ტიპის კოლხური ცული, აგრეთვე, მრავლადაა გავრცელებული საქართველოში. აფხაზეთში ეს ტიპი კარგადაა წარმოდგენილი. სოხუმის მუზეუმში ინახება სოფ. ლაბრში (ოჩამჩირის რაიონი) 1924 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ოთხი მოზრდილი ცული.[3] სამი ცული აღმოჩნდა სოფ. პეტროპავლოვსკაიაში (გუდაუთის

1 Bittel K., Der Depotfund von Soloi-Pompeiopolis. Zeitschrift für Assiriologie und vorderasiatische Archäologie, Bd. 12, Berlin, 1940, p. 194.

2 Уварова П. С., Колекция Кавказского Музея, Археология, IV, Тифлис, 1902, стр. 4.

3 Стражев В.И., Бронзовая культура в Абхазии. Известия Абхазского Научного Общества, вып. IV, Сухум, 1936, стр. 109; Иващенко М.М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935, стр. 55, сур. XIV.

რაიონი), ორი – 1926 წელს და ერთიც – 1930 წელს.[1] სოხუმის მახლობლად სოფ. ლეჩქოფში კოლმეურნე მამფორიას მამულში მიწის დამუშავების დროს 1925-1930 წლებში აღმოჩნდა თხუთმეტამდე კოლხური ცული; ამავე სოფელში 1933 წ. შემთხვევით იპოვეს კიდევ ერთი კოხტა ცული.[2] რამდენიმე ცული აღმოჩნდა ქ. სოხუმში.[3] ერთი მათგანი იპოვეს ბოტანიკურ ბაღში მიწის სამუშაოების დროს 1929 წელს (სოხუმის მუზ. კოლ. № 94). ამავე მუზეუმში დაცულია პატარა ზომის კოლხური ცული ეშერიდან, აღმოჩენილი 1934 წელს (სოხუმის მუზ. კოლ. № 261). გუდაუთის რაიონში, სოფ. აბგარხუქში 1908 წელს ბრინჯაოს ხატისუღელთან ერთად აღმოჩნდა ერთი კოლხური ცული.[4] აჩანდარში ანჩაბაძესთან ინახებოდა სამი ბრინჯაოს ნივთი: ერთი კოლხური ცული, სპირალური სამაჯური და კოვზი.[5] მდ. ბზიფის ხეობაში, ერთ-ერთ გამოქვაბულში ადამიანის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა ერთი ცული.[6] ერთი ცული ნაპოვნი იყო ახალი ათონის მახლობლად, სოფ. ფსირცხაში.[7] ა. ლუკინი ფიქრობს, რომ ეს ორი უკანასკნელი წარმოადგენს II ტიპის კოლხური ცულის ერთ-ერთ სახესხვაობას. ეს ცულები მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ მათი სატარე ხვრელის კედლები უფრო მკვეთრადაა ამობურცული, რის გამოც ხვრელი უფრო ოვალურია, ვიდრე წვეტიანოვალური და ყუა ორწახნაგა აქვთ, თორემ სხვა მხრივ ისინი ისეთივე ფორმისა არიან, როგორც სხვა ამ ტიპის ცულები. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მათი ცალკე სახეობად გამოყოფა არ უნდა იყოს მართებული. არც ის უნდა იყოს სწორი, რომ, თითქოს, ეს ცულები აფხაზეთში მოპოვებული კოლხური ცულების ყველაზე გვიანი ფორმა იყოს; ჯერჯერობით ჩვენ საამისო მასალა არ მოგვეპოვება. ა. ლუკინის მიერ მოყვანილი საბუთი კი სრულიად უმართებულოა.[8] უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ აფხაზეთში ამგვარი კოლხური ცულები ჭარბობენ. სოხუმის მუზეუმში დაცულია ორი ცული ოჩამჩირის რაიონიდან; ერთი ნაპოვნია სოფ. ილორთან, მეორე კი – სოფ. ჯალთან (სოხუმის მუზ. კოლ. № 87, 88). ჩვენს მუზეუმში ინახება ერთი ნაკლული ცული სამურზაყანოდან (სურ. 12). მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში მხოლოდ ერთი ცული შეგვხვდა ოჩამჩირიდან (კომაროვის კოლექცია). ზუგდიდის მუზეუმში ინახება ერთი ნაკლული ცული თაგილონიდან, ყალიბთან ერთად აღმოჩენილი. ფოთის მუზეუმში დაცულია ერთი ცული, აგრეთვე თაგილონში (გალის რაიონი) აღმოჩენილი (ფოთის მუზ. კოლ. № 67).

---

1 Стражев В.И., Бронзовая культура в Абхазии. Известия Абхазского Научного Общества, вып. IV, Сухум, 1936, стр. 110; Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии. Государственный Эрмитаж. Труды отдела истории первобытной культуры, т. I, Ленинград, 1941, стр. 52, таб. XIII.

2 Иващенко М.М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. 3-ий, Тифлис, 1935, стр. 53-55.

3 Стражев В.И., Бронзовая культура в Абхазии. Известия Абхазского Научного Общества, вып. IV, Сухум, 1936, стр. 110; Иващенко М.М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. 3-ий, Тифлис, 1935, стр. 53, таб. XIII.

4 Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии. Государственный Эрмитаж. Труды отдела истории первобытной культуры, т. I, Ленинград, 1941, стр. 50, таб. XI.

5 Известия Археологической комиссии, вып. 33, СПБ, 1909, стр. 82, сур. 11.

6 Лукин А. Л., დასახ. ნაშრ., გვ. 52, ტაბ. XIII.


7 იქვე, გვ. 58, ნახ. 4.

8 იქვე, გვ. 58.

სვანეთიდან საქართველოს მუზეუმში ინახება ოთხი ცული, ოღონდ, სამწუხაროდ, მათი პოვნის ზუსტი ადგილი არ არის მოცემული.

სამეგრელოს ნიადაგმა რამდენიმე ამ ტიპის ცული მოგვცა. სოფ. ჯვარში (წალენჯიხის რაიონი), როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, I ტიპის ცულთან ერთად აღმოჩნდა ორი II ტიპის ცული. ზუგდიდის მუზეუმში დაცულია სოფ. ხუდონში (წალენჯიხის რაიონი) აღმოჩენილი კოლექცია. კოლექციაში ორი კოლხური ცული (ერთი I ტიპისა) და ორი თოხია.[1] ამავე მუზეუმში ჩვენ ხუთი ცული შეგვხვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ცულის აღმოჩენის ადგილი არ არის ცნობილი. ფოთის მუზეუმში ინახება ერთი ცული სოფ. კოკიდან (ზუგდიდის რაიონი; ფოთის მუზ. კოლ. № 64).

გურიიდან ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ცულს ვიცნობთ. იგი არქეოლოგ ა. კალანდაძეს შეუძენია ურეკში და დღეს ლენინგრადშია[2] დაცული. ცული, დანარჩენ თერთმეტ ცულთან და სხვა ნივთებთან ერთად, უპოვიათ გზის გაყვანის დროს.[3]



სურ. 12

1 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 6-9, ტაბ. 6-9.

2 როგორც თვით ა. კალანდაძემ გადმოგვცა, ცული II ტიპისაა. საყურადღებო ცნობისათვის არქ. ა. კალანდაძეს მადლობას მოვახსენებთ.

3 კალანდაძე ა., მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილო ჯგუფის 1938/39 წ. წ. მუშაობის წინასწარი მოკლე ანგარიში (ხელნაბეჭდი), თბილისი, 1940, გვ. 112, სქოლიო.

ვფიქრობთ, შემთხვევითი უნდა იყოს ის გარემოება, რომ აჭარიდან და იმერეთიდან სრულიად არ ვიცნობთ ამ ტიპს. ყოველ შემთხვევაში არც საქართველოს მუზეუმები გვაწვდიან ამისათვის მასალას და არც ლიტერატურაში მოგვეპოვება სათანადო ცნობა.

ლეჩხუმში ეს ტიპი, აგრეთვე, მრავლადაა გავრცელებული. ჩვენს მუზეუმში დაცული მასალებიდან ყურადღებას იპყრობს ისევ ლაჯობისძირის კოლექცია. აქ შვიდი II ტიპის ცულია. ერთი ნაკლული ცული ახლახანს აღმოჩნდა სოფ. ორხევში (ცაგერის რაიონი; საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. № 3-47) ქუთაისის მუზეუმში ინახება 1925 წელს სოფ. სურმუშში აღმოჩენილილ ოთხი ცული (ქუთაისის მუზ. კოლ. №1229). მ. ივაშჩენკოს მხოლოდ სამი ცული აქვს ამ კოლექციიდან გამოქვეყნებული.[1] გარდა ამისა, ქუთაისის მუზეუმში დაცულია კოლხური ცულების კოლექცია, რომლის აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია. იგი შედგება 18 ცულისაგან, აქედან ხუთი II ტიპისა.[2] რამდენიმე კოლექცია ინახება ერმიტაჟში: აღსანიშნავია სოფ. ლუხვანოში აღმოჩენილი ნივთები, სადაც ხუთი II ტიპის კოლხური ცულია; 1911 წელს სოფ. ლაილაშში შეძენილ კოლექციაში ამ ტიპის თორმეტი ცულია.[3]

რაჭიდან ორი ცულია ცნობილი: ერთი – ქვიშარიდან, მეორე კი – ახალსოფლიდან.

უაღრესად საყურადღებოა მესხეთში აღმოჩენილი ცული და ყალიბი. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, სოფ. მიტარბაში ნაპოვნი ცული კარგად ერგება სოფ. თელოვანის ყალიბს.[4] ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა ამ ტიპის ჩამოსასხმელი ყალიბის აღმოჩენისა.

ამრიგად, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზეა დღემდე ნახული კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბები: ერთი – სოფ. თაგილონში (I ტიპის), მეორე კი – სოფ. თელოვანში (II ტიპის). რაც შეეხება ზილგში და ყობანის მიდამოებში აღმოჩენილ ყალიბებს, მათ შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ა. იესენი ფიქრობს, რომ ზილგში ნაპოვნი ყალიბი „ყობანის ტიპის“ ცულის ჩამოსასხმელი კი არ არის, არამედ უფრო ძველი ტიპის ცულების დასამზადებლად განკუთვნილი ყალიბი უნდა იყოს.[5] ე. კრუპნოვის აზრით კი ორივე ყალიბი ყობანის ტიპის ცულის ჩამოსასხმელია, კერძოდ კი უვაროვას „Д“ ტიპისა.[6] მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება ზილგის ყალიბში თაბაშირიდან ჩამოსხმული ცული. ჩვენ ვნახეთ აღნიშნული ცული და, ვფიქრობთ, სავსებით მართალი უნდა იყოს ე. კრუპნოვი. მართლაც ახლოს დგას თაბაშირის ცული უვაროვას „Д“ ტიპთან და ზილგის ყალიბიც ამ ტიპის ცულთა ჩამოსასხმელი უნდა ყოფილიყო. სატარე ნაწილით ეს ცული წააგავს კოლხურ ცულს (ხვრელს გარედან სამი რელიეფური წიბური და მათ შორის ორი ფართო და ღრმა ღარი გაუყ-

---

1 Иващенко М. М., Материалы к изучению культуры Колхов. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბილისი, 1941, გვ. 2.

2 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 128.

3 Иващенко М. М., Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935, стр. 128.

4 ნიორაძე გ., არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 194, სურ. 4 а, в.

5 Иессен А.А,. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 101-103.

6 Крупнов Е.М., Погребения Эпохи Бронзы в Северной Осетии, Сборник статей по археологии СССР, М., 1939, стр. 39.

ვება). მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ (სათანადო ადგილზე უფრო დაწვრილებით შევეხებით ამ საკითხს), პ. უვაროვას კლასიფიკაციის „Д“ ტიპს არ ვიხილავთ კოლხურ ცულთან, ვინაიდან იგი უცხოა კოლხური კულტურისათვის. ყობანში აღმოჩენილი ყალიბის შესახებ პროფ. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ იგი ყუადაშვებული ცულის ჩამოსასხმელი ყალიბია.[1]

ამრიგად, მხოლოდ საქართველოშია ჯერჯერობით აღმოჩენილი კოლხური ცულის ჩასმოსასხმელი ყალიბი.

კოლხური ცულის ჩამოსხმის საკითხს სათანადოდ შეეხო ბ. კუფტინი. იგი აღნიშნავს, რომ ზუგდიდისა და ბორჯომის მუზეუმებში დაცული ბრინჯაოს ყალიბები, საფიქრებელია, უფრო ცვილის მოდელის დასამზადებლად იხმარებოდა; თუმცა არ არის გამორციხული, რომ მათში უშუალოდ ბრინჯაოს ცულებსაც ასხამდნენ. კოლხურ ცულს უმთავრესად მოდელის დაკარგვის წესით ამზადებდნენ და ამ ლითონის ყალიბებში ასხამდნენ ცვილის მოდელს.[2] ცვილის მოდელს გარედან შემოლესლავდნენ თიხით და შემდეგ გამოწვავდნენ. გამოწვის შედეგად გამდნარი ცვილი გამოვიდოდა სათანადოდ დატოვებულ ნახვრეტიდან. ამ წესით მიღებულ ყალიბში ჩაასხამდნენ გამდნარ ბრინჯაოს და გაცივების შემდეგ შემოამტვრევდნენ ყალიბს.[3] ჩამოსხმის ამგვარი ტექნიკით შეუძლებელი იყო ზუსტად ერთნაირი ნივთის მიღება, ვინაიდან ახალი ნივთისათვის საჭირო იყო კვლავ ახალი ცვილის მოდელის და ყალიბის დამზადება. ჩანს, რომ ამ პერიოდში ჩამოსხმის ასეთი წესი გაბატონებული უნდა ყოფილიყო.[4]

რამდენიმე ცული ნაპოვნია, აგრეთვე, აღმოსავლურქართული კულტურის წრეში. საქართველოს მუზეუმში დაცულია ორი ცული ხაშურის რაიონის სოფ. ალიდან, (საქართველოს მუზ. ინვ. №64-14/110, 11); ორი ცული აღმოჩნდა ცხინვალის განძში. სტალინირის მუზეუმში ინახება II ტიპის სამი კოლხური ცული სოფ. წოისიდან (ჯავის რაიონი; სტალინირის მუზეუმი; № 826; 827; 829). სამთავროს სამაროვანმა დღემდე მხოლოდ ერთი ცული მოგვცა (260-ე ორმოსამარხი; ტაბ. I).

საქართველოს ფარგლებს იქით ეს ტიპი განსაკუთრებით გავრცელებულია ჩრდილოეთით. სამხრეთით ჯერჯერობით მეხჩისციხის განძში აღმოჩნდა ორი ცული. ჩრდილო ანატოლიაში სრულიად უცნობია მეორე ტიპის კოლხური ცული.

უსათუოდ საყურადღებოა სოფ. ვართაშენთან (ნუხის ოლქი) 1905 წელს აღმოჩენილი რამდენიმე ბრინჯაოს ნივთი. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობა იმის შესახებ, რა ვითარებაში აღმოაჩინეს იგი. ამიტომაც ძნელი სათქმელია კომპლექსია იგი თუ არა. აქ აღმოჩნდა: ერთი კოლხური ცული, პატარა ზომის აღმოსავლურქართული ცული, ყობანური ტიპის სწორკუთხა ბალთა (რკინით ინკრუსტირებული), შუბისპირი და ერთი კოვზი.[5] ვართაშენი ჯერჯერობით აღმოსავლეთით კოლხური ცულის გავრცელების ყველაზე უკიდურესი პუნქტია.

---

1 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 340.

2 იქვე, გვ. 136-137.

3 Богаевский Б.Л., История техники, т. I, М.-Л., 1936, стр. 398.

4 აფაქიძე ა.მ., ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), თბილისი, 1941, გვ. 132; გობეჯიშვილი გ., ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, თბილისი, 1943 (საკანდ. დისერტაცია, ხელნაბეჭდი), გვ. 234.

5 О А К за 1895. С.-Петербург, 1897, стр. 57, сур. 121-124; Пассек Т. и Латынин В., Очерк доистории Северного Азербаиджана. ИООИД, 13, Баку, 1926 стр. 142; Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 143.

ფართო გავრცელება ამ ტიპმა ჩრდილო კავკასიაში პოვა. ყობანში იგი საკმაოდ მრავლად გვხვდება.[1] მოსკოვის ისტორიის მუზეუმში ინახება ორი ცული სოფ. გოლიათიდან და ორიც სოფ. ფასკაუდან. ერთი ცული ნაპოვნი იყო კამუნთაში, ერთი კი ნაყიდია ნალჩიკში 1914 წ.[2] ამავე ტიპის ერთი ცული აღმოჩნდა, აგრეთვე, ჩეჩნეთში, აულ გორდალში[3] და ერთიც კისლოვოდსკში.[4] სოფ. ზემო ბაქსანთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელიც თიხის ჭურჭელში ელაგა: ნატეხი კოლხური ცულისა, სპირალურბოლოებიანი სამაჯური, სატევრის ნატეხი და სხვ.[5] სოფ. მაგომეტანსკაიას მახლობლად, დიგორიის არხის გაჭრის დროს, 1926-1927 წლებში ყორღანში აღმოჩნდა რამდენიმე ნივთი, მათ შორის ერთი ცული და სპილენძის ზოდები.

II ტიპის კოლხური ცული ცნობილია, აგრეთვე, დონის მხარიდან სტანიცა სიროტინსკაიადან (დონის მუზეუმი).

საქართველოს მუზეუმში დაცულია ორი ცული (ერთი II_1 ქვეტიპისა), რომელთა შესახებ კატალოგში აღნიშნულია, თითქოს, ისინი აღმოჩენილია ყირიმში და მუზეუმს შეწირა თ. სახოკიამ. ჩვენ პირადად ვინახულეთ თ. სახოკია, რომელმაც გადმოგვცა, რომ მან საქართველოს მუზეუმს შეწირა სამეგრელოში აღმოჩენილი ნივთები და კატალოგში დაცული ცნობა მცდარია. ამრიგად, თ. სახოკიას მიერ მოტანილი ცულები სამეგრელოშია ნაპოვნი და არა ყირიმში[6] (საქართველოს მუზეუმის კოლ. №1-25/1,2).

ამ მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ტიპი საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში. თითქმის სრულიად უცნობია იგი საქართველოს სამხრეთით. აღმოსავლეთით მისი გავრცელების საზღვარი ვართაშენამდე მიდის. ჩრდილოეთით ეს ტიპი გაცილებით მეტადაა გავრცელებული, ვიდრე I ტიპი.

ქ ვ ე ტ ი პ ი. ქვეტიპის ერთადერთი არსებითი თავისებურება, რითაც იგი განსხვავდება ძირითად ტიპისაგან, ის არის, რომ მას მახვილი ყუა ახასიათებს, თორემ სხვა მხრივ იგი სავსებით ისეთივეა. ყუით იგი უფრო I ტიპს უახლოვდება და, ეგებ, ერთგვარ გარდამავალ ფორმას წარმოადგენდა I ტიპიდან II ტიპზე, ანდა პირიქით. მაგრამ ჯერჯერობით ამის თქმა ძნელია სათანადო მასალის უქონლობის გამო. აქაც გვხვდება როგორც მოზრდილი, ისე უფრო მომცრო ზომის ეგზემპლარები. ფ. ჰანჩრი მას I_4 ქვეტიპად გამოყოფს.[7]

ყუა საკმაოდ მაღალია; ზოგიერთ ეგზემპლარს ყუა დაქანებული აქვს, ზოგს კი დაქანება არ ეტყობა. ცულების უმეტესობას ყუა დაჟეჟილი აქვს ხმარების გამო.

სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა. მისი წინა პირი რამდენიმე მილიმეტრით უფრო მაღალი და განიერია, ვიდრე უკანა. ზოგიერთ ცალებს წინა და უკანა პირი შეზნექილი აქვს.

---

1 Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, стр. 15.

2 Иессен А.А., Археологические памятники Кабардино-Балкарии. Материалы по археологии Кабардино- Балкарии. Материалы и исследования по археологии ССР, №3, М.-Л., 1941, ტაბ. 11,1.


3 Миллер В., Терская область, МАК I, Москва, 1888, стр. 103.

4 Chantre E., Recherches anthroplogiques dans le Caucase, t. II, Paris-Lyon, 1885, p. 44, სურ. 11.

5 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 133.

6 ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ პატივცემულ თ. სახოკიას აღნიშნული ცნობისათვის.

7 Hančar F., Die Beile aus Koban in der Sammlung Kaukasischer Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, t. XXI, Wien, 1934, p. 18.



სამთავროს სამაროვანი. 206-ე ორმოსამარხი

სატარე კედლების რელიეფური წიბურები ისევე არის განლაგებული, როგორც ძირითად ტიპში. აქაც გარედან სამი მკვეთრი წიბური და მათ შორის ორი ფართო და ღრმა ღარი გაუყვება. წინა და უკანა წიბური წახნაგების წიბოებად იქცევიან, შუალა კი – ოდნავ სცილდება სატარეს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ცულს შუალა წიბურის ძირზე (წელთან) აქეთ-იქით თითო ლურსმნის თავისებური კოპი აზის. ამგვარ კოპებს ხშირად ვხვდებით ყობანში აღმოჩენილი ყუაკვერიან ცულებზე, რომელთაც უვაროვა „д“ტიპს, ჰანჩარი კი I_3 ქვეტიპს მიაკუთვნებს. რ. ვირხოვი მათ სამართლიანად საკაულად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ეს კოპები გადანაშთია ლურსმნისა, რომელიც ტარის უკეთ დაგების მიზნით იხმარებოდა.[1] რ. ვირხოვის მოსაზრებას იზიარებს ფ. ჰანჩარი.[2]

პირი, აგრეთვე, გორდა აშკარად ასიმეტრიული. მისი უკანა ნიღრი გაცილებით მაღალია წინაზე, რის გამოც პირი მთლიანად კაჩისკენაა მოქცეული. აქაც, უმეტეს ცალებში, წინა ნიღრი შუბლის ხაზზე ძევს, თუმცა ისეთი ეგზემპლარებიც გვხვდება, რომელთაც წინა ნიღრი წინა აქვთ გაშვერილი (საქართველოს მუზ. კოლ. №——— ——— და სხვ.). ფხისკენ პირი თანდათანობით თხელდება. ცულების უმეტესობას ფხაზე ეტყობა გამოყენების კვალი.

ცული სიგრძივ ექვსადაა დაწახნაგებული, თუმცა გვხვდება ერთი ეგზემპლარი, რომელსაც შუბლი და კაჩა სამ-სამწახნაგოვანი აქვს (საქართველოს მუზ. არქ. განყ. კოლ. №———). ჯერჯერობით არ შეგვხვედრია ამ ქვეტიპის შემკული ცალი და, საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იგი, ძირითად ტიპთან შედარებით, უფრო უხეშადაა ნაკეთები.

ეს ქვეტიპი, ძირითად ტიპთან შედარებით, ნაკლებად გავრცელებულია. ძირითადად იგი საქართველოში გვხვდება, მის ფარგლებს იქით კი თითო-ოროლა ცალია ცნობილი.


საქართველოს მუზეუმში დასავლეთ საქართველოდან ინახება ერთი ცული სვანეთიდან (ადგილი ზუსტად არ არის ნაჩვენები), ორი ცული ლეჩხუმიდან, სამი ცული სოფ. კალვათიდან (სურ. 13), ერთი საჩხერიდან და ორიც ქვიშარიდან. ჯერჯერობით ეს ვარიანტი სრულიად უცნობია აფხაზეთში და გურია-აჭარაში. ზუგდიდის მუზეუმში დაცულია ორი ცული: ერთი ახალსოფლიდან (ზუგდიდის რაიონი), მეორის აღმოჩენის ადგილი უცნობია (ზუგდიდის მუზ. კოლ. №57). ქუთაისის მუზეუმში ორი ცული შეგვხვდა: ერთი აღმოჩენილია სამტრედიის რაიონის სოფ. თერჩეულაში (ქუთაისის მუზ. კოლ. № 1285), მეორე – სოფ. ღვედში (წულუკიძის რ.). უკანასკნელს სატარე ხვრელი მრგვალი აქვს, პირი „მცირედით გორდა“. ცული არამკვეთრადაა ექვსად დაწახნაგებული. დაფარულია მოწითალო ფერის პატინით და გვგონია, რომ იგი სპილენძის უნდა იყოს (ქუთ. მუზ. კოლ. № 1761).

აღმოსავლურქართული კულტურის წრეში დღემდე ამ ტიპის მხოლოდ ერთი ცულია ცნობილი ფასანაურიდან. სამთავროში აღმოჩნდა ამგვარი ფორმის რკინის ცული.

---

1 Yirchow R., Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Berlin 1883, p. 33.

2 Hančar F., Die Beile aus Koban in der Sammlung Kaukasischer Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, t. XXI, Wien, 1934, p. 18.



სურ. 13

საქართველოს საზღვრებს იქით რამდენიმე ცულია ცნობილი. საქართველოს სამხრეთით იგი ჯერჯერობით სრულიად უცნობია. ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ყობანში გვხვდება. პ. უვაროვა თავის კლასიფიკაციაში სრულიად არ იხილავს ამ ტიპს. შესაძლოა იგი მათ მეორე ტიპის ცულებად თვლის. ჰეგერის კოლექციაში რამდენიმე ცულია, რომელთაც ფ. ჰანჩარი I_4 ქვეტიპად გამოყოფს.[1]

დასასრულ, უნდა მოვისხენიოთ ხუტორ კნიშევკასთან აღმოჩენილი ცული, რომელიც, ვფიქრობთ, ამ ტიპის უნდა იყოს. ფოტოსურათით ძნელია მაინც ამის დაზუსტება.[2]

III ტიპი

ძირითადი განმასხვავებელი ამ ტიპისა ის არის, რომ მას მრუდე, არასწორი ტანი ახასიათებს; მისი ტანი ორგზისაა მოღუნული: სატარეში (ჩაღუნული) და წელში (ამოღუნული). პ. უვაროვა ამ ტიპს თავის კლასიფიკაციის „a“ ტიპში, ფ. ჰანჩარი კი – I_1 ტიპში აერთიანებს.

ყუა აგრეთვე საკმაოდ მაღალია. ხვრელის ზემოთ ყუა ყელს იკეთებს და მთავრდება ორწახნაგა თავით. ზოგიერთ ეგზემპლარს ყუის თავის წახნაგები მკვეთრად დაქანებული აქვს (საქართველოს მუზ. კოლ. №——— ———;). ყუა გადადის სატარეში, რომელიც მკვეთრადაა ჩაღუნული. ხვრელს აქაც წვეტიან-ოვალური მოყვანილობა აქვს. მისი წინა პირი რამდენიმე მილიმეტრით უფრო მაღალი და განიერია, ვიდრე უკანა.

სატარე კედლებს სამ-სამი მკვეთრი წიბური და მათ შორის ორი ფართო და ღრმა ღარი გაუყვება. წიბურები სავსებით ისევეა განლაგებული, როგორც მეორე ტიპში.


1 Hančar F., Die Beile aus Koban in der Sammlung Kaukasischer Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, t. XXI, Wien, 1934, p. 18, ტაბ. III. 1-2.

2 Федоровский О., Унструкціі та програми для розвідок і реэстрацій памяток археологічных, Харків, 1927, стр. 32, бав. 30, 3; A.M. Tallgren. Le Pontide prescythique, ESA, II, Helsinki, 1926, p. 169, бав. 11.

წინა და უკანა წიბური წელთან წახნაგების წიბოებად იქცევიან, შუა კი – მხოლოდ სატარეს გაუყვება.

წელთან ცული მკვეთრადაა ამოღუნული. შუბლი და კაჩა ძირითადად ორ-ორ-წახნაგოვანია, ოღონდ გვხვდება ეგზემპლარები, რომელთაც შუბლსა და კაჩაზე ხუთი არამკვეთრი წახნაგი აქვს (საქართველოს მუზ. კოლ. №——; №——).

პირი გორდაა და აშკარად ასიმეტრიული, ვინაიდან უკანა ნიღრი უფრო მაღალია, ვიდრე წინა ნიღრი. პირის წინა ნიღრი საკმაოდ წინაა გაშვერილი, რის გამოც შუბლის ხაზი მრუდე მოყვანილობას იღებს. ფხისკენ პირი თანდათანობით თხელდება. ზოგიერთს ფხაზე ეტყობა ხმარების კვალი, ზოგს კი პირი სრულიად არ აქვს წამახული და პრაქტიკული მიზნისათვის სავსებით გამოუსადეგარია. ცული სიგრძივ დაწახნაგებულია (სურ. 14).



სურ. 14

კოლხური ცულების ეს ტიპი გამოირჩევა მეტად მოხდენილი და ლამაზი მოყვანილობით. ნიშანდობლივი თავისებურებაა ის, რომ თითქმის ყველა ცულის მთელი ზედაპირი შემკულია ამოკაწრული ორნამენტით. ჩვენს ხელთ არსებული ცულებიდან მხოლოდ ერთი ნაკლული ცულია სადა (საქართველოს მუზ. კოლ. №——). ფ. ჰანჩარი აღნიშნავს, რომ ვერც მოსკოვისა და ლენინგრადის და ვერც ბერლინისა და ლონდონის მუზეუმებში მან ვერ ნახა ამ ტიპის სადა ცული.[1]

ჯერჯერობით არ შეგვხვედრია ამ ტიპის არც მოზრდილი და არც მინიატიურული ცული.


შედარებით პირველ ორ ტიპთან, III ტიპის კოლხური ცული უფრო იშვიათად გვხვდება საქართველოში. ჩვენს მუზეუმში დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ ერთი ცულია სურმუშში ნაპოვნი (საქართველოს მუზეუმი. არქ. განყ. კოლ. №——); ქუთაისის მუზეუმში ერთი ცულია ლეჩხუმიდან, აღმოჩენილი სოფ. მექვენაში[2] და მეორე სურმუშში (ქუთაისის მუზ. კოლ. №1229). განსაკუთრებით საყურადღებოა ცაგერის მუზეუმში დაცული ერთი კოლექცია, რომელიც ცაგერის მახლობლად აღმოჩნდა 1941 წ. იგი მოთავსებული ყოფილა თიხის ჭურჭელში და მთლიანად ბრინჯაოს ნივთებისაგან შედგება: ერთი გატეხილი კოლხური ცული, აღმოსავლურქართული ცული, რამდენიმე ნამგლის ნატეხი, უამრავი სეგმენტისებ-

1 Hančar F., Die Beile aus Koban in der Sammlung Kaukasischer Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, t. XXI, Wien, 1934, p. 14.

2 Иващенко М.М., Материалы к изучению культуры Колхов. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბილისი, 1941, გვ. 7, სურ. 3a.

რი იარაღი, თოხები, სატეხის ნატეხი და ერთი მხედრის ქანდაკება.[1] ეს ტიპი დღემდე სრულიად უცნობია აფხაზეთში, გურია-აჭარაში, სვანეთსა და იმერეთში[2].

რამდენიმე ცული აღმოჩენილია აღმოსავლურქართულ კულტურაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ერთი ცული ფასანაურიდან. ერთი ცხინვალის განძშია ნახული და ერთიც – სამთავროში (121-ე ორმოსამარხი, სურ. 15). დანარჩენი ოთხი ცულის აღმოჩენის ადგილი უცნობია.



სურ. 15

საქართველოს გარეთ III ტიპის კოლხური ცული მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში გვხვდება; განსაკუთრებით მრავლად იგი ყობანის სამაროვანშია წარმოდგენილი. პ. უვაროვა აღნიშნავს, რომ ეს ტიპი ყველაზე გავრცელებული ტიპია ყობანში;[3] ფ. ჰანჩარი მას „ყობანური ცულის მკვეთრად გამოსახულ ტიპს“ უწოდებს.[4] ყობანს გარდა ამ ტიპის რამდენიმე ცულია ნაპოვნი ფასკაუსა და გოლიათში და ერთი კამუნთაში (მოსკოვის ისტორიული მუზეუმი).

უსათუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყობანში აღმოჩენილი ამ ტიპის ცულები ხშირად რკინით არის ხოლმე ინკრუსტირებული. საერთოდ ყობანში საკმაოდ ხშირია რკინით ინკრუსტირებული ნივთები; საქართველოში კი დღემდე რკინით ინკრუსტირებული ცული არ მოგვეპოვება. ამიტომ, ეგებ, კოლხური ცულების ეს ტიპი უკვე ადგილობრივ მზადდებოდა. ამას გვაფიქრებინებს, ერთი მხრივ, ის, რომ მესამე ტიპის ცულები ჭარბად არის წარმოდგენილი ყობანში, მეორე მხრივ კი ის, რომ მხოლოდ აქ ვხვდებით რკინით ინკრუსტირებულ ცულებს; რკინით ინკრუსტაცია კი, ჩანს, დამახასიათებელი თავისებურება ყოფილა ყობანის კულტურისათვის. მით უმეტეს,

---


1 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 340, фаб. XI.

2 ე. კრუპნოვი აღნიშნავს, რომ ეს ტიპი თითქოს ფართოდაა გავრცელებული აფხაზეთში [Крупнов Е.И., К вопросу о хронологии кобанской культуры, Кабардинский научно-исследовательский институт. Ученые записки, т. I, Нальчик, 1946, გვ. 152]. ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ ამგვარ ცულს აფხაზეთიდან.

3 Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, стр. 15.

4 Hančar F., Die Beile aus Koban in der Sammlung Kaukasischer Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, t. XXI, Wien, 1934, p. 14.

რომ სრულიად უცნობია კოლხური ცულის სხვა რომელიმე ტიპის ინკრუსტირებული ცალი; თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ეს ტიპიც მზად შემოდიოდა კოლხეთიდან და შემდეგ ხდებოდა მისი რკინით ინკრუსტაცია. არის შემთხვევები, როდესაც ერთი კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთი შემკულია მეორე კულტურისათვის დამახასიათებელი ორნამენტით. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს მუზეუმში დაცული, ანყურში აღმოჩენილი, ერთი ყობანური სწორკუთხა ბალთა (საქართველოს მუზ. კოლ. №———), რომელიც განჯა-ყარაბაღული კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტითაა შემკული (სურ. 16). ეს ბალთა, უთუოდ, ყობანიდან შესულა განჯა-ყარაბაღის კულტურაში და შემდეგ შეუმკიათ იგი ამ კულტურისათვის დამახასიათებელი მოტივით.



სურ. 16

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურაში დაცული ცნობები კოლხური ცულის აღმოჩენის შესახებ, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ იძლევა ცულის ტიპის დადგენის საშუალებას. ამიტომ, უფრო სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას კოლხური ცულის გავრცელების შესახებ, სასურველად მიგვაჩნია, შევეხოთ ლიტერატურაში დაცულ ცნობებს, ვინაიდან სათანადო ადგილას ტიპის გაურკვევლობის გამო მათ შესახებ არაფერი გვითქვამს.

ა. კომაროვი აღნიშნავს, რომ 1881 წელს, სამურზაყანოში, სოფ. საბერიოსთან (გალის რაიონი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა რვა ბრინჯაოს ცული. სოფ. ხუცუბანსა და ქობულეთს შორის 1879 წელს ნაპოვნი იქნა ერთი ცული. ამავე ადგილზე 1881 წელს სხვა ნივთებთან ერთად კიდევ აღმოჩნდა ორი ცული.[1] ფრანგი არქეოლოგი მურიე აღნიშნავს, რომ მან ქობულეთთან ერთი კოლხური ცული იპოვა, ნატანებთან კი – ორი ცული.[2] ერთი ბრინჯაოს ცული შუბისპირთან და ფიბულასთან ერთად აღმოჩნდა მდ. ენგურის ნაპირზე.[3] პროფ. გ. ნიორაძე აღნიშნავს, რომ ერთი კოლხური ცული აღმოჩნდა შიგ ბორჯომში.[4] აღსანიშნავია, რომ ერთი ბრინჯაოს ცული ლაზისტანში მოგზაურობის დროს უნახავს აკად. ნ. მარს.[5] გაურკვეველი ტიპის კოლხური ცული ნაპოვნი ყოფილა, აგრეთვე, დაღესტანში.[6] ერთი კოლხური ცული ვ. ანტონოვიჩს უპოვნია მდ. ურუპთან.[7]

---

1 Комаров А., Краткий обзор последных археологических находок в Кавказском крае. Известия Кавказского общества Истории и Археологии, т. вып. 1, 1882, стр. 1-3.

2 MourierJ., L´Archéologie au Caucase, Paris, 1887, p. 10; Г.Д. Гуриели. Записки о древних развалинах Гурии (Озургетский уезд) и Турецкой Грузии. Древности. Труды Московского Археологического об-ва. т. XV, вып. II, Москва, 1894, стр. 73.

3 Стражев В.И., Бронзовая культура в Абхазии. Известия Абхазского Научного Общества, вып. IV, Сухум, 1936, стр. 109.

4 ნიორაძე გ., არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 186.

5 Марр Н.Я., Из поездки в Турецкий Лазистан. Известия Академии Наук, т. IV, сер. VI, 1910, стр. 632.

6 Анучин Д.Н., Отчет о поездке в Дагестан летом 1882г. Известия Русского Географического Общества, т. XX, вып. 4, СПБ, 1884, стр. 372 და 444.

7 Уварова П.С., Кавказ. Путевые записки, Москва, 1887, стр. 116.

ქართული ნიშნები
I – ● II – ▲ III – ■
IV – ◆ V – ▼ VI – □
VII – ○ VIII – △

უსათუოდ აღსანიშნავია ის, რომ ა. იესენი სხვა ცულებთან ერთად იძლევა აგრეთვე კოლხური ცულის გავრცელებას [რუკა V] და ჩრდილო კავკასიიდან მითითებული აქვს ზოგი ისეთი პუნქტი, რომელთა შესახებ ლიტერატურაში მასალა ვერ ვნახეთ (მაგ., კრიმსკაია, ბატალპაშინსკი, კამენომოსტსკაია და სხვ.) და თვითონ არაფერს ამბობს ამის შესახებ. ალბათ, ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებიდან თუ მოჰყავს ეს ცნობები.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. პრშევორსკი კოლხური ცულის გავრცელების განხილვის დროს შეცდომით აღნიშნავს, რომ თითქოს ამ ტიპის ცული აღმოჩენილი ყოფილიყო სტანიცა კელერმეისკაიაში.[1] აქ აღმოჩენილი ცული აშკარად ყუადაშვებული ცულია.[2] იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ერთი ცული აღმოჩენილია კრასნოიარსკის რაიონში, სოფ. სტარიე ლოპაჩის მახლობლად.[3] ვფიქრობთ, რომ სავსებით მართალი უნდა იყოს ა. ზახაროვი, რომელმაც გამოაქვეყნა ცნობა ამ ცულის შესახებ, სადაც აღნიშნავს, რომ იგი მხოლოდ რამდენადმე ემსგავსება კოლხურ ტიპს.[4] ის სრულიად არ არის ტიპური კოლხური ცული. ამიტომ კოლხური ცულის გავრცელების განხილვის დროს ეს ცული არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.

ამრიგად, დავამთავრეთ კოლხური ცულის გავრცელების საკითხის განხილვა. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად სრულად წარმოგვედგინა მათი გავრცელების არე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ჩვენ კლასიფიკაციაში არ შევიტანეთ ყუაკვერიანი ცული, რომელსაც ყველა ზემოთ მითითებული ავტორი კოლხური ცულის ცალკე ტიპად განიხილავდა (უვაროვა „д“, ჰანჩარი I_3 ტიპი) და მართებულადაც იქცეოდნენ. საქმე ისაა, რომ ეს ავტორები დაჯგუფების დროს ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ყობანის სამაროვნიდან მომდინარე ცულებით. ყუაკვერიანი ცული კი ყობანში საკმაოდ ხშირია, მაგრამ თითქმის სრულიად უცნობია საქართველოსთვის. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ კოლხური ცულის განხილვის დროს იგი შეტანილ არ უნდა იქნეს ცულების ამ ჯგუფში. გარდა ამისა, ყუაკვერიანი ცული ფორმითაც განსხვავდება კოლხური ცულისათვის. უპირველესად უნდა აღინიშნოს მისი ყუა. ყუა, კოლხურ ცულთან შედარებით, დაბალი აქვს, მთავრდება კვერისებრი, ბრტყელი და მრგვალი თავით (ყუის დიამეტრი დაახლ. 2,5-3,0 სმ). ყუის თავი თითქმის ყველა ეგზემპლარს ძლიერ დაჟეჟილი აქვს, რაც მოწმობს იმას, რომ იგი, კვერადაც იხმარებოდა.

სატარე ხვრელს წვეტიან-ოვალური მოყვანილობა აქვს. მისი კედლები ძლიერ სქელია [დაახლ. 0,8-0,9 სმ]. ხვრელის კედლებს გარედან სამ-სამი მკვეთრი წიბური და მათ შორის ორი ფართო და ღრმა ღარი გაუყვება. წიბურები ისევეა განლაგებული, როგორც კოლხური ცულის II ტიპში. წინა და უკანა წიბური წელთან წახნაგების წიბოებად იქცევა, შუალა კი მხოლოდ სატარეს გაუყვება. თითქმის ყველას, შუალა წიბურის ძირზე, აქეთ-იქით თითო ლურსმნისთავისებრი კოპი აზის. საერთოდ, სატარე ნაწილით ეს ტიპი უახლოვდება კოლხურ ცულს.

---

1 Przeworski S.V., Der Grottenfund von Ordu. Archiv Orientalni, Vol. 7, № 8;8 Nr. Praha, 1935-36, p. 397.

2 ОАК за 1904. С.-Петербург, 1907, стр. 96, бав. 64.

3 Przeworski S.V., Der Grottenfund von Ordu. Archiv Orientalni, Vol. 7, № 8;8 Nr. Praha, 1935-36, p. 397.

4 Zakharov A., Etudes sur I´archéologie de I´ Asie Mineure et du Caucase. RHA, т. I, Paris, 1931, p. 168, ტაბ. 7, 5.

პირის მოყვანილობით ყუაკვერიანი ცული, აგრეთვე, განსხვავდება კოლხური ცულისაგან. მისი პირი „მცირედით გორდაა“ და ასიმეტრიული. უკანა ნიღრი ოდნავ მაღალია წინაზე. პირი ძლიერ პატარაა. იგი ფხისაკენ თანდათანობით თხელდება და ყველას ეტყობა ხმარების კვალი. ცული სიგრძივ ექვსადაა დაწახნაგებული.

ამრიგად, ცულის ეს ტიპი რიგი ნიშნებით განსხვავდება კოლხური ცულისაგან. ფორმით იგი უახლოვდება ჩრდილო კავკასიაში, განსაკუთრებით პიატიგორსკის მხარეში, გავრცელებულ ქვის ცულს, რომელსაც „პიატიგორსკის ტიპი“ უწოდეს;[1] უმთავრესად მათ პირის მოყვანილობა აახლოებს.[2] ქვის ცულების ეს ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდილო კავკასიაში იესენისეულ II ეტაპის დროს[3] და ყობანის კულტურამდე აღწევდა.[4] თვით ყობანშიაც აღმოუჩენიათ ერთი ასეთი ცული, რომელიც დღეს ვენის მუზეუმშია დაცული.[5]

კოლხური ცულის პროტოტიპად ფ. ჰანჩარი მიიჩნევს „პიატიგორსკის ტიპის“ ქვის ცულს და აღნიშნავს, რომ ქვის ცულების ეს ტიპი განსაკუთრებით ახლოს დგას მისი კლასიფიკაციის I_2 ტიპთან.[6] ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ფ. ჰანჩარი ცდება. ქვის ცულები უფრო უახლოვდება მის I_3 ტიპს, ე.ი. ყუაკვერიან ცულებს. ამიტომაც, ეგებ, უფრო მართებული იყოს „პიატიგორსკის ტიპი“ მივიჩნიოთ ყუაკვერიანი ცულის ძირითად პროტოტიპად. არსებითად ხვრელის მოყვანილობითა და მდებარეობით განსხვავდება ეს ტიპი ქვის ცულებისაგან. ქვის ცულებში ხვრელი ცილინდრული მოყვანილობისაა, ვინაიდან მას ბურღვის საშუალებით იღებდნენ და იგი დაახლოებით ცულის შუა ნაწილში მდებარეობს სიმკვრივის მიზნით. ცილინდრული მოყვანილობის ხვრელი დიდხანს შემორჩა აგრეთვე ლითონის ცულებსაც. ყუაკვერიან ცულში ხვრელი უფრო ზევითაა მოქცეული და მოყვანილობაც განსხვავებული. ეს ცვლილება გამოწვეული უნდა ყოფილიყო, ჯერ ერთი, მასალის შეცვლით, აგრეთვე იმითაც, რომ, როგორც ჩანს, ყუაკვერიანი ცულის ჩამოყალიბებაში კოლხურმა ცულმაც შეასრულა გარკვეული როლი მას შემდეგ, რაც იგი მყარად დამკვიდრდა ყობანში და მის მომიჯნავე რაიონებში. ამას, უპირველესად ყოვლისა, მოწმობს ხვრელის წვეტიან-ოვალური მოყვანილობა და სატარის კედლებზე განლაგებული რელიეფური წიბურები; თორემ სხვა მხრივ იგი შორს არის კოლხური ცულისაგან. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ყუაკვერიან ცულებში სრულიად არ ვხვდებით კოლხური ცულისათვის ესოდენ დამახასიათებელ მოხდენილობას და სილამაზეს, სილაზათესა და მდიდრულ შემკულობას. პირიქით, ყუაკვერიანი ცული ძლიერ ტლანქი და უხეშად ნაკეთებია. უმეტესობა ჩამოსხმის შემდეგ აღარ გაუწმენდიათ და ამიტომაც ხშირად გვხვდება ლითონის გაცივების შედეგად წარმოქმნილი კოჟრები. ამ ტიპის ყველა ცული სავსებით სადაა.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ყუაკვერიანი ცული ჩრდილო კავკასიის ნიადაგზე შექმნილი ტიპია, რომლის პროტოტიპი კარგად შეიმჩნევა წინამორბედ ეპოქებში. რაც შეეხება ფ. ჰანჩარის მოსაზრებას, რომ თითქოს „პიატიგორსკის ტიპის“ ქვის

---

1 Ayrärää A., Uber die Streitaxtkulturen in Russland, ESA, VIII, Helsinki, 1933, p. 57.

2 იქვე, ნახ. 5,5, ტაბ. I_9.

3 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 94.

4 Ayrärää A., Uber die Streitaxtkulturen in Russland, ESA, VIII, Helsinki, 1933, p. 60.

5 Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, стр. 22, ნახ. 28; Ayrärää A., Uber die Streitaxtkulturen in Russland, ESA, VIII, Helsinki, 1933, p. 58.

6 Hančar F.,. Die Beile aus Koban in der Sammlung Kaukasischer Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, t. XXI, Wien, 1934, p. 19.

ცული უნდა მივიჩნიოთ კოლხური ცულის პროტოტიპად, არ უნდა იყოს სწორი. კოლხური ცული გაცილებით სამხრეთით ჩამოყალიბდა და აქვე უნდა ვეძიოთ მისი პროტოტიპები. მართალია, საამისო მასალა ჯერჯერობით მეტად მწირია, მაგრამ მცირე რამ მაინც გაკეთდა ამ მიმართულებით.

პროფ. ბ. კუფტინი თავისი ნაშრომის – „Археологические раскопки в Триалети" – შესავალში ეხება ამ საკითხს.[1] იგი არ ეთანხმება ფ. ჰანჩარს და აღნიშნავს, რომ კოლხეთისა და ლაზიკის ტერიტორიაზე ჩვენ მოგვეპოვება მაჩვენებლები იმისა, რომ ეს ცული (კოლხური – ო. ჯ.) ადგილობრივაა წარმოშობილი.[2] კოლხური ცულის პროტოტიპად იგი მიიჩნევს სპილენძ-ბრინჯაოს ცულების ერთ ჯგუფს. ამ ტიპის ათი ცული აღმოჩნდა გაგრაში, ორი – სოფ. პილენკოვოში,[3] ერთი – მახუნცეთში და ერთიც – ყარსის მხარეში, რომელიც ერმიტაჟშია დაცული.[4] ამ ტიპის ორი ცული ინახება საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში (საქართველოს მუზ. კოლ. №204-205). ურეკის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე 1941 წელს შემთხვევით აღმოჩნდა განძი, რომელიც, გარდა ამ ორი ცულისა, შეიცავდა 18 ყუადაშვებულ და ყუამილიან ცულს, აგრეთვე 3 მოგრძო თოხს. ერთი ამგვარი ცული დაცულია ბათუმის მუზეუმში, რომლის აღმოჩენის ადგილი, სამწუხაროდ, უცნობია. როგორც აღნიშნული გვქონდა, ერთი ამ ტიპის ცული აღმოჩნდა ბიჭვინთასთან ნაპოვნ განძში (სურ. 10).

ცულის ამ ტიპს ზოგი ისეთი ნიშანი ახასიათებს, რომლითაც იგი უახლოვდება კოლხურ ცულს. სანიმუშოდ აღვწეროთ ურეკის ერთ-ერთი ცული (№205): ყუა ორფერდაა და შედარებით დაბალი; სატარე ხვრელს წვეტიან-ოვალური მოყვანილობა აქვს, რაც მოწმობს იმას, რომ ეს ტიპი საკმაოდ განვითარებულია. კედლებს გარედან რელიეფურად გადაუყვება ცულის მარჯვენა და მარცხენა წახნაგი და სატარის შუამდე აღწევს. სატარე ხვრელს ორივე პირი შეზნექილი აქვს. შუბლი და კაჩა რკალისებრი მოყვანილობისაა. შუბლი ხვრელის ძირთან მკვეთრ ქიმისებრ შვერილს ქმნის. პირი გორდაა და თითქმის სიმეტრიული. ხვრელის ძირთან, შუბლის მარჯვენა წახნაგზე, რელიეფური ნიშანი აზის. ცული ბრტყელია და ექვსადაა დაწახნაგებული (სიგრძე – 16, 4 სმ, სიგანე – 9 სმ, სისქე – 3 სმ, ხვრელის სიგრძე – 3 სმ, ხვრელის სიგანე – 2,6 სმ, ხვრელის სიმაღლე – 4,7 სმ)

ამრიგად, როგორც ჩანს, ეს ტიპი რიგი ნიშნებით უახლოვდება კოლხურ ცულს: ხვრელის წვეტიან-ოვალური მოყვანილობა, გორდა პირი, ექვსწახნაგა ტანი, აგრეთვე, იმითაც, რომ აქაც სატარე კედლებს გარედან აქეთ-იქით რელიეფური წიბურები გაუყვება. განსაკუთრებით უახლოვდება იგი I ტიპის კოლხურ ცულს. აქაც და იქაც პირის ნიღრები თითქმის სიმეტრიულად არის განლაგებული. ძალიან აახლოებს მათ აგრეთვე რელიეფური წიბურების მოყვანილობა. I ტიპში ცულის მარჯვენა და მარცხენა წახნაგი სწრაფად ვიწროვდება და რელიეფურად გადაუყვება სატარე ხვრელის კედლებს და ყუას აღწევს. დაახლოებით იმავეს ვხვდებით ამ ტიპის ცულებშიც, ოღონდ აქ რელიეფური წიბური სატარის შუამდე აღწევს და შემდეგ იკარგება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბათუმის მუზეუმში დაცული სოფ. ზენითში (ქობულეთის რაიონი) აღმოჩენილი სამი ცული. ვფიქ-

1 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр.16.
2 იქვე, გვ. 17.
3 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва -Ленинград, 1935, стр. 127.
4 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр.17.

რობთ, რომ ეს ცულები ერთგვარ გარდამავალ ფორმას უნდა წარმოადგენდნენ (სურ. 6). ამიტომაც, ეგებ, კოლხური ცულის I ტიპი ყველაზე არქაული იყოს. სხვა რაიმე უფრო დამაჯერებელი საბუთი ამის დასადასტურებლად ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

ამ საკითხს თავის სადისერტაციო ნაშრომში გაკვრით შეეხო გ. გობეჯიშვილი სოფ. ქვიშარში აღმოჩენილი ცულების განხილვის დროს.[1] იგი აღნიშნავს, რომ დასახელებული ნაჯახი შესაძლოა საფუძვლად დაედო კოლხურ-ყობანურ და ბრილის ტიპის ყუადაქანებულ-ყუამილიანი ცულების გარეგნულ მოყვანილობას.

უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე ჩერდება პროფ. გ. ნიორაძე ქვიშარის ცულების განხილვისას. იგი მათ ყობანის ცულების პროტოტიპად მიიჩნევს, ოღონდ აღნიშნავს, რომ ქვიშარის ცულები, საკულტო დანიშნულებისაა და ცულის იმიტაციას წარმოადგენს.[2] ზოგიერთი ნიშნით ქვიშარის ცულები, მართლაც, უახლოვდება კოლხურ ცულს. გარეგნული მოყვანილობა, გორდა პირი, წვეტიან-ოვალური ხვრელი. აქაც ხვრელის წინაპირი უფრო მაღალი და განიერიია, ვიდრე უკანა და ტარის დაგებისას ცული ტარისკენაა მოქანდული.

ზემოთ განხილული ორივე ცული ასაკით წინ უსწრებს კოლხურ კულტურას. პროფ. გ. ნიორაძე ქვიშარის განძს ჩვენს წელთაღიცხვამდე XV საუკუნით ათარიღებს. დაახლოებით ასევე უნდა დათარიღდეს მეორე ჯგუფის ცულები, რასაც კარგად მოწმობს ურეკის განძი, სადაც მათ ყუამილიან და ყუადაქანებულ ცულებთან ერთად ვხვდებით.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ორივე ჯგუფის ცულები ზოგიერთი ნიშნით, მართლაც, უახლოვდება კოლხურ ცულს და, ვფიქრობთ, რომ მართებულად იქცევიან მკვლევრები, რომლებიც მათ კოლხური ცულის პროტოტიპებად მიიჩნევენ.

არქეოლოგიურ ძეგლთა აბსოლუტური დათარიღება საკმაოდ რთული და საძნელო საქმეა. ამისათვის საჭიროა ამ ძეგლთა თანმხლები ინვენტარის შესწავლა და შედარება მეზობელი თუ უფრო შორეული ქვეყნების მასალებთან. როგორც უკვე არაერთგზის გვქონდა აღნიშნული, კოლხური ცული საქართველოში უმთავრესად შემთხვევით არის აღმოჩენილი და ხშირად მოწყვეტილი თავის თანმხლებ ინვენტარს. მხოლოდ მცირე ნაწილს ვხვდებით კომპლექსებში. მაგრამ, სამწუხაროდ, არც კომპლექსებია ყოველთვის საიმედო, ვინაიდან ისინიც შემთხვევით ნაპოვნია და ხშირად სხვადასხვა სამარხთა თუ ძეგლთა ნარევს წარმოადგენენ. უსათუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოდან დღემდე არ შევხვედრივართ კოლხურ ცულს, რომელიც მეცნიერული გათხრების შედეგად იყოს ნაპოვნი და, საერთოდ, სისტემატური გათხრები კოლხეთში არ ჩატარებულა. ამიტომაც, კოლხური კულტურის და, კერძოდ, კოლხური ცულის აბსოლუტური დათარიღება ჯერჯერობით, ვფიქრობთ, შეუძლებელია. სადღეისოდ შესაძლებელია ხდება ამ კულტურის მხოლოდ შედარებითი დათარიღება.

კოლხური ცულის დათარიღების საკითხი არაერთგზის ყოფილა მეცნიერთა განხილვის საგანი, მაგრამ თითქმის ყველა ავტორი ამ საკითხს ყობანის კულტურასთან დაკავშირებით იხილავს. ყობანური კულტურის შესახებ არქეოლოგიურ ლიტერატუ-

---

1 გობეჯიშვილი გ., ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, თბილისი, 1943 (საკანდ. დისერტაცია, ხელნაბეჭდი), გვ. 161.

2 ნიორაძე გ., ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. თეზისები, საქ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესია, თბ., 1947.

რაში დღემდე ერთი გარკვეული მოსაზრება არ არსებობს. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ზოგიერთი მკვლევარი, რომ ყობანის კულტურის თარიღის შესახებ იმდენი მოსაზრებაა გამოთქმული, რამდენი ავტორიც შეეხო ამ საკითხს.[1]

გ. ფილიმონოვი, რომელმაც პირველმა შეისწავლა ყობანის სამაროვანი, აღნიშნავდა, რომ ეს სამაროვანი მიეკუთვნება რკინის ხანის პირველ პერიოდს.[2]

ყობანის სამაროვნის თარიღის საკითხს იხილავს ა. უვაროვი არქეოლოგთა V ყრილობის შრომებში გამოქვეყნებულ წერილში.[3] იგი ძირითადად ეთანხმება გ. ფილიმონოვის მოსაზრებას[4] და, ხედავს რა ასურულ გავლენას ყობანის ნივთებზე, მათ მიაკუთვნებს VIII საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.[5] ამ თარიღს სავსებით ეთანხმება პ. უვაროვაც.[6]

უფრო დაწვრილებით ამ საკითხს ეხება რ. ვირხოვი, რომელიც ამ სამაროვანს მიაკუთვნებს X-XI საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.[7]

ე. შანტრის აზრით, ყობანის კულტურა ჰალშტადტის თანადროულია, ე.ი. მიეკუთვნება რკინის ხანის დასაწყისს ევროპაში.[8]

სრულიად თავისებური მოსაზრება ყობანისა და კავკასიის სხვა სამაროვანთა თარიღის შესახებ გამოთქვეს გრაფმა ი. ტოლსტოიმ და ნ. კონდაკოვმა. მათი აზრით, კავკასიის ცნობილი სამაროვნები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება.[9]

ყობანური კულტურის „გაახალგაზრდავების“ ცდას შემდეგშიც ჰქონდა ადგილი. ამ მხრივ აღსანიშნავია ა. კალიტინსკისა და მ. ივაშჩენკოს ნაშრომები. ა. კალიტინსკის აზრით, რკალისებრი ფიბულა კავკასიაში შემოსულა VI-V საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე საბერძნეთიდან, ბერძნული კოლონიების საშუალებით. ამიტომ იგი ფიქრობს, რომ ყობანის სამაროვანი უნდა მიეკუთვნოს VI-V საუკუნეს, ვინაიდან აქ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა რკალისებრი ფიბულა.[10]

მ. ივაშჩენკომ, სოფ. ეშერთან აღმოჩენილი მასალის შესწავლის შედეგად, გამოთქვა მოსაზრება, რომ ყობანური კულტურა ელინური და ელინისტური კულტურების თანადროულად არსებობდა, ე. ი. VI-II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.[11] ვფიქრობთ, რომ დღეს უკვე აღარ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ეს აშკარად მცდარი მოსაზრებაა. ამის შესახებ ა. ტალგრენიც აღნიშნავდა მ. ივაშჩენკოს ნაშრო-

---

1 Крупнов Е.И., К вопросу о хронологии кобанской культуры, Кабардинский научно-исследовательский институт. Ученые записки, т. I, Нальчик, 1946, стр. 146.

2 Филимонов Г.Д., О доисторической культуре Осетии. Изв. Общ.Люб. Ест. Антр. и Этногр., т. XXXI, приложение, Москва, 1878, стр. 33.

3 Уваров А.С., К какому заключению о бронзовом периоде приводят сведения о находках бронзовых предметов на Кавказе. Труды V археологического съезда в Тифлисе; приложение, 1887, стр. 1.

4 იქვე, გვ. 6.

5 იქვე, გვ. 2.

6 Уварова П.С., Могильники Северного Кавказа. МАК VIII, Москва, 1900, стр. 361.

7 Yirchow R., Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Berlin 1883, p. 124.

8 Chantre E., Recherches anthroplogiques dans le Caucase, t. II, Paris-Lyon, 1885, p. 187.

9 Толстой И. и Кондаков Н., Русские древности в памятниках искусства, вып. III, СПБ, 1890, стр. 109.

10 Калитинский А., Из истории фибулы на Кавказе. Recueil d´études dediées à la mémoire de W. P. Kondakov, Prague, 1926, p. 39-64.

11 Иващенко М.М,. Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии. Изв. Ин-та Кавказоведения им. Н. Марра, вып. з-ий, Тифлис, 1935, стр. 68.

მის სქოლიოში.[1] ა. ტალგრენი ყობანის კულტურას ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1300-900 წლებით ათარიღებს.[2]

ყობანური კულტურის დათარიღების საკითხს შეეხო ფ. ჰანჩარი თავის ერთ-ერთ ნაშრომში. იგი არ ეთანხმება ა. კალიტინსკის ყობანის სამაროვნის თარიღის შესახებ და რკალისებრი ფიბულის მიხედვით ათარიღებს ამ კულტურას XII საუკუნით ჩვენს წელთაღრიცხვამდე.[3] დაახლოვებით ამავე პერიოდით ათარიღებს ყობანის კულტურას პოლონელი არქეოლოგი ს. პრშევორსკი ორდუსთან აღმოჩენილი განძის განხილვის დროს.[4]

თანამედროვე ავტორთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ა. იესენის მიერ შემუშავებული კავკასიის ლითონის ინდუსტრიის განვითარების ეტაპების სქემა. იგი სამ ეტაპს გამოყოფს. პირველ ორ ეტაპში იგი აერთიანებს ადრე- და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებს. მესამე ეტაპს მიაკუთვნებს ყობანის სახელგანთქმულ სამაროვანს, ამიერკავკასიის ყორღანებსა და ორმოსამარეებს (რედკინ-ლაგერი, ქედაბეგი, ელენენდორფი და სხვ.) და ათარიღებს II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის პირველი საუკუნეებით.[5]

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ ბ. კუფტინის და ე. კრუპნოვის მოსაზრება ყობანური კულტურის თარიღის შესახებ. ბ. კუფტინი ამ საკითხს ეხება თავის ორ ნაშრომში.[6] იგი „კოლხურ-ყობანური" კულტურის აყვავების ხანას ვანის ეპოქის სინქრონულად თვლის. ამის ერთ-ერთ ძირითად საბუთად მოჰყავს საქართველოს მუზეუმში დაცული მალაქლუს მახლობლად ურარტული ხანის კომუბარიებში მოპოვებული მასალა, რომელშიაც აღმოჩნდა „კოლხურ-ყობანური" კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ჭურჭლის (სიტულა) ყური.[7] კოლხური ცული, ბ. კუფტინის აზრით, ჩამოყალიბდა II და I ათასწლეულის მიჯნაზე.[8]

ე. კრუპნოვმა თავისი ახლახან გამოსული ნაშრომი სწორედ ყობანური კულტურის ქრონოლოგიის საკითხს მიუძღვნა. წერილის ავტორი თითქმის არაფერს ამბობს ახალს ამ კულტურის თარიღის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ყობანური კულტურის ძირითადი მასა სკვითური დროით უნდა დათარიღდეს (VII-IV საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ხოლო ამ კულტურის ადრეული ტიპები (ორგზის მოღუნული ცულები, სწორკუთხა ბალთები და სხვ.) II და I ათასწლეულის მიჯნით.[9]

ზემოთ განხილულიდან კარგად ჩანს, რომ ავტორთა უმრავლესობა ყობანის კულტურას ათარიღებს II ათასწლეულის დამლევით და I ათასწლეულის პირველი სა-

1 Jvaĉĉenko M.M., Beiträge zur Vorgeschichte Abchasiens, ESA VII, Helsinki, 1932, p. 110.
2 Tallgren A., Kaukasus: Bronzezeit RLV. Bd. VI, 1926, p. 260.
3 Hanĉar F., Kaukasus – Luristan, ESA, t. IX, Helsinki, 1934, p. 89.
4 Przeworski S.V., Der Grottenfund von Ordu. Archiv Orientalni, Vol. 7, № 8;8 Nr. Praha, 1935-36, p. 59.
5 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград, 1935, стр. 77.
6 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი, 1944, გვ. 53; Куфтин Б.А., Урартский „колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 27.
7 Куфтин Б.А., Урартский „колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 26.
8 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი, 1944, გვ. 72.
9 Крупнов Е.И., К вопросу о хронологии кобанской культуры, Кабардинский научно-исследовательский институт. Ученые записки, т. I, Нальчик, 1946, стр. 158.

უკუნეებით (XII-IX ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ამავე ხანით ათარიღებდნენ კოლხეთში აღმოჩენილ კულტურასაც, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ დასავლეთ საქართველოში და ყობანში სრულიად ერთგვაროვანი კულტურა არსებობდა.

სამწუხაროდ, კოლხური კულტურის ასაკის დადგენისათვის ჯერჯერობით მყარი დასაყრდენი არ მოგვეპოვება. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ, რომ კოლხური კულტურა განვითარებულ ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, რაც ქრონოლოგიურად II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით შემოიფარგლება. ზემოაღნიშნული კოლხური ცულის შემცველი კომპლექსები დასავლეთ საქართველოდან თითქმის მხოლოდ ბრინჯაოს ინვენტარისაგან შედგება და მათში ჯერ კიდევ სრულიად არ ვხვდებით რკინას; თუმცა არ არის გამორიცხული, რომ აღმომჩენებს ცუდად შენახული რკინის ნივთისათვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ. რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ განძებს, ისინი მხოლოდ ბრინჯაოს ნივთებისაგან შედგება. ჯერჯერობით არ შეგვხვედრია განძი, რომელშიაც რკინის თუნდაც პატარა ნივთი ყოფილიყო. ასეა თუ ისე, ჩანს, რომ რკინა უცხოა ამ პერიოდში და კოლხური კულტურა ძირითადად ჯერ კიდევ განვითარებულ ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. რკინა, ბ. კუფტინის აზრით, II და I ათასწლეულის მიჯნაზე უნდა შემოსულიყო (XII-XI საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე).[1] თუ კავკასიაში რკინის შემოღების ამ თარიღს გავიზიარებთ, მაშინ, ვფიქრობთ, შესაძლებელი გახდება კოლხური კულტურის ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის რამდენადმე წინ გადატანა.

კოლხური ცულის ასაკის დადგენისათვის უსათუოდ საყურადღებოა კუფტინის მიერ ბეშთაშენთან აღმოჩენილი სამაროვანი. როგორც აღნიშნული გვქონდა, მე-11 სამარხში აღმოჩნდა ერთი I ტიპის კოლხური ცული.[2] სამარხის ინვენტარი მთლიანად ბრაინჯაოსაგან შედგებოდა (აქვე აღმოჩნდა ოქროს ფირფიტები, რაც ძალიან იშვიათია ამ დროის კავკასიის სამარხებისათვის). ბეშთაშენის სამაროვნის მხოლოდ ერთ სამარხში (№ 18) აღმოჩნდა რკინის ნივთი.[3] ამ სამაროვნის ინვენტარის განხილვის დროს განსაკუთრებით ძლიერ მსგავსებას ბ. კუფტინი ხედავს სამთავროს ძირა ფენის სამარხებთან. იგი ბეშთაშენის სამაროვანს ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად უდებს XII-XI საუკუნეებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

დასასრულ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები. სამთავროს ველმა ჯერჯერობით სამი კოლხური ცული მოგვცა. სამთავროს ორმოსამარხთა თარიღის საკითხს, ზემო ავჭალის სამარხის დათარიღების დროს, შეეხო პროფ. გ. ნიორაძე. იგი აღნიშნავს, რომ „...მისი ხნოვანობა (ზემო ავჭალის სამარხის – ო.ჯ.) არ უნდა მივაკუთვნოთ XIII საუკუნეზე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) უფრო ადრინდელ დროს; ამის საბუთს გვაძლევს ფიბულა, რომელიც ფ. ბაიერნმა აღმოაჩინა სამთავროში ჩვენი ზემო ავჭალის ტიპის მახვილთან, ეგრეთ წოდებულ ორმო-სამარეში“.[4] ამავე ხანით ათარიღებს იგი „ქვემო-სასირეთის განძს“, რომელშიაც ერთი კოლხური ცულიც აღმოჩნდა.[5] თავის უკანასკნელ ნაშრომში პროფ.

---

1 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი, 1944, გვ. 72.

2 იქვე, გვ. 68.

3 იქვე, გვ. 67.

4 ნიორაძე გ., ზემო ავჭალის სამარე. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ.V, თბ., 1931, გვ. 202.

5 Nioradze G., Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi, ESA ტ. VII, Helsinki, 1932, p. 97.

გ. ნიორაძე სოფ. გომნაში აღმოჩენილი ნივთების დათარიღებისას (სადაც, აგრეთვე, ერთი კოლხური ცულია) აღნიშნავს, რომ ეს ნივთები „...სინქრონიულად ეფარდებიან მცხეთაში (სამთავროში) აღმოჩენილ ქვენიადაგის (გრუნტის) სამარებს, ე.ი. სამთავროში ჯერჯერობით ცნობილ ყველაზე ძველ სამარეებს. ამიტომ, როგორც უკვე არაერთხელ გვქონდა აღნიშნული, ისინი არ უნდა მივაკუთვნოთ XIII საუკუნეზე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) უფრო ადრინდელ დროს“.[1] პროფ. გ. ნიორაძეს სამთავროს სამაროვნის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნეში მიჰყავს. ამავე ხანით უნდა დათარიღდეს სამთავროს 208 და 260 ორმოსამარხები (სადაც I და II ტიპის კოლხური ცული აღმოჩნდა), რომლებიც უახლოვდება ფ. ბაიერნის და ზემო ავჭალის ორმოსამარხებს და მათი თანადროული უნდა იყოს. რაც შეეხება III ტიპის კოლხურ ცულს, იგი საკმაოდ გვიანდელ კომპლექსშია ნახული, სადაც რკინის ნივთები უკვე სჭარბობს ბრინჯაოსას (ორმოსამარხი № 121). ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა კოლხური ცულის აღმოჩენისა რკინით მდიდარ კომპლექსში.

ამრიგად, ზემოთ ნათქვამის საფუძველზე, ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ კოლხური ცულის არსებობის ძირითადი ხანა საქართველოში II ათასწლეულის ბოლოზე მოდის.

სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია ე. კრუპნოვის მოსაზრება, რომ თითქოს ბრინჯაო და რკინა ერთდროულად შემოდის კავკასიაში.[2] ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური და აღმოსავლურქართული კულტურები თითქმის მთლიანად ბრინჯაოს ინვენტარისაგან შედგება. განვითარებულ ბრინჯაოს ინდუსტრიას კარგად მოწმობს ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებისა და ზოდებისაგან შემდგარი მრავალი განძი. რკინა აქ მხოლოდ II და I ათასწლეულის მიჯნაზე შემოდის.

ვფიქრობთ, არასწორი უნდა იყოს ბ. კუფტინის მოსაზრება „კოლხურ-ყობანური“ კულტურის თარიღის შესახებ. მისი აზრით, ამ კულტურის აყვავების ხანა ვანის ეპოქის სინქრონული უნდა იყოს. ასეთი დასკვნის საბაბს აძლევს ის, რომ მალაქლუსთან მოპოვებულ ურარტული ხანის მასალაში გვხვდება ბრინჯაოს ჭურჭლის (სიტულის) ყური ცხოველის სტილიზებული თავის გამოსახულებით. სამი ამგვარი ჭურჭელი აღმოჩნდა ლაჯობისძირის კოლექციაში კოლხურ ნივთებთან ერთად. აქედან გამომდინარე, იგი ასკვნის, რომ ყობანის კულტურის აყვავების ხანა ვანის ეპოქის სინქრონული უნდა იყოს. ეს არის მისთვის, როგორც თვითონ აღნიშნავს, ძირითადი დასაყრდენი.[3] ბ. კუფტინის ცდა კოლხური კულტურის „გაახალგაზრდავებისა“ არ უნდა იყოს სწორი. ერთი მაგალითის მიხედვით ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა, ვფიქრობთ, სრულიად უმართებული უნდა იყოს. არქეოლოგიაში არა ერთი და ორი მაგალითია იმისა, როდესაც უფრო ადრეული ხანის ნივთი შედარებით გვიანდელ კომპლექსში გვხვდება. ამიტომ, ვანის ეპოქის კომპლექსში აღმოჩენილი კოლხური კულტურის დამახასიათებელი ჭურჭლის ფრაგმენტის მიხედვით მთელი კულტურის დათარიღების ცდა, უთუოდ, არასწორი უნდა იყოს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება,

---

1 ნიორაძე გ., არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 211.

2 Крупнов Е.И., К вопросу о хронологии кобанской культуры, Кабардинский научно-исследовательский институт. Ученые записки, т. I, Нальчик, 1946, стр. 149.

3 Куфтин Б.А., Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 27.

რომ ამგვარი ჭურჭლის ყური აღმოჩნდა აგრეთვე ქვიშარის განძში კოლხური კულტურის ნივთებთან ერთად. ამიტომ, ეგებ, საჭირო გახდეს თვით ამ ჭურჭლების თარიღის გადასინჯვა, რომლებსაც უმთავრესად სკვითური ხანით ათარიღებენ.[1]

ამრიგად, ჩვენ სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია ბ. კუფტინის მოსაზრება, რომ თითქოს კოლხური კულტურის აყვავების ხანა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეზე მოდის. VIII საუკუნეში ჩვენში იწყება ინდუსტრიაში რკინის გაბატონება და, ვფიქრობთ, რომ ეს პერიოდი კოლხური კულტურის მიწურულია და არა მისი აყვავების ხანა. ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ კოლხური კულტურა ძირითადად განვითარებულ ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. რკინა აქ თანდათანობით შემოდის II და I ათასწლეულის მიჯნაზე. სადღეისოდ უკვე აღარ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური და აღმოსავლურქართული კულტურა სინქრონულად არსებობდა. ამას კარგად მოწმობს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ისეთი აღმოჩენები, რომლებშიც ორივე კულტურის ელემენტია თავმოყრილი: ცხინვალის განძი, სასირეთის განძი, ახალქალაქის განძი, ცაგერთან აღმოჩენილი განძი, სამთავრო, თრიალეთი და სხვ.[2] ამიტომ, ვგონებ, არ შევცდებით თუ კოლხური კულტურის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვარსაც ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნესთან მივიტანთ. რაც შეეხება ამ კულტურის ზედა საზღვარს, იგი, ვფიქრობთ, რკინის ხანის დასაწყისამდე უნდა მივიტანოთ, ე.ი. დაახლოებით VIII ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქაც ისევ და ისევ სამთავროს მასალა გვეხმარება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ III ტიპის კოლხური ცული 121-ე ორმოსამარხში უკვე რკინით მდიდარ კომპლექსში აღმოჩნდა. რაიმე უფრო მყარი საბუთი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

ამით დავამთავრეთ კოლხური ცულის დათარიღების საკითხის განხილვა. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს განხილვა არც სრულია და არც ამომწურავი. მაგრამ, ვიმეორებთ, რომ საამისო მასალა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ეს ხარვეზი შემდგომმა კვლევა-ძიებამ უნდა შეავსოს.

---

1 Крупнов Е.И., К вопросу о хронологии кобанской культуры, Кабардинский научно-исследовательский институт. Ученые записки, т. I, Нальчик, 1946, стр. 152.

2 გობეჯიშვილი გ., ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, თბილისი, 1943 (საკანდ. დისერტაცია, ხელნაბეჭდი), გვ. 141.

დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში*

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ექსპედიციის მიზანი იყო, ჩაეტარებია არქეოლოგიური დაზვერვები და მცირე გათხრები გურიაში. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლები: ო. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი და მ. თხილაიშვილი.

გურია, არქეოლოგიურად, თითქმის სრულიად შეუსწავლელია. უკანასკნელი წლების რიგი შემთხვევითი აღმოჩენები მოწმობს, რომ საქართველოს ეს კუთხე ძალზე საინტერესოა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ამ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ საყურადღებო მასალამ მოიყარა თავი: ნეოლითური ხანის ძეგლები ანასეულიდან, ბრინჯაოს პერიოდის განძები ურეკიდან, ვაკიჯვრიდან (ქორბუდე), შრომიდან, გოგოლეისუბნიდან და ბოლოს ანტიკური ხანის შესანიშნავი ნივთები ურეკიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ აქ აღმოჩენილია ზოგი ისეთი ნივთი, რომელიც სხვაგან ჯერჯერობით უცნობია. ასეთებია, მაგალითად: ურეკის განძის ცულები და თხელი ბრინჯაოს ფურცლის საფხეკები, ორპირა თოხი და სატეხი (?) შრომიდან. თუ ამას დავუმატებთ, აგრეთვე, იმასაც, რომ ბრინჯაოს ხანის ნივთები აქ უმთავრესად განძების სახითაა ნაპოვნი ზოდებთან ერთად, მაშინ უფრო დამაჯერებელი იქნება ვიფიქროთ, რომ ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ამ კუთხეს თავისი მაწარმოებელი კერა ჰქონდა.[1]

ზემონათქვამიდან უკვე კარგად ჩანს, რომ ეს რაიონი არქეოლოგიურად მეტად საყურადღებოა.

თავდაპირველად ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა მხოლოდ ბრინჯაოს ხანის ძეგლები. მაგრამ ადგილზე ჩასვლისას და მასალების გაცნობის შემდეგ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა სხვა დროის ძეგლებიც, კერძოდ კი, ნეოლითური სადგომი ანასეულში და ნამოსახლარი ურეკში.

ანასეული. მახარაძის მუზეუმში ინახება რამდენიმე კაჟის, ობსიდიანის და ქვის იარაღი, აღმოჩენილი ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა მოზრდილი, ბრტყელი ქვის ნაჯახი (სიგრძე 19, 7 სმ; სიგანე – 8,5 სმ; სურ, 1, в) და გულის ფორმის ბრტყელი ქვის, ალბათ, აგრეთვე, ნაჯახი (სიგრძე – 17,4 სმ; სიგანე – 12, 2 სმ; სურ 1, а). კაჟისა და ობსიდიანის ნატეხებიდან გამოირჩევა საფხეკები, საჭრისები, დანები და სხვ. გარდა ამისა, დიდძალი მასალა ინახება ტექნოლოგ ვიქტორ პავლეს ძე შარკოვსკის კერძო კოლექციაში. შარკოვსკი კარგად იცნობს ამ მხარეს და კარგა ხანია უკვე ეწევა ნივთების შეგროვებასა და ძეგლების


---

* დაიბეჭდა კრებულში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVI, 1950.

1 ჩუბინიშვილი ტ., სოფ. გოგოლეისუბანში გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კომპლექსის აღმოჩენის გამო, იბეჭდება აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველში“, ტ. I.

აღნუსხვას. მან გვიჩვენა თავისი კოლექციის ერთი ნაწილი, რომელიც აგრეთვე კაჟის, ობსიდიანის და მოზრდილი გათლილი ქვის იარაღებისაგან შედგება. აშკარაა, რომ იგი ნეოლითური ხანისაა.

ვ. შარკოვსკისთან და მახარაძის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთან მ. თავდუმაძესთან ერთად ჩვენ დავათვალიერეთ აღმოჩენის ადგილები. ნეოლითური ხანის ძეგლები აქ, ძირითადად, ორგან გვხვდება. ერთი ანასეულის ინსტიტუტის მეტეოროლოგიურ სადგურთანაა. აქ ზედაპირზე დიდი რაოდენობით ჩნდება ობსიდიანისა და აქ-იქ კაჟის ქვის ნატეხები; ვნახეთ აგრეთვე რამდენიმე ხელსაფქვავი ქვის ნატეხი. სამწუხაროდ, აქ გათხრა შეუძლებელი იყო, ვინაიდან მეტეოროლოგიური სადგურის ირგვლივ ბაღია გაშენებული. მეორე ნეოლითური კერა მდებარეობს ყოფილი ტექნიკუმის შენობის მახლობლად „მიწისციხეზე“ (ასე უწოდებს ამ გორაკს ხალხი). „მიწისციხე“ დაახლოებით 10 მ სიმაღლის ბუნებრივი ბორცვია, რომლის თავი პლატოა. ბორცვის თავსა და კალთებზე ჩაისა და სიმინდის ყანებია გაშენებული. აქ დიდი რაოდენობით ჩნდება კაჟისა და რიყის ქვის ნატეხები. სწორედ აქ იპოვა ვ. შარკოვსკიმ ორი შესანიშნავი ქვის ნაჯახი. პლატოს ირგვლივ შემოვლებული აქვს საკმაოდ ღრმა და ფართო თხრილი. საფიქრებელია, რომ ეს თხრილი ნეოლითურ ხანაში იყო ამაღლებული და თვით სადგომი კი თხრილს შიგნით, პლატოზე იყო განლაგებული. ნეოლითური ნამოსახლარის თუ სადგომის თხრილით გამაგრება საკმაოდ გავრცელებული იყო ამ პერიოდში.[1] სამწუხაროდ, პლატოს გათხრა შეუძლებელი იყო, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ ჩაის პლანტაცია იყო გაშენებული. ამიტომ, ჩვენ თხრა თხრილის გარეთ დავიწყეთ, ბორცვის ჩრდილო ნაწილში. თხრილიდან კაჟის ქვის ნატეხების გარდა არაფერი ამოდიოდა. თხრილის გარეთ გათხრას აზრი არა ჰქონდა. ამრიგად, ანასეულის ნეოლითური სადგომის გათხრა შეუძლებელი აღმოჩნდა. უსათუოდ საყურადღებოა ერთი გარემოება, რომელზედაც ვ. შარკოვსკიმ მიაქცია ჩვენი ყურადღება: მეტეოროლოგიურ სადგურთან თითქმის მხოლოდ ობსიდიანის ნატეხები გვხვდება, მიწისციხეზე კი – კაჟისა.



ა ბ

სურ. 1

გარდა ნეოლითური სადგომისა, ანასეულის ტერიტორიაზე ჩვენი ყურადღება მიიქცია დამწვარი თიხის, წიდისა და მადნის შემცველმა ცალკეულმა „კერებმა“. მ. თავდუმაძის თქმით, იგი ამ რაიონში 50-მდე ამგვარ „კერას“ იცნობს. ჩვენ ორი „კერა“ შევამოწმეთ. თხრა დავიწყეთ საირმიაზე, ბზიავას საცდელი ნაკვეთის გვერდით. აქ კერა ძალზე დაზიანებულია ხვნისაგან, ფორთოხლის პლანტაციაა გაშენებული. თხრილიდან დიდი რაოდენობით ამოდიოდა შავი ფერის დამწვარი მიწა, გადამწვარი თიხის ნატეხები, წიდა და მადნის ნატეხები. შეგვხვდა, აგრეთვე, მადნის რამდენიმე მოზრდილი „გუნდა“, რომელთაც, როგორც ჩანს, სპეციალურ თიხის ჭურჭლებში

1 Равдоникас, История первобытного общества, ч.II, გვ. 172 და 207.

ასხამდნენ, ვინაიდან ზოგიერთი გუნდა მოზრდილ ჭურჭელში ჩადგმული აღმოჩნდა. აქვე აღმოჩნდა მოწითალო თიხის ორი ღარის ნატეხი, ეგებ, ყალიბის ნაწილი და ერთიც ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი. მეორე კერამაც ზუსტად ასეთი სურათი მოგვცა. აქაც დიდი რაოდენობით ამოდიოდა დამწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები, წიდამადნის გუნდები და ფრაგმენტები.

იმ მცირე გათხრებით, რომლებიც ჩვენ აქ ჩავატარეთ, ძნელია ზუსტად თქმა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ეს კერები. ერთი კი ცხადი უნდა იყოს: აქ სახელოსნოსთან უნდა გვქონდეს საქმე. მადნის ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასში 80, 3% რკინაა (იხ. დართული ცხრილი).[1] ამიტომ, ეგებ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ აქ რკინის მისაღებ სახელოსნოსთან გვაქვს საქმე. გამდნარ რკინას აქ სპეციალურ მოზრდილ ჭურჭელში ასხამდნენ, სადაც იგი მრგვალი გუნდის ფორმას იღებდა. ზუსტად ამგვარი კერები შეგვხვდა ჩვენ ქორბუდეში. ამრიგად, აქ საკმაოდ მრავლად გვხვდება ამგვარი სახელოსნოები. ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია იმის შესახებ, თუ საიდან მოჰქონდათ მადანი და რა წესით ამუშავებდნენ მას. ეს შემდეგი მუშაობის საქმეა.

ელემენტთა დასახელება	მადნის შემადგენლობა
Fe	80,3
Si	17,08
Sb	0,20
Mr	0,68
Ga	0,07
Gu	კვალი
As	–
P	–
Zn	0,82
Mg	კვალი
	99,15

ელემენტთა დასახელება	წიდის შემადგენლობა
Fe_2O_3	61,06
SiO_2	35,57
Mg	260
Ga	0,49
Md	კვალი
P	0,23
	99,95

ანასეულიდან ჩვენ ურეკში გადავედით. ჩვენს მუზეუმში საინტერესო ნივთებია დაცული ურეკიდან.

1 ქიმიური ანალიზი ჩვენი მუზეუმის ქიმიურ ლაბორატორიაში ქიმიკოსმა ხ. ჩიქოვანმა გააკეთა.

1941 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში შემოვიდა სპილენძის თუ ბრინჯაოს ნივთების განძი, შემთხვევით აღმოჩენილი თოხნის დროს ურეკის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე. განძი ძალზე საყურადღებოა, ვინაიდან მასში ზოგი ისეთი ნივთია, რომელიც დღემდე სრულიად უცნობი იყო. კოლექციაში 22 ნივთია – აქედან 13 ცულია, დანარჩენი კი თოხები. ცულებიდან სამი ტიპი გამოირჩევა.[1]


ყუამილიანი ყუადაშვებული ცული. სატარეს წინა პირი შეჭრილი აქვს, უკანა კი მილისებურად გამოშვერილი, ხვრელი მრგვალია; ტანი თითქმის სწორია და პირთან ფართოვდება; პირი გორდაა და ოდნავ ასიმეტრიული (უკანა ნიღრი ოდნავ მაღალია წინაზე).

კოლექციაში ოთხი ამგვარი ცულია.

მეორე ტიპის ცულს ყუა ორფერდა აქვს, სატარე ხვრელი მრგვალია; შუბლი თითქმის სწორია; პირი გორდაა და ასიმეტრიული; იგი კაჩისაკენაა ამოღუნული; კაჩა იღლიისაკენ თანდათანობით ვიწროვდება; იღლია ცულს მკვეთრად გამოსახული აქვს. თითქმის ყველა ცულს შუბლზე ღრმა ღარი დაუყვება; ღარი პირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება.

განძში ცამეტი ცულია. ერთი ამგვარი ცული ჩვენ გადმოგვცეს ურეკში (სურ. 2, в).

მესამე ტიპის ცული კოლექციაში სულ ორი ცალია: მასაც ყუა ორფერდა აქვს; ხვრელი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა. ცულის მარჯვენა და მარცხენა წახნაგი ვიწროვდება და რელიეფურად გადაუყვება სატარეს შუამდე; სატარეს ორივე პირი შეჭრილი აქვს; შუბლი და კაჩა რკალისებრი მოყვანილობისაა; შუბლი ხვრელის ძირთან მკვეთრ ქიმისებურ შვერილს ქმნის. პირი გორდაა და თითქმის სიმეტრიული. ერთერთ ცულს შუბლის წახნაგზე რელიეფური ნიშანი აზის.



a b

სურ. 2

გარდა ცულებისა, კოლექციაში სამი „თოხია“. „თოხები“ ერთნაირი ფორმისაა: სამკუთხა მოყვანილობის; პირისაკენ სწრაფად ვიწროვდება; პირი თითქმის წვეტიანი აქვს; სატარეს უკანა პირი მილისებრი გამოშვერილი აქვს. სამივე თოხს უკანა პირზე შუაზე მკვეთრი წიბური გაუყვება. ერთი ამგვარი თოხი გადმოგვცეს ურეკში (სურ. 2, а)

უსათუოდ საყურადღებოა ის, რომ სავსებით ასეთივე ფორმის ნივთები ინახება აგრეთვე ქ. მახარაძის სამხარეთმცოდნეო „მუზეუმში“. აქ ოთხი ცულია (სურ. 3), აქედან ორი ყუამილიანია, ოთხი სამკუთხა თოხი (სურ. 4) და ბრტყელი ფირფიტის ორი

1 ეს განძი დამუშავებულია ბ. კუფტინის და ფ. თავაძის მიერ და მოკლე ხანში გამოქვეყნდება.

„საფხეკი“ (სურ. 5). აღნიშნული ნივთები მუზეუმს გადმოსცა ურეკის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელმა, ვასილ სმიშლაევმა.


ჩვენ გადავწყვიტეთ, შეგვემოწმებინა ამ ორი კოლექციის აღმოჩენის ადგილი და ვითარება.




სურ. 3

ურეკის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის მასწავლებელმა, ვასილ სმიშლაევმა, გადმოგვცა, რომ 1938 წელს სრულიად შემთხვევით იპოვა ცულები ურეკის მეურნეობის მე-14 ნაკვეთზე ბებერ ცაცხვთან. მისივე თქმით, იქვე 1945 წელს ერთმა მოსწავლემ აღმოაჩინა რამდენიმე თოხი და ორი ბრტყელი „საფხეკი“. ეს ნივთები მან ქ. მახარაძის მუზეუმს ჩააბარა.

ჩვენ მცირე გათხრა ჩავატარეთ ბებერ ცაცხვთან. აქ უფრო ფართოდ მუშაობის გაშლა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ცაცხვის ირგვლივ მანდარინის და ლიმონის პლანტაციაა გაშენებული. კულტურული ფენის არავითარი ნიშანი არ ჩანდა. გათხრების ადგილის მახლობლად იმავე დღეს მეურნეობის ერთმა მუშამ იპოვა სამკუთხა



სურ. 4



სურ. 5

თოხი (სურ. 2, а,). ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, ამ ადგილას, ბებერ ცაცხვთან, ნაკვეთის დარაჯმა, მოსე ბაქანიძემ, რაღაც ნივთები იპოვა. მის მიერ აღმოჩენილი ერთი სპილენძის ცული ჩვენ გადმოგვცეს (სურ. 2, в).

ვნახეთ აგრეთვე შ. გოგუაძე, რომელმაც ჩვენს მუზეუმში მოიტანა ურეკის განძი. მან გვითხრა, რომ ნივთები უპოვია მოსე ბაქანიძეს ბებერ ცაცხვთან და მეურნეობის დირექტორისათვის გადაუცია.

ზემოაღნიშნულიდან, ვფიქრობთ, კარგად ჩანს, რომ საქართველოს მუზეუმსა და მახარაძის მუზეუმში დაცული ურეკში აღმოჩენილი კოლექცია ერთ ადგილასაა აღმოჩენილი. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ეს ორივე კოლექცია ნივთთა ტიპების მიხედვით სავსებით ერთნაირია, მაშინ უფრო აშკარა გახდება, რომ ეს ერთი კოლექციაა. ამრიგად, ურეკის განძის ერთი ნაწილი მოხვედრილა საქართველოს მუზეუმში, მეორე კი მახარაძის მუზეუმში.

ურეკის განძის ყუამილიანი ყუადაშვებული ცულები კარგადაა ცნობილი საქართველოში. ჩვენს მუზეუმში ინახება ერთი ამგვარი ცული სვანეთიდან, ჭიათურიდან, ივანწმინდიდან; საჩხერეში სხვადასხვა ფორმის ყუამილიან ცულებთან ერთად აღმოჩნდა ეს ტიპიც. ჩვენში, როგორც ჩანს, ცულის ეს ფორმა საკმაოდ დიდხანს შემორჩა. გ. გობეჯიშვილმა რაჭაში გათხრების დროს აღმოაჩინა რამდენიმე ვარიანტი ყუამილიანი ყუადაშვებული ცულებისა. ჩვენთვის საინტერესო ტიპი მან პირველ ჯგუფში გააერთიანა და პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარიღა.[1]

ფართოდაა გავრცელებული ეს ტიპი აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიც იესენისეული მეორე ეტაპის დროს.[2] განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ყუამილიანი ცული აღმოსავლეთ ევროპაში. ტალგრენი ერთ-ერთ თავის ნაშრომში იხილავს რუსეთში გავრცელებულ ხვრელიან ცულებს და აღნიშნავს, რომ ისინი სხვადასხვა ვარიანტებში მრავლად გვხვდებიან რუსეთში. ჩვენთვის საინტერესო ტიპს იგი A ტიპში გამოყოფს.[3] ეს ტიპი დამახასიათებელია ფატიანოვის კულტურისათვის, სადაც მისი რამდენიმე ვარიანტი გვხვდება. მათი კარგად შემუშავებული ტიპოლოგია მოცემული აქვს გოროდცოვს ერთ თავის ნაშრომში.[4] ცნობილია ეს ტიპი აგრეთვე სეიმინო-ტურბინის კულტურაში და აბაშევოს კულტურაში.[5] ჩვენი ცულები ახლოს დგას სტუბლოს განძში აღმოჩენილ ერთ-ერთ ცულთან.[6] კარგადაა ცნობილი ყუამილიანი ცულები აგრეთვე დუნაის ქვეყნებში.[7] თითქმის სრულიად უცნობია ეს ტიპი ევროპის დასავლეთ ნაწილში. აქ უმთავრესად გავრცელებული იყო ბრტყელი ცულები, ე.წ. პალშტაბები.[8] უსათუოდ საყურადღებოა ისიც, რომ ყუამილიანი ცული საერთოდ

---

1 გობეჯიშვილი გ., ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები (საკ. დისერტაცია), გვ. 121-125; სურ. 22; ტაბ. VI, 4; XXI, 5 და 8.

2 Иессен А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, изв ГАИМК, вып. 120, М.Л.;1936; გვ. 56.

3 Tallgren A., Die Kupfer-und Bronzezeit in Nord-und Ostrussland; Suomen uinaismuistoyhdistyksen Aikakauskirja, XXV, Helsindissa, გვ. 56.

4 Городцов В. Культура бронзовой эпохи Средней России. Отчет Росийского исторического Музея, за 1914 г., Москва, 1915, გვ. 126, ტაბ. VIII.

5 Радоникас В., დასახ. ნაშრ. გვ. 385.

6 Antoniewicz V., Der in Stublo in Wothynien aufgefundene Bronzeschatz, ESA, Helsinki 1932, გვ. 135, სურ. 2.

7 Куфтин Б., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. საქ. მუზ. მოამბე, ტ. XII-B; გვ. 297.

8 Городцов В., დასახ. ნაშრ. გვ. 148

არ დამკვიდრებულა მცირე აზიაში.[1] უძველესი ყუამილიანი ცულები ცნობილია სამხრეთ მესოპოტამიიდან და ელამიდან.[2] ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ აქვე უნდა ყოფილიყო ამ ცულის სამშობლოც. აქედან უნდა გავრცელებულიყო იგი ევროპაში. მისი გავრცელების ერთ-ერთი გზა სამხრეთ კავკასიაზე მიდიოდა.[3] ამიტომაც, როგორც ჩანს, ეს ტიპი ადრე უნდა შემოსულიყო საქართველოში.

3 Tallgren A., Die Kupfernen Flachäxte mit seitlichen Zäpfen. «Finsk. Forn. Tidskrift», XXVI, Helsingfors. 1912, стр. 21; Куфтин Б. А., Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-араксский энеолит, стр. 31.

экземплярах.[1] Известен этот тип также в Малой Азии.[2] Особенно нужно указать, что Дерпфельд обнаружил в слое VII города Трои каменную форму для отливки подобного топора.[3] Один плоский топор с зубовидными боковыми выступами был найден в восточном Иране, близ Астерабада, в Тюранг-Тепе.[4] Наконец, чрезвычайно интересна находка одного плоского топора с такими же боковыми выступами в Керчи.[5] Этот топор, несомненно, принадлежит к малоазиатскому типу.[6] На обеих сторонах топора изображена фигура быка или оленя с длинной шеей и коротким туловищем (рис. 8). Некоторые исследователи сближают это изображение с изображениями и на кобанских предметах.[7] Так, С. Пшеворский относит этот топор к кобанской культуре, откуда он и попал в Крым.[8] Но, как уже сказано, в кобанской культуре плоский топор совершенно неизвестен. Повидимому, этот топор был занесен в Крым с южного побережья Черного моря посредством использования пути вдоль кавказского побережья.[9] Если же согласиться, что на керченском топоре даны изображения кобанского стиля, то более вероятным было бы полагать, что он происходит из причерноморских районов Колхиды, для которых этот стиль также характерен. К тому же здесь, как увидим ниже, хорошо была известна малоазиатская форма плоского топора.



Рис. 8. Плоский топор из Керчи

Наконец, надо указать, что недавно высказано новое мнение о назначении и способе употребления плоского топора этого типа. Г. К. Ниорадзе считает топоры Квишарского клада ножами чувячников для резания толстой кожи. Исходя из того, что долото, которое по своей форме сходно с плоскими топорами, употреблялось без рукоятки, он полагает, что и плоский топор применялся без рукоятки.[10] Но эти два орудия, несомненно, были предназначены для разных целей. У долота боковые выступы должны были предотвратить скольжение руки при ударе молотом, тогда как у плоского топора они служили для укрепления его на рукоятке. Клиновидная форма топора, его лезвие и боковые выступы указывают на то, что он прикреплялся к рукоятке. Таким образом, мы полагаем, что орудие является именно плоским топором.

Второй тип плоского топора, который, по классификации Б. А. Куфтина, принадлежит к топорам с плечиковидными выступами, известен в Западной Грузии пока что в нескольких экземплярах. В Цихис-дзири в 1905 г. был обнаружен клад, состоящий из следующих предметов: один обломок плоского топора (рис. 9, 1), 17 мотыг, фрагменты сегментовидного

1 Tallgren A., Ук. соч.,стр. 25–26; Куфтин Б. А., Ук. соч., стр. 32.
2 Tallgren A., Ук. соч.,стр. 24; Przeworski St., Der Grottenfund von Ordu. «Archiv Orientalni», vol. 7, №31, 1935, стр. 409; Куфтин Б. А., Ук. соч., рис. 32.
3 Tallgren A., Ук. соч., рис. 4; Przeworski St., Ук. соч., стр. 410; Куфтин Б. А., Ук. соч., рис. 23а, I.
4 Wulsin F., Excavation at Tureng Tepe, near Asterabad. Sypplement to the Bulletin of the American Institute for Persian Art and Archaelogy, March, 1932, vol. 2, №1 bis, стр. 12, табл. XX; Pope A., A Survey of Persian Art, v. I, London-New York, 1938, стр.166.
5 Tallgren A., Ук. соч., стр. 22, рис. 2; Tallgrena A., La Pontide préscythique, стр. 180, рис. 103. Куфтин Б. А., Ук. соч., стр. 30, рис. 23а, 3.
6 Tallgren A., Die kurfernen Flachäxte mit seitlichen Zäpfen, стр.24; Иессен А. А., Греческая колонизация северного Причерноморья, Л., 1947, стр. 31.
7 Tallgren A., Ук. соч., стр. 23; Przeworski St., Ук. соч., стр. 50.
8 Przeworski St., Ук. соч., стр. 51.
9 Иессен А. А., Ук. соч., стр. 32.
10 Ниорадзе Г. К., Археологические находки в селе Квишари, стр. 188.

орудия, несколько фрагментов серпа, обломки медных или бронзовых пластинок и медные слитки. В Махарадзевском краеведческом музее хранится клад, случайно найденный в 1936 г. в сел. Вакиджвари во время обработки почвы. В глиняном сосуде лежали: один фрагмент плоского топора, четыре мотыги, один колхидский топор, два обломка такого




Рис. 9. 1 – обломок плоского топора из Цихис-дзирского клада; 2–топор, найденный у Севанского озера; 3–топор из сел. Квемо-Мачхаани, 4–топор из сел. Назарло

же топора, несколько сегментовидных орудий, фрагмент копья, один обломок цалди, бронзовая проволока и медные слитки. В тот же музей поступил клад бронзовых вещей, найденный в сел. Шрома. Он состоит из обломка плоского топора, колхидского топора, нескольких сегментовидных орудий, обломков мотыг, одной двойной мотыги, фрагментов кинжала, плоского наконечника стрелы, одного долота (?), браслета и слитков. Наконец, один обломок подобного топора был найден в Обшквитском кладе Кутаисского музея, состоящем из 15 колхидских топоров, 25 сегментовидных орудий, нескольких фрагментов серпа, обломка мотыги, одного кольца и двух слитков (рис. 10). Здесь же надо упомянуть еще один топор Зугдидского музея, но, к сожалению, относительно места находки его нет никаких сведений. Повидимому это должен быть тот самый топор, который издал А. Иессен. Последний отмечает, что этот топор найден в сел. Махария в 1916 г. в бронзовом сосуде вместе с другими предметами. Из этого клада только четыре предмета попали в Зугдидский музей: колхидский топор, мотыга, серповидный нож и плоский топор.[1] По своей верхней части этот топор напоминает II тип плоского топора. Он также имеет плечиковидные боковые выступы, лезвие его близко к I типу, но он значительно массивнее и имеет шестигранное сечение. Таким образом, интересующий нас тип плоского топора, по имеющимся данным, в основном был распространен в южной части Колхиды. Совершенно неизвестен он в ее нагорной части, так же как и в Абхазии. За пределами Западной Грузии эта форма топора известна в восточногрузинской культуре, преимущественно в восточных районах ее распространения. Особенно близко II тип плоского топора стоит к топорам, найденным Е. Лалаянцем у Севанского озера (рис. 9, *2*), а также к топорам из Квемо-Мачхаани (рис. 9, *3*)

1 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 124 и стр. 130, рис. 19.




Рис. 10. Клад бронзовых предметов из сел. Обшквити. Кутаисский музей

и из Назарло (рис. 9, *4*). Один подобный топор хранится в Москве в Историческом музее; он происходит из коллекции А. В. Комарова и найден на Цалке.




Рис. 11. Плоский топор из Кайсери

Особо следует отметит, что этот тип топора очень сходен с малоазиатскими плоскими топорами, в частности, с орнаментированным топором из Кайсери[1] (рис. 11), а также с найденным в Алишаре в слое хеттского периода.[2] Вообще эта форма в разных вариантах была широко распространена в Малой Азии и, повидимому, отсюда проникла в другие страны. Вероятно, отсюда эта форма попала и в Закавказье, в частности, в область западногрузинской культуры. Мы имеем ряд находок, указывающих на существовавшую в это время связь между Западной Грузией и Малой Азией. Первым долгом необходимо указать на чрезвычайно интересную находку в Орду. В этом кладе вместе с колхидскими топорами был найден плоский топор малоазиатского типа.[3]

Кроме вышеописанного типа плоского топора, в Западной Грузи известны и другие варианты малоазиатского плоского топора. Здесь мы имеем в виду два топора, хранящиеся в настоящее время в Кутаисском музее.[4] Место находки одного из них неизвестно, но, как нам передали в музее, вероятно, найден в Западной Грузии. Другой топор обнаружен

1 Tallgren A., Ук. соч., стр. 24, рис. 3; Przeworski St., Ук. соч., стр. 403, табл. XLIXa.
2 The Alishar Hüjük, Part I. The University of Chicago Press. Chicago, стр. 253, фиг. 286, рис. 1741.
3 Przeworski St., Ук. соч., стр. 396-408, табл. XLVII.
4 Куфтин Б. А., Ук. соч. стр. 30, рис. 23 а, 22-23.

в сел. Багинети (Маяковский район).[1] Эта форма топора известна в Малой Азии[2] из Кайсери,[3] Богазкея[4] и других мест. Приблизительно такие же топоры были найдены Ж. Морганом в Талыше.[5] Проф. Самоквасов обнаружил топор этого типа в третьей могиле близ Пятигорска.[6]

Таким образом, проникновение в позднебронзовую эпоху малоазиатских форм в Закавказье, несомненно, указывает на близкую культурную связь этих районов.

Вопрос о датировке колхидского топора не раз был предметом изучения, но почти все авторы рассматривали его в связи с кобанской культурой. В археологической литературе до сегодняшнего дня нет вполне определенного взгляда на время кобанской культуры. Совершенно справедливо некоторые авторы отмечают, что о датировке кобанской культуры высказано столько же мнений, сколько исследователей касалось этого вопроса.[7]

Г. Д. Филимонов считал, что Кобанский могильник относится к первому периоду железного века.[8] А. С. Уваров в основном соглашался с этим мнением и, находя на кобанских предметах следы ассирийского влияния, относил их к VIII в. до н. э.[9] С этой датой вполне соглашалась и П. С. Уварова.[10]

Более подробно этого вопроса касался Р. Вирхов, относивший Кобанский могильник к XI–X вв. до н. э.[11] По мнению Е. Шантра, кобанская культура синхронна гальштатскому периоду, т. е. относится к началу железного века в Европе.[12]

Совсем оригинальное мнение относительно датировки Кобанского и других кавказских могильников высказали И. Толстой и Н. Кондаков. По их мнению, все эти могильники относятся к I в. н. э.[13]

Попытка « омоложения» колхидской культуры имела место и позже. В этом отношении примечательны труды А. Калитинского и М. М. Иващенко.

По мнению первого, дуговая фибула появилась на кавказе в VI–V вв. до н. э., из Греции через посредство греческих колоний. Поэтому он считает, что Кобанский могильник следует отнести к VI–V вв. до н. э., так как в нем дуговая фибула обнаружена в большом количестве.[14]

В результате изучения материалов, обнаруженных в районе сел. Эшери, М. М. Иващенко высказал мнение, что кобанская культура синхронна эллинскому и эллинистическому времени, т. е. IV–II вв. до н. э.[15] А. М. Тальгрен датировал кобанскую культуру 1300–900 гг. до н. э.[16]

---

1 Иващенко М., Материалы к изучению культуры колхов, стр. 18, рис. 10.
2 Przeworski St., Ук. соч., табл. L, б.
3 Там же, стр. 409, табл. XLIX, d.
4 Przeworski St., Znalezisko Kruchowichie. Warszawa, 1922, стр. 28, рис. 20.
5 J. de Morgan. La Préhistoire Orientale, t. II. Paris. 1927, стр. 207, рис. 205.
6 Каталог собрания древностей А. С. Уварова. Отд. IV–VI. М., 1907, стр. 7, рис. 5.
7 Крупнов Е. И., К вопросу о хронологии кобанской культуры. Кабардинский научно-исследовательский институт. Нальчик, 1946, стр. 146.
8 Филимонов Г. Д., Ук. соч., стр. 33.
9 Уваров А. С., Ук. соч., стр. 6.
10 Уварова П. С., Ук. соч., стр. 361.
11 Virchow R., Ук. соч., стр. 124.
12 Chantre E., Ук. соч., стр. 187.
13 Толстой И. и Кондаков Н., Русские древности в памятниках искусства, в III, СПб., 1890, стр. 109.
14 Калитинский А., Из истории фибулы на Кавказе. Recueil d'études dediées à la mémoire W. Kondakov, Prague, 1926.
15 Иващенко М., Ук. соч., стр. 68.
16 Tallgren A., Kaukasus. Bronzezeit, Bd. VI, 1926, стр. 260

Вопроса датировки Кобанского могильника коснулся и Ф. Ганчар. Он не соглашается с датировкой, предложенной А. Калитинским, и на основании именно дуговой фибулы датирует его XII в. до н. э.[1] К этому же времени относил кобанскую культуру и польский археолог С. Пшеворский при рассмотрении клада, обнаруженного в Орду.[2]

А. А. Иессен относит Кобанский могильник к третьему этапу кавказской металлургии и датирует его концом II тысячелетия и началом I тысячелетия до н. э.[3] Наконец, отметим мнение Б. А. Куфтина и Е. И. Крупнова. Б. А. Куфтин касается этого вопроса в двух своих трудах. Расцвет «колхидско-кобанской» культуры он считает синхронным с ванской эпохой.[4] Е. И. Крупнов хронологии кобанской культуры посвятил свой недавно опубликованный труд. Он полагает, что основная масса кобанской бронзы датируется скифским временем VII–VI вв. до н. э. Что касается ранних типов этой культуры, то их он относит к рубежу II и I тысячелетий до н. э.[5]

Из сказанного видно, что большинство авторов датирует кобанскую культуру концом II тысячелетия и первыми веками I тысячелетия (XII–IX вв. до н. э.). Этим же временем датировали и культуру, обнаруженную в Колхиде.

К сожалению, для установления возраста колхидской культуры пока нет твердой опоры. Как мы уже указывали, почти весь материал западно-грузинской культуры пока представлен случайными находками.

Для датировки колхидской культуры, несомненно, заслуживают внимания данные Бешташенского могильника. В погребении №11 этого могильника был обнаружен один колхидский топор I типа. При изучении этого могильника Б. А. Куфтин указал на значительное его сходство с нижним ярусом Самтаврских погребений. Нижней хронологической границей Бешташенского могильника он считает XII–XI вв. до н. э.[6]

Наконец, особо следует отметить материалы, добытые Мцхетской археологической экспедицией на Самтаврском могильнике. В Самтавро в грунтовых погребениях обнаружены 3 колхидских топора. Вопроса хронологии Самтредских грунтовых погребений, при датировке Земо-Авчальской могилы, коснулся Г. К. Ниорадзе. Нижнюю хронологическую границу этих погребений он доводит до XIII в. до н. э. К этому же времени Г. К. Ниорадзе относит и Земо-Авчальскую могилу.[7] К той же эпохе нужно отнести Самтаврские грунтовые погребения №208 и 260, где были обнаружены колхидские топоры I и II типов. Эти погребения сближаются с грунтовыми погребениями, найденными Ф. Байерном в Самтавро, и с Земо-Авчальской могилой, а поэтому должны быть синхронны им. Что касается найденного в Самтавро колхидского топора III типа, то он обнаружен в значительно более позднем комплексе, где железные предметы уже преобладают над бронзовыми (грунтовое погребение №121). Это пока что единственный случай обнаружения колхидского топора в богатом железом комплексе.

---

1 Hančar. Kaukasus Luristan. ESA, IX, Helsinki, 1934, стр. 89.
2 Przeworski St., Ук. соч., стр. 53.
3 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 111.
4 Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, стр. 53; Куфтин Б. А., Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, стр. 27.
5 Крупнов Е. И., Ук. соч., стр. 158.
6 Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, стр. 68.
7 Ниорадзе Г. К., Земо-Авчальская могила, стр. 202 (на груз. языке).

Здесь же нужно указать, что Г. К. Ниорадзе датирует XIII в. до н. э. Квемо-Сасиретский клад, в составе которого был один колхидский топор.[1] Недавно Г. К. Ниорадзе при датировке предметов, обнаруженных в сел. Гомна (где также найден колхидский топор), отмечал, что эти предметы нужно отнести не ранее, чем к XIII в. до н. э.[2]

Нам кажется, что мнение Б. А. Куфтина относительно датировки «колхидско-кобанской» культуры не является правильным. По его мнению, расцвет этой культуры синхронен ванской эпохе. Повод к такому выводу дает то, что в могилах урартского времени, обнаруженных близ сел. Малаклю, встречена ручка бронзовой ситулы. Три аналогичных сосуда были найдены близ сел. Окуреши с предметами, характерными для колхидской культуры (Ладжобисдзирская коллекция). Исходя из этого, Б. А. Куфтин заключает, что расцвет колхидской культуры совпадает с эпохой Ванского царства. Это является для него, как он сам говорит, первым и главным основанием.[3] Попытка Б. А. Куфтина «омолодить» колхидскую культуру не может быть признана правильной. Нам кажется, что решение этого вопроса на основании лишь одной находки неправомерно. В археологии неоднократно отмечены случаи, когда более ранние предметы встречались в сравнительно поздних комплексах.

Таким образом, отнесение Б. А. Куфтиным расцвета колхидской культуры к VIII в. до н. э. нам кажется совершенно безосновательным. В VIII в. до н. э. начинается господство железа, и мы полагаем, что этот период скорее являлся концом колхидской культуры, а не ее расцветом. Колхидская культура в основном относится к развитому бронзовому веку. Железо здесь постепенно появляется на рубеже II–I тысячелетий до н. э. Накопившийся на сегодня материал указывает, что в позднебронзовую эпоху западногрузинская и восточногрузинская культуры сосуществовали. Это хорошо подтверждается рядом находок как в Западной, та и в Восточной Грузии, в которых обнаружены элементы обеих культур: Цхинвальский клад, Сасиретский клад, Цагерский клад, Самтавро, Триалети и др. Поэтому мы, по-видимому, не ошибемся, если нижнюю хронологическую грань колхидской культуры также доведем до XIII в. до н. э. Что касается верхней границы этой культуры, то ее, нам кажется, надо довести до начала железного века, т. е. VIII до н. э.

1 Nioradze G., Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi. ESA, VII, Helsinki, 1932, стр. 97.
2 Ниорадзе Г. К., Археологические разведки в долине р. Мткварн, стр. 211 (на груз. языке).
3 Куфтин Б. А., Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, стр. 27.

მიწათმოქმედების იარაღები დასავლურქართულ კულტურაში*

გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლურქართული კულტურა ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის. მართალია, უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა ჩვენში არქეოლოგიური კვლევა-ძიება და ბევრი რამ გაკეთდა კიდეც, მაგრამ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერაც გადაუჭრელი რჩება. არქეოლოგიურმა სამუშაოებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში წარმოებს დასავლეთ საქართველოში, ჯერჯერობით სათანადოდ ვერ გამოავლინა გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები და თითქმის მთელი მასალა, რომელიც დღეს მკვლევარს ხელთა აქვს, დასავლეთ საქართველოდან, სამწუხაროდ, შემთხვევითი აღმოჩენების შედეგადაა დაგროვილი. ამიტომაც, ამ მასალის შესწავლა, ძირითადად, შესაძლებელი ხდება კოლხური კულტურის წამყვანი ნივთების ტიპოლოგიური ანალიზის გზით. ამგვარი შედარებითი შესწავლა ამ კულტურის ძირითადი ტიპებისა დიდად შეუწყობს ხელს აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას, როგორიცაა კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხი. ეს კი დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქართულ არქეოლოგიაში. კოლხური და ყობანური კულტურების შესახებ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ორი საკუთარი ტრადიციის მქონე კულტურა უნდა ყოფილიყო.[1]

გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალა დასავლეთ საქართველოდან, უპირატესად, განძების სახითაა წარმოდგენილი. ამ პერიოდის სამარხები აქ დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი. ეს განძები, ძირითადად, ბრინჯაოს სამეურნეო იარაღებისაგან შედგება. ამიტომაცაა, რომ ამიერკავკასიაში გავრცელებულ ამ პერიოდის სხვა კულტურებთან შედარებით, რომლებიც, უპირატესად, ცნობილია სამარხებში აღმოჩენილი ნივთებით, სამეურნეო იარაღი დასავლურქართულ კულტურაში უკეთაა წარმოდგენილი. ცნობილია, რომ სამეურნეო იარაღი სამარხებში ძალიან იშვიათად გვხვდება, განსაკუთრებით კი სასოფლო მეურნეობასთან დაკავშირებული იარაღი.[2] სამწუხაროდ, არქეოლოგიური მასალა უმთავრესად სამარხებიდან მომდინარეობს და შრომის იარაღებიც ნაკლებადაა ხოლმე წარმოდგენილი. შრომის იარაღების შესწავლას კი, უთუოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ „რა მნიშვნელობაც დაშთენილ ძვლების აგებულებას აქვს მოსპობილ ცხოველთა ჯიშების ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს მოსპობილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად“.[3]

---

* დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 49, 1953.

1 Крупнов Е.И., Вопросы истории, 2, 1950, გვ. 130; ჯაფარიძე ო., კოლხური ცული; საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950 გვ. 37.

2 Чаилд Г., Прогресс и археология, Москва, 1949, стр. 184.

3 მარქსი კ., კაპიტალი, ტ. I, გვ.140, თბილისი, 1930.

ეს ნაშრომი სწორედ ამ იარაღების შესწავლას გულისხმობს, კოლხური კულტურის შრომის იარაღებიდან ჩვენ შევეხებით სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ იარაღს.

თოხი. განსაკუთრებით ფართო გავრცელება კოლხურ კულტურაში ბრინჯაოს თოხმა პოვა. იგი კოლხურ ცულთან და სეგმენტისებრ იარაღთან ერთად გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლურქართული კულტურის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნივთს წარმოადგენს.

კოლხური ბრინჯაოს თოხი ნაირ-ნაირი ზომისა და მოყვანილობის გვხვდება. სატარე თითქმის ყველას ერთნაირად აქვს მოწყობილი; სატარის უკანა პირი მილისებურად გამოშვერილია; ხვრელი წესიერი მრგვალია; მისი უკანა პირი რამდენიმე მილიმეტრით უფრო პატარაა, ვიდრე წინა.

თოხები ძირითადად პირის მოყვანილობით განსხვავდება ერთმანეთისაგან. გვხვდება ეგზემპლარები, რომელთაც პირი თანდათანობით უფართოვდება და იგი ტრაპეციის ფორმას წააგავს. არის ისეთი ცალებიც, რომელთაც მკვეთრად გამოსახული მხრები აქვს; ზოგიერთს ორივე მხარი მეტად, ზოგს კი ნაკლებად დაქანებული აქვს; ამგვარი თოხების პირი, უპირატესად, ფართოა და ძლიერ გორდა. სულ რამდენიმე თოხია ცნობილი დღემდე, რომელთაც წელი საკმაოდ გრძელი აქვს; მათი პირი „მცირედით გორდაა". ყველა ცალში პირი ფხისაკენ თანდათანობით თხელდება.

თოხი უმთავრესად წელში მოხრილია, ზოგი უფრო მეტად, ზოგიც – ნაკლებად. გვხვდება აგრეთვე ისეთი ცალები, რომელთაც წელი სრულიად სწორი აქვს.

ზოგ ეგზემპლარს პირის უკანა მხარეს ჩვეულებრივად სამი რელიეფური წიბური გაუყვება ხოლმე. თითქმის ყველა თოხი სრულიად სადაა. გვხვდება მხოლოდ ორიოდე ცალი, რომელთაც პირის უკანა ნაწილზე მეტად ტლანქად ნაკეთები, ფართო, ირიბი ხაზები აქვს და ზოგჯერ ფხური ორნამენტი გაუყვება.

თოხები ერთმანეთისაგან ხშირად სიდიდითაც განსხვავდება. გვხვდება შედარებით პატარა ზომის თოხები და აგრეთვე საკმაოდ მოზრდილი ცალებიც. საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა ეგზემპლარს აშკარად ეტყობა, რომ იგი ხმარებაში ყოფილა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ თოხები, აღმოჩენილი ურეკის განძში, სოფ. ზენითში, აგრეთვე ზუგდიდის მუზეუმში დაცული ორი თოხი. ურეკის განძის თოხები ფორმით განსხვავდება კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი თოხებისაგან და ასაკითაც წინ უსწრებს მათ.[1] ისინი, ისევე როგორც ზენითისა და ზუგდიდის მუზეუმის თოხები, მხოლოდ სატარის მოყვანილობით ემსგავსებიან კოლხურ თოხს. ურეკის თოხის თავისებურება ისაა, რომ მას პირი სამკუთხა მოყვანილობისა აქვს. სოფ. ზენითში აღმოჩენილი სამი თოხი, რომლებიც დღეს ბათუმის მუზეუმშია დაცული, აგრეთვე პირის მოყვანილობით განსხვავდება ჩვეულებრივი თოხებისაგან. მათ ფართო აქვთ პირის ზედა ნაწილი, რომელიც დაახლოებით შუა ნაწილიდან ქვევით სწრაფად ვიწროვდება.[2] განსაკუთრებით საყურადღებოა ზუგდიდის მუზეუმში დაცული, სოფ. ჯვარში აღმოჩენილი სრულიად თავისებური მოყვანილობის ორი თოხი. პირი გრძელია და ვიწრო. იგი რომბისებური მოყვანილობისაა; შუა ნაწილისაკენ თანდა-

1 ჯაფარიძე ო., დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950, გვ. 116.


2 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии: საქ. მუზ. მოამბე. ტ. XII-B; თბილისი, 1944, გვ. 317, სურ. 15.

თანობით ფართოვდება და შემდეგ კვლავ ვიწროვდება. ორივე თოხი წელში ძლიერ მოხრილია.[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრინჯაოს თოხი ფართოდ იყო გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოში. მაგრამ, ჩანს, რომ იგი ყველგან ერთნაირად არ დამკვიდრებულა. აფხაზეთში დღემდე არც ერთი თოხი არ აღმოჩენილა.

სამეგრელოს ნიადაგმა რამდენიმე თოხი მოგვცა. სამწუხაროდ, ზუგდიდის მუზეუმში დაცულ რვა თოხიდან მხოლოდ სამის აღმოჩენის ადგილია ცნობილი. ერთი მოზრდილი თოხი აღმოჩნდა სოფ. წალენჯიხაში (ზუგდიდის მუზ. კოლ. №44); ორი რომბისებური მოყვანილობის თოხი ნაპოვნი იყო სოფ. ჯვარში (ზუგდიდის მუზ. კოლ. №№52, 53). ერთი თოხი აღმოჩნდა ამავე სოფელში 1905 წელს ნაპოვნ განძში.[2] სოფ. მახარიაში აღმოჩენილ განძში ერთი თოხია.[3]

რამდენიმე თოხია ცნობილი გურიიდანაც. ერთი აღმოჩნდა 1938 წელს სოფ. ხიდისთავში (საქართველოს მუზ. კოლ. №4-34/2). მახარაძის მუზეუმში ინახება ერთი განძი, შემთხვევით აღმოჩენილი მიწის სამუშაოების დროს 1936 წელს თიხის ჭურჭელში სოფ. ვაკიჯვარში (ადგილი ქორბუდე). განძში ოთხი თოხია. თოხებს თან ახლავს: ერთი I, ქვეტიპის კოლხური ცული; ორი კოლხური ცულის ყუის ნატეხი, ორივე I ტიპისა; თერთმეტი ნატეხი სეგმენტისებრი იარაღისა; შუბისპირის ფრაგმენტი; წალდის ნატეხი; ბრტყელი ცულის ზედა ნაწილი; ერთი თხელი ბრინჯაოს მავთული და ზოდები (სურ. 1). ამავე მუზეუმში ინახება მეორე განძი, ნაპოვნი სოფ. შრომაში.




სურ. 1. ვაკიჯვრის განძი (მახარაძის მუზეუმი)

1 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XII-B, თბილისი, 1944, გვ. 117, სურ. 15.

2 Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе: Изв. ГАИМК, вып. 120, М-Л, 1935, стр. 125, Б.А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тбилиси, 1949, стр. 139.

3 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 124.

იგი შედგება შემდეგი ნივთებისაგან: ერთი I ტიპის კოლხური ცული; ორი მთელი და რამდენიმე ნატეხი სეგმენტისებრი იარაღი; სამი თოხის ნატეხი; ერთი ორთოხი; სატევრისპირის ფრაგმენტები; ბრტყელი ცულის ყუის ნატეხი; ბრტყელი გრძელფრთიანი ისრისპირი; ერთი სატეხი (?); სამაჯური და მრავლად ზოდები (სურ. 2).



სურ. 2. შრომის განძი (მახარაძის მუზეუმი)

ამ განძიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი იარაღი, რომელსაც ორპირა თოხის მოყვანილობა აქვს (სურ. 3). იგი დაახლოებით სწორკუთხა ფორმის ბრინჯაოს თუ სპილენძის ფირფიტაა, რომელსაც შუა ნაწილში სატარე ხვრელი აქვს. სატარეს უკანა პირი, ისევე როგორც ჩვეულებრივ ბრინჯაოს თოხებს, მილისებურად გამოშვერილი აქვს. იარაღის ორივე პირი მოცვეთილია; ჩანს, რომ ორივე პირი თანაბრად ყოფილა გამოყენებული. შესაძლოა ამ იარაღის ორივე პირი თოხისმაგვარად იყო გამოყენებული მიწის დასამუშავებლად. აღსანიშნავია, რომ ამგვარი იარაღი ჯერჯერობით სხვაგან სრულიად უცნობია. დასავლურქართულ კულტურაში ორპირიანი იარაღი დღემდე მხოლოდ ცულნამგალაა ცნობილი ერთი ლაჯობის ძირის კოლექციიდან,[1] მეორე კი ცხინვალის განძიდან.[2] მაგრამ ამ კომბინირებულ იარაღში სხვადასხვა ფუნქციის მქონე იარაღია შერწყმული – ცული და ნამგალი. ზემოთ აღწერილი იარაღის ორივე პირი კი ერთ ფუნქციას ასრულებს. ამიერკავკასიის მასალებიდან ჩვენთვის მხოლოდ ერთია ცნობილი – ორპირა აღმოსავლურქართული ტიპის ცული, რომელიც ი. ჰუმელმა აღმოაჩინა ელენენდორფის ყორღანში.[3] მაგრამ იგი საომარ, სრულიად განსხვავებული ხასიათის იარაღს წარმოადგენს და ამ შემთხვევაში ნაკლებად გვაინტერესებს. აქ მხოლოდ ფაქტი აღვნიშნეთ.


1 Куфтин Б.А., Урартский „Колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 28, ტაბ. XIII.

2 ჯაფარიძე ო., ცხინვალის განძი: საქ. მუზ. მოამბე. ტ. XVI-B, თბილისი, 1950; გვ, 102, სურ. 4; Куфтин Б.А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию, Тбилиси, 1945, табл. XIV.

3 Гуммель Я.И., Погребальный курган (№1) около Еленендорфа, Баку, 1931, стр. 14, табл. V.

ამრიგად, სამეურნეო რიგის იარაღთაგან, რომელთაც ერთი ფუნქციის მატარებელი ორი პირი აქვს, ზემოთ აღწერილის გარდა, ჯერჯერობით ცნობილი არაა. მაგრამ, ორპირა თოხი უფრო მოგვიანო ხანაშიც რომ იყო ცნობილი, ეს კარგად ჩანს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ერთი ადგილიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ სერაპიონმა „აღიღო ჴელითა თჳსითა ორთოჴი რკინისაჲ და გამოაქანდაკა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი იგი იხილვებიან ვიდრე დღენდელად-დღემდე“.[1] თუ რა ფორმისა უნდა ყოფილიყო ეს „ორთოხი“, ამჟამად ძნელი სათქმელია; ის კი ცხადი უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში ორპირიანი თოხი იგულისხმება. ს. ორბელიანი ორთოხის განმარტებისას აღნიშნავს: „ორთოჴი – ორთგნითვე სათხროლი“. საქართველოს თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, როგორც ნ. რეხვიაშვილი აღნიშნავს, ტერმინი „ ორთოხი“ აღარ ჩანს[2] და არც ორპირა თოხი გვხვდება. მაგრამ, სამაგიეროდ, კარგადაა ცნობილი კომბინირებული იარაღი: თოხწერაქვა, ბართოხა, ცულწერაქვა და სხვა. ჩანს, მიწათმოქმედებაში სხვადასხვა ხასიათის იარაღის შერწყმა გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იყო. იარაღს საჭიროების მიხედვით ხან ერთი თავიდან ამუშავებენ, ხან კი მეორედან. ორმაგი იარაღი, რომლის ორივე პირი ერთ ფუნქციას ასრულებს, როგორც ჩანს, ნაკლებად იყო გავრცელებული და დღეს, თითქმის, ხმარებიდანაც გამოვიდა.

ამრიგად, სოფ. შრომის განძში აღმოჩენილი ორპირა იარაღი, ვფიქრობთ, ორთოხი უნდა ყოფილიყო, რომელსაც მიწის დამუშავებისათვის ხმარობდნენ.



სურ. 3. ორპირა თოხი

კარგადაა წარმოდგენილი თოხები აჭარიდან. საყურადღებოა, რომ დღევანდელი აჭარის ასსრ ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი სპილენძის თუ ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი. რასაკვირველია, ეს გარემოება უთუოდ იმით აიხსნება, რომ, როგორც არაერთგზის იყო უკვე სათანადო ლიტერატურაში აღნიშნული, ჭოროხის აუზში უნდა ყოფილიყო გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლურქართული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელი კერა.

აქ აღმოჩენილი განძებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ 1905 წელს ციხისძირში ნაპოვნი განძი (საქართველოს მუზ. კოლ. №93-07). იგი თითქმის მთლიანად ნაკლული ნივთებისაგან შედგება: ჩვიდმეტი თოხი (აქედან ცხრა მთელია); რამდენიმე ნამგლის ფრაგმენტი; ბრტყელი ცულის ყუის ნატეხი; სეგმენტისებრი იარაღის ფრაგმენტები (რამდენიმე მთელია); სპილენძის თუ ბრინჯაოს შენადნობის ნატეხები; ფირფიტის ფრაგმენტები და სპილენძის ზოდები.[3]

---

1 ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 92.

2 ვსარგებლობთ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებთ უფრ. მეცნ. თანამშრომელს ნ. რეხვიაშვილს, რომელმაც ნება დაგვრთო გავცნობოდით მის ნაშრომს „ქსნური ქარჩი“.

3 Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды, т.I, стр. 222, рис. 43.

სოფ. სალიბაურში აღმოჩნდა განძი, რომელიც შედგებოდა მთელი და ნაკლული თოხებისაგან.[1]

ბრინჯაოს თოხები სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე მახინჯაურში.[2]

ბათუმის მიდამოებში 1914 წელს ნაპოვნი იყო განძი, რომელიც მხოლოდ თოხებისაგან შედგებოდა.[3]

სოფ. ზენითში 1926 წელს მიწის ხვნის დროს შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელშიც ბრინჯაოს ნივთები იყო ჩაწყობილი. განძში რამდენიმე თოხია.[4]

ბათუმის მუზეუმში ინახება სოფ. ხუცუბანში ნაპოვნი სამი თოხის ყუის ნატეხი.

სოფ. ზენითში 1935 წელს აღმოჩნდა სამი ჩვეულებრივი თოხი (ბათუმის მუზ. კოლ. №37). ამავე წელს იქნა ნაპოვნი (ბათუმის მუზ. კოლ. №36) ზემოაღნიშნული სამი თავისებური ფორმის თოხიც.

არსებული მასალიდან ჩანს, რომ ბრინჯაოს თოხი ყველაზე მეტად საქართველოს ამ კუთხეში იყო გავრცელებული.

ფართოდაა გავრცელებული ბრინჯაოს თოხი აგრეთვე ი მ ე რ ე თ შ ი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება 1938 წელს სოფ. კალვათაში აღმოჩენილი განძი, რომელშიაც ექვსი თოხია.[5]

სამი თოხი, ორ კოლხურ ცულთან ერთად, აღმოჩნდა სოფ. ხანში (მაიაკოვსკის რაიონი).[6]

ერთი თოხი ნაპოვნია სოფ. ჩრდილოში (შორაპნის მაზრა), სოფ. კინჩხაში (წულუკიძის რაიონი) და სოფ. ძევრში (ჩხარის რაიონი) (ქუთაისის მუზ. კოლ. №2261).

სოფ. ბორითში 1925 წელს აღმოჩნდა ორი თოხი.[7]

ქუთაისის მუზეუმში ინახება 1929 წელს მიწის ხვნის დროს შემთხვევით აღმოჩენილი ერთი კოლექცია სოფ. გორაში (მაიაკოვსკის რაიონი). იგი შედგება შემდეგი ნივთებისაგან: ერთი მთელი და სამი ნატეხი I ტიპის კოლხური ცული; ხუთი თოხი, თერთმეტი სეგმენტისებრი იარაღი და ერთი ზოდის ნატეხი (ქუთაისის მუზ. კოლ. №752).

სოფ. ფარცხანაყანევში I ტიპის კოლხურ ცულთან და სეგმენტისებრ იარაღთან ერთად აღმოჩნდა ერთი თოხი (ქუთაისის მუზ. კოლ. №1586).

სოფ. საქარაში ძველი ეკლესიის ნანგრევებთან 1924 წელს აღმოჩნდა I_1 ქვეტიპის კოლხური ცული და ორი თოხი (ქუთაისის მუზ. კოლ. №833).[8]


ერთი თოხი, I ტიპის კოლხური ცული და სამი სეგმენტისებრი იარაღი აღმოჩნდა სოფ. ქვემო ნოღაში 1925 წელს (ქუთაისის მუზ. კოლ. №1373).

სოფ. ოფშკვითში (ქუთაისის რაიონი) აღმოჩნდა საკმაოდ მოზრდილი განძი, რომელშიც თხუთმეტი I ტიპის კოლხური ცულია; ოცდახუთი ცალი სხვადასხვა ზომის სეგმენტისებრი იარაღია; ერთი თოხის ყუის ნატეხი; ხუთი ნამგლის ფრაგმენტი; ერთი ბრტყელი ცულის ნატეხი; მასივური რგოლი და ორი ზოდის ნაჭერი (სურ. 4).

---

1 Иессен А.И., დასახ. ნაშრ., გვ. 118.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 122.
5 ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, გვ. 70, სურ. 13.
6 იქვე, გვ. 51, სურ. 7.
7 Иващенко М.М., Материалы к изучению культуры колхов: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, 1941, გვ. 19, თბილისი, 1941.
8 ქუთაისის მუზეუმის კატალოგში შეცდომით თოხის ნაცვლად აღნიშნულია დანა.

ქუთაისის მუზეუმის კოლექციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ზემო სიმონეთში, უნაგირას მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი განძი. მასში შედის: ერთი აღმოსავლურქართული ტიპის ცული; ორი ქედაბეკური მახვილის ფრაგმენტი; სატევრისპირის ფრაგმენტი; ისრისპირის ნაწილი;[1] ორი თოხის ნატეხი; ექვსი სეგ-




სურ. 4. ოფშკვითის განძი (ქუთაისის მუზეუმი)

მენტისებრი იარაღი; ბრინჯაოს წალდის (?) ფრანგმენტი; სპილენძის თუ ბრინჯაოს თხელფურცლიანი ჭურჭლის ნატეხები; ბრინჯაოს ზოდები 79 კგ და თიხის ჭურჭლის ნატეხები (სურ. 5).

ეს კოლექცია საყურადღებოა იმით, რომ აქ კოლხური კულტურის ნივთებთან ერთად გვხვდება ამიერკავკასიაში გავრცელებული მეზობელი კულტურებისათვის დამახასიათებელი ტიპური ფორმები. სამწუხაროდ, დასავლურქართული კულტურის ურთიერთობა ამიერკავკასიაში გავრცელებულ თანადროულ კულტურებთან სადღეისოდ ნაკლებადაა შესწავლილი, ვინაიდან საამისო მასალა ჯერჯერობით მეტად მწირია. დღემდე, მაგალითად, დასავლურქართულ კულტურისათვის დამახასიათებელ ნივთთაგან განჯა-ყარაბაღულ კულტურაში მხოლოდ ერთი კოლხური ცულია ნაპოვნი ყობანურ სწორკუთხა ბალთასთან ერთად სოფ. ვართაშენში.[2] კოლხურ კულტურაში კი, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, აღმოსავლურქართული ტიპის ცულს და ხელეჩოს, რომლებიც, გარდა აღმოსავლურქართული კულტურისა, დამახასიათებელია აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებული გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურებისათვის, განჯა-ყარაბაღული კულტურის ნივთები ჯერჯერობით სრულიად უცნობი იყო. ამიტომაცაა, რომ სიმონეთის განძში განსაკუთრებით

1 კატალოგში შეცდომით შუბისპირია შეტანილი.
2 ОАК за 1895, С. Петербург, 1897 გვ. 57, სურ. 121-124.



სურ. 5. ზემო სიმონეთის განძი (ქუთაისის მუზეუმი)

საინტერესო ის არის, რომ აქ ქედაბეკური ტიპის ორი მახვილი აღმოჩნდა. ამ ტიპის მახვილები კარგადაა ცნობილი განჯა-ყარაბაღულ კულტურაში. ორი ამგვარი მახვილი აღმოაჩინა ივანოვსკიმ ქედაბეკსა და კალეკენტს შორის, სადაც მან 72 სამარხი გათხარა.[1] ერთი ამ ტიპის მახვილი იპოვა რესლერმა 1894 წელს სოფ. უზუნლართან.[2] ჰუმელმა ელენენდორფის მახლობლად გათხრილ №1 ყორღანში სხვა ნივთებთან ერთად აღმოაჩინა ერთი მახვილიც.[3] რამდენიმე ამგვარი მახვილია დაცული საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. ისინი დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებშია ნაპოვნი.[4]

პროფ. გ. ნიორაძე, რომელმაც პირველმა შეისწავლა ამიერკავკასიაში გავრცელებული მახვილები, აღნიშნავს, რომ ქედაბეკური ტიპის მახვილი აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში, მტკვრის მარჯვენა მხარისაკენ იყო გავრცელებული, მტკვრის მარცხნივ კი, აღმოსავლეთ საქართველოში – ბოლოკვეთილი მახვილები.[5] აღმოსავლეთ საქართველოში დღემდე არც ერთი ქედაბეკური ტიპის მახვილი არ აღმოჩენილა. აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდში სრულიად განსხვავებული ტიპის მახვილები იყო გავრცელებული. ეს მახვილები აღმოსავლურ-ქართული კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ იარაღს წარმოადგენდა. მათი გავრცელების არეალი ძირითადად კახეთით შემოიფარგლება. რამდენიმე ამგვარი მახვილი სამთავროში აღმოჩნდა. მათი გავრცელების უკიდურესი პუნქტი საქართველოში სადღეისოდ სოფ. ახალქალაქია (ქართლი). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. იესე-

1 Ивановский А.А., По Закавказью:МАК, т. VI, Москва, 1911, стр. 89 и 103, табл. I. 1,3.
2 ОАК за 1894, стр. 14, рис. 70.
3 Гуммел Я.И., Погребальный курган (№1) около Еленендорфа, стр. 13, табл. VI.
4 ნიორაძე გ., ზემოავჭალის სამარე. გვ. 206.
5 იქვე.

ნის მიერ შედგენილ რუკაზე „ამიერკავკასიაში გავრცელებული მახვილები“ აღნიშნულია, რომ ერთი მახვილი თითქოს ნაპოვნი იყო შორაპანში.[1] ბ. კუფტინი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ცნობა შორაპანში აღმოჩენილი მახვილის შესახებ, რომელსაც ა. იესენი იყენებს, მეტად საეჭვოა.[2] ამრიგად, აღმოსავლურიქართული ტიპის მახვილების გავრცელების არე დღეს ახალქალაქს აღწევს.

დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით ამგვარი მახვილი არ აღმოჩენილა. აქ სადღეისოდ მხოლოდ სიმონეთის განძში ნაპოვნი ქედაბეკური ტიპის მახვილებია ცნობილი.[3] ეს პირველი შემთხვევაა ამ ტიპის მახვილის აღმოჩენისა საქართველოში. ეს გარემოება, საფიქრებელია, გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ეს კუთხე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება იმ რაიონს, სადაც ქედაბეკური ტიპის მახვილები იყო გავრცელებული, არქეოლოგიურად დღეს ნაკლებადაა შესწავლილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ქედაბეკური ტიპის მახვილი კოლხურ კულტურაში აღმოსავლურქართული კულტურის გზით შევიდა.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ქ ა რ თ უ ლ ი კულტურის საზღვრები სათანადოდ შესწავლილი არ არის და არც დასავლური და აღმოსავლურქართული კულტურების ურთიერთობის საკითხია ჯეროვნად გაშუქებული. ჯერ კიდევ ზუსტად არ არის დადგენილი, თუ სად გადიოდა აღმოსავლურქართული კულტურის დასავლეთის საზღვარი. უკანასკნელ ხანებში ბ. კუფტინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დასავლურ და აღმოსავლურქართულ კულტურათა საზღვარი არაგვის ხეობასთან უნდა ყოფილიყო, ე.ი. დაახლოებით იქ, სადაც შიდა ქართლის აღმოსავლეთის საზღვარი იყო.[4] ვფიქრობთ, რომ ბ. კუფტინის ეს მოსაზრება სავსებით მართებული არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ, როგორც ბოლო დროს ჩატარებული კვლევა-ძიებიდან ირკვევა, ქართლში, გვიანბრინჯაოს ხანაში, თითქოს შესაძლებელი ხდება თავისებური კულტურის დადგენა. ეს სამთავროს მასალებიდან კარგად ჩანს. როგორც ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, სამთავროს ორმოსამარხებში, რომლებშიც ჯერ კიდევ არ ჩანს რკინა, განსაკუთრებით კარგად გამოირჩევა ისეთი ფორმები, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, საკუთრივ ქართლისთვისაა დამახასიათებელი[5]. ამ საფეხურზე ეს კულტურა გარკვეულ მსგავსებას იჩენს დასავლურქართულ კულტურასთან, რომელიც ამ პერიოდში მძლავრი ჩანს აქ. მაგრამ გვიანბრინჯაოს ხანის მომდევნო საფეხურზე, როგორც ჩანს, დასავლური ელემენტი ქართლში თანდათანობით სუსტდება და ადგილს უთმობს აღმოსავლურქართული კულტურის მძლავრ ნაკადს. თუ რა ხდება ამ დროს აქ, ჯერ კიდევ სავსებით გარკვეული არ არის. რამდენად სწორია ბ. კუფტინის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში „შიდა ქართლი“ იმ აღმოსავლურქართულ ტომთა ექსპანსიას განიცდის, რომლებიც თავისი დროისათვის შესანიშნავი იარაღ-საჭურველით იყვნენ აღჭურვილნი (აღმოსავლურქართული

---

1 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 169, რუკა VI.

2 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XII-B, გვ. 330.

3 რაც შეეხება საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულ კოლექციას №5-49, აღმოჩენილს დრანდაში, რომელშიც სხვა ნივთებთან ერთად ქედაბეკური ტიპის მახვილიც გვხვდება, მისი აღმოჩენის ვითარება მეტად საეჭვოა.

4 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ.., გვ. 327, რუკა 12.

5 Чубинишвили Т.Н., Древнейшие грунтовые погребения Самтаврского могильника: КСИИМК, вып. 46, 1952, გვ. 59.

ცული, 2 ტიპის მახვილი, სატევარი, შუბისა და ისრისპირები[1] და სხვ), ძნელი სათქმელია. ასეა თუ ისე, ერთი კი თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ აღმოსავლურქართული კულტურის ტიპური ფორმები მძლავრად იჭრება ამ დროს აქ და გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს. ეს კარგად ჩანს თუნდაც იმ შერეული ხასიათის კომპლექსებიდან, რომელშიც აღმოსავლური ელემენტი უკვე აშკარად სჭარბობს დასავლურს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამთავროს ანთროპოლოგიური მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სამთავროს გვიანბრინჯაოს ხანის ანთროპოლოგიური ტიპი აშკარად განსხვავდება რკინის ხანის ტიპისაგან. როგორც მ. აბდუშელიშვილი აღნიშნავს, სამთავროს გვიანბრინჯაოს ხანის ანთროპოლოგიური ტიპი (ტიპი I) გარკვეულ მსგავსებას იჩენს ყობანის კულტურის მატარებელ მოსახლეობასთან. ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ პერიოდში სამთავროში ჩნდება სრულიად განსხვავებული ტიპი, რომელიც საკუთრივ რკინის ხანაში აქ გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს. ეს ტიპი, რომელსაც მ. აბდუშელიშვილი II ტიპს უწოდებს, ანალოგიას პოულობს უკვე სამხრეთ კავკასიის პალეოანთროპოლოგიურ ტიპებთან (სევანი, აზერბაიჯანი).[2] როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანის მოგვიანო საფეხურზე, როდესაც სამთავროში და საერთოდ შიდა ქართლში აღმოსავლურქართული ელემენტი იწყებს მომძლავრებას, სამთავროში სრულიად განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპი ჩნდება, რომელიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს აზერბაიჯანისა და სევანის რაიონში გავრცელებულ ტიპებთან.

სამწუხაროდ, დღემდე არ არის შესწავლილი ამ პერიოდის ანთროპოლოგიური მასალა კახეთიდან, რომელიც, ჩანს, აღმოსავლურქართული კულტურის ძირითადი ცენტრი უნდა ყოფილიყო და ამიტომაც ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია აქ გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპის შესახებ. მაგრამ არქეოლოგიური მასალების მიხედვით იმის დადგენა კი შეიძლება, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში კახური ბრინჯაოს კულტურა ახლოს იდგა აზერბაიჯანისა და სევანის რაიონში გავრცელებულ თანადროულ კულტურებთან და უკანასკნელი, ეგებ, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, ნაწილობრივ აღმოსავლურქართულ კულტურაშიც შედიოდა.[3] ამიტომ შესაძლოა, რომ აღმოსავლურქართული კულტურის მატარებელი მოსახლეობა II ტიპს ეკუთვნოდა და ეგებ, სწორედ მას შემოაქვს შიდა ქართლში ახალი ელემენტი. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია, რომ შიდა ქართლში აღმოსავლურქართული კულტურის მომძლავრებასთან ერთად სამთავროში სრულიად ახალი ანთროპოლოგიური ტიპი ჩნდება (ტიპი II).

ამავე პერიოდში იჭრება, ალბათ, აღმოსავლური ელემენტი დასავლურქართულ კულტურაში. მართალია, სადღეისოდ ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის გამოვლენილი აღმოსავლურქართული კულტურის ტიპური ფორმები დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ზოგი რამ, თუმცა უპირატესად შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად დაგროვილი, მაინც მოგვეპოვება. უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვაზე მეტად აღმოსავლურქარ-

---

1 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ. გვ. 326

2 აბდუშელიშვილი მ., ქართველი ერის წარმოშობის პრობლემა პალეოანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით (სამთავროს სამაროვნის კრანიოლოგიური მასალა), მოხსენების თეზისები, თბ., 1951.

3 ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, თბილისი, 1948, გვ. 27.

თული კულტურის ნივთებიდან აქ ცული გვხვდება.[1] დღეს უკვე რამდენიმე აღმოსავლურ-ქართული ცულია ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში. ამ ტიპის ერთი ცული, როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა აგრეთვე სიმონეთის განძში.

ლ ე ჩ ხ უ მ ი დ ა ნ დღემდე მხოლოდ რამდენიმე თოხია ცნობილი. სამი თოხი ნაპოვნია ცაგერის განძში, რომელიც 1938 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ცაგერის კოლმეურნეობის ფართობზე, „ჩიხეში“, მიწის გადაბრუნების დროს, თიხის ჭურჭელში. თოხებს თან ახლდა სეგმენტისებრი იარაღი (20 ც.); III ტიპის კოლხური ცული; აღმოსავლურქართული ტიპის ცული; ორი ნამგალი; სატეხი; მოზრდილი რგოლები; შუბისპირი; მხედრის ბრინჯაოს ქანდაკება; მილები და ზოდები (ცაგერის მუზ. კოლ. №1-19).[2]

ერთი მოზრდილი თოხი აღმოჩნდა სოფ. ორბელში 1932 წელს.

სოფ. ლეგორში II ტიპის კოლხური ცულთან ნაპოვნი იყო თოხი, მთა ლეხეროზე ცულთან ერთად აღმოჩნდა თოხი და ნემსი.[3]

ერთი თოხი სოფ. ლაცორიიდან დაცულია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში (საქართველოს მუზ. კოლ. №68-39/51).

რ ა ჭ ი დ ა ნ სადღეისოდ თოხები ცნობილია ორი ადგილიდან: რამდენიმე ქვიშარის განძიდან[4] და ერთი სოფ. ახალსოფლიდან (ამბროლაურის რაიონი) (ქუთაისის მუზ. კოლ. № 231).

დასასრულ, აღვნიშნავთ მ ე ს ხ ე თ შ ი აღმოჩენილ თოხებს. ბორჯომის მუზეუმში ინახება ერთი თოხი, ნაპოვნი სოფ. თელოვანში სეგმენტისებრ იარაღთან ერთად[5]. მეორე თოხი ამავე სოფლიდან დაცულია საქართველოს მუზეუმში[6]. ორი თოხი ცნობილია ასპინძის რაიონიდან – ნაპოვნია სოფ. ხიზაბავრაში ხელშუბისპირთან და სატევართან ერთად[7] (სურ. 6).

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ბრინჯაოს თოხები გვიანბრინჯაოს ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული კოლხურ კულტურაში. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თოხი ყველგან ერთნაირად არ იყო გავრცელებული. თოხი დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შედარებით ნაკლებად გვხვდება, აფხაზეთში კი იგი დღემდე სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე არქეოლოგიურად უკეთაა შესწავლილი, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხე. შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში ეს რაიონი თავისებურ, სპეციფიკურ სახეს ატარებდა. დღეს უკვე აშკარად შეიმჩნევა არაერთი ისეთი ფორმა, რომელიც საკუთრივ აფხაზეთისთვისაა დამახასიათებელი (კონუსისებრი მოყვანილობის სამკაულები; ფუტურო სამაჯურები, მოზრდილი ბრტყელი სამაჯურები და სხვ.). აქ თითქმის სრულიად არ გვხვდება კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნივთი. მაგალითისათვის შეიძლება

---

1 ო. ჯაფარიძე, ბეჟათუბნის განძი: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVI-B, გვ. 340.

2 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XII-B, გვ. 340.

3 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 128.


4 ნიორაძე გ., ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XV-B, გვ. 13.

5 ნიორაძე გ., არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 190.

6 იქვე, გვ. 192.

7 კატალოგში აღნიშნულია, რომ თოხებთან ერთად აღმოჩნდა ორი შუბისპირი, ნამდვილად კი ერთი ხელშუბისპირია, მეორე კი სატევრისპირის ნატეხი.

დავასახელოთ ბრტყელი ცული და თოხი. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთში ჯერჯერობით აღმოჩენილია სეგმენტისებრი იარაღის მხოლოდ ერთი ვარიანტი, კერძოდ მოზრდილი ცულები, რომელიც, ეგებ, ბარის ფუნქციას ასრულებდა. ამგვარი იარაღის სხვა ვარიანტები აქ დღემდე უცნობია. როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანაში აქ საკუთარი მეტალურგიული კერა უნდა არსებულიყო. როგორც უკ-



სურ. 6. ხელშუბისპირი და თოხები,
აღმოჩენილია სოფ. ხიზაბავრაში (საქართველოს მუზეუმი)

ვე არაერთხელ აღვნიშნეთ, სადღეისოდ არსებული მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ჭოროხის აუზში, ლეჩხუმსა და აფხაზეთში უნდა ყოფილიყო კოლხური კულტურის ძირითადი მწარმოებელი ცენტრები.[1] რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული უფრო წვრილი მეტალურგიული კერების არსებობაც[2]. როგორც ირკვევა, თითოეული მწარმოებელი ცენტრი, მეტ-ნაკლებად, გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს. აფხაზეთის შესახებ უკვე ზევით გვქონდა ლაპარაკი. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ლეჩხუმზედაც, სადაც აგრეთვე გამოირჩევა საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი ფორმები (მაგ., კოტებიანი ბრტყელი ცული).

კოლხური კულტურის ინდუსტრიული ცენტრებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ჭოროხის მეტალურგიული კერა. იგი, როგორც ჯერ კიდევ თავის დროზე აღნიშნავდა ა. იესენი,[3] ჩანს, ყველაზე მძლავრი უნდა ყოფილიყო. ამას ერთგვარად ისიც ადასტურებს, რომ სწორედ აქ არის აღმოჩენილი ყველაზე მეტად განძები. ეს განძები თითქმის ყოველთვის თოხების, სეგმენტისებრი იარაღისა და ზოდებისაგან შედგება. საყურადღებოა, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში ნაპოვნი განძები სხვა ნივთებთან ერთად თითო-ოროლა თოხსაც შეიცავს ხოლმე. ამიტომ, საფიქრებელია, რომ თოხი ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული ცენტრიდან გამო-

1 ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, გვ. 52.
2 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ, 129.
3 იქვე.

სული ნაწარმი უნდა ყოფილიყო და აქედან უნდა გავრცელებულიყო სხვა რაიონებში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ, როგორც ჩანს, თოხი ხშირად ხალასი სპილენძისაგანაც მზადდება.[1] სამწუხაროდ, დღემდე დასავლურქართული კულტურიდან გამოსული ნივთების მხოლოდ რამდენიმე ქიმიური ანალიზია ჩატარებული; მაგრამ იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც სადღეისოდ ხელთა გვაქვს, შეიძლება ითქვას, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოში, ჩანს, ნივთები ხალასი სპილენძისაგანაც უკეთებიათ. კიდევ მეტიც: როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავს, ზოგიერთი ტიპის ნივთებს, უპირატესად, ბრინჯაოსაგან ასხამდნენ, ზოგს კი ხალასი სპილენძისაგან.[2] რამდენად სწორია ეს უკანასკნელი მოსაზრება, ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, ოღონდ არსებული მასალებით ერთის თქმა შეიძლება, რომ ამ პერიოდში ნივთები ზოგჯერ ხალასი სპილენძისაც უმზადებიათ. შესაძლოა, რომ ეს მართლაც, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, გამოწვეული იყო კალის ნაკლებობით, რომელსაც, ალბათ, პერიოდულად განიცდიდა წარმოების ესა თუ ის ცენტრი, მით უმეტეს, რომ როგორც ფიქრობენ, კალა საქართველოში გარედან შემოჰქონდათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, წინასწარი დაკვირვების სახით, რომ ხალასი სპილენძის ნაწარმი ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული ცენტრიდან გამოდიოდა. ამ მოსაზრების წამოყენებას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ყველაზე ხშირად სპილენძისაგან ნაკეთებია ის ნივთები, რომლებიც სწორედ ამ ინდუსტრიული ცენტრისთვისაა დამახასიათებელი – თოხი და სეგმენტისებრი იარაღი; მეორე მხრივ, ამას კარგად ადასტურებს სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული კოლხური კულტურის ნივთების ქიმიური ანალიზი. განსაკუთრებით საყურადღებოა ვ. სკინდერის მიერ შესწავლილი 1905 წელს ციხისძირში აღმოჩენილი რამდენიმე ნივთის ქიმიური ანალიზი. მან სამი ანალიზი გააკეთა: ზოდი, Cu-94,75% ; თოხი, Cu-96,80%; სეგმენტისებრი იარაღი[3], Cu-97,01%. ამრიგად, სამივე ნივთი, მცირე მინარევების გარდა, თითქმის ხალასი სპილენძისგანაა ჩამოსხმული.[4] ა. იესენს თავის ცხრილში მოჰყავს ციხისძირში 1927 წელს აღმოჩენილი განძის ერთი ზოდის ანალიზი, რომელიც დაახლოებით 100% სპილენძს შეიცავს. უსათუოდ საინტერესოა სოფ. გოგოლეისუბანში 1944 წელს აღმოჩენილი განძიდან ზოდის, კოლხური ცულის და სამაჯურის ქიმიური ანალიზი.[5] როგორც ირკვევა, ნივთები თითქმის სუფთა სპილენძისაგანაა ნაკეთები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღემდე მხოლოდ რამდენიმე კოლხური ცულის ანალიზია ჩატარებული. აქედან ზოგიერთები – ერთი პროფ. გ. ნიორაძის მიერ ქვემო სასირეთში აღმოჩენილი ცული (Cu-91,01%; Sn-8,53%)[6]; მეორე – ვენის მუზეუმში დაცული ცული ყობანიდან (Cu-79,13%; Sn-14,74%)[7] და ოთხი

---

1 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 178; Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 210.

2 Куфтин Б.А., იქვე.

3 სკინდერის ნაშრომში აღნიშნულია „სეკირა“. ვფიქრობთ, რომ იგი სეგმენტისებრი იარაღი უნდა იყოს, ვინაიდან ამ განძში „სეკირა“ არ გვხვდება.

4 Скиндер В., Химическое исследование медных археологических объектов из Закавказья: Изв. Акад. Наук, VI сер., С.П., 1909, стр. 75.

5 ჩუბინიშვილი ტ. ნ., სოფ. გოგოლეისუბანში გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კომპლექსის აღმოჩენის გამო: მიმომხილველი, ტ. I თბილისი, 1949, გვ. 295.

6 Nioradze G., Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi; ESA, VII, Helsinki, 1932, გვ. 96.

7 Hancar F., Die Beile aus Koban in der Wiener Sammlung Kavkasischer Altertümer; Wiener Prähistorische Zeitschrift. XXI, Wien, 1934, გვ. 16.

ლეხვანოდან და ჯვარიდან[1] – საკმაო ოდენობით შეიცავენ კალას. კალის შედარებით ნაკლები პროცენტია ე. შანტრის მიერ ყობანში აღმოჩენილ ცულში (Cu-95,8%; Sn-4,2%)[2]. დანარჩენი ორი კოლხური ცული – ერთი ორდუს განძიდან (Cu-98,9%)[3], მეორე კი გოგოლეისუბნიდან – ჩამოსხმულია თითქმის ხალასი სპილენძისაგან. საყურადღებოა აგრეთვე სოფ. ჯვარში ნაპოვნი ერთი თოხის ქიმიური ანალიზი, რომელიც 97,4% სპილენძს შეიცავს[4]. ეს კი, ვფიქრობთ, ერთგვარად ამაგრებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჭოროხის საწარმოო ცენტრიდან განვითარებულ ბრინჯაოს პერიოდში ხალასი სპილენძის ნაწარმიც გამოდიოდა. ჭოროხი ხომ ძირითადად სწორედ ამ რაიონს აწვდიდა თავის ნახელავს. შესაძლოა ეს გარემოება გამოწვეული იყო იმით, რომ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ამ პერიოდში ჭოროხის ინდუსტრიული ცენტრი ყველაზე მძლავრი უნდა ყოფილიყო. აქედან გამოდიოდა, ალბათ, ძირითადი მასა ლითონის ნაწარმისა, რომელზედაც, ჩანს, ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო. ამ მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ალბათ, ყოველთვის არ იყოს სამყოფი კალა და, როგორც ჩანს, კალის ნაკლებობას განიცდიდა არა მარტო ჭოროხის აუზი, არამედ საერთოდ კავკასიის ლითონის ინდუსტრიის სხვა ცენტრებიც. ალბათ, ამის გამო ზოგჯერ ნივთები სპილენძისაგანაც მზადდებოდა. რა თქმა უნდა, დასავლურქართული კულტურის სხვა მეტალურგიულ კერებთან შედარებით ამ ნაკლებობას სხვაზე მეტად ჭოროხი განიცდიდა, ვინაიდან იგი ყველაზე მძლავრი უნდა ყოფილიყო ამ პერიოდში. ბუნებრივია, მას გაცილებით უფრო მეტი მოთხოვნილება ჰქონდა კალისა, კალა კი, ალბათ, ყოველთვის საკმარისი რაოდენობით არ შემოდიოდა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თოხებს დიდი რაოდენობით ვხვდებით როგორც განძებში, ისე ცალკე აღმოჩენების სახით. თითქმის ყველა ცალს აშკარად ეტყობა, რომ იგი ხმარებაში ყოფილა, ვინაიდან პირი ჩვეულებრივად ძლიერ მოცვეთილი აქვს ხოლმე, ხშირად კი ნაკლულია კიდეც, განსაკუთრებით განძებში ნაპოვნი თოხები. ის გარემოება, რომ თოხები ასეთი დიდი რაოდენობით გვხვდება, გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ, როგორც აღვნიშნეთ, თოხი უპირატესად სპილენძისა იყო და ამის გამო იგი თავის სამუშაო ფუნქციას ისე ინტენსიურად ეღარ ასრულებდა და შედარებით მალე გამოდიოდა ხმარებიდან, უვარგისი ხდებოდა, ვინაიდან თოხს ძირითადად მიწის დასამუშავებლად ხმარობდნენ, რაც, რასაკვირველია, მეტად მძიმე იყო. საჭირო ხდებოდა ხოლმე მისი ახლით შეცვლა. ამიტომ მასზე დიდი მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო. უმართებულოდ გვეჩვენება ა. იესენის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თოხი „შესაძლოა, ზოდის როლსაც ასრულებდა“.[5] როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თითქმის ყველა თოხს აშკარად ეტყობა, რომ იგი ხმარებაში ყოფილა და ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს მივიჩნიოთ იგი ზოდად, რომელიც თითქოს სხვა ნივთთა ჩამოსასხმელად იყო განკუთვნილი.

---

1 Данилевский, В.В., Историко-технологическое исследование древних бронзовых и золотых изделии с Кавказа и северного Урала: Изв. ГАИМК, вып. 110, М.-Л., 1935, გვ. 227.

2 Chantre E., Recherches anthropologiques dans le Caucase, t. II, Paris-Lyon, 1886, გვ. 97.

3 Przeworski Sr., Der Grottefund von Ordu: Archiv Orientalni, vol. 7, №3; vol, 8, №1, Praha, 1935-1936, გვ. 399.

4 Данилевский, В.В., Историко-технологическое исследование древних бронзовых и золотых изделии с Кавказа и северного Урала: Изв. ГАИМК, вып. 110, М.-Л., 1935, გვ. 227.

5 Иессен А.А., დასახ. ნაშრ. გვ. 57.



სურ. 7. ჩურის-ხევის კოლექცია
(საქართველოს მუზეუმი)

აღმოსავლურქართულ კულტურაში რამდენიმე ბრინჯაოს თოხია აღმოჩენილი, ხუთი თოხი ნაპოვნი იყო სოფ. თერეგვაში (ზნაურის რაიონი).[1] ერთი თოხი მასრაგახსნილ შუბისპირთან, ხელშუბისპირთან, ნამგლის ფრაგმენტთან და ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხებთან ერთად აღმოჩნდა ამავე რაიონის სოფ. ჩურისხევში (სურ.7). მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება ერთი თოხი, ნაპოვნი სოფ. ახუდნაში (სოფ. ღვწეს მახლობლად). ბ. კუფტინს თავის უკანასკნელ ნაშრომში გამოქვეყნებული აქვს ერთი თოხი, აღმოჩენილი სოფ. მოხისში.[2] ერთი თოხი შემთხვევით აღმოჩნდა სოფ. ხანდაკში (კასპის რაიონი). დუშეთის რაიონში სოფ. კოდის წყაროში მიწის ხვნის დროს შემთხვევით აღმოჩნდა ორი თოხი აღმოსავლურქართულ ცულთან ერთად (სურ. 8). ამავე რაიონის სოფ. შუახევში სპილენძის მოზრდილ ჭურჭელში აღმოჩნდა ერთი პატარა თოხი, ლაგმის საყბეურის ნაწილი და 15 ზოდი.[3]

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემო ქართლში დღემდე ერთადერთი თოხია ცნობილი, რომელიც თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა მარალან-დერესის სამაროვანზე ვანის ეპოქის ერთ-ერთ სამარხში.[4]

ამრიგად, აღმოსავლურქართულ კულტურაში თოხიც, ისევე როგორც კოლხური კულტურის სხვა ნივთებიც, ძირითადად შიდა ქართლში გვხვდება.

საქართველოს ფარგლებს იქით ამ ტიპის თოხი საერთოდ უცნობია. ჯერჯერობით მხოლოდ ორი თოხია აღმოჩენილი: ერთი ყარსის მხარეში, მეხჩის ციხის ცნობილ განძში, მეორე კი ართვინის განძში.[5] რაც შეეხება პიატიგორსკის მუზეუმში დაცულ ერთ თოხს, როგორც ა. იესენი აღნიშნავს, იგი, ალბათ, ის თოხი უნდა იყოს, რომელიც ვ. სკინდერს გადასცეს საანალიზოდ ციხისძირის განძიდან.[6] აქვე უნდა შევნიშნოთ,

---

1 Куфтин Б.А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, стр. 31.

2 იქვე, ტაბ. VIII.

3 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 53.

4 იქვე, გვ. 52.

5 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 140.
Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XII-B, გვ. 329; კ. ბიტელი, ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები: ენიმკის მოამბე, ტ. II_2, თბილისი, 1938, სურ. 6.

6 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 118 და 122, სქოლიო.

რომ პროფ. გ. ნიორაძე ქვიშარში აღმოჩენილი განძის განხილვისას ჩერდება თოხებზედაც, რომელთაც იგი ხელეჩოს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ამ ტიპის იარაღი საქართველოს ტერიტორიის გარეშეც ბევრგანაა ცნობილი[1]. პატივცემული მკვლევარი, ალბათ, საერთოდ ხელეჩოებს გულისხმობს, თორემ ამგვარი იარაღი საქართველოს საზღვრებს გარეთ, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთვის უცნობია. რაც შეეხება ამ იარაღის ფუნქციას, ამის შესახებ უკვე ჩვენს ერთ ნაშრომში აღვნიშნავდით, რომ იგი თოხი უნდა ყოფილიყო.[2]

ვფიქრობთ, რომ ეს იარაღი უთუოდ მიწის დასამუშავებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მიწათმოქმედებას, ჩანს, დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანაში მეურნეობაში წამყვანი როლი ეკავა. საქართველოს ეს მხარე ამ პერიოდში დაფარული უნდა ყოფილიყო ხშირი ტყეებით. მრავლად იყო აგრეთვე დაჭაობებული ადგილებიც, რაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლიდა მესაქონლეობის განვითარებას.[3]

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში ძველთაგანვე მიწათმოქმედება მაღალ საფეხურზე მდგარა. ნეოლითური ხანის სადგომებიდან, რომელთა რიცხვიც ჯერჯერობით, მართალია, მეტად მცირეა, უკვე აშკარად ჩანს, რომ მიწათმოქმედება გარკვეულ განვითარებას აღწევს. სამწუხაროდ, დღემდე არც ერთი ნეოლითური სადგომი სათანადოდ შესწავლილი არ არის, მაგრამ ამ პერიოდის თითქმის ყველა ჩვენთვის ცნობილი ძეგლი მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდის სწორედ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით. ნეოლითური დროის სადგომებში ოდიშში, თეთრა მიწასა და სათაფლიაში, ანასეულში, კისტრიკში კარგადაა წარმოდგენილი ხელსაფქვავის ქვები, კაჟის დაკბილული ნამგლის პირები, ქვის თოხები და სხვა.[4] მომდევნო ხანის ძეგლებში კი უკვე კულტურული მცე-



სურ. 8. აღმოსავლურქართული ცული და თოხები
კოდის-წყაროდან (საქართველოს მუზეუმი)

1 ნიორაძე გ., ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 13.
2 ჯაფარიძე ო., დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, გვ. 117.
3 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 113; ხოშტარია ნ., დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, 2, თბილისი, 1944, გვ. 211.
4 კალანდაძე ა., მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში: ენიმკის მოამბე, ტ. IV, 1939, გვ. 369.

არეების ნაშთებიც გვხვდება. ამიერკავკასიაში ენეოლითური დროის ნამოსახლარებში მრავლად აღმოჩნდა ამ პერიოდის მცენარეულობა: შენგავითი, ელარი და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა ანაკლიის მახლობლად მდებარე დიხა გუძუბას ქვედა ფენაში აღმოჩენილი კულტურული და ტყის მცენარეულობის ნაყოფის ნაშთები.[1]

ეს მასალა შეისწავლა ბოტანიკოსმა ვ. მენაბდემ, რომელიც გამოჰყოფს: ფეტვს, ქერს, ხორბალს და სხვ.[2] საყურადღებოა, რომ აქ აღმოჩნდა ნახშირად ქცეული ხორბლის Triticum macha Dekapr. et Men. ნაშთები, რომელიც საქართველოს ორიგინალურ ენდემურ სახეობას მიეკუთვნება.[3] სპეციალისტთა აზრით, ხორბლის ეს ფორმა ერთერთ უძველეს სახეობად შეიძლება ჩაითვალოს.[4] ვ. მენაბდე ფიქრობს, რომ Tr. macha წარმოადგენს გარდამავალ სახეობას გარეულიდან კულტურული ტიპის ხორბალზე და იგი ძველი აბორიგენული მცენარე უნდა ყოფილიყო.[5] ხორბლის ეს სახეობა დღეს შემორჩენილია დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში. საქართველოს სხვა ადგილებში და მის გარეთ კი ეს ფორმა სრულიად უცნობია.[6] აღსანიშნავია, რომ საქართველოში ცნობილია აგრეთვე მეორე ენდემური სახეობა „ზანდური“ (Triticum Timopheevi Zhuk) და აგრეთვე რამდენიმე უფრო წვრილი სისტემატიკური ერთეული.[7] გარდა ამისა, საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე მოიპოვება აგრეთვე ისეთი ფორმა Tr. persicum, რომელსაც შედარებით უფრო ფართო არეალი აქვს (სომხეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ოსმალეთი და დაღისტანი), ოღონდ ჩვენში მისი გაცილებით უფრო მეტი ნაირსახეობა მოიპოვება. საყურადღებოა, რომ საქართველოში გავრცელებულია აგრეთვე ისეთი ფორმა, რომელიც წინა აზიის ენდემურ სახეობას წარმოადგენს.[8] როგორც პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი ფიქრობს, ეს ფორმები უნდა იყოს რელიქტური, ე.ი. ძველი ფორმები, რომლებიც წინათ უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, დღეს კი ისინი გადაშენების გზაზე არიან და აქ-იქ შეუცვლელი სახით გვხვდებიან.[9]

ფორმათა ასეთი ნაირსახეობა სპეციალისტებს საშუალებას აძლევს გამოჰყონ ხორბლის ფორმათა წარმოქმნის საქართველოს კერა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველო შედის ხორბლის წარმოშობის ძირითად ოლქში.[10] ცნობილია, რომ მკვლევართა უმრავლესობა ხორბლის წარმოშობის პირველად ცენტრად წინა აზიას მიიჩნევდა, უპირატესად, სუმერეთს.[11] ბ. ჰროზნის აზრით, სუმერებმა გამოიყენეს პირველად მიწათმოქმედებაში თოხი და სახვნელი.[12] ნიშან-

---

1 Лукин А.Л., Неолитическое селище Кистрик близ Гудаут: Сов. археология, т. XII, стр. 256, 260, 284; М. Л., 1950; ჯაფარიძე ო., დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, გვ. 110; ხოშტარია ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 210.

2 Менабде В., Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. I, № 9, თბილისი, 1940, გვ. 684.

3 Менабде В., დასახ. ნაშრ., გვ. 684; დეკაპრელევიჩი ლ.ლ., შ. რუსთაველის ეპოქის უმთავრესი კულტურები: შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 5 და 35.

4 დეკაპრელევიჩი ლ.ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 10 და გვ. 39.

5 Менабде В., დასახ. ნაშრ., გვ. 685. მისივე, Пшеницы Грузии, Тбилиси, 1948, стр. 15.

6 Менабде В., Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды, стр. 684.

7 დეკაპრელევიჩი ლ.ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 5 და გვ. 35.

8 იქვე.

9 იქვე.

10 იქვე

11 Менабде В., Пшеницы Грузии, стр. 12.

12 Hrozny B., La charrue en Sumer-Akad, en Egypte et en Chine: Archiv Orientalni, Vol. X, №3, 1938, გვ. 437.

დობლივია, რომ სწორედ აქ ურის გათხრების დროს აღმოჩნდა უძველესი სახვნელი იარაღი.[1] ბ. ჰროზნი აღნიშნავს, რომ სუმერულ-ბაბილონურმა სასოფლო-სამეურნეო კულტურამ IV ათასწლეულში დიდი გავლენა იქონია ეგვიპტის და ჩინეთის სოფლის მეურნეობაზე[2]. ცხადია, რომ ხალხს, რომელმაც პირველად გამოიყენა მიწათმოქმედებაში თოხი და შემდეგ სახვნელი, უთუოდ, დაწინაურებული მიწათმოქმედება უნდა ჰქონოდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართული სახვნელი, როგორც ამას გ. ჩიტაია აღნიშნავს, ახლო გენეტიკურ კავშირშია წინა აზიის სახვნელთან.[3] თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ხორბლის 12 კულტურული სახეობიდან საქართველოში 10 სახეობა გვხვდება[4] და რამდენიმე ენდემური ტიპი გამოირჩევა, ხოლო ამათგან Tr. macha, რომელსაც ჯერ კიდევ ველური ხორბლის თავისებურება ახასიათებს და, მეცნიერთა აზრით, კულტურული ხორბლის პროტოტიპს წარმოადგენს[5], ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოში გვხვდება, მაშინ აშკარა გახდება, რომ ქართველ ტომებს ძველთაგანვე დაწინაურებული მიწათმოქმედება ჰქონიათ და წინა აზიის სხვა ხალხებთან ერთად მათაც გარკვეული წვლილი შეუტანიათ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებაში. ცნობილია, რომ ქართველი ხალხის დაწინაურებულ მიწათმოქმედებაზე მოგვითხრობენ წერილობითი წყაროებიც. ჯერ კიდევ ჰეროდოტესთან ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ კოლხეთი ძველთაგანვე განთქმული იყო სელის ნაწარმით, რომელიც კიდეც გაჰქონდათ. ქსენოფონტე მოგვითხრობს, რომ 10.000 ბერძენ მეომარს კოლხეთში დიდძალი პური დახვედრია ჯერ კიდევ წინა წლის მოსავლისა. იგი აღიშნავს, რომ აქ ორი სახეობის ხორბალი მოჰყავთო. საყურადღებოა აგრეთვე ბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ, რომელიც, აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოს მიწათმოქმედების მაღალხარისხოვანი კულტურის ანარეკლი უნდა იყოს.[6] დაახლოებით ამასვე ვხვდებით აგრეთვე სხვა ხალხთა ლეგენდებშიც (ოსური, სკვითური და სხვა).[7] ამრიგად, ამ გადმოცემებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართველებს ძველთაგანვე განვითარებული მიწათმოქმედება ჰქონიათ. რა თქმა უნდა, ასეთ დაწინაურებულ მიწათმოქმედებას სათანადოდ გაუმჯობესებული მიწის დასამუშავებელი იარაღიც უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, სადღეისოდ მიწის დასამუშავებელი იარაღები მეტად მცირე მოეპოვება არქეოლოგიას არა მარტო ჩვენში, არამედ საერთოდ[8].

ცნობილია, რომ მიწის დამუშავების უძველეს იარაღს თოხი წარმოადგენს. თავდაპირველად თოხი ხის ან ქვის იყო, შემდეგ კი ლითონისა. მაგრამ რიგ ქვეყნებში ხისა და ქვის თოხები საკმაოდ დიდხანს შემორჩა.[9] ძველ ეგვიპტეში ხის თოხი ცნობილი

---

1 Woolley C., Ur Excavations, Vol.II, New-York, 1934, გვ. 336, ტაბ. 192, 12.

2 Hrozny B., დასახ. ნაშრ., გვ. 437.

3 Читая Г., К вопросу о происхождения абхазских пахотных орудий: საქ.მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 4, თბილისი, გვ. 375.

4 დეკაპრელევიჩი ლ.ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 4

5 Менабде В., Пшеницы Грузии, стр. 15.

6 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I-2, თბილისი, 1930, გვ. 263.

7 იქვე, გვ. 264; ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი: ენიმკის მოამბე, ტ. I, თბილისი, 1937. გვ. 291.

8 Арциховский А. В., Социологическое значение эволюции земледельческих орудий: РАНИОН, Труды социологической секции. т. I, Москва, 1927, стр. 125.

9 Чайлд Г., Прогресс и археология, Москва, 1949, стр. 52 и стр. 71; Очерки по истории техники Древнего Востока, М.-Л., 1940, стр. 151.

იყო ყველა პერიოდში. ლითონის თოხი აქ, როგორც ჩანს, შედარებით იშვიათი იყო.[1] ჩვენში, რა თქმა უნდა, გარკვეულ საფეხურზე ხისა და ქვის თოხები იყო გავრცელებული, განვითარებულ ბრინჯაოს ეპოქაში კი ფართო გავრცელებას პოულობს ლითონის თოხი. ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი იყო ჩვენში ლითონის თოხი ლითონის ინდუსტრიის უფრო ადრინდელ საფეხურზე. პირველად ლითონის თოხი გვხვდება ურეკის განძში, რომელიც ჩვენ მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარს მივაკუთვნეთ.[2] ამ განძში სხვა ნივთებთან ერთად თავისებური ფორმის რამდენიმე თოხი აღმოჩნდა. ჯერჯერობით სხვაგან ამ ტიპის თოხები არ გვხვდება. ეს თოხები დღემდე ჩვენში ყველაზე ადრეული ფორმა ჩანს, თუმცა ურეკის თოხები უკვე იმდენად ჩამოყალიბებულ ტიპს წარმოადგენს, რომ საგულისხმებელია ჩვენში უფრო ადრე არსებულიყო ლითონის თოხი. რასაკვირველია, ეს თოხი ჯერ კიდევ ვერ შეცვლიდა საბოლოოდ ქვის ან ხის თოხს. ჩანს ეს დასავლურქართულ კულტურაში გვიანბრინჯაოს ხანაში მოხდა. სხვაგან, ძველ ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი, ბრინჯაომ საბოლოოდ ვერ განდევნა ქვა. მიწათმოქმედებაში ქვის იარაღი აქ საკმაოდ დიდხანს შემორჩა. მხოლოდ რკინამ შეძლო მისი საბოლოოდ გაძევება.[3] დასავლურქართულ კულტურაში კი ეს პროცესი, ჩანს, უკვე გვიანბრინჯაოს ხანაში უნდა დამთავრებულიყო. აქ, როგორც ცნობილია, უხვადაა წარმოდგენილი ლითონის ინვენტარი: საომარი იარაღები, სამკაულები თუ შრომის იარაღები. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ დასავლურქართულ კულტურაში ამ პერიოდში ჭარბი იყო სპილენძის მადანი და, როგორც აღნიშნული გვქონდა, მას ლითონის ინდუსტრიის რამდენიმე მძლავრი კერაც მოეპოვებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქვის იარაღი აქ შედარებით ადრე უნდა შეცვლილიყო ლითონით.

საყურადღებოა, რომ საერთოდ სხვაზე მეტად ქვის იარაღი მიწათმოქმედებაში შემორჩა (თოხები, ნამგლისპირები), ვინაიდან ლითონის იარაღი მიწის დამუშავებისას ადრე გამოდიოდა ხმარებიდან და იგი შედარებით ძვირი იყო. ლითონისაგან, უპირატესად, საომარი იარაღი და სამკაულები მზადდებოდა. დასავლურქართულ კულტურაში კი, პირიქით, საომარ იარაღთან და სამკაულთან ერთად კარგადაა წარმოდგენილი სწორედ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ლითონის იარაღები: თოხი, ნამგალი და სხვა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ არც ერთ სხვა კულტურაში არ გვხვდება ასეთი დიდი რაოდენობით ლითონის თოხები, როგორც კოლხურში. ამ ტიპის თოხი სხვაგან სრულიად უცნობია. საფიქრებელია, რომ იგი დასავლურქართული კულტურის ნიადაგზე შექმნილი ტიპი უნდა იყოს.

ნიშანდობლივია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბრინჯაოს თოხი გარკვეულ გენეტიკურ კავშირშია მომდევნო ხანის საქართველოში გავრცელებულ რკინის თოხებთან.[4] საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულია ორი რკინის თოხი, შემთხვევით აღმოჩენილი სოფ. ორბელში (ლეჩხუმი). ეს თოხები, უთუოდ, მსგავსებას იჩენს ბრინჯაოს თოხებთან. საყურადღებოა, რომ გარკვეული მსგავსება

---

1 Nöltker G., Steinerne Ackerbaugeräte: Internationales Archiv für Ethnographie, Bd. XLV, 1947, გვ. 114; Мачинский А. В., Две заметки о технике древне-египетского земледелия: Труды института истории науки и техники, сер. I, вып. 6, М.-Л., 1935, стр. 279.

2 ჯაფარიძე ო., დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, გვ. 118.

3 Чаилд Г., დასახ. ნაშრ., გვ. 71.

4 Иващенко М.М., Материалы к изучению культуры колхов. стр. 20 и 54.

შეიმჩნევა აგრეთვე საქართველოს დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებულ თოხებთან, განსაკუთრებით ე.წ. იმერულ თოხთან.

ამრიგად, ბრინჯაოს თოხს გვიანბრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედებაში ფართო გამოყენება ჰქონია დასავლეთ საქართველოში. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თოხი ამ პერიოდში არ იყო მიწის დასამუშავებელი ერთადერთი იარაღი. საფიქრებელია, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში ამიერკავკასიაში მიწის დასამუშავებლად უკვე სახვნელსაც იყენებდნენ.[1] სამწუხაროდ, დღემდე რაიმე პირდაპირი საბუთი ამისა არა გვაქვს. მაგრამ პროფ. გ. ჩიტაიამ თავის საყურადღებო ნაშრომებში ქართული სახვნელი იარაღების შესახებ აშკარად დაგვანახა, რომ ქართული ტომები ძველთაგანვე იყენებდნენ მიწათმოქმედებაში სახვნელ იარაღს. აფხაზური სახვნელი იარაღის შესწავლისას იგი აღნიშნავს, რომ ეს სახვნელი ძალიან ახლო დგას ურის სახვნელთან, რომელიც ჯერჯერობით ყველაზე ძველია.[2] ამ ტიპის სახვნელი საერთოდ ფართოდ იყო გავრცელებული მთელ წინა აზიაში. ახლო დგას აგრეთვე იგი ეტრუსკულ სახვნელთან, რომელიც ეტრუსკებმა შეიტანეს იტალიაში თავისი ძველი სამშობლოდან.[3] განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ სახვნელის ამ ტიპმა თანდათანობით განვითარების შედეგად ქართველ ტომებში მიაღწია თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს რაჭული სახვნელის სახით.[4] როგორც ჩანს, ქართველმა ტომებმა გარკვეული როლი შეასრულეს მიწათმოქმედების იარაღების, კერძოდ კი სახვნელი იარაღის გაუმჯობესებაში.[5] ამრიგად, როგორც ირკვევა, ქართველმა ტომებმა, წინა აზიის სხვა ხალხებთან ერთად, საკმაოდ ადრე დაიწყეს მიწათმოქმედებაში სახვნელი იარაღის გამოყენება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში ამიერკავკასიაში უკვე აშკარად შეიმჩნევა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის ნიშნები. ამიტომ საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში მეურნეობის წამყვანი დარგები, მიწათმოქმედება თუ მესაქონლეობა, უკვე გარკვეულ განვითარებას აღწევს, ვინაიდან მხოლოდ დაწინაურებული მეურნეობის დროსაა შესაძლებელი საზოგადოების ფენებად დაყოფა. ამ შემთხვევაში ჩვენ დასავლურქართულ კულტურის წრე გვაინტერესებს და, როგორც აღნიშნული გვქონდა, აქ ამ პერიოდში მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო. მიწათმოქმედების გარკვეულ საფეხურზე მიწის დამუშავების ძირითად იარაღს თოხი წარმოადგენდა, ხოლო მიწის დამუშავების პროცესს ამ დროს ძირითადად ქალი ახორციელებდა. ამ სტადიაზე მიწათმოქმედება შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებდა, ვინაიდან თოხით შესაძლებელი იყო მცირე ფართობის დამუშავება და ამიტომაც ამ პერიოდში მიწათმოქმედება ვერ იქნებოდა მეურნეობაში წამყვანი დარგი.[6] მაგრამ შემდეგში სახვნელი იარაღის შემოღებამ მიწათმოქმედებაში, როგორც ცნობილია, დიდი გარდატეხა მოახდინა. მიწის დამუშავება თანდათანობით მამაკაცის ხელში გადავიდა, ვინაიდან ეს პროცესი ახლა უფრო რთული და მძიმე გახდა.[7] ახლა უკვე ადამიანს შეეძლო გაცილებით უფრო დიდი ფართობის

---

1 Пиотровский Б.Б., Археология Закавказья, стр. 71, Ленинград, 1949.

2 Читая Г., К вопросу о происхождении абхазских пахотных орудий, стр. 375.

3 Читая Г., დასახ. ნაშრ. გვ. 375; ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, გვ. 286.

4 ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, გვ. 285; Читая Г., К вопросу о происхождении абхазских пахотных орудий, стр. 375.

5 ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, გვ. 276.

6 Арциховский А.В., დასახ. ნაშრ. გვ. 127.

7 იქვე, გვ. 128.

დამუშავება და საშუალება ეძლეოდა იქ, სადაც საამისო სათანადო პირობები იყო, მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვან დარგად გაეხადა. ამრიგად, იქ, სადაც მიწათმოქმედება მეურნეობის ძირითადი დარგი იყო, მიწის დასამუშავებლად, უთუოდ, სახვნელს იყენებდნენ.

მიწის მოხვნა ყოველთვის სახვნელით ვერ ხერხდება. ეს გარემოება, უპირატესად, გამოწვეულია ხოლმე დასამუშავებელი ადგილისა და ნიადაგის თავისებურებით. ამ მხრივ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ნიადაგი და მიწის ზედაპირი გასაოცარ მრავალგვარობას იჩენს, ზოგან ბარია, ზოგან მთა, ზოგი ადგილი ღრმა მოხვნას მოითხოვს, ზოგი კი – უფრო ზედაპირულს.[1] ცხადია, რომ ყოველი ნიადაგი თავისებურ დამუშავებას მოითხოვს.

საქართველოს რელიეფისა და ნიადაგის მრავალგვარობის გამო, ზოგჯერ მიწის დამუშავება სახვნელით ვერ ხერხდება, ალბათ, უპირატესად მთის ზოლში, და მიწის დასამუშავებლად თოხს ხმარობდნენ ხოლმე. წერილობითს წყაროებში დაცულია რამდენიმე საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ მიწის დამუშავება მარტო სახვნელით კი არ წარმოებდა, არამედ თოხითაც. განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი მთაწმინდელის თხზულება იოანეს და ექვთიმეს ცხოვრების შესახებ, სადაც ვკითხულობთ, რომ ათონის მთის ბერები მთიან ადგილებს თოხით ამუშავებდნენ: „ბურღალთაგან ყოველნი სოფელნი ჭირსა შინა იყვნეს და კნინღა უკაცრულ, და ჭირისა მაგიერ უფროსი სათესავი მთასა შინა იქმნებოდა თოჴითა; საწუნე და დიკაჲ და სელი და თივისა თიბაჲ და ამას ყოველსა ძმანი შურებოდიან და ვინაჲთგან ყოველნი იქმოდეს, არა უმძიმდა, არამედ უდრტჳნველად და სიხარულით იქმოდეს“.[2]

საყურადღებოა აგრეთვე რუსეთის მეფის მიერ 1639-1640 წლებში საქართველოში წარმოგზავნილ დესპანის, თევდოტე ელჩინის, მოხსენებაში დაცული ერთი ცნობა, რომ „პურს თოხებით ხნავენ მთებზე და ბორცვებზე...“.[3] დაახლოებით იმასვე ვხვდებით ცოტა უფრო გვიან რუსეთის ელჩების ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და დიაკ იევლევის აღწერილობაში, რომ დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოში, მიწას გუთნითა და თოხით ხნავდნენო.[4] ამრიგად, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში საყანე მიწის სახნავად, სახვნელთან ერთად, ზოგჯერ თოხსაც იყენებდნენ. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ისტორიულ ხანაში სახნავის დამუშავება მარტო სახვნელით არ წარმოებდა, არამედ თოხითაც.[5]

საქართველოს თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თოხი ზოგჯერ სახვნელის როლსაც ასრულებს. ფუნქციის მიხედვით თოხები დღეს ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა. პირველს უკვე დახნულის დასამუშავებლად ხმარობენ, მეორეს კი ჯერ უხნავის დასახნავად იყენებენ.[6] განსაზღვრულ პირობებში იგი ერთადერთი სახვნელი იარაღია ძლიერ დაქანებულ ადგილებში, უსწორმასწორი ზედაპირის მქონე საყანე ადგილას და სხვა.[7] ერთი სიტყვით, იქ, სადაც ხარსახვნელი ვერ უდგება,

---

1 ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტ. I, გვ. 173.
2 გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი, თბილისი, 1946, გვ. 42.
3 Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священика Павла Захарьева в дадианскую землю (1639-1640), стр. 337.
4 პოლიევქტოვი მ., სტოლნიკი ტოლოჩანოვის და დიაკ იევლევის ელჩობა იმერეთში 1650-1652, თბილისი, 1226, გვ. 187.
5 ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., გვ. 210
6 რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა რაჭაში (საკანდ. დისერტაცია, ხელნაბეჭდი), თბილისი, 1941.
7 რეხვიაშვილი ნ., ქსნური ქანჩი (ხელნაწერი), გვ. 200.

უმთავრესად მთიან ზოლში, მიწის დამუშავება ძირითადად თოხით წარმოებს. ზემო იმერეთის მთიან ნაწილში, რაჭისა და სვანეთის ზოგიერთ სოფლებში ახლაც მიწის დასამუშავებლად სახვნელთან ერთად ზოგჯერ თოხსაც ხმარობენ[1]. ამრიგად, დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თოხს არ დაუკარგავს სახვნელის ფუნქცია. ზემონათქვამიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასავლურქართულ კულტურაში მიწის დასამუშავებლად თოხსაც იყენებდნენ, უპირატესად, ალბათ მთიან ადგილებში.

თოხის ფუნქცია მხოლოდ საყანე მიწის დახვნით არ ამოიწურება. ხშირად თოხს დახნული მიწის ბელტების დასაფშვნელად[2] და უკვე დათესილის გასამარგვლავად იყენებენ. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში თოხს სახვნელით დახნული მიწის ბელტების დასაშლელად ხმარობდნენ.[3] დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც თოხს ხშირად ხნულის გასაფხვიერებლად იყენებენ.[4] გარდა ამისა თოხს დიდი გამოყენება უნდა ჰქონოდა აგრეთვე საბოსტნე და საბაღე მეურნეობაში.

ამიერკავკასიაში რომ მებაღეობა ძველთაგანვე იყო ცნობილი, ამას კარგად მოწმობს ი. ჰუმელის მიერ ხანლარის დასავლეთით გათხრილ ნასახლარში აღმოჩენილი არქეობოტანიკური მასალა, რომელსაც იგი ბრინჯაოს ეპოქის მეორე სტადიას მიაკუთვნებს. აქ ნაპოვნი იყო ატმის და ყურძნის კურკები, ნუში.[5] კიროვაბადის სამხრეთით გათხრილ უფრო მოგვიანო ხანის ალიზის სამარხში მან დიდი რაოდენობით აღმოაჩინა ბლის კურკები.[6] ქართველ ტომთა დაწინაურებულ მებაღეობაზე მოგვითხრობს უძველესი ბერძნული ცნობები, სადაც ვკითხულობთ, რომ საქართველოში კარგი ხარისხის ვაშლი და მსხალი მოჰყავთ. დიდი რაოდენობით გვხვდება ლეღვი და ბროწეული. საყურადღებოა, რომ კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა პირველად შეიტანეს ბალი ევროპაში.[7] დიდად დაწინაურებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე აქ მევენახეობა. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ეკონომიური ისტორიის II წიგნში აღნიშნავს, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული.[8] რაკი მებაღეობა ქართველ ტომებში ასე დაწინაურებული ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ თოხს აქაც დიდი გამოყენება უნდა ჰქონოდა. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ბრინჯაოს თოხები სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისა გვხვდება. საფიქრებელია, რომ თოხის ზომა და მოყვანილობა სამეურნეო დანიშნულებით განისაზღვრება. შესაძლოა უფრო მოზრდილებს მიწის სახნავად იყენებდნენ, მომცრო ზომისას კი, ეგებ, სამარგლავად ან საბაღე მეურნეობაში.

გარდა თოხისა, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღიდან დასავლურქართულ კულტურაში კარგადაა წარმოდგენილი ლითონის ნამგალიც. აქვე უნდა აღ-

---

1 Иващенко М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 19; Декапрелевич Л. и Менабде В., К изучению полевых культур Зап. Грузии: თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნიერულ-გამოყენებითი განყ. ნაწერები, ნაწ. VI, თბილისი, 1929, გვ. 223.

2 Богаевский Б., История техники, т. I, М.-Л., стр. 368; ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, გვ. 274.

3 Очерки по истории техники Древнего Востока, стр. 24; G. Nöltker. დასახ.. ნაშრ., გვ. 81 და 114.

4 რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა რაჭაში, გვ. 200.

5 Гуммель Я., К проблеме археоботаники Закавказья: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, №10, თბილისი, 1940, გვ. 750.

6 Гуммель Я., საქ.მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, №1-2. თბილისი, 1941, გვ. 129.

7 ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ. და ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, თბილისი, 1948, გვ. 45.

8 ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1935, გვ. 603.

ვნიშნოთ, რომ ჩვენში ლითონის ნამგალი შედარებით გვიან შემოდის და, როგორც ჩანს, მკისათვის კაჟის დაკბილული პირებისაგან შემდგარ ნამგალს იყენებდნენ. ამგვარი კაჟისპირები სადღეისოდ კარგადაა ცნობილი სხვადასხვა ადგილებიდან. ჟ. დე მორგანი აღნიშნავდა, რომ კაჟის ნამგალი უპირატესად სამხრეთით უნდა ყოფილიყო გავრცელებული.[1] მესოპოტამიასა და ეგვიპტეში კაჟის დაკბილული პირებისაგან შემდგარი ნამგალი საკმაოდ დიდხანს შემორჩა.[2] ჟ. დე მორგანი ფიქრობდა, რომ კაჟის ნამგალი პირველად ქალდეაში უნდა გაჩენილიყო, ვინაიდან, მისი აზრით, აქედან უნდა გავრცელებულიყო მარცვლეული კულტურა ეგვიპტეში და, ბუნებრივია, სასოფლო-სამეურნეო იარაღიც[3]. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია, რომ კაჟის ნამგალი ეგვიპტეში ახალ სამეფომდე იყო გავრცელებული და ახალ სამეფოს პერიოდში ლითონის ნამგალთან ერთად იყენებდნენ აგრეთვე კაჟის ნამგალსაც.[4]

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ირკვევა, რომ ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, კაჟის დაკბილული პირები საკმაოდ ადრეული პერიოდიდანაა ცნობილი. როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში მიწათმოქმედება ძველთაგანვე მაღალ საფეხურზე მდგარა. ნეოლითური ხანის ნამოსახლარებში აშკარად შეიმჩნევა მიწათმოქმედების გარკვეული განვითარება და ამ პერიოდიდან ჩვენში, როგორც ჩანს, უკვე იცნობდნენ კაჟის ნამგალს. ქუთაისის მუზეუმში დაცულია რამდენიმე დაკბილული კაჟისპირი, აღმოჩენილი თეთრამიწის თუ სათაფლიას ნეოლითურ სადგომში.[5] კარგადაა ცნობილი ამიერკავკასიაში კაჟის დაკბილული ნამგლის პირები ენეოლითური ხანის ფენებიდანაც: ოჩამჩირიდან,[6] შენგავითიდან[7] და სხვა. მრავლად გვხვდება ამგვარი ნამგლისპირები აგრეთვე ბრინჯაოს ხანაში. ბეშთაშენის ციხის ქვეშ რამდენიმე კაჟის ნამგლის პირი აღმოჩნდა;[8] კაჟის დაკბილული პირები ნაპოვნია დიხა გუძუბას ქვედა ფენაში;[9] სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ნამგლის პირი[10] აღმოჩნდა ნაოხვამუს ქვედა და ზედა ფენაში. ფართოდ იყო გავრცელებული კაჟის ნამგალი გვიანბრინჯაოს ხანაშიც. ამ პერიოდის ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება დაკბილული კაჟისპირები: სამთავროში რამდენიმე

---

1 Morgan J., La Préhistoire Orientale, t. III, Paris, გვ. 220.

2 Богаевский Б., დასახ.. ნაშრ., გვ. 369; Очерки по истории техники Древнего Востока, стр. 26.

3 Morgan J., დასახ.. ნაშრ., ტ, II, გვ. 301.

4 Очерки по истории техники Древнего Востока, стр. 153.

5 ქუთაისის მუზეუმში თეთრამიწის და სათაფლიას მასალები ერთმანეთშია არეული და ამიტომ ზუსტად ძნელია თქმა, თუ საიდან უნდა იყოს ეს კაჟისპირები.

6 Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950, стр. 268, табл. 72.

7 Пиотровский Б.Б., Поселения медного века в Армении: Советская археология, т. XI, М.-Л., 1950, стр. 173, 179.

8 Куфтин Б.А., К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, стр. 21.

9 Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 242.

10 იქვე, გვ. 182, 219. სავსებით სამართლიანია ა. კრუგლოვისა და გ. პოდგაეცკის შენიშვნა იმის შესახებ, რომ კაჟის დაკბილული პირების ნამგლისპირებად მიჩნევისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მთელი რიგი არსებითი მომენტები (სამუშაო პირი, ჩარჩოში დამაგრება და სხვა). იხ. Круглов А.П. и Подгаецкий Г.В., Родовое общество степей Восточной Европы, М.-Л., 1935, стр.77.

აღნიშნული ავტორების სიფრთხილე, რა თქმა უნდა, სავსებით სამართლიანია. ყველა დაკბილული პირი ნამგლისპირი არ იყო. ზოგი მათგანი, შესაძლოა, კაჟის „ხერხის“ პირს წარმოადგენდა. ამიტომაც, სიზუსტისათვის საჭიროა მთელი ამ მასალის სათანადოდ გადასინჯვა, რის შესაძლებლობაც, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვქონდა და ძირითადად ლიტერატურაში დაცული ცნობებით ვსარგებლობდით, სადაც თითქმის ყელა კაჟის დაკბილული პირი, როგორც წესი, ნამგლისპირადაა ხოლმე მიჩნეული.

უძველეს ორმოსამარხში აღმოჩნდა თითო კაჟის ნამგლისპირი; სტალინირის ნაცარგორას გათხრების დროს გ. გობეჯიშვილმა მრავლად აღმოაჩინა სხვადასხვა ზომის ამგვარი ნამგლისპირები.[1] განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბეშთაშენის სამაროვნის რამდენიმე სამარხში ნაპოვნია კაჟის დაკბილული პირებისაგან შემდგარი ნამგალი. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ სამაროვნის IV სამარხში კაჟის ნამგალთან ერთად აღმოჩნდა ლითონის ნამგალიც.[2] როგორც სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ირკვევა, ლითონის ნამგალი ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში შედარებით გვიან შემოდის. აქ კაჟის ნამგალი საკმაოდ დიდხანს ყოფილა ხმარებაში და ლითონის ნამგალი პირველად მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანაში ჩნდება. მაგრამ ლითონის ნამგლის შემოსვლასთან ერთად ხმარებიდან არ გამოდის კაჟის ნამგალი, როგორც ეს კარგად ჩანს თრიალეთის მაგალითიდან. ეგვიპტის, სირიის და სხვა, წინა აზიის, ქვეყნების მსგავსად, აქაც მან რკინის ხანის დასაწყისამდე შემოინახა თავი.[3] გ. გობეჯიშვილმა ნაცარგორას მესამე ფენაში დიდი რაოდენობით აღმოაჩინა კაჟის დაკბილული პირები, რომელთაც იგი რკინის ხანის დასაწყისს მიაკუთვნებს.[4]

ამრიგად, ამიერკავკასიაში, წინა აზიის სხვა ქვეყნების მსგავსად, კაჟის ნამგალი გვიანობამდე შემორჩა. ლითონის ნამგალი აქაც შედარებით გვიან შემოდის.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს ენდემური პურეულის აღების თავისებური წესი არსებობდა.[5] ლეჩხუმში დღესაც ამ წესით ჰკრეფენ მახასა და ზანდურს.[6] კ. ფლიაკსბერგერი აღნიშნავს, რომ ასტურიაში (ესპანეთი) ადგილობრივი პურეულის „სპელტის" მოსაკრეფად ხმარობენ ისეთსავე იარაღს, როგორსაც დასავლეთ საქართველოში Tr. macha-ს ასაღებად იყენებენ.[7] ამ იარაღით, რომელსაც „შნაკვი" ეწოდება, მხოლოდ თავთავი იკრიფება, ღერო კი გარკვეული დროის მანძილზე მინდვრად რჩება.[8] საფიქრებელია, რომ ძველადაც საქართველოს ენდემური პურეული, მახა და ზანდური, რომლებიც, როგორც ირკვევა, ჩვენში საკმაოდ ადრეულ პერიოდში იყო გავრცელებული, „შნაკვის" მაგვარი იარაღით იკრიფებოდა, მინდვრად დარჩენილი ღერო, როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავს, ეგებ მართლაც კაჟის ნამგლით იმკებოდა.[9] შესაძლოა ჩვენში გვიანბრინჯაოს ხანამდე ძირითადად ენდემური პურეული მოჰყავდათ და, ეგებ, სწორედ ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ ჩვენში ლითონის ნამგალი შედარებით გვიან შემოდის. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ ლითონის ნამგლის შემოღება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ახალი

---

1 გობეჯიშვილი გ., სტალინირის ნაცარგორა: მიმომხილველევლი, თბ., 1951, II გვ.; Куфтин Б.А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, стр. 58.

2 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, стр. 69; მისივე, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, стр. 18.

3 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 234; მისივე, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, стр. 9.

4 გობეჯიშვილი გ., დასახ. ნაშრომი.

5 ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, გვ. 344, 394; მისივე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, გვ. 80.


6 ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, გვ. 275.

7 Фляксбергер К., Находки культурных растений доисторического периода: Архив истории науки и техники, т. II, Ленинград, 1934, стр. 169.

8 ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, გვ. 3,5.

9 Куфтин Б.А., დასახ.. ნაშრ., გვ. 275.

პურეული კულტურის შემოსვლასთან.[1] შესაძლოა, ეს მოსაზრება მართლაც სწორი იყოს, ოღონდ მთლად მართებულად არ მიგვაჩნია მისი მტკიცება იმის შესახებ, რომ პურეულის ახალი ჯიში მაინცდამაინც ხმელთაშუა ზღვიდან შემოვიდა და არა აღმოსავლეთიდან, ვინაიდან აღმოსავლეთში თითქოს სხვა ფორმის ნამგალი იყო გავრცე-



სურ. 9. 1. ბრინჯაოს ნამგალი ბაკურციხიდან (საქართველოს მუზეუმი);
2. ბრინჯაოს ნამგალი ნორბაიაზეთიდან (საქართველოს მუზეუმი)

ლებული.[2] როგორც ქვემო დავინახავთ, ამიერკავკასიაში გავრცელებული ლითონის ნამგალი ახლო დგას წინა აზიის ნამგლებთან და ამიტომაც შესაძლოა, რომ ახალი ჯიშის პურეული და ლითონის ნამგალიც აქედან შემოვიდა ჩვენში. მით უმეტეს, რომ საქართველოში დღესაც გავრცელებულია ხორბლის ისეთი ფორმა, რომელიც წინა აზიის ენდემურ სახეობას წარმოადგენს.[3] საერთოდ, როგორც უკვე არაერთგზის გვქონდა აღნიშნული, ჩვენს სასოფლო-სამეურნეო კულტურას ბევრი რამ საერთო

1 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 324.
2 იქვე, გვ. 325.
3 იქვე.

ჰქონია წინა აზიასთან, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა, სავსებით სამართლიანად, სასოფლო-სამეურნეო კულტურის ცენტრად მიიჩნევს.

ამრიგად, ლითონის ნამგალი ამიერკავკასიაში და კერძოდ კი საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანაში შემოდის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში, ისევე როგორც წინა აზიაში, ძირითადად უყუნწო ნამგალი იყო გავრცელებული, მაშინ, როდესაც ჩრდილო კავკასიაში, სადაც ლითონის ნამგალი უკვე იესენისეულ მეორე ეტაპის ბოლოს ჩნდება,[1] ევროპაში და სხვაგან უპირატესად ყუნწიანი ნამგალი იყო ცნობილი. უყუნწო ნამგალს, ჩანს, ხის ტარი ეგებოდა, რის გამოც ნამგლის პირს ცალ ბოლოზე ერთი ან ორი ნახვრეტი აქვს ხოლმე დატანებული მანჭვლისათვის.


ამიერკავკასიაში ძირითადად ერთი ფორმის ნამგალი იყო გავრცელებული. ნამგლები უმთავრესად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტარის დაგების წესისა და დამზადების ტექნიკის მიხედვით. ზოგი ყალიბშია ჩამოსხმული, ზოგი ნაჭედია; ზოგს ერთი ნახვრეტი აქვს, ზოგს კი ორი. ნამგლები განსხვავდებიან, მეტ-ნაკლებად, აგრეთვე რკალის მოყვანილობითაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის ლითონის ნამგლები ჩრდილო კავკასიის, ევროპის და სხვ. ნამგლებთან შედარებით უფრო გაშლილია.

დასავლურქართულ კულტურაში დღემდე რამდენიმე ლითონის ნამგალია ცნობილი, სამწუხაროდ, თითქმის ყველა მათგანი ნაკლულია და ამიტომაც დაბეჯითებით ძნელია რაიმეს თქმა მათი მოყვანილობის და ტარზე დაგების წესის შესახებ. ციხისძირის განძში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა სამი ნამგლის ფრაგმენტიც (სურ. 10, 2, 3). 1926 წელს სოფ. ზენითთან შემთხვევით ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი, რომელშიც ნამგლის ორი ნატეხია.[2] ქუთაისის მუზეუმში დაცულია სოფ. ოფშკვითში ნაპოვნი განძი, რომელშიც ოთხი ნაკლული ნამგალია.[3] ცაგერის განძში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ნამგალი.[4] პროფ. გ. ნიორაძის მიერ სოფ. ქვიშარში აღმოჩენილ განძში ერთი ნამგალია.[5] ერთი ნამგალია ცნობილი სოფ. მახარიასთან აღმოჩენილ განძიდან.[6] დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან ლითონის ნამგალი სადღეისოდ სრულიად უცნობია.

ლითონის ნამგალი ცნობილია აღმოსავლურქართულ კულტურაშიც. ერთი ნამგლის ფრაგმენტი აღმოჩნდა (სურ. 7 და სურ. 10, 1) ჩურისხევის კოლექციაში. სოფ. წოისის მიდამოებში აღმოჩენილ კომპლექსში ორი ნამგალია.[7] როგორც უკვე აღვნიშნეთ, თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბეშთაშენის სამაროვნის მე-4 და მე-13 ორმოსამარხებში თითო ნამგალი აღმოაჩინა.[8] უსათუოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართლში აღმოჩენილი ლითონის ნამგლები ახლოს დგას დასავლურქართული კულტურისათვის დამახასიათებელ ნამგლებთან. მაგალითად, წოისის ერთი ნამგალი სავსებით ისეთივე ფორმისაა, როგორც ციხისძირის განძის ნამგლები. ახლო დგას აგრეთვე ჩურისხევის ნამგალიც. თრიალეთის ნამგლები ცოტა უფრო

1 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 93, 113.
2 იქვე, გვ. 122.
3 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., სურ. 20, ტაბ. X.
4 იქვე. გვ. 340.
5 ნიორაძე გ., ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 14, სურ. 11.
6 Иессен А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 124.
7 Куфтин Б.А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, стр. 26, таб. VIII.
8 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, стр. 69.

განსხვავებული მოყვანილობისაა, მაგრამ მაინც უახლოვდება კოლხურ ნამგლებს. აღსანიშნავია, რომ ეს ნამგლები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნამგლებთან. ნახარიაში და ჩურისხევში აღმოჩენილი ნამგლები ახლოს დგანან ლალაიანის მიერ 1929 წელს ნორბაიაზეთში ნაპოვნ ნამგალთან (სურ. 9,2).[1] ჩვენი ნამგლები უახლოვდებიან სოფ. ტაკიაში აღმოჩენილ ნამგლებსაც, ოღონდ უკანასკნელს სამანჭვლე ნახვრეტები რამდენადმე განსხვავებულად აქვს განლაგებული.[2]



სურ. 10. 1. ნამგლის ფრაგმენტი ჩურისხევის კოლექციიდან;
2. ნამგლის ნატეხები ციხისძირის განძიდან

1 ბაიბურთიანი ე., შრომის იარაღები ძველ სომხეთში: სომხ. სსრ აკ. ისტორიის და ლიტერატურის ინსტ. მოამბე, ტ. I, ერევანი, 1938, გვ. 212, სურ. 113;
ლალაიანცი ე.. ყორღანების გათხრები საბჭოთა სომხეთში1931, ერევანი, 1931, გვ. 121.

2 ბაიბურთიანი ე., დასახ. ნაშრ., გვ. 212, სურ. 114-115.

კახეთში აღმოჩენილი ნამგლები რამდენადმე განსხვავებული ფორმისაა. კახეთიდან სადღეისოდ ნამგალი ცნობილია ორი ადგილიდან: ოთხი ბრინჯაოს ნამგალი ბაკურციხიდან, აქედან ორი აღმოჩენილია ბაკურციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ[1] და ერთი შედარებით პატარა ზომის ნამგლისებრი იარაღი სოფ. ურიათუბნიდან.[2] ბაკურციხის ნამგლები ყველა ერთი ტიპისაა (სურ. 9,1).[3] ეს ნამგლები ჩამოსხმულია.[4] მათ ცალი გვერდი ბრტყელი აქვთ, მეორე გვერდის გარეთა პირი საგრძნობლად გამსხვილებულია და ფხისაკენ თანდათან თხელდება – ოთხივე ნამგალს ცალ ბოლოზე თითო ნახვრეტი აქვს. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ ამ ნამგლებს ტარი არ ეგებოდა და ნახვრეტი თითქოს სარტყელზე ჩამოსაკიდებელი ზონარის გასაყრელად იყო განკუთვნილი.[5] ვფიქრობთ, რომ ბ. კუფტინის ეს მოსაზრება სავსებით მართებული არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ეს ნამგლისპირები არცთუ ისე დიდი ზომისაა, რომ შეიძლებოდეს მათი უტაროდ ხმარება (სიგრძე დაახლ. – 14. 8 სმ.). ასეთ შემთხვევაში ნამგლის ნახევარზე მეტს ხელი დაიჭერდა და მას თითქმის აღარ დარჩებოდა სამუშაო პირი. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ ბაკურციხის ნამგლებსაც ხის ტარი ეგებოდა.[6]

ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლების განხილვისას ა. აფაქიძე საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება აგრეთვე ნამგლებზედაც. იგი მათ „სასხლავ ნამგალს“ უწოდებს. ა. აფაქიძის აზრით, ეს ნამგალი ძირითადად ვენახის გასასხლავი იარაღი იყო, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ განსხვავებულ პირობებში მკისათვისაც ყოფილიყო გამოყენებული.[7] შესაძლოა, რომ ეს მოსაზრება მართლაც სწორი იყოს: ნამგალი ზოგ შემთხვევაში ვენახის სასხლავადაც იყო გამოყენებული, მით უმეტეს, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, საქართველოში ბოლო დრომდე შემორჩა ვენახის სასხლავად ნამგლის ფორმის სავაზე.[8] ოღონდ ვერ დავეთანხმებით მის მტკიცებას, თითქოს ნამგალი მევენახეობაში გაცილებით უფრო ადრე უნდა ყოფილიყო გამოყენებული.[9] როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ჩვენში ნამგალი საკმაოდ ადრე შემოდის ჯერ კაჟის, შემდეგ კი ლითონის და, რა თქმა უნდა, თავიდან იგი მარცვლეულის მკისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ა. აფაქიძე ვრცლად იხილავს საქართველოში მევენახეობის განვითარების საკითხს და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ მევენახეობა ჩვენში ძველთაგანვე მაღალ საფეხურზე მდგარა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სავსებით მართებული არ უნდა იყოს მისი მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს გვიანბრინჯაოს ხანაში საკუთრივ კახეთისათვის წამყვან დარგს მევენახეობა წარმოადგენდა.[10] მევენახეობა-მებაღეობა განვითარების ამ საფეხურზე, ვფიქრობთ, მეურნეობის წამყვანი დარგი ვერ იქნებოდა. მას მხოლოდ დამხმარე ხასიათი შეიძლებოდა ჰქონოდა. აღმო-

---

1 აფაქიძე ა., ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაბეჭდი), თბილისი, 1941, გვ. 63.

2 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 325, табл. IX, 6.

3 აფაქიძე ა., დასახ. ნაშრ., გვ. 63.

4 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., გვ. 325.

5 იქვე, გვ. 325.

6 აფაქიძე ა., დასახ. ნაშრ., გვ. 63.

7 იქვე, გვ. 66, 80, 87.

8 იქვე, გვ. 71-73.

9 იქვე, გვ. 67.

10 აფაქიძე ა., ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, თეზისები საკანდიდატო დისერტაციისა, გვ. 2.

სავლეთ საქართველოში, და კერძოდ კახეთში, მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო. როგორც ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, ამიერკავკასიაში ამ პერიოდში აშკარად შეიმჩნევა, რომ მთიან ნაწილში ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, ბარში კი მიწათმოქმედებას.[1] აღმოსავლურქართულ კულტურაში ამ დროს რომ მიწათმოქმედება ყოფილა განვითარებული, ადასტურებს აქ აღმოჩენილი კაჟისა და ლითონის ნამგლები. ცენტრალურ ამიერკავკასიაში მიწათმოქმედების მაღალ საფეხურზე მიუთითებს ჰუმელის მიერ ხანლარის №2 ყორღანში აღმოჩენილი კევრი.[2] უფრო მოგვიანო ხანის სამარხში ამგვარივე კევრი იპოვა ჟ. დე მორგანმა ახტალაში.[3] უკანასკნელ ხანებში ამავე პერიოდის კევრი აღმოჩნდა სამთავროშიც.[4] როგორც ჩანს, მიწათმოქმედებასთან ერთად ამ პერიოდში გარკვეულ განვითარებას აღწევს აგრეთვე მევენახეობა-მებაღეობა. როგორც ზევით უკვე აღნიშნული გვქონდა, ჰუმელმა ხანლარის ნამოსახლარის გათხრების დროს აღმოაჩინა ყურძნისა და ატმის კურკები და სხვ.[5] მაგრამ, რა თქმა უნდა, მებაღეობა-მევენახეობა ამ პერიოდში მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა ვერ იქნებოდა.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ შესაძლოა ბრინჯაოს ნამგალს მართლაც იყენებდნენ აგრეთვე მევენახეობა-მებაღეობაში ვაზისა და ხის გასასხლავად. გვიანბრინჯაოს ხანაში საკაფავად და სასხლავად ნამგლისებრი იარაღი რომ იყო გამოყენებული, მოწმობს დასავლურქართული კულტურისათვის დამახასიათებელი კომბინირებული იარაღი ცულნამგალა. ეს იარაღი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ა. აფაქიძე, „სამკალ ნამგლად“ ვერ გამოდგებოდა, ხოლო სასხლავად და საკაფავად იგი, უთუოდ, ეფექტური სახმარი იქნებოდა.[6]

ამრიგად, ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ლითონის ნამგალი გვიანბრინჯაოს ხანაში შემოდის. აქ გავრცელებული იყო ერთი ტიპის უყურწო ნამგალი, რომელიც, ძირითადად, „სამკალი ნამგალი“ უნდა ყოფილიყო.

როგორც ვნახეთ, დასავლურქართულ კულტურაში მიწათმოქმედება მაღალ განვითარებას აღწევს. თუმცა აქ მიწის დამუშავებისათვის ყველგან ერთნაირი პირობები არ იყო. მთის ზოლში მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის არ იყო ხელსაყრელი პირობები. სამაგიეროდ, აქ არსებული საძოვრები ხელს უწყობდა მესაქონლეობის დაწინაურებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრინჯაოს ხანაში ამიერკავკასიაში, და, კერძოდ, საქართველოში, როგორც ჩანს, მესაქონლეობა დიდ განვითარებას აღწევს. ამ პერიოდიდან იწყება მაღალმთიანი რაიონების ათვისება. აქ მცხოვრები ტომების ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, რისთვისაც მთაში ხელსაყრელი პირობები იყო. მესაქონლეობის განვითარება ხელს უწყობდა მთის ზოლში მცხოვრები ტომების დაწინაურებას. ამ ტომების დაწინაურებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე მეტალურგიამ. მეტალურგია ამ ეტაპზე ძირითადად მთის ზოლში იყო განვითარებული. ვინაიდან აქ იყო მადნეული საბადოები, და ამიტომაც იყო, რომ ამ პერიოდში მეტალურგია მთიან რაიონში მცხოვრები ტომებისათვის უფრო ხელმისაწ-

1 Пиотровский Б.Б., Археология Закавказья, Ленинград, 1949, стр. 75.
2 Гуммель Я.И., Курган №2 близ Ханлара: Краткие сообщения Института истории материальной культуры, вып. XXIV, 1949, стр. 55.
3 Morgan J., Mission scientifique au Caucase, I, Paris, 1889, გვ. 58, სურ. 8
4 ჩუბინიშვილი ტ., მიცვალებულის კევრზე დასაფლავება სამთავროში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XII, №1, თბილისი, 1951, გვ. 61.
5 Гуммель Я.И., К проблеме археоботаники Закавказья, стр. 750.
6 აფაქიძე ა., დასახ. ნაშრ., გვ. 82.

ვდომი იყო.[1] მთის ზოლში რომ ბრინჯაოს ხანაში მართლაც მძლავრი კულტურა იყო, ამას კარგად ადასტურებს თრიალეთის შესანიშნავი კულტურა. მთაში განვითარებული მეტალურგიის ანარეკლია ბრილისა და შოშეთის სამაროვნებზე აღმოჩენილი მდიდარი კულტურა და სხვა. სამწუხაროდ, ჩვენში დღემდე ძალიან სუსტადაა შესწავლილი ცალკეული მეტალურგიული კერები. ამგვარი ლოკალური კერების გამოვლენა ძალიან საყურადღებო მასალას მოგვცემს ცალკეული მეტალურგიული ჯგუფების შესასწავლად.

ერთი მხრივ, მესაქონლეობა, მეორე მხრივ კი – მეტალურგიის განვითარება ხელს უწყობდა მთის ზოლში მცხოვრები ტომების დაწინაურებას. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთის ზოლშიც მოსახლეობა მესაქონლეობის გვერდით მიწათმოქმედებას მისდევდა. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში მთასა და ბარს შორის ინტენსიური ურთიერთობის დამყარება, რა თქმა უნდა, ძნელი იყო. ამიტომაც, მთას თავის საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა ჰქონოდა. აქ შეძლებისდაგვარად მიწათმოქმედებაც უნდა ყოფილიყო განვითარებული. რასაკვირველია, თავისებური პირობების გამო მიწათმოქმედება მთის ზოლში არაინტენსიური იყო, რის გამოც, როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს, მთაში სოფლის მეურნეობის პროდუქცია განსაზღვრულია, ლიმიტირებულია იმდენად, რომ მოსახლეობის რაოდენობის სტაბილურობას იწვევს და მოსახლეობის ნამატი იძულებულია მთიდან ბარში გადასახლდეს.[2] საყურადღებოა, რომ ამგვარი ურთიერთობა მთასა და ბარს შორის ბოლო დრომდე შემორჩა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი მთასა და ბარს შორის ინტენსიური ურთიერთობის დამყარება და თანდათანობით ეცლება საფუძველი მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის მიზეზებს, რომლებსაც, გ. ჩიტაიას სიტყვით, ღრმა ეკონომიკური პირობები ედო სარჩულად.[3] რა თქმა უნდა, ბრინჯაოს ხანაში გაცილებით ძნელი იყო მთასა და ბარს შორის ურთიერთობის დამყარება. ამიტომ, ამ პერიოდში მთაში, რამდენადაც საამისო პირობები იყო, ვითარდებოდა მიწათმოქმედება, მთის ზოლში მიწათმოქმედების არსებობას ადასტურებს იქ აღმოჩენილი მიწათმოქმედების იარაღები.

ამრიგად, გვიანბრინჯაოს ხანაში მთის ზოლშიც, სადაც მესაქონლეობა მეურნეობის ძირითადი დარგი იყო, მიწათმოქმედებაც გარკვეულ განვითარებას აღწევს.

---

1 Пиотровский Б.Б., Археология Закавказья, стр. 54.

2 ჩიტაია გ., ქართლი ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა (წინასწარი ანგარიში). მიმომხილველი, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 365.

3 იქვე, გვ. 365-366.

„განჯისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში*

1948 წლის შემოდგომაზე, თბილისში, კიროვის რაიონში, სამასი არაგველის ბაღის გვერდით დაიწყო ახალი ბაღის მშენებლობა. ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით წინასწარი სამუშაოების ჩატარების დროს აქ დიდი რაოდენობით ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამის შესახებ აცნობეს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს. პროფ. ნ. ბერძენიშვილის წინადადებით შეიქმნა თბილისის ისტორიულ-არქეოლოგიურად შემსწავლელი ჯგუფი. ამ ჯგუფმა მუშაობა სწორედ ამ ადგილის არქეოლოგიური შესწავლით დაიწყო.[1]

თბილისის ისტორიას არა ერთი და ორი მკვლევარი შეხებია და თითქმის ყველას თავისებური მოსაზრება აქვს გამოთქმული მისი დაარსების შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ თბილისი, როგორც უბრალო დასახლებული პუნქტი, საკმაოდ ადრე უნდა არსებულიყო და საბუთად მხოლოდ ის მოჰყავს, რომ საკმაოდ დიდი დრო იყო საჭირო, ვიდრე უბრალო ნამოსახლარი ადგილიდან იგი ქალაქად გადაიქცეოდა.[2] თბილისის მიდამოები რომ საკმაოდ ადრე ყოფილა დასახლებული, ამას კარგად მოწმობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული შემთხვევით აღმოჩენილი მასალა, რომელსაც ქვემოთ ჩამოვთვლით: 1936 წელს სანაპირო ქუჩაზე აღმოჩენილი პატარა ზომის ბრინჯაოს მახვილი —, ბრინჯაოს ერთი მასრაგახსნილი შუბისპირი, ნაპოვნი 1880 წელს აწინდელ პლეხანოვის პროსპექტზე (№3-30), 1926 წელს საბჭოს ქუჩაზე აღმოჩენილი სამარხი, რომელშიც ნაპოვნია ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი, ბრინჯაოს სატევრისპირი და თიხის ჭურჭელი —; —; —. 1948 წელს საქართველოს მუზეუმში ერთმა მოსწავლემ მიიტანა ბრინჯაოს სატევრისპირი, რომელიც მას ნარიყალაზე უპოვია (საქართველოს მუზ. კოლ. 1-48). აღსანიშნავია აგრეთვე 1935 წელს ღრმაღელეში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცული, რომლის მსგავსი სხვა ადგილებიდან ჯერჯერობით ცნობილი არაა.[3]

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ თბილისის მიდამოებში უკვე ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია ადამიანს. თუ მოვიგონებთ აგრეთვე პროფ. გ. ნიორაძის მიერ დიდუბეში

---

* დაიბეჭდა კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955.

1 ამ გათხრაში მონაწილეობდნენ უფრ. მეცნ. თანამშრომლები: შ. მესხია, ო. ჯაფარიძე, უმცრ. მეცნ. თანამშრომლები: ნ. ოქროპირიძე, ლ. მაჭავარიანი, სტუდენტი თ. მიქელაძე, არქიტექტორი ტ. ამბრიაშვილი, მხატვარი კ. კვეესი და ფოტოგრაფი ე. კვეესი. მუშაობა დაიწყო 4 ოქტომბერს, დასრულდა 1 ნოემბერს.

2 Чхетиа Ш., Тбилиси в XIX столетии, Тбилиси, 1942, გვ. 36.

3 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 17.

აღმოჩენილ ენეოლითური ხანის მასალას, მაშინ უფრო აშკარა იქნება, რომ თბილისის მიდამოები ძველთაგანვე ყოფილა დასახლებული.[1]

საქართველოს მუზეუმში დაცულია თბილისში აღმოჩენილი, შედარებით უფრო გვიანდელი ხანის მასალაც. საჯარო ბიბლიოთეკის საძირკვლის ჩაყრის დროს აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭეურჭელი (№ 8-13). აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ჭურჭელი ძლიერ უახლოვდება სამთავროს სამაროვნის ქვევრსამარხებში, კრამიტყუთებში და ადრეულ ქვაყუთებში აღმოჩენილ კერამიკას. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩნდა აგრეთვე ზემო ავჭალაში არხის გაჭრის დროს აგურყუთში, რომელსაც ს. მაკალათია ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნით ათარიღებს.[2] ორი სავსებით ერთნაირი, თიხის სამტუჩა ჭურჭელი აღმოჩნდა საქართველოს მუზეუმის ახალი შენობის საძირკვლის ჩაყრისას ——— . ზუსტად ასეთივე ჭურჭელი ნაპოვნია 1920 წ. მცხეთაში გ. ხუბეროვის ეზოში აღმოჩენილ სამარხში, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკ. მიეკუთვნება.[3] ამგვარივე ჭურჭელი კარგადაა ცნობილი სამთავროდანაც. საყურადღებოა აგრეთვე 1935 წელს მიწის სამუშაოების დროს ღრმაღელეში ნაპოვნი მასალა. აქ, რამდენიმე თიხის ჭურჭელთან ერთად, აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ბეჭედი გემმით, პასტის საკიდი ბაყაყის გამოსახულებით და ერთიც – „სკარაბეი“ (№5-36). აღსანიშნავია საბურთალოზე სახლის მშენებლობის დროს ნაპოვნი მასალა (№ 2-40). გარდა ამისა, საყურადღებოა შემთხვევითი აღმოჩენები ბესიკის ქუჩაზე ——— სულხან-საბას ქუჩაზე ——— და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ მნიშვნელოვანი მასალა თბილისიდან დაცულია ჩვენი მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში. მაგრამ ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან ეს მასალა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ თბილისი არაერთგზის ყოფილა მტრისაგან დარბეული, მაშინ აშკარა გახდება თბილისის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მნიშვნელობა. ეს საქმე ჩვენში მხოლოდ ახლა იწყება.


საბაღე ადგილს, რომლის არქეოლოგიური შესწავლა მიმდინარეობდა, საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა, წინათ უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, ძველად აქ შეშა მოჰქონდათ გასაყიდად, ზაფხულობით კი საზამთროს „გორები“ იდგა. საზამთრო გასაყიდად მოჰქონდათ მახლობელი ადგილებიდან. საზამთროს ბაღები იყო, აგრეთვე, „სამასი არაგველის“ ბაღის მიდამოებში. ამ ადგილს დღესაც „საზამთროს ბაღებს“ უწოდებენ. გათხრების ადგილი „სამასი არაგველის“ ბაღისაგან გამოიყოფა საკმაოდ მაღალი ძველი კედლის ნარჩენით. კედელს შერჩენილი აქვს ორი მოზრდილი ნახევარწრიული ბურჯი, რომლებიც ახლახან მეტად უხეიროდ შეუკეთებით (სურ. 1). იგი ქვითა და აგურითაა ნაგები (ტაბ. I, 1). თითოეული ქვა ჩასმულია ბრტყელი ქართული აგურებისაგან გაკეთებულ ჩარჩოში. ბურჯებს

1 ნიორაძე გ., დიდუბის ენეოლითური ნაშთები (ხელნაწერი).

2 მაკალათია ს., 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, „საქართველოს მუზ. მოამბე“, ტ. IV, თბილისი, 1928, გვ. 174, ტაბ. VIII, 34 და IX, 4.

3 იქვე, გვ. 180, ტაბ. IX, 18.


შორის შერჩენილი კედელი ნაგებია ქვით, უმთავრესად კი რიყის ქვით (ტაბ. 1, 2). აქა -იქ წყობაში გვხვდება ბრტყელი აგურიც, ერთი ამგვარი ბურჯის ნაშთი შემორჩენილა ქუჩის მეორე მხარეს, კიროვის რაიონის სარემონტო კანტორის ტერიტორიაზე. ეს ბურჯი საკმაოდ დაზიანებულია და ჩანს, რომ ქვისა და აგურისაგან ამოყვანილი პერანგი ამოვსებულია ღორღით . კედლის შიდა პირი დაფარული იყო მიწით. ამიტომ ჩვენ ერთ-ერთი ბურჯის მახლობლად, კედლის შიდა პირის გამოსაჩენად, გავჭერით თხრილი. სამწუხაროდ, აქ კედელი ჩაშლილი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მისი შიდა პირი ისეთივე იყო, როგორიც გარეთა, ე.ი. უმთავრესად ქვით ნაშენი (ტაბ. 1, 3); რაც შეეხება ბურჯის შიდა პირს, იგი ქვისა და აგურის შერევითაა ნაგები. ქვისა და აგურის ასეთი წყობა აქა-იქ დღესაც გვხვდება ძველი თბილისის რაიონში. აღსანიშნავია, რომ ასევეა ნაშენი ნარიყალას კედლების ძველი წყობა. იგი ახლაც კარგად გამოირჩევა შემდეგი ხანის წყობისაგან, რომელიც იმგვარადვეა ქვითა და აგურით ნაგები, ოღონდ აქ უკვე აღარ არის დაცული სიმეტრია. როგორც ჩანს, ამგვარი წყობა დამახასიათებელი ყოფილა XVII-XVIII საუკუნეების თბილისისათვის.



სურ. 1

კედელი მიემართება სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩრდილო-აღმოსავლეთით იგი, ალბათ, მტკვრამდე აღწევდა, ხოლო მისი მეორე ბოლო გრიშაშვილის (ყოფილი ტაგიზადეს) ქუჩასთან იკარგება. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, აქ ხუთი ბურჯი მდგარა, მაგრამ ორი – ქუჩის გაგანიერების დროს დაუნგრევიათ. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზედაც ხუთი ბურჯია დატანილი (სურ. 2). ვახუშტის გეგმით ქალაქს (კალას) ირგვლივ შემოუყვება ზღუდე, ეს კედელი კი განცალკევებით დგას და სეიდაბადის ბაღს აკრავს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. იგი იწყება მტკვართან და, როგორც ჩანს, არ აღწევს თაბორის კალთებს. მას გარედან უვლის „განჯისკარიდან“ ირანისაკენ მიმავალი გზა. ამიტომაც საფიქრებელია, ხომ არ დაუკარგავს ამ პერიოდისთვის კედელს თავისი სამხედრო მნიშვნელობა? თუ ასე არ იყო, მაშინ გზას გარედან კი არ უნდა გაევლო, არამედ კედელში კარი უნდა ყოფილიყო დატანებული ქალაქში შესასვლელად, მით უმეტეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სეიდაბადი სრულიად დაუცველი ჩანს. ეს კედელი უფრო ძველია, ვიდრე ქალაქის გალავანი. ამას ნათლად მოწმობს ჩვენ მიერ ჩაშლილი კედლის ფენაში აღმოჩენილი „საფლავი“, რომელშიაც აღმოჩნდა თამარისა და რუსუდანის დროის ფულები, და აგრეთვე, ბურჯებს შორის დარჩენილი კედლის ნაშთი, რომელიც უფრო ძველი ნაშენი უნდა იყოს. ხოლო ეს კედელი შემდეგში, ეგებ, ქალაქის გალავნის აგების დროს, იყო შეკეთებული – შესაძლოა მხოლოდ ბურჯები, ვინაიდან თვით კედელს შეკეთების კვალი დღეს არ ეტყობა. ვახუშტის დროს სეიდაბადში, მტკვრის გასწვრივ ბაღები იყო გაშენებული. ეს კედელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სეიდაბადის ბაღებს ზღუდავდა. აქვე უნდა

აღვნიშნოთ, რომ XVIII ს-ის შუა ხანის რამდენიმე საბუთში, სადაც მოცემულია სეიდაბადის ბაღების დანახარჯის ნუსხა, ვკითხულობთ ბაღის კედლის შეკეთების შესახებ.[1] რამდენსამე ადგილას კი ლაპარაკია გალავნის შეკეთებაზე.[2] ზოგან ერთსა და იმავე საბუთში, ერთსა და იმავე გვერდზე ვკითხულობთ როგორც კედლის, ისე



სურ. 2 ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილი ძველი თბილისის რუკა, სადაც დაფიქსირებული განჯისკარის ადგილმდებარეობა

გალავნის შეკეთების შესახებ. ხომ არ არის აქ ლაპარაკი იმ გალავნის შეკეთებაზე, რომელიც ბაღებს ეკრა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან? თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ დროისათვის ეს კედელი წინა ზღუდე, ანუ „საშორისი“ ყოფილიყო (ამ ტერმინს ვახუშტი ხმარობს ორბეთის ციხის აღწერისას).[3]

1 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I; მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბილისი, 1938, გვ. 30, 34, 39, 40 და სხვ.

2 იქვე, გვ. 39, 45 და სხვ.

3 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 44.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XII-XIII საუკუნეებში აქ კედელი უნდა მდგარიყო. შესაძლოა, ამ პერიოდში და, ეგებ, უფრო ადრეც, ეს კედელი კეტავდა ქალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ამიტომ, საფიქრებელია, რომ ამ კედელს ჰქონდა ქალაქში შესასვლელი კარი, საიდანაც თბილისიდან სამხრეთისაკენ მიმავალი გზა იწყებოდა. პროფ. ნ. ბერძენიშვილის გადმოცემით, აქ 1937 წელს, ქუჩის გაგანიერების დროს, აღმოუჩენიათ გზის მაჩვენებელი ქვა არაბული წარწერით, ეს კი, ვფიქრობთ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ გზა გადიოდა და სადმე ახლოს ქალაქში შესავალი კარიც უნდა ყოფილიყო. ვახუშტის გეგმაზე ქალაქს სამხრეთიდან მხოლოდ ერთი კარი აქვს, განჯისკარი, რომელიც დაახლოებით იქ უნდა იყოს, სადაც ახლა ბოტანიკური ბაღის შესასვლელია.[1] აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პ. იოსელიანი ერთ-ერთ ნაშრომში წერს: ქალაქის მთავარი და უძველესი კედელი, რომელიც მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იცავდა, იწყებოდა მტკვართან და მთა თაბორს აღწევდა.[2] სამხრეთიდან პირველ კარს ეწოდებოდა „სეიდაბადის კარი".[3] ვახუშტი ამ კარს არ იხსენიებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი არ იხსენიებს არც იმ კარს, რომელიც „მოურავის სარჩოში" და კლაპროტის აღწერაში იხსენიება[4]. საერთოდ „სეიდაბადის კარი" ჩვენ მხოლოდ პლატონ იოსელიანთან შეგვხვდა. საიდან აიღო მან ეს ცნობა, გაურკვეველია. ვახუშტის დროს, ჩანს, ქალაქმა საგრძნობლად იცვალა სახე. იგი ახალი გალავნით შემოუზღუდავთ. ამიტომაც გასაგებიცაა, რომ ქალაქის სამხრეთის კარი, ვახუშტის მიხედვით, განჯისკარი, ახლა სულ სხვა ადგილასაა, ვიდრე მაშინ, როდესაც ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ზღუდე ზემოაღნიშნულ კედელთან იქნებოდა.

ქალაქის განაპირას გალავანთან მძლავრი კერამიკული საწარმოს არსებობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო არა მარტო იმით, რომ ძლიერ ცეცხლთან დაკავშირებული საწარმო ქალაქის განაპირას შენდებოდა, არამედ იმითაც, რომ მის მახლობლად ქალაქის კარი უნდა ყოფილიყო. თბილისს სამხრეთის მხრიდან ყოველთვის ყველაზე მეტი საშიშროება ელოდა, ამიტომ ამ ადგილას კერამიკული საწარმოს აგება სრულიადაც არ იყო მიზანშეწონილი. იმ პერიოდში თბილისს უფრო მყუდრო გარეუბანი განა არ ჰქონდა? ვფიქრობთ, რომ ამ ადგილას კერამიკული საწარმოს არსებობა დაკავშირებული უნდა იყოს ქალაქის კართან. ქალაქის კარი საშუალო საუკუნეების ქალაქისათვის ყველაზე ცოცხალი ადგილი იყო და ამიტომაც ამ ადგილზე კერამიკული საწარმოს არსებობა, ვფიქრობთ, გამართლებული ჩანს.

პ. იოსელიანს აღნიშნული აქვს, რომ ერთ-ერთ ბურჯში დატანებული ყოფილა წარწერიანი ქვა, რომლის ამოკითხვა, სამწუხაროდ, შეუძლებელი იყო.[5] ეს ქვა უკანასკნელ დრომდე ყოფილა კედელში, როგორც ეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადმოგვცეს. ბურჯების რესტავრაციის დროს ეს წარწერიანი ქვა ამოუღიათ. ახლაც კარგად ჩანს ამ ქვის ადგილი კედელში.

თხრა დავიწყეთ კედლის მახლობლად, თხრილებიდან დიდი რაოდენობით ამოდიოდა მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხები, თიხის „სოლების" ფრაგმენტები, ჭრაქები, სამარილეები და სხვა. თიხის ნატეხებიდან უმთავრესად გვხვდე-

---

1 ბერიძე ვ., XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1947, გვ. 138.

2 Иосселиани П., Описание древности города Тифлиса, Тифлис, 1866, გვ. 254 და 263.

3 იქვე, გვ. 255.

4 ბერიძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 142; Проф. Полиевктов и проф. Натадзе, Старый Тифлис в известиях современников, 1929, стр. 69.

5 იოსელიანი პლ., დასახ. ნაშრ., გვ. 255 და 264.

ბოდა ბრტყელი, დაბალი, ქუსლიანი, მოჭიქული და მოუჭიქავი ჯამების ნატეხები, სამკუთხა ფორმის, პირებშეკეცილი ჭრაქები და სამარილეები. მთელი ჭურჭელი იშვიათად გვხვდებოდა. აქ აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: 1. საამშენებლო; 2. საოჯახო – სახმარი და 3. კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული საგნები. პირველ ჯგუფში შედის აგური, წყალსადენის მილები, თანგირი, კრამიტი და შორენკეცი. ჩვენ აქ მხოლოდ ერთი მთელი მოჭიქული კრამიტი შეგვხდა და ერთიც ტრაპეციის ფორმის შორენკეცი, რომელსაც უკანა პირი წამოწეული აქვს კედელში უკეთ დამაგრების მიზნით. მსგავსი შორენკეცები ცნობილია დმანისიდან.[1]

მეორე ჯგუფში შედის საოჯახო დანიშნულების თიხის ნაწარმი ჭურჭელი, ჭრაქები, სამარილეები და სხვ. ყველაზე მეტად ეს ჯგუფია წარმოდგენილი.

მესამე ჯგუფში შედის კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული თიხის ნაწარმი: თიხის „სოლები“, თიხის „S“-ის მოყვანილობის კაუჭები და სამფეხა სადგარები. თიხის „სოლები“ აქ ყველგან დიდი რაოდენობით გვხვდებოდა. ზოგიერთს თავი კონუსისებრი მოყვანილობისა აქვს და ხშირად ზედ სქლად ჭიქურია ხოლმე ჩამოღვენთილი. თავდაპირველად გვეგონა, რომ ეს „სოლები“ იხმარებოდა, როგორც სადგარები მოჭიქული ჭურჭლის გამოწვის დროს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც გ. ლომთათიძემ აქ კერამიკის გამოსაწვავი ქურები აღმოაჩინა, მათი დანიშნულებაც გაირკვა. ისინი ქურის კედლებშია დატანებული. S-ისებრი მოყვანილობის კაუჭებზე კი, ალბათ, ყურიან ჭურჭელს ჰკიდებდნენ გამოწვის დროს. განსაკუთრებით ჭარბად ეს კაუჭები გვხვდებოდა იმ თხრილში, რომლის მახლობლადაც შემდეგში აღმოჩნდა ქურები (თხრილი № 37, ტაბ. 1, 4). ამ თხრილში დიდი რაოდენობით ამოდიოდა ჭურჭლის ნატეხები. ხშირად გვხვდებოდა ცუდად გამომწვარი ჭურჭელი და კერამიკული წუნი. როგორც ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო წუნდებული პროდუქციის ჩასაყრელი ორმო. ეს კი გვაფიქრებინებდა, რომ ამ თხრილის მახლობლად კერამიკული სახელოსნო უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან შემდგომმა გათხრამ აქ კერამიკის გამოსაწვავი რამდენიმე ქურა გამოავლინა.[2] ამავე თხრილში ჩვენ შეგვხვდა სამფეხა სადგარები. ამგვარი ორი სადგარი აღმოჩენილია დვინში.[3] ასეთი სადგარები ცნობილია აგრეთვე სარაი ბერკედან, შუა აზიიდან და ირანიდან.[4] სამფეხა სადგარებს იყენებდნენ უმთავრესად ჯამების გამოწვის დროს. ქურაში ჩადგმულ ჯამებს სამფეხა სადგარები ერთმანეთისაგან აცალკევებდა, რადგან მოჭიქული ჯამები გადმოპირქვავებული იდგმებოდა სამფეხზე. ამიტომ ჭურჭელს კიდეებზე ჭიქური სქლად ედებოდა.[5] თუმცა თ. იზმაილოვა აღნიშნავს, რომ ხშირად ჭუურჭელს

---

1 მუსხელიშვილი ლ., დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 399.

2 ლომთათიძე გ., არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955.

3 Шелковников Б., Художественная керамика двинских раскопок, Академия наук СССР, Армянский филиал, Известия, №4-5, Ереван, 1940, გვ. 188, სურ. 57; მისივე, Художественная керамическая промышленность средневековой Армении, Известия Армянского филиала Академии Наук СССР, №3-4 (17-18), Ереван, 1942, გვ. 10.

4 Измаилова Т., Керамика из раскопок в Алберде, Труды Отдела Востока, IV, Ленинград, 1947, გვ. 182.

5 Шелковников Б., Художественная керамика двинских раскопок, გვ. 188-189.

პირიქით, ძირებით დგამდნენ გამოსაწვავად.[1] ჭურჭელს ხშირად ემჩნევა ხოლმე სამფეხის კვალი.

როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მეტი რაოდენობით აქ საოჯახო ჭურჭელი გვხვდება. განსაკუთრებით ბევრია აქ ჯამები, ჭრაქები და სამარილეები. სითხისათვის განკუთვნილი ჭურჭელი შედარებით იშვიათად გვხვდება. სამწუხაროდ, თიხის ჭურჭელი აქ უმთავრესად ფრაგმენტების სახითაა ნაპოვნი და ხშირად ძნელდება ხოლმე ჭურჭლის ფორმის აღდგენა.

ამ ჯგუფში უმთავრესად ანგობიანი კერამიკა გვხვდება. ანგობისათვის განკუთვნილ ჭურჭელს ბოლომდე არ გამოწვავდნენ, გადაავლებდნენ თეთრ თიხის ხსნარს, რის შემდეგაც ნაწარმი იღებდა თეთრ ფონს, რომელზედაც დაატანდნენ სასურველ ორნამენტს. ამის შემდეგ ჭურჭელს გადაავლებდნენ ჭიქურს და ხელახლა გამოწვავდნენ. ანგობით დაფარული ჭურჭელი მხატვრული შემკობის დიდ საშუალებას იძლევა. ანგობით დაფარულ ჭურჭელზე ჭიქური უფრო სუფთაა, სწორი და ძლიერ ფერს იღებს[2]. ჩვენს კერამიკას უფრო მოვარდისფრო ანგობი გადაჰკრავს. აღსანიშნავია, რომ ასეთივე ანგობით ხასიათდება დვინის კერამიკა.[3] საყურადღებოა, რომ ხშირად გვხვდებოდა ანგობიანი ჭურჭელი, რომელზედაც უკვე ორნამენტიცაა დატანილი, მაგრამ აღარ მოუჭიქავთ. ეს წუნდებული პროდუქცია უნდა იყოს. ჩანს, რომ აქაურ კერამიკულ საწარმოში უპირატესად ანგობიანი მოჭიქული ჭურჭელი მზადდებოდა. ჭიქური ჭურჭლის ზედაპირს ფარავს ფორიანობისაგან, მატებს სიმკვრივეს და სილამაზეს. გარდა ამისა, მოჭიქული ჭურჭელი უფრო ჰიგიენურია.[4]

კერამიკული ნაწარმი აქ უმთავრესად დაფარულია ჭიქურით, ან ჭიქურის გადასასხმელადაა შემზადებული. ჭრაქები და სამარილეები ყოველთვის სადაა და უმეტესად დაფარულია ცისფერი ან მწვანე ჭიქურით. თითქმის ყველა სამკუთხა ჭრაქს მოტეხილი ჰქონდა ვერტიკალური სახელური. ჩვენ მხოლოდ ორიოდე მთელი ჭრაქი შეგვხვდა. აქვე აღმოჩნდა მცირე რაოდენობით, ლულიანი ჭრაქები. ამ ფორმის ჭრაქები უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გვხვდება.[5] საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში ინახება ორი ამგვარი ჭრაქი, რომლებიც აღმოჩნდა საჯარო ბიბლიოთეკის საძირკველის ამოღების დროს, რომაული ხანის კერამიკასთან ერთად —-—. აქვე დაცულია ერთი მოჭიქული ლულიანი ჭრაქი, შემთხვევით აღმოჩენილი სომხეთში, გეო-თაფაში —-—. ერთი ასეთი ჭრაქი ნაპოვნია თბილისში, სომხური დრამის თეატრის საძირკვლის ამოღების დროს.[6] როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი ჭრაქები გათხრებში მცირე რაოდენობით შეგვხვდა. ჩანს, რომ აქ სამკუთხა ჭრაქებს მასიურად აკეთებდნენ. რამდენიმე ამგვარი ჭრაქი

---

1 Измаилова Т., დასახ. ნაშრ., გვ. 182.

2 Левиатов В., Керамика старой Ганджи, Баку, 1940, გვ. 12; ზ. მაისურაძე, ქართული მხატვრული კერამიკა XI-XIII საუკ., თბილისი, 1953, გვ. 15.

3 Шелковников Б., Художественная керамическая промышленность средневековой Армении, გვ. 8.

4 მაისურაძე ზ., დასახ. ნაშრ., გვ. 16.

5 В. Гайдукевич, Античные керамические обжигательные печи, Изв. ГАИМК, вып. 80, М.-Л., 1934, გვ. 31, სურ. 10.

6 ჯაფარიძე ვ., XI-XII საუკ. თბილისის კერამიკა, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XVI, სურ. 12.

აღმოჩნდა ბალნეოლოგიურ კურორტთან.[1] ამ ფორმის ჭრაქები კარგადაა ცნობილი დმანისიდან.[2] ასეთივე უნდა იყოს განჯაში აღმოჩენილი ჭრაქებიც.[3] არა ერთი და ორი პარალელი მოეძებნება აგრეთვე აქ აღმოჩენილ სამარილეებსაც. ერთი ამგვარი სამარილე სხვა ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა 1926 წ. ისანში. რამდენიმე სამარილე ნაპოვნია ბალნეოლოგიურ კურორტთან,[4] მრავლადაა აღმოჩენილი სამარილეები დმანისში და განჯაში.[5]

საოჯახო ხასიათის კერამიკიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ჯამები. ჯამები უმთავრესად მოჭიქულია ნაირ-ნაირი ორნამენტით. ჩვენ აქ ვხვდებით შემკობის სხვადასხვა ხერხებით შესრულებულ, მაღალმხატვრულ ნაწარმს. ორნამენტებიდან გეომეტრიული და მცენარეული მოტივები ჭარბობს. ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულება სულ რამდენიმე შეგვხვდა. ამ მოტივს ოსტატი დიდი გემოვნებითა და დამაჯერებლობით გადმოგვცემს. ყოველ ნახატში კარგადაა გადმოცემული ამა თუ იმ ცხოველის თუ ფრინველის თავისებურება. ადამიანის სახის გამოსახულებით მხოლოდ ერთი ფრაგმენტი შეგვხვდა. ფრაგმენტის მიხედვით ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ აქ უნდა გვქონდეს ცხოველის გამოსახულება ადამიანის სახით. ასეთი მოტივი მრავლად გვხვდება ანისში, სადაც უმთავრესად გავრცელებულია ლომი ადამიანის სახით.[6] გარდა ამისა, ჩვენ მრავლად შეგვხვდა ჯამები, შემკული „ბრუნვის გამომხატველი“ მოტივით.[7] რამდენიმე ამგვარი ორნამენტით შემკული ჭურჭელი აღმოჩენილია თბილისის სხვადასხვა ადგილებში.[8]

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის დღევანდელ ტერიტორიაზე ამ ტიპის არა ერთი და ორი ჭურჭელია შემთხვევით აღმოჩენილი. საინტერესო კომპლექსი აღმოჩნდა ისანში. 1926 წელს სომხური დრამის თეატრის მშენებლობის დროს ნაპოვნი იყო რამდენიმე თიხის ჭურჭელი. ასეთივე ფორმისა და შემკულობის ჭურჭელია ნაპოვნი 1934 წელს ბალნეოლოგიური კურორტის საძირკვლის ამოღების დროს.[9] ტერიტორიულად ეს ადგილები დაახლოებით 400-500 მეტრითაა დაცილებული. ამიტომ შესაძლებელია, აქ ერთსა და იმავე კერამიკულ სახელოსნოსთან გვქონდეს საქმე.

ჩვენ მიერ აღმოჩენილი კერამიკა თავისი ორნამენტის მოტივებით ძალიან ახლო დგას დმანისის კერამიკასთან. აქაც და იქაც თითქმის ერთსა და იმავე სახეებსა და მხატვრულ მოტივებს ვხვდებით. მაგრამ ერთი კია, რომ დმანისში მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით შემკულ ჭურჭელთან ერთად მრავლად გვხვდება ცხოველური მოტივებიც.[10] ჩვენს კერამიკაში კი მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტი ჭარბობს. ახლო ანალოგს პოულობს ჩვენი კერამიკა იყალთოს აკადემიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ჭურჭელთანაც.

---

1 ჯაფარიძე ვ., XI-XII საუკ. თბილისის კერამიკა, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XVI, გვ. 159, სურ. 12.
2 იქვე, გვ. 159.
3 Левиатов В., დასახ. ნაშრ., გვ,. 31.
4 ჯაფარიძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 146, სურ. 11.
5 იქვე, გვ. 159, Левиатов, დასახ, ნაშრ., გვ. 31.
6 Марр Н., Ани, Изв. ГАИМК, вып. 105, М.-Л. 1934, გვ. 43.
7 ჯაფარიძე ვ., დასახ. ნაშრ.
8 იქვე, გვ. 153.
9 იქვე, გვ. 145.
10 მუსხელიშვილი ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 443.

ჩვენი კერამიკა მხატვრული შემკობის ხერხებით და მოტივებით უახლოვდება აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის შუა საუკუნეების მხატვრულ კერამიკას (ანისი, ანბერდი, განჯა და დვინი).

ამრიგად, ჩვენ მიერ გათხრილ კერამიკულ საწარმოში ჭურჭელი უმთავრესად მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით არის შემკული. მხატვრული შემკობის ხერხებიდან უპირატესად იყენებდნენ „სგრაფიტოს“ ტექნიკას.

უანგობო და მოუჭიქავი კერამიკა აქ შედარებით ნაკლებია. ამ რიგის კერამიკას უმთავრესად მიეკუთვნება წყლისათვის განკუთვნილი ჭურჭელი. შეგვხვდა აგრეთვე ღრმა მოწითალო ლანგრის რამდენიმე ნატეხი (?) ორი დაღარული კუნწებით, რამდენიმე ნაკლული, კონუსისებრი მოყვანილობის ტლანქი ჭურჭელი, – ჩვენთვის გაურკვეველი დანიშნულების, ერთი მოყვითალო ნატეხი, რომელსაც ყელში საწურავი ჰქონდა დატანებული. ორი თხელკედლებიანი, მოყვითალო, კარგად ნაკეთები ჭურჭელი. ერთი ამგვარი ჭურჭელი აღმოჩნდა თბილისში და ერთიც გუდარეხში.[1] განსაკუთრებით საყურადღებოა თხელკედლიანი მოყვითალო ჭურჭელი, რომელსაც მხართან სპარსული წარწერა აქვს. სამწუხაროდ, ჭურჭლის მთლიანად აღდგენა ვერ მოხერხდა და წარწერაც გაუგებარი დარჩა. ყელში მას დატანებული აქვს საწურავი. აქვე შეგვხვდა მეორე ამგვარი ჭურჭლის ნატეხები, რომელსაც ზედა ნაწილი აკლია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კედელთან გათხრილ თხრილში აღმოჩნდა შუაზე გადამტვრეული მოზრდილი ქვევრი, რომელსაც გარშემო რელიეფური სალტეები შემოუყვება. ჩანს, რომ ამ კერამიკულ საწარმოში უმთავრესად ანგობიანსა და მოჭიქულ ჭურჭელს ამზადებდნენ. მოუჭიქავი კერამიკა აქ შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება.

განსაკუთრებით საყურადღებოა აქ აღმოჩენილი თორნეები. ჩვენ სამივე თორნე შეგვხვდა. სამივე ერთმანეთის გვერდით იდგა. მათ გარშემო, მთელ სიმაღლეზე, შემოწყობილი ჰქონდათ დამტვრეული ჭურჭელი, უპირატესად მოჭიქული ჯამები. ჯამებს ალბათ თიხით ამაგრებდნენ თორნეზე, ტემპერატურის უკეთ შენახვის მიზნით. თორნეების გარშემო შემოწყობილი ჭურჭელი ადგილობრივი კერამიკული სახელოსნოს წუნდებული პროდუქცია უნდა ყოფილიყო. ორი თორნე დაშლილი აღმოჩნდა. ისინი პირდაპირ მიწაზე დაუდგამთ, ერთ-ერთ მათგანს ძირზე სწორკუთხა ნახვრეტი ჰქონდა დატანებული, ნახვრეტს გარედან მიდგმული ჰქონდა მოზრდილი ჭურჭლის ფართო ყელი, რომელიც მილის მაგივრობას სწევდა (ტაბ. I, 5), მეორე თორნე უმილო იყო (ტაბ. I, 6; ტაბ. II, 5). ორივე თორნე მიწით იყო სავსე. ძირიდან დიდი რაოდენობით ამოდიოდა ნაცარი, ნახშირი და საქონლის ძვლები. ერთ-ერთ თორნის ძირზე აღმოჩნდა ზემოთ აღნიშნული, თხელკედლიანი მოყვითალო ჭურჭელი.

კარგად იყო შენახული მესამე თორნე. იგი წაკვეთილი კონუსის მოყვანილობისაა. მას ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა ჭურჭლის ფრაგმენტები, ალაგ-ალაგ კი ასევე თორნის ნატეხები. ზოგან ჭურჭელი სამ ფენად იყო ერთმანეთზე მიწყობილი. თორნის ფსკერი მოფენილი იყო ბრტყელი ქართული აგურით. აგურებს კარგად ეტყობოდა ცეცხლის კვალი. თორნის ძირი ერთ ადგილას ოთხკუთხად იყო ამოკვეთილი. გარედან თორნეს მიდგმული ჰქონდა წყალსადენის ორი, ერთმანეთში ჩადგმული მილი, რომელიც ამოკვეთილ ოთხკუთხა ნახვრეტს უერთდებოდა. ეს მილები დაახლოებით თორნის პირის დონეს აღწევდა და საგანგებოდ აგურით იყო გამაგრებული (ტაბ.

1 ჯაფარიძე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 156.

II, 1). თორნე პირამდე ამოვსებული იყო მიწით. თორნეში და მის ირგვლივ დიდი რაოდენობით ჩნდებოდა საქონლის ძვლები.

მილიანი თორნეები საქართველოში დღესაც ხმარებაშია.[1] პროფ. გ. ჩიტაიას მოჰყავს ა. ბიჰანის ქართული თორნის აღწერილობა, რომელსაც აღნიშნული აქვს, რომ ქართული თორნე ძველი ეგვიპტურის მსგავსია. მას ძირში დატანებული აქვს ნაჩვრეტი, რომელშიაც მილი ირიბადაა გაყრილი. მილიანი თორნეები გავრცელებულია აგრეთვე სომხეთში.[2] მრავლად აღმოჩნდა თორნეები დმანისის გათხრის დროს. აქ გვხვდება როგორც მილიანი, ისე უმილო თორნეები.[3] ბ. კუფტინმა სოფ. ბეშთაშენში, ფეოდალური ხანის კერამიკასთან ერთად, აღმოაჩინა თორნის ტიპის მრგვალი ღუმელი.[4] პროფ. გ. ჩიტაიამ გადმოგვცა, რომ საქართველოში მილიანი თორნეები ჯავახეთსა და ქართლში გვხვდება. შესაძლოა, რომ მილიანი თორნეებისათვის იყენებდნენ ისეთ საწვავს, რომელიც შედარებით ძნელად ღვივდება. თორნის გახურების შემდეგ მილს საცობს გაუკეთებდნენ. ფეოდალური ხანის საქართველოში გამოყენებული ყოფილა როგორც მილიანი, ისე უმილო თორნეები.

გარდა თორნეებისა, ამ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ორი პატარა ქურა. ერთი ქურა ნაპოვნი იყო ქუჩის პირას, დაახლოებით 10 სმ სიღრმეზე. იგი თიხისაგანაა ნაკეთები. მას ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა რიყის ქვები. ქურა ნალისებრი მოყვანილობისა იყო, მისი სიმაღლე – 14,0 სმ-ს უდრიდა, სიგრძე – 30,0 სმ-ს; დიამეტრი – 22,5 სმ-ს; კედლის სისქე – 3,3 სმ-ს ქურის ძირიდან დიდი რაოდენობით ამოდიოდა ნახშირი და ნაცარი (ტაბ. II, 81). მეორე ქურის ნაშთი აღმოჩნდა გალავანთან, მისგან დაახლოებით 0,50 მ დაცილებით (თხრილი № 2) – ზედაპირიდან 2,20 მ სიღრმეზე. იგი ნაგები იყო ვერტიკალურად დაყუდებული ბრტყელი ქართული აგურით. ერთ-ერთ გვერდზე მოზრდილი რიყის ქვა იდო. ძირზე მოჭიქული კრამიტი იყო დადებული, ჭიქურით ქვევით. ქურის შუა კედელზე მიყუდებული იყო მოზრდილი, ცისფრად მოჭიქული ლანგრის ნატეხი, რომელზედაც ფრინველია გამოსახული (ტაბ. II, 2). კრამიტის გვერდით ქურაში აღმოჩნდა ძვლის პატარა კვირისტავი.

გარდა კერამიკული ნაწარმისა, აქ, მართალია, შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებოდა სხვადასხვა ზომისა და ფერის მინის სამაჯურის ნატეხები, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რამდენიმე მინის მძივი, ძვლის პატარა კვირისტავები და სხვა. ამგვარი სამაჯურები და კვირისტავები მრავლად იყო აღმოჩენილი დმანისში.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გალავნის მახლობლად გაჭრილ თხრილში (თხრილი № 2) აღმოჩნდა ორი „საფლავი“. ერთი მათგანი იყო 60 სმ სიღრმეზე. თხრილიდან დიდი რაოდენობით ამოდიოდა ჩანგრეული კედლის აგური და ქვა. აქვე მრავლად ჩნდებოდა მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ ფენაში აღმოჩნდა ადამიანის ძვლები, რომლებიც, სამწუხაროდ, ცუდად იყო შენახული და პოზის გარკვევა შეუძლებელი შეიქნა. მიცვალებულის მენჯის ძვალთან ნაპოვნი იყო სპილენძის მონეტები და ქსოვილის ნაშთი (ტაბ. II, 3); სამარხში სულ 130 მონეტა აღმოჩნდა. აქედან:

---

1 ჩიტაია გ., თორნე საგურამოში (მოხსენდა თბილისის უნივერსიტეტის სესიას), თეზისები. ვსარგებლობთ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებთ პროფ. გ. ჩიტაიას, რომელმაც ნება დაგვრთო გავცნობოდით მის მოხსენებას.

2 იქვე.

3 მუსხელიშვილი ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 401.

4 Куфтини Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 109, ტაბ. XVIII, 2.

1. რუსუდან დედოფლისა – 81 ცალი 1227 წელს მოჭრილი.

2. თამარისა და დავით სოსლანისა – 3 ცალი 1200 წლის თარიღით.

3. ჯალალედინისა – 2 ცალი 1226 წლის ტიპისა (წელიწადი არ ჩანს).

4. ბიზანტიური – 4 ცალი, ერთი მათგანი VIII-IX საუკუნის დანარჩენი კი XI საუკუნის.

5. ჰენრი ფლანდრელისა – 2 ცალი. ერთზე რუსუდანის დამღაა, მეორე კი უდამღოა. რუსუდანის დამღიანი მონეტები საერთოდ იშვიათად გვხვდება, ჰენრი ფლანდრელის მონეტა რუსუდანის დამღით ჯერჯერობით მხოლოდ აქ აღმოჩნდა.

6. არაბული ფელსი – 1 ცალი. VIII-IX საუკუნეების მონეტა ძლიერ გაცვეთილია და ძნელია გარკვევა, რომელ ხალიფას ეკუთვნის იგი.

7. აღმოსავლეთის მეზობელი ქვეყნების მონეტები (ილდიგიზიდების და სელჯუკებისა) – 37 ცალი, მათ შორის ორზე რუსუდან დედოფლის დამღაა. ეს მონეტები საერთოდ XII-XIII საუკუნეებისაა.

საფლავში აღმოჩენილ მონეტებს ხანგრძლივი ხმარების კვალი ატყვია. ზოგიერთი მონეტა ძლიერ გადაშლილია და მათზე რაიმეს ზუსტად გარკვევა ძნელდება. ბიზანტიური, აღმოსავლური და ქართული ფულის ერთად აღმოჩენა საერთოდ დამახასიათებელია საქართველოში ნაპოვნი განძებისათვის. აქ საყურადღებოა ის, რომ XII საუკუნის მონეტებთან ერთად გვხვდება უცხო ქვეყნის (ბიზანტიური, არაბული) შედარებით ადრინდელი მონეტები. როგორც ჩანს, ეს ფული ამ პერიოდში ბრუნვაში ყოფილა და ცოცხალ ფულთან ერთად გვხვდება. ნუმიზმატ დ. კაპანაძის გადმოცემით, სხვა ქვეყნის ფული უპირატესად კერძო პირთა შორის იყო ბრუნვაში და თუ მონეტა ზარაფხანაში ან ხაზინაში ჩავარდებოდა, მას სახელმწიფო თავის დამღას ასვამდა.

გარდა სამარხში აღმოჩენილი მონეტებისა, თხრის დროს ნაპოვნი იყო კიდევ სამი მონეტა: ერთი თამარის – 1187 წელს მოჭრილი, ერთი ლაშა-გიორგისა 1210 წლის თარიღით და ერთიც რუსუდან დედოფლისა 1227 წლისა.[1]

საფლავში აღმოჩენილი ქართული ფული უმთავრესად რუსუდან დედოფლის მიერ 1227 წელს მოჭრილ ტიპს მიეკუთვნება. მისსავე დამღას ატარებს ზოგიერთი უცხო ქვეყნის მონეტა. შესაძლოა, რომ კერამიკული საწარმოც ამავე ხანისა იყოს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ იგი ამ ადგილას XII საუკუნეშიც ყოფილიყო. ამის პირდაპირი დამადასტურებელი საბუთი არ გაგვაჩნია, გარდა იმისა, რომ მოჭიქული კერამიკა, რომელსაც ეს საწარმო უშვებდა, დღეს უკვე კარგად თარიღდება XII-XIII საუკუნეებით. ყოველ შემთხვევაში, ნუმიზმატიკური მონაპოვრის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კერამიკული საწარმო XIII საუკუნის პირველ ნახევარში უკვე არსებობდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ საწარმო დაახლოებით ამავე საუკუნის 30-იან წლებში წყვეტს თავის არსებობას. ყოველ შემთხვევაში, არ მოგვეპოვება მასალა, რომელიც მონღოლთა შემოსევის შემდგომ ხანაზე მიუთითებდეს. საფიქრებელია, რომ ეს საწარმო მოიშალა მონღოლთა შემოსევის შედეგად. დაახლოებით ასეთსავე ამბავს ვხვდებით განჯაშიაც. მონღოლთა შემოსევის შემდეგ საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ სუსტდება და, როგორც ჩანს, საგრძნობლად ეცემა აგრეთვე კერამიკის წარმოებაც. შემდეგ ხანაში ჩვენ უკვე ვეღარ ვხვდებით ასეთ მაღალმხატვრულ კერამიკულ ნაწარმს.

---

1 მონეტები შეისწავლა და ცნობები მათ შესახებ მოგვაწოდა ნუმიზმატმა დ. კაპანაძემ.

მეორე „საფლავი“ ამავე თხრილში აღმოჩნდა, 2,40 მ სიღრმეზე, კედლის მახლობლად, ზემოაღნიშნული, ბრტყელი ქართული აგურისაგან ნაკეთები ქურის ქვეშ. მიცვალებულის ძვლები არეული იყო. ძვლების მიხედვით საფლავი ჭაბუკისა უნდა იყოს. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჭურჭელი იდო, სპარსული წარწერით. ძნელია თქმა ეს ჭურჭელი საფლავში იყო ჩატანებული, თუ შემთხვევით მოხვდა აქ, ვინაიდან ფენა ძლიერ არეული იყო. ამ წარწერიანი ჭურჭლის ფრაგმენტები შეგვხვდა უფრო ღრმად. გარდა ამისა, საფლავის აყრის შემდეგ აღმოჩნდა ქურაზე დაყუდებული ლანგრის ფრაგმენტებიც.

როგორ უნდა მოხვედრილიყო აქ ორი „საფლავი“? ამ კითხვაზე ძნელია გარკვევით რაიმეს თქმა. უნდა ვიფიქროთ, რომ მიცვალებულები შემთხვევითაა აქ მოხვედრილი. ერთი „საფლავი“, როგორც აღვნიშნეთ, ჩანგრეული კედლის ფენაში აღმოჩნდა და შესაძლოა, კედლის ჩანგრევის ან სხვა რაიმე უბედური შემთხვევის შედეგი იყოს.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა საკერამიკო ნედლეულის შესახებ. საჭურჭლე თიხებით თბილისის მიდამოები საკმაოდ მდიდარია. ადგილობრივ თიხას დღესაც ფართოდ იყენებენ ჭურჭლის და აგურის დასამზადებლად. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველად ამ თიხას ხმარობდნენ როგორც ჭურჭლის დასამზადებლად, ისე საამშენებლო მასალისათვის. აღსანიშნავია, რომ 1853 წელს სოლოლაკში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა აგურხანის ნაშთი.[1] ანგობიანი ჭურჭლის მისაღებად უსათუოდ საჭიროა თეთრი თიხა – კაოლინი. თბილისის მიდამოებში კაოლინი არ გვხვდება და იგი, ალბათ, ახლო რაიონიდან შემოჰქონდათ.

საყურადღებოა აგრეთვე გათხრების მახლობლად მდებარე ხევის ბოლოში აღმოჩენილი წყალსადენი.[2] თიხის მილები ჩასმულია საგანგებოდ, ქართული აგურისაგან ნაკეთებ, ჩაკირულ პერანგში (ტაბ. II, 4). ხევი მაღალი ვერტიკალური კედლით მთავრდება. აქვე, ერთ-ერთ კუთხეში, საკმაოდ მოზრდილი გამოქვაბულია, რომლის სიღრმეშიაც წყარო გადმოდის. ამ წყაროს დღესაც იყენებენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ამიტომ საფიქრებელია, რომ აქვე უნდა ყოფილიყო წყალსადენის სათავე. ალაგ-ალაგ წყალსადენის ტრასა კარგად მოჩანს. ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს წყალსადენის სათავის მახლობლად უპოვია ორმკლავიანი თიხის თანგირა. თიხისმილებიან წყალსადენს ჩვენში უკანასკნელ დრომდე იყენებდნენ.[3] თიხისმილებიანი წყალსადენები საქართველოში კარგადაა ცნობილი სხვადასხვა ადგილებში.[4] კერძოდ, თბილისში რამდენიმე ადგილას აღმოჩნდა თიხის მილები (მამადავითის კალთაზე, ლურჯ მონასტერთან და სხვ.). მილები უმთავრესად პირდაპირ მიწაშია ჩაწყობილი. ზოგიერთი ტრასის მილები ალაგ-ალაგ დადუღაბებულია.[5] ჯერჯერობით არსად არ შეგვხვედრია აგურიან პერანგში ჩასმული წყალსადენის ტრასა. აღსანიშნავია მხოლოდ მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული თიხის მილები, რომლებიც ქ. მახარაძის მახ-

---

1 Иоселиани П., დასახ. ნაშრ., გვ. 268.

2 სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ხევის სახელწოდების დადგენა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ ხევის სახელი არ იცის. მხოლოდ ერთმა გვითხრა, რომ ამ ბაღს (სამასი არაგველისას) „ოხერ ბაღს“ უწოდებდნენ, ხევს კი „ოხერხევსაო“.

3 ხიდაშელი შ., სხალტბა –შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 252, სქოლიო.

4 იქვე, გვ. 264.


5 იქვე, გვ. 242, 255; ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 429.

ლობლად აღმოჩნდა 1948 წელს. აქ ძაბრის მოყვანილობის წვრილი მილები ჩასმულია რიყის ქვისაგან გაკეთებულ პერანგში. ჩვენ მიერ ნაპოვნი წყალსადენის მილები და თანგირა ზომებით განსხვავდება სხალტბა – შიომღვიმის ორივე ტრასის მილებისა და თანგირებისაგან. საყურადღებოა, რომ საქართველოს მუზეუმში დაცულ, XVIII საუკუნის შუა ხანის საბუთებში, სადაც მოცემულია სეიდაბადის ბაღების დანახარჯის ნუსხა, ვკითხულობთ ბაღებში სარწყავი წყლის გამოყვანაზე, მილების ჩაყრაზე, თიხის მილების შეკეთებაზე და სხვ.[1] შესაძლოა, ეს წყალსადენიც ამავე დროის იყოს.

ამრიგად, საცდელი თხრის შედეგად შესაძლო გახდა, გამოთქმულიყო აზრი, რომ XII-XIII საუკუნეებში თბილისის განაპირას არსებობდა მძლავრი კერამიკული საწარმო, რომელიც მაღალმხატვრულ ნაწარმს აწვდიდა ქალაქს, საიდანაც, ალბათ, გაჰქონდათ კიდევაც ეს ნაწარმი მახლობელ რაიონებში.

1 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, 32, 33, 34, 45.

არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში*



სურ. 1

უკანასკნელ ხანებში შიდა ქართლში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ფართოდ გაიშალა არქეოლოგიური სამუშაოები. კვლევა-ძიების შედეგად აქ მიკვლეული იყო რიგი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლებისა, უპირატესად ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანისა. უფრო მოგვიანო საფეხურის მასალები ამ რაიონიდან სადღეისოდ ნაკლებად არის შესწავლილი. ამიტომაც 1951 წელს სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა, სხვა პერიოდის ძეგლებთან ერთად, შეესწავლა აგრეთვე ანტიკური ხანის მასალები. ექსპედიცია სამუშაოებს ძირითადად აწარმოებდა ზნაურის რაიონში. ეს რაიონი, სამხრეთ-ოსეთის სხვა რაიონებთან შედარებით, არქეოლოგიურად დღემდე ნაკლებად შესწავლილი იყო. უკანასკნელ წლებში ამ რაიონში არქეოლოგიურ დაზვერვებს აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომელი, არქეოლოგი ე. პჩელინა. მან ზნაურის რაიონში რამდენიმე მეტად მნიშვნელოვან ძეგლს მიაკვლია. ერთ-ერთი სწორედ სოფ. არკნეთის სამაროვანი იყო.[1]

სოფ. არკნეთი სტალინირიდან დაშორებულია 15-16 კმ-ით, იგი მდებარეობს მდინარე ყორნისის ფრონეს მარცხენა ნაპირზე.

გათხრები დავიწყეთ ფრონეს მარჯვენა ნაპირზე – ადგილი „ველები". დაზვერვების დროს ე. პჩელინას აქ თითქოს რაღაც ძველი მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთებისათვის მიუკვლევია და მასალაც შეუგროვებია. საკონტროლო გათხრებმა ეს არ დაადასტურა. შესაძლოა აქ მართლაც, როგორც ე. პჩელინა ფიქრობს, შუა საუკუნეების სახელოსნოს ნაშთი იყო, მაგრამ მისგან არაფერი იყო დარჩენილი.

---

* დაიბეჭდა კრებულში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63, 1953.

1 ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები: ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ღლონტი, არქიტექტორი ს. ბოლქვაძე, გ. რუსიშვილი, სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომელი, არქეოლოგი ე. პჩელინა, ასპირანტი გ. ლიუბინი და აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტეს თანამშრომელი ო. ჯაფარიძე.

ფრონეს მარჯვენა ნაპირზე კიდევ ერთი ადგილი დავზვერეთ – „ტბის გზა“. ხევის ჭრილში კარგად მოჩანდა ნახშირითა და ნაცრით ამოვსილი ორმო. ორმოდან, ნახშირისა და ნაცრის გარდა, დამწვარი თიხის ჭურჭლის მრავალი ფრაგმენტი ამოდიოდა, ორმოს ძირზე (სიღრმე – 1,72 მ.) აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული კერის ნაშთი. მას აღმოსავლეთით ერთი რიყის ქვა ჰქონდა შერჩენილი, დასავლეთით – თიხის კედლის ნაწილი. კერის თავზე ნაპოვნი იყო ძლიერ დაზიანებული ბრინჯაოს სატევარი, მის მახლობლად კი რკინის დანის ფრაგმენტი (სურ. 1). სატევარი ფოთლისებრი მოყვანილობისაა; მას ვიწრო ქედიანი პირი აქვს. ამ ტიპის სატევარი ძირითადად შიდა ქართლში გვხვდება. კარგად არის იგი წარმოდგენილი სამთავროს ორმოსამარხებში. ერთი ამგვარი სატევრისპირი აღმოჩნდა ფლავისმანის სამაროვანზე.[1] ამ ტიპის სატევრები შეიძლება მივაკუთვნოთ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს, ე.ი. იმ ხანას, როდესაც რკინა ჯერ კიდევ არა ჩანს. დღემდე აღმოჩენილი ვიწროქედიანი ფოთლისებრი სატევრისპირის ყველა ცალი ურკინო კომპლექსებშია ნაპოვნი, განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს სამთავროს მასალებში. აქ, ამ ტიპის სატევრები აღმოჩენილია ორმოსამარხთა უძველეს ფენაში, სადაც რკინა ჯერ კიდევ არ გვხვდება. როგორც ჩანს, უფრო მოგვიანო ხანის სამარხებში ვიწროქედიანი სატევრები აღარ გვხვდება. ჩვენ მიერ აღმოჩენილი სატევრისპირთან, როგორც აღვნიშნეთ, ნაპოვნი იყო რკინის დანა. გარდა ამისა, კერის ძირის პრეპარაციის დროს აქვე აღმოჩნდა რკინის უცნობი ნივთი და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამწუხაროდ, სატევრისპირთან ერთად აღმოჩენილი რკინის ნივთები იმდენად დაზიანებულია, რომ მათი ფორმის გარკვევა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ამ კომპლექსის თარიღის შესახებ ძნელდება გარკვევით რაიმეს თქმა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სატევრისპირს იმ პერიოდს ვერ მივაკუთვნებთ, რომელსაც ჩვეულებრივად მსგავს სატევრისპირებს აკუთვნებენ. ეს მასალა უფრო მოგვიანო ხანისა უნდა იყოს და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის სატევარი აქ გვიანობამდე შემორჩა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევაა ამგვარი სატევრისპირის აღმოჩენისა შედარებით მოგვიანო ხანის კომპლექსში. ძნელია დაზუსტებით თქმა, თუ რა უნდა იყოს ეს ძეგლი. ეგებ ნამოსახლარი ადგილი იყო. ყოველ შემთხვევაში, იგი ძველი მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთი არ ჩანს, როგორც ეს ე. პჩელინას ეგონა.

სოფ. არკნეთში რამდენიმე ადგილასაა დამოწმებული ძველი ნამოსახლარის ნაშთები. რა თქმა უნდა, ყველა ამ ადგილის შემოწმება ვერ მოვახერხეთ. მხოლოდ კიდევ ერთი ნამოსახლარი ადგილი შევისწავლეთ. ეს ადგილი სოფლიდან დაახლოებით ერთი კმ-ის დაშორებით მდებარეობს, გრძელას ხევის მარცხენა ნაპირზე, ხასიანთგორის ძირზე. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „გორებს“ უწოდებს. ხევის ჭრილში, ზედაპირიდან დაახლოებით 1,5-2,0 მ სიღრმეზე, მოჩანს 0,40-0,50 მ სისქის ნაცროვანი ფენა. ის საკმაოდ დიდ მანძილზე გრძელდება, ზოგან წყდება და შემდეგ სხვადასხვა სიღრმეზე კვლავ ჩნდება. დაზვერვების დროს აქ ე. პჩელინას შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები და ერთი მოზრდილი „როდინის“ ქვა უპოვია.


ზედაპირიდან დაახლოებით 1,0 მ სიღრმეზე, უშუალოდ კულტურული ფენის ზევით, სამარხი აღმოჩნდა. მიცვალებული პირდაპირ მიწაში იყო ჩასვენებული, იწვა მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მარცხენა ხელი სახესთან

---

1 მაკალათია ს., ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. 5. თბილისი, გვ. 230, სურ. 11.

ჰქონდა მიტანილი, მარჯვენა კი მუცლის არეში ედო. ფეხები სწორი კუთხით ჰქონდა მოხრილი. მიცვალებულს თან ახლდა ბრინჯაოს ორი სამაჯური: ერთი ბრტყელი იყო და შუაზე მკვეთრად გამოსახული ქედით ხასიათდებოდა, მეორე კი მავთულისა, რომელსაც თავები წაწვრილებული და ერთმანეთისაგან დაცილებული ჰქონდა. ბეჭებთან ერთი დამტვრეული შავი ქოთანი იდო. სამარხში თორმეტი სხვადასხვა ზომის სერდოლიკის მძივი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მძივები სამარხში მოუფანტიათ, ვინაიდან ზოგი თავის ქალასთან აღმოჩნდა, ზოგი მუცლის არეში და ზოგი ფეხებთან.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს სამარხი კულტურულ ფენას არ უკავშირდებოდა და მასზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. სამარხში მოპოვებული ინვენტარის მიხედვით იგი შეიძლება დავათარიღოთ ძვ. წ. VI-V საუკუნეებით, ამაში განსაკუთრებით გვარწმუნებს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯურები, რომლებიც სწორედ ამ პერიოდის სამარხებისათვის არის დამახასიათებელი.



სურ. 2


რაც შეეხება კულტურულ ფენას, იგი გაცილებით ძველი უნდა იყოს. ფენაში დიდი რაოდენობით გამოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები, უპირატესად შავპრიალა. აქა-იქ ამოდიოდა საქონლის ძვლები. 1,15 მ სიღრმეზე გამოჩნდა ძლიერ დაშლილი კერის ნაშთი. სამწუხაროდ, კერა ძალზე დაშლილი იყო და ამიტომ ძნელდება თქმა, თუ რა ფორმისა უნდა ყოფილიყო იგი. კერა ირგვლივ რიყის ქვებით იყო შემოწყობილი და შემდეგ თიხით შელესილი. კერის მახლობლად აღმოჩნდა ორმო, საიდანაც დიდი რაოდენობით ამოდიოდა ნახშირი და ნაცარი. საფიქრებელია, რომ ეს სპეციალურად ნაცრის ჩასაყრელი ორმო უნდა ყოფილიყო.

ზედაპირიდან დაახლოებით 2,30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოწითალო თიხატკეპნილი „იატაკი“. „იატაკზე“ მრავლად აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. საფიქრებელია, რომ აქ საცხოვრებელთან გვქონდეს საქმე, რომლის იატაკიც თიხით იყო მოტკეპნილი. კერის გვერდით, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აღმოჩნდა მოზარდის ჩონჩხი, ძლიერ მოკუნტული. სამარხში არაფერი იდო. რა კავშირშია ეს სამარხი ამ საცხოვრებელთან, ჩვენთვის სავსებით გარკვეული არ არის. არ არის გამორიცხული, რომ ეს სამარხი ამ საცხოვრებლის თანადროული იყო და შესაძლოა იგი მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ მიატოვეს. ამგვარ მაგალითებს არქეოლოგიაში ადრეული პერიოდიდან საკმაოდ ვხვდებით. მიცვალებულის საცხოვრებელ ადგილზე დასაფლავების ფაქტი უკვე პალეოლითიდანაა ცნობილი.[1] საყურადღებოა, რომ მიცვალებულს უპირატესად კერასთან ან მის მახლობლად ასაფლავებენ. ზოგიერთი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ იმდროინდელი ადამიანის წარმოდგენით, მიცვალებული კოლექტივის წევრი რჩება და ცოცხლებთან ერთად მასაც კერასთან თავის ადგილი უნდა ჰქონოდა.[2] ეს წესი, როგორც ჩანს, შემდეგ ხანებშიც გრძელდება. მ.

1 Фосс М.Е., Погребения на стоянке Кубенино. Труды Государственного исторического музея, вып. VIII, Москва, 1938, стр. 80.

2 იქვე, გვ. 82.

ფოსმა კუბენინოს ნეოლითური სადგომის გათხრის დროს კარის მახლობლად სამი სამარხი აღმოაჩინა.[1] ე. კრუპნოვმა ალხასტინის ნამოსახლარის ფართობზე ქვედა ფენაში ერთი სამარხი იპოვა. მიცვალებულს თან არაფერი ჰქონდა ჩატანებული.[2] კუბენინოს ერთ-ერთ სამარხში, ჩონჩხის გარდა, სხვა არაფერი აღმოჩნდა.[3] ამრიგად, ადვილი დასაშვებია, რომ „გორების“ ნამოსახლარზე კერის მახლობლად აღმოჩენილი სამარხი ნამოსახლარის თანადროული იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ არც საშუალება და არც დრო გვქონდა მთლიანად გაგვეწმინდა ეს ფენა. მას საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. მაგრამ ის მასალა, რომელიც აქ აღმოჩნდა, ვფიქრობთ, იმაზე მიუთითებს, რომ აქ რაღაც ნამოსახლარი უნდა ყოფილიყო. მრავლად აღმოჩენილი მსხვილფეხა საქონლის ძვლები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ აქ მესაქონლეობა საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. მესაქონლეობის გვერდით, როგორც ჩანს, ვითარდებოდა მიწათმოქმედებაც. ამას ერთგვარად ადასტურებს ე. პჩელინას მიერ აქ ადრევე ნაპოვნი ხელსაფქვავის მოზრდილი ქვა და აგრეთვე მრავლად აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც, საფიქრებელია, მარცვლეულის შესანახად იყო განკუთვნილი.



სურ. 3


აქ აღმოჩენილი კერამიკული მასალა ძლიერ დამტვრეულია და მისი აღდგენა შეუძლებელია. თიხის ჭურჭლის ნატეხებიდან უნდა აღვნიშნოთ ერთი ჭურჭლის ორი ფრაგმენტი (სურ. 2). სამწუხაროდ, ამ ჭურჭლის ფორმის აღდგენა შეუძლებელია. იგი საკმაოდ სქელკედლიანი უნდა ყოფილიყო. ჭურჭელი, ჩანს, კარგად ყოფილა ნაკეთები, იგი შავი ფერისაა, აქა-იქ მოწითალო ზოლები გადაკრავს. ერთ-ერთ ფრაგმენტზე შემორჩა ყური. იგი პატარა ზომისაა და პირს ზემოდან გადადის კალათისებურად. ორივე ნატეხზე, გარეთა პირზე, მიძერწილი აქვს რამდენიმე საკმაოდ მოზრდილი კოპი. საფიქრებელია, რომ ამ კოპებს დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭურჭლის კოპებით შემკობა ჩვენში უკვე ენეოლითიდან გვხვდება. თრიალეთში, ბეშთაშენის ციკლოპური ნაგებობის ქვედა კულტურულ ფენაში, აღმოჩნდა ჭურჭელი, რომლის ზედა ნაწილი წყვილ-წყვილი კოპებითაა შემკული. განსაკუთრებით მრავლად გვხვდება თრიალეთში კოპებით შემკული ჭურჭელი შუაბრინჯაოს ხანაში. ამგვარად შემკული ჭურჭელი აღმოჩნდა აგრეთვე ქვასათალში. ჭურჭლის შემკობის ეს წესი კარგად არის ცნობილი

1 Фосс М.Е., დასახ. ნაშრ., გვ. 75.

2 Крупнов Е.И., Археологические памятники ассинского ущелья, Труды Государственного исторического музея, вып. XII, Москва, 1941, стр. 168.

3 Фосс М.Е., დასახ. ნაშრ., გვ. 78.

გვიანბრინჯაოს ხანაშიც. სამთავროს ერთ-ერთ ორმოსამარხში აღმოჩნდა ერთი სამფეხა ჭურჭელი, რომელსაც ზედა ნაწილზე კოპები აქვს მიძერწილი. თრიალეთში ამავე პერიოდის სამარხში ნაპოვნია თიხის ჭურჭელი, რომელიც ოთხივე მხარეს შემკულია წყვილ-წყვილი მოზრდილი კოპებით.




სურ. 4

ძნელი სათქმელია, რა ფორმისა უნდა ყოფილიყო ჩვენი ჭურჭელი. საფიქრებელია, რომ მას ქვაბისებრი მოყვანილობა ჰქონდა, არცთუ ისე ღრმა, იგი ორყურა უნდა ყოფილიყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ჭურჭელი, პირს ზემოდან მიძერწილი ყურებით, ჩვენთვის სრულიად უცნობია.

რა დროის უნდა იყოს ეს ნამოსახლარი, ჯერჯერობით დაზუსტებით თქმა ძნელია, მაგრამ კერამიკის ტიპის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ქვასათალის შავპრიალა ჭურჭლებს უახლოვდება, შესაძლოა მისი თანადროული იყოს და შუაბრინჯაოს ხანის გვიან საფეხურს მიეკუთვნოს.

არკნეთის მიდამოებში მიკვლეული იყო აგრეთვე ორი სამაროვანი. ერთი, რომლის გათხრა ექსპედიციამ ვერ მოახერხა, სოფლიდან დაახლოებით 1-1$^1/_2$ კმ-ითაა დაშორებული. ამ ადგილს მოსახლეობა „გძელას“ უწოდებს. აქ, 1950 წელს, ერთ კოლმეურნეს (ე. კოტოლოვი) შემთხვევით უპოვია რკინის შუბისპირი, ბრინჯაოს სპირალური რგოლები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ნივთები მას სტალინირის მუზეუმისათვის ჩაუბარებია. სამაროვანი, როგორც ჩანს, ძლიერ დაზიანებული უნდა იყოს. ზედაპირზე დიდი რაოდენობით ჩნდება კერამიკა.



სურ. 5


მეორე სამაროვანი სოფლის მახლობლადაა, დაახლოებით 500 მ-ის დაშორებით, ხევის მარჯვენა ნაპირზე. ამ ადგილს ადგილობრივი მო-

სახლეობა „ვასასწყაროს“ უწოდებს. აქ წყალდიდობის შემდეგ ხშირად პოულობენ ხოლმე სხვადასხვა ნივთებს. წელს ერთმა მოსწავლემ შემთხვევით იპოვა რამდენიმე ნივთი და ერთი მონეტა. ეს მასალა დღეს სტალინირის მუზეუმშია დაცული.

მიწის ჩამორეცხვის შედეგად ვასასწყაროს სამაროვანზე სამარხები მეტისმეტად ზედაპირულად აღმოჩნდა, დაახლოებით 0,10-0,15 მ სიღრმეზე, რის გამოც სამარხების დიდი ნაწილი ძალზე დაზიანებულია. ჩვენ აქ გავთხარეთ სულ რვა სამარხი, ექვსი ორმოსამარხი, ერთი ქვევრსამარხი და ერთიც მოზრდილი ქილა, რომელშიც ორი ჩვილი ბავშვის ჩონჩხი იდო. ორმოსამარხიდან სამი ხელუხლებელი იყო, დანარჩენი კი, სამწუხაროდ, მეტად დაზიანებული აღმოჩნდა.

ორმოსამარხი №1 (0,50 მ სიღრმეზე). მიცვალებული პირდაპირ მიწაში იდო მარცხენა გვერდზე ძლიერ მოკუნტული ფეხებით, თავით ჩრდილოეთით. აღსანიშნავია, რომ ეს სამარხი უშუალოდ ქვევრსამარხის თავზე იყო და მიცვალებულს ფეხები ქვევრსამარხში ჰქონდა მოთავსებული.

ორმოსამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი: თავის ქალისა და გულ-მკერდის არეში მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმის, ზომისა და მასალის მძივები; ერთ-ერთ ხელზე მიცვალებულს ვერცხლის მავთულის სამაჯური ეკეთა; თავის ქალასთან ვერცხლის ორი რგოლი აღმოჩნდა, ალბათ, სასაფეთქლე რგოლები; აქვე იდო ერთი ძლიერ



სურ. 6

დაზიანებული ბრტყელი ვერცხლის რგოლი; სამარხის ჩრდილო ნაწილში ნაპოვნი იყო რკინის დამტვრეული ნივთი, ალბათ, დანა და ობსიდიანის პატარა ლამელა.

გარდა ინვენტარისა, სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ცხოველების ძვლები. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, სახის წინ, მსხვილფეხა საქონლის ძვლები იდო (ქვედა ყბა, წვივის ძვალი, ფალანგა). ფეხებთან აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები (სურ. 3).

ორმოსამარხი №2. სამარხი ზემოდან დაფარული იყო თიხის თხელი ფენით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სამარხი საგანგებოდ იყო ზემოდან თიხით შელესილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთივე რამ №4 ორმოსამარხის პრეპარაციის დროსაც შეგვხვდა. სამარხს ზემოდან აქაც გამომწვარი თიხის თხელი ფენა ჰქონდა გადაკრული და ერთ კუთხეში დაშლილი პატარა კერის ნაშთიც აღმოჩნდა. საფიქრებელია, რომ სამარხს საგანგებოდ ფარავდნენ თიხის ფენით.

თიხის ფენის აღების შემდეგ ზედაპირიდან 0,05 მ სიღრმეზე გამოჩნდა მიცვალებულის ძვლები, რომლებიც პირდაპირ მიწაში იდო. სამწუხაროდ, ძვლები ძლიერ დაშლილი იყო და ამიტომ ძნელი იყო მიცვალებულის პოზის ზუსტად გარკვევა. როგორც ჩანს, იგი ძლიერ მოკუნტული უნდა ყოფილიყო, თავით – სამხრეთ-დასავლეთით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორმოსამარხი №2 ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილ ორმოსამარხთა შორის ყველაზე მდიდრულია. სამარხში ექვსი თიხის ჭურჭელი იდო. გულმკერდის და თავის ქალის არეში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის მძივები, მინის, პასტის და სხვა. აღსანიშნავია ერთი მოზრდილი ლურჯი ფერის მძივის ფრაგმენტი, რომელიც ყვითელი ფერის „წინწკლებითაა“ შემკული (სურ. 4). მიცვალებულს ორივე ხელზე თითო ორად გატეხილი ბრინჯაოს თავებგასქელებული სამაჯური ეკეთა. თავის ქალასთან ორი პატარა ზომის რგოლი აღმოჩნდა, ალბათ, ყურსაკიდები, აგრეთვე ერთი ბეჭედი ლურჯი მინის გემით, ძლიერ დაზიანებული ვერცხლის ბრტყელი რგოლი, ერთი ბრინჯაოს ეჟვანი რკინის ენით. სამარხში სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა სამი რკინის დანა (?), ძლიერ ნაკლული, და ერთი რკინის გაურკვეველი ნივთი (სურ. 5). საყურადღებოა აქ ნაპოვნი ხუთი ვერცხლის პართული მონეტა: ორი – სინატრუკის (77-70 წ. ძვ. წ.), ორი ორად I-ის (57-37 წ. ძვ. წ.) და ერთი ფრატ III-ის (70-57 წ ძვ. წ.) (სურ. 6).

ორმოსამარხი №6 (0,75 მ სიღრმეზე). სამარხში სამი მიცვალებული აღმოჩნდა. აღმოსავლეთ ნაწილში ორი მიცვალებული ესვენა. ერთი მიცვალებული მეორეზე იდო. ქვედა მიცვალებულის ძვლები ძალიან ცუდად იყო დაცული და ამიტომ მისი პოზის გარკვევა ძნელია. შესაძლოა, იგი გულაღმა იწვა გაშოტილი. თავი მას მოწითალო ფერის ჭურჭელზე ედო. ზედა მიცვალებულს თავი ქვედა მიცვალებულის მუცლის არეში ედო: ფეხები ძლიერ მოკრუნჩხული ჰქონდა.

მესამე მიცვალებული სამარხის დასავლეთ ნაწილში ესვენა, დაახლოებით 0,10 მ-ით დაშორებული პირველ ორს. იგი ძლიერ მოკუნტული იყო, გვერდზე მწოლარე სახით აღმოსავლეთით. მას იგივე მიმართულება ჰქონდა, როგორიც პირველ ორს (ორმოსამარხი №5). მესამე მიცვალებულს თან არაფერი ჰქონდა ჩატანებული. შესაძლოა იგი უფრო გვიანდელი ხანის ჩაშვებული სამარხი იყოს.

პირველსა და მეორე მიცვალებულთან აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი, პასტისა და მინის მძივები, ბრინჯაოს რგოლები, ორად გატეხილი ვერცხლის ბეჭედი, რკინის წვრილი მავთულის სამაჯური, ნაკლული და რამდენიმე რკინის გაურკვეველი ნივთი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ სამაროვანზე კიდევ სამი დაზიანებული ორმოსამარხი აღმოჩნდა. ამ სამარხებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა №4 ორმოსამარხი. ამ სამარხსაც, ისევე როგორც №2 ორმოსამარხს, ზემოდან თიხის თხელი ფენა ჰქონდა გადაკრული. აქვე აღმოჩნდა ძლიერ დაშლილი კერის ნაშთი. მას აქეთიქით თითო მოზრდილი რიყის ქვა ჰქონდა შემოწყობილი და შემდეგ თიხით იყო შე-

ლესილი. კერის მახლობლად, დაახლოებით 0,30 მეტრის დაშორებით, აღმოჩნდა მთლიანი ღორის ჩონჩხი. კერის გარშემო დიდი რაოდენობით ამოდიოდა საქონლის ძვლები. აქვე აღმოჩნდა რაღაც მოზრდილი ცხოველის ძვლები და ძვლებთან ბრინჯაოს ეჟვანი რკინის ენით. მიცვალებულის ძვლებიდან მხოლოდ ბარძაყის ძვლები იყო შემორჩენილი. სამარხში აღმოჩნდა ერთი ბრინჯაოს გემიანი ბეჭედი და თიხის ჭურჭელი. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული №2 ორმოსამარხის აღწერისას, შესაძლოა აქაც სამარხს საგანგებოდ გადააკრეს თიხის ფენა, ერთ ნაწილში სპეციალურად ააგეს კერა და შემდეგ, ეგების, რაღაც სამგლოვიარო ცერემონიალი სრულდებოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორმოსამარხები ინვენტარითაც უახლოვდება ერთმანეთს. სამწუხაროდ, ორმოსამარხ №4-ში მხოლოდ ორი ბრინჯაოს ნივთი აღმოჩნდა, მაგრამ ეს ნივთები ძალიან ახლოს დგას №2 ორმოსამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ეჟვანთან და ბეჭედთან. სხვა ორმოსამარხში ამგვარი ნივთები არ შეგვხვედრია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორმოსამარხი №4, ისევე როგორც ორმოსამარხი №2, გამოირჩეოდა თავისი ინვენტარის სიმდიდრით დანარჩენი ორმოსამარხებისაგან. როგორც ჩანს, ეს ორი სამარხი სხვა ორმოსამარხებისაგან განსხვავდება აგრეთვე მიცვალებულის დასაფლავების წესითაც. სამარხს ზემოდან გადააფარებდნენ თიხის თხელ ფენას და შემდეგ, შესაძლოა, რაღაც სამგლოვიარო ცერემონიალი სრულდებოდა.

სხვა ჩაშლილ ორმოსამარხებიდან აღსანიშნავია სამარხი №3. ეს სამარხიც ძლიერ დაზიანებული იყო და აქ ადამიანის მხოლოდ ერთი ძვალი აღმოჩნდა. აქვე იდო მსხვილფეხა საქონლის რამდენიმე ძვალი: ამ ძვლების მახლობლად ორ ადგილას აღმოჩნდა რკინის ნივთების მთელი გროვა.

ვასასწყაროს სამაროვანზე მოპოვებული მასალა განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ, რამდენადაც ვიცით, ამ პერიოდის სამარხები სამხრეთ ოსეთიდან დღემდე შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი.

ორმოსამარხში აღმოჩენილი ინვენტარი ძირითადად სამკაულებისაგან შედგება. იარაღი სამარხებში თითქმის სრულიად არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ სამარხში ნაპოვნ რკინის მეტად დაზიანებულ ნივთებს, რომელთაგან ზოგი რკინის დანა უნდა იყოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის სამარხებში, როგორც წესი, ძირითადად სამკაულები გვხვდება ხოლმე. ვასასწყაროს სამაროვანზე სამკაულები უპირატესად ბრინჯაოსაგანაა ნაკეთები. ვერცხლის მხოლოდ რამდენიმე ნივთი აღმოჩნდა. ერთი ვერცხლის სამაჯური ნაპოვნი იყო №1 ორმოსამარხში.

ამ ტიპის სამაჯურები კარგად არის ცნობილი ამ პერიოდის სამარხებში. საქართველოს ტერიტორიაზე ეს სამაჯურები ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. მიწურულსა და ახ. წ. დამდეგს. რამდენიმე ამგვარი ოქროს სამაჯური გამოქვეყნებული აქვს ე. პრიდიკს ბორიდან.[1] ამავე ადგილიდან ერთი სამაჯური, შემთხვევით აღმოჩენილი 1929 წელს, ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტში დაცულია ერთი კოლექცია, შემთხვევით აღმოჩენილი სოფ. ნახშირგორაში. აქ სხვა ნივთებთან ერთად ამ ტიპის სამაჯურიცაა. სამთავროს სამაროვანმა რამდენიმე ასეთი სამაჯური მოგვცა. ცნობილია იგი აგრეთვე კლდეეთიდან. ერთი ამგვარი სამაჯური აღმოჩნდა არმაზის ხევის სამაროვანზე (სამარხი №9). ორი მსგავსი სამაჯური ნაპოვნი იყო ბაგინეთის სამარხში. ამ ტიპის სამაჯურები ცნობილია აგ-

1 Придик М.Е., Новые кавказские клады, МАП, вып. 34, Ленинград, 1914,стр. 97, табл. II, 3, 15.

რეთვე საქართველოს გარეთაც. რამდენიმე ამგვარი სამაჯური აღმოჩნდა ყობანის გვიანი ხანის სამარხში, ერთი ცალი ნაპოვნი იყო დალაგკაყში[1] და სხვ. მრავლად აღმოჩნდა ეს სამაჯურები ტანაისის გათხრების დროს.[2] უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის სამაჯურები სხვადასხვა დროის კომპლექსში გვხვდება. როგორც ჩანს, ეს სამაჯურები დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე იყო გავრცელებული. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ტ. კნიპოვიჩი, რომ ამ ტიპის სამაჯურები დამახასიათებელია ძვ. წ. უკანასკნელ საუკუნის და ახ. წ. პირველ საუკუნის კომპლექსებისათვის.[3]

სხვა ვერცხლის სამკაულებიდან აღსანიშნავია ამავე სამარხში ორი რგოლი, ალბათ, საყურე და ერთი ბრტყელი, ძლიერ დაზიანებული, ვერცხლის ფირფიტის რგოლი. ერთი ამგვარი რგოლი აღმოჩნდა №2 ორმოსამარხში. ერთი ორად გატეხილი ვერცხლის ბეჭედი იდო №6 ორმოსამარხში. ამით ამოიწურა ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის ნივთები.

რკინისაგან ნაკეთები სამკაულებიც ძალზე იშვიათია აქ. ორმოსამარხში №5 აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული რკინის ნივთი, ალბათ, ფიბულა. ერთი რკინისაგან ნაკეთები სამაჯური იდო №6 ორმოსამარხში. გარდა ამისა, კიდევ ორიოდე რკინის ნივთია ცნობილი აქ, რომლებიც შესაძლოა სამკაულიც იყო, მაგრამ იმდენად არის ამჟამად დაზიანებული, რომ შეუძლებელია ამის გარკვევა. რკინის ნივთთაგან აღსანიშნავია სამარხებში აღმოჩენილი დანები. მარტო №2 ორმოსამარხში სამი რკინის დანა იდო. ერთი რკინის დანა ნაპოვნი იყო №1 ორმოსამარხში. სამწუხაროდ, ეს დანები იმდენად დაზიანებულია, რომ მათი ფორმის გარკვევა ძნელდება.

ყველაზე ჭარბად ლითონის სამკაულთაგან სამარხებში წარმოდგენილია ბრინჯაოს ნივთები. ბრინჯაოს სამაჯურები მხოლოდ ერთ სამარხში გვხვდება (ორმოსამარხი №2). ამ სამარხში მიცვალებულს ორივე ხელზე თითო ორად გატეხილი სამაჯური ეკეთა. ორივე სამაჯური სავსებით ერთნაირი ფორმისაა; შუა ნაწილი შედარებით წვრილია და ბოლოებისკენ თანდათანობით სქელდება; ზურგი თითქმის სწორი აქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სავსებით ამგვარივე სამაჯური აღმოჩნდა ქვევრსამარხში.

ჩვენში ამ ტიპის სამაჯურები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტურ ეპოქაში და თითქმის მის მიწურულამდე აღწევს. ჩვენი სამაჯურები ძალიან ახლოს დგას 1913 წელს გურჯაანთან ნაპოვნ ქვაყუთში აღმოჩენილ სამაჯურებთან. აქ სხვა ნივთებთან ერთად ექვსი სამაჯური აღმოჩნდა, ამათგან რამდენიმე სავსებით ისეთივე მოყვანილობისაა, როგორც არკნეთისა.[4] საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში ინახება კიდევ ერთი კოლექცია გურჯაანიდან, რომელიც შემთხვევითაა ნაპოვნი თხრილის გაჭრის დროს 1932 წელს. ამ კოლექციაში ერთი ამგვარი სამაჯურია. ალაზნის არხის გაჭრისას, ალაზნის პირას 1925 წელს, თიხის ჭურჭელთან ერთად შემთხვევით ნაპოვნი იყო ამ ტიპის სამაჯური. რამდენიმე ნაკლული სამაჯური ცნობილია ყაზბეგის მასალებიდან.[5] ჩვენს სამაჯურებს უახლოვდება დაბლაგომის ქვევრსამარხში აღმოჩენილი სამაჯურები, თუმცა ჩვენებს შუაში ჩაზნექი-

---

1 МАК, VIII, табл. LXXII, 10; XXXIV, II; XXXIX, 16.

2 Книпович Т.И., Танаис, М.-Л., 1946, стр. 60, 17 а.

3 იქვე.

4 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 33, рис. 34.

5 Уварова П.С., Коллекции Кавказского музея, т. V, Тбилиси, 1902, стр. 15, №№246-252; табл. III.

ლობა თითქმის აღარ ეტყობათ.[1] ცნობილია ამგვარი სამაჯურები ჩრდილო კავკასიაში. პ. უვაროვას გამოქვეყნებული აქვს ბოლოებგამსხვილებული სამაჯური ჩმიდან, მეორე კი ყობანიდან.[2]

ბრინჯაოს ბეჭედი ორ სამარხში შეგვხვდა. მოყვანილობით ეს ბეჭდები სავსებით ერთნაირია. ორივეს მინის გემა აქვს. №4 ორმოსამარხში აღმოჩენილ ბეჭდის გემაზე გამოხატულია ორი ერთმანეთის გვერდით მდგომი ცხვარი. წინა ხედზე მდგომი ცხვარი მთლიანად ჩანს, მეორისა კი მხოლოდ თავი მოჩანს. უნდა აღვნიშნოთ, რომ წყვილი ცხოველისგამოსახულებიანი გემა ჩვენში არსად გვეგულება. სამაგიეროდ ეს მოტივე კარგად არის ცნობილი ბერძნულ-რომაულ გლიპტიკაში.

მეორე ბეჭედი აღმოჩნდა №2 ორმოსამარხში, მასაც მუქი ცისფერი ინტალიო ამკობს. გამოსახულება ძალიან მკრთალად არის გამოსული. როგორც ჩანს, ორიგინალი, საიდანაც უნდა ყოფილიყო ჩამოსხმული ეს გემა, არ იყო ღრმად ნაკეთები. ამჟამად გამოსახულება ძალზე ბუნდოვანია იმის გამო, რომ მინა ირიზებულია. პოზისა და ჩაცმულობის მიხედვით გემაზე გამოსახული ფიგურა ბედ-იღბლის ქალღმერთი, ფორტუნა, უნდა იყოს.

თითქმის ყველა ორმოსამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მავთულის რგოლები. ეს რგოლები თითქმის ყოველთვის მიცვალებულის თავის ქალასთან იდო ხოლმე და, როგორც ჩანს, საფეთქლის რგოლები უნდა იყოს.

დასასრულ, ბრინჯაოს ნივთებიდან უნდა აღვნიშნოთ ბრინჯაოს ორი ეჟვანი. ორივეს კარგად აქვს შერჩენილი რკინის ენა სხვადასხვა ფორმისა და მოყვანილობის. ბრინჯაოს ეჟვნები ხშირად გვხვდება ამ პერიოდის სამარხებში. ჩვენი ეჟვნები უახლოვდება 1924 წელს დიღომში აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნ ეჟვანს.[3]

კარგად არის წარმოდგენილი ამ ორმოსამარხებში მძივები. უპირატესად აქ მინის და მინისებრი პასტის მძივები გვხვდება. მძივები სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისაა; ზოგი მილისებურად წაგრძელებულია, ზოგს კასრისებრი ფორმა აქვს, ზოგი მრგვალია და სხვ. გვხვდება აგრეთვე მოზაიკური მძივები. მაგალითად, მრგვალი, ლურჯი ფერის, თეთრ წრეში ჩასმული ლურჯი „თვლებით“, მრგვალი მძივები, რომელთაც სიგრძივ დაუყვება სხვადასხვა ფერის (ლურჯი, მწვანე, თეთრი, ყვითელი) ზოლები; გვხვდება აგრეთვე კასრისებრი მოყვანილობის მძივები, რომელთაც სიგრძეზე გრეხილად დაუყვება ნაირ-ნაირი ფერის ზოლები. რამდენიმე სამარხში აღმოჩნდა სერდოლიკის მძივები. სერდოლიკის მძივები შედარებით იშვიათია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ფორმის სერდოლიკის მძივებს შორის გვხვდება აშკარად უფრო ადრეული ხანის სამარხებისათვის დამახასიათებელი მძივები. მაგალითად, №2 ორმოსამარხში სერდოლიკის მძივებს შორის აღმოჩნდა ერთი დახერხილი მძივი, რომელიც კარგად არის ცნობილი გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხებში. აგრეთვე არქაული ფორმის მძივი იდო ქილაში, რომელშიც ორი ჩვილი ბავშვის ჩონჩხი აღმოჩნდა. ამ ფორმის მძივები ანტიკური პერიოდის სამარხებში ჩვეულებრივ არ გვხვდება. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს, როდესაც ამ ტიპის მძივები უფრო მოგვიანო ხანის კომპლექსშია მოქცეული. სერდოლიკის რამდენიმე დახერხილი მძივი აღმოჩნდა დაბლაგომის №1 ქვევრსამარხში. ამ ტიპის მძი-


1 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ.

2 МАК. VIII, табл. LVI, XLIV.

3 მაკალათია ს., 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქ. მუზ. მოამბე, ტ. 4, თბილისი, 1928, გვ. 172.

ვები აღმოაჩინა ა. უვაროვმა არმავირ-ბლურზე ამავე პერიოდის ორ სამარხში.[1] საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში დაცულია გ. ჩიტაიას და ს. მაკალათიას მიერ მოპოვებული მასალა ზემო ავჭალიდან. აქაც ანტიკური პერიოდის სამარხში ნაპოვნია ერთი მოზრდილი სერდოლიკის დახერხილი მძივი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არქაული ფორმის სერდოლიკის მძივები შედარებით მოგვიანო ხანის სამარხებში მოხვდა ძველი სამარხებიდან. როგორც აღნიშნული გვქონდა, არკნეთში, ვასასწყაროს სამაროვნის მახლობლად, მიკვლეული იყო ადრეული ხანის სამაროვანი და, შესაძლოა, ამ სამაროვანზე აღმოჩენილი მძივები შემდეგ თავის მიცვალებულს ჩააყოლეს ჭირისუფლებმა.


ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილი მძივებს ბევრი საერთო აქვთ ზემო ავჭალის სამარხში ნაპოვნ მძივებთან. მსგავსი მძივები ცნობილია სამთავროს ძვ. წელთაღრიცხვის უკანასკნელი საუკუნეების – ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების სამარხებიდან. ზოგიერთი მძივი მსგავსია მცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილ ამავე პერიოდის სამარხებში ნაპოვნი მძივებისა. საქართველოს მუზეუმში დაცულია 1920 წელს მცხეთაში გ. ხუბეროვის ეზოში შემთხვევით აღმოჩენილი ერთი კოლექცია. ამ კოლექციის მძივები ჰგავს ჩვენს მძივებს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მოგრძო შავი ფერის მინის მძივი, თეთრი ტალღებით შემკული, რომელიც სავსებით ისეთივე ფორმისაა, როგორც ვასასწყაროს სამაროვნის №2 ორმოსამარხში აღმოჩენილი მძივი.[2] მძივებზე ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან ისინი დამახასიათებელია ამ პერიოდის სამარხებისათვის და კარგადაა ცნობილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლების გარეთ. აღვნიშნავთ მხოლოდ №2 ორმოსამარხში ნაპოვნ ერთ მოზრდილ მძივს. ამ მძივის მხოლოდ ერთი ნახევარი აღმოჩნდა. იგი ლურჯი ფერისაა და შემკულია მოყვითალო ფერის „თვლებით“. ეს მძივი ძლიერ ემსგავსება პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებულ ერთ მძივს კორცადან.[3] უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის მძივები სადღეისოდ ჩვენში შედარებით იშვიათად გვხვდება და უფრო მეტად ჩრდილო კავკასიისათვის დამახასიათებელი ჩანს.



სურ. 7

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილ მონეტებზე. აქ ხუთი მონეტა აღმოჩნდა №2 ორმოსამარხში. ყველა მონეტა პართულია და მიეკუთვნება პირველ საუკუნეს ძვ. წ.-ით. პართული მონეტები ჩვენში კარგად არის ცნობილი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოდან. დასავლეთ საქართვე-

1 Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды, т.II, стр. 51.
2 მაკალათია ს., დასახ. ნაშრ, ტაბ. 18, 8.
3 МАК, VIII. табл. XCI, 8.



სურ. 8

ლოში მათ შედარებით იშვიათად ვხვდებით. ჩვენში მრავლად არის აღმოჩენილი ახ. წ. I საუკუნეში მოჭრილი პართული მონეტები და ამ პერიოდში აქ ისინი რომაულ დინარს უწევენ მეტოქეობას; ძვ. წ. I საუკუნეში მოჭრილი პართული მონეტები საქართველოში შედარებით იშვიათია.[1]

ინვენტარის განხილვის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სამარხები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეს მიეკუთვნება. გარდა მონეტებისა, ამას სხვა მონაცემებიც გვაფიქრებინებს, ზურგსწორი, ბოლოებგასქელებული სამაჯურები, როგორც აღნიშნული გვქონდა, დამახასიათებელია ელინისტური ხანისათვის, განსაკუთრებით მისი მიწურულისათვის. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ორმოსამარხებში აღმოჩენილი ბეჭდები კარგად თარიღდება ძვ. წ. I საუკუნით[2]. ვერცხლის სამაჯურის მსგავსი სამაჯურები, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ტ. კნიპოვიჩი, დამახასიათებელია ძვ. წელთაღრიცხვის უკანასკნელი საუკუნეების და ახ. წ. პირველი საუკუნეების კომპლექსებისათვის.[3] დიღომთან ნაპოვნ სამარხს, რომელშიც ჩვენი ეჟვანის მსგავსი ეჟვანი აღმოჩნდა და აგრეთვე ერთნაირი ფორმის მძივი, ს. მაკალათია, მონეტების მიხედვით, ახ. წ. I საუკუნეს მიაკუთვნებს.[4] ვფიქრობთ, რომ ამავე პერიოდისა უნდა იყოს ვასასწყაროს სამაროვნის ორმოსამარხები, ე.ი. I საუკუნეების ძველი და ახალი წელთაღრიცხვისა.

---


1 მონეტები შეისწავლეს და ცნობა მათ შესახებ მოგვაწოდეს ნუმიზმატებმა თ. აბრამიშვილმა და დ. კაპანაძემ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

2 ვსარგებლობთ შემთხვევით და უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქ. მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტის გამგეს მ. ლორთქიფანიძეს, რომელმაც აგვიწერა და გაგვისაზღვრა გლიპტიკური მასალა.

3 *Книпович*, Танаис, М,-Л., 1949, стр. 60.

4 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 171.

ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩნდა მოწითალო ფერის ორყურა ქილა, რომელშიც ორი ჩვილი ბავშვის ჩონჩხი იდო. ქილა გვერდზე იყო წაწოლილი, პირით ჩრდილო-აღმოსავლეთით. ბავშვები რამდენიმე თვისა უნდა ყოფილიყვნენ, აქედან ერთი რამდენადმე უფროსი ჩანს. თავები ორივეს ჭურჭლის ყელისაკენ ჰქონდა მიქცეული. ბავშვებს თან ახლდათ ყვითელი პასტის და ლურჯი ფერის მინის წვრილი მძივები და ორი სერდოლიკის მძივი, აქედან ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დახერხილი; წვრილი მავთულისაგან ნაკეთები ორი პაწია რგოლი; რკინის რაღაც ნივთის ნატეხი და ერთი ნიჟარა კაური. რა დროისა უნდა იყოს ეს სამარხი, დაზუსტებით ამის თქმა ძნელია. ვფიქრობ, რომ შესაძლოა ეს სამარხი ორმოსამარხების თანადროული იყოს. თითქმის ანალოგიური ბრინჯაოს რგოლები, ოღონდ შედარებით დიდი ზომის, გვხვდება ორმოსამარხებში. საერთოდ, ეს რგოლები დამახასიათებელია ამ პერიოდის სამარხებისათვის, მათ ვხვდებით სამთავროში და სხვაგან.



სურ. 9

აღსანიშნავია, რომ სამთავროს სამაროვანზე რამდენიმე მოზრდილი ქილა აღმოჩნდა, რომელშიც ბავშვის ჩონჩხი იყო მოთავსებული. ზოგიერთი ქილა ფორმით ძალიან ემსგავსება ჩვენს ქილას. აქაც ღია ფერის ორყურა ქილებია სამარხად გამოყენებული. სამწუხაროდ, თითქმის ყველა ეს სამარხი სრულიად უინვენტაროა და ამიტომ მათი ასაკის შესახებ ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა (ქვევრსამარხი №32; ქვევრსამარხი №90 და სხვ.).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვასასწყაროს სამოვანზე აღმოჩნდა ერთი ქვევრსამარხი. ქვევრი ძლიერ დამტვრეული და გვერდზე წაწოლილი იყო (მიმართულება სამხრ.-აღმ.). ქვევრს გარედან წითელი ზოლები დაუყვება. ქვევრი თითქმის მთლიანად რიყის ქვებით იყო ამოვსებული. შიგ ორი მიცვალებული აღმოჩნდა, ძლიერ მოკრუნჩხული, გვერდზე მწოლიარე. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ორი შავი ფერის ჭურჭელი: ერთი დაბალყელიანი ცალყურა სასმისი, მეორე კი – წაწვეტილძირიანი ჭურჭელი (სურ. 7). ერთ-ერთ მიცვალებულს ორივე ხელზე თითო სამაჯური ეკეთა. ერთი ბოლოებგამსხვილებული, ზურგსწორი, მეორე კი – ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან ნაკეთები, ძლიერ ნაკლული. აქვე იდო ბრინჯაოს ბრტყელი ბეჭედი, სამი ბრინჯაოს მავთულის სასაფერთქლე რგოლი და ერთი რკინის ძლიერ დაზიანებული ნივთი, შესაძლოა, ფიბულა. სამარხში მრავლად აღმოჩნდა აგრეთვე მძივები: სერდოლიკის, მინის, პასტის და სხვ. (სურ. 8).

განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ნაპოვნი ერთი მრგვალი ლურჯი მინის სკარაბეოიდი და იმავე ფერის და მასალის ხუთი საბეჭდავი.[1] ყველა ნაკეთებია ერთნაირი მასალისაგან, ლურჯი, მცირედ გამჭვირვალე მინისგან; ისინი მხოლოდ ელფერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (სურ. 9). სკარაბეოიდის ფორმის მძივსაკიდის პირ-

1 ორი საბეჭდავი იმდენად დაზიანებულია, რომ მათ შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.

ზე, როგორც ჩანს, თავის დროს რაღაც გამოსახულება უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ამჟამად გამოსახულების გარჩევა ძალიან ძნელია – შესაძლოა გრძელბოლოიანი ფრინველი იყო გამოხატული.

ყველა საბეჭდავი გულმკერდის არეში იყო ნაპოვნი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი საკიდად იყო გამოყენებული. საბეჭდავი ათწახნაგა პარალელეპიპედის ფორმისაა; პირი ბრტყელი აქვს, ზურგი კი წაკვეთილ პირამიდას წარმოადგენს; სიგრძივ დატანებული აქვს ნახვრეტი ზონარისათვის. ჩვენს საბეჭდავებზე სხვადასხვა გამოსახულებაა.

1. ეს საბეჭდავი კარგად არის დაცული. ყალიბიდან ამოღების შემდეგ ოსტატს, როგორც ჩანს, იგი გულმოდგინედ დაუმუშავებია, თუმცა გამოსახულება, ერთგვარად თითქოს მონისლულია, რაც ჩვეულებრივად ახასიათებს ამგვარ საბეჭდავებს, მაგრამ მაინც მკვეთრად არის გამოსული.

საბეჭდავზე ნადირობის სცენაა ასახული. მონადირე ცხენზე ზის და ზეაპყრობილ ხელში შუბი უჭირავს, რომელსაც ყალყზე შემდგარ ლომს სტყორცნის. შუბი ლომს წინა თათში მოხვედრია. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ სავსებით ანალოგიური სიუჟეტი მოცემულია ბ. კუფტინის მიერ თრიალეთში აღმოჩენილ ერთერთ საბეჭდავზე. მაგრამ, სამწუხაროდ, თრიალეთის ცალზე ცხოველის გამოსახულება ძალზე დაზიანებულია. მ. მაქსიმოვა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საქართველოში აღმოჩენილი შუშის მრავალწახნაგა საბეჭდავები, ვარაუდობს, რომ შესაძლოა აქ უკანა ფეხებზე შემდგარი დათვი იყოს გამოსახული.[1] ჩვენი და წალკის საბეჭდავების შედარების დროს საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტის გამგემ მ. ლორთქიფანიძემ იმდენი საერთო რამ ნახა დეტალებში, რომ მას დასაშვებად მიაჩნია ის მოსაზრება, რომ წალკის საბეჭდავი ერთი დედნისაგან იყოს ჩამოსხმული. მისი აზრით, წალკის საბეჭდავზედაც ლომი უნდა იყოს გამოსახული.

2. ეს საბეჭდავი სავსებით იმავე ტექნიკითაა ნაკეთები. აქაც გამოსახულება საკმაოდ ბუნდოვანია და მკრთალი. გამოსახულება სქემატურია. საბეჭდავზე გამოხატულია ირემი, რომელიც უკან იყურება. იგი ლომს გაურბის, ლომი დაეწია ირემს და მარცხენა თათი ირმის ზურგზე აქვს დადებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ლომის ფიგურა მეტისმეტად უსიცოცხლოა; კისერი მას უჩვეულოდ აქვს წაგრძელებული (ეს, ალბათ, უხეირო ჩამოსხმის შედეგია); კუდი ზევითაა აწეული, ფეხები სწორი ხაზის სახითაა გამოსახული.

მსგავსი შინაარსის გამოსახულებას ვხედავთ გორის რაიონში აღმოჩენილ საბეჭდავზე (დაცულია ხელოვნების მუზეუმში). მ. მაქსიმოვა აღნიშნავს, რომ ეს მოტივი წინა აზიაში უნდა შექმნილიყო, საიდანაც იგი ბერძნულ ხელოვნებაში გადავიდა. V-VI საუკუნეებში ამ სიუჟეტს ხშირად ვხვდებით ბერძნულ საბეჭდავებზე აგრეთვე მცირე აზიაში ბერძნული ქალაქების მიერ მოჭრილ მონეტებზე.[2] მაგრამ, როგორც მ. მაქსიმოვა აღნიშნავს, გორის რაიონში აღმოჩენილ საბეჭდავის გამოსახულება განსხვავდება ბერძნულ გემებზე მოცემულ ამგვარ გამოსახულებისაგან. თავისი ტექნიკური შესრულებითა და ჭრის მანერით იგი ახლოს დგას ადგილობრივ საბეჭდავებთან. ანალოგიური შინაარსის საბეჭდავი დაცულია ერმიტაჟში.[3]

---

1 Максимова М.И., Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии, ენიმკის მოამბე, ტ. X, თბილისი, 1941, გვ. 83.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 84.

3. ეს საბეჭდავიც თავისი მოყვანილობით სავსებით ისეთივეა, როგორიც წინა ორი. საბეჭდავზე გამოხატულია ეტლი, რომელშიც ერთი ცხენია შებმული. სადავეები სწორი ხაზითაა გამოსახული. ეტლს კვადრატული მოყვანილობა აქვს. საერთოდ გამოსახულება სქემატურია. მსგავსი შინაარსის გამოსახულება საქართველოში ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. გეომეტრიულ და ადრეარქაული ხანის ბერძნულ გლიპტიკაში გვხვდება ეტლში შებმული ცხენის გამოსახულება.[1] ანალოგიურ სიუჟეტს, ოღონდ განსხვავებული კომპოზიციით, ვხვდებით, მაგალითად, სუზას ცილინდრებზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის საბეჭდავები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება. რამდენიმე ამგვარი საბეჭდავი, როგორც ვთქვით, აღმოჩნდა თრიალეთში ელინისტური ხანის სამაროვანზე.[2] სამთავროში ერთი ლურჯი მინის საბეჭდავი ჯერ კიდევ ფ. ბაიერნს უპოვია. სამთავროს არქეოლოგიური გათხრების დროს სამხრეთ უბანზე ქვევრსამარხებში აღმოჩნდა ორი ლურჯი მინის საბეჭდავი.[3] ერთი ცალი ცნობილია გორის რაიონიდან.[4] ერთი ამგვარი საბეჭდავი, ახალციხეში აღმოჩენილი, ინახება სტალინირის მუზეუმში. საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულია ერთი საინტერესო კოლექცია, შემთხვევით აღმოჩენილი ლოჭინში გათხრილ ორ ქვაყუთში. ამ კოლექციაში სხვა ნივთებთან ერთად მინის სამი საბეჭდავია. დასავლეთ საქართველოში ამ ტიპის საბეჭდავი დღემდე მხოლოდ ერთადერთია ცნობილი – კლდეეთიდან. საქართველოს ფარგლებს გარეთ ჯერჯერობით პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებული ლურჯი მინის მხოლოდ ერთი საბეჭდავია ცნობილი აულ კორცადან[5].

ზემოაღნიშნული საბეჭდავების განხილვისას მ. მაქსიმოვა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ საბეჭდავების ქვის ორიგინალები ძირითადად მცირე აზიიდან შემოდიოდა და ჩვენი მინის საბეჭდავები მათ პირს წარმოადგენდა. მის მიერ განხილულ შვიდი საბეჭდავიდან ექვსი მცირეაზიური საბეჭდავების პირია და მხოლოდ ერთი, წალკაში ნაპოვნი, ბერძნულ-სპარსული გემის პირიდან უნდა იყოს გადმოღებული.[6] ორიგინალები ამ საბეჭდავებისა, როგორც ჩანს, მცირეაზიური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლურჯი მინის ბეჭდები კი უკვე ადგილობრივი ნახელავი უნდა იყოს. მასალის, ტექნიკისა და ფორმის ერთგვარობა, გამოხატულების ერთნაირად გადმოცემის ხერხი უთუოდ ადასტურებს იმას, რომ ეს საბეჭდავები ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ მუქი ლურჯი ფერის მინის საბეჭდავები საქართველოს გარეთ, ერთი შემთხვევის გარდა, სხვაგან უცნობია.[7] საყურადღებოა, რომ ჩვენში ამავე მასალისგან მზადდებოდა არა მარტო საბეჭდავები, არამედ მძივები. ასეთი მძივები კარგად არის ცნობილი სამთავროდან.[8] ვასასწყაროს ორმოსამარხებში მრავლად არის აღმოჩენილი ამგვარი მძივები, ამავე მასალისაა ზემოაღწერილი სკარაბეოიდი. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ჩვენში ფართოდ იყენებდნენ ლურჯი მინისაგან ნაკეთებ ნაწარმს.

---

1 Максимова М.И., დასახ. ნაშრ., გვ. 86.
2 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, стр. 31.
3 Максимова М.И., დასახ. ნაშრ., გვ. 75; Максимова М.И., Геммы из некрополя Мцхеты – Самтавро, საქ. მუზ. მოამბე. ტ. XVI-B თბილისი, 1950, გვ. 263.
4 Максимова М.И., Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии, стр. 83.
5 МАК VIII, стр. 183, табл., CXXVIII, 43
6 Максимова М.И., დასახ. ნაშრ., стр. 88.
7 იქვე გვ. 91, , Максимова М.И., Геммы из некрополя Мцхеты – Самтавро, стр. 233.
8 Максимова М.И., Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии, стр. 91.

ამრიგად, ვასასწყაროს ქვევრსამარხში აღმოჩენილი საბეჭდავები კიდევ დამატებითი საბუთია იმისა, რომ ეს საბეჭდავები გავრცელებული იყო იმ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში. საყურადღებოა ის, რომ ჩვენი საბეჭდავები ემსგავსება სიუჟეტით სხვა ამგვარსავე საბეჭდავებს და, გარდა ამისა, ერთ-ერთ საბეჭდავზე მოცემული გამოხატულება დღესდღეობით სრულიად უცნობია.

ქვევრსამარხში კარგად არის წარმოდგენილი მძივები, უმთავრესად მინისა. მინის მძივები სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისაა. აქ უპირატესად მრგვალი ფორმის წვრილი მინის მძივები გვხვდება. აქვე აღმოჩნდა ერთი ლურჯი ფერის მძივი, რომელსაც თეთრ წრეში ჩასმული ლურჯი „თვლები" აქვს. ეს მძივი თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორიც №1 ორმოსამარხში ნაპოვნი ამგვარი მძივი, ოღონდ უფრო პატარა ზომისაა. სერდოლიკის მძივებიდან მხოლოდ ორს აქვს მოგრძო ფორმა, დანარჩენები მრგვალი ფორმისაა.

ქვევრსამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ სამაჯურები. ერთი მათგანი მთელია. მას აქ არ შევეხებით, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, იგი სავსებით ისეთივე ფორმისაა, როგორც №2 ორმოსამარხში ნაპოვნი სამაჯურები. რაც შეეხება მეორე სამაჯურს, იგი, სამწუხაროდ, ძალზე დაზიანებულია და მისი მოყვანილობის შესახებ რაიმეს გარკვევით თქმა ძნელია. სამაჯური მრგვალი ბრინჯაოს მავთულისაგანაა ნაკეთები; მას ზურგი, როგორც ჩანს, ოდნავ ჩაზნექილი უნდა ჰქონოდა. ამ ტიპის სამაჯურები, როგორც ცნობილია, ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტურ ხანაში. რაც შეეხება აღმოჩენილ სამ რგოლს, ისინი ძალიან მსგავსია ორმოსამარხებში ნაპოვნი ამგვარივე რგოლებისა, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, საფიქრებელია, სასაფეთქლე რგოლები იყო. ასეთი რგოლები ხშირად გვხვდება ამ პერიოდის სამარხებში. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი ბრინჯაოს ფირფიტის სადა ბეჭედი: შუა ნაწილი მას შედარებით ფართო აქვს; ბოლოებისაკენ იგი თანდათან ვიწროვდება.

ქვევრსამარხში მხოლოდ ერთი რკინის ნივთი შეგვხვდა, ისიც იმდენად დაზიანებული, რომ ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა. შესაძლოა იგი ფიბულა იყოს.

თიხის ჭურჭელი აქ მხოლოდ ორი აღმოჩნდა. ერთი მათგანი ცალყურა, სადა სასმისია. იგი შავი ფერისაა, თხელკედლიანი, კარგად ნაძერწი. მეორე ჭურჭელიც შავი თიხისაა, კარგად ნაკეთები. მას ძირი წაწვეტილი აქვს. მუცლის შუა ნაწილზე მკვეთრად გამოხატული ფართო ღარი შემოუყვება. რა დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი, ძნელი სათქმელია, შესაძლოა, ნელსაცხებლისთვის. ამგვარი ძირწაწვეტილი თიხის ჭურჭელი ცნობილია ამ პერიოდის სამარხებიდან. ბ. კუფტინმა თრიალეთში ელინისტური ხანის სამაროვნის გათხრების დროს აღმოაჩინა ამ ტიპის ორი ჭურჭელი.[1] ერთი სავსებით ასეთივე ჭურჭელი ნაპოვნი იყო ვასასწყაროს სამაროვნის №6 ორმოსამარხში. საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში ინახება შავი ფერის ძირწაწვეტილი ჭურჭელი, შემთხვევით აღმოჩენილი ზემო ავჭალაში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს 1925 წელს. ამ ჭურჭელს მუცელი შედარებით უფრო მოგრძო აქვს და მუცელზე სიგრძივ არამკვეთრი ღარები დაუყვება. ამავე განყოფილებაში დაცულია ერთი მოწითალო ფერის ძირწაწვეტილი ჭურჭელი. აღმოჩენილი მცხეთის სადგურის მიდამოებში 1926 წელს. აქვე ინახება ერთი ამგვარი შავი ფერის ჭურჭელი. იგი ახალციხის მუზეუმს გადმოუცია და მისი აღმოჩენის

1 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, გვ. 31, ტაბ., 4.

ადგილი, სამწუხაროდ, უცნობია. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამთავროს მოგვიანო ხანის სამარხებში კერძოდ კი ქვევრსამარხებში, ამ ტიპის ჭურჭელი არ გვხვდება. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სამთავროში ამ პერიოდში ძირითადად ღია ფერის ჭურჭელია გავრცელებული, შავი ფერის ჭურჭელი აქ თითქმის აღარ გვხვდება.

ვასასწყაროს სამაროვანზე ნაპოვნი ქვევრსამარხი ამ ტიპის სამარხის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. როგორც ვიცით, ქვევრსამარხები კარგად არის ცნობილი საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში.[1] უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სამარხის ეს ტიპი შედარებით გვიან შემოდის. აქ იგი, როგორც ჩანს, გვიანელინისტურ ხანაში ვრცელდება.[2] დასავლეთ საქართველოში კი, პირიქით, ამ პერიოდისათვის ქვევრსამარხი უკვე გამოდის პრაქტიკიდან.[3] სამარხად გამოყენებული ქვევრი სრულიად არ განსხვავდება მცხეთის, ზემო ავჭალის, აზერბაიჯანის და, საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სამარხად გამოყენებული ქვევრისაგან. აქაც დაახლოებით თანამედროვე საღვინე ქვევრის მსგავსი ქვევრია გამოყენებული.

ქვევრსამარხის ინვენტარის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული ქვევრსამარხების თანადროული უნდა იყოს. სამთავროს სამაროვნის ქვევრსამარხები მიეკუთვნება ძვ. წ. II-I საუკუნეებს.[4] ამავე პერიოდისაა აგრეთვე აზერბაიჯანში აღმოჩენილი ქვევრსამარხები. უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ქვევრსამარხები ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეებში კიდევ აგრძელებს არსებობას.[5] ჩვენში სამარხის ეს ტიპი ძველ წელთაღრიცხვასთან ერთად ისპობა და ახალწელთაღრიცხვაში აღარ გადმოდის. ყოველ შემთხვევაში სადღეისოდ ჩვენს ხელთარსებული მასალებიდან ასე ჩანს. ვასასწყაროს სამაროვნის ქვევრსამარხი ასაკით შორს არ უნდა იყოს წასული იქვე აღმოჩენილ ორმოსამარხებისაგან. როგორც უკვე ზემოთ გზადაგზა აღვნიშნავდით, ქვევრსამარხებში და ორმოსამარხებში ანალოგიური ინვენტარი შეგვხვდა. მძივებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო ორმოსამარხებში აღმოჩენილ მძივებთან, ამ სამარხში სავსებით ერთნაირი სამაჯურები გვხვდება. გარდა ამისა, გარკვეული მსგავსება შეიმჩნევა აგრეთვე თიხის ჭურჭელშიც. ორივეგან შავი ფერის კარგად გამომწვარი ჭურჭელი გვხვდება და ერთ-ერთ ორმოსამარხში (6), როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ისეთივე ძირწაწვეტილი ჭურჭელი აღმოჩნდა, როგორიც ქვევრსამარხში. მაგრამ, მიუხედავად ინვენტარის ასეთი მსგავსებისა, არა გვგონია, რომ ეს სამარხები სავსებით თანადროული იყოს. მით უმეტეს, რომ აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი, მაგალითად, სამაჯურები, საერთოდ, კარგად იყო ცნობილი ელინისტურ ეპოქაში. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ მძივზე: მაგ.: „თვალებიანი“ მძივები, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ე. ალექსეევა, დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში გვხვდება.[6] შორს რომ არ წავიდეთ, შეგვიძლია დავასახელოთ თუნდაც ურეკის სამარხი, რო-

---

1 Иващенко М.М., Кувшинный могильник в Западной Грузии, Советская археология, т. XIII. М. – Л., стр. 320.

2 იქვე, გვ. 330.

3 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., Б.А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 76.

4 Иващенко М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 329.

5 Казиев С., Асланов Г., О двух кувшинных погребениях, Материальная Культура Азербайджана, II, Баку, 1951, стр. 209.

6 Алексеева Е., Поздне-Кобанская культура центрального Кавказа. Ученые записки ЛГУ, серия исторических наук, вып. 13, Ленинград, 1949. стр. 196.

მელსაც ა. აფაქიძე ახ. წ. მე-4 საუკუნეს მიაკუთვნეს, სადაც სავსებით ანალოგიური „თვალებიანი“ მძივები შეგვხვდა.[1] ვფიქრობთ, რომ ვასასწყაროს ქვევრსამარხი ორმოსამარხთან შედარებით რამდენადმე უფრო ძველი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვევრსამარხი უშუალოდ №1 ორმოსამარხის ქვეშ იდო. უფრო მართებულად მიგვაჩნია ქვევრსამარხი ძვ. წ. II-I საუკუნით დავათარიღოთ.

ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩნდა აგრეთვე ერთი ნაგებობის ნაშთი. იგი, როგორც ჩანს, ხის უნდა ყოფილიყო თიხით შელესილი. გამომწვარ თიხას ახლაც კარგად ეტყობა ხის კვალი. ორგან შემორჩენილი იყო ხის დანახშირებული ძელი. ნაგებობის სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა ცხოველის დამწვარი ძვლები. აქვე ნაპოვნი იყო ნამგლისებრი რკინის დანა, ორი ერთმანეთზე გადაბმული ბრინჯაოს რგოლი და ბრინჯაოს სამაჯური. ძნელია გადაჭრით თქმა, რა უნდა ყოფილიყო ეს ნაგებობა. შესაძლოა, იგი სამარხი ნაგებობა იყო, რომელიც შემდეგში გაუძარცვავთ. ამას ერთგვარად გვაფიქრებინებს ნაგებობის პრეპარაციის შედეგად აღმოჩენილი ნივთები. ეს ნივთები ძალიან ჰგავს სამარხში აღმოჩენილ ინვენტარს. საფიქრებელია, რომ ეს ნაგებობა სამაროვანის თანადროული იყო.

---

1 აფაქიძე ა., გვიანი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV B, თბილისი, 1947, გვ. 110.

არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოჟორაში*

უკანასკნელ ხანებში ფართოდ გაიშალა არქეოლოგიური კვლევა-ძიება სამხრეთ ოსეთში. რა თქმა უნდა, ეს ინტერესი შიდა ქართლის ამ კუთხისადმი შემთხვევითი არ იყო. ამ რაიონიდან ჩვენს მუზეუმში თავმოყრილი მასალა უპირატესად გვიანბრინჯაოს ხანს მიეკუთვნება. ეს მასალა, ძირითადად, შემთხვევითი აღმოჩენის შემდეგ დაგროვდა. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ამ (გვიანბრინჯაოს) პერიოდში აქ მძლავრად ჩანს როგორც აღმოსავლურქართული, ისე დასავლეთქართული კულტურის ელემენტები. აკად. ს. ჯანაშია სავსებით მართებულად აღიშნავდა, რომ შიდა ქართლი სწორედ ის რაიონია, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა და თავის გამოცდილებას უზიარებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. [1] გვიანბრინჯაოს ხანის ამ ორი ქართული კულტურის ელემენტები კარგად შეინიშნება დღევანდელ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებში. საყურადღებოა, რომ აქაურ მასალებში კარგად ჩანს, რომ ამ პერიოდში მჭიდრო ურთიერთობაა აგრეთვე ქედს იქითა რაიონებთან. რა თქმა უნდა, ამ გარემოებას არ შეეძლო სათანადო ინტერესი არ გამოეწვია სპეციალისტთა შორის.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი წლების მანძილზე სისტემატიურ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა სამხრეთ ოსეთში. ამ ექსპედიციის შედეგები დღეს უკვე ყველასათვის კარგად ცნობილია. სტალინირთან გათხრილმა „ნაცარ-გორამ“ საყურადღებო, შეიძლება ითქვას, უნიკალური მასალა შეგვძინა.

1945 წლებიდან მოკიდებული სამხრეთ ოსეთში თითქმის სისტემატურ მუშაობას აწარმოებდა ბ. კუფტინი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მუშაობის შედეგები დღემდე უცნობია.

უკანასკნელ წლებში მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის თანამშრომელმა ე. პჩელინამ საყურადღებო მუშაობა ჩაატარა ძეგლების გამოვლინების მიზნით. მან შეძლო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე თითქმის ყველა ცნობილი ძეგლის აღნუსხვა და არქეოლოგიური დაზვერვის დროს არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ძეგლის გამოვლენა.

1951 წ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა სამხრეთ ოსეთში მიავლინა არქეოლოგიური ექსპედიცია შემდეგი შემადგენლობით: ო. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი, ს. ბოლქვაძე, ლ. ღლონტი და გ. რუსეიშვილი. ექსპედიცია მოეწყო სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან ერთად. სამხრეთ ოსეთიდან ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდა ე. პჩელინა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ასპირანტი ვ. ლუბინი.

---


* დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 65, 1957.

1 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1948, გვ.27.

ექსპედიციამ თავისი მუშაობის ერთ-ერთ ობიექტად შეარჩია სოფ. ოჟორას (ზნაურის რაიონი) მახლობლად მდებარე სამაროვანი. აქ წინასწარი დაზვერვების დროს მოსახლეობაში მნიშვნელოვანი მასალა იქნა შეკრებილი. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ამ ნივთებს ისინი პოულობდნენ ზემოლისად წოდებულ ადგილში, რომელიც სოფ. ოჟორიდან დაშორებულია დაახლოებით 2 კილომეტრით. სამაროვანი მეტად დაქანებულ კლდის კალთაზეა. იმის გამო, რომ აქ თავის დროზე ტყე გაუჩეხავთ, მიწის ზედაპირი თანდათანობით ირეცხებოდა, ამიტომ სამარხების დიდი ნაწილი თითქმის გაშიშვლებულა.

უპირველესად გაითხარა სამაროვნის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე დაზიანებული ჩანდა. აქ სამარხები თითქმის მთლიანად გადარეცხილი იყო და მოკლე დროში მათგან ალბათ აღარაფერი დარჩებოდა. ზემოლისას სამაროვანზე გათხრილი 14 სამარხიდან მთელი მხოლოდ რვა იყო, დანარჩენი ექვსი კი – დაზიანებული.

არც ერთ სამარხში მიცვალებულის ძვალი არ აღმოჩნდა. მხოლოდ ერთ სამარხში იქნა ნაპოვნი ბავშვის ერთი კბილის ფრაგმენტი. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ნიადაგის თავისებურებით უნდა იყოს გამოწვეული. ამის გამო თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია მიცვალებულის დამარხვის წესის შესახებ. მიცვალებული პირდაპირ მიწაში იდო.




სურ. 1

ორმოსამარხი №1. ეს სამარხი ადრევე უპოვია ერთ კოლმეურნეს, რომელსაც აქედან ამოუღია შუბისპირი და ერთი თიხის ჭურჭელი. სამარხის გაწმენდისას 0,70 მ სიღრმეზე ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამოჩნდა ერთი ჭურჭელი. მის გვერდით კიდევ ერთი ჭურჭელი იდო. სამარხის სამხრეთ ნაწილში გამოჩნდა შავი ფერის თიხის ჭურჭელი. ჭურჭლის ახლოს აღმოჩნდა ძლიერ დაშლილი ბრინჯაოს რამდენიმე მძივი, ერთი სერდოლიკის მძივი და ერთიც ბრინჯაოს ღილი. იქვე იდო ბრტყელი სატევრისპირი. სატევრისპირის გვერდით აღმოჩნდა სამი ერთმანეთზე დადებული სამაჯური. როგორც ჩანს, სამივე სამაჯური მიცვალებულს ცალ ხელზე ეკეთა (სურ. 1).

ორმოსამარხი №2 (ნაშთი) – ზედაპირიდან დაახლოებით 0,40 მ სიღრმეზე. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა შავი ფერის ხელადა. მის დასავლეთით იდო ჯამი. იქვე აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული რკინის გაურკვეველი ნივთი, შესაძლოა ხელშუბი, და ორი მძივი, ერთი – სერდოლიკის, მეორე კი – ლურჯი მინის.

ორმოსამარხი №3 – დაახლოებით 0, 07 მ სიღრმეზე. სამარხის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა შავი ფერის დამტვრეული ჯამი, პირქვე დადებული. მის მახლობლად ნაპოვნი იქნა სერდოლიკის ერთი მოზრდილი და გიშრის ორი მძივი. ჯამის დასავლეთით რკინის შუბისპირი იდო. დაახლოებით სამარხის ცენტრში აღმოჩნდა რკინის სატევრისპირი. იქვე იდო თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ბალთა. სატევრისპირის დასავლეთით, მის მახლობლად, ნაპოვნი იყო ერთმანეთზე დადებული რკინის მოკლე ხიშტისმაგვარი იარაღი და შუბისპირი. გარდა ამისა, სამარხში კიდევ ორი ჭურჭელი იდო – ერთი ჯამი და ერთიც ყურიანი ქოთანი.

ამავე სამარხისა უნდა იყოს მის თავზე აღმოჩენილი ერთი პატარა ზომის ბრინჯაოს ბალთა. ეს სამარხი ძალიან ახლოს იყო მიწის პირთან და ზოგი ნივთი გათხრამდეც კარგად მოჩანდა (სურ. 2).



სურ. 2


ორმოსამარხი № 4 (ნაშთი) – ზედაპირიდან 0, 70 სიღრმეზე. სამარხში აღმოჩნდა: სერდოლიკის, მინის და ლურჯი კერამიკული მძივები; რგოლის ნატეხები რკინისა, ბრინჯაოს თხელი ფირფიტის სამაჯურის ბოლოებდახვეული ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ორმოსამარხი №5 – 0, 45 მ სიღრმეზე. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოზრდილი ქვები ეწყო. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში

ქვებთან იდო თიხის ერთი ჭურჭელი. ამავე კუთხეში ქვების ქვეშ აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. სამარხის სამხრეთ ნაწილში ქვებს შორის იდო ერთი დამტვრეული კეცი. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა კოჭები და ერთმილიანი ჭურჭელი. სამარხის ჩრდილო ნაწილში თიხის რამდენიმე ჭურჭელი იდო: ორი ქილა, ქოთანი და ერთიც ყურიანი ჭურჭელი.

სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა რამდენიმე მძივი: სერდოლიკისა (სხვადასხვა ზომისა და ფორმის), ერთი გატეხილი გიშრისა და ერთიც მოლურჯო პასტის მძივი.

სამარხის ცენტრში ნაპოვნი იქნა კოლხური ცული, ყუაზე ხარის ქანდაკებით. სამარხის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს ნატეხები (სურ. 3).




სურ. 3

ორმოსამარხი №6 (ნაშთი) – 0, 40 მ სიღრმეზე. იგი ძლიერ დაშლილი იყო. სამარხში იდო: ერთი თიხის ტოლჩა, რკინის დაშლილი რგოლებისებრი გაურკვეველი ნივთი, ბრინჯაოს მეტად დაზიანებული ნივთი და სერდოლიკის მძივები.

ორმოსამარხი №7 – 0, 30 მ სიღრმეზე. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში იდო შავი ფერის კოჭები; სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ცილინდრული ფორმის ყური-

ანი სასმისი: სამი ჭურჭელი ნაპოვნი იქნა ჩრდილო კუთხეში (სურ. 4). აქვე იდო თიხის კონუსისებრი კვირისტავი.

სამარხში ბრინჯაოს ორი ნაკლული საკინძი აღმოჩნდა: ერთი აღმოსავლეთ ნაწილში, მეორე კი ჩრდილოეთით. ჩრდილო ნაწილში იდო ბრინჯაოს საკიდი სატევრის ფორმისა.



სურ. 4


სამარხის მთელი მოედანი მოფანტული იყო მძივებით. განსაკუთრებით მრავლად მძივები აღმოჩნდა აღმოსავლეთ ნაწილში: სერდოლიკის მძივები უპირატესად ბირთვისებრი მოყვანილობის; მინის მძივები ნაირი ფორმისა; მინის თეთრი მასის მილისებრი მძივები; „დომინოს“ ტიპის ორი მძივი და მრავლად ცისფერი პასტის მძივები (სურ. 5).

ორმოსამარხი № 8 (ნაშთი) – 0, 50 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხში იდო ორი თიხის ჭურჭელი, დაშლილი რკინის ნივთი (დანა თუ სატევარი), ობსიდიანის სამკუთხა ლამელა და წიდის ორი ნატეხი (?).

ორმოსამარხი № 9 – სიღრმე 0, 30 მ. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში თიხის სასმისი იდო. მის გვერდით აღმოჩნდა თიხის დამტვრეული ჯამი. იქვე იდო ლურჯი ფერის ცილინდრული მძივი. სამხრეთ ნაწილში ნაპოვნი იქნა ორი დამუშავებული კაჟის ნატეხი. სამარხის ცენტრში იდო ბრინჯაოს თავებგადადებული ორი რგოლი, ერთი – უფრო მოზრდილი, მეორე კი – შედარებით პატარა. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ფრინველის ქანდაკება და ძლიერ დაშლილი ბრინჯაოს გაურკვეველი ნივთი.

ორმოსამარხი № 10 (ნაშთი) – ზედაპირიდან 0, 30 მ სიღრმეზე. სამარხში იდო: თიხის სამი ჭურჭელი, გაურკვეველი ნივთის რკინის ნატეხები და ოთხი სერდოლიკის მძივი.

ორმოსამარხი № 11 (ნაშთი) – ამ სამარხში მხოლოდ თიხის ორი ჭურჭელი აღმოჩნდა.



სურ. 5

ორმოსამარხი № 12 – სიღრმე 0, 20 მ. სამარხის დასავლეთ ნაწილში ოთხი ჭურჭელი იდო; ორი ჭურჭელი აღმოჩნდა ჩრდილო ნაწილში და ერთიც სამარხის ცენტრში. ერთ-ერთი ჭურჭლის ქვეშ აღმოჩნდა კაჟის ისრისპირი.

ორმოსამარხი № 13 – 0, 50 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში იდო ორი ჭურჭელი. აქვე აღმოჩნდა პირქვე დადებული პატარა ჯამი და ქვაბი: სამარხის ცენტრში მრავლად იყო სერდოლიკის, ქარვისა და პასტის მძივები. იქვე იდო ძლიერ დაშლილი ბრინჯაოს გაურკვეველი ნივთი. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ორი სასაფეთქლე რგოლი და დაზიანებული რკინის ნივთი, ეგებ სამაჯური.

სამარხში ნაპოვნი იქნა ბავშვის კბილი.


ორმოსამარხი № 14 – ზედაპირიდან 1, 0 მ სიღრმეზე. სამარხში თიხის სამი ჭურჭელი აღმოჩნდა: ერთი – სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ორი დანარჩენი კი – სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.

სამარხის დასავლეთ ნაწილში ნაპოვნი იქნა ერთი რკინის სატევრისპირი და მის მახლობლად ბრინჯაოს ფიბულა და ჩქიფი. აქვე ნაპოვნი იქნა სერდოლიკის ერთი მძივი. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ერთი რკინის შუბისპირი და მოკლე ხიშტისმაგვარი იარაღი (სურ. 6).

ზემოლისას სამაროვანზე აღმოჩენილ ორმოსამარხებში იარაღი ძირითადად რკინისაა, სამკაული კი უპირატესად ბრინჯაოსაგანაა ნაკეთები. ზოგჯერ ერთ სა-

მარხში რამდენიმე იარაღი გვხვდება. მაგალითად, №3 ორმოსამარხში ერთი რკინის სატევარია და ოთხი შუბისპირი, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ისეთი ორმოსამარხები, სადაც იარაღი სრულიად არ არის და სამარხის ინვენტარი ძირითადად სამკაულებისაგან შედგება (მაგ., ორმოსამარხები № 7 და № 9). საფიქრებელია, რომ ერთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მამაკაცის სამარხებთან, სადაც ინვენტარი ძირითადად იარაღ-საჭურვლითაა წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში კი – ქალის სამარხებთან. სამწუხაროდ, ამ ფაქტის ანთროპოლოგიური შემოწმების საშუალება არა გვაქვს იმის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, აქ მიცვალებულის ჩონჩხი სრულიად არ აღმოჩნდა.

რკინის იარაღიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ შუბისპირები. განსაკუთრებით საყურადღებოა №3 ორმოსამარხში აღმოჩენილი ერთი შუბისპირი. ეს შუბი ძალიან ახლოს დგას ბრინჯაოს მასრაგახსნილ შუბისპირთან, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული იყო შიდა ქართლში. მათ ვხვდებით სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში (მაგ., № 2, 9, 4), ჩურისხევის კოლექციაში და სხვაგან. რაც შეეხება ამ ფორმის რკინის შუბისპირებს, ზემოთ აღნიშნულის გარდა, სხვა ჩვენთვის



სურ. 6

ჯერჯერობით უცნობია. ამავე სამარხში აღმოჩენილი მეორე შუბისპირი შედარებით პატარა ზომისაა. მასრა მას შედარებით მოკლე აქვს. პირი შუბისკენ თანდათანობით ფართოვდება და შემდეგ წვერისკენ ვიწროვდება. ამ ტიპის რკინის შუბისპირები კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. პირის მოყვანილობით ჩვენი შუბისპირი ახლოს დგას №14 ორმოსამარხში აღმოჩენილ შუბისპირთან და აგრეთვე კარმირ-ბლურზე ნაპოვნ შუბისპირებთან, ოღონდ ეს შუბის პირები გაცილებით უფრო დიდი ზომისაა. №14 ორმოსამარხში ნაპოვნი შუბისპირი დაახლოებით 0, 50 მ სიგრძისაა. მას საკმაოდ გრძელი მასრა აქვს; პირი თანდათანობით შუისკენ ფართოვდება და შემდეგ წვერისკენ კვლავ ვიწროვდება. ეს შუბისპირი სავსებით ისეთივეა, როგორიც ბ. პიოტროვსკის მიერ კარმირ-ბლურზე გათხრების დროს მოპოვებული დიდი ზომის შუბისპირები.[1] ამ ტიპის შუბისპირი სხვაგან ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. თრიალეთში ბ. კუფტინის მიერ ადრეული რკინის ხანის სამარხებში აღმოჩენილი დიდი ზომის შუბისპირები სრულიად განსხვავებული მოყვანილობისაა. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში რკინის შუბისპირი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული საბრძოლო იარაღი უნდა ყოფილიყო. ამ დროის სამარხებში ხშირად ვხვდებით ხოლმე რკინის შუბის პირებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ, რკინის ნივთების ცუდი დაცულობის გამო ძნელდება ხოლმე გარკვევით რაიმეს თქმა მათი ფორმის შესახებ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში გავრცელებულ რკინის შუბისპირებში მრავალგვარი ვარიანტები გამოირჩევა. სამწუხაროდ, ეს პერიოდი ჩვენში ნაკლებადაა შესწავლილი და ამიტომაც თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია ამა თუ იმ რკინის იარაღისა და იარაღთა ფორმების გავრცელების შესახებ.

გარდა შუბისპირებისა, ზემოლისას ორმოსამარხებში რკინის ორი მოკლე ხიშტისმაგვარი იარაღი შეგვხვდა, ერთი № 3 ორმოსამარხში, მეორე კი – № 14-ში.

სამწუხაროდ, ორივე ეს იარაღი შედარებით ცუდადაა დაცული. რამდენადმე უკეთაა შემონახული №14 ორმოსამარხში ნაპოვნი იარაღი. მას, როგორც ჩანს, პირი წახნაგოვანი უნდა ჰქონოდა. სავსებით ანალოგიური ხიშტისმაგვარი იარაღი, რომელსაც პირი აგრეთვე წახნაგოვანი ჰქონდა, აღმოჩენილია სამთავროში № 33 ორმოსამარხში რკინის სატევართან, რკინის შუბისპირთან, რკინის კოლხურ ცულთან და სხვა ნივთებთან ერთად. ორი ამგვარი იარაღი ცნობილია ა. ივანოვსკის გათხრებიდან. ერთი აღმოჩენილია № 62 სამარხში ქედაბეგს, კალაკენტსა და ყარაბულახს შორის გათხრილ სამაროვანზე, მეორე კი – სოფ. კიულატაკთან გათხრილ № 81 სამარხში.[2] ჯერჯერობით სხვაგან ამ ტიპის იარაღი ჩვენთვის უცნობია. როგორც ჩანს, რკინის ამ იარაღმა ჩვენში სათანადო გავრცელება ვერ პოვა, ეგებ, სწორედ იმის გამო, რომ ამ პერიოდში კარგად იყო ცნობილი შუბისპირები.


განსაკუთრებით აღსანიშნავია ზემოლისას სამაროვანზე აღმოჩენილი რკინის მოხრილი ცალპირა დანები და სატევრები. სახელური პირთან ერთადაა გამოჭედილი. პირს რკალისებრი მოყვანილობა აქვს. მისი გარეთა პირი ბლაგვია და საკმაოდ სქელი, შიდა პირი კი ლესილია. სახელური მთავრდება მრგვალი „ქუდით“ (სურ. 7). სახელურზე შემორჩენილია რამდენიმე მანჭვალი ხისა თუ ძვლის ფირფიტის დასამაგრებლად. აღმოჩენილი დანისპირებიდან მხოლოდ ერთია კარგად დაცული, დანარჩე-

---

1 Пиотровский Б. Б., Кармир-Блур, т. I, Ереван, 1950, გვ. 39. სურ. 21; Пиотровский Б. Б., Археология Закавказья, Ленинград, 1949, გვ. 110, ტაბ. 10.

2 МАК, вип. VI, Москва, 1911, გვ. 133 და 146, ტაბ. V, 4, 7.

ნი ორი შედარებით ცუდადაა შემონახული, მაგრამ მაინც ჩანს, რომ სამივე ერთი ტიპისა უნდა იყოს. სავსებით ასეთივე რკინის დანები აღმოჩნდა დვანის სამაროვანზე.[1] ერთი ამგვარი მოღუნული დანა ნაპოვნია სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე 1939 წელს №130 ორმოსამარხში. ანალოგიური მოღუნული დანები ჩვენთვის სხვაგან ჯერჯერობით უცნობია. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში ამიერკავკასიაში ფართოდაა გავრცელებული რკინის მოღუნული დანები და მათში დღეს უკვე აშკარად რამდენიმე ვარიანტის გამორჩევა შეიძლება. სამთავროს სამაროვანზე რკინის ხანის ორმოსამარხებში კარგადაა ცნობილი (ორმოსამარხები № 1, 2, 250, 137 და სხვ.) მოღუნული დანები. მრავლად აღმოჩნდა ამ ტიპის დანები მორგანის მიერ გათხრილ სამარხებში შაითანდაღთან, ლელვართან, მუსიერისთან და სხვ.[2] რამდენიმე მოღუნული დანა ცნობილია თრიალეთის რკინის ხანის სამარხებიდან.[3] ამ ტიპისა უნდა იყოს აგრეთვე სოფ. გოლოვინოსთან აღმოჩენილ სამაროვანში ნაპოვნი რკინის დანები.[4] მრავლადაა ნაპოვნი ამგვარი დანები მინგეჩაურში და სხვაგან. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. პიოტროვსკიმ კარმირ-ბლურის გათხრების დროს დიდი რაოდენობით აღმოაჩინა მოღუნული დანები.[5] ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, რომ კარმირ-ბლურზე აღმოჩენილი რკინის დანები სავსებით ისეთივეა, როგორც ტოპრახყალეში ნაპოვნი დანები. იგი მათ, ისევე როგორც კარმირ-ბლურზე აღმოჩენილ რკინის სხვა ნივთებს, ურარტუდან შემოტანილად თვლის.[6] რკინის მოღუნული დანების შესახებ ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, რომ ურარტულ ნივთებთან ერთად მათ, რკინის ნამგალთან ერთად, ამიერკავკასიაში ყველაზე ფართო გავრცელება პოვეს.[7] ეს დანები, დასძენს იგი, მე-7 საუკუნის (ძვ. წ.) ბოლოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნივთს წარმოადგენს აქ.[8] როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ამიერკავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული რკინის მოღუნული დანები. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, როდის ჩნდება ეს ტიპი აქ. ყოველ შემთხვევაში მე 7-საუკუნიდან (ძვ. წ.) მოკიდებული, მოღუნული დანები უკვე კარგადაა ცნობილი ამიერკავკასიაში. ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ ჩვენში გავრცელებულ რკინის მოღუნულ დანებში აშკარად რამდენიმე ვარიანტის გამორჩევა



სურ. 7

1 მაკალათია ს., დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, თბილისი, 1948, გვ. 29, ტაბ. IV, 3; Макалатия С. И., Раскопки дванского могильника, Советская археология, XI, М. Л., 237, სურ. 3, 4.

2 Morgen J., Mission Scientifique au Gaucase, I, Paris, 1889; გვ. 130, სურ. 121.

3 Куфтин В. А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 47.

4 Мнацаканян А. О., О раскопках могильников у сел. Головино (Армения) КСИИМК, вып. LLLLLVI, Москва, 1952; გვ. 65, სურ. 14, 1, 2, 3.

5 Пиотровский Б. Б., Кармир-блур, I, Ереван, 1950; გვ. 37, სურ. 17; Пиотровский Б.Б. Археология Закавказья, Ленинград, 1949; გვ. 110.

6 Пиотровский Б.Б., Кармир-блур, 1, გვ. 37; Пиотровский Б.Б., Археология Закавказья, გვ. 111.

7 Пиотровский Б.Б., Археология Закавказья, გვ.110.

8 Пиотровский Б.Б., Кармир-блур, 1; გვ. 37.

შეიძლება. საყურადღებოა, რომ ზოგი მათგანი ჯერჯერობით სრულიად უცნობია როგორც უშუალოდ ვანის სამეფოს მასალებიდან, ისე ამიერკავკასიის ურარტული ადმინისტრაციული ცენტრებიდან. მეტიც, მოღუნული დანების ზოგიერთი ვარიანტის გავრცელების არეალი, როგორც ჩანს, მეტისმეტად შეზღუდულია. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ჩვენი მოღუნული დანა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერჯერობით დვანიდან და სამთავროდანაა ცნობილი. მართალია, მასალის სიმცირის გამო გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ხომ არ შეიძლება ეს გარემოება მიუთითებდეს იმაზე, რომ შიდა ქართლში რკინის წარმოების კერა არსებობდა? რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს მეტისმეტად ნაადრევია, მაგრამ ასეთი კითხვა, ვფიქრობთ, სრულიადაც არ არის საფუძველს მოკლებული, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ზემოლისას სამაროვანზე აღმოჩნდა რკინის ერთი შუბისპირი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სავსებით იმეორებს გვიანბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირის ფორმას. სავსებით სწორია ბ. პიოტროვსკის მოსაზრება, რომ I ათასწლეულის (ძვ. წ.) პირველი მეოთხედიდან მოკიდებული, ამიერკავკასიის მთიანი რაიონების განვითარებული კულტურა, რომელსაც, როგორც ცნობილია, ბრინჯაოს პერიოდში წამყვანი როლი ეკავა, თანდათანობით ეცემა;[1] იშლება ზღვარი ცალკეულ ლოკალურ კულტურებს შორის და აშკარად ჩანს, რომ მათ ნაცვლად გვხვდება კულტურა, რომელსაც გაცილებით უფრო დიდი ტერიტორია უკავია. თუ გვიანბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თითქოს რამდენიმე კულტურა გამოირჩევა, სამთავროს, მინგეჩაურის, კარმირ-ბლურის გათხრებიდან, ჟ. დ. მორგანის და სხვა მასალებიდან ჩანს, რომ ამ რაიონებს შორის I ათასწლეულის მეორე ნახევარში (ძვ. წ.) გაცილებით უფრო მჭიდრო ურთიერთობაა და აღარ შეიმჩნევა მკვეთრი ზღვარი ცალკეულ კულტურებს შორის. სამწუხაროდ, სადღეისოდ თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია ამ კულტურების შესახებ – იყო აქ რამდენიმე კულტურა თუ ერთი კულტურა რამდენიმე ლოკალური ვარიანტით, ამას მომავალი კვლევა-ძიება გვიჩვენებს. სავსებით სამართლიანი უნდა იყოს ბ. პიოტროვსკის მოსაზრება, რომ ამ პერიოდში თანდათანობით იქმნება მსხვილი ტომობრივი გაერთიანებები, რაც, თავის მხრივ, იწვევს მათი კულტურული დონის ნიველირებას.[2] ეს კი, ვფიქრობ, ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ თანდათანობით ირღვევა ზღვარი ცალკეულ ლოკალურ კულტურებს შორის. საფიქრებელია, რომ ეს პროცესი I ათასწლეულის დასაწყისიდან იწყება და უკვე I ათასწლეულის მეორე მეოთხედში, როგორც ამას გ. მელიქიშვილი აღნიშნავს თავის ნაშრომებში, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებობდა ქართველი ტომების მსხვილი გაერთიანებები, რომლებიც, ეტყობა, საკმაოდ მძლავრ ძალას წარმოადგენდნენ. მართალია, ურარტუმ შეძლო სამხრეთ ამიერკავკასიის მთელი რიგი რაიონების დაკავება, რომლებიც ქართველი ტომების პოლიტიკური გავლენის სფეროში იყო მოქცეული, მაგრამ, როგორც ცნობილია, ურარტუს მეფეებმა ვერ შეძლეს ამიერკავკასიაში უფრო ღრმად შეჭრა. ურარტუელების წინსვლა, როგორც ამას გ. მელიქიშვილი ფიქრობს, სწორედ

---

1 Пиотровский Б.Б., Скифы и Закавказье, тезисы доклада: Совместная научная сессия отделений общественных наук, Тбилиси–Ереван, 1948; Пиотровский Б.Б., Скифы и Закавказье, Ученые записки, вып. 13, Ленинград, 1949; გვ. 188; Пиотровский Б.Б., Археология Закавказья; გვ. 114; Алексеева Е.П., Поздне-кобанская культура Центрального Кавказа, გვ. 241.

2 Пиотровский Б.Б., Скифы и Закавказье, тезисы доклада: Совместная научная сессия отделений общественных наук, Тбилиси–Ереван, 1948.

ამ ქართველ ტომებს უნდა შეეჩერებინათ.[1] ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ კი ამავე ქართველი ტომების აქტიური მონაწილეობის შედეგად განადგურდა ამიერკავკასიის ურარტული ადმინისტრაციული ცენტრები.[2]

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ სადღეისოდ ერთი გარკვეული აზრი არ არსებობს ჩვენში რკინის შემოსვლის საკითხის შესახებ. რა თქმა უნდა, ახლა უკვე აღარავინ იმეორებს ჟ. დე მორგანის ახირებულ მოსაზრებას კავკასიის რკინის ძველი მეტალურგიის შესახებ. უკანასკნელ ხანებში ეს საკითხი განსაკუთრებით აინტერესებს ბ. პიოტროვსკის. მისი აზრით რკინა ამიერკავკასიაში ურარტუელების გავლენით გავრცელდა.[3] ადრეული რკინის ნივთები აქ თუ უშუალოდ ვანის სამეფოდან შემოტანილი არა, მათი წაბაძვით მაინცაა ნაკეთები. რაც შეეხება იმ რკინის ნივთებს, რომლებიც სავსებით ისეთივე ტიპისაა, როგორც ამიერკავკასიაში გავრცელებული ბრინჯაოს ნივთები, ეს მისი აზრით მერმინდელი ამბავი უნდა იყოს, როდესაც უკვე ამიერკავკასიაში ადგილობრივი რკინის მეტალურგია ვითარდება. ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, რომ, როგორც ეს არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, ადრეული რკინის ნივთები ამიერკავკასიაში ურარტუდან შემოდის.[4] სამწუხაროდ, არ ჩანს, კერძოდ რომელ მასალას გულისხმობს აქ ავტორი. საერთოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბ. პიოტროვსკი ამ საკითხს ეხება უკანასკნელ ხანებში გამოსულ თითქმის ყველა თავის ნაშრომში და ასე მწვავედ სვამს მას, მაგრამ იგი არსად არ მიმართავს უშუალოდ არქეოლოგიურ მასალას. ვფიქრობთ, რომ საამისო მასალას ამიერკავკასიაში იგი ვერც იპოვიდა. იგი ვერც ერთ ურარტულ ან მისი წაბაძვით ნაკეთებ ნივთს ვერ დაასახელებს იმ სამარხებიდან, რომლებშიც რკინის ადრეული ფორმები ჩნდება. ცნობილია, რომ რკინის პირველი ნივთები ჩვენში ჩანს უკვე II ათასწლეულის მიწურულს თუ არა, II–I ათასწლეულის მიჯნის სამარხებში მაინც. პროფ. გ. ნიორაძემ ზემო ავჭალის სამარხში სხვა ნივთებთან ერთად ორიოდე რკინის ნივთი იპოვა.[5] ამ სამარხის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი განსვენებულ პროფესორს მე-13 საუკუნეზე (ძვ. წ.) გადააქვს.[6] შეიძლება ახლა ასეთი შორეული თარიღი ამ სამარხისა აღარ გავიზიაროთ, ყოველ შემთხვევაში ამ პერიოდის სამარხები სამთავროში და სხვაგანაც უკვე თარიღდება II-I ათასწლეულის მიჯნით (ძვ. წ.). ბ. კუფტინი ბეშთაშენში აღმოჩენილ სამაროვნის ინვენტარის განხილვისას ძლიერ დიდ მსგავსებას ხედავს სამთავროს ორმოსამარხებთან. მან აქ № 18 სამარხში ერთი რკინის ნივთი აღმოაჩინა. ბ. კუფტინი ბეშთაშენის სამაროვანს მე-12 -11 საუკუნეებით (ძვ.წ.) ათარიღებს.[7] ამრიგად, როგორც ჩანს, II-I ათასწლეულის (ძვ. წ.) მიჯნის სამარხებში ჩვენში, მართალია, ჯერ კიდევ უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ჩანს უკვე რკინა. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ რკინა კავკასიაში II-I ათასწლეულის მიჯნაზე შემოდის.[8] დაახლოებით იმავე მოსაზრებას გამოთქვამდა ჯერ კიდევ ფარმაკოვსკი. მისი აზრით რკინა კავკასიაში შემოდის მე-10 საუკუნის (ძვ.

---

1 მელიქიშვილი გ., ურარტუ, თბილისი, 1951, გვ. 129; Меликишвили Г., О происходжении грузинского народа, Тбилиси 1952, გვ. 29.

2 გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134, 136; Меликишвили Г., დასახ. ნაშრ., გვ. 36.

3 Пиотровский Б.Б., История и культура Урарту, Ереван, 1944, გვ. 186; Пиотровский Б.Б., Кармир-блур, I, გვ. 37.

4 Пиотровский Б.Б., Кармир-блур, I, გვ. 37.

5 ნიორაძე გ., ზემო ავჭალის სამარე, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. 6, თბილისი, 1931, გვ. 210.

6 იქვე, გვ. 202.

7 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, გვ. 70.

8 იქვე, გვ. 55, 72.

წ.) დასაწყისში.[1] ეს კი ის დროა, როდესაც ვანის ტბის მიდამოებში ურარტუს სამეფო მხოლოდ თავის ჩამოყალიბებას იწყებს. ამიერკავკასია კი ურარტუელთა ექსპანსიის ობიექტად მხოლოდ მე-9 საუკუნის (ძვ. წ.) მიწურულიდან ხდება.[2] ბ. პიოტროვსკის კი უმთავრესად კარმირ-ბლურზე მოპოვებული მასალის შესწავლის შედეგად გამოაქვს თავისი დასკვნები. იგი აღნიშნავს, რომ კარმირ-ბლურზე და ამ პერიოდის ამიერკავკასიის სამარხებში მოპოვებული რკინის ნივთები ძალიან ახლოს დგას ურარტუს სამეფოს ცენტრალურ ნაწილში მოპოვებულ ნივთებთან (ტოპრახყალე და სხვ.)[3].

ეს მასალა უფრო გვიანი ხანისაა. როგორც ცნობილია, კარმირ-ბლური ურარტუს ისტორიის გვიანი პერიოდის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. ამავე პერიოდისაა ამიერკავკასიაში აღმოჩენილი სამაროვნებიც. რა თქმა უნდა, არაფერია გასაკვირი, თუ ამ პერიოდის სამარხებში ჩვენში ურარტული ელემენტი ჩანს, რადგან ურარტუ უთუოდ დიდ როლს ასრულებს ახლა აქ. მაგრამ ამ დროის სამარხებში უკვე მძლავრად ჩანს აგრეთვე ადგილობრივი ფორმები. ეს თუნდაც სამთავროს სამაროვნის სამარხებიდან იკვეთება. მთელ რიგ სამარხებში აღმოჩენილია ისეთი ნივთები, რომლებიც ადგილობრივი ბრინჯაოს ნივთების წაბაძვითაა ნაკეთები. რამდენიმე სამარხში აღმოჩნდა რკინის კოლხური ცულები (ორმოსამარხი № 70, 99 და სხვ.), შუბისპირები, სატევრისპირები და სხვა. განსაკუთრებით კი გვინდა აღვნიშნოთ გ. გობეჯიშვილის მიერ მოპოვებული მასალა ბრილის სამაროვნიდან, საიდანაც კარგად ჩანს ადგილობრივი რკინის წარმოების განვითარება. ასეთი მაგალითების მოყვანა ჩვენ სხვა ადგილებიდანაც შეგვიძლია. ამიტომ უმართებულოდ გვეჩვენება ბ. პიოტროვსკის განცხადება იმის შესახებ, რომ კავკასიაში რკინის დამუშავების საწყისი ეტაპი დაკავშირებულია ვანის სამეფოსთან და ამაზე თითქოს მიუთითებს ტოპრახ-ყალესა და კარმირ-ბლურზე აღმოჩენილი რკინის ნაწარმის შედარება ამიერკავკასიის სამარხების ინვენტართან.[4]

ამრიგად, ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, როგორც ჩანს, რკინა ჩვენში შემოდის II-I ათასწლეულის (ძვ. წ.) მიჯნაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ რკინა ამიერკავკასიაში წინა აზიის გავლენით იჭრება, სადაც რკინის ინდუსტრია II ათასწლეულის ბოლო საუკუნეში ვრცელდება.


დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ რკინა ჩვენში II-I ათასწლეულის მიჯნაზე ჩნდება, მან საკმაოდ დიდხანს სათანადოდ ვერ მოიკიდა აქ ფეხი. ეს ის დროა, როდესაც ჩვენში ბრინჯაოს წარმოების ინდუსტრია უმაღლეს საფეხურს აღწევს, და, რა თქმა უნდა, მაღალხარისხოვანი ბრინჯაოს ნაწარმის შეცვლა რკინით მთლად მიზანშეწონილი არ იყო. ამ გარემოებამ უთუოდ შეაფერხა ჩვენში რკინის გავრცელება.

ზემოლისას სამაროვანზე, გარდა ზემოდასახელებული ნივთებისა, შეგვხვდა რკინის სხვა ნივთებიც, მაგრამ ისინი იმდენად დაზიანებული აღმოჩნდა, რომ მათ შესახებ რაიმეს გარკვევით თქმა ძნელია.

ბრინჯაოს ნივთებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ №5 ორმოსამარხში აღმოჩენილი კოლხური ცული (სურ. 8). ცულთან ერთად სამარხში იდო თიხის ცხრა ჭურჭელი და 14 მძივი, აქედან შვიდი სერდოლიკისა, ერთი – გიშრის და დანარჩე-


1 Фармаковский, Архаический период в России, МАР, вып. 14, Ленинград, 1914, გვ. 44;
2 Пиотровский Б.Б., Кармир-блур, I, გვ. 97.
3 იქვე, გვ. 115; Пиотровский Б.Б., История и культура Урарту, გვ.186.
4 Б.Б. Пиотровский, Археология Закавказья, გვ. 115.

ნი – პასტისა. ეს ცული თავისი ფორმით უახლოვდება III ტიპის კოლხურ ცულს, ოღონდ წელში ისე მკვეთრად ამოღუნული არ არის, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია ამ ტიპის ცულისათვის. ცულის წელი და ორივე ლოყა ორნამენტირებულია. მარჯვენა წახნაგზე გამოსახულია რამდენიმე ერთმანეთზე გადაბმული რომბი, რომლებიც წერტილებითაა ამოვსებული, მარცხენა წახნაგზე კი – სამი მწკრივი სამკუთხედებისა, რომლებიც აგრეთვე წერტილებითაა ამოვსებული. ქვედა მწკრივი შუა მწკრივისაგან გამოიყოფა ფხური ორნამენტით, შუა ზედასაგან კი – ირიბი ხაზებით. შუბლზე მოცემულია ისეთივე რომბები, როგორიც ერთ-ერთ წახნაგზეა (სურ. 9.) ცულის ორივე ლოყაზე სტილიზებული ცხოველია გამოხატული. ცალ ლოყაზე მხოლოდ ცხოველია, ალბათ ცხენი, აცქვეტილი, რომბისებრი მოყვანილობის ყურებით. კისერზე კარგადაა გამოყვანილი ფაფარი. ცხოველის მთელი ტანი წერტილებითაა ამოვსებული (სურ. 10). მეორე ლოყაზე მსგავსი ცხოველია მოცემული, ოღონდ შედარებით პატარა ზომისა. გარდა ცხოველისა, აქვე გამოსახულია რკალისებრ განლაგებული სამკუთხედების ერთი მწკრივი, მთლიანად წერტილებით ამოვსებული (სურ. 11). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ცულს ყუაზე ხარის ქანდაკება აზის.




სურ. 8

შიდა ქართლში, კერძოდ კი თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, კოლხური ცული კარგადაა ცნობილი. აქ თითქმის ყველა ტიპის კოლხური ცული გვხვდება,[1] მაგრამ ისეთი ცულის აღმოჩენა, როგორიც ჩვენია, პირველი შემთხვევაა. უნდა




სურ. 9

1 ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI, თბილისი, 1950, გვ. 54.



სურ. 10



სურ. 11

აღვნიშნოთ, რომ დღემდე სულ რამდენიმე ცულია ნაპოვნი, რომელთაც ყუაზე ცხოველის ქანდაკება აზის. ერთი ცნობილია გუდაუთიდან. ამ ცულის ყუაზე სამი ცხენია გამოსახული,[1] მეორე კი მ. თრაპშმა აღმოაჩინა ყულანურხვაში. როგორც ავტორი ფიქრობს, ამ ცულის ყუაზე ძაღლი უნდა იყოს გამოყვანილი.[2] უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ორივე ცულზე ცხოველთა ქანდაკებები იმდენად სქემატურია, რომ დაბეჯითებით ძნელია თქმა, თუ რა ცხოველი უნდა იყოს. ჩვენს ცულზე მოცემული ქანდაკება კი რეალისტურად გადმოგვცემს ხარის ფიგურას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კოლხური ცულისათვის საერთოდ უცხოა პლასტიკური სამკაული. მათ სახელი თავისი გრაფიკული ორნამენტით გაითქვეს. ზემოაღნიშნულ ეგზემპლარებს გარდა, მხოლოდ ორი კოლხური ცულია ცნობილი ცხოველთა ქანდაკებებით შემკული, ერთი – დე ბაის კოლექციიდან,[3] მეორე კი აღმოჩენილია სოფ. გალიათში და დღეს მოსკოვის ისტორიის მუზეუმშია დაცული. ორივე ცულის ყუაზე რელიეფურად გამოსახული თითო მწოლიარე ცხოველია, ეგებ, „ბარსი“.

---

1 Лукин А.Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии, Труды отдела истории первобытной культуры гос. Эрмитажа, ტ. I, 1941, გვ. 49, ტაბ. XI.

2 Трапш М.М., Куланурхвинский древний могильник, Автореферат диссертации, Сухуми, 1951, გვ. 5.

3 Haucar F., Probleme des Kaukasischen Tierstils, Mitteilungeu der Antroplagischen Gesellschaft in Wien, Bd. LXY, Wien, 1935, ტაბ. VI, 1.

კოლხური ცული ძირითადად საომარი იარაღი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გვხვდება ისეთი ცალები, რომლებიც უთუოდ საკულტო, სარიტუალო დანიშნულებისა ყოფილა. ისინი პრაქტიკული მიზნისათვის ნაკლებ გამოსადეგნი ჩანან. მათ რიგს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი ცულიც. გუდაუთის ცულის გარჩევისას ჩვენ უკვე ერთ ადგილას აღნიშნული გვქონდა, რომ იგი შესაძლოა ცხენის კულტთან დაკავშირებული ნივთი ყოფილიყო.[1] არ შევცდებით, თუ ზემოლისას ცულის შესახებ ვიტყვით, რომ იგი ხარის კულტთანაა დაკავშირებული. ხარის კულტი ძლიერ გავრცელებული იყო საქართველოში თითქმის ენეოლითიდან მოკიდებული. შორს რომ არ წავიდეთ, ეს კულტი მძლავრად ჩანს გ. გობეჯიშვილის მიერ გათხრილ სტალინირის ნაცარგორაზე.[2]

ერთი კოლხური ცული ჩვენი სამაროვნის ტერიტორიაზე უპოვია ერთ კოლმეურნეს. ეს ცული მომცრო ზომისაა და ეგება მართლაც „საბავშვო ცული" იყოს, როგორც რ. ვირხოვი უწოდებს პატარა ზომის ცულს. ამგვარი კოლხური ცული დღეს რამდენიმეა ცნობილი საქართველოდან (სურ. 2).

ბრინჯაოს ნივთები ზემოლისას სამაროვანზე შედარებით ნაკლებად გვხვდება. – უპირატესად სამკაულები: ბალთები, რგოლები, საკინძი, ფიბულა და სხვა. განსაკუთრებით საყურადღებოა N3 ორმოსამარხში ნაპოვნი ბალთები. ერთი მათგანი გველისებრაა დაკლაკნილი, მისი ორივე ბოლო მთავრდება კარგად გამოყვანილი ბრტყელი გველის თავებით. ბალთას შუა ნაწილზე შესანიშნავად შესრულებული ცხვრის თავი აზის. ბალთა ძალიან კარგადაა ნაკეთები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ბალთები გველის გამოსახულებით ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან, ოღონდ ეს ბალთები გაცილებით მდარე ნახელავია.[3] საქართველოში ამ ტიპის ბალთა ჩვენთვის უცნობია. გველის გამოსახულება, როგორც ცნობილია, ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიაში. გველის გამოსახულებას ვხვდებით ჭურჭელზე, ცულებზე, ბალთებზე და სხვ. ჩრდილო კავკასიაში გვხვდება აგრეთვე ფიბულები, რომლებსაც რკალი გველისებრ დაკლაკნილი აქვთ. სავსებით სამართლიანი უნდა იყოს ა. კალიტინსკის მოსაზრება, რომ ბალთების და ფიბულების გამოყენება ამულეტად რომელიმე ბოროტი ძალის წინააღმდეგ მეტად ხელსაყრელი იყო იმის გამო, რომ ადამიანი მათ თითქმის ყოველთვის თან ატარებდა.[4]

ამავე სამარხში ნაპოვნი მეორე ბალთა სრულიად განსხვავებული ტიპისაა. ეს პატარა ზომის სწორკუთხა მოყვანილობის ე.წ. „ყობანური" ტიპის ბალთაა. ამგვარი ბალთები კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში. განსაკუთრებით კარგად იგი წარმოდგენილია ყობანში. როგორც ჩანს, აქ შედარებით მოზრდილი სწორკუთხა ბალთები უფრო ადრეული ხანის სამარხებისთვისაა დამახასიათებელი. გვიანყობანურ პერიოდში უფრო მომცრო ზომის ბალთები გვხვდება. ჩვენში სადღეისოდ სულ რამდენიმე ამ ტიპის ბალთაა ცნობილი. ერთი რკინით ინკრუსტირებული მოზრდილი ბალთა ნაპოვნია ვანში, ერთი ამგვარივე მოზრდილი ბალთა ინახება სტალინირის მუზეუმში ჯავის რაიონიდან. მეტად საინტერესო ამ ტიპის ბალთა, განჯა-ყარაბაღული

---

1 ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი, 1947, გვ. 33.

2 გობეჯიშვილი გ., სტალინირის ნაცარგორა; მიმომხილველი, II, თბილისი, 1951, გვ. 260.

3 МАК, VIII; Калитинский А., Из истории фибулы на Кавказе. Recueil d'études dediées à la mémoire de W.P. Kondakov, Prague, 1926; გვ. 116, სურ. 14.

4 Калитинский А., Из истории фибулы на Кавказе. Recueil d'études dediées á la mémoire de W.P. Kondakov, Prague, 1926; გვ. 60.

კულტურისათვის დამახასიათებელი ორნამენტით შემკული, ცნობილია აწყურიდან. ერთი ბალთა აღმოჩნდა წვერმაღალაში და ანუხვაში.[1] ახტალაში ჟ.დ. მორგანმა ერთი ყობანური ბალთა იპოვა.[2] ვართაშენის კოლექციაში რკინის ინკრუსტირებული ყობანური ბალთაა.[3] განსაკუთრებით საყურადღებოა სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული ამ ტიპის ბალთები. თითქმის ყველა შედარებით პატარა ზომისაა და ნაპოვნია უკვე რკინის ხანის ორმოსამარხში (ორმოსამარხი №70, 293 და სხვ.). უკანასკნელ ხანებში ყობანური ტიპის ბალთები მრავლად აღმოჩნდა ბრილის სამაროვანზე.

ზემოლისას სამაროვანზე კიდევ ერთი ბალთა შეგვხვდა. იგი სრულიად შემთხვევით იპოვა ერთმა მუშამ გათხრების ადგილის მახლობლად. სამწუხაროდ, აქ ჩატარებულმა გათხრებმა არავითარი დამატებითი მასალა არ მოგვცა. მსგავსი ორი ბალთა, აღმოჩენილი სოფ. ჯავის თავში,[4] ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. ერთი ამგვარი ბალთა ი. გძელიშვილს გადასცეს სოფ. ალექსეევკაში (თეთრიწყაროს რაიონი). სამწუხაროდ, ამ ტიპის ყველა დღემდე ცნობილი ბალთა შემთხვევითაა აღმოჩენილი და მოწყვეტილია თავის თანმხლებ ინვენტარს. ამიტომ ძნელია თქმა, თუ რა პერიოდისა უნდა იყოს ეს ბალთა – ცნობილი ქართული უძველესი ბალთების თანადროულია თუ მათზე ადრინდელი.

ბრინჯაოს სამკაულთაგან აღსანიშნავია №14 ორმოსამარხში აღმოჩენილი ფიბულა და მაშა თუ ჩქიფი. ფიბულას რკალი ბრინჯაოსი აქვს, ენა კი, როგორც ჩანს, რკინისა უნდა ჰქონოდა. რკალი ბრტყელია და დაჭრილი; მისი გარეთა პირი ორნამენტირებულია, ოღონდ ცუდი დაცულობის გამო ორნამენტის გარჩევა ძნელია. ამ ტიპის ფიბულები დღეს უკვე კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ კავკასიაში. საქართველოს ტერიტორიიდან მსგავსი ფიბულა ჯერჯერობით მხოლოდ ერთია ცნობილი, ს. მაკალათიას მიერ აღმოჩენილი სოფ. დვანში.[5] ამ ტიპის ფიბულები ჟ. დე მორგანის მიერ ნაპოვნია შაითან-დაღში.[6] უკანასკნელ ხანებში ამგვარი ფიბულები აღმოჩნდა კარმირ-ბლურზე.[7] ბ. პიოტროვსკი რატომღაც ამ ტიპის ფიბულას ურარტულ ნახელავად თვლის.[8] ბ. პიოტროვსკის ეს მოსაზრება, ჯერჯერობით მაინც, უმართებულო ჩანს იმის გამო, რომ მსგავსი ფიბულები ურარტუს ტერიტორიიდან დღემდე უცნობია და თვით ბ. პიოტროვსკი კარმირ-ბლურზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი ამიერკავკასიაში წარმოშობილი უნდა იყოს.[9] სადღეისოდ ამ ტიპის ფიბულა მხოლოდ ამიერკავკასიიდანაა ცნობილი. ჩვენ მიერ მოპოვებული ფიბულა კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ შიდა ქართლში აღმოჩენილ მასალებს ბევრი რამ საერთო აქვთ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის თანადროულ სამაროვნებთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, №14 ორმოსამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთი ჩქიფი. სამწუხაროდ, იგი ცუდადაა დაცული. გარეთა პირი მას ორნამენტირებული

---

1 ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ.XVI-B, გვ. 38.
2 Morgan J., დასახ. ნაშრ., გვ. 116, სურ. 84.
3 ОАК за 1895, С.- Петербург, 1897, გვ. 57.სურ. 121-124.
4 Куфтин Б.А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, გვ. 31, ტაბ. XVI.
5 მაკალათია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 23, სურ. 6,7.
6 Morgan J., Mission Scientifique au Caucase, ტ. I, გვ. 117, სურ. 86; Morgan J., La Prehistoire Orientale, ტ. III, Paris, 1927, გვ. 293, სურ. 391.
7 Пиотровский Б.Б., Кармир-блур, II, Ереван, 1952, გვ. 36, 39, სურ. 18; მისივე, Кармир-блур, I, გვ. 42.
8 Пиотровский Б.Б., Кармир-блур, I, გვ. 42.
9 იქვე, გვ. 37.

აქვს, ოლონდ ორნამენტი ახლა უკვე ძნელად გაირჩევა. ჩქიფი შედარებით პატარა ზომისაა. ბრინჯაოს ჩქიფები ჩვენში კარგადაა ცნობილი გვიანბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდის ჩქიფები შედარებით უფრო მოზრდილია და ტლანქი. მოგვიანო ხანის, კერძოდ უკვე განვითარებული რკინის ხანის, სამარხებში მოპოვებული ჩქიფები უფრო მომცრო ზომისაა. ჩვენი ჩქიფი განსაკუთრებით ახლოს დგას სამთავროს რკინის ხანის ორმოსამარხში აღმოჩენილ ჩქიფებთან (ორმოსამარხი № 225, 289, 470 და სხვ.).

თუ რა ტიპისა უნდა ყოფილიყო №7 ორმოსამარხში აღმოჩენილი ორი საკინძი, ამის შესახებ თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია იმის გამო, რომ მხოლოდ საკინძის ღეროს ნატეხებია შემორჩენილი.

№ 9 ორმოსამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს ორი რგოლის დანიშნულების შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. ერთი მათგანი შედარებით მოზრდილია, თავები ერთმანეთზე გადადებული აქვს. ამ ტიპის რგოლი, შედარებით უფრო პატარა, აღმოაჩინა პროფ. გ. გოზალიშვილმა იყალთოს გათხრების დროს №25 ორმოსამარხში. მეორე რგოლი გაცილებით უფრო მომცრო ზომისაა, ერთი ნახევარი ხვიისაა. ბოლოები გრეხილი აქვს. გარდა ამ ორი რგოლისა, №13 ორმოსამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ორი სასაფეთქლე რგოლი.

დასასრულ, ბრინჯაოს ნივთებიდან უნდა აღვნიშნოთ №7 ორმოსამარხში აღმოჩენილი სატევრის ფორმის საკიდი და №9 ორმოსამარხში ნაპოვნი ფრინველის ქანდაკება. სამწუხაროდ, საკიდი დაზიანებულია და ძნელია ზუსტად თქმა, თუ რა ფორმის სატევრისპირია აქ გამოყვანილი. საკიდს საკმაოდ მოზრდილი ყუნწი აქვს, რომლის ზედა ნაწილში დატანებულია ნახვრეტი. რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ეს საკიდი, ახლა თქმა ძნელია. ეგებ, მართლაც სწორი იყო პროფ. გ. ნიორაძის მოსაზრება, რომ მიცვალებულს ზოგჯერ სამარხში ატანდნენ სპეციალურად გაკეთებულ მეტად პატარა ზომის იარაღს, რომელსაც საიქიოს უნდა შეესრულებინა ნამდვილი იარაღის ფუნქცია.[1] სადღეისოდ კარგადაა ცნობილი სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი მინიატიურული იარაღი თუ სხვა რაიმე ნივთი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ერთი კოლექცია სოფ. შილდიდან (ყვარლის რაიონი; №7-47). ეს ნივთები სრულიად შემთხვევით აღმოუჩენიათ მიწის ხვნის დროს 1936 წელს ქვაყუთში. კოლექციაში ხუთი ნივთია: ერთი ჩვეულებრივი კახური ტიპის სატევრისპირი, ერთი ბრინჯაოს რგოლი, ერთი პატარა ზომის სატევრისპირი, მთლიანად სხმული, რომელიც სავსებით იმეორებს კახური ტიპის სატევრისპირის ფორმას (სიგრძე – 6,0 სმ; სიგანე – 2,0 სმ). საკიდი ამორძალური ცულის ფორმისაა, ყუნწი მას საკმაოდ მაღალი აქვს შუაში ნახვრეტით (სიგრძე – 2,5 სმ; სიგანე – 1, 3 სმ), საკიდი წალდის ფორმის რკინისა (სიგრძე – 3,5 სმ; სიგანე – 1,7 სმ). საყურადღებოა, რომ ზუსტად ასეთი მინიატიურული ნივთები, ამავე ადგილას აღმოჩენილი, ინახება თელავის მუზეუმში. აქაც პატარა ზომის სატევრები (5-6 სმ სიგრძის) და აღმოსავლურქართული ცულის საკიდები (3-4 სმ სიგრძის) გვხვდება. ამ ორივე კოლექციაში დაცული მინიატიურული ნივთები იმეორებს გვიანბრინჯაოს ხანაში აღმოსავლურქართულ კულტურაში გავრცელებული იარაღის ფორმას, გარდა წალდისა. წალდი ამ პერიოდში აღმოსავლურქართულ კულტურაში ჯერჯერობით სრულიად უცნობია. იგი კარგადაა ცნობილი დასავლურქართულ კულტურაში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ აღ-

1 ნიორაძე გ., წითელწყაროს არქეოლოგიური ძეგლები; საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI - B, თბილისი, 1950, გვ. 126.

მოსავლურქართულ კულტურაში საერთოდ სამეურნეო რიგის იარაღი დღეს ნაკლებადაა ცნობილი იმის გამო, რომ მასალა უპირატესად სამარხებიდან მომდინარეობს, სამარხებში კი სამეურნეო იარაღი მეტად იშვიათია. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ აღმოსავლურქართული კულტურის გავრცელების ზოგიერთი რაიონისათვის დამახასიათებელი ყოფილიყო წალდის ტიპის იარაღი და შილდაში აღმოჩენილი მინიატიურული წალდი მისი წაბაძვითაა ნაკეთები. თუ გავიხსენებთ ა. აფაქიძის სავსებით სამართლიან მოსაზრებას, რომ კახეთში გვიანბრინჯაოს ხანაში მევენახეობა მაღალ საფეხურზე მდგარა,[1] და საერთოდ იმას, რომ მევენახეობა-მებაღეობა ქართველ ტომებში ძველთაგანვე მეურნეობის დიდად დაწინაურებული დარგი ყოფილა,[2] მაშინ უფრო დასაშვები გახდება ის მოსაზრება, რომ აღმოსავლურქართულ კულტურაში გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული უნდა ყოფილიყო წალდის ტიპის იარაღი. წალდს უპირატესად ბუჩქნარის, ჩირგვების, ფიჩხი ტყის საწალდავად, ვაზის საწალდავად, ვაზის გასასხლავად ხმარობენ.[3] აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩვენი საკიდი შესაძლოა „წალდუნა“ ყოფილიყო, რომელსაც ხშირად სასხლავსაც უწოდებენ და რომელიც პირის მოყვანილობით ძალიან ახლოს დგას წალდთან და მისგან შესამჩნევად განსხვავდება სატარე ნაწილით.[4] საკიდის მიხედვით სწორედ სატარის დადგენა ძნელდება იმის გამო, რომ ამ ადგილას მას ზონარის გასაყრელად ყუნწი აქვს გაკეთებული. ფუნქციით ეს ორი იარაღი განსხვავებული ხასიათისაა. ერთი „საწალდავი“ იარაღია, მეორე კი „სასხლავი“. „წალდუნას“ უპირატესად მებაღეობა-მევენახეობაში ხმარობენ. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია, რომ ჩვენი საკიდი პირის მოყვანილობით ახლოს დგას ჩვენში დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებულ წალდის ტიპის იარაღთან. არ არის გამორიცხული, რომ ეს იარაღი ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილიყო აღმოსავლურქართულ ტომებში, მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს და, კერძოდ, კახეთის აწინდელ ყოფიერებაში კარგადაა ცნობილი ამ ტიპის იარაღი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ერთი მინიატიურული ორპირა ცულის საკიდი, რომლის აღმოჩენის ზუსტი ადგილი, სამწუხაროდ, უცნობია. აქვე ინახება ერთი შესანიშნავად ნაკეთები აღმოსავლურქართული ტიპის ცულის საკიდი სოფ. კუშჩიდან. კარგადაა ცნობილი ყუამილიანი ცულის მინიატიურული საკიდები ჩრდილო კავკასიის სამაროვნებიდან.[5] ერთი ამგვარი საკიდი აღმოჩნდა აგრეთვე აფხაზეთის დოლმენების მეორე ფენაში.[6] ყუამილიანი ცულის ფორმის რამდენიმე საკიდი იპოვა გ. გობეჯიშვილმა ბრილის სამაროვნის უძველეს ფენაში.[7] როგორც ჩანს, ჩვენში სხვადასხვა პერიოდში კარგად იყო ცნობილი ზოგიერთი იარაღის და ფორმის მინიატიურული საკიდები, უმთავრესად ცულებისა და სატევრებისა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერჯერობით საკიდებად უპირატესად აღმოსავლურქართული კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღის ფორმებს ვხვდებით. მართალია, ცნობილია

1 აფაქიძე ა., ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაციის თეზისები, გვ. 2.
2 ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი 2, თბილისი, 1935, გვ. 603.
3 რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა რაჭაში (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), გვ. 193.
4 იქვე, თბილისი 1941, გვ. 195.
5 МАК, VIII, ტაბ. XXXVIII, 16, CXVIII, 4, 7.
6 Куфтин Б.А., К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, VIII, 1940, გვ. 9. სურ. 3.
7 გობეჯიშვილი გ., ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), თბილისი, 1943.

რამდენიმე მინიატიურული კოლხური ცული (მაგ.,ზუგდიდის მუზეუმიდან, სოფ. ჯიხასკარიდან, ლეჩხუმის განძიდან და სხვ.), მაგრამ ისინი, ვირხოვის ტერმინი რომ ვიხმაროთ, უფრო „საბავშვო ცულებს“ წარმოადგენენ, ვიდრე საკიდებს.

რაც შეეხება №9 ორმოსამარხში აღმოჩენილ ფრინველის ქანდაკებას, მის შესახებ ბევრი არაფრის თქმა შეგვიძლია იმის გამო, რომ იგი ცუდადაა დაცული, განსაკუთრებით დაზიანებულია თავი და ბოლო. ტანის შუა ნაწილში მას ნახვრეტი აქვს. ამ პერიოდის მასალებიდან მსგავსი ფრინველის გამოსახულება ჩვენთვის უცნობია. ფრინველის რამდენადმე განსხვავებული ქანდაკება ცნობილია უფრო ადრეული ხანის მასალებში. აფხაზეთის დოლმენების მეორე ფენაში აღმოჩნდა ფრინველის გამოსახულება, რომელსაც ტანის შუა ნაწილზე, ჩვენი ქანდაკების მსგავსად, ნახვრეტი აქვს. მას გაცილებით უფრო გრძელი კუდი და კისერი აქვს.[1] თითქოს რაღაც შორეულ მსგავსებას პოულობს ჩვენი ქანდაკება აგრეთვე ყობანში ნაპოვნ ფრინველის ქანდაკებებთან.[2] რამდენიმე ამგვარი ქანდაკება ყობანიდან დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდში.[3] აქაც ფრინველის ტანს შუა ნაწილში ნახვრეტი აქვს, კუდი ძლიერ ფართოა. ვ. ანტონოვიჩის აზრით, ისინი სამაჯურის დაბოლოებას წარმოადგენენ.[4]

მძივები უპირატესად სერდოლიკისა გვხვდება, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის. ხშირია აგრეთვე პასტის მძივები, უმთავრესად ცისფერი. ეს მძივები ახლოს დგას ბ. კუფტინის მიერ თრიალეთში აღმოჩენილ ამგვარსავე მძივებთან.[5] №13 ორმოსამარხში სხვა მძივებთან ერთად ნაპოვნი იქნა რამდენიმე სამკუთხა მოყვანილობის ქარვის მძივი. სავსებით ასეთივე მძივები აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის №99 ორმოსამარხში. ერთ სამარხში ლურჯი მინის ცილინდრული მოყვანილობის მძივი იდო. განსაკუთრებით აღსანიშნავია №9 ორმოსამარხში აღმოჩენილი მილისებრი მოყვანილობის თეთრი მასის მძივები და ორი ბრტყელი, დაჭრილი, ე.წ. „დომინოს ტიპის“ მძივი. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის მძივები დღემდე უპირატესად თრიალეთის რაიონთანაა დაკავშირებული.[6] ჩვენს მუზეუმში დაცულია ერთი მოზრდილი ასხმა „დომინოს ტიპის“ მძივებისა, აღმოჩენილი სოფ. სანთაში (წალკა). თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მრავლად აღმოაჩინა ეს მძივები ვანის ეპოქის სინქრონულ სამაროვანზე.[7] კარგადაა ამ ტიპის მძივები წარმოდგენილი გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით 1947 წელს თრიალეთის ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალებში. თრიალეთის გარეთ ამ ტიპის მძივები ცნობილია მხოლოდ რამდენიმე ადგილიდან (რედკინლაგერიდან, სევანის ტბასთან აღმოჩენილ სამაროვნებსა და სამთავროში). უკანასკნელ ხანებში ერთი ამგვარი მძივი აღმოჩნდა კარმირ-ბლურზე.[8] უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ჩამოთვლილ ადგილში „დომინოს ტიპის“ მძივი თითო-ოროლა

1 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., გვ. 9, სურ. 3; Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, ტაბ. XXVIII.

2 МАК, VIII, ტაბ. XXXV, 2.

3 Коллекция Кавказского Музея, т. V, Археология, Тбилиси, 1902, გვ. 9, № 77-80.

4 Антонович А.Б., Дневник раскопок. V археологический съезд, протоколы подготовительного комитета, Москва, 1879, გვ. 244.

5 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, გვ. 56, ტაბ. XXXIII.

6 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, გვ. 56, ტაბ. XXXIII.

7 იქვე; Куфтин Б.А., К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, გვ. 16, სურ. 7; Куфтин Б.А., Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тбилиси, 1948, გვ. 10, ტაბ. IV.

8 Сорокин, Раскорки древнего поселения Кармир-блур, II, გვ. 83.

გვხვდება ხოლმე. სამთავროში შედარებით მეტი აღმოჩნდა ამავე მასალისაგან ნაკეთები ცილინდრული მძივები, რომლებიც თრიალეთში უფრო ნაკლებად გვხვდება. ზემოლისას სამაროვანზე აღმოჩენილი „დომინოს ტიპის“ მძივების აღმოჩენა, სამთავროს გარდა, შიდა ქართლში პირველი შემთხვევაა. აქაც, სამთავროს მსგავსად, უპირატესად თეთრი მასის ცილინდრული მძივები აღმოჩნდა. სადღეისოდ ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით თითქოს სწორი ჩანს ბ. კუფტინის მოსაზრება, რომ „დომინოს ტიპის“ მძივები თრიალეთთანაა დაკავშირებული. აქ, როგორც აღვნიშნეთ, მრავლადაა ეს მძივები წარმოდგენილი და მათი რამდენიმე ვარიანტის გამორჩევა შეიძლება, სხვაგან კი თითო-ოროლა მძივია ცნობილი. ამ მძივების აღმოჩენა ზემოლისის სამაროვანზე იმითაცაა საყურადღებო, რომ დღეს ისინი კარგ დამთარიღებელ მასალას წარმოადგენენ. „დომინოს ტიპის“ მძივები ძირითადად გვხვდება მე-8-7 საუკუნის (ძვ.წ.) სამარხებში.

№7 ორმოსამარხში ერთი თიხის კონუსისებრი მოყვანილობის კვირისტავი აღმოჩნდა. ქვის, ძვლისა თუ თიხის კვირისტავები ხშირად გვხვდება სხვადასხვა პერიოდის სამარხებში. ჩვენი კვირისტავი მეტად ახლოს დგას სამთავროს ორმოსამარხში აღმოჩენილ თიხის ერთ კვირისტავთან.

№12 ორმოსამარხში რამდენიმე თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ერთი თეთრი ფერის კაჟის ისრისპირი. ცალი გვერდი მას სრულიად გლუვი აქვს, მეორე კი მეტად გულდასმით დამუშავებული. ხის დასაგები ღერო შედარებით მოკლე აქვს. თავისი ფორმით ეს ისრისპირი არქაულ იერს ატარებს. ქვის ისრისპირები კარგადაა ცნობილი ბრინჯაოს ხანის სამარხებში. ობსიდიანის ისრისპირები ჩვენში გვიანბრინჯაოს ხანამდე აღწევენ, ამიერკავკასიის ზოგიერთ ადგილებში კი უფრო გვიანობამდეც შემორჩნენ. მაგრამ ეს ისრისპირები სრულიად განსხვავებული ფორმისაა. მათ ფუძე ამოჭრილი აქვთ. ქვის ღეროიანი ისრისპირები ნეოლითური და მისი მომდევნო ხანის, ენეოლითური ხანისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ისრისპირი შემთხვევით მოხვედრილა სამარხში, რომელიც აქ აღმოჩენილი კერამიკის მიხედვით I ათასწლეულზე (ძვ.წ.) უფრო ადრეული არ უნდა იყოს.[1]

აღსანიშნავია, რომ №9 ორმოსამარხში აღმოჩნდა კაჟის ქვის ორი მოგრძო ნამზადი და №8 ორმოსამარხში სამკუთხა თხელი ობსიდინის ფირფიტა. კაჟისა და ობსიდინის ნატეხები საკმაოდ ხშირად გვხვდება ამ პერიოდის სამარხებში. სამთავროს სამაროვნის რკინის ხანის სამარხებში არაიშვიათად ვხვდებით ხოლმე სხვა ნივთებთან ერთად კაჟისა და ობსიდინის ნატეხებს. ს. მაკალათიამ დვანის სამაროვნის გათხრისას რამდენიმე სამარხში იპოვა ობსიდინის ნატეხები.[2]

ზემოლისას სამაროვანზე მოპოვებული მასალის განხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე განვითარებულ რკინის ხანას მიეკუთვნება. როგორც ირკვევა, ჩვენში რკინის გაბატონება ინდუსტრიაში მე-8 საუკუნიდან (ძვ. წ.) იწყება. ამ პერიო-

---

1 აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზნაურისა და ქარელის რაიონის საზღვარზე მდებარე ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ციხიანს“ უწოდებს და რომელიც, როგორც ჩანს, მეტად საყურადღებო მასალას შეიცავდა და ახლა კი თითქმის მთლიანად დანგრეულია, ვიპოვეთ ერთი მოვარდისფრო კაჟისაგან ნაკეთები ისრისპირი. ეს ისრისპირი სრულიად განსხვავებულია ზემოაღნიშნულისაგან. მას საკმაოდ გრძელი ფრთები აქვს. შუაში, როგორც ჩანს, ღერო უნდა ჰქონოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოტეხილია. განსაკუთრებით საყურადღებო აქ ის არის, რომ ეს ისრისპირი თავისი ფორმით ძალიან ახლოს დგას ჩვენში გავრცელებულ ბრინჯაოს ისრისპირებთან. სხვა ამგვარი ისრისპირი არ გვეგულება.

2 მაკალათია ს., დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, გვ. 50.

დიდან რკინა გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს. სამარხებში იარაღ-საჭურველი ძირითადად რკინისაა, ბრინჯაოსი უმთავრესად სამკაულია. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ჩვენს მასალებს ბევრი საერთო აქვს ბ. კუფტინის მიერ თრიალეთში მოპოვებულ მასალებთან, რომლებსაც იგი ვანის ეპოქის სინქრონულად მიიჩნევს.[1] ახლოს დგას აგრეთვე ეს მასალები დვანის სამაროვნიდან მომდინარე ნივთებთან, რომლებსაც ს. მაკალათია მე-7-6 საუკუნით (ძვ. წ.) ათარიღებს.[2] ჟ. დე მორგანი სომხეთში აღმოჩენილ სამაროვნებს თვლის არა უადრეს მე-8 საუკუნისად (ძვ. წ.) და არა უგვიანეს მე-5 საუკუნისად (ძვ. წ.).[3] მე-7 საუკუნეს (ძვ. წ.) მიაკუთვნებს ბ. პიოტროვსკი კარმირ-ბლურსაც.[4] ვფიქრობ, რომ არ შევცდებით, თუ ზემოლისას სამაროვანზე მოპოვებულ მასალასაც ზემოგანხილული მასალების თანადროულად ჩავთვლით და მას ძირითადად მე-7 საუკუნეს (ძვ. წ.) მივაკუთვნებთ. მე-7 საუკუნეზე უფრო გვიან ჩვენი მასალის გადმოტანას, ვფიქრობთ, ერთგვარად ხელს არ უნდა უშლიდეს აქ აღმოჩენილი კოლხური ცული, რომლის თარიღიც სადღეისოდ ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით მე-7 საუკუნის (ძვ. წ.) აქეთ ჯერჯერობით არ მოდის.[5]

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ზემოლისას სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხი №1, რომელიც უფრო ადრეული ხანისა უნდა იყოს. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მასრა – გახსნილი შუბისპირი, ე.წ. ალისებრი მოყვანილობის სატევრისპირი, ბრინჯაოს სამი სამაჯური, ბრინჯაოს ერთი ღილი, რამდენიმე ბრინჯაოს და სერდოლიკის მძივი და თიხის ოთხი ჭურჭელი (სურ. 1). აშკარაა, რომ ამ სამარხის ინვენტარი საგრძნობლად განსხვავდება აქ აღმოჩენილი დანარჩენი ორმოსამარხების ნივთებისაგან და იგი უფრო ძველ, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ამ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს შუბისპირი, სამწუხაროდ, დაზიანებულია, მაგრამ მისი ფორმის წარმოდგენა მაინც შეიძლება. იგი არცთუ ისე დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო. ეს შუბისპირი მასრაგახსნილი შუბისპირების დამზადების არქაული წესის მიხედვით არის ნაკეთები.[6] მას აშკარად ეტყობა პირზე მიჭედილი მასრის ზედა ნაწილი. ამ წესით დამზადებული შუბისპირები დღეს კარგადაა ცნობილი როგორც საკუთრივ დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან (ყორნისი, ნული, სვერი და სხვ.), ისე საერთოდ შიდა ქართლიდან (გოსტიბე, სურამი და სხვ.). გარდა ამისა, მათ ვხვდებით რაჭაში (სოფ. ზოფხიტო), ახალციხის რაიონში და სხვაგან. ერთი ამგვარი შუბისპირი, რომლის აღმოჩენის ადგილი, სამწუხაროდ, უცნობია, დაცულია ქუთაისის მუზეუმში.

---

1 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалетии, გვ. 50.

2 მაკალათია ს., დასახ. ნაშრ., გვ. 42.


3 Morgan J., Mission Scentifique au Caucase, I, გვ. 208.

4 Пиотровский Б.Б., Археология Закавказья, გვ. 106.

5 1953 წელს არქეოლოგიური კამპანიის დროს, ზემოლისას სამაროვანზე კიდევ ჩავატარეთ მცირე გათხრები. ამ პერიოდის რამდენიმე სამარხი შევისწავლეთ. ამათგან აღსანიშნავია ორი: სამარხი № 1 აღმოჩნდა 0, 50 მ სიღრმეზე. მიცვალებულის ძვლები ჩვეულებრივ აქაც არ იყო შემონახული. სამარხში აღმოჩნდა თიხის რამდენიმე ჭურჭელი, რკინის ორი მოღუნული დანა (ერთი ძლიერ დაშლილი), რკინის ცული, ბრინჯაოს ბრტყელი რგოლი, ბრინჯაოს ბალთა და ოთხწახნაგა სალესავი ქვა (სურ. 12).

სამარხი 2 აღმოჩნდა 0, 10 მ სიღრმეზე. სამარხში იდო თიხის რამდენიმე ჭურჭელი, ბრინჯაოს ორი საკინძი, ბრინჯაოს რგოლები, ბრინჯაოს ორი საკანჭური, ნავისებრი ფორმის ერთი შესაბნევი, სერდოლიკის მძივები მრავლად. რამდენიმე ლურჯი მინის მძივი, ერთი ქარვის მძივი და წვრილი მძივები (სურ. 13).


6 ჩუბინიშვილი ტ., გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950, გვ. 24.



სურ. 12

ფორმით ჩვენი შუბისპირი ახლოს დგას საქართველოს მუზეუმში დაცულ ჩურისხევის კოლექციის ერთ შუბისპირთან და სოფ. წირქვალის (ჭიათურის რაიონი) მახლობლად აღმოჩენილ შუბისპირებთან. ამ ტიპის ერთი შუბისპირი ინახება ქუთაისის მუზეუმში.

აქ მოპოვებული სატევრისპირი მიეკუთვნება ფოთლისებრი სატევრისპირების იმ ტიპს, რომელსაც ალისებრი მოყვანილობის სატევრისპირებს უწოდებენ. იგი ორადაა გატეხილი. სატევრისპირს მთელ სიგრძეზე არამკვეთრი ქედი გაუყვება. სატარე ნაწილი მას სამკუთხა მოყვანილობისა აქვს; მხრებთან ორი ნახვრეტი უნდა ჰქონდეს. კიდეები სატევრისპირს ისე ძლიერ დაზიანებული აქვს, რომ სატარე ნაწილს ნახვრეტი აღარ ეტყობა. სატარე ნაწილთან აღმოჩნდა ორი მანჭვალი. ჩვენი სატევრისპირი ყველაზე ახლოსაა საჩხერეში ექვთ. თაყაიშვილის მიერ 1910 წელს აღმოჩენილ ორ სატევრისპირთან. აქაც სატარე ფართო, დაბალი, სამკუთხედისებრი მოყვანილობისაა და პირს მთელ სიგრძეზე არამკვეთრი ქედი გაუყვება. რამდენადმე უახლოვდე-



სურ. 13

ბა აგრეთვე სატევრისპირებს ერთი სატევრისპირი ღარის კოლექციიდან.[1] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ალისებრი მოყვანილობის სატევრისპირი საერთოდ კარგადაა ცნობილი. ორი ამგვარი სატევრისპირი ნაპოვნია სოფ. ხვწეში; ერთი ალისებრი სატევრისპირი ბ. კუფტინმა აღმოაჩინა თრიალეთში.[2] ამ ტიპის სატევარი, შესანიშნავად შენახული, ქედზე გველის გამოსახულებით, ნაპოვნია გ. გობეჯიშვილის მიერ ბრილის სამაროვანში. კარგადაა ცნობილი ამგვარი სატევრისპირი ყობანიდან და სხვ. ზოგი საკმაოდ მოზრდილია. ეს სატევრისპირები პირის მოყვანილობით უახლოვდება ჩვენსას, ოღონდ ქედი, რომელიც პირს მთელ სიგრძეზე მიუყვება, მათ ბრტყელი და განიერი აქვთ. გარდა ამისა, სატარე ნაწილიც რამდენადმე განსხვავებულია. ამ სატევრისპირებს უფრო დაბალი სატარე აქვთ. როგორც ჩანს, ეს სატევრისპირი ყუნწიანი სატევრისპირებიდან უნდა განვითარებულიყო. ჩვენს, საჩხერის და ღარის ეგზემპლა-

1 Куфтин Б.А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, გვ. 45, ტაბ. XXIX.

2 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, გვ. 68, სურ. 77.6.

რებზე ჯერ კიდევ შეიმჩნევა, მართალია უმნიშვნელოდ, ყუნწის ნაწილი, სხვებს კი ყუნწი თითქმის სრულიად აღარ ეტყობათ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ზემოლისას ტიპის ალისებრი მოყვანილობის სატევრისპირები რამდენადმე წინ უნდა უსწრებდეს კარგად ცნობილ ალისებრი მოყვანილობის სატევრისპირებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც დავინახეთ, ჩვენი შუბისპირი და სატევრისპირი ახლო ანალოგიას პოულობს ძირითადად ყვირილის აუზის ზედა წელზე აღმოჩენილ ნივთებთან. სხვათა შორის, ეს ურთიერთობა ამ რაიონებს შორის ბრინჯაოს ხანის უფრო ადრეული პერიოდიდან შეიმჩნევა. ამიტომ ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს ერთ ლოკალურ ჯგუფთან, რომელიც წარმოების ერთ კერასთან იყო დაკავშირებული? სადღეისოდ არსებული მასალა, ვფიქრობთ, ამგვარი კითხვის დასმის უფლებას მაინც იძლევა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ სამარხშივე აღმოჩენილი ბრინჯაოს ერთი სამაჯური. იგი ნაკეთებია ბრინჯაოს მავთულისაგან. ბოლოები მას სპირალურად აქვს დახვეული (სამი ხვია), ერთმანეთისაგან დაცილებული. მსგავსი სამაჯური საქართველოდან და, საერთოდ კავკასიიდან, ჩვენთვის უცნობია. სპირალურბოლოებიანი სამაჯურები კარგადაა ცნობილი ყობანიდან და ჩვენშიც არის ზოგან აღმოჩენილი, ოღონდ ფორმით ეს სამაჯურები საგრძნობლად განსხვავდებიან ჩვენი სამაჯურებისაგან. ყობანური სამაჯურები ბრტყელია და სპირალიც უფრო მოზრდილი აქვთ. ზემოლისას სამაჯური უახლოვდება ანდრონოვის კულტურაში გავრცელებულ სპირალურბოლოებიან სამაჯურებს. ამგვარი სამაჯურები აღმოაჩინა ბ. გრაკოვმა სამხრეთ ურალზე.[1] მრავლად აღმოჩნდა სპირალურბოლოებიანი სამაჯურები ტბა აკულის მიდამოებში გათხრილ ყორღანებშიც (Зауралье).[2] ეს სამაჯურები ნაკეთებია ოთხწახნაგა ბრინჯაოს მავთულისაგან და ზოგჯერ სამაჯურის ბოლოები ერთმანეთზეა მიდებული. რამდენიმე სპირალურბოლოებიანი სამაჯური ცნობილია ტობოლის მხრიდან (ციმბირი)[3] და სხვა ადგილებიდან. ტობოლის სამაჯურების განხილვისას ო. კრივცოვა-გრაკოვა აღნიშნავს, რომ ისინი კიდევ ზედმეტი საბუთია იმისა, რომ ანდრონოვისა და ჩრდილო კავკასიის, უმთავრესად კი ყობანის, კულტურას შორის გარკვეული მსგავსება შეიმჩნევა, რაზედაც ადრევე მიუთითებდა ზოგიერთი მეცნიერი.[4] ამ შემთხვევაში ო. კრივცოვა-გრაკოვას მხედველობაში აქვს ყობანის სპირალურბოლოებიანი სამაჯურები, თუმცა იგი თვითონვე აღნიშნავს, რომ მათ გვერდები უფრო მასიური აქვთ და სპირალიც სხვაგვარია, მაგრამ საერთო აზრი, იდეა იგივეა.[5] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი სამაჯური უფრო ახლოს დგას ტობოლის სამაჯურებთან, განსხვავება მხოლოდ სპირალშია. მათ სპირალი კონუსისებრი აქვთ. ამრიგად, როგორც დავინახეთ, №1 ორმოსამარხში აღმოჩენილი სპირალურბოლოია-

---

1 Граков Б.И., Работы в районе проэктируемых южноуральских гидроэлектростанций, Археологические работы на новостройках: Изв. ГАИМК, вып. 110, М.-Л., 1935, გვ. 95, სურ. 67, 7, 8; გვ. 104, სურ. 76.

2 Сальников К.В., Курганы на озере Акуль, Материалы и исследования по археологии СССР, Москва, 1952, გვ. 58, 63, 65, სურ. 3.

3 Krivtsova-Grakova O., Une trouvaille d'objets de l'âge du bronze, dans la région du haut Tobol, ESA IV, Nelsinki, 1929; გვ. 118, sur. 10; Криувцова-Гракова О.А., Алексеевское поселение и могильник, Тр. ГИМ, вып.. XVII, Москва, 1948, გვ. 109, სურ. 37, 1, 2, 4.

4 იქვე, გვ. 125.

5 იქვე.

ნი სამაჯური უახლოვდება ანდრონოვის კულტურაში გავრცელებულ ამგვარსავე სამაჯურებს. ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით კავკასიის და ანდრონოვის კულტურის ურთიერთობის შესახებ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კავკასიაში კარგადაა ცნობილი სპირალურბოლოებიანი საკიდები (ყობანი და სხვა). საერთოდ ორნამენტიკაში სპირალის მოტივი ჩვენში უკვე ენეოლითიდან მოკიდებული ჩანს. სპირალურბოლოებიანმა სამაჯურმა დიდხანს შემოინახა თავი. ყობანში მას საკმაოდ გვიანდელი ხანის კომპლექსებში ვხვდებით.

რაც შეეხება ამავე სამარხში აღმოჩენილ ორ სამაჯურს, მათ შესახებ ვერაფერს ვიტყვით იმის გამო, რომ ისინი ძალზე დაზიანებული აღმოჩნდა, ეს სამაჯურებიც ბრინჯაოს მავთულისაგან უნდა ყოფილიყო ნაკეთები.

რაც შეეხება №1 ორმოსამარხის ასაკს, ის უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე ზემოგანხილული ზემოლისას სამაროვნის ორმოსამარხები. ამ სამარხში მოპოვებული სატევრისპირის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ იგი უახლოვდება საჩხერეში აღმოჩენილ სატევრისპირებს. ეს უკანასკნელი შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურისა თუ არა, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურებისა მაინც უნდა იყოს. ამ ტიპის სატევრისპირები წინ უნდა უსწრებდეს გვიანბრინჯაოს ხანაში კარგად ცნობილ ამავე ფორმის ფართოქედიან სატევრისპირებს. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას არქაული წესით ნაკეთებ მასრაგახსნილ შუბისპირებზედაც. ისინიც შედარებით უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული მასრაგახსნილი შუბისპირები. ამიტომ, ვფიქრობთ, ეგებ უფრო მართებული იყოს, რომ ორმოსამარხი №1 მივაკუთვნოთ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს.[1]

უთუოდ აღსანიშნავია ზემოლისას ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი ტალკის ქვის დამუშავებული ფრაგმენტი. მას ერთი მხარე სრულიად ბრტყელი აქვს, მეორე კი ამოზურგული. ამოზურგულ მხარეზე, ცალ გვერდზე სიგრძივ ღარი გაუყვება, რომელსაც სიმეტრიულად განლაგებული პატარა ნასვრეტები აქვს. ბრტყელ პირზე აშკარად ჩანს გამოხატულება, ეგებ ირმის რქა, რომლის ტოტები ნასვრეტებს უერთდება. ამოზურგულ მხარეზე ორი ნახვრეტი აქვს, ბრტყელზე – ერთი (სურ. 14). საფიქრებელია, რომ ეს ფრაგმენტი ე.წ. „ყობანური ტიპის“ სწორკუთხა ბალთის მოდელის ნატეხი იყოს. სამხრეთ ოსეთის დღევანდელი ტერიტორიიდან უკვე კარგადაა ცნობილი სხვადასხვა ნივთთა ჩამოსასხმელი ქვის ყალიბები[2], მაგრამ „ყობანური“


---

1 1953 წელს აქ ამ პერიოდის ერთი სამარხი გაითხარა. იგი ძალზე დაზიანებული იყო და უფრო სამარხის ნაშთს წარმოადგენდა. ნაპოვნი იქნა ბრინჯაოს ორი ნივთი; ერთი – ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი და მეორე – გაურკვეველი დანიშნულების ნივთი (სურ. 16). მას, როგორც ჩანს, მასრა უნდა ჰქონოდა, რომელიც გადადის მრგვალგანივკვეთიან ღეროში. ღერო ბოლოსაკენ წვრილდება და წვერი მოღუნული აქვს. სხვა მსგავსი ნივთი ჩვენთვის უცნობია.

გარდა ამისა, აქვე ნაპოვნი იქნა შავი ფერის თიხის ჭურჭლის ორი ფრაგმენტი. მათგან ერთ-ერთის აღდგენა მოხერხდა. ესაა საკმაოდ მოზრდილი ქილა. მას პირი გაშლილი აქვს, ყელი – დაბალი, მუცლის ზედა ნაწილი მკვეთრად გამობერილია. ძირისაკენ იგი თანდათანობით ვიწროვდება. ჭურჭლის მხარი შემკულია ორი პარალელური წერტილისაგან შემდგარი ტალღისებრი ხაზითა და წყვეტილი ხაზებისაგან შექმნილი სამკუთხედებით. მეორე ჭურჭლის აღდგენა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, იგი საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო და მთელი ტანი შემკული უნდა ჰქონოდა ამოღარული ხაზებით (სურ. 15).

2 გობეჯიშვილი გ., სტალინირის ნაცარგორა, გვ. 268.

ბალთის ყალიბი დღემდე საერთოდ უცნობი იყო. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ამ ტიპის ბალთები ფართოდ იყო გავრცელებული ყობანის კულტურაში. საქართველოშიც ცნობილია სწორკუთხა ბალთები. ამ ტიპის ბალთის მოდელის აღმოჩენის ფაქტი




სურ. 14


გვაფიქრებინებს, რომ ჩვენში მათ ადგილობრივ ამზადებდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მოდელი ტალკისაგანაა ნაკეთები. დღევანდელი ზნაურის რაიონი კი ძალიან მდიდარია ტალკით. დღესაც კარგადაა ცნობილი ჩორჩანას ტალკის საბადოები[1]. ამიტომ შესაძლოა, თვით მოდელი ადგილობრივაა დამზადებული.

ჩვენ დაზვერვები ჩავატარეთ ზნაურის რაიონის სხვა ადგილებშიც, სადაც საყურადღებო მასალები იქნა მიკვლეული, მაგრამ მათ შესახებ ახლა აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. არაფერს ვიტყვით აგრეთვე ე. პჩელინას მიერ სოფ. ძაღინაში ჩატარებული სამუშაოს შესახებ და ვ. ლუბინის დაზვერვაზე იმის გამო, რომ მათ წერილობით წარადგინეს თავიანთი სამუშაოს შედეგები სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1 Минеральные рессурсы ССР Грузии, Тбилиси, 1933, გვ. 977.



სურ. 15



სურ. 16

დოლმენური კულტურა საქართველოში*

(1955-1956 წლების აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები)

კავკასიაში უკანასკნელ ხანებამდე დოლმენები ცნობილი იყო მხოლოდ ჩრდილო კავკასიიდან, რომელთა შესწავლას კარგა ხნის ისტორია აქვს. პირველი ცნობა კავკასიის დოლმენების შესახებ უკვე გვხვდება დიუბუა დე მონპერეს ნაშრომში.[1] აფხაზეთის დოლმენების აღმოჩენამდე, დასავლეთ კავკასიის დოლმენების გავრცელების სამხრეთი საზღვარი სხვადასხვა მეცნიერს სხვადასხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. ე. ფელიცინი აღნიშნავდა, რომ მდ. პსეზუაპსეს იქით, შავი ზღვის სანაპიროზე, დოლმენები აღარ გვხვდება.[2] პ. უვაროვას აზრით, შავი ზღვის სანაპიროზე დოლმენების სამხრეთით გავრცელების უკიდურესი პუნქტია მდ. კოდოში და შახე. იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში ადგილობრივ მოსახლეობას დოლმენების შესახებ არავითარი წარმოდგენა არა აქვს, რაც უთუოდ იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ დოლმენები ამ მხარეში არ გავრცელებულა[3]. მაგრამ უკვე ა. მილერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დოლმენები გაგრასთან და, ეგებ, მის სამხრეთითაცაა საძებარი-ო.[4] ა. მილერის ვარაუდი სავსებით დადასტურდა და დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე დოლმენები უკვე რამდენიმე ადგილასაა ცნობილი. პირველი ცნობა აფხაზეთში აღმოჩენილი დოლმენების შესახებ გამოაქვეყნა ვ. სტრაჟევმა, რომელმაც სოფ. აზანტის მახლობლად ნახა რამდენიმე დოლმენი.[5] შემდეგში დოლმენები აღმოჩნდა აგრეთვე სოფ. აჭანდარაში, ოთხარაში და ეშერაში (ადგილი კურუ-დერე). ეშერაში ერთი ჯგუფი დოლმენებისა შედარებით კარგადაა შემონახული (სურ. 1). პირველად ეს დოლმენები ნახა არქეოლოგმა მ. ივაშჩენკომ 1930 წელს.[6] მან აქ გარკვეული სამუშაოებიც ჩაატარა, ოღონდ, როგორც ჩანს, არც ერთი დოლმენი მას ბოლომდე არ გაუთხრია.[7] 1934 წელს ეშერაში მუშაობას აწარმოებდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც რამდენიმე დოლმენი შეისწავლა.[8] 1937 წელს აქ ბ. კუფტინმა კიდევ რამდენიმე დოლმენი გათხარა, ოღონდ,

---

* დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 77, 1959.

1 Фелицин Е.Д., Западно-Кавказские дольмены, МАК, IX, Москва, 1904, стр. 4.

2 იქვე, გვ. 12.

3 Уварова П. С., Несколько дополнительных сведений по вопросу о Кавказских дольменах, МАК, IX, Москва, 1904, стр. 175.

4 Милер А.А., Разведки на Черноморском побережье Кавказа в 1907 г., Изв. Арх. Ком., вып. 35, СПБ, 1909, стр. 83.

5 Стражев В. Н., К Азанскому дольмену, Изв. Абх. Научн. общ., вып. IV, Сухум, 1926, стр. 125-127.

6 Иващенко М.М., Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, Тбилиси, 1935, стр. 14.

7 იქვე, გვ. 16.

8 Куфтин Б.А., К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, вып. VIII, стр. 8.

სამწუხაროდ, მან ამ მეტად საყურადღებო და საინტერესო მასალის დამუშავება და გამოქვეყნება ვეღარ მოასწრო.[1] 1946 წელს ბ. კუფტინმა კვლავ ინახულა ეს ადგილი და კიდევაც წამოიწყო ერთ-ერთი დოლმენის გათხრა, მაგრამ ბოლომდე აღარ მიუყვანია სამუშაო. სამაგიეროდ, მან იმავე წელს შეისწავლა დოლმენები სოფ. აზანტაში, ოღონდ, სამწუხაროდ, არც ამ მასალის დამუშავება და გამოქვეყნება დასცალდა.[2]

ამრიგად, როგორც დავინახეთ, აფხაზეთის დოლმენთაგან სადღეისოდ მხოლოდ ეშერისა და აზანტის ჯგუფის დოლმენებია გათხრილი. ეშერის დოლმენებში მოპოვებული მასალის ერთი ნაწილი შესწავლილია და გამოქვეყნებულიცაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის დოლმენების შესახებ ერთი გარკვეული წარმოდგენის შემუშავება ჯერ კიდევ ჭირს და ამის ერთ-ერთი მიზეზი უთუოდ ისიც უნდა იყოს, რომ, ეტყობა, მათი შესწავლა ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის 1955 წლის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიზანი იყო, შეესწავლა აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დოლმენები (სურ. 2).[3] მუზეუმი ვარაუდობდა აგრეთვე ერთი დოლმენის საექსპოზიციოდ წამოღებას. ექსპედიციამ თავისი მუშაობა იმით დაიწყო, რომ დაათვალიერა ის ადგილები, სადაც ცნობილი იყო დოლმენები. პირველად ინახულა სოფ. ოთხარის დოლმენები. აქ სოფლის შუაგულში შერჩენილია რამდენიმე ნადოლმენარი ადგილი. დოლმენები სრულიად დანგრეულია, მხოლოდ იატაკის ქვები მოჩანს. ზოგს იმ ადგილას, სადაც წინა კედელი უნდა მდგარიყო, ფართო ნარიბანდი აქვთ. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში აქ გათხრების დაწყება ნაკლებად მიზანშეწონილი ჩანდა.

სოფ. ოთხარიდან გავემგზავრეთ სოფ. აჭანდარაში (გუდაუთის რაიონი), სადაც, სადაც კოლმეურნე ჩიმაგუას კარ-მიდამოზე სამი დოლმენი დგას. იმის გამო, რომ ეს დოლმენები თითქმის მთლიანად ბარდებით იყო დაფარული, ძნელდება მათი დაცულობის შესახებ რაიმეს დაბეჯითებით თქმა. მაგრამ ერთი კია, რომ მიწის ზემოთ მოჩანს ამ სამივე დოლმენის გვერდითი სიგრძივი კედლები. სახურავი კი, ისე ჩანს, თითქოს არც ერთს არ შემორჩენია. შესაძლოა გათხრებმა აქ გარკვეული შედეგი მაინც მოგვცეს.

გარდა ამისა, დაზვერვები ჩავატარეთ მდ. მჩიშის (Чёрная речка) შესართავთან, ზღვის სანაპიროსთან. საქმე ისაა, რომ მ. ივაშჩენკოს ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნული აქვს, თითქოს შეუმოწმებელი ცნობით ამ რაიონში უნდა იყოს დოლმენები[4]. ჩვენ საკმაოდ ბეჯითად დავზვერეთ ეს რაიონი, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ვფიქრობთ, რომ აქ ნაკლებად მოსალოდნელი უნდა იყოს დოლმენის აღმოჩენა.

დასასრულ, ვინახულეთ ეშერის დოლმენები და გადავწყვიტეთ, რომ ისევ ამ ჯგუფიდან შეგვესწავლა რამდენიმე მათგანი. ზემო ეშერაში (ადგილი კურუ-დერე, თურქულად – გამშრალი ხეობა) დოლმენები ძირითადად გვხვდება კარაპეტ და

---

1 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. მუზ. მოამბე, XII в, თბილისი, 1944, გვ. 306 სქოლიო 2.

2 Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды т. I, Тбилиси, 1949, გვ. 259, სქოლიო 2.

3 ექსპედიცია მოაწყო საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ო. ჯაფარიძე, ე. ხოშტარია, ო. ტყეშელაშვილი, ო. დაშავსკაია, ლ. ღლონტი და გ. მასხარაშვილი.

4 Иващенко М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 14.

მარტიროს აკოპიანების კარ-მიდამოზე, მთა აბაჩაგდარის კალთაზე. ეს დოლმენები დაახლოებით ერთ ხაზზეა განლაგებული. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაშიც დოლმენები ძირითადად ჯგუფებად გვხვდება ერთ ხაზზე განლაგებული.[1] ჯერჯერობით ძნელია მეტ-ნაკლებად ზუსტად თქმა, თუ რამდენი დოლმენისაგან შედგება ჯგუფი (ეს იმის გამო, რომ შესაძლოა ნაწილი დოლმენებისა მიწით დაიფარა).[2] სადღეისოდ თითქოს შეიძლება ითქვას, რომ აქ დაახლოებით 15 დოლმენი ჩანს. ყველაზე მეტი დოლმენი გვხვდება კარაპეტ აკოპიანის კარ-მიდამოზე და ეს დოლმენები თითქოს შედარებით უკეთაა შემონახული. მარტიროს აკოპიანის სამოსახლოზე კი მხოლოდ სამი დოლმენი ჩანს (სურ. 3).

ეშერაში ექსპედიციამ გათხარა სამი დოლმენი. № 1 დოლმენი მდებარეობდა კარაპეტ აკოპიანის კარ-მიდამოს ტერიტორიაზე, ეზოს უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ადრევე გათხრილი უახლოესი დოლმენიდან (დოლმენი № 1 – მ. ივაშჩენკოსა და ბ. კუფტინის მიხედვით) დაახლოებით ათიოდე მეტრის დაშორებით. ამ დოლმენის გათხრამდე მოჩანდა მხოლოდ ორი სიგრძივი გვერდის ქვა. სახურავის ქვა კი მთლიანად დამტვრეულია და ამიტომ დოლმენი თითქმის მთლიანად მიწით იყო ამოვსებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. აკოპიანის სამოსახლოზე რამდენიმე დოლმენი ჩანს.

როგორც აღვნიშნეთ, დოლმენი № 1 თითქმის მთლიანად მიწით იყო ამოვსილი, ამიტომ დოლმენის კონტურების გამოსავლინებლად ერთდროულად დავიწყეთ გათხრა როგორც დოლმენის გარეთ, ისე მის შიგნით. დოლმენის სამხრეთ ნაწილში გამოჩნდა სახურავის დამტვრეული ქვები (სურ.4), ხოლო დოლმენის ორივე განივი კედლის ქვა ჩაწოლილი იყო. ამათგან, წინა კედლის ქვა დოლმენს გარეთ იყო წაქცეული, უკანა კედლისა კი – შიგ დოლმენში.

დოლმენი № 1 დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ოდნავ გადახრილია დასავლეთით. აღსანიშნავია, რომ ეშერის დოლმენების უმრავლესობას წინა ხვრელიანი კედელი უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰქონდა მიქცეული. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, № 4 დოლმენს კედელი სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე ჰქონდა.[3] სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე ჰქონდა წინა კედელი აგრეთვე ჩვენ მიერ გათხრილ № 2 დოლმენს. უთუოდ საყურადღებოა, რომ ჩრდილო კავკასიის დოლმენებშიც წინა, ხვრელიანი კედელი უპირატესად სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიქცეული. როგორც ე. ფელიცინი წერს, მის მიერ ნანახი 68 დოლმენიდან მხოლოდ 14 დოლმენი იყო ისეთი, რომელსაც წინა კედელი სამხრეთით ჰქონდა.[4]

აფხაზეთში დღემდე ცნობილი დოლმენები დაახლოებით ერთი ტიპისაა. ეს დოლმენები, ისევე როგორც კავკასიის დოლმენთა უმრავლესობა, შედგება ოთხი მთლიანი გვერდითი ქვისა და მეხუთე – სახურავის ქვისაგან.[5] თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა დოლმენში მეექვსე ქვაცაა იატაკად გამოყენებული.[6] აფხაზეთის

---

1 Фелицин Е. Д., დასახ. ნაშრ., გვ. 32.
2 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., გვ. 261.
3 იქვე, გვ. 266.
4 Фелицын Е. Д., დასახ. ნაშრ., გვ. 28.
5 იქვე, გვ. 18.
;6 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ. გვ. 261.Фелицин Е. Д. დასახ. ნაშრ., გვ. 26; Сорохтин Г., Долмены Черноморской губ. и Кубанской обл., Юбилейный Сборник Крымского-Кавказского Горного Клуба, Одесса, 1935, стр. 94; Сысоев В. М., დასახ. ნაშრ., გვ. 136.

დოლმენებს, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიაში ცნობილ ამ ტიპის დოლმენებს, გეგმაში უპირატესად ტრაპეციის ფორმა აქვთ.[1]

დოლმენი № 1 შეკრულია ოთხი მთლიანი და თითქმის დაუმუშავებელი, გვერდითი ქვისაგან. სახურავის ქვის შესახებ, სამწუხაროდ, გარკვევით ვერაფერს ვიტყვით იმის გამო, რომ იგი მთლიანად დალეწილი იყო და მისი მხოლოდ რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა დოლმენის შიგნით. საფიქრებელია, რომ ეს ქვაც მთლიანი იქნებოდა და, როგორც ჩანს, ისიც სრულიად დაუმუშავებელი იყო. იატაკის ქვა დოლმენს, ეტყობა, მთლიანი არ უნდა ჰქონოდა. დოლმენის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილში ჰორიზონტალურად დადებული იყო საკმაოდ მოზრდილი ქვები ისე, რომ მხოლოდ დოლმენის შუა ნაწილი რჩებოდა უიატაკოდ. აქაც დაახლოებით ისეთივე სურათი გვაქვს, როგორიც განხილულია ბ. კუფტინის მიერ 1934 წელს გათხრილ № 2 დოლმენში.[2] მსგავსი შემთხვევები გვხვდება ჩრდილო-კავკასიის დოლმენებშიც.[3] ამ ქვას ალბათ იმის გამო, რომ დოლმენის წინა და უკანა კედელი უკეთ ჩამჯდარიყო, გაკეთებული ჰქონდა საკმაოდ ფართო „ნარიბანდი". როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამგვარივე „ნარიბანდი" მოჩანს ოთხარის ერთ-ერთი დანგრეული დოლმენის იატაკის ქვაზე.

აფხაზეთში დღემდე აღმოჩენილ ყველა დოლმენს წინა კედელში დატანებული აქვს მრგვალი ნახვრეტი. კავკასიის დოლმენების უმრავლესობა ხვრელიანია,[4] თუმცა, როგორც ე. ფელიცინი აღნიშნავს, გვხვდება ისეთი დოლმენებიც, რომელთაც წინა კედელში მრგვალი ნახვრეტი არა აქვთ.[5] ჩვეულებრივად ეს ნახვრეტი მოთავსებულია კედლის ქვედა ნაწილში, დაახლოებით შუა ადგილას.[6] ხვრელი უპირატესად წრისებრი ფორმისაა, რომლის დიამეტრიც დამოკიდებული არ არის დოლმენის ზომაზე[7]. კ. აკოპიანის ეზოში, № 1 დოლმენის მახლობლად, ჩვენ გავწმინდეთ ერთი შედარებით პატარა დოლმენი, რომელიც სრულიად დაშლილი იყო და მისი ხვრელის დიამეტრიც უდრიდა – 0,40 მ X 0,35 მ-ს, ე.ი. დაახლოებით იმავე ზომისა იყო, როგორც, ჩვეულებრივად, მოზრდილი დოლმენი.

№1 დოლმენის წინა კედელში დატანებული ხვრელი ოდნავ ოვალური მოყვანილობისაა. მისი შიდა პირი, როგორც ჩანს, გარეთაზე უფრო განიერი უნდა იყოს. გარეთა პირის დიამეტრია 0,35 მ X 0, 43 მ; შიდა პირისა კი 0, 41 მ X 0, 48 მ. ხვრელი აქაც, ჩვეულებრივ, კედლის ქვედა ნაწილში, შუა ადგილასაა მოთავსებული.

ხვრელს გარედან, როგორც ეს ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილ ზოგიერთ დოლმენს ახასიათებს, ქვის საცობი უკეთდებოდა.[8] ეშერის ჯგუფის დოლმენებში მხოლოდ ერთ შემთხვევაში (დოლმენი № 3) აღმოჩნდა ხვრელში ჩადგმული საცობი. კ. აკოპიანის გადმოცემით, მას ერთი საცობი უპოვია. იგი საკმაოდ მოზრდილი და კონუსისებრი მოყვანილობისაა.

ეშერის ჯგუფის დოლმენებში, ისევე როგორც საერთოდ კავკასიის დოლმენებში, გვხვდება როგორც მოზრდილი, ისე შედარებით მომცრო ზომის დოლმენები. ე. ფე-

---

1 Фелицин Е. Д. დასახ. ნაშრ., გვ. 19; Иващенко М.М. დასახ. ნაშრ., გვ. 19. Сысоев В. М., Археологическая экскурсия по Закубанью, МАК, IX, Москва, 1904, стр. 130.

2 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ. სურ. 58.

3 Сысоев В. М., დასახ. ნაშრ., გვ. 136.

4 Уварова П. С., დასახ. ნაშრ., გვ. 173.

5 Фелицин Е. Д. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

6 Сысоев В. М. დასახ. ნაშრ., გვ. 231. Фелицин Е. Д., დასახ. ნაშრ., გვ. 27.

7 იქვე.

8 Фелицин Е. Д. , დასახ. ნაშრ., გვ. 28; Сысоев В. М. დასახ. ნაშრ., გვ. 132; Миллер А. А., Записи о дольменах, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბილისი, 1925, გვ. 25.

ლიცინს ჩრდილო კავკასიის დოლმენთა მაგალითზე გამოყვანილი აქვს საშუალო ზომები პატარა, საშუალო და დიდი დოლმენებისათვის[1].

ჩვენი დოლმენი № 1 უთუოდ მოზრდილ დოლმენთა ჯგუფს მიეკუთვნება. მისი ზომებია:

აღმოსავლეთ კედელი: სიგრძე – 3, 75 მ; სიმაღლე – 1, 60 მ; სისქე – 0, 35 მ. კედლის შიდა ზომები: სიგრძე ნარიბანდიდან ნარიბანდამდე – 2, 60 მ; ნარიბანდის სიგანე სამხრეთ კედელთან 0, 13 მ, ჩრდილო კედელთან – 0, 12 მ.

დასავლეთი კედელი: სიგრძე – 3, 65 მ; სიმაღლე – 1, 50 მ; სისქე – 0, 35; შიდა ზომები: სიგრძე ნარიბანდიდან ნარბანდამდე – 2, 50 მ; ნარიბანდის სიგანე სამხრეთ კუთხეში – 0, 12 მ; ჩრდილო კუთხეში – 0, 10 მ.

სამხრეთი კედელი: სიგრძე – 2, 90 მ; სიმაღლე – 1, 80 მ; სისქე – 0, 32 მ; ხვრელის დიამეტრი – 0, 41 მ X 0, 48 მ; ხვრელი ქვედა კიდიდან მოთავსებულია 0, 35 მ დაშორებით, ზედადან კი – 0,95 მ დაშორებით, აღმოსავლეთის კიდიდან – 1, 20 მ და დასავლეთის კიდიდან – 1,30 მ დაშორებით.

ჩრდილოეთის კედელი: სიგრძე – 2, 30 მ; სიმაღლე – 1, 60 მ; სისქე – 0, 25 მ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დოლმენის კედლის ქვები გაუთლელი ან ოდნავ გათლილი იყო, ამიტომ ეს კედლები ყველა ნაწილში თანაბარი სისქის არ იყო.

დოლმენი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. მისი სიგანე არის სამხრეთ კედელთან – 3, 10 მ, შუაში – 2, 70 მ, ჩრდილო კედელთან კი – 2, 35 მ.

დოლმენის სიგრძივ კედლებს ორივე კუთხეში დაახლოებით 0, 12 მ სიგანის ნარიბანდი ჰქონდა გაკეთებული, ალბათ იმ დანიშნულებით, რომ განივი კედლის ქვები უკეთ ჩამჯდარიყვნენ მასში. როგორც აღნიშნული გვქონდა, ამგვარივე ნარიბანდი, ოღონდ უფრო განიერი, შეინიშნებოდა აგრეთვე სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლის ქვეშ ჰორიზონტალურად მოთავსებულ ქვებზეც. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნარიბანდები აფხაზეთის თითქმის ყველა დოლმენზე შეინიშნება სხვადასხვა სიგანისა.[2] დამახასიათებელია ისინი აგრეთვე ჩრდილო კავკასიის დოლმენებისათვისაც.[3]

თუ ჩვენ დოლმენისა და ეშერის სხვა დოლმენების ზომებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ეს დოლმენი ყველაზე გრძელია. სიგანითაც ფასადთან ჩვენი დოლმენი თითქმის ყველაზე მეტია. რაც შეეხება სიმაღლეს, იგი შედარებით უფრო დაბალი ჩანს.[4] საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეშერის ჯგუფის დოლმენები, კავკასიის დოლმენებთან შედარებით, თითქმის ყველაზე მოზრდილია.[5]

როგორც აღნიშნული გვქონდა, № 1 დოლმენი თითქმის მთლიანად მიწაში იყო ჩაფლული, გარდა წინა მხარისა, რომელიც დაახლოებით ნახევრად იყო მიწაში. დოლმენის გარედან გაწმენდისას გამოირკვევა, რომ მას გარედან შემოწყობილი ჰქონია მოზრდილი ქვები. დოლმენის ორივე სიგრძივ კედელს დაახლოებით შუა ნაწილიდან უკანა კედლისაკენ საყრდენად მოზრდილი ქვები აქვს ჩაწყობილი. უკანა კედელს კი ქვები თითქმის მთელ სიმაღლეზე ჰქონდა შემოწყობილი. თავდაპირველად, ვიდრე არ გაირკვა, რომ ჩრდილოეთ (უკანა) კედელი დოლმენშია ჩაწოლილი, ისეთი შთაბეჭ-

1 Фелицин Е. Д. , დასახ. ნაშრ., გვ. 19.
2 Иващенко М. М., დასახ. ნაშრ., გვ. 41.
3 Сисоев В. М. დასახ. ნაშრ., გვ. 137.
4 Иващенко М. М., დასახ. ნაშრ., გვ. 43.
5 Куфтин Б. А. დასახ. ნაშრ., გვ. 257.

დილება იქმნებოდა, თითქოს აქ მთლიანი კედლის ნაცვლად ამ ქვებით ამოშენებული კედელი უნდა ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფის სხვა უკვე გათხრილი დოლმენების ირგვლივ გარედან ქვებია ჩაყრილი. ასეთ შემთხვევებს ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ დოლმენებშიც ვხვდებით[1].

№ 1 დოლმენში აშკარად გამოირჩევა ორი ფენა. პირველი ფენა აღმოჩნდა 0, 30 – 1, 0 მ სიღრმეზე. კოლექტიური სამარხი დაახლოებით დოლმენის ცენტრში იყო. მიცვალებულის ძვლები აღმოსავლეთ კედლიდან – დასავლეთ კედლამდე დაახლოებით ერთ სწორ ხაზზე იყო ჩალაგებული. სამარხის სიგრძე, ე.ი. დოლმენის სიგანე უდრის – 2, 58 მ-ს, სიგანე კი – 1, 20 მ-ს. მიცვალებულთა პოზის დადგენა შეუძლებელი გახდა. ჩონჩხის ძვლებისაგან ძირითადად ჩანდა კიდურების ძვლები და თავის ქალები. სხვა ძვლებიდან აქა-იქ აღმოჩნდა ფალანგები და რამდენიმე ნეკნის ძვალი. დოლმენის აღმოსავლეთ ნაწილში, ერთიმეორის გვერდით, დაახლოებით ერთ დონეზე, რვა თავის ქალა იყო მოთავსებული. გარდა ამისა, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ერთი თავის ქალა. ასევე დოლმენის დასავლეთ კედელთანაც ჩანდა ერთი თავის ქალა და თითქმის მის გვერდით კიდევ მეორე თავის ქალაც უნდა ყოფილიყო. თავის ქალებს შორის ყოველგვარი წესრიგის გარეშე კიდურების ძვლები იყო. დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილი თავის ქალა კიდურების ძვლების ქვეშაა მოქცეული. ცენტრალურ ნაწილში ძვლების ქვეშ მოზრდილი რიყის ქვები ეყარა. მიცვალებულებს ახლდა ბრინჯაოს მასრა, გახსნილი შუბისპირი (სურ. 5). იგი დოლმენის ცენტრში იყო ოდნავ ჩრდილოეთით. აქვე, ოღონდ ოდნავ უფრო აღმოსავლეთით, აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული ბრინჯაოს სარტყელი, ბოლოში ბალთით, რომლის შუა ნაწილში ცხოველის თავია გამოსახული (სურ. 5). მეორე ამგვარივე სარტყელი აღმოჩნდა ერთ-ერთი თავის ქალის ქვეშ (სურ. 5). ამ სარტყლის გვერდით აღმოჩნდა ბრინჯაოს ბიკონუსური ფორმის მძივების ასხმულა (სურ. 5). გარდა ამისა სამარხის სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა 1, 5 ხვია სასაფეთქლე საკიდები (სურ. 5).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ № 1 დოლმენში კარგად ჩანდა ფენათა სტრატიგრაფია. პირველი ძირითადი ფენა ზედა ფენიდან დაახლოებით 0, 50 მეტრზე დაბალი იყო. როგორც ჩანს, ზედა ფენის მიცვალებულთა დასაფლავების დროს ეს დოლმენი ნაწილობრივ მაინც დაზიანებული უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დოლმენის კედელი შიგ დოლმენში იყო ჩაწოლილი. ჩანს, რომ ზედა ფენის მიცვალებულები აქ ამ კედლის ჩაწოლის შემდეგ დაიმარხნენ. პირველი ფენის სამარხები აქ ქვიდან დაახლოებით 0,30 – 0,40 მეტრზე უფრო მაღლა იყო.

აფხაზეთის დოლმენებში მოპოვებული მასალის შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა ამ დოლმენებში რამდენიმე ფენის გამორჩევა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ ფენების მიხედვით ეს მასალა სათანადოდ შესწავლილი მაინც არ არის. ჯერ კიდევ ამ ფენების შესახებ ძნელია მეტ-ნაკლები სიზუსტით რაიმეს თქმა. ასევე ჯერჯერობით ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა ჩვენში დოლმენთა აგების დროის შესახებ და არც მერმინდელი ფენების გამოყოფა ხერხდება მთლად დამაჯერებლად. ამ გარემოებას უთუოდ ართულებს ისიც, რომ აფხაზეთისა და, საერთოდ, კავკასიის დოლმენთა პირველმა შემსწავლელებმა არ მოგვცეს დოლმენებში მოპოვებული მასალის სწორი ანალიზი. ამის მიზეზი ის იყო, რომ უკანასკნელ ხანამდე კავ-

1 Сисоев В. М. დასახ. ნაშრ., გვ. 116, 121.

კასიის დოლმენების დათარიღების შესახებ გარკვეული აზრი არ იყო შემუშავებული. კარგა ხანს გავცელებული იყო ე. ფელიცინის მიერ გამოთქმული მოსაზრება დასავლეთ კავკასიის დოლმენების თარიღის შესახებ. იგი ამ დოლმენებს მიაკუთვნებდა საკმაოდ გვიანდელ ხანას. ამგვარი დასკვნა მას გამოჰყავდა იქიდან, რომ დოლმენებში აღმოჩენილი იყო რომაული ხანის მახვილი და აგრეთვე, ერთ-ერთ დოლმენში ნაპოვნი იყო II საუკუნის (ახ. წ.) ბოსფორული მონეტა.[1] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩრდილო კავკასიის დოლმენების ინვენტარი, მიუხედავად იმისა, რომ აქ შედარებით ბევრი დოლმენია შესწავლილი, მაინც მეტისმეტად ღირებულია. ეგებ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ იმთავითვე არასწორი აზრი არსებობდა კავკასიის დოლმენური კულტურის შესახებ.[2] თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კომპლექსი, მართალია, მეტად მცირე, აშკარად უფრო ადრინდელი იყო (მაგალითად, აბაძეხსკაის დოლმენიდან).

აფხაზეთის დოლმენების შესწავლამ უთუოდ ბევრი რამ ახალი შეიტანა კავკასიის დოლმენური კულტურის შესწავლის საქმეში. აქ მოპოვებული მეტად მდიდარი ინვენტარის წინასწარი ანალიზის გზით, მართალია, არა სავსებით ზუსტად და სრულად, მაგრამ მაინც შესაძლო გახდა, დოლმენებში რამდენიმე ფენის დადგენა. ამან უთუოდ გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე დასავლეთკავკასიის დოლმენური კულტურის შესწავლის საქმეშიც. ჩრდილო კავკასიის დოლმენებში ადრევე მოპოვებული მასალის აფხაზეთის დოლმენურ ინვენტართან შედარება-შეჯერების გზით შესაძლებელი გახდა აქაც რამდენიმე ფენის გამოყოფა. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ახლა დასავლეთკავკასიის დოლმენებში სულ ცოტა ორი ფენის გამორჩევა მაინც შეიძლება.[3]

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის დოლმენების პირველმა შემსწავლელებმა, ალბათ, იმის გამო, რომ აღნიშნული დოლმენის გათხრის საქმე სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, ვერ შენიშნეს მათში სხვადასხვა ფენები, თუმცა მ. ივაშჩენკომ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ეშერის დოლმენში ისეთი ნივთებიც გვხვდება, რომლებიც უფრო მოგვიანო ხანის სამარხეული ინვენტარისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ მან ეშერის დოლმენები II ათასწლეულს მიაკუთვნა ძველი წელთაღრიცხვით.[4]

ბ. კუფტინის მიერ 1934 წელს და განსაკუთრებით კი 1937 წელს ჩატარებულმა სამუშაოებმა ეშერაში გარკვეული სინათლე შეიტანა ამ საკითხში. გაირკვა, რომ დოლმენები მერმინდელ ხანაშიც ყოფილა გამოყენებული. ბ. კუფტინი აქ ძირითადად სამ ფენას გამოყოფს. ქვედა, ძირითად ფენას იგი მიაკუთვნებს ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს; მეორე ფენას წინაყობანურ პერიოდს, შუაბრინჯაოს ხანის მიწურულს, ხოლო მესამე, ზედა ფენას კოლხური მონეტებით ათარიღებს.[5] რამდენად სწორადაა ბ. კუფტინის მიერ დადგენილი ეს ფენები, ამაზე ჯერჯერობით პასუხის გაცემა ძნელია. დოლმენური მასალის პერიოდიზაციას, როგორც ჩანს, იგი ძირითა-

1 Фелицин Е. Д., დასახ. ნაშრომი, გვ. 36, 38, 56, 61.

2 Куфтин Б. А., დასახ. ნაშრ., გვ. 299.

3 იქვე.

4 Иващенко М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 50.

5 Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, стр. 15; მისივე, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. მუზ. მოამბე, XII-B, თბილისი, 1944, გვ. 305; მისივე, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, вып. VIII, стр. 8.

დად 1937 წელს მოპოვებული მასალის მიხედვით იძლევა. ეს მასალა კი მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ გამოუქვეყნებია. იმ მასალების მიხედვით კი, რომელიც სადღეისოდაა ცნობილი ეშერის დოლმენებიდან (კერძოდ, მ. ივაშჩენკოსა და ბ. კუფტინის მიერ 1934 წელს გათხრების დროს მოპოვებული), მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ზოგიერთ დოლმენში აშკარად რამდენიმე ფენა ჩანს.

აღსანიშნავია, რომ 1955-1956 წლებში აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ეშერაში ჩატარებული გათხრების შედეგად უთუოდ მეტად საყურადღებო მასალა აღმოჩნდა. როგორც აღნიშნული გვქონდა, განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ კარგად გამოირჩევა ფენების სტრატიგრაფია № 1 დოლმენში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საკმაოდ კარგად ხერხდებოდა ამ ფენების დათარიღება.

ზედა ფენის სამარხთა ინვენტარი, მიუხედავად სიმცირისა, მეტად საყურადღებოა. საინტერესოა იგი იმით, რომ მას ბევრი საერთო აქვს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ მოპოვებული ბრინჯაოს შუბისპირი (სურ. 5), რომელიც თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორც მ. ივაშჩენკოს მიერ ეშერის სამაროვანზე მოპოვებული შუბისპირები.[1] მსგავსი იარაღი ცნობილია აფხაზეთში სხვა ადგილებიდანაც. ერთი შუბისპირი აღმოჩნდა პრიმორსკოეში ორ, სხვა ტიპის შუბისპირთან ერთად.[2] ერთი ამგვარი შუბისპირი, შემთხვევით ნაპოვნი ეშერაში, ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში.[3] შედარებით პატარა ზომის მსგავსი ორი შუბისპირი სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ახალ ათონში.[4] ეს შუბისპირები თავისებური ფორმისანი არიან, მათ შედარებით მოკლე ფოთლისებრი პირი აქვთ; მასრა გახსნილი, ვიწრო და გრძელია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის შუბისპირები სადღეისოდ დამახასიათებელია აფხაზეთისათვის. მასრაგახსნილი შუბისპირი საერთოდ კარგადაა ცნობილი ჩვენში გვიანბრინჯაოს ხანაში, ოღონდ ფორმით ეს შუბისპირები სრულიად განსხვავდება ზემოთ აღწერილი შუბისპირებისაგან.[5] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში ამ ტიპის შუბისპირებიცაა ცნობილი. მაგალითად ეშერიდან, ახალი ათონიდან და სხვ.[6] სპეციალურ ლიტერატურაში უკვე არაერთგზის გამოთქმულა მოსაზრება, რომ აფხაზეთი გვიანბრინჯაოს ხანაში ერთგვარი სპეციფიკურობით ხასიათდება, სადღეისოდ უკვე შესაძლებელი ხდება საკუთრივ აფხაზეთისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფორმის გამოყოფა.[7] ერთ-ერთი ასეთი დამახასიათებელი სწორედ ზემოთ აღწერილი შუბისპირებიც უნდა იყოს.

თავისებურია აგრეთვე ამავე ფენაში აღმოჩენილი ორი ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ვიწრო სარტყელი, რომელიც მთავრდება ბალთით; ბალთის შუაზე გამოსახულია ცხოველის თავი, საკმაოდ მაღალკისრიანი, აცქვეტილი ყურებით და გრძელი სახით (სურ. 5). სავსებით ამგვარივე სარტყლები (ბალთითურთ) ცნობილია აფხაზეთში

---

1 Иващенко М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 61. სურ. XVI.

2 Куфтин Б.А Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 140.

3 Лукин А.Л., Материалы по археологии Бзибской Абхазии. Труды Отдела истории первобытной культуры Гос. Эрмитажа, т. I, Ленинград, 1941, стр. 43, таб. VIII, 2, 4.

4 Куфтин Б.А. დასახ. ნაშრ., გვ. 152; ღლონტი ლ., არქეოლოგიური ძეგლები სოფ. ეშერიდან, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVIII – B თბილისი, 1953, გვ. 239.

5 Куфтин Б.А. დასახ. ნაშრ., გვ. 139, 213

6 იქვე, ტაბ. XIV, 6, 7; Лукин А. Л., გვ. 43, ტაბ. VIII, 1

7 ოთარ ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღი დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, თბილისი, 1963, გვ. 188.

ეშერის სამაროვნიდან,[1] ააქსტის ცნობილი სამარხიდან[2] და აგრეთვე კულანურხვას სამაროვნის II სამარხიდან.[3] აფხაზეთის გარეთ ასეთი ბალთები ჩვენთვის უცნობია. ერთგვარად ეს ბალთები თითქოს, როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავს, უახლოვდება ყობანის სამაროვნის ერთი რიგის ბალთებს.[4] მაგრამ ამ ბალთებზე სრულიად განსხვავებული ცხოველია გამოსახული. უთუოდ აღსანიშნავია, რომ ეშერის სამაროვნიდან მოპოვებულ კონუსისებურ სამკაულზე თითქმის სავსებით ისეთივე ცხოველის სახეა გამოსახული, როგორიც სარტყლის ბალთებზეა. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი კონუსისებრი სამკაული სადღეისოდ მხოლოდ აფხაზეთიდანაა ცნობილი.[5] როგორც ჩანს, ეს ბალთიანი სარტყელიც საკუთრივ აფხაზეთის გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს.[6]

ზედა ფენის კოლექტიურ სამარხში აღმოჩნდა სამი სასაფეთქლე რგოლი 1,5 ხვიისაა. ერთი მათგანი მრგვალია, მსხვილი მავთულისა, ორი კი – ოვალურია (სურ. 5). აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის რგოლები კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, ბრინჯაოს კულტურის საკმაოდ ადრეულ საფეხურზე გვხვდება.[7] მსხვილი მავთულის მრგვალი ხვიები, მაგალითად, კარგადაა ცნობილი საჩხერის სამარხებიდან; ვერცხლის ამგვარი ხვია ნაპოვნი იყო თრიალეთის ერთ-ერთ ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანში; მსგავსი ხვიები ცნობილია აგრეთვე ეშერის დოლმენების უფრო ადრეულ ფენებში, ვხვდებით მათ შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში ქვასათალიდან და სხვ. ამ ტიპის რგოლები კარგადაა ცნობილი საერთოდ აფხაზეთიდან.[8] უფრო მოგვიანო ხანაში გავრცელებულია უპირატესად ამ ტიპის ოვალური საკიდები და, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ე. კრუპნოვი, ისინი საკმაოდ მოგვიანო ხანამდე გვხვდება.[9]

დასასრულ, ზედა ფენის სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მძივების ერთი ასხმულა, წაკვეთილი ბიკონუსური ფორმისა, დაახლოებით ერთი ზომისა (სურ. 6). ეს მძივები გახსნილია და პირები ერთმანეთთანაა მიტანილი. ამგვარივე გახსნილი მძივები აღმოჩნდა კულანურხვას სამაროვნის ერთ-ერთ სამარხშიც.[10] რამდენადმე განსხვავებული ფორმის აგრეთვე გახსნილი ბრინჯაოს მძივები ცნობილია ჩრდილო კავკასიიდანაც.[11]

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ზედა ფენაში მოპოვებული მასალა კარგადაა ცნობილი აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლებიდან. ეს მასალები მეტად დამახასიათებელი ჩანს აფხაზეთის გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურისათვის. განსაკუთრებით ახლოს დგას ჩვენი მასალა ეშერის სამაროვანზე მოპოვებულ ინვენტართან. ეს სამაროვანი მიეკუთვნება გაცილებით უფრო ადრეულ ხანას, ვიდრე ამას მისი შემსწავლელი მ. ივაშჩენკო ფიქრობდა. იგი აშკარად გვიანი ბრინჯაოს ხანისა უნდა

---

1 Иващенко М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 61.
2 Лукин А. Л., დასახ. ნაშრ., გვ. 34; Куфтин Б.А. დასახ. ნაშრ., გვ. 150. ტაბ. XI.
3 Трапш М.М., Куланурхвинский древний могильник, автореферат, Сухум, 1951, стр. 11.
4 Куфтин Б.А. დასახ. ნაშრ., გვ. 150.
5 ღლონტი ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 223.
6 Куфтин Б.А. დასახ. ნაშრ., გვ. 168.
7 Крупнов Е. И. Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА №23 М.-Л., 1951, стр. 48.
8 Лукин А. Л. დასახ. ნაშრ., გვ. 28.
9 იქვე.
10 Трапш М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 13
11 Деген Б. Е., Курганы в Кабардинском парке г. Нальчика, МИА, № 3, М-Л., 1941; გვ. 260, სურ. 28, 4, 39. გვ.

იყოს.[1] ამავე პერიოდისა უნდა იყოს აგრეთვე კულანურხვას სამაროვნის რიგი სამარხები, თუმცა მისი გამთხრელი მ. ტრაპში მას სკვითური ხანით ათარიღებს.[2] მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება მთლად მართებული არ უნდა იყოს. აქ აშკარად უფრო ადრეული ფენაც გამოირჩევა, რომელიც გვიანი ბრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს. უთუოდ საყურადღებოა ის, რომ № 1 დოლმენში აღმოჩენილ მასალაში ძირითადად გვხვდება ისეთი ნივთები, რომლებიც სადღეისოდ დამახასიათებელია აფხაზეთის გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის. აქ, როგორც ჩანს, ამ პერიოდში დასავლურქართული, კოლხური კულტურის თავისებური, ლოკალური ვარიანტი უნდა გვქონოდა.

ამრიგად, № 1 დოლმენის ზედა ფენის სამარხში აღმოჩენილი მასალა გვიანი ბრინჯაოს ხანისა უნდა იყოს. უთუოდ აღსანიშნავია, რომ დღემდე გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალა აფხაზეთის დოლმენებიდან არ იყო ცნობილი.

№ 1 დოლმენში ძირა ფენა უშუალოდ ზედა ფენის ქვეშ იდო დაახლოებით 0, 50 მეტრით უფრო ღრმად. მიცვალებულის ძვლები ძირითადად შეჯგუფებული იყო უწესრიგოდ დოლმენის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. აქ დაახლოებით 10-მდე თავის ქალა მოჩანს. გარდა თავის ქალებისა, აქვე ელაგა ძირითადად კიდურების ძვლები. აქა-იქ ნეკნისა და ზოგან ფალანგის ძვლებიც ჩანდა. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ძვლები ყოველგვარი წესრიგის გარეშე კუთხეში მიუყრიათ. ზოგან თავის ქალები ერთმანეთზე ძევს. ძვლები საშუალოდ 1, 50 მეტრ სიღრმეზე აწყვია.

გარდა ამისა, რამდენიმე ძვალი მოჩანს აგრეთვე დასავლეთ კედელთან, დაახლოებით მის შუა ნაწილში, 1, 60 მეტრ სიღრმეზე. იატაკიდან ძვლები დაახლოებით 0, 30 მეტრ სიმაღლეზე აწყვია. მიცვალებულის დასაფლავების წესის შესახებ რაიმეს თქმა თითქმის შეუძლებელია. შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ აქაც, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის დოლმენებში, მიცვალებულები ძირითადად კუთხეებში დაუსაფლავებიათ.[3]

ნივთები ძირითადად აღმოჩნდა იმ ნაწილში, სადაც ყველაზე მეტად იყო შეჯგუფებული ძვლები. თითქმის მთელ ფართობზე გვხვდებოდა დიდი ზომის ბირთვისებური მძივები, ნახევრად ბირთვისებური ფორმის დაფანჯრული მძივსაკიდები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბრინჯაოს მძივები. თავის ქალებთან აღმოჩნდა სამი საკინძი, ნახევარსფეროსებრი მოყვანილობის დაფანჯრული თავით (სურ. 6). დოლმენის სხვადასხვა ადგილას ნაპოვნი იყო სასაფეთქლე რგოლები 1, 5 ხვიისა. დოლმენის ცენტრალურ ნაწილში, უფრო სამხრეთით, აღმოჩნდა რამდენიმე საკიდი სოკოსებრი მოყვანილობის მაღალი ყუნწით (სურ. 6).

დოლმენის დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა ბრტყელი სატევრისპირი (სურ. 6). აქვეა ნაპოვნი ნახევარსფეროსებრი დაფანჯრული მძივსაკიდები, მოგრძო ფორმის სამი მილაკი. ძვლების ქვეშ თითქმის ზედ იატაკთან აღმოჩნდა ძროხის თუ ხარის გახვრეტილი წინა კბილი. აქვე იდო ბრტყელი, რაღაც დანისმაგვარი ბრინჯაოს ფირფიტა. დოლმენის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, თითქმის ზედა იატაკზე, იყო ქინძისთავი ბრტყელი მოგრძო თავით, რომელიც ბოლოში ორადაა განტოტებული და ჩახვეული. გარდა ამისა, პირველ ფენაში აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული რამდენიმე თიხის ჭურჭელი (სურ. 6).

---

1 ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950, გვ. 81.
2 Трапш М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 14.
3 Фелицин Е. Д., დასახ. ნაშრ., გვ. 33.

№ 1 დოლმენის პირველი ფენის სამარხეულ ინვენტარს ბევრი საერთო აქვს ეშერის ადრევე გათხრილი დოლმენების მასალასთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსება შეინიშნება ეშერის დოლმენების გარკვეული ფენის მასალასთან, და თუ ბ. კუფტინის მიერ შემუშავებულ პერიოდიზაციას გავყვებით, მსგავსება ჩანს ეშერის დოლმენების მეორე ფენასთან. ასეთივე საკინძები ნახევარსფეროსებრი დაფანჯრული თავით ნაპოვნი იყო ჯერ კიდევ მ. ივაშჩენკოს მიერ მის პირველ დოლმენში.[1] ამგვარი საკინძი ცნობილია აგრეთვე ბ. კუფტინის მიერ 1937 წელს გათხრილი ერთ-ერთი დოლმენიდან. მსგავსი საკინძი აღმოჩენილი იყო შემთხვევით სოფ. აჭანდარაში, ეგებ, ერთ-ერთ დოლმენში.[2] უთუოდ აღსანიშნავია, რომ ასეთი საკინძები ჩვენთვის სხვა ადგილებიდან სადღეისოდ სრულიად უცნობია.

№ 1 დოლმენში ნაპოვნი მეორე ტიპის საკინძის (ბრტყელი მოგრძო თავით ბოლოებჩახვეული) მსგავსი აღმოჩენილია ბ. კუფტინის მიერ აზანტის № 2 დოლმენში. ეს საკინძი სავსებით ისეთივეა, როგორიც ჩვენი. მასაც ორივე მხარეზე ფხური ორნამენტი ამკობს. სხვა ზუსტად ამგვარი საკინძი ჩვენთვის ცნობილი არ არის. გარკვეული მსგავსება თითქოს შეინიშნება ფ. ჰანჩარის მიერ გამოქვეყნებულსა და ვენის მუზეუმში დაცულ ერთ ქინძისთავთან „რახტი – გოლიათიდან“ (დიგორია).[3] თავის ზედა ნაწილი აქაც მთავრდება აქეთ-იქით გამოყვანილი ხვეულით. ერთგვარი მსგავსება ჩანს მოსკოვის ისტორიის მუზეუმში ფილიმონოვის კოლექციაში დაცულ ერთ ქინძისთავთან, ოღონდ ამ უკანასკნელის თავის ზედა ნაწილში გამოყვანილი ხვეული ორნამენტის საშუალებითაა ნაჩვენები.[4] რამდენიმე უახლოვდება მათ აგრეთვე ლურისტანში აღმოჩენილი ქინძისთავი.[5] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ქინძისთავი უთუოდ გარკვეულად დაკავშირებულია საქართველოში და, საერთოდ, ჩრდილო კავკასიაში კარგად ცნობილ ქინძისთავთან, რომელსაც ახასიათებს „ცხვრის რქისებრი“ დახვეული თავი.[6] საქართველოში ასეთი ქინძისთავები მოპოვებულია საჩხერიდან, ქვასათალიდან, ერთი ცალიც აფხაზეთშია აღმოჩენილი ბამბორის მინდორზე. ნაპოვნია აგრეთვე ასეთი ქინძისთავის ოქროს ეგზემპლარი თრიალეთის ერთ-ერთი ყორღანიდან და სხვა. ჩვენში ამ ტიპის ქინძისთავი ძირითადად შუაბრინჯაოს ხანაში გვხვდება.

იარაღთაგან პირველ ფენაში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ბრტყელი სატევრისპირი (სურ 6). მსგავსი სატევრისპირი ნაპოვნი იყო ბ. კუფტინის მიერ 1937 წელს გათხრილი ერთ-ერთი დოლმენის მეორე ფენაში.[7] მოყვანილობით ჩვენი სატევრისპირს უახლოვდება ბ. კუფტინის მიერ იმავე წელს ერთ-ერთ დოლმენში ნაპოვნი სატევრისპირი, ოღონდ ამ უკანასკნელს სატარე ნაწილი რამდენადმე განსხვავებული აქვს. სატევრის ეს პირები საგრძნობლად განსხვავდება № 4, № 5 და სხვა დოლმენებში აღმოჩენილი სატევრისპირებისაგან, რომლებსაც ბ. კუფტინი დოლმენების პირველ ფენას მიაკუთვნებს.

---

1 Иващенко М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 18, სურ. VII, 1, 2; Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, გვ. 268, ტაბ. XXVIII.

2 Лукин А. Л., დასახ. ნაშრ., გვ. 26, ტაბ. III; Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 268, სურ. 57.

3 Hančar F., Die Nadelformen des práhistorischen Kaukasusgebietes, ESA VII, 1932, გვ. 162, სურ. 26. Иессен А.А., Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века, МИА, 23, М.-Л., 1951, стр. 115.

4 Иессен А.А., დასახ. ნაშრომი, გვ. 116, სურ. 53.

5 Andre Godard, Les Bronzes du Luristan, Paris, 1931, გვ. 72, Pl XXXIII, 128-141.

6 Деген Б. Е., დასახ. ნაშრ., გვ. 249.

7 Куфтин Б.А., К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, გვ. 9, სურ. 2.

№ 1 დოლმენის პირველ ფენაში ნაპოვნი იყო რამდენიმე სასაფეთქლე რგოლი 1,5 ხვიისა – როგორც მრგვალი, ისე ოვალური მოყვანილობისა. მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ზედა ფენის განხილვისას აღნიშნული გვქონდა, რომ ამ ტიპის რგოლები ჩვენში დროის საკმაოდ დიდ მანძილზე გვხვდება.

ამავე ფენაში აღმოჩნდა მძივები და საკიდები (სურ. 6). აღსანიშნავია აქ ნაპოვნი ერთი ნაკლული საკიდი, რომელიც, როგორც ჩანს, ხელის მტევნის გამოსახულება უნდა ყოფილიყო. ადამიანის ხელის მტევნისგამოსახულებიანი საკიდი ცნობილია ყობანის სამაროვნიდან.[1] ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ყუბანის მასალასთან გარკვეულ ურთიერთობას იჩენს დოლმენის მეორე ფენის მასალა. აქაც აღმოჩნდა, კონუსისებრი მოყვანილობის რამდენიმე ყულფიანი საკიდი. მსგავსი საკიდები კარგადაა ცნობილი ბ. კუფტინის მიერ ეშერის ადრე გათხრილი დოლმენიდან. სხვაგან ამგვარი საკიდი ჩვენთვის ცნობილი არ არის. გარდა ამისა, ამავე ფენიდან ცნობილია სოკოსებრი მოყვანილობის საკიდები ყუნწით. ამ ტიპის საკიდებსაც ვხვდებით ეშერის სხვა დოლმენებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოზრდილი ზომის მძივები თუ მძივსაკიდები – ნახევარსფეროსებრი მოყვანილობისა. ზოგიერთს ფუძეზე ორი ერთმანეთის პირდაპირ მიმართული სამკუთხა ფანჯარა აქვს, ზოგს კი – ოთხი (სურ. 6). ერთ-ერთს, გარდა ფუძისა, ამგვარივე სამკუთხა ფანჯარა აქვს გვერდებზე, აქეთ-იქით. ამ ტიპის მძივსაკიდები კარგადაა ცნობილი ეშერის დოლმენებიდან. მათ ვხვდებით ივაშჩენკოს მიერ გათხრილ № 1 და № 3 დოლმენებსა და ბ. კუფტინის მიერ 1937 წელს გათხრილ დოლმენებში. ბ. კუფტინი მათ მეორე ფენას მიაკუთვნებს.[2] უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ნივთები, გარდა ეშერის დოლმენებისა, სხვაგან ჩვენთვის უცნობია. ეს ერთ-ერთი ის ნივთი უნდა იყოს, რომელიც, აფხაზეთის დოლმენური კულტურისთვისაა დამახასიათებელი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამკუთხა ფანჯრებით ნივთების შემკობის წესი, საერთოდ, უცხოა დასავლურქართული ბრინჯაოს კულტურისათვის. ამას მხოლოდ აფხაზეთის დოლმენებში აღმოჩენილ ზემოაღწერილ მძივსაკიდებზე და საკინძის თავებზე ვხვდებით. შემკობის ეს წესი მეტად დამახასიათებელი ჩანს, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, აღმოსავლურქართული კულტურისა და აგრეთვე მისი მომიჯნავე კულტურისათვის (სატევრის და მახვილის ტარის ქუდები, დაფანჯრული საკიდები და სხვა).

ჩვენი დოლმენის პირველ ფენაში მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბრინჯაოს მძივები. გვხვდება ბირთვისებრი ფორმის მოზრდილი მძივები (სურ. 6). საინტერესოა, რომ, როგორც ჩანს, ეს მძივები შიგნით ამოვსებულია მოწითალო-აგურისფერი მასით. მსგავსი რამ შეუნიშნავს ა. ლუკინს ააქსტის სამარხში აღმოჩენილ მძივებზე. იგი აღნიშნავს, რომ ამგვარივე მასით უნდა იყოს ამოვსებული აგრეთვე იქვე აღმოჩენილი საწვივე ფუტურო რგოლები.[3] ამ ტიპის ბირთვისებრი მძივები დამახასიათებელია აფხაზეთის დოლმენებისათვის.

ამავე ფენაში ნაპოვნი იყო ბიკონუსური ფორმის მოზრდილი მძივები. ზოგიერთს შუა ადგილას ოთხი მეჭეჭი აზის. ამ ტიპის მძივებს ვხვდებით ეშერაში ადრევე გათხ-

1 МАК, VIII, ტაბ. XXIII, 9, 10.

2 Куфтин Б.А., К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, გვ.11, სურ. 3.

3 Лукин А. Л., დასახ. ნაშრ., გვ. 35.

რილ დოლმენებში, აგრეთვე, აზანტის დოლმენებში. დაახლოებით ამგვარივე ბიკონუსური მძივები აფხაზეთში გვხვდება უფრო მოგვიანო ხანაშიაც. ამ ტიპის მძივები ნაპოვნი იყო ეშერის სამაროვანზე,[1] ააქსტის სამარხში[2] და სხვ. გარდა აფხაზეთისა, ეს მძივები თითქოს გარკვეულად ანალოგიურია პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის მიერ ნაპოვნი და ბორჯომის კოლექციაში დაცული ბიკონუსური მძივებისა.[3] საერთოდ კი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ბ. კუფტინი, ეს მძივები აფხაზეთის ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი ჩანს.[4]

გარდა ამ მძივებისა, ამავე ფენაში ნაპოვნი იყო ბრინჯაოს წვრილი კასრისებრი მოყვანილობის მძივებიც, აგრეთვე ისეთივე შეკეცილი მძივები, როგორიც ზედა ფენაში აღმოჩნდა (სურ. 6). აღსანიშნავია ერთი მძივი, მკვეთრად გამოსახული ოთხი წახნაგით. სავსებით ასეთივე მძივი ნაპოვნი იყო აზანტის ერთ-ერთ დოლმენში.

აქვე ნაპოვნი იყო ძროხის ერთი გახვრეტილი წინა საჭრელი კბილი (სურ. 6). ცხოველის გახვრეტილი კბილები, საკიდად გამოყენებული, საერთოდ, კარგად არის ცნობილი კავკასიაში. ისინი დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში გვხვდება.[5]

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ № 1 დოლმენის პირველ ფენაში აღმოჩენილი იყო ორი თიხის ჭურჭელი, სამწუხაროდ, ძლიერ დაზიანებული. ამ ჭურჭლიდან მხოლოდ ერთის აღდგენა მოხერხდა, – ესაა მოყავისფრო ფერის ქილა. მას მხარზე ირგვლივ შემოუყვება ერთი ზოლი ღრმა ჭდეებისა. ქილა ყელდაბალია. პირი გაშლილი აქვს და თხელკედლიანია, ხელით ნაძერწი. ამგვარი ფორმის ჭურჭელი ეშერისა და, საერთოდ, კავკასიის დოლმენებიდან ჩვენთვის ცნობილი არ არის. დამზადების ტექნიკის, თიხის და სხვათა მიხედვით ეს ჭურჭელიც სავსებით ისეთივეა, როგორიცაა, საერთოდ, დოლმენური კერამიკა. მსგავსი ორნამენტაცია გვხვდება აზანტის დოლმენებში ნაპოვნ კერამიკაზე.

რაც შეეხება ჩვენი დოლმენის პირველი ფენის დათარიღების საკითხს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი შეესაბამება ბ. კუფტინის მიერ აფხაზეთის დოლმენებში გამოყოფილ მეორე ფენას, რომელსაც იგი მიაკუთვნებს შუაბრინჯაოს ხანას, უკეთ – ამ ხანის დასასრულს. ვფიქრობთ, რომ ბ. კუფტინის ეს მოსაზრება ძირითადად მართებული უნდა იყოს.[6] მის მიერ აფხაზეთის დოლმენებში გამოყოფილ მეორე ფენაში აღმოჩენილი მასალა მსგავსებას პოულობს კავკასიის მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრის ძეგლებთან.[7] განსაკუთრებით აღსანიშნავია ამულეტი ყუამილიანი ცულისა. მსგავსი საკიდი ცნობილია ბრილის უძველესი ორმოსამარხებიდან, თლიდან; ჩრდილო კავკასიაში მათ ვხვდებით „ზემო რუთხას“ სამაროვნის № 16 სამარხში, რომელსაც ე. კრუპნოვი მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს. ამრიგად, ჩვენი დოლმენის პირველი ფენა ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს.

---

1 Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 168; Иващенко М.М., დასახ. ნაშრ., გვ. 61.

2 Лукин А. Л., დასახ. ნაშრ., გვ. 35; Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., გვ.150.

3 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., გვ.150.

4 იქვე, გვ. 168.

5 Круглов А.П., Пиотровский Б.Б. и Подгаевский Г. В., Могильник в Нальчике, МИА, №3, М.-Л. 1941, стр. 117.

6 Куфтин Б.А., К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, გვ.12.

7 იქვე, გვ. 11.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სადღეისოდ ჩვენში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ აფხაზეთში დოლმენების აგების დრო III და II ათასწლეულის მიჯნაზე მოდიოდა. მაგრამ, ჩვენ მიერ ახლად მოპოვებული მასალების მიხედვით, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მიცვალებულის დაკრძალვის მიზნით აგებდნენ დოლმენებს.

ჩვენ მიერ გათხრილ № 2 დოლმენი მდებარეობს მარტიროს აკოპიანის კარ-მიდამოს ტერიტორიაზე. ეს დოლმენიც თითქმის მთლიანად მიწით იყო დაფარული და მოჩანდა მხოლოდ ორი სიგრძივი გვერდის ქვა. აქაც დოლმენის ირგვლივ მოზრდილი ქვები ეყარა. სიგრძივ კედლებს აქეთ-იქით საკმაოდ მოზრდილი ორ-ორი საყრდენი ქვა ჰქონდა მიბჯენილი (სურ. 7).

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ № 2 დოლმენის გაწმენდის დროს სახურავის ქვის ნაშთი სრულიად არ აღმოჩენილა. შესაძლებელია, ამ დოლმენს სახურავის მთლიანი ქვა თავის დროზე არც ჰქონია. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ დოლმენის შიგნით, მთელ ზედაპირზე, დაახლოებით 0,50 მეტრი სიღრმეზე ქვები ეყარა, შემდეგ კი მიწა იწყებოდა, და ეგებ სწორედ ეს ქვის ყრილი ასრულებდა სახურავის მაგივრობას. უნდა აღინიშნოს, რომ არც ეშერაში და არც აფხაზეთის სხვა დოლმენებში ამგვარი რამ შემჩნეული არაა. ჩრდილო კავკასიის დოლმენებში ცნობილია შემთხვევები, როდესაც დოლმენი მთლიანად ამოვსებული ყოფილა ქვით.[1]

№ 2 დოლმენი უფრო მოგრძოა. მისი ზომებია:

დასავლეთი კედელი: სიგრძე – 2, 26 მ; სიმაღლე – 1, 2 მ; სისქე – 0, 22 მ (კედელი ორადაა გატეხილი).

აღმოსავლეთი კედელი: სიგრძე – 2, 25 მ; სიმაღლე – 1, 25 მ; სისქე – 0, 22 მ.

სამხრეთი კედელი დამტვრეულია. სიგრძე კედლისა დაახლოებით ორ მეტრამდე აღწევდა. სისქე – 0, 40 მ; ამ კედელში დატანებული იყო ნახვრეტი, რომლის დიამეტრიც 0, 40 მ-მდე აღწევდა.

ჩრდილოეთი კედელი: სიგრძე – 1, 80 მ; სიმაღლე – 1, 20 მ; სისქე- 0, 16 მ.

იატაკად ამ დოლმენს არაფერი არ ჰქონდა დაგებული. იგი, პირდაპირ მიწაზე იდგა. დოლმენის შიდა ზომებია: 2, 10 მ X 1, 97 მ. ნარიბანდები დოლმენის სიგრძივ კედლებს ოდნავ ეტყობოდა. დოლმენი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით (ოდნავ უფრო დამხრობილია ჩრდილოეთით). ასევე იყო დამხრობილი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ივაშჩენკოსეული № 4 დოლმენი.[2]

დოლმენი ჩრდილო-აღმოსავლეთით თანდათან ვიწროვდება. იგი, ისევე როგორც ეშერის სხვა დოლმენები, ტრაპეციის მოყვანილობისაა. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დოლმენები, ეშერის სხვა დოლმენებთან შედარებით, მეტად ცუდად ნაკეთებია. როგორც ჩანს, იგი აფხაზეთში სადღეისოდ გათხრილ დოლმენთა შორის ყველაზე პატარა უნდა იყოს, თუმცა ზომებით, ჩანს, მას რამდენადმე უახლოვდება აგრეთვე კუფტინის მიერ 1934 წელს გათხრილი № 2 დოლმენი.[3]

მიცვალებულის ძვლები დოლმენში აღმოჩნდა დაახლოებით 0, 70 – 0, 80 მ სიღრმეზე. დასაფლავების რაიმე წესის დადგენა შეუძლებელი გახდა. ძვლები თითქმის

---

1 Фелицин Е. Д., დასახ. ნაშრ., გვ. 39, 41.

2 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., გვ. 266.

3 იქვე, გვ. 298.

დოლმენის მთელ ფართობზე ეყარა ყოველგვარი წესრიგის გარეშე. აქაც, უპირატესად, გვხვდება თავის ქალები და კიდურების ძვლები. ყველაზე მეტად ძვლები დაჯგუფებული იყო დოლმენის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქ, გარდა სხვა ძვლებისა, 12 თავის ქალა იდო. ძვლები ერთმანეთზე იყო დაყრილი. დოლმენის ცენტრში ერთმანეთის გვერდით სამი თავის ქალა აღმოჩნდა, ჩრდილო კედელთან – ორი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კი – ოთხი. ამრიგად, დოლმენში ოცზე მეტი თავის ქალა იყო.

№ 2 დოლმენში მეტად ღარიბული ინვენტარი აღმოჩნდა. დოლმენის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თავის ქალებთან ნაპოვნი იყო ორი ერთმანეთზე გადადებული ოვალური 1, 5 ხვია სასაფეთქლე რგოლი (სურ. 8). ეს რგოლები სავსებით ისეთივეა, როგორც № 1 დოლმენის სასაფეთქლე რგოლები. ლითონის ნივთებიდან შიგ დოლმენში სხვა არაფერი აღმოჩენილა. მხოლოდ დოლმენის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, 0, 80 მ სიღრმეზე, ვიპოვეთ ბრტყელი ყუნწიანი ისრისპირი (სურ. 8).

დოლმენში აღმოჩნდა შვიდი თიხის ჭურჭელი. ეს ჭურჭელი დოლმენის სხვადასხვა ადგილას იდო. ყველა ჭურჭელი ძლიერ დაზიანებული იყო და მხოლოდ სამის აღდგენა მოხერხდა მეტ-ნაკლებად. ჭურჭელი მეტად ტლანქადაა ხელით ნაძერწი, თხელკედლიანია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოწითალო ფერის ცალყურა ქოთანი, რომელიც შედარებით უკეთაა ნაკეთები, პატარა მოწითალო ფერის თიხის სასმისი და მოშავო ფერის ქილა, პირგადმოწეული, რომელსაც მხართან ფხური ორნამენტი შემოუყვება (სურ. 8, სურ. 9).

აქ აღმოჩენილი ქოთნის მსგავსი სხვა ქოთანი ეშერის დოლმენურ კერამიკაში დღემდე უცნობია. რამდენამდე უახლოვდება თითქოს ამ ქოთანს ერთი ცალყურა ქოთანი ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთი დოლმენიდან.[1] ჩვენს დოლმენში აღმოჩენილი ქილისმაგვარი ჭურჭლის მსგავსი ცნობილია ბ. კუფტინის მიერ გათხრილი II და IV დოლმენებიდან.[2] განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პატარა მოწითალო სასმისი. როგორც ჩანს, ამ ტიპის სასმისი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ეშერის ჯგუფის დოლმენური კერამიკისათვის. სავსებით ამგვარივე სასმისებს ვხვდებით კუფტინისეულ II და IV დოლმენში.[3] აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს სასმისები ფორმით საკმაოდ ახლოსაა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილ ოქროს სასმისთან.[4]

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, სამწუხაროდ, ბევრის არაფრის თქმა შეგვიძლია კავკასიის დოლმენური კერამიკის შესახებ. თითქმის ვერაფერს ვიტყვით ჩრდილო კავკასიის დოლმენებში მოპოვებულ კერამიკაზეც იმის გამო, რომ ჩვენამდე თითქმის სრულად ვერ მოაღწია ე. ფელიცინის მიერ აღმოჩენილმა კერამიკამ, რომელიც მან, როგორც თვითონ აღნიშნავს, იპოვა ყუბანის დოლმენებში.[5] ამ კერამიკის მხოლოდ ორი თუ სამი სურათია გამოქვეყნებული ა. უვაროვას და ე. ფელიცინის ნაშრომში.[6] რაც შეეხება აფხაზეთის დოლმენებში მოპოვებულ კერამიკას, იგი იმდენად ცუდადაა დაცული, რომ უთუოდ ჭირს მის შესახებ რაიმეს

---

1 Фелицин Е. Д., დასახ. ნაშრ., გვ. 26, სურ. 78.
2 Куфтин Б.А. დასახ. ნაშრ., გვ. 292, ტაბ. XXXI, XXXIII.
3 იქვე, გვ. 294, ტაბ. XXXI[3], XXXIII.[3].
4 Куфтин Б.А. Археологические раскопки в Триалети, т. I, ტაბ. LI.
5 Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 291.
6 Фелицин Е. Д., დასახ. ნაშრ., გვ. 26, სურ. 7, 8 და 20.

გარკვევით თქმა. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის დოლმენური კერამიკა გამოირჩევა პატარა ზომებით. ბ. კუფტინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს კერამიკა სპეციალურად მიცვალებულის ჩასატანებლად იყო დამზადებული და მოზრდილი ჭურჭლის იმიტაციას წარმოადგენდა. ავტორს თავისი ამ დებულების გასამყარებლად სათანადო ეთნოგრაფიული მასალებიც მოჰყავს.[1] რამდენად სწორია ბ. კუფტინის ეს მოსაზრება, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი კია, რომ ეს კერამიკა მეტად ტლანქია, უხეიროდ ნაკეთები, მეტად პატარა ზომისა და, ეგებ, პრაქტიკული დანიშნულებისათვის მართლაც ნაკლებ გამოსადეგი ყოფილიყო.[2] ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ კერამიკის დაკავშირება დღემდე ცნობილ ვერც წინამორბედ, ვერც თანადროულ და ვერც მერმინდელ კერამიკულ ჯგუფებთან. სადღეისოდ თითქოს ისე ჩანს, რომ აფხაზეთის დოლმენური კერამიკა ერთგვარად განმარტოებით დგას. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ე. ფელიცინის მიერ მოცემული აღწერილობიდან ჩანს, ერთი ნაწილი ჩრდილოკავკასიის დოლმენური კერამიკისა ისევე ტლანქი და მინიატიურულია, როგორც აფხაზური დოლმენების კერამიკა.[3]

რაც შეეხება № 2 დოლმენს გარეთ აღმოჩენილ ბრტყელყუნწიან ისრისპირს, მის შესახებ ახლა ბევრს ვერაფერს ვიტყვით. თითქოს იგი რამდენადმე უნდა უახლოვდებოდეს სტანიცა ნოვოსვობოდნაიას მახლობლად მრავალწახნაგა დოლმენში აღმოჩენილ ისრისპირებს.[4] სხვა მსგავსი ისრისპირები ჩვენთვის უცნობია.

დოლმენი № 3 (გაითხარა 1956 წლის ექსპედიციის დროს)[5] მდებარეობდა დაახლოებით 10-მდე მეტრის დაშორებით მეორე დოლმენიდან. ამ დოლმენის გათხრამდე მოჩანდა მხოლოდ მისი აღმოსავლეთი კედელი. დოლმენის კონტურის გამოსარკვევად გათხრა დავიწყეთ მის შიგნით, რის შედეგადაც, მართლაც, გამოჩნდა დოლმენის ჩრდილო და დასავლეთი კედლები. სამხრეთი კედელი, ჩანს, ჩამტვრეულია.

გარედან ჩრდილო კედლის მთელ სიღრმეზე ჩაყრილი იყო ნამტვრევი ქვები. ასეთივე ყრილია აღმოსავლეთ კედელთან (სურ. 10). აღსანიშნავია, რომ ქვაყრილი სრულიად არ შეინიშნებოდა სამხრეთ კედლის გასწვრივ და, ეგებ ეს იყო სწორედ მიზეზი იმისა, რომ ეს კედელი ჩაწვა და ჩაიმტვრა (სურ. 11).

№ 3 დოლმენი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. წინა ხვრელიანი კედელი მას დასავლეთით ჰქონდა მიქცეული.

№ 3 დოლმენის წინა, დასავლეთი კედელი დამტვრეული აღმოჩნდა დაახლოებით ხვრელის შუა ნაწილამდე. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ხვრელში შემორჩენილი იყო ქვის საცობი (სურ. 12). იგი დოლმენის შიგნიდან ოდნავ შიგ ნახვრეტში იყო ჩადგმული. საცობი ოდნავ სოლისებრი მოყვანილობისაა (სურ. 13). როგორც ჩანს, ხვრელის დიამეტრი უფრო დიდია საცობისაზე (ხვრელის დიამეტრი 0, 40 მ; საცობის

---

1 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., გვ. 295.

2 იქვე, გვ. 236.

3 იქვე, გვ. 300.

4 Фелицин Е. Д., დასახ. ნაშრ., გვ 36, სურ. 23.

5 ექსპედიცია მოაწყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა. ექსპეციის შემადგენლობა: ო. ჯაფარიძე, გ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ო. სანებლიძე, ნ. იაკობაშვილი, ნ. ხოსიტაშვილი, ლ. წერეთელი; არქიტექტორი ი. ტარასაშვილი; ფოტოგრაფი ლ. ჭილაშვილი. ექსპედიციაში მონაწილეობდა ისტორიის ფაკულტეტის 10 სტუდენტი. გარდა არქეოლოგიური სამუშაოებისა, ექსპედიციამ ეშერის ერთ-ერთი დოლმენი მთლიანად გადმოიტანა და დღეს იგი ხელოვნების მუზეუმში დგას.

დიამეტრი – 0, 23 მ სიგრძე – 0, 38 მ). აღსანიშნავია, რომ ეშერის ჯგუფის დოლმენებიდან უშუალოდ დოლმენში ჩადგმული საცობი დღემდე ცნობილი არ იყო.

სახურავის ქვა დოლმენისა ჩამტვრეული უნდა ყოფილიყო და ალბათ მისი ნამტვრევები ეყარა დოლმენის შიგნით მთელ ფართობზე.

№ 3 დოლმენის ზომები:

ჩრდილო კედელი: სიგრძე – 4, 14 მ, სიმაღლე (დარჩენილი ნაწილისა) – 1,0 მ, სისქე – 0, 30 მ.

აღმოსავლეთი კედელი: სიგრძე 1, 82 მ; სიმაღლე – 1, 40მ; სისქე – 0, 21 მ.

სამხრეთი კედლის სისქე – 0, 15 მ.

№ 3 დოლმენის შიდა ზომები:

ჩრდილოეთი კედელთან სიგრძე – 2, 34 მ, სიგანე – 2, 62 მ.

ჩრდილოეთი კედლის წინა მხარის გამონაშვერის სიგანე – 0, 63 მ.

იმავე კედლის უკანა მხარის გამონაშვერის სიგრძე – 0, 72 მ.

ჩრდილოეთი კედლის ნარიბანდების სიგანე – 0, 20 მ.

იატაკის ქვის სიგანე – 3, 89, სისქე – 0, 30 მ.

იატაკის ქვის ნარიბანდის სიგანე დასავლეთ კედელთან – 0, 15 მ.

№ 3 დოლმენს მთლიანი ქვა ედო იატაკად. აქაც, ისევე როგორც სხვა დოლმენებში, სიგრძივ კედლებს ორივე კუთხეში ნარიბანდები ჰქონია. ასეთივე ნარიბანდია აგრეთვე იატაკის ქვაზე.

დოლმენის შიგნით მუშაობას აფერხებდა ის, რომ დაახლოებით შუა ნაწილში მოზრდილი ხე იყო ამოსული. ხის ფესვებს საგრძნობლად დაუზიანებია დოლმენი. ქვების აყრის შემდეგ თითქმის მთელ ფართობზე გამოჩნდა ძალზე ცუდად, ყოველგვარი წესრიგის გარეშე, დაყრილი ადამიანის ძვლები, უპირატესად კიდურებისა. ძვლები უმთავრესად შეჯგუფებული იყო დოლმენის ცენტრალურ ნაწილში და აგრეთვე აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ, ე.ი. მიცვალებულები უპირატესად დოლმენის უკანა ნაწილში ყოფილან მოთავსებული. როგორც ჩანს, ამ დოლმენში საკმაოდ ბევრი მიცვალებული უნდა ყოფილიყო. დოლმენში ადამიანის ძვლების რამდენიმე ფენა ჩანდა. ერთი ნაწილი მიცვალებულებისა უშუალოდ დოლმენის იატაკზე დაუსაფლავებიათ. ამას ერთგვარად მოწმობს ის, რომ თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა იატაკზე ძვლების ქვეშ. ძვლები იატაკიდან დაახლოებით 0, 18 მეტრ სიმაღლეზე ეწყო.

ნივთები დოლმენში სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში 0, 93 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭურჭელი. ერთი ჭურჭელი პირქვე იყო დადებული, ხოლო მის გვერდით მსხვილფეხა საქონლის ძვალი აღმოჩნდა. აქვე იდო მოზრდილი ქვაბისმაგვარი ჭურჭელი და მის გვერდით – მოშავო ფერის ჭურჭელი. დოლმენის ცენტრისაკენ, უფრო სამხრეთით კიდევ მოწითალო ჭურჭელი ჩანდა. საყურადღებოა, რომ ეს ჭურჭელი იატაკის ქვისაგან დაახლოებით 0, 70 მეტრ სიმაღლეზე აღმოჩნდა.

დოლმენის ქვედა ფენაში, იატაკთან, ნაპოვნია კიდევ რამდენიმე თიხის ჭურჭელი. ჩრდილო კედელთან პირქვე დამხობილი მოწითალო ჭურჭელი იყო. აღმოსავლეთი კედლის ძირზე, კუთხესთან, აღმოჩნდა მოშავო ფერის დამტვრეული ჭურჭელი. აქვე ნაპოვნი იყო ძლიერ დაშლილი ბრინჯაოს პატარა სატევრისპირი (?) და კაჟის ისრისპირი. ერთი კაჟის ისრისპირი აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან. აქვე იყო თიხის

კვირისტავი. გარდა ამისა, წინა კედელთან, ხვრელის ძირთან, ნაპოვნი იყო ბრინჯაოს რაღაც ფირფიტა (სურ. 14).

აქ კიდევ ხუთი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, მაგრამ მათი აღდგენა ვერ მოხერხდა. ერთი პატარა შავი ფერის თხელკედლიანი სასმისის ნატეხებია. მთელი ზედაპირი დასერილია არამკვეთრი ამოღარული ხაზებით. დანარჩენი ოთხი ჭურჭელი მოწითალო ფერისაა. ზოგიერთს ეტყობა ამოღარული ხაზებისაგან შემდგარი ორნამენტი (სურ. 15).[1]

არც № 3 დოლმენის ინვენტარი იყო მაინცდამაინც მდიდარი. ისიც უმთავრესად თიხის ჭურჭლისაგან შედგებოდა. სამწუხაროდ, კერამიკა ამ დოლმენში ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ტიპობრივად, იგი ახლოს დგას № 2 დოლმენის და, საერთოდ, ეშერის დოლმენურ კერამიკასთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ დოლმენში აღმოჩენილი კაჟის ორი ისრისპირი. კაჟის ისრისპირები საერთოდ იშვიათად გვხვდება კავკასიის დოლმენებში. ეშერაში, გარდა აღნიშნული ისრისპირებისა, ცნობილია მხოლოდ ერთი ისრისპირი, აღმოჩენილი ბ. კუფტინის მიერ 1937 წელს № 2 დოლმენში.[2] ეს ისრისპირი ყუნწიანია, მოგრძო ფრთებით. ჩვენი ისრისპირები განსხვავებული ტიპისაა – ფუძეამოღარული. ორივე ისრისპირი გამოირჩევა მოხდენილი ფორმით და დამუშავების მაღალი ტექნიკით. მათგან აღსანიშნავია ერთი, რომელსაც ორივე კიდე დაკბილული აქვს. მსგავსი ისარი დაკბილული პირით სხვა ამ პერიოდის მასალებში ჩვენთვის უცნობია. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფუძეამოღარული ისრისპირები ჩვენში საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდანაა ცნობილი. ასიმეტრიულად ფუძეამოღარული ისრისპირები გვხვდება უკვე ენეოლითურ ხანაში.[3] უფრო მოგვიანო ხანებში კაჟის ისრისპირებს ფუძე თითქოს უფრო სიმეტრიულად ამოღარული აქვთ. ამ ტიპის ისრისპირები გვხვდება საჩხერის ყორღანებში,[4] ნაოხვამუსა და დიხაგუძუბას ფენებში.[5] როგორც ჩანს, ეს ისრისპირები ჩვენში უკვე ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი საფეხურიდან ვრცელდება. როგორც ცნობილია, სიმეტრიულად ამოღარული ობსიდიანის ისრისპირები ფართოდაა გავრცელებული ამიერკავკასიაში შუაბრინჯაოს ხანაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთი სიმეტრიულად ამოღარული ისრისპირი ცნობილია ოჩამჩირის ენეოლითური ფენიდანაც.[6]

№ 3 დოლმენში ლითონის ორი ნივთი აღმოჩნდა. ერთი მათგანი, ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა, იმდენად იყო დაზიანებული, რომ მის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. ძლიერ დაშლილი იყო აგრეთვე სატევრისპირიც. იგი თხელი უნდა ყოფილიყო, ყუნწიანი, მოკლე, როგორც ჩანს, საკმაოდ არქაული ტიპისა.

ამრიგად, № 3 დოლმენში, ისევე როგორც № 2 დოლმენში, შედარებით ღარიბი ინვენტარი აღმოჩნდა. ეს დოლმენები როგორც დოლმენის აგების ტექნიკის მხრივ,

---

1 1956 წელს, არქეოლოგიური ექსპედიციის დროს, დ. აკოპიანმა გადმოგვცა თავის ეზოში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები, რომლებიც, როგორც ჩანს, დოლმენიდან უნდა იყოს (სურ. 19).

2 ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრინდელი საფეხური საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 73. ტაბ. X, 3

3 Б.А. Куфтин, К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV –B, თბილისი, 1947, გვ. 77.

4 ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91, ტაბ. XIII, 5.

5 Б.А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. ტ. II, გვ. 184, 243, სურ. 45, 95.

6 იქვე, გვ. 268.

ისე სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ჩანს, საკმაოდ ახლოს უნდა იდგნენ ერთმანეთთან. მათი ინვენტარი ერთგვარად განსხვავდება ეშერის დოლმენებში მანამდე ცნობილი სამარხეულ ინვენტარისაგან. განსხვავდებიან ეს დოლმენები ეშერის სხვა დოლმენებისაგან აგრეთვე აგების ტექნიკითაც. გარდა იმისა, რომ ეს დოლმენები ზომით შედარებით უფრო პატარაა, უფრო უხეშადაცაა ნაგები. ზომით ისინი უფრო უახლოვდებიან ეშერის იმ დოლმენთა ჯგუფს, რომელშიც შედარებით უფრო არქაული ინვენტარი გვხვდება: კავები, ცულები, სატევრისპირები და სხვ. (მაგ., დოლმენი IV, და რომელსაც ბ. კუფტინი დოლმენების პირველ ფენას მიაკუთვნებს). მაინც ეს დოლმენები გაცილებით უფრო უკეთაა ნაგები, ვიდრე ჩვენი მეორე და მესამე დოლმენია. შესაძლოა ეს უკანასკნელი რამდენადმე უფრო ადრეულიც იყოს. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს ამ დოლმენებში აღმოჩენილი მასალა. როგორც ცნობილია, ბ. კუფტინი დოლმენების ძირა ფენას ძირითადად მიაკუთვნებდა ადრეული ბრინჯაოს ხანას. შესაძლოა უფრო მართებული იქნება, თუ კუფტინისეული პირველი ფენის შემცველ დოლმენებს ბრინჯაოს კულტურის ადრეული ხანის მიწურულს მივაკუთვნებთ.[1]

სადღეისოდ არსებული მასალებით თითქოს ის ირკვევა, რომ აფხაზეთში პატარა ზომის, შედარებით უხეშად ნაგები დოლმენები უფრო ადრინდელი პერიოდის, ადრეული ბრინჯაოს ხანისაა. ამ პერიოდის ბოლოს დოლმენთა აგების წესში უთუოდ გარკვეული წინსვლა შეინიშნება. ახლა დოლმენები უკეთაა ნაგები და შედარებით უფრო მოზრდილებიცაა. სამარხეული ინვენტარიც საგრძნობლად განსხვავებულია. გვხვდება ცულები, კავები, სატევრისპირები და სხვ. დოლმენური კულტურა თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს შუაბრინჯაოს ხანაში. ამ პერიოდის დოლმენები გაცილებით უფრო დიდი ზომისაა და სრულიად განსხვავებულ ინვენტარს იძლევა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება ეშერაში კ. აკოპიანის კარ-მიდამოზე აღმოჩენილი ორი მეტად პატარა ზომის დოლმენის შესახებ იმის გამო, რომ ისინი სრულიად დაშლილი აღმოჩნდნენ. სავსებით ამგვარივე დოლმენები იპოვა ბ. კუფტინმა 1946 წელს იმგვარადვე ჩაშლილი, როგორც ეშერისა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ბ. კუფტინს მიუქცევია ყურადღება იმისათვის, რომ ეშერის დიდი და უფრო მცირე ზომის დოლმენურ ინვენტარს შორის გარკვეული განსხვავება შეინიშნება. იგი აღნიშნავდა, რომ თითქოს პატარა ზომის დოლმენებში მოპოვებული ინვენტარი რამდენადმე უფრო არქაული ჩანს, თუმცა ვიდრე ეშერაში სათანადოდ შესწავლილი არ იქნება დიდი ზომის დოლმენებიც, მანამდე ამ მხრივ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.[2] № 1 დოლმენი, რომელიც მოზრდილ დოლმენთა რიგს ეკუთვნის, როგორც აღნიშნული გვქონდა, უთუოდ საყურადღებო მასალას გვაწვდის დოლმენების აგების დროის დადგენის შესახებ. ჩვენი მასალის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ შუაბრინჯაოს ხანის მიწურულისათვის აფხაზეთში უშენებიათ დიდი ზომის დოლმენები. სამწუხაროდ, ბ. კუფტინის მიერ შესწავლილი დიდი ზომის დოლმენების შესახებ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია იმის გამო, რომ ეს დოლმენები ადრევე უკვე ნათხარი ჩანდა.[3] მაგრამ ჩვენს მასალასთან შედარებისას აშკარად ჩანს, რომ ბ. კუფტინის № 1 დოლმენში მოპოვებული მასალა ძალიან ახლოს დგას ჩვენი დოლმენის ძირა ფენის ინვენტართან. ჩანს, ეს

1 ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 75.
2 Б.А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 297.
3 იქვე. გვ. 297.

დოლმენიც იმავე დროისა უნდა იყოს. რაც შეეხება ბ. კუფტინისეულ № 5 დოლმენს, რომელიც აგრეთვე მოზრდილ დოლმენთა ჯგუფს ეკუთვნის, მისი ინვენტარის ერთი ნაწილი, კერძოდ იარაღი – ცული და სატევარისპირები, უფრო არქაულ იერს ატარებს. ამავე დოლმენში აღმოჩენილი სამკაული იმავე ტიპისაა, როგორიც ჩვენი № 1 დოლმენის ძირა ფენისა. სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით, აქ ერთი ფენის მასალასთან გვაქვს საქმე თუ ორ სხვადასხვა ფენასთან. არ არის გამორიცხული, რომ აქ ერთი ფენა გვქონდეს იმის გამო, რომ, როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავს, № 5 დოლმენში აღმოჩენილი იარაღი უფრო სრულყოფილი ტექნიკითაა დამზადებული, ვიდრე უფრო მომცრო ზომის დოლმენებში ნაპოვნი იარაღი.[1]

აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ ის, რომ სადღეისოდ ეშერაში შესწავლილი დოლმენებიდან თითქოს ისე ჩანს, რომ მომცრო ზომის დოლმენებში ძირითადად ერთი ფენა გამოირჩევა. როგორც ეტყობა, ეს დოლმენები მერმინდელ ხანაში უკვე აღარ გამოუყენებიათ. მხოლოდ დიდ დოლმენებში შეიმჩნევა რამდენიმე ფენა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ერთგვარად ართულებს ამ დოლმენთა დათარიღების საკითხს და ფენათა მეტად ფრთხილ შესწავლას მოითხოვს.

აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, აფხაზეთში დოლმენების აგების დროისა და აგრეთვე ფენათა შესახებ ბ. კუფტინის მიერ გამოთქმული მოსაზრება მთლად მართებული არ უნდა იყოს. იგი აფხაზეთის დოლმენებში რამდენიმე ფენას გამოყოფდა და ფიქრობდა, რომ ქვედა ძირითადი ფენა ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ პერიოდზე მოდიოდა.[2] მისი აზრით, დოლმენების აგების დრო ჩვენში ადრეულ ბრინჯაოს ხანაა.[3] მაგრამ ეს მოსაზრება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლად სწორი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, დოლმენების გამოჩენა ჩვენში იწყება ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე. ამ პერიოდში დოლმენები ჯერ კიდევ შედარებით მომცრო ზომისა იყო. ამ დოლმენებში, სადღეისოდ არსებული მასალის მიხედვით, მხოლოდ ერთი ფენა შეინიშნება. მერმინდელ ხანაში დოლმენები უფრო დიდი ზომისაა და უკეთაც დამუშავებული. ეს დოლმენები, ჩანს, უფრო მოგვიანო ხანაშიც ყოფილა გამოყენებული და სწორედ ამ დოლმენებში ზოგჯერ ხერხდება რამდენიმე ფენის გამოყოფა.

1956 წელს არქეოლოგიური ექსპედიციის დროს შევისწავლეთ აგრეთვე სოფ. ავჯანდარას დოლმენები. აქ ნიკოლოზ და თემრაზე ჩიმაგუების კარ-მიდამოზე სამი დოლმენი დგას. პირველი დოლმენი თითქმის მთლიანად მიწის ზემოთაა, მესამე კი ნახევარზე მეტად მიწაში იყო ჩაფლული. სამივე დოლმენი საკმაოდ დაზიანებულია.

№ 1 დოლმენს სახურავისა და წინა კედლის ქვა არ ჰქონდა. მიწის ზემოთ მხოლოდ სამი კედელი იდგა. გვერდით ქვებს კიდეებზე კარგად ემჩნევათ ნარიბანდები. წინა და უკანა კედლის ძირზე აგრეთვე ნარიბანდებიანი მთლიანი ქვა იყო.

№ 2 დოლმენს შერჩენილი აქვს მხოლოდ ორი სიგრძივი კედელი. იგი პირველ დოლმენთან შედარებით უფრო პატარა ზომისაა. ეს დოლმენი პირველისაგან დასავლეთითაა – დაახლოებით 7,0 მ დაშორებით.

---

1 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., გვ. 297.

2 Куфтин Б.А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 305.

3 Куфтин Б.А., Материалы к археологии Колхиды. т. I, стр. 270; Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, стр. 15.

№ 3 დოლმენი მეორე დოლმენის დასავლეთით დგას, მისგან ოციოდე მეტრის დაშორებით. ამ დოლმენსაც შემორჩენილი აქვს მხოლოდ ორი სიგრძივი კედლის ქვა. დასავლეთი კედლის ქვა სქელია (0, 75 მ). ამ კედელს გარედან ორი საბჯენი ქვა ჰქონია.

სამივე დოლმენი დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და წინა კედლები სამხრეთ-აღმოსავლეთით აქვთ. ეს დოლმენები შედარებით უფრო უხეშად ნაკეთები ჩანს და ტრაპეციის ფორმით ხასიათდება. აქაც, როგორც ჩანს, დოლმენებს უკანა ნაწილში გარედან ქვების ყრილი უნდა ჰქონოდა.

სამივე დოლმენი მთლიანად ამოწმენდილი იყო. შიგ არაფერი არ აღმოჩენილა. როგორც გადმოგვცეს, ეს დოლმენები ამ ორმოციოდე წლის წინათ თავადმა ანჩაბაძემ გათხარა და შიგ ვერაფერი იპოვა.

ვინახულეთ აგრეთვე აზანტის ჯგუფის დოლმენები. როგორც ცნობილია, აფხაზეთში პირველად დოლმენები სწორედ აზანტში იქნა აღმოჩენილი. აზანტში სადღეისოდ სამი დოლმენია ცნობილი. ერთი მათგანი, რომელიც ჯერ კიდევ ვ. სტრაჟევმა შეისწავლა, დიდი ზომისაა (სურ. 16) და მთლიანად მიწის ზემოთ დგას. კარგადაა დაცული მხოლოდ მისი წინა მხარე. უკანა ნაწილი მთლიანად მორღვეულია.

1946 წელს სოფ. აზანტაში ბ. კუფტინმა ორი დოლმენი გათხარა, ერთი ნახევრად დანგრეული დოლმენი აზანტის სკოლის მახლობლად აღმოჩნდა, რომელსაც წინა, ხვრელიანი კედელი აკლდა. სახურავის ქვა დამტვრეული დოლმენის შიგნით იყო ჩაწოლილი (სახურავის ქვის სისქე – 0,40 მ).

დოლმენის ზომები: გვერდით კედლის ქვის სიგრძე – 3. 60 მ; უკანა კედლის სიმაღლე – 2. 00 მ.

დოლმენი შიდა ზომები: სიგრძე – 2,60 მ; სიგანე – 2,30 მ.


დოლმენის შიგნით აღმოჩნდა ქვის საცობი (სიგრძე – 0,42 მ). წინა, ხვრელიანი, კედელი აღმოჩნდა შიგ დოლმენში ჩაწოლილი (ხვრელის დიამეტრი 0,40 მ).


დოლმენის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დაახლოებით ათამდე თავის ქალა ჩანდა. უთუოდ საყურადღებოა, რომ ერთი სამარხი დოლმენში აღმოჩნდა ჩაწოლილი კედლის თავზე. ამ დოლმენში აღმოჩნდა მეტად საყურადღებო ინვენტარი. გარდა სასაფეთქლე რგოლებისა და სხვადასხვა ტიპის ბრინჯაოს მძივებისა, აქ ნაპოვნი იყო მოზრდილი ქინძისთავი, ბრტყელი, ბოლოებდახვეული. ეს ქინძისთავი სავსებით ისეთივე ტიპისაა, როგორიც აღმოჩნდა ეშერაში 1955 წელს № 1 დოლმენში. აქვე ნაპოვნი იყო ქინძისთავი „ცხვრისრქისებრი“, დახვეული თავით და სხვ. (სურ. 17). განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ დოლმენში აღმოჩენილი ბრინჯაოს პატარა ქანდაკება დათვისა. კერამიკა აქაც ძლიერ დალეწილი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ჭურჭელი უპირატესად პატარა ზომისა იყო. ერთ-ერთ ჭურჭელს, ეტყობა, ყელის ძირზე ჭდეული ხაზები ამკობდა (სურ. 18, 19).


აზანტის მახლობლად, სოფ. სულში, ბ. კუფტინმა შეისწავლა ერთი, მეტად საინტერესო, დოლმენი, რომელიც აზანტის დიდი დოლმენისაგან დაახლოებით 2 კმ-ითაა დაშორებული. დოლმენი ნახევარზე მეტად მიწაში იყო ჩაფლული. სახურავის ქვა შუაზე გატეხილი იყო და შემორჩენილი იყო მისი მხოლოდ დასავლეთი ნაწილი, რომელიც შიგ დოლმენში იყო ჩაწოლილი (სისქე – 0, 60 მ). დოლმენის ამოწმენდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორივე გვერდით კედელს ნახვრეტი ჰქონდა.

დოლმენში აღმოჩენილი მიცვალებულის ძვლები მეტად არეული იყო. დოლმენის მთელ ფართობზე ჩნდებოდა მინიატიურული ჭურჭლების ფრაგმენტები (სურ. 20). გარდა კერამიკისა, დოლმენში აღმოჩნდა კავი, თავხვია საკინძი, სპირალის ნატეხი, საკიდი, ლურსმნები სოკოსებრი თავით, ისრისპირისებრი მოყვანილობის საკიდი, ღორის გახვრეტილი ეშვი და სხვ. (სურ. 21).


ამრიგად, 1955-1956 წლებში აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულმა მასალებმა უთუოდ მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. ახალმა მასალებმა გარკვეული სინათლე შეიტანა დოლმენების აგების დროისა და გამოყენების საკითხებში. სამწუხაროდ, დღემდე დოლმენებში აღმოჩენილ მასალების მხოლოდ ერთი ნაწილია შესწავლილი და გამოქვეყნებული. დიდი ნაწილი კი, კერძოდ ბ. კუფტინის მიერ 1937 წელს ეშერაში აღმოჩენილი დოლმენებსა და აგრეთვე აზანტის ჯგუფის დოლმენებში მოპოვებული მასალები ჯერჯერობით შეუსწავლელია. რა თქმა უნდა, აფხაზეთის დოლმენებში მოპოვებული მთელი მასალის ჯეროვანი ანალიზი უთუოდ ბევრ მნიშვნელოვან შედეგს მოგვცემს დოლმენური კულტურის შესწავლის საქმეში და გარკვეულ სინათლეს შეიტანს ბრინჯაოს კულტურის კვლევაში.








სურ. 1




სურ. 2




სურ. 3




სურ.4




სურ. 5




სურ. 6



სურ. 7







სურ. 8




სურ. 9




სურ. 10




სურ. 11




სურ. 12



სურ. 13




სურ. 14




სურ. 15




სურ. 16




სურ. 17



სურ. 18



სურ. 19




სურ. 20



სურ. 21

შენიშვნები ზურტაკეტის ყორღანების ნიშნიანი ქვების შესახებ*

1959 წლიდან თბილისის უნივერსიტეტისა და ხელოვნების მუზეუმის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია სამუშაოებს აწარმოებს გომარეთის პლატოზე, ზურტაკეტში.[1] განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ექსპედიციის მიერ შესწავლილი სამი დიდი ყორღანი „დასაკრძალავი დარბაზით".[2] სამივე ყორღანის „დასაკრძალავი დარბაზის" კედლების ზოგიერთ ქვაზე აღმოჩნდა ამოკაწრული ნიშნები. არავითარი კანონზომიერება ამ ქვების განლაგებისა კედლებში არ შეინიშნებოდა. ნიშნიანი ქვები გვხვდება სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა მანძილით დაშორებული, ნაირ-ნაირი ზომისა და სხვ.



სურ. 1

№ 3 ყორღანში აღმოჩნდა 60-ზე მეტი ნიშნიანი ქვა, № 4 ყორღანში – 117 ქვა, №6 ყორღანში კი – 78.

ნიშნები ქვებზე სხვადასხვა სიძლიერითაა ამოკაწრული. ზოგიერთი ნაკაწრი ღრმა და ფართო ხაზებითაა შესრულებული, ზოგიც უფრო სუსტად არის გამოხატუ-


* დაიბეჭდა კრებულში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966.

1 ო. ჯაფარიძე, ზურტაკეტის ყორღანები, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXXI, № 1, თბ., 1963, გვ. 247.

2 Джапаридзе О.М., Археологические раскопки в Триалети в 1959-1962 гг., „Советская археология", № 2, М., 1964, გვ. 102.


ლი. ნაკაწრები უპირატესად ფილაქვებზე გვხვდება. უფრო იშვიათად ნიშნები რიყის ქვებზეც არის დატანილი. როგორც ჩანს, ნიშნები ქვებზე ძირითადად შესრულებული უნდა ყოფილიყო კედლის წყობის ამოყვანამდე. ზოგ შემთხვევაში ნიშნიანი ქვა კედლის წყობის პირველ რიგშია მოქცეული. ასეთ ქვებზე ნიშნების ამოკაწვრა მისი წყობაში დატანის შემდეგ ძალზე ძნელი იქნებოდა.

ნიშნები სხვადასხვა ხასიათისა გვხვდება. ყველაზე გავრცელებული მოტივია ურთიერთმკვეთი ხაზები. ხშირად ურთიერთმკვეთი ხაზებით შექმნილი სურათი აბსტრაქტულ-სქემატური ხასიათისაა და ძნელია რაიმეს გარკვევა (სურ. 1). ზოგ შემთხვევაში ურთიერთგადამკვეთი ხაზები ოთხკუთხედებს, სამკუთხედებს ან რომბებს ქმნის და შემდეგ კიდევ დამატებითი ხაზებია, რომლებიც უწესრიგოდაა განლაგებული და რაღაც გეომეტრიულ ფიგურებს გამოხატავს. ერთ ქვაზე ხშირად სხვადასხვაგვარი რთული გეომეტრიული მოტივია გამოსახული (სურ. 2). ზოგ შემთხვევაში



სურ. 2


ურთიერთმკვეთი ხაზები მეტ-ნაკლებად წესიერი კვადრატების ან რომბების ბადეებსა ქმნის. ეს მოტივი საკმაოდ ხშირია. ბადეები სხვადასხვა ზომისაა. ზოგჯერ კვადრატები ან რომბები დიდი ზომისაა, ზოგჯერ კი უფრო წვრილი (სურ. 3). ხშირია




სურ. 3

აგრეთვე ჰორიზონტალურად განლაგებული ტეხილი ხაზები (სურ. 4). გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის ფხური ორნამენტი,[1] ცალკე ან სხვა მოტივებთან ერთად (სურ. 5). ხშირია სამკუთხედები სხვადასხვა ხასიათისა: ზოგჯერ სამკუთხედები ჩარჩოშია ჩასმული და ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურადაა განლაგებული (სურ. 6). ზოგ შემთხვევაში სამკუთხედები ორფა ან სამფაა. უნდა შევნიშნოთ, რომ უფრო ხშირად ერთ ქვაზე სხვადასხვა ხასიათის მოტივია გადახლართული. აღსანიშნავია კიდევ რამდენიმე ნიშანი, რომელიც უფრო იშვიათად გვხვდება. ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ერთი ქვა, რომელზედაც სხვადასხვა ნიშნებთან ერთად გვხვდება აგრეთვე ჭადრაკული მოტივი (სურ. 7). აღსანიშნავია ქვა, რომელზედაც ურთიერთმკვეთი

1 Джапаридзе О.М., Археологические раскопки в Триалети в 1959-1962 гг., № 2, рис. 18.




სურ. 4




სურ. 5


ხაზებით არაწესიერი სწორკუთხედებია გამოსახული და ზოგიერთ მათგანში სხვადასხვა რაოდენობის ჭდეებია ამოყვანილი (სურ. 8). ერთ ქვაზე გამოსახულია ორფა რომბების ერთი მწკრივი (სურ. 9). აღსანიშნავია ორი ქვა, რომლებზედაც თითქოს გამოსახულია სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლი (სურ. 10).



სურ. 6




სურ. 7




სურ. 8


ზოგჯერ ქვაზე გვხვდება ვერტიკალური თუ ირიბი ხაზები სხვადასხვა რაოდენობით. ზოგ შემთხვევაში ასეთივე ხაზები შეინიშნება იმ ქვებზედაც, რომლებზეც სხვა გამოსახულებაა მოცემული (სურ. 11). შესაძლებელია, ამ შემთხვევაში აღრიცხვითი ხასიათის ნიშნებთან გვქონდეს საქმე. რა თქმა უნდა, ძნელია ყველა იმ ნიშნის გადმოცემა, რომლებიც ყორღანების „დასაკრძალავი დარბაზების“ კედლის ქვებზე გვხვდება. ზოგ შემთხვევაში მართლაც შეიძლება დავინახოთ ფრინველის, ცხოველის



სურ. 9




სურ. 10



სურ. 11


თუ სხვა რაღაც გამოსახულება, მაგრამ ნახატი იმდენად სქემატურია, რომ გარკვევით რაიმეს თქმა ჭირს. მხოლოდ ოთხ ქვაზეა აშკარად ცხოველი გამოსახული.

№ 3 ყორღანის „დასაკრძალავი დარბაზის“ აღმოსავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილში გრაფიკული მანერით გამოსახულია ცხოველი. ნახატი სქემატურია, ასე რომ, ძნელია გარკვევით თქმა, თუ რა ცხოველია გამოხატული. როგორც ჩანს, გადმოცემული უნდა იყოს ხარის გამოსახულება (სურ. 12). ცხოველი მარჯვენა პროფილშია, მისი ტანი გადმოცემულია მოგრძო, თითქმის პარალელურად განლაგებული ორი ხაზით. გავის ნაწილი მომრგვალებულია და ზევით ოდნავ აშვერილი მოკლე კუდი აქვს. ცხოველის თავი წაგრძელებულია, რომელზედაც აღმართულია ოდნავ მარჯვნივ გადახრილი ორი პარალელური ხაზი, რომლებიც ალბათ რქებს გამოსახავენ. ცხოველის ფეხები გადმოცემულია ტანის ორივე ბოლოზე წყვილ-წყვილი ვერტიკალური ხაზების საშუალებით. ქვაზე კიდევ შეინიშნება არამკვეთრად გამოსახული ხაზები.



სურ. 12


ამავე ყორღანში აღმოჩნდა მეორე ქვა, რომლის მარცხენა ნაწილში ჩარჩოში ჩასმული პატარა ზომის ცხოველია გამოსახული. მოჩანს მხოლოდ ცხოველის ტანი და ოთხივე ფეხი... ამ ქვის დანარჩენ ნაწილზე მოცემულია ურთიერთმკვეთი ხაზების, ტეხილი ხაზების ვერტიკალურად დაშვებული ხაზებისა და სხვა რთული გამოსახულება (სურ. 13).



სურ. 13

განსაკუთრებით საინტერესოა 1963 წელს გათხრილ № 6 ყორღანში აღმოჩენილი ორი ქვა. ერთი მათგანი ნაპოვნი იყო სამხრეთ „ბურჯზე“ პირქვე დამხობილი. რატომ აღმოჩნდა ეს ქვა აქ და საერთოდ რას წარმოადგენდა იგი, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ იგი კედლის წყობის ქვა არ იყო. ქვა ორფერდაა და გამოსახულება ორივე ფერდზე გვხვდება. ცალ ფერდზე გამოსახულია ირემი მარცხენა პროფილში, რომელიც მოთავსებულია ორ პარალელურ ხაზს შორის. მისი ტანი შემოხაზულია გრძელი სწორკუთხედით, რომლის მარჯვენა ზედა კუთხე მომრგვალებულია და გავას გამოხატავს. ტანის ბოლოზე მოკლე კუდია; კისერი კი მაღლაა აშვერილი. ორი რქა, ისევე როგორც წყვილ-წყვილი ვერტიკალური ფეხები, გადმოცემულია სწორი ხაზის საშუალებით. ორივე რქიდან დაშვებულია პარალელური ხაზები, რომლებიც ტოტებს უნდა გამოხატავდეს. ჩლიქები გადმოცემულია პატარა ჭდეების საშუალებით. ცხოველის სახე დაზიანებულია. გამოსახულება სქემატურია და გრაფიკულად გადმოცემული. სხეულის ზედაპირი ნაკოდია და ამით გამოიყოფა საერთო ფონიდან.

ირმის გამოსახულების ქვევით ორი ორნამენტული ზოლია: ერთი ვიწრო, მეორე კი უფრო ფართო. ვიწრო, ზედა ზოლის ზედაპირი გაყოფილია შუაზე ჰორიზონტალური ხაზით, რომლის ქვემოთ შექმნილი ლენტისებრი არე შევსებულია სხვადასხვა მიმართულებით განლაგებული ხაზების ბადით, ზედა კი – სამკუთხედებით, რომლებიც აგრეთვე ამოვსებულია ბადით.




სურ. 14

ქვედა ორნამენტული ზოლი სქემატურ-გეომეტრიულ სახეს ქმნის: შუაზე სამი ვერტიკალური ხაზით გამოყოფილი სწორკუთხედები დაფარულია უწესო ხაზების ბადით. მის მარჯვნივ და მარცხნივ ჯვრისებური გამოსახულებაა: ორ პარალელურ ხაზს შორის ვერტიკალურად განლაგებული სამი რომბი ბადითაა ამოვსებული, სწორკუთხა მკლავები კი ირიბი ხაზითაა დაფარული (სურ. 14).

ამ ქვის მეორე ფერდი დაფარულია არამკვეთრად გამოსახული ურთიერთმკვეთი ხაზებით შექმნილი ბადით.

ამავე ყორღანში აღმოჩნდა მეორე ქვა, რომლის ერთ-ერთ წახნაგზე მეტად საინტერესო გამოსახულებაა. დაახლოებით შუა ნაწილში მეტად სქემატურად გამოსახულია ცხოველი, როგორც ჩანს, თხა. მისი ტანი ერთი ჰორიზონტალური ხაზითაა გადმოცემული, რომლის ორივე ბოლოდან წყვილ-წყვილად ეშვება ვერტიკალური ხაზებით გადმოცემული ფეხები. ჰორიზონტალური ხაზის მარცხენა ბოლოზე აღმართულია ორი, თითქმის პარალელურად განლაგებული, მოხრილი ხაზი – რქები (სურ. 15).

გამოსახულების მარცხნივ მოცემულია ვერტიკალურად დაშვებული ორი ტეხილი ხაზი. დაახლოებით ამგვარივე ორი ტეხილი ხაზია აგრეთვე მარჯვენა მხარეზეც.



სურ. 15

შემდეგ მოდის ერთი ვერტიკალური ხაზი, რომლის იქითაც არაწესიერი რომბული ბადით შევსებული არეა. თავს ქვემოთ გამოსახულია რაღაც ნიშანი. ნიშნები ჩანს აგრეთვე ცხოველის ტანზე. გავის ზემოთ ვერტიკალური ზოლებია მოცემული.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვაზე მოცემული გამოსახულება მთლიანად რაღაც გარკვეულ აზრს უნდა გადმოსცემდეს და, საფიქრებელია, რომ ცალკეული გამოსახულებები ერთმანეთთანაა შინაარსობრივად დაკავშირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში სამარხის კედლებზე ნიშნების დატანების მაგალითები დღემდე ცნობილი არ არის. ბ. კუფტინს, როგორც ჩანს, წალკის პლატოზე შესწავლილ „დასაკრძალავდარბაზიან“ ყორღანებში არ შეუნიშნავს კედლებზე რაიმე ნიშნების არსებობა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიის დოლმენების კედლებზე აღმოჩნდა ამოკაწრული ნიშნები: უპირატესად ვერტიკალურად დაშორებული ტეხილი ხაზების რამდენიმე რიგი, რომლებიც შეინიშნებოდა ძირითადად დოლმენების კედლების შიდა პირზე.[1]

კავკასიაში სამარხის კედლებზე ნიშნების აღმოჩენის ფაქტი დამოწმებული იყო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ყარაბახში, ხოჯალის ყორღანების გათხრებისას, ე. რესლერს გვიანბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი ყორღანის ქვის ფილებზე შეუნიშნავს რაღაც ამოკაწრული[2] ნიშნები. 1926 წელს ეს ყორღანი ინახულა ი. მეშჩანინოვმა.[3] იგი აღნიშნავს, რომ ისინი შესაძლოა უკვე იდეოგრაფიული ფუნქციის მატარებელი ყოფილიყო.[4] ეს ნიშნები რამდენადმე განსხვავებული ხასიათისაა, ვიდრე ზურტაკეტის ყორღანებში აღმოჩენილი ნიშნები. ამ უკანასკნელებთან თითქოს უფრო ახლოს დგას სოფ. ყაზახბეილის (ყაზახის რაიონი) მახლობლად გათხრილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბორცვზე აღმოჩენილი ფილა, რომლის კედლებზე დატანილი იყო გეომეტრიული ხასიათის ნიშნები.[5] ფილა მსგავსი ნიშნებით აღმოჩნდა გარგარჩაის მახლობლად მდებარე № 1 ყორღანში და აგრეთვე სოფ. ქიჩიქ დაჰნესთან.[6] აზერბაიჯანში მსგავსი ნიშნები გვხვდება აგრეთვე კობისტანში, სადაც კლდეზე ნაკვეთი ცხოველების, ადამიანისა და სხვადასხვა სცენების გამოსახულებების გვერდით აღმოჩნდა აგრეთვე გეომეტრიული ფიგურები.[7]

უნდა აღინიშნოს, რომ სამარხის ქვის კედლებზე სხვადასხვა ხასიათის ნიშნების დატანების ფაქტები ცნობილია აღმოსავლეთ ევროპაში საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან. განსაკუთრებით საინტერესოა ა. ბობრინსკის მიერ 1905 წელს უკრაინაში სოფ. ვერბოვკას მახლობლად გათხრილი № 1 ყორღანი, სადაც, ქვების გარეთა პირ-

---

1 Фелицин Е.Д., Западно-Кавказские дольмены, МАК, 9, М., 1904, გვ. 31, სურ. 15; Tallgren A.M., Sur les monuments megalithiques du Caucase Occidental, ESA, IX, Helsinki, 1934; გვ. 11, სურ. 8,9,10, 12, 13.

2 Rösler E., Ausgrabungen bei Chodshali, 1895, Zeitschift für Ethnologi Vorhandlungen, Bd. XXVIII, Berlin, 1896, გვ. 86.

3 Мещанинов М.И., Краткие сведения о работе археологической экспедиции в Нагорный Карабах и Нахичеванский край, „Сообщения ГАИМК“, т. I, Ленинград, 1926, გვ. 225.

4 Мещанинов М.И., Закавказские иероглифы, „Сообщения ГАИМК“, 3-4, 1932, გვ. 53.

5 Казиев С. М., Об археологических и исторических памятниках Казакского и Акстафинского районов. „Материальная культура Азербайджана“, т. 6, Баку, 1962, გვ. 14, სურ. 1.

6 იქვე, გვ. 144.

7 Джафар-заде И.М., Наскальные изображения Кобыстана в Азербаиджане, „Материалы по истории Азербаиджана“, т. 2, Баку, 1957, გვ. 110; Верещагин И.К. и Бурчак-Абрамович Н. О., Рисунки на скалах юго-восточного Кабристана, „Изв. Всесоюзного географического общества“, т. 80, вып. 5, 1948, გვ. 512, სურ. 5, 9.

На территории нынешней Абхазии открыт целый ряд памятников, свидетельствующих о довольно развитом земледельческом хозяйстве в III тысячелетии. Материалы нижнего слоя Мачарского поселения, селища на горе Гуадиху, Гантиадские стоянки и др.,[3] относящиеся к первой половине III тысячелетия, находят определенное сходство с памятниками Рион-Квирильского бассейна, особенно с Тетрамица. На этих ранних поселениях в большом количестве встречаются каменные орудия, кремневые наконечники стрел и т. д. Но особенно богато представлены орудия, связанные с земледелием – зернотерки, терочники, песты и каменные мотыги т. н. «сочи-адлерского» и «сухумского» типов. Эти мотыжки в значительном количестве встречаются на протяжении всего III тысячелетия. Тяпкообразные мотыги «сочи-адлерского» типа распространены преимущественно в приморской части от г. Гагр до Сочи. Южнее, в прибрежной полосе Абхазии, преобладала мотыжка дисковидной формы «сухумского» типа. По форме мотыжки «сочи-адлерского» типа напоминают каменные мотыги из некоторых ранних памятников Передней Азии, и не исключена возможность, что их появление на Черноморском побережье Закавказья было результатом древневосточного влияния.

---

1 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. I, Тбилиси, 1949.

2 Микеладзе Т. К., Барамидзе М. Б., О некоторых итогах полевых исследований в Колхидской низменности в зонах новостроек, Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тбилиси, 1976.

3 Бжания В. В., Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии, СА, I, Москва, 1966.

Среди памятников собственно раннебронзового века особо надо выделить Очамчирское поселение, давшее богатый материал этой эпохи.[1] Хорошо представлены каменные и костяные орудия. Из кремневых орудий следует указать на многочисленные наконечники стрел, дротиков и вкладышей серпов.

Керамика этого поселения отличается сравнительно высоким качеством изготовления и разнообразием форм. Преобладают сосуды баночной и бадьевидной формы, глубокие миски, небольшие чашечки и т. д. Посуда чаще всего украшена линейным орнаментом в виде наклонных вертикальных и горизонтальных линий.

Материалы Очамчирского поселения свидетельствуют о сравнительно высоком уровне сельского хозяйства и, первым долгом, земледелия. Найдены в значительном количестве кости животных, главным образом крупного рогатого скота, указывают на довольно развитое скотоводство. Немаловажную роль в жизни этого поселения играли также охота и рыболовство.

К этому времени относятся Гумистинское и Мачарское поселения, инвентарь, которых находит много общего с материалами Очамчирского поселения. Недавно открытые пещерные стоянки Абхазии также дали аналогичные материалы, свидетельствующие о проникновении раннебронзовой культуры в высокогорную зону.[2] Определенная близость наблюдается и с материалами из жилых холмов Колхидской низменности, в первую очередь с Диха Гудзуба.

К культуре эпохи ранней бронзы относятся также и ранние – абхазские дольмены, инвентарь которых находит много общего с материалами из приморских поселений.[3] В Западном Закавказье границы распространения дольменов не выходят за пределы Абхазии. Хорошо известны они на северо-западном Кавказе, куда дольмены проникли скорее всего с Абхазии. Происхождение дольменов на Кавказе в настоящее время остается на совсем ясным, не исключена возможность, что они проникли на Кавказ с юга, с Средиземноморского бассейна. Однако найденные в ранних дольменах материалы, несомненно, отражают местную культуру эпохи ранней бронзы.

Таким образом, эта культура в Западном Закавказье охватила значительную территорию. В районе Сочи проходила ее северная граница, где она соприкасалась с майкопской культурой. В материалах Воронцовской пещеры близ Сочи хорошо прослеживаются соотношения этих двух культур. На юге граница доходит до среднего течения р. Риони, где она соседствовала с куро-араксской культурой. В районе Самтредиа, на поселении Дабла-Гоми, также хорошо прослеживаются взаимоотношения этих двух культур.

Теперь трудно судить об этнической принадлежности племен-носителей раннебронзовой культуры Западного Закавказья. Можно предположить, что на заре бронзовой культуры в прибрежной части, в основном, бытовали абхазо-адыгейские племена. К середине III тысячелетия появление куро-араксской культуры было связано с проникновением картвельских племен в Западную Грузию. Этот процесс нашел свое отражение в языке. Картвельско-абхазо-адыгейские встречи, вероятно, восходят к этому отдаленному периоду. Распространение картвельских племен на запад, видимо, способствовало распаду общекартвельского языка. К концу III тысячелетия до н. э. создались условия для выделения

1 Бжания В. В., Древнейшая культура Абхазии, автореферат, Москва, 1966.
2 Бжания В. В., Поселение очамчирской культуры в горах Абхазии, Кавказ и Восточная Европа в древности, Москва, 1973.
3 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949.

сванского языка в самостоятельную языковую единицу. К этому периоду сванские племена в Западной Грузии занимают в основном предгорную и горную части. Находки бронзовых топоров и архаичного копья в Сванети, характерных для куро-араксской культуры, свидетельствуют о проникновении грузинских племен в высокогорную зону Западного Закавказья.

В последующую эпоху, в период средней бронзы, в первой половине II тысячелетия, культура земледельческих племен не претерпела здесь особых изменений. Лишь со второй половины этого же тысячелетия, в эпоху поздней бронзы, намечаются кардинальные изменения в культурно-историческом развитии Западного Закавказья.

ХУДОЖЕСТВЕННОЕ РЕМЕСЛО В ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ*

Истоки развития древнегрузинского художественного ремесла восходят к глубокой древности. Они достаточно четко выявляются уже на раннем этапе общества. Особо следует выделить III тысячелетие до н. э., которое является весьма важной и интересной эпохой в древней истории Грузии и Кавказа в целом. Этот период знаменуется важнейшими сдвигами во всех областях материальной и духовной жизни местных племен.

Значительные изменения в жизни вызвали развитие земледелия, скотоводства и различных ремесел, подъем металлургии и др. В III тысячелетии закладываются основы эпохи бронзы в Закавказье; где в это время получила распространение развитая самобытная культура земледельческих племен, именуемая в науке куро-аракской культурой. В периоде расцвета этой культуры в сфере ее влияния оказываются почти весь Кавказ, Восточная Анатолия, приурмийские области Ирана и далее на юге Сирия и Палестина. Племена – носители куро-аракской культуры в III тысячелетии до н. э., видимо, сыграли определенную роль в истории Передней Азии. Основным центром становления куро-аракской культуры следует считать Закавказье; в ее развитие наряду с другими племенами значительный вклад должны были внести картвельские племена.

Изменения, происшедшие в хозяйстве этих племен, обусловили повышение уровня развития производительных сил. Возникло экономически более мощное общество, которое уже не довольствовалось древними традициями. Возросшие потребности этого общества привели к новым поискам в области художественных ремесел, которым предстояло изыскать новые пути, чтобы создавать продукцию, соответствующую духу времени. И нужно признать, что художественные ремесла в эпоху куро-аракской культуры успешно справились с этой задачей.

Возросшие потребности окрепшего общества определили рост различных отраслей ремесла, что особенно ярко проявилось в такой массовой продукции производства, как керамика. Хотя глиняная посуда этой эпохи еще изготовлялась вручную, она отличается своеобразными, совершенными формами, высоким техническим и художественным качеством. Одним из характерных декоративных мотивов служит рельефный орнамент, в особенности спираль. На ранней стадии куро-аракской культуры спиральный орнамент отличается сравнительно высоким рельефом и чаще всего представлен двойной, очкообразной спиралью (рис. 1); в дальнейшем в выпукло-вогнутом узоре наряду с другими геометрическими фигурами ведущим мотивом также выступает спираль (рис. 1). Сравнительно реже встречаются рельефные изображения животных, главным образом птиц. Позднее ведущим видом украшения становится гравированный геометрический орнамент.

Высокого подъема в III тысячелетии до н. э. на Кавказе достигает металлургия. Тесные контакты с древневосточным миром, а также существующие благоприятные условия способствовали развитию металлургии бронзы. Именно в эту эпоху у кавказских племен,

---

* დაიბეჭდა კრებულში: „Древный восток и мировая культура“, 1981.

по-видимому, зарождаются древнейшие традиции металлургии, нашедшие в дальнейшем столь широкое отображение в источниках.

Оружие и металлические украшения этого времени отличаются изящными формами, что, безусловно, свидетельствует о высоком мастерстве и тонком вкусе местных мастеров. Свой первые шаги в это время делает и художественная металлургия; хотя художественных образцов этого периода известно сравнительно мало, выявленый материал подтверждает наличие высокого уровня обработки металла (рис. 2). В связи с этим следует указать на два кинжала с металлическими орнаментированными рукоятками из Сачхере (рис. 2). Рукоятки обоих кинжалов украшены рельефным орнаментом. У одного из них она плоская, с горизонтально расположенными волнистыми рельефными линиями. Более сложным является декор рукоятки второго кинжала; она имеет круглую форму и украшена искусно выполненным вертикальным витым орнаментом. Основание рукоятки покрыто мастерски выведенными спиралями.

В одном погребении из Квацхелеби была обнаружена диадема из тонкой медной пластинки с узором из выбитых с задней стороны шишечек; на ней изображены астральные знаки, птица (журавль) и олень. Правда, техника исполнения не отличается особой сложностью, однако в ней следует видеть первые шаги, которые в дальнейшем находят широкое применение в художественной металлотехнике (рис.2).

Особого внимания заслуживают изделия из драгоценных металлов. Предметы из золота и серебра в Грузии впервые появляются на поздней ступени куро-аракссской культуры, в середине III тысячелетия. Примечательно, что древнейшие образцы их найдены среди сачхерских памятников. Здесь были обнаружены два завитка из золотой проволоки.

Изделия из золота и серебра были выявлены и в ранних триалетских курганах, в одном из которых были найдены три спаянные цилиндрические обкладки древка из тонких золотых пластинок. Среди находок IV кургана – массивный полуторараспиральный завиток из серебра и золотая булавка с плоской двуволютной головкой, украшенная в два ряда выпуклыми шишечками. Подобная, но более массивная булавка была обнаружена при раскопках одного из беденских курганов, около Тетрицкаро, а другая, серебряная, булавка – в кургане около Цнори, в Кахети. Форма их напоминает медные булавки, характерные для куро-аракссской культуры.

Особого внимания заслуживает золотая фигура льва из Цнорского кургана. Это первый случай находки в Грузии и вообще в Закавказье скульптурного изображения столь раннего периода. Грива у льва выведена из рельефных полосок. Нельзя сказать, что эта скульптура передает реальный образ льва-самца – именно этим она и отличается от известных древневосточных изображений животных. Заметно отличие этого изображения от пластинчатых фигур льва, а также от изображений льва на серебряных сосудах из майкопского кургана. Надо отметить, что в специальной литературе неоднократно упоминается отсутствие на Кавказе этого представителя фауны. Скульптура льва из Цнори, изготовленная на высоком техническом уровне, не содержит характерных черт этого животного: не исключено, что мастер, создавший ее, не имел достаточного представления о львах.

Основы ювелирного искусства в Грузии закладываются в середине III тысячелетия до н. э., на поздней ступени куро-аракссской культуры. Во второй половине III тысячелетия в Грузии и на Кавказе в целом наблюдается постепенный подъем ювелирного дела. Еще на основании художественного и стилистического анализа майкопских предметов неоднократно указывалось на их связь с древневосточным материалом. Контакты с Ближним Востоком осуществлялись в основном через Закавказье, и они, по всей вероятности, послужили импульсом для развития ювелирного производства Грузии.

Начало расцвета художественного ремесла совпадает в Грузии с эпохой средней бронзы, непосредственно следующей за куро-аракской культурой. К концу III тысячелетия до н. э. земледельческое общество Южного Кавказа переживает кризис. Начинает меняться тип хозяйства, возрастает роль скотоводства; жители покидают поселения куро-аракской культуры, жизнь в низинах постепенно затухает, и наблюдается более интенсивное освоение предгорных и горных районов. Столь значительные изменения повлекли за собой смену культуры, и на основе куро-аракской культуры в Восточной Грузии и в прилегающих к ней областях возникает новая, так называемая триалетская культура.

Общий подъем металлургии ремесленного мастерства, в особенности ювелирного дела и др., а также развитие древних местных традиций и тесные этнокультурные контакты с древневосточным миром способствовали культурному росту племен – носителей триалетской культуры, уровня развития которой в то время не достигли другие кавказские племена.

До последнего времени триалетская культура была известна в основном в высокогорной части Южной Грузии и в соседних с ней областях. Однако новейшие открытия значительно расширили ареал этой культуры. Она охватывает почти всю Восточную Грузию и прилегающие к ней области. В настоящее время не удается более полно осветить все стороны исторического процесса, протекавшего в Закавказье в период становления здесь триалетской культуры. Это затрудняется однообразным характером материалов, представленных исключительно погребениями. Поселения этой культуры пока остаются малоизвестными. Триалетская культура характеризуется сложным и своеобразным погребальным обрядом; наиболее характерными являются курганные погребения, ямные и безъямные, некоторые с обширными «погребальными залами». Особо выделяются большие курганы Зуртекетского плато с высокой каменной насыпью, в центре которых находились огромные «погребальные залы», стены их были выложены из плитняка. Несколько иной вид курганов представлен в Месхети, где был недавно открыт новый мощный очаг триалетской культуры. В центре кургана возводилась камера из крупных каменных глыб, которая перекрывалась большими плитками. В некоторых случаях покойника хоронили с деревянной колесницей. Несколько четырехколесных колесниц, по своей конструкции напоминающих древневосточные, было найдено в триалетских курганах.

Особого внимания заслуживают хорошо сохранившиеся изображения на одной из колесниц. На передней части кузова с обеих сторон представлена голова животного, видимо быка, с хорошо выведенными чертами (ноздри, рот), с углублениями вместо глаз. Головы животных как бы вытянуты вперед, напряжены. Изображение голов реалистическое, хотя уже ясно заметны признаки стилизации. По своему стилю они напоминают изображения животных на серебряных ведерке и кубке из Триалети. Концы кузова завершаются рельефными волютообразными спиралями. Этот мотив хорошо известен в триалетских материалах. Крупные спирали украшают расписной сосуд, золотой кубок и др. Видимо, резьба по дереву в эту эпоху достигла довольно высокого уровня.

Большие курганы «цветущей поры» триалетской культуры отличаются богатством инвентаря, в особенности керамики. Хотя триалетская керамика преимущественно чернолощеная, на «розовой подкладке», указывающей на древние традиции, форма ее, орнамент и качество в целом значительно отличаются от продукции предшествующей эпохи. Сосуды в основном крупного размера, и среди них ведущее место занимают низкогорлые сосуды с округлим туловом, украшенные преимущественно разными линиями, шишечками, рельефным орнаментом, и сравнительно крупные сосуды с удлиненным туловом, более высокой шейкой с хорошо отогнутым венчиком (рис. 3). Для этих сосудов характерны тщательно нанесенный тонкоточечный декор в виде различных геометрических фигур, лощеный ор-

намент, и т. д., лишь в одном месхетском кургане был обнаружен сосуд с изображением животного, исполненным точечным орнаментом.

Наряду с чернолощеной керамикой почти во всех больших курганах представлены расписные сосуды преимущественно красноватого цвета с черной росписью. В некоторых курганах Триалети была встречена также керамика со светлой поверхностью или же кремовым ангобом и черно-бурой росписью. Наиболее распространенным мотивом росписи на красноватой керамике является волнистый орнамент преимущественно в виде шевронов, изнутри заполненных вертикальными или горизонтальными линиями. Сравнительно редко встречаются изображения птиц. Следует отметить, что крашеная керамика в Восточном Закавказье восходит к довольно раннему периоду, однако в эпоху средней бронзы эта керамика приобретает вполне своеобразный вид с характерной красной окраской и черной росписью.

Сосуды с беловатой, светлой лощеной поверхностью с темно-коричневой росписью до настоящего времени в Закавказье известны лишь из больших курганов Триалети, в частности с Цалкского плато. На этой керамике мы также видим орнамент из волнистых линий, встречаются и геометрические фигуры в виде ромбов, треугольников, шахматного орнамента и т. д. Особо следует отметить замечательный сосуд с кремовым ангобом, украшенный крупными спиралями. Наблюдаются также и зачатки полихромного стиля. Эта керамика находит определенные аналогии в переднеазиатской расписной керамике. Несмотря на переднеазиатские влияния, что отражено главным образом в орнаментальных мотивах, форма сосудов указывает на их местное происхождение.

Хотя в больших богатых триалетских курганах металлические орудия и оружие встречаются в сравнительно малом количестве, их изящная форма и техника изготовления говорят о высоком уровне металлургии. В этом отношении следует выделить наконечники копий. В триалетских курганах их было найдено всего три; у одного из них на конце втулки имеется золотой ободок, а у двух других – серебряные. Из кинжальных клинков, которые отличаются усовершенствованными формами, надо особо отметить один изящный серебряным кинжал. Привлекают внимание также и характерные для триалетской культуры бронзовые топоры (рис. 4). Но исключительного развития в эпоху триалетской культуры достигает ювелирное дело. Изделия из драгоценных металлов примечательны мастерством исполнения, что свидетельствует о высоком искусстве мастеров, чьи творческие искания, великолепный вкус и в особенности тонкое чувство материала заложили основы традиции древнегрузинского чеканного искусства. В процессе развития ювелирного искусства постепенно вырабатывается оригинальный художественный стиль; использование цветной инкрустации наряду с грануляцией, пунсоном, филигранью и др. придает самобытный, специфический вид древнейшим грузинским изделиям из драгоценных металлов (рис. 5).

Развитие художественного ремесла явилось результатом важных сдвигов, наметившихся в общественной жизни и характеризующихся далеко зашедшим процессом распада родового строя. Возникновение нового слоя аристократии, возросшие потребности во многом определили пути развития оригинального искусства эпохи бронзы.

Золотые и серебряные изделия этой эпохи отличаются разнообразием, сложностью и высоким уровнем техники обработки металла. Мастер находился в постоянных поисках новых пластических форм. Вырабатывается довольно сложный вид орнамента с широким применением цветной инкрустации, грануляции, пунсонной техники, рельефных изображений и др. Создается своеобразный цветной декоративный стиль. В ювелирном деле форма и орнамент предмета подчиняются принципу пропорции золотого сечения.

С точки зрения сложности обработки и использования художественных возможностей особо следует отметить золотой кубок, найденный в одном из триалетских курганов (рис. 6). Стенка у кубка двойная, она постепенно суживается и переходит в низкую ажурную ножку. Внешняя сторона украшена накладными волютами, обрамленными тонкой витой проволокой, вставленными цветными камнями круглой формы. Агатовый кулон в золотой оправе и сферические бусы, украшенные зернью и вставными камнями, из VIII кургана Триалети отличаются блестящим художественным мастерством (рис. 7). Неоднократно отмечалось сходство триалетского кулона с агатовым кулоном из древнего Урука. Хотя урукский кулон гораздо больше по размерам и несколько другой формы, но в техническом отношении между ними все же проявляется определенная близость.

Ведерко и кубок – два серебряных сосуда из триалетских курганов – несомненно, указывают на высокий уровень древнейшей художественной металлотехники. На серебряном ведерке, края которого отделаны золотом, представлена ритуальная сцена охоты, выполненная низким рельефом. Еще больший интерес вызывает кубок, также изготовленный из цельной серебряной пластинки; Кубок цилиндрической формы на высокой ножке; он украшен двумя фризами сложной композиции, выполненной низким рельефом. На нижнем фризе изображена вереница из девяти оленей, самцов и самок; на верхнем фризе представлена более сложная ритуальная сцена – процессия из двадцати трех мужских фигур, следующих друг за другом с кубками в руках. В центре композиции – сидящий на троне мужчина, перед которым стоит высокий алтарь на трех ножках (рис. 8). Некоторые ученые видят в этой сцене ритуал, связанный с культом божества плодородия; другие считают центральную сидящую фигуру главным племенным божеством, перед которым собраны родовые божества и др.

В специальной литературе высказано мнение о наличии в изобразительном искусстве особого «кавказского стиля». Предполагают, что истоки этого стиля находятся в майкопской культуре, дальнейшее же развитие он получил в триалетской культуре. Однако вряд ли можно говорить о существовании единого стиля в изобразительном искусстве майкопской и триалетской культур.

В заключение следует отметить, что развитие ювелирного искусства триалетской культуры было обусловлено усилением этнокультурных контактов с древневосточным миром. Художественные изделия из драгоценных металлов указывают на определенное влияние, шедшее с юга. Однако наряду с этим складывается и местный стиль в ювелирном деле, указывающий на художественное мастерство и тонкий вкус квалифицированных мастеров; украшение зернью художественных предметов, инкрустация, филигрань и др. придают местным ювелирным изделиям единый, своеобразный вид, и именно в триалетской культуре складывается новый, сложный стиль обработки драгоценных металлов, нашедший свое дальнейшее развитие в ювелирном искусстве античной Грузии.




Рис. 1. Глиняные сосуды с выпукло-вогнутым орнаментом




Рис. 2. Металлические орудия и украшения куро-араксской культуры




Рис. 3. Чернолощеные сосуды из месхетских курганов




Рис. 4. Бронзовый топор из с. Гумбати (цалкский р-н)




Рис. 5. Золотая фигурка из Триалетского кургана




Рис. 6. Золотой кубок из Триалетского кургана



Рис. 7. Золотые бусы и кулон из кургана VIII Триалети




Рис. 8. Серебряный кубок из Триалетского кургана

დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში*

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დამდეგიდან საქართველოში და საერთოდ კავკასიაში განვითარების ახალი საფეხური დგება – გვიანბრინჯაოს ხანა. ამ პერიოდში თითქმის მთლიანად წყდება კავშირი წინარე ხანის ტრადიციებთან, საგრძნობლად იცვლება მეურნეობის ხასიათი და საერთოდ ცხოვრების პირობები. კავკასიის ზოგიერთ მხარეში კვლავ შეიმჩნევა ცხოვრების გამოცოცხლება ბარში და მთისწინა ზოლში. მეურნეობაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრებს შედეგად მოჰყვა ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესება. ცხოვრების დონის ამაღლებამ მოსახლეობის სწრაფი მომრავლება გამოიწვია და ამ ხანაში მთელი კავკასია, მისი მთა და ბარი, უკვე მჭიდროდაა დასახლებული.

გვიანბრინჯაოს ხანაში საგრძნობლად ნელდება ურთიერთობა გარე სამყაროსთან და კავკასიაში განვითარების თავისებური გზა ისახება, რასაც შედეგად ადგილობრივი კულტურის აღმავლობა მოჰყვა. ჩანს, კავკასიის შიგნით მოსახლე ტომებს შორის ამ დროს ახლო კავშირი მყარდება და გარკვეულ მხარეებში საკმაოდ მოზრდილი კულტურული ოლქები იქმნება, რომლებშიც რამდენიმე მსგავსი კულტურა ექცევა. ერთ-ერთი ოლქი გვიანბრინჯაოს ხანაში ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიაში წარმოიქმნა, რომელმაც აქ გავრცელებული სამი კულტურა მოიცვა – დასავლურქართული ანუ კოლხური, ყობანური და ყუბანისპირეთის. ჩრდილო-დასავლეთი კავკასია ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე ერთ-ერთი წამყვანი მხარე იყო, მაგრამ გვიანბრინჯაოს პერიოდში იგი კარგავს თავის მოწინავე მდგომარეობას და ყუბანისპირეთის კულტურა კოლხური და ყობანური კულტურების გავლენის ქვეშ ექცევა. ცენტრალურ კავკასიაში გავრცელებული ყობანური კულტურა და დასავლეთ საქართველოში აღმოცენებული კოლხური კულტურა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევს და მათ შორის ახლო კავშირი მყარდება.

გვიანბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც წინარე ხანაში, ორი განსხვავებული ხასიათის კულტურა ჩამოყალიბდა – ერთი მოიცავდა თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მიმდგომი მხარეებით, მეორე იკავებს დასავლეთ საქართველოს სამხრეთიდან მიმდებარე ოლქებით. როგორც ჩანს, ამ დროს, მიუხედავად მეურნეობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრებისა, ჯერ ისევ ბუნებრივი გარემო საგრძნობლად განსაზღვრავდა კულტურის ხასიათს.

კოლხური კულტურა დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს და მასში განვითარების ორი საფეხური გამოიყოფა – გვიანბრინჯაოს ხანა, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის თითქმის მთელ მეორე ნახევარში ექცევა და ადრეული რკინის ხანა, რომლის დასასრული ძვ. წ. VII ს-ის ბოლოზე მოდის. კოლხური კულტურის ჩამოყალიბებისა და მისი გენეზისის საკითხი ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არაა. ამის

---

* დაიბეჭდა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №1, 1989.

ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მისი წინარე კულტურა სათანადოდ გამოკვლეული არ არის და არც კოლხური კულტურის მასთან ურთიერთობის საკითხია მთლად ნათელი. ამას ისიც ართულებს, რომ კოლხური კულტურის ხანაში თითქმის მთლიანად წყდება კავშირი იმ ძველ ტრადიციებთან, რომლებიც განუზომლად ბატონობდნენ მეურნეობაში კოლხეთში გვიანბრინჯაოს ხანამდე. ახლა შემოდის სრულიად განსხვავებული სახის ლითონის სამეურნეო იარაღი, რომელსაც უკვე აღარაფერი აქვს საერთო წინარე ხანაში გავრცელებული ქვისა და ძვლის იარაღთან. სხვაზე მეტად, ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ჩანს დაწინაურებული, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა ყუბანისპირეთის მხარეს და მის გავლენას განიცდიდა. კოლხეთში საზოგადოების განვითარება თავისი გზით მიდიოდა რაიმე საგრძნობი გავლენის გარეშე. კოლხეთის ისეთ ოლქებშიც კი, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც ამ დროს თრიალეთის მაღალგანვითარებული კულტურა ბატონობდა, მასთან არავითარი კავშირი არ შეინიშნება.

როგორც ჩანს, შუაბრინჯაოს ხანის მიწურულიდან კოლხეთის სხვადასხვა მხარეში, იქ, სადაც საამისოდ სათანადო პირობები იყო, თანდათანობით იქმნება ადგილობრივი მეტალურგიული ცენტრები. რიონის სათავეებში ამოქმედდა მეტალურგიული კერა და ბრილის სამაროვანზე ამ დროის პირველი სამარხები ჩნდება. კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ლითონის წარმოების დაწინაურებასთან ერთად ჩნდება ლითონის ნივთიერებისაგან შემდგარი პირველი განძები, რომელთაგან ურეკის განძია აღსანიშნავი. მაგრამ, კოლხური კულტურის შესწავლას ართულებს ის, რომ მასალა უპირატესად შემთხვევითი აღმოჩენების შედეგადაა შეგროვილი და ნაკლებადაა ცნობილი ამ დროის ნამოსახლარები, სამაროვნები და სხვა ხასიათის ძეგლები. სამაგიეროდ, კარგადაა წარმოდგენილი ამ პერიოდის ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი. აღსანიშნავია, რომ ამ დროის არც ერთ კულტურას მთელ კავკასიაში არ მოუცია ისეთი რაოდენობის განძები, როგორც კოლხურ კულტურას. მასალა ძირითადად ერთგვაროვანია, ნაკლებადაა შესწავლილი სტრატიგრაფიული ხასიათის ძეგლები, თითქმის არა გვაქვს რადიონახშირბადის თარიღები და ამიტომ ჯერ კიდევ ჭირს კოლხური კულტურის განვითარების საფეხურების დადგენა. ამ კულტურის პერიოდიზაციის ცდები დღემდე უპირატესად დამყარებულია წამყვანი ნივთების ტიპოლოგიურ ანალიზზე.

კოლხური კულტურა, ჩანს, წინარე ხანის კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო. სწორედ ამ წინამორბედ პერიოდში ეძებნება პროტოტიპები კოლხური კულტურის მთელ რიგ წამყვან იარაღს. ურეკის განძში, რომელიც სხვადასხვა ტიპის ცულების, თოხებისა და ბრტყელი „საფხეკებისაგან“ შედგებოდა, გვხვდება კოლხური კულტურის ძირითადი იარაღის პროტოტიპები – კოლხური ცულის, თოხის და სეგმენტის. კოლხური ცული, რომელიც კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი იარაღია, უნდა განვითარებულიყო კოლხეთის შავიზღვისპირეთის მხარეში, მის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლში, გავრცელებული ცულისაგან. ეს ტიპი ცულისა ისეთ ნიშნებს შეიცავს, რომლებიც შემდეგში კოლხური ცულისთვისაა დამახასიათებელი: ექვსწახნაგა ტანი, წვეტიანი ყუა, მომრგვალებული პირი და სხვ. კოლხეთის შიდა მხარეებში ეს ცული თითქმის ცნობილი არ არის; მათ ვხვდებით როგორც განძებში, ისე ცალკე აღმოჩენების სახით.

აღსანიშნავია, რომ კოლხური ცული სატარის მოყვანილობით უფრო უახლოვდება სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში გავრცელებულ ცულს, რომლისთვისაც წვეტიანოვალური ხვრელია დამახასიათებელი, ჩრდილო კოლხეთში გავრცელებულ ცულს კი სატარე ხვრელი მრგვალი აქვს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ კოლხური ცულის ჩამოყალიბების ძირითადი არე კოლხეთის სამხრეთი ნაწილი იყო. როგორც ჩანს, აქვე ყალიბდება აგრეთვე კოლხური კულტურის მეორე წამყვანი იარაღი – თოხი. მისი პროტოტიპი – სამკუთხა თოხი გვხვდება ურეკის განძში. კოლხეთის სამხრეთ ნაწილში ცნობილია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის განძები, სადაც კოლხური ცულის გვერდით გვხვდება მისი პროტოტიპი და აგრეთვე კოლხური კულტურისათვის დახასიათებული სხვა ტიპის იარაღები – თოხი, ბრტყელი ცული, სეგმენტისებრი იარაღი, წალდი, ნამგალი და სხვ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს არც ერთ მხარეში არ გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის განძების ისეთი რაოდენობა, როგორც კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.[1] როგორც ჩანს, კოლხური კულტურის ჩამოყალიბება კოლხეთის შავიზღვისპირეთის მხარეში მიმდინარეობდა, უფრო კი მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

კოლხური კულტურის ჩასახვას და შემდეგ მის დაწინაურებას უთუოდ ხელი შეუწყო მდ. ჭოროხის აუზში არსებულმა სპილენძით მდიდარმა საბადოებმა, საიდანაც ძირითადად მარაგდებოდა ლითონით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის რეგიონი. ამ მხარის დაწინაურებას ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისის ხანებში ბიძგი მისცა წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობამ. აღსანიშნავია, რომ კოლხური ცულის პროტოტიპი წინა აზიაში – ერაყსა და ირანში, ანატოლიაში და სხვ. გავრცელებულ ცულებთან პოულობს გარკვეულ მსგავსებას. როგორც ჩანს, ამ ცულებიდან იღებს სათავეს ამიერკავკასიაში გავრცელებული ცულები – აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ე. წ. ღრმაღელის ტიპის ცული, დასავლეთ ამიერკავკასიაში კი კოლხური ცულის პროტოტიპი.[2] სამხრეთიდან უნდა გავრცელებულიყო აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ბრტყელი ცული, რომელიც აქ საკმაოდ ადრეულ განძებში გვხვდება. ეს ცული ხასიათდება მკვეთრი მხრებითა და სწორკუთხა მოყვანილობის საყუე ნაწილით და თავისი ფორმით მოგვაგონებს მცირე აზიაში ხეთურ პერიოდში კარგად ცნობილ ბრტყელ ცულს. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საკმაოდ მძლავრად ამოქმედდა ჭოროხის აუზის მეტალურგიული ცენტრი და კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაწინაურებას იწყებს ძირითადად მის ბაზაზე დაფუძნებული კულტურა.[3] აქ უნდა შექმნილიყო და შემდეგ დანერგილიყო კოლხური კულტურის ძირითადი დამახასიათებელი სამეურნეო იარაღები – ცული, თოხი, სეგმენტისებრი იარაღი, წალდი და სხვ. ადრეული განძები ძირითადად ამ ნივთებისგან შედგება, საომარი იარაღი მათში თითქმის არ გვხვდება. ეს უთუოდ ამ მხარეში სოფლის მეურნეობის, პირველ რიგში კი მიწათმოქმედების, მაღალ დონეზე უნდა მიუთითებდეს.[4] აქ იარაღის ისეთი ფორმები ყალიბდება, რომლებიც კოლხეთის სინამდვილეში მეტად საჭირო იყო. მცენარეული საფარით მდიდარ კოლხეთში ცული, წალდი და სასხლავი საკმაოდ ეფექტური სახმარი იყო, მიწის დასამუშავებლად კი სხვადასხვა ტიპის თოხი იხმარებოდა. უკვე

---

1 რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 90.

2 Иессен А. А., О древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, М.– Л., 1935, გვ. 128.

3 ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ. 50.

4 Джапаридзе О. М., Бронзовые топоры Западной Грузии. СА, XXVIII, М., 1953, გვ. 298.

ამ დროს კოლხეთში, ჩანს, მეურნეობის ისეთი ფორმა ჩამოყალიბდა, რომელიც აქ ბოლო დრომდე შემორჩა. ლითონის სამეურნეო იარაღის ფართო გამოყენება კოლხეთის უფრო ინტენსიურად ათვისების საშუალებას იძლეოდა და საზოგადოებას საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზა უჩნდებოდა.

მასალის ერთგვაროვანი ხასიათის გამო სადღეისოდ ჯერ კიდევ გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში საზოგადოების ცხოვრების შესახებ გვიანბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე. ამ პერიოდის არც ნამოსახლარი, არც სამაროვნები და არც სხვა ხასიათის ძეგლები ჯერჯერობით ცნობილი არ არის და მასალა ძირითადად შემთხვევითი აღმოჩენილია ან განძებიდან მომდინარეობს. მაგრამ, ჩანს, რომ ლითონის წარმოებას ამ ხანაში განვითარების საკმაოდ მაღალი დონისათვის მიუღწევია და უკვე ჩამოყალიბებულია ლითონის სამეურნეო იარაღის თითქმის ყველა წამყვანი ტიპი, თანაც, ეტყობა, ლითონის პროდუქცია ჭარბად იწარმოება და იარაღიც ფართოდ გამოიყენება მეურნეობაში. ამ დროის განძები უპირატესად სწორედ ხმარებიდან გამოსული იარაღებისაგან შედგებოდა – ცულების, თოხების, სეგმენტისებრი იარაღისა და სხვ.

ბრინჯაოს ცული კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი იარაღია. იგი ძირითადად კოლხეთის სამხრეთ ნაწილში უნდა ჩამოყალიბებულიყო და აქ კარგადაა ცნობილი გარდამავალი ფორმა პროტოტიპიდან კოლხურ ცულზე. კოლხური ცულის სამი ძირითადი ტიპი გვხვდება: შვეტილტანიანი მახვილი ყუით, სწორტანიანი დაწახნაგებული ყუით და ტანში ორგზის მოხრილი. ადრეული ცულები შედარებით უფრო ტლანქია, მერე და მერე ცულის ფორმა სულ უფრო და უფრო იხვეწება და კოლხური კულტურის აყვავების ხანაში გვხვდება კოხტა, მსუბუქი ცულები, ზოგჯერ თავისებური ორნამენტით შემკული. თავდაპირველად ადრეულ ცულებს, ჩანს, ორმაგი ფუნქცია ჰქონიათ – სამეურნეო და საბრძოლო. უფრო გვიან კი ტლანქი, მოზრდილი ცულები უპირატესად სამეურნეო საქმისათვის გამოიყენებოდა, მსუბუქი, ლამაზი ცულები კი უფრო საომარ იარაღს წარმოადგენდა. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში უპირატესად ცულის მახვილყუიანი ვარიანტი გავრცელდა. აქ სადღეისოდ სრულიად უცნობია ტანში ორგზის მოხრილი კოლხური ცული.

კოლხეთის სამხრეთ ნაწილში ჩამოყალიბდა, აგრეთვე, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღი – თოხი. სამკუთხა მოყვანილობის თოხი ამ მხარეში ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში იწყებს გავრცელებას. იგი კარგადაა წარმოდგენილი ურეკის განძში და გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზეც განაგრძობს აქ არსებობას. მათ ვხვდებით მელიქედურის, მახუნცეთის და ზენითის განძებში. აღსანიშნავია, რომ თოხის ეს ტიპი კოლხეთის სხვა მხარეში სადღეისოდ უცნობია. უფრო გვიან სამკუთხა თოხი უკვე აღარა გვხვდება და მის ნაცვლად ვრცელდება პირფართო თოხის სხვადასხვა ვარიანტები. თოხები ზომითა და პირის მოყვანილობით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ტყით მდიდარ კოლხეთში თოხს მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ახოების აღებისა და ყამირის გატეხისას თოხი ფართოდ გამოიყენებოდა ადგილის გასაწმენდად, მისი პირველადი დამუშავებისათვის, აგრეთვე უკვე დახნული მიწის მოსათოხნად. საქართველოში, მისი რელიეფისა და ნიადაგის მრავალგვარობის გამო, მიწის მოხვნა ყოველთვის სახვნელით ვერ ხერხდება და მთაგორიან ნაწილში, ძლიერ დაქანებულ ადგილებში თოხი ზოგჯერ სახვნელის ფუნქციასაც ასრულებს. იყენებდნენ მას აგრეთვე საბაღე და საბოსტნე მეურნეობაში. ამი-

ტომაცაა, რომ თოხი გვიანბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ფართოდ ვრცელდება თითქმის მთელ კოლხეთში, იქ, სადაც მოსახლეობა მიწის დამუშავებას მისდევდა.

სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში უნდა ჩამოყალიბებულიყო კოლხური კულტურის კიდევ ერთი დამახასიათებელი იარაღი, ე. წ. სეგმენტისებრი იარაღი, მას ცულთან და თოხთან ერთად კოლხური კულტურის ადრინდელ კომპლექსებში ვხვდებით. ეს იარაღიც თითქმის მთელ კოლხეთში გავრცელდა, მისი მაღალმთიანი ზოლის გამოკლებით. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში იგი შედარებით ნაკლებად გვხვდება. სეგმენტისებრი იარაღის დანიშნულების შესახებ ერთი ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს. მასში რამდენიმე ვარიანტი გამოირჩევა – შედარებით მოზრდილი ცალები, ეგებ, უფრო ბარის ფუნქციას ასრულებდა. შესაძლოა ეს იარაღი, მართლაც, უპირატესად ნაკვეთის ტყისაგან გასათავისუფლებლად, ხის ქერქის გასაცლელად, სახვეწად იხმარებოდა ახოს აღების დროს.[1]

ბრინჯაოს სამეურნეო იარაღიდან, რომელიც აგრეთვე კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისათვისაა ძირითადად დამახასიათებელი, უნდა აღინიშნოს წალდი. ბრინჯაოს წალდს, ისევე როგორც დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ წალდს, ცალ მხარეზე ნისკარტისებრი წანაზარდი აქვს და, ალბათ, ძირითადად ბუჩქნარისა და ბარდების გასაკაფავად იხმარებოდა. ბრინჯაოს წალდი სადღეისოდ კოლხეთის სამხრეთ ნაწილშია ცნობილი; შიდა რაიონებში მისი გავრცელება სოფ. ზემო სიმონეთამდე აღწევს, მდ. რიონის შუაწელის აუზში. სამხრეთით ეს იარაღი საკმაოდ შორს ვრცელდება თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც მას ვხვდებით ორდუსთან აღმოჩენილ განძში.[2]

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი სამიწათმოქმედო იარაღი – ნამგალი, რომელიც აგრეთვე უპირატესად, სამხრეთ ნაწილში გვხვდება. ბრინჯაოს ნამგლის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა ციხისძირისა და ზენითის განძებში. ოთხი ნამგალი ოფშკვითთან ნაპოვნ განძში იყო, თითო-თითო კი – ქვიშარის და მახარიას განძებში. კოლხური ნამგალი ყველა დაახლოებით ერთი ტიპისაა – უყუნწო, ტარის დასაგები ნახვრეტით. ფორმით ამ ნამგლებს უახლოვდება შიდა ქართლში ნაპოვნი ამგვარივე იარაღი.[3]

კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გავრცელებული იყო ბრინჯაოს ბრტყელი ცული, მკვეთრად გამოსახული მხრებით. ამ ტიპის ცულები ნაპოვნი იყო აქ ციხისძირის, ვაკიჯვარის, შრომისა და ბობოყვათის განძებში და ურეკის სამაროვანზე.[4] აღსანიშნავია, რომ ამ ცულის ჩამოსასხმელი ყალიბის ნატეხი აღმოჩნდა ქობულეთთან, ნამჭედურის ნამოსახლარზე. ვხვდებით მათ აგრეთვე უფრო ჩრდილოეთითაც. მხრებიანი ბრტყელი ცული ცნობილია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში და საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ეს ტიპი ბრტყელი ცულისა თავისი მოყვანილობით საკმაოდ ახლოს დგას მცირე აზიაში ხეთურ პერიოდში გავრცელებულ მხრებიან ცულებთან. როგორც ჩანს, ეს ფორმა ბრტყელი ცულისა ამიერკავკასიაში სამხრეთიდან ვრცელდება, სადაც იგი ერთგვარ თავისებურებებს იძენს.[5] კოლხეთში

---

1 ჩიტაია გ., თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. ტ. II, 1959, გვ. 157.

2 Przeworski St., Der Grottenfund von Ordu, Archiv Orentalni, vol. 1935, გვ. 408.

3 ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, თბ., 1953, გვ. 208.

4 რამიშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

5 Джапаридзе О. М., Бронзовые топоры Западной Грузии, გვ. 297.

სხვა ტიპის ბრტყელი ცულიცაა ცნობილი, რომბისებრი მოყვანილობის ტანით, რომელიც ამავე ფორმის მცირეაზიურ ცულებს მოგვაგონებს.[1] ბრტყელი ცულის დანიშნულების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მათ უმთავრესად ხის დამუშავებას უკავშირებენ. იმ დროს ხეს ყოფაში უთუოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ხით მდიდარ კოლხეთში, რბილი ჰავის პირობებში, სამშენებლოდ უპირატესად ხეს იყენებდნენ. ხის ჭურჭელსაც აქ უთუოდ დიდი გამოყენება უნდა ჰქონოდა. ამიტომაცაა, რომ ხის დამუშავებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის იარაღი კარგად იყო ცნობილი ამ ხანის კოლხეთში.

კიდევ ერთი ტიპის ბრინჯაოს ცული იყო ცნობილი კოლხეთის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. ამ ცულისათვის ვერტიკალურად მოწყობილი სატარე ხვრელია დამახასიათებელი. სადღეისოდ ამ ტიპის სამი ცულია ცნობილი, ყველა სამხრეთ კოლხეთიდან. სხვაგან კოლხეთში ჯერჯერობით ამგვარი ცული ცნობილი არ არის და იგი, ჩანს, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისათვის იყო დამახასიათებელი. ამ ცულს მუხლიანი ტარი უკეთდებოდა და იგი ჩვეულებრივი ცულის ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო,[2] ეგებ, უფრო ხის დამუშავებასთან დაკავშირებული.[3]

გვიანბრინჯაოს პერიოდში, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში უკვე სავსებით ჩამოყალიბდა სამეურნეო იარაღის თითქმის ყველა ძირითადი განმსაზღვრელი ტიპი. მაგრამ, სადღეისოდ იმავეს თქმა თითქმის არ შეგვიძლია კოლხეთის ამ რეგიონში გავრცელებულ სხვა დანიშნულების ლითონის ნივთების შესახებ – საომარ იარაღზე, სამკაულზე და სხვ. ამ ხანის მასალა უპირატესად განძებიდან მომდინარეობს, სადაც ძირითადად სამეურნეო იარაღია თავმოყრილი და სხვა დანიშნულების ნივთები აქ ნაკლებად გვხვდება. ამიტომ, შედარებით უკეთ ვიცნობთ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ სამეურნეო ხასიათის ნივთებს და თითქმის არ ვიცით, როგორი საბრძოლო იარაღი იყო ამ დროს აქ გავრცელებული, ან როგორი იყო სამკაული და საერთოდ ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები. რა თქმა უნდა, ამ დროს აქ, კოლხური ცულის გარდა, სხვა ხასიათის საომარი იარაღიც იქნებოდა ცნობილი, მით უმეტეს რომ კოლხურ კულტურაში საერთოდ კარგად ჩამოყალიბებული საბრძოლო იარაღი იყო გავრცელებული – შუბისა და სატევრისპირი. უხვადაა წარმოდგენილი კოლხურ კულტურაში აგრეთვე სამკაული და კოსტიუმთან დაკავშირებული ნივთები. მაგრამ, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის განძებში ამ რიგის თითო-ოროლა ნივთი თუ გვხვდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ნივთებისაგან და ზოდებისაგან შემდგარი განძები კოლხური კულტურის არსებობის თითქმის მთელ მანძილზე გვხვდება, ადრეული განძები უფრო მეტად კოლხეთის სანაპირო ზოლიდანაა ცნობილი, უპირატესად მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიდან. მოგვიანო ხანაში კი, პირიქით, განძები უფრო კოლხეთის შიდა მხარეებში გვხვდება.[4] თუ ადრეული განძები უპირატესად ხმარებიდან გამოსული სამეურნეო იარაღებისაგან შედგებოდა, უფრო გვიანდელ განძებში ამ რიგის ნივთები ნაკლებია და უფრო მეტად გვხვდება სხვადასხვა ტიპის კოხტა

---

1 Куфтин Б. А.,Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, Вестник Гос. музея Грузии. XIII–B., Тб., გვ. 32.

2 Куфтин К. А., Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1949, გვ. 32.

3 ქორიძე დ., საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ცულების კლასიფიკაციის და გენეზისის საკითხისათვის. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXXVIII–B, თბილისი, 1969, გვ.97.

4 რამიშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

კოლხური ცულები, ბრტყელი ცულები, ცხენის აღკაზმულობასთან დაკავშირებული ნივთები, სამკაული, ლითონის ჭურჭელი და სხვ. არც ამ ხანის განძებშია მაინცდამაინც საბრძოლო იარაღი წარმოდგენილი.

კოლხური კულტურის ადრინდელ საფეხურზე ერთ-ერთი ძირითადი მეტალურგიული კერა ჭოროხის აუზში უნდა არსებულიყო. ამ ხანაში ლითონის დამუშავება საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო და, ეგებ, აქ ჩამოყალიბდა და შემდეგ ფართოდ მზადდებოდა კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ძირითადი იარაღი.[1] ეს იარაღი კოლხეთის პირობებში იმდენად მარჯვე გამოდგა, რომ თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული ზოგიერთი სამეურნეო იარაღი სათავეს იმ შორეულ ხანიდან იღებს. ეტყობა, რომ იმთავითვე სამეურნეო იარაღებზე დიდი მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო, რაც ამ მხარეში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მაჩვენებელი იყო. ჩანს, რომ ამ ხანაში ჭოროხის მეტალურგიული კერა მძლავრად მოქმედებს და აქვე ხორციელდებოდა ლითონის მიღების ყველა ოპერაცია – მადნის მიღებიდან, ვიდრე ნაწარმის დამზადებამდე. შემდეგში, როდესაც კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნილება სამეურნეო იარაღზე, ალბათ ჩნდება, სპეციალური სახელოსნოები, სადაც მუშავდებოდა ლითონი და მისგან იარაღი ისხმებოდა. შესაძლოა ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ასე უხვად გვხვდება ე. წ. „მდნობელთა განძები“, რომლებიც ხმარებიდან გამოსული ნივთებისაგან და ზოდებისაგან შედგებოდნენ.[2] რა თქმა უნდა, ჭოროხის მეტალურგიული ცენტრის გვერდით ამ დროს უკვე სხვა უფრო წვრილი კერებიც არსებობდა სამხრეთ კოლხეთში. ლითონის იარაღი აქ უპირატესად დარიშხანიანი სპილენძისაგან მზადდებოდა. აღსანიშნავია, რომ სამიწათმოქმედო იარაღი – თოხი და სეგმენტისებრი იარაღი – უპირატესად სპილენძისა უმზადებიათ.[3] მიწის დასამუშავებელი ლითონის იარაღისათვის ნაკლები სიფიცხე უფრო გამოსადეგი იყო. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში, რომელსაც ლითონს ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული კერა აწვდიდა, უმთავრესად, დარიშხანიანი სპილენძი გამოიყენებოდა. კალიანი ბრინჯაო ფართოდ რამდენადმე გვიან ვრცელდება სხვა მეტალურგიული კერების დაწინაურებასთან დაკავშირებით. მაგრამ, ამ დროსაც სასოფლო-სამეურნეო იარაღი მაინც უმთავრესად სპილენძის ან დარიშხანი ლითონისაგანაა დამზადებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭოროხის მეტალურგიული ცენტრი მოქმედებას შუაბრინჯაოს ხანიდან იწყებს. მანამდე სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი საერთოდ ნაკლებად ათვისებული ჩანს. მაგრამ, გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან ეს კერა საგრძნობლად წინაურდება და ლითონის დამუშავება აქ უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე ადის. ჩნდება ახალი სახის ლითონის სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რომელიც ამ მხარის ინტენსიურ ათვისებას უწყობს ხელს და ვითარდება ისეთი ხასიათის მეურნეობა, რომელიც კოლხეთის იმ დროის სინამდვილეში ყველაზე უფრო ოპტიმალური უნდა ყოფილიყო. კოლხეთის სამხრეთი ნაწილისათვის დამახასიათებელი ნესტიანი, სუბტროპიკული ჰავა, უხვი მცენარეული საფარი ადრეულ ხანაში საკმაოდ დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ადამიანს მის ინტენსიურ ათვისებაში. მისი ფართო დასახლება შესაძლებელი ხდება მეურნეობის შესაბამისი ფორმის და სათანადო სასოფლო-სა-

1 ჯაფარიძე ო., დასახ. ნაშრომი, გვ. 190.
2 რამიშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 104.
3 აბესაძე ც., ბახტაძე რ., დვალი თ., ჯაფარიძე ო., სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1958, გვ. 59.

მეურნეო იარაღების ჩამოყალიბების შემდეგ. კოლხეთში, ჩანს, ისეთი ფორმა ყალიბდება მეურნეობისა, რომელიც შეესაბამებოდა მის ბუნებრივ პირობებს. ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე აქ ტყიანი ზოლისათვის დამახასიათებელი თოხის მიწათმოქმედება ვითარდება და ბრინჯაოს იარაღებმა ამ ტიპის მეურნეობის დაწინაურებას შეუწყო ხელი. მართალია, ადამიანს რთული და მძიმე ბრძოლის გადახდა უხდებოდა ტყესთან, მაგრამ ბუნებაც ვალში არ რჩებოდა და უხვად აჯილდოებდა მას მიწათმოქმედების პროდუქტებით. ბრინჯაოს თითქმის ყველა სამეურნეო იარაღი ახოს აღებასთან და მის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. თოხი აქ მიწათმოქმედებისათვის ყველაზე საჭირო იარაღი იყო.[1] ახოს აღებისათვის ძირითადად თოხი, ცული, წალდი, სეგმენტისებრი იარაღი და სხვ. გამოიყენებოდა. თოხით მუშავდებოდა მიწაც, განსაკუთრებით მთისწინა და მთის ზოლში. მას, ამავე დროს, სხვა არაერთი ფუნქცია გააჩნდა და ამიტომაცაა, რომ თოხი ამ დროს დიდი რაოდენობით გვხვდება. ცნობილია მისი სხვადასხვა ვარიანტი. მიწათმოქმედება მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგი იყო. რა დონეზე იყო განვითარებული ამ დროს სამხრეთ კოლხეთში მესაქონლეობა, მასალის სიმცირის გამო, გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება. მისი განვითარებაც ალბათ, ტყესთან იყო დაკავშირებული. ტყის პირობებში მეღორეობას მეურნეობაში, ალბათ, საკმაოდ მაღალი წილი ექნებოდა. მსხვილფეხა საქონლის მოშენებას სათანადო ადგილი ეკავა მეურნეობაში და იგი უფრო ბაგური ხასიათის იყო. ახოს იღებდნენ არა მარტო სახვნელ-სათეს ნაკვეთებისათვის, არამედ სათიბებად და საძოვრებადაც. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ხდება მთის ზოლის ათვისებაც. აჭარის წყლის ხეობაში, ცალკეულ აღმოჩენათა გარდა, ნაპოვნი იყო კოლხური ცულებისაგან შემდგარი განძი; კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სხვა ნივთები მათში ნაკლებადაა ცნობილი. შესაძლოა, რომ ეს მაღალმთიანი მხარე საზაფხულო საძოვრებისათვის იყო გამოყენებული.[2]

როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურიდან მოკიდებული სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში, რიონს ქვემოთ მოსახლე ტომებს საკმაოდ მყარი და ძლიერი ეკონომიკური ბაზა უნდა ჰქონოდა. მეურნეობის ინტენსიფიკაცია საზოგადოების თანდათანობით დაწინაურებას უწყობდა ხელს, რომელიც, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის ჩანს უკვე მნიშვნელოვან სოციალურ პროგრესს განიცდის. საახოე მეურნეობის სიმძიმე და სირთულე შრომის მაღალ ორგანიზაციას მოითხოვდა. მიწათმოქმედებაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო მოსახლეობის დიდი ნაწილი და ინტენსიურად გამოიყენებოდა კოლხეთის ნოყიერი მიწები და დოვლათის სიუხვე საზოგადოების შიგნით ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობის გაღრმავებას უწყობდა ხელს. ამ პერიოდში კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ტომთა საკმაოდ მძლავრი გაერთიანება ყალიბდება,[3] რომელიც თანდათანობით მთელს კოლხეთზე ავრცელებს თავის ბატონობას. სწორედ ამ დროიდან შეინიშნება კოლხური კულტურის განფენა კოლხეთში და მის მიმდგომ მხარეებში.

კოლხეთის დაბლობზე პირველი სამოსახლოები ჯერ კიდევ წინარე ხანაში ჩნდება. ლითონის სამეურნეო იარაღის ფართო გამოყენება ტყეზე შეტევის ეფექტს ზრდი-

---

1 ჩიტაია გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

2 ინანიშვილი ა., დიდაჭარის განძი და ძველ კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. V, თბილისი, 1975, გვ. 46.

3 Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 186.

და და ხელს უწყობდა კოლხეთის ველის უფრო ფართო დასახლებას. ახლა ადამიანი უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს აქ და ჩნდება ახალ-ახალი სოფლები. სამოსახლო ბორცვებზე გამოვლენილი მძლავრი კულტურული ფენები მოწმობს, რომ მოსახლეობა დიდხანს მჯდარა და მეტად თავისებურ რთულსა და მძიმე პირობებში საკმაოდ ინტენსიურ სამეურნეო ცხოვრებას ეწეოდა. რიონს ქვემოთ კოლხეთის დაბლობზე ამ დროის ნამოსახლარები გამოვლენილია ქობულეთთან ნომჭედურის ბორცვზე, სოფ. ქვემო ჭალადიდში ბორცვ „ზურგაზე". რიონს ზემოთ აღსანიშნავია ნაოხვამუს და ნოსირის ბორცვები, დიხაგუძუბას ნასახლარი ანაკლიასთან და სხვ.[1]

ამ დროის სამოსახლოებს წინარე ხანასთან შედარებით სახე მაინცდამაინც არ უცვლია. სამშენებლო ტექნიკაში, საცხოვრებლის გეგმარებაში და ტიპში აქ გრძელდება ძველი ტრადიციები. როგორც ჩანს, კოლხეთის დაბლობზე თავისებური, ტენიანი ჰავის პირობებში განსხვავებული სახის დასახლება ჩამოყალიბდა, მშენებლობის თავისებური ხერხებით და ნაგებობის ტიპით. ხეს, ხით მდიდარ კოლხეთში, ნესტიანობის მაღალ პირობებში, სამშენებლო საქმეში წამყვანი ადგილი ეკავა. საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობები შენდებოდა გრუნტის დონეზე ხის მორებისაგან მოწყობილ მოედნებზე, რომელიც გრუნტის წყლებისაგან და სინესტისაგან იცავდა. რა სახისა იყო თვით შენობა და საერთოდ რა ხასიათის იყო დასახლება ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, ნაგებობას უფრო ჯარგვალის სახე უნდა ჰქონოდა და თვით პატარა სოფელი კი ხუტორული ტიპისა იყო.

კოლხეთის ნამოსახლარების კულტურული ფენებიდან ყველაზე ძლიერი გვიანბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ნოსირის ბორცვზე ყველაზე მძლავრი გვიანბრინჯაოს ხანის ფენა იყო.[2] ამ დროის ფენები დიდი რაოდენობით შეიცავს თიხის ჭურჭლის ნატეხებს. კერამიკა ჯერ კიდევ ბევრ საერთოს პოულობს წინარე ხანის ჭურჭელთან. თუმცა შეინიშნება გარკვეული სხვაობაც. გვიანდელ ფენებში ქრება ჭურჭლის ზოგიერთი ფორმა და ჩნდება ახალი სახის ნაწარმი. საგრძნობლად იმატა შედარებით მოზრდილმა ჭურჭელმა.[3] ჭურჭლის შემკობის ხასიათი ძირითადად იგივე რჩება, კერამიკა შავად ან მოყავისფროდაა გამომწვარი. გვხვდება ქოთნის ტიპის ჭურჭელი, ტოლჩები, ქილები, ბადისებრი ჭურჭელი და სხვ. ჭურჭელი უმთავრეს შემთხვევაში მდიდრადაა ორნამენტირებული, განსაკუთრებით მისი ზედა ნაწილი. სხვადასხვა კომბინაციები ღარებისა, კოპებისა და შვერილების, ჭდეებისა, თაღისებურად ამოღარული შევრონები და სხვ.[4] ჭურჭლის ყურები სხვადასხვა ფორმისაა – ზოომორფული, მუხლისებრი, შვეული ქიმებით და სხვ.

კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე უკვე ნაკლებად გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ფენებში ქვისა და ძვლის იარაღი. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ ამ ხანაში აქ ვრცელდება ლითონის სამეურნეო იარაღი, თუმცა, მართალია, ჯერჯერობით ამ ტიპის იარაღი აქ კულტურულ ფენებში მაინცდამაინც ნაპოვნი არ არის. ერთი ბრინჯაოს ბრტყელი ცული აღმოჩნდა ნოსირის ნამოსახლარის ზედა ფენაში, რომე-

1 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. II, გვ. 238.

2 ქორიძე დ., გოგაძე ე., ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. II, თბ., 1971, გვ.48.

3 იქვე, გვ. 46.

4 მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 53.

ლიც ფორმით ციხისძირის განძში ნაპოვნ ამგვარსავე იარაღს უახლოვდება.[1] ბრტყელი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი აღმოჩნდა ნაჭედურის ბორცვზე.[2] ჭალადიდის ერთ-ერთ ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო კოლხური მინიატიურული ცულის ყალიბი[3] და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ლითონის ნაწარმი კულტურულ ფენებში ჩვეულებრივად იშვიათად ჩნდება. კოლხეთის დაბლობის უფრო ფართოდ ათვისებას გვიანბრინჯაოს ხანაში სწორედ ლითონის იარაღის გამოყენებას უნდა შეეწყო ხელი.

ნამოსახლარი ბორცვების კულტურულ ფენებში დიდი რაოდენობით გვხვდება სამზარეულოს ნარჩენები, მცენარეული საკვების ნაშთები, ცხოველების ძვლები და სხვ. მიწათმოქმედება კოლხეთის დაბლობში გვიანბრინჯაოს ხანაში კიდევ უფრო ინტენსიური იყო. ლითონის სამიწათმოქმედო იარაღის ფართო გამოყენება მეურნეობის ამ დარგს კიდევ უფრო ეფექტურს ხდიდა. გაწმენდილ და დასამუშავებლად გამოყენებულ ფართობზე ძირითადი საზრუნავი ტყისაგან მისი დაცვა იყო. რიონს და სხვა მდინარეებს დიდი ნალექი მოჰქონდათ და, როგორც თანამედროვე ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, მოსახლეობა მას მიწის გასანოყიერებლად იყენებდა. ამ მიზნისათვის ტკილიან ნიადაგს იყენებდნენ, რაც მოსავლის ორჯერ აღების შესაძლებლობას იძლეოდა.[4] ვახუშტი დასავლეთ საქართველოს აღწერისას აღნიშნავს, რომ „არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი... ჰავითა კეთილმშვენი... ხოლო მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად... რამეთუ ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი, დასახლდების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბთასა და გარდაიჭდის ბეგარასაცა“.[5] მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციას კოლხეთის დაბლობზე ისიც უწყობდა ხელს, რომ საერთოდ კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ბოლოსათვის შედარებით მშვიდობიანი ვითარება იყო. ამის ანარეკლი შესაძლოა ისაა, რომ ამ დროის მასალებში, განსაკუთრებით განძებში, საბრძოლო იარაღი მეტად იშვიათია. დაძაბული ცხოვრება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მაინცდამაინც ხელსაყრელ პირობებს არ ქმნის. ნამოსახლარი ბორცვების სიმრავლე მოწმობს, რომ კოლხეთის დაბლობი ამ დროს ფართოდაა ათვისებული. აქ ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობს და საზოგადოებას საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზა გააჩნია, რომელიც უპირატესად მიწათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული.

მიწათმოქმედების გვერდით, ჩანს, მესაქონლეობის როლიც ეკონომიკაში საკმაოდ მაღალი იყო. ნამოსახლარების ფენებში უხვად გვხვდება მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ღორისა და თხის ნარჩენები. ცხვრის ნაშთები მეტად იშვიათია და ჩანს, რომ მეცხვარეობა მეურნეობაში თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდა. ტყე მეცხვარეობის განვითარებისათვის ხელის შემშლელი იქნებოდა. სამეურნეო ცხოვრებაში ეტყობა, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მონადირეობასა და შეგროვებას. კულტურულ ფენებში უხვად გვხვდება გარეული მცენარეულობისა და ცხოველების ძვლები.[6] სამეურნეო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა აგრეთვე მეფუტკრეობასაც. აღსანიშ-

---

1 Гогадзе Э. М., Панцхава Л. И., Дариспанашвили М. В., Коридзе И. Д., Результаты работ Носир-Мухурчской экспедиции, Археологические экспедиции Гос. музея Грузии, Тб., 1978, გვ. 61.

2 რამიშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

3 მიქელაძე თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

4 ჩიტაია გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

5 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 743.

6 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. II, გვ. 255.

ნავია, რომ სამხრეთ კოლხეთშია შემორჩენილი სადღეისოდ ეთნოგრაფიული მასალა მეფუტკრეობის ძველი ფორმების აღდგენისათვის.[1] შინაურ მეფუტკრეობას, გარდა წმინდა სამეურნეო მნიშვნელობისა, ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდა მეტალურგიაშიც. ბრინჯაოს ნივთების დასამზადებლად იყენებდნენ ცვილს.[2]

მეურნეობაში გარკვეულ როლს ასრულებდა აგრეთვე მებაღეობა-მებოსტნეობაც. ბრინჯაოს თოხების ნაირ-ნაირი ფორმა და ზომა მათი სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებით განისაზღვრებოდა. სამხრეთ კოლხეთში გამოვლენილ განძებში უკვე კარგად გამოირჩევა თოხის სხვადასხვა სახეობა. უფრო მოზრდილი ცალები, ალბათ, უპირატესად მიწის დასამუშავებლად გამოიყენებოდა მომცრო, ეგებ, უფრო საბაღე და საბოსტნე მეურნეობაში.

კოლხეთის დაბლობის ფართო ათვისებამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიურმა ხასიათმა კოლხეთის სამხრეთ ნაწილში კიდევ მეტად შეუწყო ხელი საზოგადოების დაწინაურებას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიჭარბე ხელს უწყობდა სამეურნეო სამუშაოებიდან საზოგადოების ერთი ნაწილის განთავისუფლებას და სხვა საქმიანობაში უფრო მეტად ჩაბმას, რამაც ხელოსნების სხვადასხვა დარგის თანდათანობითი დაწინაურება გამოიწვია. ერთი ნაწილი მოსახლეობისა, ჩანს, საკმაოდ მყარად ებმება მეტალურგიულ საქმიანობაში, სადაც უკვე დიფერენცირებული შრომა უნდა ყოფილიყო მადნის მოპოვება, ლითონის დამუშავება, ნივთების დამზადება და ბოლოს მათი რეალიზაცია. მეორე დარგი, რომელიც დახელოვნებულ ოსტატებს აერთიანებდა, ხითხუროობა იყო. ტყით უხვ კოლხეთში ხეს სამეურნეო ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა. მიწის დასამუშავებელი ლითონის იარაღების გვერდით, გვხვება სადურგლო იარაღი. გარდა სამშენებლო საქმისა, ხე ფართოდ გამოიყენებოდა მეჭურჭლეობაში, სანაოსნო საქმეში, მეტალურგიაში და სხვ.[3] შრომის მაღალი ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში, სახელოსნო საქმეში, ჭარბი პროდუქციის სწორი განაწილება და მისი რეალიზაცია ქვეყანას საკმაოდ მყარ ეკონომიკურ ბაზას უქმნიდა.

შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პირობები, დაწინაურებული მეურნეობა და სხვ. უთუოდ ხელს უწყობდა მოსახლეობის რიცხვის ზრდას. როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ბოლოსათვის მოსახლეობამ მნიშვნელოვნად იმატა, ამ დროისათვის უკვე მრავლად გვხვდება შრომის იარაღები, იმატა განძების რიცხვმა. კოლხეთის დაბლობის ინტენსიურად ათვისებამ საზოგადოების ეკონომიკურად მომძლავრებას შეუწყო ხელი, თითქმის მთელ კახეთში ფართოდ ვრცელდებოდა წამყვანი სამეურნეო იარაღი. ეს არ იყო მზა პროდუქციის შეტანა კოლხეთის სხვადასხვა მხარეში. ჩანს, სამეურნეო იარაღის გავრცელებასთან ერთად ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გადაადგილებაც ხდება. ამ პროცესში, სამხრეთ კოლხეთში მსხდომი ტომების ჰეგემონობით, მთელი კოლხი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას და თანდათანობით ყალიბდება და ფართოდ ვრცელდება ერთიანი კოლხური კულტურა. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის მთელი კოლხეთის, მისი მთისა და ბარის ფართო ათვისებამ უთუოდ ხელი შეუწყო მის სამხრეთ ნაწილში საზოგადოების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას და პირველყოფილი თემური წყობილების შიგნით იქმნება პირობები მის საბოლოო რღვევისა. კოლხეთის შიდა ნაწილებში და მით უმეტეს მთის ზოლში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, ჩანს, ამ პროგრესი-

1 რობაქიძე ა., მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960, გვ. 68.
2 იქვე, გვ. 202.
3 რამიშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

სათვის სათანადო პირობები ჯერ კიდევ არ შეიქმნა. ამიტომაც აქ სხვადასხვა კუთხეში თავისებური ვითარება იქმნება, რამაც თავისი გამოხატულება კულტურაშიც პოვა და თანდათანობით წვრილი და უფრო მსხვილი ლოკალური ვარიანტები ისახება.

როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსთვის კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში შემოდის სამხრეთით მდებარე ოლქების საკმაოდ დიდი ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში. სადღეისოდ კოლხური კულტურის სამხრეთ-დასავლეთით გავრცელების უკიდურესი საზღვარი ქ. ორდუმდე აღწევს თურქეთში. აქ ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელიც შედგებოდა კოლხური ცულების, წალდისა და ბრტყელი ცულისაგან.[1] კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები აღმოჩნდა ართვინის განძში, რომელიც შედგებოდა კოლხური ცულების, სეგმენტისებური იარაღების, თოხისა და ვერტიკალურ ხვრელიანი ცულისაგან.[2] სამხრეთ-აღმოსავლეთით კოლხური კულტურის გავრცელების საზღვარი ყარსის მხარემდე აღწევდა, სადაც მეხჩის ციხესთან აღმოჩნდა განძი, შემდგარი კოლხური და აღმოსავლურქართული კულტურებისათვის დამახასიათებელი ნივთებისაგან.[3] როგორც ჩანს, ეს მხარე გვიანბრინჯაოს ხანის ამ ორი კულტურის შეხვედრის ასპარეზი იყო. შეიძლება, ეს ოლქი ადრე კოლხური კულტურის სფეროში იყო მოქცეული და შემდეგში მომძლავრდა აქ აღმოსავლურქართული კულტურა. აქ დაახლოებით ისეთივე სურათი ისახება, როგორსაც შიდა ქართლში ვხვდებით, სადაც ამ დროისათვის აღმოსავლურქართული კულტურის გავლენამ იმატა.

კოლხეთის შიდა ოლქებში, ზღვისპირა მხარესთან შედარებით, ცხოვრების ერთგვარად განსხვავებული პირობები იყო, მაგრამ მეურნეობის ხასიათში მათ შორის მაინცდამაინც დიდი სხვაობა არ უნდა ყოფილიყო. აქაც მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება ჩანს. კარგადაა ათვისებული ამ ხანაში რიონ-ყვირილის აუზი – როგორც იმერეთის ბარი, ისე მისი მთისწინეთი. იმერეთის ბარის, რომელიც უშუალოდ ეკვრის კოლხეთის დაბლობებს, ათვისება ჯერ კიდევ კოლხური კულტურის ადრინდელი საფეხურიდან იწყება. აქ თანდათანობით ფართოდ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო იარაღები. კარგადაა ცნობილი, უპირატესად მის ბარის ნაწილში, ამ პერიოდის განძები (ობშკვითის, სიმონეთის, ოჯოლის, გორის და სხვ. განძები). ეს განძებიც შედგება სეგმენტისებრი იარაღის, კოლხური თოხის, კოლხური ცულისა და სხვა ნივთებისაგან. ნაპოვნია აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ბრტყელი ცული. რიონის შუა წელის აუზშიც უპირატესად კოლხური ცულის მახვილყუიანი ტიპი იყო გავრცელებული. ცული დაწახნაგებული ყუით ნაკლებადაა ცნობილი აქ, ორგზის ტანში მოხრილი კი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ოჯოლის განძში. კარგადაა წარმოდგენილი სეგმენტისებრი იარაღი იმერეთის ბარში როგორც განძებში, ისე შემთხვევით აღმოჩენებში. ბევრია აგრეთვე თოხებიც. წალდი სადღეისოდ აქ მხოლოდ ორგანაა ნაპოვნი – დაბლაგომში და სიმონეთის განძში.

აღსანიშნავია, რომ, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის მსგავსად, არც აქაა მაინცდამაინც ცნობილი საბრძოლო იარაღები ალბათ იმავე მიზეზით, რომ მასალა უპირატესად განძებიდან მომდინარეობს და ამ დროის სამარხეული კომპლექსები ნაკ-

1 Przeworski St., დასახ. ნაშრ., 396.

2 Биттел К., Бронзовые предметы из артвинского клада, Изв. Институтта языка, истории и материальной культуры, т. II, Тб., 1938, გვ. 257.

3 Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, Вестник Гос. музея Грузии, т. XII–B, Тб., 1944, გვ. 327.

ლებადაა აღმოჩენილი. სადღეისოდ იმერეთის ბარიდან სულ რამდენიმე შუბისა და სატევრისპირია ცნობილი, უპირატესად შემთხვევით აღმოჩენილი. აღსანიშნავია ჩხარის მახლობლად ნაპოვნი შედარებით დიდი ზომის, ფართოქედიანი სატევრისპირი, რომელიც კარგადაა ცნობილი კოლხურ კულტურაში. საფიქრებელია, რომ ეს მხარეც საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჭოროხის მეტალურგიულ კერასთან. კოლხური კულტურა აქ გავრცელებას იწყებს მისი ჩამოყალიბების შემდეგ ადრეულ ხანაში. ამ მხარეში კოლხური კულტურის წამყვანი იარაღების პროტოტიპები ცნობილი არ არის. აქ ნაპოვნია კოლხური ცულის ადრეული ფორმები (სოფ. ღვედიდის განძიდან და სხვ.). როგორც ჩანს, მისი ფართო ათვისება კოლხური სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოქმნის შემდეგ იწყება.

კოლხეთის ბარი და მთისწინა ზოლი რიონის ზემოთ შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი და არც შემთხვევით აღმოჩენილი მასალაა მაინცდამაინც ცნობილი. განძებიდან აღსანიშნავია სოფ. ორულეში (ზუგდიდის რ-ნი) ნაპოვნი, ძირითადად სეგმენტისებრი იარაღისაგან შემდგარი განძი. კოლხური ცულებიდან აქ უპირატესად გვხვდება მახვილყუიანი და დაწახნაგებულყუიანი ცულები. აღსანიშნავია სოფ. თაგილონთან ნაპოვნი განძი, რომელშიც მახვილყუიანი კოლხური ცულის ლითონის ყალიბი აღმოჩნდა. თოხი აქ შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. აღსანიშნავია სოფ. ჯვარში ნაპოვნი რომბისებრი მოყვანილობის ორი თოხი. ბრტყელი ცული აქ მახარიაში აღმოჩნდა: ერთი მხრებიანი – სამხრეთ კოლხეთისათვის დამახასიათებელი, მეორე კოტებიანი – კარგად ცნობილი რაჭა-ლეჩხუმში. წალდი სადღეისოდ საერთოდ არ გვხვდება, არც ამ ხანის იარაღებია მაინცდამაინც აღმოჩენილი. საყურადღებოა, რომ ამ მხარეში მრავლადაა ნაპოვნი ბრინჯაოს ზოდები (სოფ. ჯვარი, ხეთა, წალენჯიხა, გალი და სხვ.). ჯერ კიდევ გარკვევით ძნელი სათქმელია, ეს ზოდები ადგილობრივი წარმომავლობისაა თუ სხვა მხრიდან შემოტანილი. საფიქრებელია, რომ იგი ლითონით მეზობელი რაიონებიდან მარაგდებოდა, ეგებ, უფრო სვანეთიდან. ადგილობრივი რაიმე ნაშთი ძველი წარმოებისა დღემდე ცნობილი არ არის და ასეთი დიდი რაოდენობა ზოდებისა სავარაუდებელს ხდის, რომ ეს რაიონი გარედან მარაგდებოდა ლითონით, ნივთები კი შემდეგ ადგილზე მზადდებოდა. ამას თითქოს მოწმობს თაგილონში ნაპოვნი კოლხური ცულის ლითონის ყალიბები და ნივთების ქიმიური შედგენილობა, რომელიც ერთგვარად განსხვავებულია სხვა მხარეების ლითონისაგან.[1] არსებული მასალით ჩანს, რომ კოლხური კულტურის გავრცელება, ამ მხარის ათვისება ძირითადად ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან იწყება. აქ ჯერჯერობით ცნობილი არ არის ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ადრეული იარაღები. აღსანიშნავია, რომ ეს მხარე არც ბრინჯაოს კულტურის უფრო ადრეულ საფეხურზეა მაინცდამაინც დასახლებული. საფიქრებელია, რომ თავისებური პირობები აფერხებდა საცხოვრებლად მის ინტენსიურად გამოყენებას. ამის მიზეზი, ეგებ, ხშირი მცენარეული საფარი იყო, რაც ლითონის სათანადო იარაღის შემუშავებამდე მის ათვისებას აძნელებდა. ცხოვრება აქ უფრო ზღვისპირა ზოლში, დაბლობში რიონ-ენგურის შუამდინარეთში ჩანს.

ფართოდ ვრცელდება კოლხური კულტურა ჩრდილო-აღმოსავლეთ მთისპირეთის იმერეთის ზეგანზე, ყვირილის ხეობაში, რიონისა და ცხენისწყლის აუზში. გვიანბრინჯაოს ხანაში ყვირილის აუზიდან რამდენიმე შედარებით გვიანი პერიოდის განძია ცნობილი (ჭალის, კალვათის, პერევის და სხვ.). კოლხური კულტურის სამეურნეო

1 ქორიძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

იარაღიდან აქ უფრო მეტად თოხი გვხვდება. აღსანიშნავია სოფ. ითხვისში ნაპოვნი თოხის ჩამოსასხმელი ყალიბი. სეგმენტისებური იარაღი თითო-ოროლაა ნაპოვნი. შედარებით მეტია კოლხური ცულები; მათგან ჭარბობს ჰიბრიდული ფორმა, რომელსაც მახვილი ყუა აქვს, პირის მოყვანილობით კი დაწახნაგებულყუიან კოლხურ ცულს უახლოვდება. ეს ტიპი ცულისა უფრო გავრცელებული ჩანს კოლხეთის შიდა და მთის ნაწილში – რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში და სხვ. იგი შედარებით მოზრდილია, ტლანქია და ჩანს, უპირატესად სამეურნეო მიზნისათვის იხმარებოდა.

ყვირილის ზემო წელის აუზიდან კარგადაა ცნობილი შემთხვევით აღმოჩენილი საბრძოლო იარაღი – სატევრის და შუბისპირები. საჩხერეში ნაპოვნია რამდენიმე ფოთლისებური სატევრისპირი. ეს ფორმა დასავლურქართულ კულტურაში იშვიათია. იგი კარგადაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შიდა ქართლში, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე. სოფ. ქორეთში შემთხვევით აღმოჩენილ კოლექციაში ამ ტიპის ერთი სატევრისპირია, რომელიც ზუსტად იმეორებს სამთავროს სამაროვანზე უძველეს ორმოსამარხში ნაპოვნ ამგვარივე იარაღის ფორმას. ამ კოლექციის სხვა ნივთებიც პოულობს მსგავსებას აღმოსავლეთ საქართველოს მასალებში – მასრაგახსნილი შუბისპირი, თავხვია საკინძი და ნახევრად ოვალური ბალთა. ყვირილის ხეობის ზედა წელი ამ პერიოდში ჩანს შიდა ქართლის საკმაოდ ძლიერ გავლენას განიცდის.[1] აღსანიშნავია სოფ. დურებში და ნიქოზეთში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები. დურების კოლექციაში რამდენიმე შუბის- და ხელშუბისპირია, სამი სატევრისპირი და ერთი ჰიბრიდული კოლხური ცული. სატევრისპირიდან ერთი შედარებით მოზრდილია ფართო ქედით და მოკლე ყუნწით. განიერი, მკვეთრი, დაღარული ქედი და მაღალი ვიწრო ყუნწი აქვს ორ სატევრისპირს, რომლებსაც ფორმით უახლოვდება ნიქოზეთის კოლექციაში ნაპოვნი ამგვარივე იარაღი და ერთი მოზრდილი სატევარი, აღმოჩენილი ჩხარის რაიონში, ნაქალაქარზე. ფორმით მათთან ახლოს დგას ჩრდილო-დასავლეთით, კოლხეთში, აფხაზეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი სატევრისპირები. მსგავსი სატევრისპირი ცნობილია აგრეთვე შიდა ქართლში სოფ. ზინდისიდან და თლის სამაროვნიდან.[2] თრიალეთში ბეშთაშენის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი იყო ასეთივე ტიპის იარაღი.[3] შესაძლოა ეს ფორმა სატევრისპირისა კოლხური კულტურის წიაღში წარმოქმნილი და, ეგებ, ყვირილის აუზის რეგიონიდან აღმოსავლეთ საქართველოს მეზობელ მხარეებში გავრცელდა. დურების კოლექციაში კიდევ ერთი სატევრისპირი აღმოჩნდა, რომელიც თავისი ფორმით შიდა ქართლში გავრცელებულ, განსაკუთრებით სამთავროს სამაროვნისათვის დამახასიათებელ ფოთლისებრ სატევრისპირებს უახლოვდება.

დურებში ნაპოვნი ორივე შუბისპირი დაახლოვებით ერთი ტიპისაა, გრძელი, გახსნილი მასრით, ოღონდ პირის მოყვანილობა მათ ერთგვარად განსხვავებული აქვთ – ერთს ფოთლისებრი, მეორეს კი წვერისაკენ შევიწროებული. შუბისპირები გრძელი, გახსნილი მასრით გვიანბრინჯაოს ხანაში დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში შუბისპირები შეუკრავი მასრით ჯერ კიდევ წინარე ხანის, თრიალეთის კულტურაში გვხვდება. შემდეგში აქ ეს ფორმა შუბისპირისა ფართოდ ვრცელდება შიდა ქართლში. ამ ტი-

1 ქორიძე დ., საჩხერის რაიონის მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, თბილისი, 1961, გვ. 15.

2 Техов Б. В., Центральный Кавказ в XVI–X вв. до н. э., М., 1977, გვ. 96.

3 Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, табл. L.

პის იარაღი კარგადაა წარმოდგენილი სამთავროს სამაროვანზე, თლის სამარხებში, თრიალეთში – ბეშთაშენის სამაროვანზე და სხვ. კოლხეთისათვის ამ ხანაში დამახასიათებელი ჩანს შუბისპირები გრძელი, ძლიერ გახსნილი მასრით, რომლებსაც პირი შედარებით მოკლე აქვთ, ზოგს ფოთლისებური, ზოგს კი უფრო შევიწროებული, მკვეთრი შუაქედით, ხშირად რამდენიმე ღარით. მათ ვხვდებით ეშერის და ბრილის სამაროვანზე, უდეს განძში, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში – ურეკში, ციხისძირში და სხვ. როგორც ჩანს, შუბისპირის ეს ფორმა კოლხეთში შიდა ქართლიდან ვრცელდება ჯერ მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შემდეგ კი თითქმის მთელ კოლხეთში, სადაც იგი ერთგვარად თავისებურ იერს იღებს. ეს ტიპი ამ იარაღისა ყველაზე უფრო დამახასიათებელი ხდება კოლხური კულტურისათვის არსებობის მთელ მანძილზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხურ კულტურაში შუბისპირების კიდევ ერთი ფორმა გვხვდება – მასრაგახსნილი, მოგრძო, წელში გამოყვანილი, ალისებრი მოყვანილობის პირით.[1] ალისებრპირიანი შუბისპირები თითქმის მთელ კოლხეთში გვხვდება როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე მის შიდა მხარეებში. ვხვდებით მათ აგრეთვე შიდა ქართლში, სადაც მათი გავრცელების უკიდურესი საზღვარი სამთავროს სამაროვანია. სამხრეთით ალისებრი შუბისპირი ყარსის მხარეს აღწევს. ამ ტიპის ადრეულ შუბისპირებს ეტყობათ ჩამოსხმის შემდეგ გამოჭედვის კვალი. უფრო მოგვიანო ცალები შედარებით უფრო კოხტებია და, რაც მთავარია, უმრავლესობას მასრა შემკული აქვთ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი გრავირებული ორნამენტით. თუ ამას დავუმატებთ, რომ პირის მოყვანილობით ეს იარაღი ამავე არეალში გავრცელებულ ალისებრი სატევრისპირებს უახლოვდება, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს შუბისპირები კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში შექმნილი იარაღის ტიპია.

დურების კოლექციაში აღმოჩენილი ხელშუბის ორივე ტიპი – ვიწროპირიანი და ფოთლისებრპირიანი – ჩანს, შიდა ქართლიდან უნდა გავრცელებულიყო, სადაც კარგადაა ცნობილი ამგვარი იარაღი. როგორც ჩანს, ყვირილის აუზი კოლხური კულტურის არეალში შედიოდა, ოღონდ აქ მსხდომ ტომებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ შიდა ქართლთან, განსაკუთრებით მის ჩრდილო ზოლის მოსახლეობასთან. ისევე როგორ ადრე, ამ დროსაც ამ მხრიდან ხორციელდებოდა ძირითადად ურთიერთობა შიდა ქართლთან და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან. როგორც ჩანს, თავისებური პირობების გამო მიწათმოქმედების გვერდით საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო მესაქონლეობაც და, ეგებ, ამიტომაა, რომ კოლხური სამიწათმოქმედო იარაღი ამ მხარეში შედარებით ნაკლებად გავრცელდა. შიდა ქართლის გავლენით ვრცელდება აქ საომარი იარაღის ზოგიერთი ფორმა, რომლებიც შემდეგში თავისებურ იერს იღებენ. შესაძლოა, რომ აქ განაგრძობს არსებობას ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში წარმოქმნილი კერა მეტალურგიისა.

კოლხური კულტურის ხანაში ფართოდაა ათვისებული რიონისა და ცხენისწყლის შუა და ზედა წელის აუზები – რაჭა და ლეჩხუმი. რაჭაში, მის ქვედა ნაწილში კარგადაა ცნობილი ქვიშარის, თხმორის, სინათლის, ტოლას და სხვ., განძები რომლებიც ძირითადად კოლხეთისათვის დამახასიათებელი სამეურნეო იარაღებისაგან შედგება. კოლხური კულტურის არც ერთ მხარეში ისე სრულად არ არის წარმოდგენილი ყველა ძირითადი ტიპი კოლხური ცულისა, როგორც რაჭა-ლეჩხუმში. აქ გვხვდება

---

1 ქორიძე დ., ალისებრი შუბებისა და ხელშუბების გავრცელების არეალისა და გენეზისის საკითხისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXIX-B, თბილისი, 1972, გვ. 34.

ყველა ძირითადი ტიპი კოლხური ცულისა. წელში ორმხრივ მოხრილი ცული კოლხეთში სადღეისოდ ძირითადად აქედანაა ცნობილი.

რაჭაში აღმოჩენილ განძებში თოხი და სეგმენტისებური იარაღი ჭარბობს და აქ მათი თითქმის ყველა ვარიანტი გვხვდება.[1] ქვიშარის განძში ნაპოვნი იყო ერთი ნამგალი.[2] აღსანიშნავია რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული ბრტყელი ცული, რომელიც ხასიათდება სწორი, თავისკენ ოდნავ გაფართოებული ტანით, რომელსაც ზედა ნაწილზე აქეთ-იქით თითო შვერილი აქვს. პირი მას თითქმის სიმეტრიული აქვს კოლხური ცულის ერთ-ერთი ვარიანტის მსგავსად. რაჭა-ლეჩხუმის გარდა კოლხეთის სხვა მხარეში ეს ცული ცნობილია მხოლოდ სვანეთიდან.[3] ერთი ამ ტიპის ბრტყელი ცული აღმოჩნდა თლის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში.[4] შესაძლოა კოტებიანი ბრტყელი ცულების ეს ვარიანტი რაჭა-ლეჩხუმის მხარეში ჩამოყალიბდა.[5]

რიონის ხეობაში, ქვემო რაჭაში ინტენსიური დასახლება იწყება კოლხეთის ბარის შიდა ოლქების ათვისებასთან ერთად. რიონის ხეობაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო და აქ მსხდარი ტომები თანდათანობით წინაურდებიან და ამ ხეობის ზედა ნაწილსაც ითვისებენ. აღსანიშნავია ზედა რაჭაში, ონთან, სოფ. ღარში შემთხვევით ნაპოვნი ერთი კოლექცია, რომელიც შედგება როგორც კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღებისაგან, ისე შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის მთიანეთში გავრცელებული ნივთებისაგან.[6] აქ კოლხური ცულის და კოტებიანი ბრტყელი ცულის გვერდით გვხვდება თლის სამაროვნისათვის დამახასიათებელი არქაული ტიპის სატევრისპირები. თავისებურია ცული, ფართო სიმეტრიული პირით, რომელიც ფორმით ცხინვალის განძის ცულს უახლოვდება.[7] ბრინჯაოს ლახტისთავი ოთხი კონუსისებური შვერილით, მართალია, რამდენადმე განსხვავებულია, მაგრამ მაინც ფორმით თლის სამაროვნის ლახტისთავებს უახლოვდება. ქინძისთავები ორკაპა ან სამკაპა ოვალური ლურსმნისებური თავით იმეორებს თლიში და სტირფარსში ნაპოვნ ცალებს. ისინი, როგორც ჩანს, რიონის ხეობაში აქედან ვრცელდებიან. ღარის კოლექციაში ორი სპირალურბოლოიანი კავი აღმოჩნდა, ისეთივე, როგორც თლისა და სტირფარსის სამაროვნებზე გვხვდება.[8] მსგავსი კავები ცნობილია შიდა ქართლის უფრო დაბლობ მხარეებში და აგრეთვე აფხაზეთში.[9] ვხვდებით მათ აგრეთვე ყობანშიც. ცხოველთა ქანდაკებებს ღარის კოლექციიდან ბევრი საერთო აქვს შიდა ქართლის მასალებთან.

რაიონის ზემო წელზე, სოფ. ღებთან, ბრილის სამაროვანზე აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისი ხანების სამი ტიპის სამარხები – ორმოსამარხები, ქვაყუთები და სპეციალურად მოწყობილი დასაკრძალავი მოედ-

---

1 ღამბაშიძე ო., თხმორის განძი, თბ., 1963, გვ. 10.
2 Ниорадзе Г. К., Археологические находки в с. Квишари, СА, XI, М.–Л., 1949.
3 ჩართოლანი შ., მასალები სვანეთის არქეოლოგიიდან, თბ., 1976, გვ. 83.
4 Техов Б. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 115.
5 Джапаридзе О. М., Бронзовые топоры Западной Грузии, გვ. 294.
6 Куфтин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 45.
7 Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 332.
8 Техов Б. В., Стирфарские кромлехи, Тб., 1974, გვ. 25.
9 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 147.

ნები, სადაც ათამდე მიცვალებული იყო დაკრძალული.[1] ამ მოედნებზე სრულდებოდა მიცვალებულის ნაწილობრივი დაწვა ინვენტართან ერთად. სამარხებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი იარაღ-საჭურველი და სამკაული. იარაღებიდან გვხვდება – ცული და სატევრისპირი. შუბისპირები ამ დროის სამარხებიდან თითქმის სრულიად ქრება. შედარებით ცოტაა ჩარხებზე ნაკეთები წითლად ან შავად გამომწვარი კერამიკა. გამოჩენას იწყებს აგრეთვე ლითონის ჭურჭელიც. როგორც ჩანს, რიონის აუზის ზედა ნაწილი უფრო მეტად დაკავშირებული იყო ცენტრალური კავკასიონის სამხრეთის კალთებზე, შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის მთიანეთთან. ბრილის სამაროვანზე მოპოვებული მასალა ბევრ საერთოს პოულობს თლის სამარხებში გამოვლენილ ნივთებთან. სიახლოვე შეინიშნება აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ყობანის კულტურასთანაც. კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სამიწათმოქმედო იარაღი რიონის ხეობის ზედა ნაწილში თითქმის არ გვხვდება. აქ მაღალმთიან ზოლში მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო. ამ დროის სამარხებში კარგადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებები. რიონის ხეობის ქვედა ნაწილი, ქვედა რაჭა უფრო კოლხეთის ბართან და მთისწინეთთან იყო დაკავშირებული.

ამ დროს მეტალურგია საკმაოდ მაღალ საფეხურზე უნდა მდგარიყო. ღებისა და ურავის მიდამოებში დამოწმებულია მრავალრიცხოვან ძველ საბადოთა ნაშთები, მაღაროები და შტოლნები, საიდანაც სხვადასხვა მადნეული გამოჰქონდათ – სპილენძი, ანტიმონი, დარიშხანი და სხვ. სამთამადნო წარმოება, ჩანს, საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. აღმოჩენილია მადნის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვადასხვა იარაღი – ქვის მძიმე უროები, როდინები, ხის გობები მადნის გამოსატანად, ხის ნახშირის ნაშთები და სხვ. მაღაროთა მახლობლად მიმდინარეობდა მადნის შემდგომი დამუშავების პროცესი.[2] ნაპოვნია ძველი ღუმლების ნაშთები, ჩამოსასხმელი ყალიბების ნატეხები და სხვ. ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში დაწყებული სამთამადნო წარმოება კოლხური კულტურის დროს კიდევ უფრო გაზრდილა და გაძლიერებულა.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან ლეჩხუმშიც, ცხენის წყლის ხეობაში უნდა არსებულიყო საკმაოდ მძლავრი მეტალურგიული კერა, რომელიც რაჭასთან ერთად კოლხური კულტურის ხანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და კოლხეთის ბარსაც ამარაგებდა ლითონით; მართალია, ლეჩხუმში ჯერჯერობით მიკვლეული არ არის ძველი სამთამადნო წარმოების ნაშთები, მაგრამ აქ მთელ რიგ ადგილებში დამოწმებულია სპილენძის გამოსავლები, რომლებსაც ძველად შესაძლოა გარკვეული საწარმოო მნიშვნელობა ჰქონდათ.[3] ამას თითქოს უნდა მოწმობდეს აქ ნაპოვნი ძველი წარმოების ნაშთები – წიდები, სპილენძის ზოდები, თიხის გამოსადნობი ჭურჭლის ნატეხები და სხვ.[4] ლეჩხუმიდან კარგადაა ცნობილი ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძები, რომლებიც უპირატესად თითქმის უხმარი ნივთებისაგან შედგებოდნენ და განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივ ე. წ. „მდნობელთა განძებისაგან“, სადაც თავმოყრილი იყო ხმარებიდან გამოსული ნივთები. არც ლეჩხუმიდანაა სადღეისოდ

---

1 გობეჯიშვილი გ., დასავლეთ საქართველოს კულტურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970, გვ. 26.

2 Гобеджишвили Г. Ф., Памятники древнегрузинского горного дела и металлургии в верховьях р. Рионн, Изв. АН ГССР, т. III, №3, Тб., 1952, გვ. 186.

3 სახაროვა ლ., ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბილისი, 1976, გვ. 24.

4 ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიიდან, გვ. 145.

ცნობილი ამ დროის ნამოსახლარები და სამაროვნები. კოლხეთის ამ მხარის თავისებურებებზე ლაპარაკი განძებში შემავალი მასალების საფუძველზეა შესაძლებელი.

ლეჩხუმის განძებში შემავალი ბრინჯაოს ნივთები კარგადაა ნაკეთები, გამოირჩევა თავისი დაცულობით და ხშირად შესანიშნავი პატინითაა დაფარული, რაც შესაძლოა ამ მხარის მელითონეთა ოსტატობაზე მეტყველებდეს.[1] ლეჩხუმის განძებიდან აღსანიშნავია ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დასაწყისი ხანებით დათარიღებული ცაგერის, იყურეშის, ლაილაშის, ლუხვანოს და სხვ. განძები. ყველაზე მეტად ლეჩხუმის განძებში კოლხური ცულია წარმოდგენილი, რომელიც გამოირჩევა თავისი დახვეწილი ფორმით და მისი თითქმის ყველა ტიპი გვხვდება; კოხტა, დახვეწილი ფორმით ხასიათდება რაჭა-ლეჩხუმისათვის დამახასიათებელი კოტებიანი ბრტყელი ცული. ამ განძებში კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე დასამუშავებელი იარაღი – თოხი და სეგმენტისებრი იარაღი. ცაგერის განძებში ორი უყუნწო ნამგალი აღმოჩნდა. აღსანიშნავია ოყუშერის განძში ნაპოვნი კომბინირებული იარაღი – ცულნამგალა. ამ ტიპის იარაღი სადღეისოდ მხოლოდ ცხინვალის განძშია აღმოჩენილი. ეს იარაღი ერთდროულად ცულისა და სასხლავის როლს ასრულებდა და კოლხეთის სინამდვილეში იგი საკმაოდ ეფექტური სახმარი იქნებოდა, ეგებ, უფრო მის შიდა რაიონებში, სადაც წალდი თითქმის არ გვხვდება.[2] როგორც ჩანს, ცხენისწყლის ხეობაში მიწათმოქმდებისათვის კარგი პირობები უნდა ყოფილიყო და მეურნეობის ეს დარგი აქ საკმაოდ განვითარებული იყო. ეს რაიონი, ქვემო რაჭასთან ერთად, ჩანს დაკავშირებული იყო კოლხეთის დაბლობ მოსაზღვრე მხარეებთან. წყალტუბოს მახლობლად, სოფ. ოჯოლაში, აღმოჩნდა ერთი განძი, რომელიც თავისი შედგენილობით ახლოს დგას ლეჩხუმის განძებთან.

ლეჩხუმი, ქვემო რაჭასთან ერთად, კოლხური კულტურის ხანაში, ჩანს, ერთ საწარმოო ცენტრს შეადგენდა, სადაც მეურნეობის ძირითადი დარგი მიწათმოქმედება იყო. რიონის ზედა წელის მხარე ამ დროისათვის უფრო მეტად დაკავშირებული ჩანს ცენტრალურ კავკასიასთან – ყობანის კულტურასთან, შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის მთიან ნაწილთან – თლისა და სტირფარსის სამაროვნებზე გამოვლენილ მასალას ბევრი საერთო აქვს ბრილის სამარხეულ ინვენტართან. აქ მსხდომი ტომებისათვის მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო და ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას სამთამადნო წარმოება შეადგენდა. რაჭა-ლეჩხუმის საწარმოო ცენტრი ლითონით ძირითადად აქედან მარაგდებოდა.

საბრძოლო იარაღიდან ლეჩხუმში მხოლოდ რამდენიმე შუბისპირია ცნობილი. სადღეისოდ აქედან არ არის ცნობილი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ისეთი იარაღი, როგორიც სატევრისპირია, ალბათ, იმის გამო, რომ მასალა ძირითადად განძებიდანაა წარმოდგენილი და სხვა ხასიათის ძეგლები ჯერჯერობით არ გვხვდება. სურმუშის განძში ერთი ალისებრი შუბისპირი აღმოჩნდა, საკმაოდ არქაული წესით დამზადებული. ლუხვანოს განძში სამი მასრაგახსნილი შუბისპირი იდო, რომლებიც ფორმით უფრო შიდა ქართლში გავრცელებულ იარაღს უახლოვდებიან. ლეჩხუმში ჯერჯერობით კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი გრძელმასრიანი შუბისპირი არ აღმოჩენილა. აღსანიშნავია, რომ ლუხვანოს განძის ერთ-ერთი

1 ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიიდან, გვ. 145.

2 Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 323.

შუბისპირის და ცაგერის განძის შუბისპირის მასრები შემკულია კოლხური გრაფიკული ორნამენტით.

ლეჩხუმის განძებში ხითხუროობასთან დაკავშირებული ლითონის რამდენიმე სატეხი აღმოჩნდა, დაახლოებით ერთი ტიპისა, შეკრული მასრით. ამგვარი იარაღი კოლხეთში მაინცდამაინც არ გვხვდება. მსგავსი სატეხი ცნობილია სვანეთიდან. სამაგიეროდ, მათ ხშირად ვხვდებით შიდა ქართლში. ლაილაშისა და სურმუშის განძებში ცხენის აღკაზმულობასთან დაკავშირებული ნივთები აღმოჩნდა – ლაგმები, მოსართავი ბალთები და სხვ. მსგავსი ლაგმები საქართველოში და საერთოდ კავკასიაში არ გვხვდება. სამაგიეროდ, ეს ტიპი ლაგმებისა კარგადაა ცნობილი კავკასიის ჩრდილოეთით. მრგვალი სამკერდე ბალთები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, მის მოსაზღვრე მხარეებში და ჩრდილო კავკასიაში.[1]

ოყურეშის განძში ფართო, განიკვეთში ოვალური, სადა, თავებგახსნილი რამდენიმე რგოლი აღმოჩნდა. სავსებით ასეთივე რგოლი ცნობილია აფხაზეთიდან, ყვირილის ხეობის ზემო ნაწილიდან, პერევის განძიდან და სოფ. წოისში ნაპოვნი განძიდან, რომელიც ყვირილის სათავესთან მდებარეობს შიდა ქართლისა და იმერეთის საზღვრებზე.[2] სხვაგან ოვალურგანივკვეთიანი მასიური რგოლები სადღეისოდ ცნობილი არ არის და, ჩანს, კოლხური კულტურისათვის იყო დამახასიათებელი. ოყურეშის რგოლები ისეთივე კარგი და ლამაზი პატინით იყო დაფარული, როგორითაც ამ განძის სხვა ნივთები და შესაძლოა ერთი სახელოსნოდან გამოსული ნაწარმი იყოს.[3] კოლხეთში ამ დროს თავგახსნილი სხვა რგოლებიც იყო ცნობილი, ოღონდ მრგვალი განივკვეთით.

ოყურეშის განძში ბრინჯაოს სამი სამაჯური აღმოჩნდა – ორი ბრტყელი, ერთნაირი სიგანის, თავგახსნილი, ერთი კი რელიეფური ზოლებით შემკული სპირალურბოლოებიანი. ბრტყელი სამაჯური ცნობილია ბრილიდან და ჩრდილო კავკასიიდან.[4] ბოლოებდახვეული სამაჯური კოლხეთში სულ სამია ნაპოვნი, ერთი ოჯოლის განძიდან და ორიც აფხაზეთიდან.[5] კარგადაა წარმოდგენილი ეს სამაჯური ბრილის და თლის სამაროვნებზე, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ ეს ტიპი გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიაში, ყობანის კულტურაში, საიდანაც ჩანს იგი სამხრეთით გავრცელდა.

ოყურეშის განძში კიდევ ერთი ნივთია ნაპოვნი, რომელიც აგრეთვე უფრო მთის ზოლშია გავრცელებული – მასიური ბოლოებდახვეული საყელური რგოლი, გრივნა. კოლხეთში მსგავსი სამკაული ცნობილია აფხაზეთიდან. ვხვდებით მათ კოლხეთის მთის ნაწილში, ბრილის სამაროვანზე. რამდენიმე ამგვარი გრივნა თლის სამარხებშიც აღმოჩნდა, ერთიც ორნამენტირებული ცალი – სტირფარსში. ამ ტიპის გრივნები კარგადაა ცნობილი აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში, ყობანის კულტურაში.

ოყურეშის განძი ლითონის მოზრდილ ჭურჭელში იყო მოთავსებული, სადაც სხვა ნივთებთან ერთად ბრინჯაოს ორი ცალყურა სასმისი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ლითონის დიდ ჭურჭელში იდო ლაილაშის განძიც, მაგრამ აქ მხოლოდ მისი ძირი შემორ-

---

1 სახაროვა ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

2 Куфтин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция... გვ. 25.

3 Куфтин Б. А., Урартский «колумбарий» у подошвы Арарата... გვ. 29.

4 სახაროვა ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

5 Лукина А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии, Труды отделения истории первобытной культуры Гос. Эрмитажа, т. I, Ленинград, 1941, табл. XI, 3; М. М. Трапш, Памятники колхидской и скифской культуры в селе Куланурхва Абхазской АССР, Абгосиздат, 1962, გვ. 73.

ჩა. ლუხვანოს განძში ერთი ცალყურა სასმისი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ლითონის ჭურჭელი უპირატესად მთიან კოლხეთში გვხვდება. კარგადაა ცნობილი ლითონის სხვადასხვა ჭურჭელი ბრილის სამაროვანიდან. ამგვარი ჭურჭლის ყური აღმოჩნდა ქვიშარის განძში. კოლხეთის უფრო დაბლობ ნაწილში ლითონის ჭურჭელი შედარებით იშვიათია. მათ ვხვდებით მთის წინა ზოლში, ხარაგაულთან, სოფ. ზვარეში,[1] ზეკარის განძში.[2] ბრინჯაოს ჭურჭელი ნაპოვნი იყო სამეგრელოში, კურზუში, შედარებით მოგვიანო ხანის განძში, ქობულეთთან,[3] აფხაზეთში – ყულანურხვას სამაროვანზე.[4] სამხრეთით მისი გავრცელების უკიდურესი საზღვარი ყარსის მხარეა, სადაც ამ ჭურჭლის ძირი მეხჩის ციხის განძში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ლითონის ჭურჭელი კოლხურ კულტურაში დროის საკმაოდ დიდ მანძილზე გამოიყენებოდა – ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, ვიდრე ამ კულტურის ბოლომდე. მისთვის დამახასიათებელი ზოომორფული ყური კოლხეთში გავრცელებული თიხის ჭურჭლიდან უნდა იყოს გადმოღებული.[5]

კარგადაა წარმოდგენილი ლითონის ჭურჭელი თლის სამაროვანზე – სხვადასხვა ფორმის სასმისები და ბადიები. მაგრამ აქ სრულიად უცნობია დიდი ზომის ჭურჭელი. აღმოსავლეთ საქართველოში ლითონის ჭურჭელი ცნობილია არაგვის ხეობიდან – შუახევისა და ჩაბარუხის განძებში. ამიერკავკასიის სხვა მხარეებში ლითონის ჭურჭელი აღმოჩნდა ურარტულ ხანაში კარმირ-ბლურზე და იგდირის სამაროვანზე. ფართოდ იყო გავრცელებული ლითონის ჭურჭელი ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ჩრდილო კავკასიაში, ყობანის კულტურაში. აქაც გვხვდება სხვადასხვა ტიპის ჭურჭელი, ზოომორფული ყურებით. ამ ტიპის ჭურჭელი საკმაოდ შორს გავრცელდა. ოყურეშის სიტულასთან საკმაოდ ახლოს დგას კიევის მხარეში ნაპოვნი ლითონის ორყურა ჭურჭელი, რომელიც აქ ამიერკავკასიიდან უნდა შესულიყო.[6] ამრიგად, ლითონის ჭურჭელი კავკასიაში ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ფართოდ ვრცელდება კოლხურ-ყობანური კულტურის გავრცელების არეალში. კოლხეთში იგი უფრო მისი მთის ნაწილისათვის, რაჭისა და ლეჩხუმისათვის ჩანს დამახასიათებელი. შესაძლოა, ლითონის ჭურჭლის ჩამოყალიბება პირველად კოლხეთის ამ მხარეში იწყება. გარკვეული სიახლოვე კერამიკასთან, განსაკუთრებით ზოომორფული ყურების მოყვანილობა, ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა. ამავე თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ სადღეისოდ ყველაზე ადრეული ლითონის ჭურჭელი აქაა აღმოჩენილი.

რიონისა და ცხენისწყლის ხეობა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან უკვე ინტენსიურადაა ათვისებული. კოლხური კულტურის წინარე ხანაში და მის ადრეულ საფეხურებზედაც ეს მხარე შედარებით ნაკლებადაა დასახლებული. ქვემო რაჭიდან სადღეისოდ მხოლოდ ცულების ერთი განძია ცნობილი სოფ. ქვიშარიდან, რომელსაც შუაბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებენ. ამ დროისათვის ამ მხარეში შედარებით უფრო რიონის ზედა წელია ათვისებული მესაქონლე-მელითონე ტომების მიერ, რომლებმაც ბრილის სამაროვანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხები დაგვიტოვეს. რაც შეეხე-

1 გობეჯიშვილი გ., დასავლეთ საქართველოს კულტურა, გვ. 289.
2 Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 35.
3 სახაროვა ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
4 Трапш М. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
5 საქართველოს არქეოლოგია, გვ. 132.
6 Пиотровский Б. В., История и культура Урарту, Ереван, 1944, გვ. 289.

ბა ცხენისწყლის ხეობას, როგორც სადღეისოდ არსებული მასალებიდან ჩანს, კოლხურ კულტურამდე ჯერ კიდევ ნაკლებად დასახლებული იყო. ჯერჯერობით აქედან მხოლოდ შუაბრინჯაოს ხანის ერთი ყუამილიანი ცული ცნობილი. საერთოდ კოლხეთის ჩრდილო ნაწილში, რომელიც უშუალოდ ეკვრის კავკასიონის მთავარ ქედს, ხელსაყრელი პირობები არსებობდა ერთგვარი გათიშვისა და კულტურის შიგნით ლოკალური თავისებურებების ჩამოყალიბებისათვის. დიდი მდინარეების ღრმა ხეობები საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიას მოიცავდა თავისი ბარითა და მთით; თითოეულ ხეობათა ეკონომიკური შესაძლებლობების სწორი გამოყენება ამ ტერიტორიული ერთეულის აღმავლობას უწყობს ხელს. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის რიონ-ცხენისწყლის შუამდინარეთში კარგი პირობები შეიქმნა იქ მოსახლე საზოგადოების დაწინაურებისათვის. ფართოდ გავრცელებულმა კოლხურმა სამეურნეო იარაღმა აქ მიწათმოქმედების წინსვლა გამოიწვია, მთაში არსებულმა პირობებმა მესაქონლეობის განვითარებას შეუწყო ხელი. ამასთანავე მას საკუთარი მეტალურგიული წარმოების შესაძლებლობა გააჩნდა და კოლხური კულტურის ხანაში აქ ერთ-ერთი ძლიერი მეტალურგიული კერა ჩამოყალიბდა. ამ მხარის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მყარდება ცენტრალურ კავკასიასთან, სადაც ამ დროისათვის მნიშვნელოვანი კულტურული პროგრესი შეინიშნება. ცხოვრების თავისებურმა პირობებმა, იზოლაციისათვის არსებულმა გარემომ თანდათანობით შექმნა კოლხური კულტურის შიგნით ლოკალური ვარიანტების ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

როგორც ჩანს, რაჭა-ლეჩხუმის მხარეებთან ახლოს იდგა ენგურ-ცხენისწყლის შუამდინარეთის მთიანი ნაწილი, სვანეთი. ეს მხარე ცხენისწყლის ხეობით ემიჯნებოდა ლეჩხუმს და კოლხური კულტურის ხანაში მის გავლენას განიცდიდა. სვანეთი ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებისათვის საკმაოდ კარგად დასახლებული ჩანს. მაგრამ მისი ინტენსიური ათვისება კოლხური კულტურის ხანაში ხდება. მართალია, ამ პერიოდის განძები და სხვა ხასიათის ძეგლები ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ შემთხვევითი მასალა ამ ხანისა კარგადაა წარმოდგენილი.[1] აქ გვხვდება კოლხური ცულის თითქმის ყველა ვარიანტი, გარდა წელში ორმხრივი მოხრილი ტიპისა. სვანეთშია ნაპოვნი რაჭა-ლეჩხუმისათვის დამახასიათებელი ერთი კოტებიანი ბრტყელი ცული. სადღეისოდ ჯერ კიდევ უცნობია აქ თოხი და სეგმენტისებრი იარაღი, თუ არ ჩავთვლით ერთ-ერთ მოგრძო, რომბისებრპირიან თოხს, რომლის მსგავსი ცნობილია სამეგრელოდან (აღმოჩენილია სოფ. ჯვარში).[2] სვანეთში ერთი ტიპის ყუნწიანი ორი ნამგალი აღმოჩნდა, ძლიერ მორკალული პირით.[3] ამ ტიპის ნამგალი კოლხურ კულტურაში და საერთოდ ამიერკავკასიაში ცნობილი არ არის.[4] სამაგიეროდ ყუნწიან ნამგლებს მრავლად ვხვდებით ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ ადრეული პერიოდიდან.[5] ჩანს, ეს იარაღი ჩრდილოეთიდან ვრცელდება. მიწათმოქმედება სვანეთში, მთის პირობებში, შედარებით შეზღუდულია. შესაძლოა, ნიადაგის თავისებური პირობების გამო თოხი აქ ერთგვარად განსხვავებულ ფორმას იღებს – მოგრძოსა და ვიწროს, რაც ეგებ მინათმოქმედების გარკვეულ კულტურასთან იყო დაკავშირებული. აღსა-

1 Чартолани Ш. Г., Сванети в эпоху бронзы, автореферат, Тб., 1974, გვ. 13.

2 ჩართოლანი შ., მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბილისი, 1976, გვ. 15.

3 იქვე.

4 ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ, შრომები, ტ. 49, თბილისი, 1953, გვ. 205.

5 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, М.–Л., 1935, გვ. 113.

ნიშნავია, რომ დღესაც მთიან ზოლში უპირატესად ვიწროპირიანი თოხია გავრცელებული.[1] სოფ. ნაკრასთან, ზემო სვანეთში, არქეოლოგიური გათხრების დროს კოლხურ ცულთან ერთად ნაპოვნი იყო ჭვავის, ქერის, რბილი ხორბლის და სხვა ნაშთები. ჩანს, ჭვავი ყველაზე გავრცელებული კულტურა ყოფილა სვანეთში და საერთოდ მთიან კოლხეთში.[2]

სვანეთში მესაქონლეობა მეურნეობის წამყვანი დარგი უნდა ყოფილიყო, რადგან მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის აქ უთუოდ ყველა პირობა არსებობდა: შესანიშნავი საძოვრები, სათიბები და სხვ., მაგრამ ამის ამსახველი მასალა ნაკლებადაა წარმოდგენილი. მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი, ჩანს, მსხვილფეხა საქონელს ეკავა. ძვლოვანი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ აქ გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული ყოფილა ძვალწვრილი ჯიში. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრეთვე წვრილფეხა საქონლის მოშენებას, რაზეც აქ ნაპოვნი ბრინჯაოს ქანდაკებები მოწმობს. როგორც ჩანს, აქ მესაქონლეობას შერწყმული ხასიათი ჰქონდა. ზაფხულობით საქონელი შესანიშნავ საძოვრებზე მიჰყავდათ, ზამთრობით კი უპირატესად ბაგურ კვებაზე ამყოფებდნენ. ჩანს, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სვანეთში ერთმანეთს ავსებდა.

საბრძოლო იარაღი ამ პერიოდისა სვანეთიდან თითქმის ცნობილი არ არის. ნაპოვნია რამდენიმე შუბისპირი ერთი ე.წ. „მცირეაზიური ტიპის“ სატევრისპირი და ბრინჯაოს ლახტისთავები.[3] ეს უთუოდ გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ მიკვლეული და შესწავლილი არ არის სვანეთის ამ დროის ძეგლები. როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანაში კოლხეთის ამ მთიან ზოლში არსებობდა ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ადგილობრივი კერა. აქ დამოწმებულია ძველ საბადოთა გამონამუშევრებისა და წარმოების ნაკვალევი. რა სიძლიერისა იყო ლითონის წარმოება აქ, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ შესაძლოა, რომ იგი სავსებით საკმარისი იყო საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კოლხური კულტურა სვანეთში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ვრცელდება, ალბათ, უპირატესად ლეჩხუმის გზით, ცხენისწყლის ხეობით, მაგრამ აქ ერთგვარად თავისებურ სახე იღებს და თითქოს უფრო იზოლირებულად ვითარდება სხვათა გავლენის გარეშე. არ შეინიშნება სვანეთში რაიმე მნიშვნელოვანი ურთიერთობა ცენტრალური კავკასიის კულტურასთან. ძვ. I ათასწლეულის დასაწყისიდან კოლხური კულტურის გაფურჩქვნის ხანაში, იგი საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან და აქ გამოჩენას იწყებს გრაფიკული ორნამენტით შემკული ბრინჯაოს ნივთები.

კოლხეთის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, მისი ზღვისპირა ზოლი, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე კარგად ათვისებული ჩანს. ეს ერთ-ერთი ის მხარე იყო, სადაც კოლხური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. აქედან კარგადაა ცნობილი ამ კულტურის ადრეული განძები და ფართოდაა გავრცელებული კოლხური ცულის პროტოტიპად მიჩნეული ცული. გაგრასთან აღმოჩნდა განძი, რომელიც მხოლოდ ამ ტიპის ცულებისაგან შედგებოდა.[4] ლეჩქოფის განძში ამგვარი ცული ყუამილიან-ყუადაქანებულ ცულთან ერთად იდო.[5] ზოგიერთ

---

1 ჯალაბაძე გ., მემინდვრეობა სვანეთში, თბილისი, 1970, გვ. 12.

2 Чартолани Ш. Г., Сванети в эпоху бронзы, გვ. 19.

3 იქვე, გვ. 14.

4 Иессен А. А., Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века, МИА, №23, М.–Л., 1951.

5 რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974, გვ. 49.

განძში ეს ცულები კოლხურ ცულებთან ერთად აღმოჩნდა (ლიხნის, ბიჭვინთის და სოხუმის მთის განძები). კოლხური ცულის პროტოტიპი ნაპოვნია აგრეთვე პილენკოვოში და ეშერაში. კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ადრეული განძები ძირითადად კოლხური ცულებისა და მათი პროტოტიპებისაგან შედგებოდა. მხოლოდ ორ განძში (ბიჭვინთისა და ლიხნის) აღნიშნული ცულების გარდა ნაპოვნი იყო ამ დროს ყუბანისპირეთში გავრცელებული ცულები – შედარებით მოკლე და ფართო ტანით. როგორც ჩანს, კოლხური კულტურის ადრინდელ საფეხურზე, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში, ჯერ კიდევ გარკვეული ურთიერთობა იყო კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მხარესთან. ნაპოვნია კოლხური ცულების ადრეული ვარიანტები ყუბანისპირეთშიც. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურქართული კულტურის წარმოქმნის ხანაში შეინიშნება გარკვეული თავისებურება. აქ კოლხური ცულის პროტოტიპს, სამხრეთით გავრცელებული ამ ტიპის ცულებისაგან განსხვავებით, ოვალურის ნაცვლად მრგვალი სატარე ხვრელი აქვს. გარკვეული სხვაობა შეინიშნება თვით კოლხურ ცულშიც. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გავრცელებული ადრეული ტიპი კოლხური ცულისა უფრო მასიურია და ტლანქი, ზოგჯერ ყუაკვერიანი; ამგვარი ცულები კოლხეთის სამხრეთ ნაწილში შედარებით იშვიათია. მათ რამდენადმე უახლოვდება კოლხეთის შიდა მხარეებში (რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, იმერეთში და სხვ.) ნაპოვნი თითო-ოროლა ცული, მასიური, ორფერდა ყუით. როგორც ჩანს, ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი გვიანბრინჯაოს ადრეულ ხანაში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. შესაძლოა ამის ერთ-ერთი მიზეზი ამ მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებაც (კავკასიონის კალთების საკმაოდ ახლო მდებარეობა ზღვისპირა ზოლთან) იყო და ისიც, რომ იგი ჯერ კიდევ ყუბანისპირეთის კულტურის გარკვეულ გავლენას განიცდიდა. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კოლხური კულტურის ჩამოყალიბების შემდეგ საზოგადოების განვითარება, სამხრეთ-დასავლეთ მხარესთან შედარებით, უფრო ნელი ტემპით წარიმართა და მისი დაწინაურება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან და I ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან – კოლხური კულტურის ფართოდ განფენისა და აყვავების პერიოდში იწყება.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში სათანადოდ ვერ მოიკიდა ფეხი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელმა ზოგიერთმა სამეურნეო იარაღმა. – სადღეისოდ შემთხვევით ნაპოვნი მხოლოდ რამდენიმე თოხია ცნობილი,[1] ისიც უპირატესად ამ მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კოლხეთის ბარში. არ გვხვდება აქ წალდი, ნამგალი და ბრტყელი ცული. შედარებით უკეთაა წარმოდგენილი სეგმენტისებრი იარაღი. ამ ტიპის ერთი იარაღი სოხუმის განძში იყო ნაპოვნი.[2] სოხუმში აღმოჩნდა სეგმენტისებრი იარაღისაგან შემდგარი განძი.[3] ეს იარაღი ამ მხარეში კოლხური კულტურის საკმაოდ გვიანდელ საფეხურამდე შემორჩა. რამდენიმე სეგმენტისებრი იარაღი აღმოჩნდა გვიანდელ განძში ჭუბურისხინჯიდან. სოხუმში, გვადიხუს სამაროვნის მოგვიანო სამარხებში ნაპოვნი იყო ამ ტიპის იარაღი.[4] კოლხეთის ამ ნაწილში უპირატესად სეგმენტისებრი იარაღის მოზრდილი ცალები გვხვდება. სხვა ვარიანტე-

1 რამიშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 59.
2 კალანდაძე ა., სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1953, გვ. 22.
3 Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 126.
4 Трапш М. М., Памятники колхидской и скифской культур в селе Куланурхва Абхазской АССР, Сухуми, 1962, გვ. 11.

ბი ამ იარაღისა აქ თითქმის ცნობილი არ არის. სეგმენტისებრი იარაღი უმთავრესად კოლხეთის დაბლობთან მოსაზღვრე მხარეში გვხვდება. შესაძლოა, სოფლის მეურნეობისათვის ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ერთგვარად განსხვავებული პირობები არსებობდა და საახოე მიწათმოქმედება აქ სათანადოდ ვერ გავრცელდა. ამიტომაა, ეგებ, რომ კოლხურმა სამიწათმოქმედო იარაღმა ფეხი ვერ მოიკიდა. შესაძლოა, აქ მიწათმოქმედებასთან შედარებით მეურნეობაში უფრო მესაქონლეობა იყო წამოწეული. ესეც, ეგებ, ყუბანისპირეთის გავლენის შედეგი იყო, სადაც მაიკოპის კულტურის დროიდან მესაქონლეობა საკმაოდ განვითარებული იყო. შესაძლოა, ეს იყო ძირითადი მიზეზი, რომელმაც რამდენადმე შეაფერხა აქ კოლხური კულტურის განვითარების ტემპები სამხრეთთან შედარებით, სადაც მეურნეობა ამ ხანებში მიწათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული.

კოლხური კულტურის გავრცელების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მეტალურგული წარმოების ადგილობრივი კერა უნდა არსებულიყო. მდ. კოდორის ზემო წელზე სპილენძის საბადოების ძველი გამონამუშევრების ნაკვალევია მიკვლეული.[1] განსაკუთრებით აღსანიშნავია სოხუმის მთის მიდამოებში მიკვლეული სპილენძის მადნის გამოსადნობი ღუმლის ნაშთი და ლითონის ჩამოსასხმელი სახელოსნო, სადაც სპილენძის მიღებასთან ერთად ლითონის მზა პროდუქციაც მზადდებოდა.[2]

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, კარგადაა წარმოდგენილი კოლხური კულტურის ფართოდ განფენისა და მისი გაფურჩქვნის დროინდელი მასალები, შემთხვევით აღმოჩენილი თუ გათხრების შედეგად მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ სწორედ აქაური მასალების საფუძველზე გახდა შესაძლებელი თავის დროზე გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის გამოყოფა, რომელსაც ბევრი საერთო ჰქონდა მანამდე ცნობილ ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ყობანის კულტურასთან.[3] ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან და I ათასწლეულის დამდეგიდან ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში საგრძნობლად იზრდება კულტურის საერთო დონე. ეს არის კოლხური კულტურის აყვავებისა და მისი ფართოდ გავრცელების ხანა. ჩანს, ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი ამ პროცესში გარკვეულ მონაწილეობას იღებდა. ამ პერიოდში თითქმის აღარ გვხვდება ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძები; აღმოჩენილია და შესწავლილი ამ დროის სამაროვნები – ქვემო ეშერაში, ყულანურხვაში, სოხუმში და სხვ. კოლხური კულტურის აყვავების ხანაში აქ ძირითადად გავრცელებული იყო დაკრძალვის ორი წესი: მიცვალებულის დამარხვა მოზრდილ თიხის ჭურჭელში და ორმოსამარხებში, სადაც მიცვალებულები უპირატესად ზურგზე იწვნენ. თიხის ჭურჭელში დაკრძალვის წესი ამ დროს კოლხური კულტურის გავრცელების არც ერთ სხვა მხარეში არ გვხვდება და არც კავკასიის სხვა რომელიმე კულტურაშია ცნობილი.

კოლხური კულტურის აყვავების ხანაში, აქ, ისევე როგორც სხვა მხარეებში, ვრცელდება კოხტა და მსუბუქი კოლხური ცული, ხშირად შესანიშნავად შემკული გრაფიკული ორნამენტით. გუდაუთაში ნაპოვნია ტანში ორგზის მოხრილი ერთი ცული. ბრინჯაოსტარიანი კოლხური ცული ცნობილია მხოლოდ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ერთი კოლხური ცული ბრინჯაოს ტარით ნაპოვნი იყო ეშერის

1 Чартолани Ш. Г., დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

2 კალანდაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

3 Иващенко М. М., Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, Тб., 1935, გვ. 51.

ერთ-ერთი თიხის ურნაში,[1] მეორე – ყულანურხვას სამაროვნის ერთ სამარხში[2] და ერთიც შემთხვევით აღმოჩნდა გუდაუთაში. მის ყუაზე მოთავსებულია ცხენის სამი ქანდაკება.[3] ყულანურხვას ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნ კოლხურ ცულს ძაღლის სკულპტურული გამოსახულება ამკობს. კოლხური ცულისთვის საერთოდ პლასტიკური სამკაული დამახასიათებელი არ არის. პერევის განძში ნაპოვნი ერთ-ერთი ცულის ყუაზე ცხოველის მწოლიარე ფიგურაა გამოხატული.[4] მსგავსი გამოსახულება ცულის ყუაზე ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან. კოლხური ცული, ხარის საკმაოდ რეალისტური ფიგურით ყუაზე, აღმოჩნდა შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში, ოჟორას სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში.[5] აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში კოლხური ცული საკმაოდ გვიანობამდე შემორჩა და მათ ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებში რკინით მდიდარ კომპლექსებში ვხვდებით.[6]

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მის სხვა კუთხეებთან შედარებით, უკეთაა წარმოდგენილი ბრინჯაოს საომარი იარაღი, ალბათ, იმის გამო, რომ აქ ამ პერიოდის სამარხები კარგადაა ცნობილი. აქაც უპირატესად შუბის- და სატევრისპირი გვხვდება. როგორც ჩანს, ამ იარაღებმაც აქ საკმაოდ დიდხანს შემოინახეს თავი, თითქმის კოლხური კულტურის დასასრულამდე. შუბისპირები გრძელი, გახსნილი მასრითაა, ალისებრი ან უფრო ფოთლისებრი პირით. ამავე დროს აქ გვხვდება რამდენადმე თავისებური ფორმა ვიწრო, გრძელი, გახსნილი მასრით და შედარებით მოკლე სამკუთხა მოყვანილობის პირით. ასეთი ტიპის შუბისპირები კოლხეთში სხვაგან არ გვხვდება.[7] კარგადაა ცნობილი აგრეთვე ბრინჯაოს სატევრისპირები, უპირატესად კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი გრძელი, სწორი პირით, სქელი, ფართო ქედით და მაღალი ვიწრო ყუნწით.

უფრო მეტ თავისებურებას იჩენს ამ მხარეში მოპოვებული ბრინჯაოს სამკაული. აქ ზოგი ისეთი ფორმა გვხვდება, რომელიც სხვაგან უცნობია. არ გავრცელდა კოლხეთის სხვა კუთხეში და არც ჩრდილო-კავკასიაში ცილინდრული მოყვანილობის სამაჯური, ოთხი მკვეთრი წიბურით, ნაპოვნი ეშერისა და ყულანურხვას სამაროვნებზე.[8] თავისებურია აგრეთვე აქ გავრცელებული მოზრდილი ბიკონუსური მძივები, რომლებსაც უკვე წინარე ხანაში ვხვდებით.[9] აქვე ნაპოვნია ბრინჯაოს ფუტური, საწვივე რგოლები, რომლებიც სხვაგან კავკასიაში არ გვხვდება. ფართოდ ვრცელდება ამ მხარეში ბრინჯაოს ვიწრო სარტყლები ბალთით, რომელსაც შუაზე ცხოველის თავის გამოსახულება აქვს, მაღალი კისრით. მსგავსი ბალთიანი სარტყლები სხვაგან ჯერჯერობით უცნობია. აქვე გავრცელებულ კონუსისებრ სამკაულს ზოგჯერ ასეთივე

---

1 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1949, გვ. 155.
2 Трапш М. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 29.
3 Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии, Труды отдела истории первобытной культуры Гос. Эрмитража. т. I, Л., 1941, გვ. 49.
4 ქორიძე დ., მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რ-ნი), თბილისი, 1961, გვ. 38.
5 ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოჟორაში, თსუ შრომები, ტ. 65, თბილისი, 1957, გვ. 196.
6 Трапш М. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 37.
7 Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 140..
8 Трапш М. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 62.
9 Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

ცხოველის გამოსახულება ამკობს.[1] ასეთ სამკაულს ზოგჯერ ცხვრის, ძაღლის, ხარის ან ფრინველის გამოსახულება აზის.[2] ზოგიერთ მათგანს კონუსის თავი ორკაპა აქვს, ცხოველის გამოსახულებით. მსგავსი სამკაული ცხოველის გამოსახულებით სხვაგან ცნობილი არ არის. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გავრცელებული იყო სამკაულის ისეთი ტიპები, რომლებიც დამახასიათებელი იყო საერთოდ კოლხური კულტურისათვის – ბოლოებდახვეული მასიური გრივნები, სპირალურბოლოებიანი ბრტყელი სამაჯურები, მოზრდილი კავები, ფიბულები და სხვ. ჯერჯერობით გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება კერამიკის თავისებურების შესახებ, ვინაიდან თიხის ჭურჭელი ამ მხარიდან საერთოდ ნაკლებადაა ცნობილი და არც სამარხებშია მაინცდამაინც წარმოდგენილი. ყულანურხვას სამაროვანზე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებია ნაპოვნი.[3] სოხუმის მთის სამარხებში რამდენიმე ჭურჭელი აღმოჩნდა,[4] ეშერის ურნებში კი კერამიკა საერთოდ არ გვხვდება.[5]

ამრიგად, როგორც ჩანს, კოლხური კულტურის გავრცელების უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კოლხური კულტურის აყვავების ხანაში, მისი გარკვეულად ლოკალური ვარიანტი ჩამოყალიბდა, თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, რომელიც კარგად შეინიშნება ბრინჯაოს საჭურველ-იარაღზე, განსაკუთრებით კი სამკაულში. აქ გვხვდება ისეთი სახის ბრინჯაოს სამკაული, რომელიც მხოლოდ ამ მხარისთვისაა დამახასიათებელი. ჯერჯერობით ძნელია გარკვევით თქმა, თუ რამ განაპირობა კოლხეთის ამ მხარეში მკვეთრად ჩამოყალიბებული ლოკალური ვარიანტის წარმოქმნა. ამის მიზეზი შესაძლოა, ერთი მხრივ, ბუნებრივი გარემოც იყო, რომელმაც განსაზღვრა აქ მოსახლე ტომების მეურნეობის ხასიათი, რომელიც უფრო მესაქონლეობაზე იყო დაფუძნებული. ამის ანარეკლი უნდა იყოს თითქოს ის, რომ აქ შედარებით უფრო ხშირად გვხვდება ცხოველის ქანდაკებები და ხშირად ცხოველის გამოსახულებებით შემკულია სწორედ ის ნივთები, რომლებიც ამ ლოკალური ვარიანტისათვისაა დამახასიათებელი. ბუნებრივმა პირობებმა, მეურნეობის ხასიათმა გარკვეული გავლენა იქონია ადგილობრივი მოსახლეობის ტანსაცმლის ელემენტებზე და გარეგნულ მორთულობაზე, რამაც განსაზღვრა აქაური სამკაულის თავისებურება. შესაძლოა, რომ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში სპეციფიკური, ლოკალური ხასიათის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ეს მხარე შედარებით დაშორებული იყო კოლხური კულტურის ძირითად ცენტრს და სამხრეთთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების რაღაც შემაფერხებელი გარემოება არსებობდა. კულტურის თავისებურებაზე, ალბათ, გარკვეულ გავლენას ახდენდა, აგრეთვე, კონტაქტი მეზობელ მხარეებთან. ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კოლხური კულტურისა გადიოდა სოჭსა და ბზიფს შორის, სადაც იგი ესაზღვრებოდა ყუბანისპირეთის კულტურას. ამ დროისათვის ყუბანისპირეთის კულტურა შედარებით სუსტი იყო, და ყობანის კულტურის გარკვეულ ზეგავლენას განიცდიდა. აქედან ყობანის კულტურას ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში უნდა შემოეღწია, სადაც კარგად შეინიშნება ამ კულტურის გავლენა.

---

1 ჯაფარიძე ო., დოლმენური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 77, თბილისი, 1953, გვ. 86.
2 Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 152.
3 Трапш М. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 28.
4 კალანდაძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 25.
5 Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

კოლხური კულტურის გავრცელება მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი არ შემოიფარგლება. ამ კულტურის სფეროში შემოდიოდა მესხეთის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა სამხრეთ კოლხეთის ერთ-ერთ წამყვან ცენტრს, ჭოროხის აუზს, და მის საკმაოდ ძლიერ გავლენას განიცდიდა. მესხეთის ტერიტორიაზე კარგადაა ცნობილი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ხასიათის ნივთები – ცული, თოხი და სეგმენტისებრი იარაღი. კოლხური ცულებიდან აქ თითქმის ყველა ვარიანტი გვხვდება, გარდა წელში ორმხრივ მოხრილი ტიპისა. აღსანიშნავია სოფ. თელოვანში აღმოჩენილი კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ლითონის ყალიბი, რომელიც კარგად ერგება სოფ. მიტარბაში ნაპოვნ ცულს.[1] ამ ყალიბს უშუალოდ ცულის ჩამოსასხმელად იყენებდნენ თუ უფრო ცვილის მოდელის დასამზადებლად,[2] ამის დაზუსტებით თქმა ძნელია, მაგრამ იმას კი მოწმობს, რომ კოლხური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნივთი, ცული ადგილობრივ მზადდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ადიგენის რაიონში სოფ. უდესთან ნაპოვნი საბრძოლო იარაღებისა და სამკაულებისაგან შემდგარი დიდი განძი, რომელშიც თითქოს კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები ჭარბობს.[3] აქ ოთხი კოლხური ცული აღმოჩნდა: ორი – მახვილი ყუით, – ორიც ყუაკვერიანი, დამახასიათებელი ჭოროხის საწარმოო ცენტრისათვის. შუბისპირები კოლხურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული ტიპისაა, გრძელი, გახსნილი მასრით, ზოგჯერ გრავირებული ორნამენტით შემკული. სამკაულიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ფართო სარტყლები და მოზრდილი სწორკუთხა ბალთები, ზოგჯერ რკინით ან პასტით ინკრუსტირებული. მსგავსი ბალთები კარგადაა ცნობილი ცენტრალური კავკასიის ორივე მხარეს, თლისა და ბრილის სამაროვნებზე და ყობანის კულტურაში. კოლხეთში ინკრუსტირებული სწორკუთხა, მოზრდილი ბალთა ვანშია აღმოჩენილი. დიდი ზომის ბრინჯაოს ჩქიფები, გრავირებული ორნამენტით შემკული, კარგადაა ცნობილი გვიანბრინჯაოს ხანაში ამიერკავკასიაში და ცენტრალური კავკასიის კულტურაში. აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელ ნივთთაგან შეიძლება აღვნიშნოთ გრძელყუნწიანი ისრისპირები, გრძელი საკინძები და სხვ. უდეს განძში რამდენიმე რკინის ნივთი აღმოჩნდა – მასრაგახსნილი შუბისპირი, ფოთლისებრი სატევრისპირი და ლახტისთავი. რკინის ნივთები აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ბრინჯაოს ნივთების მინაბაძია.

გვიანბრინჯაოს ხანაში კვლავ აღსდგა თრიალეთური კულტურის დროს შეწყვეტილი ურთიერთობა საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის და ჩანს, რომ ამაში განსაკუთრებული როლი კოლხურ კულტურას უნდა მიეწეროს. შიდა ქართლი, განსაკუთრებით მისი ჩრდილო ზოლი კოლხური კულტურის დიდი გავლენის ქვეშაა. თრიალეთის კულტურის დაცემის შემდეგ შიდა ქართლში, რომლის გავრცელების სფეროში იგი შედიოდა, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან თავისებური კულტურა ვრცელდება, რომელიც კოლხური კულტურის ზეგავლენას განიცდის. ურთიერთობა მათ შორის ამ ხანაში, ჩანს, საკმაოდ მჭიდრო იყო და კოლ-

---

1 ნიორაძე გ., არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII–B, თბილისი, 1944, გვ. 194.

2 Куфтин Б., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII–B, თბილისი, 1944, გვ. 337.

3 ჯავახიშვილი ა., ჩუბინაშვილი ტ., უდეს განძი, საბჭოთა ხელოვნება, №4, თბილისი, 1959, გვ.60.

ხეთშიც შიდა ქართული ელემენტი ვრცელდება, განსაკუთრებით საბრძოლო იარაღი – შუბის- და სატევრისპირები. მაგრამ, კოლხური გავლენა მაინც უფრო ჩანს და თითქმის მთელ შიდა ქართლს მოიცავდა. აქ კარგადაა ცნობილი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სამეურნეო იარაღი – თოხი და სეგმენტისებრი იარაღი, კოლხური ცულის თითქმის ყველა ვარიანტი. უფრო ღრმად, აღმოსავლეთ საქართველოში – კახეთში და ქვემო ქართლის ბარში კოლხური კულტურის ელემენტი ნაკლებად აღწევს. თრიალეთში, კოლხეთისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნივთია აღმოჩენილი, რომლებიც აქ, ჩანს, შიდა ქართლიდან ვრცელდებიან.[1] კოლხური კულტურის ნაკვალევი ამიერკავკასიაში საკმაოდ შორს ჩანს. კოლხური ცული, რკინის ინკრუსტირებულ ბალთასთან, აღმოსავლეთამიერკავკასიურ ცულთან და შუბისპირთან ერთად აღმოჩნდა სოფ. ვართაშენში, ნუხის მხარეში.[2] კოლხური ელემენტი ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთ სომხეთში.[3]

შიდა ქართლში, მის ცენტრალურ ნაწილში, კარგადაა წარმოდგენილი კოლხური ცულები. მათ ვხვდებით სასირეთისა და ახალქალაქის განძებში, სოფ. აბანოსთან და ხევში (გორის რ-ნი), სოფ. გოსტიბეში და ცხირეთში (კასპის რ-ნი) და სხვ. კოლხური ცულები აღმოჩნდა ქსნისა და არაგვის ხეობაში სოფ. საძიგურში, ფასანაურში და ჩაბარუხის განძში და სხვ. ცნობილია აგრეთვე კოლხური სასოფლო-სამეურნეო იარაღი. თოხები ნაპოვნია სოფ. მოხისში და ხანდაკში (კასპის რ-ნი), კოდისწყაროში და შუახევის განძში (დუშეთის რ-ნი)[4] და სხვ. აღსანიშნავია ურბნისის სამაროვნის საკმაოდ მდიდარი სამარხის ერთ-ერთ ჭურჭელში შუბისპირის ნატეხებთან და ზოდთან ერთად ნაპოვნი ოთხი სეგმენტისებრი იარაღი.[5] ერთი პატარა სეგმენტისებრი იარაღი აღმოჩნდა ხოვლეგორის ადრინდელ ფენაში.[6] დასავლურქართული კულტურის გავლენა კერამიკაშიც შეინიშნება. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ხოვლეგორის ადრინდელი ფენის თიხის ჭურჭელში, სადაც ტიპური შიდაქართლური კერამიკის გვერდით კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელიც აღმოჩნდა.[7]

მაგრამ, კოლხური კულტურის განსაკუთრებით ძლიერი გავლენა იგრძნობა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთს, ზემო იმერეთს და რაჭას. როგორც ჩანს, კონტაქტი ძირითადად აქედან ხორციელდებოდა და ამიტომაცაა, რომ შიდა ქართლის ამ ზოლში უპირატესად ისეთი ნივთები გვხვდება, რომლებიც კოლხეთის ამ მხარისთვისაა დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ მხოლოდ ცხინვალის განძშია ნაპოვნი კომბინირებული იარაღი – ცულნამგალა, მსგავსი ოყურეშის განძის ამგვარივე იარაღისა.[8] წოისის განძში ისეთივე ფართო, მასიური, ბრტყელი, თავგახსნილი რგოლებია ნაპოვნი, როგორიც ოყურეშის და პერევის განძებში. სოფ. ხვწედან ცნობილია ისეთივე

---

1 Куфтин Б. А., Археологичесие раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 68.
2 Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 143.
3 Мартиросян А. А., О древнем поселении около Ленинакана, Изв. АН Арм. ССР, №10. Ереван, 1952, გვ. 92.
4 ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, გვ. 193.
5 ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 104.
6 მუსხელიშვილი დ., ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბილისი, 1978, გვ.15.
7 იქვე, გვ. 87.
8 ჯაფარიძე ო., ცხინვალის განძი, საქ. სახ. მუზ. მოამბე, ტ. XVI–B, თბილისი, 1950, გვ. 102.

გრივნა, როგორიც ოყურეშის განძშია. თლის სამაროვანზე აღმოჩნდა კოლხური ტიპის კოტებიანი ბრტყელი ცული.

შიდა ქართლის ამ კუთხეში კარგადაა წარმოდგენილი კოლხური ცულის ყველა ვარიანტი. კოლხური ცულები აღმოჩნდა ცხინვალისა და ნოისის განძებში, სოფ. ნულში და სხვ. თლის სამარხებში მრავლადაა ამ ტიპის ცულების კოხტა, მსუბუქი ცალები, რომელთა უმრავლესობა შესანიშნავადაა ორნამენტირებული.[1] შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში ცნობილია კოლხური სამეურნეო იარაღიც – თოხი, სეგმენტისებრი იარაღი და ნამგალი. თლის სამაროვნის სამარხებში[2] აღმოჩნდა თოხი და სეგმენტისებრი იარაღი. მსგავსება ჩანს, აგრეთვე, საბრძოლო იარაღშიც. აქაც გავრცელებული იყო გრძელი, მასრაგახსნილი შუბისპირები და ყუნწიანი სატევრისპირები, მკვეთრი შესქელებული შუაქედით, ფოთლისებრი მოყვანილობის.[3] გარკვეული სიახლოვე შეინიშნება აგრეთვე კერამიკაშიც. ცხინვალის ნაცარგორაზე, ზედა ხვწეში და სხვ. აღმოჩნდა ისეთი თიხის ჭურჭელი, რომელიც კოლხური კერამიკის მსგავსია.[4] მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კუთხე კოლხური კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის, იგი მაინც უფრო შიდა ქართლში ამ დროს გავრცელებული კულტურის სფეროში შედის[5] და გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან იგი ამ ორი კულტურის შეხვედრის არეა, რის შედეგადაც შიდა ქართლში კოლხური კულტურის ელემენტები ვრცელდება, კოლხეთში კი შიდა ქართლის გარკვეული ზეგავლენა შეინიშნება.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან შიდა ქართლში მომძლავრებას იწყებს აღმოსავლურქართული კულტურა. სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღ-საჭურველი – ამიერკავკასიური ცული, მახვილი, სატევრისპირი, მასრაშეკრული შუბისპირი და სხვ. ამ პერიოდში თანდათანობით სუსტდება კოლხური კულტურის გავლენა; აქ ჩნდება შერეული ხასიათის კომპლექსები, ორივე კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები, იგრძნობა აღმოსავლურქართული კულტურის ძლიერი გავლენა. ახალქალაქის განძში 14 ამიერკავკასიურ ცულთან ერთად, სამი კოლხური ცულია.[6] ცხინვალის განძში ხუთი კოლხური ცული აღმოჩნდა (მისი ყველა ვარიანტი), ერთი ცულნამგალა, მაგრამ უფრო მეტად აღმოსავლურქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები ჭარბობს.[7] სასირეთის განძში ერთი კოლხური ცულია, სხვა ნივთები კი აღმოსავლურქართული კულტურისაა და სხვ.[8] შერეული ხასიათის კომპლექსები ამ დროის კოლხური კულტურის გავლენის ქვეშ მოქცეულ სხვა მხარეებშიც გვხვდება. ყარსის მხარეში, მეხჩის ციხესთან ნაპოვნი განძი აღმოსავლურქართული და კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთებისაგან შედგებოდა.[9]

---

1 Техов Б. В., Центральный Кавказ в XVI–X вв. до н. э., М., 1977, გვ. 81.
2 იქვე, გვ. 32, 113.
3 ჯაფარიძე ო., მასალები გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის შიდა ქართლიდან, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1966, გვ. 15.
4 Куфтин Б. А., Археологичкеская маршрутная экспедиция в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, გვ. 62.
5 ჯაფარიძე ო., დასახ. ნაშრომი, გვ. 25.
6 Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 142.
7 ჯაფარიძე ო., ცხინვალის განძი, გვ. 99.
8 Nioradze G., Der Verwahrfund von Kwemo-Sasirethi, ESA, VII, Helsinki, 1932, გვ. 97.
9 Иессен А. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

შიდა ქართლიდან, მის ჩრდილო ზოლიდან ვრცელდება ამ ხანაში აღმოსავლურქართული ელემენტი კოლხურ კულტურაში, მაგრამ მისი გავლენა აქ მაინცდამაინც ძლიერი არ იყო. კოლხურ კულტურაში უფრო ხშირად ამიერკავკასიური ცული გვხვდება. სხვა იარაღები – მახვილი, მასრაშეკრული შუბისპირი, სატევრისპირები, ისრისპირები და სხვ. კოლხურ კულტურაში თითქმის არ გავრცელებულა. აღმოსავლური ელემენტი კოლხურ კულტურაში უპირატესად მის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში გვხვდება – რაჭა-ლეჩხუმში და ზემო იმერეთში, შიდა ქართლთან მომიჯნავე ოლქებში. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ შერეული კომპლექსებიდან ჩანს, რომ კოლხური ელემენტი აღმოსავლურქართულ კულტურაში უფრო აქტიურია. მხოლოდ ერთი განძია ნაპოვნი ხარაგაულთან სოფ. ბეჟათუბანში, რომელიც ხუთი აღმოსავლურქართული ცულისა და სამი ზოდისაგან შედგებოდა.[1] იმერეთში ერთი აღმოსავლურქართული ცული აღმოჩნდა პერევის განძში, შიდა ქართლის საზღვართან.[2] აღსანიშნავია რიონის დინების შუა წელზე, სოფ. ზემო სიმონეთში ნაპოვნი განძი, სადაც თოხებთან და სეგმენტისებრ იარაღებთან ერთად იყო ერთი ამიერკავკასიური ცული და ორი ქედაბეკური ტიპის მახვილი.[3] ეს ტიპი მახვილისა კარგადაა ცნობილი აზერბაიჯანში განჯაყარაბაღულ კულტურაში. ამ ტიპის მახვილი აღმოსავლურქართულ კულტურაში თითქმის არ გვხვდება. აქ ამ დროს გავრცელებული იყო სრულიად განსხვავებული ტიპის ბრინჯაოს მახვილი, რომელიც კოლხური კულტურისათვის ჯერჯერობით სრულიად უცხოა და შიდა ქართლში მისი გავრცელების უკიდურესი საზღვარი ახალქალაქთან (კასპის რ-ნი) გადის.[4] როგორც ჩანს, კოლხურ კულტურას გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ამიერკავკასიის სხვა კულტურებთან, სადაც მისი ელემენტები გვხვდება და კოლხური კულტურის გავლენა შედარებით უფრო ძლიერი იყო. უფრო ღრმად კოლხეთის ბარში აღმოსავლურქართული კულტურის ელემენტი თითქმის არ შეინიშნება. მისი გავლენა სადღეისოდ ყველაზე მეტად რაჭა-ლეჩხუმში ჩანს. ერთი ამიერკავკასიური ტიპის ცული შემთხვევით აღმოჩნდა რაჭაში. ღარის კოლექციაში ნაპოვნი ცული შესაძლოა კოლხური და ამიერკავკასიური ცულების შერწყმის შედეგად მიღებული ჰიბრიდული ფორმა იყოს. ამიერკავკასიური ტიპის ცული აღმოჩნდა ცაგერის განძში. აღმოსავლურქართული კულტურისათვის და საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელი ბრტყელი ცული იყო ლაილაშის განძში. აქვე ნაპოვნი იყო აღმოსავლურქართულ კულტურაში კარგად ცნობილი ღარიანი სატეხი. ამგვარი სატეხი სვანეთშიც აღმოჩნდა, საიდანაც ამიერკავკასიური ცულიცაა ცნობილი.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან კოლხური კულტურა ძლიერად იკიდებს ფეხს ცენტრალური კავკასიის სამხრეთი კალთის ზონაში. მდ. ლიახვის აუზის შუა და ზემო წელის რაიონი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს და შიდა ქართლში გავრცელებული კულტურის არეალში შედიოდა.[5] სტირფარსის კრომლეხების და თლის სამაროვნის ადრეული სამარხების მოპოვებულ მასალებს ბევრი საერთო აქვთ ამ დროის ბარში და მთისწინეთში გავრცელებულ ძეგ-

---

1 ჯაფარიძე ო., ბეჟათუბნის განძი, საქ. სახ. მუზ. მოამბე, ტ. XVI–B, თბილისი, 1950, გვ. 217.
2 ქორიძე დ., მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რ-ნი), თბილისი, 1961, გვ. 37.
3 ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კუტურაში, გვ. 182.
4 Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях... გვ. 330.
5 Техов Б. А., Стирфазский кромлех, Цхинвали, 1974, გვ. 47.

ლებთან, თუმცა უკვე გარკვეული თავისებურებებიც შეინიშნება მეურნეობის ხასიათთან დაკავშირებით. ამ ხანაში უკვე ჩანს გარკვეული კავშირი ქედს იქითა მხარეებთან.[1]

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს ცენტრალური კავკასიის ჩრდილო მხარეში წინაურდება ყობანური კულტურა, რომელიც თანდათანობით კავკასიონის სამხრეთის კალთებზე იწყებს გავრცელებას და აქ იგი კოლხურ კულტურას ხვდება. ლიახვრიონის აუზის ზემო წელი ამ დროს ამ ორი კულტურის შეხვედრის ძირითად არედ იქცა. ყობანური კულტურა აქ საკმაოდ ძლიერად იკიდებს ფეხს, რასაც, ალბათ, მეურნეობის ხასიათიც უწყობდა ხელს. ყობანის კულტურა უპირატესად მესაქონლე ტომებს ეკუთვნოდა, რომლებიც თანდათანობით კავკასიონის სამხრეთ კალთაზე გადმოდიან. ეს ის ხანაა, როდესაც კოლხური კულტურა აყვავებას განიცდის და ფართოდ ვრცელდება ცენტრალური კავკასიის სამხრეთი კალთის მთის ზოლში. აქ ყობანის კულტურა კოლხური კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის და მისი ელემენტები ფართოდ იკიდებს ფეხს ყობანის კულტურაში. კოლხური ცული ამ კულტურის ერთ-ერთი წამყვანი იარაღი ხდება. ყობანის კულტურაში ვრცელდება აგრეთვე კოლხურ კულტურაში წარმოქმნილი გრაფიკული ორნამენტი. ვერ დამკვიდრდა ყობანში კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სამეურნეო იარაღი მესაქონლეობის უპირატესი როლის გამო. ვერც ხითხუროობასთან დაკავშირებულმა იარაღმა მოიკიდა აქ ფეხი და არც საბრძოლო იარაღი – შუბისპირი გავრცელდა. აღსანიშნავია, რომ ეს იარაღი ამ დროს არც თლისა და ბრილის სამაროვნებზე შეინიშნება მაინცდამაინც, მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ხანაში იგი ერთ-ერთი წამყვანი იარაღი იყო.[2] ყობანის კულტურაში სულ რამდენიმე შუბისპირი აღმოჩნდა, რომლებიც ამიერკავკასიაში გავრცელებულ ამგვარივე იარაღს უახლოვდებიან.[3] სამაგიეროდ, კარგადაა წარმოდგენილი სატევრისპირები და ადგილობრივ ჩამოყალიბებული ტიპების გვერდით გვხვდება ისეთი იარაღიც, რომელიც კოლხურ კულტურასთან პოულობს ბევრ საერთოს.

განსაკუთრებით ფართოდ ყობანის კულტურაში კოლხური ცული გავრცელდა და აქ მისი ყველა ძირითადი ტიპი გვხვდება. აქ უპირატესად კოხტა, მსუბუქი ცულებია წარმოდგენილი და უფრო ტლანქი და უხეში ცალები თითქმის არ შეინიშნება. ადრეულ სამარხებში გვხვდება ტანში ორად მოხრილი ვარიანტი კოლხური ცულისა, რომელსაც ყობანის კულტურისათვის დამახასიათებელ ტიპად თვლიან.[4] იგი, როგორც აღინიშნა, კოლხეთში შედარებით იშვიათია და ისიც უპირატესად რაჭა-ლეჩხუმში აღმოჩნდა. ამ ვარიანტის კოლხური ცულები დიდი რაოდენობით გვხვდება თლისა და ბრილის სამაროვნებზე. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს ცულები მდიდრულადაა ორნამენტირებული. კარგადაა ცნობილი ყობანის კულტურაში კოლხური ცულები დაწახნაგებული ყუით, რომლებიც ხშირად შესანიშნავადაა შემკული. შედარებით იშვიათად გვხვდება ყობანში კოლხეთში ყველაზე გავრცელებული ტიპი მახვილყუიანი კოლხური ცულისა. როგორც ჩანს, კოლხური ცული ყობანის კულტურაში სამხრეთიდან შედის და ძირითადად მკვიდრდება დაწახნაგებულყუიანი ცული. შემდეგში ეს ცული დაედო, ალბათ, საფუძვლად ტანმრუდე ვარიანტს. შესაძლოა, რომ

1 Техов Б. А., Стирфазский кромлех, Цхинвали, 1974, გვ. 47.
2 Техов Б. В., Центгральный Кавказ в XVI–X вв. до н. э., გვ. 80.
3 Крупнов Е. И., Древнейшая история Северного Кавказа, М., 1960, გვ. 100.
4 იქვე, გვ. 26.

მოხრილტანიანი ცული კოლხურ-ყობანური კულტურების შეხვედრების არეალში ჩამოყალიბდა, კავკასიონის სამხრეთ ფერდზე და შემდეგ უფრო ფართოდ გავრცელდა ყობანში. თლის სამაროვნისათვის, რომელიც ამ ორი კულტურის შეხვედრის ერთერთ ძირითად არეში მდებარეობდა, ორმხრივ ტანში მოხრილი ცული, ყუადაწახნაგებულ კოლხურ ცულთან ერთად, ყველაზე გავრცელებული ტიპია. აღსანიშნავია, რომ აქ აღმოჩენილი ორმოცდაათი ცულიდან მხოლოდ ოთხია მახვილყუიანი.[1]

კოლხურმა კულტურამ ყობანის კულტურის შედარებით სუსტი გავლენა განიცადა: ყველაზე მეტად ეს გამოიხატა სამკაულებსა და ტანსაცმელთან დაკავშირებულ ნივთებზე. კოლხური კულტურის გავრცელების მთიან ზოლში იკიდებს ფეხს ძირითადად ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონის ნაწარმი, უპირატესად ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: ქინძისთავები, ბალთები, სპირალურბოლოიანი სამაჯურები, სხვადასხვა საკიდი (განსაკუთრებით ცხოველთა გამოსახულებით) და სხვ.

როგორც ჩანს, კოლხურ კულტურასთან ურთიერთობის შედეგად ამ დროს ყობანში რკინა შემოდის. ადრეყობანურ კომპლექსებში რკინა ჯერ კიდევ იშვიათად გვხვდება. უპირატესად წარმოდგენილია რკინით ინკრუსტირებული ბრინჯაოს ნივთები.[2] რკინითაა შემკული ყობანში ნაპოვნი ტანში მოხრილი ცულები და სწორკუთხა ბალთები.[3] ძვ. წ. II–I ათასწლეულების მიჯნა ყობანის კულტურის აყვავების დასაწყისია. ბრინჯაოს მეტალურგია აქ განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს, რაც ერთგვარად აფერხებდა რკინის გავრცელებას და მას უპირატესად ბრინჯაოს ნივთების შესამკობად იყენებდნენ.[4] მთიან კოლხეთში რკინა შედარებით გვიან ვრცელდება. თლის სამაროვნის მაგალითზე ჩანს, რომ რკინა აქ პირველად ძვ. წ. XI–X საუკუნეების სამარხებში გვხვდება.

საკმაოდ ადრე ეცნობიან რკინას კოლხური კულტურის მატარებელი ტომები. ადრეულ განძებში ვხვდებით რკინის პირველ იარაღებს, რომლებსაც უკვე საკმაოდ დასრულებული ფორმა აქვთ. ზენითის განძში ბრინჯაოს ნივთებთან ერთად, რამდენიმე რკინის იარაღი აღმოჩნდა.[5] უდეს განძში ხუთი რკინის იარაღი იდო – შუბისპირები და სატევრისპირები, საკინძი და ლახტისთავი. ბრინჯაოს ინდუსტრიის მაღალმა დონემ კოლხეთში, შესაძლოა, რამდენადმე დააყოვნა რკინის ფართო ათვისება, მაგრამ შემდგომში რკინა აქ საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს. რკინის პირველი ნივთები, მართალია, ბრინჯაოს იარაღის ცნობილ ფორმებს იმეორებდა, მაგრამ ისინი უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული სახისაა. ლითონის დამუშავებაში არსებულმა დიდმა ტრადიციულმა ცოდნამ გააადვილა, ალბათ, რკინის წარმოების ათვისება. კოლხეთისათვის არ არის დამახასიათებელი რკინის სამკაული და არც რკინით ინკრუსტირებული ნივთები.[6] თითო-ოროლა რკინით ინკრუსტირებული ბალთა აქ ყობანის კულტურასთან ურთიერთობის შედეგად უნდა გავრცელებულიყო, სადაც, პირიქით, რკინა პირველად ბრინჯაოს ნივთების შესამკობად გამოიყენებოდა. კოლხეთში იმ-

---

1 Техов Б. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 81.
2 Крупнов Е. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 107.
3 იქვე, გვ. 323.
4 იქვე, გვ. 322.
5 რამიშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 22.
6 აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. სახ. მუზ. მოამბე, ტ. XXII–B, თბილისი, 1961, გვ. 351.

თავითვე რკინის უკვე საკმაოდ დასრულებული ფორმის იარაღი ვრცელდება. კავკასიის მთიანეთში, ჩანს, რკინა საერთოდ რამდენადმე გვიან შედის.[1]

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან კოლხეთის ბარსა და მთისწინეთში რკინის წარმოება განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. ამ პერიოდიდან კარგადაა ცნობილი რკინის სადნობი სახელოსნოები. რკინის წარმოების ერთ-ერთი წამყვანი კერა სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში უნდა არსებულიყო.[2] რკინის ნედლეულის ძირითადი ბაზა აქ, ჩანს, შავიზღვისპირეთის მაგნეტიტური სილებით მდიდარი საბადოები უნდა ყოფილიყო[3] და შესაძლოა, რომ აქ ისახება პირველად რკინის წარმოება ძველ კოლხეთში, ეგებ, სამხრეთის ქვეყნებთან ურთიერთობის შედეგად. რკინის წარმოება ვრცელდება უფრო ჩრდილოეთითაც, კოლხეთის შიდა მხარეებში. აქ გამოვლენილია ძვ. წ. X–IX საუკუნეების რკინის გადასამუშავებელი სახელოსნოს ნაშთები, რომლებიც, ჩანს, მადნეულით უპირატესად მთის ზონიდან მარაგდებოდნენ.[4]

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყის ხანებში კოლხური კულტურა თავისი განვითარების უმაღლეს სტადიას აღწევს. სწორედ ამ დროიდან ბრინჯაოს მეტალურგიის მხარდამხარ თანდათანობით ფეხს იკიდებს რკინის ინდუსტრია. ბრინჯაოს აქ ჯერ კიდევ მონინავე მდგომარეობა უკავია, მაგრამ რკინის შემოსვლამ კოლხური კულტურის აყვავებაზე იქონია გარკვეული გავლენა. ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია აქ კიდევ კარგა ხანს თანაარსებობენ. რკინა კოლხეთში პირველად საომარი იარაღის დასამზადებლად გამოიყენეს – სატევრებისა და შუბისპირებისათვის. მაგრამ მათ ჯერ კიდევ იშვიათად ვხვდებით ამ დროის განძებსა და სამარხებში. ეშერის ერთ-ერთ სამარხში, ბრინჯაოს ცულს, შუბსა და სატევრისპირთან ერთად, ერთი მოგრძო რკინის შუბისპირი აღმოჩნდა. უდეს განძში ასამდე ბრინჯაოს ნივთთან რკინის სულ ხუთი აირაღი იდო. ამ პერიოდში სამეურნეო იარაღი კოლხეთში ისევ ბრინჯაოსია. კოლხეთის ზოგიერთ შიდა ოლქში – რიონ-ყვირილის, ცხენისწყლის ხეობებში და სხვ. ამ ხანაში ბრინჯაოს ინდუსტრია უმაღლეს საფეხურს აღწევს, რკინის ნაკვალევი კი ჯერ კიდევ თითქმის არ შეინიშნება და აქ აღმოჩენილი განძები ბრინჯაოს ბრწყინვალე ნივთებისაგან შედგება (ოყურეშის, სურმუშის, ქვიშარის, სინათლის, პერევისა და სხვ.).

ძვ. წ. VIII საუკუნეში კოლხეთში რკინის ფართო ათვისების ხანა დგება. ამ დროიდან ჩნდება რკინის პირველი სამეურნეო იარაღები – ცული, თოხი და სეგმენტისებრი იარაღი. თითქმის მთლიანად ქრება კოლხური ცულის მოზრდილი, შედარებით უხეში ცულები, რომელთაც უფრო სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა და მათ ადგილს, ჩანს, უკვე რკინის ცული იკავებს. ახლა ძირითადად გვხვდება კოლხური ცულის ყველა ვარიანტის კოხტა, მსუბუქი ტიპები, ხშირად შესანიშნავად ორნამენტირებული. მათ უპირატესად საბრძოლო იარაღის დანიშნულება უნდა ჰქონოდა და ეგებ,

---

1 Куфтин Б. А., Археологические Раскопки в Триалети, გვ. 72.

2 Гзелишвили И. А., Железоплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964, გვ. 52.

3 ხახუტაიშვილი დ., რკინის წარმოების ძველი კოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები ჩოლოქ-ოჩხამურის ხეობაში 1970 წ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, თბილისი, 1975, გვ. 83.

4 ხახუტაიშვილი დ., მასალები რკინის წარმოების ადრეული საფეხურის ისტორიისათვის ჩრდილო კოლხეთში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX, თბილისი, 1980, გვ.37.

საკულტო-სარიტუალო ფუნქციასაც ასრულებდნენ.[1] კოლხური კულტურის აყვავების ხანაში ყალიბდება თავისებური სტილი გრაფიკული დეკორისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გეომეტრიული და ცხოველური ორნამენტი. ცხოველური სტილი ხასიათდება გამოსახულების გადმოცემის სქემატური მანერით და ძლიერი სტილიზაციით. უპირატესად გვხვდება სტილიზებული გამოსახულება – ძაღლის, ცხენის, გველის, თევზისა და სხვ.[2] გეომეტრიულ ორნამენტში ჭარბობს – ხვია, რომბი, ჯვარი, სვასტიკა და სხვ.

კოლხური გრაფიკული დეკორი ფართოდ ვრცელდება ყობანის კულტურაში და მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ხდება. ეს არის კოლხური კულტურის გაფურჩქვნის ხანა, როდესაც ამ ორი კულტურის დაახლოება მიმდინარეობს. აქ, როგორც ჩანს, მარტო კულტურულ ურთიერთობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ იდეოლოგიურ სიახლოვესთან, საერთო წარმოდგენებთან. კოლხურ და ყობანურ კულტურებში არსებული მეურნეობრივი ხასიათის სხვაობის მიუხედავად, მათ შორის ახლო ურთიერთობა მყარდება, საერთო ინტერესებით. ყობანის კულტურასთან უპირატესად კოლხეთის მთის მხარეებია დაკავშირებული. ამიტომ, შესაძლოა, რომ კოლხურ-ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი გრაფიკული ორნამენტის სტილის ჩამოყალიბება უპირატესად აქ მიმდინარეობდა, ამ კულტურის ურთიერთობის შედეგად. შესაძლოა ცხოველური მოტივი ჩაისახა იქ, სადაც მეურნეობაში მესაქონლეობის წილი საკმაოდ მაღალი იყო. ძაღლის გამოსახულება ყველაზე გავრცელებული მოტივი იყო და სტილიზაციაც ყველაზე მეტად მან განიცადა.[3] ძაღლი მწყემსის მუდმივი თანამგზავრია. ამ ხანაში ფართოდ ვრცელდება აგრეთვე სხვადასხვა ცხოველის ბრინჯაოს ქანდაკებები და საკიდები. გვხვდება როგორც შინაური და გარეული ცხოველების, ისე ფრინველების გამოსახულებები. შესაძლოა ეს იმის მაჩვენებელი იყოს, რომ კოლხეთში ერთგვარად აიწია მესაქონლეობის როლმა მეურნეობაში. ეს ის დროა, როდესაც კოლხეთის მთისა და ბარის დაახლოების პროცესი მიმდინარეობს, რამაც თავისი ასახვა კულტურებშიც პოვა. ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან თანდათანობით ირღვევა ზღვარი ლოკალურ თავისებურებათა შორის და ერთგვაროვანი კულტურა საკმაოდ ფართოდ ვრცელდება.

კოლხური კულტურის ერთიანი ხასიათი განსაკუთრებით კარგად ჩანს დაკრძალვის წესში. ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებში თითქმის მთელ კოლხეთში ვრცელდება კოლექტიური დაკრძალვის წესი; „დასაკრძალავ მოედნებზე“ მიცვალებულის მეორეულ დასაფლავებას ვხვდებით, სრული ან ნაწილობრივი კრემაციით, ზოგჯერ ინვენტართან ერთად. დასაფლავების მსგავსი რიტუალი დასტურდება კოლხეთის უფრო ჩრდილოეთ ნაწილში. წალენჯიხის რაიონში, სოფ. პალურში გამოვლენილია „დასაკრძალავი მოედანი“.[4] ასეთივე „დასაკრძალავი მოედანი“ აღმოჩნდა ნოსირთან, სოფ. მუხურაში.[5] ვხვდებით მათ აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთშიც. ლანჩხუთთან,

---

1 Парцхава Л. Н., К истории художественного ремесла колхидской и кобанской культур, автореферат, Тб., 1975, გვ. 4.

2 ფანცხავა ლ., კოლხური ცული ირმის გამოსახულებით, საქ. სახ. მუზ. მოამბე, XXIX–B, თბილისი, 1972, გვ. 55.

3 Панцхава Л. Н., К истории художественного ремесла... გვ. 10.

4 ოქროპირიძე ნ., მ. ბარამიძე, პალურის საძვალე, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბილისი, 1974, გვ. 109.

5 Гогадзе Э. М., Панцхава Л. Н., Дариспанашвили М. В., Коридзе И. Д., Результаты работ Носиро-Мухурчской экспедиции за 1976–77 гг. საქ. სახ. მუზ. არქ. ექსპედიციები, VI, თბილისი, 1978, გვ. 54.

სოფ. ნიგვზიანში, ნაპოვნი იყო სამაროვანი, შემდგარი კოლექტიური სამარხებისაგან, სადაც მიცვალებულის დაწვა და მეორეული დასაფლავების წესი იყო გავრცელებული.[1] მსგავსი კოლექტიური სამარხები აღმოჩნდა აგრეთვე ურეკის სამაროვანზე.[2] როგორც ჩანს, ამ ხანაში დაკრძალვის ეს წესი მთიან კოლხეთშიც გავრცელდა. ამგვარივე „დასაკრძალავ მოედნებს" წარმოადგენდა, ალბათ, ბრილის სამაროვანზე გამოვლენილი კოლექტიური სამარხები, სადაც მიცვალებულთან ერთად წვავდნენ ჩატანებულ ინვენტარსაც. ბრილში გავრცელებული იყო აგრეთვე ორმოსამარხებში და ქვაყუთებში დასაფლავება.[3]

კოლხეთში ამ დროს დაკრძალვის სხვა რიტუალიც გვხვდება. კოლექტიური სამარხების გვერდით არის აგრეთვე ინდივიდუალური საფლავებიც. ურეკის სამაროვანზე ინდივიდუალურ სამარხებშიც კრემაციის წესია გავრცელებული და ინვენტარის შემადგენლობაშიც არ არის დიდი სხვაობა.[4] ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, სოხუმთან, გუადიხუს სამაროვანზე გავრცელებული იყო ორმოსამარხები მთლიანი ან ნაწილობრივი კრემაციით. აქვე „კრასნი მაიაკის" სამაროვანზე მიცვალებულს ასაფლავებდნენ ორმოში მოხრილად ან გულზე მწოლიარეს. ორმოსამარხი ამ პერიოდში აქ ყველაზე გავრცელებული ტიპი იყო. ყულანურხვას სამაროვანზე რამდენიმე ასეთი სამარხი გაითხარა.[5] ამ პერიოდში მხოლოდ კოლხეთის ამ მხარეშია დამოწმებული მიცვალებულის მოზრდილ თიხის ჭურჭელში დაკრძალვა.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის შუა ხანებიდან მეურნეობაში შემოდის რკინის იარაღი. იგი თითქმის სრულიად არ იცვლის ფორმას და ბრინჯაოს იარაღის წაბაძვითაა ნაკეთები. ვრცელდება თოხი და სეგმენტისებრი იარაღი, თუმცა ამ ტიპის ბრინჯაოს იარაღი ჯერ ისევ ფართოდაა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის სამარხებში, თითქმის მთელ კოლხეთში ხშირად გვხვდება რკინის სამეურნეო იარაღი. საჩხერესთან, ქორეთის ყორღანში აღმოჩნდა ერთი ჩაშვებული სამარხი, რომელშიც რკინის ფართოპირიანი თოხი იდო.[6] რკინის ფართოპირიანი თოხები ნაპოვნი იყო ლეჩხუმში სოფ. ორბელში.[7] ანალოგიური თოხები აღმოჩნდა პალურის, მეხურჩის, ნიგვზიანის, ურეკის კოლექტიურ სამარხებში. გვხვდება რკინის სამკალი და სასხლავი იარაღი.[8] კარგადაა წარმოდგენილი ამ სამაროვნებზე რკინის საომარი იარაღი.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში მნიშვნელოვნად წინაურდება სოფლის მეურნეობა; რკინის იარაღის ფართოდ გამოყენება მიწის დასამუშავებლად უთუოდ საგრძნობ პროგრესს გამოიწვევდა. რკინის თოხი ჩვეულებრივ უფრო მოზრდილია და სამუშაო პირიც უფრო ფართო აქვს. ამ პერიოდიდან იწყება რკინის სახნისის გამოყენება. ნიგვზიანის სამარხში ნაპოვნი იყო რკინის სახნისი.[9] მსგავსი

---

1 Микеладзе Т. К., Барамидзе М. В., О некоторых итогах полевых исследований в Колхидской низменности в зонах новостроек, Арх. исследования на новостройках Груз. ССР, Тб. 1976, გვ. 109.

2 თ. მიქელაძე, დ. მუსხელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1977 წ., თბილისი, 1980, გვ. 36.

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970, გვ. 268.

4 თ. მიქელაძე, დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

5 М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

6 ჯაფარიძე ო., მდ. ყვირილის ზემო წელზე 1955 წ. ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თსუ შრომები, ტ. 87, თბილისი, 1960, გვ. 344.

7 აბრამიშვილი რ., დასახ. ნაშრომი, გვ. 367.

8 ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

9 მიქელაძე თ., ბარამიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

იარაღი აღმოჩნდა ორბელში რკინის თოხთან ერთად.[1] კოლხური კულტურის აყვავების ხანაში, როგორც ჩანს, მთელი კოლხეთი, მისი ბარი და მთა საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული. მისი ფართო ათვისების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა განვითარებული მიწათმოქმედება იყო. როგორი იყო ამ დროს კოლხეთში დასახლების ტიპი, მასალის ცალმხრივი ხასიათის გამო, რომელიც ძირითადად სამარხებიდან მომდინარეობს, გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება – როგორი იყო სოფელი, არსებობდა თუ არა უფრო მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლება. შესაძლოა, რომ ბარში ისევ ხუტორული ტიპის დასახლებაა. მთის წინა ზოლში, რომელიც კოლხეთის ყველაზე დაწინაურებული ნაწილი ჩანს, ეგებ, უკვე უფრო მსხვილი დასახლება ჩნდება. მიწათმოქმედების განვითარებისათვის ბარში, და განსაკუთრებით მთისწინეთის ზოლში, კარგი პირობები იყო, რაც ალბათ საგრძნობ სტიმულს იძლეოდა და გაუმჯობესებული იარაღის ფართოდ გამოყენებაც უთუოდ ეფექტური იქნებოდა. ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და სიმდიდრის დაგროვებას შეუწყობდა ხელს. ამიტომაცაა, რომ ამ დროის სამარხები, რაც არ უნდა დაბალი ფენის წარმომადგენელს ეკუთვნოდეს იგი, გამოირჩევა იარაღსაჭურვლის და სამკაულის სიმდიდრით. ყულანურხვას ერთ-ერთ სამარხში ხუთი მარტო კოლხური ცული იდო. მდიდრული იყო აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ნაპოვნი სხვა სამარხებიც – ააგსტის სამარხი მუგუძირხვასთან, ეშერას ქვესამარხები და სხვ. თითქმის ყველა სამარხში აქ ერთი დანიშნულების რამდენიმე იარაღი იდო – ცულები, შუბისპირები, სატევრისპირები და სხვ. გარდა ამისა, მდიდრადაა წარმოდგენილი სამკაული. ინვენტარის სიუხვით გამოირჩევა კოლხეთში გავრცელებული კოლექტიური სამარხები, რომლებიც, ჩანს, რიგით წევრთა საფლავები იყო. მათში დიდი რაოდენობითაა ჩატანებული ბრინჯაოს და რკინის საომარი იარაღი, შრომის იარაღი, რაც, ჩვეულებრივ, იშვიათია სამარხებში. სამკაულის და სხვა ნივთების სიმდიდრით ხასიათდება აგრეთვე მთიან ზოლში შესწავლილი სამარხები. ბრილის სამაროვანზე გათხრილია ამ დროის მდიდარი სამარხები, სადაც მრავლადაა წარმოდგენილი რკინის და ბრინჯაოს იარაღები და სამკაული. მდიდარია ინვენტარით აგრეთვე თლის სამარხებიც.

როგორც ჩანს, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთი ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერია. კარგად ორგანიზებული სოფლის მეურნეობა ქვეყნის კეთილდღეობის ძირითადი წყარო იყო. ამ პერიოდში, ჩანს, იწყება რკინის სახნისის გამოყენება, რასაც თოხის კულტურასთან ერთად მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა მოეხდინა და საგრძნობლად გაეზარდა შრომის ნაყოფიერება. ჩანს, ამ ხანებში კოლხეთის ბარში და მთაში იზრდება მესაქონელობის როლიც. მსხვილფეხა საქონელი ახლა ფართოდ გამოიყენება მიწათმოქმედებაში, როგორც გამწევი ძალა. მთაში მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობაა, მაგრამ ახლა მთა და ბარი უფრო მეტად უკავშირდება ერთიმეორეს. მათ დაახლოებას უთუოდ ხელი შეუწყო მეცხენეობის განვითარებამ. ამ პერიოდში კოლხურ კულტურაში ფართოდ გამოჩნდა ცხენის აღკაზმულობასთან დაკავშირებული ნივთები – ლაგმები, სხვადასხვა ბალთა, საყბეური და სხვ.

კოლხეთის ეკონომიკურ სიძლიერეს აპირობებდა მეტალურგიის მაღალი დონე. ბრინჯაოს დამუშავების პარალელურად ამ ხანებში ფართოდ ვრცელდება რკინის წარმოებაც. კოლხეთის მეტალურგიის ამ ორი დარგის კარგად შერწყმულმა წარმოე-

1 აბრამიშვილი რ., დასახ. ნაშრომი, გვ. 367.

ბამ დიდად შეუწყო ხელი საზოგადოების განვითარებას. საზოგადოების მნიშვნელოვან ფენას ამ პერიოდში ოსტატი ხელოსანი შეადგენდა, განსაკუთრებით მელითონე. ბრინჯაოს დამუშავების ოსტატს ემატება რკინის წარმოების დაუფლებული ხელოსანი და მათ შორის, ჩანს, საკმაოდ ძლიერი კონკურენცია იწყება. შესაძლოა, რომ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ამ ხანებში ბრინჯაოს ნივთების დამზადების ტექნიკა გასაოცარ სიმაღლეს აღწევს. ოსტატი სულ უფრო და უფრო ხვეწს ფორმას, მაღალ გემოვნებას აქსოვს და შედეგად შესანიშნავ ნაწარმს იღებს. მარტო კოლხური ცული საკმარისია ამის საილუსტრაციოდ. მისი ყველა ტიპი გამოირჩევა სილამაზით, დახვეწილი ფორმით, სიმსუბუქით და სხვ. მაგრამ ოსტატი მარტო ნივთის ფორმით არ კმაყოფილდება და გარეგნულ შემკობასაც დიდ ყურადღებას აქცევს – ჩამოყალიბდა თავისებური სტილი გრაფიკული დეკორისა. მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯაოს ნივთის შემკობა საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო, ოსტატი დროს არ იშურებს და გასაოცარ ფანტაზიას იჩენს დეკორის შემუშავებისას. რა თქმა უნდა, ნივთის ფორმა და მისი დეკორი იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნილებას პასუხობდა და უთუოდ დიდ გემოვნებაზე მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის ბარისა და მთის მოსახლეობა ერთნაირად ეტანება ლამაზ ნივთს და ორივეგან ძირითადად ერთი ტიპის ნაწარმი ვრცელდება. ორნამენტის ხასიათიც ერთნაირია. ესეც, ეგებ, იმის მაჩვენებელია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთის მთელი მოსახლეობა ერთიანია და მათ საერთო ინტერესები ამოძრავებთ.

ამ პერიოდში კოლხეთის მთისა და ბარის დაახლოების პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს, რამაც თავისი ასახვა კულტურაშიც პოვა. მართალია, რკინის ფართო ათვისების პერიოდში, ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებში კულტურის ხასიათი მაინცდამაინც ცვლილებას არ განიცდის, მაგრამ ახლა თანდათანობით ირღვევა ზღვარი ლოკალურ თავისებურებათა შორის; იგი უფრო ერთგვაროვანი ხდება და ფართო ტერიტორიაზე ვრცელდება. როგორც ჩანს, ამ პერიოდში დასავლურქართულ ტომთა მსხვილი გაერთიანება არსებობდა. მთისა და ბარის ახლო კავშირმა ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით უფრო მყარი და ძლიერი ეკონომიკური ბაზის შექმნას. კოლხური კულტურის მატარებელი ტომების დაწინაურებას შედეგად საზოგადოების გარკვეული გარდაქმნები უნდა მოჰყოლოდა. კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, უფრო ადრე, ვიდრე სხვა მხარეში, შეიქმნა პირობები პირველყოფილი თემური წყობილების საბოლოო რღვევისა. აქ, ისევე როგორც ბრინჯაოს ინდუსტრიის ხანაში, რკინის მეტალურგიის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო, რასაც რკინის ფართო ათვისების პერიოდში საზოგადოების დაწინაურებისათვის დიდად უნდა შეეწყო ხელი. კოლხეთის სამხრეთ ნაწილში საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეული იქმნება, რომელიც უკვე ადრეკლასობრივი სახელმწიფოს გარკვეული ნიშნებით ხასიათდება და აქ შექმნილი ვითარება აისახა კიდეც წერილობით წყაროებში.[1] ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულისათვის სრულდება კოლხური კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მის საფუძველზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ჩამოყალიბდა კოლხეთის სამეფო.[2]

---

1 Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 218.

2 იქვე, გვ. 236.

ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში*

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მთელი რიგი ახალი მოვლენებით ხასიათდება. საბოლოოდ დაირღვა მტკვარ-არაქსის კულტურის სტაბილური ხასიათი, რომელიც თითქმის ათას წელს გაგრძელდა. ამ პერიოდში გავრცელებას იწყებს ახალი თავისებური კულტურა, რომლისთვისაც განსხვავებული დაკრძალვის წესია დამახასიათებელი – ინდივიდუალური ყორღანული სამარხები. მკვეთრი ცვლილებები კულტურაში და საერთოდ ცხოვრების ხასიათში მარტო საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესებით ვერ აიხსნება. აქ, ჩანს, გარკვეული როლი გარე ფაქტორებსაც უნდა შეესრულებინა. ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიის ჩრდილოეთით თანდათანობით აქტიურდებიან მესაქონლე ტომები, რომლებიც შორს, დასავლეთით, ვრცელდებიან და სამხრეთ რუსეთის სტეპების გზით დუნაისპირეთის მიღმა მხარეებს აღწევენ. მოძრაობის ამ დიდ გზაზე ეს ტომები მიწათმოქმედი მოსახლეობის ზონებში იჭრებიან და არღვევენ მათი მეურნეობის სიმყარეს.[1] როგორც ჩანს, ეს დასაწყისია იმ დიდი მოვლენებისა, რომლებიც შემდეგში არაერთგზის განმეორებულა ისტორიის მანძილზე და მომთაბარე-მესაქონლე ტომები არაერთხელ გვევლინებიან კულტურის განვითარების შემაფერხებელ ძალად.

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის ძლიერების ხანაში ამიერკავკასია ამ მოვლენების მიღმა დარჩა. მხოლოდ მისი შესუსტების შემდეგ, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, ამიერკავკასიაში აქტიურდება ჩრდილოური გავლენა. ერთერთი ძირითადი გზა, საიდანაც ეს ურთიერთობები ხორციელდებოდა, ჩანს, დასავლეთ კასპიისპირეთზე გადიოდა. სამწუხაროდ, ამ მოვლენების შესახებ მსჯელობა ჯერჯერობით უპირატესად სამარხებიდან მომდინარე მასალების საფუძველზე შეიძლება. ამ ხანის სხვა ხასიათის ძეგლები, განსაკუთრებით კი ნამოსახლარები სადღეისოდ ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი. სად, როგორ და რა პირობებში უხდება ცხოვრება მოსახლეობას, რომელმაც ეს სამარხები დაგვიტოვა, მთლად ნათელი არ არის. ამ დროს ამიერკავკასიაში ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი – ყორღანული სამარხი, რომელსაც აქ არ გააჩნდა ადგილობრივი ტრადიციები. ყორღანულ სამარხში დაკრძალვის წესი კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე მესაქონლე ტომებისათვის იყო დამახასიათებელი. სიახლე დაკრძალვის რიტუალში შესაძლოა გარკვეულ ეთნიკურ ძვრებთანაც ყოფილიყო დაკავშირებული.

საერთოდ, ყორღანი, როგორც სამარხის ტიპი, უნდა წარმოქმნილიყო გაშლილ ადგილას, ველებზე მობინადრე მესაქონლე ტომებში. ერთფეროვან სტეპურ ლანდშაფტში სამარხის თავზე ხელოვნურად ამოზიდული ბორცვი ადვილად გამოსარ-

---

* დაიბეჭდა ჟურნალ „მაცნეში“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, №4,5,1988.

1 Мерперт Н. Я., Из историй древнеямных племен, Проблемы археологии Евразии и Северной Америки, М., 1977.

ჩევი იქნებოდა. სამხრეთ რუსეთის სტეპებში ყორღანი ათასწლეულების მანძილზე სამარხის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტიპი იყო. როგორც ჩანს, ყორღანული ტიპის სამარხი კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებული ე. წ. ძველი ორმოსამარხების კულტურის წიაღში უნდა წარმოქმნილიყო ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულს.[1] შემდეგში ამ კულტურის მატარებელმა ტომებმა სხვადასხვა მიმართულებით იწყეს მოძრაობა, განსაკუთრებით დასავლეთით და მათ გამოჩენასთან ერთად გავრცელებას იწყებს ყორღანული ტიპის სამარხი. როდესაც ძვ. წ. III ათასწლეულში უზარმაზარ სივრცეზე ძველი ორმოსამარხების კულტურულ-ისტორიული ერთობა იქმნება, სამარხის ყორღანული ტიპი მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ხდება.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დაკრძალვის ყორღანული წესის გავრცელება ძირითადად ჩრდილოეთიდან მომდინარე მოვლენებთან იყო ალბათ დაკავშირებული, თუმცა კულტურაში ამან თითქოს ნაკლები ასახვა პოვა. ყორღანულ სამარხებში გამოვლენილი კულტურა უპირატესად ადგილობრივ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული. თუ დაკრძალვის ახალი წესი მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ჩანს, რომ ახალმოსულები ძირითადად ადგილობრივი კულტურას ითვისებენ. მესაქონლე ტომებს შედარებით ადვილად გადააქვთ უფრო მაღალი კულტურის ტრადიციები. შესაძლოა რიცხობრივად ისინი არცთუ ისე ბევრნი იყვნენ და შედარებით სწრაფად აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. მაგრამ, მაინც საფიქრებელია, რომ მათ გარკვეულად დააჩქარეს მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოოდ დაცემა, რომელმაც, ჩანს, თავი ვერ დააღწია მეურნეობაში შექმნილ კრიზისულ ვითარებას.

როგორც ჩანს, ამ მოვლენებმა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში გარკვეული ასახვა კავკასიის სამხრეთითაც პოვა. არაერთგზის გამოითქვა აზრი, რომ ცენტრალურ ანატოლიაში, ალაჯაში, აღმოჩენილ მდიდრულ სამარხთა თავისებურება უცხო წარმოშობის მმართველთა წრისადმი მათი კუთვნილებით აიხსნება, რომლებიც ჩრდილოეთიდან უნდა ყოფილიყვნენ გადმოსული. მართალია, ალაჯაში ყორღანული ტიპის სამარხი არ აღმოჩენილა, მაგრამ სხვა მხრივ კონსტრუქციაში და საერთოდ რიტუალში გარკვეული სიახლოვე შეიმჩნევა ჩრდილოეთში გავრცელებულ დასაფლავების წესთან.[2] საინტერესოა, რომ ზოგიერთი ალაჯაში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის წესის არსებობას ვარაუდობს.[3] აღსანიშნავია ისიც, რომ აქ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.[4] ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ჩრდილოური იმპულსები კავკასიის გზით უფრო სამხრეთითაც პოულობს გამოძახილს.

როგორც ჩანს, საერთოდ, ჩრდილოეთიდან მომდინარე გავლენამ უკვალოდ არ ჩაიარა და მათ ამიერკავკასიაში გარკვეული დაღი დაასვეს ცხოვრების საერთო წესს. ყოველ შემთხვევაში მტკვარ-არაქსის კულტურაში და მის უწინარეს ხანაში წარმოქმნილი ხასიათი ცხოვრებისა ირღვევა. ძველი საცხოვრებელი ადგილები ცარიელდება და, ჩანს, ძირფესვიანად იცვლება საზოგადოების ცხოვრების წესი. მაგრამ როგორი იყო ცხოვრების ეს ახალი გზა ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის იმის გამო,

---

1 Мерперт Н. Я., Древнейшие скотоводы Волжско-уральского междуречья., М., 1977.

2 Piggott S. A., Ancient Europe, Edinburg, 1965.

3 Mellaart L., The Chalcolithic and Farly Bronze Ages in the Near East and Anatolia, Beirut, 1966; Orthmann W., Zu den "Stardanten" aus Alaca Hüyük, Instambuler Mitteilungen. Bd. 17, 1967.

4 A. Goetze, Kleinasien, München, 1957.

რომ სადღეისოდ უპირატესად სამარხებიდან მომდინარე მასალებია ცნობილი. სად მდებარეობდა ამ დროის სოფელი, როგორი იყო მისი დაგეგმარება, სამშენებლო საქმე და არქიტექტურა, მოსახლეობის ეკონომიკური საფუძველი და სხვ. ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. მაგრამ ამ დროს რომ უკვე კარგად ფლობდნენ საინჟინრო-სამშენებლო საქმეს, მოწმობს დიდებულთა სამარხებში, ყორღანებში დადასტურებული ხის ან ქვისაგან ნაგები დასაკრძალავი შენობა. როგორც ჩანს, სამარხის აგებას უფრო მეტ დროსა და ძალას ახმარდნენ, ვიდრე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას. საფიქრებელია, რომ საცხოვრებელი უპირატესად ხის იყო. ქვასა და თიხას ამ საქმისათვის ნაკლებად იყენებდნენ. დასაკრძალავი კამერა გენეტიკურად ალბათ საცხოვრებელ სახლთან იყო დაკავშირებული. უადრესი ყორღანების თანადროული ნასოფლარი ადგილები ჯერჯერობით თითქმის მიუკვლეველი რჩება. ამიტომ, როგორი იყო იმ დროის მეურნეობის ხასიათი, კერძოდ კი მიწათმოქმედებისა, ძნელი სათქმელია. ახლა თითქოს იმის თქმა შეიძლება, რომ ადრეყორღანების ხანაში საკმაოდ შეკავშირებული და ძლიერი კოლექტივები არსებობდნენ. მათ გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა ისეთი სამუშაოს ჩატარება, როგორიც მოზრდილი ყორღანის აგება იყო. ამასთანავე ადრეული დიდი ყორღანი საკმაოდ რთული ნაგებობა იყო – მიწის სამუშაოებთან ერთად ზოგჯერ საკმაოდ დიდი ქვისა და ხის კონსტრუქციებიც იგებოდა. ყორღანის ასაგებად საჭირო მასალას ხანდახან საკმაოდ შორეული ადგილებიდან ეზიდებოდნენ, ყორღანის დადგმა, როგორც ჩანს, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და ზოგჯერ არა ერთი თუ ორი წელი გრძელდებოდა. ამიტომ, საფიქრებელია, რომ მეტ-ნაკლებად დამჯდარი ცხოვრების გარეშე ამ მძიმე და ხანგრძლივი სამუშაოების ჩატარება საკმაოდ გართულდებოდა. მაგრამ სად და როგორ უნდა ეცხოვრა ხალხს, რომელმაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეული ყორღანების კულტურა დაგვიტოვა, მთლად ნათელი არ არის. დღეს ცნობილია მათი სამარხები, საცხოვრებელი ადგილების მიკვლევა კი, როგორც ჩანს, მომავლის საქმეა.

ადრეყორღანების კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დღეს ცნობილია მის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში – აზერბაიჯანსა და საქართველოში; უფრო სამხრეთით, არარატის ველზე და მის მიმდგომ მხარეებში ამ კულტურის ნაკვალევი ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყორღანები ამიერკავკასიის სამხრეთით, წინა აზიაში არ გვხვდება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეყორღანების კულტურის გავრცელების უკიდურესი დასავლეთი საზღვარი თითქმის ლიხამდე აღწევს. გადადიოდა თუ არა ეს კულტურა უფრო დასავლეთით, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. მართალია, კოლხეთის დაბლობის ზოგიერთ ნამოსახლარზე შავპრიალა კერამიკის არსებობა დადასტურდა, რომელიც მოგვაგონებს ადრეყორღანულ ჭურჭელს, მაგრამ სანამ არ იქნება დადგენილი ამ შავპრიალა ჭურჭლის ფორმა, ძნელია გარკვევით რაიმეზე ლაპარაკი.

ადრეყორღანების კულტურა, მესხეთ-ჯავახეთის გამოკლებით, თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს. ადრეულ ყორღანებში ქრონოლოგიურად რამდენადმე განსხვავებული ორი ჯგუფი გამოიყოფა: ერთი ადრეული, მეორე კი – უფრო გვიანი. უადრესი ყორღანები სადღეისოდ ცნობილია წალკის პლატოზე, თრიალეთში, თბილისის მახლობლად – მარტყოფში და სამგორის ველზე. თრიალეთში ყველა ყორღანი ორმოიანია, ქვამიწაყრილიანი, საკმაოდ მოზრდილები, ორმოს სიღრმე ზოგჯერ 7.0 მ-ს აღწევს. მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ორმოს ძირზე ბავშვის ჩონჩხი.

ყველა ყორღანი სამარხეული ინვენტარის სიღარიბით გამოირჩევა. მათთვის დამახასიათებელია შავზედაპირიანი, მსხლისებრი ფორმის მოზრდილი ჭურჭელი, რომელსაც მხარზე ნახევარსფეროსებრი მოყვანილობის ფართო ყური აზის.[1] მას ჩვეულებრივად მკვეთრად გამოსახული მუცელი, საკმაოდ მაღალი ყელი და შედარებით ვიწრო ძირი აქვს. მართალია, ეს ტიპი ჭურჭლისა უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ფორმით ხასიათდება, მაგრამ მაინც შეინიშნება კავშირი წინარე ხანის კერამიკასთან. ეს ჩანს როგორც თვით ჭურჭლის ფორმის ზოგიერთ დეტალში, ისე ორნამენტის ხასიათში. მსხლისებრი ფორმის ჭურჭელთან ერთად ყორღანებში ჩვეულებრივი შავი ფერის ცალყურა მოზრდილი ტოლჩა გვხვდება. ეს ჭურჭელიც ფორმით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს მტკვარ-არაქსის კერამიკასთან, განსაკუთრებით კი მათ ორნამენტის ხასიათი აახლოებს.

თრიალეთის ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე სამგორისა და მარტყოფის ყორღანებში. სამგორის ველზე დაახლოებით ერთ ხაზზე სამი დიდი ყორღანია ამოზიდულა, ერთიმეორისაგან გარკვეული მანძილით დაცილებული. როგორც ჩანს, ველმაც თავისი სახელი აქედან მიიღო. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანში მილის სტეპში ადგილი უჩ-თეფე, სადაც აგრეთვე თითქმის ერთ ხაზზე მდებარე სამი ყორღანი გვხვდება, თავის სახელს ამ სამი გორიდან იღებს.[2] როგორც აქ შესწავლილი ერთ-ერთი ყორღანიდან ჩანს, ისინი ადრეყორღანული კულტურის ხანისაა და ხასიათით სავსებით ისეთივე, განსაკუთრებით ყრილის აღნაგობის მხრივ, როგორიც სამგორისა და მარტყოფის ყორღანებია.

სამგორის გათხრილი ყორღანი „კოხრა გორა“ საკმაოდ მოზრდილი იყო. მიწის ყრილის შიგნით მას შუა ნაწილში ქვაყრილი ჰქონდა. ქვაყრილის ქვეშ, ცენტრში, სწორკუთხა მოყვანილობის ხის ძელური შენობა იდგა. ნაგებობას ორმაგი კედლები ჰქონდა და მათ შორის სივრცე ამოვსებული იყო ღორღითა და მიწით. სწორკუთხა შენობას გარს უვლიდა წრისებურად განლაგებული მსხვილი ხის მორები. შენობის ერთ-ერთ, უკეთ გადარჩენილ, კუთხეს შემორჩენილი ჰქონდა მუხის მორების ხუთი რიგი, რომლებსაც ბოლოებზე ჭდეები ჰქონდათ და ერთმანეთზე გადაბმული იყო ნახევარი ხით. შენობის დატკეპნილ იატაკზე თიხის ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის ბრტყელპირიანი სატევარი, ქვის ბრტყელი ცული და ცხვრის კოჭები აღმოჩნდა. იატაკის აყრის შემდეგ შენობის ერთ ნაწილში ორმო გამოჩნდა, რომელშიც ჩადგმული იყო თიხის ჩაღარულყელიანი ჭურჭელი. ჭურჭელში ფერფლის ნაშთი აღმოხდა. როგორც ჩანს, მიცვალებული დაუწვავთ და მისი ფერფლი თიხის ურნაში მოუთავსებიათ, რომელიც შემდგომ იატაკის ქვეშ ამოღარულ სამალავ ორმოში ჩაუდგამთ.[3]

სამგორის ყორღანში შედარებით ღარიბული ინვენტარი აღმოჩნდა. ერთადერთი ლითონის ნივთი ბრტყელი, ყუნწიანი სატევრისპირი პრიმიტიული ფორმისაა. საინტერესოა ამ ყორღანში აღმოჩენილი კერამიკა. მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭელი თავისი ფორმით უახლოვდება ამგვარსავე ჭურჭლებს თრიალეთის ადრეული ყორღანებიდან. მოზრდილი ტოლჩა თითქმის სავსებით იმეორებს ამავე ყორღანებისათვის დამახასიათებელ ამ ტიპის ჭურჭლის ფორმასა და ორნამენტს. ერთგვარად თავისებურია თიხის ურნა. მსგავსი მოყვანილობის ჭურჭელი ამიერკავკასიაში ადრე-

1 Куфтии Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
2 Иессен А.А., Раскопки большого кургана в Урочище Уч-Тепе, МИА, 125.
3 საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1965.

ულ ყორღანებში ცნობილი არ არის. იგი ფორმით თითქოს უფრო უახლოვდება ჩრდილო კავკასიის ადრეული ყორღანებისთვის დამახასიათებელ ჭურჭელს.

საინტერესო შედეგები მოგვცა მარტყოფის ჯგუფის ყორღანების შესწავლამ, სადაც ოთხი ყორღანი გაითხარა. ყრილის სტრუქტურის ხასიათის მხრივ ყორღანები თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. აქაც, ისევე როგორც სამგორის ყორღანში, ყრილი ზემოდან მიწისა იყო, ქვეშ კი – ქვისა. დასაკრძალავი კამერები ზედ მიწისპირზე, ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, ქვაყრილის ქვეშ იყო მოთავსებული.

ერთ-ერთი ყორღანის დასაკრძალავი კამერა ქვის ფილებით იყო ნაგები. მშრალი წყობით ამოყვანილ ნაგებობას ოთხკუთხა ფორმა პქონდა. იგი, ჩანს, ფილებით თაღურად უნდა ყოფილიყო გადახურული. იატაკიც ქვის ფილებისა ჰქონდა. მიცვალებულის ნაშთი კამერაში არ აღმოჩენილა. გარდა კერამიკისა, აქ ნაპოვნი იყო სადაფის სხვადასხვა მოყვანილობის საკიდები, ქვის ცული, ბრინჯაოს ისრისპირი და სხვ.[1]

ორ დანარჩენ ყორღანში დასაკრძალავი კამერა ხის ძელებისაგან იყო ნაგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარტყოფის ჯგუფის ყველაზე მოზრდილი ყორღანი, სადაც ცენტრში კარგად იყო შერჩენილი ხის ნაგებობა. ამ ყორღანის დიამეტრი 100 მ-ზე მეტი იყო, სიმაღლე კი 12,0 მ-ს აღწევდა. ყორღანის ცენტრში, ქვაყრილის ქვეშ, რომლის დიამეტრი 40,0 მ-მდე იყო, სიმაღლე კი 3,0 მ-ს აღემატებოდა, ხის ძელებისაგან ნაგები, კარგად გადარჩენილი ნაგებობა იდგა. ეს იყო მუხის მორებისაგან ნაგები ერთმანეთში ჩადგმული ორი ნაგებობა, რომელთა შორის სივრცე მოზრდილი ქვებით იყო ამოვსებული. გარეთა ნაგებობის ზომები უდრიდა 11,0 მ X 10,0 მ-ს, შიდასი – 8,0 მ X 6,0 მ-ს, სიმაღლე კი, 2,0 მ-ს აღწევდა. კამერის იატაკი ქვის ფილებისაგან იყო ნაგები. გადახურვა მას, ალბათ, ხისა ჰქონდა.

კამერის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე მიცვალებული ესვენა. ოთხივე კედლის გასწვრივ თიხის ჭურჭლები ელაგა. საკმაოდ მდიდარი სამარხეული ინვენტარი შედგებოდა მრავალრიცხოვანი სხვადასხვა მოყვანილობის სადაფის საკიდისაგან, სერდოლიკისა და პასტის მძივებისაგან. მრავლად იყო სხვადასხვა ცხოველის კბილებისაგან ნაკეთები საკიდები, ბრინჯაოს და ვერცხლს სასაფეთქლე რგოლები, ოქროს და ვერცხლის მძივები. აქვე აღმოჩნდა ოქროს ორი ფართო რგოლი და ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი – ცულები და სხვ.

თრიალეთის და სამგორის ყორღანებთან შედარებით მარტყოფის სამარხებში გაცილებით უფრო მდიდარი მასალა აღმოჩნდა. ამ ყორღანებს განსაკუთრებით თიხის ჭურჭელი აახლოებთ. მარტყოფის ყორღანებში აღმოჩნდა მსხლისებრი ფორმის მოზრდილი ჭურჭელი და მოზრდილი ტოლჩები.

მარტყოფის ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია. იგი, უპირატესად, შავპრიალაა, კარგად ნაძერწი, გამოირჩევა დახვეწილი ფორმებით. ჭარბობს ბიკონუსური ფორმის მოზრდილი ქილისებრი ჭურჭელი, ან ყელდაბალი მუცელგამობერილი. ხშირია ყელფართო, მკვეთრმუცლიანი ცალყურა ჭურჭელი, რომელიც ფორმით მსხლისებურ ჭურჭელს უახლოვდება და მისგან უნდა იყოს განვითარებული. თუ არ ჩავთვლით ტოლჩისებურ ჭურჭელს, შედარებით მომცრო ზომის ცალები თითქმის არ გვხვდება. მარტყოფის კერამიკაზე გაცილებით

1 ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა., კახეთის მარტყოფის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978-79 წწ. მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ.VII, თბ, 1980.

უფრო მრავალფეროვანი ორნამენტული სახეებია დატანილი. აქაც ჭარბობს ნაკაწრი ორნამენტი, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება რელიეფურად გამოყვანილი სახეები, კოპები და სხვ.

მარტყოფის ყორღანები იმითაც გამოირჩევა სხვა თანადროული ძეგლებისაგან, რომ აქ კარგადაა წარმოდგენილი სამარხეულ ინვენტარში არაკერამიკული მასალა. თრიალეთის ყორღანებში, თუ არ ჩავთვლით IV ყორღანის ყრილში ნაპოვნ ვერცხლის ხვიას, ლითონის ან სხვა რაიმე მასალის სამკაული თითქმის ცნობილი არ არის. მხოლოდ ერთ ყორღანში აღმოჩნდა ბრტყელყუნწიანი დანის თუ სატევრისპირი. ერთერთ ყორღანში ნაპოვნი იყო ოთხწახნაგა სპილენძის სადგისი თუ ისრისპირი. გარდა ამისა, ერთგან აღმოჩნდა ობსიდიანის ორი ისრისპირი.[1] სამგორის ყორღანშიც დაახლოებით ამგვარივე სურათი იყო. კერამიკის გარდა, აქ ნაპოვნი იყო ერთი ბრტყელი, ფოთლისებრი მოყვანილობის სატევრისპირი და ერთიც რიყის ქვის ცული.

თრიალეთისა და სამგორის ყორღანების სამარხეული ინვენტარის სიღარიბე და ერთგვაროვანი ხასიათი თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საზოგადოების შიგნით მიმდინარე ქონებრივი უთანასწორობის პროცესი ნაკლებად შესამჩნევია. დაწინაურებულ წევრს უფრო მოზრდილ ყორღანებში ასაფლავებდნენ, რომლის აგებაშიც ალბათ მთელი გვარი თუ ტომი მონაწილეობდა. მაგრამ ქონებრივად რიგით წევრთაგან ჯერ კიდევ მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა.

როგორც ჩანს, ასეთი მდგომარეობა საზოგადოების შიგნით დიდხანს არ გაგრძელებულა. გამორჩეულ მდგომარეობას მიღწეული წევრი ეკონომიკურადაც წინაურდება. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მარტყოფის ყორღნებში. მართალია, ისინი თრიალეთისა და სამგორის ყორღანებს, ჩანს, დროით ბევრით არ ჩამორჩებიან, მაგრამ მათში უკვე აშკარად შეიმჩნევა, რომ დაკრძალული წევრი საზოგადოებისა ქონებრივადაც გამორჩეულია. ყორღანები აგების წესით, მათზე დახარჯული შრომითა და დროით დიდად არ განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან, მაგრამ მარტყოფის ყორღანები აშკარად გამოირჩეოდა სამარხეული ინვენტარის სიუხვით. თანაც ამ ყორღანების ნივთიერი მასალა შედარებით უკეთესი ნახელავია, მრავალფეროვანია. როგორც კი საზოგადოების დაწინაურებული, არისტოკრატიული ნაწილი ქონებრივადაც მოძლიერდა, ამან, ჩანს, გარკვეული ასახვა ნივთიერ მასალაში პოვა. იზრდება და იხვეწება მომხმარებლის გემოვნება, წინაურდება ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, ნაწარმიც უფრო სრულყოფილ სახეს იღებს.

მარტყოფის ყორღანებში, მართალია, ჯერ ისევ გვხვდება მსხლისებური აგებულების ჭურჭელი და მოზრდილი, ვიწროპირიანი ტოლჩები, მაგრამ ამავე დროს ჩნდება ახალი ფორმები კერამიკისა. იგი, უპირატესად, კარგადაა ნაკეთები, შავად გაპრიალებული ზედაპირით და მასში უკვე შეინიშნება მომდევნო ჯგუფის ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკის გარკვეული ელემენტები. თრიალეთისა და სამგორის ყორღანებისაგან განსხვავებით, ისინი გამოირჩევიან კერამიკული მასალის სიუხვით. მარტყოფის თითქმის ყველა ყორღანში კარგადაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭელი, მისი მრავალგვარი ფორმები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, ამ ხანაში მნიშვნელოვნად წინაურდება მეტალურგია. მარტყოფის ყორღანებში კარგადაა წარმოდგენილი ლითონის იარაღი და სამკაული. მარტყოფის დიდი ყორღანი ლითონის ნაწარმის გან-

1 Жоржикашвили Л., Гогадзе Э., Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тб., 1974.

საკუთრებული სიმდიდრით გამოირჩეოდა. აქ თითქმის სავსებით ერთნაირი ფორმის ოთხი ყუადაქანებული ცული აღმოჩნდა. ცულები კარგადაა ნაკეთები. ერთ მათგანს კიდეებზე თევზიფხური ორნამენტი ამკობს. თავისი ფორმით ისინი საჩხერულ ყუადაქანებულ ვიწროტანიან ცულებს უახლოვდებიან, მაგრამ მათზე რამდენადმე მასიურებია. საერთოდ, ეს ფორმა ცულისა მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე ჩამოყალიბდა და ადრეყორღანობის ხანაშიც განაგრძობს არსებობას. ამ პერიოდში იგი ფართოდ ვრცელდება ჩრდილო კავკასიაში და უფრო ჩრდილოეთითაც, აღმოსავლეთ ევროპაში. გარდა ამისა, ამავე ყორღანში სამი ბრტყელი ცული აღმოჩნდა. ეს ტიპი ცულისა წინარე ხანაში იწყებს არსებობას და შემდგომშიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი წინა აზიასა და კავკასიაში.

თითქმის ყველა ადრეულ ყორღანში აღმოჩნდა ბრტყელი, ფოთლისებრი მოყვანილობის ყუნწიანი სატევრისპირები. ეს პრიმიტიული იარაღები საგრძნობლად განსხვავდება მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი საჩხერული ტიპის სატევრისპირისაგან. ფორმით ეს სატევრისპირები თითქოს უფრო უახლოვდებიან ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ამგვარსავე იარაღებს, სადაც ისინი დროის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე გვხვდებიან. მარტყოფის თითქმის ყველა ყორღანში აღმოჩნდა ოთხწახნაგა გრძელყუნწიანი ისრისპირები. ოთხწახნაგა სადგისის თუ ისრისპირები წინარე ხანაშიც გვხვდება, ოღონდ ყორღანებში ნაპოვნ ისრისპირებს მკვეთრად გამოსახული პირამიდული მოყვანილობის წვერი აქვთ.

მარტყოფის ერთ-ერთ ყორღანში კარგად ნაკეთები ქვის ხვრელიანი ცული აღმოჩნდა. ქვის ბრტყელი ცული სამგორის ყორღანშიც იდო. ქვის ხვრელიანი ცულები ჩვენში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში ამ პერიოდში შედარებით იშვიათად გვხვდება. ქვის რამდენიმე ცული ნაპოვნია აზერბაიჯანში გათხრილ ადრეულ ყორღანებში. სამაგიეროდ, ქვის გახვრეტილი ცულები კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში, სადაც ისინი დროის საკმაოდ დიდ მანძილზე გვხვდებიან.

ლითონის სამკაულთაგან უადრეს ყორღანებში გვხვდება ბრინჯაოსაგან ნაკეთები სასაფეთქლე რგოლები. ამგვარი სასაფეთქლე რგოლები საკმაოდ კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანი პერიოდის ძეგლებზე. სამკაულებით განსაკუთრებით მდიდარი იყო მარტყოფის დიდი ყორღანი. აქ ბლომად აღმოჩნდა ბრინჯაოს და ვერცხლის კასრისებრი მძივები, ოქროს რამდენიმე მოგრძო, ცილინდრული მოყვანილობის წახნაგიანი მძივები და ორი ფართო რგოლი. ძვირფასი ლითონებისგან ნაკეთები ნივთები მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი არ არის. ოქროს ორი რგოლი ნაპოვნი იყო საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე, რომლებიც უადრეს ყორღანებიდან დროით მაინცდამაინც დიდად დაცილებული არ უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ჩანს, ძვირფასი ლითონის ნივთები ჩვენში ყორღანული კულტურის ხანაში იწყებს გავრცელებას და ბედენის საფეხურზე ოქრომჭედლობა უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევს.

სხვა უადრესი ყორღანებისაგან განსხვავებით, მარტყოფის ყორღანებში ბლომად აღმოჩნდა პასტისა და სერდოლიკის მძივები. სამკაულებით განსაკუთრებით მდიდარი იყო დიდი ყორღანი. აქ მრავლად აღმოჩნდა სადაფის სხვადასხვა მოყვანილობის საკიდები, ძვლის ბრტყელი მძივები და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ცხოველის კბილებისა და ეშვებისაგან ნაკეთები საკიდები. მსგავსი საკიდები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრეული კულტურებისათვის მაინცადამაინც დამახასიათებელი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, ცხოველის კბილების და ეშვების საკიდები

საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ცნობილია ჩრდილო კავკასიის და ჩრდილო შავიზღვისპირეთის სამარხებში.

აღსანიშნავია სადაფის სხვადასხვა ფორმის ბრტყელი სამკაული, რომელიც, ალბათ, ტანსაცმლის ან სხვა რაიმე ნივთის შესამკობად იხმარებოდა. მსგავსი სადაფის სამკაული, მარტყოფის ყორღანების გარდა, სხვა უცნობია. სადაფის სამკაული ჩრდილო კავკასიის ადრეულ სამარხებში გვხვდება, მაგრამ სულ სხვა ხასიათისა.

სადღეისოდ ცნობილი თითქმის ყველა უადრესი ყორღანი საზოგადოების დაწინაურებული წევრის სამარხი იყო. იგი გამოირჩეოდა თავისი ზომით, კონსტრუქციით, ინვენტარით. როგორ იმარხებოდნენ იმ დროს რიგითი წევრები, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. როგორც ჩანს, მათ დასაკრძალავად ყორღანული ტიპის სამარხი მაინცადამაინც არ გამოიყენებოდა. ამ ხანის შედარებით მცირე ზომის ყორღანები, რომლებიც შეიძლებოდა მიგვეჩნია რიგით წევრთა სამარხებად, ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი. შესაძლოა, ისინი ძველი წესისამებრ იმარხებოდნენ ორმოსამარხებში ან ქვაყუთებში, მაგრამ არც ამ რიგის სამარხებია მაინცდამაინც სადღეისოდ გამოვლენილი. ჩანს, რომ იმ დროს რიგით წევრთა სამარხების გარეგნულად გამორჩევაზე მაინცადამაინც არ უზრუნიათ.

დაკრძალვის ყორღანული წესის შემოსვლა, შესაძლოა, საზოგადოების შიგნით მომხდარ გარკვეულ ეთნიკურ ძვრებთან იყო დაკავშირებული. უცხო ეთნიკური ელემენტის გამოჩენასთან ერთად, განსხვავებული ტიპის სამარხი ვრცელდება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ცნობილი უადრესი ყორღანები კონსტრუქციულად ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ამგვარსავე სამარხებს უახლოვდება. იქაც ხშირად ყორღანის ყრილი ორფენა იყო: ქვედა – ქვისა, ზედა – მიწისა.[1] ზოგჯერ ქვაყრილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, დასაკრძალავი ორმო იჭრებოდა, ან კიდევ დასაკრძალავი კამერა ქვისაგან ან ხის ძელებისაგან მიწის პირზე იგებოდა.[2] სამარხეულ ინვენტარშიც, მართალია, შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ჩრდილოური გავლენები. ამიტომ, შესაძლოა, ადრეული ყორღანები ძირითადად ჩრდილოეთიდან შემოსულ, უცხო წარმომავლობის პირებს ეკუთვნოდა, რომლებიც ერთხანს საზოგადოებაში დაწინაურებულ მდგომარეობას აღწევენ.

როგორც ჩანს, ახალმოსულთა პირველ ტალღას საზოგადოების ცხოვრების წესში მაინცადამაინც დიდი ცვლილებები არ მოუხდენია. მათ გამოჩენას მეურნეობის ხასიათში რაიმე საგრძნობი გარდატეხები არ გამოუწვევია. ისინი ერწყმიან დამხდურებს და მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთ გვიანდელ ნამოსახლარებში მოპოვებული მასალა ერთხანს მათ თანაარსებობაზე მეტყველებს. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოისახა ამ ნამოსახლარების კერამიკულ კომპლექსში, სადაც უკვე შეიმჩნევა უადრესი ყორღანებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ელემენტები. დასახლების ხასიათს რაიმე საგრძნობი ცვლილება არ ეტყობა. როგორც ჩანს, ეს პირველი ნაკადი მოსულებისა არცთუ ისე ძლიერი იყო, რომ წინარე კულტურის საბოლოო ნგრევა გამოეწვია. პირიქით, ისე ჩანს, რომ მათ ბევრი რამ დამხდურებისა შეითვისეს და, საერთოდ, ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. მაგრამ მაინც ახლის გამოჩენამ გარკვეული დაღი დაასვა საზოგადოების ცხოვრებას, ალბათ, პირველ ყოვლისა, მეურნეობის ხასიათს. რამდენადმე იზრდება, ალბათ, ეკონომიკაში მესაქონლეობის წილი. ეგებ ამანაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, დააჩქარა მტკვარ-არაქსის

1 Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, М., 1975.

2 Нечитайло, Верхнее Прикубанье в бронзовом веке, Киев, 1978.

კულტურის მიწათმოქმედი საზოგადოების საბოლოო დაცემა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უადრეს ყორღანებში დაკრძალვის რიტუალში, ჩანს, მაინცდამაინც წესად არ იყო საქონლის ჩატანება საფლავში. მარტყოფის დიდ ყორღანში სულ რამდენიმე მსხვილფეხა საქონლის ძვალი და ცხვრის კოჭი აღმოჩნდა. სამგორის ყორღანში წვრილფეხა საქონლის რამდენიმე კოჭი იყო ნაპოვნი. აღსანიშნავია, რომ არც ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურის ყორღანებისთვისაა მაინცდამაინც დამახასიათებელი ცხოველების ჩატანება.[1] ეს სამარხები კი, როგორც ცნობილია, მესაქონლე ტომებს ეკუთვნოდა. ჩვენში სამარხში საქონლის ჩატანების რიტუალი რამდენადმე უფრო გვიან, ბედენური კულტურის ხანაში შემოდის. ჩრდილო კავკასიიდან რომ მართლაც ვრცელდება ამ დროს მოსახლეობა, ამას შეიძლება მოწმობდეს ქსნის ხეობაში, ლენინგორის მახლობლად, სოფ. კორინთოსთან აღმოჩენილი ერთი სამარხი.[2] სამარხეული ინვენტარი შედგებოდა სილანარევი თიხის ექვსი ჭურჭლისაგან, რომლებიც, ფორმით, ძერწვის ხასიათით, თიხით საგრძნობლად განსხვავდებიან ჩვენში გავრცელებული ამ დროის კერამიკისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სამარხში ნაპოვნი ძვლის ჩაქუჩისებურთავიანი სამი საკინძი. საკინძები მომცრო ზომისაა, კარგად ნაკეთები. ამ ტიპის საკინძები კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში ძველი ორმოსამარხების და კატაკომბური კულტურების ხანაში.[3] ამიერკავკასიაში ამ ტიპის საკინძების აღმოჩენის ეს პირველი შემთხვევაა. თუ არ ჩავთვლით ერთი ვერცხლის საკინძს ალაჯა პუიუკის ერთ-ერთი მდიდრული სამარხიდან, რომლის გამოჩენასაც ჩრდილოურ გავლენას მიაწერენ,[4] კავკასიის სამხრეთით, საერთოდ, ძვლის ამგვარი საკინძი ცნობილი არ არის. იქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთი პატარა მარყუჟისებრთავიანი საკინძი. მარყუჟისებრთავიანი საკინძები ჩვენში ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე გვხვდება.[5] ამ სამარხის საკინძის მარყუჟი უხეშადაა დახვეული. იგი უფრო უახლოვდება დაღესტანში მანასის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილ საკინძს.[6]

კორინთოს სამარხში ნაპოვნი ქვიშაქვის ლახტის თავი ბირთვისებრი ფორმისაა. ბირთვისებური ლახტის თავები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საკმაოდ ადრე ჩნდება. გვხვდება იგი აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიც. საინტერესოა ამ სამარხში აღმოჩენილი ძაღლის საძირე კბილებისაგან ნაკეთები საკიდები. მსგავსი საკიდები აღმოჩნდა მარტყოფის დიდ ყორღანში. საერთოდ, ცხოველის კბილების საკიდები ადრეულ ყორღანებში ნაკლებად გვხვდება, მაშინ როდესაც ჩრდილოეთში ცხოველის კბილებისა და ეშვებისაგან ნაკეთები სამკაული ფართოდ იყო გავრცელებული. ძაღლის კბილების და ეშვების საკიდები კარგადაა ცნობილი ძველ ორმოსამარხების კულტურაში.[7] საფიქრებელია, რომ კორინთოს სამარხებში ჩრდილოეთიდან გადმოსული პირი იყო დაკრძალული.

---

1 Мунчаев Р. М., დასახ. ნაშრომი.

2 ცნობა მოგვაწოდა არქეოლოგმა ნ. აფხაზავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

3 Латынин Б. А., Молоточковидные булавки, их культурная атрибутация и датировка, Археологический сборник, вып., 9, Л, 1967.

4 Piggott S., დასახ. ნაშრომი.

5 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.

6 Федоров Г.С., Еще одна Манасская катакомба, Древние памятники Северо-Восточного Кавказа, Махачкала, 1977.

7 Латынин Б. А., დაახ. ნაშრომი.

ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულისთვის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საგრძნობი გარდაქმნები შეინიშნება. ამ დროისათვის აქ ვრცელდება ე. წ. „ბედენური კულტურა“, რომელიც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. რა ხდება ამ პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, საიდან შემოდის ახალი ელემენტები კულტურაში, რა იყო მიზეზი ცვლილებებისა, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. საინტერესოა, რომ სიახლე დაკრძალვის წესს მაინცდამაინც არ შეხებია. მიცვალებულებს ისევ, ძირითადად, ყორღანული ტიპის სამარხებში კრძალავდნენ. მაგრამ სამარხეულ ინვენტარში უკვე საგრძნობი სხვაობაა. ეს განსაკუთრებით კერამიკულ მასალაში შეიმჩნევა. ზოგი რამ ახალი დაკრძალვის რიტუალშიც შეინიშნება. ახლა, ჩანს, წესად შემოდის მიცვალებულის ხის სარეცელზე, ოთხთვალა ეტლთან ერთად დასაფლავება, საქონლის ჩატანება საფლავში და სხვ.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ადრეყორღანების ხანაში ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურაში ანალოგიური სურათი შეიმჩნევა. ამ პერიოდში აქაც ორ საფეხურს გამოყოფენ: ადრეულს, საკუთრივ მაიკოპისა და უფრო მოგვიანოს – ნოვოსვობოდნაიას. ორივე საფეხურზე სამარხის ძირათადი ტიპი ყორღანია. მაგრამ სამარხეულ ინვენტარში უკვე საგრძნობი სხვაობაა. აქაც ეს განსაკუთრებით კერამიკის ხასიათში იგრძნობა. ზოგიერთი იმასაც აღნიშნავს, რომ განსხვავება ამ საფეხურებს შორის იმდენად დიდია, რომ აქ ორი დამოუკიდებელი კულტურის არსებობა უნდა ვივარაუდოთ – მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას.[1] ახლა ძნელია გარკვევით თქმა, ადრეყორღანების ხანაში კავკასიის ჩრდილო და სამხრეთ მხარეებში შენიშნული კულტურული ძვრები ერთი საერთო მოვლენა იყო, თუ ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. უფრო ისე ჩანს, თითქოს, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის კავკასიის ჩრდილო და სამხრეთ მხარეებში სხვადასხვა ვითარება იქმნება, რასაც გარკვეული ცვლილებები უნდა გამოეწვია კულტურის ხასიათში. ვარაუდობენ, რომ ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე დასავლეთიდან მომდინარე გავლენები ძლიერდება. ბედენსა და ნოვოსვობოდნაიას შორის საგრძნობი სხვაობაა, თუმცა ზოგი რამ მათ შორის გარკვეული კონტაქტების არსებობაზე მეტყველებს.

რა ხდება ბედენის საფეხურზე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ჯერ კიდევ გარკვევით თქმა ძნელია. მართალია, კულტურის ხასიათის შესახებ მსჯელობა ჯერ კიდევ ნაადრევია, მასალები, უპირატესად, სამარხებიდან მომდინარეობს და ნამოსახლარი ადგილები ნაკლებადაა გამოკვლეული, მაგრამ ეტყობა, საზოგადოება, წინა საფეხურთან შედარებით, განვითარების უფრო მაღალ საფეხურს აღწევს. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოო ჩაქრობა ამიერკავკასიაში ამ დროს ემთხვევა. მტკვარ-არაქსის კულტურის თითქმის არც ერთ ნამოსახლარზე ბედენთან შერწყმის მაგალითი არ შეინიშნება. შიდა ქართლში შესწავლილ ბერიკლდეების ნამოსახლარზე მტკვარ-არაქსის კულტურის ფენას ბედენური ხანის ნასოფლარი ადევს. ჩანს, რომ იგი წინარე ხანის სოფლის განადგურების შემდგომ წარმოიქმნა. დაახლოებით ასეთივე სურათი შეინიშნება თითქოს აზერბაიჯანში მუღანის ველზე შესწავლილ მიშარჩაის ერთ ნამოსახლარზე, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ფენას მოსდევს ფენა, რომელიც ბედენისათვის დამახასიათებელ კერამიკას შეიცავს.[2] ყარაბაღის ველზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს, მდ. ხაჩენაგეტის აუზში

1 Латынин Б. А., დასახ. ნაშრომი.

2 Махмудов Ф. Р., Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа, автореферат, Тб., 1979.

შესწავლილი იყო ამ დროის ყორღანები.[1] ვრცელდება თუ არა ეს კულტურა უფრო სამხრეთით, არარატის ველზე და მის მიმდებარე ოლქებში, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. ქ. ოქტომბერიანთან, მაისიანის ველზე გათხრილი ყორღანული ტიპის სამარხების ერთი ნაწილი თითქოს ადრეულ მასალას შეიცავს.[2]

ბედენურ საფეხურზე საკმაოდ ინტენსიურადაა ათვისებული თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო. მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ, ადრეყორღანების ხანაში, ჯავახეთის პლატოზე ცხოვრება, ჩანს, თითქოს ქრება. ამ დროის ძეგლები აქ სადღეისოდ გამოვლენილი არ არის. არც ახალციხის ქვაბული ჩანს ამ ხანაში მაინცდამაინც ათვისებული. მტკვარ-არაქსის კულტურის დროს საკმაოდ აყვავებული ეს მხარე მომდევნო ხანაში თითქოს უკაცრიელდება. რა იყო ამის მიზეზი, რამ გამოიწვია ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის მესხეთ-ჯავახეთში ცხოვრების საგრძნობი შესუსტება, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის.

აღმოსავლეთ საქართველოში ბედენური საფეხურის ძეგლები გვხვდება როგორც ბარში, ისე მთისწინა და მთის ზოლში თრიალეთში, წალკის პლატოზე, ადრეყორღანების კულტურის ორივე ჯგუფის ძეგლები ერთად გვხვდება. თითქმის ყველა ყორღანი ორმოიანია, ქვამიწაყრილიანი. სამარხეული ინვენტარი შედარებით ღარიბული იყო და, ძირითადად, შედგებოდა შავპრიალა კერამიკისაგან, ზოგჯერ თხელკედლიანი წვრილი ნაკაწრი ორნამენტით შემკული. მხოლოდ ერთ ყორღანში ორმოს აღმოსავლეთ კიდეზე, გრუნტის დონეზე, თხელკედლიან შავპრიალა კერამიკის ნატეხებთან ერთად, აღმოჩნდა ოქროს ორვოლუტიანი საკინძი, ორმოს ძირზე კი, თავის ქალასთან, ნაპოვნი იყო ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ვერცხლის ფოთლისებრი ფირფიტები და თეთრი პასტის წვრილი მძივები. ერთ-ერთ ყორღანში, კერამიკის გარდა, ობსიდიანის ერთი ფუძეამოღარული ისრისპირი აღმოჩნდა. აღსანიშნავია წალკის პლატოდან ჯავახეთის ზეგანზე გადასასვლელთან, ფარავნის ტბის მახლობლად, შესწავლილი ერთი ყორღანი, უორმო, ქვაყრილიანი. აქ მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთები არ აღმოჩენილა, სამარხეული ინვენტარი კი დასაკრძალავ მოედანზე იდო ზედ მიწის პირზე. იგი შედგებოდა სპილენძის ბრტყელი სატევრისპირისაგან ფართო, გახვრეტილი ყუნწით და პრიმიტიული ბრტყელი ფოთლისებრპირიანი გრძელყუნწიანი შუბისპირისაგან; სპილენძის მრგვალი თხელფირფიტიანი აბჯრის ნაწილები შიგნიდან გამოყვანილი კოპებით იყო შემკული. აქვე იყო ოქროს თხელი ფირფიტის სამი ცილინდრული მოყვანილობის გარსაკრავი. სპილენძის მილაკი, ობსიდიანის ფუძეამოღარულ ხუთი ისრისპირი და ჰემატიტის ლახტის თავი. ყორღანში თიხის ჭურჭლის მხოლოდ ერთი ნატეხი აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ბედენური ტიპის კერამიკისა.[3]

ამ დროის ყორღანების დიდი ჯგუფი ბედენის პლატოზე აღმოჩნდა. გარეგნულად ყორღანები თითქმის ერთი ტიპისაა, უპირატესად – ქვამიწაყრილიანი, მხოლოდ ზომებით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. მათი დიდი ნაწილი შედარებით მომცრო ზომისაა; მათ გვერდით გვხვდება უფრო მოზრდილი ყორღანები. თითქმის ყველა შესწავლილი ყორღანი ორმოიანი იყო. ზოგჯერ ორმოში ჩადგმული იყო ვერტიკალურად მდგარი ხის მორებისაგან შეკრული კამერა. მიცვალებულს ზოგჯერ ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად კრძალავდნენ.[4]

---

1 Кушнарева К. Х., Памятники медного века в Нагорном Карабахе, Советская археология, т. XX, М., 1954.

2 Арешян Г. Е., Раскопки в Маисяне. Археологические открытия 1984 года, М., 1986.

3 Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი.

4 გობეჯიშვილი გ., ბედენის გორასამარხის კულტურა, თბ., 1981.

ბედენის ყორღანებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ყორღანი „გადაჭრილი გორა“, რომლის სიმაღლე 6.0 მ-ს, დიამეტრი კი 80.0 მ-ს აღწევდა. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში სწორკუთხა ორმო აღმოჩნდა, რომელშიც შვეულად აღმართული მუხის მორებისაგან შედგენილი დასაკრძალავი კამერა იყო ჩადგმული. იატაკი ძელებისა ჰქონდა, გადახურვაც ძელური იყო, რომელიც კამერაში ჩადგმულ ხის ორ ბოძს ეყრდნობოდა. იატაკზე, ჩანს, ჯერ ჭილობი, შემდეგ კი ქეჩა იყო დაფენილი. სამარხში სამი მიცვალებული აღმოჩნდა, ორი მათგანი კამერის ჩრდილო კუთხეში ესვენა, ერთი კი, როგორც ჩანს, ძირითად, ცენტრალურ ნაწილში, ხის ფიცრებისაგან შეკრულ კუბოში. კუბო ხის საკაცეზე იდგა და ხის ოთხთვალა ეტლზე იყო დასვენებული. აქვე აღმოჩნდა სამარხეული ინვენტარის ძირითადი ნაწილი, რომელიც შედგებოდა კარგად ნაძერწი თხელკედლიანი თიხის ჭურჭლისაგან, რომლის ზედაპირი შესანიშნავადაა ნაპრიალები, თითქმის ლითონის ბზინვარებამდე მიყვანილი. აქვე აღმოჩნდა ხის სამფეხა რამდენიმე ჯამისებური ჭურჭელი, ხონჩის ნაწილები და სხვ. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია სპილენძის ორი ქინძისთავი დისკოიდალური თავით, სატეხი და ბრტყელი ცული, ოქროს მასიური ორვოლუტიანი საკინძი, ვერცხლის მილები, სერდოლიკის მძივები, რქის ღილაკები, ობსიდიანის ისრისწვერები და სხვ. გარდა ამისა, სამარხში იდო სხვადასხვა ქსოვილი – სელის, მატყლის, ქეჩა და ა.შ. აღმოჩნდა აგრეთვე ხორბლის, წაბლის, კაკლის ნაშთები, ასევე ძვლები და სხვ.

ბედენის სხვა, უფრო მომცრო, ყორღანებში, მართალია, უფრო ღარიბული ინვენტარი აღმოჩნდა, მაგრამ ზოგ მათგანში ნაპოვნი იყო ოთხთვალა ეტლის ნაშთები, ისეთივე ბრწყინვალე კერამიკა, ხის ჭურჭელი, სპილენძის იარაღი და სხვ.

ამავე ხანის ყორღანები აღმოჩნდა მთის წინა ზოლში, რომელთაგან აღსანიშნავია თეთრიწყაროს მახლობლად ნადარბაზევში გათხრილი ერთი ყორღანი, რომლის სიმაღლე 4,0 მ-ს, დიამეტრი კი 70,0-ს აღწევდა. ყრილი, თავისი ხასიათით, მარტყოფის და სამგორის ყორღანებს მოგვაგონებდა: ქვემოთ – ქვის, ზემოთ კი – მიწისა. ყორღანის ცენტრში სწორკუთხა ფორმის დასაკრძალავი ორმო იყო ამოჭრილი, რომლის ძირი თიხალესილი იყო და ზემოდან ჭილობი ეფარა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა ფეხებმოკეცილი. თიხის ჭურჭელი ორმოს დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა – ორი შავპრიალა ყელდაბალი დერგი, თხელკედლიანი კარგად ნაპრიალები კერამიკის ნატეხები. ლითონის ნივთებიდან სამარხში აღმოჩნდა სპილენძის ყუამილიანი ცული, სატეხი, ბრტყელი ცული, სადგისი, სატევრისპირი და სხვა. აქვე იყო ვერცხლის ერთი სატევრისპირი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ნაპოვნი კაჟისა და ობსიდიანის შესანიშნავად დამუშავებული, ფუძეამოღარული ისრისპირები. აღმოჩნდა, აგრეთვე, ძვლის მოზრდილი ისრისპირები, ძვლის სამი ცილინდრული მოყვანილობის ნივთი, ქვის სალესი, საბეგველი და სხვ. გარდა ამისა, აქვე აღმოჩნდა რქისაგან, ძვლისა და თეთრი პასტისებური მასალისაგან ნაკეთები რომბისებრი მოყვანილობის 30-ზე მეტი მცირე ზომის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, რომლებზედაც სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებია ამოღარული – ჯვარი, რომბები, სწორკუთხედებით შედგენილი ბადეები, ღარები და სხვ. ისინი თავისი ხასიათით თითქოს მოგვაგონებენ მარტყოფის დიდ ყორღანში ნაპოვნ მსგავს ნივთებს. ამავე დროისაა თეთრიწყაროს მახლობლად 1957 წელს გათხრილი ერთი ყორღანი, სადაც ტიპური ბედენური კერამიკა აღმოჩნდა.[1] ქვემო ქართლის ბარში ბედენის დროინდელი ყორღანები აღმოჩნდა

1 ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1957-1958 წწ., თბ., 1960.

მარნეულის ველზე, შულავრის მახლობლად.[1] ყველა ისინი ერთი ტიპისაა, შედარებით მომცრო ზომისა, ქვამიწაყრილიანი, უპირატესად, ორმოიანი. მათი სიმაღლე 2,0 მ-ს აღემატებოდა, დიამეტრი კი 20,0-30,0 მ-ს აღწევდა. ორ შემთხვევაში დადგინდა, რომ მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა ძლიერ მოხრილი ფეხებით. სამარხეული ინვენტარი ძირითადად კერამიკისაგან შედგებოდა, უპირატესად, მომცრო ზომის შავპრიალა ჭურჭლისაგან: ჯამები, ქოთნები, სასმისები და სხვ. ლითონის ნივთებიდან რამდენიმე სატევრისპირი და ოთხწახნაგა სადგისი აღმოჩნდა. ნაპოვნი იყო ობსიდიანისა და კაჟის ისრისპირები. ამ ჯგუფიდან უნდა გამოიყოს ერთი ყორღანი, რომელიც ერთგვარად თავისებურ კერამიკულ კომპლექსს შეიცავდა, რომელიც თითქოს უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისათვის დამახასიათებელ ჭურჭელს მოგვაგონებს. აქვე აღმოჩნდა ლითონის ყუამილიანი ცული, ღარიანი სატეხი, ბრტყელი ცული და სატევრისპირი.

ადრეული ყორღანების ხანაში შიდა ქართლის ვაკე საკმაოდ ათვისებული ჩანს. მართალია, აქაური ყორღანები შედარებით მომცრო ზომისა არიან და არ გამოირჩევიან თავიანთი სიდიდით და ბრწყინვალებით, მაგრამ, სამაგიეროდ, სადღეისოდ აქაა გამოვლენილი ბედენური საფეხურის ნამოსახლარი. როგორც ჩანს, ამ დროისაა ხოვლესთან გათხრილი ყორღანის ჩაშვებული სამარხი, სადაც ტიპური ბედენური კერამიკა იყო ნაპოვნი. ქარელთან, იქ, სადაც მდ. ფრონე მტკვარს ერთვის, ბერიკლდეებზე აღმოჩნდა ბედენური ხანის ნამოსახლარი და ყორღანული სამაროვანი. სამაროვანმა საკმაოდ დიდხანს იარსება, თითქმის მთელი ბრინჯაოს ეპოქის მანძილზე. პირველი მიცვალებულები აქ, ჩანს, ბედენურის საფეხურზე დაიმარხნენ, ეგებ, სწორედ ახლომდებარე ნამოსახლარის მკვიდრნი. ყორღანულ ველზე სამარხები ზომებით თუ განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან.[2] ამიტომ ადრეული და უფრო მოგვიანო ყორღანების გარეგნულად გამორჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. ყორღანები მომცრო ზომისაა, ქვამიწაყრილიანი, ორმოიანი. აქ გათხრილი ბედენური ხანის ორი ყორღანის ზომები – ერთის დიამეტრია 15,0 მ, სიმაღლე კი – 0,60 მ, მეორის დიამეტრია 30,0 მ, სიმაღლე – 1,60 მ. მიცვალებულები ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად იმარხებოდნენ. სამარხებში ტიპური ბედენური ხასიათის თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა – შავპრიალა, თხელკედლიანი ფაქიზი ორნამენტით შემკული. ერთ-ერთ ყორღანში, გარდა კერამიკისა, ნაპოვნი იყო სპილენძის სატევრისპირი, ვერცხლის გარსაკრავიანი სპილენძის ცილინდრულთავიანი საკინძი და სერდოლიკის მძივები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბერიკლდეების ნამოსხლარი.[3] იგი უშუალოდ ყორღანულ ველს ეკვრის და გამოწეულ კონცხზე მდებარეობს, რომელსაც ერთი მხრივ მტკვარი ჩამოუდის, მეორე მხრივ კი – მდ. ფრონე. პირველი დასახლება კონცხზე, ჩანს, საკმაოდ ადრე, მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარეს ხანაში წარმოქმნილა. შემდეგ ცხოვრება მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში გაგრძელებულა, რომელიც ბედენურის საფეხურზე არ შეწყვეტილა. ბედენური პერიოდის შემდეგ ნა-

---

1 ჯაფარიძე ო., ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971) წწ., თბ., 1975.

2 გაგოშიძე ი., ქორიძე ე., გოგიჩაიშვილი ე., შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-1981 წლების საველე სამუშაოების ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, VIII, თბ., 1986.

3 ღლონტი ლ., ნემსაძე გ., ჯავახიშვილი ალ., ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე 1979-1981 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში, საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, VIII, თბ., 1986.

სოფლარზე ცხოვრება, ეტყობა, ჩაკვდა და მომდევნო, შუაბრინჯაოს, ხანაში ამ ადგილს მიცვალებულების დასაკრძალავად იყენებენ. როგორც ჩანს, ყველა პერიოდში სოფელში ცხოვრება მაინცდამაინც ხანგრძლივი და ინტენსიური არ უნდა ყოფილიყო. ყველაზე ძლიერი კვალი ცხოვრებისა აქ თითქოს ბედენის ხანაში ჩანს. აქ ამ დროის რამდენიმე სამშენებლო დონეს გამოარჩევენ. გამოვლინდა ორი სწორკუთხა შენობა თიხატკეპნილი იატაკით. ნაგებობები გვერდიგვერდ იდგა. შუა ნაწილში ჩადგმული იყო კიდეებგადალესილი მრგვალი კერა, რომლის ცალ მხარეზე სახეა გამოსახული; თვალების ადგილას ობსიდიანის ნატეხებია ჩასმული. ოთახების კედლების გასწვრივ მოზრდილი დერგები იდგა, კერის ირგვლივ უფრო მომცრო ზომის ჭურჭელი ელაგა. საცხოვრებლის თითქმის მთელი ფართობი კერამიკას უკავია. ოთახში თავისუფალი ადგილი თითქმის არ იყო და როგორ თავსდებოდა საცხოვრებლად იქ ადამიანი, ძნელი წარმოსადგენია. უფრო სავარაუდოა, რომ გამოვლენილი შენობები სხვა დანიშნულებისა იყო, ეგებ, მართლაც, როგორც ფიქრობენ, კულტთან იყო დაკავშირებული. მცირე ზომის კერამიკა შავპრიალაა, უპირატესად, ნაცრისფერი სარჩულით, გამოირჩევა ცალყურა ან ორყურა ქოთნები, ტოლჩები, სასმისები და სხვ. ზოგჯერ რელიეფური ან ნაკაწრი ორნამენტით შემკული. უფრო მოზრდილი ჭურჭლები შედარებით ტლანქია, სქელკედლიანი, უპირატესად, დაბალყელიანი, ფართო პირით, ყურებით ან უყურო, ზოგჯერ შემკული შვერილებით, რელიეფური ან ჩაღარული გეომეტრიული სახეებით. თავისი ხასიათით ეს კერამიკა ძალიან ახლოს დგას ბედენის ხანის ყორღანებში მოპოვებულ ჭურჭელთან. შიდა ქართლში, გორის რაიონში, სოფ. ხელთუბანთან ყორღანული სამაროვანი აღმოჩნდა. აქ გაითხარა რამდენიმე ქვაყრილი, ორმოიანი ყორღანი. ყორღანებში შენიშნული იყო ხის ეტლების ნაკვალევი. ერთ-ერთ ყორღანში, თიხის ჭურჭელთან ერთად, აღმოჩნდა ბრინჯაოს პირამიდალურწვერიანი ისრისპირი. ყორღანები, ჩანს, ბედენური ხანისა უნდა იყოს.[1]

ბედენური დროისა უნდა იყო მარტყოფთან გათხრილი ერთი ყორღანი, რომელიც განმარტოებით იდგა და გარეგნულადაც ერთგვარად განსხვავდებოდა აქ შესწავლილი ყორღანებისაგან.[2] იგი უფრო პატარა ზომისა იყო – სიმაღლით 1,75 მ, დიამეტრით კი – 30,0 მ. ყრილი მას ზემოდან ქვისა ჰქონდა, შემდეგ კი – თიხისა. ყორღანის ცენტრში სწორკუთხა ორმო აღმოჩნდა, რომელშიც შვეულად დაყენებული ძელებისაგან შეკრული ნაგებობა იყო ჩადგმული. ნაგებობა მორებით იყო გადახურული, იატაკი ძელური ჰქონდა, რომელზედაც ორი მიცვალებული ესვენა. ერთი მათგანი ცენტრალურ ნაწილში მარცხენა გვერდზე იწვა, ფეხებმოკეცილი. ჩონჩხი, ჩანს, საკმაოდ ახოვან, მსხვილძვალა მამაკაცს ეკუთვნოდა. მის ფეხთით მეორე მიცვალებული ესვენა, მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილი ფეხებით, იგი, ჩანს, ქალი უნდა ყოფილიყო. სამარხში, ეტყობა, ხის ოთხთვალა ეტლი იყო ჩადგმული, რასაც მოწმობს ორმოს კიდეებზე შერჩენილი ღრმულები ხის ნაშთებით.

ლითონის იარაღიდან სამარხში აღმოჩნდა ყუამილიანი ცული, მოზრდილი ღარიანი სატეხი, სადგისი და ისრისპირი, ბრინჯაოს ბრტყელი, ფართო ფოთლისებრი მოყვანილობის, ყუნწიანი ნივთი, ეგებ „შტანდარტი“. სამკაულთაგან აღსანიშნავია

---

1 Миндиашвили Г. М., Археологическая экспедиция в селе Хелтубани (Горийский район). Полевые археологические исследования в 1980 г., Тбилиси, 1984.

2 ჯაფარიძე ო., ავალიშვილი გ., წერეთელი ა., კახეთის (მარტყოფი) არქეოლოგიური ექსპედიციის (1980-1981 წლების) მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, VIII, თბ., 1986.

ბრინჯაოს რამდენიმე სასაფეთქლე ხვია, კასრისებრი მძივები, ოქროს ხვია, სერდოლიკის მძივები და მძივსაკიდები და ერთი გიშრის ფართო რგოლი.

სამარხში რამდენიმე თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა – ორყურა ქოთანი, შავპრიალა თხელკედლიანი ცალყურა ტოლჩა, ფაქიზად ნაკაწრი ორნამენტით შემკული, სამფეხა ჯამი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ორმოს თავზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩაშვებული სამარხი აღმოჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სამარხი კამერის გადახურვის ძელებზე იყო კუთხეში გამართული. მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა ძლიერ მოხრილი ფეხებით. სამარხში აღმოჩნდა შავპრიალა, თხელკედლიანი ორი ცალყურა, ყელდაბალი ქოთანი და სასმისი, ბრინჯაოს ისრისპირი, ბრინჯაოს მოზრდილი, შუაში ქედიანი დისკო, ბრტყელი ყუნწით, ეგებ „შტანდარტი“ და ოქროს გარსაკრავიანი ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვია. საინტერესოა, რომ ანალოგიური სურათი შეიმჩნევა წალკის პლატოს XXII ყორღანში, სადაც სამარხი ორმოს აღმოსავლეთ კიდეზე, მიწის პირის დონეზე აღმოჩდა შავპრიალა, თხელკედლიანი ჭურჭლების ნატეხები და ოქროს ორვოლუტიანი საკინძი, რომლის ბრინჯაოს ღერო ოქროს ფირფიტით იყო გადაკრული.[1] როგორც ჩანს, ორსავე შემთხვევაში ჩაშვებული სამარხი ძირითადი საფლავის თანადროული იყო, „ბედენური ხანისა“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კახეთში შესწავლილი ყორღანები – ერთი ბაკურციხესთან, ორი წნორთან. ალაზნის ველზე ბედენური ხანის ყორღანები გვხვდება. უფრო ადრეული – მარტყოფისა და სამგორის დროინდელი ყორღანები აქ ჯერჯერობით ცნობილი არ არის. წნორის დიდი ყორღანის სიმაღლე 11,0 მ-ს, დიამეტრი კი 140,0 მ-ს აღწევდა. ყრილი მას მიწისა ჰქონდა; ცენტრალურ ნაწილში ქვის ყრილის ქვეშ აღმოჩნდა რიყის ქვისაგან ნაშენი ნაგებობა, რომლის აღმოსავლეთითაც მოზრდილი სამარხი ორმო მდებარეობდა, რომლის ფართობი 166,0 კვმ-ს უდრიდა. ორმო გადახურული იყო ხის მორებით, თიხით გადალესილი, რომელზედაც ჭილოფი იყო გადაფარებული. ორმოში ჩადგმული იყო დასაკრძალავი კამერა, რომელიც ვერტიკალურად მდგარი ხის მორებისაგან იყო შეკრული. სამარხში ხუთი მიცვალებული ესვენა. ერთ-ერთ ჩონჩხთან, რომელიც, ჩანს, ძირითადი სამარხი უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა ოქროს მძივები და მილაკები. გარდა ამისა, დასაკრძალავ კამერაში ნაპოვნი იყო ძვლის, კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები, ბრინჯაოს სატევრისპირები, სერდოლიკის მძივები და ბლომად თიხის ჭურჭელი. ყორღანი, ჩანს, გაძარცული იყო.[2]

უფრო მდიდარი მასალა აღმოჩნდა წნორის მეორე ყორღანში. იგი შედარებით უფრო პატარა იყო – 2,5 მ სიმაღლისა და 90,0 მ დიამეტრის. ყრილი მას მიწისა ჰქონდა, რომლის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, ამოღებული იყო ოთხკუთხა მოყვანილობის სამარხი ორმო, რომელიც ხის მორებით იყო გადახურული. ორმოს გადახურვასა და იატაკზე ჭილოფი იყო დაგებული. ორმოში ორი მიცვალებული აღმოჩნდა, ქალი და კაცი. ორივე ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე იწვა, მოხრილი ფეხებით. მამაკაცის ჩონჩხთან აღმოჩნდა ოქროს მძივები, ვერცხლის სამაჯურები, ვერცხლის ორვოლუტიანი საკინძი და სხვ.

სამარხი ორმოს ცენტრალურ ნაწილში ხის ოთხთვალა ეტლი იდგა, რომელზედაც ელაგა ძირითადი სამარხეული ინვენტარი – ოთხ ათეულზე მეტი თიხის ჭურჭე-

---

1 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრომი.

2 Дедабришвили Ш.Ш., Курганы Алазанской долины, Тб., 1979.

ლი, ძვლისა და ობსიდიანის ისრისპირები, ოქროს საკინძი, ოქროს ბოლოებდახვეული ფირფიტა, ოქროს მილაკი, ლომის ოქროს ქანდაკება და სხვ. თიხის მოზრდილი ჭურჭლები ორმოს სამხრეთ კედელთან იდგა. აქვე აღმოჩნდა ცხვრის 460 კოჭი.[1]

საინტერესო ყორღანი გაითხარა სოფ. ბაკურციხესთან, რომელსაც 3,0 მ სიმაღლის მიწის ყრილი ჰქონდა, დიამეტრი კი 60,0 მ-ს აღწევდა. ყრილის ქვეშ აღმართული იყო ხის მორებისაგან ნაგები ოთხკუთხა შენობა ჭილოფით დაფარული ძელური იატაკით. იატაკში აღმოჩნდა ცხრა ორმო ხის სვეტებისათვის, რომლებსაც გადახურვა ეყრდნობოდა. ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში ხის ოთხთვალა ეტლი იდგა; ცენტრალური სამარხი საგრძნობლად იყო დაზიანებული, სადაც აღმოჩნდა რამდენიმე შავპრიალა ჭურჭელი, ოქროს და პასტის მძივები, კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ორი მიცვალებული იყო მოთავსებული, ფეხებმოკეცილი, ერთი მარჯვენა, მეორე კი მარცხენა გვერდზე. სამხრეთი კედლის გასწვრივ მოზრდილი ჭურჭელი ელაგა. უფრო მომცრო ზომის კერამიკა ნაგებობის სხვადასხვა ადგილზე გვხვდება. გარდა ამისა, კამერაში აღმოჩნდა ობსიდიანის შესანიშნავად ნაკეთები ისრისპირები, ბრინჯაოს სატევრისპირი, შუბისმაგვარი იარაღი გაკვანძული ბოლოთი, ვერცხლის მილაკი, ოქროს გარსაკრავი, სალესი ქვა და სხვ.[2]

ამავე დროისა უნდა იყოს მანავის მახლობლად, ადგილ ზეიანში გათხრილი ერთი ყორღანი, რომლის სიმაღლე 3,0 მ-ს აღწევდა, დიამეტრი კი 40,0 მ-ს უდრიდა; ყრილი მას მიწისა ჰქონდა, რომლის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ ღრმა, ხის მორებით გადახურული ოთხკუთხა ორმო აღმოჩნდა. ორმოში ჩადგმული იყო ხის ოთხთვალა ეტლი. სამარხში ორი მიცვალებული იწვა ერთმანეთის გვერდით, ერთი მარჯვენა, მეორე კი მარცხენა გვერდზე. სამარხი, ჩანს, გაძარცვული იყო და თიხის ჭურჭლის ნატეხების გარდა აქ მხოლოდ ბრინჯაოს ერთი პირამიდალურთავიანი ისრისპირი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ამ ტიპის ისრის წვერი ბედენური ხანის ყორღანებში თითქმის არ გვხვდება. ამ დროს უპირატესად გავრცელებულია ობსიდიანის და კაჟის შესანიშნავად ნაკეთები ისრისპირები. ხშირია აგრეთვე ძვლის ამგვარი იარაღი. ყველაზე ადრეულ ყორღანებში კი, პირიქით, უპირატესად ლითონის პირამიდალურწვერიანი ისრისპირები გვხვდება და თითქმის დამახასიათებელი არ არის კაჟისა და ობსიდიანის მაღალი ოსტატობით დამზადებული ისრისპირები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქვემო ქედში გაითხარა ერთი უყრილო სამარხი, სადაც ღრმა სწორკუთხა ორმოში აღმოჩნდა ქვის ლახტისთავი და შავპრიალა, თხელკედლიანი კერამიკა კოპებითა და ფაქიზად ნაკაწრი ორნამენტით შემკული. თიხის ჭურჭელი ტიპური ბედენურია. შესაძლოა ეს ამ დროის საზოგადოების რიგითი წევრის სამარხი იყო.

ბედენური კულტურის ყორღანული სამარხები გარეგნულად და ზომებით თითქმის არ განსხვავდებოდა უადრესი ჯგუფის ყორღანებისაგან. საზოგადოების გამორჩეულ წევრებს დიდი ფუფუნებით მოზრდილ ყორღანებში კრძალავდნენ: მაგრამ ყრილის კონსტრუქციაში მაინც შეინიშნება გარკვეული სხვაობა. ბედენის ყორღანებისათვის თითქოს აღარ არის დამახასიათებელი სამარხის თავზე, ყრილის შუაგულში რიყის ქვის ზვინულის გამართვა. გარკვეული თავისებურება შეინიშნება აგრეთვე დასაფლავების რიტუალშიც. ამ ხანის ყორღანები უპირატესად ორმოიანია, ორმო ჩვე-

1 Дедабришвили Ш.Ш., Курганы Алазанской долины, Тб., 1979.

2 Пицхелаури К. Н., Исследования Кахетской археологической экспедиции, Полевые археологические исследования в 1980 г., Тб., 1982.

ულებრივ ხის ძელებით იყო გადახურული, შედარებით მოზრდილ ყორღანებში ორმოში ზოგჯერ ხის ძელებისაგან ნაგები კამერა იყო ჩადგმული. როგორც ჩანს, ჩვენში ყორღანული კულტურის გავრცელებასთან ერთად წესად შემოდის ხის მორებისაგან დასაკრძალავი ნაგებობის აშენება. ბედენურ ხანაში ხის შენობა ორმოში იდგმებოდა. ჩრდილო კავკასიაში ორმოს კედლების ხის მორით შემოფენა მაიკოპის კულტურის ყორღანებში გვხვდება, მაგრამ ხის ძელებისაგან სპეციალური დასაკრძალავი შენობის ორმოში აგება ბედენური ხანისთვისაა დამახასიათებელი. დაღესტანში უტამიშის და ყუბანისპირეთის ყორღანები ხის დასაკრძალავი კამერით რამდენადმე უფრო გვიანია. ბედენის ხანაში პირველად შემოდის ჩვენში მიცვალებულის ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვის წესი. დასაფლავების ეს რიტუალი საკმაოდ ადრინდელი დროიდან გვხვდება როგორც კავკასიის სამხრეთით, წინა აზიაში, ისე მის ჩრდილოეთით. ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვა წინა აზიაში, ჩანს, უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოდან იწყება და III ათასწლეულის პირველ ნახევარში ეს წესი აქ საკმაოდ ფართოდ ვრცელდება. აქედან შემოდის სამარხში ეტლის ჩატანების რიტუალი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში და აქედან ვრცელდება ალბათ უფრო ჩრდილოეთით.[1] თუმცა სამხრეთ რუსეთში წინა აზიიდან ეტლის გავრცელების სხვა გზასაც ვარაუდობენ კასპიის ზღვის ჩრდილო არეალზე გავლით.[2] მაგრამ საფიქრებელია, რომ ერთ-ერთი გზა, საიდანაც ეტლმა უფრო ჩრდილო მხარეებში შეაღწია, კავკასია იყო. საინტერესოა, რომ სწორედ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველად აისახა დაკრძალვის რიტუალში ჩრდილოური და სამხრეთული ტრადიციები – ყორღანში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვა.[3] დასაფლავების ეს წესი აქ ბრინჯაოს ხანის თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე გაგრძელდა. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის ჩვეულება ფართოდ ვრცელდება კავკასიის ჩრდილოეთით, სამხრეთ რუსეთში.[4]

ბედენური ხანის ყორღანები გამოირჩევა სამარხეული ინვენტარის შედარებით სიუხვით. მართალია, როგორც მარტყოფის ჯგუფის ყორღანებიდან ჩანს, უადრესი ყორღანების მოგვიანო ეტაპზე მიცვალებულს უკვე საკმაოდ ჭარბად ატანენ ნივთებს, მაგრამ ბედენიის საფეხურზე ეს წესი კიდევ უფრო დამახასიათებელი ხდება. სამარხეული ინვენტარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კერამიკა, რომელიც ესოდენ თავისებურ სახეს აძლევს ყორღანული კულტურის ამ საფეხურს და რომლითაც მდიდარია ბედენური ხანის სამარხები. იგი ჭურჭლის ფორმების მრავალგვაროვნობით ხასიათდება, ხელით (უმორგვოდ) ნაძერწია და გამოირჩევა ზედაპირის დამუშავების მაღალი დონით. გარეთა პირის სიკრიალე ზოგჯერ მეტალის ბზინვარებამდეა მიყვანილი. მართალია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანისათვის საერთოდ შავპრიალა კერამიკაა დამახასიათებელი, მაგრამ არც ერთ დროს ჭურჭლის ზედაპირის კრიალს ისეთ დონემდე არ მიუღწევია, როგორც ბედენურ ხანაში. ოსტატი, ჩანს, საგანგებო ყურადღებას ჭურჭლის გარეთა პირის დამუშავებას უთმობს. კერამიკის ფორმები დიდი ოსტატობითაა გამოყვანილი, განსაკუთრებით მომცრო ზომის თხელკედლიანი ჭურჭელი. მათში ყველაზე დამახასიათებელია ორი ტიპის ჭურჭელი

---

1 Piggott S., The earliest Wheeled vehicles and the Caucasian eviden, Proceekings of the Prehistorie Society, vol. XXIV, London, 1969.

2 Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984.

3 Массон В. М., Экономика и социальный строй древних обществ, Л., 1976.

4 Мерперт Н.Я., დასახ. ნაშრომი.

– ერთი ცილინდრული, არცთუ ისე მაღალი ყელით, პირგადაშლილი და უპირატესად ბირთვისებრი მოყვანილობის მუცლით, ცალყურა ჭურჭელი და მეორე – ბიკონუსური ტანით, დაბალი ჩაღარული ყელით, პირგადაშლილი ცალი ყურით. ბიკონუსური ჭურჭელი უპირატესად სადაა. ცილინდრულყელიან ჭურჭელს ხშირად მხარზე ამოღარული ხაზები უვლის, ზოგჯერ ერთი ან მეტი მწკრივი კოპებისა – „მარგალიტისებური“ ორნამენტი. გვხვდება ფაქიზად ნაკაწრი გეომეტრიული სახის ორნამენტით შემკული ეგზემპლარები. დამახასიათებელია აგრეთვე ცალყურა ტოლჩები და სასმისები – ხშირად ფაქიზად ნაკაწრი მარტივი გეომეტრიული სახეებით შემკული. გვხვდება თხელკედლიანი ჯამისებური ჭურჭელი.

გარდა ფაქიზი კერამიკისა, ცნობილია შედარებით ტლანქად ნაძერწი, სქელკედლიანი მოზრდილი და საშუალო ზომის დერგები, ქილები, ქოთნები და სხვ. უყელო და ჩაღარული ყელით, ზოგჯერ კი დაბალი ცილინდრული ყელით. მოზრდილ ჭურჭელს უპირატესად კვერცხისებრი მოყვანილობის ტანი აქვს, მხარზე მიბმული პატარა ყურებით. ზოგჯერ ჭურჭელი „მარგალიტისებრი“ ორნამენტით ან ნაკაწრი გეომეტრიული სახეებითაა შემკული.

აღსანიშნავია ბედენისა და ალაზნის ყორღანებში აღმოჩენილი „ჩაიდანის“ ტიპის მილიანი ჭურჭელი. ისინი იმეორებენ ბედენური ჭურჭლის ფორმას, ოღონდ ცალ მხარეს მილისებრი ნანაზარდი აქვთ. ეს ტიპი ჭურჭლისა საკმაოდ ადრინდელი ხანიდან გავრცელებულა წინა აზიაში. ჩვენში მილიანი ჭურჭელი, ჩანს, პირველად ბედენის ხანაში გვხვდება, მაგრამ არც მერმინდელ პერიოდში მიიღო მაინცდამაინც ფართო გავრცელება. გარდა ამისა, ბედენის დიდ ყორღანში ნაპოვნი იყო ორმაგი ჭურჭელი, აქაც ბედენური ტიპის ცილინდრულყელიანი ჭურჭელია ერთმანეთთან შეერთებული, რომლებსაც ერთი საერთო ჰორიზონტალური ყური აქვთ. ერთი ორმაგი ტიპის ჭურჭელი ბეშთაშენის ციხის მტკვარ-არაქსულ ფენაში აღმოჩნდა. მარტყოფის ბედენური ხანის ყორღანში სამფეხა ჯამი იდო. ერთი ღრმა ჯამისებური ჭურჭელი შედარებით მაღალ ფიგურულ ფეხებზე ბედენის დიდ ყორღანში იყო ნაპოვნი. აქვე აღმოჩნდა ხისგან გამოთლილი სამ ფეხზე მდგარი ოთხი ჯამი. ფეხებზე შემდგარი ჯამისებური ფორმის ჭურჭელი ჩვენში არც მანამდე და არც შემდეგ დამახასიათებელი არ იყო. საერთოდ, ფეხიანი ჭურჭელი, თუ არ ჩავთვლით ერთ სამფეხა ჭურჭელს ამირანის გორიდან,[1] მტკვარ-არაქსის კულტურაში ცნობილი არ იყო. ამირანის გორის ფეხიანი ჭურჭელი თავისი ფორმით ჩრდილო კავკასიის ყორღანებში ნაპოვნ ჭურჭელს უახლოვდება. ჩეჩენ-ინგუშეთში ბამუტის ყორღანულ სამაროვანზე რამდენიმე ოთხფეხა ქილისებრი ჭურჭელი აღმოჩნდა.[2] სავსებით ასეთივე კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე ჩრდილო ოსეთში, ჯუარიკაუს ყორღანულ სამაროვანზე შესწავლილ სამარხებში.[3] უნდა აღინიშნოს, რომ ფეხებზე მდგარი ჭურჭელი ჩრდილო-კავკასიაში მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურების ხანაში თითქმის არ გვხვდება. იგი აქ ჩნდება მაიკოპის კულტურის მიწურულ ხანაში და მას უფრო ჩრდილოეთ გავლენას მიაწერენ, სადაც ძველი ორმოსამარხების კულტურაში საკმაოდ დამახასიათებელია ფეხიანი ჭურჭელი. თუმცა ფეხიანი ჭურჭელი სამხრეთით საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდანაა ცნობილი.

---

1 ჩუბინიშვილი ტ., ამირანის გორა, თბილისი, 1963.

2 Мунчаев Р.М. Погребальные комплексы с сосудами на ножках из бамутских курганов эпохи бронзы, Новое в археологии Кавказа, М., 1986.

3 Николаева И.А. Сафронов В.А., Курганный могильник эпохи бронзы у с. Дзуаракау, Проблемы археологии Северной Осетии, Орджоникидзе, 1980.

ბედენური საფეხურის კერამიკული კომპლექსი საგრძნობლად განსხვავდება უადრეს ყორღანებში წარმოდგენილი თიხის ჭურჭლისაგან. თუმცა მარტყოფის ზოგიერთ ყორღანში (რომლებიც დროით ბედენურ ხანას უახლოვდებიან) აღმოჩენილ ჭურჭელში ზოგი ისეთი ნიშანი შეიმჩნევა, რომელიც შემდეგში თითქოს უკვე ბედენურ კერამიკაში ჩანს. მარტყოფში ეს კერამიკა, მართალია, ჯერ კიდევ მსხლისებურ ჭურჭელთან და მოზრდილ ტოლჩებთან ერთად გვხვდება, მაგრამ უკვე შეიმჩნევა ტენდენცია კერამიკული ნაწარმის გამდიდრებისა. ჩნდება ახალი ფორმები – ბიკონუსური ჭურჭელი, ფართოპირიანი ყელდაბალი ქილები, ბირთვისებრტარიანი ცალყურა ქილები და სხვა. არ გვხვდება მომცრო, სუფრის ჭურჭელი. ბედენურ ყორღანებში აღარ გვხვდება მსხლისებრი ფორმა ჭურჭლისა და არც მოზრდილი ტოლჩისებრი ჭურჭელია აქ მაინცდამაინც ცნობილი. ბედენური კერამიკა ფორმათა მრავალგვარობით და შესრულების უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება. საერთო, რაც ადრეული ყორღანული კულტურის ამ ორ კერამიკულ კომპლექსს აერთიანებს, ძირითადად ჭურჭლის გარეთა პირის დამუშავებაა. ორივეგან უპირატესად შავი ზედაპირგაპრიალებული კერამიკა გვხვდება. მაგრამ ბედენურ კერამიკაზე ზედაპირის დამუშავების ეს წესი უმაღლეს დონემდეა აყვანილი და სიკრიალე თითქმის ლითონისებურ ბზვინვარებამდეა მიყვანილი. მართალია, ბედენური თიხის ჭურჭელი მკვეთრად გამოსახული თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ ზოგი რამ საერთო ელემენტი, ეგებ, შორეული, მტკვარ-არაქსის კერამიკიდან მომდინარე, თითქოს მაინც შესამჩნევია. ყელის ცილინდრული მოყვანილობა, ზოგი რამ საერთო წვრილ ჭურჭელში და ორნამენტის ხასიათში, ზედაპირის გაპრიალების ტრადიცია და სხვ. თითქოს რამდენადმე აახლოებს ამ ორ კერამიკულ კომპლექსს. ბედენურ კერამიკას უახლოვდება საჩხერის ყორღანული სამაროვნების გვიან სამარხებში ნაპოვნი თიხის ჭურჭელი. პასიეთის სამაროვნის ერთ-ერთ გვიანდელ სამარხში ნაპოვნი იყო ერთი ჭურჭელი, ყურებზე ამოზიდული შვერილით, რომელიც ახლოს დგას ბერიკლდეების ბედენური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ჭურჭელთან, არც კავკასიას შიგნით და არც მის გარეთ ბედენური ჭურჭელი წინარე ხანის სხვა კერამიკულ ჯგუფებთან რაიმე შესამჩნევ სიახლოვეს მაინცდამაინც არ ავლენს.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბედენის თიხის ჭურჭელი და საერთოდ კულტურა მაიკოპის კულტურასთან დგას ახლოს, განსაკუთრებით მის მოგვიანო ნოვოსვობოდნაიას ეტაპთან.[1] ნოვოსვობოდნაიას ყორღანის ერთი შავპრიალა ცილინდრულყელიანი ჭურჭელი ფორმით, მართლაც, წააგავს ბედენურს. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ იგი გამოირჩევა ზედაპირის სიკრიალით. საერთოდ, ყუბანისპირეთის ამ დროის კერამიკის გარეთა პირი კარგადაა გაპრიალებული. ოღონდ აქ უპირატესად მოწითალო თიხის ჭურჭელი გვხვდება.[2] ფორმით მაიკოპური კერამიკა მაინც განსხვავებული ხასიათისაა. ბედენისათვის დამახასიათებელი ტიპური ფორმა ჭურჭლისა, რომელიც ასე მკვეთრად გამოარჩევს მას სხვა კერამიკული კომპლექსებისაგან, ყუბანისპირეთში თითქმის არ გვხვდება. ერთი, რაც საერთო ჩანს ნოვოსვობოდნაიას და ბედენის კერამიკას შორის, ის არის, რომ ორივეგან ჭურჭლები ზოგჯერ „მარგალიტისებრი“ ორნამენტითაა შემკული. საიდან ჩნდება ორნამენტის ეს ხასიათი, გარკვევით თქმა ძნელია, ნოვოსვობოდნაიას კულტურაში ეს მოტივი თითქოს უფრო დამახასიათებელი ჩანს. იგი გვხვდება ლითონის ჭურჭელზეც და სხვა ნივთებზეც.

1 გობეჯიშვილი გ., დასახ. ნაშრომი.
2 Попова Т.Б., Дольмены станицы Новосвободной, М., 1963.

წმინდა ბედენური ტიპის ჭურჭელი ჩრდილო კავკასიაში სადღეისოდ მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დაღესტანშია ცნობილი. ერთი ბედენური სასმისი შემთხვევით აღმოჩნდა მთიან დაღესტანში, საქართველოს მოსაზღვრე რაიონში.[1] მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია დაღესტანში, კასპიისპირეთში, სოფ. ველიკენტის კატაკომბურ სამაროვანზე შესწავლილი ერთი კოლექტიური სამარხი, რომელიც მდიდარ ინვენტარს შეიცავდა.[2] მარტო ლითონის ნივთების რაოდენობა თითქმის ათას ხუთასს შეადგენდა. გარდა ამისა, აქ მრავლად აღმოჩნდა ქვისაგან დამზადებული ნივთები – ცული, ლახტისთავები, მძივები, საკიდარი და სხვ. სამარხეული ინვენტარის დიდ ჯგუფს შეადგენდა თიხის ჭურჭელი, საკმაოდ მრავალფეროვანი, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ვარიანტის კერამიკასთან. აქვე აღმოჩნდა ტიპური ბედენური თიხის ჭურჭელი, უპირატესად სასმისები. ამ კერამიკას აქ, ჩანს, სამართლიანად, სამხრეთის იმპორტად მიიჩნევენ. იგი, უთუოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან უნდა შესულიყო უფრო ჩრდილოეთით, ალბათ ისევ კასპიისპირეთის გზით. ჩანს, აქ ბედენურმა ჭურჭელმა მომდევნო ხანის კერამიკაზე იქონია გავლენა. ეს განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა გინჩის სამაროვნის თიხის ჭურჭელზე.[3]

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბედენის საფეხურზე საერთო აღმავლობა შეინიშნება კულტურაში. საგრძნობლად წინაურდება მეტალურგია, რომელიც აქ მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულისათვის განვითარების უკვე საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. ძველ ფორმასთან ერთად ლითონის ნაწარმის ახალი სახეობები ჩნდება. ბედენის საფეხურისათვის დამახასიათებელი ჩანს შედარებით ფართოპირიანი ყუადაქანებული ცული. იგი ფორმით საგრძნობლად განსხვავდება ყუადაქანებული ცულისაგან, რომელიც ამ დროიდან ალბათ გამოდის ხმარებიდან. ეს ტიპი ცულისა ჩვენში ბედენის ხანაში უნდა ჩამოყალიბებულიყო, პირი მას ფართო აქვს, შედარებით მასიურია და, ალბათ, სამუშაოდ უფრო ეფექტურია. ერთი ამ ტიპის ცული ჯერ კიდევ საჩხერეში იყო ნაპოვნი. პირფართო, ყუამილიანი ცული აღმოჩნდა თეთრი წყაროს და მარტყოფის ბედენური ხანის ყორღანებში. ერთი ამგვარი ცული, შედარებით მომცრო ზომისა, შულავრის ერთ-ერთ ყორღანში იდო.[4] წითელწყაროს მხარეში შემთხვევით აღმოჩნდა ამ ტიპის მასიური ცული. ჩრდილო კავკასიაში ასეთი ცული ნაპოვნი იყო ჩეჩენ-ინგუშეთში გათინ-კალეს ერთ-ერთ სამარხში.[5] საინტერესოა, რომ მაიკოპის კულტურაში ამ დროს სრულიად განსხვავებული ტიპის ცულები იყო გავრცელებული.

თითქმის ყველა ყორღანში, სადაც ყუამილიანი ცული აღმოჩნდა, მას თან ახლდა ღარიანი სატეხი. თეთრი წყაროს და მარტყოფის ყორღანებში დიდი ზომის საკმაოდ მასიური სატეხები იყო ნაპოვნი, შულავერთან გათხრილ ყორღანში კი უფრო მომცრო ცალი აღმოჩნდა. ერთი მასიური სატეხი ბედენის დიდ ყორღანში იდო. დიდი ზომის სატეხი შემთხვევით აღმოჩნდა ზეკართან. საჩხერეში ნაპოვნი ამ ტიპის იარაღი შედარებით უფრო წვრილია, ერთი ამ ტიპის პატარა სატეხი მარტყოფის დიდ ყორ-

1 Гаджиев М.Г., Северо-Восточный Кавказ как географическая и этнокультурная область, Древние культуры Северо-Восточного Кавказа, Махачкала, 1985.

2 Гаджиев М.Г., Кореневский С.И., Металл великентской катакомбы, древние промыслы, ремесло и торговля в Дагестане, Махачкала, 1984.

3 Гаджиев М.Г., Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969.

4 ჯაფარიძე ო., დასახ. ნაშრომი.

5 Марковин В.Н., Новый памятник эпохи бронзы в Горной Чечне, Древности Чечено-Ингушетии, М., 1963.

ღანში იყო აღმოჩენილი. ღარიანი სატეხი კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურაში, განსაკუთრებით მის გვიანდელ, ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე.[1] აქ ძირითადად ამ იარაღის შედარებით მომცრო ეგზემპლარები გვხვდება. მოზრდილი, მასიური სატეხი, ჩანს, ძირითადად ბედენის საფეხურისათვის იყო დამახასიათებელი.

ბედენის საფეხურისათვის, ისევე როგორც წინარე ხანისათვის, დამახასიათებელია ბრტყელი ცული. იგი ხშირად გვხვდება ამ დროის სამარხებში. ამ ტიპის იარაღმა საერთოდ ფართო გავრცელება მიიღო ძველ სამყაროში. იგი კარგადაა წარმოდგენილი ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურის ხანაში.

საბრძოლო იარაღიდან ბედენის ხანაშიც ყველაზე გავრცელებული ისევ სატევრისპირია. ეს იარაღი პრიმიტიულია ბრტყელი ფოთლისებრი პირით, ყუნწიანი, რომლებიც თავისი ფორმით მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდებოდნენ უადრეს ყორღანებში მოპოვებულ სატევრისპირისაგან. თეთრი წყაროს ყორღანში ვერცხლის ერთი სატევრისპირი აღმოჩნდა. მას შედარებით მოგრძო პირი და ფართო ყუნწი აქვს და საგრძნობლად განსხვავდება მარტყოფის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლის ამგვარივე იარაღისაგან. აღსანიშნავია ბაკურციხის ყორღანში ნაპოვნი ორი შუბისმაგვარი იარაღი, ისინი წინარე ხანაში გავრცელებულ ამგვარი იარაღისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ ბოლო ყულფისებურად დახვეული აქვთ, რითაც განსხვავდებიან წინა აზიაში და კავკასიაში გავრცელებულ ამგვარი იარაღისაგან. რა დანიშნულება ჰქონდა ამ იარაღთან აღმოჩენილ ვერცხლის მასრებს, ძნელი სათქმელია, შესაძლოა ღეროზე წამოცმული სახელურის როლს ასრულებდნენ. როგორც ჩანს, ყორღანული კულტურის ხანაში წინააზიური წარმომავლობის ხიშტი და შუბისმაგვარი იარაღი თანდათანობით ხმარებიდან გამოდის. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ (თუ არ ჩავთვლით ცულს, რომელიც შესაძლოა ორმაგი ფუნქციის მატარებელი იყო – საბრძოლო და სამეურნეო) საომარი ხასიათის იარაღს, წინარე კულტურასთან შედარებით, წინსვლა მაინცდამაინც არ დატყობია. პირიქით, ისე ჩანს, რომ ზოგიერთი იარაღი თითქოს გამოდის ხმარებიდან. უადრეს ყორღანებში გავრცელებული ლითონის პირამიდისებრთავიანი ისრისპირები ბედენის საფეხურზე თითქმის აღარ ჩანს და მათ ადგილს თითქოს იკავებს შესანიშნავად ნაკეთები კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები. ერთი ანალოგიური ობსიდიანის ისრისპირი ნაპოვნია აღმოსავლეთ ანატოლიაში ნორსუნ-თოფზე ადრებრინჯაოს III ხანის ფენაში.[2] ქვის ეს იარაღი ისეთი მაღალი ტექნიკითაა ნამზადი, იმდენად ბრწყინვალე ნახელავია, რომ ძნელი წარმოსადგენია მისი პრაქტიკული გამოყენება და ეგებ უფრო დაკრძალვის რიტუალისთვის ხმარობდნენ – ძირითადად სამარხში ჩასატანებლად. იგივე შეიძლება ითქვას ძვლის ისრის- და ხელშუბისპირებზე. არც ბრინჯაოს სამკაულის სიმდიდრით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბედენური ყორღანები. მათში უპირატესად ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები და მძივებია წარმოდგენილი. მაგრამ ამ ხანაში ბრინჯაოს მეტალურგია შემდგომ აღმავლობას განიცდის. ბედენის ყორღანებში პირველად ჩნდება კალიანი ბრინჯაოს ნივთები. მანამდე ჩვენში ძირითადად გავრცელებული იყო დარიშხნიანი ბრინჯაო. ბედენის საფეხურზე დარიშხნიანი ბრინჯაოს გვერდით

---

1 Попова Т.Б., დასახ. ნაშრომი.

2 Hauptmann H., Die Grabungen auf den Norsun-Tepe, Keban Project, 1970, Activites, Ankara, 1972.

გამოჩენას იწყებს ნივთები, რომლებიც კალის საკმაოდ მაღალ პროცენტს შეიცავენ.[1] კალა დადებითად მოქმედებს სპილენძზე და მათი შერევის შედეგად მიღებული ნივთი უფრო მაღალი თვისებებით ხასიათდება. კავკასიაში კალა არ მოიპოვება და ამიტომ ვარაუდობენ, რომ იგი აქ გარედან, სამხრეთიდან უნდა გავრცელებულიყო, სადაც კალიანი ბრინჯაო უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრიდანაა ცნობილი. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ კავკასიაში არსებულიყო ადგილობრივი მცირე გამონამუშავრები კალისა. როგორც არ უნდა გადაწყდეს შემდეგისათვის კავკასიაში კალის გავრცელების საკითხი, ერთი ცხადია, რომ ბედენის საფეხურზე ადგილობრივმა მეტალურგებმა წარმატებით აითვისეს კალიანი ბრინჯაოს მიღების წესი.

ამიტომ ცოტა უცნაურად გამოიყურება ბრინჯაოს იარაღ-სამკაულის შედარებითი სიმცირე ამ დროის მდიდარ ყორღანებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ის იყო, რომ ამ ხანის სამარხებში საგრძნობლად იმატა ძვირფასი ლითონის ნივთებმა. ოქრომჭედლობა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს და ჩნდება მაღალი ოსტატობით შესრულებული ნივთები. თრიალეთისა და ბედანის ყორღანში ოქროს ორვოლუტიანი საკინძები გამოჩნდა. ერთი ამგვარი საკინძი, ოღონდ ვერცხლისა, წნორის ერთ-ერთ ყორღანში იდო. როგორც ჩანს, თავის ფორმას ეს საკინძები მტკვარ-არაქსის კულტურაში გავრცელებული ვოლუტებიან საკინძებისაგან იღებს. ბედენის საკინძი მასიურია, დაბრტყელებული თავით, ორივე მხარეზე რელიეფურადაა გამოყვანილი რთული გეომეტრიული ორნამენტია. ცალ მხარეს მეანდრისებური სახეებია გამოსახული, მეორეზე კი ორ მწკრივად განლაგებული წრეებია. თრიალეთურ საკინზედაც ანალოგიური ხასიათის ორნამენტია დატანილი – ცალ მხარეზე ერთი, მეორეზე კი ორი რიგის წრეებია გამოყვანილი. თრიალეთის საკინძის ღერო სპილენძისაა, რომელზედაც ოქროს გარსაკრავია გადაკრული. წნორის ყორღანის ვერცხლის საკინძზე, მისი დაზიანების გამო, ძნელია რაიმეს თქმა. ამ ტიპის ბრინჯაოს ერთი საკინძი ნაპოვნი იყო გინჩის სამაროვნის ერთ-ერთ რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანის სამარხში. როგორც აღინიშნა, ამ სამაროვნის კერამიკაც გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ბედენურ ჭურჭელთან.[2]

ბედენის ჯგუფის ყორღანებში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ფორმის ოქროს და ვერცხლის მძივები, მილაკები, სასაფეთქლე რგოლები, ფირფიტები, წვრილი გრეხილი მავთულის და სხვ. თითქმის ყველა ნივთი მაღალი ოსტატობითაა ნაკეთები და ჩანს, რომ საკმაოდ დახელოვნებული ხელოსნის ხელიდანაა გამოსული, რომელიც კარგადაა იმდროინდელი ოქრომჭედლობის წესებს დაუფლებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია წნორის ყორღანში ნაპოვნი ლომის ოქროს პატარა მრგვალი ქანდაკება. ეს პირველი შემთხვევაა სკულპტურული გამოსახულების აღმოჩენისა ჩვენში და საერთოდ ამიერკავკასიაში. ქანდაკება ჩამოსხმულია, მას საკმაოდ კარგად გამოყვანილი ტანი, სქელი კისერი, გრძელი, ბოლოში დახვეული კუდი აქვს და საკმაოდ მყარად დგას ფეხებზე.[3] გამოსახულების წინა მხარე – სახე, თავი, კისერი და წინა კიდურები რელიეფური ხაზებით და წვრილი კოპებითაა დაფარული, რითაც სტილიზებულად

1 აბესაძე ც., ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ლითონის ნაწარმი კახეთიდან, სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია, ტექნოლოგია, III, თბ., 1980. №3. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, № 2.

2 Гаджиев М.Г., დასახ. ნაშრომი.

3 Дедабришвили Ш.Ш., დასახ. ნაშრომი.

ძუ ლომის ფაფარია გადმოცემული. მაგრამ მისი სახის ნაკვთები სრულიად არ გადმოსცემს ამ ცხოველისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რითაც საგრძნობლად განსხვავდება ძველაღმოსავლურ სამყაროში კარგად ცნობილი ლომის გამოსახულებებისაგან. დიდად განსხვავდება აგრეთვე მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭელსა და ოქროს ფირფიტებზე გადმოცემულ ლომის გამოსახულებებისაგან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ადგილობრივი ოსტატის ნახელავია, რომელიც სუსტად იცნობს კავკასიისათვის უცხო ფაუნის წარმომადგენელს და მთელი სისრულით ვერ გადმოსცა ამ ცხოველისათვის დამახასიათებელი ნიშნები.[1] კავკასიაში ჯერ კიდევ მაიკოპის ყორღანში აღმოჩნდა ცხოველთა ქანდაკებები. მათი გამოსახულებები ვერცხლის ჭურჭლებზეა აგრეთვე მოცემული. ორივე შემთხვევაში ცხოველების გამოსახულებები იმდენად სრულყოფილადაა გადმოცემული და მაღალი ოსტატობით შესრულებული, რომ მათ ძველაღმოსავლური ხელოვნების ნიმუშებს, უფრო კი შუმერულს, ადარებენ. ამიტომ, მით უფრო დამაჯერებელია ის მოსაზრება, რომ წნორის ყორღანში ნაპოვნი ლომის ოქროს ქანდაკება ადგილობრივ უნდა იყოს შექმნილი.

საიუველირო ხელოვნება საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში ბედენურ საფეხურზე წინაურდება წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის გაზრდის შედეგად. ოქრომჭედლურ ნაწარმს აშკარად ეტყობა სამხრეთიდან მიმდინარე გავლენები. საიუველირო საქმის აღმავლობას, ეგებ, ისიც უწყობდა ხელს, რომ კავკასიაში ძვირფასი ლითონი, კერძოდ ოქრო, ადგილობრივ მოიპოვებოდა. გამოითქვა კიდეც მოსაზრება, რომ აქედან გაჰქონდათ ოქრო წინა აზიაში.[2] ძვირფასი ლითონის ნივთები პირველად მარტყოფის დიდ ყორღანში აღმოჩნდა, რომელიც დროის მიხედვით ბედენის სამარხებიდან მაინცდამაინც დიდად დაცილებული არ უნდა ყოფილიყო. ბედენის საფეხურზე საიუველირო საქმე კიდევ უფრო წინაურდება ალბათ სამხრეთიდან ნამოსული იმპულსების გაძლიერების შედეგად. შესაძლოა ამასთან იყოს დაკავშირებული კულტურის საერთო დონის ამაღლება. გარკვეული ცვლილებები კულტურის თითქმის ყველა სფეროს შეეხო. ეს განსაკუთრებით ნათლად ბედენის კერამიკულ კომპლექსზე შეიმჩნევა. იგი გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ხდება, ჩნდება ახალი ფორმები, მაღალი ოსტატობით შესრულებული. შესაძლოა, სამხრეთთან ურთიერთობის ანარეკლი იყოს „ჩაიდანის“ ტიპის და ფეხიანი ჭურჭლების გამოჩენა. გარკვეული სიახლეები მეტალურგიასაც შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი საკმაოდ დაწინაურებული იყო, ვრცელდება იარაღის ახალი ფორმები, შემოდის ცულის ერთგვარად თავისებური ფორმა, მასიური ღარიანი სატეხი, რომელიც კავკასიის გარდა ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში. ქრება სამკაულის ზოგიერთი ფორმები. რაც მთავარია, ამ ხანაში პირველად შემოდის კალიანი ბრინჯაო. ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები კულტურის ხასიათში, რა თქმა უნდა, შესაძლოა ეთნიკური ძვრებითაც აგვეხსნა, მაგრამ სავარაუდოდ, ჩრდილოეთთან ურთიერთობის განელებას და ძველაღმოსავლურ სამყაროსთან ერთხანს შესუსტებული კავშირების აღდგენას შედეგად კულტურის ერთგვარი გადახალისება მოჰყვა. ვითარდება და იხვეწება ადგილობრივ ტრადიციებზე დაფუძნებული ხელოსნობის ზოგიერთი დარგი, იწევს კულტურის საერთო დონე, მაგრამ ამ ძვრებს, როგორც ჩანს, საზოგადოების სოციალურ ურთიერთობაში და საერთოდ ცხოვრებაში მაინცდამაინც შესამჩნევი

1 Джапаридзе О. М., Художественное ремесло в Древней грузии, Древний Восток и мировая культура, М., 1981.

2 Мунчаев Р.М., Кавказ на заре бронзового века, М., 1975.

გადახალისება არ მოჰყოლია. თითქმის არ შეცვლილა დაკრძალვის წესი და საზოგადოების დაწინაურებული ფენა კვლავ, შეიძლება, რამდენადმე უფრო მეტი ფუფუნებით, ყორღანულ სამარხებში საფლავდება. ერთი, რაც თვალში საცემია, ის არის, რომ მიცვალებულებს ზოგჯერ ხის ოთხთვალა ეტლით ან ხის სარეცელზე კრძალავდნენ. ესეც ალბათ სამხრეთთან ურთიერთობის შედეგი იყო.

როგორც ჩანს, სამხრეთთან ურთიერთობის გამოცოცხლებას ბედენის საფეხურზე, ყორღანული კულტურის ხანაში, ცხოვრების საერთო წესის დარღვევა არ მოჰყოლია. არ იცვლება მაინცდამაინც მეურნეობის ხასიათი. არ ჩანს მყარი, მუდმივი დასახლების კვალი. ბერიკლდეები, ეგებ, მართლაც, უფრო წმინდა, საკულტო ადგილი იყო, ვიდრე ნასახლარი. სხვა მხრივ აუხსნელია კერამიკის სიჭარბე შენობის შიგნით, სადაც თითქმის მთელი ფართობი თიხის ჭურჭელს ეკავა. ეკონომიკაში მესაქონლეობის როლი, ეტყობა, საკმაოდ მაღალი იყო. ნიშანდობლივია, რომ ბედენის დროის ყორღანებში უფრო მეტად გვხვდება საფლავში ჩატანებული ცხოველების ძვლები. წნორის ერთ-ერთ ყორღანში ხუთასამდე ცხოველის კოჭი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი, რომელიც თავისი ხასიათით უფრო ახლოს იყო წინააზიურთან, საბოლოოდ ვერ აღდგა, კულტურის განვითარების საერთო ხაზი თითქოს უფრო ჩრდილოეთ, ევროპულ გზას უახლოვდება, ვიდრე სამხრეთულს. უნდა აღინიშნოს, რომ წინა აზიასთან ამიერკავკასიის ურთიერთობა ძვ. წ. III ათასწლეულის განმავლობაში უფრო მეტად შესამჩნევია მეტალურგიასა და საიუველირო საქმეში. კერამიკაში სამხრეთთან კავშირი ნაკლებად შეინიშნება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ დროს სამხრეთიდან მოსახლეობის რაიმე მნიშვნელოვან გადმოადგილებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. საერთოდ, როგორც ჩანს, წინა აზიის მოსახლეობა ჩრდილოეთით ექსპანსიას უფრო ნაკლებად ეტანებოდა. თუ ძვ. წ. III ათასწლეულში ამიერკავკასიაში მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, როგორც ჩანს, ეს ჩრდილოეთიდან მოდიოდა. ამან შეიძლება ერთხანს შეაფერხა კიდეც სამხრეთთან კავშირი, მაგრამ ბედენის საფეხურზე კვლავ ცხოველდება ურთიერთობა სამხრეთთან, რამაც თავისი ასახვა პოვა კიდეც კულტურაში; ამას რიამე საგრძნობი ცვლილებები ცხოვრების წესში, სოციალურ სტრუქტურაში არ გამოუწვევია. ამიტომ, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ სამხრეთთან კულტურული ურთიერთობის გაზრდა მნიშვნელოვანი ეთნიკური ძვრების შედეგი იყოს. ბედენის საფეხურზე საბოლოოდ იშლება წინარე, მტკვარ-არაქსული კულტურიდან მომდინარე ტრადიციის ნიშნები. საზოგადოება, ჩანს, საკმაოდ მყარ, სტაბილურ მდგომარეობას აღწევს. მისი დაწინაურებული ფენა ეკონომიკურად და უფლებრივად საკმაოდ მომძლავრდა. სწორედ ამ წრის გაზრდილმა მოთხოვნილებამ, ახლის ძიებამ, ხელოსნობის ახალი დარგები წარმოქმნა და მისი საერთო დონის ამაღლება გამოიწვია.

მეთუნეობა, რომელიც ჯერ კიდევ ძირითადად ხელით ძერწვაზე იყო დაფუძნებული, უმაღლეს საფეხურს აღწევს. თხელკეციანი სუფრის ჭურჭელი, რომლის ზედაპირის კრიალი ლითონის ბზინვარებამდეა მიყვანილი, ფორმათა მრავალგვარობით, დახვეწილი შემკულობით, ფაქიზი ორნამენტული სახეებით გამოირჩევა. კერამიკული ნაწარმის გვერდით ჩნდება შესანიშნავად დამუშავებული ხის ჭურჭელი, ზოგჯერ ამოღარული ორნამენტით შემკული. როგორც ჩანს, ამ დროს ხის დამუშავების საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ყორღანში ჩადგმული ხის რთული კონსტრუქციები,

ხის ოთხთვალა ეტლები, ზოგჯერ სხვადასხვა ორნამენტით შემკული, ხის სარეცელი და სხვ. ამ დარგის დაწინაურებაზე მეტყველებს. საფუძველი ეყრება ახალ დარგს – საიუველირო საქმეს, ჩნდება საკმაოდ რთული ტექნიკით დამზადებული პირველი ოქრომჭედლური ნაწარმი.

ამრიგად, შუაბრინჯაოს ხანის, თრიალეთური კულტურის ზღურბლზე, აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად აიწია კულტურის საერთო დონემ. სწორედ აქაა საძებარი შემდგომი დროის, თრიალეთური კულტურის საწყისები.

აღმოსავლეთ საქართველოში შესწავლილ ადრეულ ყორღანებში მოპოვებული მასალების საფუძველზე შეიძლება გარკვეული სურათის საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის წარმოდგენა. როგორც ჩანს, ამ ხანაში საზოგადოების შიგნით წარმოიქმნა დაწინაურებული, არისტოკრატიული ფენა, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას აღწევს. ეტყობა, იგი თავდაპირველად ძალაუფლებას იპყრობს, შემდეგ კი ეკონომიკურადაც წინაურდება. ადრეული ყორღანებიდან ჩანს, რომ ხელისუფლებას მიღწეული წევრი საზოგადოებისა პირველ ხანებში ქონებრივად ჯერ კიდევ მაინცდამაინც გამორჩეული არ არის. მაგრამ, ეტყობა, ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა და დაწინაურებული ფენა ეკონომიკურ ძლიერებასაც აღწევს. მარტყოფის ყორღანები თითქოს მოწმობს, რომ საზოგადოების გამორჩეული წევრი თანდათანობით ქონებრივადაც მომაგრდა. ბედენის საფეხურზე უფრო ნათლად გამოისახა სოციალური დიფერენციაციის პროცესი, რომელიც მომდევნო, თრიალეთური კულტურის ხანაში კიდევ მეტად ღრმავდება. ადრეული ხანის დიდი ყორღანები შესაძლოა ტომის წინამძღვართა სამარხები იყო.

ზოგიერთ ადრეულ ყორღანში ერთდროულად რამდენიმე მიცვალებულია დაკრძალული. მარტყოფის დიდ ყორღანში სამი მიცვალებული აღმოჩნდა, ერთი ცენტრალურ ნაწილში, სადაც ძირითადი სამარხეული ინვენტარი იყო ნაპოვნი, ორი დასაკრძალავი კამერის ჩრდილო კედელთან. დაახლოებით ანალოგიური სურათი ჩანს ბედენისა და წნორის დიდ ყორღანებში. ახლა ძნელია გარკვევით თქმა, რა ურთიერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ მიცვალებულებს შორის. შესაძლოა ისინი, მართლაც, თანმხლები პირები იყვნენ იმისა, ვის პატივსაცემადაც იყო აღმართული ეს უზარმაზარი ყორღანები. საინტერესოა მარტყოფის ბედენური ხანის შედარებით მომცრო ყორღანში აღმოჩენილი სურათი. აქ დასაკრძალავი კამერის ცენტრალურ ნაწილში ნაპოვნი იყო მამაკაცის ჩონჩხი, მის ფეხთით კი აღმოჩნდა ძლიერ მოკუნტული ქალის ჩონჩხი. ორივე მიცვალებული ერთდროულად იყო დაკრძალული. მამაკაცის ჩონჩხთან აღმოჩნდა ოქროს მასიური სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოს და სერდოლიკის მძივები, გიშრის ფართო რგოლი. ძირითადი ინვენტარი ქალის ჩონჩხთან იდო. შესაძლოა აქ ცოლ-ქმარია დაკრძალული და არ არის გამორიცხული, რომ ცოლი ქმარს ჩაატანეს საფლავში.

ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომების წარმომავლობის, მათი ეთნიკური ვინაობის გარკვევა, დადგენა იმისა, თუ ვინ დაიმარხნენ ამ ყორღანებში და რა კავშირში იყვნენ ისინი წინარე ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის მოსახლეობასთან, ახლა ძნელია. არც ისაა მთლად ნათელი, შეიცვალა მოსახლეობის შემადგენლობა, თუ ყორღანული კულტურის გამოჩენას მაინცდამაინც დიდი ეთნიკური გადახალისება არ მოჰყოლია. ზემოთ აღინიშნა, რომ ახალი მოვლენების შემოსვლას კულტურის საგრძნობი გარდაქმნა არ გამოუწვევია. პირიქით, ისე ჩანს, რომ განაგრძობს

არსებობას წინარე ხანის კულტურული ტრადიციები, რაც ეგებ იმის მოწმობა იყოს, რომ მოსახლეობის შემადგენლობაში არ მომხდარა მაინცდამაინც საგრძნობი ცვლილებები. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ზოგი ამ კულტურას ინდოევროპელ ტომებს აკუთვნებს.[1] ვარაუდობენ, რომ ეს კულტურა შესაძლოა ძირითადად კავკასიური წარმომავლობის მოსახლეობას ეკუთვნოდა, მათ შორი ქართველურ ტომებს, რომლებსაც ამ დროისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური ნაწილები ეკავათ.[2] ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩრდილოური გავლენები აქტიურდება, რასაც ალბათ მოსახლეობის გარკვეული მასის სამხრეთით გადმოადგილება მოჰყვა შედეგად. ისინი ადგილობრივ ტომებში ითქვიფებიან. ახლა ძნელია გარკვევით თქმა, ვინ იყვნენ ეს ახალმოსულები. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ამ დროს კავკასიის ჩრდილოეთით ინდოევროპელი ტომები მოსახლეობდნენ.[3] შესაძლოა, რომ სამხრეთით მოძრაობაში ეს ტომებიც იღებდნენ მონაწილეობას. ქართველურ ენებში შენიშნული ინდოევროპული ელემენტები, ეგებ, სწორედ ამის ანარეკლი იყოს. ეს სულაც არ უშლის ხელს ინდოევროპელი ტომების პირველსაცხოვრისის კავკასიის სამხრეთით არსებობის ვარაუდს. ფიქრობენ, რომ სწორედ ამ დროს ჩრდილო შავიზღვისპირეთის მიმართულებით ინდოევროპელი ტომების მოძრაობის გზა კასპიის ზღვის ჩრდილოეთით გადიოდა.[4] შესაძლოა, მათი ერთი ნაწილი დასავლეთ კასპიისპირეთის გზით ამიერკავკასიაში ვრცელდება. არ არის გამორიცხული, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ტომები ძირითადად ინდოევროპელები ყოფილიყვნენ.

ადრეული ყორღანული კულტურის დათარიღების საკითხში ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ვრცელდება. მაგრამ უფრო ზუსტად როდის, რა ეტაპზე გამოჩნდა ეს კულტურა, რამდენ ხანს გაგრძელდა, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. როგორც ჩანს, მისი პირველი გამოჩენა ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიას ემთხვევა. ზოგიერთ ნამოსახლარზე მტკვარ-არაქსისა და უადრეს ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკა ერთხანს თითქოს თანაარსებობს. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის მიღებული ზედა თარიღი, ჩანს, მაინცდამაინც დაშორებული არ უნდა იყოს ყორღანული კულტურის საწყის ეტაპს.[5] სადღეისოდ ადრეული ყორღანისათვის რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული რამდენიმე თარიღი არსებობს. უადრესი ჯგუფისათვის მხოლოდ მარტყოფის № 4 ყორღანებისათვის დადგენილი თარიღები გვაქვს (ამერიკის ლაბორატორიის gx – 9252:2083±155 ძვ. წ., თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიის თარიღია – TB 325:2028±80 ძვ. წ.; არქეოლოგიურ ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ლაბორატორიის – ЛЕ – 2198:1690±40 ძვ. წ., გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ლაბორატორიის Ben – 291:1930±60 ძვ. წ.). თარიღები საგრძნობ

1 მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1965.

2 ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 1976.

3 Формозов А.А., Проблемы этнокультурной истории каменного века на территории Европейской части СССР, 1977.

4 Гамкрелидзе Т.В., Иванов Вяч. Ив., დასახ. ნაშრომი.

5 ქავთარაძე გ., საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბილისი, 1981.

სხვაობას იძლევა და ამიტომ ასაკის მეტ-ნაკლებად ზუსტად განსაზღვრა ჭირს. არსებობს აგრეთვე აზერბაიჯანში გათხრილ უჩ-თეფეს ყორღანისათვის მიღებული თარიღი. მართალია, ამ ყორღანისათვის რადიონახშირბადის მეთოდით შედარებით მაღალი თარიღებია დადგენილი – 2539±120 და 2867±90, მაგრამ გამთხრელი ამ ყორღანს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს აკუთვნებს.[1] მარტყოფის უადრეს ყორღანებს შესაძლოა დროით რამდენადმე წინ უსწრებს თრიალეთისა და სამგორის ყორღანები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოირჩევიან სამარხეული ინვენტარის სიუხვით. მარტყოფის ყორღანები კი უფრო მდიდარი იყო, თანაც აქ კერამიკაში ისეთი ნიშნები შეიმჩნევა, რომლითაც ბედენურ ჭურჭელს უახლოვდება. ამიტომ, ეგებ, უფრო მართებული იყოს, უადრესი ყორღანების თარიღი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებით განისაზღვროს.

ბედენის საფეხურის ყორღანებისათვის სულ რამდენიმე რადიონახშირბადის მეთოდით განსაზღვრული თარიღი გვაქვს. წნორის ერთ-ერთი დიდი ყორღანის ორი თარიღი არსებობს, ერთი – ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში მიღებული – 2170±90 და მეორე – თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიისა – 2155±60.[2] მარტყოფის ბედენური საფეხურის ყორღანის № 3 თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში განსაზღვრული – TB-317:1800±50 ძვ. წ. ბედენის საფეხური, შესაძლოა ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნება და ეგებ II ათასწლეულის დასაწყის ხანებშიც გადადის.

---

1 Иессен А.А., Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, Труды Азербайджанской экспедиции, МИА, 125,М.-Л., 1965.

2 Дедабришвили Ш. Ш., დასახ. ნაშრ.

ერთი სამარხული კომპლექსი ქსნის ხეობიდან*

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია არქეოლოგ ნოე აფხაზავას ხელმძღვანელობით წლების მანძილზე ფართო სამუშაოებს აწარმოებს ქსნის ხეობაში. 1985 წელს, სოფ. კორინთიდან დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით, ლარგვისისაკენ მიმავალი გზის პირას, ადგილ საკირეებთან აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი.[1] ამ დროის ერთ-ერთი ქვაყუთის ქვეშ 0,75 მ სიღრმეზე გამოჩნდა ქვაყრილი. ქვები თითქოს საგანგებოდ იყო ჩაწყობილი და ისე ჩანდა, რომ ყრილის თავსა და ბოლოში უფრო მოზრდილი ქვები ელაგა. ქვაყრილში ჩნდება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები და კერამიკის ფრაგმენტები. ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა სამარხი ორმო, თითქმის ოთხკუთხა ფორმისა 2,38X2,90 მ ორმოს ძირზე, ქვაყრილიდან 1,35 მ სიღრმეზე ორი მიცვალებული აღმოჩნდა.

ორმოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიცვალებული, ჩანს, ქალი, ზურგზე ესვენა ოდნავ გვერდზე გადახრილი, ხელფეხმოკეცილი. ხელის მტევნებთან თავის ქალის უკან კოჭობი იდო. თავის ქალასთან აღმოჩნდა ძვლის სამი საკინძი ჩაქუჩისებრი თავით, სპილენძის ერთი მარყუჟისებრთავიანი საკინძი და ძაღლის საძირე კბილებისაგან ნაკეთები ოთხი საკიდი.

მოპირდაპირე მხარეს, სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოჩნდა მეორე ჩონჩხი, ჩანს, მამაკაცისა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა ძლიერ მოკეცილი ფეხებით. თავთან ელაგა თიხის ოთხი ჭურჭელი, ფეხთით იდო ქვიშაქვის ლახტისთავი. ზურგს უკან, ბაქნისებურ შემაღლებაზე, აღმოჩნდა ცხოველის ჩონჩხი (გოჭი?). ორივე მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთით ესვენა.

1. კოჭობი, მორუხო-მოშავო თიხის, უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, ცილინდრული ყელით; ბრტყელი ყური მიძერწილი აქვს ყელის ძირსა და პირთან. მუცლის ზემო ნაწილი გამობერილია და თანდათანობით ვიწროვდება ძირისაკენ. სიმაღლე – 11,7 სმ, ყელის სიმაღლე – 3,5 სმ, მუცლის დიამეტრი – 10,0 სმ, პირის დიამეტრი – 7,9 სმ (სურ. 1) .

2. ხელადა, მოწითალო-მოყავისფრო თიხისა, უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, ბრტყელი ყური მუცლის ზედა ნაწილზე და ყელზეა მიძერწილი; ცილინდრული ყელი მხართან ფართოვდება და გამობერილ მუცელში გადადის. მუცელზე გადასვლის ადგილას ნიბური აქვს, ძირვიწროა. სიმაღლე – 8,0 სმ; პირის დიამეტრი – 9,2 სმ, მუცლის დიამეტრი – 16,0 სმ, ძირის დიამეტრი – 5,2 სმ (სურ. 1) .


3. ხელადა, მოყავისფრო-მოშავო თიხისა, უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, მსხლისებრი ფორმის, ბრტყელი ყური მიძერწილია მუცლის ზედა ნაწილზე და ყელზე. სიმაღლე – 20,7 სმ, პირის დიამეტრი – 8,9 სმ, მუცლის დიამეტრი – 17,0 სმ, ძირის დიამეტრი – 6,7 სმ (სურ. 1).

---

* დაიბეჭდა არქეოლოგიურ კრებულში, I, 1993.

1 ცნობა მოგვაწოდა ქსნის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ნოე აფხაზავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

4. ტოლჩა, მოყავისფრო-მოწითალო-მონაცრისფრო თიხისა, უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, ფართო ყელით. პირგადაშლილი, ყური ასხია მხარსა და მუცლის ზედა ნაწილზე. მუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი წიბური აქვს. ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. სიმაღლე – 16,0 სმ, ყელის სიმაღლე – 7,0 სმ, პირის დიამეტრი – 13,2 სმ, მუცლის დიამეტრი – 17,0 სმ; ძირის დიამეტრი – 7,2 (სურ. 1).



სურ. 1

5. ტოლჩა, მოყავისფრო-მოწითალო თიხისა, უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, ფართო ყელით. პირი ოდნავ გადაშლილი, ყური ასხია მხარსა და პირზე. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილზე წიბური აქვს. მუცლის ზედა ნაწილზე ოთხი კოპი აზის, პირთან ყურს მრგვალი ჩანაჭდევი აქვს. ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება.

სიმაღლე – 12,0 სმ, ყელის სიმაღლე – 5,0 სმ, პირის დიამეტრი – 11,2 სმ; მუცლის დიამეტრი – 14,0 სმ, ძირის დიამეტრი – 5,3 სმ (სურ. 1).

6. საკინძი ბრინჯაოსი, მარყუჟისებრი თავით, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი; ღეროზე სამი ხვეული აქვს. სიგრძე – 6,6 სმ. (სურ. 1).

7. საკინძი ძვლის, ჩაქუჩისებრი თავით, რომელიც წვრილად ამოღარული კონცენტრული ხაზებითაა შემკული. ოთხი ასეთივე ხაზი ღეროზე, ზედა ნაწილზე გადადის. ღეროს თავთან ნახვრეტი აქვს. ღეროს ქვედა ნაწილი აკლია. თავის სიგანე –2,2, სმ (სურ. 1).

8. საკინძი ძვლის, ჩაქუჩისებრი თავით. თავზე შემოუყვება წვრილად ამოღარული კონცენტრული ხაზები. მოკლე ღერო ბოლოში წაწვეტებულია. თავზე შუაში ნახვრეტი აქვს. სიგრძე – 3,6 სმ, თავის სიგანე – 2,2, სმ (სურ. 1).

9. საკინძი ძვლის, ჩაქუჩისებრი თავით. სადაა, თავზე შუაში ხვრელი აქვს. ღერო ბოლოში წაწვეტებულია (სურ. 1). სიგრძე – 4,5 სმ, თავის სიგანე – 11,6 სმ.

10. საკინძის ღეროს ნატეხები, ძვლისა.

11. საკიდები, ძაღლის საბირე კბილებისა, ფესვზე ნახვრეტით – 4 ც.

12. ლახტის თავი, ქვიშაქვისა, გლუვი ზედაპირით. ხვრელს ორივე მხრიდან ძაბრისებრი მოყვანილობა აქვს. სიმაღლე – 5,0 სმ, დიამეტრი – 5,8 სმ, ხვრელის დიამეტრი – 2,5 სმ (სურ. 1).

სამარხული ინვენტარიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სამარხში ნაპოვნი ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები. ეს ამ ტიპის საკინძების კავკასიის ქედის სამხრეთით, ამიერკავკასიაში აღმოჩენის პირველი შემთხვევაა. ჩაქუჩისებრი საკინძები ძვლისა ან ბრინჯაოსი ხშირად გვხვდება სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში და ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ძველი ორმოსამარხებისა და კატაკომბურ კულტურებში. სადღეისოდ ერთი გარკვეული აზრი არ არსებობს ამ ტიპის საკინძების წარმომავლობის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი ძვლის ჩაქუჩისებრ საკინძებს ძირითადად ძველი ორმოსამარხების კულტურისთვის დამახასიათებლად თვლის.[1] ზოგი მათ ორმოსამარხებისა და კატაკომბურ კულტურებში გავრცელებულ სამკაულად მიიჩნევს.[2] ეს ტიპი სამკაულისა თავისი წარმომავლობით ძველი ორმოსამარხების კულტურასთან იყო დაკავშირებული. ჩრდილო კავკასიაში ჩაქუჩისებრი საკინძი, ჩანს, ამ კულტურის გავლენის შედეგად ვრცელდება, ზოგის აზრით, მაიკოპის კულტურის ხანაში,[3] ზოგის კი – უფრო გვიან, მომდევნო პერიოდში.[4] აქ ისინი უპირატესად კავკასიის დასავლეთ ნაწილში გვხვდებიან.[5] გარდა ძვლისა, ჩრდილო კავკასიაში ამ ტიპის ბრინჯაოსაგან ნაკეთები საკინძებიც ვრცელდება. ზოგი ფიქრობს, რომ ლითონის საკინძების პროტოტიპი შეიძლება ყოფილიყო ორმოსამარხების კულტურაში ცნობილი ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები და აგრეთვე საჩხერის ტიპის T-მაგვარი ქინძისთავები.[6] მაგრამ ამ საკინძისათვის ორი პროტოტიპის ძიების ცდა ნაკლებ დამაჯერებელი ჩანს,[7] მით უმეტეს, რომ საწინააღმდეგო ვარაუდიც არსებობს. T-მაგვარი ქინძისთავის წარმომავლობა თითქოს უკავშირდება ლითონის და უფრო ადრე კი ძვლის საკინძებს.[8]

უფრო დამაჯერებელი ჩანს მოსაზრება, რომ ჩრდილო კავკასიისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ჩაქუჩისებრი საკინძები წარმოიქმნა ძველი ორმოსამარხებისა და კატაკომბურ კულტურებში გავრცელებულ ძვლის ანალოგიურ საკინძებისაგან.[9] თუმცა საპირისპირო აზრიც გამოითქვა, რომ მცირეაზიურ-ამიერკავკასიური სპილენძის ქინძისთავების საფუძველზე წარმოქმნილმა ჩრდილოკავკასიურმა ქინძისთავებმა გამოიწვიეს რქის საკინძების გამოჩენა, რომლებიც შემდგომში ფართო

---

1 Латынин Б. А., Молоточковидные булавки и их культурная атрибутация и датировка. Археологический сборник, вып. 9, Л., 1967, стр. 40.

2 Попова Т. Б., Племена катакомбной культуры, М., 1955, стр. 25.

3 Латынин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

4 Марковин В. И., Курганы константиновского плато г. Пятигорска, КСИА, вып. 27, М., 1971, стр. 43; Нечитайло А. Л., Верхнее Прикубанье в бронзовом веке, Киев, 1978, стр. 64.

5 Марковин В. И., Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы, МИА, №93, М., 1960, стр. 95.

6 იქვე, გვ. 95, 114.

7 Латынин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

8 Деген Б. Е., Курганы Кабардинского парка г. Налчика, МИА, №3, М.–Л., 1941, стр. 246.

9 Попова Т. Б., დასახ. ნაშრომი; Мунчаев Р. М. и Смирнов К. Ф. Памятники эпохи бронзы в Дагестане, СА, XXVI, М., 1956, стр. 187.

გავრცელებას პოვებს ჩრდილოშავიზღვისპირეთის სტეპებში.[1] ზოგი ფიქრობს, რომ კავკასიისპირეთისა და ძველი ორმოსამარხების მატარებელ ტომებში დამოუკიდებლად უნდა წარმოქმნილიყო ეს ფორმა საკინძებისა – ერთ შემთხვევაში ლითონისა, მეორეში რქისა.[2] მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მართებულია ვიფიქროთ, რომ ძვლისა და რქის ჩაქუჩისებრი საკინძები უნდა შექმნილიყო ძველი ორმოსამარხების კულტურაში. ეს ტიპი საკინძისა ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სამკაულია ამ კულტურის დასავლური ვარიანტისა.[3] მათი გამოყვანა უშუალოდ საჩხერის ტიპის T-მაგვარი ქინძისთავისაგან, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს წარმოუდგენია, ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს. ვ. საფრონოვს, რომელმაც შეიმუშავა ჩაქუჩისებრი საკინძების კლასიფიკაცია,[4] ეს ტიპი საკინძისა უშუალოდ გამოჰყავს შიდა ქართლში ყორნისში აღმოჩენილ T-მაგვარ ქინძისთავისაგან.[5] მაგრამ გაირკვა, რომ ეს ქინძისთავის ნაწილი კი არ იყო, როგორც ადრე ეგონათ, არამედ ჩვეულებრივი საკიდი, რომლის მსგავსიც აღმოჩნდა სტირფაზის კრომლეხში.[6]

აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც ძველი ორმოსამარხის კულტურის ოდნავი ნაკვალევიც კი შეინიშნება, თითქმის ყველგან გვხვდება ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები.[7] ევროპაში ეს ტიპი საკინძისა, რამდენადმე შეცვლილი, საკმაოდ შორს ვრცელდება.[8] ჩაქუჩისებრი საკინძების შემცველი კომპლექსების ხნოვანების დადგენას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა შუა ევროპის წინა ისტორისათვის.[9] ცენტრალურ ანატოლიაში, ალაჯა ჰუიუკის „მეფეთა“ სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის ქინძისთავებს მსგავსი ფორმის საკინძებად მიიჩნევენ.[10] სწორედ ეს ანალოგიები, ზოგის აზრით, იძლება ევროპის იმ ძეგლების კომპლექსების დათარიღების საფუძველს, რომლებშიც ჩაქუჩისებრი საკინძები აღმოჩნდა.[11] თუმცა, ზოგი ვერ ხედავს მათ შორის რაიმე საერთოს.[12]

ევროპაში ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები გვხვდება ძველი ორმოსამარხების კულტურის გამოჩენასთან ერთად. როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიაშიც ამ კულტურის გამოჩენასთან იყო დაკავშირებული ჯერ ძვლის, შემდეგ კი ბრინჯაოს ჩაქუჩისებრი საკინძების გავრცელება. აქედან უნდა შემოსულიყო ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძი

---

1 მ. არტამანოვის წინასიტყვაობა ბ. ლატინინის ნაშრომზე.

2 Латынин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

3 Мерперт Н. Я., Древние скотоводы волжско-уральского Междуречья, М., 1974, стр. 68.

4 Сарфонов Б. А., Классификация предкавказских костяных молоточковидных булавок, КСИА, вып. 134, М., 1973, стр. 42.

5 Николаева Н. А., Сафронов Б. А., Происхождение костяных молоточковидных булавок, КСИА, вып. 142, 1975, стр. 17.

6 Техов Б. В. Бронзовые молоточковидные булавки из тлийского могильника. Северный Кавказ в древности и средние века, М., 1980, стр. 61.

7 Кореневский С. Н., Т- и У-образные булавки эпохи средней бронзы Большого Кавказа и Предкавказья. Этнокультурные проблемы бронзового века Северного Кавказа, Орджоникидзе, 1986, стр. 22.

8 Gimbutas M., The Prehistory of Eastern Europe, part I, Cambridge, გვ. 76, 152.

9 Milojčič V., Zur Zeitstellung der Hammernadeln, "Germania", Bd. 33, 1955, გვ. 240.

10 Чайлд Г., У истоков европейской цивилизации, М., 1952, стр. 222; Латынин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 85; Piggott S., Ancient Europa, Edinburg, 1965, გვ. 84.

11 Milojčič V., დასახ. ნაშრომი.

12 Попова Т. Б., დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

ჩვენში, ქსნის ხეობაში, ალბათ ჩრდილო კავკასიაში ძველი ორმოსამარხების კულტურის გამოჩენის ხანაში.

კორინთოს სამარხში აღმოჩენილი ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები, ჩანს, უადრეს ტიპს მიეკუთვნება. ისინი როგორც ფორმით, ისე ზომითა და ორნამენტის ხასიათით ძველი ორმოსამარხების კულტურაში გავრცელებულ ადრეულ საკინძებს უახლოვდებიან. ვ. საფრონოვმა ეს ტიპი საკინძისა თავისი კლასიფიკაციის უადრეს საფეხურს მიაკუთვნა.[1] თუმცა მისი კლასიფიკაციის სისწორეში ეჭვია გამოთქმული.[2] კორინთოს საკინძები განსაკუთრებით ახლოს დგას კისლოვოდსკის მახლობლად მდ. პოდკუმკას მარცხენა ნაპირზე, სტანიცა მინუტკასთან, დანგრეულ ყორღანში ნაპოვნ ეგზემპლართან.[3] მაგრამ, მინუტკაში აღმოჩენილი ამ საკინძების შესახებ აღინიშნა, რომ იგი ლითონისაა და არა ძვლის.[4] მინუტკაში ჩანს, მართლაც, ნაპოვნია ლითონის ეგზემპლარი,[5] ოღონდ აქ ძვლის საკინძიც აღმოჩნდა.[6] კორინთოს მსგავსი საკინძები ნაპოვნია სტ. კოსტრომსკაიასთან და სტ. პერეიასლავსკაიასთან ნ. ვესელოვსკის მიერ გათხრილ ყორღანებში.[7] ეს ტიპი საკინძისა ცნობილია სტეპურ ზოლში ყალმუხეთში, ელისტის მახლობლად გათხრილ ლოლას ერთ-ერთ ყორღანში.[8] როგორც ჩანს, ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები კავკასიაში, ისევე როგორც ევროპაში, ძველი ორმოსამარხების კულტურის გავლენის შედეგად ვრცელდება.

კორინთოს სამარხში ძვლის ჩაქუჩისებრ საკინძების გვერდით აღმოჩნდა პატარა ზომის ლითონის საკინძი მარყუჟისებრი თავით. მსგავსი საკინძები ჩვენში ცნობილია ამირანის გორის ნამოსახლარზე[9] და ძაღონას სამაროვნის დასავლეთი უბნის ერთერთი სამარხიდან.[10] ანალოგიური საკინძი აღმოჩნდა დაღესტანში, მანასის ერთ-ერთ დანგრეულ კატაკომბაში.[11] განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ კორინთოს საკინძს ღეროზე მავთულის ორი ხვეული აქვს, ძაღონას და მანასის ეგზემპლარს კი უფრო მეტი. რამდენადმე ემსგავსება ამ საკინძებს დაღესტანში მიათლის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი საკინძი, ოღონდ მას მავთული იმგვარად აქვს დახვეული, რომ თავზე ორი მარყუჟი უკეთდება.[12]

ჩვენში მარყუჟისებრი ქინძისთავები კარგადაა ცნობილი ყვირილას აუზის ზედა წელიდან, საჩხერის და ქორეთას ყორღანული სამაროვნებიდან. მაგრამ ეს ქინძისთა-

---

1 Сафронов Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
2 Нечитайло А. Л., დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
3 Сафронов Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
4 Кореневский С. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 22.
5 Королев В. Б., Могильник эпохи бронзы в окрестностях г. Кисловодска, СА, I, М., 1962, стр. 264.
6 Латынин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 60.
7 იქვე, გვ. 55, სურ. 43; გვ. 57, სურ. 50.
8 Синицын И. В., Эрдниев У. Э., Новые археологические памятники на территории Калмыцкой АССР, Элиста, 1966, გვ. 8, სურ. 43, 4.
9 Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970, გვ. 116, სურ. 21.
10 ჯაფარიძე, ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 205.
11 Федоров Г. С., Еще одна манасская катакомба. Древние памятники Северо-Восточного Кавказа, Махачкала, 1977, стр. 23.
12 Канивец В. И., Миатли – новый памятник бронзового века в Северном Дагестане. Материалы по археологии Дагестана, т. I. Махачкала, 1959, стр. 44.

ვები გაცილებით უფრო დიდი ზომისაა და ფორმითაც ერთგვარად განსხვავებული. ამ ტიპის მომცრო ზომის ცალები აქ არ აღმოჩენილა. საჩხერის ტიპის მარყუჟისებრი ქინძისთავები ჩვენში, და საერთოდ კავკასიაში, გარდა ყვირილის აუზის ყურღანული სამარხებისა, სხვაგან ცნობილი არ არის.[1] საჩხერული ვარიანტი მარყუჟისებრი ქინძისთავებისა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მათ ღეროს ზედა ნაწილი გამსხვილებული აქვთ, ან კიდევ ქოლგისებრი შვერილი უკეთდებათ. აღსანიშნავია, რომ თითქმის ზუსტად ასეთივე ქინძისთავი ქოლგისებრი შვერილით ცნობილია ამუქის H ფაზიდან.[2] ეს კი ის დროა, როდესაც ჩრდილო სირიაში, ამუქის ველზე, მტკვარ-არაქსის კულტურა ვრცელდება.

მარყუჟისებრი ქინძისთავი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ძველ აღმოსავლეთში, ისე ევროპაში.[3] წინა აზიაში ამ ტიპის ქინძისთავები ცნობილია ალალახში, ბიბლოსში, უგარიტში, ტროაში, სიალკში და სხვ. ძნელია გარკვევით რაიმეს თქმა მარყუჟისებრი ქინძისთავების წარმოშობის შესახებ. თუმცა მასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება წინა აზიაში მათი ჩრდილოეთიდან, სამხრეთ კავკასიიდან, გავრცელების შესახებ.[4] კავკასიაში ამ ტიპის ქინძისთავი, ჩანს, ადრე იწყებს გამოჩენას, მაგრამ აქ მან ფართო გავრცელება ვერ პოვა. ჩრდილო კავკასიაში საჩხერის ტიპის მარყუჟისებრი ქინძისთავი არ გავრცელებულა, მაშინ როდესაც ცენტრალურ კავკასიაში კარგადაა ცნობილი საჩხერის ყორღანული სამარხებისათვის დამახასიათებელი T-მაგვარი ქინძისთავები.[5] მარყუჟისებრი ქინძისთავები არც ამიერკავკასიაში გავრცელებულა და მათ დღემდე ძირითადად ყვირილის აუზის ზემო წელის ყორღანულ სამარხებში ეხვდებით. აქ ამ სამაროვნებისათვის დამახასიათებელი არც T-მაგვარი ქინძისთავია გავრცელებული მაინცდამაინც და მათი მხოლოდ თითოოროლა ცალია ცნობილი შიდა ქართლიდან.[6]

მარყუჟისებრი ქინძისთავი, ჩანს, კავკასიის იქით, სტეპურ ზოლში, არ გავრცელებულა. იგი არ გვხვდება ძველი ორმოსამარხების და კატაკომბურ კულტურებში. კორინთოს სამარხში ძვლის ჩაქუჩისებრი და ლითონის მარყუჟისებრი საკინძების ერთად აღმოჩენის პირველი შემთხვევაა.

კორინთოს სამარხში ქვიშაქვის სფეროსებრი ლახტის თავი აღმოჩნდა. მას ცილინდრული ხვრელი აქვს, რომლის ორივე ბოლო ძაბრისებრი მოყვანილობისაა. ქვის ლახტისთავები ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში ადრეული პერიოდიდან

---

1 ჯაფარიძე ო., დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

2 Klein H., Untersuchungen zur Typologie bronzezeitlicher Nadeln in Mesopotamien und Syrien, Saarbrücken, 1990, გვ. 126, ტაბ. 126.

3 Claude F. A., Schaeffer, Stratigraphie Comparee et Chronologie de l' Asie Occidentalie, London, 1948, გვ. 65, 459, 516; Чайлд Г. У истоков европейской цивилизации, стр. 169; Aberg N., Bronzezeitliche und Früheiseitliche Chronologie, t. III, Stockholm, 2932; გვ. 125.

4 Куфтин Б. А., Древнейшие корни грузинской культуры на Кавказе, Заря Востока, 1946, 28. IX.

5 Деган Б. Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 249; Кореневский С. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 13; Ростунов В. Л., Вопросы бытования куро-араксских племен на Центральном Кавказе и их роль в этнокультурном процессе второй половины III – начала II тысяч. до н. э. Этнокультурные проблемы бронзового века Северного Кавказа, Орджоникидзе, 1986, стр. 27.

6 Глонти Л., Джавахишвиди А., Джавахишвили Г., Киквидзе Я., Тушабрамишвили Д., Некоторые итоги полевых работ 1964 г. урбнисской и квирильской археологической экспедиции, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-B, თბ., 1965, გვ. 35.

გვხვდება. ჩრდილო კავკასიაში ისინი ცნობილია აგუბეკოვის ნამოსახლარიდან[1] და ნალჩიკის სამაროვნიდან.[2] ამიერკავკასიაში მათ ვხვდებით ნახიჩევანის ქიულ-თეფეს ძირა ფენაში.[3] უადრესი ფორმა ლახტის თავისა, ეტყობა სფეროსებრი იყო, თუმცა კავკასიაში მსხლისებრი ფორმაც საკმაოდ ადრე ჩანს.[4] ვხვდებით მათ ადრესამიწათმოქმედო კულტურაში.[5] ცნობილია ქვის ლახტის თავები შულავერ-შომუთეფეს კულტურაში. ვხვდებით მათ მტკვარ-არაქსის კულტურაში.[6] სხვადასხვა ტიპის ქვის ლახტისთავები წარმოდგენილია ადრეულ ყორღანებში. ჰემატიტის ლახტისთავი აღმოჩნდა თრიალეთის და შულავერის ადრეულ ყორღანებში,[7] ხაჩანაგეტის და სტეფანაკერტის სამარხებში.[8] მაიკოპის კულტურაში ქვის ლახტისთავები შედარებით იშვიათია.[9] ქვის ლახტისთავი, როგორც სფეროსებრი, ისე მსხლისებრი, კარგადაა ცნობილი საკმაოდ ადრეული ხანიდან წინა აზიაში. ზოგიერთ მკვლევარს, თრიალეთის ყორღანების თარიღი მათი ანალოგიების საფუძველზე გამოჰყავდა.[10] კორინთოს ლახტისთავთან ახლოს დგას ხაჩანაგეტის ყორღანში აღმოჩენილი ეგზემპლარი.[11] ფორმით უახლოვდება მას დაღესტანში ბუინაკსკის მახლობლად ერთ-ერთ დანგრეულ აკლდამაში ნაპოვნი ლახტის თავი.[12] საერთოდ აქ კარგადაა წარმოდგენილი ქვის ლახტისთავები. ველიკენტის ერთ-ერთ კატაკომბაში 30-ზე მეტი ლახტისთავი აღმოჩნდა.[13]

ლახტისთავს ჩვეულებრივ ორმაგ ფუნქციას მიაწერენ – საბრძოლოს და ძალაუფლების სიმბოლოს.[14] შეიძლება ადრეული ლახტისთავები უფრო საბრძოლო დანიშნულებისა იყო. მეორე ფუნქციას, ეგებ, იგი უფრო გვიან იძენს. თუმცა ველიკენტის კატაკომბის მაგალითის საფუძველზე ეჭვი გამოითქვა მათი ძალაუფლების სიმბოლოდ გამოყენების შესახებ.[15] ნიშანდობლივია, რომ კორინთოს სამარხში ლახტის თავი მამაკაცის ჩონჩხთან აღმოჩნდა.

ქვის ლახტის თავი, ჩანს, ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის მაინცდამაინც დამახასიათებელი არ იყო.[16] აღინიშნა კიდეც, რომ მსხლისა და სფეროსებრი

---

1 Кричевский Б. Ю., Круглов А. П., Неолитическое поселение близ г. Нальчика, МИА, 3, М., 1941, стр. 60.

2 Круглова А. П., Пиотровский Б. Б., Подгаетский Г. В., Могильник г. Нальчика, МИА, 3, М., 1941, стр. 112.

3 Абибуллаев О. А., Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР, Баку, 1982, стр. 60.

4 Мунчаев Р. М., Смирнов К. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

5 Рустамов Д. Н., Разведочные раскопки в Тойра-тепе, Материальная культура Азербайджана, т. VI, Баку, 1965, стр. 18.

6 Пиотровский Б. Б., Поселения медного века в Армении, СА, XI, М., 1947, стр. 174.

7 Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр. 101; ჯაფარიძე ო., ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, თბ., 1975, გვ. 154.

8 Кушнарева К. Х., Памятники медного века в Нагорном Карабахе, СА, XX, М., 1954, стр. 168.

9 Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, М., 1975, стр. 324.

10 Куфтин Б. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 101. კუფტინი ბ., ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ., 1949, გვ. 18.

11 Кушнарева К. Х. დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

12 Магомедов М. Г., Гробница эпохи бронзы в урочище «Генталя», Древние памятники Северо-Восточного Кавказа, Махачкала, 1977, стр. 18.

13 Гаджиев М. Г., Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа, М., 1991, стр. 185.

14 Мунчаев Р. М., Смирнов К. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

15 Гаджиев М. Г. დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

16 Мерперт Н. Я., Ранние скотоводы Восточной Европы и судьбы древнейших цивилизаций, Studia Praehistorica, 3, Sotia, 1980, стр. 81.

ქვის ლახტისთავები ძირითადად ჩრდილოკავკასიურ კულტურებში გვხვდება და არ შეიძლება ისინი კატაკომბური კულტურის ტიპურ ნივთებს მივაკუთვნოთ.[1]

კორინთოს სამარხში ძაღლის რამდენიმე გახვრეტილი საძირე კბილი აღმოჩნდა. ამიერკავკასიის ცხოველის კბილისაგან ნაკეთები საკიდები საერთოდ იშვიათად გვხვდება. სამაგიეროდ ჩრდილო კავკასიაში და განსაკუთრებით ჩრდილო შავიზღვისპირეთში ეს სამკაული საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან იყო გავრცელებული. ნალჩიკის სამაროვანზე ცხოველის გახვრეტილი კბილი თუ ეშვი, უპირატესად ირმისა, თითქმის ყველა სამარხში აღმოჩნდა.[2] ვხვდებით მათ აგრეთვე მაიკოპის კულტურაში, სადაც უმთავრესად ირმის გახვრეტილი კბილები დასტურდება.[3] კავკასიისპირეთში საკიდებად უპირატესად თევზის გახვრეტილი კბილებია გამოყენებული.[4]

ჩრდილო შავიზღვისპირეთში ძველი ორმოსამარხების კულტურის ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული ცხოველების კბილებისა და ეშვებისაგან ნაკეთები საკიდები.[5] აქ ამ დროს უპირატესად ძაღლის კბილების და ეშვების საკიდები გვხვდება.[6] ამ კულტურაში ძაღლის ძვლებისაგანაა ნაკეთები აგრეთვე ცილინდრული საკიდები და მძივები.[7]

ჩანს, ამ დროს აქ ძაღლი ერთ-ერთი გავრცელებული ცხოველი იყო, მეჯოგის მუდმივი თანამგზავრი. აღსანიშნავია, რომ ცხოველის კბილებისაგან ნაკეთები საკიდები ხშირად ძვლის ჩაქუჩისებრ საკინძებთან ერთად გვხვდება.[8] დნეპროპეტროვსკის მხარეში, სოფ. მარინსკოეში გათხრილ ყორღანში, ძვლის ჩაქუჩისებრ საკინძებთან ერთად, აღმოჩნდა ძაღლის საძირე კბილებისაგან ნაკეთები საკიდები, სავსებით ისეთივე, როგორც კორინთოს სამარხშია ნაპოვნი.[9]

ჩვენში კორინთოს სამარხის გარდა ძაღლის საძირე კბილების საკიდები ცნობილია მარტყოფის №4 დიდ ყორღანში. აქ ძაღლის გახრეტილ ეშვებთან და სხვა ცხოველების კბილებთან ერთად ოთხი ასეთი საკიდი აღმოჩნდა.[10] აღსანიშნავია, რომ ძველი ორმოსამარხების კულტურის გავრცელების უფრო აღმოსავლეთ რეგიონისათვის ცხოველის კბილებისაგან ნაკეთები საკიდები მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის. ყალმუხეთის მხარეში ეს საკიდები საკმაოდ იშვიათია. აქ უპირატესად საკიდებად თევზის კბილებია გამოყენებული.[11] როგორც ჩანს, ამიერკავკასიაში ადრეყორღანული კულტურის ხანაში ძაღლის კბილების საკიდების ჩატანება სამარხებში ჩრდილოეთიდან მომდინარე გავლენის შედეგი უნდა იყოს. მაგრამ ცხოველის კბილების და ეშვების სამკაულად გამოყენების ტრადიციამ ჩვენში ვერც ამ ხანაში მოიკიდა

---

1 Попова Т. დასახ. ნაშრომი, გვ. 168.
2 Круглов А. П., Пиотровский Б. Б., Подгаетский Г. В. დასახ. ნაშრომი, გვ. 116.
3 Формозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья, М., 1965, стр. 121; Попова Т. Б., Дольмены станицы Новосвободной, М., 1963, стр. 42.
4 Латынин Б. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 55, 89.
5 იქვე, გვ. 87.
6 იქვე, გვ. 37.
7 იქვე, გვ. 41.
8 Мерперт Н. Я., დასახ. ნაშრომი, გვ. 68.
9 Латынин Б. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 20, სურ. 11.
10 ჯაფარიძე ო., ადრეყორღანული კულტურა საქართველოში, მაცნე, 4, თბ., 1988, გვ. 34.
11 Синицин И. В., Эрдниев У. Э. დასახ. ნაშრომი, გვ. 9, 22.

ფეხი. ადრეულ ყორღანებში ცხოველების კბილებისა თუ ეშვების საკიდები იშვიათად გვხვდება. მარტყოფის ჯგუფის ყორღანებში, გარდა №4 დიდ ყორღანისა, ცხოველის ეშვის ერთი საკიდი აღმოჩნდა №1 ყორღანშიც.

კორინთოს სამარხში თიხის ხუთი ჭურჭელი იდო – ერთი კოჭობი, ორი ხელადა და ორიც ტოლჩა. თიხის ხასიათით, ძერწვის წესით თიხის ნაწარმი თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერამიკა ტლანქია, უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, მორუხო-მოშავო, მოყავისფრო-მონითალო ფერისა. ფორმით ეს ჭურჭელი საგრძნობლად განსხვავდება ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკისაგან. თავისი იერით იგი თითქოს უფრო მეტად მსგავსებას მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ ჭურჭელთან იჩენს. ამ დროისათვის ეს კულტურა ცენტრალურ კავკასიაში უკვე საკმაოდ მძლავრად იკიდებს ფეხს.[1] განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ბოლო დროს ჩრდილო ოსეთში, ყობანის ხეობაში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის სამი სამაროვანი. ერთ-ერთი მათგანი, ზაგლი ბარზონი,[2] სოფ. ზემო ყობანთან, ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ თავის დროზე ეს სამაროვანი ჩრდილოკავკასიურ კულტურას მიაკუთვნეს.[3] შემდგომში აქ მეორე სამაროვანიც აღმოჩნდა, რომელიც ანალოგიურ მასალას შეიცავდა. ერთი ამ დროის სამაროვანი გაითხარა ქვემო ყობანში. ამ სამაროვნებზე მოპოვებული სამარხული ინვენტარი ბევრ საერთოს ნახულობს მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლურ ვარიანტისათვის დამახასიათებელ მასალასთან. აქაც გვხვდება საჩხერის ტიპის T-ს მსგავსი ქინძისთავები და სპირალური სამაჯურები, ქინძისთავები „ცხვრის რქისებრი“ დახვეული თავით, სასაფეთქლე რგოლები, მძივები და სხვ. დიდი მსგავსება ჩანს აგრეთვე თიხის ჭურჭელში და სხვ.[4] გამოითქვა მოსაზრება ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოდან ცენტრალურ კავკასიაში მოსახლეობის გარკვეული მასის გადაადგილების შესახებ.[5] როგორც ფიქრობენ, ცენტრალურ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციები უფრო დიდხანს შემორჩა.[6] ამას თითქოს კორინთოს სამარხიც უნდა მოწმობდეს. აქ მოპოვებული თიხის ნაწარმი ინარჩუნებს მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკიდან მომდინარე ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს – ცილინდრული მოყვანილობის ყელი, მხრიდან ყელზე გარდატეხის ხაზი და სხვ.

აღსანიშნავია კორინთოს სამარხში აღმოჩენილი ხელადა, რომელსაც მსხლისებრი მოყვანილობის ტანი აქვს. იგი ფორმით თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორც ზაგლი –I სამაროვნის =6 სამარხში აღმოჩენილი ხელადა.[7] მსხლისებრი ფორმა ჭურჭლისა დამახასიათებელია აღმოსავლეთ ამიერკავკასიის უადრესი ყორღანებისათვის. კორინთოს სამარხის მსხლისებრი ხელადა უფრო უხეშადაა ნაძერწი, ცუდად გამომწვარი, მაგრამ იმეორებს უადრეს ყორღანებისთვის დამახასიათებელ ფორმას.

---

1 Мунчаев Р. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

2 Ростунов В. Л., Куро-аракские могильники Северной Осетии, Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа, Орджоникидзе, 1988, стр. 21.

3 Крупнов Е. И., Погребения эпохи бронзы в Северной Осетии, Труды ГИМ, М., 1938, стр. 40.

4 Ростунов В. Л., Куро-аракская культура на Центральном Кавказе, Античность и варварский мир, Орджоникидзе, 1985, стр. 109.

5 Мунчаев Р. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 91; Ростунов В. П. დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

6 Ростунов В. Л., Куро-аракские могильники Северной Осетии, стр. 33.

7 იქვე, გვ. 28, სურ. 23, 1.

როგორც ჩანს, კონტაქტები ცენტრალურ კავკასიასთან შემდეგაც, ადრეყორღანულ კულტურის ხანაშიაც გავრცელებულა.[1]

საფიქრებელია, რომ კორინთოში აღმოჩენილ სამარხში უცხო ტომის წარმომადგენლები იყვნენ დაკრძალული; თანაც ისე ჩანს, რომ სამტროდ არ მოსულან. საკირეების სამაროვანზე კორინთოში, როგორც შემდგომმა გათხრებმა დაადასტურა, ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე კრძალავდა თავის მიცვალებულს. მტერს რა თქმა უნდა, სამაროვანზე არ დამარხავდნენ, თანაც გარკვეული რიტუალის დაცვით. როგორც ჩანს, ისინი ცენტრალური კავკასიის რეგიონიდან მოვიდნენ. ამ მხარესთან თითქმის მთელი III ათასწლეულის მანძილზე საქართველოს მოსახლეობას საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. კორინთოს სამარხეული ინვენტარი შერეული ხასიათისაა. იგი შედგება ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთებისაგან. სამარხი, ჩანს, იმ დროისაა, როდესაც ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომების ერთმა ტალღამ ცენტრალურ კავკასიაში შემოაღწია. ისინი, ეტყობა, ადგილობრივ მოსახლეობაში ითქვიფებიან და მათი კულტურის გარკვეულ ზეგავლენას განიცდიან. კორინთოს სამარხი ალბათ უფრო ამ ტომების პირველი გამოჩენის დროისა უნდა ყოფილიყო, არა უადრეს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისა. მასში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ადგილობრივი ძირითადად კერამიკაა. ეს ის დროა, როდესაც ცენტრალური კავკასია ჯერ კიდევ საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაშია საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებთან. ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომების მოძრაობა სამხრეთით, ჩანს, შედარებით სუსტი იყო. ამიერკავკასიაში ყორღანული სამარხების გამოჩენა შესაძლოა ჩრდილოეთიდან მომდინარე მოვლენებთან იყო დაკავშირებული. ახალმოსულთა რიცხვი, ეგებ, არცთუ ისე დიდი იყო და მათ დამხვდური მოსახლეობის კულტურა თითქმის მთლიანად აითვისეს.

კორინთოში, საკირეების სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხი იმითაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ ჩვენში პირველად გამოჩნდა ძველი ორმოსამარხების კულტურის ნაკვალევი. როგორც ჩანს, ჩრდილოეთიდან წამოსულ იმპულსებს ამიერკავკასიაში უკვალოდ არ ჩაუვლია. ირღვევა ცხოვრების ადრინდელი ხასიათი, ძველი ნასახლარი ადგილები მიტოვებულ იქნა და საზოგადოება ცხოვრების განსხვავებულ, ახალ გზას დაადგა.

---

1 Ростунов В. Л., დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ÜBER DIE ETHNOKULTURELLE SITUATION IN GEORGIEN GEGEN ENDE DES 3. JAHRTAUSENDS V. CHR.*

Die zweite Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. ist in Osttranskaukasien durch eine Reihe neuer Ereignisse gekennzeichnet. Der stabile Charakter des fast tausendjährigen Kuro-Arax-Kultur ist endgültig zerfallen. Um diese Zeit entsteht eine neue, eigenartige Kultur mit einer originellen Bestattungssitte in individuellen Hügelgräbern.

Die Veränderungen, die in der Kultur und der Art der Lebensführung kann man nicht allein durch Prozesse erklären, die innerhalb der Gesellschaft stattfanden. Offenbar spielen hier auch externe Faktoren eine bestimmende Rolle. Im 3. Jahrtausend v. Chr. wurden nördlich des Kaukasusgebietes Viehzüchter-Stämme aktiv, die sich weit nach Westen ausbreiten und die über die Steppen Südrußlands hinweg die Täler des Donau errechten. Auf ihrem langen Weg drangen sie in von einer Ackerbau treibenden Bevölkerung besiedelte Gebiete ein und zerstörten die Stabillität ihrer Wirstschft. Anscheinend ist dies der Beginn jener Prozesse, die sich später im Laufe der Geschichte mehrfach wiederholten: das Auftreten der Nomadenstämme war nicht selten eine die kulturelle Entwicklung hemmende Kraft.

Offensichtlich blieb Transkaukasien in der Blütezeit der Kuro-Arax-Kultur von diesen Prozessen unberührt. Erst nach der Schwächung der Kuro-Arax-Kultur in der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends wird der nördliche Einfluß in Transkaukasien spürbar. Diesez Einfluß nahm seinen Weg hauptsächlich über die Westküste des Kaspi-Meers und das Darial-Tal. Leider lassen sich diese Vorgänge bisher nur aufgrund des Materials aus Gräbern beurteilen. Andere Fundstellen dieser Zeit, insbesondere die Siedlingen, sind heutzutage noch wenig bekannt. Es ist noch nicht vollkommen deutlich, wo, wie und unter welchen Bedingungen die Bevölkerung wohnte, die diese Denkmäler hinterließ. Um diese Zeit breitete sich in Transkaukasien eine neue Bestattungssitte aus, und zwar die Hügelgräber, die hier nicht auf eine einheimische Tradition zurückgehen. Die Toten in Hügelgräbern zu bestatten war die Sitte der Viehzucht-Stämme in den Gebieten nördlich des Kaukasus. Der neue Bestattungsritus war vielleicht mit gewissen ethnischen Bewegungen verbunden.

In den Steppem Südrußlands war der Kurgan – das Hügelgrab jahrtausendelang eine typische Grabform. Offensichtlich ist das Hügelgrab im Schoße der nördlich des Kaukasus verbreiteten sogenannten Grubengrab-Kultur am Ende des 4. Jahrtausend v. Chr. entstanden. Später Begann die Wanderung der Stämme, die diese Kultur trugen, in verschiedene Richtungen, insbesondere nach Westen. Gemeinsam mit diesen Stämmen erscheinen auch die Hügelgräber. Als sich im 3. Jahrtausend v. Chr. eine kulturgeschichtliche Einheit, die alte Grubengrab-Kultur, auf einer riesigen Fläche ausbreitete, wird das Hügelgrab zu ihrem charakteristischen Merkmal.

Das Aufkommen des Ritus der Hügelgrab-Bestattung im östlichen Transkaukasien in der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends war wahrscheinlich vorwiegend mit den aus Norden kommenden

---

* In: Between the Rivers and Over the Mountains, 1993

Einflüssen verbunden, obwohl sich dies in der Kultur sonst nur wenig abzeichnet. Die Kultur, die sich in den Hügelgräbern zeigt, geht hauptsächlich auf die einheimische Tradition zurück. Sollte die neue Bestattungssitte mit dem Erscheinen einer neuen Bevölkerung verbunden sein, dann haben die Neuankömmlinge hauptsächlich die einheimische Kultur übernommen. Die Viehzucht-Stämme übernahmen leicht die Traditionen einer vergleichsweise höheren Kultur. Möglicherweise waren diese Stämme nicht sehr zahlreich und vermischten sich relativ schnell mit der einheimischen Bevölkerung. Aber man kann annehmen, daß sie den endgültigen Zerfall der vorangehenden Kuro-Arax-Kultur beschleunigten, welche die wirschaftliche Krise nicht über winden konnte.

Der nördliche Einfluß verschwand offenbar nicht spurlos, sondern bestimmte die allgemeine Lebensweise in Transkaukasien. Die alten Wohnorte verödeten und die Lebensweise der Gesellschaft scheint sich völling zu ändern. Aber wie diese neue Lebensweise aussah, ist noch nicht völlig klar. Denn bisher ist nur das Material bekannt, das die Gräber enthalten. Wo lagen die damaligen Siedlungen? Wie waren sie geplant? Wie waren Bauwesen und Architektur? Was war die wirtchaftliche Grundlage der Bevölkerung? Diese Fragen lassen sich schwer eindeutig beantworten. Aber daß in dieser Zeit das Bauwesen gut entwickelt war, beweisen die Grabbauten aus Stein und Holz, die in den Hügelgräbern entdeckt worden sind. Anscheinend wandte man mehr Zeit und Kraft für die Errichtung der Gräber auf als für den Bau von Siedlingen. Es ist zu vermuten, daß die Wohnhäuser vorwiegend aus Holz waren und daß Stein und Lehm für diese Zwecke weniger benitzt wurden.

Die Grabkammer ist genetisch mit dem Wohnhaus verbunden. Die mit den frühesten Hügelgräbern gleichzeitigen Siedlungen sind bis jetzt noch fast unbekannt. Deswegen ist es schwer zu sagen, wie die damalige Wirtschaft, d. h. der Ackerbau aussah. Man kann sagen, daß es in der Zeit der frühen Hügelgräber feste und starke Gemeinschaften gab: ohne diese wäre es nicht möglich, solche großen Hügelgräber zu bauen. Außerdem enthalten die frühen Hügelgräber ziemlich komplizierte Gebäude, für die außer Erde auch große Stein-und Holzkonstruktionen benutzt wurden. Deswegen ist zu vermuten, daß die Durchführung dieser Arbeiten eine ziemlich ansässige Lebensweise voraussetzte.

Aber wo und wie Menschen wohten, die im östlichen Transkaukasien die Kultur der frühen Hügelgräber hinterließen, ist nicht völlig deutlich. Bis jetzt sind nur ihre Gräber bekannt; ihre Wohnhäuser zu finden, ist eine Aufgabe der Zukunft.

Die Kultur der frühen Hügelgräber ist in Ost-Transkaukasien im Osten und im Zentralgebiet, d. h. in Aserbaidshan und Georgien bekannt. Weiter südlich, im Ararat-Tal und seiner Umgebung, sind die Spuren dieser Kultur seltener zu finden. Es ist bemerkenswert, daß die frühen Hügelgräber südlich von Transkaukasien fast nicht vorkommen. Auch in Westgeorgien, in der Kolchis, wurden bisher keine Spur von ihnen entdeckt.

Die Kultur der frühen Hügelgräber umfaßt ganz Ostgeorgien. Die frühesten Hügelgräber sind bisher aus Trialeti auf dem Tsalka-Plateau, aus Martkhopi und Samgori bei Tbilisi, aus dem Jori-Becken und aus Schida-Kartli bekannt.

Besonders interessant sind die Ergebnisse der Erforschung der Hügelgräber der Martkhopi-Gruppe. Hier wurden vier Hügelgräber ausgegraben. In der Struktur ihrer Aufschüttung unterscheiden sie sich kaum voneinander. Die Aufschüttung bestand im oberen Teil aus Erde, im unteren Teil aus Steinen. Die Grabkammer lag im Zentrum des Hügelgrabes, direkt auf der Oberfläche, unter der Steinschüttung.

Die Grabkammer des Hügelgrabes Nr. 1 war aus Steinplatten gebaut. Das in Trockenbauweise errichtete Gebäude war viereckig. Die Überdachung aus flachen Steinplatten hatte möglicherweise

die Form einer Kuppel (Abb. 1). Auch der Boden war mit Steinplatten belegt. In der Kammer fand man keine Überreste des Toten. Außer Keramik fanden sich Anhänger unterschiedlicher Form aus Perlmutter, eine Steinaxt, eine bronzene Pfeilspitze usw. (Abb. 2).




Abb. 1. – Kurgan N. 1. Die Grabkammer

Besonders zu erwähnen ist das große Hügelgrab der Martkhopi-Gruppe (Nr. 4), in dessen Zentrum die hölzerne Kammer gut erhalten ist. Der Durchmesser dieses Kurgans ist größer als 100 m, seine Höhe erreicht, 12,0 m. Die gut erhaltene Grabkammer aus Holzbalken lag im Zentrum des




Abb. 2. – Das Grabinventar aus Kurgan N. 1

Hügelgrabes unter der Steinschuttung. Die Kammer bestand aus zwei ineinandergestellten Bauten; der Zwischenraum zwischen ihren Wänden war mit großen Steinen ausgefüllt (Abb, 3). Die Maße des äußeren Baus betrugen 11,0X10,0 m, die des inneren 8, OX6, Om. die Höhe 2,0 m. Die Wände waren aus 9 gewaltigen Eichenstämmen errichtet, die an den Ecken stabil befestigt waren (Abb. 4). Der Boden war mit Steinplatten belegt. Die Bedachung bestand wahrscheinlich aus Holzbalken, von denen aber keine Reste erhalten blieben.

Im zentralen Teil der Kammer lagen mechrere Tote. Entlang der vier Wände fand sich Tongeschirr (Abb. 5). Das ziemlich reiche Grabinventar bestand aus zahlreichen Anhängern verschiedener Form, Karneol und Fritteperlen, Anhängern aus den Zähnen und Hauern verschiedener




Abb. 3. – Kurgan N. 4. Die Grabkammer

Tiere (Abb. 6), bronzenen und silbernen Schläfenringen, goldenen und silbernen Halsketten. Hier wurden auch zwei breite Goldringe (Abb. 7) gefunden. Im Hügelgrab Nr. 4 gab es auch viele bronzene Waffen – Dolche, Pfeilspitzen, Flachäxte, Äxte usw. (Abb. 8).

Interessant ist auch das Hügelgrab Nr. 6 von Martkhopi, in dessen Mittelteil auf dem Boden einer mit großen Steinen gefüllten Grube ein mit Steinplatten Belegter Fußboden entdeckt wurde. In der Südwest-Ecke wurde ein schwarzpoliertes großes Gefäß entdeckt, das mit reliefierten Spiralen verziert war. Auf der gesamten Bodenfläche waren Tierknochen verstreut. In allen vier Ecken des Bodens wurden vollständige Stierskelette gefunden. Die Stierköpfe lagen in den Ecken der Grube, die Hinterteile im Mittelteil des Fußbodens. Bei einem Stierkopf wurde zwischen den Hörner eine bikonische bronzene Pfeilspitze gefunden (Abb. 10).




Abb. 4. – Kurgan N 4. rest der Grabkammer




Abb. 5. – Tongefäße aus Kurgan N 4




Abb. 6. – Anhänger aus Tierzähnen und-hauern aus Kurgan N. 4

Die Funde aus den Hügelgräbern zeugen von dem weiteren Aufschwung des Handwerks. Die Keramik aus den Martkhopi-Kurganen ist vielfältig. Sie ist hauptsächlich schwarzpoliert und sie zeichnet sich durch die Feinheit der Formen aus. Häufig erreicht ihre Oberfläche einen Metallglanz, der ihr ein festliches Aussehen verleiht. Überwiegend kommen Gefäße mit birnenförmigem oder bikonischem Körper oder mit kurzem Hals und gewölbtem Bauch vor. Die Keramik aus Martkhopi ist häufig mit eingeschnittenen geometrischen Mustern verziert, seltener mit reliefierten Figuren oder Buckeln (Abb. 11). Trotz einiger Unterschiede zeigt diese Keramik, die insgesamt einen einheitlichen Charakter besitzt, eine genetische Verwandtschaft zu dem Tongeschirr der vorangehenden Kuro-Arax-Kultur. Besonders erwähnenswert ist es, daß in dieser Zeit die Metallurgie in den Vordergrund tritt. In den Hügelgräbern von Martkhopi sind Metallwaffen und-schmuck gut vertreten. Besonders reich an Metallfunden war das große Hügelgrab Nr. 4 von Martkhopi. Hier wurden vier völlig identische Äxte gefunden. Sie sind gut bearbeitet, eine von ihnen ist mit einem Tannenzweig-Muster verziert (Abb. 9). Diese Form der Äxte hat sich in einer späten Stufe der Kuro-Arax-Kultur entwickelt und setzt sich bis in die Zeit der frühen Hügelgräber fort. Um diese Zeit breitet sie sich nach Nordkaukasien und darüberhinaus bis nach Osteuropa aus. Daneben fand man im gleichen Hügelgrab drei Flachäxte – eine Form, die seit der Vorzeit existiert und die auch später in Vorderasien und dem Kaukasusgebiet bekannt ist.

Fast in allen frühen Hügelgräbern wurden flache, blattförmige, mit einer Angel versehene Dolchklingen gefinden. Diese primitiven Waffen unterscheiden sich deutlich von den Dolchklingen, die für die Kuro-Arax-Kultur typisch sind. Der Form nach stehen sie den gleichartigen Waffen etwas näher, die in Nordkaukasien eine längere Zeit hindurch verbreitet sind. In fast allen Hügelgräbern von Martkhopi wurden vierkantige, mit einem landen Dorn versehene Pfeilspitzen gefunden.




Abb. 7. – Anhänger aus Perlmutter, silberne und goldene Perlen, dreieckige Anhänger aus Karneol, zwei breite goldene Ringe aus Kurgan N. 4

Vierkantige Ahlen oder Pfeilspitzen kennt man auch der davorliegenden Periode, aber die in der Hügelgräbern gefundenen Pfeilspitzen haben eine deitlich pyramidenförmige Spitze.

In einem Hügelgrab von Martkhopi wurde eine mit einer Durchbohrung versehene, gut bearbietete Steinaxt gefunden (Abb. 2). Auch im Hügegrab von Samgori lag eine flache Steinaxt.




Abb. 8. – Die Metallwaffen aus Kurgan N. 4

Steinäxte mit Durchbohrung trifft man in dieser Zeit in Georgien und überhaupt in Transkaukasien selten an. Einige Steinäxte wurden in den frühen Hügelgräbern Aserbaidshans gefunden. In Nordkaukasien und Südrußland sind die durchbohrten Steinäxte dagegen gut bekannt; dort sind sie in einem ziemlich langen Zeitabschnitt vertreten.




Abb. 9. – Die bronzene Axte aus Kurgan N. 4




Abb. 10. – Das Grabinventar aus Kurgan N. 6

Man begegnet in den frühesten Hügelgräbern auch bronzenen Schläfenringen. Schläfenringe dieser Art kennt man schon aus den späten Kuro-Arax-Fundorten. Das große Hügelgrab Nr. 4 von Martkhopi war besonders reich an Schmuck. Hier wurden viele bronzene und silberne faßförmige Perlen, einige längere, zylindrische Goldperlen und zwei breite Goldringe gefunden. Gegenstände aus Edelmetall sind für die Kuro-Arax-Kultur nicht charakteristisch. Zwei goldene Ringe fand man in dem Hügelgrab von Satshkhere, das von den frühesten Hügelgräbern zeitlich nicht sehr weit entfernt sein dürfte. Anscheinend verbreiten sich Gegenstände aus Edelmetall in Georgien in der Zeit der Kultur der frühen Hügelgräber.

Im Unterschied zu anderen frühen Hügelgräbern wurde in den Kurganen von Martkhopi sehr viele Fritte- und Karneolperlen gefunden. Hier fand man Perlmuttanhänger verschiedener Form, flache Perlen aus Knochen – was besonders bemerkenswert – Anhänger aus Tierzähnen und –hauern. Solche Anhänger kennt man aus den frühen transkaukasischen Kulturen kaum, sie sind aus den Gräbern Nordkaukasiens und der nördlichen Schwarzmeerküste seit ziemlich früher Zeit gut bekann.

Flache Plättchen verschiedener Form aus Perlmutt sind zu erwähnen. Sie dienten wahrscheinlich zur Verzierung der Kleidung oder anderer Gegenstände. Perlmutt-Schmuck anderer Art begegnet man auch in den frühen Gräbern Nordkaukasiens.

Die bis heute bekannten frühen Hügelgräber stellen in ihrer überwiegenden Mehrheit Adelsgräber dar. Sie zeichnen sich durch ihre Ausmaße, ihre Bauweise und ihr Inventar aus. Wie die einfache Bevölkerung bestattet wurde ist noch unklar; hierfür wurden anscheinend kaum Hügelgräber benutzt. Vielleicht wurde sie nach der alten Sitte in Erdgräbern oder Steinkisten beigesetzt, aber auch solche Gräber wurden bisher selten entdeckt. Offensichtlich bemühte man sich wenig um eine besondere Ausstattung der Gräber der ärmerem Bevölkerungsschicht.

Die Bestattung in Hügelgräbern ist möglicherweise mit den Bevölkerungsbewegungen innerhalb der Gesellschaft verbunden. Mit dem Erscheinen eines fremden Ethnos verbreitete sich ein neuartiger Grabtyp. Die frühesten bekannten Hügelgräber Osttranskaukasiens können mit den in Nordkaukasien verbreiteten ähnlichen Gräbern in Verbindung gebracht werden. Auch dort bestand die Aufschüttung des Hügels aus zwei Schichten – die untere aus Stein, die obere aus Erde. Unter der Steinschicht wurde im Mittelteil manchmal eine Grube für die Bestattung angelegt, manchmal wurde eine Grabkammer aus Stein oder aus Holzbalken auf der Bodenfläche gebaut. Am Grabinventar ist ebenfalls ein schwacher nördlicher Einfluß zu bemerken. Deswegen ist anzunehmen, daß die frühen Hügelgräber aus dem Norden stammenden, fremdländischen Personen gehörten, die eine Zeitlang in der Gesellschaft eine privilegierte Stellung einnahmen.

Offensichtlich hat die erste Welle der Neuankömmlinge die Lebensweise der Gesellschaft wenig verändert. Auch die Art der Wiertschaft wurde nicht umgestaltet. Die Neuankömmlinge vermischten sich mit der einheimischen Bevölkerung. Funde aus manchen späten Kuro-Arax-Siedlungen zeugen von ihrer Koexistenz. Dies ist besonders deutlich an der Keramik aus diesen Siedlungen zu sehen, die bereits Elemente des Tongeschirrs der frühen Hügelgräber erkennen läßt. Der Charakter dieser Siedlungen ist wenig verändert. Anscheinend war diese erste Welle der Ankömmlinge nicht stark genug, um die einheimische Kultur endgültig zu zerstören. Im Gegenteil, es scheint, daß die Nomaden vieles von der Bodenständigen Bevölkerung übernahmen und sich ihr assimilierten. Aber trotzdem berührte das Neue das gesellschaftliche Leben, vor allem auch die Wirtschaft. Vielleicht hat es auch den Zerfall der Ackerbau-Gesellschaft der Kuro-Arax-Kultur beschleunigt; es ist allerdings festzustellen, daß der Bestattungsritus der frühesten Hügelgräber die Mitbestattung von Vieh nicht vorsieht. In den großen Hügelgräbern von Martkhopi wurden nur ein

paar Großviehknochen und Schafsknochen gefunden. Auch für die nordkaukasische Maikopkultur ist die Mitbestattung von Vieh nicht besonders kennzeichnend, obwohl diese Gräber, wie bekannt, Viehzüchter-Stämmen gehören.

Ein Grabinventar aus Korinto bei Akhalgori zeigt nördlichen Einfluß. Es besteht aus sechs Tongefäßen, die in ihrer Form, ihrer Machart und ihrem Ton von der georgischen Keramik dieser Zeit unterscheiden. Besonders bemerkenswert sind drei Hammerkopf-nadeln, die in diesem Grab gefunden wurden. Die kleinen Nadeln sind gut geformt. Nadeln dieser Art kennt man gut aus Nordkaukasien und den südrussischen Steppen aus der Zeit der frühen Grubengrab- und Katakombenkultur. In Transkaukasien ist dies das erste Mal, daß solche Nadeln gefunden wurden. Südlich von Transkaukasien sind Nadeln dieser Art nicht bekannt, sieht man von einer silbernen Nadel aus einem reichen Grab von Alaca Hüyük ab, die auch als vom Norden beenflußt gilt. Im gleichen Grab wurde eine kleine Bronzenadel mit schlingenförmigem Kopf entdeckt. Schlingenförmige Nadeln sind bereits aus der späten Stufe der Kuro-Arax-Kultur bekannt. Ein Keulenkopf aus Sandstein aus dem Grab von Korinto ist kugelförmig. Kugelförmige Keulenköpfe erscheinen in Osttranskaukasien ziemlich früh; man findet sie auch in Nordkaikasien. Sehr interessant sind auch Anhänger aus Hundezähnen, die in diesem Grab entdeckt wurden. Ähnliche Anhänger wurden in den großen Hügelgräbern von Martkhopi entdeckt. Anhänger aus Tierzähnen trifft man in den frühen Hügelgräbern sonst selten an, im Norden dagegen war der Tierzahn- und Tierhauerschmuck verbreitet. Anhänger aus Hundezähnen kennen wir aus der alten Grubengrab-Kultur. Man kann vermuten, daß in dem Grab von Korinto eine von Norden eingewanderte Person bestattet war (Abb. 12).

Mit Hilfe der Funde aus den frühen ostgeorgischen Hügelgräbern kann man die innere Struktur der Gesellschaft beurteilen. Anscheinend gab es in dieser Zeit innerhalb der Gesellschaft eine priviligierte, aristokratische Schicht, die politische und wirtschaftliche Macht besaß.

Herkunft und etnische Zugehörigkeit der Träger der frühen Hügelgrab-Kultur sind noch schwer zu bestimmen. Wir können nicht endgültig sagen, was für Menschen in den frühen Hügelgräbern bestattet sind und in welcher Beziehung sie zu der Bevökerung der Kuro-Arax-Kultur standen. Hat sich die Bevölkerung geändert oder führte die Kultur der frühen Hügelgräber zu keinem großen ethnischen Umbruch? Auch diese Frage bleibt offen. Es wurde bereits betont, daß die neuen Ereignisse die Kultur wenig beenflußten. Im Gegenteil, die kulturelle Tradition der früheren Zeit setzt sich fort. Vielleicht bedeutet dies, daß in der Bevölkerung keine besonderen Veränderungen vorgingen. Über die Träger der Kuro-Arax-Kultur gibt es unterschiedliche Auffassungen. Einige rechnen diese Kultur den indoeuropäischen Stämmen zu; andere vermuten, daß sie den kaukasischen Stämmen gehörte, vor allem den khuritischen und kartvelischen Stämmen.

In der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. werden die nördlichen Einflüsse im Osten Transkaikasien aktiver, was wahrscheinlich die Wanderung eines Teils der Bevölkerung nach Süden zur Folge hatte. Diese Bevölkerung assimilierte sich den einheimischen Stämmen. Es ist noch schwer zu sagen, wer diese Neuankömmlinge waren. Es gibt die Meinung, daß um diese Zeit im Norden des Kaukasus die Indoeuropäer zu Hause waren. Vielleicht nahmen auch diese Stämme an der Wanderung nach Süden teil. Indoeuropäische Elemente, die es in den kartvelischen Sprachen gibt, spigeln dies vielleicht wieder.

In der Frage der Datierung der Kultur der frühen Hügelgräber ist noch nicht alles klar. Man kann allgemein sagen, daß sie sich im Osten Transkaukasiens in der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends ausbreitet.

Auf die Frage, wann, auf welcher Etappe diese Kultur erschien und wie lange sie dauerte, kann man noch keine genaue Antwort geben. Scheinbar ist ihr erstes Auftreten mit dem Endstadium der Kuro-Arax-Kultur gleichzeitig. In einigen Siedlungen gibt es die Keramik der Kuro-Arax-Kultur und der Frühen Hügelgräber-Kultur nebeneinander. Das jüngste Datum der Kuro-Arax-Kultur scheint von dem Anfangsstadium der Kultur der Frühen Hügelgräber nicht sehr weit entfernt zu sein. Heutzutage gibt es einige Radiokarbondaten. Für die früheste Gruppe gibt es nur C-14 Daten des Hügelgrabs Nr. 4 von Martkhopi (Amerikanisches Labor: gx-9252: 2083±155 v. Chr.; Labor der Universität Tbilisi – 325: 2028±80 v. Chr.; Labor der Sankt Petersburger Filiale des archäologischen Instituts: LE – 2198: 1690±40 v. Chr.; Labor der Akademie der Wissenschaften der ehemaligen DDR Ber–291: 1930±60 v. Chr.). Die C-14 Daten sind unterschiedlich und das genaue Alter läßt sich deswegen schwer bestimmen. Vielleicht wäre es richtiger, die ältesten Hügelgräber in die Mitte der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. zu datieren.

ეთნოკულტურული პროცესები აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში*

ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მთელი რიგი ახალი მოვლენებით ხასიათდება. ამ პერიოდში აქ მოსახლე ტომებში მნიშვნელოვანი ეთნოკულტურული ძვრები შეინიშნება. საბოლოოდ დაირღვა თითქმის სამ ათას წელს გაგრძელებული ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურის სტაბილური ხასიათი. საგრძნობლად შეიცვალა ადრე არსებული წესი ცხოვრებისა და საზოგადოება განვითარების განსხვავებულ, ახალ გზას დაადგა. ცვლილებები შეეხო ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს – დასახლების ხასიათს, ძეგლთა ტოპოგრაფიას, ქვისა და ლითონის ნაწარმს, კერამიკის ფორმებსა და ორნამენტს და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, დასაფლავების წესს. ასეთი მკვეთრი გარდატეხა საზოგადოების ცხოვრებაში მარტო შიდა პროცესებით ვერ აიხსნება. აქ, ჩანს, გარკვეული როლი გარედან მომდინარე ფაქტორებსაც უნდა შეესრულებინა, რაც, ალბათ, ეთნიკურ ძვრებთანაც იყო დაკავშირებული. დაირღვა და შეიცვალა ადრე არსებული რიტმი ცხოვრებისა და სრულიად ახალ ტრადიციებს ჩაეყარა საფუძველი, რომლებსაც ცოტა რამ შემორჩა წინა ეპოქიდან. ძველი საცხოვრებელი ადგილები მიტოვებულ იქნა. საგრძნობლად ათხელდა მოსახლეობა ბარში და იგი საცხოვრებლად სხვა ადგილებში გადავიდა. მაგრამ სად და რა პირობებში უხდებოდა ცხოვრება ახალ ადგილას, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. ჩანს, ძირფესვიანად შეიცვალა, საერთოდ, ცხოვრების წესი. ამიტომ მთლად მართებული არ უნდა იყოს ამ საფეხურის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის მიკუთვნება.[1] ამ პერიოდიდან ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპი იწყება. მაგრამ, როგორი იყო ახლად ჩამოყალიბებული გზა ცხოვრებისა, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. სადღეისოდ ცნობილია, ძირითადად, ამ დროის სამარხები და აქედან მომდინარე მასალების საფუძველზე ხერხდება მეტ-ნაკლებად საზოგადოების ცხოვრების ახალი სისტემის აღდგენა. ამ დროს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ცვლილებები შეინიშნება დაკრძალვის რიტუალში. ვრცელდება დასაფლავების ახალი წესი – ინდივიდუალური ყორღანული სამარხები, რომელსაც არ გააჩნია ადგილობრივი ტრადიციები. ასეთი მკვეთრი სხვაობა ისეთი ეთნოგრაფიული ნიშნისა, როგორიც დაკრძალვის რიტუალია, ჩანს, მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარ გარკვეულ ცვლილებებთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე ჩვენში ცნობილია ყორღანული ტიპის კოლექტიური სამარხები, სადაც მიცვალებულები ქვაყრილის სხვა-

* დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, №321, 1996.

1 Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Древние культуры Южного Кавказа, Ленинград, 1970, стр. 156, 158.

დასხვა დონეზე დაიკრძალნენ. პირველი მიცვალებულები აქ ორმოში ან მიწისპირზე დასაფლავდნენ, შემდგომ კი, ახალი სამარხების გამართვის შედეგად, ყრილის დონე თანდათანობით მაღლა იწევდა. შესაძლოა, კოლექტიური ყორღანული სამარხების წარმოქმნაც იმ ახალ მოვლენებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც შეინიშნება ამ პერიოდში. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის და ადრეყორღანული კულტურები ერთხანს თანაარსებობენ. ეს კარგად გამოჩნდა არაერთ ნამოსახლარზე, სადაც ამ ორივე კულტურის ელემენტები ერთადაა წარმოდგენილი. იგივე მოვლენა კოლექტიურ ყორღანულ სამაროვნებზედაც შეინიშნება. ამიტომ, თვით იდეა ყორღანის წარმოქმნისა შესაძლოა ამის შედეგი იყო, ოღონდ აქ გვაროვნული სამაროვნის, კოლექტიური სამარხის სახე მიიღო. ინდივიდუალური ყორღანული სამარხი მომდევნო ხანაში ვრცელდება, ადრეყორღანული კულტურის საბოლოო გამარჯვების შემდეგ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ყორღანის ტიპის სამარხი ჩვენში თითქოს უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში გვხვდება და, მაგალითად, საჩხერის და ტყვიავის კოლექტიური ყორღანულო ტიპის სამარხებზე მიუთითებენ.[1] ზოგიც კიდევ უფრო შორს მიდის და კახეთის რეგიონისათვის ყორღანის პირველი გამოჩენის თარიღად ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნას[2] გულისხმობს. ტყვიავში კოლექტიური სამარხის გვერდით აღმოჩნდა, აგრეთვე, ინდივიდუალური ყორღანი.[3] მიუხედავად მეტად მწირი მასალისა, აქ ნაპოვნი იყო კალიანი ბრინჯაოს ნივთი. ინვენტარი იმას უნდა მოწმობდეს, რომ ტყვიავის ამ სამარხის თარიღი შეიძლება ადრეყორღანული კულტურის ხანას გავუტოლოთ. კალიანი ბრინჯაო ჩვენში, როგორც ახლა ირკვევა, პირველად სწორედ ადრეყორღანული კულტურის დროს ვრცელდება.

როგორც ჩანს, ადრეყორღანულ კულტურას უნდა მიეკუთვნებოდეს მილისა და მუღანის ველზე შესწავლილი ყორღანები ასტარინისა და მასალინის რაიონებში. ამ ყორღანებში, განსაკუთრებით კი კერამიკაში, ჯერ კიდევ შემორჩა მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ეტყობა, ეს სამარხებიც ყორღანული კულტურის პირველი გამოჩენის დროისა უნდა იყოს.[4] ამავე ხანისა ჩანს, აგრეთვე, მთიანი ყარაბაღის ყორღანები.[5]

ამრიგად, ყორღანული ტიპის სამარხი, რომელიც ერთი მიცვალებულისთვის იყო საგანგებოდ აგებული, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში გამოჩენას იწყებს მტკვარ-არაქსის კულტურის მომდევნო ხანაში, ადრეყორღანული კულტურის გავრცელების პერიოდში. დაკრძალვის ამ ახალ წესს არ გააჩნია აქ ადგილობრივი ტრადიციები. დასაფლავების ყორღანული წესი კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე მესაქონლე-მეჯოგე ტომებისთვის იყო დამახასიათებელი. საერთოდ, ყორღანი, როგორც სამარხის ტიპი, ჩანს, უნდა წარმოქმნილიყო თვალუწვდენელ ტრა-

1 გოგაძე, ე., თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი, 1972, გვ. 93.

2 Дедабришвили Ш. Ш., Курганы Алазанской долины, Тбилиси, 1979, стр. 59.

3 მაკალათია ს., ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბილისი, 1943, გვ. 30.

4 Махмудов Ф. Р. Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа, Автореферат, Тбилиси, 1979, стр. 5.

5 Кушнарева К. Х., Памятники медного века в Нагорном Карабахе, СА, XX, М., 1954, стр. 165; Гуммель Я. И., Некоторые памятники раннебронзовой эпохи Азербайджана, КСИИМК, XX, 1948, стр. 19.

მალებში, ვრცელ ველებზე მობინადრე ტომებში.[1] გაშლილ ადგილას, ერთფეროვან ლანდშაფტში, სტეპში სამარხის თავზე ამოზიდული ხელოვნური ყრილი ადვილად გამოსარჩევი იქნებოდა.[2] მართალია, შემდეგში ყორღანული ტიპის სამარხი სხვა ლანდშაფტურ გარემოშიც გვხვდება, მაგრამ თავდაპირველად, ჩანს, იგი სტეპებში მცხოვრები ტომებისათვის იყო დამახასიათებელი. ყორღანის გავრცელების ძირითადი რეგიონი სწორედ სტეპი იყო და იქ უნდა ჩამოყალიბებულიყო დაკრძალვის ეს ტრადიცია. ხელოვნური ბორცვის ქვეშ, ყორღანში მიცვალებულის დასაფლავება სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში ათასწლეულების მანძილზე დაკრძალვის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი წესი იყო და იგი აქ საკმაოდ გვიანობამდე შემორჩა.[3]

ყორღანი, როგორც სამარხის ტიპი, ჩანს, პირველად კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ ე.წ. ძველი ორმოსამარხების კულტურის წიაღში უნდა წარმოქმნილიყო.[4] ამ კულტურის ყორღანები უძველესი უნდა იყოს.[5] უფრო ადრეული ყორღანები სადღეისოდ ცნობილი არ არის.[6] თუმცა აღინიშნა, რომ უკრაინის სტეპურ ზოლში მათზე უფრო ადრეული ყორღანული სამარხები აღმოჩნდა.[7] ის აზრიც გამოითქვა, რომ სამარხის ეს ტიპი სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზონაში ცენტრალური ევროპიდან ვრცელდება.[8] ზოგის აზრით, მათი გამოჩენა ჩრდილო კავკასიაში შესაძლებელი იყო ამიერკავკასიიდან.[9] ფიქრობენ, რომ ჩრდილო კავკასიაში ყორღანი ძველი ორმოსამარხების კულტურასთან ურთიერთობის შედეგად ვრცელდება მაიკოპის კულტურაში.[10]

ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში კავკასიის ჩრდილოეთით, სტეპურ ზონაში ჩამოყალიბდა მომთაბარე-მეჯოგე ტომების კულტურა, რომელიც დღეს ძველი ორმოსამარხების ან ყორღანული კულტურის სახელითაა ცნობილი. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან ეს ტომები აქტიურდებიან და იწყებენ მოძრაობას აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებით.[11] ზოგიერთი მკვლევრის აზრით, აღმოსავლეთიდან მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენას ევროპაში კულტურის მკვეთრი ცვლილებები მოჰყვა – „ყორღანული კულტურის“ გავრცელება.[12]

---

1 Шилов В. П., Очерки по истории племен Нижнего Поволожья, Ленинград, 1975, стр. 81.

2 Мерперт Н. Я., Ранние скотоводы Восточной Европы и судьбы древнейших цивилизации, 1980, стр. 79.

3 Мерперт Н. Я., Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, М., 1974, стр. 132.

4 Энеолит СССР, М., 1982, стр. 328.

5 Энеолит СССР, М., 1982, стр. 326; Мерперт Н. Я., Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, М., 1974, стр. 69.

6 Мерперт Н. Я., Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, М., 1974, стр. 24.

7 Нечитайло А. Л., Особенности степных влияний на население Майкопской культуры, Вопросы археологии Адыгеи, М., 1988, стр. 143.

8 Мерперт Н. Я., Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, М., 1974, стр. 75.

9 Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, М., 1975, стр. 309.

10 Нечитайло А. Л., Особенности степных влияний на население Майкопской культуры. Вопросы археологии Адыгей, М., 1988, стр. 143; მისივე, О значении связей степной Украины и Северного Кавказа в эпоху ранней бронзы, Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 44.

11 Мерперт Н. Я., Из истории древнеямных племен, Проблемы археологии Евразии и Северной Америки, М., 1977, стр. 69.

12 Gimbutas, M., Notes on the Chronology and Expansion of the Pit-Grave Culture, L'Europe à la fin de l'âge de la pierre, Prague, 1960, p. 193.

თუმცა საწინააღმდეგო აზრიც არსებობს, ჩანს, უმართებულო – რომ ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელი მოსახლეობა ადრეულ ფაზებზე, პირიქით, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მოძრაობდა.[1] ამას თითქოს უნდა მოწმობდეს ანთროპოლოგიური მონაცემებიც.[2]

დასავლეთით მესაქონლე ტომები საკმაოდ შორს ვრცელდებიან და სამხრეთ რუსეთის სტეპების გზით დუნაისპირეთსა და ბალკანეთს აღწევენ.[3] მოძრაობის ამ დიდ გზაზე ისინი მიწათმოქმედი მოსახლეობის ზონებში იჭრებიან და არღვევენ მათი მეურნეობის სტაბილურ ხასიათს. ეს, ჩანს, დასაწყისია იმ დიდი მოვლენებისა, რომლებიც ისტორიის მანძილზე არაერთგზის განმეორებულა და მომთაბარე-მესაქონლე ტომები არაერთხელ გვევლინებიან კულტურის განვითარების შემაფერხებელ ძალად. როგორც ჩანს, ადრეული მოძრაობა ამ ტომებისა რამდენიმე ტალღად ხორციელდება ძვ.წ. III ათასწლეულის მანძილზე. მათი მოძრაობის პირველმა ტალღამ, ჩანს, გვერდი აუარა კავკასიას და ჩრდილო შავიზღვისპირეთის გზით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, დუნაის მხარეს მიაღწია. ჩანს, ადრეული ტალღა ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომებისა კავკასიისპირეთში შეაჩერა ჩრდილოკავკასიური მოსახლეობის ძლიერმა გაერთიანებამ.[4] ორმოსამარხების კულტურის გამოჩენამ მნიშვნელოვნად დაარღვია და შეცვალა აქ მოსახლე ტომების ცხოვრების ხასიათი. საგრძნობლად შეფერხდა ევროპის ამ რეგიონში არსებული უფრო მაღალი კულტურის განვითარების გზა, რომელიც ამ დროისათვის წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს.[5] ამ მოვლენებმა აქ მოსახლე ტომების ცივილიზაციაში გადაზრდის პროცესი საკმაო ხნით გადადო. როგორც ჩანს, აქ მიმდინარე პროცესები უფრო შორს, ანატოლიაში, გავრცელდა, უპირატესად, დამარხვის რიტუალის სახით. თუმცა, აქ ყორღანული ტიპის სამარხები არ გვხვდება. ჩანს, სამარხის თავზე ყრილის მოწყობის ტრადიცია იკარგება, თორემ, სხვა მხრივ, სამარხის კონსტრუქციაში და, საერთოდ, დაკრძალვის წესში გარკვეული სიახლოვე შეიმჩნევა ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებელ დამარხვის რიტუალთან.[6] ეს ჩანს ცენტრალურ ანატოლიაში ალაჯა ჰუიუკის ცნობილ „მეფეთა“ სამარხებში. არაერთგზის აღინიშნა, რომ ამ სამარხების თავისებურება უცხო წარმოშობის მმართველი წრისადმი მათი კუთვნილებით აიხსნება, რომლებიც ჩრდილოეთიდან

---

1 Николаева Н. А., Сафронов В. А., Проблема появления колесного транспорта в Европе. Древнейшие повозки Восточной Европы. Кочевники Азово-Каспийского междуречья, Орджоникидзе, 1983, стр. 61.

2 Шевченко А. В., Палеоантрополические данные к проблеме происхождения индо-европейцев, Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока, ч. I, М., 1984, стр. 118.

3 Мерперт Н. Я., Древнеямная культурно-историческая область и вопросы формирования культур шнуровой керамики, Восточная Европа в эпоху камня и бронзы, М., 1976, стр. 123; Йованович Б., Курганы ямной культуры в югославском Подунавье, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 211.

4 Мерперт Н. Я., Из истории древнеямных племен, Проблемы археологии Евразии и Северной Америки, М., 1977, стр. 70.

5 Gimbutas M., Old Europe c. 7000-3500 B. C. The Eaiest European Civilization before the Infiltration of the Indo-European peoples, The Journal of Indo-European Studies, p. 2.

6 Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейские языки и индоевропейцы, стр. 911; Mellaart J., Anatolia and Indo-Europeans, The Journal of Indo-European Studies, vol. 9, No 1, 1980, p. 138; Мерперт Н. Я., Об этнокультурной ситуации IV–III тысяч. до н. э. в циркумпонтийской зоне, Древний Восток, этнокультурные связи, М., 1988, стр. 31.

უნდა ყოფილიყვნენ გამოსულნი.[1] საინტერესოა, რომ ალაჯას სამარხებში ეტლთან ერთად დაკრძალვის წესის არსებობასაც ვარაუდობენ.[2] მათ ჩრდილოურ გავლენას მიაწერენ, აგრეთვე, ანატოლიაში ცხენის გამოჩენის ფაქტს.[3]

თითქმის ყველგან, სადაც კი ძველ სამყაროში ორმოსამარხების კულტურა გავრცელდა, გამოჩენას იწყებს ყორღანული ტიპის სამარხი. როდესაც კავკასიის ჩრდილოეთით უზარმაზარ სივრცეზე ძველი ორმოსამარხების კულტურულ-ისტორიული ერთობა იქმნება, ყორღანი მისი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ხდება. როგორც ჩანს, ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომების დასავლეთით მოძრაობის პირველი ტალღის გზა კავკასიის მიღმა მიდიოდა.[4] მათი გავლენა ჩრდილო კავკასიაზე შედარებით სუსტი იყო. მაიკოპის კულტურის წინარე პერიოდში ინდივიდუალური ყორღანული სამარხები მეტად იშვიათია. როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა, მათი ადრეული ტაღღა ჩრდილოკავკასიურმა ტომებმა შეაჩერეს. მაგრამ ცალკეული ჯგუფები, ჩანს, მაინც იჭრებიან, თითქმის თერგამდე აღწევენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან შედიან კონტაქტში; შესაძლოა, ამან შემდეგში გარკვეული როლი შეასრულა მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაში.[5] ცენტრალურ კავკასიისპირეთში, მოზდოკის სტეპურ ზოლში, გვხვდება უადრესი ყორღანული ტიპის სამარხები, დაბალი ყრილით, რომლებშიც ერთი მიცვალებული იყო.[6] ეს სამარხები, შესაძლოა, აქ ორმოსამარხების კულტურის პირველი გამოჩენის შედეგად გავრცელდა. მაიკოპის კულტურის ხანაში ეს ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური ხდება.

როგორც ჩანს, ამიერკავკასიას ამ დროისათვის ეს მოვლენები არ შეხებია. მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში არ შეინიშნება რაიმე კავშირები ძველი ორმოსამარხების კულტურასთან.[7] მხოლოდ მისი ძლიერების შესუსტების შემდეგ, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, ამიერკავკასიაში აქტიურდება ჩრდილოეთის გავლენა. აქ დაახლოებით ისეთივე სურათი შეიმჩნევა, როგორიც ყირიმში, სადაც კემი-ობინის კულტურა პირველ ხანებში წინ აღუდგა სტეპური ტომების კულტურის გავრცელებას.[8] მტკვარ-არაქსის კულტურა ამ პერიოდში თვითონ ახდენს ექსპანსიას ცენტრალურ კავკასიაში; უკანასკნელი ხანების აღმოჩენები აქ მიუთითებს მჭიდრო ურთიერთობაზე გვიანმტკვარ-არაქსის კულტურასთან.[9] როგორც ჩანს, სტეპური

1 Piggott S., Ancients Europa, Edinburg, 1965; Кавтарадзе Г. Л., Вопросы этнической истории Кавказа и Анатолии и проблемы хронологии и периодизации, Тбилиси, 1992; Winn Shan M. M., Burial Evindenze and the Kurgan Cultur in Eastern Anatolia C. 3000 B. C.: An Interpretation? The Journal of Indo-European Studies, vol. 9, No 1, 1981.

2 Mellaart Je., The Chaleolithhic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia, Beirut, 1966. Orthmann W., Zu dem ''Standarten'' aus Alaca Hyuk, Istambuler Mitteillungen, Bd, 17, 1967, p. 36.

3 Mellaart Je., Anatolia and the Indo-Europeans, p. 136.

4 Мерперт Н. Я., Древнеямная культурно-историческая область и вопросы формирования культур шнуровой керамики, Восточная Европа в эпоху камня и бронзы, М., 1976, стр. 108.

5 Мерперт Н. Я., Из истории древнеямных племен, Проблемы археологии Евразии и Северной Америки, М., 1977, стр. 70.

6 Кореневский С. Н., Наглер А. О., Некоторые вопросы изучения энеолита центрального Предкавказья и моздокских степей, Проблемы интерпретации археологических источников, Орджоникидзе, 1977, стр. 77.

7 Мерперт Н. Я., Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, М., 1974, стр. 140.

8 Мерперт Н. Я., Из истории древнеямных племен, Проблемы археологии Евразии и Северной Америки, М., 1977, стр. 74.

9 Ростунов Л. Р., Куро-араксские могильники Северной Осетии, Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа, Орджоникидзе, 1988, стр. 21.

კულტურის გავლენის ქვეშ პირველად უფრო ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის რეგიონები ექცევა, სადაც შემდეგ მაიკოპის კულტურა ჩამოყალიბდა. ამის შედეგად ჩნდება კავკასიაში ყორღანული ტიპის სამარხი.[1] ისიც ითქვა, რომ სამხრეთ რუსეთის სტეპებში ყორღანი ცენტრალური ევროპიდან ვრცელდება.[2] კავკასიის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში სტეპის გავლენა შედარებით სუსტია, ალბათ, იმის გამო, რომ აქ ამ დროისათვის მტკიცედ იკიდებს ფეხს მტკვარ-არაქსის კულტურა. თუმცა ის აზრიც არსებობს, რომ ადრებრინჯაოს ხანის სტეპების ძეგლების კავშირი მაიკოპის კულტურასთან არ დასტურდება და უფრო მეტად ისახება მათი ურთიერთობა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიასა და ამიერკავკასიასთან.[3] ნიშანდობლივია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ამიერკავკასიის ანალოგიური სურათი შეიმჩნევა ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. აქაც კულტურაში ახალი მოვლენები შეინიშნება, ძლიერდება სტეპური კულტურების გავლენა, შემოდის დაკრძალვის ყორღანული წესი, მეურნეობაში ძლიერდება მესაქონლეობის როლი და სხვ.[4]

ყორღანული ტიპის სამარხი ამიერკავკასიაში ძირითადად გავრცელდა მის აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველოში მათ ვხვდებით, უპირატესად, იორ-ალაზნის ორმდინარეთში და შიდა ქართლში. ცნობილია ყორღანები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, მილის, ყარაბაღისა და მუღანის ველებზე. აქ ყორღანული სამარხები საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან გვხვდება და, ჩანს, ერთხანს ადრეყორღანული და გვიანმტკვარ-არაქსული კულტურები თანაარსებობენ.[5] აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეყორღანული კულტურის უკიდურესი დასავლეთი საზღვარი ლიხამდე აღწევს. გადადიოდა თუ არა ეს კულტურა დასავლეთ საქართველოში, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ყორღანული ტიპის სამარხი აქ სადღეისოდ ცნობილი არ არის. კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების ადრეულ ფენებში დამოწმებულია პრიალაზედაპირიანი, შავი კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც თავისი ფაქტურით მოგვაგონებენ ადრეყორღანულ ქურჭელს; მაგრამ სანამ არ იქნება დადგენილი ამ თიხის ჭურჭლის ფორმები, მათ შესახებ ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა.

როგორც ჩანს, ყორღანული ტიპის სამარხი არც ამიერკავკასიის სამხრეთის რეგიონებშია მაინცდამაინც გავრცელებული. არარატის ველზე ადრეული ყორღანები ნაკლებადაა ცნობილი. არც აღმოსავლეთ ანატოლიისთვის ჩანს დამახასიათებელი ამ ტიპის სამარხი. ჩრდილოური იმპულსები აქ, ეტყობა, უფრო სუსტი იყო და მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა სულ სხვა მოვლენებთან იყო დაკავშირებული. მას აქ, ამიერკავკასიის სამხრეთი რეგიონების ჩათვლით, მოხატულკერამიკიანი კულტურები ენაცვლება. აღმოსავლეთ ანატოლიაში, კოროკუთეფეზე, ყორღანული ტიპის

---

1 Нечитайло А. Л., О значении связей степной Украины и Северного Кавказа в эпоху ранней бронзы, Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 44.

2 Hausler F., Ist eine Ableitung der Schnurkeramik von der Ockergrabculture moglich? Forschungen und Forschritte, №12, Berlin, 1963, p. 165; Резепкин А. Д., Проблема генезиса Майкопской культуры. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилисл, 1991, стр. 74; Клейн Л. С., Ранние индоевропейцы на Кавказе и северо-понтийских степях, Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского Нагорья и сопредельных областей, Ереван, 1990, стр. 169.

3 Чередниченко Н. Н., О некоторых аспектах развития раннебронзового века в степном Причерноморье, Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 75.

4 Гаджиев М. Г., Северо-Восточный Кавказ в эпоху бронзы, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 67.

5 Махмудов Ф. Р., Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа, Автореферат, Тбилиси, 1979, стр. 6,

სამარხების გამოჩენის ძვ.წ. 3000 წლით დათარიღება მთლად სწორი არ უნდა იყოს. თუ აქ მართლაც გვხვდება ყორღანული სამარხი, ამ მოვლენის ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყის ხანებზე უფრო ადრეულად მიჩნევა მართებული არ უნდა იყოს.[1]

რა იყო მიზეზი მტკვარ-არაქსის კულტურის უფრო სამხრეთით განფენისა, მთლად ნათელი არ არის. აქ, როგორც ჩანს, მოსახლეობის მასობრივი გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე, რომლებიც საკმაოდ ფართო ტერიტორიას ითვისებენ. აღმოსავლეთ ანატოლიაში ახალმოსულები ადრე დასახლებულ ადგილებს იკავებენ და უკვე არსებულ ნამოსახლარებზე სხდებიან, რაც ალბათ მაინცდამაინც მშვიდობიანი შემოღწევის შედეგი არ უნდა ყოფილიყო. სამხრეთით გადანაცვლების მიზეზი, გარდა გარკვეულწილად დემოგრაფიული აფეთქებისა, შესაძლოა უფრო ეკონომიკური ფაქტორით იყო განპირობებული. მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ამიერკავკასიაში თანდათანობით გაიზარდა მეცხოველეობის როლი, განსაკუთრებით მისი უფრო მოძრავი ფორმა – წვრილფეხა მესაქონლეობა. ეს კი, თავის მხრივ, იწვევდა ახალ-ახალი მიწების, საძოვრების ათვისების საჭიროებას. შესაძლოა, მტკვარ-არაქსის კულტურაში მეცხვარეობის წილის გაზრდა ადრეყორღანული კულტურის მატარებელ ტომებთან ურთიერთობის შედეგი იყოს. მტკვარ-არაქსის კულტურის უფრო ინტენსიური გავრცელება სამხრეთით ეგებ ამიერკავკასიაში ადრეყორღანული ტომების პირველმა გამოჩენამაც დააჩქარა. ახალი ეთნიკური ელემენტის შემოღწევამ, შესაძლოა, ერთგვარად ხელი შეუწყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ერთი ნაწილის უფრო სამხრეთით გადანაცვლებას. ეს ტომები აქ საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში იჭრებიან, კულტურის სრულიად განსხვავებულ გარემოში ხვდებიან, მაგრამ არ კარგავენ საკუთარი კულტურის ხასიათს. შესაძლოა, მათი გადაადგილება ადრეც ხდებოდა, მაგრამ მასობრივი გადასვლა ეგებ სწორედ ყორღანული კულტურის ამიერკავკასიაში გამოჩენას უკავშირდება. აქ, შესაძლოა, ისეთივე მოვლენასთან გვქონდეს საქმე, როგორსაც ვხვდებით მესაქონლე-მეჯოგე ტომების დასავლეთით მოძრაობის დროს. როგორც ზევით იყო აღნიშნული, ამის გამოძახილს ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ ანატოლიაშიც ვხვდებით. მტკვარ-არაქსის კულტურის ნაკვალევი ცენტრალურ ანატოლიაშიც არის შენიშნული. ეს, ჩანს, ხალხების შავი ზღვის ირგვლივ სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის ერთიანი პროცესი იყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულის მიჯნაზე ქართველ ტომთა რაიმე მნიშვნელოვან მიგრაციებს ჰქონოდა ადგილი ეგეოსში.[2] ამ დროს ამიერკავკასია მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება –ყალიბდება ახალი, შუაბრინჯაოს ხანის კულტურა. ნაკლებ სავარაუდოა, ამ დროს დაწყებულ ინდოევროპელთა მიგრაციაში ქართველურენოვანი ტომების მონაწილეობა, რომლებსაც აქტიური როლი უნდა შეესრულებინათ შუაჰელადური კულტურის-ფორმირებაში.[3]

სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნა, რომ ყორღანულ სამარხები ირანშიც აღმოჩნდა. თვით ავტორი ოთხივე მის მიერ გათხრილ ყორღანს ძვ.წ. VII-VI საუკუნეებს მიაკუთვნებს. ყველა ყორღანი აქ გაძარცული აღმოჩნდა.[4] მაგრამ, ამ თარიღის

---

1 Shan M. M. Winn, Burial Evindenze and the Kurgan Cultur in Eastern Anatolia C. 3000, B. C.: An Interpretation, The Journal of Indo-European Studies, vol. 9, No 1, 1981, p. 113.

2 გორდეზიანი რ., წინაბერძნული და ქართველური, თბილისი, 1985, გვ. 10.

3 იქვე, გვ. 136.

4 Muskarella O. W. , The Tumuli at SE, Gurdan, Second Report, Metropolitan Museum Journal, vol. 2, 1971, 5-21. Muskarella O. W., The Tumili at SE Gurdan, A preliminary report: Metropolitian Museum Journal, vol. 2, 1969.

სისწორის შესახებ ეჭვი გამოითქვა და, ყორღანის კონსტრუქციისა და ინვენტარის საფუძველზე, აღინიშნა, რომ ეს სამარხები ნოვოსვობოდნაიას ტიპის ყორღანებს უახლოვდება.[1] წინა აზიაში ყორღანის ტიპის სამარხებს რკინის ხანით ან უფრო გვიანი დროით ათარიღებენ.[2] თუ გამართლდა ადრეული ყორღანის არსებობა კავკასიის სამხრეთით, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი აქ ამიერკავკასიის გზით გავრცელდნენ. მაგრამ, როგორც სადღეისოდ არსებული მასალებიდან ჩანს, ამ ტიპის სამარხმა სამხრეთით მაინცდამაინც ფეხი ვერ მოიკიდა. ისეთი ეთნოგრაფიული ნიშნის გავრცელება, როგორც დამარხვის წესია, ნაკლებ სავარაუდოა უშუალო კონტაქტების გარეშე.[3] როგორც ჩანს, ამიერკავკასიის სამხრეთით ყორღანული კულტურის მატარებელი ტომები არ გავრცელებულან.

უნდა აღინიშნოს, რომ იქ, სადაც მომთაბარე-მეჯოგე ტომები ვრცელდებიან, მათი გამოჩენით მკვეთრი გარდატეხა შეიმჩნევა ცხოვრების ხასიათში. ეს პროცესი უფრო ადრე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთ-დუნაის მხარეში, შეინიშნება ამ ტომების პირველი ტაღღის შემოჭრის დროიდან.[4] აღსანიშნავია, რომ კარპატებსა და დუნაისპირეთში, სამხრეთ რუსეთის სტეპური მოსახლეობის გამოჩენასთან ერთად, ფართოდ ვრცელდება ყორღანული ტიპის სამარხები. მათი ნამოსახლარი ადგილები კი დღემდე უცნობი რჩება.[5] როგორც აღინიშნა, ამიერკავკასიაში ამ ტომების გამოჩენა რამდენადმე დაყოვნდა და ამიტომ ეს მოვლენებიც აქ უფრო გვიან შეიმჩნევა; მეჯოგე ტომების სამხრეთით გავრცელებამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს და, რაც მთავარია, ძირეულად შეარყია მანამდე არსებული მეურნეობის ხასიათი. ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში არაერთგზის აღნიშნა, თუ როგორ ფერხდება მეჯოგე ტომების შემოსევების შედეგად ცივილიზაციის დონეზე მდგომ ქვეყნებში განვითარების პროცესი. ამის კარგი მაგალითებია: დასავლეთ სემიტების მომთაბარე ტომების მიგრაცია შუამდინარეთში,[6] გუტიების გამოჩენა მესოპოტამიაში, უფრო გვიან კასიტების გავრცელება ბაბილონში, ჰიქსოსების შეჭრა ეგვიპტეში და სხვ.[7]

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე საგრძნობლად იზრდება მეცხოველეობის როლი და მეურნეობაში მისი წილი თითქმის მიწათმოქმედებას უთანაბრდება. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სულადობის რაოდენობა ჯოგში, ჩანს, დაახლოებით თანაბარი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ამ კულტურის მოსახლეობა, განსაკუთრებით შიდა ქართლში მიმდებარე მხარეებით, უფრო მობილური ჩანს. ამ დროის ნამოსახლარები აქ არ გამოირჩევა მაინცდამაინც თავისი სიდიდით და შედარებით თხელი კულტურული ფენებით ხასიათდება.[8] საერთოდ,

---

1 Резепкин А. Д., Северо-Западный Кавказ в эпоху ранней бронзы, Автореферат, Ленинград, 1989, стр. 16.

2 Mellaart J., დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

3 Мерперт Н. Я., Древнеямная культурно-историческая область и вопросы формирования культур шнуровой керамики, Восточная Европа в эпоху камня и бронзы, М., 1976, стр. 125.

4 Мерперт Н. Я., Этнокультурные изменения на Балканах на рубеже энеолита и раннего броизового века, Этногенез народов Балкан и Северного Причерноморья, М., 1984, стр. 235.

5 Йованович Б., Курганы ямной культуры в югославском Подунавые, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 213.

6 Титов В. С., К изучению миграций бронзового века, Археология Старого и Нового Света, М., 1982, стр. 106.

7 Мерперт Н. Я., Ранние скотоводы Восточной Европы и судьбы древнейших цивилизаций, 1980, стр. 83.

8 ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1991.

ამიერკავკასიაში, თავისი ბუნებრივი პირობების და რელიეფის თავისებურების გამო, სხვადასხვა რეგიონში მეურნეობის ხასიათში განსხვავებული ვითარება შეიქმნა. ზოგან, უპირატესად, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში, ჩანს, ამ დროს მეურნეობა უფრო მეტად მიწათმოქმედების მიმართულებით ვითარდებოდა და მოსახლეობაც მყარად იყო მიჯაჭვული მიწას. ამიტომაცაა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის აქაური ნამოსახლარები შედარებით უფრო მოზრდილია, ძლიერი კულტურული ფენებით ხასიათდება, რითაც სამხრეთის ძეგლებს მოგვაგონებს.

როგორც ჩანს, ამ კულტურის გვიანდელ საფეხურზე თანდათანობით იზრდება მესაქონლეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის, როლი. მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ტყის ინტენსიურ განადგურებას შედეგად თანდათანობით კლიმატის ერთგვარი გამშრალება მოჰყვა. ურწყავი მიწათმოქმედება ბარში სულ უფრო და უფრო აფერხებს მეურნეობის ამ დარგის განვითარებას.[1] შექმნილმა მდგომარეობამ ძირფესვიანად შეარყია არსებული მეურნეობრივი სისტემა. კრიზისულმა ვითარებამ აიძულა მოსახლეობა სხვა, ახალ გზას დადგომოდა, რომელიც უკვე საგრძნობლად სცილდება განვითარების სამხრეთულ მიმართულებას და უფრო მეტ საერთოს ჩრდილოეთით მოსახლე ტომების ტრადიციებთან ნახულობს. საბოლოოდ დაირღვა თითქმის „პროტოცივილიზაციის“ დონემდე მიახლოებული საზოგადოების განვითარების გზა. ჩრდილოეთიდან წამოსულმა იმპულსებმა უთუოდ დააჩქარა ეს პროცესი. იქაურ ტრადიციებზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ განაპირობა ახალი გზის არჩევანი. ამიტომ, მთლად მართებული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ ადრეყორღანების შემქმნელი საზოგადოება მტკვარ-არაქსის კულტურის უშუალო მემკვიდრე იყო[2] და ამ კულტურის ფინალური ხანის ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალების საფუძველზე თითქოს შეიძლება ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკური ცხოვრების აღდგენა.

როგორც ჩანს, სადაც კი მომთაბარე-მეჯოგე ტომები იწყებენ გამოჩენას, თითქმის ყველგან თავისი ცხოვრების წესს ამკვიდრებენ. იქაც კი, სადაც საზოგადოება თითქმის ცივილიზაციის ზღურბლამდე იყო მისული, მათი გამოჩენით შეფერხდა ამ ზღვრის გადალახვა. ჩვენშიც ამ ტომების მიერ დანერგილი წესი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მომდევნო, თრიალეთის კულტურაში, საზოგადოების განვითარება იმავე მიმართულებით გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ თრიალეთის კულტურის ხანაში იზრდება კავშირი სამხრეთის ქვეყნებთან და კულტურა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწვეს, საზოგადოებამ ვერც აქ შეძლო ცივილიზაციის ზღურბლის გადალახვა და იგი ისევ პირველყოფილი-თემური წყობილების საფეხურზე დარჩა.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, აღმოჩენილ მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთ ნამოსახლარზე კარგად შეინიშნება ადრეყორღანულ კულტურასთან თანაარსებობის კვალი. ეს ნათლად გამოჩნდა თიანეთის რაიონში, სოფ. ბადაანთან გათხრილ მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ ნამოსახლარზე. აქ, მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკასთან ერთად, წარმოდგენილია ადრეყორღანული კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმი, განსაკუთრებით

---

1 კიკვიძე ი., მიწათმოქმედება და მიწათმოქმედების კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976, გვ. 50.

2 მინდიაშვილი გ., ადრეული ყორღანები სამხრეთ საქართველოში, ავტორეფერატი, თბილისი, 1993, გვ. 9.

მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭელი.[1] აღსანიშნავია, რომ ადრეულ ყორღანებში მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა თითქოს დამოწმებული არ არის. ეს იმას ხომ არ მოწმობს, რომ თანაარსებობა მტკვარ-არაქსთან ყორღანული კულტურის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე გრძელდებოდა. ხაშურის რაიონში, სოფ. ნაცარგორასთან შესწავლილი ნამოსახლარის ზედა ფენებში ერთად აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის და ბედენური კულტურებისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი.[2] როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის უკიდურეს დასავლეთით გავრცელების რეგიონში ეს ურთიერთობა ბედენის კულტურის ხანაშიაც გაგრძელებულა. აღსანიშნავია, რომ ბერიკლდეებზე ამ კულტურების თანაარსებობა არ შეიმჩნევა.[3]

მართალია, ზოგიერთ რეგიონში დროის გარკვეულ მონაკვეთში მტკვარ-არაქსის და ადრეყორღანული კულტურები თანაარსებობენ, მაგრამ, ჩანს, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ეტყობა, ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომები ვერ შეეგუენ ცხოვრების არსებულ წესს. მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოო დაცემის შემდეგ მათ ნამოსახლარებზე ცხოვრება საერთოდ ქრება და, ჩანს, ადრეყორღანულ ხანაში აღარ გაგრძელებულა. სადღეისოდ არ არის ცნობილი ნამოსახლარი, რომელზეც მხოლოდ ადრეყორღანული კულტურა ყოფილიყო ასახული. ამიტომ, მთლად მართებული არაა მოსაზრება, რომ თითქოს ადრეყორღანების თანადროული ნამოსახლარები უკვე დადასტურებულია და მნიშვნელოვანწილად შესწავლილი.[4] ყველა ეს ნამოსახლარი მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური სტადიისაა და ამ კულტურის არსებობის შეწყვეტის შემდეგ აქ ცხოვრების კვალი აღარ შეინიშნება. რა იყო მიზეზი ამისა, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ მთავარი ის იყო, ალბათ, რომ ადრეყორღანული კულტურის მატარებელ ტომები ვერ შეეგუენ მეურნეობის არსებულ სისტემას. მათი მტკვარ-არაქსის კულტურის სამეურნეო ტრადიციების გამგრძელებლებად მიჩნევა მთლად დამაჯერებელი არ არის. პირიქით, ისე ჩანს, თითქოს იცვლება ცხოვრების არსებული ტრადიცია და მეურნეობის ხასიათი. საზოგადოება ცხოვრების სრულიად განსხვავებულ, ახალ გზას ადგება. ის, რომ ამ დროის ნამოსახლარები თითქმის არ გვხვდება, მეურნეობაში ალბათ ძირითადად მეცხოველეობის როლის გაზრდასთან იყო დაკავშირებული და მოსახლეობის ცხოვრების უფრო მობილურ, მოძრავ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს.

საინტერესოა ანთროპოლოგიური მონაცემები, მიღებული სომხეთში შესწავლილ მეიდნარის სამაროვნიდან, სადაც გვიანმტკვარ-არაქსული პერიოდის ერთ-ერთ სამარხში 10 თავის ქალა აღმოჩნდა.[5] მთელ სერიაში კარგად გამოირჩევა ინდოევროპული რასის როგორც ჩრდილოური, ისე სამხრეთული შტოსათვის დამახასიათებე-

---

1 Мирцхулава Г. И., Мирцхулава Н. Д., Археологическая экспедиция Иорского ущелья, Полевые археологические исследования в 1983 году, Тбилиси, 1986, табл. V, 2, стр. 30.

2 Рамишвили А. Т., Раскопки в хашурском районе в 1984-1986 гг., Полевые археологические исследования в 1986 г., Тбилиси, 1991, табл. 43-46, стр. 23.

3 Глонти Л. И., Джавахишвили А. И., Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита-поздней бронзы и Шида Картли – Бериклдееби, КСИЛ, 192, М., 1987, стр. 82.

4 მინდიაშვილი გ., ადრეული ყორღანები სამხრეთ საქართველოში, ავტორეფერატი, თბილისი, 1993, გვ. 18.

5 Алексеев В. П., Мкртчян Р. А., Палеоантропологические материалы из куро-аракских погребений в Армении и вопросы генезиса населения куро-аракской культуры раннебронзового века, Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского Нагорья и сопредельных областей, Ереван, 1990, стр. 22.

ლი თავისებურებები.[1] მტკვარ-არაქსის პოპულაციები უახლოვდებიან წინააზიურს, მაგრამ, ამავე დროს, მათში კარგად ჩანს ძველი ორმოსამარხების პოპულაციის ნიშნებიც.[2] ამიტომ, როგორც აღნიშნავენ, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ზონა შეიძლება მივიჩნიოთ გარდამავლად ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რომელშიც გამოვლინდა როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ევროპეიდების ნიშნები.[3]

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის ხასიათში ეს ახალი მოვლენები ნაკლებად აისახა. ადრეყორღანული კულტურა ძირითადად ადგილობრივ ტრადიციებზე ჩანს დაფუძნებული. თუ დაკრძალვის წესი მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ჩანს, მათ, ძირითადად, ადგილობრივი კულტურა აითვისეს. მესაქონლე ტომებს შედარებით ადვილად გადააქვთ უფრო მაღალი კულტურის ტრადიციები.[4] მათ გავრცელებას მატერიალურ კულტურაში მაინცდამაინც დიდი ცვლილებები არ მოჰყოლია. შესაძლოა, რიცხობრივად ახალმოსულები არცთუ ისე ბევრნი იყვნენ და შედარებით სწრაფად აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, მაგრამ დასაფლავების თავიანთ წესს ამკვიდრებენ, რომელიც ამ კულტურის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ხდება. ჩანს, რომ ახალი ეთნიკური ელემენტის გამოჩენამ გარკვეულად დააჩქარა წინამორბედი, მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოო დაცემა, რომელმაც თავი ვერ დააღწია მეურნეობაში შექმნილ კრიზისულ ვითარებას.

ადრეყორღანული კულტურის ხანაში, უპირატესად, დიდი და საშუალო ზომის ყორღანები გვხვდება; მომცრო ზომის ამ ტიპის სამარხი შედარებით იშვიათია. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ისინი უფრო მაღალი ფენის წარმომადგენელთა სამარხები იყო; ეგებ, უპირატესად საზოგადოების იმ წევრებისა, რომლებიც ჩრდილოეთიდან იყვნენ გადმონაცვლებულნი. ესენი, ჩანს, აქ დაწინაურებულ მდგომარეობას აღწევენ და დაიმარხნენ მათთვის დამახასიათებელი დაკრძალვის რიტუალით. ადრეყორღანული კულტურის ხანაში ბელადი წამყვან ადგილს იკავებს საზოგადოებაში, ეს კი პირველყოფილი საზოგადოების განვითარების უკვე საკმაოდ მაღალი საფეხურის მაჩვენებელი იყო. როგორც ფიქრობენ, ყორღანის აგებაში შესაძლოა ჩადებულია იგივე იდეა – სამარხის თავზე მონუმენტური ნაგებობის აღმართვა, რომელმაც სხვადასხვა მხარეში თავისებური ასახვა პოვა – ეგვიპტეში პირამიდების, ევროპაში მეგალითური ძეგლების და სხვ. სახით.[5] ადრეული დიდი ყორღანები საკმაოდ რთული და შრომატევადი ნაგებობა იყო და, მიწის სამუშაოების გარდა, ზოგჯერ აქ საკმაოდ მოზრდილი ქვისა ან ხის კონსტრუქციები იგებოდა. საჭირო მასალასაც ხანდახან საკმაოდ დაცილებული ადგილიდან ეზიდებოდნენ, ალბათ, გამწევი ძალის გამოყენებით.[6] ყორღანის აგება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და ალბათ რამდენიმე წელს გრძელდებოდა. ამ სამუშაოში, ჩანს, საკმაოდ დიდი კოლექტივი იყო ჩაბმული.

---

1 Алексеев В. П., Мкртчян Р. А., Палеоантропологические материалы из куро-аракских погребений в Армении и вопросы генезиса населения куро-аракской культуры раннебронзового века, Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского Нагорья и сопредельных областей, Ереван, 1990, стр. 29.

2 იქვე, გვ. 31.

3 იქვე.

4 Мерперт Н. Я., Древнеямная культурно-историческая область и вопросы формирования культур шнуровой керамики, Восточная Европа в эпоху камня и бронзы, М., 1976, стр. 126.

5 Формозов А. А., Памятники первобытного искусства, М., 1966, стр. 88.

6 Иессен А. А., Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, Труды Азербайджанской экспедиции, МИА, 125, М.,-Л., 1965, стр. 188.

აზერბაიჯანში, მილის სტეპში, გათხრილ უჩ-თეფეს მოზრდილი ყორღანის შესახებ გამოითქვა მოსაზრება, რომ მის ასაგებად უნდა დახარჯულიყო დაახლოებით 21.000 კაც-დღე.[1] ამ მძიმე და ხანგრძლივი სამუშაოს ჩატარება მეტ-ნაკლებად დამჯდარი ცხოვრების გარეშე ალბათ შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ სად და როგორ უნდა ეცხოვრა ხალხს, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოში ადრეული ყორღანების კულტურა დაგვიტოვა, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. როგორი იყო იმ დროს სოფელი, სად მდებარეობდა, როგორი იყო მისი დაგეგმარება, სამშენებლო საქმე და არქიტექტურა, ახლა ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა. მაგრამ, ამ დროს რომ კარგად ფლობდნენ საინჟინრო-სამშენებლო საქმეს, მოწმობს დიდებულთა სამარხები, აქ დამოწმებული ხის ან ქვისაგან ნაგები დასაკრძალავი შენობა. როგორც ჩანს, სამარხის აგებას უფრო მეტ დროსა და ძალას ახმარდნენ, ვიდრე საცხოვრებელ კომპლექსის მშენებლობას. საფიქრებელია, რომ საცხოვრებელი, უპირატესად, ხისაგან იგებოდა. ქვასა და თიხას, ჩანს, ამ საქმისათვის ნაკლებად იყენებდნენ. დასაკრძალავი კამერა ალბათ საცხოვრებელ სახლის წაბაძვით იყო ნაშენი. ხისაგან ნაგებმა შენობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია და ამანაც გაართულა ალბათ იმ დროის სოფლის, საცხოვრებელი ადგილს დადგენა.

რა თქმა უნდა, მარტო სამარხებიდან მიღებული ცნობებით ძნელია საზოგადოების ცხოვრების სრული სურათის წარმოდგენა. თუმცა ზოგიერთ კულტურაში სწორედ სამარხებიდან მომდინარე მასალებით ხდება შესაძლებელი მეტ-ნაკლები სიზუსტით საზოგადოების განვითარების უძველესი პერიოდის აღდგენა.[2] ადრეულ ყორღანების ხანაში საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის პროცესი განსაკუთრებით კარგად სამარხეულ ძეგლებში აისახა. წინარე ხანაში, მტკვარ-არაქსის კულტურაში საზოგადოების შიგნით დიფერენციაცია ჯერ კიდევ მკვეთრად გამოსახული არ უნდა ყოფილიყო.[3] ამ დროის ნამოსახლარებზე განსხვავებული, უფრო მოზრდილი შენობები, ცალკე შეძლებულთა უბნების არსებობა არ შეინიშნება. აქ არ გვხვდება ტაძრის ტიპის ნაგებობა და თითქმის ყველა შენობა ერთნაირი სტანდარტითაა ნაგები. არც მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხეულ ძეგლებში შეიმჩნევა რაიმე მკვეთრი სხვაობა, რაც საგრძნობი სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის მანიშნებელი იყო. ამ პერიოდში დაშლის პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამიტომ მთლად მართებული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ ამ დროის საზოგადოებაში უთანასწორობის პროცესი უკვე შორს წასული იყო, თითქმის ადრეკლასობრივ დონემდე მისული.[4] ყორღანული კულტურის გამოჩენის ხანაში, როდესაც იგი ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურასთან ერთად თანაარსებობს, ყორღანებში, როგორც ჩანს, ძირითადად ასახული უნდა იყოს პიროვნების სოციალური რანგი. ქონებრივი სხვაობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის

---

7 Хаханов А., Древние пределы расселения грузин по Малой Азии, Москва. 1890, с.23.

8 Сванидзе А., Материалы по истории алародийских племен, Тб., 1937. с. 125.

9 იქვე, გვ. 27, 125

10 Goetze A., Kleinasien, München, 1957, გვ. 34.

11 გორდეზიანი ლ., B-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO ძველი სამყაროს სოციალური ისტორიის კონტექსტში, თბ., 1996, გვ. 143; გორდეზიანი ლ., ტროას ომის თარიღისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 2001, გვ. 32.

12 Сванидзе А., Материалы по истории алародийских племен, Тб., 1937. с. 182; Гордезиани Р. В., Проблемы гомеровского эпоса. Тб., 1978, с. 198.

ინგრევა უცხო ძალის შემოსევის შედეგად. ალბათ, სწორედ ეს ეპიზოდი უკვდავყო ჰომეროსმა თავის პოემაში,[1] ოღონდ, თუ ჰომეროსი მართლაც ნამდვილ ამბავს გადმოგვცემს, ცოტა არ იყოს ეჭვს იწვევს ქართველ ტომთა ტროას ომში მონაწილეობა. ეს ტომები, სხვებთან ერთად, მართლაც რომ გადმოსახლებულიყვნენ ეგეოსური სამყაროდან, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, მაშინ შეიძლება კიდევ გვევარაუდა ბერძნეთა წინააღმდეგ ტროელთა მხარეს მათი მონაწილეობა. მაგრამ, ძველ წერილობით ძეგლებში შემონახული რამდენიმე ცნობის საფუძველზე, ქართველ ტომთა წინა საცხოვრისის ეგეოსის ზღვის აუზში არსებობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაკლებ სარწმუნო ჩანს. მართალია, ის აზრიც გამოითქვა, რომ ხალიბების ადრინდელი ადგილსამყოფელი მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა და ისინი აქედან უნდა მოსულიყვნენ ტროადელთა დასახმარებლად. მაგრამ ხალიბების მცირე აზიაში თავდაპირველი საცხოვრისის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძველ ავტორებთან ხალიბების პირველსაცხოვრისის შესახებ ერთი გარკვეული აზრი არ არსებობდა და არც ის იყო ყოველთვის მთლად ნათელი, თუ ვინ იყვნენ „ხომალდთა კატალოგში“ ჩამოთვლილი ხალხები, კერძოდ, ჰალიძონები შორეული ალიბიდან, სადაც იყო მათი ქვეყანა.[2] ზოგის ვარაუდით, ხალიბებს ვრცელი ტერიტორია ეკავათ მდ. თერმოდონტის გაცილებით სამხრეთით. ისინი მდ. ჰალისის ორივე მხარეს ცხოვრობდნენ და შორს, დასავლეთით ვრცელდებოდნენ.[3] ამის საფუძველს თითქოს ძველ ავტორებთან შემონახული ცნობები გვაწვდის, კერძოდ, ლიკიფრონე აღნიშნავს, რომ ხალიბები პაფლაგონიის ხალხია, რომლებმაც პირველებმა მოიპოვეს რკინა. პონპონიუს მელას ცნობით კი ხალიბები ჰალისის ორივე მხარის მკვიდრნი არიან.[4] იგი იმასაც აღნიშნავს, რომ სინოპი და ამისი ხალიბების მიწა-წყალზე მდებარეობდნენ .[5] შეინიშნა კიდეც, რომ მისი ეს ცნობა სრული გაუგებრობაა.[6] არაერთხელ აღინიშნა, რომ ქართველი ტომები ჰალისის აუზსა და მის დასავლეთით ცხოვრობდნენ.[7] ისიც კი ითქვა, რომ ისტორიის მანძილზე კაპადოკიის მოსახლეობის ძირითადი, წამყვანი ნაწილი ქართველი და მისი მონათესავე ტომები იყვნენ, რომლებიც, არსებითად, წარმართავდნენ ამ მხარის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.[8] ის, რომ „ტროადელთა კატალოგში“ ჰალიძონები პაფლაგონიის შემდეგ მოიხსენებიან და, აგრეთვე, ზოგი ძველი წყაროს ცნობის საფუძველზე, ხალიბთა ტომის ჰალისის დასავლეთით გავრცელების აზრი მართებულად იყო მიჩნეული.[9] ისინი უზარმაზარ ტერიტორიაზე ვრცელდებოდნენ და ხეთური სამეფოს ფარგლებში შედიოდნენ.[10] მაგრამ, ხეთურ ხანაში ხალიბი ტომე-

---

1 Goetze A., Kleinasien, München, 1957, გვ. 182.

2 მელიქიშვილი გ., ძიებანი საქართველოს, კავკასიის და ახლო აღმოსავლური ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 98.

3 გოზალიშვილი გ., მთრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ. 40, 44.

4 სანიკიძე ლ., ხალიბთა ადგილსაცხოვრისის საკითხისათვის, საქ. მეც. აკადემიის მოამბე, ტ. XVII, 6, 1956, გვ. 573.

5 Максимова М. И., Античные города Юго-Восточного Причерноморья, М. Л., 1956, с.28.

6 იქვე.

7 გორდეზიანი რ., „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიის და გენეზისის საკითხები, თბ., 1970, გვ. 107; Сванидзе А., Материалы по истории алародийских племен, Тб., 1937. с. 125; Хаханов А., Древние пределы расселения грузин по Малой Азии, Москва. 1890, с. 57.

8 გოზალიმვილი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ.80, 85.

9 მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 119.

10 იქვე, გვ. 123.

ბის ჰალისის აუზში ცხოვრების ვარაუდი საფუძველს მოკლებული უნდა იყოს. ნიშანდობლივია, რომ ხეთური წერილობითი ძეგლები დუმან მათი აქ ცხოვრების შესახებ. ხალიბებს რომ ხეთების სამფლობელოს საზღვრებში ეცხოვრათ და, საერთოდ, ამ სახელმწიფოსთან რაიმე არსებითი ხასიათის შეხება ჰქონოდათ, წერილობითი წყაროები უთუოდ შემოგვინახავდნენ ამ ცნობას. თუმცა აღინიშნა, რომ ხეთურ ტექსტებში მითითებული მდინარე Hulaijaš-ს ქვეყანა შეიძლება ხალიბების მიწა-წყალს დავუკავშიროთ.[1] ერთ-ერთ დოკუმენტში მოხსენიებულ Haliwa-ში შეიძლება ხალიბთა ქვეყანა ვიგულისხმოთ.[2] მაგრამ მათი ხალიბებთან დაკავშირება მთლად გამართლებული არ უნდა იყოს.[3] ვარაუდობენ, რომ თუთხალია IV ქრონიკაში მოხსენიებულ Halluwa-ს ქვეყანაში შესაძლოა ჰალიძონები იგულისხმება.[4]

ძველი ლიტერატურული ტრადიციით, ხალიბები, უპირატესად, იხსენიებიან როგორც რკინის მეტალურგიით დასაქმებული ტომები. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბერძენი ავტორები ხალიბებში ერთ რომელიმე კონკრეტულ ტომს კი არ გულისხმობენ, არამედ მცირე აზიის სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას, რომელიც რკინის მოპოვებასა და დამუშავებასთან იყო დაკავშირებული.[5] ზოგი ეჭვობს, საერთოდ, არსებობდნენ თუ არა ხალიბები რეალურად.[6] ხალიბი ცალკე სატომო სახელი კი არ იყო, არამედ რკინის დამუშავებასთან დაკავშირებულ პროფესიას აღნიშნავდა.[7] მაგრამ ამ დაეჭვებისათვის თითქოს საფუძველი არ არსებობს და ხალიბები ერთ-ერთი უძველესი მოსახლეობა იყო, რომლის ძირითადი ადგილსამყოფელი ლოკალიზებული უნდა ყოფილიყო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. სწორედ აქ გულისხმობს ანტიკურ ავტორთა უმრავლესობა მათ საცხოვრისს.[8] ხალიბთა ქვეყანაში, ფართოდ გავრცელებული აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულში უნდა ჩასახულიყო რკინის წარმოების ტრადიცია.[9] დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ რკინის დამამუშავებელ სახელოსნოებში ნაპოვნი მასალების საფუძველზე, ისიც კი აღინიშნა, რომ უადრესი მათგანი თითქოს უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს მიეკუთვნება, გვიანები კი ანტიკური ხანისა უნდა ყოფილიყო.[10] შესაძლოა, ამ ძეგლების ადრეული თარიღი რამდენადმე გადაჭარბებულია, მაგრამ ერთი რამ თითქოს ცხადი უნდა იყოს – რკინის მოპოვება და დამუშავება აქ უკვე საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა. ანტიკურ მწერალთა უმრავლესობა ხალიბთა ძირითად ადგილსამყოფელს ამ რეგიონიდან რამდენადმე უფრო სამხრეთით მიიჩნევს. ხალიბების შორს, დასავლეთით, ჰალისის

---

1 მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 120.

2 იქვე, გვ. 122.

3 გორდეზიანი რ., „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიის და გენეზისის საკითხები, თბ., 1970, გვ. 167.

4 იქვე; Гордезиани Р. В., Проблемы гомеровского эпоса. Тб., 1978, с. 198.

5 Максимова М. И., Античные города Юго-Восточного Причерноморья, М. Л., 1956, с. 27.

6 Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 71; მელიქიშვილი გ., ძიებანი საქართველოს, კავკასიის და ახლო აღმოსავლური ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 117.

7 Сванидзе А., Материалы по истории алародийских племен, Тб., 1937. с. 151.

8 Максимова М. И., Античные города Юго-Восточного Причерноморья, М. Л., 1956, с.27.

9 იქვე, გვ. 27, 161.

10 Хахутайшвили Д. А., Производство железа в древней Колхиде, Тб., 1987. с. 212.

მარცხენა სანაპიროზე გავრცელების უსაფუძვლობა კარგადაა ნაჩვენები ზოგიერთი მკვლევრის ნაშრომებში .[1]

ანატოლიის ცენტრალური ნაწილი, კაპადოკია მიმდგომი მხარეებით ხეთების ძირითადი ადგილსამყოფელი იყო.[2] ამიტომ, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ხეთების სამეფოს ხანაში აქ წამყვანი ადგილი ქართველ და მათ მონათესავე ტომებს სჭეროდათ.[3] არც ის ჩანს მთლად დამაჯერებელი, რომ ხეთურ ხანაში ხალიბთა ტომები უზარმაზარ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი და ხეთების სამეფოში შედიოდნენ.[4] ხეთების ახალი სამეფოს პერიოდი ის დროა, როცა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურა ჩამოყალიბდა, რომლის ფორმირებაში ძირითადად ყველა კოლხი ტომი მონაწილეობდა. ამ კულტურის გავლენის ქვეშ ექცევა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საკმაოდ მოზრდილი მიწა-წყალი, რომლის სამხრეთი საზღვარი ანტიკური ხანის კოტიორამდე (დღევანდელი ორდუ) აღწევდა.[5] ჩანს, კოლხი ტომების ძირითადი ადგილსამყოფელი მთელი კოლხეთი, მიმდგომი მხარეებით, კოლხური კულტურის გავრცელების არეალი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ხალიბთა ტომის ძირითადი საცხოვრისი ამ კულტურის გავრცელების ფარგლებში შედიოდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უფრო სამხრეთ რეგიონს მოიცავდა.[6] ამ დროისათვის კოლხი ტომების უფრო შორს, დასავლეთით გავრცელება ნაკლებად სავარაუდოა. ეს პერიოდი ცენტრალურ ანატოლიაში ხეთების ახალი სამეფოს აღზევების დროა. ამიტომ, ტროას ომის ხანაში, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა,[7] ქართველი ტომების, კერძოდ, ხალიბების შორს, დასავლეთით გავრცელება ნაკლებ მოსალოდნელია. შესაძლოა, რამდენადმე გვიან, ანტიკურ ხანაში, ზოგი ტომი უფრო სამხრეთით ვრცელდებოდა, მაგრამ კოლხური კულტურის დროს ეს ვარაუდი თითქოს საეჭვო უნდა იყოს.

სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი კოლხური კულტურის ჩამოყალიბების ძირითადი რეგიონი უნდა ყოფილიყო.[8] აქ ამ დროს მძლავრად მოქმედებს ჭოროხის მეტალურგიული ცენტრი. უფრო გვიან ამ მხარეში რკინის წარმოება წინაურდება.[9] შესაძლოა, რომ მეტალურგიის დაწინაურება იმ კოლხი ტომების დამსახურება იყო, რომ-

---

1 Максимова М. И., Античные города Юго-Восточного Причерноморья, М. Л., 1956, с.28; Ломоури Н. Ю., К истории Понтийского царства, Тб., 1979, с. 135.

2 Goetze A., Kleinasien, München, 1957, გვ. 178.

3 გოზალიმვილი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ. 40, 80, 85.

4 მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ.123.

5 Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. Вестник Гос. музея Грузии, 1944, с. 135; ჯაფარიძე ო., დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, 1, თბ., 1982, გვ. 67.

6 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Известия ГАИМК, вып. 120, М.-Л., 1935, с. 200.

7 Гордезиани Р. В., Проблемы гомеровского эпоса. Тб., 1978, с. 169; გორდეზიანი ლ., B-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO ძველი სამყაროს სოციალური ისტორიის კონტექსტში, თბ., 1999, გვ. 143; გორდეზიანი ლ., ტროას ომის თარიღისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 2001, გვ. 32.

8 ჯაფარიძე ო., დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, 1, თბ., 1982, გვ. 67.

9 Хахутайшвили Д. А., Производство железа в древней Колхиде, Тб., 1987. с. 218.

ლებსაც არაერთგზის იხსენიებენ ძველი მწერლები, როგორც ლითონის დამუშავების გამოცდილ ოსტატებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ავტორები თითქმის არავითარ ცნობას არ გვაწვდიან საკუთრივ კოლხეთში ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების შესახებ.[1] კოლხეთის სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები მოწმობს, რომ ამ დროს აქ სპილენძის მოპოვება, ბრინჯაოს მეტალურგია, შემდეგ კი რკინის წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, კოლხური კულტურის აყვავების ხანაში, კოლხი ტომების გაერთიანების, კონსოლიდაციის პროცესი მიმდინარეობს, რაც კარგად აისახა კულტურის ერთიან ხასიათში. ამ დროს აქ მოსახლეობის საკმაოდ მძლავრი ერთობა ჩამოყალიბდა, რომელიც საიმედოდ აღუდგა წინ უცხო ძალის არაერთი აგრესიის ცდას. კოლხეთში თანდათანობით სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის საფუძველი იქმნება. ასეთი ვითარება იყო კოლხეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მიმდგომი მხარეებით, სანამ ანტიკურ მწერლობაში პირველი ცნობები გაჩნდებოდა აქ მოსახლე ტომების შესახებ.

ბერძენ ავტორთა თვალით დანახული კოლხეთი საკმაოდ მრავალი ტომის ადვილსამყოფელი იყო, რომელთაგან ზოგი საკმაოდ დაბალ საფეხურზე მდგარა. მათში ჯერ კიდევ შერჩენილი ყოფილა უზნეო წეს-ჩვეულებები. შესაძლოა, კოლხეთის ზოგიერთ განაპირა რეგიონში მართლაც შემოინახა გადმონაშთის სახით ზოგი ძველი ადათ-წესი, რასაც არაერთი ავტორი აღნიშნავს. შესაძლოა ისიც, რომ ბერძენი ავტორები, ცოტა არ იყოს, ამუქებენ ბარბაროს ტომთა ცხოვრების წესს, მათ ზნე-ჩვეულებას. ყოველ შემთხვევაში, ტროას ომის დროს და მერეც, ანტიკურ ხანაში, როგორც ამას არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, კოლხეთი კულტურულად საკმაოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყო. ძვ.წ. II თასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხას საკმაოდ მოზრდილი გაერთიანება უნდა არსებულიყო.[2] ჩანს, იგი უკვე გარკვეულ როლს ასრულებდა სამხრეთით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, რაც აისახა კიდეც იმ დროის ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში.

და მაინც, მონაწილეობდნენ თუ არა ქართველი ტომები ტროას ომში? თუ დავუჯერებთ ზოგიერთ ანტიკურ ავტორს, აქ საეჭვო თითქოს არაფერია. მაგრამ, ბერძენრომაელ მწერლებს მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში მიმდინარე მოვლენებისაგან საკმაოდ დიდი დრო აშორებთ. ამიტომ მათი მონათხრობის მიმართ მაინც გარკვეული სიფრთხილეა საჭირო. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქართველი ტომების, კერძოდ, ხალიბების ეგეოსური სამყაროდან აღმოსავლეთით გადმონაცვლებას თითქოს საფუძველი არ ეძებნება. არც მათი ჰალისის იქით, შორს, დასავლეთით გავრცელება უნდა იყოს მთლად მართებული. ხალიბების ძირითადი საცხოვრისი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უნდა ყოფილიყო ლოკალიზებული. ტროას ომში მოწაწილეობის შემთხვევაში მათი მარშრუტი დასავლეთით ან ზღვით, ან ხმელეთით უნდა განხორციელებულიყო. ხმელეთით გადაადგილებისას ხალიბებს საკმაოდ რთულ და მძიმე პირობებში მოუხდებოდათ მოძრაობა – შორი მანძილი, ძნელად გადასალახავი რთული რელიეფი და ხეთების ახალი სამეფოს ტერიტორიაზე გავლა, რაც, ალბათ, არცთუ იოლი დასაძლევი უნდა ყოფილიყო. არც ზღვით მარშრუტი იქნებოდა

---

1 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Известия ГАИМК. вып. 120, М.-Л., 1935, с. 202.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 39.

მაინცდამაინც ადვილად გასავლელი, თუნდაც გზის სიშორის გამო, თანაც ხალიბები ზღვაოსნებად არ მოიხსენიებიან. სამხედრო კავშირი, ალბათ, ჯერ კიდევ ტროას ომის უშუალოდ დაწყების წინ უნდა შემდგარიყო, თორემ შემდეგ ქალაქი ათი წლის მანძილზე უკვე ალყაშემორტყმული იყო. ზოგი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის დასავლეთ ანატოლიაში უნდა შექმნილიყო აშუვას ქვეყნის საკმაოდ ძლიერი კოალიცია, რომელშიაც ჰალიძონებიც შედიოდნენ.[1] აშუვას სიაში მოხსენიებული ჰალუვაში რომ მაინცდამაინც ჰალიძონები იგულისხმებიან, თითქოს ნაკლებდამაჯერებელი უნდა იყოს. ამ შემთხვევაშიც, სხვა რომ არა იყოს რა, ხმელეთის მარშრუტი საკმაოდ ძნელი დასაძლევი იქნებოდა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ტომები საერთოდ არ იხსენიებიან ხეთურ ლურსმულ წერილობით წყაროებში. უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ ხეთურ ტექსტებში არსად არ აღინიშნება ხეთების მონაწილეობა ტროას ომში და არც ამ ომის ამბავია გადმოცემული.[2] ხეთების საგარეო პოლიტიკა, უმთავრესად, მიმართული იყო სამხრეთით ჩრდილო სირიის, ხოლო აღმოსავლეთით – ხური-მითანის სამეფოსაკენ.[3] დასავლეთთან ურთიერთობა, უპირატესად, ახალი დროიდან, სუფილულიუმას ხანიდან შეინიშნება.[4] ამის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ამ დროისათვის საგრძნობლად შეფერხდა კალის შემოტანა აღმოსავლეთიდან. საერთოდ, ასურული სავაჭრო კოლონიების დარბევამ, შემდეგ კი ასურეთის დაწინაურებამ მნიშვნელოვნად შეანელა აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა კალის შემოზიდვასთან დაკავშირებით, რომელიც ძველ სამყაროში ვაჭრობის ძირითადი საგანი იყო. ხეთების ახალი სამეფოს აღზევების ხანაში, სუფილულიუმას დროიდან, სულ უფრო იზრდება ინტერესი დასავლეთის სავაჭრო გზის მიმართ, საიდანაც ეს ძვირფასი ლითონი ევროპიდან, ბოჰემიის წყაროდან უნდა შემოეტანათ.[5] ამიტომაც, ხეთის ქვეყანა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ გაეძლიერებინა კონტროლი დასავლეთის გზის მიმართულებით.[6] აქ მთავარ დაბრკოლებას არცავა წარმოადგენდა, რომელსაც იგივე ინტერესები ამოძრავებდა ამ გზის მეთვალყურეობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ამ დროს საგრძნობლად იზრდება მოთხოვნილება ბოჰემიის კალაზე. როგორც ჩანს, კალის ნაკლებობა არ იგრძნობა და მას ფართოდ იყენებენ ბრინჯაოს იარაღის დასამზადებლად.[7] ხეთის სამეფოს მმართველები ცდილობენ კეთილი ურთიერთობის დამყარებას ახაიავას ქვეყანასთან, რომელიც ორი კონტინენტის – ევროპის და აზიის – შესაყარზე მდებარეობდა.[8] როგორც ვარაუდობენ, დასავლეთ ანატოლიასთან ერთად, მას ფეხი მოკიდებული ჰქონდა მარმარილოს ზღვის

---

1 Гордезиани Р. В. , Проблемы гомеровского эпоса. Тб., 1978, с. 189.

2 იქვე, გვ. 191.

3 გიორგაძე გ., ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1999, გვ. 44; E. und Klengel, Die Hethiter und ihre Nachbarn, Leipzig, 1968. გვ. 182; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 219.

4 ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 228.

5 Mellaart J., Anatolian Trade wiht Europa and Anatolian Geography and Culture Provinces in the Late Bronze Age, Anatolian Studies XVIII, 1968, გვ. 191; Маккуин Дж. Г., Хетты и их современники в Малой Азии, М., 1983, с. 38.

6 Mellaart J., Anatolian Trade wiht Europa and Anatolian Geography, and Culture Provinces in the Late Bronze Age, Anatolian Studies XVIII, 1968, gv. 190.

7 იქვე, გვ. 191.

8 იქვე, გვ. 193; Маккуин Дж. Г., Хетты и их современники в Малой Азии, М., 1983, с. 38.

სანაპიროზე ევროპაშიც.[1] ხეთებისათვის ხმელეთის ეს გზა იყო მთავარი, თორემ შავ ზღვაზე გასასვლელი მათ ქაშქებმა გადაუკეტეს.[2] დასავლეთის სავაჭრო გზაზე კონტროლს, როგორც ჩანს, ახაიავა ახორციელებდა. ისიც კი აღინიშნა, რომ ჰისარლიკი (ტროა) ახაიავას მეფეთა ციტადელი უნდა ყოფილიყო.[3] ცხადია, ახაიავას ქვეყანას და ხეთების სამეფოს შორის რაიმე მნიშვნელოვანი ხასიათის უთანხმოება არ უნდა ყოფილიყო. ხეთების მმართველები, როგორც ჩანს, ახერხებდნენ მათთან სერიოზული კონფლიქტების თავიდან აცილებას და არც არასოდეს ულაშქრიათ ახაიავაზე .[4] ტროას ომის შემდეგ მალე ხეთების იმპერიაც წყვეტს თავის არსებობას.

---

1 Маккуин Дж. Г., Хетты и их современники в Малой Азии, М., 1983, с. 147; J. Mellaart, Anatolian Trade wiht Europa and Anatolian Geography and Culture Provinces in the Late Bronze Age, Anatolian Studies XVIII, 1968, გვ. 191; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 213.

2 Mellaart J., Anatolian Trade wiht Europa and Anatolian Geography and Culture Provinces in the Late Bronze Age, Anatolian Studies XVIII, 1968, გვ. 191.

3 იქვე.

4 იქვე. გვ. 192; Маккуин Дж. Г., Хетты и их современники в Малой Азии, М., 1983, с. 43.

ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის საკითხისათვის*

პირინეის ნახევარკუნძულზე და კავკასიაში მოსახლე უძველესი ტომების ურთიერთობის საკითხს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. დასავლეთ და აღმოსავლეთ იბერების დამოკიდებულების პრობლემა ჯერ კიდევ ანტიკურ ავტორთა ინტერესის სფეროს შეადგენდა და ყურადღება ამ საკითხისადმი არც მერე შენელებულა. ეს ალბათ თავის დროზე ძირითადად ტერმინ იბერის თანხვდენამ განაპირობა. თუმცა ის აზრიც არსებობს, რომ ტერმინ იბერიის დამთხვევა პირინეის ნახევარკუნძულსა და კავკასიაში შესაძლოა შემთხვევითი ყოფილიყო და ამის არაერთი მაგალითი არსებობს.[1] უკვე იმ შორეულ ეპოქაში სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა იბერების წარმომავლობის, პირინეისა და კავკასიის ზოგიერთი ხალხების მონათესაობის შესახებ.[2] ამის თაობაზე საყურადღებო ცნობას ვხვდებით აპიანეს (ახ. წ. II ს.) თხზულებაში, რომელიც მითრიდატეს ომების ისტორიას შეეხება. იგი აღნიშნავს, რომ აზიის იბერებს ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრებად, ზოგიც თანამოსახლეებად, სხვები კი მათ შორის საერთოს ვერ ხედავენ, რადგან არც ზნე და არც ენა მსგავსი არა აქვთ.[3] უფრო ის აზრი იყო გავრცელებული, რომ ორივე მხარის იბერები მონათესავენი არიან, ოღონდ მათი პირველსაცხოვრისის ლოკალიზაციის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობდა.[4] ზოგი იბერებს დასავლეთიდან გამოსულებად მიიჩნევდა, ზოგის აზრით ისინი აღმოსავლეთიდან, კავკასიიდან გადმოსახლებულან პირინეის ნახევარკუნძულზე. ზოგი მათ ჩრდილო აფრიკიდან, ლივიიდან მიგრაციას ვარაუდობს.[5] ისიც ითქვა, რომ ბასკები, რომლების ენა შესაძლოა კავკასიურისა და ქამიტურის ნარევი იყოს, ალბათ კავკასიიდან იყვნენ გადასახლებულები.[6]

ქართულ მწერლობაში ესპანელი ქართველები პირველად ბასილ კესარიელის ცნობილ თხზულებაში „ექუსთა დღეთაჲს“ ქართულ თარგმანში მოიხსენიებიან, რომელიც, ზოგის აზრით, VIII–IX საუკუნეებზე უფრო ადრე უნდა ყოფილიყო შესრულებული.[7] გიორგი მთაწმინდელის ნაწარმოებში მოთხრობილია იოანეს „ესპანეთის იბერიაში“ გამგზავრების სურვილის ამბავი. ჩანს, რომ ამ დროისათვის ქართველთა შორის უკვე საეჭვო არ უნდა ყოფილიყო ორივე მხარის იბერების მონათესაობა. მაგ-

---

* დაიბეჭდა კრებულში: ანალები, 1, 2004.

1 ГеоргиевВ. Г., Вопросы средиземноморских языков, Вопросы языкознания, 4, Москва, 1954, стр. 45.

2 Меликсед-Бек Л., Родство Грузии с испанцами по древним источником, Тбилиси, 1911, стр. 15.

3 აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თბ., 1959, გვ. 159.

4 Джанашвили М. Г., Иверийцы в Испании, Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, вып. 27, Тб., 1900, стр. 155.

5 Петерс Д., Проблема этногенеза населения Иберии (Древней Испании), Вестник древней истории, 2, Москва, 1940, стр. 109.

6 Грозный Б., Доисторические судьбы Передней Азии, Вестник древней истории, 3-4, Москва, 1940, стр. 40.

7 სირაძე რ., „ესპანელ ქართველთა“ უძველესი მოხსიენება ქართულ მწერლობაში და მისი მნიშვნელობა, მნათობი, 3, თბ., 1971, გვ. 174.

რამ შემდეგში ამ საკითხისადმი ინტერესი თანდათან განელდა და კვლავ მხოლოდ აღორძინების ხანაში, XVIII საუკუნეში იღვიძებს.[1] თუმცა, ჩანს, ეს აზრი მაინც ცოცხლობდა, რაც კარგად გამოჩნდა ფრანგ მოგზაურ ჟან შარდენის ჩანაწერებიდან, რომელიც საქართველოში XVII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყის ხანებში იმყოფებოდა. შარდენის გადმოცემით, ვახტანგ V შახ-ნავაზმა შესვა ესპანეთის მეფის სადღეგრძელო, რომელიც თავის ნათესავად მოიხსენია.[2] უფრო დაწვრილებით ქართველთა და ესპანელი იბერების სიახლოვეზე საუბრობს თავის თხზულებაში XVIII საუკუნის ცნობილი მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი.[3] დაახლოებით ამავე ხანებში ამ საკითხს განიხილავენ ესპანელი მეცნიერები. ამ მხრივ აღსანიშნავია ლორენც ერვასის იტალიურ ენაზე 1784 წელს გამოცემული „ენათა კატალოგი", სადაც იგი იმ ავტორთა აზრს იზიარებს, რომლებსაც აღმოსავლეთი იბერია დასავლეთის კოლონიად მიაჩნდათ. თუმცა უფრო გვიან ესპანურ ენაზე გამოცემულ „ენათა კატალოგში" ერვასმა უარყო დასავლეთ და აღმოსავლეთ იბერიელთა მონათესაობის იდეა.[4]

და მაინც, ვინ იყვნენ ბასკები, რომლებსაც დღესაც ესპანეთისა და საფრანგეთის გარკვეული მიწა-წყალი უკავიათ. ბასკების წარმომავლობის შესახებ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ზოგი მათ აბორიგენ მოსახლეობად მიიჩნევს, ზოგიც აფრიკის ჩრდილოეთიდან მოსულებად თვლის. ის მოსაზრებაც არსებობს, რომ ისინი შორეული კავკასიიდან გადმოსახლებულან. არც იბერებისა და ბასკების ურთიერთობის შესახებაა ერთიანი აზრი. ჯერ კიდევ სტრაბონთან გვხვდება ცნობა, სადაც იგი განასხვავებს იბერებსა და ბასკებს. სტრაბონი კავკასიის იბერებს დასავლეთიდან მოსულად თვლის.[5] ზოგი ბასკებსა და იბერებს შორის საერთოს ვერ ხედავს და ამას უნდა მოწმობდეს ის, რომ ძველი იბერიული წარწერები ბასკური ენის საშუალებით არ იკითხება.[6] ზოგიც ბასკებს იბერების შთამომავლებად მიიჩნევს.[7] ფიქრობენ, რომ ბასკები ლიგურებს უკავშირდებიან, რომლებიც პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო.[8] თუმცა ზოგი საერთოდ უარყოფს ლიგურების იქ არსებობას.[9] ვარაუდობენ, რომ ბასკების პირინეის ოდინდელი ძირძველი ბინადარნი იყვნენ, რომლებიც შემდეგში იბერებმა შეავიწროეს.[10] ისიც ითქვა, რომ ესპანეთის უძველეს მოსახლეობას ლიგურები, იბერები და ბასკები შეადგენდნენ.[11] ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზაში სხვაობა ისაა, რომ, ზოგის აზრით, ბასკები დასავლე-

---

1 სირაძე რ., დასახ. ნაშრომი, გვ. 181: შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, თბ., 1978, გვ. 90.

2 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთის და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 343: И. Сливицкий, Шарден и его путешествие по Грузии, 1849, стр. 27.

3 გაბაშვილი ტ., მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 50.

4 Орловская Н. К., Грузины в литературах Западной Европы XVII–XVIII веков, Тб., 1966, стр. 285.

5 ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 21, 81.

6 Георгиев В., Указ. соч., стр. 48; Зыцарь Ю. В., О родстве баского языка с кавказскими, Вопросы языкознания, 5, Москва, 1955, стр. 52.

7 ძიძიგური შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 53, 105; ტოვარი ა., ბასკური ენა, თბ., 1980, გვ. 39.

8 Петерс Д., Указ. соч. стр. 106.

9 იქვე, გვ. 107.

10 Казанский Б. В., Начало Испании, Советская Этнография, 1, Москва, стр. 193.

11 Петерс Д., Указ. соч. стр. 107.

თიდან, ევროპიდან ვრცელდებიან კავკასიაში.[1] სოკრატე სქოლასტიკოსი (IV–V სს.) იბერთა გაქრისტიანებასთან დაკავშირებით პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ეს იბერნი... ესპანეთის იბერთაგან გადმოსახლებულები კი არიან“.[2] ზოგიერთი პირიქით, ბასკების თავდაპირველი ადგილსამყოფლის არსებობას კავკასიაში ვარაუდობს.[3] თუმცა ზოგი ეწინააღმდეგება ბასკების კავკასიიდან მიგრაციის მოსაზრებას.[4]

ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა უპირატესად ენობრივი მონაცემების საფუძველზე შეისწავლებოდა და იგი ძირითადად ლინგვისტთა კვლევის სფეროს შეადგენდა. კავკასიურ ენებს ისე ხშირად ალბათ არც ერთ სხვა ენას არ უდარებდნენ, როგორც ბასკურს.[5] ბასკურისა და კავკასიური ენების ურთიერთობის საკითხმა საკმაოდ ადრე მიიქცია ენათმეცნიერთა ყურადღება ეგებ იმის გამოც, რომ ევროპაში ბასკური დასავლეთით, კავკასიური ენები კი აღმოსავლეთით გადაურჩნენ ინდოევროპული ენის გავლენას. ამან განაპირობა ალბათ უმთავრესად ამ ენების მონათესაობის იდეა. ჯერ კიდევ ა. ცაგარელი და მასზე რამდენიმე უფრო ადრე ზოგი ცნობილი ლინგვისტი აღნიშნავდა, რომ ქართული და საერთოდ კავკასიური ენები გენეზისით არ უკავშირდება ინდოევროპულ და არც სხვა ენებს. იგი მსგავსად ბასკურისა ევროპაში, სავარაუდოა, არის ნარჩენები ენების ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის ყელზე, სანამ აქ სხვა ენების მატარებელი ტომები გამოჩნდებოდნენ.[6] ბასკური დასავლეთ ევროპაში უძველესი შემორჩენილი ენაა, რომელიც არ მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს.[7] იგი მკვიდრი მოსახლეობის ენაა, რომელმაც გაუძლო არაერთ შემოსევებს ევროპაში.[8] ისიც ითქვა, რომ ბასკური კავკასიის გარეთ ერთადერთი ცოცხალი ენაა კავკასიური ენების ოჯახიდან.[9] ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა საკმაოდ პოპულარული იყო.[10] ბასკურს, ისევე როგორც კავკასიურ ენებს, სხვა ენობრივ ჯგუფებსაც უკავშირებენ.[11] აღინიშნა, რომ ბასკური კავკასიურ, სინო-ტიბეტურ, ენისეის და სხვ. ენებთან ნახულობს სიახლოვეს.[12] ზოგიერთ მკვლევარს ბასკური და კავკასიური ენების სიახლოვე საეჭვოდ მიაჩნია,[13] უპირატესად იმის გამო, რომ თვით კავკასიურ ენებში ურთიერთთან დამოკიდებულების საკითხში ჯერაც ყველაფერი ნათელი არ არის.[14] ზოგიც იმას აღნიშნავს, რომ ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის არსებობა დასაშვებია, მხოლოდ მისი დამტკიცების შესაძლებლობაა საეჭვო.[15] და მაინც ბასკურ-კავკასიუ-

---

1 Дзидзигури Ш. В., Зыцарь Ю. В., О состоянии гипотези баско-кавказского языкового родства, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბ., 1983, გვ. 145.

2 ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 204.

3 ძიძიგური შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 105; Д. Петерс, Указ. соч., стр. 107.

4 იქვე.

5 Бокарев Е. А., Задачи сравнительно-исторического изучения кавказских языков, Вопросы языкознания, 3, Москва, 1954, стр. 47.

6 Цагарели Ал., О предполагаемом родстве грузинского языка с индо-европейскими языками, стр. 5, 14; არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 323.

7 ძიძიგური შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

8 ტოვარი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

9 ძიძიგური შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

10 ფოქტი ჰ., ბასკური და კავკასიური ენები, მიმომხილველი, 6-9, თბ., 1972, გვ. 281.

11 ჩიქობავა ა., ანტონ ტოვარის წიგნში, ბასკური ენა, თბ., 1980, გვ. 9; Бокарев Е. А., Указ. соч., стр. 45.

12 Merritt Ruhlen, The Origin of Language, 1994, 74.

13 Георгиев В., Указ. соч., стр. 45; ბასკური ენა და ბასკურ-კავასიური ჰიპოთეზა, გვ. 73.

14 ფოქტი ჰ., დასახ. ნაშრომი, გვ. 288, 298; Бокарев Е. А., Указ. соч., стр. 48.

15 ფოქტი ჰ., დასახ. ნაშრომი, გვ. 299.

რი ენების გენეტიკური ნათესაობის ვარაუდს არაერთი მკვლევარი იზიარებს.[1] და ეს იდეა ყველაზე პერსპექტიულ ჰიპოთეზად რჩება.[2] ისიც ითქვა, რომ ენები, რომლებიც შეიძლება ბასკურს შევუდაროთ, მხოლოდ კავკასიური ენებია.[3] სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ ნაკლებად სარწმუნო ჩანს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბასკური და კავკასიური ენები ერთ დიდ ოჯახს შეადგენდა და გავრცელებული იყო კავკასიიდან პირინეებამდე. შემდეგში თითქოს ამ უზარმაზარი ტერიტორიის დიდ ნაწილს ინდოევროპელები იკავებენ.[4] ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, კავკასიური ენების მატარებელი მოსახლეობა ადგილზე რჩება, ბასკები კი, რომლებიც საკმაოდ ფართო მიწა-წყალზე იყვნენ გავრცელებულნი,[5] საბოლოოდ პირინეის ნახევარკუნძულს შეხიზნეს. ითქვა აგრეთვე, რომ შესაძლოა სამხრეთ საფრანგეთის მთიანეთიდან მოკიდებული ალპების გავლით წინა აზიამდე ერთიანი ეთნიკური ფენა მოსახლეობდა.[6] აღინიშნა, რომ ევროპის კონტინენტი ოდესღაც არაინდოევროპული ტომებით იყო დასახლებული და პირინეის ნახევარკუნძულზე მოსახლე ბასკები მათი ნარჩენი უნდა იყოს და მათი ენა სასწაულებრივად გადაურჩა ინდოევროპელთა ექსპანსიას.[7] ბასკურ-კავკასიური თეორიის აღიარებისას, როგორც ფიქრობენ, შესაძლოა მიგრაციის ჰიპოთეზა უფრო მეტად პერსპექტიული და სარწმუნო იყოს.[8] გადაადგილება ძირითადად ალბათ აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მიმდინარეობდა.

კავკასიური ენებიდან ბასკური, უფრო გავრცელებული აზრით, მეტ სიახლოვეს ქართველურ ენებთან ავლენს.[9] ის მოსაზრებაც გამოითქვა, რომ ქართულთან, ზანურთან და სვანურთან ერთად ქართველურ ენებში ბასკურიც შედიოდა; იგი ქართველურ ფუძე-ენას ყველაზე ადრე გამოეყო, სადღაც ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში.[10] ზოგიც იმას ვარაუდობს, რომ ბასკურ-კავკასიურ ურთიერთობას 3–4 ათასი წელი ყოფს,[11] ან კიდევ ბასკური საერთო კავკასიურ ენას ძვ. წ. V–IV ათასწლეულებში უნდა დაცილებოდა.[12] გამოითქვა აგრეთვე მოსაზრება, რომ ბასკური გარკვეული ნიშნებით კავკასიური ენების სხვადასხვა ჯგუფებთან იჩენს სიახლოვეს.[13] აღინიშნა, რომ ბასკური უფრო მეტად უახლოვდება ქართველურს, შემდეგ აფხაზურ-ადიღეურს და ბოლოს კი აღმოსავლურ-კავკასიურ ენებს.[14] ბასკურ-კავკასიური ენების ნათესაობა შორეულ წარსულში გადადის და ბასკური კავკასიურ ერთობას ძალიან ადრე უნდა

---

1 ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, გვ. 71.
2 შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.
3 ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, გვ. 71.
4 იქვე, გვ. 75.
5 ა. ტოვარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.
6 Georg F. Meier, Gramatische Parallelen in Baskischen, Burushaski und Kaukasische Sprachen, Georgica, Jena-Tbilisi, 1980, 76.
7 Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984, стр. 954.
8 Дзидзигури Ш. В., Зыцарь Ю. В., Указ. соч., стр. 145.
9 იქვე, გვ. 142.
10 Браун Я., Древнейшие формы каузатива в картвелских языках и в баском, პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1988, გვ. 88; Брайн Я., Когда баски потеряли контакт с остальными племенами? Rocznik orientalistyczny, T. XLVIII, r. 2, 1993, стр. 35.
11 ფოქტი ჰ., დასახ. ნაშრომი, გვ. 287.
12 Зыцарь Ю. В., указ. соч. стр. 52.
13 ტოვარი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 33.
14 ძიძიგური შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

დაცილებოდა.[1] ამიტომაც რთულია მათი სავარაუდო გენეტიკური ნათესაობის შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა.[2] ითქვა, აგრეთვე, რომ შესაძლოა ბასკურ, ბურუშასკის, ქართველურ და წინაბერძნულ ენებში ისეთი სიახლოვე არ ვლინდება, როგორიც ინდოევროპული ენებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ამ ენებში კარგად შეინიშნება გარკვეული შესატყვისები სიტყვათა მარაგში, სიტყვათწარმოებაში და სხვ.[3] ისიც აღინიშნა, რომ ბასკები შესაძლოა პალეოლითისა და მეზოლითის მოსახლეობის შთამომავალნი იყვნენ, რომლებიც ცხოვრობდნენ დასავლეთ საფრანგეთსა და ჩრდილო ესპანეთში, ლაპარაკობდნენ განსხვავებულ ენაზე, სანამ იქ ნეოლითის ხალხები შეაღწევდნენ.[4] ვარაუდობენ აგრეთვე, რომ სინო-ტიბეტური, კავკასიური ენების ერთ ჯგუფს და ბასკურს შორის გარკვეული მსგავსება შეიმჩნევა და მთელ ევრაზიაში უნდა არსებულიყო ნოსტრატული სუპერ ოჯახი. ბასკური იყო წარმოშობილი ალბათ იმ ენიდან, რომელზედაც პირველი ევროპელი კრომანიონელები ლაპარაკობდნენ.[5] საგულისხმოა, რომ გენეტიკური გამოკვლევებით მიღებულ შედეგებში საგრძნობი სხვაობა შეინიშნება ბასკებსა და ევროპის დანარჩენ მოსახლეობას შორის, კერძოდ, უარყოფითი რეზუსი ევროპელთაგან მხოლოდ ბასკებში აღემატება 50%-ს.[6] აღინიშნა, რომ ამ მაჩვენებელს უახლოვდება აგრეთვე კავკასიის მოსახლეობაც. გარკვეული მსგავსება ჩანს ბასკებსა და ქართველთა შორის აგრეთვე სისხლის ჯგუფებში.[7] და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ, ზოგის აზრით, ბასკები ზედაპალეოლითური მოსახლეობის შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ,[8] უფრო დამაჯერებელი ჩანს შეხედულება, რომ მათი წარმომავლობა ნეოლითური მოსახლეობის აღმოსავლეთიდან მიგრაციას უკავშირდება, რომლებმაც დასავლეთ ევროპაში მეურნეობის ახალი ფორმები გაავრცელეს.[9]

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა ჯგუფების გადანაცვლების პროცესი უკვე კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟიდან შეინიშნება, რასაც თუნდაც დმანისელი ადამიანის სამხრეთ კავკასიაში გამოჩენაც მოწმობს. მასობრივი მიგრაციების გამომწვევი ფაქტორები ისტორიის მანძილზე სხვადასხვა იყო. პირველყოფილი ეპოქის ადრეულ საფეხურზე, მითვისებითი მეურნეობის ხანაში, უძველესი ადამიანის გადაადგილების უპირატესი მიზეზი ეკოლოგიური ხასიათის კრიზისთან, ბუნებრივი გარემოს მკვეთრ ცვლილებებთან იყო უფრო მეტად დაკავშირებული.[10] საკვები რესურსების უკმარისობა, რეგულარული მოუსავლიანობა, გვალვა, ფაუნის გაღარიბება და სხვა ფაქტორები იწვევდა ადამიანთა ჯგუფების ადგილმონაცვლეობას. ეს პროცესი განსაკუთრებით საგრძნობი იყო ახალი ერის, ჰოლოცენის დადგომისას, როდესაც მკვეთრად შეიცვალა კლიმატური რეჟიმი, რამაც კულტურის ხასიათზეც იქონია

1 Зыцарь Ю. В., Указ. соч., стр. 57, 59; ტოვარი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 33.
2 ძიძიგური შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 140.
3 Furnee E. J., Lexikalische Beziehungen zwischen Baskisch, Burusahski, Kartvelisch und Vorgriechisch, Georgica, 5, Jena-Tbilisi, 1982, p. 27.
4 Luiji Luca Cavalli – Sforza, Genes, Peoples and Languages, London, 2000, გვ. 112.
5 Luiji Luca Cavalli – Sforza, Francesco Cavalli – Sforza, The Great Human Diasporas, Cambridse, Massachusetts, 1995, გვ. 183.
6 Салларес Р., Язык, генетика и археология, Вестник древней истории, 3, М., 1998, стр. 125.
7 Дзидзигури Ш. В., Зыцарь Ю. В., Указ. соч., стр. 144.
8 Luiji Luca Cavalli – Sforza, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.
9 Дзидзигури Ш. В., Зыцарь Ю. В., Указ. соч., стр. 145.
10 Мерперт Н. Я., Миграции в эпоху неолита и энеолита, Советская археология, 3, Москва, 1978, стр. 9.

გარკვეული გავლენა. მნიშვნელოვნად იკლო პალეოლითელი ადამიანის ძირითადმა სანადირო ობიექტმა, მსხვილ ძუძუმწოვართა სახეობებმა. მეზოლითის ხანაში ადამიანს უპირატესად წვრილფეხა, უფრო ფეხმარდ ცხოველებზე უხდება ნადირობა, რამაც ნადირობის და საერთოდ ცხოვრების ხასიათზე იქონია გარკვეული გავლენა. ამ პერიოდში ადამიანი უფრო მოძრავ, მობილური ხასიათის ცხოვრებას ეწევა და მოსახლეობის მოზრდილი ჯგუფების ადგილმონაცვლეობის პროცესი მიმდინარეობს.[1] ახალმა ეკოლოგიურმა გარემომ, ჩანს, გარკვეულად იმოქმედა ადამიანთა კოლექტივების გადაადგილების პროცესზე და მიგრაციის მასშტაბები კიდევ უფრო იზრდება ნეოლითური ეპოქის დადგომისას. ამ დროიდან უკვე ეკონომიკური ფაქტორიც მოქმედებს.[2] ეკონომიკის ახალ სისტემაზე გადასვლას შედეგად მოსახლეობის მკვეთრი ზრდა მოჰყვა. იწყება ტომთა სეგმენტაციის და ახალ-ახალი სივრცეების ათვისების პროცესი.[3]

როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიიდან საკმაოდ მძლავრი მიგრაციები პალეოლითის ფინალური სტადიიდან და მეზოლითური ეპოქის დადგომიდან იწყება სხვადასხვა მიმართულებით. ამ დროს, ჩანს, მიმდინარეობს კავკასიური ერთობის თანდათანობით დაშლის პროცესი. ადამიანი ფართოდ ითვისებს ჩრდილო კავკასიას, განსაკუთრებით დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებს. ამავე ხანებში მიგრაციები მიმდინარეობს სამხრეთითაც, რასაც მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის კულტურების სიახლოვე უნდა მიუთითებდეს.[4] საგულისხმოა, რომ არაერთგზის აღინიშნა ერაყის ე. წ. ზარზის კულტურისა და გვარჯილას კლდის ტიპის ძეგლების მსგავსების შესახებ.[5] გამოითქვა კიდეც ვარაუდი ჩრდილოეთიდან, კავკასიიდან ზაგროსის მხარეში მოსახლეობის გადანაცვლების თაობაზე[6] და რომ ზედა პალეოლითის ე. წ. ბარადოსტიენის კულტურას კავკასიური ანალოგიები ეძებნება.[7] აღსანიშნავია, რომ ამ დროიდან მთელ მახლობელ აღმოსავლეთში საგრძნობლად იზრდება ანატოლიური და უფრო ჩრდილოეთით მდებარე ობსიდიანის საბადოების გამოყენება.[8] არ არის ვარაუდს მოკლებული შესაძლებლობა, რომ ობსიდიანის ვაჭრობაში ამ დროს სამხრეთ კავკასიაც ყოფილიყო ჩართული, სადაც უხვად მოიპოვება იარაღის დასამზადებლად საჭირო ეს მასალა. ჰოლოცენის დადგომისას, მეზოლითის ხანაში გარკვეული ურთიერთობა ჩანს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებულ მეზოლითური ხანის ე. წ. ნატუფის კულტურასთან.[9]

---

1 Формозов А. А., Из истории передвижений групп первобытного человека в эпоху мезолита. Советская этнография, 1, М., 1953, стр. 168.

2 Мерперт Н. Я., Указ. соч., стр. 10.

3 იქვე, გვ. 11.

4 Бадер Н. О., Различия между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока, Археология Старого и Нового Света, М., 1966, стр. 141.

5 იქვე, გვ. 42; Коробков И. И., Исследования палеолита Ирака, Археология Старого и Нового Света, М., 1966, стр. 134.

6 Меллаарт Дж., Древнейшия цивилизации Ближнего Востока, М., 1982, стр. 19.

7 Палеолит Ближнего и Среднего Востока, Москва, 1978, стр. 225.

8 Меллаарт Дж., Указ. соч., стр. 19, 34; Кларк Дж. Д., Доисторическая Африка, М., 1977, стр. 180.

9 Формозов А. А., Исследование памятников каменного века на Северном Кавказе в 1957 году, Краткие сообщения института археологии, вып. 78, М., 1960, стр. 18; Формозов А. А., Каменной век и энеолит Прикубанья, М., 1965, стр. 57; Бадер Н. О., О мезолите Восточного Средиземноморья связи с проблемой «Капсийской провинции», Материалы и исследования по археологии СССР, 126, М-Л, 1977, стр. 175.

კავკასიის გვიანპალეოლითური კულტურის პირველი შემსწავლელები კავკასიის სამხრეთ ნაწილს ხმელთაშუა ზღვის კულტურის პროვინციაში აქცევდნენ და ე.წ. კაპსიის კულტურას უკავშირებდნენ.[1] თავის დროზე კავკასიის პალეოლითის კაპსიის კულტურასთან დამოკიდებულების საკითხი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული[2] და გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბასკურ-კავკასიური ურთიერთობა საფუძველს მოკლებული არ არის, შორეულ წარსულში, მეზოლით-კაპსიის ხანაშია საძებარი.[3] თუმცა შემდეგში კავკასიის გვიანპალეოლითის კაპსიის კულტურასთან სიახლოვის საკითხი ეჭვქვეშ იყო დაყენებული და კაპსიის კულტურა მეზოლითის ხანას მიაკუთვნეს. იგი უკვე ჰოლოცენის დროის კულტურა იყო.[4]

რა თქმა უნდა, თუ ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას რეალური საფუძველი ეძებნება, მაშინ დგება საკითხი – რა გზითა და საშუალებებით ხორციელდებოდა კავკასიიდან შორეული მიგრაციები ევროპის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში. სამხრეთით მოძრაობა ძირითადად ალბათ ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანაში გაკვლეული გზით მიმდინარეობდა მცირე აზიაზე გავლით აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამ დროს აქ ნატუფის გვიანმეზოლითური კულტურა იყო გავრცელებული, რომელიც ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების ზღურბლზე იყო მისული. კავკასიის მეზოლითის ამ კულტურასთან შენიშნული ურთიერთობა ეგებ ჩრდილოეთიდან მომდინარე მიგრაციის ანარეკლი იყოს. მახლობელ აღმოსავლეთში ამ დროისათვის მეურნეობის ახალ ფორმებს ეყრება საფუძველი და აღინიშნა, რომ პროგრესული სახის ეკონიმიკა დასავლეთ ევროპაში მოსახლეობის მასების ხანგრძლივი გადანაცვლების შედეგად უნდა გავრცელებულიყო.[5] მაგრამ რა გზით უნდა განხორციელებულიყო ეს შორეული მიგრაციები, მთლად ნათელი არ არის. ზოგის აზრით, იგი ზღვით მიმდინარეობდა, ზოგი კი ფიქრობდა, რომ ხმელეთით – ხმელთაშუა ზღვის აუზის ჩრდილო და სამხრეთ სანაპირო ზოლით.[6] ითქვა აგრეთვე, რომ ნეოლითი დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის პროვინციაში უნდა გავრცელებულიყო აღმოსავლეთიდან ორი გზით. ჩრდილოეთის მიმართულებით ბალკანეთზე გავლით იგი იტალიამდე აღწევს, სამხრეთის გზით ჩრდილო აფრიკის გავლით კი – ესპანეთს.[7] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი მიგრაციები გავრცელების გზაზე, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ტოვებს გარკვეულ ნაკვალევს.[8] მაგრამ ხმელთაშუა ზღვის პროვინციაში ადრეულ ხანაში აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრაობის რაიმე შესამჩნევი კვალი არ შეინიშნება.

არ უნდა იყოს მთლად უსაფუძვლო მოსაზრება, რომ ევროპის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში ბასკები ავტოხტანი მოსახლეობა ყოფილიყო და ნეოლითური რევო-

1 ნიორაძე გ., პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში, თბ., 1933, გვ. 77; Замятнин Н., О локальных различиях в культуре палеолитического периода, Труды института этнографии, новая серия XXVI, Москва, 1951, стр. 51.

2 Бадер Н. О., Указ. соч., стр. 171.

3 Даниленко В. Н., Неолит Украины, Киев, 1960, стр. 232.

4 Алиман А. А., Доисторическая Африка, Москва 1960, стр. 111; Г. П. Григорьев, Палеолит Африки Ленинград, 1977, стр. 131.

5 Дзидзигури Ш. В., Зыцарь Ю. В., Указ. соч., стр. 145.

6 Мерперт Н. Я., Указ. соч., стр. 25; Титов В. С., Древнейшие земледельцы в Европе, Археология Старого и Нового Света, Москва, 1966, стр. 35; Чайлд Г., У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, стр. 351; ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, გვ. 7.

7 Монгаит А. Л., Археология Западной Европы, Москва, 1973, стр. 300.

8 Титов В. С., К изучению миграции бронзового века, Археология Старого и Нового Света, Москва, 1982, стр. 92.

ლუციის ხანაში აქ აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიგრაციების გარკვეული ტალღა ვრცელდება, რომელშიაც შესაძლოა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში კავკასიიდან გადმონაცვლებული ტომებიც ერივნენ. ახალმოსულები, რომლებიც შესაძლოა არცთუ მრავალრიცხოვანნი იყვნენ, აქ პროგრესული სახის ეკონომიკას ავრცელებენ, ადგილობრივ მოსახლეობასთან შედიან კონტაქტში და ბასკურ და კავკასიურ ენებში შენიშნული გარკვეული მსგავსება ამის შედეგი იყოს. ახლა ძნელია თქმა, თუ რამ აიძულა მოსახლეობა ამ ადრეულ ხანაში ხმელთაშუა ზღვის აუზში დაძრულიყო დასავლეთის მიმართულებით. ეს ის ხანაა, როდესაც მახლობელ აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ლევანტსა და ანატოლიაში თანდათანობით საფუძველი ეყრება წარმოებით ეკონომიკურ სისტემას – მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. პროგრესული სახის მეურნეობის გავრცელებამ მოსახლეობის რიცხვის სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი. დემოგრაფიულ აფეთქებას ჭარბი მოსახლეობის გადაადგილება, ახალ-ახალი მიწების ათვისების საჭიროება მოჰყვა შედეგად. იმიგრანტები ახალ ეკოლოგიურ გარემოს უნდა შეგუებოდნენ და დამხვდურ მოსახლეობასთან დაემყარებინათ გარკვეული ურთიერთობა. ჩანს, ეკონომიკურ ფაქტორს უნდა გამოეწვია ძირითადად ძველ სამყაროში ადრეულ ხანაში მიგრაციული პროცესები. ზოგის აზრით, იმიგრანტები ინდოევროპული ტომები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ანატოლიის მკვიდრი მოსახლეობა იყო და მათ გაავრცელეს ევროპაში წარმოებითი მეურნეობის ფორმები.[1] მაგრამ ინდოევროპელების პირველადგილსამყოფლის შესახებ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ძნელია გარკვევით იმის აღნიშვნა, რომ პროგრესული ეკონომიკა ევროპაში მაინცდამაინც ინდოევროპელებს უნდა გაევრცელებინათ. ჩანს, ახალი ერის, ნეოლითის დადგომისას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან დასავლეთით საკმაოდ ფართო მასშტაბის მიგრაციები მიმდინარეობდა და ამის შედეგად აქ მეურნეობის ახალი ფორმები მკვიდრდება. გადმონაცვლებული მოსახლეობა ხმელთაშუა ზღვის აუზში უკიდურეს დასავლეთ მხარეს, პირინეის ნახევარკუნძულს აღწევს და შესაძლოა მიმდინარე პროცესებში კავკასიური ტომებიც იღებდნენ მონაწილეობას. ბასკურ-კავკასიურ შეხვედრებში ეგებ კავკასიის ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი მოსახლეობა მონაწილეობდა, რომელმაც სამხრეთით გადმოინაცვლა და რომელიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მკვიდრ, ავტოქთონ მოსახლეობას შეერია. შემდეგში, ნეოლითური რევოლუციის ხანაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან უნდა განხორციელებულიყო დიდი მასშტაბის მიგრაციები დასავლეთით და ხმელთაშუა ზღვის აუზში დაენერგათ ახალი სახის ეკონომიკური სისტემა. ეს მხოლოდ ერთ-ერთი თვალსაზრისია ბასკურ-კავკასიური დამოკიდებულების შესახებ. თუ ამ ჰიპოთეზას სიცოცხლე უწერია, მაშინ ურთიერთობა ადრეულ ხანაში საერთო-კავკასიური ერთობის დონეზე უნდა განხორციელებულიყო.

მაგრამ ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებაც იყო გამოთქმული. ვარაუდობდნენ, რომ ბასკები პირინეის ნახევარკუნძულის მკვიდრი, ავტოქთონი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. აღმოსავლეთით მათი მიგრაციის შედეგი იყო ბასკურ და კავკასიურ ენებში შენიშნული სიახლოვე. გზა კავკასიისაკენ ხმელთაშუა ზღვით მცირე აზიაზე გავლით მიემართებოდა, ხმელეთით კი იგი ჩრდილო-

1 Renfrew C., Archaeology and Language, The Puzzi of Jndo-European Origins, 1989, p. 159; Колин Ренфрю, Происхождение индоевропейских языков, В мире науки, №12, Москва, 1988, стр. 72.

შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლზე გადიოდა.[1] საგულისხმოა ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით კავკასიაში დოლმენური კულტურის გავრცელების შესახებ გამოთქმული შეხედულება. კავკასიაში სამარხის ეს ტიპი ძირითადად გავრცელებული იყო კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აფხაზეთის მიწა-წყალზე, და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. კავკასიაში დოლმენების გამოჩენის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა.[2] აღინიშნა, რომ კავკასიის დოლმენები კონსტრუქციის მიხედვით უახლოვდება ხმელთაშუა ზღვის აუზის ამ ტიპის ძეგლებს, განსაკუთრებით პირინეის ნახევარკუნძულზე გავრცელებულ დოლმენებს.[3] ნიშანდობლივია, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და კავკასიის დოლმენების სამარხეულ ინვენტარში გარკვეული მსგავსება შეინიშნება.[4]

ამიტომ, გამოითქვა ვარაუდი დოლმენების ხმელთაშუა ზღვის აუზიდან, უფრო კი პირინეის ნახევარკუნძულიდან, კავკასიაში გავრცელების შესახებ. აღმოსავლეთით მიგრაციის მიზეზი, რომელიც ძირითადად ზღვის გზით უნდა განხორციელებულიყო, უპირატესად ალბათ ეკონომიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.[5] აღინიშნა, რომ პირინეის დოლმენური კულტურა ბასკებს უკავშირდება და ამიტომ ბასკურ-კავკასიური ურთიერთობა ამ მიგრაციული პროცესების შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო.[6] მაგრამ, ბასკურ-კავკასიური პრობლემის დოლმენურ კულტურასთან დაკავშირების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდოა. მართალია, ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის საკითხში მიგრაციულ პროცესებს ჯერ კიდევ მაინცდამაინც მყარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა-ძიება თითქოს მაინც უფრო პერსპექტიული ჩანს. მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ თითქოს ქართველურ ტომთა განსახლება ეგეიდაში და ხმელთაშუა ზღვის სხვა რეგიონებში ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს მიმდინარეობდა და ბასკურში შენიშნული ქართველური კომპონენტის არსებობა ამის შედეგი იყო.[7] ამ ათასწლეულის დასაწყის ხანებიდან კავკასიიდან სამხრეთით მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების საკმაოდ მძლავრი მიგრაცია მიმდინარეობდა, რის შედეგადაც თითქმის მთელი აღმოსავლეთ ანატოლია, ურმიისპირეთი, ირანის პლატოს გარკვეული ნაწილი ამ კულტურის გავლენის სფეროში ექცევა. ამ პროცესში ალბათ ქართველური ტომებიც მონაწილეობდნენ. მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს აღწევს, სადაც იგი „კირბეთ კერაკის კულტურის“ სახელითაა ცნობილი.[8] ნაკლებად სავარაუდოა ქართველურ ტომთა ეგეიდაში მიგრაციის შესაძლებლობა უფრო გვიან ძვ. წ. III–II ათასწლეულების მიჯნაზე. ეს სწორედ ის ხანაა, როდესაც კავკასიაში და კერძოდ მის სამხრეთ ნაწილში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენები მიმდინარეობს. მთავრდება მტკვარ-არაქსის კულტურის ათასწლოვანი ისტორია და მის ნაცვლად ახალი ე. წ. ყორღანული კულტურა ვრცელდება. სრული-

---

1 Марр Н. Я., Яфетический Кавказ и третий этнический элемент, Избранные работы, Т. I, Ленинград, 1933, стр. 108, 110.

2 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბ., 1976, გვ. 152.

3 Марковин В. И., Дольмены Западного Кавказа, Москва, 1978, стр. 313.

4 იქვე, გვ. 314.

5 Марковин В. И., Дольменные памятники Прикубанья и Причерноморья, Москва, 1997, стр. 396.

6 იქვე, გვ. 395.

7 გორდეზიანი რ., წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 139.

8 ჯაფარიძე ო., დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

ად იცვლება ცხოვრების ხასიათი და საზოგადოება განვითარების ახალ გზას დაადგა.[1] როგორც ჩანს, ყორღანული კულტურა უფრო სამხრეთით არ გავრცელებულა და მისი გავლენა მხოლოდ აღმოსავლეთ ანატოლიის მომიჯნავე რეგიონებში შეინიშნება. ასევე, მტკვარ-არაქსისი კულტურის შემდეგ კავკასიიდან სამხრეთით შესამჩნევი მიგრაციული პროცესები ნაკლებად იყო მოსალოდნელი. ყოველ შემთხვევაში სადღეისოდ ამის არქეოლოგიური ხასიათის ნაკვალევი არ შეინიშნება. მტკვარ-არაქსის კულტურა, ეტყობა, უფრო დასავლეთით ეგეოსის ზღვის კუნძულებზედაც გადადის. კუნძულ ლესბოსზე, თერმის ნამოსახლარზე, მისი საკმაოდ მძლავრი გავლენა იგრძნობა.[2] შესაძლოა მტკვარ-არაქსის კულტურა ხმელთაშუა ზღვის აუზში უფრო დასავლეთითაც ვრცელდება, თუმცა ჯერჯერობით მისი მოძრაობის რაიმე კვალი არ შეინიშნება. შესაძლოა ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მიგრანტებმა მანძილი უპირატესად ალბათ ზღვით, შედარებით სწრაფად გაიარეს და არც რაიმე მეტ-ნაკლებად შესამჩნევი ნაკვალევი დაუტოვებიათ. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია მოსაზრება, რომ ევროპაში პირველი მეტალურგები გარედან მოვიდნენ, რომლებიც ანატოლიური და კავკასიური ტრადიციების მატარებლები იყვნენ.[3] ისიც ითქვა, რომ ბრინჯაოს ხანის იაფეტიდ მეტალურგების მიგრაცია შორს, დასავლეთით, ვრცელდებოდა და პირინეის ნახევარკუნძულს აღწევდა.[4] ეს იაფეტური ტომების დიდი განსახლების ეპოქა იყო. ზოგი ბასკების წარმომავლობას ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიის მეტალურგებს უკავშირებს. საინტერესოა აღინიშნოს ბასკების ქვეყანაში სპილენძის ძველ საბადოში დაღუპულ მელითონეთა ნაშთების ანთროპოლოგიურად შესწავლის შედეგი. ითქვა, რომ ისინი წარმომავლობით კავკასიას უკავშირდებიან.[5] უთუოდ საგულისხმოა ის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში სამხრეთ კავკასიაში ბრინჯაოს მეტალურგია საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს და უკვე ფართოდ გამოიყენება დარიშხანიანი ბრინჯაო. არ არის ვარაუდს მოკლებული შესაძლებლობა, რომ ამ კულტურის მატარებელი ტომების გამოჩენამ ხმელთაშუა ზღვის აუზში გარკვეული როლი შეასრულა ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურების საქმეში და მათმა გავლენამ შორს, დასავლეთსაც, მიაღწია. დოლმენურ კულტურასთან დაკავშირებით ზევით უკვე აღინიშნა, რომ რამდენადმე უფრო გვიან, პირინეის ნახევარკუნძულიდან აღმოსავლეთით შესაძლო მიგრაციის შესახებ.

ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება იყო გამოთქმული ეთნოგრაფიული ხასიათის მსგავსების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარის ნაშრომი, რომელიც მან ბასკეთში მოგზაურობას მიუძღვნა. აქ დანახულმა ათქმევინა, რომ იგი სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა კავკასიაში, კერძოდ, მის მშობლიურ გურიაში. ნ. მარი აღწერს უაღრესად შთამბეჭდავ ეთნოგრაფიული ხასიათის მსგავსებას, რომლებიც თვალნათლივ შეიმჩნევა ამ ორ უკიდურესად დაშორებულ კუთხეებს შორის.[6] ბასკურ-ქართულ ეთნოგრაფიულ პარალელებს ეძღვნება საყურადღებო გამოკვლევა, რომელშიც ძირითადად დაკრძალვის რიტუ-

---

1 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში, თბ., 1993, გვ. 5.

2 Lamb W., Excavations at Termi in Lasbos, Cembridge, 1895, 135.

3 Чайлд Г., Указ. соч., стр. 162, 168.

4 Марр Н. Я., Указ. соч., стр. 103.

5 ძიძიგური შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 101; Дзидзигури Ш. В., Зыцарь Ю. В., Указ. соч., стр. 145.

6 Марр Н. Я., Из пиренейской Гурии, Известия Кавказского историко-археологического института, Т. V, Тб. 1927.

ალთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული პარალელებია განხილული. ავტორი აღნიშნავს, რომ წეს-ჩვეულებებში ტიპოლოგიურად მთელი სერია მსგავსებებისა ვლინდება.[1] ზოგი რამ საერთო შეინიშნება თითქოს ქართულ ბერიკაობა-ყეენობაში და ბასკურ სადღესასწაულო რიტუალში.[2] ახლა რთულია გარკვევით თქმა, თუ როდის უნდა ჩასახულიყო ეთნოგრაფიული ხასიათის პარალელური მოვლენები. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მსგავსება ჯერ კიდევ ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის სათავეებიდან მომდინარეობდეს. ეს ისეთ შორეულ ეპოქაში გადადის, რომ იმ დროისათვის ზნე-ჩვეულებებში უკვე შეიძლებოდა არსებულიყო ისეთი ელემენტები, რომლებიც თითქმის დღევანდელობამდე უნდა შემონახულიყო. თუ მართლაც ბასკურ-კავკასიურ დამოკიდებულებაში რაიმე ეთნოგრაფიული ხასიათის სიახლოვე შეინიშნება, მაშინ ეგებ უფრო ისაა სავარაუდოა, რომ ეს მოვლენები ხმელთაშუა ზღვის სამყაროსთან კავკასიის უფრო გვიან არსებული ურთიერთობის შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო. არც ისაა გამორიცხული, რომ ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დაშორებულ ხალხებს, რომლებსაც ტრადიციით ადრე გარკვეული სიახლოვე აკავშირებდათ, შესაძლოა წეს-ჩვეულებებში რაღაც საერთო ნიშნები შემორჩენოდა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ხასიათში. აღსანიშნავია, რომ ესპანეთში ასტურიაში პურეულის სპელტას, ასლის მოსაკრებად ისეთივე იარაღს ხმარობდნენ, როგორც დასავლეთ საქართველოში არცთუ შორეულ წარსულში მახას ასაღებად იყენებდნენ.[3] ამ იარაღით, შნაკვით მხოლოდ თავთავი იკრიფებოდა, ღერო კი მინდვრად რჩებოდა. მახას წარმომავლობის საკითხი ჯერ კიდევ ნათელი არ არის.[4] იგი ენდემური პურეულია და არ არის გამორიცხული, რომ მისი სამშობლო სამხრეთ კავკასიის რეგიონი იყო. აქ მახას მარცვლები ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებზეა ნაპოვნი.[5] აქვეა აღმოჩენილი სპელტას, ასლის ნარჩენები. ამ სახეობის პურეულის სამშობლოდ წინა აზიაა მიჩნეული.[6] კავკასიის სამხრეთ ნაწილში, რომელიც წინა აზიის ჩრდილო მხარე იყო, სპელტის ფორმირებისათვის ყველა პირობა არსებობდა. ვარაუდობენ, რომ მისი წარმოშობის პირველადი კერა შესაძლოა აქ ყოფილიყო.[7] საგულისხმოა, რომ სპელტა – ასლი მახას იდენტური პურეულია.[8] ზევით ითქვა, რომ ეკონომიკის პროგრესული ფორმები ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ რეგიონში აღმოსავლეთიდან გავრცელდა და რომ ამ პროცესში შესაძლოა კავკასიური ტომებიც მონაწილეობდნენ, ალბათ უპირატესად ქართველური მოსახლეობა. ეს ის დროა, როდესაც საერთო-კავკასიური ერთობის დაშლის პროცესი მიმდინარეობს და უფრო ინტენსიურად სახლდება კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო აღმოსავლეთი მხარეები. ქართველური ტომები ძირითადად ადგილზე რჩებიან სამხრეთ კავკასიაში და გარ-

---

1 გაბუნია ს., ბასკურ-ქართული ეთნოგრაფიული პარალელები, თბ., 1995, გვ. 105.

2 ჩანტლაძე გ., ბასკური საზაფხულო ფიესტა და ქართული ბერიკაობა-ყეენობის შედარებითი ცდა, ისტორიის ინსტიტუტის 60 წლისა, თბ., 2000, გვ. 126.

3 Флаксбергер К., Находки культурных растении доисторического периода, Архив истории науки и техника, Т. II, Ленинград, 1934, стр. 169; Вавилов И. Н., Пять континентов, Москва, 1962, стр. 214.

4 Барисашвил М. А., Горгидзе А. Д., О происхождении Tr. Macha Dek. et Menabde, Сообщ. АНГССР, 95, №2, Тб., 1979, стр. 409.

5 Джапаридзе О. М., На заре этнокультурной истории Кавказа, Тб., 1983, стр. 306.

6 Синская Е. Н., Историческая география культурной флоры, Ленинград, 1969, стр. 390.

7 იქვე; Горгидзе А. Д., Живой реликт культурной пшеницы, Сообщ. АНГССР, т. 90, =2, Тб., 1979, стр. 126.

8 Горгидзе А. Д., Филогенетика Грузинских эндемичных пшениц, Тб., 1976, стр. 171.

კვეულ რეგიონებს იკავებენ. ამიტომ უფრო მეტად ისაა სავარაუდო, რომ სამხრეთით მიგრაციაში ძირითადად ისინი იღებდნენ მონაწილეობას. საგულისხმოა ცნობილი რუსი მეცნიერის აკად. ნ. ვავილოვის მიერ აღნიშნული მოსაზრება, რომ ბასკეთის მიწა-წყალზე მოგზაურობისას მან პურეულის ისეთი ჯიში ნახა, ჩანს, მახა, რომლის მსგავსი საქართველოს გარეთ სხვაგან ცნობილი არ არის. ერთნაირია აგრეთვე მათი აღების წესიც. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საოცარი კავშირი ვლინდება ჩრდილო ესპანეთს და საქართველოს შორის და რომ ეს საკმაოდ მყარი საბუთია ამ რეგიონებში მოსახლე ხალხების გენეტიკური დამოკიდებულებისა.[1]

ამრიგად, თუ ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას რაიმე საფუძველი გააჩნია, მაშინ უფრო მეტად ისაა სავარაუდო, რომ ურთიერთობა ადრეულ ხანაში, ჯერ კიდევ ქვის ხანაში, მიმდინარეობდა და მიგრაციული პროცესები ხმელთაშუა ზღვის აუზში აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ხორციელდებოდა. ეს პრობლემა უთუოდ მეტად რთული და ძნელად შესასწავლია, რომელიც შორს, ათასწლეულების სიღრმეში, გადადის. სავსებით მართებულად აღინიშნა, რომ იგი უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული საკითხია, რომლის კვლევა-ძიება დიდ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს, ოღონდ ამ ჰიპოთეზის გვერდის ავლა მეცნიერულად მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. ძნელი პრობლემა არასოდეს გადაწყდება, თუ იგი არ დაისვა.[2] შემდეგში უფრო ფართო კომპლექსური ხასიათის კვლევა-ძიება გარკვეულ სინათლეს შეიტანს ამ ძნელად გადასაჭრელი, მაგრამ უთუოდ პერსპექტიული ჰიპოთეზის შესწავლაში.

---

1 Вавилов И. Н., Указ. соч., стр. 214.

2 ჩიქობავა ა., წიგნში, ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, თბ., 1976, გვ. 7.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენები*

კავკასიის დოლმენებმა კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და არაერთი მოსაზრება გამოითქვა მათი აგების დროის, წარმომავლობის, გავრცელების, მშენებელი ტომების ვინაობის და სხვა საკითხების შესახებ. საერთოდ, სამარხის ეს ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ სამყაროში ევროპასა და აზიაში, აფრიკაში.[1] საიდან, რა გზით შემოდის დოლმენური ტიპის სამარხი კავკასიის დასავლეთ ნაწილში, ჯერ კიდევ მთლიანად ნათელი არ არის. ითქვა, რომ კავკასიის დოლმენების ადგილობრივი წარმომავლობა უფრო სავარაუდოა და მათ ადგილობრივი პროტოტიპები მოეძებნებათ[2]. ისიც კი აღინიშნა, რომ დოლმენური კულტურის სამშობლო კავკასია უნდა ყოფილიყო.[3]

ნაკლებად დამაჯერებელია დოლმენური კულტურის ფესვების ძიება ადგილობრივ, წინამორბედ კულტურაში. უმართებულო ჩანს მოსაზრება, რომ თითქოს აფხაზეთის დოლმენები წარმომავლობით უკავშირდება სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულ სამარხებს, კერძოდ ქვაცხელების ნამოსახლარზე გამოვლენილ ორმოსამარხებს რიყის ქვით აშენებული კედლებით. ამ სამარხების ინვენტარიც თითქოს გარკვეულ მსგავსებას ავლენს დოლმენებში წარმოდგენილ ნივთიერ მასალასთან.[4] მაგრამ ქვაცხელების სამარხები მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება, რომლის ნაკვალევი კოლხეთის შიდა რაიონებში არ შეინიშნება. დოლმენების მშენებლობის ტრადიციის ფესვების ამ კულტურაში ძიება სრულიად უსაფუძვლოა. დოლმენების მშენებლობასთან არც უფრო გვიანი ხანის ქვაყუთების დაკავშირებაა მთლად გამართლებული.[5]

დოლმენების წარმოქმნის შესახებ ორი დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულება არსებობს – მონოცენტრისტული და პოლიცენტრისტული. მარტო გარეგნული მსგავსება არასაკმარისია მათი ნათესაობის დადგენისათვის.[6] მაგრამ სხვადასხვა მხარის დოლმენების მშენებლობის ტრადიცია იმდენად საერთო ნიშნებით ხასიათდება, ზოგჯერ დეტალებშიც კი, რომ მათი მონოცენტრისტული წარმომავლობა თითქოს უფრო მეტადაა სავარაუდო. უფრო პერსპექტიული ჩანს მოსაზრება, რომ დოლმენური ტიპის სამარხი ხმელთაშუაზღვის აუზიდან უნდა გავრცელებულიყო,[7]

---

* დაიბეჭდა კრებულში: ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №17-18, 2006.

1 ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბ., 1976, გვ. 298; Марковин В. И. Дольменные памятники Прикубанья и Черноморья. Москва, 1997, стр. 3.

2 Дольмены. Современники древних цивилизаций. Краснодар, 2001, стр. 48.

3 Burton-Brown T. Excavation in Azerbaijan. London, 1948, стр. 64; Belleten, CXXVII, 107, 1963, p. 225; Уварова А. С., Мегалитические памятники России, Древности, т. VI, вып. 3, Москва, 1876, стр. 28.

4 Цвинария И. Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тб., 1990, стр. 62.

5 იქვე, გვ. 64

6 Дольмены. Современники древних цивилизаций. Краснодар, 2001, стр. 48.

7 Марковин В. И. Дольмены Западного Кавказа. Москва, 1978, стр. 313.

სადაც მეგალითური ძეგლები ადრეული ეპოქიდანაა ცნობილი. აღინიშნა, რომ კავკასიის დოლმენები პირინეის ნახევარკუნძულის ამ ტიპის სამარხებთან ნახულობენ მეტ საერთოს.[1] მათ შორის მსგავსება სამარხეულ ინვენტარშიც შეინიშნება.[2] თუმცა ისიც ითქვა, რომ კავკასიის მეგალითები არ იმეორებს ზუსტად პირინეის ძეგლებს და არც არქეოლოგიურ მასალაში შეიმჩნევა საერთო ნიშნები.[3] შესაძლოა, დოლმენური კულტურის მატარებელი მოსახლეობა დემოგრაფიული და სხვა მიზეზების გამო ხმელთაშუაზღვის აუზში ამოძრავდა, აფრიკის ჩრდილო სანაპირო ზოლში გავრცელდა და სირია-პალესტინას მიაღწია. მათმა ერთ-ერთმა ტალღამ, ჩანს, შავ ზღვას მიაღწია და მის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლს ითვისებს – თურქეთის ევროპულ ნაწილს.[4] ბულგარეთს და სხვ. ისინი, ალბათ, გვერდს უვლიან მცირე აზიას, სადაც ეს ტიპი სამარხებისა სადღეისოდ ცნობილი არ არის. მიგრანტების ერთმა ტალღამ, ჩანს, შავი ზღვა გადასერა და კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო ზოლს მიაღწია. ისინი საკმაოდ ინტენსიურად ითვისებენ ყუბანისპირეთს და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მიმდებარე მხარეს. ყუბანისპირეთში ამ დროს გვიანმაიკოპის, ნოვოსვობოდნაიას საკმაოდ მაღალი დონის კულტურა იყო გავრცელებული და მოსული მოსახლეობა ამ კულტურის მატარებელ ადგილობრივ, ალბათ, ძირითადად აფხაზურ-ადიღეურ ტომებთან შედის აქტიურ კონტაქტში, რომლებიც ამ დროისათვის განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევენ. თუმცა ისიც ითქვა, რომ სავაჭრო ურთიერთობების შედეგი უნდა იყოს ძირითადად მეგალითური ტრადიციის გავრცელება ხმელთაშუა ზღვის-პონტოს აუზში.[5] მაგრამ მარტო აღებ-მიცემობით ამ მოვლენის ახსნა მთლად მართებული არ უნდა იყოს. ზოგი იმასაც ვარაუდობს, რომ კავკასიაში მხოლოდ სამარხის ახალი ფორმა ვრცელდება.[6] მაგრამ განსხვავებული სახის სამარხის და საერთოდ, დაკრძალვის სხვაგვარი რიტუალის ფართოდ გავრცელება ალბათ უფრო მეტად ეთნიკურ სამყაროში მიმდინარე მოვლენებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

და მაინც, ვინ იყვნენ ის ტომები, რომლებმაც კავკასიაში დოლმენური კულტურა გაავრცელეს? მათი ეთნიკური ვინაობის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა. ყველაზე პოპულარულია აზრი, რომ დოლმენების მშენებელი ადგილობრივი ეთნოსი უნდა ყოფილიყო[7]. რაკი დოლმენური კულტურის გავრცელების ტერიტორია ძირითადად ემთხვევა აფხაზურ-ადიღეური ტომების ადგილსამყოფელს, ამიტომ სწორედ მათ უკავშირებენ ამ ტიპის სამარხის მშენებლობის ტრადიციას.[8] მაგრამ, როგორც აღინიშნა, კავკასიაში დოლმენების გამოჩენა ალბათ უფრო მიგრაციულ პროცესებს უკავშირდება. ზოგის აზრით, დოლმენების მშენებლობის ტრადიცია დასავლეთ ევ-

---

1 Марковип В. И. Дольмены Западного Кавказа. Москва, 1978, стр. 316.

2 იქვე, გვ. 64

3 Рысин М. Б. Культурная трансформация и культура строителей дольменов на Кавказе. Древние общества в эпоху палеометалла, СПб., 1997, стр. 85.

4 Belleten, CXXII, 107, 1963, p. 491.

5 Рысин М. Б. Культурная трансформация и культура строителей дольменов на Кавказе. Древние общества в эпоху палеометалла, СПб., 1997, стр. 88.

6 Формозов А. А. Рец. на книгу: Марковин В. И. Дольмены Западного Кавказа. М., 1978. СА, 3, 1980, стр. 318.

7 Марковин В. И. К вопросу о происхождении склепов и распространении составных дольменов на северном Кавказе. КСИА, 169, 1982, стр. 27.

8 Дольмены. Современники древних цивилизаций. Краснодар, 2001, стр. 51.

როპიდან ინდოევროპულ ტომებს უნდა გაევრცელებინათ,[1] ზოგიც კავკასიაში მეგალითური კულტურის გაჩენას ხმელთაშუა ზღვის აუზს უკავშირებს.[2] სწორედ პირინეის ნახევრკუნძულზეა ცნობილი ადრეული მეგალითური ძეგლები, სადაც დღესაც გვხვდება ევროპის უძველესი არაინდოევროპული მოსახლეობა – ბასკები.[3] ბასკურის კავკასიურ ენებთან სიახლოვეს არაერთი მკვლევარი იზიარებს. ამიტომ მაცდური იყო დოლმენების კავკასიაში გავრცელების ბასკებთან დაკავშირების იდეა. მაგრამ თუ ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას რაიმე რეალური საფუძველი გააჩნია, მაშინ უფრო სავარაუდოა, რომ ეს ურთიერთობა გაცილებით ადრეულ პერიოდში, ეგებ ჯერ კიდევ ქვის ხანაში ხორციელდებოდა და მიგრაციული პროცესები ხმელთაშუა ზღვის აუზში აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მიმდინარეობდა.[4]

კოლხეთში დოლმენები უკიდურეს დასავლეთ ნაწილში გვხვდება, ყუბანისპირეთის მომიჯნავე მხარეში, რომელიც თავისებური რელიეფით ხასიათდება. აქ მთები საკმაოდ ახლოს ადგება სანაპიროს, რომელიც ვიწრო ზოლით მიუყვება ზღვას. ეს მხარე ამ დროს ძირითადად, ალბათ, აფხაზურ-ადიღეური და ეგებ ქართველური, უპირატესად სვანი ტომების ადგილსამყოფელი იყო. დოლმენების მშენებელი ხალხები, ეტყობა, ადგილობრივ მოსახლეობაში ითქვიფებიან, მათ კულტურას ითვისებენ, ოღონდ ერთხანს დოლმენებში დაკრძალვის წესს არ ივიწყებენ. სოხუმის სამხრეთით, ისტორიული სამურზაყანოს მიწა-წყალი, სადაც დოლმენური ტიპის სამარხი თითქმის არ გავრცელებულა, სრულიად განსხვავებული რელიეფით ხასიათდება. იგი უფრო გაშლილია და თანდათანობით კოლხეთის დაბლობში გადადის. ეს მხარე, ალბათ, უფრო ქართველური მოსახლეობის საცხოვრისი იყო. ჩანს, დოლმენების მშენებლობის ტრადიციამ კოლხ მოსახლეობაში ფეხი მაინცდამაინც ვერ მოიკიდა.

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დოლმენების გავრცელების საზღვარი ოჩამჩირეს აღწევს. თუმცა ზოგს ოჩამჩირეში ნაპოვნი ქვიშაქვის ნახვრეტიანი ფილის დოლმენებთან დაკავშირების შესაძლებლობა უმართებულოდ მიაჩნია და საერთოდ დოლმენების სოხუმს ქვემოთ გავრცელება ეეჭვება.[5] კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სამარხის ეს ტიპი გვხვდება როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე მთისწინა და მთის მხარეში. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, ყუბანისპირეთთან შედარებით, მათ მაინცდამაინც ფართო გავრცელება არ მიუღიათ. შესაძლოა ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ კოლხეთში ამ დროისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერად იგრძნობა ნეოლით-ენეოლითის ტრადიციები; ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში კი ამ დროს მაიკოპის კულტურის აყვავების ხანაა, საზოგადოება განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს და ეტყობა, დოლმენური კულტურის მატარებელი ხალხი დაწინაურებულ მხარესთან შედის უფრო აქტიურ კონტაქტში.

რატომ არ გავრცელდა სამარხის ეს ტიპი კოლხეთის სხვა ადგილებში, მის ცენტრალურ რეგიონში, რიონ-ყვირილის აუზში და სხვაგან – გარკვევით თქმა ძნელია. ეტყობა, კოლხეთში ჯერ კიდევ მძლავრად მოქმედებს ცხოვრების ძველი ტრადიცი-

---

1 Сафронов В. А. Проблема индоевропейской прародины. Орджоникидзе, 1983. стр. 84; Резепкин А. Д. К интерпретации росписи из гробницы майкопской культуры. КСИА, 192, 1987, стр. 39.

2 Марковин В. И. Дольменные памятники Прикубанья и Черноморья. Москва, 1997. стр. 395.

3 Гамкрелидзе Т. В., Иванов Вич. Вс. Индоевропейские языки и индоевропейцы, II. Тб., 1984. стр.954.

4 ჯაფარიძე ო. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ., 2006, გვ. 228.

5 Воронов Ю. Н. Гиенос. СА, 4, 1976, стр. 55.

ული სისტემა, რომელიც ძნელად ეგუება ახალ მოვლენებს. გამოითქვა მოსაზრება, რომ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დოლმენი უპირატესად იმ რეგიონებს უკავშირდება, რომლებზეც ბილიკები და გადასასვლელები გადადიოდა და, რომლითაც სარგებლობდნენ მწყემსები ცხვრის ფარის გადარეკვის დროს.[1]

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დოლმენები ჯგუფ-ჯგუფად გვხვდება. აქ ძირითადად გავრცელებული იყო ქვის ფილებისაგან შეკრული ტრაპეციის ფორმის დოლმენები. სხვა ტიპის დოლმენები აქ თითქმის არ გვხვდება. კოლხეთის მიწა-წყალზე დოლმენები ძირითადად ზომით განირჩევა – მომცრო, საშუალო და დიდი.[2] დაკრძალვის წესით ისინი თითქმის არ განსხვავდებიან და ყველა კოლექტიურ-საოჯახო თუ საგვარეულო სამარხია.[3] მომცრო ზომის დოლმენებში შედარებით ღარიბული მასალა გვხვდება. მოზრდილ დოლმენებში სამარხეული ინვენტარი უფრო მდიდრად იყო წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ ყველა დოლმენში, დიდსა თუ პატარაში, ერთი ხასიათის თიხის ნაწარმი გვხვდება, უპირატესად მომცრო ზომის ჭურჭელი. ის, რომ თიხის ნაწარმი დოლმენური კულტურის არსებობის მთელ მანძილზე სახეს თითქმის არ იცვლის და არც დასაფლავების რიტუალშია შესამჩნევი სხვაობა, თითქოს უფრო იმას უნდა მოწმობდეს, რომ არც მათი მშენებლობის ხანა უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც დაშორებული. სხვაობა დოლმენების ზომებში და სამარხეულ ინვენტარში, შესაძლოა, მიცვალებულის სოციალურ მდგომარეობასთან იყო უფრო დაკავშირებული.[4] აღინიშნება, რომ დოლმენების მშენებელ ტომებთან სოციალური დიფერენციაცია უფრო სამარხ-ნაგებობაში აისახა, ვიდრე ინვენტარის ხასიათში.[5] მიცვალებულის მაღალი სტატუსი, ეტყობა, ძირითადად დოლმენის სიდიდით, ნაგებობის სირთულით განისაზღვრებოდა.

მომცრო ზომის დოლმენებში ლითონის ნივთები ნაკლებადაა წარმოდგენილი. გვხვდება უპირატესად სასაფეთქლე რგოლები, არქაული ტიპის სატევრისპირები და სხვ. შედარებით უფრო მოზრდილ „ელიტარულ“ დოლმენებში ლითონის ნაწარმიდან გვხვდება ცულები, სატევრისპირები, კავები, დანები და სხვ. აქ უპირატესად წარმოდგენილია ვიწროტანიანი, ყუადაქანებული ცულები, რომლებიც ფორმით უახლოვდებიან ყვირილის ხეობაში, საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე მოპოვებულ ცულებს.[6] ეს ტიპი ცულისა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დოლმენებისათვის მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის. როგორც ჩანს, ამ ტიპის ცულის ჩამოყალიბების ძირითადი რეგიონი კოლხეთი უნდა ყოფილიყო. აფხაზეთის დოლმენებში გვხვდება აგრეთვე სხვა სახის ცული, შედარებით უფრო ფართოპირიანი. აქვე წარმოდგენილია არქაული ფორმის სატევრისპირები. აღსანიშნავია ეშერის დოლმენებში ნაპოვნი ფოთლისებრი ფორმის, მაღალყუნწიანი სატევრისპირები, რომლებსაც პირზე აქეთ-იქით ფართო ღარები ჩამოუყვება. სხვაგან ამ ტიპის იარაღი ცნობილი არ არის[7].

---

1 Марковин В. И. Дольмены Западного Кавказа. Москва, 1978. стр. 55.

2 ჯაფარიძე ო., დოლმენური კულტურა საქართველოში. თსუ შრომები, ტ. 77, 1956, გვ. 6.

3 Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, I. Тб., 1949. стр. 267.

4 Дольмены. Современники древних цивилизаций. Краснодар, 2001. стр. 34.

5 Рысин М. Б. Датировка комплексов из Эшери. СА, 2, 1990, стр. 19; მისივე, Культурная трансформация и культура строителей дольменов на Кавказе. Древние общества в эпоху палеометалла, СПб., 1997, стр. 10.

6 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961. გვ. 232.

7 იქვე, გვ. 234.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენებში ხშირად გვხვდება ბრინჯაოს ცალკაპა კავები – ზოგს მასრა გახსნილი აქვს, ზოგს შეკრული. ამ ტიპის კავები ნაპოვნია ეშერის და სულის დოლმენებში. მასრაშეკრული ცალკაპა კავები აღმოჩნდა ეშერის დოლმენებში; მასრას წნული ორნამენტი ამკობს. აღსანიშნავია, რომ ეშერის ერთ-ერთ დოლმენში ნაპოვნია სამკაპა კავი, რომლის მასრაც აგრეთვე წნული ორნამენტითაა შემკული. ჩვენში სადღეისოდ ადრეული ხანის ბრინჯაოს კავები მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენებიდანაა ცნობილი.[1] ყუბანისპირეთში მაიკოპის კულტურის ნოვოსვობოდნაიას ეტაპის ყორღანულ სამარხებში კარგადაა წარმოდგენილი ბრინჯაოს კავები, ძირითადად ორკაპა, რომლებიც ფორმით განსხვავდებიან კოლხეთის დოლმენებში ნაპოვნი ცალებისაგან. საგულისხმოა, რომ კავკასიის დოლმენებში აღმოჩენილი კავები უახლოვდება ხმელთაშუაზღვისპირეთის დოლმენებიდან ცნობილ მსგავს იარაღს[2]. აღსანიშნავია, რომ კუნძულ კვიპროსზე ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ აკლდამაში ნაპოვნი იყო ეშერის სამკაპა კავის ანალოგიური იარაღი.[3]

ეშერის დოლმენებში კაჟის ისრისპირები აღმოჩნდა. ისრისპირები გამოირჩევა მოხდენილი ფორმით და დამუშავების საკმაოდ მაღალი ტექნიკით. მსგავსი ისრისპირები კავკასიის დოლმენებში თითქმის არ გვხვდება. ეშერის ფუძეამოღარული ისრისპირები ფორმით უახლოვდება ოჩამჩირის ნამოსახლარზე აღმოჩენილ მსგავს იარაღს[4]. აღსანიშნავია, რომ გარკვეული მსგავსება შეინიშნება პირინეის ნახევარკუნძულის დოლმენებში ნაპოვნ კაჟის ისრისპირებთან.[5]

კავკასიის დოლმენებში უპირატესად მომცრო ზომის თიხის ჭურჭელია წარმოდგენილი. გამოითქვა მოსაზრება, რომ დოლმენური კერამიკა ძირითადად დაკრძალვის რიტუალს უკავშირდება[6]. აღინიშნა აგრეთვე ისიც, რომ ეს თიხის ნაწარმი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ნამოსახლარების კერამიკასთან. ზოგის აზრით, ფორმითა და დეკორის ხასიათით განსაკუთრებით უახლოვდება იგი ოჩამჩირის ნამოსახლარის თიხის ჭურჭელს.[7] თუმცა ის აზრიცაა გამოთქმული, რომ ოჩამჩირის ნამოსახლარის დოლმენური კულტურის წრეში გაერთიანება მართებული არ უნდა იყოს და იგი უფრო მეტ საერთოს პოულობს კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლის ნამოსახლარებთან. დოლმენური კულტურა კი უფრო მეტად უახლოვდება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გამოვლენილ მაჭარის, გუმისთის, გვანდრას ნამოსახლარებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სოჭი-ადლერის და სოხუმის ტიპის თოხები. მსგავსება ჩანს აგრეთვე კერამიკულ მასალაში.[8]

---

1 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე., თბ., 1961, გვ. 238.

2 Марковин В. И. Дольмены Западного Кавказа. Москва, 1978. გვ. 238; Илюков Л. С. Металлические «вилки" майкопской культуры. СА, 4, 1979, стр. 138-145.

3 Рысин М. Б. Датировка комплексов из Эшери. СА, 2, 1990, стр. 19; მისივე, Культурная трансформация и культура строителей дольменов на Кавказе. Древние общества в эпоху палеометалла, СПб., 1997, стр. 110.

4 Марковин В. И. Дольмены Западного Кавказа. Москва, 1978. стр. 229.

5 იქვე, გვ. 309.

6 Рысин М. Б. Культурная трансформация и культура строителей дольменов на Кавказе. Древние общества в эпоху палеометалла, СПб., 1997, стр. 295.

7 Бжания В. В. Древнейшая культура Абхазии. Автореферат кандидатской диссертации. Москва, 1966. стр.13; მისივე, История археологического изучения памятников энеолита и ранней бронзы Абхазии, Материалы но археологии Абхазии, Тб., 1967, стр. 106.

8 ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002, გვ. 217.

როგორც ჩანს, არ უნდა იყოს სწორი ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს მომცრო ზომის დოლმენები დროით წინ უსწრებდა უფრო მოზრდილ დოლმენებს და რომ მათი მშენებლობა ადრე- და შუაბრინჯაოს ხანაში მიმდინარეობდა. ეს შეხედულება ძირითადად იმას ეფუძნებოდა, რომ მომცრო დოლმენებში უფრო ღარიბული მასალა გვხვდება, მოზრდილებში კი უკეთაა წარმოდგენილი ლითონის ინვენტარი.[1] აღსანიშნავია 1937 წელს სოფ. ეშერაში შესწავლილი ორი დოლმენი, რომლებშიც კარგად დაფიქსირდა ფენათა განლაგება. II დოლმენში, რომელიც ლ. სოლოვიოვის მიერ იყო გათხრილი, ოთხი ფენა დადასტურდა. ქვედა, ძირითად ფენაში, დოლმენის ძირზე, ნაპოვნი იყო ბრტყელი ყუნწიანი დანისპირი და ცალკაპა კავი წნული ორნამენტით შემკული მასრით. ჩანს, ამავე ფენიდან უნდა იყოს კაჟის ყუნწიანი ისრისპირი მკვეთრად გამოსახული ფრთებით. უფრო ჭარბად მასალა ზედა, მეორე ფენაში აღმოჩნდა, ძირითადად ბრინჯაოს სამკაული – ქინძისთავები დაფანჯრული თავით, მძივები, საკიდები, დაფანჯრული მძივსაკიდები და სხვ. ამ სახის სამარხეული ინვენტარი ხშირადაა წარმოდგენილი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენებში. ზედა ორი ფენის მასალა უფრო გვიანი ხანისაა.[2]

ამავე წელს სოფ. ეშერაში ბ. კუფტინმა შეისწავლა VI დოლმენი, სადაც აგრეთვე ფენათა სტრატიგრაფია დადასტურდა. პირველი, ძირა ფენა გამოვლინდა დოლმენის წინა კედლის ხვრელის ქვევით, მეორე კი – ხვრელის დონეზე აღმოჩნდა. ქვედა ფენაში წარმოდგენილი იყო ორი ყუადაქანებული ცული, რომელთაგან ერთ-ერთს შემკული ყუა აქვს, ორი სატევრისპირი ბრტყელი, მაღალი ყუნწით, ოთხწახნაგა სადგისი და ბრტყელი, ყუნწიანი დანისპირი. ზედა, მეორე ფენაში ნაპოვნი იყო ძირითადად ბრინჯაოს სამკაული – მოზრდილი ბიკონუსური მძივები, დაფანჯრული მძივსაკიდები, საკინძები, ფრინველის ქანდაკებები, ხვიები და სხვ., რომლებიც ხშირად გვხვდება აფხაზეთის დოლმენებში.[3]

კოლხეთის ზოგიერთ მოზრდილ დოლმენში მეორეული დაკრძალვა დასტურდება. მეორე ფენისთვის დამახასიათებელი მასალა უპირატესად ბრინჯაოს სამკაულითაა წარმოდგენილი. მ. ივაშჩენკოს მიერ 1936 წელს ეშერაში გათხრილ პირველ დოლმენში უმთავრესად სამკაული იყო წარმოდგენილი.[4] 1955 წელს იქვე გათხრილი № 1 მოზრდილი დოლმენიც ძირითადად შეიცავდა ბრინჯაოს სამკაულს – ქინძისთავებს დაფანჯრული თავით, ბიკონუსურ მძივებს, დაფანჯრულ მძივსაკიდებს, სასაფეთქლე რგოლებს და სხვ. ზედა ფენაში აქ აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა[5]. როგორც ჩანს, ეშერის ამ ორივე დოლმენში ძირა ფენა პირწმინდად ამოწმენდილი იყო, ალბათ, ზედა, მეორე ფენის გამართვის დროს. ზოგიერთ დოლმენში ქვედა და ზედა ფენები არეული იყო. მ. ივაშჩენკოს მიერ ეშერაში შესწავლილ III დოლმენში არქაულ მასალებთან ერთად ნაპოვნი იყო ბრინჯაოს სამკაული.[6] ეტყობა, მეორეული დაკრძალვის დროს ინვენტარი ერთმანეთში აირია. უფრო სავარაუდო ჩანს, რომ კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხა-

---

1 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961. გვ. 238

2 იქვე, გვ. 219

3 იქვე, გვ. 220

4 Иващенко М. М. Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии. Тб., 1935, გვ. 18.

5 ჯაფარიძე ო., დოლმენური კულტურა საქართველოში. თსუ შრომები, ტ. 77, 1956, გვ. 85.

6 Иващенко М. М. Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии. Тб., 1935; стр. 23.

რეში დოლმენების მშენებლობა ძირითადად ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა, უფრო გვიან მათ აღარ აგებენ და მოზრდილ სამარხებს მხოლოდ მეორეული დასაფლავებისთვის იყენებდნენ.

კავკასიაში დოლმენების მშენებელი ტომების პირველი გამოჩენის შესახებ არაერთი მოსაზრება იყო გამოთქმული.[1] უფრო ის აზრი დომინირებს, რომ ეს ტომები აქ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ვრცელდებიან. მაგრამ მაიკოპის კულტურის სიღრმეში გადატანის გამო უნდა დაძველდეს აგრეთვე დოლმენური კულტურის მატარებელი ხალხის კავკასიაში გამოჩენის თარიღიც. გამოითქვა მოსაზრება, რომ დოლმენების მშენებლობა კავკასიაში დაახლოებით ძვ.წ. 2700 წლის ფარგლებში უნდა დაწყებულიყო და ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე გაგრძელებულიყო.[2] ზოგს დოლმენური კულტურის აქ გამოჩენის თარიღი კიდევ უფრო შორს გადააქვს და თვლის, რომ იგი დასავლეთ კავკასიაში ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს მაიკოპის კულტურას ენაცვლება.[3]

როგორც ჩანს, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში და კოლხეთში დოლმენური კულტურის განვითარების პროცესი სხვადასხვაგვარად წარიმართა. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ეს კულტურა, ეტყობა, უფრო ადრე წყვეტს არსებობას, ალბათ III-II ათასწლეულების მიჯნაზე. შემდეგში აქ დოლმენებს, ჩანს, აღარ აგებენ და მათ ზოგჯერ მეორეული დასაფლავებისთვის იყენებდნენ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ყუბანისპირეთში კი დოლმენებში დაკრძალვის წესი უფრო დიდხანს შემორჩა და თითქმის 1000 წელს გაგრძელდა – ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე.[4] ამიტომაცაა ალბათ, რომ აქ ამ ტიპის სამარხის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მისი სხვადასხვა ვარიანტი ჩამოყალიბდა. კოლხეთში კი ძირითადად ერთი სახის, ტრაპეციის ფორმის დოლმენებია ცნობილი.

არც ის აზრი ჩანს მთლად მართებული, რომ თითქოს დოლმენების მშენებლობა ჯერ ყუბანისპირეთში დაწყებულა, კოლხეთში კი ეს ტიპი სამარხისა უფრო გვიან ჩნდება. თუმცა ისიც ითქვა, რომ პირიქით, დოლმენი ჩრდილოეთით კოლხეთიდან უნდა გავრცელებულიყო.[5] მაგრამ თითქოს ის უფრო სავარაუდოა, რომ დოლმენის მშენებელი ტომები კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, კოლხეთის ჩათვლით, დაახლოებით ერთდროულად უნდა გამოჩენილიყვნენ. აქ ეგებ მათი სხვადასხვა ტალღა მოდიოდა, ზოგი უფრო ადრე, ზოგიც რამდენადმე მოგვიანებით, მაგრამ დროის წყვეტილი საგრძნობი არ უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, მართლაც, როგორც ვარაუდობენ, ამ ტომების კავკასიაში გამოჩენა წინასწარ გამიზნული არ იყო და უფრო შემთხვევით მოვლენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.[6] მომდევნო ხანებში კავკასიაში მათი მიგრაცია ნაკლებ სავარაუდოა. არ უნდა იყოს მთლად მართებული, რომ თითქოს მაიკოპურ კულტურას დოლმენური ენაცვლება.[7] როგორც ჩანს, დოლმენე-

---

1 Дольмены. Современники древних цивилизаций. Краснодар, 2001, стр. 44.

2 Марковин В. И. Дольменные памятники Прикубанья и Черноморья. Москва, 1997, стр. 398.

3 Трифонов В. А. Поправки к абсолютной хронологии культур эпохи энеолита-бронзы Северного Кавказа. Между Азией и Европой, Кавказ в IV-I тыс. до н.э. Санкт- Петербург, 1996, стр.47.

4 Дольмены. Современники древних цивилизаций. Краснодар, 2001, стр. 31.

5 Крупнов Е. И. Древняя история Кабарды. Москва, 1957, стр. 74; Резепкин А. Д. К интерпретации росписи из гробницы майкопской культуры. КСИА, 192, 1987, стр. 37.

6 Марковин В. И. Дольменные памятники Прикубанья и Черноморья. Москва, 1997, стр. 396.

7 Рысин М. Б. Датировка комплексов из Эшери. СА, 2, 1990, стр.21; Трифонов В. А. Поправки к абсолютной хронологии культур эпохи энеолита-бронзы Северного Кавказа. Между Азией и Европой, Кавказ в IV-I тыс. до н.э. Санкт-Петербург, 1996, стр. 47.

ბის მშენებელი ხალხის გამოჩენა გვიანმაიკოპის ხანაში, ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე ხორციელდებოდა. მაგრამ ამ ეტაპის თარიღის განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ ხანის ძეგლები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გაცილებით ფართოდ ვრცელდება და დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს.[1] მაიკოპის კულტურის გადატანამ სიღრმეში დააძველა აგრეთვე მისი გვიანი ეტაპი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში უნდა დასრულებულიყო.[2] დაახლოებით ამავე დროისაა დოლმენური კულტურა, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში განაგრძობს არსებობას.[3] თუმცა ეშერის დოლმენების სამარხეული ინვენტარის ანალიზის საფუძველზე მათი უფრო გვიანი თარიღი აღინიშნა.[4] მაგრამ ამ ვარაუდმა სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა.[5]

როგორც ჩანს, ერთხანს, გვიანმაიკოპის ხანაში, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ნოვოსვობოდნაიას და დოლმენური კულტურები თანაარსებობენ. დაკრძალვის რიტუალში მათთვის დამახასიათებელი ტრადიციების შერწყმა დასტურდება. მიცვალებული დოლმენური ტიპის ნაგებობაში იკრძალებოდა საკმაოდ მდიდრული ინვენტარით, რომელიც შემდეგ ყორღანული ყრილით იფარებოდა. მოსულები, ჩანს, საზოგადოების შიგნით საკმაოდ მაღალ სოციალურ სტატუსს აღწევენ. დოლმენები ფართოდ ვრცელდება ყუბანისპირეთში მდ. ლაბას აუზიდან ვიდრე ტამანის ნახევარკუნძულამდე.[6] აქ ძირითადად ქვის ფილებისგან შეკრული დოლმენები გვხვდება, თუმცა სხვა ტიპებიცაა ცნობილი.[7] დოლმენურ კულტურაში აღარ ჩანს ის „ბარბაროსული ბრწყინვალება“, რომელიც ჯერ კიდევ დამახასიათებელია გვიანმაიკოპის დროინდელი სამარხებისათვის. დოლმენებში თითქმის სრულიად ქრება ძვირფასი ლითონის ნივთიერი მასალა. ჩანს, დოლმენური კულტურის ხანაში იცვლება საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. აღარ გვხვდება წინარე ხანისათვის დამახასიათებელი ელიტარული ფენის დიდებული სამარხები. ამ დროის ლიდერის სამარხი, როგორც აღინიშნა, ძირითადად დოლმენის ზომებში გამოიხატა, საკმაოდ მოკრძალებული სამარხეული ინვენტარით. შესაძლოა მაიკოპის კულტურის დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი დოლმენების მშენებელი ხალხის გამოჩენა იყო.

სრულიად განსხვავებული ვითარებაა ამ დროს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში. როგორც ჩანს, მეზობელ ყუბანისპირეთში ჯერ კიდევ მაიკოპის კულტურის ხანაში მიმდინარე პროცესები კოლხეთს არ შეხებია. აქ არც ყორღანული ტიპის სამარხები გავრცელებულა და არც ის „ფუფუნებაა“ ცნობილი, რომელიც მაიკოპის კულტურისთვისაა დამახასიათებელი. ეტყობა, აქ ამ დროს საზოგადოება ჩვეულებრივი რიტმით განაგრძობს ცხოვრებას. რა იყო მიზეზი, რომ კოლხეთი ამ მოვლენების მიღმა დარჩა, გარკვევით თქმა ძნელია, მით უმეტეს, რომ სამხრეთიდან მომდინარე იმპულსების გავრცელების ერთ-ერთი გზა, როგორც ჩანს, კოლხეთზე გადიოდა, რასაც დასავ-

---

1 Мунчаев Р. М. Майкопская культура. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Москва, 1994, стр.170.

2 იქვე; Дольмены. Современники древних цивилизаций. Краснодар, 2001, стр. 75.

3 ჯაფარიძე ო. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. თბ., 1976, გვ. 190.

4 Рысин М. Б. Датировка комплексов из Эшери. СА, 2, 1990, стр. 24.

5 Кореневский С. Н. К вопросу о датирующих возможностях комплекса из нижнего слоя эшерских дольменов Абхазии. РА, 2, 1992, стр. 96.

6 Лавров Л. И. Дольмены Северо-Западного Кавказа. Труды АбИЯЛИ, XXXI, Сухуми, 1960, стр. 69.

7 იქვე, გვ. 60.

ლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების კულტურა მოწმობს, რომელიც გარკვეულ სიახლოვეს ავლენს მაიკოპთან.[1] შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ბუნებრივი პირობების თავისებური ხასიათი იყო. კოლხეთის იმ ნაწილში, სადაც დოლმენებია გავრცელებული, მთები საკმაოდ ახლოა სანაპიროსთან და ცხოვრებისათვის აქ არცთუ მაინცდამაინც გასაძლისი გარემო არსებობდა და ეგებ ამიტომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დოლმენურმა კულტურამ ვერ მოიკიდა ფეხი. აქ მან შედარებით ხანმოკლე დროის მანძილზე იარსება, განსხვავებით ჩრდილო კავკასიისა, სადაც მისმა ხანგრძლიობამ საკმაოდ დიდი მონაკვეთი მოიცვა.

უთუოდ საინტერესოა სოფ. ოთხარაში შესწავლილი რამდენიმე „ყორღანი“, სადაც ყრილის ქვეშ მოთავსებული იყო დოლმენი.[2] ყორღანებს გარედან ქვის წრეები, კრომლეხი შემოუყვებოდა. ეს სამარხები ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე მდებარეობდა. ყრილში ბლომად ჩნდებოდა ძველი ნამოსახლარისათვის, აგრეთვე საშუალო საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალა. არ არის ვარაუდს მოკლებული, რომ დოლმენები ყრილით გვიან, შესაძლოა საშუალო საუკუნეებში დაიფარა და სამარხები ამ დროს გაიძარცვა. ყორღანული სამარხის არსებობა კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და საერთოდ დასავლეთ ამიერკავკასიაში დოლმენური კულტურის ხანაში ნაკლებ სავარაუდოა. სამწუხაროდ, ოთხარის დოლმენების ძირა ფენა ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა. ამ დროის უნდა იყოს ერთ-ერთ დოლმენში ნაპოვნი სატევრისპირები.[3] მსგავსი იარაღი ცნობილია ეშერის დოლმენიდან. ზოგიერთ დოლმენში აღმოჩნდა კაჟის ისრისპირები, აგრეთვე დამახასიათებელი ეშერის დოლმენების ძირა ფენისათვის.[4] სამაგიეროდ ოთხარის სამარხებში კარგადაა წარმოდგენილი აფხაზეთის დოლმენების მეორე ფენისათვის დამახასიათებელი სამკაულები – საკინძები, სასაფეთქლე რგოლები, სხვადასხვა მძივები და სხვ.[5]

აღსანიშნავია, რომ ოთხარის დოლმენური სამარხები გარკვეულ მსგავსებას ავლენს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ძეგლებთან, კერძოდ ტუაფსეს რეგიონში, სოფ. ანასტასიევკასთან მდებარე ფსინაკო I ყორღანთან. აქაც ყორღანის ყრილის ქვეშ დოლმენი და ორი კრომლეხი იყო მოქცეული.[6] ფსინაკო I უფრო რთული ხასიათის ძეგლი იყო, სადაც საკმაოდ გრძელი ქვებისაგან ნაგები დრომოსი დოლმენის წინა კედელს ადგებოდა.[7] ვარაუდობენ, რომ ყორღანული ყრილი მლოცველთა მიერ დანატოვარი ქვების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო.[8] შესაძლოა, ოთხარის დოლმენები ამავე ხასიათის ძეგლებს წარმოადგენდნენ.[9] ფსინაკო I-სთვის რამდენიმე რადიოკარბონული თარიღია მიღებული. ძირა ფენა ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებს მიეკუთვნება, ზედა ფენები კი – ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისს.[10]

საინტერესოა სოფ. ეშერაში აღმოჩენილი კრომლეხები. აქ ყრილის ქვეშ გამოვლინდა ორი კრომლეხი. ერთი მათგანი ვერტიკალურად აღმართული ქვებისგან ნაგე-

---

1 Кореневский С. Н. Древние земледельцы и скотоводы Прикубанья. Москва, 2004, стр. 33, 62; ჯაფარიძე ო. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ., 2006, გვ. 278.
2 Цвинария И. Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тб., 1990, стр. 12.
3 იქვე, გვ. 30.ს
4 იქვე, გვ. 31.
5 იქვე, გვ. 21.
6 Марковин В. И. Дольмены Западного Кавказа. Москва, 1978, стр. 315.
7 იქვე, გვ. 326.
8 იქვე, გვ. 334.
9 იქვე.
10 იქვე, გვ. 333.

ბი ოთხი კონცენტრული წრისგან შედგებოდა.[1] არქეოლოგიური მასალა ძირითადად ცენტრალურ წრეში დაფიქსირდა. მეორე კრომლეხი პირველისგან ნახევარი მეტრის დაშორებით მდებარეობდა და აგრეთვე ოთხი კონცენტრული წრისგან შედგებოდა. ორივე კრომლეხში ერთნაირი ხასიათის მასალა გამოვლინდა – ძირითადად თიხის ჭურჭელი და სამკაული, რომლებიც დამახასიათებელი ოყო დოლმენების ზედა, მეორე ფენისათვის. იარაღიდან აქ მხოლოდ ბრინჯაოს რამდენიმე ბრტყელი სატევრისპირი და ისრისპირი იყო ნაპოვნი. ბრინჯაოს სამკაულიდან წარმოდგენილია დაფანჯრულთავიანი საკინძები, ნახევარბირთვისებრი ფორმის მძივსაკიდები, მრგვალი და ოვალური სასაფეთქლე რგოლები, მსხვილი ბიკონუსური მძივები და სხვ. მიცვალებულები, ჩანს, ძირითადად კრომლეხის ცენტრალურ ნაწილში იკრძალებოდნენ. სამარხები ზემოდან კირქვის ფილებით იფარებოდა.

როგორც ჩანს, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დოლმენური კულტურის შემდეგ სრულიად განსხვავებული ხასიათის კულტურა ვრცელდება. თუ არ ჩავთვლით ძირითადად სასაფეთქლე რგოლებს, რომლებიც დროის საკმაოდ დიდ მანძილზე გვხვდება,[2] წინამორბედ კულტურასთან მას ცოტა რამ აქვს საერთო. აღარ გვხვდება დოლმენური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს იარაღსაჭურველი. ამ დროის სამარხეული ინვენტარი ძირითადად ბრინჯაოს სამკაულისაგან შედგებოდა, რომლებიც დოლმენების ზედა, მეორე ფენაშია წარმოდგენილი. იარაღიდან მხოლოდ რამდენიმე ბრტყელი სატევრისპირი და ისრისპირი გვხვდება. ამ ხასიათის მასალა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ცნობილია თითქმის ყველა მოზრდილი დოლმენის ზედა ფენაში – ეშერის,[3] აზანტის,[4] ხუაფსის,[5] ოთხარის,[6] ეშერის[7] კრომლეხებში და სხვ. კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ამ თავისებური ხასიათის კულტურის ჩამოყალიბების შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. თითქოს უფრო ისაა სავარაუდო, რომ ეს კულტურა კოლხეთის ამ მხარეში უნდა წარმოქმნილიყო. ამ კულტურის მატარებელი ტომები ფართოდ იყენებდნენ დასაკრძალავად ადრე ნაგებ დოლმენებს. ეტყობა, დოლმენებში დასაფლავების ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობს. როგორ ჩანს, ეს ლოკალური ხასიათის კულტურა ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ძირითადად კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მოიცავდა. კოლხეთის სხვა რეგიონებში და მის ფარგლებს გარეთ იგი თითქმის არ გავრცელებულა.[8]

---

1 Шамба Г. К. Эшерские кромлехи. Сухуми, 1974. стр. 3
2 ჯაფარიძე ო., დოლმენური კულტურა საქართველოში. – თსუ შრომები, ტ. 77, 1956, გვ. 87.
3 იქვე, გვ. 88.
4 იქვე, გვ. 101.
5 Цвинария И. Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тб., 1990, стр. 37.
6 იქვე, გვ. 21.
7 Шамба Г. К. Эшерские кромлехи. Сухуми, 1974. стр. 15.
8 Марковин В. И. Дольменные памятники Прикубанья и Черноморья. Москва, 1997.

ქსნის ხეობაში 1986 წელს ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების ანგარიში*

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია არქეოლოგ ნოე აფხაზავას ხელმძღვანელობით წლების მანძილზე ფართო სამუშაოებს აწარმოებდა მდ. ქსნის ხეობაში, სადაც ძირითადად ფეოდალური ხანის ძეგლებს იკვლევდა[1] სოფ. ავლევთან. ექსპედიციის მუშაობის დროს, 1985 წელს, სოფ. კორინთოსთან ლარგვისისაკენ მიმავალი გზის გაფართოებისას, ადგილ „საკირეებთან" ადრეფეოდალური ხანის ქვაყუთები აღმოჩნდა. ექსპედიციის მიერ ამ ადგილის შემოწმების დროს ერთ-ერთი ქვაყუთის ქვეშ გამოვლინდა სამარხი ორმო, რომელსაც ზემოდან ქვაყრილი ფარავდა. სამარხ ორმოში საქართველოსათვის და საერთოდ სამხრეთ კავკასიისათვის უჩვეული ხასიათის ნივთიერი მასალა აღმოჩნდა. სამარხეული ინვენტარი კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებული ე.წ. ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის იყო დამახასიათებელი. ეს პირველი შემთხვევა იყო ამ კულტურის ნაკვალევის კავკასიის სამხრეთ ნაწილში აღმოჩენისა. აღმოჩენის ადგილის წინასწარი დათვალიერების დროს აქ დიდი რაოდენობით აიკრიფა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები. ეტყობა, საგზაო სამუშაოებისას ამ დროის არაერთი სამარხი დაზიანდა.

რაზმის ძირითადი მიზანი იყო სადაზვერვო ხასიათის სამუშაოების ჩატარება იმ მიდამოებში, სადაც წინა წელს ზემოაღნიშნული სამარხი აღმოჩნდა. ვიმედოვნებდით, რომ აქ ამ ხასიათის სხვა სამარხებიც გამოვლინდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინმა არ გაამართლა. იყო თუ არა ამ დროს „საკირეები" მოქმედი სამაროვანი, გარკვევით თქმა ძნელია. იმ მონაკვეთზე, სადაც სადაზვერვო სამუშაოები მიმდინარეობდა, ამის ნაკვალევი შენიშნული არ იყო. გათხრების დროს ამ სამაროვანზე უფრო გვიანი შუაბრინჯაოს ხანის სამარხები გამოვლინდა. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ „საკირეებზე" პირველი მიცვალებულები უფრო ადრეც დაიკრძალნენ. საგულისხმოა, რომ მიგრანტების სამარხი კონსტრუქციულად თითქმის არ განსხვავდებოდა „საკირეებზე" ექსპედიციის მიერ გათხრილ სამარხისაგან. აქაც ორმოსამარხი ზემოდან ქვაყრილით იყო დაფარული. როგორც ჩანს, მოსულები ადგილობრივი წესის დაცვით დაიკრძალნენ. ამიტომ სავარაუდოა, რომ „საკირეების" სამაროვანი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში უკვე მოქმედი უნდა ყოფილიყო.[2] ამ სამარხში ნაპოვნი ძვლის „ჩაქუჩისებრი" საკინძეები ადრეულ ტიპს მიეკუთვნება.[3] ეს სამარხი ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულზე უფრო გვიანი არ უნდა იყოს. აქ ამ ადრეულ სა-

---

* დაიბეჭდა კრებულში: მარიკა ლორთქიფანიძე – 85, თბილისი, 2007.

1 ნ. აფხაზავა, ქვემო ავლევი ადრე შუა საუკუნეებში, თბილისი, 1988, გვ. 7.

2 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, თბილისი, 1998, გვ. 165.

3 Рысин М.Б., К проблеме синхронизации памятников среднего бронзового века Северного и Южного Кавказа. Между Азией и Европой, Кавказ IV-I тыс. до н. э, СПБ. 1996, стр. 83.

მარხში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული, ჩანს, ქალი და მამაკაცი. შესაძლოა, მამაკაცს მსხვერპლად მეუღლე ჩააყოლეს, რომელსაც ჩრდილოური წარმომავლობის სამკაული ჩაატანეს – ძვლის „ჩაქუჩისებრი“ საკინძები და ძაღლის კბილებისაგან შემდგარი გულქანდა. მამაკაცის ჩონჩხთან კი ქვის ლახტისთავი და ადგილობრივი ხასიათის თიხის რამდენიმე ჭურჭელი იდო. სამარხში ინვენტარის განლაგების საფუძველზე ისიც კი ითქვა, რომ ქალი ეგებ ჩრდილოური წარმოშობისა იყო, მამაკაცი კი ადგილობრივი მკვიდრი.[1] მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს შერეული ოჯახის წევრთა სამარხი ყოფილიყო.

რა გზით უნდა შემოსულიყვნენ მიგრანტები ქსნის ხეობაში, გარკვევით თქმა ძნელია. შიდა ქართლის ფარგლებში კავკასიონი შედარებით ნაკლები სიმაღლეებით ხასიათდება[2] და აქ რამდენიმე უფრო ადვილად გადასალახი უღელტეხილი არსებობს. ქსნის ხეობიდან გზა ჩრდილოეთით ძირითადად ორი უღელტეხილით გადადის – როკისა და ჯვრის. ჩანს, ეს გზა ადრიდანვე მოქმედი იყო და ფეოდალურ ხანაში მას „გზა ქსნისას“ უწოდებდნენ.[3] ამ გზით მოძრაობდნენ, ალბათ, მიგრანტები, რომლებმაც თავისი საბოლოო სასუფეველი კორინთოსთან, „საკირეების“ სამაროვანზე პოვეს.

ქსნის ხეობა არქეოლოგიურად შედარებით სუსტადაა შესწავლილი. აქ ადამიანის არსებობის ნაკვალევი ძველი ქვის ხანის საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ჩანს.[4] ხეობაში ჩატარებული მცირე დაზვერვების შედეგად ადრე- და გვიანბრინჯაოს ხანის არაერთი ნამოსახლარი დადასტურდა.[5] ძვ. წ. III ათასწლეულში, მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში და მომდევნო ხანაში კულტურულ-ეკონომიკური კავშირები ქედს იქითა მხარეებთან საგრძნობლად აქტიურდება. ეს კარგად ჩანს ჩრდილო ოსეთში აღმოჩენილი სამარხებიდან, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, სამხრეთ კავკასიიდან გადმონაცვლებულ მოსახლეობას ეკუთვნოდა.[6] იზრდება ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი ნაწარმის იმპორტი ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მხარეებში[7] და სხვ. ერთ-ერთი დამაკავშირებელი გზა, ალბათ, ქსნის ხეობაზეც გადიოდა.

ქსნის ხეობა ისტორიის მანძილზე ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო. აქ მეურნეობის ორივე დარგისათვის, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის, ხელსაყრელი გარემო არსებობდა. ქსნის ხეობის ზედა და ქვედა წელი მკვეთრად განსხვავებული ბუნებრივი პირობებით ხასიათდება. ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს ამ მხარეს: „ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი,

---

1 Кушнарева К. Х., Рысин М.Б., Бедсно-алазанская группа памятников Кавказа, Взаимодеиствия культур и цивилизации, Санкт-Петербург, 2000, стр. 87.

2 საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1999, გვ. 148.

3 ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 64.

4 Любин В. П., Нижнепалеолитические памятники Юго-Осетии, Материалы и исследования по археологии СССР, 79, М-Л, 1960, стр. 10.

5 მუსხელიშვილი დ., ცქიტიშვილი გ., შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბილისი, ტ. I, 1960, გვ. 188.

6 Ростунов В.А., Вопросы бытования Куро-Аракской культуры на Центральном Кавказе и их роль в этнокультурных процессах второй половины III – начало II тысяч. до н. э., Этнокультурные проблемы бронзового века Северного Кавказа, Орджоникидзе, 1986, стр. 36.

7 Гаджиев М.Г., Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969, стр. 126; Кушнарева К. Х., Рысин М.Б., დასახ. ნაშრ., გვ. 83.

მოსავლიანი... და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი..."[1] ხეობის ქვედა წელზე მიწათმოქმედების განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა. მის ზედა ნაწილში კი მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი გარემო იყო.[2]

განსაკუთრებულ აღმავლობას ქსნის ხეობა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში განიცდის, რასაც თვალნათლივ სოფ. საძიგურთან აღმოჩენილი ცნობილი ე.წ. „ახალგორის განძი" მოწმობს, ე. თაყაიშვილმა რომ შემოუნახა შთამომავლობას.[3] აქვე სოფ. ყანჩაეთთან ამავე ხანის მდიდრული სამარხეული მასალა იყო ნაპოვნი.[4] ჩანს, ამ დროს ხეობას ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. განსაკუთრებით დაწინაურებულია მისი შუა წელი, სადაც მეურნეობის ორივე დარგის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო უნდა არსებულიყო. მერეც, ფეოდალურ საქართველოში ქსნის საერისთავო თვალსაჩინო როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და საკმაოდ ძლიერ, ზოგჯერ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდა.[5]

„საკირეების" სამაროვანზე მიცვალებულები შუაბრინჯაოს ეპოქასა და ადრეფეოდალურ ხანაში საკმაოდ ინტენსიურად იკრძალებოდნენ. გათხრების დროს აქ შუაბრინჯაოს ხანის სამარხები გამოვლინდა და საგზაო მშენებლობისას ამ ხანის არაერთი საფლავი დაზიანდა. ეტყობა, ამ პერიოდში აქ საკმაოდ აქტიური ცხოვრება მიმდინარეობდა. ჩანს, ეს სასაფლაო შუაბრინჯაოს ხანის მიწურულს მიტოვებული იყო და კვლავ ადრეფეოდალურ ხანაში აღდგა. ამ დროის ქვაყუთები უშუალოდ ბრინჯაოს ხანის სამარხების თავზე იყო გამართული. გათხრილ ფართობზე ბრინჯაოს ხანის ორი სამარხი აღმოჩნდა ფეოდალური დროის ქვაყუთების ქვეშ. სამარხორმოებს თავზე ქვაყრილი ჰქონდა.

სამარხი I. რიყის ქვის ყრილის სიმაღლე – 0,50 მ, სიგრძე – 1, 20 მ, სიგანე 1 მ; მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით (სურ.1). მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა ძლიერ მოკუნტული ფეხებით, თავით სამხრეთ-დასავლეთით. მარჯვენა ხელი მუცლის არესთან იდაყვში მოხრილი იყო (სურ.2). სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში თავის ქალასთან 0,10 მ დაშორებით მსხვილფეხა საქონლის კიდურის ძვლები და ორი კოჭი აღმოჩნდა. მიცვალებულის სახის წინ მოზრდილი ქილა იდო, შავპრიალა ნაკაწრი ორნამენტით შემკული. ხერხემლის უკან, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დიდი ზომის ქილა აღმოჩნდა, რომლის ქვეშ ცალყურა სასმისი იდო. მუცლის არეში კიდურების ძვლებთან ნაპოვნი იყო ბრინჯაოს სამაჯური. თავის ქალასთან გიშრის ერთი ბიკონუსური მძივი აღმოჩნდა.

მენჯის ძვლებიდან 0, 30 მ დაშორებით ბავშვის სამარხი გამოვლინდა. სამარხის ზომებია: სიგრძე – 1,10 მ, სიგანე – 0, 40 მ, მიმართულება – სამხრეთიდან ჩრდილოეთით. ძლიერ დალეწილი თავის ქალა სამხრეთ ნაწილში იდო. ბავშვის ჩონჩხიდან მხოლოდ ბარძაყის და წვივის ძვლები იყო შემორჩენილი. ბავშვის თავის ქალასთან ძვლის

---

1 ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1897, გვ. 70.

2 გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III, თბილისი, 1967, გვ. 20.

3 Такаишвили Е.С., Археологические путешествия, разыскания и заметки, Известия Кавказского отделения Имперского Московского археологического общества, IV, Тифлис, 1915, стр. 139; Смирнов Я.И., Ахалгорский клад, Тифлис, 1934.

4 გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964, გვ. 6.

5 გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1983, გვ. 78.

ორი საკიდი იყო ნაპოვნი, ფეხებთან კი თიხის ორი კოჭობი და ერთი ცალყურა ქოთანი იდო.

სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მეორე ბავშვის ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი აღმოჩნდა. თავის ქალა, ჩანს, დასავლეთ ნაწილში იდო. ჩონჩხთან ნაპოვნი იყო პასტის წვრილი მძივები, ბრინჯაოს მავთულის რგოლი, გიშრისა და სერდოლიკის რამდენიმე მძივი. აქვე იდო შავპრიალა მოზრდილი ქილა კოპებით შემკული, რომელშიაც პატარა კოჭობი აღმოჩნდა. ცხვრის ყბა, რამდენიმე ძვალი და ობსიდიანის მოზრდილი ნატეხი ბავშვის ჩონჩხთან გამოვლინდა. I სამარხი, ჩანს, ხანში შესული ქალისა უნდა ყოფილიყო. მას ქვედა ყბის კბილები ძლიერ მოცვეთილი ჰქონდა. მასთან ერთად სამარხში ორი ბავშვი დაუკრძალავთ.

1. ქილა, შავპრიალა თიხისა, ყელდაბალი, გადაშლილი პირით, მხრებდაქანებული, მუცელგამობერილი, რომელიც ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. ყელის ძირზე და მხრის ბოლოზე მუცელთან ირიბი ხაზებით შევსებული ზოლები შემოუყვება, რომელთა შორის მხარზე გეომეტრიული ფიგურებია გამოყვანილი – ტეხილი ხაზები, სამკუთხედები, კვადრატები, რომბები და სხვ.

სიმაღლე – 35, 6 სმ. ყელის სიმაღლე – 3, 5 სმ, პირის დიამეტრი – 17, 5 სმ, მუცლის დიამეტრი – 30, 5 სმ, დიამეტრი – 11, 7 სმ (სურ. 3).

2. ქილა, შავპრიალა თიხისა, ყელდაბალი, პირგადაშლილი, მხრებდაქანებული. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას წიბო აქვს. ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება, ბრტყელი ძირით. წიბოზე და ყელის ძირზე თანაბარი მანძილით დაცილებული კონუსური კოპების თითო მწკრივი შემოუყვება. მწკრივებს შორის სამგან ვერტიკალურად განლაგებული ორ-ორი კოპი ჩამოუყვება, რომლებიც ჭურჭლის ზედა ნაწილს სამად ყოფს.

სიმაღლე – 36, 7 სმ, ყელის სიმაღლე – 3, 5 სმ, ყელის დიამეტრი – 16, 0 სმ, მუცლის დიამეტრი – 31, 0 სმ, ძირის დიამეტრი – 10, 8 სმ (სურ. 3).

3. ქოთანი, შავი თიხისა, დაბალი ოდნავ გადაშლილი პირით, არამკვეთრად გამობერილი მუცლით, ბრტყელი ძირით. მხარზე ცალი ყური ასხია.

სიმაღლე –14, 0 სმ, ყელის სიმაღლე – 1, 0 სმ, პირის დიამეტრი – 10, 0 სმ, ძირის დიამეტრი – 8, 0 სმ (სურ. 3).

4. ტოლჩა, მოყავისფრო თიხისა, ოდნავ გამობერილი მუცლით, ყელდაბალი, ბრტყელი ძირით. ცალი ყური მხრის ქვემოთ მუცელზე ასხია.

სიმაღლე – 16, 0 სმ, პირის დიამეტრი – 9, 0 სმ, ძირის დიამეტრი – 5, 3 სმ (სურ. 4).

5. სასმისი, მორუხო-მოშავო თიხისა, მოწითალო ლაქებით, ყელმაღალი, გადაშლილი პირით, გამობერილი მუცლით, რომელზედაც ცალი ყური ასხია, ძირვიწრო.

სიმაღლე – 9,5 სმ, ყელის სიმაღლე – 2,0 სმ, პირის დიამეტრი – 6,0 სმ, მუცლის დიამეტრი – 7,0 სმ, ძირის დიამეტრი – 3, 2 სმ (სურ. 4).

6. კოჭები, მოშავო-მოყავისფრო თიხისა, პირისაკენ ოდნავ შევიწროებული, მცირედად გამობერილი მუცლით, ფართო ძირით.

სიმაღლე – 5,0 სმ, ძირის დიამეტრი – 6,0 სმ (სურ. 4).

7. სამაჯური ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, ოდნავ წაწვეტილი თავებით, თავებგადადებული.

დიამეტრი – 6,0 სმ, მავთულის სისქე – 0, 3 სმ (სურ. 5).

8. მძივები, მუქი სერდოლიკისა, ბრტყელი (სურ. 5).

9. მძივები, პასტისა, წვრილი, 21 ცალი, თეთრი, 10 მომწვანო და 1 შავი (სურ. 6).

10. მძივი პასტისა, ბრტყელი; დიამეტრი – 1,1 სმ.

11. მძივები გიშრისა, მრგვალი.

12. მძივი გიშრისა, მრგვალი.

13. საკიდები ძვლისა, ნახვრეტით (სურ. 6).

14. კაური (სურ. 6).

15. ნატეხები შავპრიალა თიხის ჭურჭლისა, თხელკედლიანი. სამ ნატეხს კონუსისებრი მოყვანილობის კოპი აზის.

16. ორი ფრაგმენტი თიხის ჭურჭლის ყურისა, მოწითალო ფერის.

სამარხი II. ზედაპირიდან 1, 50 მ სიღრმეზე ნაგლეჯი ქვებისაგან შემდგარი ყრილი აღმოჩნდა. ქვაყრილის სიგრძე 4,0 მ, სიგანე – 3, 0 მ, სიმაღლე – 0, 30 მ (სურ. 7). შიგ ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში წვრილფეხა საქონლის, ცხვრის, მთლიანი ჩონჩხი აღმოჩნდა. სამარხი ორმოს ზომებია სამხრეთ-დასავლეთით 1,70 მ, ჩრდილო-აღმოსავლეთით – 1, 60 მ. მიცვალებული სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, რომელიც, ჩანს, მარჯვენა გვერდზე იწვა, ძლიერ მოკუნტული ფეხებით (სურ. 8). მიცვალებულის პოზის დადგენას ართულებს ის, რომ ზედ ჩონჩხზე მსხვილფეხა საქონლის კიდურების ძვლები აღმოჩნდა, ერთი კოჭი კი თავის ქალაზე იდო. მსხვილფეხა საქონლის სამი კოჭი და კიდურების ძვლები მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩნდა. ამ სამარხის ზომებია – 1,0მ X0,40მ.

ამავე სამარხ ორმოში, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მეორე მიცვალებულის ნაშთი იყო ნაპოვნი, რომელიც მოკუნტული იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს 1,5 ხვიის სასაფეთქლე რგოლი, ძვლის ერთი ბრტყელი მძივი და სპილენძის წვრილი მძივები. თიხის ჭურჭელი სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ელაგა, ერთიმეორის გვერდით. რამდენიმე ჭურჭელი სამარხის ცენტრში იდო. ჭურჭელთან წვრილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა. ცენტრალურ ნაწილში ჭურჭლების ქვეშ ჩვილი ბავშვის ქალა და სხვადასხვა ძვლები იყო ნაპოვნი. ჩონჩხთან აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ექვსი კოჭი და ძვლები.

1. ქილა, თიხის, მოწითალო-მოყავისფრო-მოშავო ფერის, არათანაბრად გამომწვარი, მოცილინდრო ფორმისა, პირისაკენ ოდნავ შევიწროებული, მცირედად გამობერილი მუცლით, ძირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება, ბრტყელი ძირით. პირს ქვემოთ მხარზე მოგრძო შვერილი აქვს.

სიმაღლე – 33,0 სმ, პირის დიამეტრი – 20,5 სმ, მუცლის დიამეტრი 23, 0 სმ, ძირის დიამეტრი – 12, 0 სმ. (სურ. 14).

2. ქილა, თიხის, მოწითალო-მოყავისფრო-მოშავო ფერის, არათანაბრად გამომწვარი, მოცილინდრო ფორმის, პირისაკენ ოდნავ შევიწროებული, მცირედად გამობერილი მუცლით, რომელიც ძირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება, ბრტყელი ძირით. ეტყობა, პირს ქვემოთ აქეთ-იქით მოგრძო შვერილები ჰქონია.

სიმაღლე – 36,0 სმ, პირის დიამეტრი – 23,0 სმ, მუცლის დიამეტრი – 21, 0 სმ, ძირის დიამეტრი – 14, 3 სმ. (სურ. 14).

3. ქილა, მოწითალო თიხის, ნაკლული, მობრტყელო. ძირის დიამეტრი – 11,5 სმ.

4. სასმისი, შავი თიხის, ცილინდრული ფორმის, ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული.

სიმაღლე – 11, 0 სმ, პირის დიამეტრი – 8,8 სმ, ძირის დიამეტრი – 6,0 სმ (სურ. 9).

5. ქილისებრი ჭურჭლის ნატეხები, შავი თიხის, ყელდაბალი, ოდნავ გადაშლილი პირით, მხარზე შემოუყვება ვერტიკალურად ამოღარული ხაზები, რომლებიც ღრმად ამოკვეთილი მოზრდილი წერტილებისგან შემდგარ ხაზებს შორისაა მოქცეული. მხარზე პატარა ყური ჰქონია (სურ. 10).

6. ქილა, შავი თიხის, ოდნავ გადაშლილი პირით, ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ბრტყელი ძირით; ნაკლული. ყელის ძირას ღრმად ნაკვეთი წერტილების ორი მწკრივი შემოუყვება. ასეთივე მწკრივი წერტილებისა მხარზედაც გადასდევს. ზედა და ქვედა მწკრივებს შორის სუსტად ამოღარული ფართო ხაზების გაურკვეველი სახის ორნამენტია მოქცეული. მუცლის დიამეტრი – 26, 0 სმ (სურ. 11).

7. მძივი, სერდოლიკის, მუქი ფერის, ცილინდრული ფორმის, სიგრძე 1,0 სმ, დიამეტრი – 0,6 სმ (სურ. 12).

8. მძივი, თეთრი პასტის, ბრტყელი, მრგვალი. დიამეტრი 1, 1 სმ (სურ. 12).

9. მძივი, პასტის, დიამეტრი – 0,5 სმ (სურ. 12).

10. ეშვი (სურ. 12).

11. სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოსი, ნაკლული.

12. ბრინჯაოს წვრილი მძივი.

13. გიშრის მძივის ნამტვრევები.

„საკირეების“ სამაროვანზე ანაკრებ მასალაში ბლომად ჩნდებოდა შავი თიხის ნატეხები, ზოგჯერ სხვადასხვა ორნამენტით შემკული. გვხვდება უხეში წერტილებით ამოვსებული სამკუთხედები, ნაკაწრი გეომეტრიული ორნამენტი, შედარებით უფრო ნაზი წერტილებით შემკული ფრაგმენტები და სხვ. (სურ. 13).

„საკირეების“ სამაროვანზე გათხრილი ორივე სამარხი ერთნაირი ხასიათის იყო. სამარხი ორმო ზემოდან ქვაყრილით იფარებოდა. როგორც ჩანს, სამარხის ეს ტიპი დამახასიათებელი იყო შიდა ქართლისათვის შუაბრინჯაოს ხანაში. ნულისა[1] და ქვასათალის[2] ამ დროის სამარხებს ზემოდან ქვაყრილი ჰქონდათ. მსგავსი ქვაყრილიანი სამარხები ცნობილია ხაშურის მახლობლად შესწავლილ წაღვლის სამაროვნიდან,[3] გრაკალიდან[4] და სხვ. „დიდი მცხეთის“ ამ დროის თითქმის ყველა სამაროვნისათვის ქვაყრილიანი სამარხებია დამახასიათებელი.[5] შიდა ქართლში ყორღანული ტიპის სამარხები შედარებით იშვიათად გვხვდება. დღემდე ცნობილ ამ ტიპის სამარხებისათვის დაბალი ქვაყრილია დამახასიათებელი. სამთავროს სამაროვნის ყორღანული ტიპის სამარხების ქვაყრილი ერთ მეტრს არ აღემატებოდა.[6] არც მეტეხის ყორღანის ყრილი იყო ერთ მეტრზე მეტი.[7]

---

1 კუფტინის ბ. სამხრეთ ოსეთის 1949 წლის ექსპედიციის დღიური.

2 Джапаридзе О.М., Квасаталский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, Краткие сообщения института материальной культуры, вып. 60, Москва, 1955, стр. 23.

3 რამიშვილი ალ., ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღვლში, თბილისი, 2004, გვ. 110.

4 ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ქართველი ტომების ისტორიისათვის ძვ. წ. II ათასწლეულში, თბილისი, 1969, გვ. 97

5 Садрадзе В., Археологические памятники «Мцхета Великой» эпохи средней бронзы, Тбилиси, 1993, стр. 6, 15, 24, 29.

6 ჩუბინიშვილი ტ., სამთავროს ყორღანული სამარხი 243, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 5.

7 ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, თბილისი, 1965, გვ. 57.

თუ არ ჩავთვლით ნულისა და ქვასათალის კოლექტიურ სამარხებს, სადაც უხვადაა წარმოდგენილი ლითონის იარაღ-სამკაული, შიდა ქართლის ამ დროის სამარხებში ლითონის ნივთები ნაკლებად გვხვდება. სამარხეულ ინვენტარს ძირითადად თიხის ნაწარმი შეადგენს. წაღვლის სამაროვანზე, სადაც ამ დროის თითქმის ასამდე სამარხია გათხრილი, ძირითადად თიხის ჭურჭელი გვხვდება, არაკერამიკული მასალა კი შედარებით ღარიბულადაა წარმოდგენილი. ლითონის იარაღიდან სატევარი, შუბისპირი და ისრისპირი გვხვდება, სამკაულიდან უპირატესად საკინძეები.[1] დაახლოებით ასეთივე ვითარებაა „დიდი მცხეთის" სამაროვნებზედაც. ნატახტრის I სამაროვანზე გათხრილი ოთხი სამარხიდან ბრინჯაოს მხოლოდ ერთი სატევრისპირი და საკინძი აღმოჩნდა.[2] მხოლოდ სამთავროს სამაროვნის ყორღანული ტიპის ორ სამარხში შედარებით უფრო მდიდარი ინვენტარი აღმოჩნდა. ერთ-ერთ მათგანში ნაპოვნი იყო ბრინჯაოს საძგერებელი მახვილი, რაპირა.[3] სადღეისოდ მას ძირითადად თრიალეთის კულტურის გავრცელების სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში ვხვდებით. ამ იარაღის დასავლეთით გავრცელების უკიდურესი საზღვარი სადღეისოდ შუა და ქვემო ქართლის შეყრის ზღურბლზე გადის. საძგერებელი მახვილი შიდა ქართლში არ გვხვდებოდა და არც თრიალეთის „დიდ ბრწყინვალე" ყორღანებშია იგი ცნობილი. მას ძირითადად თითქოს საშუალო შეძლების პირთა სამარხებში ვნახულობთ. ჩვენში ეს იარაღი ლილოს ერთ-ერთ სამარხში[4] და ივრის ხეობაში გათხრილ ყორღანებში აღმოჩნდა.[5] ქვემო ქართლის მიმდებარე მხარეში, სომხეთის მიწა-წყალზე რამდენიმე საძგერებელი მახვილია ცნობილი.[6] სტეპანავანთან ლორი ბერდის სამაროვანზე, სადაც თრიალეთური კულტურის საკმაოდ მდიდრული სამარხები აღმოჩნდა, ერთ-ერთში საძგერებელი მახვილი იყო ნაპოვნი.[7] ერთი მსგავსი იარაღი დაღესტანშიც[8] აღმოჩნდა, რომელიც სამხრეთ კავკასიიდან, ალბათ, საქართველოდან გავრცელდა.

„საკირეების" სამაროვნის ორივე სამარხში სხვადასხვა ხასიათის თიხის ნაწარმოები გვხვდება. აღსანიშნავია I სამარხის ორი მოზრდილი შავპრიალა ყელდაბალი ქილა, შედარებით უკეთ ნაძერწი. ერთ მათგანს მხარზე შემოუყვება საკმაოდ რთული ნაკაწრი გეომეტრიული ორნამენტი. ფორმით და შემკობის ხასიათით ეს ჭურჭელი თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკას უახლოვდება (სურ. 3). ამავე სამარხში ნაპოვნი მეორე მოზრდილი ქილა, რომელსაც მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი ნაწიბური აქვს, კონუსისებრი მოყვანილობის კოპებითაა შემკული. წიბურზე და ყელის ძირზე მას კოპების თითო მწკრივი შემოუყვება. მხარზე კი სამგან ვერტიკალურად ორ-ორი კოპი ჩამოუყვება (სურ. 3). ჭურჭელზე

---

1 რამიშვილი ალ., დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

2 Садрадзе В., დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

3 ლომთათიძე გ., ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბილისი, 1974; ჩუბინიშვილი ტ., დასახ. ნაშრომი, გვ. 22; კალანდაძე ალ., სამთავრო, წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა IV, თბილისი, 1980, გვ. 33.

4 Гогадзе Э.М., Курганные погребения Лило, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXII-B, თბილისი, 1976, გვ. 436.

5 Pizchelauri K., Orthmann W., Der Kurgan, „Tetri Kwebi" I, Georgica, 15, Konstanz, 1992, 15; Jan-Krzysztof Bertram, Konstantin Phicxelauri, Vorbericht zu den Ausgrabungsarbeiten in Udabno (Ostgeorgien) im Jahze 2005, Archaologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 37, 2005, 351.

6 Мартиросян А.А., Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964, стр. 70; Есаян С.А., Оружие и военное дело древней Армении, Ереван, 1966, стр. 78.

7 Devedjian S., Lori Berd, II, Erevan, 2006, стр. 412, рис. 83,1, табл. V, 1.

8 История Дагестана, I, Москва, 1967, стр. 65.

კოპების ამგვარი განლაგება სხვაგან თითქოს ცნობილი არ არის. ფორმით ეს ქილა უახლოვდება „დიდი მცხეთის“ სამაროვნებზე აღმოჩენილ ჭურჭლებს, რომლებსაც მხარზე მსგავსი კოპების ერთი მწკრივი შემოუყვება.[1] თიხის ჭურჭლის სხვადასხვა სახის კოპებით შემკობის წესი საკმაოდ დამახასიათებელი იყო შუაბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით თრიალეთის კულტურაში.[2] ამ სამარხში აღმოჩენილი სხვა ჭურჭელი შედარებით ტლანქადაა ნაძერწი. ცალყურა ქოთანი შავი ფერისაა, რომელიც ემსგავსება სამთავროს შუაბრინჯაოს ხანის სამარხების ჭურჭლებს.[3] ცალყურაა აგრეთვე I სამარხის ტოლჩა და სასმისი მორუხო-მოყავისფრო-მოშავო ფერისა. სასმისი წააგავს ნატახტრის სამარხებში ნაპოვნ ანალოგიურ ჭურჭელს.[4]

II სამარხში აღმოჩენილი დიდი ზომის ორი ქილა უხეშადაა ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი მოყავისფრო-მოშავო ფერისაა, ფართო პირით და მოცილინდრო ფორმის ყელით. მოყვანილობით და ძერწვის ხასიათით ისინი უახლოვდებიან ბ. კუფტინის მიერ ცხინვალის სატყეო კომბინატთან გათხრილ სამარხებში აღმოჩენილ ქილებს (სურ. 14), სადაც, „საკირეების“ მსგავსად, ძირითადად თიხის ჭურჭელია წარმოდგენილი. სატყეო კომბინატის სამარხების ზოგიერთ ჭურჭელს ეტყობა ჩარხის ნაკვალები და ფორმითაც უფრო მომდევნო ხანის თიხის ნაწარმს უახლოვდება.

II სამარხში გამოვლენილი მუცელგამობერილი მოზრდილი ქილა, ჩაღარული ყელით ფორმით უახლოვდება თრიალეთურ ჭურჭელს. მას უხეშად, ღრმად ნაკვეთი წერტილები ამკობს ყელის ძირზე და მხარზე. ფორმით იგი უახლოვდება სამთავროს სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნ ჭურჭელს.[5] ანალოგიური ქილები წაღვლის სამარხებშიც აღმოჩნდა.[6]

როგორც ჩანს, „საკირეების“ სამარხებში სხვა ჭურჭელი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მათ შესახებ რაიმეს თქმა ძნელია. აქ ნაპოვნ ცალკეულ ფრაგმენტებზე სხვადასხვა სახის ორნამენტი გვხვდება – სამკუთხედები, ამოვსებული უხეშად დატანებული წერტილებით, სარტყლები მსგავსი წერტილებით გამოყვანილი ირიბი ხაზებით, ტლანქი, ვერტიკალური და ირიბი ხაზებით. შედარებით უკეთაა შესრულებული გეომეტრიული ორნამენტული სახეები და სხვ. თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი უფრო ფაქიზი წერტილოვანი და ნაკაწრი ორნამენტი ამ კერამიკაზე თითქმის არ გვხვდება. საერთოდ, ამ ხასიათის ორნამენტი შიდა ქართლის თიხის ნაწარმისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. როგორც ჩანს, აქ გავრცელებული ამ დროის თიხის ჭურჭელი თრიალეთური კერამიკის წაბაძვითაა ნაკეთები და ზოგჯერ ინარჩუნებს კიდევაც დამახასიათებელ ფორმას. მაგრამ მაინც მას უკვე დაკარგული აქვს ის სრულყოფილი სახე როგორც ძერწვის ხასიათში, ისე მოყვანილობასა და შემკულობაში, თრიალეთის კულტურისათვის რომ არის დამახასიათებელი.

„საკირეების“ ორივე სამარხში არაკერამიკული ინვენტარი მეტად ღარიბულადაა წარმოდგენილი. სხვადასხვა მასალის მძივები უპირატესად პასტისაა. გვხვდება თითო-ოროლა სერდოლიკის და გიშრის მძივი. ძვლის ორი გახვრეტილი საკიდი და ერთი ეშვი ბავშვების ჩონჩხებიანად აღმოჩნდა. ლითონის ნივთებიდან ნაპოვნი

---

1 Садрадзе В., დასახ. ნაშრომი, ტაბ. XVI, 6; XXVIII, 10.
2 ჯაფარიძე ო., დასახ. ნაშრომი, გვ. 103.
3 Садрадзе В., დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXVII.
4 იქვე, ტაბ. XV, 3.
5 იქვე, გვ. 9, ტაბ. V, 5.
6 რამიშვილი ალ., დასახ. ნაშრომი, გვ. 134, ტაბ. IX.

იყო სასაფეთქლე რგოლის ფრაგმენტები, რამდენიმე წვრილი მძივი და ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულის თავგადადებული სამაჯური (სურ. 5). შიდა ქართლში შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში წვრილი მავთულის თავგადადებული სამაჯურები შედარებით იშვიათადაა წარმოდგენილი. უპირატესად გვხვდება სხვადასხვა განივკვეთის თავგახსნილი სამაჯურები. ხაშურის ნაცარგორაზე ბოლოებგადადებული სამაჯური მხოლოდ ორი აღმოჩნდა. ნულისა და ქვასათალის სამაროვნებზე უპირატესად თავებგახსნილი სამაჯურები გვხვდება.[1] ძვირფასი ლითონის სამაჯურები თრიალეთის კულტურაში ცნობილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლში, თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ ხანაში ისეთივე ვითარება ჩანს, როგორიც წინარე ბედენის კულტურის დროს გვხვდება. აქ არც ბედენის ხანაშია წარმოდგენილი დიდი ზომის ყორღანული სამარხები, რომელშიც საზოგადოების ელიტარული ნაწილი იმარხებოდა.[2] საგულისხმოა, რომ მესხეთში, სადაც შუაბრინჯაოს ხანაში ძირითადად განსხვავებული ტიპის ყორღანული სამარხებია წარმოდგენილი და ინვენტარიც თავისებური ხასიათისაა, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება თრიალეთისათვის დამახასიათებელი ქვაყრილიანი ყორღანები და ნივთიერი მასალა.[3] იგივე ჩანს აგრეთვე შიდა ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ივრის ხეობაში, სადაც ამ დროის საკმაოდ პრესტიჟული სამარხები აღმოჩნდა.[4] რატომ არ გვხვდება შიდა ქართლში ყორღანული კულტურის ხანაში ელიტარული სამარხები და რატომაა აქ უფრო მეტად რიგით წევრთა საფლავები წარმოდგენილი, გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. ეტყობა, შიდა ქართლი, მისი ვაკე და მთა თრიალეთელისათვის ნაკლებ მიმზიდველი იყო. იგი უფრო მეტად მცირე კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს ეტანება. შუაბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში სოფლის მეურნეობა, ჩანს, უფრო მიწათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული; მცირე კავკასიონის მთიან პლატოებზე კი ეკონომიკაში მესაქონლეობა იყო, ალბათ, წამყვანი, რომელიც მეტ ნამატ პროდუქტს იძლეოდა. აქვე იყო ნედლეული რესურსები – სპილენძი, ოქრო და სხვ. ამან განაპირობა, ალბათ, ადგილობრივი ელიტის აღზევება. თითქოს ისე ჩანს, რომ როდესაც თრიალეთური კულტურა კარგავს თავის ბრწყინვალებას, ამ დროიდან იწყება შიდა ქართლის უფრო ინტენსიურად ათვისება. თრიალეთის კულტურის დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ეკოლოგიურ ცვლილებებთანაც იყო დაკავშირებული, რამაც მეურნეობის ხასიათზე იქონია გარკვეული გავლენა. ეტყობა, იზღუდება მცირე კავკასიონის მაღალმთიანი ველების საძოვრების შესაძლებლობა, რომლებიც, ჩანს, ველარ აკმაყოფილებდნენ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს. შესაძლოა, ამანაც განაპირობა შიდა ქართლის უფრო ინტენსიურად ათვისება თრიალეთის კულტურის მიწურულ ხანაში.

როგორც ჩანს, შიდა ქართლში ყორღანული კულტურის არსებობის მთელ მანძილზე ეკონომიკასა და სოციალურ ორგანიზაციაში მაინცდამაინც საგრძნობი ცვლილებები არ შეინიშნება. აქ, თრიალეთთან შედარებით, ლითონის წარმოება, მეთუნე-

---

1 Джапаридзе О.М., დასახ. ნაშრომი, გვ. 27; Куфтин Б.А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, табл. XVII, 4.

2 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში, გვ. 94.

3 ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა., მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბილისი, 1981, გვ. 161.

4 დედაბრიშვილი შ., რუსეიშვილი რ., სადუღას ველის შუაბრინჯაოს ხანის 2 გორასამარხი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, VII, თბილისი, 1984, გვ. 56.

ობა და ხელოსნობის სხვა დარგები უფრო დაბალ დონეზე უნდა მდგარიყო. ძვირფას ლითონის ნაწარმზე მოთხოვნილება, ჩანს, ნაკლები იყო. საზოგადოების ელიტარული ფენა აქ ჯერ კიდევ, ეტყობა, ჩამოყალიბებული არ უნდა ყოფილიყო. სწორედ აღმატებულ რანგს მიღწეული მოსახლეობის ნაწილი ეტანება უფრო მეტად ძვირფასი ლითონის ნაწარმს.


ექსპედიციის მიერ „საკირეების“ სამაროვანზე გათხრილი ორივე სამარხი თანადროული უნდა ყოფილიყო და შუაბრინჯაოს ხანის გვიანდელ პერიოდს, უფრო კი მომდევნო ხანაზე გარდამავალ საფეხურს მიეკუთვნება. ამის ვარაუდის საფუძველს თითქოს „საკირეების“ II სამარხში აღმოჩენილი ცხინვალის სატყეო კომბინატის სამარხების ანალოგიური ქილები იძლევა. სატყეო კომბინატში ამ ჭურჭელთან ერთად გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ჩარხზე დამზადებული კერამიკა იყო ნაპოვნი. ბ. კუფტინს, სამწუხაროდ, ამ სამარხების გამოქვეყნება აღარ დასცალდა, მაგრამ თავის საველე დღიურში ავნევის ყორღანის თარიღთან დაკავშირებით აღნიშნული აქვს, რომ იგი წინ უნდა უსწრებდეს სატყეო კომბინატთან აღმოჩენილ კომპლექსს და შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს უნდა მიეკუთვნებოდეს.[1] ალბათ, ამავე დროისა უნდა იყოს „საკირეების“ სამარხებიც. საგულისხმოა, რომ შიდა ქართლში შესწავლილი შუაბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა ძეგლი გვიან საფეხურს მიეკუთვნება. შუაბრინჯაოს გვიანი ეტაპით თარიღდება „დიდი მცხეთის“ თითქმის ყველა სამაროვანი.[2] ამავე დროისაა წაღვლში შესწავლილი სამარხები.[3] თავის დროზე ბ. კუფტინმა ნულის კოლექტიური სამარხები შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მიჯნას მიაკუთვნა, თრიალეთის გვიანდელ ყორღანებს გაუტოლა და ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებით დაათარიღა.[4] თრიალეთის გვიანი, III ჯგუფის ძეგლებს, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ავლენდნენ შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის მასალებით, ამ პერიოდის დასასრულს, ძვ. წ. 1600-1450 წლებს მიაკუთვნებენ.[5] შუაბრინჯაოს ხანის დასასრულითაა დათარიღებული კასპის ყორღანი.[6] თრერის შუაბრინჯაოს ხანის სამარხები გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება.[7] სავარაუდოა, რომ „საკირის“ სამაროვნის სამარხები ალბათ ძვ. წ. XVI-XV საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

---


1 ბ. კუფტინის სამხრეთ ოსეთის 1949 წლის ექსპედიციის დღიური.
2 Садрадзе В., დასახ. ნაშრომი, გვ. 20, 55.
3 რამიშვილი ალ., დასახ. ნაშრომი, გვ. 41, 79.
4 Куфтин Б.А., დასახ. ნაშრ., გვ. 51.
5 გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი 1972, გვ. 69.
6 ბარამიძე ბ., დასახ. ნაშრომი, გვ. 61.
7 თბილისი I, თბილისი, 1978, გვ. 67.



სურ. 1



სურ. 2




სურ. 3




სურ. 4




სურ. 5



სურ. 6




სურ. 7



სურ. 8




სურ. 9



სურ. 10




სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14

ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი პირველყოფილი ეპოქის სათავეებთან*

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მთაგორიანი ქვეყანაა; ვაკე-დაბლობს მხოლოდ ერთი მეოთხედი უკავია, რომელიც ძირითადად ზღვის სანაპირო ზოლს მოუყვება.[1] ენგურს ზემოთ კოლხეთის დაბლობი თითქმის სოხუმამდე აღწევს, შემდეგ კი დასავლეთით ზღვის სანაპირო ნაწილი თანდათანობით ვიწროვდება და მთის ზოლი აუყვება ზღვას. ბუნებრივი პირობების განსხვავებული ხასიათის გამო კოლხეთის ეს რეგიონი უძველესი ისტორიის თითქმის მთელ მანძილზე გარკვეული თავისებურებით გამოირჩეოდა. აქ გადიოდა ჩრდილოეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი ძირითადი გზა და კოლხეთის ამ მხარეში უძველეს ხანაში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებით საყურადღებოა. კაცობრიობის ისტორიის ადრეულ საფეხურზე გეოგრაფიული გარემო მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ადამიანის ცხოვრების პირობებს. საერთოდ ამ დროს სამხრეთ კავკასიაში პირველყოფილი ადამიანის არსებობისათვის ხელსაყრელი გარემო ჩამოყალიბდა. ამიტომაცაა, რომ უძველესი ჰომო ადრე ითვისებს კავკასიის სამხრეთ ნაწილს. კლიმატი, საკვების მრავალფეროვნება, წყლის რესურსების სიუხვე, იარაღისათვის საჭირო ქვის მასალის სიმდიდრე, ბუნებრივი თავშესაფრების სიმრავლე უაღრესად კარგ გარემოს ქმნიდა მისი არსებობისათვის. დმანისის ნაქალაქარზე უძველესი ადამიანის ნაშთების აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად დააყენა კავკასიაში და საერთოდ ევრაზიის სივრცეში მისი პირველი გამოჩენის საკითხი.[2] სამხრეთ კავკასიაში დმანისელი ადამიანი უნდა გამოჩენილიყო დაახლოებით 1700000 წლის წინათ.[3] მაგრამ ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის მისი აქ გავრცელების, ცხოვრების ხანგრძლივობის და საერთოდ არსებობის შემდგომი ბედი. დმანისის სადგომს მომდევნო ხანის ძეგლებიდან სამხრეთ კავკასიის მიწა-წყალზე სულ ცოტა ერთი მილიონი წელი აშორებს. სწორედ ამ დროს, ადრეაშელის ხანაში, პირველყოფილი ადამიანი ინტენსიურად ითვისებს ამ რეგიონს. როგორც ჩანს, სამხრეთიდან მისი გავრცელების ერთ-ერთი გზა შავი ზღვის სანაპირო ზოლს მიუყვებოდა.

აშელის ხანაში ადამიანი აქტიურად სახლდება კოლხეთში, სადაც ძველი ქვის ხანის მთელ მანძილზე კარგი პირობები უნდა არსებულიყო ცხოვრებისათვის. იგი ინტენსიურად სახლდება კოლხეთის გორაკბორცვოვან ნაწილში და ჩრდილო-დასავლეთ მხარეში.[4] ნიშანდობლივია, რომ დმანისის ეპოქალურ აღმოჩენამდე სწორედ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში იყო გამოვლენილი უადრესი ხანის სადგომი სოხუ-

---

* დაიბეჭდა კრებულში: თამარ გამსახურდია 70, თბ., 2007.

1 საქართველოს გეოგრაფია, I, თბილისი, 2000, გვ. 284.

2 საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო, თბილისი, 2000, გვ. 21

3 ლორთქიფანიძე დ., ვეკუა ა., დმანისის ნამარხი ადამიანის ადგილი უძველესი ჰომინიდების სისტემაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 353, თბილისი, 2006. გვ. 174.

4 Любин В.П., Ашельская эпоха на Кавказе, Санкт.-Петербург, 1998. стр. 13.

მის მახლობლად, იაშთხვაში.[1] საერთოდ ეს მხარე აქტიურადაა ათვისებული აშელის ხანის ადამიანის მიერ, რომელიც უპირატესად ღია სადგომებში ბინადრობს.[2]

ამ დროს ინტენსიურადაა დასახლებული ჩრდილო-დასავლეთ კავკასია, ყუბანისპირეთი. აქ მოპოვებული აშელური ხანის მასალა უახლოვდება კოლხეთის ძეგლებზე გამოვლენილ ქვის ინვენტარს. როგორც ჩანს, ყუბანისპირეთში პირველი მოსახლეობა ძირითადად შავიზღვისპირეთის გზით, კოლხეთზე გავლით ვრცელდება.[3]

კიდევ უფრო ფართოდ კავკასია და კერძოდ საქართველოს მიწა-წყალი მომდევნო, მუსტიეს ხანაშია ათვისებული. ამ დროს კოლხეთში, განსაკუთრებით მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ცენტრალურ რეგიონში, რიონ-ყვირილას აუზში, იმერეთში, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებისათვის.

მუსტიეს ხანის ქვის ინდუსტრიაში აშკარად შეინიშნება გენეტიკური კავშირი წინარე, აშელის ეპოქის ინვენტართან.[4] არასტაბილური კლიმატური პირობების გამო მუსტიეს დროს ადამიანი საცხოვრებლად ფართოდ იყენებს ბუნებრივ თავშესაფრებს – გამოქვაბულებს, ეხებს, ფარდულებს და სხვა.[5] მუსტიერული ხანის ძეგლებიდან ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში აღსანიშნავია აპიანჩას გამოქვაბული, ბზიბის ეხი, იაშთხვას, კელასურის, ოჩამჩირეს და სხვ. ღია სადგომები. ამ დროს ფართოდაა ათვისებული აგრეთვე მიმდებარე სოჭი-ადლერის მხარე, სადაც ახშტირის, ვორონცოვის, ხოსტის და სხვ. გამოქვაბულების ძირა ფენებში კარგადაა წარმოდგენილი მუსტიეს ხანის მასალა. ამ დროს ჩანს, მკვეთრად იმატა მოსახლეობის რიცხვმა და საქართველოს მიწა-წყალი, მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეები საკმაოდ ინტენსიურადაა დასახლებული. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიაში, აშელ-მუსტიეს ეპოქაში ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობდა.[6] როგორც ჩანს, ქვედა პალეოლითის ბოლოსათვის აქ პირველყოფილი ადამიანის საკმაოდ პროგრესული ფორმა ბინადრობდა, რომელიც ახლოს იდგა მახლობელ აღმოსავლეთში ამ დროის ე.წ. პალესტინელ ადამიანთან. აღსანიშნავია სოჭის მხარეში ახშტირის გამოქვაბულის გვიანმუსტიერულ ფენაში ნაპოვნი განათხარი ადამიანის ძვლოვანი ნაშთები, რომლის ასაკი ძვ. წ. 35000 ± 2000 წლებით განისაზღვრა. აღინიშნა, რომ ახშტირის ადამიანი ახლო იდგა თანამედროვე ტიპის ადამიანთან – Homo sapiens-თან.[7] გამოითქვა ვარაუდი, რომ წინა აზია, სამხრეთ კავკასიის ჩათვლით, ერთ-ერთი ის რეგიონი უნდა ყოფილიყო, სადაც თანამედროვე ტიპის ადამიანი უნდა ჩამოყალიბებულიყო.[8] კოლხეთში გვიანმუსტიერულ ხანაში, ჩანს, საკმაოდ აქტიური ცხოვრება მიმდინარეობდა, რომელიც არც მომდევნო, ზედა პალეოლითის დროს შენელებულა.

ზედა პალეოლითში კავკასიაში მკვეთრად იცვლება კლიმატური პირობები; საგრძნობლად აცივდა, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა გარე სამყაროზე, ფლო-

---

1 Замятнин С.Н., Палеолит Абхазии, Сухуми, 1937, стр. 82.
2 Любин В.П., Ашельская эпоха на Кавказе, Санкт.-Петербург, 1998, стр. 136.
3 Формозов А.А., Каменный век и энеолит Прикубанья, Москва, 1965, стр. 27.
4 Любин В.П., Мустьерские культуры Кавказа, Ленинград, 1977,стр. 197.
5 Любин В.П., Ашельская эпоха на Кавказе, Санкт.-Петербург, 1998, стр. 171.
6 საქართველოს არქეოლოგია, I, თბილისი, 1991, გვ. 128.
7 Векилова Е.А., Зубов А.А., Антропологические остатки из мустьерских слоев Ахштырской пещеры, Краткие сообщения института археологии, вып. 134, Москва, 1972, стр. 62.
8 Григорьев Г.П., Начало верхнего палеолита и происхождение Homo sapiens, Ленинград, 1968, стр. 31

რასა და ფაუნაზე. სრულიად გადახალისდა ცხოვრების ხასიათი; ადამიანი ტოვებს შედარებით ცივ სარტყელს და საცხოვრებლად უფრო ზომიერ ადგილებს ირჩევს.[1] ამ დროს კავკასიაში საგრძნობლად კლებულობს განსახლების არე და მოსახლეობის ძირითადი მასა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში იყრის თავს, უპირატესად მის დაბლობ ადგილებში და მთისწინა ზოლში. აღმოსავლეთ საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი ზედა პალეოლითის ხანაში, ჰავის გამკაცრების გამო, ნაკლებადაა დასახლებული. კოლხეთში ამ დროს ადამიანი ინტენსიურად ითვისებს მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს და რიონ-ყვირილის აუზს, სადაც ცხოვრებისათვის მეტად ხელსაყრელი გარემო არსებობდა. აქ მრავლად იყო ბუნებრივი თავშესაფრები – გამოქვაბულები, ეხები, ფარდულები და სხვ., უხვად მოიპოვებოდა საკვები პროდუქტები და ქვის იარაღებისათვის საჭირო მასალა.

ზედა პალეოლითის ჩამოყალიბების პროცესი დასავლეთ ამიერკავკასიაში ადგილობრივ მუსტიეს საფუძველზე მიმდინარეობდა. აქ კარგადაა წარმოდგენილი ქვედადან ზედა პალეოლითის ხანაზე გარდამავალი ძეგლები. კოლხეთში ერთ-ერთი რეგიონი, სადაც ზედა პალეოლითური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა, მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უნდა ყოფილიყო.[2] აქ ზოგიერთ მრავალფენიან გამოქვაბულში კარგადაა წარმოდგენილი ადრეზედაპალეოლითური მასალა. სვანთა სავანის, აპიანჩას და სხვა. გამოქვაბულებში მუსტიეს ფენის თავზე ზედა პალეოლითის ადრეული ხანის ნაშთები აღმოჩნდა. განსაკუთრებით ინტენსიურად ზედა პალეოლითის ხანაში დასახლებულია მდ. კოდორის ხეობა, რომელიც მდიდარია ბუნებრივი თავშესაფრებით. სწორედ აქაა გამოვლენილი ამ დროის უაღრესად საყურადღებო ძეგლები – აპიანჩა,[3] სვანთა სავანე,[4] ქვაჭარა[5] და სხვ. ჩანს, ადამიანი კოლხეთის ამ ნაწილში აქტიურ ცხოვრებას ეწევა ზედა პალეოლითური ხანის მთელ მანძილზე. აქ გამოვლენილი ამ დროის მასალები ბევრ საერთოს ნახულობს რიონ-ყვირილის აუზის ძეგლებთან და ერთ, ე.წ. იმერული კულტურაში ერთიანდებიან.[6] ახლოსაა მათთან აგრეთვე სოჭი-ადლერის მხარის – ახშტირის, აცის, ნავალიშენის, ვორონცოვის და სხვ. გამოქვაბულებში გამოვლენილი ინვენტარი. როგორც ჩანს, ზედა პალეოლითში არ შეწყვეტილა ჯერ კიდევ წინარე ხანაში ჩასახული ახლო ურთიერთობა მოსაზღვრე, ყუბანისპირეთის მხარესთან. ეტყობა, ეს რეგიონი ამ დროს იმერული კულტურის საკმაოდ საგრძნობ გავლენას განიცდიდა. ეს კარგად შეინიშნება ქვის ინვენტარში.[7]

---

1 Долуханов П.М., Проблема антропогенеза, Москва, 1979, стр. 101

2 Формозов А.А., Проблема этнокультурной истории каменного века на территории европейской части СССР, Москва, 1977, стр. 41.

3 საქართველოს არქეოლოგია, I, თბილისი, 1991, გვ. 164.

4 იქვე, გვ. 157.

5 წერეთელი ლ., მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბილისი, 1973, გვ. 394.

6 Бадер Н.О., Различие между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока, Археологи Старого и Нового света, Москва, 1966, стр. 137.

7 Паничкина М.З., Векилова Е.А., Исследование Ахштырской пещеры в 1961 году, Краткие сообщения института археологии, вып. 92, Москва, 1962, стр. 37; Коробков И.И., Разведочные работы в хостинской пещере в 1961 году, Краткие сообщения института археологии, вып. 92, Москва, 1962, стр. 48; წერეთელი ლ., მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბილისი, 1973, გვ. 97.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში კარგადაა წარმოდგენილი ზედაპალეოლითური ხანის ფინალური სტადია ოქუმის, აპიანჩას და ცივ მღვიმეში. აპიანჩას გამოქვაბულის ამ ხანის ფენისათვის ორი თარიღია ცნობილი – 17.300 ± 500 წელი და 14.640 ± 350 წელი.[1] აპიანჩას და ცივ მღვიმის მასალებში კარგად შეინიშნება მომდევნო მეზოლითურ ხანაზე გადაზრდა. ეს ინვენტარი ბევრ საერთოს ნახულობს ყვირილის აუზში, გვარჯილას კლდეში მოპოვებულ მასალებთან.[2]

ამრიგად, ზედა პალეოლითის მთელ მანძილზე სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობდა, რასაც ამ ხანის სადგომებზე გამოვლენილი კულტურული ფენების სიძლიერე მოწმობს. აქ ამ დროს ერთიანი ე.წ. იმერული კულტურა იყო გავრცელებული. ჩანს, აქ შედარებით შეზღუდული არე იყო ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საცხოვრისი, სადაც მიმდინარეობდა ალბათ საერთო-კავკასიური ენობრივი და ეთნიკური ერთობის წარმოქმნის პროცესი[3]. კოლხეთის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რეგიონი მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი იყო დასავლეთიდან მიმდგომი მხარით.

ზედა პალეოლითის ბოლოსათვის კავკასიაში საგრძნობლად იცვლება კლიმატური პირობები. დასრულდა გამყინვარების პერიოდი და თანამედროვე ხანა, ჰოლოცენი დგება. სითბოს საგრძნობლად მომატებამ, ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესებამ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე, ლანდშაფტზე.[4] თითქმის სრულიად გადახალისდა ადამიანის ცხოვრების პირობები, მისი მეურნეობის ხასიათი და ძველი ქვის ხანიდან ახალ ქვის ხანაზე, ნეოლითზე, გარდამავალი ეპოქა – მეზოლითი დგება.[5] კავკასიის მეზოლითი ზედა პალეოლითური კულტურის ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო.[6] ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში კარგადაა ცნობილი პალეოლითიდან მეზოლითზე გარდამავალი ხანის ძეგლები,[7] სადაც კარგად შეინიშნება გენეტიკური კავშირი წინარე ეპოქასთან.[8]

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მეზოლითის დროს, ჩანს, აქტიურად გრძელდება ცხოვრება. აქ გამოვლენილ ზოგიერთ ძეგლზე ზედაპალეოლითური ხანის ფენის თავზე მეზოლითური დროის მასალები აღმოჩნდა.[9] კარგადაა წარმოდგენილი მეზოლითი აპიანჩას, ქვაჭარის გამოქვაბულებში, ჯამპალის ეხში, ცივ მღვიმეში, იაშთხვაში და სხვ. ადრემეზოლითური ხანისაა ქვაჭარის და ენწერის ძეგლებზე მოპოვებული მასალა.[10] აქ გამოვლენილი ქვის ნაწარმი ახლოს დგას ზედა პალეოლი-

---

1 Церетели Л.Д., Клапатовская Н.Б., Куренкова Е.Н., Многослойный памятник Апианча (Абхазия), Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, стр. 203.

2 იქვე, გვ. 204.

3 Джапаридзе О.М., На заре этнокультурной истории Кавказа, Тбилиси, 1989, стр. 91.

4 Ермолова Н.М., Формирование мезолитической культуры в связи с природной обстановкой, Краткие сообщения института археологии, вып. 149, Москва, 1977, стр. 18.

5 ქადაგიძე ნ., ჰოლოცენის და მეზოლითური კულტურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, არქეოლოგიური კრებული, II, თბილისი, 1998, გვ. 16.

6 Формазов А.А., Обзор исследования мезолитических стоянок на Кавказе, Советская археология, Москва, 1963, стр. 68.

7 თუშაბრამიშვილი დ., გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბილისი, 1960, გვ. 157.

8 ნებიერიძე ლ., დარკვეთის მრავაფენიანი ეხი, თბილისი, 1978, გვ. 34.

9 Джапаридзе О.М., На заре этнокультурной истории Кавказа, Тбилиси, 1989, стр. 73.

10 წერეთელი ლ., მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბილისი, 1973, გვ. 105.

თური ხანის ინვენტართან, განსაკუთრებით გვარჯილის კლდის მასალასთან.[1] ადრე მეზოლითს მიეკუთვნება სოჭის მხარეში, ახშთირის, ნავალიშენის, აცის გამოქვაბულებში აღმოჩენილი მასალები, რომლებიც ბევრ საერთოს ნახულობენ ქვაჭარის ინვენტართან[2]. გვიან მეზოლითური ხანისაა ჯამპალის ეხში და ცივ მღვიმეში გამოვლენილი ქვის იარაღები[3]. განსაკუთრებით აღსანიშნავია აპიანჩას მრავალფენიან გამოქვაბულში ნაპოვნი მეზოლითის ფინალური სტადიის მასალა, რომელიც ზედა პალეოლითის და ნეოლითის ფენებს შორის აღმოჩნდა.[4]

ასეთ შორეულ ეპოქაში ეთნიკური პროცესების მიმდინარეობის შესახებ ახლა ძნელია გარკვევით რაიმეს თქმა. მაგრამ ძველი ქვის ხანის მთელ მანძილზე სამხრეთ კავკასიაში ინტენსიურად ცხოვრობს ადამიანი. კლიმატის მერყეობა უთუოდ მოქმედებდა მისი ცხოვრების პირობებზე, რაც განსაკუთრებით იგრძნობა გამყინვარების ბოლო პერიოდში. ამ დროს საგრძნობლად შეიზღუდა განსახლების არეალი და კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ინტენსიურად ითვისებს სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილს, სადაც ამ დროს ხელსაყრელი გარემო შეიქმნა ცხოვრებისათვის. მოსახლეობის შედარებით ვიწრო არეალში კონსოლიდაცია მათ დაახლოებას უწყობდა ხელს, რასაც ე.წ. იმერული კულტურის საერთო ხასიათი მოწმობს. ჩანს, ამ დროს ერთიანი საკონტაქტო ფუძე-ენა უნდა წარმოქმნილიყო, რომელიც საფუძვლად დაედო ალბათ კავკასიური ენების ყველა ოჯახს.

ძველი ქვის ხანის დასასრულს, მეზოლითის დროს იმატა სითბომ და კავკასიაში ცხოვრებისთვის კვლავ შეიქმნა ხელსაყრელი გარემო. მეზოლითის ხანაში ისევ ფართოდ სახლდება თითქმის მთელი კავკასია. ამ დროს, ჩანს, იხსნება ჩრდილოეთიდან დამაკავშირებელი გზები და კავკასიის შიგნით იწყება საკმაოდ აქტიური მიგრაციული პროცესები. ერთ-ერთი გზა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთზე გადიოდა. ამ პერიოდში მკვეთრად იმატა მოსახლეობის რიცხვმა და იზრდება მოთხოვნილება თავისუფალი მიწების ათვისებისა. ახალ სივრცეებზე განფენას კულტურის ერთიანი ხასიათის დაშლა უნდა გამოეწვია, რასაც კავკასიის რელიეფის სიჭრელეც უწყობდა ხელს. კავკასიის მეზოლითში უკვე მკვეთრად გამოყოფილი რამდენიმე ლოკალური ხასიათის კულტურები წარმოიქმნა. ერთ-ერთი მათგანი ამიერკავკასიას მოიცავდა, რომელშიც რამდენიმე ვარიანტი შეინიშნება. საქართველოს მიწა-წყალზე ამ დროს თავისებური ჯგუფის ძეგლები შავიზღვისპირეთის რეგიონში იყო გავრცელებული. კავკასიის მეზოლითის შიგნით მიმდინარე რღვევის პროცესი შესაძლოა ასახავდეს ეთნოკულტურულ ერთობაში დაწყებულ ცვლილებებს. ეს მოვლენები ალბათ ენაზედაც აირეკლა და იწყება საერთო-კავკასიური ენობრივი ერთობის თანდათანობითი დაშლა. მეზოლითის ბოლოსათვის, ნეოლითის დასაწყის ხანებში, ძვ.წ. IX-VIII ათასწლეულებში, ჩანს, კავკასიის ლინგვისტურ-ეთნოკულტურული ერთობის დანაწევრების პროცესი დასრულებული უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ ისახება კავკასიური ენების ყველა ძირითადი ოჯახი: აფხაზურ-ადიღეული, ნახურ-დაღესტნური და ქართველური და იფარგლება მათი გავრცელების ძირითადი ზონები. თუმცა ენობრივი

---

1 ლ. წერეთელი, მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბილისი, 1973, გვ. 97.

2 იქვე.

3 იქვე, 105.

4 Церетели Л.Д., Работы кодорской экспедиции по изучению эпохи камня, Археологические открытия 1985 года, Москва, 1987, стр. 541.

მონაცემების საფუძველზე განსხვავებული აზრიცაა გამოთქმული და ეჭვქვეშაა დაყენებული სამხრეთკავკასიური (ქართველური) და ჩრდილოკავკასიური ენების ერთი ძირიდან მომდინარეობის, მათი მონათესაობის იდეა.[1]

ახალი ქვის ხანის, ნეოლითის, დროს ძირეული ცვლილებები მოხდა კაცობრიობის ისტორიაში. დასრულდა ძველ ქვის ხანაში გავრცელებული მითვისებითი მეურნეობის ხანგრძლივი პერიოდი და საფუძველი ეყრება ახალ ეკონომიკურ სისტემას – მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. მკვეთრად იცვლება ცხოვრების ხასიათი, ადამიანი მყარად მკვიდრდება საცხოვრებელ ადგილზე და ჩნდება სოფლის ტიპის დასახლებები ხელოვნურად ნაგები საცხოვრებელი შენობებით. წარმოებითი მეურნეობის განვითარებისათვის კავკასიაში ხელსაყრელი პირობები არსებობდა. ჩანს, გვიანმეზოლითის დროს ეკონომიკის არსებული ფორმა ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოსახლეობას საკვები პროდუქტებით და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ერთ-ერთი საშუალება ახალი სახის მეურნეობაზე გადასვლა იყო. კავკასიის ნეოლითი, როგორც არქეოლოგიური ფაქტები მოწმობს, ადგილობრივი მეზოლითური კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო. ნეოლითის დროს ადამიანი საცხოვრებლად ზოგჯერ იყენებს ბუნებრივ თავშესაფრებს, სადაც კულტურულ ფენებში კარგად ფიქსირდება მეზოლითიდან ადრენეოლითის ხანაზე გადასვლა. მათ შორის გენეტიკური კავშირი განსაკუთრებით ქვის ინდუსტრიაში შეიმჩნევა.

ნეოლითის ხანაში თითქმის მთელი კოლხეთი, განსაკუთრებით მისი მთისწინა ზოლი ინტენსიურადაა დასახლებული. ნეოლითის დადგომისას პირველი მოსახლეები ჩნდებიან კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომელიც ძველი ქვის ხანის მთელ მანძილზე თითქმის დაუსახლებელი იყო. ამ დროს აქტიური ცხოვრება გრძელდება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში როგორც ღია სადგომებზე, ისე გამოქვაბულებში. აქ აღსანიშნავია მრავალფენიანი გამოქვაბულები – აპიანჩა და ცივი მღვიმე, სადაც კარგად დასტურდება მეზოლითიდან ნეოლითზე გადაზრდა.[2] ადრენეოლითური ხანის ღია სადგომი აღმოჩნდა წებელდის მახლობლად, სოფ. ზემო ლემსაში.[3] ნეოლითური კულტურის გარიჟრაჟზე კოლხეთში წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის პირველი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ეკონომიკაში წამყვანი ადგილი ჯერ კიდევ მეურნეობის ძველ ფორმებს ეკავა, რასაც აპიანჩაში და ცივ მღვიმეში გარეული ფაუნის ნაშთების სიუხვე მოწმობს. აღსანიშნავია, რომ ცივი მღვიმის ადრენეოლითურ ფენაში გარეული ფეტვის დანახშირებული მარცვლები აღმოჩნდა.[4] სავარაუდოა, რომ კოლხეთის კლიმატური გარემოს, მომატებული სინოტივის გამო, კულტურული მცენარის ძირითადი სახეობა ფეტვი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ამ ენდემური მცენარის სპეციალიზებულმა შეგროვებამ მის დომესტიკაციას შეუწყო ხელი. ფეტვისმაგვარი მცენარის მოშინაურებისათვის აქ ხელსაყრელი პირობები არსებობდა და იგი ერთ-

---

1 მაჭავარიანი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 6; Гамкрелидзе Т. В., Современная диахроническая лингвистика и картвельские языки, Вопросы языкознания, II, 1971, стр. 43; Николаев С.Л., Старостин С.А., Северокавказские языки и их место среди древних языков Передней Азии, Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока, Часть 3, Москва, 1984, стр. 29.

2 საქართველოს არქეოლოგია, I, თბილისი, 1991, გვ. 233.

3 Воронов Ю. Н., Ранненеолитические поселения у с. Цебелда, Советская археология, 4, Москва, 1977, стр. 177.

4 Соловьев Л. Н., Об итогах археологических раскопок в гроте Хупынипшахва в 1960 г., Тр. Абхазского института языка, литературы и истории, т. XXXII, Сухуми, 1961, стр. 194.

ერთი უძველესი კულტურა უნდა ყოფილიყო. სამხრეთ კავკასიის ძეგლებზე ხშირად გვხვდება ფეტვის ნარჩენები და, ჩანს, ამ მცენარეს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა წარმოებით მეურნეობაში[1]. აპიანჩაში და ცივ მღვიმეში ნაპოვნი სამკალი დანის კაჟის ჩასართები, ხელსაფქვავები და სხვ. ეგებ კულტურული მცენარეულობის მოსამკელად და დასამუშავებლადაც გამოიყენებოდა. ადრენეოლითში, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, ჩანს, მეთევზეობასაც სათანადო ადგილი ეკავა მეურნეობაში, რასაც ზემოთ ნახსენებ გამოქვაბულებში მრავლად გამოვლენილი ორაგულის და სხვა თევზების ნაშთები უნდა მოწმობდეს. ეტყობა, ამ პერიოდში მთელ კოლხეთში შერეული ხასიათის მეურნეობა იყო გავრცელებული და ეკონომიკის ძველი და ახალი ფორმები სავსებით აკმაყოფილებდა მოსახლეობას საკვები პროდუქტებით.

კიდევ უფრო ფართოდ კოლხეთი ათვისებულია ნეოლითური კულტურის უფრო მოგვიანო ხანაში. როგორც ჩანს, ახალი ეკონომიკური სისტემა საკმაოდ ეფექტური გამოდგა, რის შედეგადაც საგრძნობლად იმატა მოსახლეობის რიცხვმა. ამ დროს ინტენსიურადაა დასახლებული კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარე. ისტორიულ სამურზაყანოს მიწა-წყალზე საკმაოდ მოზრდილი სამი ნამოსახლარი იყო გამოვლენილი – ღუმურიში, ჩხორთოლი და გალი I, რომლებიც ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდებარეობდნენ.[2] ნამოსახლარებზე შენობების არავითარი კვალი არ შეინიშნებოდა. ღუმურიშის ნამოსახლარზე სრულიად არ გვხვდება თიხის ჭურჭელი. იგი, ჩანს, ადრენეოლითიდან გვიანდელ საფეხურზე გარდამავალი ხანისა უნდა იყოს, რაც კარგად შეინიშნება კიდეც ქვის იარაღზე.[3] რამდენადმე უფრო გვიანი უნდა იყოს ჩხორთოლის და გალი I ნამოსახლარები, სადაც უკვე კარგადაა წარმოდგენილი კერამიკული მასალა. სამურზაყანოს ჯგუფის ძეგლებიდან უფრო ადრეული ღუმურიშის ნამოსახლარი იყო. შესაძლოა ჩხორთოლის და გალი I ნამოსახლარები ღუმურიშიდან გადმოსულმა მოსახლეობამ დააარსა, რომელმაც ეგებ სასიცოცხლო რესურსების ამოწურვის შემდეგ ახალ ადგილას გადაინაცვლა. საგულისხმოა, რომ სამივე ნამოსახლარის ქვის ინვენტარი თითქმის იდენტურია.[4]

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ნამოსახლარებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გუდაუთის მახლობლად სოფ. ბომბორთან გამოვლენილი გვიანნეოლითური დროის კისტრიკის ნამოსახლარი, რომელსაც ზღვის სანაპირო ზოლში ექვსი ჰექტარი ფართობი ეკავა. კულტურული ფენის სიძლიერე დაახლოებით 1,07 მ აღწევდა.[5] მასალის სიუხვე იმას მოწმობდა, რომ მოსახლეობა აქ საკმაოდ დიდხანს მჯდარა,[6] თითქმის ქვის ხანის მიწურულამდე. სოფლის გეგმარების, საცხოვრებელი შენობების ხასიათის დადგენა შეუძლებელი იყო. აქ ალბათ ძირითადად ქვის მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა იყო გავრცელებული.[7] მდიდრადაა წარმოდგენილი ამ ნამოსახლარზე

1 Лисицына Г. Н., Прищепенко Н. З., Палеоэтноботанические находки на Кавказе и Передней Азии, Москва, 1977, стр. 58.

2 კალანდაძე კ., დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე, თბილისი, 1986, გვ. 15.

3 იქვე, გვ. 30.

4 Бердзенишвили Н., Каландадзе К., Хубутия Г., Неолитические поселения в Галъском районе, Полевые археологические исследования в 1977, Тбилиси, 1980, стр. 22.

5 Лукин А. Л., Неолитическое селище Кистрик близ Гудаут. Советская археология, XII, М-Л, 1950, стр. 250.

6 Соловьев Л. Н., Неолитические поселения Черноморского побережья Кавказа, Нижняя Шиловка и Кистрик, Материалы по археологии Абхазии, Тбилиси. 1967, стр. 32.

7 იქვე, გვ. 23.

უპირატესად კაჟისა და რიყის ქვის იარაღები, რომლებიც ბევრ საერთოს ნახულობენ კოლხეთის ნეოლითური ხანის ნამოსახლარებზე მოპოვებულ ინვენტართან. კერამიკული მასალა ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, ტლანქად ნაძერწი, სუსტად გამომწვარი, უყურო, ბრტყელი ძირით, უპირატესად ქილისებრი ჭურჭელი. კისტრიკის კერამიკა სრულიად სადაა, ორნამენტის გარეშე. კოლხეთის ამ დროის სხვა ნამოსახლარების მსგავსად, არც აქ აღმოჩენილა რაიმე ნაკვალევი ნასუფრალისა, მცენარეული და ძვლოვანი ნარჩენები, თუ არ ჩავთვლით ერთ-ერთ ორმოში ნაპოვნ მარცვლეულის ნაშთებს. მათი ცუდი დაცულობის გამო სახეობის დადგენა შეუძლებელი იყო[1]. როგორც ჩანს, მეურნეობა აქ საკმაოდ აწყობილი უნდა ყოფილიყო, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ამ მოზრდილ ნამოსახლარზე ხანგრძლივი ცხოვრება. ძველი და ახალი ეკონომიკური სისტემები, ჩანს, საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდა.

კისტრიკის ანალოგიური ხასიათის ძეგლი მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს, ადლერის მახლობლად აღმოჩნდა ქვემო შილოვკის ნამოსახლარი. მართალია, იგი ზღვის სანაპიროს ოთხი კილომეტრით იყო დაცილებული, მაგრამ თითქმის არ განსხვავდებოდა კისტრიკის ნამოსახლარისაგან. კულტურული ფენა ქვემო შილოვკის ნამოსახლარზე 0,40-0,80 მ მერყეობდა და საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავდა, უპირატესად კაჟისა და რიყის ქვის იარაღს.[2] საგულისხმოა, რომ ქვემო შილოვკის ნამოსახლარზე სულ რამდენიმე ისრისპირი აღმოჩნდა.[3] სამაგიეროდ მრავლად იყო ნაპოვნი მრგვალი ქვები, რომლებსაც ალბათ შურდულისთვის იყენებდნენ.[4] ანალოგიური ქვები კისტრიკშიც აღმოჩნდა, ოღონდ გაცილებით მცირე რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ ამ დროს წინა აზიაშიც ნაკლებად დამახასიათებელი იყო მშვილდისარი, სამაგიეროდ ფართოდ გამოიყენებოდა შურდული,[5] თუმცა დასავლეთ საქართველოში ისრისპირები ადრენეოლითური ხანიდან იყო გავრცელებული. შესაძლოა აქ, როგორც ვარაუდობენ, მშვილდისარი და შურდული თანაარსებობენ.[6]

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გამოვლენილი ნამოსახლარების ნივთიერ მასალასთან საკმაოდ ახლო მსგავსებას ავლენს ყუბანისპირეთის ნეოლითური ხანის ძეგლებზე მოპოვებული ინვენტარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მდ. ბელაიას ზემო წელზე შესწავლილი მრავალფენიანი გამოქვაბული კამენომოსტსკაია, სადაც პალეოლითის შრეების თავზე საკმაოდ ძლიერი ნეოლითური ფენა დადასტურდა.[7] აქ მოპოვებული კაჟის ქვის იარაღი და თიხის ნაწარმი უახლოვდება კისტრიკის და ქვემოშილოვკის მასალებს.[8] ჩანს, ამ დროს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, კოლხეთის მსგავსად, ჯერ კიდევ იყენებდნენ საცხოვრებლად ბუნებრივ გამოქვაბულებს.

---

1 Соловьев Л. Н., Неолитические поселения Черноморского побережья Кавказа, Нижняя Шиловка и Кистрик, Материалы по археологии Абхазии, Тбилиси, 1967, стр. 27.

2 Формозов А. А., Столяр А. Д., Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском крае, Советская археология, 2, Москва, 1960, стр. 103.

3 Соловьев Л. Н., Неолитические поселения Черноморского побережья Кавказа, Нижняя Шиловка и Кистрик, Материалы по археологии Абхазии, Тбилиси, 1967, стр. 15.

4 იქვე, გვ. 12.

5 Формозов А. А., Столяр А. Д., Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском крае, Советская археология, 2, Москва, 1960, стр. 106.

6 ნებიერიძე ლ., დასავლეთ საქართველოს ნეოლითი, თბილისი, 1972, გვ. 78.

7 Формозов А. А., Каменномостская пещера - Многослойная стоянка Прикубанья, Материалы и исследования по археологии СССР, 173, М-Л, 1971, стр. 102.

8 იქვე, გვ. 103.

ახლა ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო გვიანნეოლითური ხანის სოფელი, მისი გეგმარება. ცხოვრების დონის ამაღლებამ ალბათ გარკვეული ძვრები გამოიწვია სამშენებლო საქმესა და არქიტექტურაში. ეტყობა, ამ დროს სოფელი აუთვისებელ ადგილას შენდებოდა, უპირატესად ბორცვოვან ზოლში. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მათ ზღვის სანაპიროზე ვხვდებით. კოლხეთის თბილი და ნესტიანი ჰავის პირობებში, ჩანს, ძირითადად მსუბუქი კონსტრუქციის შენობა იყო გავრცელებული. მოსახლეობა სოფლად საკმაოდ მყარად შედარებით დიდხანს მჯდარა. მიტოვებულ სოფელს მცხოვრებნი, ჩანს, აღარ უბრუნდებოდნენ. ეკონომიკურად, ეტყობა, სოფელი საკმაოდ ძლიერი იყო და მეურნეობის ახალ სისტემასთან ერთად ძველ ფორმებს ჯერ კიდევ საგრძნობი ადგილი ეკავა. გვიანნეოლითური ხანის კულტურაში, შედარებით ერთიანი ხასიათის მიუხედავად, მაინც შეინიშნება გარკვეული თავისებური ხასიათის ნიშნები. კოლხეთის სამხრეთი ჯგუფის ძეგლებისათვის, ჩანს, უფრო ნაკლებად იყო დამახასიათებელი მიკროლითური იარაღები; უფრო ჩრდილოეთით მდებარე ნამოსახლარებზე (კისტრიკი, ქვემო შილოვკა და სხვ.) ამ ტიპის იარაღი უფრო მრავლადაა წარმოდგენილი. ზოგიერთი ფორმის ქვის იარაღი, დამახასიათებელი კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარის ძეგლებისათვის, არ გვხვდება ცენტრალურ და სამხრეთის რეგიონებში გამოვლენილ ნამოსახლარებზე და, პირიქით, ზოგი იარაღი უცხოა ჩრდილოური ძეგლებისათვის.[1] გარკვეული თავისებურება შეიმჩნევა აგრეთვე თიხის ნაწარმში, თუმცა დამზადების წესით და ფორმით კერამიკული ჭურჭელი თითქმის იდენტურია. სხვაობა ჩანს ძირითადად ჭურჭლის შემკობის ხასიათში, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ამ დროის კერამიკული ნაწარმი უპირატესად სადაა.[2] კოლხეთის სხვა მხარის ნეოლითური სადგომების თიხის ჭურჭლისათვის საკმაოდ მდიდარი ორნამენტული მოტივებია დამახასიათებელი. რა იყო ამის მიზეზი, გარკვევით თქმა ძნელია. შესაძლებელია ეს მოვლენა ასაკობრივ სხვაობასთან დაგვეკავშირებინა, მაგრამ მასალის ანალიზი ამის საფუძველს არ იძლევა. ამიტომ თიხის ნაწარმის ეს თავისებურება ალბათ უფრო ლოკალური ხასიათისა უნდა ყოფილიყო.[3]

როგორი იყო დასავლეთ ამიერკავკასიაში გვიანნეოლითურ ხანაში ჩამოყალიბებული სამეურნეო სისტემა, მეტად მწირი მასალის გამო, გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. ამ დროის ნამოსახლარებზე თითქმის არ გვხვდება ორგანული ხასიათის ნარჩენები, ძვლოვანი და მცენარეული ნაშთები. როგორც ჩანს, ამ დროს შერეული ხასიათის მეურნეობა გავრცელდა, რომელიც მითვისებით და წარმოებით ეკონომიკაზე იყო დაფუძნებული.[4] ნესტიანი ჰავის პირობებში მიწათმოქმედება კოლხეთში ურწყავი უნდა ყოფილიყო. ძირითადად ალბათ ფეტვისნაირი მცენარე იყო გავრცელებული. იცნობდა თუ არა ამ დროის კოლხი მოსახლეობა კულტურული მარცვლეულის სხვა სახეობას, კერძოდ ქერსა და ხორბალს, მთლად ნათელი არ არის. ბუნდოვანია აგრეთვე მწარმოებლური ეკონომიკის მეორე დარგის – მესაქონლეობის ხასიათი. ღია ნამოსახლარებზე ძვლოვანი ნარჩენები თითქმის არ გვხვდება. მაგრამ ზოგიერთ გამოქვაბულში წარმოდგენილი ოსტეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ მეურნეობის ეს დარგი პროგრესულად ვითარდებოდა, რასაც ყვირილის აუზში, დარკვეთის ეხში[5]

---

1 ნებიერიძე ლ., დასავლეთ საქართველოს ნეოლითი, თბილისი, 1972, გვ. 90.
2 იქვე.
3 იქვე.
4 საქართველოს არქეოლოგია, I, თბილისი, 1991, გვ. 259.
5 ნებიერიძე ლ., დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბილისი, 1978, გვ. 69.

და სამელე კლდეში ნაპოვნი ძვლოვანი ნაშთები მოწმობს[1]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყუბანისპირეთში, კამენომოსტსკაიას გამოქვაბულში აღმოჩენილ ძვლოვან მასალაში, შინაური ცხოველების ნაშთები საგრძნობლად აღემატებიან გარეული ფაუნის ნარჩენებს[2]. სავარაუდოა, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ამ დროს ეკონომიკის ეს დარგი საკმაოდ დაწინაურებული იყო.

როგორი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათი კოლხეთში ნეოლითურ ხანაში, გარკვევით თქმა ძნელია. არქეოლოგიური ფაქტების საფუძველზე ისე ჩანს, თითქოს სოფელი ცალკეულ ოჯახებისაგან შედგებოდა, რომლებსაც მეურნეობის საერთო ხასიათი აკავშირებდა და ერთ გვარში იყვნენ გაერთიანებული. გვარი ამ დროს ალბათ დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული იყო და მონათესავე გვაროვნული კოლექტივები ცალკეულ სატომო ორგანიზაციის შემადგენლობაში შედიოდნენ. კოლხეთში ეგებ რამდენიმე მსხვილი ტომობრივი კავშირი არსებობდა, რომლებსაც გარკვეული ტერიტორიები ეკავათ.[3] შესაძლოა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი, ენგურს ზემოთ, საკმაოდ მსხვილი ტომობრივი დაჯგუფების საცხოვრისი იყო, რომელიც ცალკეულ ტომებს შორის იყო ალბათ დანაწილებული.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი, მისი კოდორს ზემო მხარე, როგორც აღნიშნული იყო, თავისებური გეოგრაფიული გარემოთი ხასიათდება. აქ ნეოლითური დროის ძეგლებზე გამოვლენილი ინვენტარი, ისევე როგორც წინარე ხანაში, საკმაოდ ბევრ საერთოს ავლენს ყუბანისპირეთში მოპოვებულ მასალებთან. ენგურს ზემოთ, ისტორიულ სამურზაყანოს მიწა-წყალზე მდებარე ნეოლითური ნამოსახლარები კი უფრო მეტად კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილ ამ დროის ძეგლებს უახლოვდება. საერთო-კავკასიური ერთობის დაშლის შემდეგ კოლხეთი ალბათ წინარე ქართველური მოსახლეობის ადგილსამყოფელი იყო. აფხაზურ-ადიღეური ტომების საცხოვრისი ძირითადად ყუბანისპირეთი უნდა ყოფილიყო. მაგრამ შესაძლოა ისინი კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში ჯერ კიდევ ქართველური ტომების მეზობლად მოსახლეობდნენ, რასაც თითქოს ამ დროის არქეოლოგიური ფაქტები უნდა მოწმობდეს. შესაძლოა ამის შედეგი იყო აფხაზურ-ადიღეურ და ქართველურ ენებში შენიშნული შეხვედრები.[4]

როგორ მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში ლითონის ერაზე გადასვლის პროცესი მთლად ნათელი არ არის. ქვის ხანიდან ლითონის ეპოქაზე გარდამავალი, ენეოლითური დროის მასალებში ჯერ კიდევ ძლიერადაა შემორჩენილი ნეოლითური ტრადიციები. ამ პერიოდის მასალები ძირითადად გამოქვაბულიდანაა ცნობილი, სადაც ლითონის ხანის საწყისი ეტაპის გამოყოფა საკმაოდ რთულია. კოლხეთში ნეოლით-ენეოლითის ხანაში გამოქვაბულები, ჩანს, ჯერ კიდევ ინტენსიურად გამოიყენებოდა საცხოვრებლად. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში აღსანიშნავია

---

1 Бурчак-Абрамович Н. И., Бендукидзе О. Г., К изучению фауны позвоночных раннего энеолита найденных в пещере Самеле-Клде; Изв. Академии Наук ГССР, т. 53, №22, Тбилиси, 1968, стр. 492.

2 Формозов А. А., Каменномостская пещера - Многослойная стоянка Прикубанья, Материалы и исследования по археологии СССР, 173, М-Л, 1971, стр. 112.

3 Джапаридзе О. М., На заре этнокультурной истории Кавказа, Тбилиси, 1989, стр.174.

4 Климов Г. А., О внешних связях картвельских языков, Вопросы языкознания, 6, Москва. 1970, стр. 39; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 373.

სოფ. ღუმურიშის მახლობლად, ოქუმის ხეობაში გამოვლენილი გამოქვაბული, სადაც ძველი ქვის ხანის ფენის თავზე ნეოლით-ენეოლითის დროის მასალები აღმოჩნდა, რომლებიც ბევრ საერთოს ნახულობენ რიონ-ყვირილის აუზის გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებში გამოვლენილ ინვენტართან.[1] საგულისხმოა, რომ სოჭი-ადლერის მხარეში შესწავლილ გამოქვაბულებშიც ზედა ფენებში ნეოლით-ენეოლითის დროის მასალებია დადასტურებული. აღსანიშნავია ადლერის მახლობლად მდებარე ახშთირის და ვორონცოვის გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებში მოპოვებული მასალები,[2] რომლებიც ბევრ საერთოს ნახულობენ დასავლეთ საქართველოს ანალოგიური ძეგლების ინვენტართან[3]. ყუბანისპირეთში კამენომოსტსკაიას გამოქვაბულის ზედა ფენების მასალები უახლოვდება საქართველოს გამოქვაბულებში გამოვლენილ ნეოლით-ენეოლითური ხანის ინვენტარს.

როგორც ჩანს, ენეოლითის დროს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი ერთ-ერთი ინტენსიურად დასახლებული მხარე უნდა ყოფილიყო, უპირატესად მისი ზღვისპირა ზოლი. აქ გამოვლენილ ძეგლებიდან აღსანიშნავია მაჭარის,[4] გვანდრას,[5] განთიადის სადგომი და სხვა ღია ნამოსახლარები. ამ დროის ძეგლებზე აღმოჩენილია მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღები — „სოჭი-ადლერის“ და „სოხუმის“ ტიპის თოხები, „პიკისებრი“ იარაღი და სხვ. „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხი ფართოდ იყო გავრცელებული გაგრასა და სოჭს შორის, უპირატესად ზღვის სანაპირო ზოლში. კოლხეთის შიდა რეგიონებში, თუ არ ჩავთვლით ქუთაისთან თეთრამიწაზე ნაპოვნ ამ ტიპის ერთ თოხს[6], ამ ტიპის თოხი თითქმის არ გვხვდება. აღმოსავლეთ საქართველოში „სოჭი-ადლერის“ ტიპის ერთადერთი თოხი აღმოჩნდა მარნეულის ველზე ხრამის დიდი გორის ნამოსახლარზე.[7] ამ სახის თოხის დასავლეთ ამიერკავკასიაში გამოჩენას წინააზიურ სამყაროს უკავშირებენ.[8] მაგრამ უფრო ის არის სავარაუდო, რომ იგი ადგილობრივ უნდა ჩამოყალიბებულიყო[9]. მსგავსი ტიპის თოხი ბათუმის მახლობლად მახვილაურის ჯერ კიდევ ნეოლითური ხანის ნამოსახლარზე გამოვლინდა.[10] არც ამ იარაღის ფუნქციის შესახებაა ერთი აზრი და მიწათმოქმედებაში გამოყენების შესა-

---

1 ფხაკაძე გ., ოქუმის გამოქვაბულის ენეოლითური ნაშთები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის, ტ. V, თბილისი, 1979, გვ. 68; საქართველოს არქეოლოგია, II, თბილისი, 1992; გვ. 261.

2 Соловьев Л. Н., Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья эпохи энеолита-бронзы, Воронцовская пещера, Тр. Абхазского института языка, литературы и истории, Сухуми, 1958, стр. 135. Формозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья, Москва, 1965, стр. 73.

3 ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხური, თბილისი, 1986, გვ. 140.

4 Бжания В.В., Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы, Советская археология, I, Москва, 1966, стр. 122.

5 Цвинария И.И., Поселение Гвандра, Тбилиси, 1978, стр. 38.

6 კილაძე ნ., ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრა მიწიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 29, თბილისი, 1951, გვ. 255.

7 მენაბდე მ., კიღურაძე თ., ქიქოძე ზ., ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის (1976-1977) მუშაობის შედეგები, საქართველოს მუზეუმის აქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბილისი, 1978, გვ. 36.

8 Формозов А. А., Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, Материалы по археологии СССР, 102, М-Л, 1962, стр. 126.

9 Джапаридзе О. М., На заре этнокультурной истории Кавказа, Тбилиси, 1989, стр. 364.

10 გოგიტიძე ს., დასავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი, 1978, გვ. 82.

ხებ ეჭვია გამოთქმული,[1] რაც მაინცდამაინც დამაჯერებელი არ არის.[2] ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში სხვა სახის თოხიცაა ცნობილი, ე.წ. „სოხუმის ტიპის“ თოხი, რომელსაც დისკოიდალური ფორმა ჰქონდა.[3] იგი ძირითადად გაგრის ქვემოთ ზღვისპირა ზოლში მდებარე ძეგლებზე მისი გვხვდება.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გამოვლენილი ქვის ხანის ფინალური ეტაპის და მომდევნო ენეოლითური ხანის კულტურა, რიონ-ყვირილის აუზის თანადროულ კულტურასთან მსგავსების მიუხედავად, მაინც გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. სხვაობა განსაკუთრებით ქვის ინვენტარში ვლინდება, მათი დამუშავების ტექნიკაში. რიონ-ყვირილის ორმდინარეთის ძეგლებზე უცნობია კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარისათვის დამახასიათებელი ისეთი იარაღები, როგორიცაა „სოჭი-ადლერის“ და „სოხუმის“ ტიპის თოხები, „პიკისებრი“ იარაღი. სხვაობა ჩანს აგრეთვე კაჟის იარაღებში. ზღვისპირა ზოლში ნაკლებად გვხვდება ძვლისა და რქის იარაღი, თიხის კვირისტავები. კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში კი ამ სახის ნაწარმი კარგადაა წარმოდგენილი. კოლხეთის ამ ორ რეგიონს შორის ინვენტარის ხასიათში სხვაობა ეგებ ძირითადად გეოკლიმატური პირობების თავისებურებით იყო გამოწვეული, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა მეურნეობაზე.[4] ერთიანი ხასიათი კულტურაში ძირითადად კერამიკულ მასალაში ისახება.[5] თიხის ნაწარმში ვლინდება მსგავსება როგორც ჭურჭლის ფორმებში და ძერწვის ტექნიკაში, ისე შემკობის ხასიათში.

ამ დროს გარკვეული სიახლოვე შეინიშნება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთსა და ყუბანისპირეთს შორის, განსაკუთრებით ქვის ინდუსტრიაში. შესაძლოა დემოგრაფიული პროცესების გამო მოსახლეობის გარკვეული მასის გადაადგილება მიმდინარეობდა ჩრდილოეთით ყუბანისპირეთში. ჯერ კიდევ წინარე ხანაში დაწყებული ეს მოვლენა არც ენეოლითის დროს შენელებულა. ეს დაახლოებით ის ხანაა, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბების პროცესს ეყრება საფუძველი და თანდათანობით ძლიერდება სამხრეთიდან მომდინარე იმპულსები. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის წინამაიკოპური ხანის ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალები გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს დასავლეთ საქართველოს ენეოლითური ხანის ძეგლებზე მოპოვებულ ინვენტართან, განსაკუთრებით თიხის ნაწარმთან. ამ კერამიკას საკმაოდ ახლო ანალოგიები ეძებნება წინააზიურ თიხის ჭურჭელთან. ჩანს, რომ სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიგრაციული პროცესები ენეოლითურ ხანაში ძლიერდება. კავკასიაში ამ პერიოდში ვლინდება წინააზიური ხასიათის კერამიკა[6]. დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულის კულტურაში კარგადაა წარმოდგენილი ეს თიხის ნაწარმი. სამხრეთული იმპულსების ყუბანისპირეთში წინარემაიკოპის ხანაში გავრცელების ერთ-ერთი გზა ალბათ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთზე გადიოდა. ამ

---

1 Формозов А. А., Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, Материалы по археологии СССР, 102, М-Л, 1962, стр. 128.

2 Семенов С. А., Происхождение земледелия, Ленинград, 1977, стр. 186.

3 Бжания В. В., История археологического изучения памятников неолита и ранней бронзы в Абхазии, Материалы по археологии Абхазии, Тбилиси. 1967, стр. 109.

4 ფხაკაძე გ., დასავლეთ ამიერკავკასია ძვ. წ. III ათასწლეულში, თბილისი, 1993, გვ. 13.

5 იქვე, გვ. 24; ნებიერიძე ლ., სიონის ნამოსახლარი აღმოსავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლი, თბილისი, 2001, გვ. 154.

6 Андреева В. М., К вопросу о южных связях Майкопской культуры, Советская археология, 1, Москва, 1977, стр. 50; Мунчаев Р. М., Майкопская культура, Ранняя и средняя бронзовая культура Кавказа, Москва, 1994, стр. 169.

პროცესებში მისი მოსახლეობის მონაწილეობას უნდა მოწმობდეს ყუბანისპირეთის ნამოსახლარებზე და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ძეგლებზე მოპოვებული მასალების სიახლოვე[1]. ახალი სახის თიხის ჭურჭლის მასობრივად გავრცელება ალბათ უფრო უცხო ეთნიკური ელემენტის გამოჩენასთან იყო დაკავშირებული.

მაიკოპის ფენომენი უთუოდ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა კავკასიის უძველეს ისტორიაში. მისი ჩამოყალიბების პროცესი, ჩანს, ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში უნდა დაწყებულიყო. ამ დროს სრულიად იცვლება ცხოვრების ხასიათი, ვრცელდება დაკრძალვის განსხვავებული წესი, მიმდინარეობს საზოგადოების სტრატიფიკაციის პროცესი, რაც ნათლად აისახა ელიტარული ფენის საკმაოდ მდიდარ ყორღანული ტიპის სამარხებში. საგრძნობლად წინაურდება მეტალურგია, განსაკუთრებით ვითარდება ოქრომჭედლობა, ჩნდება მაღალი ოსტატობით შესრულებული ძვირფასი ლითონების ნაწარმი. როგორც ჩანს, მაიკოპის კულტურის ფორმირებაში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ სამხრეთიდან გადმონაცვლებული ეთნიკური ჯგუფები[2], რასაც შედეგად მაიკოპის კულტურის აღზევება მოჰყვა. კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარე ადრე საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყუბანისპირეთთან, მაგრამ მაიკოპის კულტურის ხანაში ეს ურთიერთობა საგრძნობლად შენელდა. კოლხეთის მოსახლეობის ცხოვრების ხასიათზე აქ მიმდინარე პროცესებს რაიმე საგრძნობი გავლენა არ მოუხდენია. სამხრეთთან ურთიერთობა ამ დროს ძირითადად ალბათ ზღვის გზით ხორციელდებოდა.[3] ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთზე გამავალი გზა ნაკლებ ინტენსიურად გამოიყენებოდა, რასაც შესაძლოა ადგილობრივი, ქართველური მოსახლეობაც აფერხებდა. ყუბანისპირეთის აბორიგენი აფხაზურ-ადიღეული მოსახლეობა მიგრანტებთან მხარდამხარ ინტენსიურად მაიკოპის კულტურის მშენებლობით იყო ალბათ დაკავებული და მაინცდამაინც ნაკლებად იზიდავდა კოლხეთის მიმდგომი მხარე. საერთოდ კოლხეთში მაიკოპის კულტურის ნაკვალევი თითქმის არ შეინიშნება. როგორც ჩანს, ამ დროს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ძლიერდება აგრეთვე ჩრდილოეთიდან მომდინარე იმპულსები, რაც დაკრძალვის რიტუალში – ყორღანული სამარხის გავრცელებაში აისახა. სწორედ ამ ტიპის სამარხში იმარხებოდა ძირითადად საზოგადოების ელიტარული ნაწილი, რომელიც ამ დროს აქ, ჩანს, საკმაოდ მომძლავრდა. პირველყოფილი ეპოქის რღვევის პროცესი უკვე საკმაოდ შორს წასული უნდა ყოფილიყო, რაც ალბათ ძირითადად სამხრეთელი მიგრანტების დამსახურება უნდა ყოფილიყო. კოლხეთს ეს მოვლენები თითქმის არ შეხებია და, ჩანს, არც ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარა რაიმე შესამჩნევი ძვრები. ადგილობრივი, ალბათ, ძირითადად ქართველური, მოსახლეობის ცხოვრების ხასიათში საგრძნობი ცვლილებები თითქმის არ შეინიშნება. კოლხეთი, მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ყუბანისპირეთში მიმდინარე პროცესების მიღმა აღმოჩნდა. პირველყოფილი წყობილების რღვევის წინაპირობები აქ ჯერ კიდევ მაინცდამაინც არ იგრძნობა. აქ საზოგადოების განვითარების პროცესი უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რაც აისახა კიდეც კულტურის ხასიათში. ლითონის ხანის გარიჟრაჟზე დასავლეთ ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ კარგად იგრძნობა ნეოლითური კულტურიდან მომდინარე ტრადიციები.

---

1 Формозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья, Москва, 1965, стр. 76.

2 Замятнин С. Н., Палеолит Абхазии, Сухуми, 1937,стр. 224.

3 Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, Москва, 1975, стр.376.

კავკასიის უძველესი მოსახლეობის ადრეული ეთნოგენეზის საკითხები*

კავკასიის ხალხების წარმომავლობის, მათი პირველსაცხოვრისის საკითხი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, რასაც კავკასიის განსაკუთრებული მდებარეობა განსაზღვრავდა ევროპასა და აზიის შესაყარზე. აქ გადიოდა ერთ-ერთი დამაკავშირებელი გზა წინა აზიასა და ევროპას შორის. კავკასია ძველთაგანვე ხალხთა დიდი გადაადგილების ასპარეზი იყო. ჩანს, ამ გზით მოძრაობდა აფრიკის მატერიკიდან პირველი ევროპელი. განსაკუთრებულ ინტერესს კავკასიის მოსახლეობის სიჭრელე იწვევდა, რასაც ჯერ კიდევ ძველად მიექცა ყურადღება. კავკასიას უწოდებდნენ „ენათა მთას“, „ხალხთა ჭიანჭველების ბუდეს“, „ეთნოგრაფიულ მუზეუმს“ და სხვ.

პირველი ცნობები კავკასიელი ტომების წარმომავლობის შესახებ „დაბადებაში“ გვხვდება. ისინი მოიხსენიებიან ძველ აღმოსავლურ წერილობით წყაროებში, ბერძნულ-რომაულ მწერლობაში და სხვ. ისტორიის მამა ჰეროდოტე დაინტერესებულა კოლხების წარმომავლობით და აღნიშნა მათი გენეტიკური ნათესაობა ეგვიპტელებთან. ეს მოსაზრება ძველად საკმაოდ პოპულარული იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფეოდალური ხანის ქართულ საისტორიო მწერლობაში დაცული ცნობები კავკასიელი ტომების წარმომავლობის შესახებ. უაღრესად საგულისხმო ცნობები მათი წარმოშობის შესახებ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც ლეონტი მროველის თხზულებაშია შემონახული. აქ ეთნოგენეზთან დაკავშირებული საკითხები ბიბლიური სიუჟეტის ფონზეა წარმოდგენილი. მროველი სრულიად თავისებურ კონცეფციას აყალიბებს, რომელშიც კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის საერთო წინაპრიდან მომდინარეობის აზრია გატარებული. აქ მროველი სრულიად ორიგინალური თეორიის შემოქმედია. საყურადღებოა, რომ ეს შეხედულება სწორედ ქართულ სინამდვილეში დაიბადა და შემდეგ კავკასიის ერებში გავრცელდა. კავკასიაში დღეს შექმნილ ვითარებაში ეს იდეა კიდევ უფრო აქტუალურია. ივ. ჯავახიშვილმა სავსებით მართებულად შენიშნა, რომ ამ კონცეფციას, გარდა წმინდა მეცნიერული ინტერესისა, გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც უნდა ჰქონოდა.

კავკასიაში ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ სრულიად ახლებურად დააყენა მკვიდრი ხალხების წარმოშობისა და პირველსაცხოვრისის საკითხი. კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა კავკასიის როლი, მისი ავტოქტონი მოსახლეობის წვლილი მახლობელი აღმოსავლეთის ძველ ისტორიაში. თანდათან იცვლება შეხედულება მათი წინაპრების სამხრეთიდან გადმონაცვლების შესახებ.

კაცობრიობის გარიჟრაჟიდან ადამიანი კავკასიაში უწყვეტად განაგრძობს არსებობას უძველესი ისტორიის მთელ მანძილზე.

უკანასკნელი ხანების აღმოჩენებმა დმანისის ფეოდალური ხანის ნაქალაქარზე სრულიად ახლებურად დააყენა კავკასიაში პირველი ადამიანის გამოჩენის საკითხი

---

* დაიბეჭდა კრებულში: „კავკასიოლოგიური ძიებანი“, I, 2009.

და საერთოდ შეცვალა შეხედულება ევრაზიის სივრცეში მისი გავრცელების საწყის ეტაპზე. გაირკვა, რომ პირველყოფილი ჰომო კავკასიის მიწა-წყალზე დაახლოებით 1 800 000-1 700 000 წლის წინათ უნდა გამოჩენილიყო. დმანისელი ადამიანი ერთ-ერთი პირველი მიგრანტი უნდა ყოფილიყო აფრიკის მატერიკიდან ევრაზიისაკენ მიმავალ დიდ გზაზე. მაგრამ როგორი იყო კავკასიაში დმანისელის შემდგომი ბედი, მთლად ნათელი არ არის. დმანისის სადგომის უშუალოდ მომდევნო ხანის ძეგლები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. აქ გამოვლენილი ძველი ქვის ხანის, პალეოლითის ადრეული საფეხურის, აშელური ეპოქის ძეგლებს დმანისის სადგომიდან დაახლოებით ერთი მილიონი წელი აშორებთ. არ არის გამორიცხული ვარაუდი, რომ აშელური ხანის მკვიდრნი დმანისელი ადამიანის უშუალო შთამომავალნი ყოფილიყვნენ და შემდგომი კვლევა-ძიება ალბათ ამ ხარვეზს შეავსებს. თუმცა არც ის შესაძლებლობაა მთლად უგულებელსაყოფი, რომ აფრიკის მატერიკიდან, რომელიც პირველყოფილი ადამიანის სამშობლო უნდა ყოფილიყო, აშელის დიდი ექსპანსიის დროს, დმანისელი ადამიანის მიერ ერთხელ უკვე გაკვლეული გზით კავკასიისაკენ მიგრანტების ახალი ტალღა ვრცელდება და საკმაოდ მყარად მკვიდრდება აქ. როგორც ჩანს, ამ დროს, ქვედა პალეოლითში, კავკასიაში ხელსაყრელი გარემო არსებობდა აშელ-მუსტიეს ხანის ადამიანის ცხოვრებისათვის. პირველყოფილი ჰომო საკმაოდ ინტენსიურად ითვისებს მთელ კავკასიას, სადაც კარგადაა ცნობილი ამ ხანის ძეგლები თითქმის ყველა ლანდშაფტურ ზონაში. ამ უშორესი ხანიდან ჩვენამდე უპირატესად ქვის იარაღმა და ადამიანის ნასუფრალმა, ძირითადად ძვლოვანმა ნარჩენებმა მოაღწია. შედარებით იშვიათად პალეოანთროპოლოგიური მასალაც გვხვდება.

კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე მიმდინარე პროცესების მეტ-ნაკლები სისრულით აღდგენა ძირითადად არქეოლოგიური მონაცემებითაა შესაძლებელი. კავკასიაში ამ დროს ქვის ინდუსტრიის საერთო ხასიათი გენეტიკურად ერთიანი მოსახლეობის ვარაუდის საფუძველს იძლევა. ეთნოსის განმსაზღვრელ ნიშნად ძირითადად კულტურა და ენაა მიჩნეული. მაგრამ უკანასკნელის შესახებ პირველყოფილ სტადიაზე არაპირდაპირი მონაცემებით თუ იქნება შესაძლებელი რაიმეს თქმა. ამ უადრეს ხანაში ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი კულტურაა, რომელიც იმ პრიმიტიულ ქვის იარაღში ვლინდება, ადამიანის წარმოქმნასთან ერთად რომ იწყებს გამოჩენას. სავარაუდოა, რომ უშორეს წარსულში მსგავსი არქეოლოგიური კულტურის მატარებელი მოსახლეობა საერთო წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო. კავკასიაში კულტურის ხასიათში არ შეინიშნება მაინცდამაინც საგრძნობი ცვლილებები. იგი, ჩანს, ის რეგიონი უნდა ყოფილიყო, სადაც ადგილობრივ უნდა ჩამოყალიბებულიყო ეთნიკური და კულტურული ერთობა. არქეოლოგიურ კულტურას შეესაბამებოდა, ალბათ, აგრეთვე, ენაც, რომელიც ძირითადად საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებდა. მეტყველება, ჩანს, ჩნდებოდა ადამიანის წარმოქმნასთან ერთად, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს. ბგერითი ენის საშუალებით გადაიცემოდა, ალბათ, ქვის იარაღის დამზადების ტრადიცია. მიგრაციის დიდ გზაზე პირველყოფილ ადამიანს გაუძნელდებოდა შორი მანძილების დაძლევა გაგებინების გარეშე. გაგებინების ძირითადი საშუალება კი, ალბათ, პრიმიტიულ ენა უნდა ყოფილიყო. ამ უადრეს ხანაში კავკასიის მიწა-წყალზე ბინადარ მოსახლეობას ქვის ინდუსტრიის მყარი ტრადიციები გააჩნდა, რაც, ალბათ, ეთნიკური ერთობის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, დროის ამ დიდ მანძილზე კავკასიის შიგნით და მის

გარეთაც ადგილი ექნებოდა ადამიანთა ჯგუფების გადანაცვლებას, მაგრამ ამას რაიმე შესამჩნევი ზეგავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე, ჩანს, არ მოუხდენია, რაც უთუოდ მეტ-ნაკლებად აისახებოდა არქეოლოგიურ მასალაზე.

ძველი ქვის ხანის გვიანდელ საფეხურზე, ზედაპალეოლითის დროს, კავკასიაში მკვეთრად იცვლება კლიმატური პირობები, საგრძნობლად აცივდა. ამიტომ მნიშვნელოვნად შემცირდა აქ განსახლების არე და მოსახლეობა უფრო ზომიერ მხარეს, დასავლეთ ამიერკავკასიას ითვისებს, სადაც ცხოვრებისათვის უკეთესი გარემო არსებობდა. ამ დროს სრულიად გადახალისდა ცხოვრების ხასიათი, საფუძველი ეყრება გვაროვნულ წყობილებას. საგრძნობი სიახლეებია ქვის ინდუსტრიაში და სხვ., იცვლება თვით ადამიანი. დასრულდა თანამედროვე ადამიანის homo sapiens-ის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. მნიშვნელოვნად კლებულობს მოსახლეობა კავკასიის ჩრდილო მხარეში. საგრძნობლად შეთხელდა მოსახლეობა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში და აქტიურადაა ათვისებული მისი დასავლეთი მხარე, განსაკუთრებით, რიონ-ყვირილას აუზი, ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი, სოჭი-ადლერის მიმდებარე მიწა-წყალი და სხვ. ეს რეგიონები გამოირჩევა ბუნებრივი თავშესაფრების – გამოქვაბულების, ეხების, ფარდულების და სხვა სიუხვით, რომლებსაც ადამიანი ჰავის გამკაცრების გამო ინტენსიურად იყენებს საცხოვრებლად. ამ დროს აქ ვრცელდება ერთიანი ხასიათის ქვის ინდუსტრია, ე. წ. იმერული კულტურა. არქეოლოგიური წყაროები თვალნათლივ მოწმობს, რომ აქ თანმიმდევრულად მიმდინარეობდა ძველი ქვის ხანის კულტურის განვითარება, რაც, ალბათ, მოსახლეობის ერთიანი ხასიათის, უცვლელი არსებობის მაჩვენებელი უნდა იყოს. ამავე დროს, ჩანს, მიმდინარეობდა გარკვეული ეთნიკური ხასიათის პროცესები და ყალიბდებოდა საკონტაქტო ფუძეენა, რომელიც შედარებით შეზღუდული არის პირობებში უნდა წარმოქმნილიყო.

იგი, ალბათ, საფუძვლად დაედო კავკასიის ყველა ავტოქთონ ენებს. სამხრეთ კავკასიის დასავლეთი მხარე იყო, ალბათ, ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი მოსახლეობის წინარე სამშობლო.

ძველი ქვის ხანის ბოლოს მთავრდება გამყინვარების ხანგრძლივი პერიოდი და თანამედროვე გეოლოგიური ეპოქა, ჰოდოცენი, დგება. კლიმატის მკვეთრმა გაუმჯობესებამ, სითბოს მომატებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა გარე სამყაროზე, თვით ადამიანზე და მისი ცხოვრების პირობებზე. იცვლება კულტურის ხასიათი და ახალი ქვის ხანაზე, ნეოლითზე, გარდამავალი ეპოქა, მეზოლითი, დგება, რომელიც წინარე კულტურის საფუძველზე აღმოცენდა. კლიმატური რეჟიმის გაუმჯობესებამ მოსახლეობის მკვეთრ ზრდას შეუწყო ხელი, რომელიც კავკასიის თითქმის ყველა ლანდშაფტურ კლიმატურ ზოლს იკავებს. ახალ-ახალი ტერიტორიების ათვისებამ და მოსახლეობის უფრო ფართოდ განსახლებამ კულტურის ხასიათზეც იქონია გავლენა. თანდათანობით დაირღვა კულტურის ერთიანი ხასიათი (რასაც ხელი შეუწყო კავკასიის რელიეფმაც) და ჩამოყალიბდა მეზოლითური კულტურის რამდენიმე ვარიანტი. ამ პერიოდის კულტურაში შენიშნული ლოკალური თავისებურებები შესაძლოა ეთნიკური ერთობის ხასიათში დაწყებულ ცვლილებებსაც ასახავდეს. ამ პროცესმა, ალბათ, გარკვეული გავლენა მოახდინა ენაზეც, მიმდინარეობდა ფუძეენის თანდათანობითი დაშლა. ფაქტობრივად, მეზოლითის ბოლოსათვის ისახება კავკასიის ყველა ძირითადი ენობრივი ოჯახი. ამ დროს მთელი კავკასია, მისი ჩრდილო და სამხრეთი მხარეები ინტენსიურადაა ათვისებული, ალბათ, უპირატესად ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის მიერ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას, ჩანს, წინარე აფხაზურ-ადი-

ღეური ტომები იკავებენ. ქართველური მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში განაგრძობს ცხოვრებას. ერთგვარად განსხვავებული ვითარება შეინიშნება მეზოლითში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, რომელიც მთელი ზედა პალეოლითის მანძილზე თითქმის დაუსახლებელი იყო. აქ, ეტყობა, გამოჩენას იწყებს ნახურ-დაღესტნური ტომები და ამავე დროს მთიან დაღესტანში, როგორც ვარაუდობენ, სამხრეთ კასპიისპირეთიდან მოსახლეობის ახალი ტალღა ინაცვლებს, რის შედეგადაც ე.წ. ჩოხის მეზოლითური კულტურა ვრცელდება. აღინიშნა, რომ ახალმოსულები შესაძლოა ხურიტული ტომები იყვნენ. ხურიტული ტომების პირველადგილსამყოფლის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა. ზოგის აზრით, მათი პირველსაცხოვრისი კასპიის ზღვის სამხრეთი არეალი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ნახურ-დაღესტნურ ენაში შენიშნული ხურიტული ელემენტი ამის შედეგი ყოფილიყო. ამრიგად, არქეოლოგიური წყაროების საფუძველზე, თითქოს უფრო ისაა სავარაუდო, რომ კავკასიის უძველესი მოსახლეობა ეთნოკულტურულად ადგილობრივი წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო. რაკი უძველეს კულტურაში შესამჩნევი სხვაობა მაინცდამაინც არ შეინიშნება, მაშინ ისიცაა სავარაუდო, რომ აქ არც ეთნიკური ხასიათის მოვლენები იქნებოდა მაინცდამაინც საგრძნობი.

ეთნოგენეზთან დაკავშირებით პრობლემების კვლევა ადრე ძირითადად ლინგვისტური მასალის ინტერპრეტაციაზე იყო დაფუძნებული. კავკასიის უძველესი მოსახლეობის წარმომავლობა ენობრივი მონაცემების შესწავლის შედეგებს ემყარებოდა. წმინდა ლინგვისტური მეთოდებით კვლევის საფუძველზე კავკასიური ენების შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება ჩამოყალიბდა. ზოგის აზრით, ეს ენები მონათესავენი არიან და ერთი საერთო ფუძეენიდან მომდინარეობენ, ზოგიც საერთოდ უარყოფს მათ კავშირს და სამხრეთკავკასიურ და ჩრდილოკავკასიურ ენათა შორის ნათესაობის შესაძლებლობას ვერ ხედავს. შეიძლება გვევარაუდა, რომ კავკასიაში არსებობდა საერთო ენა, რომელზედაც მეტყველებდნენ ადრეული კულტურების მატარებელი ტომები, ვიდრე აქ სამხრეთიდან მოსახლეობის ახალი ტალღა გამოჩნდებოდა და მან სუბსტრატის როლი შეასრულა. მაგრამ არქეოლოგიური მონაცემები, როგორც აღინიშნა, გარედან უცხო ეთნიკური ელემენტის შემოჭრის საფუძველს არ იძლევა. მატერიალურ კულტურაში ამის ანარეკლი არ შეიმჩნევა. ახალი მოსახლეობის მოსვლის ნაკვალევი უთუოდ კულტურაშიც აისახებოდა, რაც კარგად გამოჩნდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ჩოხის კულტურის მაგალითზე. რაკი ენობრივი მონაცემების კვლევის შედეგად ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, ასეთ ვითარებაში არქეოლოგიური არგუმენტები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. არქეოლოგიური წყაროები თითქოს უფრო მეტად კავკასიური ენების და საერთოდ აბორიგენული მოსახლეობის ერთიან წარმომავლობის ვარაუდს უჭერს მხარს. უადრეს ხანაში არქეოლოგიური კულტურა, ალბათ, გარკვეულ ენობრივ ერთეულს შეესატყვისებოდა. ადრეული ეთნოგენეტიკური ხასიათის საკითხების კვლევისას ლინგვისტურ-არქეოლოგიური ძიებანი თითქოს უფრო პერსპექტიული ჩანს.

კავკასიური ენების ურთიერთობის შესწავლაში სრულიად განსაკუთრებული ღვაწლი აკად. ივ. ჯავახიშვილს მიუძღვის. ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კავკასიელი ტომები მონათესავენი არიან და მათ თავდაპირველად ერთი საერთო ენაც ჰქონიათ, მაგრამ დროთა ვითარებაში ენები დამოუკიდებელ, გარეგნულად უცხო ჯგუფებად ჩამოყალიბდნენ. შემდეგში ქარ-

თულ ლინგვისტიკაში საფუძველი ჩაეყარა იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას, რომლის ძირითადი დებულებაა, რომ კავკასიური ენების ნათესაური თვისება პირველადია, ნაირგვარობა კი მეორეული მოვლენაა. რაც უფრო მეტად ვიჭრებით ისტორიის სიღრმეში, მით უფრო მეტი საერთო ჩანს ამ ენებში. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეს შეხედულება ეჭვქვეშაა დაყენებული, განსაკუთრებით ჩრდილოკავკასიური და სამხრეთკავკასიური, აგრეთვე ქართველური ენების გენეტიკური დამოკიდებულების საკითხი. გამოითქვა ვარაუდი, ჩრდილოკავკასიურის სინო-ტიბეტურ, აფრაზიურ ენებთან ნათესაობის შესახებ და რომ მათი სამშობლო წინა აზია უნდა ყოფილიყო. ჩრდილოკავკასიური უფრო მეტ საერთოს თითქოს აფრაზიურ, სინო-ტიბეტურ, ენისეის და სხვა ენებთან ავლენს, ვიდრე თავის უშუალო მეზობელ ენებთან, კერძოდ კი – ქართველურთან. მაგრამ არქეოლოგიური ფაქტები მოწმობს, რომ ქვის ხანის დროს კავკასია ინტენსიურადაა დასახლებული საკმაოდ მაღალი კულტურის ადგილობრივი მოსახლეობით და მიმდინარეობდა განვითარების სტაბილური პროცესი. რაიმე საგრძნობი სიახლე კულტურაში, რაც ახალი მოსახლეობის გამოჩენის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, არ შეინიშნება. რა თქმა უნდა, ამ დროს, ალბათ, ადგილი ექნებოდა გარკვეულ მიგრაციულ პროცესებს, მაგრამ, ჩანს, ახალმოსულები დამხვდურ მოსახლეობაში ითქვიფებოდნენ. მათი რაიმე ნაკვალევი ადგილობრივ კულტურაში თითქმის შეუმჩნეველია. არქეოლოგიური არგუმენტების საფუძველზე თითქოს უფრო ისაა სავარაუდო, რომ კავკასიის უძველესი ავტოქტონური მოსახლეობა ეთნოკულტურულად ადგილობრივი წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო. ეთნოგენეტიკური პროცესების ადრეულ საფეხურზე უპირატესად ენისა და კულტურის დამთხვევაა უფრო მეტად სავარაუდო. ეთნიკური ერთობა თავდაპირველად ჩამოყალიბდა ადამიანთა იმ ჯგუფთა შორის, რომელთაც ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ. ურთიერთობის ძირითადი საშუალება კი ენა იყო. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ჩანს, რომ ეთნოკულტურული და ეთნოლინგვისტური ხასიათის პროცესები ძირითადად გვიანპალეოლითში, მეზოლითის ეპოქაში მიმდინარეობდა, ძვ. წ. X-IX ათასწლეულში. ახალი ქვის ხანის, ნეოლითის, დადგომისას მთავრდება, ალბათ, კავკასიის ძირძველი მოსახლეობის ფორმირების პროცესი. ჩანს, ამ დროიდან იწყება კავკასიის ყველა აბორიგენი მოსახლეობის უძველესი ისტორიული წარსული.

საგულისხმოა, რომ ანთროპოლოგიური ფაქტები კავკასიის უძველესი მოსახლეობის ერთიან ხასიათსა და ადგილობრივ წარმომავლობაზე მიუთითებს. უძველესი ანთროპოლოგიური მასალა კავკასიიდან, კერძოდ, საქართველოდან, მეტად მწირია და უპირატესად ბრინჯაოს ხანიდან მომდინარეობს. ამ მასალების საფუძველზე აღინიშნა, რომ კავკასიის უძველესი ხანის მოსახლეობა ერთ ანთროპოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება. კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპები ადგილობრივ უნდა წარმოქმნილიყვნენ შინაგანი განვითარების გზით, უცხო ელემენტის რაიმე საგრძნობი ჩარევის გარეშე. მათ ეთნოგენეზში აშკარად ვლინდება ადგილობრივი ავტოქტონური ელემენტები. პალეოანთროპოლოგიური მასალა კავკასიიდან საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს უძველესი მოსახლეობის ერთიან ხასიათს. ამ ერთობის თანდათანობით დაშლის შედეგად უნდა წარმოქმნილიყვნენ ადგილობრივი ანთროპოლოგიური ტიპები.

კავკასიის წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის*

კავკასიის ძველაღმოსავლურ სამყაროსთან დამოკიდებულების პრობლემამ კარგა ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება და ამასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება იყო გამოთქმული. ინტერესი ამ პრობლემისადმი არ ნელდება და ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა კავკასიის წინა აზიასთან კულტურული ურთიერთობის საკითხი. კავკასია, კერძოდ კი მისი სამხრეთი ნაწილი, ფაქტობრივად, მახლობელი აღმოსავლეთის ჩრდილო პერიფერიულ მხარეს შეადგენდა. სამხრეთიდან წამოსული იმპულსები, ადრეული ხანიდან მოკიდებული, გარკვეულ გავლენას ახდენდა კავკასიის მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე, კულტურის ხასიათზე და სხვ. კონტაქტები წინააზიურ სამყაროსთან ძლიერდება ქვიდან ლითონის ხანაზე გარდამავალ, ენეოლითის ეპოქაში. ამ დროიდან იწყება ჩრდილო მესოპოტამიიდან ჰალაფის კულტურის სხვადასხვა მიმართულებით გავრცელების საკმაოდ ინტენსიური პროცესი. ეს კულტურა დასავლეთით ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლს აღწევს და მისი გავლენა იგრძნობა აღმოსავლეთ ანატოლიაში, ვანის ტბის მიდამოებში.[1] ჩანს, ჰალაფის კულტურის ხანაში იღვიძებს ინტერესი კავკასიისადმი. კავკასიის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც იგრძნობა ჰალაფის კულტურის გავლენა. პირველად ჩნდება აქ ამ კულტურისადმი დამახასიათებელი თიხის ნაწარმი.[2] შესაძლოა, მიგრაციის ერთერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ამ დროს იზრდება მოთხოვნილება ლითონზე. უფრო ადრეული კონტაქტები მესოპოტამიასთან ჰასუნას კულტურის ხანაში, სადღეისოდ არსებული მონაცემებით, შენიშნული არ არის.[3] ამიტომ მთლად მართებული არ უნდა იყოს აზრი, თითქოს სამხრეთის გავლენა კავკასიის შავიზღვისპირეთში ჰასუნის კულტურის დროიდანაა სავარაუდო.[4] არც ისაა მთლად დამაჯერებელი, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული სოჭი-ადლერის ტიპის ქვის თოხის გამოჩენა თითქოს ჩრდილო მესოპოტამიის გავლენის შედეგი იყოს.[5] ამ თოხის ფორმა იმდენად

---

* დაიბეჭდა კრებულში: ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20, თბილისი, 2011.

1 Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я., Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии. Москва, 1981, стр. 157.

2 Нариманов И. Г., Культура древнейшего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана. Баку, стр. 160; Джапаридзе О. М. 1989: На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси, 1987, стр. 247.

3 Мунчаев Р. М., Ближний Восток и Кавказ: проблема культурных связей в VI–III тыс. до н. э., Между Азией и Европой. Кавказ в IV–I тыс до н. э., К 100-летию со дня рождения А. А. Иессена. Санкт-Петербург, 1996, стр. 36; Мунчаев Р. М., Амиров Ш. В., Взаимосвязи Кавказа и Месопотамии в VI–IV тыс. до н. э., Кавказ, археология и этнология, Международная конференция. Шамкир, 2008, Баку, стр. 43.

4 Brentjes B., Die Orentalische Welt. Berlin, 1972, p. 45.

5 Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века. Москва, 1975, стр. 119.

პრიმიტიულია, რომ მისი ადგილობრივი წარმომავლობა უფრო საგულვებელი უნდა იყოს.[1]

კავკასიაში ახალი ეკონომიკური სისტემის გამარჯვების შედეგად მკვეთრად იმატა მოსახლეობის რიცხვმა და იწყება სხვადასხვა მიმართულებით მოსახლეობის გადანაცვლების პროცესი. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის ათვისება, რომელიც ნეოლითის ხანაში ნაკლებად იყო დასახლებული. კავკასიაში წარმოებითი მეურნეობის წარმოქმნის და განვითარების პირობები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში და დასავლეთ ამიერკავკასიაში შეიქმნა. ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში, დაღესტანში ამ დროს გავრცელებული იყო ე. წ. ჩოხის ნეოლითური კულტურა, სადაც წარმატებით ვითარდებოდა ახალი ეკონომიკური სისტემა. შესაძლოა ნეოლითის დასასრულ ხანაში ჩოხის კულტურის ჭარბი მოსახლეობის ერთი ნაწილი გადანაცვლებას იწყებს სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში და ფართოდ ითვისებს მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის ნაყოფიერ ველებს. ისინი ინტენსიურად სახლდებიან განჯა-ყაზახის ვაკეზე, მიმდგომ ქვემოქართლის დაბლობზე და გარკვეულ როლს ასრულებენ ადრესამიწათმოქმედო კულტურის ჩამოყალიბებაში, რომელიც შულავერ-შომუთეფეს კულტურის სახელითაა ცნობილი.[2] საგულისხმოა, რომ ჩოხის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი გარკვეულ მსგავსებას ნახულობს შულავერ-შომუთეფეს კულტურის კერამიკასთან.[3] უფრო დასავლეთით, შიდა ქართლში, ეს კულტურა არ გავრცელებულა, ეგებ იმის გამო, რომ ამ დროისათვის აქ ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ სათანადო გარემო არ არსებობდა.

სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში შულავერ-შომუთეფეს კულტურა სავსებით ჩამოყალიბებული სახით ვრცელდება მყარი ტრადიციებით და თავისებური წეს-ჩვეულებებით. მისთვის დამახასიათებელია ერთიანი სამშენებლო-არქიტექტურული ტრადიცია, სადაც თიხისგან ნაგები შენობა ბატონობს.[4] თიხის არქიტექტურა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხის და ქვით მდიდარ სამხრეთ კავკასიაში ამ მასალებმა მშენებლობაში თითქმის ვერავითარი ასახვა ვერ პოვა. საიდანაც, რა გზით უნდა გავრცელებულიყო შულავერ-შომუთეფეს კულტურაში თიხის არქიტექტურა, სადაც, ყველა ნაგებობა სამეურნეო თუ საცხოვრებელი მრგვალი მოხაზულობისაა, გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. შესაძლოა ამ ტრადიციის იმპულსები სამხრეთიდან მოდიოდეს, სადაც ძველი ისტორიის მთელ მანძილზე სამშენებლო საქმეში ძირითადად თიხა იყო გავრცელებული. წინა აზიაში ეს პერიოდი ადრესამიწათმოქმედო კულტურის აყვავების ხანაა, რასაც შედეგად ალბათ მძლავრი დემოგრაფიული პროცესები უნდა მოჰყოლოდა. აღინიშნა, რომ სამხრეთ კავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურის გამოჩენა წინა აზიიდან გადმონაცვლებულ მოსახლეობას უკავშირდება. უცხო სამშენებლო არქიტექტურის ტრადიციის შემოღწევა შულავერ-შომუთეფეს კულტურაში თითქოს ამ ვარაუდს ადასტურებს.[5] როგორც ჩანს, ეს მარტო კონტაქტების შედეგი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სამხრეთიდან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების გადმონაცვლებას უნდა უკავშირდებოდეს. და მაინც, საიდან, რა გზით ვრცელდება

1 Джапаридзе О. М., На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси, 1989, стр. 364.
2 ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი, 2006, გვ. 265.
3 Амирханов Х., А., Чохское поселение. Москва, 1887, стр. 108, 179.
4 ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი, 2006, გვ. 261.
5 იქვე, გვ. 267.

თიხის არქიტექტურის ტრადიცია მტკვრის და არეზის შუამდინარეთში, გარკვევით თქმა ძნელია. შესაძლოა ეს მოვლენა მესოპოტამიიდან ჰალაფის კულტურის გავლენასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ჩრდილო მესოპოტამიაში ამ კულტურის გამოჩენას თიხის მრგვალი არქიტექტურის გავრცელება მოჰყვა. მაგრამ საიდანაც ვრცელდება მშენებლობის ეს ტრადიცია ტიგროსისა და ევფრატის ორმდინარეთში მთლად ნათელი არ არის.[1] ამასთან დაკავშირებით არაერთი აზრი გამოითქვა.[2] ისიც კი ითქვა, რომ მრგვალი გეგმარების შენობა ჩრდილო მესოპოტამიაში შესაძლოა სამხრეთ კავკასიიდან გავრცელდა.[3] მაგრამ, თითქოს ისე ჩანს, სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში ეს სამშენებლო ტრადიცია სამხრეთიდან ვრცელდება. ეს ის დროა, როდესაც ჰალაფის კულტურის გავლენა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს აღწევს. იგი მოიცავს აღმოსავლეთ ანატოლიას, ვანის ტბის მიდამოებს და უფრო ჩრდილოეთითაც ვრცელდება. ჩანს, სწორედ ამ დროს იღვიძებს ინტერესი წინა აზიის ჩრდილო პერიფერიული რეგიონებისადმი. შესაძლოა, ჩრდილო მესოპოტამიის მოსახლეობას ვანის ტბის მიდამოებისა და მიმდგომი მხარეების ობსიდიანით მდიდარი საბადოები იზიდავდა. ნიშანდობლივია, რომ ჰალაფის კულტურის ნამოსახლარებზე ამ მხრიდან გაზიდული ობსიდიანი აღმოჩნდა. არ არის ვარაუდს მოკლებული აზრი, რომ ობსიდიანით ვაჭრობაში სამხრეთ კავკასიაც ყოფილიყო ჩართული.

როგორც ჩანს, ერთ-ერთი ძირითადი გზა, საიდანაც კავკასიაში სამხრეთის გავლენები ვრცელდებოდა, აღმოსავლეთ ანატოლიიდან, ალბათ უფრო ვანის ტბის მიდამოებიდან მომდინარეობდა.[4] აღსანიშნავია ნახიჩევანის ქიულ-თეფე I-ში ნაპოვნი ჰალიფური ტიპის ორი ჭურჭელი.[5] ერთ-ერთი მათგანის უახლოესი ანალოგია აღმოჩნდა ვანის ტბასთან გათხრილ თილკი-თეფეს ნამოსახლარის ქვედა ფენაში.[6] ჰალაფის კულტურის ნაკვალევი შეინიშნება მილის ველზე.[7] უკანასკნელი ხანების აღმოჩენების შედეგად მილის და ყარაბაღის ველზე არაერთი ძეგლი გამოვლინდა, სადაც კარგად შეინიშნება ჰალაფის კულტურის გავლენა.[8] არ უნდა იყოს მთლად უმართებულო ვარაუდი, რომ შულავერ-შომუთეფეს კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის არქიტექტურა ჰალაფის კულტურის გავლენის შედეგი იყოს. მას უკავშირდება ალბათ ახალი, მანამდე უჩვეულო მრგვალი ტიპის ნაგებობის გავრცელება.[9] გარკვეული ტიპოლოგიური კავშირი შეინიშნება შულავერ-შომუთეფეს კულტურის, კერძოდ კი ხრამის დიდიგორისა და ჰალაფის კულტურისათვის დამახასიათებელ თიხის ქანდაკებებს შორის.[10] ამ დროს სამხრეთიდან გარკვეული ჯგუფი მოსახლეობისა ამიერკავ-

1 Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я. Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии. Москва, 1981, стр. 196.

2 Джапаридзе О. М., На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси, 1989, стр. 370.

3 Джавахишвили А. И., Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа. Тбилиси, 1973, стр. 346.

4 Джапаридзе О. М., На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси, 1989, стр. 245.

5 Абибуллаев О. А., Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР. Баку, 1982, стр. 72.

6 Korfmann M., Tilki-tepe. Tübingen, 1982, p. 152.

7 Иессен А. А., Кавказ и Древний Восток в IV и III тысячелетие до н. э., КСИА, 93, Москва, 1963, стр. 12.

8 Алиев Т., Расписная керамика энеолитического поселения Кямилтепе в Мильско-Гарабахской зоне. Археология, этнология, фольклористика Кавказа. Тбилиси, 2010, стр. 43.

9 Джапаридзе О. М., На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси, 1989, стр. 372; Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я., Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии. Москва, 1981, стр. 195.

10 Археология СССР, Москва, 1982, стр. 115.

კასიას აღწევს და შულავერ-შომუთეფეს კულტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს, რამაც ძირითადად სამშენებლო-არქიტექტურულ საქმიანობაში პოვა ასახვა. ისიც, რომ აქ უკვე სოფლად მყარად ცხოვრების წესი ჩამოყალიბდა, ალბათ სამხრეთიდან მომდინარე გავლენის შედეგი უნდა ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ არქეოლოგიურ მასალაში სამხრეთული გავლენა ნაკლებად იგრძნობა. ეტყობა, ახალმოსულებმა დამხვდურთა კულტურა აითვისეს. მაღალ დონეს აღწევს ობსიდიანის, ძვლისა და რქის დამუშავების ტექნიკა. მიწის დასამუშავებლად ძირითადად გამოიყენებოდა რქისა და ძვლის იარაღი. თავისებურია შულავერ-შომუთეფეს კულტურის თიხის ნაწარმი, რომელიც მაინცადამაინც არ გამოირჩევა დამუშავების ხარისხითა და მრავალფეროვნებით. კერამიკულ წარმოებაში თითქმის არ იგრძნობა სამხრეთული გავლენა.

სულ სხვა ვითარებაა ამ დროს სამხრეთ კავკასიის დასავლეთ მხარეში. ჩანს, სამხრეთიდან მომდინარე იმპულსები მას ნაკლებად შეეხო. აქ წარმატებით დასრულდა „ნეოლითური რევოლუცია“, მკვეთრად იმატა მოსახლეობის რიცხვმა და იწყება მიგრაციული პროცესები. ერთი ნაწილი მოსახლეობისა აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად შიდა ქართლში ინაცვლებს და რაკი აქ ჯერ კიდევ ცხოვრებისათვის მაინცდამაინც ხელსაყრელი გარემო არ იყო, დასავლეთიდან გადმონაცვლებული მოსახლეობა უფრო ინტენსიურად ქართლის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს ითვისებს. ქვემო ქართლში სოფ. სიონთან აღმოჩნდა თავისებური კულტურა, საიდანაც წარმოსდგა მისი სახელი – სიონის კულტურა. იგი საგრძნობლად განსხვავდება მის მეზობელ აღმოსავლეთიდან მიმდგომ შულავერ-შომუთეფეს კულტურისაგან და მეტ საერთოს ნახულობს დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ კულტურასთან.[1] სიონის კულტურა ფართოდ იკიდებს ფეხს იორ-ალაზნის ორმდინარეთში[2] და საკმაოდ ღრმად იჭრება არაგვის ხეობაში.[3] შუაგულ შიდა ქართლში ეს კულტურა შედარებით თხლადაა გავრცელებული. იგი გვხვდება თანდიწყაროს ნამოსახლარზე, ნიჩბისში და სხვ.[4]

როგორც ჩანს, ქვემო ქართლში შულავერ-შომუთეფეს დ სიონის კულტურები ერთხანს თანაარსებობენ. შესაძლოა შულავერ-შომუთეფეს კულტურის დასავლეთით გავრცელება სიონის კულტურამ შეაფერხა. ამ კულტურების ურთიერთობის შესახებ ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. ზოგის აზრით, სიონის კულტურა ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.[5] თუმცა სიონის კულტურის ასაკის შესახებ განსხვავებული შეხედულება არსებობს – იგი ჯერ კიდევ გვიანნეოლითურ ხანას მიეკუთვნება.[6] სიონის კულტურა ბევრ საერთოს პოულობს დასავლეთ საქართველოს გვიან ნეოლითთან როგორც ქვის ინდუსტრიაში, ისე კერამიკაში. ისიც, რომ სიონის კულტურისათვის არ არის

---

1 მენაბდე მ., კილურაძე თ., სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1981, გვ. 27.

2 Варазашвили В. В., Раннеземледельческая культура иор-алазанского бассейна. Тбилиси, 1992, стр. 85.

3 ჩიქოვანი გ., აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურათა შესწავლის საკითხები. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 19, თბილისი, 2010, გვ. 89.

4 ჩიქოვანი გ., ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი თანდიწყარო I სოფელ ხელთუბანთან (გორის რაიონი). ძიებანი, 3, თბილისი, 1999, გვ. 20.

5 მენაბდე მ., კილურაძე თ., სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1981, გვ. 28.

6 ნებიერიძე ლ., სიონის ნამოსახლარი – აღმოსალეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლი. ძიებანი 7, თბილისი, 2001, გვ. 9.

დამახასიათებელი მყარი შენობა, თითქმის იმის მაჩვენებელია, რომ აქ არ იყო ამის ტრადიცია. შულავერ-შომუთეფეს კულტურასთან კონტაქტებმა, ეტყობა, მასზე მაინცდამაინც გავლენა ვერ მოახდინა. სიონის კულტურაში არ იგრძნობა სამხრეთიდან მომდინარე იმპულსები.

სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობა, ჩანს, არც ჰალაფის მომდევნო, ობეიდის ხანაში შეწყვეტილა. ამ დროს მოხატული კერამიკა ზოგიერთ ნამოსახლარზე აღმოჩნდა. საერთოდ ჩრდილო ობეიდური კულტურა მის წინამორბედ კულტურასთან შედარებით გაცილებით ფართოდ ვრცელდება. მისი გავლენა სამხრეთ კავკასიაში იგრძნობა ძირითადად მტკვრისა და არეზის ორმდინარეთში, სადაც ზოგიერთ ნამოსახლარზე ობეიდური კულტურისათვის დამახასიათებელი მოხატული კერამიკა აღმოჩნდა.[1] ობეიდური მოხატული კერამიკა არარატის ველზეც აღმოჩნდა თეხუთის ნამოსახლარზე.[2] შესაძლოა სამხრეთულ გავლენას უკავშირდება ლითონის პირველი ნივთების გამოჩენა სამხრეთ კავკასიის ძეგლებზე – ქიულ თეფე I, თეხუთი და სხვ. ჩანს, ჰალაფ-ობეიდის ხანაში იღვიძებს ინტერესი კავკასიის სპილენძის საბადოებისადმი. აღსანიშნავია, რომ სამხრეთის გავლენა ძირითადად მოიცავდა მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის სტეპურ ზოლს, ნახიჩევანის მხარეს, ქვემო ქართლის ვაკეს. აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები და დასავლეთ ამიერკავკასია ამ მოვლენის მიღმა იყო. სამხრეთული გავლენები დასავლეთ ამიერკავკასიაში პირველად ობეიდის ხანის მომდევნო ურუკის კულტურის დროს იგრძნობა.

ურუკი მნიშვნელოვანი პერიოდია ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. ამ დროს საგრძნობლად იცვლება ცხოვრების ხასიათი. პირველად ჩნდება ქალაქური ტიპის დასახლებები, ვითარდება მეტალურგია,[3] შემოდის ჩარხზე ნაკეთები თიხის ჭურჭელი, სადა, მოუხატავი,[4] ვრცელდება ბორბლიანი ტრანსპორტი და, რაც მთავარია, გვხვდება პირველი წერილობითი ძეგლები.[5] ურუკის ხანაში საფუძველი ეყრება შუმერის ცივილიზაციას.[6]

შუმერის ეკონომიკა ძირითადად იმპორტზე იყო ორიენტირებული. ქვა, ხეტყე, ლითონი და სხვ. ძირითადად გარედან შემოდიოდა. ადგილობრივი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტი, სელი, მატყლი, თიხა, რომელიც სამშენებლო საქმეში და ჭურჭლის დასამზადებლად გამოიყენებოდა.[7] ამ დროს გადაიდგა პირველი ნაბიჯები საერთაშორისო ვაჭრობისა ძველ აღმოსავლეთში.[8] ურუკის ექსპანსია ძირითადად დასავლეთით ანატოლიისაკენ იყო მიმართული. ამ დროს საგრძნობლად იმატა მოთხოვნილებამ ლითონზე, უპირატესად სპილენძსა და ოქროზე. ანატოლია წინაისტორიის ხანაში ძველ სამყაროში მეტალურგიის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი უნდა ყოფი-

---

1 Джавахишвили А. И., Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа. Тбилиси, 1973, стр. 253.

2 Энеолит СССР, Археология СССР, Москва, 1982, стр. 124.

3 Ллойд С., Археология Месопотамии. Москва, 1984, стр. 94.

4 Археология зарубежной Азии, Москва, 1986, стр. 63.

5 Ллойд С., Река-близнецы. Москва, 1972, стр. 8, 9.

6 Чайлд Г., Древнейший Восток в свете новых раскопок. Москва, 1956, стр. 200; История Древнего Востока, 1979, стр. 114.

7 იქვე.

8 Древняя Эбла, 1985, стр. 21.

ლიყო.[1] ჩანს, ურუკი საკმაოდ ღრმად იჭრება ანატოლიაში, ქებანის რეგიონს აღწევს[2] და უფრო შორსაც გადადის ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. ისიც კი ითქვა, რომ ურუკის ხანაში ერაყში ახალი, უცნობი ხალხი ანატოლიიდან უნდა მოსულიყო.[3] ურუკი ჩრდილოეთით ჭოროხის აუზს, მურღულის რეგიონს აღწევს, რომელიც მდიდარია სპილენძის საბადოებით.[4] საგულისხმოა, რომ მურღულში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ძველი წიდა. ეს წიდის უდიდესი მარაგია, რომელიც სადღეისოდ ცნობილია ძველ სამყაროში. ჩანს, სპილენძის მოპოვება აქ ძვ. წ. IV ათასწლეულში უნდა დაწყებულიყო,[5] რასაც წიდის ^{14}C ანალიზი ადასტურებს.[6] სპილენძის საბადოები ცნობილია უფრო ჩრდილოეთითაც.[7] სამხრეთიდან კოლხეთის სიღრმეში გადმონაცვლებული მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები უფრო ინტენსიურად რიონ-ყვირილის აუზს ითვისებენ და საცხოვრებლად ძირითადად მიტოვებულ გამოქვაბულებს იყენებენ. რიონ-ყვირილის რიგ გამოქვაბულებში – საგვარჯილეს, სამელე კლდის, ძუძუანას, სამერცხლე კლდის, თეთრმღვიმისა და სხვ. ზედა ჰორიზონტებში კარგად გამოირჩევა ორი სახის კერამიკული ნაწარმი – ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, ტლანქი თიხის ჭურჭელი, ჩანს, ადგილობრივი ნაწარმი, და თხელკედლიანი წითელპრიალა მრგვალმუცლიანი კერამიკა, ჩარხზე ნაკეთები.[8*]

დაახლოებით იგივე სურათი ჩანს უფრო დასავლეთით მდებარე ზოგიერთ გამოქვაბულში. სამეგრელოში გამოქვაბულ დოშაკში აღმოჩნდა „მაიკოპური“ ტიპის ორი ჭურჭელი, რომელიც ფოთის მუზეუმშია დაცული.[9] აღსანიშნავია გალის რაიონში ოქუმის გამოქვაბულში ნაპოვნი მასალა, რომელიც ახლოს დგას იმერეთის გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტების ინვენტართან. ამ დროის ფენა ოქუმის გამოქვაბულში შედარებით სუსტდაა წარმოდგენილი, მაგრამ მასში გამოირჩევა ორი სხვადასხვა ხასიათის თიხის ნაწარმი – თხელკედლიანი, კარგად ნაძერწი ჭურჭელი და უფრო სუსტად გამომწვარი, უხეში კერამიკა.[10]

1 Esin, U., Archäometallurgie in der Türkei: Stand der Forschung und die Probleme. Anatolian Metall. Bochum, 2000, p. 15; Yalçin Ü., Anfänge der Metallverwendlung in Anatolien. Anatolian Metall. Bochum, 2000, p. 28.

2 Меллаарт Дж., Торговля и торговые пути между северной Сирией и Анатолией (4000–1500 до н. э.), Древняя Эбла. Москва, 1985, стр. 23.

3 Ллойд С., Археология Месопотамии. Москва, 1984, стр. 94.

4 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Известия ГАИМК, вып. 120, Москва, 1935, стр. 44.

5 Hauptmann A., Lutz J., Pernicka E., Yalçin Ü., Zur Technologie der frühesten Kupferverhüttung in ostlichen Mittelmeerraum. Between the Rivers and Over the Mountains. Roma, 1993, p. 564.

6 Günter A., Wagner, Önder Öztunali, Prehistoric Copper Sources in Turkei. Anatolian Metall, I, Bochum, 2000, p. 46.

7 Природные ресурсы Грузинской ССР, т. I, Тбилиси, 1958, стр. 96; Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Известия ГАИМК, вып. 120, Москва, 1935, стр. 44.

8 ფხაკაძე გ., დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურისა და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხი, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1985, გვ. 28.

* დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებში აღმოჩენილ ამ ტიპის კერამიკას „მაიკოპურს“ უწოდებენ მაიკოპის კულტურის თიხის ჭურჭელთან მსგავსების გამო.

9 ფხაკაძე გ., დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურისა და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხი. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1985, გვ. 33.

10 ფხაკაძე გ., ოქუმის გამოქვაბულის ენეოლითური ნაშთები. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VII, თბილისი, 1979, გვ. 69.

„მაიკოპის“ ხასიათის თიხის ნაწარმის გამოჩენა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ მხარეში, ეტყობა ურუკის კულტურის მატარებელი ხალხის გავრცელებას უკავშირდება. მათში ალბათ მეთუნეებიც ერივნენ, რომლებიც ჩარხზე უფრო მაღალი ხარისხის ჭურჭელს ამზადებდნენ. როგორც ჩანს, ეს სამხრეთიდან საკმაოდ მძლავრი მიგრაცია უნდა ყოფილიყო, რომელშიაც ალბათ ოჯახის წევრებიც მონაწილეობდნენ. ეს რომ წმინდა სამხედრო ხასიათის ლაშქრობა ყოფილიყო, მეთუნეების მასში მონაწილეობა გამორიცხული იყო. კავკასიაში მიგრანტების გამოჩენას სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა, ალბათ ლითონის – სპილენძისა და ოქროს მოძიებასთან დაკავშირებული, რაც საკმაოდ ხანგრძლივ დროსა და დაძაბულ შრომას მოითხოვდა.

მთლად ნათელი არ არის, რატომ შეაჩერეს თავისი არჩევანი მიგრანტებმა ძირითადად რიონ-ყვირილის რეგიონზე და რატომ ითვისებენ საცხოვრებლად მიტოვებულ გამოქვაბულებს. ეგებ უსაფუძვლო არ იყოს აზრი, რომ გამოქვაბულები ძირითადად მეტალურგების ადგილსამყოფელი იყო.[1] ნიშანდობლივია, რომ გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებში მეტალურგიასთან დაკავშირებული ინვენტარი აღმოჩნდა. აქვე ნაპოვნი იყო ნარევი ხასიათის მასალა – როგორც ადგილობრივი, ისე უცხო, რაც ნათლად გამოჩნდა მასალაში. ადგილობრივი მასალა აქ უფრო უხვადაა წარმოდგენილი.[2] როგორც ჩანს, თანაარსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ალბათ, იმის გამო, რომ მელითონეებმა ამ რეგიონში სასურველი შედეგები ვერ მიიღეს. შესაძლოა ამის მიზეზი ეკოლოგიური გარემოც იყო. მოსულმა მოსახლეობამ ვერ აიტანა კოლხეთის სუბტროპიკული ჰავა. საგულისხმოა, რომ ახალი ტიპის კერამიკა ღია ნამოსახლარებზე არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ყანობილის ნამოსახლარს აბასთუმანთან, რომელიც ზღვის დონიდან 1300 მ სიმაღლეზე მდებარეობს და უფრო კონტინენტური ჰავით ხასიათდება.[3]

სამხრეთ კავკასიის დასავლეთი ნაწილის ათხელების ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ისიც იყო, რომ რიონ-ყვირილის აუზში სპილენძის საბადოები ძნელად მისადგომ ადგილებში მდებარეობდა. რიონის ზედა წელი, რომელიც მდიდარი იყო სპილენძის მადნით, თავისი მძიმე ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს გამო, ძნელი გამოსაყენებელი იქნებოდა.[4] როგორც ჩანს, ამ საბადოების ამოქმედება ძვ. წ. II ათასწლეულში უნდა დაწყებულიყო.[5] დაახლოებით ამავე დროს უნდა დაწყებულიყო სპილენძის საბადოების ექსპლუატაცია ენგურის სათავეებში.[6] რაც შეეხება ლეჩხუმში აღმოჩენილ ძველ გამონამუშევრებს, მათ შესახებ ძნელია გარკვევით რაიმეს თქმა.[7] სპილენძის ადრეული საბადოები ცნობილია აფხაზეთში მდ. კოდორის სათავეებთან ადანგეს უღელ-

---

1 ნებიერიძე ლ., დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბილისი, 1978, გვ. 87.

2 ფხაკაძე გ., დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურისა და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხი. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1985, გვ. 34.

3 ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხური. თბილისი, 1986, გვ. 155.

4 Минеральные ресурсы ГССР, Тбилиси, 1933, стр. 532.

5 Муджири Т. П., Гобеджишвили Г. Г., Инанишвили Г. В., Маисурадзе В. М., Древнейшие сурьмянные рудники Грузии и их радиоактивные датировки. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Тбилиси, 1987, стр. 236.

6 Чартолани Ш. Г., Медные горнорудные выработки в Сванетии. Медные рудники Западного Кавказа III–I тыс. до н. э. и их роль в горно-металлургическом производстве древнего населения, Сухуми, 1988, стр. 16.

7 Минеральные ресурсы ГССР, Тбилиси, 1933, стр. 536.

ტეხილთან – ადგილ ბაშკაფსარაში, რომელიც, ^{14}C მიღებული თარიღებით, თითქოს ძვ. წ. III ათასწლეულში უნდა ამოქმედებულიყო,[1] მაგრამ რამდენად საიმედოა ეს თარიღები გარკვევით თქმა ძნელია.

როგორც ჩანს, მოსული მოსახლეობის ერთი ჯგუფი უფრო დასავლეთით, ყუბანისპირისკენ ინაცვლებს, მეორე ნაწილი კი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, გადადის. ადლერის რეგიონში მდებარე ზოგიერთი გამოქვაბულის ზედა ჰორიზონტებში დასავლეთ საქართველოს ძეგლების ანალოგიური მასალები აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მდ. კუდაპსეს ხეობაში, ბელორეჩინსკის უღელტეხილთან შესწავლილი ვორონცოვის გამოქვაბული.[2] მასში ორი სართული გამოირჩევა – ქვედა „ოჩაჟნის“ ეხი და ზედა „კოლოკოლნაიას“ და „ზალოჟნაიას“ სადგომები. „ოჩაჟნაიაში“ გვხვდება შედარებით სქელკედლიანი ჭურჭელი, გაუპრიალებელი, კვერცხისებრი ტანით, მომრგვალებული ძირით და მკვეთრად გადმოღუნული პირით. აქ მოპოვებული მასალა ბევრ საერთოს ნახულობს დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულებში ნაპოვნ ინვენტართან. სხვაობა ისაა, რომ „ოჩაჟნის“ ეხში არ გვხვდება თხელკედლიანი, წითელპრიალა კერამიკა. ეს თიხის ჭურჭელი ვორონცოვის გამოქვაბულში ჩნდება უფრო მოგვიანო სადგომებში – „კოლოკოლნაიაში“ და „ზალოჟნაიაში“.[3] ანალოგიური მასალა ნაპოვნი იყო მდ. მზიმთის ნაპირას აღმოჩენილ ახშტირის გამოქვაბულის ზედა ფენაში.[4]

ჩანს, სამხრეთიდან მიგრირებული მოსახლეობის ერთ ჯგუფს, რომელიც დასავლეთ ამიერკავკასიიდან საცხოვრებლად ყუბანისპირეთში გადავიდა, შედარებით უკეთესი კლიმატური გარემო დახვდა.[5] აღინიშნა კიდეც, რომ მათი მიგრაცია სამხრეთ კავკასიში უნდა შემზადებულიყო.[6] ზოგიერთის ვარაუდით, მოძრაობის გზა დასავლეთ ამიერკავკასიიდან ძირითადად შავი ზღვის სანაპირო ზოლს მიუყვებოდა.[7] ზოგს ეს გზა საეჭვოდ მიაჩნია.[8] აღინიშნა, რომ ერთ-ერთი ძირითადი გზა წინა აზიიდან მიგრანტების ცალკეული ჯგუფების გადმონაცვლებისა შავი ზღვით ხორციელდებოდა.[9] უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ გზა მესოპოტამიიდან მოდიოდა ირანში, აქედან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გავლით – ჩრდილო კავკასიაში.[10] შესაძ-

---

1 Бжания В. В., Древние рудники у перевала Аденгь. – Медные рудники Западного Кавказа III-I тыс. до н. э. и их роль в горно-металлургическом производстве древного населения. Сухуми.1988, стр. 8.

2 Соловьев Л. Н., Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья эпохи неолита и бронзы, Воронцовская пищера. Тр. Абхазского ИЯЛИ. Сухуми, 1958, стр. 135.

3 ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხური. თბილისი, 1986, გვ. 140; Форозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья. Москва. Сборник материалов по археологии Адыгеи, т. II, Майкоп, 1965, стр. 82.

4 იქვე, გვ. 73.

5 Кореневский С. Н., Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва, 2004, стр. 75, 92.

6 იქვე, გვ. 92.

7 Соловьев Л. Н., Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья эпохи неолита и бронзы, Воронцовская пищера. Тр. Абхазского ИЯЛИ. Сухуми, 1958, стр. 158; Форозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья. Москва, 1965, стр. 150.

8 Кореневский С. Н., Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва, 2004, стр. 92.

9 Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века. Москва, 1975, стр. 376; მისივე, Майкопская культура, Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва, 1994, стр. 225.

10 Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я., Амиров Ш. Н., Открытие погребений урукской культури в Телль Хазне II. Исследование первобытной археологии Евразии. Москва, 2010, стр. 341.

ლოა ზღვის გზას მართლაც იყენებს სამხრეთიდან მიგრირებული მოსახლეობა, მაგრამ მაინც უფრო ისე ჩანს, რომ მათი ძირითადი მასა დასავლეთ ამიერკავკასიიდან ინაცვლებს შავი ზღვის სანაპირო ზოლით და უღელტეხილებით, უპირატესად ალბათ ბელორეჩინსკის გადასასვლელით.[1] ვორონცოვის გამოქვაბული სწორედ ამ გზაზე მდებარეობს. როგორც ჩანს, ისინი ყუბანისპირეთს აღწევენ, სადაც საკმაოდ მყარად სახლდებიან წინამაიკოპური ხანის ნამოსახლარებზე – მეშოკო, სკალა, სვობოდნაია და სხვ., რომლებიც ძნელად მისადგომ ადგილებში მდებარეობდნენ.[2] აქ კარგად შეინიშნება მოსულთა ნაკვალევი. აქაც ზოგიერთ გამოქვაბულში გვხვდება ამ დროის ფენები.[3] აქ მოპოვებულ მასალებში საკმაოდ ახლო მსგავსება ჩანს დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულებში გამოვლენილ ინვენტართან.[4] ყუბანისპირეთის ნამოსახლარების ქვედა ფენები, ზოგის ვარაუდით, წინამაიკოპის ხანას მიეკუთვნება.[5] თუმცა ზოგს მთლად დამაჯერებლად არ მიაჩნია ეს მოსაზრება.[6]

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეშოკოს ნამოსახლარი, რომელიც კლდოვან პლატოს კონცხზე მდებარეობდა და დაახლოებით 1,5 ჰექტარი ფართობი ეკავა. ბუნებრივად იგი კარგად გამაგრებული იყო, ღია მხრიდან კი მას საკმაოდ მძლავრი ქვის კედელი იცავდა, რომლის სიგრძე – 150 მ-ია, სიგანე – 4,0 მ, სიმაღლე კი 2,0 მ-ს აღწევდა.[7] კულტურული ფენის სიმძლავრე ალაგ-ალაგ 2.0 მ-ს აღწევდა.[8] დამცავი კედელი ამ დროის სხვა ნამოსახლარებზეც დაფიქსირდა.[9] წინამაიკოპური ნამოსახლარების გეგმარების, საცხოვრებლის ტიპის და საერთოდ სამშენებლო საქმის შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. საცხოვრებელი სახლი, როგორც ჩანს, სწორკუთხა მოყვანილობის უნდა ყოფილიყო, თიხალესილი, სარ-ლასტზე ნაგები.[10] ქვა ნაკლებად იყო გამოყენებული მშენებლობაში. ჩანს, ახალმოსულებს რაიმე საგრძნობი ცვლილებები სამშენებლო საქმეში არ შეუტანიათ. მათი აგებული უნდა ყოფილიყო ალბათ ქვის დამცავი კედელი.

ამ დროის ნამოსახლარებზე საკმაოდ მდიდარი მასალა აღმოჩნდა. ბევრია ქვისა და ძვლის იარაღი და სამკაული. მეშოკოს ქვედა ჰორიზონტებში ჭარბობს თხელკედლიანი, სადა, კარგად გამომწვარი, ჩარხზე ნაკეთები, ნაპრიალებზედაპირიანი ჭურჭელი.[11] ეს კერამიკა უახლოვდება დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების

1 Форозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья. Москва, 1965, стр. 150.
2 Формозов А. А., Поселения Адыгеи эпохи раннего металла. Сборник материалов по археологии Адыгеи, т. III, Майкоп, 1972, стр. 16.
3 Форозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья. Москва, 1965, стр. 71.
4 იქვე, გვ. 134.
5 Кореневский С. Н., Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва, 2004, стр. 8; Кореневский С. Н., К вопросу о поселениях ранних земледельцев скотоводов Предкавказья в свете новых данных, Кавказ в системе раннеметаллургических культур Евразии. Тбилиси, 2003, стр. 78.
6 Мунчаев Р. М., Майкопская культура, Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва, 1994, стр. 174; Формозов А. А., О периодизации энеолитических поселений Прикубанья. Российская археология, 4, Москва, 1994, стр. 48.
7 Мунчаев Р. М., Майкопская культура, ранняя и средняя бронза Кавказа. Москва, стр. 1994, 174.
8 Форозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья. Москва, 1965, стр. 197.
9 Мунчаев Р. М., Майкопская культура, ранняя и средняя бронза Кавказа. Москва, 1994, стр. 174.
10 Формозов А. А., Черных Е. Н., Новые поселения майкопской культуры. – Сборник материалов по археологии Адыгеи, т. II, Майкоп, 1964, стр. 108; Мунчаев Р. М., Майкопская культура, ранняя и средняя бронза Кавказа. Москва, 1994, стр. 177.
11 Столяр А. Д., Мешоко-Древнейшая крепость Предкавказья. Санкт-Петербург, 2009, стр. 17.

კულტურის თიხის ჭურჭელს. ამ ხასიათის ნაწარმი სამხრეთიდან მიგრირებულ მოსახლეობას უკავშირდება. იგი ყუბანისპირეთში წინამაიკოპურ ხანაში ვრცელდება.[1] როგორც ჩანს, მიგრირებული მოსახლეობა, დამხვდურ მცხოვრებლებთან ერთად, საფუძველს უყრის მაიკოპის მაღალ კულტურას. მოსულ და დამხვდურ მოსახლეობას შორის საკმაოდ მშვიდი ურთიერთობა მყარდება. ნამოსახლარების ქვის კედლით გამაგრება თითქოს იმას მოწმობს, რომ მიგრანტები საკმაო ხანს შეყოვდნენ და ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციები აითვისეს. მკვიდრ მოსახლეობას ალბათ უპირატესად აფხაზურ-ადიღეური ტომები შეადგენდნენ, რომლებიც მყარად დამკვიდრდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საერთო-კავკასიური ერთობის დაშლის შემდეგ.[2] კოლხეთიდან ყუბანისპირეთში მიგრაციაში შესაძლოა ადგილობრივი მოსახლეობაც, ალბათ, ქართველური ტომებიც მონაწილეობდნენ, რასაც თითქოს უნდა მოწმობდეს მეშოკოს ქვედა ჰორიზონტის ინვენტარის მსგავსება დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების კულტრისათვის დამახასიათებელ მასალასთან, განსაკუთრებით საგვარჯილეს მონაპოვრებთან.[3]

მიგრანტების მეორე ტალღა ძირითადად ალბათ რიონ-ყვირილის ორმდინარეთიდან შიდა ქართლში გადადის, სადაც ამ დროს სიონის კულტურა იყო გავრცელებული. მათი ნაკვალევი კარგად შეინიშნება იორ-ალაზნის ორმდინარეთში,[4] ინტენსიურად ითვისებენ ისინი აგრეთვე ქვემო ქართლს. სიონის ნამოსახლარზე გამოირჩევა თხელკედლიანი, კარგად ნაზელი თიხის ჭურჭელი. მსგავსი თიხის ნაწარმი ცნობილია წოფიდან.[5] აღინიშნა, რომ აქ ერთ-ერთ ჭურჭელს კარგად ემჩნევა მორგვის ნაკვალევი.[6] ანალოგიური კერამიკა ნაპოვნი იყო თეთრიწყაროს ნამოსახლარის A დონეზე, მტკვარ-არაქსის კულტურის ფენის ქვეშ.[7] იყო თუ არა ამ ნამოსახლარზე ნაპოვნი ქვის დისკოს სეგმენტი მორგვის ნაწილი, გარკვევით თქმა ძნელია. თუმცა ძეგლის გამთხრელი დიდ მსგავსებას ხედავს ურუკის ხანის ფენაში აღმოჩენილ თიხის მორგვსა და თეთრიწყაროს დისკოს შორის.[8] სავარაუდოა, რომ დისკოს სეგმენტი მართლაც მორგვის ნაწილი იყოს და შესაძლოა მიგრანტების აქ გამოჩენას უკავშირდებოდეს. მათი ნაკვალევი შეიმჩნევა თეთრიწყაროს ნამოსახლარზე.

თბილისში დელისის ნასოფლარის თიხის ნაწარმში გამოირჩევა კერამიკა, რომელიც ფორმით და დამუშავების ტექნიკით ახლოს დგას დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების კულტურისათვის დამახასიათებელ თიხის ნაწარმთან.[9] ეს ნამოსახლარი შიდა და ქვემო ქართლის საზღვარზე მდებარეობდა და ჩანს, რომ დასავ-

---

1 Кореневский С. Н., Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва, 2004, стр. 91.

2 ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი, 2006, გვ. 186.

3 Форозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья. Москва, 1965, стр. 149; ნებიერიძე ლ., მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. თბილისი, 2003, გვ. 88.

4 Варазашвили В. В., Раннеземледельческая культура иор-алазанского бассейна. Тбилиси, 1992, стр. 54. 58, 64.

5 საქართველოს არქეოლოგია, II, თბილისი, 1922, გვ. 55.

6 Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Древние культуры Южного Кавказа. Тбилиси, 1970, стр. 32.

7 გობეჯიშვილი გ., თეთრი წყაროს ნასოფლარი, თბილისი, 1978, გვ. 56, 59.

8 იქვე, გვ. 72.

9 აბრამიშვილი რ., დელისის ნამოსახლარი. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი, 1978, გვ. 31; გოგაძე ე., დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია. კონტაქტების და წარმომავლობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს პრეისტორიულ კულტურათა ურთიერთობის პროცესში. კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები, თბილისი, 2003, გვ. 27.

ლეთიდან გადმონაცვლებული მიგრანტები ერთხანს დამხვდურ მოსახლეობასთან თანაცხოვრობდნენ.

ამ ხასიათის კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე შუაგულ შიდა ქართლში ბერიკლდეების ნამოსახლარის ქვედა ფენაში. ბერიკლდეების ნამოსახლარი მდებარეობდა ქარელის მახლობლად, მაღალ კონცხზე, იქ, სადაც მდ. ფრონე ერთვის მტკვარს. ნამოსახლარზე სამი მეტრის კულტურულ ფენაში ხუთ პერიოდს გამოარჩევენ – ენეოლითიდან მოკიდებული ადრერკინის ხანამდე.[1] განსაკუთრებით საყურადღებოა ძირა ფენა, სადაც აღმოჩნდა ალიზისაგან ნაგები ზღუდე და ტაძრის ტიპის ნაგებობა, რომელიც ჩანს ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში უნდა მდგარიყო.[2] ეტყობა, ბერიკლდეები ათასწლეულების მანძილზე რელიგიური ცენტრი უნდა ყოფილიყო.[3] ტაძარი სწორკუთხა ფორმისა იყო. ეს „წმინდა“ ადგილი ჩანს, ალიზის კედლით იყო შემოზღუდული.[4] აღინიშნა, რომ ბერიკლდეების ტაძარს სამხრეთ შუამდინარეთის კულტურებში ანალოგია არ მოეძებნება.[5] ვარაუდობენ, რომ ტაძრის კულტურა მცირე აზიიდან ვრცელდება.[6] საგულისხმოა, რომ მალათიის მახლობლად მდებარე არსლანთეფეს ნამოსახლარზე ბერიკლდეების მსგავსი ნაგებობა გამოვლინდა.[7] როგორც ჩანს, ორივე ნამოსახლარი დაახლოებით ერთ დროს უნდა წარმოქმნილიყო მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანაში. შესაძლოა სამხრეთიდან ურუკის ხანაში მიგრირებული მოსახლეობის ერთი ნაწილი აღმოსავლეთ ანატოლიაში ყოვნდება, რასაც არსლანათეფეს ტაძრის ტიპის ნაგებობა უნდა მოწმობდეს, მეორე კი უფრო ჩრდილოეთით სამხრეთ კავკასიისკენ ინაცვლებს. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ერთნაირად წარიმართა ამ ნამოსახლარების შემდგომი ბედი. ორივე ნამოსახლარი, არსლანთეფე და ბერიკლდეები, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების შემოსევას ემსხვერპლა.[8]

ბერიკლდეების ტაძარი და ზღუდე სამშენებლო საქმეში კარგად გაწაფულ ოსტატების, ალბათ, დასავლეთ საქართველოდან გადმონაცვლებული ემიგრანტების მიერ უნდა ყოფილიყო აგებული. აღსანიშნავია, რომ კავკასიაში არსად, სადაც ურუკის ნაკვალევი ჩანს, ტაძრის ტიპის შენობა ცნობილი არ არის.[9] ცხადია, ამ წმინდა სალოცავს თავისი მრევლიც უნდა ჰყოლოდა. მაგრამ ბერიკლდეების მახლობლად ამ დროის დასახლებული ადგილი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ბერიკლდეების გამთხრელი ალ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ შესაძლოა ეს წმინდა ადგილი მახლობლად მდებარე დედოფლის გორის მოსახლეობის სამლოცველო ყოფილიყო.[10] ამ ძეგლზე ძლიერი კულტურული ფენა გამოვლინდა და ანაკრეფი მასალა ამ ვარაუდის საფუძველს იძლეოდა. შესაძლოა აქ ცხოვრება ჯერ კიდევ სამლოცველოს არსებობის

1 Žavaxišvili A., Ausgrabungen in Berikldeebi (Šida Kartli) Georgica, 21. Konstanz, 1998, p. 7.
2 იქვე, გვ. 12.
3 იქვე, გვ. 8; ყიფიანი გ., ბერიკლდეები, გალავანი და ტაძარი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XII-, თბილისი, 1997, გვ. 15.
4 Žavaxišvili. A., Ausgrabungen in Berikldeebi (Šida Kartli) Georgica, 21. Konstanz, 1998, p. 11.
5 ყიფიანი გ., ბერიკლდეები, გალავანი და ტაძარი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XLII-B, თბილისი, 1997, გვ. 30.
6 იქვე, გვ. 35.
7 Nocera, Gian Maria, Die Sindlungen der mittelbronzezeit von Arslantepe. Roma, 1998, p. 15.
8 ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი, 2006, გვ. 273.
9 Кореневский С. Н., Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва, 2004, стр. 73.
10 Makharadze Z., Nouvelles données sur le Chalcolithique en Georgie Orientale. Les Cultures du Caucase (VI-III millenaires av.). Leurs relations avec le Proche-Orient, Paris, p. 123-132.

ხანაში წარმოიქმნა და შემდეგ რომაულ ხანამდე გაგრძელდა. სადღეისოდ დედოფლის გორაზე რომაული ხანის ზედა ფენაა შესწავლილი. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბერიკლდეების ძირა ფენა IV ათასწლეულის პირველ ნახევარს მიეკუთვნება.[1] თუმცა, ზოგის აზრით, ბერიკლდეების ძირა ფენის თარიღი რამდენადმე უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს და IV ათასწლეულის შუა ხანებით და მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს.[2]

ეტყობა, შიდა ქართლში მიგრანტები ერთხანს სიონის კულტურის მატარებელ მოსახლეობასთან თანაცხოვრობენ, რაც მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენამდე უნდა გაგრძელებულიყო. მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობა ბერიკლდეებზე არ შეიმჩნევა. ამ კულტურის გავრცელების ხანაში სრულიად იცვლება კულტმსახურების ხასიათი. ინგრევა ტაძრის ტიპის ნაგებობა და კულტთან დაკავშირებული ცერემონიალი უშუალოდ საცხოვრებელ შენობაში მიმდინარეობდა, რასაც მრგვალი კერების და საკულტო ხასიათის ნივთების აღმოჩენა უნდა მოწმობდეს. ამ დროს ბერიკლდეები კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც რელიგიური ცენტრისა. მისი კვლავ აღზევება, ჩანს, ბედენის კულტურის ხანაში ხდება.

ურუკის ეთნოკულტურული გავლენები უფრო ძლიერი იყო ქვემო ქართლის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, გარდაბნის მხარეს, ამ დროის რამდენიმე ნამოსახლარი იყო გამოვლენილი, სადაც კარგადაა წარმოდგენილი მესოპოტამიური იერის თიხის ჭურჭელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბეიუკ კესიკის ნამოსახლარი, რომელიც აზერბაიჯანის მხარეზე, ყარაიაზის ველზე, თითქმის ჩვენს აღმოსავლეთ საზღვართან, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. იგი მიწის პირიდან თითქმის არ გამოირჩეოდა. ნამოსახლარის კულტურული ფენის სისქე დაახლოებით 1,70 მ-ს შეადგენდა.[3] ნაგებობები ცუდად იყო შემონახული. მათ სწორკუთხა, მომრგვალებული ან სულაც არათანაბარი მოხაზულობა ჰქონდათ. ნამოსახლარზე გამოვლინდა რამდენიმე კერა, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ღუმელი, სამეურნეო ორმოები და სხვ. რამდენიმე უბანზე ჩვილი ბავშვების სამარხები აღმოჩნდა, უპირატესად თიხის ჭურჭელში მოთავსებული.

ყარაიაზის ვაკეზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფ. სეიუგბულაგის მახლობლად გამოვლინდა ყორღანული ველი. ყორღანების ყრილის სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატებოდა, ზოგს კი ყრილი საერთოდ არ ემჩნეოდა. ყორღანებში სამარხეული ინვენტარი ღარიბული იყო, ჭარბობდა თიხის ჭურჭელი, რომელიც ლეილათეფეს ნამოსახლარის კერამიკის მსგავსი იყო.[4] განსაკუთრებით აღსანიშნავია 2006 წელს გათხრილი №1 ყორღანი, რომლის დიამეტრიც 17,0 მ-ს აღწევდა, სიმაღლე კი ნახევარ მეტრზე ცოტა მეტს.[5] ყორღანის ყრილის ქვეშ აღმოჩნდა ქვებისგან შეკრული წრე, კრომლეხი, რომლის ცენტრალურ ნაწილში სწორკუთხა ორმო მდებარეობდა. სამარხ

---

1 Глонти Л. И., Джавахишвили А. И., Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита-поздней бронзы в Шида Картли-Бериклдееби. Краткие сообщения института археологии, 1992, Москва, 1987, стр. 86.

2 მახარაძე ზ., ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიის ზოგიერთი პრობლემა, თბილისი, 1998, გვ. 29.

3 Ахундов Т. И., Махмудова В. А., Южный Кавказ в кавказско-переднеазиатских этнокультурных процессах IV тыс. до н. э. Баку, 2008, стр. 17.

4 Мусеибли Н. А., Позднеэнеолитические курганы Акстафинского района. Археология, этнология, фольклористика Кавказа. Баку, 2005, стр. 53.

5 Ахундов Т. И., Махмудова В. А., Южный Кавказ в кавказско-переднеазиатских этнокультурных процессах IV тыс. до н. э. Баку, 2008, стр. 33.

ორმოში ცუდად შემონახულ მიცვალებულის ძვლოვან ნაშთებთან ერთად საკმაოდ მდიდრული ინვენტარი იყო ნაპოვნი: კარგი ხარისხის თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევრისპირი, ქვის ზოომორფული სკიპეტრი (ცხენის), მრავალად მძივი, მათ შორის ოქროს და ვერცხლის და სხვ. სრულიად უმართებულოა აზრი, თითქოს სეიუგბულაგის ყორღანების აღმოჩენის შემდეგ ნათელი გახდა, რომ კავკასიაში ყორღანული სამარხის იდეა სამხრეთ კავკასიაში უნდა წარმოქმნილიყო. აქედან გავრცელდა იგი ჩრდილოეთით და ფართოდ გამოიყენებოდა მაიკოპის კულტურის მატარებელი ტომების მიერ.[1] ცნობილია, რომ ყორღანული ტიპის სამარხი ჩრდილოეთით, სტეპურ ზოლში უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ამაზე ქვევით გვექნება საუბარი.

განჯა-ყაზახის ველზე ამ დროის რამდენიმე ნასახლარი გამოვლინდა. ამათგან აღსანიშნავია ფაილუ II, რომლის ძირა ფენა ენეოლითის ხანას მიეკუთვნება. რიყის ქვისგან ნაგები შენობები ოთხკუთხა ან სწორკუთხა მოყვანილობისა იყო. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ორი ღუმელი, სამეურნეო ორმოები, თიხის ჭურჭელში მოთავსებული ჩვილი ბავშვის ოთხი სამარხი. თიხის ნაწარმიდან ჭარბობს ჩარხზე ნაკეთები თიხის ჭურჭელი. აღსანიშნავია აქ ნაპოვნი თიხის ნამგალი და ზოომორფული ქანდაკება, ალბათ ძაღლის თავისა. იარაღი ძირითადად კაჟის იყო. ნაკლებადაა წარმოდგენილი ობსიდიანის იარაღი, რომელიც ფარავნის ტბის მიდამოების ნედლეულიდანაა ნაკეთები. ლითონის მხოლოდ სამი უსახური ნატეხი იყო ნაპოვნი.[2]

განჯა-ყაზახის ველზე ამ დროის კიდევ ერთი ნამოსახლარი იყო შესწავლილი – აგილი დერე. იგი ძლიერ დაზიანებული იყო. აქ აღმოჩნდა ამ პერიოდის ნამოსახლარებისთვის დამახასიათებელი კერამიკა, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ღუმელი და კერა.[3]

როგორც ჩანს, განჯა-ყაზახის ვაკეს, რომელიც ქვემო ქართლის ველის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა, საკმაოდ ინტენსიურად ითვისებენ სამხრეთიდან გადმონაცვლებული მოსახლეობის ჯგუფები, რომლებიც ძირითადად დასავლეთ ამიერკავკასიიდან შიდა ქართლის გავლით ვრცელდებიან. ნაწილი უფრო აღმოსავლეთით ინაცვლებს და საკმაოდ მყარ დასახლებებს ქმნის. ეტყობა, ქვემო ქართლის მიმდგომ განჯა-ყაზახის, ყარაიაზის, მილისა და ყარაბაღის ველებზე უფრო ხელსაყრელი გარემო არსებობდა ცხოვრებისათვის, რაც ჯერ კიდევ შულავერ-შომუთეფეს კულტურის გავრცელების ხანიდან შეიმჩნევა.

ყარაბაღის ველზე გამოვლენილი იყო ჯგუფი ნამოსახლარებისა, რომელთაგან გამოირჩევა ლეილათეფეს ნასახლარი. აქ მოპოვებული მასალების საფუძველზე ცნობილმა არქეოლოგმა იდეალ ნარიმანოვმა მანამდე უცნობი ადრესამიწათმოქმედო კულტურა გამოყო, რომელიც დღეს ლეილათეფეს კულტურის სახელითაა ცნობილი. მან იმთავითვე სწორად განსაზღვრა ამ კულტურის ხასიათი და იგი მესოპოტამიურ კულტურას დაუკავშირა.[4] ეს დასკვნა ძირითადად დაფუძნებული იყო კერამიკული

1 Мусеибли Н. А., Позднеэнеолитические курганы Акстафинского района. Археология, этнология, фольклористика Кавказа. Баку, 2005, стр. 136.

2 Мусеибли Н. А., Результаты раскопок поселения Пайлу II леилатепинской культуры. Археология, этнология, фольклористика Кавказа. Тбилиси, 2010, стр. 208.

3 Ахундов Т. И., Махмудова В. А., Южный Кавказ в кавказско-переднеазиатских этнокультурных процессах IV тыс. до н. э. Баку, 2008, стр. 24.

4 Нариманов И. Г., Культура древнейшего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана. Баку, 1987, стр. 129; Нариманов И. Г., Об энеолите Азербайджана. Кавказ в системе палеометаллургических культур Евразии. Тбилиси, 1991, стр. 32.

მასალის ანალიზზე. ი. ნარიმანოვმა აქ ორი ჯგუფის სრულიად განსხვავებული ხასიათის თიხის ნაწარმი გამოყო. პირველი „ხარისხიანი კერამიკა“, რომელიც გამოირჩევა ძერწვის მაღალი დონით, თხელკედლიანი, სადა და, რაც მთავარია, მას აშკარად ემჩნეოდა ჩარხის ნაკვალევი. მეორე ჯგუფის თიხის ჭურჭელი, „ტლანქი კერამიკა“, ხელით იყო უხეშად ნაძერწი. ი. ნარიმანოვის ვარაუდით, ლეილათეფეს კულტურა მესოპოტამიის ობეიდური ხანის კულტურას უკავშირდება.[1] სამართლიანად აღინიშნა, რომ ლეილათეფეს კულტურა ობეიდის მომდევნო ურუკის ხანასთან ნახულობს მეტ საერთოს.[2] ურუკის კულტურისთვისაა დამახასიათებელი სადა, მოუხატავი თიხის ჭურჭელი და ამ დროს იწყება პირველად სამეთუნეო ჩარხის გამოყენება. ლეილათეფეს ნამოსახლარი ბორცვის დიამეტრი 50-60 მ-ს აღწევდა. კულტურული ფენის სისქე დაახლოებით 2,0 მ-ს უდრიდა. საცხოვრებელი შენობები ნაგები იყო სწორკუთხა ან ოთხკუთხა მოყვანილობის ალიზისაგან. ნამოსახლარზე 12-მდე თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ღუმელი აღმოჩნდა. გამოვლინდა რამდენიმე სამეურნეო ორმო. ნამოსახლარის ტერიტორიაზე ნაპოვნი იყო ჭურჭელში მოთავსებული ჩვილი ბავშვის რამდენიმე სამარხი.[3]

ლეილათეფეს ბორცვის მახლობლად ამ დროის რამდენიმე ნამოსახლარი მდებარეობდა – აბდალ აზის თეფე, შომულუ თეფე, ჩინართეფე და სხვ. თითქმის ყველა ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო ლეილათეფეს ტიპის კერამიკა – როგორც „ხარისხიანი“, ისე „უხარისხო“.[4] ლეილათეფეს კულტურაში გვხვდება კერამიკის სხვა ნაწარმიც – „ლურსმნები“, კვირისტავი, ანთროპომორფული და ზოომორფული ქანდაკებები, საბეჭდავები და სხვ. ლეილათეფეს ნამოსახლარზე ლითონის რამდენიმე ნივთი აღმოჩნდა – ხიშტი, სადგისი, დანის ნატეხი და სხვ.[5]

ლეილათეფეს კულტურის ნაკვალევი შეინიშნება აგრეთვე მუღანის ველის ნამოსახლარზე – ალიკემეკთეფესი, მიშარჩაი IV და სხვ.[6] ურუკის ტიპის კერამიკას ვხვდებით არარატის ველზე თეხუთის ნამოსახლარზე. აქ აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელსაც ატყვია ჩარხის ნაკვალევი.[7] თეხუთში ნაპოვნი იყო ლეილათეფეს დამღინი კერამიკის მსგავსი ჭურჭელი.[8] თეხუთის ნამოსახლარისათვს თავისებური ხასიათის საცხოვრებელია დამახასიათებელი, მიწურები და ნახევრად მიწურები.[9]

საიდან, რა გზით მიმდინარეობდა ურუკის კულტურის გავრცელება მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში მთლად ნათელი არ არის. სავარაუდოა, რომ ძირითადი

---

1 Нариманов И. Г., Об энеолите Азербайджана. – Кавказ в системе палеометаллургических культур Евразии. Тбилиси, 1991, стр. 32; Алиев Н., Нариманов И., Культура Северного Азербайджана в эпоу позднего энеолита. Баку, 2001, стр. 75.

2 Мунчаев Р. М., Урукская культура (Месопотамия) и Кавказ. Археология, этнология и фольклористика Кавказа, Махачкала, 2007, стр. 8; Мунчаев Р. М., Амиров Ш. В., Взаимосвязи Кавказа и Месопотамии в VI–IV тыс. до н. э., Кавказ, археология и этнология, Международная конференция. Шамкир, 2008, Баку, 2009, стр. 41.

3 Нариманов И. Г. Ахундов Т. И., Алиев И. Г., Лейлатепе, Баку, 2009, стр. 9.

4 იქვე, გვ. 37.

5 იქვე, გვ. 54.

6 Алиев Н., Нариманов И., Культура Северного Азербайджана в эпоху позднего энеолита. Баку, 2001, стр. 26.

7 Кореневский С. Н., Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва, 2004, стр. 91; Нариманов И. Г., Культура древнейшего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана. Баку, 1987, стр. 67.

8 Кореневский С. Н., Знаковая керамика Кавказа эпохи энеолита и ранней бронзы. Древности Северного Кавказа. Москва, 1999, стр. 9.

9 Торосян Р. М., Раннеземледельческое поселение Техута. Ереван, 1976, стр. 127.

გზა აღმოსავლეთ ანატოლიიდან დასავლეთ ამიერკავკასიაზე გადიოდა, საიდანაც შიდა და ქვემო ქართლის გავლით მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთს აღწევდა. აქ მილისა და ყარაბაღის ველებზე ურუკელთა ცალკეული ჯგუფები საკმაოდ მყარად ფუძნდებიან.

ურუკის იერის კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, კასპიისპირეთის რიგ ძეგლებზე და უფრო ჩრდილოეთითაც – ზღვისპირა დაღესტანში, დერბენტის მხარეს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ზოგიერთ ძეგლზე ეს კერამიკა ადრემტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭელთან თანაარსებობს.[1] სამხრეთ კავკასიაში მათი თანხვედრა შენიშნული არ არის. შესაძლოა ურუკის იერის მატერიალური კულტურის ელემენტების გამოჩენა კასპიისპირეთში ირანის მხრიდან მომდინარეობდა[2] რამდენადმე უფრო გვიან და მტკვარ-არაქსის კულტურის აქ გავრცელების დროს ემთხვევა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ზღვისპირა დაღესტნიდან მიიმართებოდა მნიშვნელოვანი გზა წინააზიური ეთნოკულტურული გავლენების ჩრდილო-კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ რეგიონებში. სწორედ ამის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო მაიკოპის ფენომენი.[3] ეს გზა მესოპოტამიიდან მოდიოდა ირანში და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გავლით დაღესტანში, საიდანაც შემდეგ აღწევდა ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ მხარეებს.[4] მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ წინააზიური კულტურული იმპულსები ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში უპირატესად სამხრეთიდან მომდინარეობდა წინამაიკოპის ხანაში. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, როგორც აღინიშნა, ეს გავლენები ანატოლიიდან ძირითადად დასავლეთ ამიერკავკასიის გზით ვრცელდებოდა. შესაძლოა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების შემოღწევა ზღვის გზითაც ხორციელდებოდა.[5] თუმცა, ზოგიერთის აზრით, არსებული მონაცემები ამ გზას ნაკლებად უჭერს მხარს.[6] ცენტრალურ კავკასიაში კერამიკის ჩარხზე დამზადების ტრადიციის მატარებელი ტომების გადანაცვლება ძირითადად ალბათ მთავარი ქედის არაერთი გადასასვლელით ხორციელდებოდა. თერგის მხარის ძეგლების ბერიკლდეებთან სიახლოვე მიანიშნებს მტკვრის ხეობის და კავკასიონის უღელტეხილების მნიშვნელოვან როლზე მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაში.[7] მაიკოპის კულტურის გავრცელების ძირითად რეგიონში, ყუბანისპირეთში, მის წარმოქმნაში ადგილობრივ აფხაზურ-ადიღეურ ტომებთან ერთად ალბათ

---

1 Мунчаев Р. М., Амиров Ш. Н., Магамедов Р. Г., Восточный Кавказ и проблемы кавказско-месопотамских связей в IV–III тыс. до н. э. Исследования первобытной археологии Евразии. Москва, 2010, стр. 320.

2 Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я., Амиров Ш. Н., Открытие погребений урукской культури в Телль Хазне II. Исследование первобытной археологии Евразии. Москва, 2010, стр. 341.

3 Мунчаев Р. М., Амиров Ш. Н., Магамедов Р. Г., Восточный Кавказ и проблемы кавказско-месопотамских связей в IV–III тыс. до н. э. Исследования первобытной археологии Евразии. Москва, 2010, стр. 321.

4 Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я., Амиров Ш. Н., Открытие погребений урукской культури в Телль Хазне II. Исследование первобытной археологии Евразии. Москва, 2010, стр. 341.

5 ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი, 2006, გვ. 283.

6 Кореневский С. Н., Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва, 2004, стр. 92; Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я., Амиров Ш. Н., Открытие погребений урукской культури в Телль Хазне II. Исследование первобытной археологии Евразии. Москва, 2010, стр. 341.

7 Кореневский С. Н., Проблема внутренней типологии майкопской культуры в отражении ее керамического комплекса (საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი), 1997, გვ. 75.

სამხრეთიდან მიგრირებული მოსახლეობაც მონაწილეობდა, რომელიც აქ წინამაიკოპურ ხანაში საკმაოდ მყარად სახლდება. შესაძლოა, ამ პროცესში ჩართული იყო აგრეთვე მეზობელი, დასავლეთ საქართველოს, მკვიდრი მოსახლეობა, ალბათ ქართველური ტომები. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს გარკვეული კულტურული სიახლოვე, რომელიც ამ დროის ყუბანისპირეთის და დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე მოპოვებულ მასალებში შეინიშნება.[1] ისიც კი აღინიშნა, რომ დასავლეთ საქართველოს ენეოლითი საფუძვლად დაედო მაიკოპის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას.[2]

საგულისხმოა, რომ კავკასიაში სამხრეთიდან გადანაცვლებული მოსახლეობის გამოჩენამ თითქმის არავითარი ასახვა არ პოვა ცხოვრების ყოფით მხარეზე. არ შეინიშნება რაიმე საგრძნობი სიახლე სამშენებლო-არქიტექტურულ საქმეში. საცხოვრებლად ისევ ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელ ყოვლად უსახური შენობა-ნაგებობებია გამოყენებული.[3] თუ არ ჩავთვლით ბერიკლდეების ტაძრის ტიპის შენობას, სხვა მონუმენტური ხასიათის ნაგებობა ცნობილი არ არის. მიგრანტებს, ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წეს-ჩვეულებები არ დაურღვევიათ და არ შეინიშნება ყოფით კეთილდღეობაზე ზრუნვის რაიმე ნაკვალევი. ისინი ადგილობრივი მოსახლეობის სოფლებში ბინადრობდნენ და მათი თანაცხოვრება, ჩანს, შედარების მშვიდი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ეტყობა, მიგრანტები აქ მაინცდამაინც ხანგრძლივ ცხოვრებას არ აპირებდნენ. აღსანიშნავია, რომ არსლან თეფეს ძირა, VII ფენაში, სადაც კარგად შეინიშნება ურუკის ნაკვალევი, საკმაოდ მყარი ქვის საფუძველზე ალიზისაგან ნაგები სწორკუთხა შენობები გვხვდება.[4] როგორც ჩანს, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში მიგრანტებს ბუნებრივი რესურსები იზიდავდა, უპირატესად ლითონის საბადოები.[5] მათი საქმიანობა აქ სპილენძის და ალბათ ოქროს ძიება იყო. აღინიშნა, რომ კავკასიური მადნები იზიდავდა მესოპოტამიის და ანატოლიის მეტალურგებს.[6] ოქრო იყო ალბათ ძირითადი მიზეზი მესოპოტამიის ინტერესისა კავკასიისადმი.[7]

სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში სპილენძის მისაღებად ალბათ ადგილობრივი საბადოები გამოიყენებოდა – ზანგეზურის, კაფანის, ალავერდის და სხვ..[8] სპილენძს აქ მოსახლე ტომები წინარე შულავერ-შამუთეფეს კულტურის ხანაში ეცნობიან.[9] პირველი ჩვევები მისი დამუშავებისა ალბათ სამხრეთიდან მოდიოდა,[10] სა-

---

1 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი, 1976, გვ. 203.

2 Глонти Л., Джавахишвили А., Джавахишвили Г., Киквидзе Я., Тушабрамишвили Д., Некоторые итоги полевых работ 1964 года урбниской и квирильской археологических экспедиции, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV, თბილისი, 1968, გვ.9.

3 Черных Е. Н., Орловская Л. Б., Радиоуглеродная хронология майкопской археологической общности, Археология, этнология, фольклористика Кавказа. Махачкала, 2007, стр. 9.
Эпох бронзы Кавказа и Средняя Азия, Археология СССР. Москва, 1994, стр. 9.

4 Nocera, Gian Maria, Die Sindlung der mittelbronzezeit von Arslantepe. Roma, 1998, p. 15.

5 Мунчаев Р. М., Амиров Ш. Н., Взаимосвязи Кавказа с Месопотамией, Международная научная конференция. Баку, 2009, стр. 46.

6 Чайлд Г., У истоков европейской цивилизации. Москва, 1952, стр. 210.

7 Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века. Москва, 1975, стр. 407.

8 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Известия ГАИМК, вып. 120, Москва, 1935, стр. 28; Абибуллаев О. А. К вопросу о древней металлургии Азербайджана. МИА, 125, М-Л. 1965, стр. 66.

9 Джапаридзе О. М., На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси, 1989, стр. 228.

10 Черных Е. Н., История древнейшей металлургии Восточной Европы. Москва, 1993, стр. 86.

დაც ლითონს გაცილებით ადრე ეცნობიან.[1] ლეილათეფეს კულტურის ხანაში ლითონის წარმოება ჩანს უფრო მაღალ დონეს აღწევს,[2] რაც ალბათ სამხრეთიდან მიგრირებული მოსახლეობის დამსახურება უნდა ყოფილიყო. ვარაუდობენ, რომ ლეილათეფეს ენეოლითურ ფენაში სახელოსნოს ნაშთები აღმოჩნდა.[3] მაგრამ, მთლად ნათელი არ არის, სად მიმდინარეობდა მადნის დამუშავება და როგორ ხდებოდა ლითონის სამხრეთით გაზიდვა. ამ დროის ნამოსახლარზე არსად არ შეინიშნება მადნის დამუშავების ნაკვალევი. შესაძლოა სპილენძის მიღება მადნის მოპოვების ადგილის მახლობლად მიმდინარეობდა. მადნის საცხოვრებელ ადგილთან ტრანსპორტირება საკმაოდ მძიმე და რთული იქნებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ხანებში თვითნაბად სპილენძსა და მაღალი შემადგენლობის მადნებს იყენებდნენ ლითონის მისაღებად. ასეთ შემთხვევაში წიდის რაოდენობა შედარებით ნაკლები უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ამ ნედლეულის მოპოვების შესაძლებლობის შემცირებას უნდა გამოეწვია მიგრანტების მიერ მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის მიტოვება და ჩრდილოეთით გადანაცვლება. ამას შედეგად ლეილათეფეს კულტურის დაკნინება მოჰყვა, რაც ალბათ მტკვარ-არაქსის გამოჩენამ დააჩქარა.

კიდევ უფრო ბუნდოვანია ოქროსთან დაკავშირებული პრობლემა. ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის, თუ რა დროიდან გვხვდება სამხრეთ კავკასიაში ოქრო. შულავერ-შამუთეფეს კულტურის ხანაში ოქრო ცნობილი არ არის. არც მომდევნო ხანის კულტურებში – ლეილათეფეს, სიონის, დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების კულტურაში გვხვდება ოქრო. არა გვგონია, რომ სოიუგ ბულაგის 2006 წ. №1 ყორღანი, სადაც სხვა ინვესტართან ერთად ოქროს და ვერცხლის მძივები აღმოჩნდა,[4] ლეილათეფეს კულტურის თანდროული იყოს.[5] მაგრამ ამაზე ქვევით.

მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთიდან მიგრანტები ალბათ ლითონის მარაგის შემცირების გამო კავკასიონის ცენტრალური ნაწილის გადასასვლელებით იწყებენ ჩრდილოეთით გადანაცვლებას. ისინი თერგის მხარეს არწევენ და ჩანს ე. წ. გალუგაევოს მაიკოპის ჩამოყალიბებაში იღებენ გარკვეულ მონაწილეობას.[6] აღინიშნა, რომ ოქროს მოპოვების წყარო შესაძლოა ყუბანის და თერგის ალუვიალური ოქრო ყოფილიყო.[7] თუმცა გალუგაევოს მაიკოპის არსებობის თაობაზე ეჭვი იყო გამოთქმული.[8] აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხასიათის პროცესი უფრო მოგვიანო ხანაშიც შეინიშნება. მტკვარ-არაქსის კულტურის დროსაც მიმდინარეობდა მიგრაციები ჩრდილოეთით. თერგის მხარეში აღმოჩნდა ძეგლები, რომლებიც მეტ საერთოს ნახულობენ საჩხერის ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილ მასალასთან.[9]

---

1 ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ., გოგოჭური ბ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი., უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ. წ. VI-III ათასწლეულებში, 2010, გვ. 98.

2 Алиев Н., Нариманов И., Культура Северного Азербайджана в эпоу позднего энеолита. Баку, 2001, стр. 73.

3 ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ. და სხვ., დასახ. ნაშრ., გვ. 99

4 Ахундов Т. И., Махмудова В. А., Южный Кавказ в кавказско-переднеазиатских этнокультурных процессах IV тыс. до н. э. Баку, 2008, стр. 36.

5 ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ. და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 99.

6 Короневский С. Н., Древнейшее оседлое население на Средним Тереке. Москва, 1993, стр. 102.

7 იქვე, გვ. 79.

8 Черных Е. Н. Орловская Л. Б., Радиоуглеродная хронология майкопской археологической общности, Археология, этнология, фольклористика Кавказа. Махачкала, 2007, стр. 10.

9 Ростунов В. А., Куро-араксские могильники Северной Осетии, Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа. Орджоникидзе, 1988, стр. 32.

ოქროს ნაწარმი ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურაში თითქმის ცნობილი არ არის. რაც შეეხება საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე აღმოჩენილ ოქროს ორ რგოლს, ისინი ალბათ ზედა ფენის, ბედენური ხანის სამარხებს უკავშირდებიან. აღმოსავლეთ ანატოლიაში არსლანთეფეს ნამოსახლარზე აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი მდიდრული „სამეფო“ სამარხი, სადაც ოქროს მძივები იყო ნაპოვნი. არა გვგონია, რომ მთლად საიმედო იყო ვარაუდი, რომ ამ ხასიათის სამარხი შესაძლოა მომავალში კიდევ აღმოჩნდეს.[1] მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ სამარხეულ ინვენტარის შემადგენლობაში ოქროს ნივთები არ აღმოჩენილა. სადღეისოდ ცნობილია ამ დროის არაერთი სამარხი, სადაც ნაპოვნია ვერცხლის და სხვა ხასიათის პრესტიჟული ნივთი, მაგრამ ოქროს ნაწარმი არსად არ აღმოჩენილა. თუმცა, როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ოქრო ცნობილი უნდა ყოფილიყო. უკანასკნელ ხანებში ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონში, ადგილ საყდრისში, ოქროს მოპოვების უძველესი კერა აღმოჩნდა. საყდრისის მაღაროს რადიოკარბონული თარიღი ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოთი და III ათასწლეულის პირველი ნახევრით განისაზღვრება, რაც მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის ხანას ემთხვევა. ამას ადასტურებს აგრეთვე მაღაროში აღმოჩენილი ამ კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი.[2] საგულისხმოა ისიც, რომ საყდრისის მაღაროს მახლობლად მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ძეძვების მოზრდილი ნამოსახლარი გამოვლინდა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, მემაღაროელთა დასახლება უნდა ყოფილიყო.[3] ეს ნამდვილად ეპოქალური აღმოჩენა რიგ ჯერ კიდევ ძნელად ასახსნელ კითხვებს ბადებს: რატომ არ გამოიყენება ეს ძვირფასი ლითონი მტკვარ-არაქსის კულტურის დროს? სად წავიდა საყდრისის ოქრო? და სხვ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი უფრო მეტად რწმენა-წარმოდგენას, კულტს უკავშირდება, რომელიც კრძალავდა ოქროს გამოყენებას როგორც სიცოცხლეში, ისე დაკრძალვის რიტუალში. გამოითქვა მოსაზრება, რომ საყდრისის ოქრო, რომელიც, ეტყობა, საკმაოდ უხვად მოიპოვებოდა, სამხრეთ კავკასიის გარეთ გადიოდა.[4] ოქროზე მოთხოვნილება სამხრეთის დაწინაურებულ ქვეყნებში ამ დროს საკმაოდ მაღალი იყო. სად მიდიოდა და როგორ ნაწილდებოდა ოქროს იმპორტიდან მიღებული შემოსავალი, გარკვევით თქმა ძნელია. იგი ალბათ საზოგადო საკუთრება იყო. ძეძვების ნამოსახლარზე საზოგადოების შიგნით რაიმე საგრძნობი ცვლილება შენიშნული არ არის. არა გვგონია, რომ აქ აღმოჩენილ №2 სამარხში, სადაც სამი მიცვალებული ესვენა და ლითონის რამდენიმე საკიდი იყო ნაპოვნი, საზოგადოების შიგნით რაიმე ძვრების მანიშნებელი იყოს.[5]

აღსანიშნავია, რომ ჩვენში ეს მოვლენა შემდეგშიც მეორდება. აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანაში სამარხეულ ინვენტარში ოქრო თითქმის სრულად ქრება, თანაც თრიალეთის კულტურის შემდეგ, სადაც ოქრომჭედლობა მაღალ საფეხურზე იდგა. იყო თუ არა ეს მოვლენა კვლავაც კულტთან დაკავშირებული, ძნე-

---

1 ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ., დასახ. ნაშრ., გვ. 244.

2 იქვე, გვ. 76, 129.

3 იქვე, გვ. 102.

4 იქვე, გვ. 240.

5 იქვე, გვ. 246.

ლია გარკვევით თქმა. გვიანბრინჯაოს ხანაში გვხვდება მდიდრული ე. წ. „წარჩინებული მეომრის“ სამარხები, სადაც უხვადაა ჩატანებული ბრინჯაოს იარაღ-სამკაული, მაგრამ ოქროს ნაწარმი წარმოდგენილი არ არის. ის აზრი, რომ ოქრო ამ დროს ალბათ ბრინჯაოს იარაღის შესაძენად გამოიყენებოდა, ნაკლებად სავარაუდოა.[1]

მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენამ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ჩანს დააჩქარა ლეილათეფეს კულტურის ჩაქრობა. ბერიკლდეების ნამოსახლარზე ძირა ფენას ადრემტკვარ-არაქსის კულტურის ფენა ადევს. არა გვგონია, რომ მართებული იყოს აზრი, თითქოს მაიკოპის კულტურა დროით წინ უსწრებდეს მტკვარ-არაქსის კულტურას.[2] ბერიკლდეებზე მტკვარ-არაქსის კულტურა ზემოდან მაიკოპის კულტურას კი არ ფარავს, არამედ ტაძრისა და გალავნის შემცველ უფრო ადრეულ ფენას. მაიკოპის კულტურის დაძველების შემდეგ ეს კულტურები დაახლოებით თანადროულები უნდა ყოფილიყვნენ და მათი ადრეული თარიღი ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ყუბანისპირეთში, ჯერ კიდევ წინამაიკოპის ხანაში მიგრირებული მოსახლეობა, ჩანს, კარგად შეეთვისა აბორიგენ, დამხვდურ ტომებს, მყარად დაფუძნდა მიწაზე და თანაცხოვრება შედარებით მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. კავკასიის ამ მხარის დაწინაურების ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიც იყო, რომ მიგრაციამ აქ უფრო დიდი მასშტაბები მიიღო. გარდა კოლხეთიდან გადმონაცვლებული ჯგუფისა, აქ გარკვეული მასა მიგრირებული მოსახლეობისა სამხრეთიდან ალბათ ზღვის გზითაც შემოდიოდა. მშვიდ და დაუძაბავ თანაცხოვრების შედეგად ყუბანისპირეთში ჩამოყალიბდა საკმაოდ დაწინაურებული ე. წ. მაიკოპის კულტურა.

დაახლოებით ამავე ხანებში სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა. კავკასიის ამ ორი მძლავრი კულტურის განვითარების პროცესი სხვადასხვა გზით წარიმართა. მაიკოპის კულტურაში უფრო მეტად იგრძნობა სამხრეთის გავლენა, რაც ალბათ მიგრირებული მოსახლეობის დამსახურება უნდა ყოფილიყო. საზოგადოების შიგნით მიმდინარე დიფერენციაციის პროცესი აქ უკვე საკმაოდ შორს წასული ჩანს. ჩნდება დაწინაურებული, ელიტარული ფენა მოსახლეობისა, ალბათ ძირითადად მიგრანტებისაგან შემდგარი. იზრდება ბელადის როლი, რომელიც დიდი პატივით იკრძალება. იმატა მოთხოვნილებამ ფუფუნების საგნებზე. ოქრომჭედლობა საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. ჩანს, პროფესიონალი მელითონეები დაეუფლნენ საიუველირო საქმის რთულ პროფესიას. ჩნდება ოქროს და ვერცხლის მაღალი დონის სამკაული და ჭურჭელი. ვერცხლის ზოგიერთ ჭურჭელზე საკმაოდ რთული კომპოზიციებია გამოსახული. ვერცხლის ერთ-ერთ ჭურჭელზე გადმოცემულია მთების გამოსახულება, ზოგის აზრით, კავკასიონის ქედი თავისი ორი მთავარი მწვერვალით – იალბუზით და ყაზბეგით.[3] თუმცა ზოგი ეჭვს გამოთქვამს, რომ აქ კავკასიონის ქედის რეალური პანორამა

---

1 Куфтин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-осетию и Имеретию. Тбилиси, 1949, стр. 5.

2 მახარაძე ზ., ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიის ზოგიერთი პრობლემა, ძიებანი I, თბილისი, 1998, გვ. 29.

3 Фармаковский Б. В., Архаический период в России, Материалы по археологии России, №34. Санк-Петербург, 1914, стр. 50.

იყოს გამოსახული.[1] უფრო ისაა სავარაუდო, რომ ჭურჭელზე ადგილობრივი მთიანი რელიეფია გადმოცემული.[2] არ არის გამორიცხული, რომ ჭურჭელი ადგილობრივ ოსტატის მიერ იყოს შესრულებული.[3] და მაინც უფრო ისაა საფიქრებელი, რომ ოქრომჭედლობის მაღალი დონე მოსული მოსახლეობის დამსახურება იყო. საიუველირო ნაწარმის იმპორტული წარმომავლობა ნაკლებადაა სავარაუდო. თუმცა ის მოსაზრებაც გამოითქვა, არცთუ მთლად დამაჯერებელი, რომ თითქოს მაიკოპის კულტრის მატარებელი ტომები თვითონ იდგნენ წინა აზიის საიუველირო საქმის სათავეებთან.[4]

როგორც ჩანს, მაიკოპის კულტურის ხანაში თანდათანობით სუსტდება დამოკიდებულება წინააზიურ სამყაროსთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ისიც იყო, რომ ამ დროს ძლიერდება მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ექსპანსია სამხრეთით, რასაც მნიშვნელოვნად უნდა შეეფერხებინა მაიკოპელთა ურთიერთობა წინა აზიის ცენტრებთან.[5] მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება მახლობელ აღმოსავლეთში საგრძნობლად ცვლის კულტურულ სიტუაციას ზოგიერთ რეგიონში.[6]

შექმნილი ვითარების გამო უფრო მეტად ძლიერდება მაიკოპის კულტურის კავშირი ჩრდილოეთთან. ორიენტაციის შეცვლა კარგად გამოჩნდა დაკრძალვის რიტუალში. მაიკოპის კულტურაში ყორღანული ტიპის სამარხის გამოჩენა ჩრდილოეთიდან, სტეპის ზოლიდან მიმდინარე გავლენას უკავშირდება.[7] მაიკოპის კულტურის ხანაში კარგად შეინიშნება კონტაქტები ჩრდილოელ მეზობლებთან. ისიც კი აღინიშნება, რომ მიმდინარეობდა მაიკოპელების გადაადგილების პროცესი ჩრდილოეთით.[8] მაიკოპის კულტურის ყორღანული სამარხები თავისი აგებულებით, ზომით, ინვენტარით და სხვ. საგრძნობლად განსხვავდებოდა სტეპის ზოლის ამავე ტიპის სამარხებისაგან. ჩანს, მაიკოპში ყორღანული ტიპის სამარხის გამოჩენისას საზოგადოების დიფერენციაციის პროცესი უკვე დაწყებული უნდა ყოფილიყო. წარჩინებული ფენის ყორღანული სამარხები გამოირჩევა გრანდიოზული მასშტაბით. ამ დროს მკვეთრი კონტრასტი ჩანს მეტად მდარე ნასახლარ ადგილებს და ბრწყინვალე ყორღანულ სამარხებს შორის.[9] რატომ ცხოვრობენ ასეთ უსახურ შენობებში, მეტად გაუსაძლის ყოფით პირობებში, გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება. თუ მიგრანტები სამხრეთიდან, ურუკიდან გამოსულები იყვნენ, სადაც სამშენებლო საქმე მაღალ დონეზე იდგა, ეს ვითარება უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს. ჩანს, საიქიო ცხოვრებაზე უფრო მეტს ზრუნავენ, ვიდრე სააქაო ყოფაზე. შესაძლოა აქ ყოფნა დროებითად მიაჩნიათ და უფრო მეტად მიცვალებულის საფლავებზე ზრუნავენ, რომლებიც სამუდამო განსასვე-

---

1 Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Известия ГАИМК, вып. 120, Москва, 1935, стр. 82.

2 Чайлд Г., У истоков европейской цивилизации. Москва, 1952, стр. 213

3 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი, 1976, გვ. 219.

4 Кореневский С. Н., Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва, 2004, стр. 97.

5 Ахундов Т., Динамика расселения на Южном Кавказе в эпоху неолит-ранняя бронза (центральные и восточные регионы), Археология, этнология, фольклористика Кавказа.Тбилиси, 2010, стр. 62.

6 Трифонов В. А., Некоторые вопросы переднеазиатских связей майкопской культуры, Краткие сообщения института археологии, вып. 192, Москва, 1987, стр. 21.

7 Резепкин А. Д., Проблема генезиса майкопской культуры, Кавказ в системе палеометаллургических культур Евразии. Тбилиси, 1991, стр. 75.

8 Кореневский С. Н., Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва, 2004, стр. 94.

9 Черных Е. Н. Орловская Л. Б., Радиоуглеродная хронология майкопской археологической общности, Археология, этнология, фольклористика Кавказа. Махачкала, 2007, стр. 10.

ნებელი იყო. ჩანს, მიგრანტები აბორიგენი მოსახლეობის ადათ-ჩვევებს, ადგილობრივ ცხოვრების წესს შეეგუენ.

რატომ უკავშირდება კავკასიაში საიველირო ნაწარმის გამოჩენა ყორღანული ტიპის სამარხის გავრცელებას, მთლად ნათელი არ არის. კავკასიის ჩრდილო ნაწილში ძვირფასი ლითონის ნივთები პირველად ამ ტიპის სამარხებში გვხვდება. ანალოგიური ვითარებაა აგრეთვე სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში, ოღონდ აქ ყორღანები რამდენადმე უფრო გვიან იწყებს გამოჩენას, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობის შემდეგ.[1] ეტყობა, ამ კულტურამ შეაფერხა აქ დაკრძალვის ყორღანული წესის გავრცელება, რაც ჩრდილოეთიდან მომდინარე მოვლენებს უკავშირდება. ჩრდილო შავიზღვისპირეთი იყო, ზოგის აზრით, ინდოევროპელი ტომების პირველსაცხოვრისი. ამ ტომების კავკასიაში გამოჩენამ ადგილობრივი მოსახლეობის ენებზედაც იქონია გავლენა. აფხაზურ-ადიღეურ ენებში გარკვეული შეხვედრები შეინიშნება ინდოევროპულ ენასთან.[2] ამ მოვლენას უკავშირდება ალბათ ქართველურ ენებში შენიშნული ინდოევროპული ენის ელემენტები.[3]

სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში საზოგადოების განვითარების პროცესი სულ სხვა გზით წარიმართა. აქ ამ დროს, ჩანს, უფრო მეტად თანასწორუფლებიანი, ეგალიტარული ხასიათის ურთიერთობა ჩამოყალიბდა. საზოგადოების შიგნით დიფერენციაციის პროცესი თითქმის არ შეიმჩნევა. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდა. ისინი კარგად აღჭურვილნი და უფრო მობილურნი იყვნენ. მთავარი ყურადღება, ეტყობა, ბრინჯაოს მეტალურგიის აღმავლობას ექცეოდა. ჩნდება ახალი სახის ბრინჯაოს საბრძოლო და სამეურნეო ხასიათის სხვადასხვა ტიპის იარაღები: სხვადასხვა სახის ცულები, შუბისმაგვარი იარაღი, ოთხწახნაგა ხიშტი, სატევრისპირი, თოხი, ნამგალი, კომბინირებული იარაღი და სხვ. როგორც ჩანს, ამ დროს ცნობილი უნდა ყოფილიყო ოქრო, რასაც ქვემო ქართლში საყდრისის ოქროს საბადოები მოწმობს. აქვე მახლობლად მტკვარ-არაქსის კულტურის მოზრდილი ძეძვების ნამოსახლარი მდებარეობდა, სადაც ოქროს წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები აღმოჩნდა.[4] ეტყობა, ელიტარული ფენა ამ დროისთვის ჯერ კიდევ მკვეთრად წარმოქმნილი არ არის. ოქრო, ჩანს, უპირატესად გარეთ გადიოდა და მიღებული შემოსავალი ალბათ ძირითადად სამხედრო პოტენციალის აღმავლობას ხმარდებოდა. არ არის მთლად გამორიცხული, რომ საყდრისის ოქრო მაიკოპშიც გადიოდა.

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები დიდ სიძლიერეს აღწევენ და ფართოდ ვრცელდებიან როგორც კავკასიის შიგნით, ისე მის გარეთ.[5] კავკასიაში მათი გავლენის ქვეშ ექცევა მისი დიდი ნაწილი, დასავლეთი მხარის გამოკლებით. ჩანს, ისინი საგრძნობლად ავიწროებენ მაიკოპის კულტურის მატარებელ მოსახლეობას და როგორც აღინიშნა, გზა გადაუღობეს სამხრეთისაკენ. ჩანს, მტკვარ-არაქსის მატარებელმა ტომებმა მაიკოპელთა ჩრდილო კავკასიაში აღმოსავლეთით წინსვლა შეაფერხეს. მაიკოპის კულტურის გავრცელების საზღვარი ცენტრალურ კავკასიის რეგიონს აღწევს. უფრო ღრმად ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასი-

---

1 ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 283.

2 Климов Г. А., Кавказские языки, М., 1965, стр. 82

3 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის. თბ., 1998, გვ. 180.

4 ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ. და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

5 ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 285.

აში მათი კვალი ნაკლებად იგრძნობა. ეს მხარე მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სფეროში იყო.

როგორც ჩანს, მაიკოპის კულტურის მატარებელი ტომები ცენტრალური კავკასიიდან უღელტეხილებით სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში ინაცვლებენ და ამ დროიდან აქ ყორღანული ტიპის სამარხები ვრცელდება.[1] აღსანიშნავია მილის სტეპში, ადგილ უჩ-თეფეში[2] შესწავლილი მოზრდილი ყორღანი, რომელიც კონსტრუქციით, ზომებით და სხვ. მაიკოპის ცნობილ ყორღანს უახლოვდება. ერთ-ერთი ყორღანი გაითხარა და ძირითადი სამარხი გაძარცული აღმოჩნდა. ნაპოვნი იყო მხოლოდ კერამიკის ფრაგმენტები და ბრინჯაოს ფირფიტის რამდენიმე ნატეხი. გამთხრელმა იმთავითვე სწორად განსაზღვრა თიხის ჭურჭლის ხასიათი და მაიკოპის კულტურისთვის დამახასიათებელ კერამიკას დაუკავშირა.[3]

როგორც ჩანს, უჩ-თეფეს ყორღანში ჩრდილო კავკასიიდან გადმონაცვლებული ელიტარული ფენის წარმომადგენელნი დაიკრძალნენ. სავარაუდოდ, ჩრდილოეთიდან გადმოდის გარკვეული ჯგუფი მაიკოპის კულტურის მატარებელი ტომებისა, რომლებიც ძირითადად იმ ადგილებს ითვისებენ, სადაც ლეილათეფეს კულტურა იყო გავრცელებული. ამ დროს ეს რეგიონი მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში შედიოდა და, ჩანს, მათი თანაცხოვრება არცთუ მაინცდამაინც დაძაბული უნდა ყოფილიყო. ახლად გადმონაცვლებულები აქ, ეტყობა, საკმაოდ მყარად დასახლდნენ, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა გრანდიოზული სამარხების აგება, რაც საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო.

ამავე ხანებში ყორღანული ტიპის სამარხები ჩნდება უფრო დასავლეთით – განჯა-ყაზახის, გარდაბნის ველებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყარაიაზის ველზე გამოვლენილი სოიუგ ბულაგის ყორღანული სამაროვანი. აქ ერთ-ერთ ყორღანში საკმაოდ მდიდარი ინვენტარი აღმოჩნდა, მათ შორის ოქროს და ვერცხლის მძივები. აღინიშნა, რომ ეს ყორღანული სამარხი ლეილათეფეს კულტურის დროინდელი უნდა ყოფილიყო და აქ აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის სამკაული უადრესი საიუველირო ნაწარმია.[4] მაგრამ თითქოს უფრო სავარაუდოა, რომ ეს ყორღანები უჩ-თეფეს ყორღანის დროინდელი მაიკოპის კულტურის ხანისა უნდა ყოფილიყო და მათი გავრცელება სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში ჩრდილოეთიდან მიმდინარე მოვლენებს კავშირდება.[5] ეს პროცესი ალბათ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში წარიმართა. როგორც ჩანს, ეს მოვლენები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონს რამდენადმე უფრო გვიან შეეხო და ყორღანული ტიპის სამარხები აქ მარტყოფ-ბედენის ხანაში ვრცელდება, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში.

---

1 Ахундов Т., Динамика расселения на Южном Кавказе в эпоху неолит-ранняя бронза (центральные и восточные регионы), Археология, этнология, фольклористика Кавказа.Тбилиси, 2010, стр. 62.

2 უჩ-თეფე სამ გორას ნიშნავს. სამივე გორა მოზრდილ ყორღანულ სამარხებს წარმოადგენდა. ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით თბილისის მახლობლად – სამგორში. სახელწოდება წარმოსდგა აქ მდებარე სამი გორიდან – ყორღანიდან. ერთ-ერთი მათგანი შესწავლილი იყო პროფ. გ. ნიორაძის მიერ.

3 Иессен А. А., Раскопки Большого кургана в урочище Уч-Тепе. Труды Азербайджанской археологической экспедиции. Материалы и исследования по археологии СССР, 125, М-Л., 1965, стр. 153.

4 Ахундов Т. И., Махмудова В. А., Южный Кавказ в кавказско-переднеазиатских этнокультурных процессах IV тыс. до н. э. Баку, 2008, стр. 32.

5 ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში. თბილისი, 1998, გვ. 167.

როგორც ჩანს, სამხრეთიდან მომდინარე მიგრაციულმა პროცესებმა გარკვეული გავლენა კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობის ენაზეც მოახდინა. მიგრანტების ძირითად მასას ალბათ ურუკის ხანაში მესოპოტამიიდან გადმონაცვლებული შუმერები შეადგენდნენ. ქართველურის და საერთოდ-კავკასიური ენების შუმერულთან ურთიერთობის პრობლემამ კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და ამასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება გამოითქვა. სამართლიანად აღინიშნა, რომ შუმერულის თითქმის ყველა ენობრივ ოჯახთან დაკავშირების ცდა იყო, მაგრამ მისი გენეტიკური კავშირი რომელიმე ენასთან დადგენილი არ არის.[1] არც შუმერების წარმომავლობის და პირველადგილსამყოფლის თაობაზეა ერთიანი აზრი.[2] ისიც კი ითქვა, რომ შუმერების პირველსაცხოვრისი ჩრდილოეთით კავკასიის მთიანეთში უნდა ყოფილიყო და აქედან გავრცელდნენ სამხრეთით.[3] აღინიშნა აგრეთვე, რომ არსებობს მრავალრიცხოვანი ლექსიკური შეხვედრები ბალყარული და ყარაჩაული ენებისა შუმერულთან.[4] ამან სავსებით სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია.[5] არაერთი მოსაზრება გამოითქვა კავკასიური ენების წინა აზიის მკვდარ ენებთან დამოკიდებულების შესახებ. განსაკუთრებით ყურადღება მიექცა ქართველური ენების შუმერულთან შენიშნულ შეხვედრებს.[6] სიახლოვე შეიმჩნევა ამ ენების ლექსიკაში.[7] ჩანს ტიპოლოგიური ხასიათის დამთხვევები და სხვ. მაგრამ მთლად ნათელი არ არის, სად უნდა ყოფილიყო მათი საკონტაქტო არეალი. უკანასკნელი ხანების აღმოჩენები კავკასიაში თითქოს ნათელს ჰფენს ამ პრობლემას. სავარაუდოა, რომ ურთიერთობა ხორციელდება ურუკის კავკასიაში მიგრაციის ხანაში. ის, რომ შუმერული ლექსიკა არ შეინიშნება ნახურ-დაღესტნურ ენებში, ალბათ იმის შედეგი უნდა იყოს, რომ სამხრეთიდან მომდინარე მიგრაციები ნაკლებად შეეხო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას.[8] ქართველურ ენებში შენიშნული შუმერული ენის ელემენტები ალბათ სამხრეთ კავკასიაში ურუკის მიგრაციის შედეგი უნდა ყოფილიყო.

დაბოლოს, კავკასიის ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან დამოკიდებულების ისტორია შორს სიღრმეში გადადის. კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდა სამხრეთის დაწინაურებულ ხალხებთან, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ ამ ხალხების ნაწილი ადრევე აღიგავა პირისაგან მიწისა. კავკასიის აბორიგენმა მოსახლეობამ ყველა ავბედით მოვლენას გაუძლო და დღევანდელობამდე შემოინახა თავი. ეტყობა, კავკასიონის კალთებმა შეიფარა თავისი ძირძველი ხალხები.

---

1 Дьяконов И. М., Языки древней Передней Азии. Москва, 1967, стр. 83.

2 История Древнего Востока, 1979, Москва, 1979, стр. 94.

3 გიორგაძე გ., უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბილისი, 2002, გვ. 168; მუსხელიშვილი დ., ქართველთა წარმომავლობა, თბილისი, 2010, გვ. 12

4 Советская археология, 1990, стр. 133.

5 იქვე, გვ. 106, 149.

6 Tsereteli, M. V., Eine kleine Bemerkung zur Frage der Vorfahren der Georgier. Revue Kartvelologie, №23, Paris, 1957, p. 12; Кикнадзе З., Шумеро-картвельские языковые параллели, Вопросы древней истории, Тбилиси, 1973, стр. 66; შარაშენიძე ჯ., შუმერები და მათი კულტურა. თბილისი, 1983, გვ. 28; გორდეზიანი რ., მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, I, თბილისი, 2007, გვ. 45.

7 Fähnrich H., Das Sumerisch und die Kartwelsprachen, Georgica, 4, 1981, p. 89, 91.

8 იქვე, გვ. 91.

О РАННЕЙ СТАДИИ ЭТНОГЕНЕЗА КОРЕННЫХ НАРОДОВ КАВКАЗА*

Кавказ относится к тем регионам Старого Света, который был освоен человеком в глубокой древности. Заселив его, люди продолжали жить здесь непрерывно, о чем свидетельствуют сохранившиеся следы их деятельности. Чем глубже мы проникаем в историческое прошлое народов Кавказа, тем яснее выявляются характерные общие черты. Благодаря своему исключительному географическому положению на стыке Европы и Азии, на скрещении путей, «дороги народов», Кавказ с древнейших времен считался исключительно интересным краем, «горой языков». Он с глубокой древности являлся ареной передвижения крупных человеческих групп, важных исторических событий, сильно повлиявших на дальнейшие судьбы народов, обитавших по обоим склонам Кавказского хребта. Следы всех этих сложных исторических процессов нашли отражение в памятниках старины, в быту и культуре коренных народов Кавказа как в древности, так и в настоящее время. Кавказ не утратил своего геоэкономического, геостратегического и геополитического значения и все еще сохраняет одно из ведущих положений в евразийском пространстве.

Происхождение кавказских народов, место первоначального их обитания давно привлекали внимание исследователей. Еще древние авторы обратили внимание на многоязычие народов, живших по обоим склонам Кавказского хребта. Древняя литературная традиция приписывала единое происхождение кавказским племенам, местожительство которых было локализовано в нескольких более южных областях. Позднее эта традиция нашла отражение в трудах видных представителей исторической науки. Вопросы этногенеза народов Кавказа основывались, главным образом, на данных литературных источников и лингвистических фактах. Тем не менее, со значительным расширением археологических исследований на Кавказе, по-существу, меняется представление о происхождении и первичном обитании народов этого края. Более популярным становится взгляд о местном, автохтонном происхождении народов Кавказа.

Вопрос об этногенезе этих народов весьма скудно представлен в древневосточных письменных источниках. Первые сведения об их происхождении находим в Библии. Грекоримские и византийские авторы в меньшей степени касаются проблемы возникновения кавказских племен. Ценные сообщения о происхождении кавказских племен находим в древнегрузинской исторической литературе. Особо следует отметить летописный свод «Катрлис Цховреба» («Житие Картли»), автором начального раздела которого был епископ Леонти Мровели. Основная концепция Мровели состоит в том, что он впервые указывает на единое происхождение, родство всех коренных народов Кавказа. Он является автором оригинальной теории. Примечательно, что именно в грузинской действительности зародилась эта идея, которая и поныне не утратила своего значения. При создавшейся на Кавказе в настоящее время ситуации эта концепция приобретает особую остроту. В свое время акад. И. А. Джавахишвили справедливо указывал, что эта проблема приобрела определенный по-

* დაიბეჭდა კრებულში: კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა, თბილისი, 2010.

литический характер. Вполне справедливо было отмечено, что концепция Мровели являлась идейной основой кавказской политики выдающегося царя Давида IV Строителя. Идея единого происхождения всегда жила в сознании аборигенных народов Кавказа.

Широко развернувшиеся археологические изыскания на Кавказе, посуществу, изменили представления о происхождении и первичной родине народов этого края. Новейшие данные в значительной мере изменили представления о далеком прошлом населения Кавказа. Правильная интерпретация археологических фактов может внести определенную ясность в изучение раннего этногенеза коренных народов Кавказа.

Выдающиеся открытия на Южном Кавказе совершенно по-новому осветили вопрос первоначального освоения первобытными людьми Кавказа и Евразии в целом. В Грузии на территории феодального города Дманиси были найдены костные остатки нескольких индивидов древнейшего человека, архаичной фауны позвоночных и богатый состав каменных орудий. Дманисская стоянка датируется приблизительно 1 млн. 800 тыс. лет. Вероятно, дманисский человек является одним из первых мигрантов с африканского материка; преодолев кавказский хребет, он проникает на широчайшие просторы Евразии. Однако затруднительно сказать что-либо определенное о том, как сложилась дальнейшая судьба его на Южном Кавказе. Является ли он непосредственным предком обитавших здесь первобытных людей, остается не вполне ясным. Ближайшие по времени памятники отдалены от дманисской стоянки приблизительно на 1 млн. лет.

В ашельское время на Кавказе, видимо, создались благоприятные климатические условия для жизни первобытного человека. Им широко осваиваются почти все ландшафтно-климатические зоны Кавказа. Более интенсивно расселяются люди в последующую, мустьерскую эпоху. Видимо, местные архантропы в дальнейшем трансформировались в кавказскую разновидность палеоантропов. Мустье Кавказа развилось на основании местного ашеля, на что указывает типологическая близость каменного инвентаря. В нижнем палеолите наиболее ярким этническим показателем являются каменные орудия. Общая традиция в технике изготовления каменных орудий, вероятно, отражает единое происхождение местного населения Кавказа. Археологические материалы свидетельствуют о раннем зарождении человеческого общества на Кавказе, где происходил преемственный процесс развития нижнепалеолитической культуры. На основании этих источников с определенной долей вероятности можно представить, что в это время сколько-нибудь значительных перемен населения не претерпело.

В эпоху позднего палеолита на Кавказе резко изменяется природная обстановка, наступает период похолодания, побудивший человека искать убежища в более умеренных областях. Основная масса населения устремилась в западную часть Южного Кавказа, где к этому времени создались более благоприятные условия для жизни человека. В силу сложившейся естественной обстановки населения было вынуждено приспособиться к жизни на более ограниченных пространствах. Консолидация позднепалеолитических людей в пределах Западного Закавказья способствовала сближению отдельных групп населения. Вероятно, главным образом на основе мустьерских культур западной части Южного Кавказа складывается единая позднепалеолитическая, т. н. «имеретинская культура». Вероятно, в это время протекал процесс формирования кавказской этнокультурной общности, а на основании близких диалектов складывалось языковое единство. Западное Закавказье, по-видимому, было прародиной, основной колыбелью нерасчлененного населения Кавказа.

Закат позднепалеолитической культуры и начало новой эры – мезолита – совпадает с определенными изменениями природных условий, вновь наступает потепление климата. С началом послеледникового времени – голоцена – вновь осваивается почти весь Кавказ. Улучшение условий жизни способствовало росту численности населения. Постепенно осваиваются почти все ландшафтно-климатические зоны Кавказа. Видимо, в это время в пределах Кавказа начинается довольно активный миграционный процесс. Очевидно, инфильтрация основной массы населения происходила из западной области Южного Кавказа. Более интенсивно осваивается северная часть Кавказа. Существующие на Кавказе благоприятные условия для разобщения и изоляции создавали предпосылки для постепенного распада общекавказского единства. Вероятно, наблюдаемые в мезолитической культуре особенности отражали эти явления. Интенсивно осваивается Северо-Западный Кавказ, где, видимо, сформировалась праабхазско-адыгейская общность. Пракартвельское население, после распада общекавказской общности, занимало, в основном, западные области Южного Кавказа.

Несколько своеобразная обстановка сложилась на Северо-Восточном Кавказе, оставшемся почти незаселенным в эпоху позднего палеолита. С наступлением голоцена здесь создалась весьма благоприятная природная обстановка, куда устремилось выделившееся из общекавказской общности население. Вероятно, к этому времени следует отнести процесс становления пранахско-дагестанского этнического и языкового единства. В равнинной и предгорной частях Дагестана была распространена культура, проявляющая определенную близость с мезолитом Кавказа. В горную его часть проникает чохская мезолитическая культура, значительно отличающаяся от остальных культур Кавказа этого времени. Полагают, что носители чохской культуры мигрируют на север из южного Прикаспия. Они активно заселяют центральные области горного Дагестана, распространяют свою культуру, но, видимо, осваивают язык местного населения. Не исключена доля вероятности того, что носителями чохской культуры были хурритские племена, о первичном обитании которых нет единого мнения. Возможно, они занимали южные области Прикаспия и вследствие этого элементы хурритского языка отразились в нахско-дагестанском. Носители чохской культуры, видимо, продвигалисть вдоль Западного Прикаспия, на что указывают мезолитические памятники Гобустана в Азербайджане, которые имеют много общего с чохской культурой. Незначительные палеоантропологические данные указывают на то, что в нагорном Дагестане в мезолитическое время проживало население, переместившееся из Передней Азии. В культурном отношении мигранты превосходили аборигенов и в последующее время активно участвовали в становлении неолитической культуры, внося прогрессивные навыки в сельское хозяйство.

Таким образом, с наступлением послеледникового времени, в голоцене человек широко расселяется почти по всему Кавказу. Позднепалеолитическая культура постепенно утрачивает свой единый характер и в мезолитическое время наблюдаются определенные локальные явления. Исходя из археологических данных, с определенной долей вероятности можно утверждать о местном происхождении древнейшего населения Кавказа. Археологические источники в раннее время более четко фиксируют этнические явления. Заметные локальные особенности в культуре конца палеолита и мезолита, очевидно, отражают начавшиеся изменения в этнокультурной общности.

Видимо, в эпоху позднего палеолита начался процесс образования общеязыкового единства. Существующая в это время культурная общность указывает на то, что родственные племена были в близких сношениях между собой и главным средством общения, ве-

роятно, был язык. Образование общеязыкового единства протекало на сравнительно ограниченном пространстве в пределах западной части Южного Кавказа, каторая судя по археологическим данным, в это время была наиболее заселенной областью. С определенной степенью вероятности можно говорить о возможности некоторого отождествления в ранние эпохи археологической культуры с языковым состоянием. Если в материальной культуре незаметны инородные включения, то можно допустить вероятность совпадения на ранней стадии первобытности археологической культуры с языковой общностью. Пракавказское языковое единство, к которому восходят все кавказские языки, очевидно, складывалось на сравнительно ограниченной территории. У всех кавказских языков, вероятно, был общий предок, от которого в дальнейшем откололись автохтонные языки. С эпохи мезолита в голоцене начинается более широкое расселение аборигенного населения Кавказа, и идёт постоянный процесс распада общекавказского языка. В итоге формируются все основные семьи кавказских языков.

Акад. И. А. Джавахишвили в своей фундаментальной монографии о первоначальном строе и родстве кавказских языков пришел к выводу, что кавказские племена родственны друг другу и первоначально у них должен был быть один общий язык. Согласно основному положению иберийско-кавказского языкознания, родственные черты в этих языках являются первычными, а различия – вторичными. Чем дальше – вглубь веков, тем больше у этих языков общего. Тем не менее, существует и крайне противоположный взгляд о родстве кавказских языков. Главным образом, под сомнение ставится вопрос родства южнокавказского (картвельского) с северокавказскими языками. В таком случае еще большее значение приобретают археологические свидетельства, которые, видимо, больше склоняются в пользу общего происхождения кавказских языков. Стабильность и преемственность в характере материальной культуры, наблюдаемые в эпоху камня, скорее свидетельствуют о родстве и общем происхождении кавказских языков.

В мезолите, видимо, протекал процесс расслоения кавказской этнокультурной и лингвистической общности. К концу этой эпохи постепенно сформировались три основные группы населения, которые занимают определенные регионы Кавказа. В это время, очевидно, происходил процесс сложения их языковых семей – праабхазо-адыгской пранахско-дагестанской и пракартвельской.

Вслед за мезолитом наступает новый каменный век. Коренные изменения в хозяйственной системе, переход от присваивающей экономики к производящей вызвал существенные изменения в жизни общества. Освоение новых форм хозяйств в эту эпоху вело к относительно быстрому росту численности населения, освоению более обширных пространств. Наблюдаемые различия в материальной культуре, возможно, отражают определенные сдвиги в составе населения Кавказа неолитической эпохи. К этому времени, вероятно, завершается окончательный распад общекавказского единства. Пракартвельский этнос интенсивно расселяется в западной части Грузии. Праабхазско-адыгские племена в основном проживали на Северо-Западном Кавказе, пранахско-дагестанское население занимало Северо-Восточный Кавказ.

В эпоху неолита, видимо, завершился процесс формирования коренных этносов Кавказа, и с этого времени началось древнейшее историческое прошлое всех аборигенных народов Кавказа.

რეცენზია მარგო ლორთქიფანიძის ნაშრომზე „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები“

(„ცისკარი“, №10, 1959)

მარგო ლორთქიფანიძის ნაშრომი – „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები“, ტ. II – შეეხება არმაზისხევსა და ბაგინეთზე მოპოვებულ გლიპტიკურ მასალას. როგორც ცნობილია, ავტორმა რამდენიმე წლის წინ გამოსცა თავისი პირველი წიგნი ამავე სათაურით, სადაც იხილავს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლებს.[1] ამრიგად, თავის წიგნებში მ. ლორთქიფანიძემ შეისწავლა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მთელი გლიპტიკური მასალა. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს უთუოდ ძნელი და მეტად საპატიო საქმე კარგად შეასრულა. მ. ლორთქიფანიძის შრომის შედეგად ჩვენ სადღეისოდ უკვე ხელთა გვაქვს შესანიშნავად დამუშავებული და კარგად გამოცემული მეტად მდიდარი და თავისებური გლიპტიკური მასალა მცხეთიდან.

უკანასკნელ ხანებში ჩვენში ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა სხვა ხასიათის ძეგლებთან ერთად მრავლად გამოავლინა აგრეთვე გლიპტიკური მასალაც. სადღეისოდ დაგროვილი ამ რიგის ძეგლების სათანადო შესწავლა უთუოდ ბევრ მეტად მნიშვნელოვან მასალას მოგვცემს ძირითადად ანტიკური ხანის საქართველოს შესასწავლად. როგორც ნაშრომიდან ჩანს, მ. ლორთქიფანიძეს უკვე მზადა აქვს „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები“, ტ. III, სადაც იგი განიხილავს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ დანარჩენ გლიპტიკურ ძეგლებს. უნდა აღინიშნოს, რომ გლიპტიკური მასალების შესწავლის ისტორია ჩვენში არცთუ ისე დიდია. მ. ლორთქიფანიძეს ამ მხრივ მაინცდამაინც ბევრი წინამორბედი არა ჰყოლია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ, მ. ლორთქიფანიძის დამსახურებით, ეს საქმე ჩვენში მყარ საფუძველზე დგება. ვინც მ. ლორთქიფანიძის მუშაობას თვალს გადაავლებს, აშკარად შენიშნავს, რომ ეს დარგი დღეს ჩვენში საიმედო სპეციალისტის ხელთაა. ამას უთუოდ მოწმობს მ. ლორთქიფანიძის ორივე წიგნი და მთელი რიგი გამოქვეყნებული წერილები.

ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ანტიკური გლიპტიკის ისტორიას. ნაშრომის ეს ნაწილი უთუოდ საინტერესოა. მასში ჩამოთვლილი და სათანადოდ დახასიათებულია ყველა ის ქვა, რომლებიც კი გლიპტიკაში გამოიყენებოდა.

1 ლორთქიფანიძე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, ტ. I, თბილისი, 1954.

მარგო ლორთქიფანიძე საგანგებოდ ჩერდება გემების ჭრის ტექნიკაზე და მკითხველს სრული შთაბეჭდილება ექმნება ქვაზე ჭრის რთულ და მძიმე ტექნიკურ ჩვევებზე. ავტორი სათანადოდ განიხილავს საკითხს ჩვენში ქვის საჭრელი სახელოსნოების არსებობის შესახებ. ეს საკითხი უთუოდ მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანიც. ვფიქრობთ, რომ ამასთან დაკავშირებით ავტორს მეტი უნდა ეთქვა. იგი კმაყოფილდება იმის აღნიშვნით (გვ. 8), რომ მცხეთაში ანტიკურ ხანაში უნდა არსებულიყო ამგვარი სახელოსნოები, მაგრამ სათანადო დასაბუთება ამისა არ მოჰყავს. თუმცა შემდეგ გზადაგზა კვლავ უბრუნდება ამ საკითხს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ საერთოდ ამისათვის ნაშრომში უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმო და მეტი დამაჯერებლობით წარმოედგინა იგი.

ნაშრომის მეორე თავში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოში აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლებს. აშკარად ჩანს, რომ ეს თავი სათანადო მასალის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგადაა დაწერილი. მკითხველს ნათელი წარმოდგენა ექმნება ჩვენში გავრცელებულ გლიპტიკურ ძეგლებზე. უფრო ვრცლად ჩერდება იგი მცხეთაზე, რომელიც სადღეისოდ ყველაზე უფრო ძლიერი ცენტრი ჩანს გლიპტიკური ძეგლების მოპოვების თვალსაზრისით. ავტორი იძლევა მცხეთის გლიპტიკური მასალის ზოგად დახასიათებას. როგორც ჩანს, სავსებით მართებული უნდა იყოს ავტორის მოსაზრება, რომ ჩვენში გემების და საბეჭდავების ქვისაგან ამოჭრის ტექნიკას წინ უძღოდა მინის საბეჭდავების დამზადება. ჩვენში ადრე ჩანს აგრეთვე რბილ ლითონზე ამოჭრილი ინტალი. შემდეგში მოთხოვნილება საბეჭდავებზე სულ უფრო და უფრო იზრდება და შემოტანილი ნაწარმის გვერდით უკვე ჩნდება ადგილობრივი ნაწარმი. ავტორი არჩევს მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემების ჯგუფებს, მათ შინაარსობრივ დახასიათებას იძლევა და სხვ. ახ. წ. II საუკუნეში მცხეთაში ჩნდება წარწერიანი გემები. ავტორი საგანგებოდ ჩერდება ამ რიგის გემებზე. აღსანიშნავია, რომ ის ჩვენში საბეჭდავების გავრცელებას უკავშირებს კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებას. ავტორს განხილული აქვს აგრეთვე ჩვენში გავრცელებული ქვის ამოჭრის ტექნიკური ჩვევების საკითხიც.

მ. ლორთქიფანიძე ნაშრომის მეორე თავში საგანგებოდ ჩერდება არმაზისხევის სამაროვანზე მოპოვებული გლიპტიკური მასალების შესწავლაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პიტიახშების სამარხებში აღმოჩენილი გემები გამოირჩევა მაღალმხატვრული ოსტატობით, დახვეწილი გემოვნებით და შინაარსის მრავალფეროვნებით. გარდა ამისა, ამ მასალის მნიშვნელობას კიდევ ის ზრდის, რომ აქ ნათლად ჩანს ზღვარი ადგილობრივსა და შემოტანილ ძეგლთა შორის. უთუოდ მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ავტორი არმაზისხევის № 6 აკლდამაში აღმოჩენილ ამეთვისტოს გემის შესწავლისას აღნიშნავს, რომ ამ ტექნიკით შესრულებული გლიპტიკური ძეგლები სადღეისოდ მხოლოდ საქართველოშია ცნობილი. მაგრამ მის ვარაუდს იმის შესახებ, რომ შესაძლოა ეს ნიმუშები დამზადებული იყო ადგილობრივი და ბერძენი ოსტატების ერთობლივი მუშაობის შედეგად, ვფიქრობთ, დამაჯერებლობა აკლია.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება არმაზისხევში ბერსუმა ერისთავის სამარხში აღმოჩენილ ერთ გემაზე. ამ გემაზე ბერძნულად წარწერილია მამაკაცის სახელი პლატონ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გემას მ. ლორთქიფანიძემ ადრევე მიაქცია სათანადო ყურადღება და სპეციალური ნაშრომიც უძღვნა მას. ავტორი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ეს სახელი ეკუთვნოდეს ოსტატს, წარწერა ოსტატის ხელმოწერა იყოს. შესაძლებელია ეს მოსაზრება მართებულიცაა, მაგრამ მისი მეორე მოსაზრება, რომ ეს

ადგილობრივ სახელოსნოში მოღვაწე ოსტატი ბერძენი იყოს იმის გამო, რომ ეს სახელი არ გვხვდება საქართველოს გარეთ მოპოვებულ მასალებსა და წყაროებში, თითქოს მთლად დამაჯერებელი არ ჩანს.

მეტად საყურადღებოა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება ასპარუკის სარტყლის ბალთაზე აღმოჩენილი გემის შესახებ, სადაც მოცემულია ზევახისა და კარპაკის სახელები. იგი ამ გემის სტილისტური და სხვა ანალიზის შედეგად ახ. წ. II საუკუნის ბოლო წლებს მიაკუთვნებს და ამდენად ბილინგვის თარიღს ეთანხმება. ეს გარემოება კი თითქოს უფრო აძლიერებს პროფ. გ. წერეთლის მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ ბილინგვაზე მოხსენიებული ზევახი და სარტყლის გემაზე ამოჭრილი იგივე სახელი, ერთსა და იმავე პიროვნებას უნდა ეკუთვნოდეს. მეტად მნიშვნელოვანი ჩანს აგრეთვე ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არმაზისხევის № 6 აკლდამაში აღმოჩენილი გემა, რომელზედაც ვხვდებით წარწერას „ზევახს“, უნდა მიეკუთვნებოდეს I საუკუნის მეორე ნახევარს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ გემაზე მოცემული სახელი და მიჰრიდატ მეფის სტელაზე მოხსენიებული ზევახი ერთი პიროვნება უნდა იყოს.

არმაზისხევის ნეკროპოლზე აღმოჩენილ გემებს, შესწავლის შედეგად, ავტორი სამ ძირითად ჯგუფში აერთიანებს: რომაული გემები, ადგილობრივი გემები და პართულ-სასანური გემები. იგი თითოეული ამ ჯგუფის გემების ამომწურავ დახასიათებას იძლევა. ნაშრომის ეს ნაწილი უთუოდ კარგადაა დაწერილი, მაგრამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ერთ-ერთ პართულ საბეჭდავზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ მასზე ერთსტრიქონიანი წარწერა უნდა იყოს ამოჭრილიო, მისივე ვარაუდით ფალაურად. მ. დიაკონოვს ეს წარწერა, რომელიც მას მ. ლორთქიფანიძემ აჩვენა, არაკლასიკურ ფალაურად მიუჩნევია და გამოუთქვამს აზრი, რომ ადგილობრივ დამწერლობასთან უნდა გვქონდეს საქმეო. თუკი ეს მოსაზრება საბოლოოდ დადასტურდება, აღნიშნავს იგი, მაშინ აღნიშნული საბეჭდავი პართული ხანის ადგილობრივ ნახელავად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამის შემოწმების საშუალება ავტორს შეეძლო ჩვენში და ამდენად სავარაუდებელიც აღარაფერი იქნებოდა.

ძირითადი ნაწილი ნაშრომის მესამე თავია. ავტორმა მას ასეთი დასათაურება მისცა – „კატალოგი“. ერთი შეხედვით, სათაურის მიხედვით, მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ეს უბრალო კატალოგია, აღწერაა გემებისა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ არის ასე. მთელი მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და წარმოშობის მიხედვით. თითოეული გემა მეტისმეტად დეტალურადაა აღწერილი; დაწვრილებითაა გაანალიზებული სტილისტურად და შინაარსობრივად. უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსობრივი განხილვა გემაზე თუ კამეიაზე ამოჭრილი სიუჟეტისა მეტად რთული და ძნელი საქმეა. სწორედ ეს ნაწილია დიდი ცოდნით გაკეთებული. თითოეული აღწერილობის შემდეგ მოტანილია ანალოგიური მასალა და მითითებულია სათანადო ლიტერატურა. გარდა გემის აღწერილობისა, დაწვრილებითაა აგრეთვე შესწავლილი და აღწერილი ბეჭედი, სამაჯური და სხვ. მათთვის ცალკეა მოტანილი ანალოგიები და ლიტერატურა. ნაშრომის ეს თავი უთუოდ მეტად საინტერესოა. სწორედ აქ გამოჩნდა განსაკუთრებით ავტორი, როგორც შესანიშნავი მცოდნე თავისი საქმისა. მაგრამ აქვე გვინდა ვუსაყვედუროთ მას, რომ იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს თანმხლებ ინვენტარს. შეიძლება, რა თქმა უნდა, მას ამ მასალის დეტალური აღწერა არ მოეცა, მაგრამ ის მაინც უნდა

აღენიშნა, თუ რა აღმოჩნდა სამარხში, გარდა ბეჭდისა და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ამა თუ იმ სამარხში გარდა აღწერილი გემისა კიდევ ნაპოვნი იყო სხვა გემები. ავტორი თითოეული გემის და ბეჭდის აღწერის შემდეგ ცდილობს მათ დათარიღებას. დათარიღების დროს იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს არქეოლოგიურ კომპლექსს, სადაც ესა თუ ის გლიპტიკური ძეგლი აღმოჩნდა. კიდევ მეტიც, იგი სრულიად არ იწუხებს თავს იმის აღნიშვნით, თუ რა პერიოდის სამარხში აღმოჩნდა ესა თუ ის გემა. ვფიქრობთ, რომ გლიპტიკურ ძეგლის დათარიღების დროს ამისათვის ავტორს სათანადო ყურადღება უნდა მიექცია. მაშინ ამა თუ იმ ძეგლისათვის – მის მიერ გამოყვანილი თარიღი უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, სხვა შემთხვევაში ავტორის სიტყვებს უნდა ვენდოთ უყოყმანოდ, – „ჩვენ ამ გემას ვათარიღებთ“... და მოჰყავს თარიღი, ხშირად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. გლიპტიკური მასალის მთლიანი კომპლექსიდან მოწყვეტით განხილვა არ უნდა იყოს მართებული. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ავტორი არ იყენებს სათანადოდ და ყურადღების გარეშე ტოვებს არმაზისხევთან და ბაგინეთთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ ლიტერატურას. შეიძლება იმ ფაქტს, რომ იგი არ იყენებს „მცხეთას“ (ტ. I), რომელშიც არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლებია შესწავლილი, კიდევ რაღაც გამართლება მოეძებნოს იმის გამო, რომ, როგორც შესავალ ნაწილში აღნიშნავს, მას ნაშრომი დასაბეჭდად გაუმზადებია 1954 წელს და ამიტომ ვერ შეძლო ამ ნაშრომის გათვალისწინება, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა. ვთქვათ, ეს ასეც იყო, მაგრამ არსებობს უფრო ადრე გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებშიც ზოგი რამ მაინც იყო არმაზისხევის სამაროვნის შესახებ თქმული. მათი გამოყენებით მისი ნაშრომი უთუოდ მოიგებდა.

ნაშრომის 34-ე გვერდზე ავტორი იხილავს ირანული წარმოშობის დაუთარიღებელ გემებს. როგორც ჩანს, მას არც უცდია მათი დათარიღება, მაგრამ ის მაინც უნდა აღენიშნა, თუ რა დროის სამარხებში აღმოჩნდა ეს გემები. ამას, ეგებ, რაიმე სინათლე შეეტანა ამ საკითხებში.

ნაშრომი საერთო კარგი ენითაა დაწერილი. მაგრამ ზოგჯერ მაინც გვხვდება გაუგებარი ადგილები: „რაც შეეხება პართული ჯგუფის მდიდრულ სამარხებში მოპოვებულ ბეჭდებს“ (გვ. 28). აქ ისე გამოდის, რომ პართული ჯგუფის მდიდრული სამარხებია. სინამდვილეში კი ავტორს უნდა ეთქვა: მდიდრულ სამარხებში მოპოვებული პართული ჯგუფის ბეჭდები.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მცირეოდენი შენიშვნები, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ აყენებს ჩრდილს მ. ლორთქიფანიძის ამ უთუოდ მეტად საყურადღებო ნაშრომს. წიგნი „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები“, ტ. II უთუოდ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ისტორიული მეცნიერებისა.

რეცენზია როსტომ აბრამიშვილის ნაშრომზე „რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ . წ. XIV-VI სს.)“

(საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXII-B, 1961)

როგორც ცნობილია, რკინას კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რკინის პირველი გამოჩენისა და მისი ფართო ათვისების საკითხის შესწავლა ერთ-ერთი მეტად საყურადღებო პრობლემაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გარკვევას ამიერკავკასიისა, კერძოდ კი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ისტორიის შესწავლისათვის. აქ მცხოვრებ ტომებს, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე უნდა აეთვისებინათ რკინის მეტალურგია. როსტომ აბრამიშვილმა თავისი ნაშრომი სწორედ ამ საკითხის შესწავლას მიუძღვნა. იგი ეხება რკინის პირველი გამოჩენისა და მისი ფართო ათვისების საკითხს საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ჩვენში ეს მეტად საყურადღებო საკითხი სპეციალურად შესწავლილი არ იყო. მართალია, რკინის შემოსვლისა და შემდეგ მისი ფართო ათვისების საკითხს საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში არა ერთი და ორი მკვლევარი შეხებია, მაგრამ თითქმის ყველა მხოლოდ ზოგადი მოსაზრების გამოთქმით კმაყოფილდებოდა და ისიც უმთავრესად ცალკეულ ძეგლთა შესწავლასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ამგვარი მიდგომა ამ მეტად მნიშვნელოვანი და რთული პრობლემებისადმი მისი სწორი გადაწყვეტის საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომაცაა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები იყო გამოთქმული.

ავტორმა საკმაოდ დიდი დრო მოანდომა ამ პრობლემის შესწავლას. ამ საკითხს მიუძღვნა მან თავისი პირველი ნაშრომი „სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის“. სავსებით სწორად მოიქცა ავტორი, როდესაც ამ საკითხის კვლევა დაიწყო სამთავროს სამაროვნის შესწავლით. მან საფუძვლიანად შეისწავლა ამ სამაროვანზე მოპოვებული მასალა და შეძლო მისთვის საინტერესო პერიოდისათვის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის სურათის წარმოდგენა. რაკი მან შეძლო წარმატებით დაეძლია სამთავრული მასალა, შემდეგში ამ საკითხის უფრო ფართოდ კვლევის საშუალება მიეცა. ავტორი ახლა რკინის გავრცელების საკითხს იკვლევს მთელი კავკასიისა და წინა აზიის მასალების გამოყენებით. ნაშრომიდან ჩანს, რომ ავტორი შესანიშნავად იცნობს არა მარტო საქართველოსა და კავკასიის მასალას, არამედ იგი კარგი მცოდნე ჩანს ძველაღმოსავლური ძეგლებისაც. იგი ფართოდ იყენებს როგორც საბჭოთა, ისე უცხოურ ლიტერატურას. მასალისა და ლიტერატურის საფუძვლიანმა ცოდნამ ავტორს საკითხების უფრო ფართოდ დაყენების საშუალება მისცა.

ნაშრომის შესავალი ნაწილიდან მკითხველი იმთავითვე იგებს, თუ რა საკითხებზეა ნაშრომში მსჯელობა. ავტორი აღნიშნავს, რომ მის ნაშრომში მთავარი ყურადღება ექცევა დათარიღების საკითხს, რადგან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს, რკინის გავრცელების საკითხის არასწორი გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ძეგლების არასწორი დათარიღება.

ავტორი სწორად წარმოგვიდგენს საკითხის ისტორიას. იგი მოკლედ აყალიბებს რ. ვირხოვის, ე. შანტირის, ჟ. დე მორგანის და სხვათა მოსაზრებებს მისთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ მათ

შეხედულებებს არა ერთი და ორი საბჭოთა მკვლევარი შეხებია კრიტიკულად და რომ მათი მოსაზრებები დღეს უკვე სრულიად მიუღებელია.

უფრო დაწვრილებით იხილავს იგი განსვენებულ პროფ. ბ. კუფტინისა და პროფ. გ. პიოტროვსკის შეხედულებებს რკინის წარმოებასთან დაკავშირებით. იგი არ ეთანხმება ამ მკვლევრებს რკინის წარმოების დათარიღების საკითხში და არ იზიარებს აზრს ამიერკავკასიაში რკინის მეტალურგიის წინა აზიიდან გავრცელების შესახებ. ასევე არ ეთანხმება იგი სხვა მკვლევრებსაც რკინის ათვისების საკითხთან დაკავშირებით (ა. მარტიროსიანი, გ. გობეჯიშვილი და სხვ.).

როსტომ აბრამიშვილი მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ აყალიბებს აგრეთვე უცხოელ მკვლევართა როგორც ადრე, ისე ახლახან გამოთქმულ მოსაზრებებს რკინის წარმოების შესახებ ამიერკავკასიაში. ჩანს, ავტორი კარგად იცნობს უახლეს უცხოურ ლიტერატურას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეძღვნება დათარიღების საკითხს. ვფიქრობთ, ავტორი სწორად იქცევა, რომ სხვა საკითხების შესწავლამდე ცდილობს ქრონოლოგიური დასაყრდენი მოუძებნოს განსახილველ მასალას. იგი, სავსებით მართებულად, ამოსავალ წერტილად იღებს სამთავროს სამაროვნის მასალებს იმის გამო, რომ ეს სამაროვანი სადღეისოდ ყველაზე უკეთაა შესწავლილი და თვით ავტორსაც მის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. ქვემო ქართლის მასალების შესწავლისას იგი უმთავრესად შეეხება სამთავროს და ბეშთაშენის სამაროვნების ურთიერთობის საკითხს. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შიდა ქართლის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, შუაბრინჯაოს ხანიდან დაწყებული, აშკარად უფრო დაწინაურებული ჩანს. იგი ფიქრობს, რომ ქვემო ქართლის მოწინავე მდგომარეობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ძირითადად იმით, რომ ეს რაიონი მდიდარია მადნეული ბაზებით და მეურნეობის განვითარებისათვის აქ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო. იგი ცდილობს არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე დაასაბუთოს ეს თავისი მოსაზრება. მას მოტანილი აქვს მთელი რიგი ნივთებისა, რომლებიც, მისი აზრით, ქვემო ქართლში უფრო ადრე გვხვდებიან, შემდეგ კი სამთავროში იჩენენ თავს, და სხვ. ავტორის მიერ წამოჭრილი საკითხი, რომ ქვემო ქართლი გარკვეულ პერიოდში უფრო წინაა წასული საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, უთუოდ მეტად საყურადღებოა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი მას უფრო ფართოდ უნდა განეხილა. საქმე ისაა, რომ იგი ნაშრომში ამა თუ იმ საკითხის გარკვევისას ამ დებულებას ისე მიიჩნევს, როგორც უკვე დამტკიცებულს და ამ საზომით უდგება საკითხებს. მის მიერ ამ დებულებისათვის მოტანილი საბუთები ამის გადაჭრით დასაბუთების საშუალებას არ იძლევა.

ავტორი ფიქრობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში რკინის ნივთების შემცველი ძეგლებიდან ყველაზე ადრეულია ინჟინერ ვლადიმერ ჩაგულოვის მიერ ბეშთაშენის ცნობილ სამაროვანზე შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსი. საქართველოს მუზეუმში ამ კომპლექსიდან მხოლოდ მცირე ნაწილი მოხვდა. რ. აბრამიშვილს დაუზუსტებია ამ ნივთების აღმოჩენის ვითარება. სამთავროს სამაროვნისათვის შემუშავებული ქრონოლოგიის საფუძველზე იგი ფიქრობს, რომ ჩაგულოვისეული კომპლექსი XIV საუკუნით უნდა დათარიღდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მას მაინც უფრო მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. სხვა რომ არა იყოს რა, ეს კოლექცია შემთხვევითაა ნაპოვნი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მას ერთგვარი ანგარიში

უნდა გაეწია ბეშთაშენის სამაროვნის გამთხრელის, პროფ. ბ. კუფტინის მიერ გამოთქმული მოსაზრებისათვის. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ბეშთაშენის სამაროვანზე ორი ტიპის სამარხები გვხვდება – ქვაყუთები და ორმოსამარხები, და დასძენს, რომ ქრონოლოგიური ურთიერთობა მათ შორის საკმაოდ ნათელია. ორმოსამარხებს იგი უფრო ადრეულებად თვლის ქვაყუთებთან შედარებით. ჩაგულოვის კომპლექსი ქვაყუთში აღმოჩნდა. ვფიქრობთ, რომ რ. აბრამიშვილს ამ გარემოებისათვის ერთგვარი ყურადღება უნდა მიექცია და უნდა ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ბ. კუფტინის ეს დებულება სწორი არ არის. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ, როგორც ნაშრომიდან ჩანს, ადრეული რკინის ნივთიერების შემცველი სხვა სამარხები ამ სამაროვანზე ორმოსამარხებია. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ავტორს მეტი სიფრთხილე მართებდა. იგი ხომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს არკვევს, როგორიცაა რკინის პირველი გამოჩენა ჩვენში. თუკი იგი ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩაგულოვისეულ კომპლექსს და ერთგვარი უნდობლობით ეკიდება ბეშთაშენის სამაროვნის გამთხრელის მოსაზრებას, მაშინ ავტორს, თუ დამატებით გათხრები არა, საკონტროლო ხასიათის სამუშაოები მაინც უნდა ჩაეტარებინა იქ და თავისი დებულება ფაქტობრივი მასალით გაემაგრებინა.

ვფიქრობთ, რომ ჩაგულოვისეული კომპლექსის დათარიღებისას მას ანგარიში უნდა გაეწია იმისათვისაც, რომ კომპლექსში ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევარი იყო. იგი ბრინჯაოს ნივთების საფუძველზე ათარიღებს ამ კოლექციას, რომლებიც მართლაც ძველია სამთავროში. არა გვგონია, რომ ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევრების დამზადების ტრადიცია რკინის გამოჩენისთანავე დაწყებულიყო. ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევრები თრიალეთში და სხვაგანაც ჩვენში უფრო გვიან ჩნდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, რაკი, ავტორის აზრით, ძვ. წ. XIV საუკუნეში უკვე ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევრები გვხვდება, უნდა დავუშვათ, რომ რკინა რამდენადმე უფრო ადრე შემოვიდა ჩვენში. რაკი ავტორი თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანების ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად მიიჩნევს ძვ. წ. XVI საუკუნეს, გამოდის, თითქოს რკინა ჩვენში ამ პერიოდში უნდა შემოსულიყო. მაგრამ, როგორც ცნობილია, თრიალეთის შუაბრინჯაოს დროინდელ ყორღანებში ამის კვალი არ ჩანს. რაკი თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურაზე“ ჩამოვარდა ლაპარაკი, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, ავტორს ერთგვარად ყურადღება მიექცია ამ კულტურისა და ბეშთაშენის სამაროვნის დროინდელი კულტურის ურთიერთობის საკითხისათვის. როგორც არსებული მასალებიდან ჩანს, მათ შორის მაინცდამაინც კავშირი არ შეინიშნება. ბეშთაშენში აღარ გვხვდება დახვეწილი ფორმები ლითონის ნივთებისა, კერამიკაც განსხვავებულია და სხვ. პირიქით, ბეშთაშენის მასალებიდან ჩანს, რომ აქ შეინიშნება სამთავრული, დასავლურქართული, განჯა-ყარაბაღული და სხვ. კულტურების საგრძნობი გავლენა. მაშ, სადღაა ძველი ტრადიციები? საიდან ჩანს ამ პერიოდში ქვემო ქართლის მოწინავეობა? ვფიქრობთ, რომ ამგვარი საკითხებისათვის ავტორს სათანადო ანგარიში უნდა გაეწია.

მომდევნო ხანის ძეგლების დათარიღებისას იგი უმთავრესად ეყრდნობა სამთავროს მასალას. იგი არც ჩერდება მათ ფართო განხილვაზე იმის გამო, რომ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ეს საკითხი მას უკვე თავის ადრინდელ ნაშრომში აქვს განხილული. ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ ავტორი საერთოდ კარგად იცნობს მასალას და ამა თუ იმ საკითხის კვლევისას მეტად ვრცელი პარალელები მოაქვს. როგორც უკვე

აღვნიშნეთ, იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ საქართველოს და საერთოდ კავკასიის მასალებით, არამედ რკინის შემოსვლისა და გავრცელების საკითხს სწავლობს ძველი აღმოსავლური მასალების მოშველიებით. ამიტომაცაა, რომ მან ნაშრომში ცალკე გამოყო საკითხი „რკინის წარმოება ძველ აღმოსავლეთში“. აქ ავტორი, მართალია, მოკლედ, მაგრამ ნათლად, უახლესი ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე, აღწერს რკინის ათვისების სურათს ძველაღმოსავლურ სამყაროში. გარდა ამისა, იგი საგანგებოდ ჩერდება მადნეულის ბაზის საკითხზე. როგორც ჩანს, ავტორი კარგად იცნობს ამ საკითხსაც და ფართოდ აქვს გამოყენებული სათანადო გეოლოგიური ლიტერატურა.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა, ვრცელი მასალების საფუძველზე, სცადა რკინის ფართო ათვისების ხანაში გამოეყო რამდენიმე საფეხური. იგი ამ თავს იწყებს ადრეული რკინის ხანით და შემდეგ – რკინის ფართო ათვისების ხანაში – სამ საფეხურს გამოყოფს.

ვიდრე ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ გვინდა აღვნიშნოთ, თუ რამდენად მართებულია ამ პერიოდისათვის გვეწოდებინა ადრეული რკინის ხანა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხს პრინციპულად არ ვაყენებთ და მხოლოდ ჩვენს აზრს გამოვთქვამთ. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის დადგენა, თუ როდის, რა დროს შემოდის რკინა და როდის ხდება მისი ფართო ათვისება და ავტორიც ძირითადად ამ საკითხებს იკვლევს. მაგრამ მაინც, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა ამ ხანისათვის დაგვეტოვებინა სახელწოდება „გვიანბრინჯაოს ხანა“. ერთი რკინის ნივთის გამოჩენა, როგორც ეს თვით ნაშრომიდანვე კარგად ჩანს, კარგა ხნის მანძილზე ვერ ცვლის ვითარებას. ბრინჯაო მაინც წამყვანი რჩება და სწორედ ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, ბრინჯაოს კულტურა საქართველოში და საერთოდ კავკასიაში განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევს. ბეშთაშენის სამაროვნიდანაც თითქოს ეს ასე ჩანს. დაახლოებით ორასი წლის მანძილზე გამოჩენილი სამიოდე რკინის ნივთი ვერ ცვლის ვითარებას.

ნაშრომის 357-ე გვერდზე ჩაგულოვის კოლექციის რკინის ბრინჯაოსტარიანი სატევრის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ ეს სატევარი ორიგინალურია და ამიტომ მისი ფორმის მიხედვით სადაურობის გარკვევა შეუძლებელია. მაგრამ მომდევნო წინადადებაში აღნიშნავს პირდაპირ, რომ „მიუხედავად ამისა, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ადგილობრივი ნაწარმია“. თუ სადაურობის გარკვევა შეუძლებელია, მაშ როგორღა შეიძლება დარწმუნებით ლაპარაკი, რომ იგი ადგილობრივია. შემდეგ იგი კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ ჩაგულოვის მიერ აღმოჩენილი სატევარი, არსებული მასალის მიხედვით, „მთელს მსოფლიოში უძველესი იარაღია, რომელიც ცემენტაციის საშუალებით არის დაფოლადებული“. ნუთუ ჩაგულოვის მიერ შემთხვევით მოპოვებული მასალა მას ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე ამგვარი განცხადების საშუალებას აძლევს. აქაც, ვფიქრობთ, მეტი სიფრთხილე მართებდა.

ავტორს რკინის ფართო ათვისების ხანა სამ საფეხურად აქვს დაყოფილი. იგი ჩამოთვლის იმ ძეგლებს, რომლებიც, მისი აზრით, რკინის ფართო ათვისების ხანისაა. მართალია, აქ ავტორი ამ საკითხებზე შედარებით მოკლედ ჩერდება, მაგრამ ნაშრომში არაერთხელ გვაფრთხილებს, რომ იგი იმიტომ არ ეხება ამ საკითხებს, რომ ეს მის წინა ნაშრომშია სათანადოდ გაშუქებული. მართალია, ზოგ რამეს იგი ახლა

ცვლის, მაგრამ სწორედ ამ ახალ საკითხებზე ჩერდება იგი საგანგებოდ. მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ მასალის სიმცირე არ გვაძლევს საფუძველს, ჩავთვალოთ, რომ ქართლში რკინის ფართო ათვისების ხანა დაიწყო (XII-XI საუკუნის მიჯნა). მარტო იმის აღნიშვნა, რომ ქვემო ქართლში რკინის მეტალურგია ადრე ჩაისახა და ამიტომ მისი ფართო ათვისება ადრე დაიწყო, საქმეს ვერ შველის. მარტო ჩამოთვლა იმისა, რომ ხოვლე გორა VII ფენა, ბეშთაშენის № 34 სამარხი და სხვა არა უგვიანეს XI საუკუნისაა, არ არის საკმარისი. საჭიროა ამის დამტკიცება. ავტორისათვის ეს შეიძლება ცხადია, მაგრამ მკითხველისათვის არა.

უფრო დამაჯერებელი ჩანს ავტორის მოსაზრება, რომ რკინის ფართო ათვისების ხანა სამთავროში XI საუკუნის იწყება. ეს დებულება ავტორს მის ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომშიაც კარგად აქვს დასაბუთებული.

სავსებით მართებულია ავტორის კრიტიკა ბ. პიაროვსკის დებულებისა. იგი არ ეთანხმება მის აზრს, რომ თითქოს რკინა ჩვენში ურარტუს გავლენით შემოდის.

ავტორი კვლევისას ფართოდ იყენებს მეტალოგრაფიულ, ქიმიურ-ტექნოლოგიურ მონაცემებს. იგი კარგად აღწერს, თუ როგორ იცვლება რკინის დამუშავების წესი. ნაშრომიდან ჩანს, რომ ავტორი კარგი მცოდნეა ამ საკითხებისა.

ავტორმა პირველმა, და უნდა ითქვას წარმატებითაც, სცადა დაენახვებინა, რომ რკინის ფართო ათვისება საქართველოში სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვა დროს დაიწყო. რა თქმა უნდა, მას ყველა რაიონისათვის საკმარისი მასალა არ ჰქონდა ხელთ და იგი გარკვეული სიძნელეების წინაშე იდგა, მაგრამ ზოგადად მან მაინც შეძლო დამაჯერებელი სურათის დახატვა.

ასეთია ჩვენი შენიშვნები რ. აბრამიშვილის ნაშრომზე. მაგრამ ეს შენიშვნები სრულიადაც არ ჩრდილავს იმ დიდ სამუშაოს, რომელიც ავტორმა ჩაატარა. პირიქით, შენიშვნები გამოიწვია სწორედ იმან, რომ მას საკითხები მეტად ფართოდ და საინტერესოდ აქვს წამოჭრილი.

რეცენზია თეიმურაზ მიქელაძის ნაშრომზე „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულები)

(„მეცნიერება“, თბილისი, 1974)

თ. მიქელაძის ნაშრომი ეძღვნება დასავლეთ საქართველოს, ძველ კოლხეთის და მისი მიმდებარე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის შესწავლის საკითხებს. რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი, რომ ამ ორი მხარის მოსახლეობის ისტორიას ავტორი ერთობლივი კვლევის საგნად იხდის. ეს ოლქები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთიმეორესთან როგორც კულტურულად, ისე ეთნიკურად. ავტორი მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგა. ერთი მხრივ, მას ძირითადად არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე უნდა აღედგინა ამ მხარეთა კულტურული დონის სურათი და, მეორე მხრივ, უნდა შეხებოდა ეთნოგენეზის საკითხებს. როგორც ცნობილია, ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისის და მათი ეთნიკური ვინაობის საკითხები კარგა ხანია მკვლევართა ყურადღების საგანია. გამოთქმული იყო სხვადასხვა მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ბევრი რამ მაინც გაურკვეველი რჩებოდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ამ საკითხების კვლევა ძირითადად ცალმხრივად მიმდინარეობდა. წინამდებარე ნაშრომის ღირსება, პირველ რიგში, ის არის, რომ ეს პრობლემა ფართოდაა დასმული და ავტორი ცდილობს სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე გაარკვიოს და დაადგინოს დასავლეთ საქართველოს და მისი მიმდგომი მხარეების უძველესი მოსახლეობის საკითხები.

აქვე გვინდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ქართველ ტომთა ვინაობის და მათი ადგილსამყოფელის კვლევა ჩვენში სულ უფრო მყარ საფუძველზე დგება და არქეოლოგიური და სხვა მონაცემები უფრო ფართოდ გამოიყენება. თ. მიქელაძის ნაშრომის წარმატებას ის აპირობებს, რომ იგი გვევლინება კარგ მცოდნედ არქეოლოგიისა, წერილობითი წყაროებისა, ენობრივი მონაცემებისა და სხვ., ერთი სიტყვით, ეთნოგენეზის პრობლემის კვლევასთან დაკავშირებული საკითხებისა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ნაშრომში წამოჭრილი საკითხების კვლევა. რა თქმა უნდა, ავტორი რიგი სირთულეების წინაშე იდგა, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით დასძლია ეს სირთულეები და მივიღეთ მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელშიც ახლებურადაა წამოჭრილი ქართველ ტომთა უძველესი ისტორიის საკითხები.

ნაშრომს მოკლე შესავალი აქვს. მასში ავტორი ძირითადად ეხება ეთნოგენეზის პრობლემას. ამასთან დაკავშირებით იგი, პირველ რიგში, იხილავს არქეოლოგიური კულტურისა და ეთნოსის მიმართების საკითხს. სწორია მისი მოსაზრება, რომ ყველა დროის არქეოლოგიურ კულტურაში კონკრეტულ ეთნიკურ ერთობასთან მისი გაიგივების შესაძლებლობაა მოცემული და რომ ამ შესაძლებლობის გამოვლენა არის არქეოლოგიური კვლევა-ძიების უპირატესი მიზანი.

შესავალში თეორიული ხასიათის სხვა საინტერესო საკითხებიცაა წამოყენებული, და აღსანიშნავია, რომ ამგვარ საკითხებს ჩვენში ერთ-ერთი პირველი განიხილავს თ. მიქელაძე. არქეოლოგიური კულტურისა და ეთნიკური ერთობის პრობლემის კვლევამ საქართველოში თავის დროზე ყველა საფეხური განვლო, და სწორედ ამ საკითხების შესწავლის საინტერესო ისტორიას იძლევა ავტორი.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის არქეოლოგიისა და ეთნოგონიის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით გვინდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ავტორს საფუძვლიანად და ბეჯითად შეუსწავლია მისთვის საინტერესო საკითხები.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი ენათმეცნიერული, ტოპონიმიკური, ონომასტიკური, წერილობითი წყაროებისა და სხვ. ანალიზის გზით ცდილობს დაასაბუთოს თავისი დებულება სვანი და მესხი ტომების შესახებ. იგი კარგად იყენებს ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს. საერთოდ, ავლენს ამ რთული საკითხების ღრმა ცოდნას.

საერთო-ქართველური ერთობის დაშლის პროცესი ნაშრომში ფართოდაა განხილული. ჩვენი აზრით, ავტორს ცოტა არ იყოს შორს გადააქვს ქართველური მასის საბოლოო დიფერენციაციის თარიღი – ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში. იგი ფიქრობს, რომ სვანურის გამოყოფა უნდა მომხდარიყო III ათასწლეულში. უფრო სადავო ხდება ზანურის გამოყოფის ავტორისეული თარიღი – II ათასწლეულის დასაწყისი. ავტორი აღნიშნავს, რომ სვანური მოსახლეობა სამხრეთიდან, პროტოხეთური გარემოცვიდან მოვიდა და ამის დასამტკიცებლად ძირითადად ენობრივი მასალები მოჰყავს. ვფიქრობ, ავტორს მაინც იმ არქეოლოგიური სიტუაციისათვის უნდა მიექცია ყურადღება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. III ათასწლეულში. როგორც ჩანს, ამ დროისათვის აქ გავრცელებული კულტურა დასავლეთ კავკასიაში გავრცელებულ კულტურასთან ამჟღავნებს გარკვეულ სიახლოვეს. ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოსათვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს მტკვარ-არაქსის კულტურა, რომლის ჩამოყალიბებაშიც, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, ქართველურენოვანი ტომებიც მონაწილეობენ. ამიტომ შესაძლებელია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტების მომძლავრება დასავლეთ საქართველოში ქართველურენოვანი ჯგუფების აქ გამოჩენასთან იყო დაკავშირებული, რასაც შემდეგში, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის, სვანურის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის ჩამოყალიბება მოჰყვა. სვანური ენის ნარევი ბუნებაც ამ დროს დასავლეთ საქართველოში აფხაზურ-ადიღეურ ტომებთან მათი ურთიერთობის შედეგი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ხატური ელემენტის არსებობაც სვანურში ამის ანარეკლი იყოს. როგორც ფიქრობენ, აფხაზურ-ადიღეური ავლენს ყველაზე მეტ სიახლოვეს ხატურთან და შეიძლება დავუშვათ ხატურის ადგილი აფხაზურ-ადიღეურსა და ქართველურს შორის. ქართველურს უფრო მეტი აქვს საერთო აფხაზურ-ადიღეურთან და ხატურთან, ვიდრე ნახურ-დაღესტნურსა და ხური-ურარტულთან. ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემები თითქოს ხელს არ უნდა უშლიდეს ენათმეცნიერთა შორის გავრცელებულ ვარაუდს სვანურის ფუძეენიდან გათიშვის საკითხის შესახებ. ავტორს, ვფიქრობთ, შორს გადააქვს ამ პროცესის დასაწყისი, იგი ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის ვარაუდობს ზანურენოვანი ტომების გამოჩენას დასავლეთ საქართველოში.

ვფიქრობთ, ავტორს ანგარიში უნდა გაეწია ამ დროს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ სხვა კულტურებისთვისაც, კერძოდ კი თრიალეთური კულტურისათვის. ეს მით უმეტეს საჭირო იყო, რადგან, როგორც ჩანს, ამ კულტურის გავრცელების სფეროში ექცევა ის რაიონებიც, რომლებიც განსაკუთრებით აინტერესებს ავტორს – მესხეთი და მისი მიმდგომი მხარეები. სავარაუდებელია, რომ თრიალეთის კულტურა ძირითადად ქართულ-ზანური ერთობის კუთვნილება იყო. ქართულ-ზა-

ნური ერთობის დაშლაც თრიალეთური კულტურის დაცემის შედეგად უნდა დაწყებულიყო. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში იწყება ალბათ ზანური ელემენტის აქტივობა დასავლეთ საქართველოში. ვფიქრობთ, სწორია ავტორის მოსაზრება, რომ კოლხური კულტურა დაკავშირებულია ზანურ ტომებთან, მაგრამ, ეს რამდენადმე უფრო გვიან უნდა მომხდარიყო. ამას თითქოს არც ენათმეცნიერთა ვარაუდი ეწინააღმდეგება.

პირველ თავში ავტორი ფართოდ იყენებს არქეოლოგიურ მასალას. მან კარგად იცის არქეოლოგიის ფასი იმ საკითხების კვლევის საქმეში, რომელიც მას აინტერესებს. დამაჯერებელია მისი მსჯელობა კოლხური ცულის შესახებ; კოლხური ცული, მართლაც შეიძლება, გარკვეული ეთნოსის მატარებელ ერთ-ერთ ნიშნად გამოდგეს. ავტორს ბევრი რამ ახალი შეაქვს ამ კულტურის შესწავლის საქმეში. მასალისადმი ახლებური მიდგომა მას საშუალებას აძლევს სათანადოდ გამოიყენოს იგი იმ მიზნისათვის, რომელიც მას აინტერესებს – კოლხეთის უძველესი მოსახლეობის საკითხები.

რაკი ავტორმა კოლხური ცული მიიჩნია გარკვეული ეთნოსის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად, ამიტომ გასაგებია, რომ იგი, პირველ რიგში, ამ ცულის გენეზისის საკითხებს იკვლევს. იგი კარგად იცნობს მასალასა და სათანადო ლიტერატურას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ პილენკოვოს ცულის განვითარების შედეგი უნდა იყოს კოლხური ცული და რომ ეს ცულები გენეტიკურად უკავშირდება ღრმაღელის ტიპის ცულებს. ავტორი კოლხური ცულის განვითარების შემდეგ სურათს იძლევა: ღრმაღელის, კიროვაკანის და შემდეგ პილენკოვოს. მაგრამ, ვფიქრობთ, ძნელია ამ ცულების ავტორისეული თანამიმდევრობის გაზიარება. ჯერ ერთი, ღრმაღელის ცულის პროტოტიპად მიჩნევა მთლად მართებული არ უნდა იყოს. დღემდე ამ ტიპის აღმოჩენის თითქმის არც ერთი შემთხვევა არ მოგვეპოვება დასავლეთ საქართველოში. იგი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ტიპია და საეჭვოა შემდეგ მისგან პილენკოვის ტიპის ცული მიგვეღო. ის საერთო, რომელიც ამ ცულებში შეინიშნება, შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ისინი ერთი საერთო ძირიდან მომდინარეობდნენ, შესაძლოა – გავრასა და ქიულ-თეფეს ტიპის ცულებიდან. ღრმაღელეს ტიპის ცული თრიალეთური კულტურისათვის ჩანს უფრო დამახასიათებელი. ძნელი წარმოსადგენია, კიროვაკანის ცულის განვითარება ისე წასულიყო, რომ მისგან პილენკოვოს ტიპი მიგვეღო. უფრო მართებულია, რომ კიროვაკანის ტიპის ცული შემდეგში საფუძვლად დაედო აღმოსავლურქართული ტიპის ცულს; სწორია ავტორისეული თარიღი ამ ცულებისა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს ბევრს ვწერთ კოლხური კულტურის შესახებ, მაგრამ რა არის ეს კოლხური კულტურა, ჯერაც არ ვიცით ნათლად. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ავტორს ბევრი ახალი შეაქვს ამ კულტურის კვლევაში. სიძნელე, რომელიც ამ კულტურის კვლევისას გვხვდება, ისაა, რომ ძირითადად აქ შემთხვევით აღმოჩენებთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, მარტო განძებით ასეთ ვითარებაში შორს ვერ წავალთ. ვერც ცალკეული ნივთების ტიპოლოგიური ანალიზი უშველის საქმეს, სანამდე არ იქნება შესწავლილი მთელი მასალა მთლიანობაში, მისი ლოკალური ვარიანტების თავისებურებები და სხვ. მართალია, ახლა ავტორს ამას ვერ მოვთხოვთ იმის გამო, რომ მას თავისი გარკვეული ინტერესები აქვს. სწორია ავტორი, როდესაც აღნიშნავს, რომ ჭოროხი ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი უნდა ყოფილიყო. მაგრამ კოლხური კულტურის არსებობის ხანაში კიდევ იყო სხვა საკმაოდ ძლიერი ცენტრები, რომლებიც სწორედ თავისებურ ელფერს აძლევენ კოლხურ

კულტურას (აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმის და სხვ.). განა აფხაზეთი, ლეჩხუმი თუ მესხეთი არ ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით? საერთოდ, კოლხური კულტურის ლოკალურობის საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა.

ავტორი დაწვრილებით განიხილავს ორდუს განძს და საგანგებოდ ჩერდება ამ განძის ბრტყელ ცულებზე. იგი ფიქრობს, რომ ცულის ეს ფორმა კოლხური წარმოშობისაა და აქედან გავრცელდა იგი მცირე აზიაში. მაგრამ ავტორის ეს მოსაზრება არ მიგვაჩნია მართებულად. მცირე აზიაში ფართოდ იყო იგი გავრცელებული და საკმაოდ ადრეც ჩანს იქ. პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ ცულის ეს ფორმა მცირე აზიიდან შემოვიდა ჩვენში და შემდეგ აქ ერთგვარად თავისებური ელფერი მიიღო. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ორდუს განძის განხილვისას ჩერდება მხოლოდ იმ ნივთებზე, რომლებიც კოლხური კულტურისთვისაა დამახასიათებელი და საერთოდ არაფერი აქვს ნათქვამი, რომ ამ განძში მცირეაზიური ტიპის ნივთებიცაა ნაპოვნი.

კარგია ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ავტორი განიხილავს კოლხურ კერამიკას. ეს ფაქტობრივად კოლხური კერამიკის შესწავლის პირველი ცდაა. ამას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ დღემდე ამ კულტურას სწავლობდნენ უპირატესად ლითონის ნივთების საფუძველზე. ავტორი იძლევა კოლხური კერამიკის პერიოდიზაციას. ამისათვის იშველიებს სტრატიგრაფიულ მონაცემებს, ტიპოლოგიას. მან შეადგინა არქეოლოგიური პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის სკალა შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანანტიკური ხანის ჩათვლით.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება კოლხური კულტურის დათარიღების საკითხზე. მისი აზრით, კოლხური, გვიანბრინჯაოს კულტურის დასაწყისი ძვ. წ. XV ან ეგებ XVI საუკუნეში უნდა იყოს გადატანილი. ამ დებულების დასამტკიცებლად მას მთელი რიგი საბუთები მოაქვს. მაგრამ, მაინც, ვფიქრობთ, ამ კულტურის საწყისების ასე შორს გადატანის საფუძველი არ უნდა არსებობდეს. მას უფრო მეტი ანგარიში უნდა გაეწია სამარხეული კომპლექსებისათვის, რომლებიც, მართალია, არცთუ ისე ბევრია, მაგრამ მაინც გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. შეიძლება ავტორი მართალი იყოს იმაში, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი კომპლექსები მთლად ზუსტად ვერ ასახავდა კოლხური კულტურის ჩასახვის თარიღს, მაგრამ მათთვის მაინც უფრო მეტი ანგარიში უნდა გაეწია.; არა გვგონია, რომ მათ შორის ქრონოლოგიურად ისეთი დიდი სხვაობა იყოს, როგორც ეს ავტორს ჰგონია. ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორი საგანგებოდ ჩერდება უდეს განძზე და მას კოლხური ბრინჯაოს ერთ-ერთ უძველეს კომპლექსად მიიჩნევს. ჯერ ერთი, უდეს განძის XIII საუკუნით დათარიღება კიდევ სადავოა. ამ განძის განსხვავებული თარიღიც არსებობს, რომლის შესახებაც ავტორი, რატომღაც არაფერს აღნიშნავს. განძის საფუძველზე კულტურის თარიღის შესახებ მსჯელობა და თანაც ისეთი საკითხის განხილვა, როგორიც რკინის წარმოებაზე გადასვლაა, ვფიქრობთ, გაძნელდება. განძი მაინც განძია და აქ შეიძლება თავმოყრილი იყოს სხვადასხვა პერიოდის მასალა. შესაძლოა კოლხური კულტურის ცალკეული ელემენტები მართლაც არსებობდა XVI-XV საუკუნეებში, მაგრამ კოლხური კულტურის ჩამოყალიბების ხანას ასე შორს მაინც ვერ გადავიტანთ. ავტორს უნდა გაეთვალისწინებინა მეზობელი კულტურები – როგორც აღმოსავლეთ საქართველოსი, ისე ყობანისა, რომელიც შეიძლება რამდენადმე უფრო გვიანი იყოს, მაგრამ არა გვგონია, რომ დაახლოებით ხუთ საუკუნეში იძლეოდეს სხვაობას.

პირველი თავი ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. აქ უპირატესად არქეოლოგიური მონაცემებია გამოყენებული და ამიტომაც უფრო დაწვრილებით შევჩერდით მის განხილვაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ საკითხის კვლევისას ჩანს ავტორის დიდი ცოდნა, ფართო განათლება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. სწორედ ეს აპირობებს, პირველ რიგში, ნაშრომის წარმატებას.

მეორე თავში ავტორი ეხება უძველეს წერილობით წყაროებს. აშკარად იგრძნობა, რომ ავტორი ღრმად იცნობს წერილობით ძეგლებს; მას აქვს დიდი უნარი კვლევისა, ისტორიკოსის ალღო, შესანიშნავი მცოდნეა ძველი ისტორიის, ეგეოსური სამყაროსი. ქართველ ტომთა ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხის კვლევისას იგი ორ პერიოდს გამოყოფს: აქეურს და ელინურს. საინტერესოდაა გაშუქებული კოლონიზაციის საკითხი.

ნაშრომის მესამე თავს „ანატოლიის ქართველური მოსახლეობა და ტექნიკური პროგრესი“ ავტორი იწყებს საისტორიო წყაროებში დაცული ცნობების განხილვით – ქართველ ტომთა მელითონეობის შესახებ იგი პირველ რიგში იხილავს ხალიბების საკითხს. აქ ჩანს ავტორის ფართო ცოდნა კლასიკური ხანის ბერძნული წყაროებისა. იგი დაწვრილებით ანალიზს იძლევა, ადგენს ხალიბთა ადგილსამყოფელს და ასკვნის, რომ ხალიბებს ეკავათ უზარმაზარი ტერიტორია ჭოროხისპირეთიდან, ვიდრე მდ. ჰალისის აუზამდე. ავტორის აზრით, ხალიბურ-ტიბარენული ტომები მცირე აზიის უძველეს ბინადრებად გვევლინებიან და ვარაუდობს, რომ III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალური ანატოლიის ჩრდილო ნაწილში ქართული მოსახლეობა არსებობდა.

საინტერესოა თუბალ-კაენის ავტორისეული ახსნა. იგი ასკვნის, რომ აქ, გარდა ეთნიკური სახელისა, ჩანს თვით მელითონეობის განვითარების გარკვეული საფეხურის ანარეკლი, ახალი ლითონის, კერძოდ, რკინის შემოსვლის ის ეტაპი, როდესაც სპილენძ-ბრინჯაოს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ავტორი თანაბარი სიძლიერით იმოწმებს წერილობით წყაროებს, ენობრივ მონაცემებს, ტოპონიმიკას და სხვ. და მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებს დასკვნას. თუბალ-კაენთან დაკავშირებით ღრმა და ყოველმხრივი კვლევის შემდეგ მან დაადგინა, რომ აქ ასახული უნდა იყოს გარკვეული ეპოქა. მაგრამ, თუ ავტორის ეს მოსაზრება მართებულია, ვფიქრობთ, ამ ეპოქისათვის ძვ. წ. XV საუკუნე შორეული უნდა იყოს. ჯერ ერთი, ამ დროისათვის რკინის შემოსვლა საეჭვოა, მაგრამ თუნდაც ყოფილიყო შემოსული, იგი მაშინვე ვერ აისახებოდა თუბალ-კაენში. ავტორი აღნიშნავს, რომ ძვ. წ. XV საუკუნის მიწურულიდან უკვე მოიხსენიება ძველაღმოსავლურ ტექსტებში თუბალ-კაენას ტიპის ფოლადის ნივთები. როგორი მაცდურიც არ უნდა იყოს ავტორისეული შტუდიები კაინ, თუბალ-კაენ და სხვ. დაკავშირებით, მაინც ასე გადაჭრით თქმა იმისა, რომ ეს პირველი ფოლადის ნივთები ქართველ ტომთა კუთვნილებაა, ძნელი დასაჯერებელია. თუ ძვ. წ. XV საუკუნეში ფოლადის ნივთები უკვე შორს შეტანილი ჩანს, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ქართველ ტომებს რკინის და შემდეგ ფოლადის დამუშავება კიდევ უფრო ადრე დაუწყიათ.

ნაშრომის ბოლო თავი ეძღვნება სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებას კოლხეთში. იგი იძლევა ამ საკითხის შესწავლის ისტორიას ჩვენში, ფართოდ იხილავს საბჭოურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს ძველაღმოსავლური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური არსის შესახებ და სხვ. აქაც ავტორი, როგორც საერთოდ,

ღრმად სწვდება ამ საკითხებს, იშველიებს არქეოლოგიურ მონაცემებს როგორც ძველი აღმოსავლეთიდან, ისე საქართველოდან. ამ მასალების მცირე ექსკურსის შემდეგ იგი ასკვნის, რომ გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისი უნდა იყოს მიჯნა, საიდანაც სამხრეთ საქართველოში განუვითარებელი კლასობრივი, ე.წ. ადრეკლასობრივი და საქართველოში პირველი სახელმწიფოს ისტორია უნდა დავიწყოთ. მართალია, ავტორი თვითონვე აღნიშნავს, რომ აღნიშნულის საილუსტრაციოდ იგრძნობა მასალის სიმცირე, მაგრამ რაცა გვაქვს, ისიც კი გვაძლევს ცალკეული საკითხების გაშუქების შესაძლებლობას. ამის შემდეგ ავტორი ცდილობს დაადასტუროს თავისი დებულება.

პირველ რიგში, იგი ისევ კოლხურ განძებს მიმართავს და ნაშრომის 155-ე გვერდზე აღნიშნავს, რომ კოლხური ლითონი თითქმის გამონაკლისის გარეშე ან განძებადაა ნაპოვნი, ან განძის ნაწილად. განძებს იგი მეტად დიდ მნიშვნელობას მიაწერს და ფიქრობს, რომ ისინი ასახავენ სიმდიდრის დაგროვების, დაცვის და გადამალვის ტენდენციას. მაგრამ ამ კოლხური განძების დიდ უმრავლესობას შეადგენდა ხმარებიდან გამოსული, დამტვრეული ნივთები, ე.წ. „მდნობელთა განძები“. არა გვგონია, რომ ამ განძებს საგანგებო დამალვა სჭირდებოდა და ისინი სიმდიდრის წყაროს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, იმ განძებს (მაგ., ოყურეშისას), რომელიც შეიძლება მართლაც ამას ასახავდეს, საერთოდ არ იხსენიებს. ავტორი აღნიშნავს, განძების თავისებურება აღმოსავლეთ საქართველოს ფონზე ნათლად გვიჩვენებს, რომ კოლხური მოსახლეობა უფრო მშვიდობიანი ხასიათის ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ აქ ისიც უნდა აღენიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან სამარხეული კომპლექსებია წარმოდგენილი, კოლხეთიდან კი – განძები.

კოლხეთის საზოგადოებრივი წყობილების შესახებ II ათასწლეულის მეორე ნახევარში გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად ავტორი იშველიებს აპოლონ როდოსელის „არგონავტიკას“. იგი დაწვრილებით იხილავს ამ წყაროს და ბოლოს ასკვნის, რომ თქმულებაში არგონავტების ლაშქრობის შესახებ ასახულია კოლხეთის სამეფოს საზოგადოებრივი წყობილების სურათი. მას მოჰყავს აგრეთვე სხვა წყაროებში დაცული ცნობებიც. შემდეგ იგი ეხება დიაუხსა და კოლხას და სხვ. აქ ავტორი კიდევ ერთხელ გვევლინება ძველი წყაროების შესანიშნავ მცოდნედ და დიდ უნარს ავლენს მათი ანალიზისას, მაგრამ, ვფიქრობთ, სადღეისოდ არსებული მასალების საფუძველზე ძნელია გავიზიაროთ მოსაზრება, რომ ძვ. წ. XIII საუკუნეში კოლხეთში ძლიერი სამეფო ხელისუფლება არსებობდა. კოლხეთი ჯერ იმგვარად შესწავლილი არ არის, რომ შეიძლებოდეს გარკვევით ამაზე ლაპარაკი. არ არის შესწავლილი ნამოსახლარები, არ ვიცით, როგორი იყო ცხოვრების პირობები და სხვ. მართლაც, რაცა გვაქვს, უპირატესად შემთხვევითი ხასიათისაა. ასეთ ვითარებაში საზოგადოების ცხოვრების დონის ასახვა ძნელია. მით უმეტეს ძნელია აქ წარმოვიდგინოთ სახელმწიფოს არსებობა. ავტორს, ვფიქრობთ, თუკი ეს საკითხები აინტერესებდა, მეტი ყურადღება უნდა მიექცია აღმოსავლეთ საქართველოს მასალებისათვის – როგორც თანამედროვე, ისე ადრეულისათვის, კერძოდ თრიალეთის კულტურისათვის და სხვ. ერთი სიტყვით, ვფიქრობთ, ჯერჯერობით ძნელია გადაჭრით ლაპარაკი კოლხეთის სახელმწიფოს ადრე არსებობის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომში ავტორი საკითხებს იკვლევს არა მხოლოდ ისტორიული და არქეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ფილოლოგიურითაც. დიდი ადგილი ეთმობა ტერმინთა ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს მრავალი

საყურადღებო მოსაზრება აქვს წამოყენებული, ზოგჯერ მისი მსჯელობა დავას იწვევს. ცალკეულ შემთხვევებში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები. მაგალითად, 77-88-ე გვერდებზე ავტორი მსჯელობს „ილიადას“ „ხომალდთა კატალოგში“ მოხსენიებულ ჰალიძონებზე ალიბედან. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ილიადაში“ გვხვდება ჰალიძონების სახელწოდება Ἀλυζώνες ფორმით და ვარაუდობს, რომ აქ „არ არის გამორიცხული შესაძლებლობა გადამწერთ ფშინვის ნიშანი შეშლოდათ: ჩვენამდე მოღწეული spiritus lenis (შდრ. Ἀλυζώνες) ნაცვლად, შესაძლებელია, თავდაპირველად იყო spiritus asper (მაშინ იქნებოდა - Ἁλυζώνες) (გვ. 78). ავტორის ეს მოსაზრება გაუგებრობას იმიტომ იწვევს, რომ „ილიადას“ ყველა ძირითად თანამედროვე გამოცემაში გვაქვს სწორედ spiritus asper-იანი ფორმა Ἁλιζώνων („ილ.“ II 856), როგორც ერთადერთი სწორი ფორმა,[1] რომელსაც ეყრდნობიან კიდეც უახლეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ასევე, ავტორი რატომღაც არ ითვალისწინებს ხეთურ დოკუმენტებში მოხსენიებული Haliwa-ს ალიბესთან დაკავშირებისას ამჟამად თითქმის დადგენილ ფაქტს, რომ Haliwa ქვეყნის სახელწოდება კი არ იყო, არამედ მთისა, რომ დღეს მეტი მომხრე ჰყავს ჰომეროსისეული Ἀλύβη-ს ხეთური დოკუმენტების Halluwa-სთან დაკავშირების შესაძლებლობას.

ავტორი უყოყმანოდ იზიარებს თვალსაზრისს, რომ ბერძნული Φασις, ιδος ფორმა სავარაუდო ფაშდ სვნური ფორმიდან უნდა იყოს მიღებული, თუმცა, როგორც ცნობილია, ეს ვარაუდი უკანასკნელ ხანებში ეჭვქვეშ იქნა დაყენებული ბერძნული ტერმინის დეტალური ანალიზის საფუძველზე.

Безусловной заслугой Р. М. Мунчаева является предпринятый анализ керамических комплексов майкопской культуры, который ранее в таком объеме из-за отсутствия больших серий сосудов не был осуществлен. Автору удалось вполне убедительно доказать внутреннюю динамику этих комплексов. Действительно, «...керамика, являющаяся наиболее местным слагаемым в составе археологического комплекса, дает обычно множество узко локальных вариаций, разобраться в которых можно лишь при достаточно количественном и хорошо документированном материале».[1] Показателем местного происхождения керамики той или иной культурной области являются массовые ее находки в синхронных археологических памятниках. Наблюдается это и в памятниках майкопской культуры – однотипная посуда зафиксирована здесь как в поселениях, так и в погребениях. А. А. Иессен, опираясь на небольшой материал, указывал на то, что широкое распространение керамики майкопского типа позволяет считать ее характерным элементом местного исторического развития. Более того, основываясь на сходстве форм серебряных сосудов и керамики из Майкопа, он предполагал, что первые изготовлены в пределах распространения этой керамики.[2]

Нам представляется преувеличенным значение, которое придает Р. М. Мунчаев месопотамскому компоненту в сложении раннего керамического комплекса майкопской культуры. Он прямо пишет, что однотипная посуда раннемайкопских поселений имеет месопотамское происхождение (стр. 329). При этом аналогии, которые приводит автор, восходят к V–IV тысячелетиям до н. э. (Халаф, Тепе-Гавра, Телль-ат-Теллалат), т. е. отстоят от наших памятников на полтора, а то и два тысячелетия. При безусловном сходстве определенной формы майкопских сосудов (округлые горшки с раструбным венчиком) с сосудами из Месопотамии сопоставляемые экземпляры разделены значительным как территориальным, так и хронологическим разрывом. И это нельзя не учитывать.

Окончательное решение проблемы происхождения майкопской керамики, по-видимому, будет возможным, когда станут хорошо известные керамические комплексы местного неолита и энеолита. Могут пролить свет на решение этой проблемы и находки в западном Закавказье, древнее население которого находилось в постоянных контактах с племенами Предкавказья. В этом плане интересна находка хранящегося в Историческом музее Грузии сферического лощеного горшка с раструбным горлом из энеолитического слоя пещеры Самелеклде.

Все сказанное отнюдь не противоречит смелому предположению Р. М. мунчаева о том, что гончарный круг мог заимствован майкопцами через каких-то посредников из Месопотамии. Это вполне вероятно, хотя бы потому, что гончарный круг из Ура и майкопская посуда, изготовлявшаяся, как показал автор, с помощью аналогичного приспособления, датируются в пределах III тысячелетия до н. э. Как известно, проникновение различных новшеств на большие расстояния – факт, многократно зафиксированный археологическими находками.[3]

При установлении связей с Югом, а также при определении датировки майкопской культуры нельзя было обойти молчанием доклад А. А. Иессена, прочитанный им на археологическом пленуме в 1961 г.[4] Это было его последнее выступление, оставшееся нам лишь в виде тезисов и черновых набросков статьи, хранящейся в его архиве. Значение этих тезисов состоит прежде всего в том, что в них намечены линии возможных сопоставлений

1 Иессен А. А. К хронологии «больших кубанских курганов». СА, 1950, №XII, с. 176.
2 Там же, с. 176.
3 Сб.: Обмен и торговля в древности. КСИА АН СССР, 1974, №138.
4 Иессен А. А. Майкопская культура и ее датировка. Тезисы докладов на заседаниях, посвященных итогам полевых исследований 1961, М., 1962, с. 19.

богатых майкопских комплексов с памятниками Передней и Малой Азии. Сопоставления с памятниками времени Ура он считает неудачными, так как в металлическом оружии и орудиях там господствует иная традиция. Для датировки богатых погребений Прикубанья важным опорным пунктом с его точки зрения должны стать прежде всего погребения Аладжи в Центральной Анатолии. В дальнейшем намеченная им линия сопоставлений должна быть глубоко разработана.

В следующей главе Р. М. Мунчаев раскрывает характерные черты синхронных бытовых памятников Чечено-Ингушетии – исследованные им в поле поселение Луговое и поселения Сержень-Юрт I и II. Расположенная между территорией распространения майкопской культуры, с одной стороны, и дагестанского варианта куро-аракской – с другой, Чечено-Ингушетия явилась той областью, где соприкасались эти две яркие и самобытные культуры Кавказа. Р. М. Мунчаев показывает, что памятники этой области впитали в себя элементы соседних культур, что наложило на них специфический отпечаток. Наиболее наглядно это прослеживается на керамическом комплексе, анализу которого автор справедливо уделил главное внимание. Отметим, что тематика этой главы целиком разработана автором.

Заключительная глава рецензируемой монографии посвящена характеристике хозяйства населения Северного и Южного Кавказа эпохи ранней бронзы. В ней рассматривается хозяйство носителей куро-аракской и майкопской культур. Р. М. Мунчаев подробно останавливается на таких отраслях экономики, как земледелие и скотоводство, а также характеризует металлургическое и гончарное производства Кавказа. Анализ керамики дает ему основание сделать ряд важных выводов о значительном прогрессе керамического производства, основанного теперь уже на применении гончарного круга и других технологических усовершенствованиях, о выделении его в самостоятельную отрасль хозяйства и др. Здесь же более развернуто еще раз поднимается вопрос о связях майкопцев с Месопотамией, значение которых, с нашей точки зрения, автор несколько преувеличивает. Читая эти страницы, невольно задаешь себе вопрос: каким же образом не были вовлечены в эти непосредственные контакты племена Закавказья, через которое не одно тысячелетие осуществлялись связи Юга с Севером? Правда, в закавказском металле III тысячелетия до н. э. улавливается определенное влияние переднеазиатских культур (топоры, копья, «штыки» и др.), однако здесь господствует совершенно иная керамическая традиция, отличная от той, на основе которой Р. М. Мунчаев считает возможным говорить об оседании на Северном Кавказе отдельных групп людей из Месопотамии (стр. 376).

Далее автор подробно характеризует земледельческую базу племен, обитавших по обе стороны Большого Кавказа. В этом разделе им приводятся убедительные археологические факты, документирующие по крайней мере для Закавказья все этапы земледельческого цикла.

Внедрение пашенного земледелия повсюду, где это происходило, несло за собой радикальные хозяйственные сдвиги. Р. М. Мунчаев, основываясь на находке рогового пахотного орудия из Квацхелеби, приурочивает это событие в Закавказье к III тысячелетию до н. э. Такой точки зрения придерживаются и другие исследователи; высказывались в этом плане и авторы настоящей рецензии. Вместе с тем накопившиеся за последние несколько лет факты побуждают к пересмотру времени первых шагов пашенного земледелия в Закавказье.

Недавно Ю. А. Краснов выдвинул предположение, что внедрение пашенного земледелия в Передней Азии восходит к V–IV тысячелетиям до н. э.[1] Помимо изображений древних рал на пиктограммах Шумера и Элама здесь этому новшеству сопутствовал ряд косвенных

1 Краснов Ю. А. Древнейшие упряжные пахотные орудия. М., 1975.

признаков. В числе первых исследователь называет наличие искусственного орошения, использование тягловой силы, переход от жатвенных ножей с прямой основой к изогнутым серпам. Р. М. Мунчаев убедительно показал, что в своем хозяйственном развитии южнокавказские племена V–IV тысячелетий до н. э. фактически не отставали от племен, обитавших в это время в Передней Азии. Примечательно, что и в Закавказье в это время начинают осуществляться первые работы по сооружению оросительных устройств (Арухло, Имиргора), входит в употребление тягловая сила (колесики от моделей повозок из Кюль-тепе I и Арухло), намечается некоторая кривизна жатвенных орудий. Недавно к этим косвенным признакам прибавилась находка, значение которой для затронутого вопроса неоценимо. Мы имеем в виду роговой предмет из Арухло, трактуемый этнографами как древнейшее закавказское пахотное орудие.[1] Поселение Арухло датируется V тысячелетием до н. э. Имеются и некоторые другие факты, побуждающие удревнить введение этого новшества не только в Передней Азии, но и в Закавказье.[2]

Последующие разделы главы посвящены проблемам скотоводства и металлургии на Кавказе. Всесторонне характеризуя скотоводство ряда поселений, каждое из которых, приспособливаясь к окружающим природным условиям, развивалось по-разному, Р. М. Мунчаев обосновывает очень важный вывод, что в животноводческом хозяйстве кавказских племен не было единого направления. Вместе с тем он целиком принимает тезис о раннем сложении на Кавказе яйлажной формы скотоводства, господствующей в ряде районов и поныне. Разработанный в свое время Б. Б. Пиотровским, этот тезис находит все новые и новые блестящие подтверждения в археологических материалах. Подробно освещен в книге и вопрос о коневодстве на Кавказе.

В разделе о металлургии автор поднимает широкий круг вопросов, связанных с медноруднoй базой, производством и обработкой кавказского металла, типологией различных категорий изделий, определением их происхождения и т. д. В результате Кавказ в этот период рисуется как крупный очаг металлопроизводства, вовлеченный в широкие международные связи, снабжающий своей продукцией степные племена Северного Причерноморья, Подонья и Поволожья.

В небольшом заключении Р. М. Мунчаевым собраны все материалы, могущие пролить свет на решение проблемы этнической принадлежности носителей древних культур Кавказа.

Уже сам по себе затронутый круг вопросов говорит о широкой проблематике книги Р. М. Мунчаева, занявшей по праву прочное место в нашей науке. Сделанные замечания и высказанные соображения отнюдь не снижают ценности книги, тем более что часть из них основана на материалах, введенных в научный оборот после выхода монографии Р. М. Мунчаева.

Насыщенная большим фактическим материалом, опирающаяся на открытия последних лет, книга эта наглядно демонстрирует успехи кавказского направления советской археологии, вводит памятники древнего Кавказа в систему культур Переднего Востока, создает почву для дальнейших плодотворных дискуссий.

К. Х. Кушнарева, О. М. Джапаридзе

---

1 Чубинишвили Т. Н. Новые данные к истории раннеземледельческой культуры Квемо-Картла. ДПК, 1973, №33, рис. на с. 18 и 19.

2 Кушнарева К. Х. О времени становления пашенного земледелия на Южном Кавказе (К постановке проблемы). ИФЖ, 1977, №4.

ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს არქეოლოგია*

კავკასიის მოსახლეობის უძველესი წარსული კარგა ხანია დიდ ინტერესს იწვევდა უპირატესად საისტორიო წყაროებში დაცული ცნობების გამო. ლიტერატურული ტრადიციები მათ, კერძოდ კი, ქართველ ტომებს განსაკუთრებულ როლს მიაწერდა მეტალურგიის განვითარების საქმეში. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის არქეოლოგიური მონაცემები კავკასიიდან თითქმის სრულიად უცნობი იყო. კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან იწყება. კავკასიის მუზეუმში კავკასიის სხვადასხვა მხრიდან თანდათანობით თავს იყრის არქეოლოგიური მასალა. სამთავროს სამაროვნის და ყაზბეგის განძის აღმოჩენებმა საქართველოში, რედკინის ბანაკის და ვორნაკის სამარხების – სომხეთში, ყობანის სამაროვნის – ჩრდილო ოსეთში და სხვ. მკვლევართა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და უკვე 1873 წელს თბილისში არსდება „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“. საზოგადოების მცირე ჯგუფი, უპირატესად ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სიძველეების დილეტანტი მოყვარულები, ცდილობდნენ გარკვეული წესრიგი შეეტანათ ძეგლების და მასალების მოვლა-პატრონობის საქმეში და მეტი ინტერესი გაეღვიძებინათ კავკასიის სიძველეებისადმი. ამის შედეგი იყო, რომ 1881 წლის სექტემბერში თბილისში მოიწვიეს სრულიად რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა, რომელიც ძირითადად კავკასიის სიძველეთა შესწავლას მიეძღვნა. ყრილობის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, დავით ჩუბინიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ისტორიკოსის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დიმიტრი ბაქრაძის მონაწილეობა, რომელსაც დიდი როლი მიუძღვის ყრილობის გეგმის შემუშავებაში. მართალია, დ. ბაქრაძეს უშუალოდ არქეოლოგიური გათხრები არ უწარმოებია, მაგრამ კარგად გრძნობდა არქეოლოგიის ძალას ძველი ისტორიის შესწავლის საქმეში და შემთხვევითი არ იყო, რომ იგი აქვეყნებს ძალიან საინტერესო და საჭირო ნაშრომს - „О доисторической археологии вообще и кавказской в особенности“, სადაც განხილულია უპირატესად მცხეთაში, სამთავროს ველზე ჩატარებული სამუშაოების შედეგები. ყრილობის მუშაობაში არ მონაწილეობს ფრიდრიხ ბაიერნი, რომელსაც იმ დროისათვის უკვე საკმაოდ საინტერესო შედეგები ჰქონდა სამთავროს სამაროვანზე. საერთოდ ყრილობამ უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის სიძველეთა შესწავლის საქმეში. იმჟამად არქეოლოგია გაცილებით უფრო ფართო ცნება

* Dedication, თბილისი, 2001.

იყო და მოიცავდა თითქმის ყველაფერს, რაც კი სიძველესთან იყო დაკავშირებული. წმინდა არქეოლოგიური საქმიანობა იმ დროისათვის ჩვენში შედარებით ჯერ კიდევ სუსტი იყო. ასეთი ვითარება იყო ჩვენში, ვიდრე სამეცნიერო ასპარეზზე არ გამოდის ექვთიმე თაყაიშვილი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. იგი მთელი თავისი მოღვაწეობის უდიდეს საქმედ თვლიდა ძველი ქართული ძეგლების შესწავლას, ნივთიერი მასალების მოპოვებას და შეგროვებას, მათ მოვლა-პატრონობას, რითაც მან დიდი ამაგი დასდო ქართული უძველესი კულტურის კვლევას. მართალია, ე. თაყაიშვილის უამრავი ნაშრომი – არქეოლოგიური ექსკურსიები, ძიებანი, მოგზაურობანი, ექსპედიციები და სხვ. ფართოდ გაგებული არქეოლოგიაა, მაგრამ ამავე დროს მას კარგად ესმოდა, თუ რა წვლილის შეტანა შეეძლო მიწისქვეშ მოქცეულ, ძველ ნივთიერ მასალას უძველესი ისტორიის აღდგენისა და შესწავლის საქმეში. მან პირველმა ქართველთაგან საფუძველი ჩაუყარა ჩვენში არქეოლოგიურ გათხრებს, აქვეყნებდა მიღებულ შედეგებს, უვლიდა და სათანადო ადგილს უჩენდა მოპოვებულ მასალას. ე. თაყაიშვილი კარგად გრძნობდა, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რომლის თითოეული გოჯი მიწისა ჩვენი ერის დიდი წარსულის ნაკვალევს შეიცავს, არქეოლოგიურ გათხრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. მან არაერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი გადაარჩინა საბოლოო დაღუპვას. მის მიერ შეგროვილი პირველხარისხოვანი კოლექციები ამშვენებს ჩვენი მუზეუმების სიძველეთსაცავებს. ე. თაყაიშვილმა კარგად იცოდა ამ უტყვი მასალის ფასი და დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს შემთხვევით მონაპოვარ მასალას, აგროვებდა და საიმედო ადგილს უჩენდა მას.

შემთხვევითი არ არის, რომ თავისი მოღვაწეობის პირველსავე წლებში იგი ენერგიულად ჩაება არქეოლოგიურ სამუშაოებში, უკვე 1894 წელს არქეოლოგიური კომისიის დავალებით იგი გათხრებს აწარმოებს ვორნაკის სამაროვანზე (ყოფილი თბილისის გუბერნია, დღეს სომხეთი), სადაც წინა წელს მისი მეგობარი ნიკო მარი აწარმოებდა სამუშაოებს. ნ. მარმა აქ გათხრების წარმოება მიზანშეუწონლად მიიჩნია და ისევ ანისში დაბრუნდა, სადაც იგი ძველ ნაქალაქარს სწავლობდა. ე. თაყაიშვილმა ვორნაკში საინტერესო მასალები აღმოაჩინა – ბრინჯაოს ხანის სამარხები ბოლოკვეთილი მახვილით. იგი თხრის წალკაში, მცხეთაში და სხვ.

1901 წელს თბილისში არსდება „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილება“, რომლის აქტიური წევრი და სწავლული მდივანი ე. თაყაიშვილი იყო. იგი დიდ მუშაობას ატარებს მიწისქვეშა ძეგლების შესწავლის და მოვლა-პატრონობის ხაზით. მას მხედველობიდან არ რჩება თითქმის არც ერთი შემთხვევითი აღმოჩენა. იგი თხრის ქვაყუთებს მცხეთის მახლობლად ნავთსადენში. მას დიდი სურვილი აქვს, გააგრძელოს ფ. ბაიერნის მიერ დაწყებული სამუშაოები სამთავროს სამაროვანზე, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ განახორციელა ეს საქმე. განყოფილების წევრთაგან ძირითადად ე. თაყაიშვილი ეწევა გათხრით სამუშაოებს. სხვა წევრები უპირატესად საეკლესიო საბუთების, ხუროთმოძღვრული ძეგლების და სხვ. შესწავლით იყვნენ დაკავებულნი. „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილების მოამბეში“ ე. თაყაიშვილი ხშირად აქვეყნებს ცნობებს სხვადასხვა აღმოჩენის შესახებ. უკვე მოამბის პირველ ტომში, მის სხვა ნაშრომთა შორის, ქვეყნდება მოკლე ანგარიში მცხეთაში ჩატარებული მუშაობისა და გორში აღმოჩენილი ვერცხლის თასის შესახებ.

ე. თაყაიშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მუშაობაში. მაგრამ, ვერც ეს საზოგადო-

ება და ვერც მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილება ვერ უზრუნველყოფდა ქართული სიძველეების შესწავლისა და დაცვის საქმეს. ე. თაყაიშვილი კარგად გრძნობდა საჭიროებას ახალი დაწესებულების ჩამოყალიბებისა, რომლის ძირითადი საქმიანობა ქართული კულტურის კვლევა, უძველესი ძეგლების შესწავლა და მათი საიმედო მოვლა-პატრონობა იქნებოდა. 1907 წლის 20 სექტემბერს ე. თაყაიშვილის დიდი მეცადინეობის შედეგად არსდება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც მართლაც წარუშლელი კვალი დააჩნია საქართველოს ისტორიას, მისი უძველესი კულტურის გამომზეურებას, სულიერი სამყაროს კვლევის საქმეს. საზოგადოების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა იყო არქეოლოგიური ძეგლების მეთვალყურეობა, საჭირო შემთხვევაში გათხრების წარმოება, მოპოვებული მასალების მოვლა და დაბინავება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. საერთოდ, საექსპედიციო მუშაობა საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო. თანდათანობით საზოგადოებაში თავს იყრის სხვადასხვა ხასიათის მდიდარი მასალები. ამიტომაცაა, რომ საზოგადოების მესვეურები იმთავითვე იწყებენ ზრუნვას მუზეუმის დაარსებაზე. მართალია, იმხანად თბილისში მოქმედებს კავკასიის მუზეუმი, სადაც თავს იყრის მასალები კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან, მაგრამ საქართველოდან მომდინარე მასალების მოვლის, შენახვისა და შესწავლის გაზრდილ მოთხოვნილებას იგი უკვე ვეღარ დააკმაყოფილებდა. ამიტომაც, საზოგადოება ბეჯითად ეძებს შესაფერ ადგილს მუზეუმის შენობის ასაგებად.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ექსპედიციების მუშაობის დროს სათანადო ყურადღება ექცევა არქეოლოგიურ მასალას. ზოგჯერ ძველი ნივთები, სხვა მასალებთან ერთად, ოჯახებიდანაც გამოაქვთ. საზოგადოება და, კერძოდ, ე. თაყაიშვილი არქეოლოგიის ხაზით დიდ სამუშაოს ატარებს. უკვე 1908 წელს საინტერესო განძი ჩამოაქვს ქართლის ახალქალაქიდან და ცნობასაც აქვეყნებს ამ აღმოჩენის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. თაყაიშვილის მიერ საჩხერეში ჩატარებული სამუშაოები 1910 წელს. აქ ადგილ ნაჩერქეზევზე ბრინჯაოს ნივთების საინტერესო კოლექცია აღმოჩნდა. ე. თაყაიშვილი იმთავითვე მიხვდა ამ აღმოჩენის მნიშვნელობას და დაუყოვნებლივ ჩავიდა აღმოჩენის ადგილას და მცირე გათხრებიც ჩაატარა. იგი შემდეგ სპეციალურ წერილს უძღვნის საჩხერის კოლექციას.

ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს კოლექცია ყობანურ ხანას მიეკუთვნება, ე. ი. გვიანბრინჯაოს ხანაზე უფრო უხნესია. ეს თუნდაც ვარაუდით გამოთქმული მოსაზრება იმხანად საკმაოდ გაბედული იყო იმის გამო, რომ არქეოლოგიაში ფართოდ იყო გამჯდარი ვირხოვის და შანტრის შეხედულება კავკასიის შედარებით გვიან, არაუადრეს გვიანბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს) დასახლების შესახებ. ე. თაყაიშვილი არ შეუშინდა აღიარებული ავტორიტეტების აზრს და, როგორც შემდეგ დადასტურდა, ძირითადად სწორად განსაზღვრა ამ საინტერესო ძეგლის თარიღი.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ე. თაყაიშვილის მიერ გაწეული ღვაწლი „ახალგორის განძის“ გადარჩენაში. ქსნის ხეობაში, სოფ. საძიგურთან, შემთხვევით აღმოჩნდა ძვირფასი ლითონის ბრწყინვალე ნივთები, რომლებიც ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიტაცა. ცნობის მიღებისთანავე იგი დაუყოვნებლივ აღმოჩენის ადგილას გაჩნდა და დიდი მეცადინეობის შედეგად შეძლო ჩვენი დიდი კულტურის ამ უბრწყინვალესი კოლექციის გადარჩენა. ეს ნივთები დღესაც ამშვენებს ჩვენი მუზეუმის საგანძურს. მაგრამ, ამით არ ამოიწურება ე. თაყაიშვილის ზრუნვა კოლექციაზე. მოგვიანებით უცხოეთში ე. თაყაიშვილმა შეძლო „ახალგორის განძის“ ნივთების გადარჩენა უკვე

ახალი ყაიდის „მძარცველებისაგან“ და უკლებლივ დაუბრუნა იგი სამშობლოს. ე. თაყაიშვილმა ვანშიც ჩაატარა მცირე გათხრები.

რა თქმა უნდა, ზემოთ თქმულით არ ამოიწურება ე. თაყაიშვილის მოღვაწეობა არქეოლოგიაში. გარდა გამოქვეყნებული ცნობებისა, მის არქივში იანახება ჩატარებული არქეოლგიური გათხრა-დაზვერვებისადმი მიძღვნილი წერილები. არქივში დაცულია კრუკოვსკის წერილები, საიდანაც ვგებულობთ, რომ ე. თაყაიშვილი დაინტერესებული ყოფილა ქვის ხანის ძეგლების შესწავლით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ე. თაყაიშვილის მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტში, სადაც მან პირველი ლექცია წაიკითხა არქეოლოგიაში – „სიძველეთმცოდნეობაში“. მას განზრახული ჰქონდა საუნივერსიტეტო კურსის შედგენა არქეოლოგიაში. იგი აქტიურად მოღვაწეობდა აკად. ნ. მარის მიერ თბილისში დაარსებულ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში. ნ. მარის მოუცლელობის და არყოფნის გამო ინსტიტუტის მუშაობის წარმართვა ძირითადად ე. თაყაიშვილს უხდებოდა.

მარტო აღნიშნული არ ასახავს ე. თაყაიშვილის ღვაწლს ქართული მეცნიერების წინაშე. ეს მხოლოდ ერთი მხარეა მისი დიდი შემოქმედებითი მუშაობისა. იგი პირველი ქართველი არქეოლოგი იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ისტორიული მეცნიერების ამ დარგს ჩვენში. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მისი მეთაურობით უთუოდ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი უძველესი კულტურის შესწავლის საქმეში. 1921 წლის თებერვალში დატრიალებულმა უბედურებამ ე. თაყაიშვილის ცხოვრებაზე იმოქმედა. მას ძალიან უჭირს სამშობლოდან წასვლა, მაგრამ საქართველოს საუნჯეს ვერავის ანდობს. კიდევ კარგი, რომ თან გაჰყვა უცხოეთში, სადაც, ურთულესი ვითარების მიუხედავად, საიმედოდ უპატრონა და შეძლო უკლებლივ დაებრუნებინა იგი დედასამშობლოსათვის. როგორ გაუმწარდა სიცოცხლის ბოლო წლები ამ ღვაწლმოსილ, ტანჯულ ამაგდარს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კარგადაა ცნობილი.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოსათვის ამ უმძიმეს და ურთულეს ვითარებაში მაინც აღიმართა ძეგლი ამ ბრწყინვალე მამულიშვილისა. ძეგლის ავტორმა, შესანიშნავმა მოქანდაკემ ბიძინა ავალიშვილმა, რომლის არაერთი ქანდაკება ამშვენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, კარგად იგრძნო ის უმძიმესი ცხოვრების გზა, რომელიც წილად ხვდა ე. თაყაიშვილს და შეძლო კიდეც ამის გადმოცემა თავის ქმნილებაში. კარგად შეირჩა ადგილი ძეგლისათვის – ვერის ბაღში. სწორედ ვერის უბანში გაატარა ე. თაყაიშვილმა ცხოვრების წლები უცხოეთში წასვლამდე და იქიდან დაბრუნების შემდეგ. ძეგლის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა მისი მეუღლის, პალტარაცკების, დიდებული ოჯახი. უცხოეთში გამგზავრებამდე ე. თაყაიშვილი თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა ე. გაბაშვილის ქუჩაზე, გაბაშვილების სახლში. ეკატერინე გაბაშვილის ქმარი, ალექსანდრე გაბაშვილი, ე. თაყაიშვილის მეუღლის დედის ძმა, ბიძა იყო. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ მან ბინა დაიდო ყოფილ ვერის ბაზართან, ვაშლოვანის ქუჩაზე და აქ, ვერაზე აღასრულა მან თავისი ტანჯული ცხოვრება.

ივანე ჯავახიშვილი და არქეოლოგია*

დიდია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ქართული ისტორიული, და, საერთოდ, ჰუმანიტარული მეცნიერების წინაშე. იგი კარგად გრძნობდა, რომ ერის წარსულის მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენა შეუძლებელია მისი მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლის გარეშე. ამიტომაც არის, რომ ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის პირველსავე გამოცემაში სათანადო ადგილს უთმობს კულტურისა და სარწმუნოების საკითხების კვლევას. მან ამ ნაშრომის შემდგომ გამოცემებს წინ წაუმძღვარა აგრეთვე გამოკვლევა საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების არქეოლოგიის შესახებ. მეცნიერი აღნიშნავს, რომ „თითოეული ერის უძველესი კულტურის შესწავლა, რასაკვირველია, მხოლოდ არქეოლოგიის და ენათმეცნიერების საშუალებით შეიძლება“. ივ. ჯავახიშვილი კარგად იცნობს იმხანად კავკასიის არქეოლოგიის თაობაზე არსებულ ლიტერატურას და მის საფუძველზე საკმაოდ ნათელ სურათს სახავს საქართველოს უძველესი წარსული შესახებ. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ამ მიზნისათვის სათანადოდ გამოიყენა არქეოლოგიური მონაცემები. იმხანად ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, რომ კავკასიაში ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო ხანებზე უწინარესი კულტურა მაინცდამაინც საძებარი არ არის. ვერც ივ. ჯავახიშვილი ასცდა ამ შეხედულების ზეგავლენას, მით უმეტეს, რომ, მისი აზრით, ქართველთა პირველსაცხოვრისი კავკასიაში არ უნდა ყოფილიყო და ამიტომ აქ მოპოვებული ნივთები მათი კუთვნილება ვერ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მას კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა არქეოლოგიურ მონაცემებს საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდების კვლევისათვის. ამიტომაცაა, რომ „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე გამოცემაში იგი კიდევ უფრო დიდ ადგილს უთმობს არქეოლოგიას. მას მხედველობიდან არ რჩება ამ დროისათვის უკვე არსებული პირველი ცნობები საქართველოში ძველი ქვის ხანის ძეგლების აღმოჩენის შესახებ. იგი აღნიშნავს, თუ რაოდენი სიფრთხილე მართებთ მკვლევრებს კავკასიის არქეოლოგიაზე მსჯელობისას. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი მაინც ფიქრობს, რომ ქვის ხანას კავკასიაში შედარებით ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა; აქ ძირითადი მაინც ბრინჯაოს ეპოქა უნდა ყოფილიყო. სწორედ მასშია კავკასიის მოსახლეობის მთავარი კულტურული ხანის საწყისები საძებარიო. ბრინჯაოს პერიოდი აქ თავიდანვე იზრდება და ფართოვდება და მას სწრაფად მისდევს რკინის ხანაო. ეს შეხედულება ივ. ჯავახიშვილს იმხანად ფართოდ გავრცელებული მოსაზრების საფუძველზე ჩამოუყალიბდა: კავკასიის არქეოლოგიაში მთავარი და ძირითადია გვიანბრინჯაოს – ადრერკინის პერიოდი. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ კავკასიაში ამ დროს გვიანბრინჯაოს ხანის მართლაც ბრწყინვალე ძეგლები აღმოჩნდა – ყობანისა და სამთავისის სამაროვნები, რედკინლაგერის სასაფლაო, ყაზბეგის განძი და სხვ. აქ ნაპოვნი იყო იმ ხანისთვის სრულიად უცნობი, ბრინჯაოს ორიგინალური იარაღ-სამ-

---

* ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2-3, 1986.

კაულები: ყობანის ტიპის ცულები, ბოლოკვეთილი მახვილი, აღმოსავლურქართული ცული, ბრინჯაოს სარტყელები და სხვა. სწორედ ამ უნიკალური ნივთების აღმოჩენამ გააღვიძა განსაკუთრებული ინტერესი კავკასიის არქეოლოგიისადმი. უფრო ადრეული პერიოდის მასალებს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა იმის გამო, რომ დამკვიდრდა შეხედულება კავკასიის შედარებით გვიან დასახლების შესახებ. კავკასიის უძველესი კულტურის შესახებ ამ შეხედულების შეცვლას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ფაქტობრივად, ეს საბოლოოდ შესაძლებელი გახდა თრიალეთის ბრწყინვალე აღმოჩენების შედეგად.

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ განიხილავს კავკასიაში, კერძოდ კი – საქართველოში, გავრცელებულ დასაფლავების წესს. იგი აღნიშნავს, რომ აქ საფლავების სხვადასხვა სახეობა ყოფილა გავრცელებული და საკმაოდ დაწვრილებით აღწერს მათ. სამთავროს სამაროვნის შესახებ იგი წერს, რომ აქ სხვადასხვა ტიპის სამარხები გვხვდებაო და თითოეული სახეობის ცალ-ცალკე აღწერილობას იძლევა. საგანგებოდ განიხილავს იგი სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ სამარხულ ინვენტარს – სამკაულებს, სამეურნეო და საბრძოლო იარაღებს, თიხის ჭურჭელს. სათანადო ყურადღებას უთმობს ივ. ჯავახიშვილი აღებ-მიცემობის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ საგარეო ვაჭრობა იმ დროსაც ყოფილა და რომ კავკასიის უძველეს მოსახლეობას აღებ-მიცემობა ჰქონიათ ხეთებთან, ასურელებთან და ფინიკიელებთან. ამასთან დაკავშირებით მან ყურადღება მიაქცია მოსაზრებას, რომ სამარხებში მრავლად აღმოჩენილი სხვადასხვა ზომისა და სიდიდის ბრინჯაოს რგოლთაგან ყველა სამაჯური კი არ იყო, არამედ, შესაძლოა, ფულის ერთეული ყოფილიყო. იგი აღნიშნავს, რომ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და თუ დამტკიცდება, რომ ეს რგოლები ნამდვილად ღირებულების ერთეული იყო, მაშინ კავკასია და საქართველო შეიძლებოდა მიგვეჩნია ფულის მიმოქცევის უძველეს ასპარეზად.

მას ყურადღების გარეშე არ რჩება ხელოვნებასთან დაკავშირებული საკითხები. საგანგებოდ ჩერდება ბრინჯაოს სარტყლებზე მოცემულ მდიდრულ სცენებზე და დასძენს, მათი ექსპრესიის სიძლიერე სწორედ რომ განსაცვიფრებელიაო.

რა თქმა უნდა, ივ. ჯავახიშვილს უფრო ფართო მსჯელობა არქეოლოგიის მონაცემების საფუძველზე არ შეეძლო იმის გამო, რომ მასალები ძირითადად სამარხებიდან მომდინარეობდა და ნასახლარები და სხვა ტიპის ძეგლები იმ დროისათვის სათანადო ყურადღების გარეშე რჩებოდა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ივ. ჯავახიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ მონაცემებს საქართველოს უძველესი კულტურის კვლევის საქმეში. ამიტომაც აღნიშნავს იგი სინანულით, რომ „არქეოლოგია, ვითარცა საკუთარი მეთოდების მქონე მეცნიერების დარგი, სათანადო სპეციალისტთა კვლევა-ძიების სარბიელს შეადგენს და, ჩვეულებრივ, ისტორიკოსები მისი მონაპოვრით სარგებლობენ ხოლმე თავისი მიზნისათვის, მაგრამ ასეთ ხელსაყრელ პირობებში ქართველი ისტორიის მკვლევარი ჯერ არ ჩავარდნილა, რადგან კავკასიის არქეოლოგია თავის სპეციალურ საგნად ჯერ არავის მიუჩნევია და ყველა ის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც კავკასიის ნივთიერი კულტურის გასათვალისწინებლად უკვე არსებობს, სასხვათაშორისო კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს... ამ გარემოების წყალობით კავკასიის არქეოლოგიურ შესწავლას სისტემატური გეგმიანი მუშაობის თვისების მაგიერ შემთხვევითი ხასიათი აქვს“. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით საქართველოში არ არსებობს დაწესებულება, რომელიც ობიექტთა მუდმივ,

მეთოდურ არქეოლოგიურ შესწავლაზე ზრუნავდეს და ჯერჯერობით არც ცალკეული მეცნიერი მოიპოვება, რომელიც მიზნად ისახავს არქეოლოგიური ფაქტებისა და ძეგლების სპეციალურ შესწავლას. ამიტომაც არის, რომ ივ. ჯავახიშვილი დიდი სიხარულით შეხვდა პროფ. გ. ნიორაძის უცხოეთიდან დაბრუნებას. მის დახასიათებაში აღნიშნულია, რომ დოქტორი გ. ნიორაძე სამეცნიერო მიზნით იყო წარგზავნილი გერმანიაში, სადაც გამოჩენილ მეცნიერებთან იძენდა ღრმა ცოდნას, ეუფლებოდა სამუზეუმო ტექნიკას და ბოლოს დაასკვნის, რომ გ. ნიორაძეს „ვითარცა მცოდნეს და სამუზეუმო ტექნიკაში განსწავლულს, ენერგიულ პიროვნებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია“.

პროფ. გ. ნიორაძე ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი ივ. ჯავახიშვილმა იგი უნივერსიტეტში მიიწვია პრეისტორიის ლექტორად. მალე პროფ. გ. ნიორაძე სათავეში უდგება ჩვენს უნივერსიტეტში ახალ ჩამოყალიბებულ არქეოლოგიის კათედრას.

რა თქმა უნდა, თვითონ ივ. ჯავახიშვილს თავისი შემოქმედების დასაწყისში არ შეეძლო უფრო მეტი დრო დაეთმო არქეოლოგიისათვის, მას უფრო დიდი საქმეები ჰქონდა გასასრულებელი, უპირველეს ყოვლისა, ქართული უნივერსიტეტის დაარსება. მან ისედაც ბევრ ისტორიულ დარგს დაუდო სათავე ჩვენში, მაგრამ ფიქრი და ზრუნვა ქართულ არქეოლოგიაზე მას არასოდეს განელებია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის დროს კი კიდევ უფრო გაუცხოველდა. 30-იანი წლების დასაწყისში, უნივერსიტეტის დატოვების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი მუზეუმის მთავარ კონსულტანტად ინიშნება. მისი ინიციატივით არსდება აქ ისტორიის განყოფილება, რომელსაც ერთხანს თვითონ ხელმძღვანელობდა. ამ განყოფილებაში თავს იყრის ფეოდალური ეპოქის არქეოლოგიური მასალები. იმ ხანად მუზეუმში დიდი მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა მუდმივი არქეოლოგიური გამოფენის მოსაწყობად. არსებობს ივანე ჯავახიშვილის ვრცელი მოხსენებითი ბარათი საქართველოს მუზეუმის გამოფენის შესახებ. იგი დაწვრილებით განიხილავს გამოფენის გეგმას და იძლევა ღრმად გააზრებულ, საფუძვლიან შენიშვნებს. დიდი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მუზეუმის ფონდებში დაცული მდიდარი კოლექციების გამოფენა, მათი ფართოდ გაცნობა უთუოდ დიდ სარგებლობას მოიტანსო. ივ. ჯავახიშვილის მოხსენებითმა ბარათმა დიდი სამსახური გაუწია გამოფენის მესვეურებს. ხოლო თვით გამოფენამ კიდევ უფრო მეტად გააღვიძა ინტერესი ქართული სიძველეებისადმი.

ამავე დროს ივანე ჯავახიშვილი, როგორც კომისიის ერთ-ერთი წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებს ნოქალაქევის, არქეოპოლისის არქეოლოგიური ექსპედიციის მოწყობაში. მაგრამ ექსპედიციამ მხოლოდ ერთი სეზონი იმუშავა, სამწუხაროდ, ნოქალაქევის გათხრები დიდი ხნით გადაიდო. უფრო ნაყოფიერი გამოდგა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებული წინასწარი სამუშაოები „შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის გამოფენის“ მოწყობასთან დაკავშირებით. ვრცელ საგაზეთო წერილში იგი აღნიშნავს, რომ „გამოფენამ უნდა მნახველს უჩვენოს, თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში XI-XIII ს., როგორი იყო მისი სახელმწიფოებრიობა, როგორი იყო მისი წყობილება“. ამისათვის კი მარტო წერილობით წყაროებში დაცული ცნობები საკმარისი არ არის, საჭიროა, აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, იმდროინდელი ნივთიერი კულტურის შესწავლაც. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა გამოფენისათვის ნივთიერი მასალების შეგროვებასა და მოპოვებას. სწორედ ამ მიზნით ეწყობა იმდროისათვის საკმაოდ დიდი მასშტაბის არქეოლოგიური ექსპედიცია,

რომლის მიზანი იყო დმანისის ნაქალაქარის შესწავლა. უშუალოდ გათხრების მეთაურობას ივ. ჯავახიშვილი თავის ნიჭიერ მოწაფეს, ლევან მუსხელიშვილს, ავალებს, რომელმაც ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დიდი მასწავლებლის იმედი. დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები მართლაც სანიმუშოა. მოპოვებულმა მასალებმა დაამშვენა საქართველოს „ოქროს ხანის“ ამსახველი ეს დიდებული გამოფენა. მნახველი გამოფენიდან იმ შთაბეჭდილებით გამოდიოდა, რომ ამ ეპოქაში მართლაც შეიძლებოდა დაბადებულიყო დიდი შოთა რუსთაველი. ვისაც ეს გამოფენა ახსოვს, ახლაც დიდი სიამოვნებით იგონებს გამოფენიდან მიღებულ წარუშლელ შთაბეჭდილებას. უნდა აღინიშნოს, რომ გათხრითი სამუშაოები ამ დროს მარტო დმანისით არ შემოიფარგლებოდა. ამავე დროს არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებდა ბოლნისში, გეგუთში, სხალტბაში, სადაც თამარ მეფის დროინდელი წყალსადენი აღმოჩნდა.

ივ. ჯავახიშვილმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს უძველესი ისტორიის მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღსადგენად საჭირო იყო კიდევ უფრო უხნესი ძეგლების შესწავლა. მართალია, საქართველოს მუზეუმის საცავებში ინახებოდა უფრო ადრეული ხანის მასალები და მათი ნაწილი გამოფენილიც იყო, მაგრამ ამ კოლექციის ექსპონატთა უმრავლესობა ან შემთხვევით იყო ნაპოვნი, ან კიდევ – მეცნიერულად დაბალ დონეზე წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებული. ამიტომაც იყო, რომ როდესაც ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით საკითხი დადგა ფართო არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისა, ივ. ჯავახიშვილი დიდი მონდომებით მოეკიდა ამ საკითხს. მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას სათავეში ჩასდგომოდა ბ. კუფტინი. ივ. ჯავახიშვილს არც ამჯერად უმტყუნა ალღომ და წალკის პლატოზე წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩნდა ბრწყინვალე მასალები, რომლებმაც სრულიად ახლებურად გააშუქეს საქართველოს და საერთოდ კავკასიის უძველესი კულტურა. ბ. კუფტინმა აქ აღმოაჩინა სხვადასხვა პერიოდის ძეგლები ქვის ხანიდან მოკიდებული, ვიდრე ადრე შუა საუკუნეებამდე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ აქ გამოვლენილი მანამდე სრულიად უცნობი თრიალეთისა და მტკვარ-არაქსის კულტურები. გაირკვა, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულების საქართველოში და ამიერკავკასიაში არსებობდა მაღალგანვითარებული კულტურა, რომელიც ახლო კავშირში იყო წინააზიურ სამყაროსთან. თრიალეთის მასალების საფუძველზე, პირველად კავკასიის არქეოლოგიაში, შესაძლებელი გახდა პერიოდიზაციის შექმნა. ამ პერიოდიზაციას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ივ. ჯავახიშვილი აღფრთოვანებით შეხვდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დიდ აღმოჩენებს. მართლაც გასაოცრად შთამბეჭდავი იყო თრიალეთის „დიდ ბრწყინვალე ყორღანში“ ნაპოვნი შუაბრინჯაოს ხანის ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთი ნივთები. შემთხვევითი არ იყო, რომ აკად. ბ. კუფტინმა 1941 წელს გამოცემული წიგნი „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“ ივ. ჯავახიშვილის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა. მისმა ავტორმა, პირველმა საბჭოთა არქეოლოგთა შორის, დაიმსახურა სახელმწიფო პრემია.

ივ. ჯავახიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო აქტიურად ებმება არქეოლოგიურ სამუშაოებში. იგი სათავეში უდგება მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას. საქართველოს ძველი დედაქალაქის ფარგლებში და მის მიმდებარე მხარეებში ფართო არქეოლოგიური სამუშაოები გაიშალა; გაგრძელდა სამუშაოები სამთავისის სამაროვანზე, სადაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა ქართულ არქე-

ოლოგიას. აქ XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო გათხრები ავსტრიელმა მეცნიერმა ფ. ბაიერნმა. მაგრამ ბაიერნისეულმა დასკვნებმა ბევრი ვერაფერი შემატა მეცნიერებას. მის დაუოკებელ ფანტაზიაზე აგებულმა დებულებებმა თავის დროზე ქართული საზოგადოებრიობა და თვით ილია ჭავჭავაძის სავსებით სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია. მცხეთის ექსპედიციის მუშაობის პირველსავე წელს სრულიად ახლებურად გაშუქდა ისტორია ამ მეტად საინტერესო სამაროვნისა, სადაც ორი ათას წელზე მეტი ხნის მანძილზე კრძალავდნენ მიცვალებულებს. ივ. ჯავახიშვილი ზრუნავს არა მარტო ექსპედიციის თანხებზე, არამედ არქეოლოგების კვებასა და ბინაზე. იგი პრესაში აშუქებს ექსპედიციის მუშაობის შედეგებს, გამოდის მოხსენებებით და სხვ...

განსაკუთრებით აღსანიშნავია არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე 1940 წელს, ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე, აღმოჩენილი ორი სამარხი. სამარხების გათხრებში იგი უშუალოდ იღებდა მონაწილეობას. ივანე ჯავახიშვილი აღაფრთოვანა ერთ-ერთ სამარხში, რომელიც, როგორც შემდეგში გაირკვა, ასპარუკ პიტიახშის საფლავი იყო, აღმოჩენილმა ინვენტარმა. სამარხში ნაპოვნ ოქროს ბეჭდის თვალზე გამოსახულ მისი პატრონის პორტრეტს ირგვლივაც ბერძნული წარწერა ევლებოდა. ბეჭედი ასპარუკ პიტიახშს ეკუთვნოდა. პიტიახშის მოხსენიება II საუკუნის ბეჭედზე ერთგვარ ეჭვს აღძრავდა, რადგან მანამდე ითვლებოდა, რომ პიტიახშთა ინსტიტუტი ჩვენში V საუკუნიდან ყალიბდებოდა. ივ. ჯავახიშვილმა ასეთი სიტყვებით გაფანტა პირველი ეჭვები: „ვინ იცის, რამდენი რამ გვექნება ამ აღმოჩენის შემდგომ შესაცვლელი და ხელახლად დასაწერი ჩვენს ისტორიაში“. მაგრამ, სამწუხაროდ, მას თვითონ აღარაფრის შეცვლა დასცალდა: 1940 წლის 18 ნოემბერს, ამ აღმოჩენიდან ერთი თვის თავზე, შეწყდა ამ დიდი პიროვნების სიცოცხლე.

სიმონ ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია

აკად. სიმონ ჯანაშიამ წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართველოლოგიის არაერთ დარგს. სწორედ ჰუმანიტარული დარგების ღრმა ცოდნამ მიიყვანა იგი ისეთი რთული საკითხის კვლევამდე, როგორიც ეთნოგენეზია – ქართველი ერის წარმომავლობის, მისი პირველსაცხოვრისის პრობლემა. ქართველი და საერთოდ კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზის საკითხები უპირატესად ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე შეისწავლებოდა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი დებულება კავკასიური ენების მონათესაობა, საერთო წარმომავლობაა, რომელსაც საფუძველი ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა. სიმონ ჯანაშია ქართველი ხალხის წარმომავლობას, მათ პირველსაცხოვრისის საკითხს სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე იკვლევდა. მის არაერთ ნაშრომში ეს პრობლემა სრულიად ახლებურადაა განხილული. ძირითადი არსი მისი ნააზრევისა ის იყო, რომ ქართველი ერი თავის წარმომავლობით წინა აზიის მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნოდა და მათი უშუალო წინაპრები ხეთები და მითანის ხალხები, თუბალ-თაბალი, იგივე სუბარები უნდა ყოფილიყვნენ.[1] ამ კონცეფციაში ქართველი ხალხის წინაპრები წარმოგვიდგებიან, როგორც წინა აზიის უძველესი მოსახლეობა, რომლებსაც ეკავათ საკმაოდ ფართო ტერიტორია კავკასიის ჩათვლით. აქ უკვე საუბარი არ არის კავკასიაში ხალხის სამხრეთიდან გადმონაცვლების შესახებ და აღნიშნულია, რომ მოსახლეობა ამ მხარეში უკვე ძველი ქვის ხანიდან ბინადრობდა. ამ კონცეფციამ თავის დროზე სამეცნიერო წრეებში დიდი პოპულარობა მოიპოვა.[2] ამ საკითხებს ს. ჯანაშია ძირითადად წერილობითი და ენობრივი მონაცემების საფუძველზე იხილავს და ნაკლებად აქვს გამოყენებული არქეოლოგიური ფაქტები. მართალია, არქეოლოგია ამ დროისათვის პირველ ნაბიჯებს დგამდა, იგი მაინც ცდილობს ზოგიერთი არქეოლოგიური კულტურა ქართველთა წინაპრებს დაუკავშიროს. იგი ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ბრინჯაოს კულტურა, რომელსაც წინათ ყობანურს ეძახდნენ, ნამდვილად კოლხეთის კულტურაა და ხომ არ არის ეს კულტურა თაბალების.[3] იგი კარგად გრძნობდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეთნიკური საკითხების კვლევისას არქეოლოგიურ არგუმენტებს.

ბატონ სიმონის ინტერესი არქეოლოგიისადმი ნათლად გამოჩნდა სამი ავტორის ცნობილ სასკოლო სახელმძღვანელოში, რომლის შექმნის მთავარი ინიციატორი იგი იყო. ამ სახელმძღვანელომ თავის დროზე უდიდესი როლი შეასრულა ახალგაზრდობის აღზრდაში და მათ სამშობლოსადმი სიყვარული ჩაუნერგა. ჩანს, ამ დროისათვის ს. ჯანაშია უკვე საკმაო ღრმად იყო ჩახედული არქეოლოგიაში. სხვანაირად შეუძლე-

---

1 ჯანაშია ს., უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე, შრომები II, თბილისი, 1952, გვ. 96.

2 ჩიტაია გ., აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, შრომები II, თბილისი, 2000, გვ. 88.

3 ჯანაშია ს., თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე I, თბილისი, 1937, გვ. 240.

ბელი იქნებოდა სახელმძღვანელოში იმის აღნიშვნა, რომ ძვ. წ. პირველ ათასწლეულის დასაწყისში საქართველოს მიწა-წყალზე კულტურის ორი წრე ჩამოყალიბდა – დასავლური და აღმოსავლური და რომ ქართლი გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლური და აღმოსავლური კულტურების შეხვედრის ადგილი უნდა ყოფილიყო.[1] ამ დასკვნამდე იგი იმ ხანად არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე მივიდა. მის მიერ გამოთქმული ეს აზრი შემდეგში სავსებით დადასტურდა.

ამ სახელმძღვანელოში ბატონი სიმონი აღნიშნავს, რომ ქართველები იმ ხალხებს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც უძველეს დროში წინა აზიის და სამხრეთ ევროპის მკვიდრი მოსახლეობა იყო, მაგრამ შემდეგში მათი მიწა-წყალი უცხო ტომების შემოსევის გამო უფრო და უფრო იზღუდება და ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყის ხანებიდან ცნობილნი არიან ხეთები და სუბარები, რომლებიც ქართველი ხალხის წინაპრები იყვნენ. ხეთები მცირე აზიაში მკვიდრდებიან, სუბარებს კი საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავათ მესოპოტამიიდან მოკიდებული, ვიდრე კავკასიამდე. ს. ჯანაშიას აზრით, ქართველთა წინაპრები წარმოგვიდგებიან როგორც წინა აზიის უძველესი მოსახლეობა, რომლებსაც ეკავათ საკმაოდ ფართო ტერიტორია კავკასიის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო საინტერესოდაა ილუსტრირებული და კარგადაა წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალა ქვის ხანიდან დაწყებული.

ბატონ სიმონს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა არქეოლოგიას ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მისი უძველესი ისტორიის შესწავლისათვის. იგი აღფრთოვანებული იყო თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებით. ცნობილია, თუ რა დიდი როლი მიუძღვის მას ამ ექსპედიციის ხელმძღვანელის, ბ. კუფტინის, ნაშრომის „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“ გამოქვეყნებაში, რომლის რედაქტორი იგი იყო. ამ ნაშრომში, არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ხაზგასმითაა აღნიშნული ქართული უძველესი კულტურის ავტოქტონობის საკითხი. აქ უთუოდ რედაქტორის ხელი იგრძნობა. არსებობს წერილი, რომელშიც ბ. კუფტინის მეუღლე, ცნობილი პიანისტი, კონსერვატორიის პროფესორი ვ. სტაშენკო-კუფტინა, მადლობას უხდის ბატონ სიმონს. წერილში საგანგებოდაა აღნიშნული ბატონ სიმონის დამსახურება, რომელიც მიუძღვის მას ბ. კუფტინის ნაშრომის გამოქვეყნებაში და შემდეგ კი სტალინური პრემიის მიღებაში.

1940 წელს, ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას სათავეში უდგება სიმონ ჯანაშია. მაგრამ სულ მალე იწყება მეორე მსოფლიო ომი. მიუხედავად საომარი ვითარებისა, 1943 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაახლა მუშაობა ჯერ არმაზის ხევში პიტიახშთა სამაროვანზე, შემდეგ კი ბაგინეთში და სამთავროს ველზე. ეს მხოლოდ სიმონ ჯანაშიას დიდი ავტორიტეტის შედეგი იყო. იგი ყოველნაირად ცდილობდა, ომიანობის მძიმე წლებში ექსპედიციის მონაწილეთა მდგომარეობა შეემსუბუქებინა და მისი წყალობით მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია კარგად მარაგდებოდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნების შემდეგ, რომლის პირველი ვიცე-პრეზიდენტი იგი იყო, აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა არქეოლოგიური კომისია, რომელსაც ბატონი სიმონი ხელმძღვანელობდა. მის კაბინეტში იმართებოდა სხდომები, სადაც არქეოლოგიის პრობლემების გარდა იხილებოდა ქვეყნის სხვა საჭირბოროტო საკითხებიც. ბატონი სიმონი არ იყო ვიწრო კაბინეტური მკვლევარი,

1 აკად. ივ. ჯავახიშვილი, პრობ. ნ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. თბილისი, 1943, გვ. 21.

გარე სამყაროს მოწყვეტილი. იგი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შუაგულშია და მისთვის უპირველესი სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვაა. სამშობლოს სიყვარულით იგი ზოგჯერ თავის რწმენასაც თმობდა, თუკი ეს მის სათაყვანებელ მამულს წაადგებოდა. თავის ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე დღენიადაგ იმის ფიქრში იყო, რომ მის ქვეყანას მსოფლიო ისტორიაში ის ადგილი დაეკავა, რასაც იგი კაცობრიობის წინაშე იმსახურებდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ბატონ სიმონის წმინდა ადამიანური თვისებები. ერთი შეხედვით იგი თითქოს ცივი და უკარება ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში რბილი და თბილი, სიკეთის მსურველი და ყოვლად უშიშარი იყო, როდესაც რომელიმე მოღვაწეს საფრთხე ემუქრებოდა. მარტო გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნის, გიორგი წერეთლის და ცნობილი არქეოლოგის, გოგი ლომთათიძის მაგალითის გახსენება რად ღირს, რომლებიც სიმონ ჯანაშიამ „ენკავედეს“ მარწუხებიდან იხსნა.

ბატონი სიმონი კარგად გრძნობდა, თუ რა შედეგის მოტანა შეეძლო არქეოლოგიურ ფაქტებს საქართველოს ისტორიის უძველესი ეპოქების აღდგენისათვის. იმ დროისათვის უკვე ცნობილი იყო თრიალეთის დიდი აღმოჩენები, არმაზისხევის პიტიახშთა ბრწყინვალე მონაპოვარი და სხვ. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ახალგაზრდობა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციის საველე სამუშაოებს არმაზისხევში, ბაგინეთზე და სამთავროს სამაროვანზე. ბატონი სიმონი ხომ თავადაც ახალგაზრდა იყო – ორმოც წელს ოდნავ გადაცილებული. სამწუხაროდ, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა მას მხოლოდ რამდენიმე წელი დასცალდა. ბატონ სიმონს ძალიან იზიდავდა საველე სამუშაოები. მცხეთაში ექსპედიციის მუშაობის დროს როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, იგი ველზე იყო. არმაზისხევის სამაროვანზე მუშაობის დროს ბატონი სიმონი უშუალოდ მონაწილეობდა საველე სამუშაოებში და ყურადღებით ადევნებდა თვალს სამარხების პრეპარაციას. მას დიდ სიამოვნებას გვრიდა „პიტიახშის“ ახალი გაუძარცვავი სამარხის აღმოჩენა და უშუალოდ მონაწილეობდა პრეპარაციის პროცესში. იგი ძალიან გაახარა ბაგინეთში, კლდეკართან აღმოჩენილმა გაუძარცვავმა აკლდამამ, რომელშიაც საკმაოდ მდიდარი სამარხეული ინვენტარი აღმოჩნდა. მიუხედავად იმის, რომ იგი შეუძლოდ იყო, უშუალოდ ხელმძღვანელობდა აკლდამის გახსნის პროცესს. ბატონი სიმონის დიდი მეცადინეობის შედეგად აკადემიას, კერძოდ კი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს გადაეცა კარსნის ობსერვატორიის შენობა, სადაც ბაგინეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა განთავსდა. ბატონი სიმონის ჯანმრთელობა უკვე საკმაოდ შერყეული იყო, იგი მაინც ხშირად ჩადიოდა ბაგინეთზე და სამთავროს სამაროვნაზე და თვალყურს ადევნებდა საველე სამუშაოებს.

ბატონი სიმონის ზრუნვა ექსპედიციის წევრების მიმართ არც ომის შემდგომ შენელებულა. მისი წყალობით 1946 წელს ექსპედიციის თითოეული წევრი და ზოგიერთი მოწინავე მცხეთელი მუშა დაჯილდოვდა მედლით - „За доблестный труд в Великой Отечественной Войне 1941-1945гг.“ სამწუხაროდ, ამ დიდი მამულიშვილის სიცოცხლე მეტად ხანმოკლე იყო. მას კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო თავის სამშობლოსთვის.

შალვა ამირანაშვილი და საქართველოს არქეოლოგია

1939 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გამოცხადდა მიღება ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. რამდენიმე მეგობარმა გადავწყვიტეთ ამ განხრით სწავლის გაგრძელება, თუმცა ისტორიის ბევრი არაფერი გაგვეგებოდა, რადგან სკოლაში ფაქტობრივად ეს საგანი არ გვისწავლია. მაგრამ, 1941 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და სწავლისათვის ვიღას ეცალა და ჩქაროსნულად დაგვამთავრებინეს უნივერსიტეტი. ბატონმა შალვამ ძალიან მოკლედ წაგვიკითხა ხელოვნების ზოგადი კურსი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე ასპირანტურაში არქეოლოგიის სპეციალობით. მაშინ უნივერსიტეტში არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნებათმცოდნეობის კათედრა იყო, რომელსაც პრ. გ. ნიორაძე ხელმძღვანელობდა. ბატონ შალვას კათედრის სხდომებზე ვხვდებოდი. 1944 წელს გამოქვეყნდა შალვა ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია“. ამ ნაშრომის პირველი ნაწილი წინაქრისტიანულ ხელოვნებას ეძღვნება, რომელიც ძირითადად არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზეა დაწერილი. ეს ფაქტობრივად პირველი ნაშრომი იყო, სადაც განზოგადებული იყო უძველესი პერიოდი ანტიკური ეპოქის ჩათვლით. ჩვენთვის, მაშინ ახალბედა არქეოლოგებისათვის, ეს ნამდვილ სამაგიდო წიგნად იქცა. ბატონი შალვა ფართოდ იხილავს ბ. კუფტინის მიერ თრიალეთში მოპოვებულ მასალას, განსაკუთრებით ოქრომჭედლობის ნაწარმს. საგანგებოდ ჩერდება იგი ცხოველთა გამოსახულებებზე და განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს „კავკასიურ“ სტილზე. ამასთან დაკავშირებით იგი ეხება მაიკოპის ცნობილ ყორღანში აღმოჩენილ ერთ-ერთ ვერცხლის თასს, რომელზედაც საკმაოდ რთული კომპოზიციაა მოცემული. მასზე უკანა პლანზე სამწყებად გამოსახულია მთები: ზოგის აზრით კავკასიონის ქედი თავისი ორი მთავარი მწვერვალით – იალბუზით და ყაზბეგით. ბატონი შალვას აზრით, კავკასიონის ქედი აქ ჩრდილო-დასავლეთიდან კი არ არის დანახული, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, არამედ სამხრეთი ხედია გადმოცემული. მისი აზრით, მაიკოპის თასზე კავკასიონის ქედის რეალური პანორამაა მოცემული. დიდ ადგილს უთმობს იგი თრიალეთის თასზე და სარწყულზე მოცემული გამოსახულებების ანალიზს, ოქროს სასმისს და საერთოდ საიველირო ნაწარმს. ეს ფაქტობრივად პირველი ცდა იყო ძვირფასი ლითონის ნაწარმის ხელოვნების თვალსაზრისით განხილვისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბატონი შალვა გვიანბრინჯაოს ხანის მასალას. იგი საგანგებოდ ჩერდება კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხზე, რომელიც მაშინ საკმაოდ აქტუალური პრობლემა იყო. მან ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ „კოლხურის“ ხმარება უფრო მართებულია. იგი ფართოდ იხილავს ამ დროის ნივთებზე – ცულებზე, სარტყელებზე, ბალთებზე და სხვ. მოცემულ გამოსახულებებს.

1943 წლამდე ბატონი შალვა ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი იყო. მისი დიდი მეცადინეობის შედეგად სასულიერო სემინარიის ყოფილი შენობა ხელოვნების მუზეუმს გადაეცა.

ბატონი შალვა მივლინებული იყო საფრანგეთში საქართველოდან გატანილი საგანძურის ჩამოსატანად, რომელსაც სასოებით იცავდა ექვთიმე თაყაიშვილი. ბატონი შალვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოტანილი საგანძურის გამოფენის მოწყობის ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

1951 წელს ბ-ნი შალვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სათავეში ჩაუდგა არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის კათედრას. იგი ძალიან დაინტერესებული იყო, რომ კათედრაზე უფრო ფართოდ გაშლილიყო არქეოლოგიური სამუშაოები, მაგრამ უნივერსიტეტს საამისოდ მეტად მცირე თანხის გამოყოფის საშუალება ჰქონდა. ბატონი შალვას ინიციატივით, რომელიც ამავე დროს ხელოვნების მუზეუმის დირექტორიც იყო, შეიქმნა უნივერსიტეტის და მუზეუმის ერთობლივი ექსპედიცია, რომელსაც იგი ხელს უმართავდა თანხით თუ სატრანსპორტო საშუალებებით. ბატონი შალვას დიდი სურვილი იყო, რომ თრიალეთში გაგვეგრძელებინა ბ. კუფტინის მიერ დაწყებული საქმე. იგი უშუალოდ მონაწილეობდა სადაზვერვო სამუშაოებში წალკისა და დმანისის რაიონებში. დმანისში ზურტაკეტის პლატოზე აღმოჩენილი იყო ყორღანული ველი, სადაც ექსპედიციამ რამდენიმე დიდი ზომის ყორღანული სამარხი შეისწავლა. წაკლაში კი ექსპედიციამ შუაბრინჯაოს ხანის რამდენიმე ყორღანი შეისწავლა.

ბატონი შალვას ინიციატივით თბილისში აფხაზეთიდან ჩამოიტანეს ქვის მოზრდილი ფილებისაგან ნაგები მიწისზედა სამარხი – დოლმენი. ამ მიზნით ხელოვნების მუზეუმის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივმა ექსპედიციამ სოფ. ეშერაში რამდენიმე დოლმენი შეისწავლა. ერთ-ერთი კარგად დაცული დოლმენი ექსპედიციამ თბილისში ჩამოიტანა, რომელიც ჯერ ხელოვნების მუზეუმში იყო დაცული, დღეს კი თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმშია გამოფენილი.

ბატონი შალვას დროს ხელოვნების მუზეუმში დაარსდა არქეოლოგიური განყოფილება. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები წარმატებით მუშაობს სხვადასხვა რეგიონებში და არაერთი საყურადღებო ძეგლი შეისწავლა. გასაკუთრებით აღსანიშნავია საირხის ნაქალაქარზე ჩატარებული სამუშაო, სადაც ბრწყინვალე სამარხები აღმოჩნდა.

ოთარ ლორთქიფანიძე და საქართველოს არქეოლოგია

აკად. ოთარ ლორთქიფანიძემ წარუშლელი კვალი დაამჩნია საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის საქმეს. მან თავისი თავდადებული მოღვაწეობით შორს გაიტანა და საერთაშორისო აღიარება მოუტანა ქართველი ერის წარსულს.

ოთარი სტუდენტობის წლებიდან ანტიკური სამყაროს ისტორიით იყო გატაცებული. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ამ დარგში აპირებდა სწავლის გაგრძელებას. მაგრამ რუსეთში ჩასულს, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ბედმა არ გაუმართლა, უფრო სწორად, ბედმა გაუღიმა და ისტორიის ნაცვლად კლასიკურ არქეოლოგიაში იწყებს მუშაობას. ოთარმა არქეოლოგიის კარგი სკოლა გაიარა და, სამშობლოში დაბრუნებული, სხვადასხვა ექსპედიციების მუშაობაში მონაწილეობდა. მისი წარმატებული მოღვაწეობა, როგორც მკვლევრისა, ის არის, რომ იგი ერთნაირად ძლიერი იყო როგორც ანტიკური ხანის ისტორიაში, ისე ამავე დროის არქეოლოგიაში. ის პირველი იყო ქართველ არქეოლოგთა შორის, რომელიც კლასიკურ არქეოლოგიაში ანტიკური ხანის ისტორიაში უკვე ღრმად განსწავლული მივიდა. მისი მოღვაწეობის პირველი პერიოდი ძირითადად ანტიკურობით შემოიფარგლება და იგი არაერთ საყურადღებო ნაშრომს აქვეყნებს ამ ეპოქის ისტორიასა და არქეოლოგიაში.

და მაინც, მის მოღვაწეობაში მთავარი ვანი იყო, რომლის შესწავლას მან მრავალი წელი შეალია და ბოლომდე არ შეუწყვეტია ველად მუშაობა, რაც მას დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. არც ეს დიდებული ძეგლი რჩებოდა ვალში და სწორედ მის ხელში წარმოჩინდა ბრწყინვალებით ვანის ნაქალაქარი. ვანის ექსპედიციაში აღიზარდა არაერთი თაობა ნიჭიერი მკვლევრებისა, რომლებიც ღირსეულად მხარს უმშვენებდნენ თავის ხელმძღვანელს. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ვანი გახდა ის ადგილი, სადაც წლების მანძილზე იკრიბებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეებიდან ანტიკური სამყაროთი დაინტერესებული არაერთი ცნობილი მეცნიერი.

ოთარ ლორთქიფანიძის ინტერესების სფერო თანდათანობით სულ უფრო ფართოვდებოდა, უფრო სიღრმეში გადადის და იგი მეტ ყურადღებას აქცევს წინარეანტიკურ პერიოდებს, პირველყოფილ ეპოქას. რა თქმა უნდა, თავდაპირველად მის ინტერესის სფეროში ექცევა კულტურა, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა კოლხურ ანტიკურობას. ვერ ვიტყოდი, რომ მანამდე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურა სათანადო ყურადღების მიღმა ყოფილიყო დარჩენილი. ყობანის კულტურასთან მისი გარკვეული მსგავსების გამო იგი თავიდანვე მკვლევართა ინტერესის სფეროში შემოდის. მაგრამ, ოთარის დაინტერესება კოლხური კულტურის მიმართ სულ სხვა შინაარსს იძენს და მან მისი ახლებური გააზრება შემოგვთავაზა. თავის ნაშრომში „ძველი კოლხეთის კულტურა“ იგი მართალია შედარებით მცირე ადგილს უთმობს პირველყოფილ ეპოქას, მაგრამ უკვე აქ, როგორც თვითონ უწოდებს, „ბრინჯაოს ცულის კულტურაზე“ უფრო ვრცლად ჩერდება.

კოლხურ კულტურას ოთარი უფრო დაწვრილებით ეხება თავის შედარებით მცირე მოცულობის, მაგრამ უაღრესად შინაარსიან ნაშრომში, რომელიც არგონავტიკის

პრობლემას შეეხება. მისი აზრით, სწორედ ესაა არგონავტთა ლაშქრობის დროინდელი კულტურა. იგი იძლევა შედარებით მოკლე, მაგრამ საკმაოდ საფუძვლიან დახასიათებას. საგანგებოდ შეეხება ამ კულტურის თავდაპირველი სამშობლოს საკითხს. სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ის აზრი იყო გავრცელებული, რომ კოლხური კულტურის თავდაპირველი ადგილსამყოფელი, მისი ჩამოყალიბების რეგიონი სამხრეთ კოლხეთი, ჭოროხის აუზი უნდა ყოფილიყო. ოთარ ლორთქიფანიძე სრულიად ახლებურად უდგება ამ საკითხს და ვარაუდობს, რომ კოლხური კულტურის წარმოქმნის მხარე მთაგორიანი ადგილი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ კოლხეთის ბარი. ამ დებულების სასარგებლოდ მას არაერთი საბუთი მოაქვს. კოლხეთის დაბლობი ამ დროს უკვე მჭიდროდაა დასახლებული და მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევს. ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს იარაღი უპირატესად მეურნეობის ამ დარგთანაა დაკავშირებული. მიწათმოქმედების დაწინაურებაში, ოთარის აზრით, უდიდესი როლი სწორედ რიონს უნდა შეესრულებინა. იგი საგანგებოდ ჩერდება რიონის დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ მცენარეთა შესათვისებელი ელემენტებით რიონი გაცილებით მდიდარია, ვიდრე თუნდაც ნილოსი. აქ სხვა, უაღრესად საყურადღებო საკითხებიცაა წამოჭრილი.

საგულისხმოა, რომ ოთარმა საგანგებო ყურადღება მიაქცია კოლხურ კულტურაში ხმარებიდან გამოსულ ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარ განძებს. არსად, ყოველ შემთხვევაში კავკასიის სინამდვილეში, განძები ასე უხვად წარმოდგენილი არ არის, როგორც კოლხურ კულტურაში. ამ განძების თაობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგს ეს განძები უბრალოდ „მდნობელთა განძებად“ მიაჩნია, ზოგი მათ სიმდიდრის დაგროვებას უკავშირებს. ადრე ამ უკანასკნელ შეხედულებას ოთარიც იზიარებდა და ეს განძები რეალურად არსებული ქონებრივი დიფერენციაციის მოწმეებად მიაჩნდა. მაგრამ შემდეგში იგი კოლხურ განძებს საგანგებო ნაშრომს უძღვნის, რომელშიაც მათ სრულიად ახლებურ, ორიგინალურ დახასიათებას იძლევა. ოთარი ვარაუდობს, რომ ეს განძები ძირითადად საკრალური დანიშნულებისაა და ღვთაებისადმი იყო შეწირული. იგი მათ სხვა მნიშვნელობასაც მიაწერს და აღნიშნავს, რომ ეს განძები ეთნიკური ნიშნის მატარებლებიც შეიძლება ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ ოთარს ყურადღების გარეშე არ რჩება კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხიც. იგი არაერთგზის სინანულით აღნიშნავდა, რომ ჩვენში ამ პრობლემას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა. რუსი კოლეგების მიერ ტენდენციურად გაშუქებულ აზრს სათანადო პასუხი არ გაეცა. თვითონ კი განძებთან დაკავშირებულ ნაშრომში, მართალია, მოკლედ, მაგრამ მაინც სცადა ამ საკითხზე პასუხის გაცემა.

ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომებში სხვაც ბევრი საგულისხმოა აღნიშნული საქართველოს პირველყოფილი ეპოქის შესახებ. მაგრამ განსაკუთრებით უნდა დასახელდეს მისი კაპიტალური მონოგრაფიები, რომლებიც გერმანულ, რუსულ და ბოლოს ქართულ ენებზე რომ გამოქვეყნდა. ამ ნაშრომებში იგი ადგილს სწორედ საქართველოს პირველყოფილ ეპოქას უთმობს. ასე სრულად ჯერ არავის განუხილავს ქართული უძველესი კულტურის ისტორია ადამიანის პირველი გამოჩენის დროიდან, ვიდრე გვიანანტიკური ხანის ჩათვლით.

ნაშრომმა „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეები“, რომლის გამოქვეყნებას ასე მოუთმენლად ელოდა, სამწუხაროდ, მზის სინათლე უკვე ოთარის გარეშე

იხილა. ეს ბრწყინვალე მონოგრაფია არ არის წმინდა არქეოლოგიური ხასიათის გამოკვლევა, იგი უფრო ფართოა – ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომია, სადაც კარგად გამოჩნდა ოთარის შესაძლებლობა, როგორც ისტორიკოსისა და არქეოლოგის. აქ მთელი სისრულითაა წარმოჩენილი კულტურის განვითარების ის უგრძელესი და ხანგრძლივი გზა, რომელიც ქართველმა ერმა განვლო დასაბამიდან, ვიდრე წერილობით ისტორიის დადგომამდე და რომელმაც ქართულ ცივილიზაციას ჩაუყარა საფუძველი. ავტორი ფართოდ ეხება ქართველთა წარმომავლობის პრობლემას, უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროების ანალიზს, ისტორიოგრაფიის საკითხებს და სხვ. იგი თანაბარი სიძლიერით განიხილავს პირველყოფილი ხანის ყველა ეპოქას. ეცნობი და გაოცებს მისი სიღრმისეული ცოდნა თითქმის ყველა პერიოდისა. მას ზოგჯერ მცირეც კი არ რჩება შეუნიშნავი. იგი კარგად იცნობს და ფართოდ იყენებს სამეცნიერო ლიტერატურას. ეს უთუოდ მეტად თვალსაჩინო ნაშრომი დიდხანს დარჩება სამაგიდო წიგნად უძველესი ქართული კულტურით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის და არა მარტო მათთვის, არამედ ყველასთვისაც, ვისაც თავისი ერის უმდიდრესი წარსულის გაცნობის სურვილი ექნება.

გიორგი ნიორაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

დიდია გიორგი ნიორაძის დამსახურება ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე. მან საფუძველი ჩაუყარა და დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართულ არქეოლოგიას.[1]

1918 წელს, როდესაც დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი ნიორაძე მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების მეორე კურსის სტუდენტი იყო ანთროპოლოგიის სპეციალობით. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას დიდი სიხარულით შეხვდა მოსკოვში მყოფი ქართველი სტუდენტობა და მათ შორის გიორგი ნიორაძე, რომელიც იმ დროს მოსკოვში არსებული ქართული სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. ივანე ჯავახიშვილის სახ. კაბინეტში ინახება გიორგი ნიორაძის სახელით დაწერილი ბარათი, რომელიც ქართველთა სამეცნიერო საზოგადოებას გამოუგზავნია უნივერსიტეტის მესვეურთათვის, საიდანაც ირკვევა, თუ როგორ ზრუნავდა საზოგადოება ახალდაარსებული უნივერსიტეტის კეთილდღეობისათვის, თუ როგორ ამარაგებდა შეძლებისდაგვარად მას საჭირო ლიტერატურით. აი ეს ბარათიც.[2]

ქართული სამეცნიერო საზოგადოება მოსკოვში

ივლისი 7 1918 წ.

ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს

ვაშა თქვენს მხნეობას, ვაშა თქვენს თავგანწირულს შრომას, თქვენს ენერგიას!

დიდება თქვენ, დაუღალავნო მუშაკნო, რომლებმაც იტვირთეთ ჩვენი ერის განათლების დროშის პატრონობა და ჩირაღდნით ხელში წინ მიუძღვით მშობელს ერს და შუქს ფენთ ბნელეთით მოცულს წყვდიადს.

დღეიდან გამოღვიძებული ქართველი ერი უფრო მეტის ენერგიით, უფრო მეტის მხნეობით და მუყაითობით დაეწაფება ჭეშმარიტი მეცნიერების უშრეტ წყაროს და აღჭურვილი სწავლა-განათლებით მოუმზადებს თავის ერს მტკიცე ნიადაგს.

... ჯერ-ჯერობით საზოგადოებამ შეიძინა უნივერსიტეტისათვის რამოდენიმე სამეცნიერო ჟურნალები და წიგნები გერმანულის, ინგლისურის, ფრანგულისა და რუსულის ენაზე, რომლების სიასაც ამ ბარათთან ერთად გიგზავნით.

საზოგადოებას იმედი აქვს, რომ შემდეგში უფრო მეტს წიგნებს შეიძენს, მაგრამ რადგანაც მან არ იცის, თუ რომელ მეცნიერების დარგში და რა წიგნები უფრო

---

* გ. ნიორაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1989.

1 ო. ჯაფარიძე, გამოჩენილი მეცნიერი, არქეოლოგი, თსუ 50 წლისაა, გაზ. „ლენინელი" (ზესტაფონი), 1968 წ. 22 ოქტ. გვ.2.

2 იბეჭდება შემოკლებით (ო. ჯ.)

ესაჭიროება დღეს უნივერსიტეტს, ამიტომ მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ, კეთილ ინებოთ და გვაცნობოთ სია იმ წიგნებისა, რომლების შეძენა უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენს დღეს ჩვენი უნივერსიტეტისათვის. თქვენგან გამოგზავნილი სიის მიხედვით საზოგადოება ეცდება, რაც შეიძლება მეტი წიგნები შეიძინოს და როგორც კი მოახერხებს დაუყოვნებლივ გამოგზავნის სამშობლოში.

ქართული სამეცნიერო საზოგადოების
თავმჯდომარე – გ. ღამბარაშვილი
მდივანი – გ. ნიორაძე

1922 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გ. ნიორაძე იყო დატოვებული ანთროპოლოგიის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად და მიეცა მივლინება საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად.

„როდესაც მე მოსკოვის უნივერსიტეტმა სწავლის გაღრმავების მიზნით მომცა მივლინება, მე უპირველეს ყოვლისა თბილისის უნივერსიტეტს მოვაშურე, – წერდა გ. ნიორაძე თავის ბიოგრაფიაში,[1] და აქედან 1922 წლის 20 ივლისს თბილისის უნივერსიტეტის სახსრებით გავემგზავრე გერმანიაში, რათა იქ ჩემი ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური ცოდნა კიდევ უფრო გამეღრმავებინა“.[2]

1922 წელს გ. ნიორაძე უკვე თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკია. ამ წელს საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებული იყო 21 კაცი, რომელთა შორის ერთ-ერთი გიორგი ნიორაძე იყო.[3]

ჩვენს ხელთაა ამონაწერი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1922 წ. 13 ივლისის გამგეობის სხდომის ოქმიდან № 25, სადაც ვკითხულობთ: „განიხილეს პროფესორთა საბჭოს დადგენილებანი 30 ივნისიდან, დაადგინეს ცნობად და სახელმძღვანელოდ დატოვებულ იქმნას გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრასთან გიორგი ნიორაძე და აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მისთვის ევროპაში გასამგზავრებლად საჭირო თანხის გამოღების შესახებ“.

გერმანიაში გამგზავრებისას უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი გიორგი ნიორაძეს აძლევს მოწმობას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო უცხოეთში გაგზავნილ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლისათვის გერმანიაში მისი სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში.[4]

20 Iuli 1922 № 1673

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Bescheinigung

Inhaber dieses, Herr Georg Nioradze, reist im Auftrag der Tifliser Staatuniversität nach Deutschland, um sich dort für den Lehrstuhl der Anthropologie vorzubereiten. Wir bitten

---

1 Georg Nioradze (aus Georgien). Lebeslauf, der Schamanismus bei den sibirischen Völkern, Auszug aus der Inaugural-Dissertation Verfaβt und zur Erlangung der Doktorwürde der Philosophischen Fakultat der Hamburgischen Universität, Hamburg, 1924, s. 8.

2 ასლი ინახება გ. ნიორაძის პირად არქივში.

3 თბილისის უნივერსიტეტი, 1918-1968, თბ., 1968, გვ. 63.

4 მოწმობის ასლი ინახება გ. ნიორაძის პირად არქივში.

deshalb höflichst die Herren Rektoren und Professoren der Universitäten, sowie die Vorsteher der anderen wissenschaftlichen Anstalten, Herrn Nioradze in seiner Arbeit nach Möglichkeit Hilfe zu leisten

Rektor, prof., Dr. I. Dschawachischwili.[1]

ამრიგად, გ. ნიორაძე თბილისის უნივერსიტეტს უკავშირდება მისი დაარსების პირველივე წლებიდან, ხოლო გერმანიიდან დაბრუნების (1925 წ.) შემდეგ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იგი უნივერსიტეტის ცხოვრებით ცხოვრობდა და მის წინსვლას ემსახურებოდა.

უცხოეთიდან დაბრუნებულ გიორგი ნიორაძეს ივანე ჯავახიშვილი ასეთ რეკომენდაციას აძლევს: „... დოქტორი გ. ნიორაძეს, რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და ჯერ პროფ. დ. ანუჩინთან მუშაობდა ეთნოლოგიაში, ხოლო შემდეგ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო მიზნით გერმანიაში იყო წარვლენილი... ვითარცა მცოდნე პირს და სამუზეუმო ტეხნიკაში განსწავლულს, ენერგიულ პიროვნებას მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან.

ივ. ჯავახიშვილის ეს სიტყვები ბრწყინვალედ გამართლდა. პროფესორმა გ. ნიორაძემ მართლა დიდი სარგებლობა მოუტანა ქართულ მეცნიერებას. მას ნამდვილ მეცნიერულ დონეზე აჰყავს ჩვენში ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგი – არქეოლოგია. გიორგი ნიორაძემ პირველმა ქართულ უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია არქეოლოგიაში. გიორგი ნიორაძე პირველი ქართველი პროფესორია არქეოლოგიაში და არქეოლოგიის განვითარება საქართველოში მის სახელთანაა დაკავშირებული.[2]

1926 წელს ივ. ჯავახიშვილის წინადადებით გ. ნიორაძეს იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრეისტორიის ლექტორად.

„... ნება მიეცეს გიორგი ნიორაძეს წაიკითხოს პრეისტორიის კურსი, როგორც არასავალდებულო საბუნებისმეტყველო დარგის გეოგრაფიულ ქვედარგზე“ - ესაა ამონაწერი პედაგოგიური ფაკულტეტის 1926 წლის 15 დეკემბრის სხდომის ოქმიდან № 9. არსებობს აღნიშნული თარიღით დათარიღებული მეორე დოკუმენტიც, სადაც წერია: „გ. ნიორაძე, 1926 წ. 15 დეკემბერს დაინიშნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეისტორიის ლექტორად“. იხ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომის ოქმი № 49“.[3]

იმდროინდელი წესის თანახმად ყოველ ახალბედა ლექტორს ფაკულტეტზე უნდა წაეკითხა ორი სანიმუშო ლექცია. ერთი ლექცია უნდა შეერჩია ფაკულტეტს, მეორეს კი თვით ლექტორი ირჩევდა.

ჩვენს ხელთაა ამონაწერი პედაგოგიური ფაკულტეტის 1927 წელს 27 მაისის სხდომის ოქმიდან №4: „წინადადება მიეცეს გ. ნიორაძეს წაიკითხოს სანიმუშო ლექ-

---

1 მოწმობის მფლობელი, ბატონი გიორგი ნიორაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავალებით მიემგზავრება გერმანიაში, რათა იქ ანთროპოლოგიის კათედრაზე მოემზადოს. ამის გამო, ჩვენ მოკრძალებით ვთხოვთ უნივერსიტეტების ბატონ რექტორებს და პროფესორებს, ისევე როგორც სხვა სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელთ, ბატონ ნიორაძეს თავის მუშაობაში შეძლებისდაგვარად აღმოუჩინონ დახმარება.

რექტორი, პროფ. დოქტ. ი. ჯავახიშვილი

2 ო. ჯაფარიძე, გამოჩენილი მეცნიერი, არქეოლოგი, თსუ 50 წლისაა, გაზ. ლენინელი (ზესტაფონი), 1968, 22 ოქტ. გვ. 2.

3 ორივე დოკუმენტის ასლი ინახება გ. ნიორაძის პირად არქივში.

ცია მის მიერ არჩეულ თემაზე ფაკულტეტის სხდომაზედ“.[1] გ. ნიორაძემ თავისი ლექცია ეოლითების საკითხს მიუძღვნა, რომელიც ფაკულტეტზე დადებითად მიუღიათ. აი, კიდევ ერთი ამონაწერი პედაგოგიური ფაკულტეტის 1927 წელს 28 ივნისის სხდომის ოქმიდან № 5: „დაადგინეს გ. ნიორაძის სანიმუშო ლექცია მის მიერ არჩეულ თემაზე ცნობილ იქმნეს დამაკმაყოფილებლად“.[2]

ამავე წელს უნივერსიტეტის საგნობრივმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფესორები – ალ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, დოცენტი გ. ჯავახიშვილი, კ. სულაქველიძე და ს. ყაუხჩიშვილი, დაადგინა: „გ. ნიორაძის მიერ წარმოებული მუშაობა გერმანიაში და წარმოდგენილი შრომები:“Der Schamanismus bei den sibirischen Völkern“,[3] „Die Berg-Ossen und ihr Land“[4] „კარსნისხევის სასაფლაო“ საკმარისად იქნეს ცნობილი იმისათვის, რომ გ. ნიორაძე განთავისუფლებულ იქნეს სადოქტორო გამოცდებისაგან და იგი ცნობილ იქნას დოქტორანტად ეთნოლოგიისა“.[5]

1930 წელს გ. ნიორაძემ მიიღო დოცენტის წოდება, ხოლო 1933 წლიდან იგი უკვე უნივერსიტეტის პროფესორია.

ისტორიის სხვადასხვა დარგებში, კერძოდ კი საქართველოს ისტორიაში კვლევაძიების გაღრმავებამ აქტუალურ პრობლემად დასვა ისტორიის დამხმარე დისციპლინების, ისეთი ქართველოლოგიური დარგების შექმნა და ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს შეუწყობდა ქართველი ხალხის წარსულის ყოველმხრივი შესწავლის საქმეს. უნივერსიტეტი ამ შემთხვევაშიც ისტორიული მეცნიერების არაერთი ახალი დარგის ფუძემდებლად იქცა. კერძოდ, ქართული მეცნიერული არქეოლოგიის შექმნაც ძირითადად უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული.[6] ჯერ კიდევ 1918 წელს ქართული არქეოლოგიის კურსის კითხვა საკმაოდ გაფართოებული გეგმით (სიძველეთმცოდნეობა) დაიწყო ექვთიმე თაყაიშვილმა, მაგრამ შემდეგ ეს საქმიანობა შეჩერდა. 1925 წლიდან კი, როცა ივ. ჯავახიშვილის წინადადებით მოწვეულ იქნა გიორგი ნიორაძე, რომელსაც რუსეთსა და საზღვარგარეთ არქეოლოგიური მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, არქეოლოგიის სწავლება და არქეოლოგიური მეცნიერების საფუძვლების შემუშავება კვლავ განახლდა.[7]

1934 წელს გ. ნიორაძე სათავეში უდგება ისტორიის ფაკულტეტზე დაარსებულ არქეოლოგიის კათედრას, რომელსაც თავდაპირველად ეწოდებოდა „მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრა“. კათედრა აერთიანებდა სამ დარგს: არქეოლოგიას, ეთნოგრაფიასა და ხელოვნებათმცოდნეობას. მაშინ კათედრაზე, გ. ნიორაძესთან ერთად, მუშაობდნენ შ. ამირანაშვილი, გ. ჩიტაია და სტუდენტი ნ. კვეზერელი-კოპაძე. გ. ნიორაძე „წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიას“ კითხულობდა, შ. ამირანაშვილი – „ქართული ხელოვნების ისტორიას“, ხოლო ზოგად ეთნოგრაფიას – გ. ჩიტაია. 1935/36 სასწავლო წლის დასაწყისიდან კათედრას შეეცვალა სახელი (კათედრას გამოეყო ხელოვნებათმცოდნეობა) და ეწოდა „წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრა“. კათედრის შემადგენლობაში მაშინ ირიცხებოდნენ გ. ნიორაძე, როგორც კათედრის გამგე, დოც. გ. ჩიტაია და სტუდენტი ა. აფაქიძე, რომელიც შემ-

1 გ. ნიორაძის პირადი არქივიდან.
2 იქვე.
3 „შამანიზმი ციმბირის ხალხებში“.
4 „მთიელი ოსები და მათი ქვეყანა“.
5 ასლი ინახება გ. ნიორაძის პირად არქივში.
6 თბილისის უნივერსიტეტი, 1918-1968 წ., თბ., 1968, გვ. 382.
7 იქვე.

დეგში ამ კათედრის პირველი ასპირანტი გახდა. გ. ნიორაძე ლექციებს კითხულობდა შემდეგ დისციპლინებში: „წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორია“ და „გათხრები საბერძნეთში“.

და აი, 1936 წელს კათედრა გაუქმების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. გ. ნიორაძე ენერგიასა და ძალ-ღონეს არ იშურებს კათედრის შესანარჩუნებლად და მის გასაძლიერებლად. უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, ორაგველიძის, სახელზე დაწერილ ბარათში[1] იგი იტყობინებოდა:

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

ტფილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მე მოწვეული ვიყავი 1936/37 სასწავლო წლის დასაწყისიდან წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრის გამგედ (იხ. ტფ. ს. უნ. მოწერილობა № 27, 7/VIII-36 წ.) ... კათედრა თავისი ნაყოფიერი მუშაობით ისტორიის ფაკულტეტის არც ერთი კათედრის მუშაობას არ ჩამოუვარდებოდა... მიმდინარე სასწავლო წლისათვის კათედრას შერჩეული ყავდა კანდიდატი საასპირანტოდ და ფიქრობდა მუშაობის გაღრმავებას, მაგრამ როგორც გამოირკვა სასწავლო ნაწილის გამგესთან და თქვენთან პირად საუბარში, წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრა დაუხურავთ.

ეს კი მიმაჩნია არამიზანშეწონილად.

წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრა კი არ უნდა დაგეხურათ, არამედ ეს ახალგაზრდა კათედრა უნდა გაგემაგრებინათ, ხელი შეგეწყოთ და მზრუნველობა გამოგეჩინათ. რატომ? წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორია ეს ისეთი მეცნიერული დისციპლინაა, რომელიც **აუცილებელია** (ხაზი – გ. ნ.) არა მარტო ისტორიკოსებისათვის, არამედ თითოეული მეცნიერი მუშაკისათვის. ეს მეცნიერული დისციპლინა აშუქებს **კაცობრიობის ისტორიის** (ხაზი – გ. ნ.) ერთს უმნიშვნელოვანეს ნაწილს, სახელდობრ წინაგვაროვნულ და გვაროვნულ კომუნას, ანუ წინაკლასობრივ საზოგადოებას, რომლის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიის დასაწყისია. განა შეიძლება ასეთ მეცნიერულ დისციპლინას, რომელიც მსოფლიოს ყველა კულტურულ ქვეყნებში (მართალია, პრეისტორიის სახელწოდებით) აყვავებას განიცდის და დიდი ყურადღების ქვეშაა მოქცეული, საიდანაც ვიმეორებ, იწყება კაცობრიობის ისტორია და რომელიც ამავე ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ... ჩვენ ზერელედ მოვექცეთ, მთავარ საგნად არ მივიჩნიოთ და საკუთარი დამოუკიდებელი კათედრა არ მივცეთ? კათედრა – სადაც შესაძლო იქნება კადრების აღზრდა! არა, წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრა არ უნდა მოკვდეს, ვინაიდან მას შეუძლია სიცოცხლე და საკუთარ ფეხზე დგომა. ეს კათედრა ისევ უნდა გაცოცხლდეს და გამაგრდეს.

ამიტომ ჩემი თხოვნაა წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრა არ დაიხუროს და დარჩეს დამოუკიდებლად.

არქეოლოგიის დოქტორი
პროფ. გ. ნიორაძე
13.IX.36წ.

გ. ნიორაძის მონდომება და გულმოდგინება მიზანს აღწევს. წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრას 1937/38 სასწავლო წლიდან ეწოდა „არქეოლოგი-

1 ასლი ინახება გ. ნიორაძის პირად არქივში (იბეჭდება შემოკლებით – ო. ჯ.).

ის კათედრა“ და ამ დროიდან დაწყებული კათედრას სახელწოდება აღარ შეუცვლია, ხოლო გ. ნიორაძე თავის უკანასკნელ დღეებამდე ამ კათედრის უცვლელი გამგე იყო. 1938/39 სასწავლო წელს იგი კიდევ ერთ ახალ საგანს – „არქეოლოგიის საფუძვლები“ – ასწავლის სტუდენტებს. გ. ნიორაძე მჭიდრო კავშირს ამყარებს მათთან, აცნობს მათ არქეოლოგიის საიდუმლოებას, სიყვარულს უღვიძებს ჩვენი ქვეყნის წარსულისადმი, აფართოებს არქეოლოგიურ სამუშაოებს. გ. ნიორაძე კარგად გრძნობდა, რომ არქეოლოგიური სამუშაოების გაშლა მოითხოვდა ახალგაზრდა კადრების აღზრდას, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაუფლებული იქნებოდნენ არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდებს, რამეთუ ისინი უნდა გაძღოლოდნენ მომავალში ჩვენი მატერიალური კულტურის კვლევის საქმეს. ამიტომაც უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებისთანავე იგი მჭიდროდ დაუკავშირდა ახალგაზრდებს. მის მიერ დევისხვრელის მღვიმეში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებში ფართოდ მონაწილეობდნენ სტუდენტები, რომლებიც ველზე ეუფლებოდნენ საველე გათხრის მეთოდიკას. სწორედ არქეოლოგიის კათედრაზე 30-იან წლებშივე ჩაეყარა საფუძველი თეორიული და გათხრითი არქეოლოგიის სინთეზს.[1]

უნივერსიტეტში თავისი მოღვაწეობის პირველ წლებშივე გ. ნიორაძეს დიდი და დაძაბული შრომა უხდება. საკვლევო-სამეცნიერო მუშაობა კათედრის ერთ-ერთ მთავარ ყურადღების ცენტრს წარმოადგენდა. გ. ნიორაძე თანაბარი ინტერესით სწავლობდა ქვის, ბრინჯაოს, ანტიკური ხანის ძეგლებს. მის კალამს ეკუთვნის რიგი შესანიშნავი გამოკვლევებისა საქართველოს უძველესი კულტურის სხვადასხვა პერიოდებში. გ. ნიორაძის მოღვაწეობასთან უშუალოდაა დაკავშირებული ძველი ქვის ხანის გამოვლენისა და შესწავლის პირველი ცდები არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბითაც. ძველი და ახალი ქვის ხანა ერთ-ერთ ძირითად ადგილს იკავებს კათედრის მუშაობაში. სათანადო არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალების საფუძველზე უნივერსიტეტში დამუშავდა და 1933 წელს გამოქვეყნდა გ. ნიორაძის ნაშრომი „პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში“, რომელმაც საფუძველი დაუდო ქართულ არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურას.[2] ამას მოჰყვა გ. ნიორაძის ნაშრომის – „ძველი ქვის ხანა კავკასიაში“ – გამოქვეყნება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, ისტორიის ფაკულტეტი, თბ., 1937, გვ. 268-284). ძველი ქვის ხანის გარდა, კათედრის მუშაობაში თავიდანვე დიდ ადგილს იკავებს ბრინჯაოს კულტურის შესწავლა საქართველოში და სხვ.

1938/39 სასწავლო წელს არქეოლოგიის კათედრის ასპირანტები იყვნენ ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) და ვ. გოზალიშვილი. მომდევნო წლიდან კი კათედრის შემადგენლობაში ირიცხებოდა დ. ქორიძე.

1939 წელს არქეოლოგიის კათედრას გამოეყო ეთნოგრაფიის კათედრა, რამაც გამოიწვია კათედრიდან ზოგიერთი წევრის (გ. ჩიტაია, ი. ჭყონია, ი. ნანობაშვილი) წასვლა. გ. ნიორაძე ზრუნავს არქეოლოგიის კათედრის გაძლიერებაზე, ისტორიის ინსტიტუტიდან იწვევს თავის ასპირანტებს და აი, უკვე 1940/41 წელს კათედრის შემადგენლობაში ითვლებოდნენ: უფროსი მასწავლებლები: ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ნ. ხოშტარია, ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), ვ. გოზალიშვილი და სტუდენტი დ. ქორიძე. ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს ეკითხებოდათ ლექციები შემდეგ

1 თბილისის უნივერსიტეტი, 1918-1968 წწ., თბ., 1968, გვ. 382.
2 იქვე.

დისციპლინებში. გ. ნიორაძე „წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის“, „არქეოლოგიის საფუძვლებისა“ და „კავკასიის არქეოლოგიის“ გარდა სტუდენტებს უკითხავდა „ანატომია-ანთროპოლოგიასა“ და „გეოლოგია-პალეოანთროპოლოგიას“, ნ. ხოშტარია – „კავკასიის მატერიალური კულტურის ისტორიას“, „არქეოლოგიურ აღმოჩენათა ისტორიას და არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკას“, გ. გობეჯიშვილი – „არქეოლოგიის ზოგად კურსს“, ა. აფაქიძე – „წინა აზიის არქეოლოგიას“, ხოლო ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) – „მუზეუმთმცოდნეობას“. აი, ასე საფუძვლიანად ისწავლებოდა არქეოლოგია იმხანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1941 წლის 21 მაისს გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით ასპირანტმა ანდრია აფაქიძემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები“. ეს იყო პირველი დისერტაციის დაცვა უნივერსიტეტში არქეოლოგიის დარგში, რასაც შემდეგ მოჰყვა გ. ნიორაძის სხვა ასპირანტთა დისერტაციებიც. 1941 წელს არქეოლოგიის კათედრის ასპირანტი გახდა ნ. უგრელიძე, ხოლო 1943 წელს გ. ნიორაძე კიდევ ორ ასპირანტს ხელმძღვანელობდა – ო. ჯაფარიძესა და ტ. ჩუბინიშვილს. 1950 წლიდან – გ. ნიორაძის ასპირანტი იყო ვ. თოლორდავა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გ. ნიორაძე ლექციების კითხვას. ამასვე უნერგავდა იგი თავის ასპირანტებს, რომელთაც ანდობდა კიდევაც ლექციებს. „როგორ უნდა იკითხებოდეს ლექცია“ – ასეთი იყო მეთოდური ხასიათის მოხსენების სათაური, რომელიც გ. ნიორაძემ წაიკითხა 1944 წლის 15 იანვარს თსუ-ის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტის არქეოლოგიის კათედრის სხდომაზე. „... ლექცია უნდა იყოს იდეურ პოლიტიკური თვალსაზრისით გამართული და მეცნიერული მასალით ლოგიკურად დალაგებული... შინაარსით მდიდარი და მჭერმეტყველურად გადმოცემული, – აღნიშნავდა მომხსენებელი... – ლექტორმა სტუდენტები უნდა მიაჩვიოს დამოუკიდებელ მუშაობას...“.[1]

კათედრაზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ლექციების მაღალხარისხოვნად წაკითხვას, ამ მიზნით, გ. ნიორაძე ესწრებოდა ხოლმე ლექციებს, შემდეგ კი ხდებოდა ამ ლექციების გარჩევა კათედრის სხდომაზე. ნაკლოვანებებისა და დეფექტების შემჩნევის შემთხვევაში მათ გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ იღებდნენ გადამჭრელ ზომებს.

სტუდენტთა კარგად მომზადებას ხელს უწყობდა პრაქტიკული ვარჯიშები, რომლებიც ტარდებოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. იქ დაცული, თვალსაჩინოებისათვის გამოსაყენებელ უამრავ კოლექციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თეორიული მასალის ათვისებაში. ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ უნივერსიტეტში არქეოლოგიის კაბინეტის დაარსება, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. უნივერსიტეტში გ. ნიორაძის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კაბინეტში სასწავლო ხასიათის მუზეუმი-გამოფენის მოწყობა. იგი დიდი მონდომებით აგროვებდა მასალებს სასწავლო გამოფენის მოსაწყობად. „...თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტისათვის გთხოვთ დაგვითმოთ სამთავროს ერთი გრუნტული სამარხის ინვენტარი, რომელიც საჭიროა სტუდენტებთან მეცადინეობის დროს, – წერდა გ. ნიორაძე 1948 წლის 5 მარტს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს ნიკო ბერძენიშვილს, – მასალა დაცული იქნება არქეოლოგი-

1 სხდომის ოქმი № 5-ის ამონაწერის ასლი დაცულია გ. ნიორაძის პირად არქივში.

ის კაბინეტში და მისი გამოქვეყნების უფლება, რასაკვირველია, მხოლოდ ისტორიის ინსტიტუტს დარჩება“. ცხადია, ამ საქმეში ბ-ნ გიორგის ყოველთვის ჰქონდა მხარდაჭერა.

გ. ნიორაძე გრძნობდა სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შექმნის აუცილებლობას. მის მიერ შედგენილი ნაკვეთები „ადამიანის წარსულიდან“ (ნაკვეთი I, II, III, IV, V) დიდ დახმარებას უწევდა სტუდენტ-ახალგაზრდობას წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კურსის შესწავლაში.

გ. ნიორაძეს მართლაც რომ მძიმე ტვირთის ზიდვა მოუხდა. მისი მეშვეობით უნდა მომზადებულიყო ქართველ არქეოლოგთა პირველი კადრები. ეს დიდი ეროვნული საქმე გ. ნიორაძემ პირნათლად შეასრულა.

სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად გ. ნიორაძე თსუ-ში საზოგადოებრივი საქმიანობითაც იყო დაკავებული. „... 1941 წ. 20 მაისს შედგა უნივერსიტეტის I პარტიული კონფერენცია, დელეგატებს შორის იყვნენ უნივერსიტეტში ცნობილი პროფესორები: გ. ნიორაძე, ალ. თვალჭრელიძე, ალ. ჯავახიშვილი, არჩ. ხარაძე, ალ. ჯანელიძე, ნ. ციციშვილი, ს. წერეთელი, პ. გუგუშვილი და სხვ“.[1]

ომის მძიმე წლებში გ. ნიორაძე პოპულარული ხასიათის ლექციებს უკითხავდა დაჭრილ წითელარმიელებს სხვადასხვა თემებზე.

გიორგი ნიორაძეს დიდი სიყვარულით იხსენებს ყველა, ვისაც კი ოდესმე რაიმე ურთიერთობა ჰქონია მასთან, იქნება ეს მისი ყოფილი სტუდენტი, თანამშრომელი, მეგობარი თუ ნაცნობი.

განსაკუთრებული სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით იხსენებენ მას მისი მოწაფეები, ახლა უკვე უფროსი თაობის არქეოლოგები, ცნობილი მეცნიერები. მან აღზარდა მთელი თაობები ასპირანტებისა, რომლებიც დღეს წარმატებით მუშაობენ არქეოლოგიაში. გ. ნიორაძემ, როგორც მასწავლებელმა, პირველმა შთაუნერგა მათ დიდი სიყვარული იმ დარგისადმი, რომელსაც თვით უანგაროდ ემსახურა მთელი სიცოცხლე.

მე პირადად დიდად დავალებული ვარ გ. ნიორაძისაგან, რადგან იგი ჩემი პირველი მასწავლებელი იყო. მან შემაყვარა ის დარგი, რომელსაც დღეს ვემსახურები. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ იმ წარმატებებში, რომელიც დღეს ჩვენს არქეოლოგიას აქვს, უდიდესი წვლილი გიორგი ნიორაძეს მიუძღვის.

---

1 თბილისის უნივერსიტეტი 1918-1968, თბ., 1968, გვ. 103.

ბრინჯაოს ხანის ძეგლები გიორგი ნიორაძის კვლევის სფეროში*

გიორგი ნიორაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ბრინჯაოს ხანის შესწავლის საქმეში. მანამდე ეს მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი უძველესი ისტორიისა სპეციალური შესწავლის საგნად არავის გაუხდია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოღვაწეობის პირველსავე წლებში მას ყურადღების გარეშე არ რჩება ფონდებში დაცული ბრინჯაოს პერიოდის მდიდარი კოლექციები და, ქვის ხანასთან ერთად, დიდად ინტერესდება სწორედ ამ დროის მასალების შესწავლით. ერთ-ერთი პირველი მეცნიერული გამოკვლევა, რომელსაც იგი უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ აქვეყნებს, სწორედ ბრინჯაოს ხანის შესწავლას ეძღვნება. 1928 წელს იგი რუსულ ენაზე აქვეყნებს ზემო ავჭალაში ჩატარებული მუშაობის შედეგებს, სადაც მან გათხარა გვიანბრინჯაოს ხანის საინტერესო სამარხი.[1]

ამ ნაშრომში გ. ნიორაძე დაწვრილებით ანგარიშს იძლევა მის მიერ ზემო ავჭალაში 1927 წლის ბოლოს ჩატარებული სამუშაოების შესახებ. იგი არ კმაყოფილდება სამარხისა და შიგ მოპოვებული მასალის აღწერით, არამედ საკმაოდ დაწვრილებით იხილავს დაკრძალვის წესს, მასალის ფართო ანალიზს იძლევა. რამდენადმე უფრო გვიან გ. ნიორაძე ამავე სამარხს კიდევ უფრო საფუძვლიან გამოკვლევას უძღვნის (საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, VI, თბილისი, 1931), სადაც მის მიერ ბრინჯაოს ხანის შესწავლასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია წამოყენებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტობრივად ქართულ ენაზე დაწერილი პირველი სერიოზული, ღრმამეცნიერული გამოკვლევაა, რომელშიც ფართოდაა განხილული იმდროისათვის მეტად აქტუალური საკითხები. თავის დროზე ამ ნაშრომის გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი გახდა ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს და შემდეგ ქვეყნდებოდეს არქეოლოგიური მასალა. გ. ნიორაძის ნაშრომს „ზემო ავჭალის სამარხს“ დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა.

აღმოჩენის ვითარების, გათხრების პროცესის და თვით სამარხის აღწერის შემდეგ, ავტორი დაწვრილებით ჩერდება მიცვალებულის მდებარეობის, მისი პოზის დადგენის საკითხზე. გ. ნიორაძის აზრით, მიცვალებული ფეხებმოკეცილი, დამჯდარი იყო სამარხში ჩასვენებული. ამ დებულების დასადასტურებლად მას რიგი მონაცემები მოაქვს, განსაკუთრებით კი ყურადღებას ამახვილებს მიცვალებულის ძვლების განლაგებაზე სამარხში. ნაშრომში მშვენივრად შესრულებული ნახაზები და სქემებია მოტანილი, სადაც მოცემულია ცდა მიცვალებულის მდებარეობის, მისი დაკრძალვის

---

* გ. ნიორაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1989.

1 Ниорадзе Г.К., О некотором значении Земо Авчалской могилы, Институт археологии, искусствознания, Труды секции археологии, IV, РАНИОН, М., 1928.

პოზის აღდგენისა. რეკონსტრუქცია ისეთ დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ძნელია ავტორის სიმართლეში ეჭვის შეტანა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გ. ნიორაძემ ამ ნაშრომში ფაქტობრივად პირველმა მოგვცა ფრიდრიხ ბაიერნის სამთავროს სამაროვანთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებათა მეცნიერული კრიტიკა. ფ. ბაიერნის დებულებების სისწორეში ადრეც არაერთხელ გამოითქვა ეჭვი. ჯერ კიდევ გრაფი ა. უვაროვი ფ. ბაიერნის მიერ სამთავროს სამაროვანზე ჩატარებული გათხრითი სამუშაოების დათვალიერების დროს დაეჭვებულა აქ, ე.წ. „გუმბათოვანი" სამარხების არსებობაში. ფ. ბაიერნის მიერ სამთავროს სამაროვანთან დაკავშირებით გამოთქმული ზოგიერთი, მართლაც, რომ ახირებული აზრი არაერთხელ გამხდარა სამართლიანი კრიტიკის საგანი. ფ. ბაიერნის ზოგი „ნააზრევი" ვერც ი. ჭავჭავაძის გაკიცხვას გადაურჩა.

გ. ნიორაძემ სავსებით მართლებურად აღნიშნა, რომ „შეცდომა არ იქნება, თუ ზემო ავჭალისა და სამთავროს „ძირა სართულის" გუმბათოვან სამარხებს ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე კულტურას..." მივაკუთვნებთ. ამიტომაცაა, რომ მან საგანგებო ყურადღება მიაქცია ფ. ბაიერნის მიერ მოყვანილ ცნობებს, რომლებიც სამთავროს ე.წ. „ძირა სართულის" სამარხების დაკრძალვის წესს ეხებოდა. სავსებით სამართლიანია მისი შენიშვნა, რომ ფ. ბაიერნის მიერ მოყვანილი საილუსტრაციო მასალა მაინცდამაინც სანდო არ არის. იგი აღნიშნავს, რომ ფ. ბაიერნის შრომებიდან გამომდინარე, „სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში მიცვალებულის დამარხვის ფორმა ბურუსით არის მოცული". გ. ნიორაძე სწორად შენიშნავს, რომ არქეოლოგიური გათხრები, რომლებიც ფ. ბაიერნმა სამთავროში აწარმოა „ყოვლად შეუწყნარებელია მეთოდურად" და შეცდომები მის ნაწერებში ძირითადად ამითაა გამოწვეული. მას რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ, რა წესით თხრიდა ფ. ბაიერნი სამთავროს სამაროვანზე. მართალია, როგორც აღინიშნა, ფ. ბაიერნის ნააზრევი ადრევე, არაერთგზის გამხდარა კრიტიკის საგანი, მაგრამ ამ შეცდომების ძირითადი მიზეზის მონახვა არავის უცდია. გ. ნიორაძე პირველი იყო, რომელმაც ამის სათავე ფ. ბაიერნის არქეოლოგიური სამუშაოების სუსტ მეთოდიკაში დაინახა და არქეოლოგის მახვილ თვალს არ გამოეპარა გათხრების პროცესში დაშვებული შეცდომები. მართალია, ფ. ბაიერნი სამთავროს ორმოსამარხებში მიცვალებულის მჯდომარე პოზით დაკრძალვის წესს ადასტურებს, მაგრამ, როგორც გ. ნიორაძე შენიშნავს, მის მიერ აღდგენილი „დამჯდარი" მდგომარეობა დამაჯერებელი არ არის. სამთავროს ორმოსამარხებში, ისევე როგორც ზემო ავჭალის სამარხში, გ. ნიორაძის აზრით, მჯდომარე მიცვალებული მუხლებმოხრილი უნდა ყოფილიყო და არა გაჭიმული ფეხებით, როგორც ფ. ბაიერნს ეგონა. მართალია, სამთავროს სამაროვნის შემდგომმა გათხრებმა ორმოსამარხებში დაკრძალვის ეს წესი არ დაადასტურა, მაგრამ ფ. ბაიერნის ნააზრევის კრიტიკულად შეფასება სწორედ არქეოლოგის მიერ ნამდვილად დროული იყო იმის გამო, რომ მის მოსაზრებებს ჯერ კიდევ საკმაოდ ჰქონდა ფეხი მოკიდებული და ამის მაგალითად ე. პჩელინას საგურამოში ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებული ნაშრომიც კმარა. სწორად აღნიშნავს გ. ნიორაძე, რომ ე. პჩელინამ ფ. ბაიერნის გავლენით საგურამოს სამარხებში დამარხვის იგივე წესი დაინახა, როგორც სამთავროს სამაროვანზე, მჯდომარე ფეხებგაჭიმული. უფრო მეტიც, ე. პჩელინა საგურამოშიც „გუმბათოვანი" სამარხების არსებობას ადასტურებს. გ. ნიორაძემ ნათლად დაგვანახა ამ მოსაზრებათა უსაფუძვლობა.

რაკი ზემო ავჭალის სამარხში მიცვალებული მჯდომარე პოზითაა დაკრძალული, ამიტომ გ. ნიორაძე ცდილობს გაარკვიოს დამარხვის ამ წესის გავრცელების მიზეზი. იგი ფართოდ მიმოიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით და უფრო იმ აზრისაა, რომ ამ წესის გავრცელებას საფუძვლად დაედო შიში იმისა, რომ მიცვალებული უკან არ დაბრუნებულიყო და რაიმე ზიანი არ მოეტანა.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ზემო ავჭალის სამარხში აღმოჩენილი თავის ქალის შესწავლას. გ. ნიორაძე, რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტში დ. ანუჩინის სკოლა ჰქონდა გავლილი, კარგად ერკვეოდა ანთოპოლოგიის საკითხებში. იგი დაწვრილებით შეისწავლის შედარებით კარგად შემონახულ თავის ქალას, იძლევა მის დეტალურ აღწერას, ზომებს. შეუმჩნეველი არ დარჩა მას ტრამვის ნიშნები, რომელიც, ჩანს, სიცოცხლეში უნდა მიეღო ადამიანს. განსაზღვრავს მიცვალებულის სიმაღლეს, რომელიც საშუალოზე რამდენადმე დაბალი უნდა ყოფილიყო, მის სქესს, სამარხში ქალი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. იგი საგანგებოდ ჩერდება ზემო ავჭალის მახლობლად აღმოჩენილ თავის ქალებზე და საერთოდ ცდილობს გაარკვიოს, რომელ ადამიანთა ვარიანტს ეკუთვნოდა ზემო ავჭალის ადამიანი. მაგრამ ამ უკანასკნელ საკითხს მაინც ღიად ტოვებს.

რაკი ზემო ავჭალის სამარხი ქალს ეკუთვნოდა, ამიტომ ნაშრომში დასმულია კითხვა – გვხვდება თუ არა საომარი იარაღით დამარხული ქალების ჩონჩხი? არქეოლოგიურ ლიტერატურაში, აღნიშნავს ავტორი, მაინცდამაინც ცნობილი არ არის შემთხვევები, რომ ქალის სამარხში ჩაეტანებინათ ბრინჯაოს მახვილი, ხანჯალი და შუბი. თანაც ეს შეიარაღებული ქალი კარგი ცხენოსანიც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან საფლავში ცხენის ძვლის ნაშთებიც აღმოჩნდა. აქ იხსენებს იგი ძველი მწერლების გადმოცემებს ამორძალების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხების დეტალურად განხილვის შემდეგ გ. ნიორაძე გადადის სამარხეული ინვენტარის დაწვრილებით ანალიზზე. პირველ რიგში იგი ბრინჯაოს მახვილს შეისწავლის, რომელიც, როგორც აღნიშნავს, „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია“. ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი მახვილი, მოტანილია მისი ზომები. მან ამ ტიპის მახვილს მარჯვე სახელი მოუძებნა და ბოლოკვეთილი მახვილი უწოდა, რომელიც დღემდე შემორჩა მას. დეტალურადაა აღწერილი და შესწავლილი მახვილის პირის ორივე მხარეზე შერჩენილი ორნამენტი, სადაც სპირალური მოტივი ჭარბობს. შემდეგ დაწვრილებითაა განხილული დეკორის ეს სახეობა, მოტანილია დიდი პარალელური მასალა და სხვ.

საგანგებო ყურადღებას აქცევს მახვილის სატარე ნაწილს, სადაც სხვადასხვა ხასიათის ორნამენტი გვხვდება: ამობურცული, წვრილი მძივისებრი, წინწკლებიანი და სხვ. ტარის ზომები შედარებით პატარაა და ამასთან დაკავშირებით მოტანილია გაბრიელ დე მორტილიეს ორიგინალური „ინდური“ ან „ბოშური“ თეორია ბრინჯაოს გავრცელების შესახებ, მონტელიუსის, რანკეს და სხვათა აზრი ტარის სიმოკლესთან დაკავშირებით. გ. ნიორაძემ სავსებით დამაჯერებელი მოსაზრება წამოაყენა მახვილის ტარის სიმოკლის შესახებ. იგი ფიქრობს, რომ მახვილი უპირატესად საჩეხი იარაღია და იმის გამო, რომ დარტყმის დროს სიმძიმის ცენტრი წინ გადასულიყო, უფრო მიზანშეწონილი იყო მისთვის პატარა ტარის გაკეთება. დაწვრილებით ჩერდება ავტორი ტარის ქუდის ფორმასა და ორნამენტზე. მისი აზრით, აქ ასტრალური მოტივია მოცემული და დიდი გულისყურით შეისწავლის ამ საკითხს. მას დიდძალი

პარალელური მასალა მოაქვს და დაასკვნის, რომ ტარის ბოლოზე მოცემული რვასხივა ვარსკვლავი ვენერა უნდა იყოს, რომელიც ძველ აღმოსავლეთში ცნობილი იყო როგორც ბედნიერების, სიყვარულის, ომის ღვთაება. საერთოდ მახვილზე მოცემულ გამოსახულებებს მაგიურ-საკულტო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

გ. ნიორაძის აზრით, ზემო ავჭალის მახვილი ცვილის მოდელის „დაკარგვის“ წესით უნდა ყოფილიყო დამზადებული. იგი უკვე მახვილების საკმაოდ განვითარებულ ტიპს მიეკუთვნება და კლასიკური შემადგენლობის ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული. ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მახვილის წარმომავლობას, მისი ტოპოლოგიის საკითხს. ავტორის აზრით, ზემო ავჭალის ტიპის მახვილის პროტოტიპებად შეიძლება ჩაითვალოს ფართოპირა სატევარი და გრძელი პირის მქონე ნაჯახი. მახვილის ტიპოლოგიური ანალიზის შემდეგ, რომლის დროსაც ავტორს ფართო ანალოგები მოჰყავს, იგი დაასკვნის, რომ ზემო ავჭალის მახვილი ორიგინალური ფორმისაა და მას ზემო ავჭალის ტიპის მახვილს უწოდებს. ნაშრომში მოტანილია საგანგებო ცხრილი, სადაც საქართველოს მუზეუმში დაცული ბოლოკვეთილი მახვილების ზომებია მოტანილი. აღნუსხულია აგრეთვე სხვა მუზეუმებში დაცული ამ ტიპის მახვილები. აქვე აღნიშნულია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული მეორე ფორმის ქედაბეკური ტიპის მახვილის აღმოჩენის ადგილები. გ. ნიორაძემ პირველმა შემოფარგლა ორივე ტიპის მახვილების გავრცელების არეალი. ზემო ავჭალის ტიპის მახვილი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მტკვრის მარცხენა მხარეს, ქედაბეკური კი აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში, მტკვრის მარჯვენა მხარეს. ნაშრომს ერთვის ორივე ტიპის მახვილების გავრცელების რუკა.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ნიორაძემ მახვილისა და შესაბამისად ზემო ავჭალის სამარხის თარიღი დაახლოებით სწორად განსაზღვრა. მართალია, იგი მეტად ზოგად თარიღს იძლევა, მაგრამ უფრო ზუსტი დათარიღება იმდროისათვის მეტად ძნელი იყო. მას მოტანილი აქვს იმ პერიოდისათვის გამოთქმული მოსაზრებები კავკასიის ბრინჯაოს კულტურის დათარიღების შესახებ და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ზემო ავჭალის სამარხი ძვ. წ. XIII ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე სამარხში ნაპოვნი სხვა ნივთებიც, მოცემულია მათი აღწერა. შედარებით მეტი ადგილი აქვს დათმობილი კერამიკას. მოცემულია თიხის ჭურჭლების დაწვრილებითი აღწერილობა და ანალოგიები. საგანგებოდ ჩერდება ავტორი ჭურჭლის გამოწვისა და მისთვის ფერის მიცემის საკითხზე. მისი აზრით, კერამიკის შავი ფერი სხვადასხვა გარემოებით აიხსნება. პირველ რიგში, ეს უნდა მიეწეროს თვით აყალო მიწას და მოუთავებელ გამოწვას ან ჩაჟონილი წყლის გავლენას. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დროს ალბათ უკვე იყვნენ თიხის ჭურჭლის სპეციალისტები და არა მარტო კერამიკის, არამედ, როგორც ჩანს, ბრინჯაოსა და რკინის დამუშავებასთან დაკავშირებული ხელოსნები, ე.ი. მოხელეთა სხვადასხვა ჯგუფები.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ გ. ნიორაძეს ამ ნაშრომში არ გამორჩენია სოციალურ წყობასთან დაკავშირებული საკითხებიც. მისი აზრით, ზემო ავჭალის სამარხი მიეკუთვნება გვაროვნული წყობილების ისეთ ეპოქას, როდესაც უკვე მომხდარია გვაროვნული საზოგადოების „დიდ ოჯახებად“ დაყოფა, ეკონომიკური უთანასწორობა და კერძო საკუთრების ზოგიერთი ფორმის წარმოშობა.

1932 წელს გ. ნიორაძე გერმანულ ენაზე აქვეყნებს სოფ. ქვემო სასირეთში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარ განძს (Der Verwahrfund von

Kvemo-Sasirethi, ESA. VII, Helsinki, 1932), სადაც დაწვრილებითაა აღწერილი განძის აღმოჩენის ვითარება. ადგილზე შემოწმების შემდეგ გ. ნიორაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ აქ სამარხეულ კომპლექსთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ განძთან. ავტორი იძლევა განძში შემავალი ყველა ნივთის დაწვრილებით აღწერილობას, უძებნის სათანადო პარალელებს, როგორც კავკასიის შიგნით, ისე მის გარეთ. სასირეთის განძმა იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია სპეციალისტთა შორის. ცნობილი ფინელი არქეოლოგი, კავკასიის სიძველეების კარგი მცოდნე, ა. ტალგრენი გ. ნიორაძეს დიდ მადლობას უხდის ამ პირველხარისხოვანი აღმოჩენის დაწვრილებითი აღწერისა და გამოქვეყნებისათვის. პროფ. გ. ნიორაძე ამ განძსაც არა უადრეს ძვ. წ. XIII ს-ით ათარიღებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ნიორაძის მიერ 1940 წელს კოლხეთის დაბლობში, ცხაკაიას რაიონის, სოფ. რეკაში, ადგილ ნაოხვამოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები. ნაოხვამუს ბორცვზე ჯერ კიდევ მანამდე წლების მანძილზე წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები, სადაც მეტად საყურადღებო მასალები იყო აღმოჩენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უთუოდ საინტერესო ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების შედეგების შესახებ თითქმის არაფერი იყო ცნობილი. ნაოხვამუს ნამოსახლარზე მოპოვებული მდიდარი მასალა დაუმუშავებელი იყო და არც რაიმე ცნობა აქ ჩატარებული გათხრების შესახებ არ გამოქვეყნებულა. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 1940 წელს აქ სამუშაოდ იგზავნება დიდი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც სათავეში გ. ნიორაძე ჩაუდგა. ექსპედიციამ დიდი სამუშაოები ჩაატარა, მეტად საყურადღებო მასალები მოიპოვა და უკვე მომდევნო წელს „ენიმკის“ მოამბეში გამოქვეყნდა გ. ნიორაძის ვრცელი ანგარიში (“არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში,“ ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1941). ეს არის ერთადერთი მეცნიერული ანგარიში ნაოხვამუზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ. ამ ადგილზე ადრე მომუშავე ექსპედიციების მუშაობის შედეგები არ გამოქვეყნებულა. ამიტომაა, რომ ამ ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

გ. ნიორაძე, ვიდრე უშუალოდ გათხრების შედეგების შესახებ მსჯელობაზე გადავიდოდეს, ვრცლად ჩერდება კოლხეთის დაბლობზე არქეოლოგიური სამუშაოების მნიშვნელობაზე, პერსპექტივებზე. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ როგორც ცნობილია, სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა დიდი სამუშაოები კოლხეთის დაბლობის ამოშრობასთან დაკავშირებით. იგი ფართოდ იყენებს ძველი მწერლების ცნობებს კოლხეთის შესახებ; კოლხეთის დაბლობის წარმოშობის და იქ მიმდინარე გეოლოგიური პროცესების საკითხებსაც აქცევს სათანადო ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ნაოხვამუს ტიპის ძეგლების შესწავლის შედეგად კოლხეთის დაბლობზე შეიძლება არაერთი მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხი დაისვას აქ წარმოებულ სამშენებლო საქმესთან დაკავშირებით და მას რამდენიმე კონკრეტული მაგალითი მოჰყავს.

ავტორი დაწვრილებით აღწერს ნაუხვამუს ბორცვზე არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობის პროცესს, იმ სირთულეებს, რომლებიც მუშაობის დროს წამოიჭრა. საჭირო გახდა წინასწარ წყლის ამოქაჩვა ადრე გათხრილი ადგილებიდან, რომლებიც დროთა განმავლობაში პატარა „ტბებად“ გადაქცეულან. გ. ნიორაძე დეტალურად აღწერს გათხრების შედეგად მიღებულ ჭრილებს. იგი რამდენიმე კულტურულ ფენას გამოჰყოფს და იძლევა თითოეული ფენის აღწერას. კულტურულ ფენებში დიდძალი არქეოლოგიური, პალეოზოოლოგიური და პალეობოტანიკური მასალა აღმოჩნდა. ნაპოვნი იყო ხის ნაგებობის ნაშთები. გ. ნიორაძე აღნიშნავს, რომ ნაოხვამუს

კულტურის მატარებელი ხალხი, რომლებმაც ქვედა კულტურული ფენა დაგვიტოვა, ცხოვრობდა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში, კარგად იცნობდა შეჯოგეობასა და პრიმიტიულ მიწათმოქმედებას.

დიდ ინტერესს იწვევს გ. ნიორაძის მიერ 1941 წლის აპრილში ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოები მესხეთში, მტკვრის ხეობაში, ბორჯომსა და ახალციხეს შორის. არქეოლოგიურად ეს უთუოდ საყურადღებო მხარე მანამდე სუსტად იყო შესწავლილი. მართალია, მუზეუმებში დაცული იყო კოლექციები ბორჯომის ხეობიდან, მაგრამ სათანადო ყურადღება მათთვის არავის მიუქცევია. გ. ნიორაძემ აქ ჩატარებული დაზვერვების შედეგებისა და მუზეუმებში თავმოყრილი მასალების საფუძველზე მეტად საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა („არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში", საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII – B, თბილისი, 1944 წ.). გარდა მასალების უშუალოდ გაცნობისა, გ. ნიორაძეს შეუგროვებია წერილობითი ცნობები ბორჯომის ხეობაში არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ. კერძოდ, იგი განსაკუთრებით დაინტერესებულა წაღვერის აღმოჩენებით, სადაც 1911 წელს საყურადღებო მასალები იყო ნაპოვნი. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, რომლის ხელნაწერი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, აღნიშნავს, რომ წაღვერში აღმოჩენილი მასალები ნეოლითური პერიოდისაა. იგი შენიშნავს ამ მოსაზრების უსაფუძვლობას. გ. ნიორაძე საგანგებოდ დაკავშირებია ვ. გოროდცოვს, რომელსაც 1911 წელს უშუალოდ უწარმოებია გათხრები წაღვერში. მაგრამ ვ. გოროდცოვს აღნიშნული სამუშაოების შედეგები არ გამოუქვეყნებია; გამოსაცემად მომზადებული ხელნაწერი უბედური შემთხვევის გამო დაკარგულა. ამიტომ, გ. ნიორაძეს თავის ანგარიშში სრულად მოჰყავს ვ. გოროდცოვის წერილი და ცდილობს მეტ-ნაკლებად სრულად წარმოადგინოს ამ ფრიად საინტერესო მონაპოვრის აღმოჩენის ვითარება. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ძირა, მესამე ფენაში, როგორც ჩანს, სახელოსნოს ნაშთები აღმოჩენილა. გ. ნიორაძე აზუსტებს ცნობას ბრინჯაოს ყალიბის აღმოჩენის შესახებ და სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ეს ყალიბი წაღვერში კი არ აღმოჩენილა, არამედ თელოვანში. აქვეა ნაპოვნი რამდენიმე სეგმენტისებური იარაღი, ბრინჯაოს ქვაბი და სხვ. გ. ნიორაძე საგანგებოდ ჩერდება სეგმენტისებურ იარაღზე, რომელსაც იგი ბრჭყალებში „ნიჩბად" მოიხსენიებს, ფუნქციის გარკვევაზე და სხვ. იგი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ იარაღის დანიშნულებაზე მსჯელობისას თითოეული მათგანი ცალ-ცალკე უნდა იყოს განხილული. ბრინჯაოს თოხის შესახებ იგი შენიშნავს, რომ ეს იარაღი ხის დამუშავებასთან უნდა იყოს დაკავშირებული და უფრო მართებულია მათი ხელეჩოებად მიჩნევა.

გ. ნიორაძემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ სოფ. მიტარბაში აღმოჩენილი კოლხური ცული მშვენივრად ერგება სოფ. თელოვანში ნაპოვნ, ზემოთ მოხსენიებული, ლითონის ყალიბს. ეს კი, აღნიშნავს იგი, უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ ცულებს ადგილობრივ აკეთებდნენ. თუ ამას დავუმატებთ წაღვერის სახელოსნოს, განაგრძობს გ. ნიორაძე, მაშინ აშკარა გახდება, რომ სპილენძის მიღება სპილეძის მადნიდან, აგრეთვე სპილენძის იარაღის გაკეთება უეჭველად ადგილობრივ ხდებოდა.

დაზვერვებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწის სამუშაოების დროს სოფ. გომნაში შემთხვევით აღმოჩენილი ორმოსამარხები. აქ მოპოვებული მასალები ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩაუბარებიათ. გ. ნიორაძეს უნახავს აღმოჩენის ადგილი, დაწვრილებითი ცნობები შეუგროვებია, მცირე საკონტროლო გათხრები ჩაუტარებია და ერთი დაზიანებული სამარხიც გაუწმენდია. იგი იძლევა სამარხის

აღწერილობას და აღრიცხავს მათში ნაპოვნ ინვენტარს. გ. ნიორაძე საგანგებოდ ჩერდება ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ ბრტყელ სამაჯურზე, რომელზედაც შუა ნაწილში სვასტიკაა გამოსახული. იგი საკმაოდ დაწვრილებით იხილავს სვასტიკის მნიშვნელობას, მის გავრცელებას, მოჰყავს სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფიქრობს, რომ ორნამენტის ეს სახე წინა აზიაში, მესოპოტამიაში უნდა წარმოქმნილიყო და შემდეგ აქედან ევროპაში შესულა. საგანგებოდ ჩერდება გ. ნიორაძე გომნას № 2 სამარხში აღმოჩენილ ქინძისთავებზე, სადაც თერთმეტი ქინძისთავია აღმოჩენილი. დაწვრილებით აღწერს თითოეულ ტიპს, უძებნის პარალელებს და სხვ. გომნაში აღმოჩენილ სამარხებს იგი არა უადრეს ძვ. წ. XIII ს-ით ათარიღებს. ნაშრომში ბევრი საინტერესო საკითხია აღძრული, კერძოდ, საზოგადოების სოციალურ წყობასთან, მეურნეობის ხასიათთან დაკავშირებით. ლითონს, გ. ნიორაძის აზრით, ადგილზე ამუშავებდნენ, რასაც მოწმობს წაღვერის სახელოსნო, თელოვანის ყალიბი, წიდისა და ზოდების აღმოჩენები და სხვ. იგი ეხება აგრეთვე ლითონის ნივთების ჩამოსხმის ტექნიკას. არ გამორჩენია მას აგრეთვე იმდროინდელი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული საკითხები. მისი აზრით, აქ მნიშვნელოვან როლს მზის კულტი ასრულებდა, რასაც უნდა მოწმობდეს გომნას ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი მზის დისკო და ეგებ სვასტიკის გამოსახულებაც ბრინჯაოს ბრტყელ სამაჯურზე, რომელიც მზის სიმბოლოს გადმოცემასთან იყო დაკავშირებული.

ამ ნაშრომში ვრცლადაა განხილული აგრეთვე ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი უფრო მოგვიანო ხანის მასალები.

1947 წელს გ. ნიორაძემ გამოაქვეყნა მის მიერ დმანისის სამაროვანზე ჩატარებული მუშაობის შედეგები („დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება“, საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV – B თბილისი, 1947 წ.). ჯერ კიდევ 1932 წელს, ახალი გზატკეცილის გაყვანის დროს, დმანისის მახლობლად აღმოჩნდა სამარხები. ადრე აქ შუშის ქარხანა ყოფილა და ამიტომ, როდესაც გ. ნიორაძემ ამ სამარხებში მოპოვებული მასალები გამოაქვეყნა, ამ ადგილს „შუშის ქარხნის“ სამაროვანი უწოდა.[1] 1937 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით აქ ათი სამარხი გათხარა. იგი გათხრების შედეგებისადმი მიძღვნილ ვრცელ ანგარიშში დაწვრილებით აღწერს თითოეულ სამარხს და აქ მოპოვებული ინვენტარის დეტალურ ანალიზს იძლევა. სამარხები წარმოადგენდნენ არცთუ ისე დიდი ზომის ქვაყუთებს, რომელშიც მიცვალებული მჯდომარე პოზით დაუკრძალავთ, ზურგით სამხრეთისაკენ, პირით კი ჩრდილოეთით. გ. ნიორაძემ ამ ფაქტს თავისი ახსნა მოუძებნა და აღნიშნა, რომ მიცვალებულს იქით უზამდნენ პირს, საითკენაც „საიქიო“ ეგულებოდათ, ან კიდევ მას ისეთნაირად დაასაფლავებდნენ, რომ „შეიძლებოდა“ ცქერა იმ ქვეყნისაკენ, საიდანაც წინაპრები მოსულან.

გათხრების დროს გ. ნიორაძეს ყურადღება მიუქცევია, რომ საფლავის თავზე ხშირად გვხვდება ცეცხლის ნაშთები ნახშირისა და ნაცრის სახით. იგი ცდილობს ამ წეს-ჩვეულებას ახსნა მოუძებნოს და სათანადო ეთნოგრაფიული პარალელები მოაქვს. მას მიაჩნია, რომ მთავარი მიზანი ცეცხლის დანთებისა ადამიანის საფლავზე

1 Ниорадзе Г.К., Могильник «Стеклянного завода», Проблемы истории докапиталистических обществ, № 3, М.-Л., 1934.

თავდაპირველად უნდა ყოფილიყო მიცვალებულის „მომარაგება“ ცეცხლით, რომელიც მრავალმხრივ იყო მისთვის „საჭირო“.

სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ინვენტარიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ქინძისთავები“, რომლებიც თითქოს ყველა სამარხში იდო. გ. ნიორაძე მათ ორ მთავარ ჯგუფად ჰყოფს, უძებნის ანალოგებს. ზოგჯერ ამ „ქინძისთავების“ თავი უხვადაა ორნამენტირებული. იგი საგანგებოდ ჩერდება მეორე სამარხში აღმოჩენილი პატარა ზომის „ქინძისთავზე“, რომლის თავი შემკულია რომბებითა და მზის სიმბოლური გამოსახულებით. შემდეგ გ. ნიორაძე დაწვრილებით ჩერდება მზის სიმბოლური გამოსახულების საკითხზე. მისი აზრით, დმანისის ნეკროპოლზე აღმოჩენილ „ქინძისთავებს“ დაუკარგავთ თავისი პირდაპირი ფუნქცია და მათ ტანსაცმლის შესაკრავად აღარ იყენებენ და უფრო სამკაულის დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ ზოგი მათგანი გამოყენებული იყო სადგისად ან ქამრის ბალთის ორი ნაწილის დასამაგრებლად. საამისოდ მოჰყავს სათანადო ეთნოგრაფიული მონაცემები. ეს „ქინძისთავები“ ჩანს ადგილობრივაა განვითარებული, თუმცა, მისი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ მათი პროტოტიპები სირია-პალესტინაში იყოს საძებარი.

დმანისის სამარხებში ხშირად გვხვდება ნიჟარა – კაური, რომლებიც ინდოეთსა და წყნარ ოკეანეშია გავრცელებული. ამ გარემოებისათვის გ. ნიორაძეს სათანადო ყურადღება მიუქცევია და აღნიშნავს – კავკასიაში, საფლავებში ხშირად გვხვდება ამ სახის ნიჟარები. მათ, ვითარცა სამკაულს, იყენებდნენ ძველ დროში და ფართოდ იყო ამ მიზნით გავრცელებული ძველ სამყაროში. მას ბევრი მასალა მოჰყავს ამ სახის ნიჟარების სხვადასხვა მიზნით გამოყენების შესახებ. გ. ნიორაძემ ყურადღება მიაქცია აგრეთვე ამ სამარხებში ობსიდიანის დამუშავებული ნატეხების სარიტუალო მიზნით ჩატანების ფაქტს.

გ. ნიორაძე დიდ ადგილს უთმობს ერთ-ერთ სამარხში ძაღლისა და ცხენის ნაშთების აღმოჩენის შემთხვევას და აღნიშნავს, რომ წინასწარ უნდა გაირკვეს, რა პირობებში და რა მიზნით მოხვდნენ ისინი საფლავში. იგი ცდილობს ამ ფაქტს ახსნა მოუძებნოს, რისთვისაც დიდძალი მასალა მოჰყავს როგორც კავკასიიდან, ისე სხვა მხარეებიდან. ასევე საინტერესო ახსნას იძლევა გ. ნიორაძე დმანისის ნეკროპოლზე აღმოჩენილი „პატარა“ სამარხის შესახებ, რომელშიც ნივთები იყო ჩაწყობილი, მაგრამ ჩონჩხი არ აღმოჩენილა. ადამიანი უცხო მხარეში, ან სხვა რაიმე უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა და ჭირისუფლებმა მას შედარებით მინიატიურული საფლავი გაუკეთეს და შიგ ნივთები ჩააყოლეს.

გ. ნიორაძე დიდ ადგილს უთმობს დმანისის სამაროვნის სამარხებში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელს. იძლევა მათ დეტალურ აღწერას და ყურადღებას ამახვილებს გარკვეულ ნიუანსებზე. საინტერესოა მისი მოსაზრება, რომ ჭურჭლის მხართან პატარა შვერილი ნახვრეტით, „ხელმოსაკიდი“ კი არ იყო, არამედ უნდა ყოფილიყო ამულეტის ჩამოსაკიდებლად განკუთვნილი, რათა არავის „გაეთვალა“ შიგ მოთავსებული ნივთიერება. საგანგებოდ იხილავს იგი ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ „სარკმლიან ჭურჭელს“. მას ფსკერზე დატანებული აქვს ობსიდიანის ნატეხი. ავტორს ბევრი პარალელური მასალა მოაქვს და აღნიშნავს სხვადასხვა მოსაზრებებს, გამოთქმულს ამგვარი ჭურჭლების შესახებ. მისი აზრით, დმანისის ჭურჭელი საკულტო დანიშნულებისა უნდა იყოს, მზის კულტთან დაკავშირებული.

დასასრულ, გ. ნიორაძე ეხება აგრეთვე სხვადასხვა საკითხებს ბრინჯაოს დამუშავების ტექნიკასთან დაკავშირებით, მეურნეობის ხასიათის, რწმენა-წარმოდგენების და სხვ. შესახებ. დმანისის ნეკროპოლს იგი ძვ.წ. X-IX ს-ით ათარიღებს.

1946 წელს სოფ. ქვიშარში (ამბროლაურის რაიონი) შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი. აღმოჩენის ადგილი ინახულა და იქ მცირე სადაზვერვო გათხრები ჩაატარა ბ-მა გიორგიმ. ამ საინტერესო აღმოჩენას მან ქართულ („ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები", საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV, 1948) და რუსულ ენაზე საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა.[1] სოფ. ქვიშარში ჯერ კიდევ 1939 წელს აღმოჩენილია სპილენძის ცულებისაგან შემდგარი განძი, რომლის დიდი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოხვდა. გ. ნიორაძემ განძში შემავალ ცულებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ვინაიდან, როგორც აღნიშნავს, „საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ სრულიად უცნობი სპილენძის ცულებია". ამიტომ, იგი საგანგებოდ ჩერდება ამ ცულების შესწავლაზე, იძლევა დაწვრილებით აღწერილობას და გამორიცხავს მათ პრაქტიკულ დანიშნულებას. იგი ფიქრობს, რომ ამ ცულებს უფრო რელიგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და ისინი ჭექა-ქუხილის ღვთაების შესაწირავად იყვნენ განკუთვნილი და ნამდვილი ცულების იმიტაციას წარმოადგენდნენ. იგი საკმაოდ ვრცლად იხილავს საკულტო ცულების საკითხს, მოაქვს სათანადო ანალოგიები როგორც წინა აზიიდან, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ქვიშარის ტიპის ცულებს კოლხური ცულის პროტოტიპად მიიჩნევს და მათ ხნოვანებას ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით განსაზღვრავს.

უფრო დაწვრილებით შეისწავლა გ. ნიორაძემ მეორე განძი, სადაც კოლხურ ცულებთან ერთად აღმოჩნდა ბრტყელი ცულები, სატეხი, თოხები, ნამგალი, სიტულის ყური, სამაჯურები და რგოლი-მონეტა. განძის შესწავლას იგი კოლხური ცულით იწყებს. დაწვრილებით აღწერს თითოეულ ცულს. განსაკუთრებით ჩერდება ერთ-ერთ ცულზე, რომლის ორივე მხარე მდიდრადაა ორნამენტირებული. სათანადო ყურადღებას აქცევს სპირალურ მოტივს და ფიქრობს, რომ სპირალში სტილიზებულად დახვეული გველების გამოსახულება შეიძლებოდა ყოფილიყო გადმოცემული, ირმის რქები კი თვით ირემს გადმოსცემდა. შემდეგ ვრცლად ჩერდება გველის გამოსახულებაზე, მოაქვს მდიდარი პარალელური მასალა, უპირველესად ძველი აღმოსავლეთიდან და ეგვიპტიდან. ყურადღების გარეშე არ რჩება ცულზე მოცემული სხვა გამოსახულებებიც; კონკრეტული წრეები წინწკლებით და კუბოკრული ხაზები, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებულნი იყვნენ რელიგიურ-სიმბოლურ წარმოდგენებთან.

განძში ორი ბრტყელი ცული და ერთიც მსგავსი ფორმის სატეხი აღმოჩნდა. ამ ნივთების აღწერის შემდეგ ავტორი ჩერდება მათი დანიშნულების გარკვევაზე. იგი უფრო იმ აზრისაა, რომ ეს ცულები უნდა მივიჩნიოთ ტყავის საჭრელ იარაღად. ბრინჯაოს თოხების შესახებ გ. ნიორაძე ამ იარაღთან დაკავშირებით ადრევე გამოთქმულ აზრს იმეორებს და მათ ხელეჩოებად, ხოლო სეგმენტისებურ იარაღს ტყავის დასამუშავებელ იარაღად მიიჩნევს.

დაწვრილებით ჩერდება გ. ნიორაძე ბრინჯაოს რგოლი-მონეტის განხილვაზე. ეს ნივთი, გარდა თავისი ზომებისა, იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მასზე საინტერესო ორნამენტია დატანილი. იგი დაწვრილებით აღწერს ამ რგოლს და მასზე გამოსახულ

1 Ниорадзе Г.К., Археологические находки в селе Квишари, СА, XI, М., 1949.

ორნამენტს. მას სათანადო მონაცემები მოაქვს როგორც ძველი დროიდან, ისე ეთნოგრაფიული სინამდვილიდან ამ რგოლების საცვლელ ღირებულებად გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. 1946 წელს აღმოჩენილი ქვიშარის განძი, გ. ნიორაძის აზრით, არ უნდა მივაკუთვნოთ ძვ. წ. XII ს-ზე უფრო ადრინდელ დროს.

1947 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა პატარა კოლექცია, წითელწყაროში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი. ამ კოლექციამ გ. ნიორაძის ყურადღება იმით მიიპყრო, რომ მასში შედიოდა თავისებური ფორმის მახვილი. კოლექციის დაწვრილებითი აღწერილობის შემდეგ იგი სწორედ ამ მახვილზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ იგი ნამდვილი მახვილის იმიტაცია. მას ამ მოსაზრების დასადასტურებლად, გარდა თვით მახვილის მეტად დეტალური აღწერისა, დიდძალი ანალოგიური შემთხვევები მოჰყავს, სადაც დასტურდება ნამდვილი იარაღის ნაცვლად იმიტაციაქმნილი ნივთის ჩატანების ფაქტი. ამ კოლექციდან იგი ჩერდება აგრეთვე დიადემაზე და ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ დიადემა და ხატისუღელი, რომლებსაც ხშირად ერთმანეთში ურევენ, ერთიმეორისაგან უნდა გავარჩიოთ. ამ განძს გ. ნიორაძე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს.

1950 წელს გ. ნიორაძე იწყებს სამგორის ერთ-ერთი ყორღანის გათხრას. იგი დიდი ინტერესით და ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას, ფართოდ ჩააბა ამ საქმეში ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები. სამუშაო ძალიან მძიმე და რთული იყო, დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით აწარმოებდა გათხრებს. მართალია, ამ დროის ყორღანები ადრევე გათხრილი იყო სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში, მაგრამ გათხრების მეთოდიკა იქ მაინცდამაინც სათანადო სიმაღლეზე არ იდგა. გ. ნიორაძის მიერ სამგორის ყორღანის გათხრები ამ მხრივ სანიმუშო იყო. რთული კონსტრუქციის ყრილის აღების შედეგად, რომელიც ჯერ მიწისა და შემდეგ ქვისა იყო, ცენტრში ხის ძელებისაგან შეკრული, კარგად შენახული, სწორკუთხა შენობა აღმოჩნდა. გ. ნიორაძემ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ხის ეს ნაგებობა მუზეუმში გადმოეტანა. სამწუხაროდ, გ. ნიორაძემ ამ საინტერესო ძეგლის ბოლომდე გათხრა, მასალის დამუშავება და გამოქვეყნება ვეღარ მოასწრო.

რა თქმა უნდა, გ. ნიორაძის საქართველოს ბრინჯაოს ხანისადმი მიძღვნილ ნაშრომებში სხვა ბევრი საკითხიცაა აღძრული და გამოკვლეული, მაგრამ ნათქვამიდანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდი ამაგი დასდო მან ამ პერიოდის შესწავლას.

ბორის კუფტინის ცხოვრება და მოღვაწეობა

არიან პიროვნებები, რომლებისთვისაც საქართველო ჭეშმარიტად მეორე სამშობლო გახდა. ასეთ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება გამოჩენილი მეცნიერი აკად. ბ. კუფტინი. მისთვის საქართველო ნამდვილად ძირითად სამშობლოდ იქცა. სწორედ აქ მთელი სისრულით გამობრწყინდა მისი დიდი მეცნიერული შესაძლებლობა – ნიჭი, ფართო ერუდიცია, ღრმა ცოდნა, მოვლენების თავისებურად ხედვის უნარი. მან გულითადად შეიყვარა საქართველო და მაღალმეცნიერულ დონეზე აიყვანა მისი უძველესი ისტორიის შესწავლის საქმე. არავის არც მანამდე და არც მერე არქეოლოგის თვალით არ უკვლევია ისე საფუძვლიანად საქართველოს უძველესი წარსული, როგორც აკად. ბ. კუფტინს.

თავისი სიცოცხლის ბოლო, თითქმის ორი ათეული წელი, მან საქართველოს, კავკასიის და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის შესწავლას მიუძღვნა. საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად გადმოსვლამდე ბ. კუფტინი მეცნიერთა წრეში უფრო მეტად ცნობილი იყო როგორც ეთნოგრაფი, ეთნოლოგი, მაგრამ სწორედ ჩვენში კარდინალურად იცვლება მისი მეცნიერული ინტერესები. ამიერიდან იგი თითქმის მთლიანად საქართველოს არქეოლოგიის შესწავლაზე გადაერთო. ბ. კუფტინმა სრულიად ახლებურად გაიაზრა და გააშუქა კავკასიის და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის რიგი ძირეული პრობლემები. მისმა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა ახლებური საფუძველი დაუდეს და მაღალ საფეხურზე აიყვანეს ქართული უძველესი კულტურის კვლევის საქმე.

ბორის ალექსის ძე კუფტინი დაიბადა 1892 წელს ქ. სამარაში. მამა სამხედრო პირი იყო კაპიტნის ჩინით, დედა – პედაგოგი. 1909 წელს მან დაასრულა ქ. ორენბურგის რეალური სასწავლებელი და იმავე წელს შედის მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1910-1912 წლებში სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო იგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს და მიემგზავრება ემიგრაციაში – საფრანგეთში, შვეიცარიასა და იტალიაში. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს 1914 წელს ბოტანიკის სპეციალობით და იწყებს მუშაობას ასისტენტად ბოტანიკის კათედრაზე. 1916-1917 წწ. კითხულობს ბოტანიკის კურსს სახალხო უნივერსიტეტში და მუშაობს ციტოლოგიის განხრით მოსკოვის ბოტანიკურ ბაღში. 1917 წელს კუფტინი დამატებით გამოცდებს აბარებს მოსკოვის უნივერსიტეტში ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის და გეოგრაფიის განხრით. დატოვებულ იქნა პროფ. დ. ანუჩინთან „საპროფესოროდ მოსამზადებლად“. იმავე წლებში იქვე მუშაობდა პროფ. გ. ნიორაძე და სწორედ მათმა ნაცნობობამ განაპირობა შემდეგში ბ. კუფტინის საქართველოში გადმოსახლება და მისი შემდგომი ბედი.

1918-1919 წლებში მას ირჩევენ ასისტენტად ანთროპოლოგიისა და გეოგრაფიის კათედრაზე, მოღვაწეობს მოსკოვის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტ-

ში, ხელმძღვანელობს განყოფილებას შუა აზიისა და ციმბირის ხალხმცოდნეობის ცენტრალურ მუზეუმში. გარდა ამისა, იგი მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია ეთნოლოგიის განყოფილებაში. 1919 წლიდან იგი მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტია. 1928 წელს მას ირჩევენ პროფესორის თანამდებობაზე ხალხმცოდნეობის განხრით.

სწორედ ამ ხანებში ბ. კუფტინი ინტენსიურ საველე სამუშაოებს ატარებს. იგი მონაწილეობს მრავალ ანთროპოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ამ პერიოდში იგი ფართო მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მრავალმხრივობით. 1927 წელს ნაშრომთა ციკლისათვის მას მიენიჭა საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედალი. 1929-1930 წლებში მოსკოვის პროფესურის დარბევას ვერც ბ. კუფტინი გადაურჩა და 1930 წ. იგი ტოვებს მოსკოვს და საცხოვრებლად ვოლოგდაში გადადის. ეს უმძიმესი წლები იყო ბ. კუფტინის ცხოვრებაში და სწორედ ამ დროს მას დახმარების ხელი გაუწოდა პროფ. გ. ნიორაძემ. 1933 წელს იგი უკვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტია. ამ ხანებში მუზეუმში მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები არქეოლოგიური გამოფენის მოსაწყობად და ბ. კუფტინი მაშინვე ჩაერთო ამ სამუშაოებში.

საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ ბ. კუფტინის საქმიანობა მთლიანად არქეოლოგიას უკავშირდება. უკვე 1934 წლის შემოდგომაზე იგი მონაწილეობს აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში, რომელსაც სათავეში აკად. მეშჩანინოვი ედგა. იგი იკვლევს ბრინჯაოს ხანის ძეგლებს, დოლმენურ კულტურას. როგორც ჩანს, კავკასიისადმი ინტერესი მას ჯერ კიდევ ადრე გაეღვიძა და ამას აკადემიკოს ნ. მარს უმადლის. აკი აღნიშნავს კიდეც საგანგებოდ აკად. ნ. მარისადმი მიძღვნილ თავის ერთ-ერთ ნაშრომში, რომ მან კარდინალურად შემოაბრუნა კავკასიასა და კერძოდ საქართველოსკენ მისი მეცნიერული გზა. ამრიგად, ორმა ქართველმა – ჯერ აკადემიკოსმა ნ. მარმა, შემდეგ კი პროფესორმა გ. ნიორაძემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მის პირად ცხოვრებაში და თავისი შემდგომი ბედი მან მთლიანად საქართველოს დაუკავშირა. რუსეთში მოღვაწე რიგითი მეცნიერისაგან, იგი მსოფლიო მნიშვნელობის მკვლევარი სწორედ საქართველოში გახდა. ამაში კი უდიდესი დამსახურება უკვე აკად. ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. როდესაც 1936 წელს ხრამჰესის მნიშვნელობასთან დაკავშირებით წალკის პლატოს არქეოლოგიურად შესწავლა დადგა დღის წესრიგში, ბატონმა ივანემ, მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებისა, არჩევანი ბ. კუფტინზე შეაჩერა. ივ. ჯავახიშვილმა მაშინვე იგრძნო მისი მეცნიერული შესაძლებლობა და არც ამ შემთხვევაში უმტყუნა ალღომ. თრიალეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა საქართველოს წარსულზე და შორეულ სიღრმეში გადაიტანა საერთოდ კავკასიის უძველესი ისტორიის ფესვები. დღესაც კი გაოცებას იწვევს, თუ როგორ შეძლო ბ. კუფტინმა შედარებით მოკლე დროში იმ ხანისათვის ფართო არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, მოპოვებული მასალის დამუშავება, მისი ანალიზი და გათხრების დაწყებიდან ხუთი წლის თავზე, 1941 წელს, თავისი ბრწყინვალე ნაშრომის გამოქვეყნება – „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“, ძეგლების პერიოდიზაციის ცდა, რომელსაც იგი ივანე ჯავახიშვილის ნათელ ხსოვნას უძღვნის. ამ ნაშრომმა პირველად საბჭოთა არქეოლოგიაში, 1942 წელს, სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

1944 წელს ბ. კუფტინი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამავე წელს მას დაუცველად ანიჭებენ დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. 1946 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია.

თრიალეთში მის მიერ მოპოვებული ძეგლებისადმი მიძღვნილი ნაშრომი არ არის მხოლოდ აქ აღმოჩენილი მასალების საფუძველზე დაწერილი. ბ. კუფტინი ფართოდ სარგებლობს საქართველოს და საერთოდ სხვა მუზეუმებში დაცული მასალებით. ფართო და ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ იგი იძლევა პერიოდიზაციის ცდას ქვის ხანიდან მოკიდებული ვიდრე შუა საუკუნეების დამდეგამდე. მართალია, მოსალოდნელი იყო, რომ ბ. კუფტინი წესისამებრ ჯერ თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგებს გამოაქვეყნებდა და ამის შემდეგ შექმნიდა შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომს, მაგრამ პირიქით მოხდა. არაერთხელ მსმენია საყვედური მისი მისამართით ამ საკითხებთან დაკავშირებით, საყვედური მისი გათხრების მეთოდის მისამართით. შეიძლება ეს საყვედურები ზოგ შემთხვევაში მართებულიც იყო, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩვენ შედეგებზე უნდა ვიმსჯელოთ. შედეგები კი ბრწყინვალე იყო. მის მიერ შემუშავებულ პერიოდიზაციას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და იგი იმდენად მარჯვე გამოდგა, რომ კავკასიის სიძველეებზე მომუშავე სპეციალისტები ძირითადად ისევ ბ. კუფტინის მიერ დადგენილი ქრონოლოგიის სისტემით სარგებლობენ. ამიტომაცაა, რომ ეს ნაშრომი დღესაც ძირითადად სამაგიდო წიგნად რჩება ყველასათვის, ვინც კავკასიის და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიითაა დაინტერესებული. ბ. კუფტინის ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს და სრულიად კავკასიის წარსულის შესწავლის ახალი ეტაპი დგება. შემდეგში, 1947-1948 წლებში, ბ. კუფტინი კვლავ უბრუნდება წაკლის პლატოს, რამდენიმე საინტერესო ძეგლს თხრის, რომელთაც ცალკე წიგნს უძღვნის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ. კუფტინის მიერ თრიალეთში მოპოვებული მასალების საფუძველზე მანამდე სრულიად უცნობი გვიანბრინჯაოს ხანაზე უწინარესი – მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების გამოყოფა. მანამდე უპირატესად გავრცელებული იყო აზრი კავკასიის შედარებით გვიანი დასახლების შესახებ. მუზეუმის კოლექციების და თრიალეთის მასალების შესწავლის შედეგად მან სამხრეთ კავკასიაში პირველმა დაადგინა თავისებური კულტურის არსებობა, რომელიც გასაოცარ ერთგვაროვნებას ამჟღავნებს თავისი გავრცელების ფართო ტერიტორიაზე. ბ. კუფტინმა ეს კულტურა ძვ.წ. III ათასწლეულს მიაკუთვნა და სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა. ამ კულტურის გავრცელების რეგიონის მიხედვით მან მას „მტკვარ-არაქსის“ კულტურა უწოდა. ბ. კუფტინმა ამ ნაშრომში ამომწურავად დაახასიათა ეს ბრწყინვალე კულტურა, გამოყო წამყვანი ტიპები, განსაკუთრებით კერამიკაში და აღნიშნა მისი თავისებური, სრულიად დამოუკიდებელი ხასიათი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ძველაღმოსავლურ სამყაროს ყველა სინქრონული კულტურისაგან. დღეს დიდად გაიზარდა ინტერესი ამ კულტურისადმი; მისი გავრცელების ტერიტორია გასცდა მტკვრისა და არეზის ორმდინარეთს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბ. კუფტინის მიერ შემოთავაზებული სახელწოდება ამ კულტურისა ამჟამადაც ძალაშია, თუმცა არაერთი ცდა იყო მის შეცვლისა. სხვადასხვა მოსაზრებებია მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის, მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის შესახებ და სხვ. მაგრამ ბ. კუფტინისეული დახასიათება ამ კულტურისა ძირითადად ისევ ხელუხლებელი დარჩა.

ბ. კუფტინი თავიდანვე დიდი გულისყურით შეუდგა საქართველოს მუზეუმში დაცული მდიდარი არქეოლოგიური ფონდების შესწავლას. ყოფილ კავკასიის მუზეუმში თავმოყრილი იყო შესანიშნავი მასალები მთელი კავკასიიდან და შეიძლება ითქვას, რომ ბ. კუფტინამდე ეს უმდიდრესი კოლექცია ფართო შესწავლის საგნად არავის გაუხდია. სწორედ ფონდებში მუშაობის შედეგად იბადება მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაშრომი, რომელიც საგანგებოდ ეძღვნება საქართველოს ბრინჯაოს კულტურას – "ქართული კულტურის უძველესი ფესვების საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით". იგი მიმოიხილავს ბრინჯაოს კულტურის ყველა ეტაპს, გამოყოფს ცალკეული სტადიისათვის დამახასიათებელ ლითონის ნივთების წამყვან ტიპებს, სისტემაშია მოყვანილი თითქმის მთელი იმ დროისათვის ცნობილი კოლექციები და, წინააზიური მასალების ფონზე მოცემულია საქართველოს და სრულიად კავკასიის ბრინჯაოს კულტურის განვითარების საფეხურები. ამ ნაშრომში, ბრინჯაოს ხანის მასალების ანალიზის გზით, ავტორი აყენებს საკითხს, თუ სად არის საძებარი ქართული კულტურის უძველესი ფესვები და დაასკვნის, რომ ქართველი ერის მშვენიერი სამშობლო იმავე დროს მისი კულტურის უძველეს სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. იგი აღნიშნავს, რომ არანაირი საფუძველი აღარ არსებობს იმისათვის, რომ ამ კულტურის ცენტრები სადღაც შორეულ მესოპოტამიასა და მცირე აზიაში ვეძიოთ. სწორედ სამხრეთ კავკასია წარმოადგენდა ქართველი ხალხის სამშობლოსაც და უძველეს სამშობლოსაც. ბ. კუფტინმა არქეოლოგიური მასალების საფუძველზე პირველმა წამოაყენა დებულება, რომ ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის საწყისები ადგილობრივაა საძებარი. ამიტომ ის მინაწერი რედაქტორისაგან, რომელიც ამ ნაშრომს ახლავს, სრული გაუგებრობაა. ქართული კულტურის ავტოქთონობის საკითხი არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით მანამდე არავის უკვლევია.

არა გვგონია მართებული იყოს ერთ-ერთი დიდად პატივსაცემი მკვლევრის მოსაზრება, თითქოს კუფტინის იდეა საქართველოს და საერთოდ კავკასიის კულტურის უწყვეტი განვითარების თაობაზე ნ. მარის გავლენის შედეგი იყო, რომელიც უარყოფდა „მიგრაციის ბურჟუაზიულ თეორიას". ბ. კუფტინი ნ. მარის ძლიერ გავლენას განიცდიდა და, მისი მოძღვრების თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ნ. მარი აქ არაფერ შუაშია. ბ. კუფტინი არქეოლოგიურ მასალის ანალიზის გზით მივიდა ამ დასკვნამდე.

1945 წელს ბ. კუფტინი ახორციელებს სამარშრუტო ექსპედიციას შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში და იმერეთში. ექსპედიციის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს იგი ცალკე წიგნს უძღვნის, რომელშიც განიხილავს არქეოლოგიური დაზვერვების დროს მოპოვებულ მასალას და მუზეუმის ფონდში დაცულ კოლექციებს ამ რეგიონებიდან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხინვალის ნაცარგორაზე ანაკრეფი მასალის საფუძველზე ამ უნიკალური ძეგლის შესახებ გამოტანილი დასკვნები. მას დიდი სურვილი ჰქონდა ამ ნამოსახლარის თუ საკულტო ხასიათის ძეგლის გათხრისა და შესწავლისა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ მიეცა.

დიდია ბ. კუფტინის ღვაწლი დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლაში. მან კოლხეთის სიძველეებს შესანიშნავი ორტომიანი გამოკვლევა უძღვნა. იგი იკვლევდა აფხაზეთის დოლმენებს და ცდილობდა მათ სწორ დათარიღებას. დიდია მისი დამსახურება კოლხური კულტურის შესწავლის საქმეში. მან პირველმა მეცნიერულად შეისწავლა კოლხეთის დაბლობის ადრეულ ნამოსახლარზე მოპოვებული

მასალა. რომ არა ბ. კუფტინი მეცნიერებისათვის შეიძლება დაკარგულიყო დიხაგუ-ძუბას და ნაოხვამუს ნამოსახლარების კოლექციები.

ბ. კუფტინმა, უკვე სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა, არაერთგზის მიიღო მოწვევა კვლავ დაბრუნებულიყო სამუშაოდ იქ, საიდანაც თავის დროზე გაძევებულ იქნა. მას სთხოვდნენ სათავეში ჩადგომოდა პალეოეთნოლოგიის განყოფილებას. მაგრამ, მიუხედავად მაცდური წინადადებისა, იგი საქართველოს ვერ ელეოდა.

ორმოციანი წლების ბოლოს ბ. კუფტინი მიწვეული იყო შუა აზიაში, სამხრეთ თურქმენეთის არქეოლოგიურ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. იგი იქ სწავლობდა ბრინჯაოს ხანის მრავალფენიან ნამოსახლარს – ნამაზგა-თეფეს. მან დიდი გატაცებით დაიწყო მუშაობა, დიდი გეგმებიც ჰქონდა, მაგრამ იქ მხოლოდ სამი წელი იმუშავა. ამ მოკლე დროში ბ. კუფტინმა რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა ამ ძეგლს და მოგვცა ნამაზგა-თეფეს კულტურის პერიოდიზაცია, რომელიც იმდენად მარჯვე გამოდგა, რომ დღესაც ძირითადად ამ პერიოდიზაციით სარგებლობენ. ამავე წლებში იგი პარალელურად განაგრძობდა მუშაობას საქართველოში.

ვერ ვიტყოდი, რომ ბ. კუფტინის მოღვაწეობა საქართველოში ყოველთვის იავარდით იყო მოფენილი. მას ხშირად დიდი დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდა, განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ. ბევრი ხელისშემშლელი პირობა იქმნებოდა ექსპედიციებთან დაკავშირებით, ზოგჯერ ეგებ სამართლიანი, უპირატესად კი ნამდვილად უსამართლო. თავისი დაუოკებელი მეცნიერული ინტერესების გამო იგი ზოგჯერ შესაძლოა თავს ვერ იკავებდა და ერთგვარად არღვევდა კიდეც გარკვეულად ეთიკურ ნორმებს. მაგრამ ეს უპირატესად გამოწვეული იყო იმით, რომ მის სწრაფვას, მეცნიერულ ინტერესს, მუშაობის ტემპს მხარს ვერ უბამდნენ. ბ. კუფტინისათვის კი ყოველ ახალ აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ვერ ურიგდებოდა იმ ინერტულობას, რომელიც ზოგჯერ სუფევდა ჩვენში, არქეოლოგთა შორის. უპირატესად ამის გამო მის ირგვლივ ხანდახან კონფლიქტური სიტუაციები იქმნებოდა, თუმცა დიდი თავშეკავებით არც თვითონ გამოირჩეოდა!

საგანგებოდა უნდა აღინიშნოს ბ. კუფტინის დამოკიდებულება და განსაკუთრებული სიყვარული საქართველოს მუზეუმისადმი. სწორედ აქ, საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, დაიწყო მან თავისი მეცნიერული მოღვაწეობა, აქვე ინახებოდა მის მიერ ექსპედიციებში მოპოვებული მასალები. აქ შეხვდა იგი პირველად ივ. ჯავახიშვილს, რომლის უშუალო ხელის შეწყობით განახორციელა თავისი მეცნიერული ინტერესები. ამიტომ, როდესაც, გარკვეული მიზეზების გამო, ბ. კუფტინი რამდენიმე თანამშრომელთან ერთად სამუშაოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გადაიყვანეს სამუშაოდ, იქამდე ვერ მოისვენა, სანამ უკან არ დააბრუნეს მუზეუმში, თავის ძველ ადგილას. მაგრამ, ზაფხულზე დასასვენებლად წასულს მუზეუმში მუშაობის განახლება, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა. 1953 წლის ზაფხულში ბრმა, ტრაგიკულმა შემთხვევამ უდროოდ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე.

ძნელია ილაპარაკო ბ. კუფტინზე და არ მოიგონო მისი მეუღლე, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, ცნობილი პიანისტი ვალენტინა კონსტანტინეს ასული სტაშენკო-კუფტინა, რომელიც ამავე დროს ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდებული გამოკვლევა, სქელტანიანი მონოგრაფია, რომელიც მან ფლეიტა პენოს შესწავლას მიუძღვნა.

საინტერესოა ივ. ჯავახიშვილისეული დახასიათება ამ ნაშრომისა. „ეს ნაშრომი საფუძვლიანს, ყოველმხრივ გამოკვლევას წარმოადგენს ქართულ სოინარზე, რომლის შესახებ წინათ თითქმის არაფერი მოგვეპოვებოდა. ამ საკრავის შემზადებისა და ხმარების აღწერილობის გარდა, მისი ყოველმხრივი განაზომებიც არის მოყვანილი, ჩაწერილია, რასაც სოინარსა და ლარჯემზე დასავლეთ საქართველოში უკრავენ, ამას გარდა ავტორს ეს საკრავი სხვა, ძველ და თანამედროვე ხალხთა მსგავს საკრავებთანაც აქვს შედარებული. სტაშენკო არც ამით კმაყოფილდება, არამედ ამ საკრავის შესწავლით მოპოვებული შედეგით ქართული მრავალხმიანი მუსიკის მტკიცე ინტერვალების საკითხის გადაჭრასაც ცდილობს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ორივე ზემოთ დასახელებული გამოკვლევა (იგულისხმება Беляев В.М., К вопросу изучения Грузинских музыкальных инструментов. საქ. მუზეუმის მოამბე IX-B, 1936 წ.) მნიშვნელოვანია ქართული საკრავიერი მუსიკის შესასწავლად, რომელზედაც აქამდე, საკრავების მარტივი აღწერილობის გარდა, არაფერი მოგვეპოვებოდა“.

ბ. კუფტინის ოჯახი იმხანად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ქალბატონი ვალენტინა ხშირად გამოდიოდა სოლო კონცერტებით, რომელსაც სიამოვნებით ისმენდნენ მუსიკის მოყვარულნი. მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ჩვენს მოწინავე ინტელიგენციასთან, განსაკუთრებით ხელოვანთა წრიდან, რომელთაგან უნდა მოვიხსენიოთ ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, ლადო გუდიაშვილი და სხვ. მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გამოჩენილ რუს მუსიკოსებთან რიხტერთან, ნეიჰაუზთან და სხვ., რომლებიც იმხანად ხშირად სტუმრობდნენ თბილისს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ თავისი ორი როიალიდან ქალბატონმა ვალენტინამ ერთი ანდერძად რიხტერს დაუტოვა.

ნამდვილად შემზარავია ამ ოჯახის დასასრული, რომელსაც მახლობელთაგან ამ ქვეყნად თითქმის არავინ შემორჩა. დარჩა მათი მეცნიერული მემკვიდრეობა და კიდევ ერთი პატარა ქუჩა ძველი თბილისის უბანში, რომელიც ბ. კუფტინის სახელს ატარებს.

ბ. კუფტინის ბოლო თხოვნა, რომელიც მან თავის მეუღლეს დაუბარა, ის იყო, რომ მისი ცხედარი ქართული მიწისათვის მიებარებინათ. მისმა მეუღლემაც, რომელმაც არ ისურვა სიცოცხლის გაგრძელება საყვარელი ადამიანის დაკარგვის შემდეგ, ანდერძად ის დაიბარა, რომ საქართველოში დაეკრძალათ. ეს კუფტინის ოჯახის საქართველოსადმი მადლიერების გრძნობის ბოლო გამოხატულები იყო.

ასე დასრულდა Великий Куфтин-ის, როგორც მას ერთ-ერთი უცხოელი არქეოლოგი უწოდებდა, სიცოცხლე.

ანდრია აფაქიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე დაიბადა 1914 წლის სექტემბერში, სენაკის რაიონის სოფელ ზანაში. 1916 წელს მისი ოჯახი საცხოვრებლად ბაქოში გადავიდა. 1918 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახი კვლავ ბრუნდება ზანაში. 1925 წლიდან სწავლა განაგრძო სენაკის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც 1932 წელს დაამთავრა. იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1937 წელს, ასპირანტურაში არქეოლოგიის განხრით დატოვეს.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში (1933-35 წწ.) გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში მუშაობდა. 1935-36 წლებში მოღვაწეობს საქართველოს არქეოლოგიის ინსტიტუტში, ხოლო ამ ინსტიტუტის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში გადასვლის შემდეგ, მუშაობას ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად განაგრძობს.

აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლას. უკვე სტუდენტობის წლებიდან დაინტერესდა არქეოლოგიით და მონაწილეობდა არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში საკაჟიას გამოქვაბულში, რომელსაც მისი მასწავლებელი, პროფესორი გიორგი ნიორაძე ედგა სათავეში. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ასპირანტია არქეოლოგიის დარგში. 1941 წელს მან პირველმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად არქეოლოგიის განხრით. მისი ნაშრომი ეხებოდა კახეთის ბრინჯაოს ხანის კულტურას, რომელიც მანამდე არქეოლოგიურად თითქმის სრულიად შეუსწავლელი იყო. ამ შრომაში ნათლად გამოჩნდა მისი მეცნიერული ალღო, ფაქტების ამეტყველების და განზოგადების დიდი უნარი, კვლევის მაღალი დონე. ამ გამოკვლევით ანდრია აფაქიძემ საფუძველი დაუდო არქეოლოგიურად ამ მეტად საინტერესო მხარის შესწავლას. ის ერთ-ერთი მათგანია, ვინც მცხეთის არქეოლოგიურად შესწავლის დაწყებისთანავე აქტიურად ჩაება ექსპედიციის მუშაობაში ჯერ არმაზისხევში, შემდეგ კი სამთავროს სამაროვანზე, უშუალო მონაწილეა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დიდი აღმოჩენებისა არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე. ამ აღმოჩენებმა განსაზღვრა ძირითადად მისი მუშაობის შემდეგომი გზა და იგი უპირატესად საქართველოს ანტიკური პერიოდის შესწავლით ინტერესდება. მეცნიერი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ერთხანს ჩამოაშორა საყვარელ საქმეს.

1942 წელს ანდრის აფაქიძე ბრუნდება ფრონტიდან. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ აქტიურად ჩაერთო ახლად დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მუშაობაში. 1943 წლის 19 ივლისს იგი აკადემიის სისტემაში ახლად შესულ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად ინიშნება. სწორედ აქ გამოვლინდა მისი კიდევ ერთი მხარე მოღვაწეობისა – ხელმძღვანელ-ორგანიზატორისა.

ცნობილია, თუ რა დიდი ენერგია მიაქვს სამუზეუმო საქმეს, თანაც მან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. სწორედ მაშინ ჩაუდგა ის სათავეში საქართველოს და სრულიად კავკასიის ამ უძველეს სამეცნიერო დაწესებულებას, როდესაც სამუზეუმო კოლექციები ის-ის იყო ომიანობის წლებში გადატანილი საცავებიდან დაბრუნდა. საქართველოს მუზეუმი, რომელიც ყოფილი კავკასიის მუზეუმის ბაზაზე აღმოცენდა, რთული სამეცნიერო დაწესებულება გახლავთ. აქ ერთადაა წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დისციპლინები და წმინდა სამუზეუმო საქმის გარდა, დიდი სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს. ანდრია აფაქიძისათვის მუზეუმი უცხო დაწესებულება არ იყო. ადრე სწორედ აქ, მუზეუმის კოლექციებზე მუშაობისას მიიღო პირველი წრთობა არქეოლოგიაში, თავიდანვე სწორად წარმართა საქმიანობა. პირველი რიგის ამოცანა იყო დაბრუნებული კოლექციების მოწესრიგება, მათი მოვლა-პატრონობა. მეცნიერმა ამ უმძიმეს საქმეს დიდი ენერგიის ფასად ბრწყინვალედ გაართვა თავი და მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ ქართველი ხალხის უმდიდრესი საუნჯე დღეს საიმედოდ არის დაცული. თავიდანვე მან მთავარი ყურადღება კოლექციების კატალოგიზაციის, ნივთების რესტავრაცია-გამაგრების საქმეზე გადაიტანა. მის დროს გაფართოვდა და მაღალ მეცნიერულ დონეზე ამაღლდა სარესტავრაციო ლაბორატორია. ამავე დროს მეცნიერის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა საგამოფენო-საექსპოზიციო სამუშაოები. მის დროს აღსდგა და ახალი მასალით შეივსო მუზეუმის გამოფენები. აღსანიშნავია მისი თაოსნობით მუზეუმში მოწყობილი გამოფენა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის მიერ პარიზიდან დაბრუნებულ კოლექციებს მიეძღვნა. მისი თაოსნობით სეიფში პირველად გამოიფინა თრიალეთში, ახალგორში, მცხეთაში და სხვ. მოპოვებული ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთი ექსპონატები.

ანდრია აფაქიძე წმინდა სამუზეუმო საქმეს შესანიშნავად უთავსებდა მეცნიერულ მუშაობას, აქვეყნებდა წერილებს მუზეუმში დაცული საინტერესო კოლექციების – ურეკის განძის, ბორის კოლექციის და სხვათა შესახებ, აღსანიშნავია ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გამოქვეყნებული მისი პატარა, მაგრამ უაღრესად საყურადღებო წერილი, რომელიც ანთიმანის მოპოვების და წარმოების საკითხს ეხება. ეს პრობლემა დღეს ამ მადნის მახლობელ აღმოსავლეთში გამოჩენასა და გავრცელებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აქტუალურია. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ანდრია აფაქიძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ეს საკითხი წამოსწია და კვლევის საგნად გახადა.

1943 წელს მუშაობა განაახლა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და მეცნიერი ველზე თავის საყვარელ საქმიანობას უბრუნდება. იგი ჯერ არმაზისხევის სამაროვნის გათხრებში მონაწილეობს, შემდეგ კი ფართო სამუშაოებს იწყებს ბაგინეთზე. ბაგინეთი, არმაზციხე საკმაოდ რთული გასათხრელი ობიექტი იყო. მაგრამ გონივრულად წარმართული მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი ამ ძველ აკროპოლისზე მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენა. ბაგინეთის გათხრებისას გამოვლინდა მისი საველე მუშაობის დიდი უნარი. სწორედ აქ მუშაობისას ჩამოყალიბ-

და მისი ძირითადი მეცნიერული ინტერესი ანტიკური ხანის ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლისა. ამ პრობლემას ანდრია აფაქიძე არაერთ ნაშრომს უძღვნის, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური მონოგრაფია „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“. ამ ნაშრომის საფუძველზე მოიპოვა 1959 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ნაშრომში ნათლად გამოვლინდა მისი, როგორც მკვლევრის ფართო დიაპაზონი, მეცნიერული ალღო და ფაქტების ამეტყველების დიდი უნარი. აქ მთელი სისრულით არის წარმოჩენილი ანტიკური ხანის საქართველო, ამ დროის ქალაქი.

მეცნიერის კვლევის მთავარი ობიექტია მცხეთა და სწორედ აქ მოპოვებული მასალა უდევს საფუძვლად მის ნაშრომს. ავტორს მთელი რიგი საკვანძო საკითხები სრულიად ახლებურად აქვს განხილული, დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზე მან პირველმა მოგვცა პერიოდიზაციის ცდა, ნაჩვენები აქვს, თუ დროთა ვითარებაში როგორ იცვლის სახეს ქალაქი და შესაბამისად საქალაქო ცხოვრება. ავტორი დეტალურად იხილავს ხელოსნობის დარგებს, სამშენებლო საქმეს და არქიტექტურას. მასალის საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევს მას, ღრმად ჩასწვდეს საქალაქო ცხოვრებას, გაერკვეს მის ნიუანსებში, ფართოდ იყენებს იგი წერილობით ცნობებს.

ანდრია აფაქიძე ერთ-ერთი ავტორია შესანიშნავი გამოკვლევისა, რომელიც არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე მოპოვებულ მასალებს ეძღვნება. ამ მონოგრაფიაში მთელი სისრულითაა წარმოდგენილი ის ბრწყინვალე შედეგები, რომლებმაც სრულიად ახლებურად გააშუქეს საქართველოს ძველი ისტორიის არაერთი კარდინალური საკითხი. ამ ნაშრომმა უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს, კავკასიის და საერთოდ, გვიანანტიკური სამყაროს შესწავლის საქმეში, მის ავტორებს კი საყოველთაო აღიარება მოუტანა. ამ მონოგრაფიით ჩაეყარა საფუძველი მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალების გამოცემას.

ანდრია აფაქიძის მუშაობის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი ისიცაა, რომ იგი თავის ირგვლივ ახალგაზრდა სპეციალისტებს იკრებს და ყოველნაირად უწყობს ხელს მათ შემდგომ ზრდას. ასე იყო მაშინ, როდესაც მას საქართველოს მუზეუმის მუშაობაში კარდინალური ცვლილებები შეჰქონდა, ასე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელობისას და ასეა დღეს, როდესაც იგი მცხეთის არქეოლოგიურ ინსტიტუტს უდგას სათავეში. მეცნიერმა ბევრ ახალგაზარდას გაუკვლია გზა, გაუღრმავა და ჩაუნერგა სიყვარული საქართველოს უძველესი ისტორიისა. მისი მოწაფეები დღეს წარმატებით სწავლობენ საქართველოს უძველესი ისტორიის სხვადასხვა ეპოქებს.

50-იანი წლების დასაწყისიდან ანდრია აფაქიძის მეცნიერულ მოღვაწეობაში ახალი ეტაპი დგება. აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, მცხეთაში მუშაობის შემდეგ, იგი თითქმის მთლიანად დასავლეთ საქართველოს შესწავლაზე გადაერთო. ფართო მეცნიერული ინტერესების ყურადღების ცენტრში ექცევა, ძირითადად, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. სწორედ აქ, საქართველოს შავიზღვისპირეთის ამ მონაკვეთში ძველ ავტორებთან და ქართულ საისტორიო მწერლობაში არა ერთი და ორი ცნობილი ძეგლია მოხსენებული. ანდრია აფაქიძე შესასწავლად „დიდ პიტიუნტს“ ირჩევს, რომელიც მანამდე არქეოლოგიურად თითქმის სრულიად გამოუკვლეველი იყო.

ექსპედიცია თავიდანვე რთული ამოცანების წინაშე იდგა, მაგრამ ორი ათეული წლის განმავლობაში გაწეულმა დიდმა შრომამ ფუჭად როდი ჩაიარა და მისმა საველე-არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. ამ ურთულეს, გრანდიოზულ ძეგლშიც არქეოლოგიური გათხრები და საძიებო სამუშაოები თითქმის ერთდროულად სრულდებოდა.

ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში გაწეული ანდრია აფაქიძის მიერ შრომა ბრწყინვალედ დაგვირგვინდა და დღეს ქართულ ისტორიულ მეცნიერებას შეემატა გამოკვლევების შესანიშნავი სერია – „დიდი პიტიუნტი“, რომლის რამდენიმე ტომია უკვე გამოცემული. აქ შეჯამებულია მრავალწლიანი მუშაობის შედეგია. მისმა ხელმძღვანელმა საქმეში ექსპედიციის თითქმის ყველა წევრი ჩააბა, ასე რომ, ნაშრომი კოლექტიური შრომის შედეგია. „დიდი პიტიუნტის“ I ტომი იწყება ანდრია აფაქიძის ვრცელი გამოკვლევით, რომელშიც ერთხელ კიდევ გამოჩნდა მისი დიდი ერუდიცია, და, რაც მთავარია, საქმის უდიდესი ინტერესი. მან ჭეშმარიტად დიდი ენერგია შეალია ბიჭვინთის შესწავლას. ბევრი სირთულეების გადალახვაც უხდებოდა, მაგრამ არ შეუშინდა და საქმის დიდმა სიყვარულმა ყველა სიძნელე გადაატანინა. ნაშრომში იგი ვრცლად იხილავს შესწავლის ისტორიას, იძლევა „ბზიბის ქვეყნის“ არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაციის ცდას. განხილული აქვს წერილობითი წყაროები, დაწვრილებით სწავლობს ციხე-ქალაქს თავისი საფორტიფიკაციო ნაგებობით, სამშენებლო საქმეს, არქეოლოგიურ მასალას და სხვ. რაც მთავარია, ბიჭვინთის ექსპედიციის მიერ მოპოვებული ზღვა მასალა მთლიანად არის გამოქვეყნებული. ამ ექსპედიციის შედეგებმა უთუოდ ბევრი ახალი ფურცელი შემატა ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიას.

ანდრია აფაქიძის მეცნიერულმა ინტერესმა 70-იან წლებში კვლავ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოინაცვლა, იგი მცხეთას უბრუნდება, საიდანაც დაიწყო მეცნიერის მრავალწლიანი კვლევითი მუშაობა. სათავეში უდგება „დიდი მცხეთის“ არქეოლოგიურ ექსპედიციას და კვლავ ჩვეული ენთუზიაზმით იწყებს მუშაობას. ფართოდგაშლილი არქეოლოგიური სამუშაოები ბრწყინვალე აღმოჩენებით დაგვირგვინდა. დღეს დიდად გაიზარდა ჩვენი ცოდნა ამ ისტორიულად მეტად მნიშვნელოვანი მხარის წარსულზე. ანდრია აფაქიძე, როგორც ყოველთვის, ახლაც უდიდეს ყურადღებას აქცევს მოპოვებული მასალების გამოსაცემად მომზადებას. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა ამ ექსპედიციის შრომების სერია „მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“, რითაც საქართველოს, კავკასიის და საერთოდ, მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის შესწავლისათვის უთუოდ დიდად სასარგებლო საქმე გაკეთდა. ყველა ტომის რედაქტორი ანდრია აფაქიძეა. არის, აგრეთვე, თანაავტორი ექსპედიციის მუშაობის ანგარიშებისა. იგი სამუშაოდ კვლავ უბრუნდება ბაგინეთს, არმაზციხეს და შედეგებმაც არ დააყოვნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სულ ბოლოდროინდელი სამუშაოები ნარეკვავში ნავთსადენის ტრასასთან დაკავშირებით, რაც შესანიშნავი შედეგებით დაგვირგვინდა. ნაპოვნი იყო რამდენიმე „წარჩინებული მეომრის“ დიდებული სამარხები. ბატონი ანდრო დღეს სათავეში უდგას მის მიერ ჩამოყალიბებულ მცხეთის არქეოლოგიურ ინსტიტუტს, რომელმაც საგრძნობლად გააფართოვა სამუშაოები „დიდი მცხეთის“ რეგიონში.

ანდრია აფაქიძის თაოსნობით შეიქმნა პირველი სახელმძღვანელო საქართველოს არქეოლოგიაში, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ ჯერ კიდევ 1959 წელს გამოსცა. თვითონ არის ამ ნაშრომის რედაქტორი და შესავლისა და

ერთ-ერთი თავის ავტორი. მას წილად ხვდა ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის დაწერა „საქართველოს ნარკვევებში“ (ტომი I).

ძნელია მთელი მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის წარმოჩენა. მეცნიერის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი საქართველოს არქეოლოგიის სხვადასხვა საკითხზე. აღსანიშნავია ანდრია აფაქიძის ნაშრომები არმაზციხის ლოკალიზაციის შესახებ, არმაზისხევის პიტიახშებზე დაწერილი გამოკვლევა და სხვ. მეცნიერმა ქართულ არქეოლოგიის განვითარებას უძღვნა რამდენიმე ნაშრომი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ანდრია აფაქიძის თანამშრომლობა საბუნებისმეტყველო დარგის წარმომადგენლებთან. მან არაერთი სპეციალისტი ჩააყენა არქეოლოგიის სამსახურში. იგი იყო პირველი, ვინც გეოფიზიკოსები უშუალოდ ჩააბა არქეოლოგთა საქმიანობაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ფიზიკოსებთან ერთობლივად გაწეული შრომა. იგი თანაავტორია მეტად სასარგებლო ნაშრომისა, რომელიც არქეოლოგიური ნიმუშების რადიონახშირბადის მეთოდით მიღებულ თარიღებს ეძღვნება. მასში თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში მიღებული თითქმის ყველა თარიღია თავმოყრილი. ეს ნაშრომი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებს.

დიდია და მრავალმხრივი ანდრია აფაქიძის მეცნიერული ინტერესები. საღი აზრი, ახლის ძიება, მომავლის განჭვრეტის უნარი და, რაც მთავარია, კეთილსინდისიერება და საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, ყოველივე ეს არის მისი მეცნიერული მუშაობის და საზოგადო მოღვაწეობის წარმატების საწინდარი. იგი სულ ახლის ძიებაშია, ზოგჯერ მის მიერ წამოყენებული დებულება შეიძლება მეტ საბუთიანობას მოითხოვს, მაგრამ თვით აზრი იმდენად წარმტაცია, რომ დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ანდრია აფაქიძე წმინდა კვლევით მუშაობასთან ერთად წარმატებით ათავსებს სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობას. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში უდგას სათავეში ქართულ არქეოლოგიას. ანდრია აფაქიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისიის მუშაობაში მისი ჩამოყალიბების დღიდან მონაწილეობს, ჯერ როგორც თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ კი როგორც მისი ხელმძღვანელი. ეს ის ხანაა, როდესაც საქართველოში ფართოდ იშლება არქეოლოგიური სამუშაოები და კომისიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო, სწორად წარემართა ექსპედიციის კვლევა-ძიება, თვალყური ედევნებინა მოპოვებული მასალის მოვლა-პატრონობისათვის, ძეგლების რესტავრაციისათვის და სხვ. ქართული არქეოლოგიური სკოლის წარმატება, ძირითადად, კომისიის სწორი მუშაობის შედეგი გახლდათ. ამაში კი უდიდესი დამსახურება მას ეკუთვნის.

1967 წელს ანდრია აფაქიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. 1983 წლიდან კი იგი აკადემიის ნამდვილი წევრია. 1980-1986 წლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას ხელმძღვანელობდა. წლების მანძილზე იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა*

ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა ამ ქვეყნად ზუსტად ოთხმოცი წელი იცხოვრა. მისი სიცოცხლე უეცრად შეწყდა მუზეუმში, საწერ მაგიდასთან, ბოლო წლებში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაზე მუშაობისას, მისი მამის, დიდი ივანე ჯავახიშვილის მსგავსად, რომელმაც ასევე მოულოდნელად დალია სული კათედრასთან, მოხსენების კითხვისას. დიდი ივანეს ძეობა არცთუ ადვილი იყო, მაგრამ ლალიმ უთუოდ ღირსეულად ატარა დიდი მამის სახელი და სახელოვნად გააგრძელა მისი საქმე. თანაც თითქოს შეასრულა კიდეც მისი ოცნება საქართველოს უძველესი წარსულის შესწავლასთან დაკავშირებით. თავის დროზე ბატონი ივანეს ოცნება საქართველოს უძველესი კულტურის ღირსეულად წარმოჩენა და შესწავლა იყო. სწორედ ამას შეალია ლალიმ თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი.

ლალი ჯავახიშვილი დაიბადა 1917 წლის 31 აგვისტოს სოფ. ხოვლეში. იგი ივანე ჯავახიშვილის და ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის უმცროსი ვაჟი იყო. პირველდაწყებითი განათლება მან ოჯახში მიიღო და მისი პირველი დამრიგებელი პაპის და – მარიამ ვახტანგის ასეული ჯამბაკურ-ორბელიანი გახლდათ, დიდად განათლებული ქალბატონი, ერეკლე II-ის პირდაპირი შთამომავალი, მისი უმცროსი ქალიშვილის, თეკლე ბატონიშვილის შვილი, ვახტანგ ორბელიანის ქალი. ლალი დიდი სიყვარულით იხსენიებდა თავის პირველ მასწავლებელს „ნათლიკოს“, როგორც მას შინაურობაში ეძახდნენ. სწორედ ქალბატონმა მარიამმა შეიხიზნა თავის დროზე ძმისშვილები ანასტასია და თეკლე – ივანე ჯავახიშვილისა და კიტა აბაშიძის ოჯახები – თავის სახლში, ჯავახიშვილის ქუჩაზე. უკვე საკმაოდ მოწიფული, სახლიდან გამოყოლილი საფუძვლიანი ცოდნით, ლალი მეექვსე კლასიდან სწავლას განაგრძობს საშუალო სკოლაში. 1935-1939 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტია. 1940-1943 წლებში კი აქვე გაიარა საასპირანტო კურსი ხელოვნების ისტორიის განხრით აკად. შალვა ამირანაშვილთან.

ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლისას ლალი ჯავახიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად და წელიწადზე მეტხანს ამ დიდებული ძეგლის შესწავლას ანდომებს. 1943 წლიდან იგი სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელია —1943-1952 წლებში იგი მუზეუმის სწავლული მდივანი, 1952 წლიდან კი – არქეოლოგიური განყოფილების გამგე. 1973-1989 წლებში ბატონი ლალი საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში, 1989 წლიდან კი სიცოცხლის ბოლომდე დირექციის მრჩეველი. მუზეუმში მუშაობის თითქმის მთელ მანძილზე იგი უცვლელად, საიმედოდ ედგა სათავეში მთავარ საცავს – სეიფს, სადაც თავმოყრილია არქეოლოგიური გათხრებით თუ შემთხვევით მოპოვე-

---

* „საქართველოს რესპუბლიკა“, 30 აგვისტო, 1997.

ბული ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები ნივთები. საბედნიეროდ, ქართველი ერის უძვირფასესი საუნჯის დაცვა საიმედო პირთა ხელში იყო – ექვთიმე თაყაიშვილის, იროდიონ სონღულაშვილის, ლალი ჯავახიშვილის.

ცნობილია, თუ რა დიდი დრო და ენერგია მიაქვს სამუზეუმო საქმეს, თვალით დაუნახავ მუშაობას. ბატონი ლალი უაღრესი თავდადებით, დაუზარებლად და დაუზოგავად ემსახურა ამ ჭეშმარიტ ეროვნულ დაწესებულებას, სადაც თავმოყრილია მოვლილი და ნაპატრონევი ქართველი ხალხის განვლილი ცხოვრების ამსახველი ნიმუშები, უტყუარი მოწმენი ჩვენი დიდებული ისტორიისა. აქვეა წარმოდგენილი საქართველოს ბუნების, მისი ფლორისა და ფაუნის, წიაღისეული სიმდიდრის, პალეონტოლოგიური მასალების მდიდარი კოლექციები. რა თქმა უნდა, ასეთი რთული, მრავალპროფილიანი დაწესებულების მეცნიერული ხელმძღვანელობა, სადაც გარდა სამუზეუმო საქმისა, დიდი მეცნიერული მუშაობაც მიმდინარეობდა, საკმაოდ მძიმე იყო, თანაც ისეთი პიროვნებისათვის, როგორიც ბატონი ლალი გახლდათ. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ხასიათდებოდა არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, ღრმა ერუდიციით, მეცნიერული ალღოთი, მოვლენების თავისებურად დანახვის უნარით, კვლევის მაღალი დონით. ლალის მეცნიერული წარმატების საწინდარი ყოველთვის იყო უდიდესი ინტერესი საკვლევი საკითხისადმი. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ემსახურება იგი თავის საყვარელ საქმეს და ჭეშმარიტად დიდი ამაგიც დასდო მას. მაგრამ, ლალის გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, რომ არა მისი ერთი უკურნებელი სენი – საკუთარი საქმის შორს გადადება და სხვისთვის ხელის გამართვა. სიკეთის თესვა, თავმდაბლობა, უთუოდ კარგი ადამიანური თვისებაა, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა ამქვეყნად. სხვის სამსახურს საკუთარი საქმის ხარჯზე ზოგჯერ სიკეთის ნაცვლად ზიანი მოაქვს. ლალის კეთილგანწყობილება და მეტისმეტი თავაზიანობა ადამიანების მიმართ ზოგჯერ ვნებდა მის საქმეს. მას რომ სხვის სამსახურში დაუზოგავად დრო არ ეფანტა, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტს მიაღწევდა. მაგრამ ეს ლალის ბუნება იყო.

ლალი ჯავახიშვილი იშვიათი ნიჭით იყო დაჯილდოებული. იგი ერთნაირად ძლიერი იყო ისტორიული მეცნიერების თითქმის ყველა დარგში: ბრწყინვალე ხელოვნებათმცოდნე, უბადლო მცოდნე ძველი არქიტექტურის, ოქრომჭედლობის, მცირე ხელოვნების დარგების. ღრმად იყო ჩახედული რელიგიის ისტორიის საკითხებში. არქეოლოგიის შემდეგ მხატვრობა იყო მისი უსაყვარლესი საქმე. დაბოლოს არქეოლოგია, რომელთანაც იგი შედარებით გვიან მივიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ბრწყინვალედ დასძლია ისტორიული მეცნიერების ეს დარგი. მას არქეოლოგისათვის ნაშანდობლოვი თითქმის ყველა თვისება გააჩნდა – დიდი მოთმინების უნარი, სიდინჯე, სიფრთხილე, ფიქსაციის არაჩვეულებრივი უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, დაუოკებელი ფანტაზია. იგი შესანიშნავი საველე მუშაკი იყო, ერთდროულად მხატვარი, არქიტექტორი, ფოტოგრაფი, პრეპარაციის შეუდარებელი ოსტატი, რასაც არავის ანდობდა და საკუთარი ხელით ასრულებდა ურთულეს საქმეს. ველზე იგი ყველაზე ადრე გადიოდა და ყველაზე გვიან ბრუნდებოდა. ლალი დიდის მონდომებით სამუშაოს დასრულების შემდეგ აფიქსირებდა წერილობით თავის დღიურებში ყოველდღიურად გაწეულ შრომას. იგი ნელა, აუჩქარებლად მუშაობდა ძეგლზე, სრულიად მოკლებული იყოს სიხარბის გრძნობას, სენსაციებს, რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი სენია არქეოლოგიაში. იგი თითოეულ ძეგლზე წლების მანძილზე თხრიდა და

ამიტომაცაა, რომ თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე სრულყოფილად მხოლოდ სამად სამი ძეგლი შეისწავლა – ქვაცხელები, შულავერის ნასახლარი ბორცვები და ბოლოს ბერიკლდეები.

და მაინც, სამუზეუმო საქმე ლალის მოღვაწეობაში უპირველესი იყო. განსაკუთრებით იტაცებდა მას საგამოფენო საქმიანობა. 60-იანი წლების დასაწყისში აღსრულდა ბოლოს და ბოლოს ოცნება და მისი ხელმძღვანელობით მუზეუმში ახალი არქეოლოგიური გამოფენა გაიხსნა. ძველი გამოფენის ნაცვლად მოეწყო სრულიად ახლებურად გადაწყვეტილი ექსპოზიცია. მთელი საექსპოზიციო მასალა დახშულ სივრცეში, კარადების შიდა განათებით იყო წარმოდგენილი. ლალის ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, ვიდრე გამოფენის მოწყობის ამ ახალ, თავისებურ ხერხს გაიტანდა. მაშინ ძნელად წარმოსადგენი იყო ჩაბნელებულ დარბაზებში, გარე განათების გარეშე ექსპოზიციის მოწყობა. ჩაბნელებულ სივრცეში, შიგნიდან განათებულ კარადებში, ფერად ფონზე გამოფენილი ნივთები მართლაც დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ლალი, დიდად ნიჭიერ მხატვარ ავთო ვარაზთან ერთად, არჩევდა და უფარდებდა ფერებს გამოსაფენ მასალას. ის ხომ თვითონაც ბუნებით მხატვარი იყო. მან სცადა კიდეც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს სწავლის გაგრძელება პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ ფინეთთან დაწყებული ომის გამო ეს წადილი შეუსრულებელი დარჩა. მაგრამ, ამ განუხორციელებელ ოცნებას იგი ბუნებაში გასვლით იკმაყოფილებდა და შესანიშნავ ჩანახატებს, პეიზაჟებს ქმნიდა აკვარელით თუ ზეთის საღებავით. შეიძლება საქართველომ კიდევ ერთი ნიჭიერი მხატვარი დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ მეცნიერებამ, სამუზეუმო საქმემ მოიგო. წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა დიდი ამაგი დასდო ბატონმა ლალიმ მუზეუმს, ეროვნული კულტურის ამ დიდებულ საგანძურს, სადაც თავმოყრილია ჩვენი დიდი წარსულის ამსახველი კოლექციები, უტყუარი მოწმენი ჩვენი გარდასული დიდებისა. ამიტომ, იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საგამოფენო საქმეს და ყოველნაირად ცდილობდა ჩვენი უძველესი კულტურის წარმოჩენას. იგი კარგად გრძნობდა, რომ სწორედ დღეს, როდესაც საქართველო, დიდხანს ჩრდილში ყოფნის შემდეგ, კვლავ გამოჩნდა მსოფლიო ასპარეზზე როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა, სწორედ ახლა, ისე როგორც არასდროს, დადგა დრო ჩვენი დიდი წარსულის ღირსეულად წარმოჩენისა. მისი ოცნება იყო ახალი, უფრო სრულყოფილი გამოფენის მოწყობა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა. ლალის ოცნება წარმატებით ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მსოფლიოს უძველეს ხალხთაგან არცთუ ისე ბევრი შემორჩა ქართველთა ბადალი, რომლებმაც დღემდე შემოინახეს თავი. ამიერკავკასია, კერძოდ საქართველო ის ტერიტორია იყო, რომელიც ევრაზიის სივრცეში უძველესი ადამიანის ერთ-ერთი პირველი ადგილსამყოფელი იყო. აქედან მოკიდებული აქ ბინადარი მოსახლეობა უდიდეს კულტურას ქმნიდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძველს სამყაროში. სწორედ ეს ამოძრავებდა უპირველეს ყოვლისა ლალი ჯავახიშვილს, როდესაც 50-იანი წლების ბოლოს ახალი, დიდი არქეოლოგიური გამოფენის მოწყობას ედგა სათავეში. მისი დაუღალავი შრომის შედეგად გამოფენამ დიდი აღიარება პოვა და აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხანგრძლივმა მოღვაწეობამ დიდად გაზარდა მისი მეცნიერული ინტერესები. ლალის მეცნიერული ინტერესი მართლაც ფართო იყო ქვის ხანიდან მოკიდებული საშუალო საუკუნეების ჩათვლით. ყოველი მისი მეცნიერული ნაშრომი გამოირჩევა განსაკუთრებული სიღრმით, განზოგადების

ფართო უნარით, და ყოველი მათგანი, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანეს ავტორს, ახალი სიტყვაა მეცნიერებაში.

ალექსანდრე ჯავახიშვილის ადრინდელი ნაშრომები ხელოვნების ისტორიის საკითხებს ეხება. იგი რამდენიმე ბრწყინვალე ნაშრომს აქვეყნებს, რომლებშიც პირველად ეხება მხატვრული ხელოსნობის საკითხებს. იგი შესანიშნავად აანალიზებს საიუველირო საქმის განვითარების გზებს შუაბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, ანტიკური ხანის ჩათვლით. ალექსანდრე ჯავახიშვილი იკვლევს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ადრექრისტიანული ხანის საკულტო-მემორიალურ ძეგლებს და ამ თემაზე 1949 წელს ადგენს ნაშრომს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სამწუხაროდ, მისი ეს შესანიშნავი გამოკვლევა, ისევ და ისევ ზედმეტი მორიდების გამო, გამოუქვეყნებელი დარჩა.

50-იანი წლების შუა ხანებიდან ლალი ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ახალი ხანა იწყება. მუზეუმში მუშაობისას ჩამოყალიბდა მისი ფართო მეცნიერული ინტერესები საქართველოს უძველესი წარსულისადმი. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ იგი მიწის ზედა ძეგლების შესწავლიდან მთლიანად გადაერთო ქართულ მიწას ამოფარებულ ძეგლების კვლევაზე. მან არაერთი მეტად საყურადღებო ძეგლი გათხარა და შეისწავლა. იგი უბადლო საველე მუშაკი იყო და ველზე მუშაობა უდიდეს სიამოვნებას გვრიდა. მისი საყვარელი გასათხრელი ობიექტი ძველი ნამოსახლარი იყო, რომლის გათხრა საკმაოდ რთულია. ამ რიგის ძეგლების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი სწორედ ლალი ჯავახიშვილმა დაუდო.

1954 წლიდან ლალი ჯავახიშვილი პირველად მონაწილეობს ურბნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ამიერიდან იწყება მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა არქეოლოგიაში. პირველი ძეგლი, რომელიც მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაითხარა, ურბნისის მახლობლად მდებარე ქვაცხელების ნამოსახლარი იყო, რომლის შესწავლას ათ წელზე მეტი მოანდომა. სწორედ ამ ძეგლზე მუშაობისას გამოვლინდა მისი დიდი შესაძლებლობა გამთხრელ-არქეოლოგისა. ლილი ღლონტთან თანაავტორობით დაწერილ ქვაცხელების ნამოსახლარისადმი მიძღვნილ სრულ მეცნიერულ ანგარიშში კარგად გამოჩნდა მასალის ღრმა ანალიზის უნარი. ნასოფლარი თითქმის მთლიანად გაითხარა, დადგენილი იყო მისი დაგეგმარება, არქიტექტურა, სამშენებლო საქმე, მეურნეობის ხასიათი და გაირკვა ფენათა განლაგება. სტატიგრაფია, სოფლის არსებობის ხანგრძლივობა. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის არც ერთი ნამოსახლარი არც ჩვენში და არც სხვაგან ასე სრულად შესწავლილი არ არის. ამ ნამოსახლარზე გამოვლენილი მასალების მეცნიერული გააზრების შედეგად ახლებურად იყო დაყენებული მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

მაგრამ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ლალის მიერ 60-იანი წლების დასაწყისში მანამდე სრულიად უცნობი ე. წ. ადრესამიწათმოქმედო კულტურის აღმოჩენა და შესწავლა. ქვემო ქართლში, მარნეულის ველზე გამოვლინდა კულტურა, რომელიც დაახლოებით ორი ათასი წლით უსწრებდა მტკვარ-არაქსის კულტურას. გაირკვა, რომ ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში წინა აზიის სხვა რეგიონებთან ერთად გავრცელებული იყო საკმაოდ დაწინაურებული, თავისებური ხასიათის ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურა. რომ არა ლალის დიდი გამოცდილება და მონდომება, ძალიან გაჭირდებოდა ამ ურთულესი ნამოსახლარი ბორცვების შესწავლა. იმ დროის სოფელი შედგებოდა ალიზისაგან – გამოუწვარი აგურისა-

გან ნაგები შენობებისაგან და მათი გამორჩევა მიწისაგან დიდ შრომასა და მოთმინებას მოითხოვდა. არაჩვეულებრივი საველე სამუშაოების და უაღრესად დიდი მონდომების შედეგად ლალიმ ბრწყინვალედ დასძლია ყველა სირთულე. მან პირველმა გამოიკვლია ამ კულტურის მეურნეობის ხასიათი, სამშენებლო საქმე, არქიტექტურა, არსებობის დრო და სხვა საკითხები.

ნამოსახლარ ძეგლებზე მუშაობის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ლალი ჯავახიშვილმა ბრწყინვალე მონოგრაფია გამოაქვეყნა, რომელიც ძვ. წ. V-III ათასწლეულების სამშენებლო საქმეს და არქიტექტურას ეძღვნება. აქ მთელი სისრულითაა შესწავლილი და ახლებურად განხილული ადრესამიწათმოქმედო და მტკვარ-არაქსის კულტურების რიგი ძირეული საკითხები. განხილული აქვს ამიერკავკასიის ამ ხანების თითქმის ყველა ძეგლი და, წინააზიური მასალების ფართოდ გათვალისწინებით, იკვლევს ამ კულტურის ბუნებას. ამიტომაცაა, რომ კავკასიის და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი კულტურით დაინტერესებული მკვლევრები ამ შესანიშნავ გამოკვლევას გვერდს ვერ აუვლიან. 1973 წელს ამ ნაშრომის საფუძველზე ალექსანდრე ჯავახიშვილს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. ამ მონოგრაფიამ უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის და საერთოდ წინა აზიის უძველესი კულტურის შესწავლაში და მის ავტორს ჭეშმარიტად საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

ლალი ჯავახიშვილი ყოველთვის განსაკუთრებული გულისყურით იკვლევდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე უძველესი ტომების ცხოვრებას, ყოფასა და სამეურნეო საქმიანობას, მათ ისტორიას და სხვ. სწორედ მიგნებულმა მეურნეობის ხასიათმა, დიდმა გამტანობამ გამოატარა ქართველთა წინაპარი ათასწლეულის მანძილზე და ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო მათი სამშობლოდან აყრა და საერთოდ ისტორიის სარბიელიდან ამოგდება. ამაში ხედავდა იგი ძალას, რომელმაც მიაჯაჭვა ქართველი კაცი თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არ აღიგავა პირისაგან მიწისა, არ გაიზიარა ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთი უფრო ძლიერი ერების ბედი და დღემდე შემოინახა თავი.

ალექსანდრე ჯავახიშვილის ცხოვრება მის მიერ უკანასკნელ წლებში ბერიკლდეების ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალაზე მუშაობისას შეწყდა. ბერიკლდეების ნამოსახლარი, ისევე როგორც მის მიერ ადრე შესწავლილი ძეგლები, მეტად რთული და ძნელად გასათხრელი იყო. აქ ცხოვრება, ეტყობა, ადრე ჩასახულა და რამდენიმე ათასწლეულს გაგრძელებულა. იგი ჩვეული გატაცებით, მონდომებით, დიდი ინტერესით იკვლევდა ამ მრავალფენიან ძეგლს და ყოველნაირად ცდილობდა ამომწურავი ინფორმაციის მიღებას. მაგრამ, მეტისმეტი დაზიანების გამო ეს ნამოსახლარი თუ საკულტო ხასიათის ძეგლი ამის საშუალებას ძნელად იძლეოდა. ბევრმა მეტად რთულად ასახსნელმა საკითხმა იჩინა თავი. ამ უთუოდ უნიკალური ძეგლის მნიშვნელობა გასცდა ამიერკავკასიის და საერთოდ კავკასიის ფარგლებს. მან დიდი ენერგია, მონდომება, დაუღალავი შრომა და სიბეჯითე შეალია ამ ძეგლის გათხრას. გათხრების დასრულების შემდეგ ლალი დიდი გატაცებით და ინტერესით, ისე, ალბათ, როგორც არასდროს, მუშაობდა აქ მოპოვებული მასალის შესწავლაზე. ჩქარობდა, თითქოს გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს. სამწუხაროდ, კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვეღარ შეძლო, სრულიად ცოტაღა დარჩა. ბოლო დროს, ისევ და ისევ თავისი ზედმეტი მორიდებულობისა და პასუხისმგებლობის გამო, იგი დიდ დროს ანდომებდა სადეპუტატო მოვალეობას, რაც აბრკოლებდა მის მეცნიერულ მუშაობას.

ეს დაუსრულებელი ნაშრომი, ალბათ, ისეთივე ღრმა და დიდი ერუდიციის ნაყოფია, როგორც ყველა მისი გამოქვეყნებული გამოკვლევა.

ლალი ჯავახიშვილს თავისი ერის არა მარტო წარსული იზიდავდა, არამედ მისი აწმყოს და მომავლის ბედ-იღბალიც აწუხებდა, თუმცა ადრე იგი განზე იდგა პოლიტიკური ცხოვრებისაგან, რადგან არაფერი სწამდა და სჯეროდა მაშინ არსებული წყობილებისა. მაგრამ, იმ დროსაც, როდესაც არცთუ ისე უსაფრთხო იყო რაიმე ზედმეტი ინიციატივის გამოჩენა, ლალი განზე არასოდეს დარჩენილა, თუკი საქმე მისი ერის ღირსებას ეხებოდა. თავის ერზე უსაზღვროდ შეყვარებული ვერ ურიგდებოდა და არაერთგზის წინ აღუდგა იმ საოცარ ხანაში არაერთ უსამართლო მოქმედებას. ასე იყო ქართული ენის შელახვასთან დაკავშირებით. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წინ აღუდგა ამ უგუნურ გადაწყვეტილებას. მან, მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, პირველმა აღიმაღლა ხმა აფხაზეთისათვის სამუზეუმო ექსპონატების გადაცემის საწინააღმდეგოდ და სხვ. ამიტომ, როდესაც განკითხვის ჟამი დადგა და განზე დგომა აღარ შეიძლებოდა, ლალი აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. მაგრამ, როდესაც უთანხმოებამ თავი იჩინა, ლალი ჯავახიშვილმა სხვა წევრებთან ერთად დატოვა სახალხო ფრონტი. მიუხედავად ასაკისა, იგი აქტიურად ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და დათანხმდა დეპუტატობას პარლამენტში. ბუნებით რბილი, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი, დამთმობი პიროვნება, თუკი საქმე მისი ერის ინტერესებს შეეხებოდა, ხდებოდა უდრეკი და ყოვლად შეუვალი. ბატონი ლალი –ქართველი ერის ისტორიის უბადლო მკვლევარი – ერთგულად შეუდგა ახალი, თავისუფალი საქართველოს მშენებლობას. იგი თავგამოდებით იღვწოდა ქართული კულტურის აღზევებისათვის და საერთოდ ეროვნული საქმის წარმატებისათვის.

ლალი ჯავახიშვილმა ყოველგვარი ხმაურის გარეშე, მოკრძალებულად, უდიდესი ღვაწლი დასდო ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, ეროვნულ კულტურას. იგი თავგანწირვით, ღრმა ინტერესით და დიდი მონდომებით იკვლევდა ქართულ მიწას ამოფარებულ ძეგლებს, უტყუარ მოწმეებს ქართველი ერის დიდებული წარსულისა. ამ მიწაში მათ ძიებას შეალია ლალი ჯავახიშვილმა თავისი ნათელი სიცოცხლის მეტი ნაწილი.

ტარიელ ჩუბინიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა*

სამოცდაათი წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ტარიელ ჩუბინიშვილს. იგი დაიბადა ქ. თბილისში, ცნობილი იურისტის, ნიკოლოზ ჩუბინიშვილის ოჯახში. ადრე დაობლდა, ამიტომ მისი აღზრდა იკისრა ბებიამ, შესანიშნავმა პედაგოგმა, ეკატერინე თაყაიშვილმა და ბიძამ – ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა, ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრის ფუძემდებელმა ალექსანდრე თაყაიშვილმა.

1939 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ტ. ჩუბინიშვილი სწავლას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1943 წლიდან კი ასპირანტურაში არქეოლოგიის სპეციალობით.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მან არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ მასალებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წერილები მიცვალებულის კევრზე დაკრძალვის შესახებ და ვრცელი გამოკვლევა, რომელსაც სამთავროს სამაროვნის უადრეს, ყორღანულ სამარხს უძღვნის. 1953 წელს წარმატებით იცავს დისერტაციას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1953 წელს ტ. ჩუბინიშვილი სამუშაოდ გადადის აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1972 წელს სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის განყოფილებას არქეოლოგიის კვლევის ცენტრში. ინსტიტუტში მუშაობისას თანდათანობით ყალიბდება მისი ფართო მეცნიერული ინტერესები საქართველოს უძველესი წარსულისადმი.

ტ. ჩუბინიშვილის ადრინდელი ნაშრომები ძირითადად ეძღვნება ბრინჯაოს ხანის გვიანდელ საფეხურს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პირველი წიგნი, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა და მცხეთის უძველეს არქეოლოგიურ ძეგლს ეძღვნება. ეს ფაქტობრივად პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა სამთავროს სამაროვნისა. მართალია, ნაშრომი ძირითადად სამთავროს უძველეს ორმოსამარხების კულტურას ეძღვნება, მაგრამ, ფაქტობრივად, მოიცავს ამ ხანის შიდა ქართლის ძეგლებს. სწორედ აქ გამოვლინდა მისი საფუძვლიანი ცოდნა მასალისა. მუზეუმის ფონდებში დაცული კოლექციის და სპეციალური ლიტერატურის ღრმა ცოდნამ განაპირობა ამ ნაშრომის წარმატება, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ინტერესი.

50-იანი წლების შუა ხანებიდან ტ. ჩუბინიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ახალი ეტაპი იწყება. შიდა ქართლში მუშაობის შემდეგ მისი მეცნიერული ინტერესის სფეროში შემოდის ქართლის სხვა რეგიონები, უწინარესად, ზემო ქართლი და მესხეთ-ჯავახეთი, რომელიც არქეოლოგიურად ნაკლებად იყო შესწავლილი. მან სრულიად ახლებურად გაიაზრა მტკვარ-არაქსის კულტურის რაობის საკითხი, მოგვცა

---

* საქართველოს რესპუბლიკა, 14 მარტი, 1991.

ახლებური პერიოდიზაციის ცდა. 1963 წელს იგი აქვეყნებს მეტად საყურადღებო ნაშრომს „ამირანის გორა, მასალები მესხეთ-ჯავახეთის უძველესი ისტორიისათვის“, რომელშიც შეჯამებულია ამ ნამოსახლარზე მუშაობის შედეგები. ტ. ჩუბინიშვილი საქმის დიდი ცოდნით მიმოიხილავს მოპოვებულ მასალებს და დაასკვნის, რომ ამირანის გორის მკვიდრნი ნამდვილი მეტალურგები იყვნენ და ამ დროს ლითონის დამუშავება უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა. სწორედ ამ ნამოსახლარზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით, იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩასახვასთან ერთად იწყება განვითარების ახალი ეტაპი – ბრინჯაოს ხანა.

1965 წელს ტ. ჩუბინიშვილი აქვეყნებს განმაზოგადებელი ხასიათის მონოგრაფიას – „მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის კულტურა“. ამ დროისათვის მტკვარ-არაქსის კულტურა სულ უფრო და უფრო დიდ ინტერესს იწვევს არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. გაირკვა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელმა ტომებმა ძვ. წ. III ათასწლეულში გარკვეული როლი შეასრულეს წინა აზიის უძველეს ისტორიაში. ამ კულტურისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა მკვლევარმა იგი ინდოევროპელ ტომებს დაუკავშირა.

60-იანი წლების პირველი ნახევრიდან ტ. ჩუბინიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში კვლავ ახალი ხანა იწყება. ეს ის დროა, როდესაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველად აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი ეპოქა. ჯერ კიდევ აკად. ბ. კუფტინი, მტკვარ-არაქსის კულტურის პირველი აღმომჩენი და შემსწავლელი, იმედოვნებდა, რომ დადგება დრო, როდესაც მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში გამოვლინდება კიდევ უფრო ადრეული კულტურა, რომელიც სინათლეს შეიტანს მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის საკითხში. მისი ეს ვარაუდი შემდეგში დადასტურდა და ამ რეგიონში მართლაც აღმოჩნდა ძვ. წ. III ათასწლეულზე უფრო ადრინდელი კულტურა. ტ. ჩუბინიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საფუძველი ჩაუყარა ჩვენში ამ ადრეული კულტურის შესწავლას. შიდა და ზემო ქართლის შემდეგ მისმა ძირითადმა მეცნიერულმა ინტერესმა ქვემო ქართლში გადაინაცვლა: ამიერიდან მისი ყურადღება მიქცეულია თითქმის მთლიანად ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების შესწავლაზე. მან დიდი მონდომებით მოჰკიდა ხელი თავისივე აღმოჩენილი ამ დროის არუხლოს ჯგუფის ძეგლების შესწავლას და ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც შეძლო გარკვეულიყო ადრესამიწათმოქმედო კულტურის რაობაში, დაედგინა სამეურნეო ცხოვრება, არსებობის დრო და სხვა. მას განსაკუთრებით იტაცებდა ამ პერიოდში ხელოვნური მორწყვის იდეა და ფიქრობდა, რომ არუხლოს ნამოსახლართან გამოვლენილი თხრილები ძველი არხის ნაშთები უნდა ყოფილიყო.

მეცნიერული ალღო, ფაქტების ამეტყველებისა და ბოლომდე ჩაწვდომის უნარი და, რაც მთავარია, უდიდესი ინტერესი ამა თუ იმ პრობლემისადმი ყოველთვის იყო მისი კვლევითი მუშაობის წარმატების საწინდარი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1970 წელს კ. კუშნარიოვასთან ერთად ლენინგრადში გამოქვეყნებული მონოგრაფია „სამხრეთ კავკასიის უძველესი კულტურები“. გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ნაშრომმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის უძველესი კულტურების შესწავლის საქმეში და ავტორებს ჭეშმარიტად საერთაშორისო აღიარება მოუტანა. მასში ნათლად წარმოჩინდა სამხრეთ კავკასიაში და მის მიმდგარ მხარეებში ძვ. წ. V-III ათასწლეულებში შექმნილი ვითარება. ფაქტობრივად, ეს პირველი შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომია, რომელიც კავ-

კასიის, კერძოდ ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდს ეხება. მას გვერდს ვერ აუვლის კავკასიისა და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი.

ტ. ჩუბინიშვილი ავტორია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის ერთ-ერთი თავისა, სადაც განხილულია ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის კულტურები საქართველოში.

1971 წელს ტ. ჩუბინიშვილი აქვეყნებს საყურადღებო მონოგრაფიას „სამხრეთ კავკასიის უძველესი ისტორიისათვის“, რომლის საფუძველზე იმავე წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. ამ ნაშრომის ბოლო თავს ავტორი სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების პრობლემას უძღვნის.

70-იან წლებში ტ. ჩუბინიშვილი დიდი მასშტაბის სამუშაოებს აწარმოებს ქვემო ქართლში. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები და მათთან ერთობლივი შრომის შედეგად ცდილობდა იმდროინდელი მოსახლეობის ცხოვრების მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენას. სწორედ ამგვარი მუშაობა დაედო საფუძვლად მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსულ მეტად საინტერესო ნაშრომს „ადამიანი და გარემო“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტ. ჩუბინიშვილის (ლ. ჭელიძის თანაავტორობით) მეტად საინტერესო ნაშრომი – „ძვ. წ. VI-IV ათასწლეულების ადრესამიწათმოქმედო კულტურის ზოგიერთი განმსაზღვრელი ნიშნის საკითხისათვის“. ავტორთა აზრით, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურების სამეურნეო დონე იმდენად მაღალი ყოფილა, რომ მისი ნეოლითის საფეხურისათვის მიკუთვნება გამორიცხული უნდა იყოს.

განსაკუთრებით საყურადღებოა და საქმის დიდი ცოდნითაა დაწერილი ამ ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ავტორები განიხილავენ მახლობელი აღმოსავლეთის, ერაყირანის, თურქეთის და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ძვ. წ. X-IV ათასწლეულების ადრესამიწათმოქმედო კულტურებს. ამ საკითხებისადმი ახლებურად მიდგომისა და მასალების ღრმა ანალიზის საფუძველზე ავტორებმა ბევრ კარდინალურ პრობლემას თავისებური ახსნა მოუძებნეს. ძველი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურების ფონზე ავტორები სრულიად მართებულად ასკვნიან, რომ ახალი მონაცემების საფუძველზე სამხრეთ კავკასია ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებში წარმოგვიდგება, როგორც ძლიერი და დამოუკიდებელი ცენტრი, რომლისთვისაც უკვე დამახასიათებელია გუთნური მიწათმოქმედება, ირიგაცია და მესაქონლეობის მაღალი დონე. ამიტომ, მათი აზრით, არ უნდა იყოს მართებული შეხედულება, თითქოს ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებში სამხრეთ კავკასია მახლობელი აღმოსავლეთის პერიფერიული რეგიონი ყოფილიყოს.

ტ. ჩუბინიშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომებში საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის ბევრი სხვა პრობლემაა წამოჭრილი. იგი განსაკუთრებული გულისყურით სწავლობდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების სამეურნეო ყოფას. სწორად მიგნებულმა მეურნეობის ხასიათმა გამოატარა ქართველთა წინაპრები ათასწლეულების მანძილზე და ვერავითარმა ძალამ ვერ შეძლო მათი სამშობლოდან აყრა. თითქმის ყველა მის ნაშრომში ამა თუ იმ ეპოქის სამეურნეო ხასიათია წინ წამოწეული. ეს იყო სწორედ სტიმული იმისა, რამაც აქ მოსახლე ტომები ადგილზე დაამკვიდრა. ამაში ხედავდა ტ. ჩუბინიშვილი ძი-

რითადად იმ ძალას, რომელმაც მიაჯაჭვა ჩვენი წინაპრები თავიანთ მიწა-წყალს, არ აღიგავნენ პირისაგან მიწისა, არ გაიზიარეს ძველი აღმოსავლეთის არა ერთი და ორი ხალხის ბედი და დღევანდლამდე შემოინახეს თავი. სწორედ ამ მადლიანი მიწის ძალა ასულდგმულებდა ძირითადად ქართველ კაცს, მხნეობას მატებდა მას. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჩვენ დღეს სხვისი გასაცემი მიწა აღარ გვაქვს, ისედაც ბევრი დავკარგეთ ისტორიის ბედუკუღმართობის შედეგად. უპირველესად, ეს უნდა გაითვალისწინოს იმან, ვისაც დღეს საქართველოს გახლეჩა სურს.

მეცნიერულ-კვლევით მუშაობასთან ერთად ტ. ჩუბინიშვილი დიდ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს არქეოლოგიაში სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სამხატვრო აკადემიაში. მან არაერთ ახალგაზრდას გაუღვიძა ინტერესი საქართველოს სიძველეებისადმი. ტ. ჩუბინიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა ქართული არქეოლოგიის მონაპოვარი. მას არაერთი საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში მიუღია მონაწილეობა. ტ. ჩუბინიშვილი დიდი გატაცებით მუშაობდა სამეცნიერო-პოპულარული ფილმების შექმნაზე, რომლებშიც შესანიშნავადაა ასახული ჩვენი წარსული.

1983 წლის 5 ივლისს შეწყდა გამოჩენილი მეცნიერის, თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტის, პროფესორ ტ. ჩუბინიშვილის სიცოცხლე. იგი მრავალი წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურა თავის სამშობლოს. მისმა ნაშრომებმა დიდად გაამდიდრა და ბევრი ახალი ფურცელი შემატა ჩვენი ქვეყნის უძველეს ისტორიას. მოკრძალებულად, უხმაუროდ ტ. ჩუბინიშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიული მეცნიერების შესწავლის საქმეს.

იაზონ კიკვიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

იაზონ კიკვიძე დაიბადა 1932 წლის 13 მარტს ცნობილი ქართველ ისტორიკოსის, აბელ კიკვიძის, ოჯახში. დედა, სოფიო ტაბიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სასიქადულო ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის და და პოეტების გენიის გალაკტიონ ტაბიძის ბიძაშვილი იყო. სწორედ ოჯახიდან ჩაენერგა იაზონს სიყვარული თავისი ერისადმი, რომლის რთული და მძიმე წარსულის შესწავლა შემდეგში მისი უპირველესი მიზანი გახდა. 1938 წელს ი. კიკვიძე შედის თბილისის 30-ე საშუალო სკოლაში, რომელსაც 1949 წ. ოქროს მედლით ამთავრებს. სკოლაში იგი თანაბრად ძლიერი იყო როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ საგნებში. მან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო. მასთან ერთად იმ წელს ისტორიის ფაკულტეტზე შესანიშნავმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი, რომლებსაც აგრეთვე თავისი ერის წარსულის კვლევა აინტერესებდა, მისი აწმყოს და მომავლის ბედი აწუხებდა. პირველი მეცნიერული წრთობა უნივერსიტეტში სწავლისას თავის თანაკურსელებთან ერთად მიიღო და დღეს ბევრი მათგანი თავდადებით ემსახურება თავისი ერის წარსულის შესწავლის საქმეს. ესენი არიან დღეს ცნობილი მეცნიერები – ნანა ცაგარეიშვილი, ნანა ხაზარაძე, ეკა პრივალოვა, მანანა დოლაქიძე, მარინა კეცხოველი, ლელიკო მაჭავარიანი, მედეა ქანთარია, ლაშა ჯანაშია, თემურ საყვარელიძე, კიაზო ფიცხელაური, ნოდარ ასათიანი და სხვები, ყველას ვერ ჩამოთვლი. უნივერსიტეტიდან გამოყოლილი შესაშური მეგობრული სიყვარული მათ შორის შემდეგშიც, ცხოვრების დიდ გზაზე არ შენელებულა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იაზო კიკვიძე აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იწყებს მუშაობას მეცნიერ-თანამშრომლად. ამიერიდან იწყება მისი შემოქმედების დიდი გზა. ის მრავალი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე იყო. ურბნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობისას მან გათხარა და შემდეგ საყურადღებო ნაშრომი უძღვნა ხიზანათა გორის ძვ.წ. III ათასწლეულის ნასოფლარს, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთი საკვანძო საკითხი ახლებურადაა გააზრებული. წარმატების საწინდარი კი ის იყო, რომ იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაინტერესდა ქართველთა ყოფითა და სულიერი კულტურით. ამიტომ იყო, რომ იგი თანაბარი ინტერესით სწავლობდა ქართულ ფოლკლორს, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას და სხვ.

და მაინც, მიუხედავად იაზო კიკვიძის ფართო ინტერესისა, მისი კვლევის ძირითადი სფერო მიწათმოქმედების ისტორია იყო საქართველოში. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი ამ პრობლემას ეძღვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორი მონოგრაფია – „მორწყვა ძველ საქართველოში“, რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა და 1976 წელს გამოცემული ბრწყინვალე ნაშრომი – „მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში“. ავტორის აზრით, საქართველოში, და საერთოდ,

სამხრეთ კავკასიაში, ყველა პირობა არსებობდა ახალი ეკონომიკის, მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ჩასახვისა და განვითარების. მიწათმოქმედების წარმოქმნაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს დასავლეთ საქართველოს და ვარაუდობს, რომ სწორედ ჭვავისა და ღომის კულტურა უნდა ყოფილიყო პირველადი. სრულიად ახლებურად აყენებს ჩვენში ადრესამიწათმოქმედო ეტაპის ხანგრძლივობის საკითხს, რომელიც, მისი აზრით, ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე, თრიალეთის კულტურამდე, გაგრძელდა. იგი იკვლევს მიზეზებს, რამაც შეაფერხა ჩვენში ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება. იაზო კიკვიძე ფიქრობს, რომ ამის ძირითადი მიზეზი მიწათმოქმედების ექსტენსიური ხასიათი იყო, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა სათანადო სამიწათმოქმედო ბაზა.

მან პირველმა მიაქცია ყურადღება რწყვის პრობლემას ძველ საქართველოში. განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის საქართველოს ბარში მოსახლეობის ათხელებასთან დაკავშირებით წამოყენებული მოსაზრებანი. იგი ახლებურად ხსნის ამ მოვლენას და არ ეთანხმება ჩვენში მანამდე გავრცელებულ შეხედულებას, რომ მისი ძირითადი მიზეზი მეცხვარეობის დაწინაურება იყო, რის გამოც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მთას მიაშურა. იაზო კიკვიძის აზრით, ამის მიზეზი ტყის ინტენსიური გაკაფვა იყო, რასაც ბარში კლიმატის გამშრალება უნდა გამოეწვია. რაკი ამ დროისათვის ჩვენში ირიგაციული მეურნეობა შედარებით სუსტი იყო, მოსახლეობა იძულებულია საცხოვრებლად მთისწინა და მთის ზოლში გადავიდეს. ბარის ხელახალი ათვისება უკვე ირიგაციის განვითარებას მოჰყვა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, გვიანბრინჯაოს ხანაში. მისმა ამ მეტად მნიშვნელოვანმა დებულებამ თითქმის საყოველთაო აღიარება პოვა.

იაზო კიკვიძის კვლევის საგანგებო სფერო იყო აგრეთვე ქართული მოსახლეობის სულიერი სამყარო, კულტთან დაკავშირებული საკითხები. აქ კარგად ჩანს მისი ღრმა განსწავლულობა უძველესი რელიგიის ისტორიაში. კულტის საკითხების შესწავლისას ფართოდ იყენებს ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებს. იგი საერთოდ გამოირჩეოდა კარდინალური მოვლენებისადმი თავისებური მიდგომით.

ძნელია ყველა იმ საკითხის ჩამოთვლა, რომლებიც იაზო კიკვიძის ინტერესის სფეროში შედიოდა, მით უმეტეს, რომ იგი არ იფარგლებოდა ერთი რომელიმე პერიოდით, არამედ ფართოდ იკვლევდა უძველესი ხანიდან მოკიდებული საშუალო საუკუნეების ჩათვლით. ზოგჯერ შეიძლება მისი ნააზრევი სადავოც იყოს, მაგრამ მაშინაც გაოცებს მოვლენების მისეული, ახლებური ხედვა.

იაზო კიკვიძე არა მარტო შესანიშნავი მკვლევარი იყო, არამედ დიდებული ლექტორი, ახალგაზრდობის კარგი აღმზრდელი. უნივერსიტეტში მოღვაწეობისას მან დიდი წვლილი შეიტანა არქეოლოგების და საერთოდ ისტორიკოსების აღზრდაში.

სიძველისადმი გრძნობა, პატივი*...

საქართველოს და, საერთოდ, ამიერკავკასიის ტერიტორია, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები გამო, ადრეული ხანებიდან ფართოდ არის ათვისებული უძველესი ადამიანის მიერ. კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე წარმოქმნილი საზოგადოება შემდეგში უწყვეტად განაგრძობს აქ არსებობას. მთელი უძველესი ისტორიის მანძილზე საქართველოს ბარი და მთა ინტენსიურადაა დასახლებული და მიწასამოფარებული მრავალი ძეგლი მის დიდ წარსულზე მეტყველებს. ქართულმა მიწამ უძვირფასესი მასალები შემოგვინახა ჩვენი ერის უძველესი და უმდიდრესი ისტორიისა. აქ თითქმის ყოველი გოჯი მიწისა ჩვენი ხალხის დიდ წარსულზე მიგვანიშნებს. დღეს მსოფლიოში არცთუ ისე ბევრი ხალხია შემორჩენილი, ვისი დღევანდელი ადგილსამყოფელი შეიძლება უშუალოდ წინაპართა პირველსაცხოვრისს დავუკავშიროთ. ამიტომ, წარსულის ყოველი მოწმობა, თითოეული ნივთი ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია.

სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღეს არქეოლოგიის ნამდვილად „ოქროს ხანა“, დიდი აღმოჩენების ეპოქა დადგა. არქეოლოგებმა სწორად გამოიყენეს ის შესანიშნავი კანონი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს ახალმშენებლობებთან დაკავშირებით: მათი დასტურის გარეშე აკრძალულია ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოს დაწყება. მშენებელი ორგანიზაცია ვალდებულია, სათანადო თანხა გაიღოს არქეოლოგიური სამუშაოებისათვის. დიდი თანხები ხმარდება არქეოლოგიურ ექსპედიციებს, რომელთა მასშტაბი სულ უფრო ფართოვდება. სხვაგვარად ბევრი ძეგლი შეეწირებოდა მშენებლობას. ქართველი არქეოლოგები, მართლაც, თავდაუზოგავად შრომობენ და ზოგჯერ თითქმის მთელი წლის მანძილზე უხდებათ ველზე ყოფნა. მაგალითისათვის მარტო ჟინვალის ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოებიც კმარა. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დაინტერესება და დიდი ზრუნვა, რომელსაც ისინი იჩენენ სიძველეების მოვლა-პატრონობის საქმეში. მოქმედებს მთავარი სამმართველო, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ძეგლების დაცვა-აღდგენა. მისაბაძია სხვადასხვა დაწესებულების კოლექტივის ინიციატივა, მოუარონ ჩვენი მატერიალური კულტურის ცალკეულ ძეგლებს. მართლაც სასიამოვნოა, როდესაც ძეგლთან მიხვალ, და იგი ნაპატრონები დაგხვდება, დაინტერესდები, წაიკითხავ იქვე საგანგებოდ მიკრულ ფირფიტას, და შეიტყობ, რომ მას უვლიან ამა და ამ დაწესებულების თანამშრომლები. დასაფასებელია ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდების ენთუზიაზმი ამ საქმეში – რა მონდომებითა და სიყვარულით შრომობენ ისინი მესხეთში მიტოვებული ტერასების

* „თბილისი“, 17 ივნისი, 1987.

აღდგენაზე, ძეგლების რესტავრაციაზე, არქეოლოგიურ ექსპედიციებში და სხვ. იყო დრო, არც ისე შორეული (სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს დღესაც მეორდება), როდესაც უგულოდ ეპყრობოდნენ დიდებული წარსულის ნაამაგარს. რა დასამალია, იშვიათია ჩვენში დღეს ძეგლი, რომელსაც ამ უგულობის კვალი არ ეტყობოდეს. რას ერჩოდნენ იმ შესანიშნავ ორნამენტებს ან იმ ბრწყინვალე ფრესკებს, დღეს თვალებდათხრილი რომ დაგვყურებენ არაერთი ძვირფასი ძეგლის კედლებიდან... სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი გვიან მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარსულის პატივისცემის გრძნობას აღზრდა სჭირდება. ასეთი სახის აღმზრდელობითი მუშაობა უპრიანია არა მხოლოდ ახალგაზრდობის, არამედ ყველა თაობის წარმომადგენელთათვის.

ამ მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს დღეს საქართველოს ტელევიზიის მიზანმიმართული მუშაობა. იგი თავის გადაცემაში დიდ ადგილს უთმობს ჩვენი ქვეყნის მდიდარ წარსულს. ვფიქრობ, საერთო აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ დიდი საქმე კეთდება მარტო მოკლე, მაგრამ დიდად შთამბეჭდავი გადაცემათა ციკლითაც – „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. ან გავიხსენოთ ახლახან ნაჩვენები რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის მრავალსერიიანი ფილმი „გზა“. მასში შესანიშნავად არის გადმოცემული ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მდიდარი წარსული, ჩვენი დიდებული, მაგრამ მძიმე ისტორია. აღარაფერს ვამბობ ცოტა უფრო ადრინდელ უარესად საინტერესო ტელეფილმებზე, რომლებიც თავის დროზე შემოგვთავაზეს გურამ პატარაიამ და ირაკლი ონოფრიშვილმა (ფერეიდნელებზე, ათონის მთაზე), აგრეთვე სხვა ავტორებმა. ამ ნამუშევართა საშუალებით კიდევ ერთხელ გავიხსენეთ, რა ძნელი, ურთულესი გზა განვლო ქართველმა ხალხმა, განვლო თავისი უდიდესი შინაგანი პოტენციის წყალობით. ეს პოტენცია ქართველ კაცში ყოველთვის ცხოვრობდა. იგი მომავალს დიდი იმედით შეჰყურებდა და ამ იმედით უნდა ვიყოთ დღესაც, მაგრამ ამ ფილმებმა, სიხარულთან ერთად, წუხილიც გვაგრძნობინა – შეუძლებელია, გულისტკივილით არ უყურო, თანდათანობით როგორ იშლება ქართველთა დიდი მოღვაწეობის ნაკვალევი, როგორ იფანტება და იკარგება ქართული ხელნაწერები და სხვ.

ტელევიზია, არცთუ იშვიათად, ეკრანს უთმობს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილ გადაცემებს. საინტერესო გადაცემებია უშუალოდ მუზეუმიდან. ასეთი გულშემატკივრობა წარსულისადმი, რა თქმა უნდა, დიდად შეუწყობს ხელს იმ გარდაქმნებს, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს. წარსულის ცოდნისა და სიყვარულის გარეშე შეუძლებელია აწმყოს სწორი გაგება და ზრუნვა უკეთეს მომავალზე, უნდა აღმოიფხვრას წლობით დამკვიდრებული მანკიერება, რომელთა ასე გავრცელების მიზეზი უსათუოდ ისიც იყო, რომ სათანადოდ ვერ ვაფასებდით წარსულს, პატივს არ ვცემდით წინაპართა ნაამაგარს. მადლობა ღმერთს, დღეს ამ მხრივ თანდათანობით წესრიგდება საქმე, არქეოლოგიური სამუშაოები განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. ეს საქმე დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რომ არ დაზიანდეს მიწის ქვეშ მოქცეული ძეგლები. უკვე გათხრილსა და მოპოვებულსაც სათანადო ყურადღება ესაჭიროება. უკანასკნელ წლებში დიდძალმა არქეოლოგიურმა მასალამ მოიყარა თავი. გათხრების ტემპებმა მნიშვნელოვნად გაუსწრო მოპოვებული მასალების მოვლა-პატრონობასა და შესწავლას. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს სხვისი კი არა, საკუთარი ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალის მიღებაც კი უჭირს (მუზეუმს ახალი შენობა უშენდება და, ალბათ, ნაწილობრივ მაინც ეშველება საქმეს). ამიტომ წლიდან წლამდე დიდძა-

ლი არქეოლოგიური მასალა თავს იყრის არქეოლოგიურ ბაზებზე, ან კიდევ სხვაგან, სადაც ზოგჯერ ელემენტარული პირობებიც კი არ არის დაცვისა, უსაფრთხოებისა. ზოგჯერ ისეთი ვითარება იქმნება, რომ უმჯობესია მასალა მიწაში დარჩეს, სადაც იგი უკეთ ინახება, ვიდრე გამოვამზეუროთ და შემდეგ ვერ მოვუნახოთ ნორმალური შესანახი ადგილი. ასეთ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება სამხარეთმცოდნეო მუზეუმებს. დღეს, ალბათ, საქართველოში არ დარჩა რაიონი, მუზეუმი არ იყოს. მაგრამ, ალბათ, გაჭირდება ისეთი არქეოლოგის პოვნა, რომელიც სურვილს გამოთქვამს, თავისი მასალა რაიონულ მუზეუმს გადასცეს დასაცავად. არც გაემტყუნება – დასამალი არ არის, რომ ხშირ შემთხვევაში მუზეუმებში შემთხვევით ხალხია თავმოყრილი, რომლებსაც სამუზეუმო საქმისა არაფერი გაეგებათ. ისიც ფაქტია, რომ მუზეუმებს სათავეში უპირატესად უდგას რაიონში სხვა საქმისთვის დაწუნებული პიროვნება. აქ სუსტად მუშაობენ კოლექციების აღნუსხვასა და კატალოგიზაციაზე. ეს, რა თქმა უნდა, მარტო არქეოლოგიურ კოლექციებს კი არა, საერთოდ, მუზეუმის ფონდს შეეხება. უკეთეს შემთხვევაში მუზეუმებში მოწყობილია პატარა გამოფენა, სადაც უპირატესად რაიონის მიღწევებია ასახული. წარსულსა და ეთნოგრაფიულ სინამდვილეს შედარებით მცირე ადგილი აქვს დათმობილი, ეს იმ დროს, როდესაც დღეს თითქმის არ არის ჩვენში რაიონი, სადაც არქეოლოგიური სამუშაოები არ მიმდინარეობდეს. მოპოვებული მასალა, დიდი ნაწილი მაინც, ადგილობრივ მუზეუმებში უნდა იყრიდეს თავს, იქ რომ წესიერი პირობები იყოს. ეს არქეოლოგებსაც დიდად შეუწყობდა ხელს. ზოგჯერ, ალბათ, ისინიც სცოდავენ მუზეუმებთან ურთიერთობაში. უმეტეს შემთხვევაში ექსპედიციებს თითქმის არავითარი კონტაქტი არა აქვთ ადგილობრივ მუზეუმებთან. არ ეხმარებიან მათ, არ ცდილობენ საქმის გაუმჯობესებას. მუზეუმის თანამშრომლები იშვიათად თუ მონაწილეობენ ექსპედიციის მუშაობაში. ზოგჯერ იმ მიზეზით, რომ მასალა ჯერ დამუშავებული არ არის, არ აძლევენ ნივთებს გამოსაფენად, არ ეხმარებიან ექსპოზიციის მოწყობაში.

სადაც სათავეში მცოდნე კაცი დგას, მხარეთმცოდნეობის კარგი მუზეუმებიც გვაქვს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გეგეჭკორის, გურჯაანის მუზეუმები. კახეთის ექსპედიციამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გადასცა კიდეც გურჯაანის მუზეუმს თავისი მასალები დასაცავად. ძალიან კარგი მუზეუმია ქუთაისში, იქ მშვენიერი გამოფენაა და ფონდებიც კარგ მდგომარეობაშია. მუზეუმს ახალი შენობა ემატება, სულ მალე კიდევ ერთ სრულყოფილ კულტურულ კერას მივიღებთ დასავლეთ რეგიონში, სადაც ყველა პირობაა კოლექციების დაცვისა. დასავლეთ საქართველოში მომუშავე არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებულმა მასალებმა შეიძლება ძირითადად აქ მოიყაროს თავი.

სამხარეთმცოდნეო მუზეუმების მუშაობის გაუმჯობესება დღეს გადაუდებელი ამოცანაა. თუ მასალების მოვლა-პატრონობის საქმე არ მოგვარდა, თუ ადგილობრივ მუზეუმებში დონე არ აიწევს, მძიმე შედეგი მოჰყვება. კულტურის სამინისტრომ უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს ეს საშური საქმე.

ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ვითარებას უწყებრიობა ართულებს. მხარეთმცოდნეობის მუზეუმები კულტურის სამინისტროს გამგებლობაშია, არქეოლოგიური ექსპედიციის უმრავლესობა აკადემიის სისტემაშია, რესტავრაციაზე კიდევ სხვა უწყება ზრუნავს. ხშირად საერთო ენის გამონახვა ჭირს. ზოგიერთ წარსულის ძეგლებით მდიდარ ქვეყანაში ყველაფერი, რაც კი სიძველეებს შეეხება, ერთ უწყებას ეკითხება – გათხრებიც, მუზეუმებიც, რესტავრაციაც და კიდევ ბევრი სხვა. ზოგი-

ერთი მუზეუმი ჩვენშიც აკადემიის სისტემაში შევიდა და საქმესაც ეშველა. ახალციხის მუზეუმი საქართველოს მუზეუმის ფილიალად გადაკეთდა, დიდებული გამოფენა მოეწყო, ფონდები მოწესრიგდა და გამდიდრდა.

მაგრამ აქვე სხვა მაგალითიც გვაქვს: ადრე აკადემიის სისტემაში იყო ვარძიის მშვენიერი მუზეუმი, რომელმაც უთუოდ დიდი საქმე გააკეთა ამ ძეგლის და, საერთოდ, მხარის შესწავლაში. შემდეგ იგი რატომღაც სხვა უწყებაში გადავიდა. დღეს სახელი კი შერჩა, მაგრამ მისი ძირითადი საქმიანობა ექსკურსიების მომსახურებაა, მეცნიერებასთან მას საერთო აღარაფერი აქვს. ამით კი მხოლოდ საქმემ იზარალა. არა და, მესხეთ-ჯავახეთს განსაკუთრებით უჭირს დღეს. იშლება და იკარგება ქართველთა ნაკვალევი ამ ოდესღაც აყვავებულ მხარეში. აქაური სიძველეები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ეგებ ახალციხის მუზეუმის გზა იყოს გამართლებული, ან სხვა საშუალებები გამოიძებნოს. საქმე რომ უნდა მოგვარდეს, თანაც დაუყოვნებლივ, ეს აშკარაა. მოზღვავებულ მასალას მოვლა ესაჭიროება, არქეოლოგიური ბაზები მხოლოდ დროებითი თავშესაფარი შეიძლება იყოს. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები წლების მანძილზე თავს იყრიდა არმაზის ხევის ბაზაზე და დღეს აქ დიდძალი კოლექციები ინახება, მაგრამ უსაფრთხოების მხრივ აქ ყველაფერი წესრიგში არ არის, ზოგჯერ ასეთ პირობებში უნიკალური მასალებია მოხვედრილი. მარტო ოქროს და ვერცხლის ნივთების საიმედო პატრონობა საქმეს ვერ შველის.

დღეს ბევრია სამუშაო, ბევრ ძეგლს დაუყოვნებლივი გადარჩენა სჭირდება, მშენებლობა არ იცდის. ამიტომ მთელი ძალები აქეთკენ უნდა წარიმართოს, უნდა გაითხაროს ის ძეგლი, რომელიც ზიანდება. თუ ძეგლს უშუალო საფრთხე არ ელის, თავი უნდა შევიკავოთ გათხრისაგან. მართალია, ზოგჯერ მეცნიერული ინტერესიც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ზოგი ეპოქა ან მხარე სადღეისოდ სათანადოდ შესწავლილი არ არის და ხარვეზის შესავსებად გარკვეული კვლევა-ძიებაა საჭირო, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისი უნდა იყოს. თქმა არ უნდა, ბევრს ვთხრით, მასალებს ვერ ვითვისებთ, ვერ ვამუშავებთ, ვერ ვაქვეყნებთ. რამდენი ძეგლია ადრე გათხრილი და დღემდე მეცნიერულ მიმოქცევაში ჯერაც არ არის შეტანილი. განა დასაშვებია, რომ ათეული წლების წინათ გათხრილი მასალა დღესაც უძრავად დევს და მათი ავტორები კი სულ ახალ-ახალ ძეგლებს თხრიან და ძველ ვალებს ახალი ემატება. იმის გამო, რომ თავის დროზე არ დამუშავდა, მასალა დაღუპვის პირას არის დასული. მართალია, არქეოლოგიური ძეგლების საერთო ფონდი საქართველოში ძალიან დიდია, მაგრამ ამოუწურავი არ არის. მალე საქართველოში, ალბათ, გამოქვაბული არ დარჩება გაუთხრელი, მაგრამ ის, რაც გავთხარეთ, განა სათანადოდ გვაქვს შესწავლილი? საქართველოს ძველი ქვის ხანა დღეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ალბათ ისეთს, როგორსაც არც ერთი სხვა ეპოქა. მაგრამ არ დამუშავებულა და გამოქვეყნებულა ძველი ქვის ხანის რიგი უბრწყინვალესი ძეგლები. საგვარჯილეს გამოქვაბული მართლაც უნიკალურია, რომლის მსგავსი სხვა შეიძლება აღარ განმეორდეს და, სამწუხაროდ, ალბათ, დღეს უკვე გაძნელდება მოპოვებული მასალების აღდგენა. ასეთი მაგალითი სხვა ეპოქებიდანაც შეიძლება მოვიტანოთ, მაგრამ ძველიდან დავიწყე.

არქეოლოგიური გათხრები რთული და პასუხსაგები პროცესია. ძეგლის გათხრა, უმთავრეს შემთხვევაში, თუ იგი შემდეგში საგანგებოდ დაცული არ იქნა, მისი დანგრევაა. ამიტომ ძეგლი ისე უნდა შევისწავლოთ, რომ მისგან მაქსიმალური ინფორმაცია მივიღოთ. უნდა ვეცადოთ, აგრეთვე, შევინარჩუნოთ ის ბუნებრივი გარემოც,

სადაც ძეგლი მდებარეობდა. იგი ხომ მჭიდროდ უკავშირდებოდა მხარის ეკოლოგიურ თავისებურებს და, საერთოდ, ლანდშაფტს. არქეოლოგიაში წესია, თუ საჭიროება არ მოითხოვს, მნიშვნელოვანი ხასიათის ძეგლი მაინცდამაინც ბოლომდე არ უნდა გაითხაროს. მომავალმა თაობამ, უფრო სრულყოფილი მეთოდიკის პირობებში, შეიძლება ზოგი რამ შესწორება შეიტანოს ძეგლის შესწავლაში. ამის არა ერთი და ორი მაგალითია არქეოლოგიაში. ამ წესს შეძლებისდაგვარად უნდა ვიცავდეთ და არ უნდა ვთხრიდეთ გაუთავებლად ერთსა და იმავე ძეგლს, მით უმეტეს, როდესაც მან თავისი სათქმელი უკვე თქვა. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ეს სენიც შემოგვეპარა. წინასწარ აკვიატებულ აზრით ძეგლის შესწავლის დაწყება ძალზე საფრთხილოა. ამან სიკეთის ნაცვლად შეიძლება დიდი ზიანი მოიტანოს. გათხრის შედეგებმა უნდა აგვამეტყველოს, წინასწარ ნაფიქრმა არ უნდა გაგვიტაცოს. გაუთხრელი და შეუსწავლელი ძეგლების საფუძველზე წინასწარი დასკვნების გამოტანა უთუოდ ძალზე სახიფათოა. მარტო დაზვერვითი სამუშაოების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებებით შორს წასული დასკვნების შემუშავება გაუმართლებელია, ამან შეიძლება დიდ შეცდომებამდე მიგვიყვანოს. ამის მაგალითებიც საკმაოდ არის არქეოლოგიაში. საზოგადოებას წინასწარ მცდარი აზრი არ უნდა მოვახვიოთ.

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებთან თანამშრომლობით ერთობლივი დადგენილება მივიღეთ არქეოლოგიის საქმის გაუმჯობესების თაობაზე. ეს უთუოდ დიდად შეუწყობს ხელს არქეოლოგიის წინსვლას ჩვენში, მაგრამ ამავე დროს დიდად ზრდის არქეოლოგთა პასუხისმგებლობას, ნდობა მათ ბოროტად არ უნდა გამოიყენონ, უნდა ვთხაროთ და ვიკვლიოთ იმდენი, რამდენის შესწავლასაც შევძლებთ. ვიმეორებთ, არქეოლოგია მარტო გათხრა ხომ არ არის, მოპოვებული მასალა შემდეგ გააზრებას საჭიროებს. ვართ კი ჩვენ დღეს საამისოდ მზად?

გათხრების ნებართვას ჩვენში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისია იძლევა. მისი უპირველესი ამოცანაა უხელმძღვანელოს, მოაწესრიგოს არქეოლოგიური სამუშაოები, თვალ-ყური ადევნოს წესდებით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულებას და სხვ. მაგრამ ნებართვას, „ღია ფურცლებს“ კომისია ჩვეულებრივ გასცემს ხოლმე, შემდეგ კი მაინცდამაინც თავს აღარ იწუხებს ექსპედიციების მუშაობის გაკონტროლებით. დღეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება კომისიას, მან მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს მომთხოვნელობა. უწინარესად დაწესებულებებმა თუ ცალკეულმა პიროვნებებმა უნდა დაასაბუთონ გათხრების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. მეტის გულისყურით უნდა შეირჩეს გასათხრელი ობიექტები და დიდმნიშვნელოვნად გაიზარდოს კონტროლი. კომისია მკაცრად, ყოველგვარი შეღავათის გარეშე, უნდა ითხოვდეს ექსპედიციებისაგან მოპოვებული მასალის მოვლა-პატრონობას, დაცვას და, რაც მთავარია, მათ მეცნიერულ დამუშავებას. ვისაც გათხრების შედეგები წლების მანძილზე დამუშავებული და გამოქვეყნებული არა აქვს, ვისაც ძველი ვალი ადევს, ნებართვა შემდგომ გათხრებზე არ უნდა მიეცეს. თუ ყველა წესს სათანადოდ არ დავიცავთ, სულ მალე სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და სიკეთის ნაცვლად შეიძლება საქმე დავაზარალოთ.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში არქეოლოგიისათვის საგანგებო ფონდი იქმნება. ეს სინამდვილეში სიძველეების ფონდად უნდა იქცეს, რომელიც საერთოდ არქეოლოგიასთან ერთად უნდა მოხმარდეს ძეგლების მოვლასა და პატრონობას. განა ნაკლებად ნადგურდება და ზიანდება ჩვენი ეთნოგრაფიული სინამდვილე. წარსულის გადმო-

ნაშთები თვალსა და ხელს შუა იკარგება. დღეს თუ არ მოვუარეთ ამას, ხვალ უკვე გვიან იქნება. ამ მხრივ ეთნოგრაფიას ზოგჯერ შეიძლება უფრო მეტი საფრთხე ემუქრება. ჩვენი ყოფა დღეს სწრაფად იცვლება, იშლება წარსულიდან წამოსული ძვირფასი ნიშნები და მათ უკვე ვეღარაფერი აღადგენს. მით უმეტეს, თუ რკინიგზა გაივლის ეთნოგრაფიული მონაცემებით მდიდარ მხარეში.

რა თქმა უნდა, დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგება კადრების საკითხი. შეიძლება არასდროს ისე არ იგრძნობოდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი-არქეოლოგების საჭიროება, როგორც ახლა. მომავალ არქეოლოგებს ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი ზრდის. მართალია, არქეოლოგია ისტორიული დარგის ერთ-ერთი დისციპლინაა, მაგრამ მას მთელი რიგი თავისებურებების ახასიათებს – თავისი რთული კვლევის მეთოდები. იმისათვის, რომ თანამედროვე კვლევის მეთოდიკით შეიარაღებული სპეციალისტი-არქეოლოგი გაიზარდოს, მეტი დროა საჭირო. არქეოლოგიის სპეციალიზაციისათვის დათმობილი საათები არასაკმარისია; ვერც მცირეშტატიანი არქეოლოგიის კათედრა აუდის სათანადოდ დაკისრებულ საქმეს. დადგა დრო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტთან გაიხსნას არქეოლოგიის სპეციალობა. კვალიფიციური კადრების გარეშე შეუძლებელი იქნება იმ დიდი საქმის სათანადო დონეზე შესრულება, დღეს რომ დღის წესრიგში დადგა. ახლა მზადდება სპეციალისტები, რომლებმაც ძირითადად მესამე ათასწლეულში უნდა იმოღვაწეონ. როდესაც დადგება ჟამი ამ დიდი დაგროვილი მასალის გააზრებისა, რა თქმა უნდა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის გარეშე შეუძლებელი იქნება ამ უაღრესად სერიოზული, უმნიშვნელოვანესი საქმის წამოწევა.

ᲪᲠᲣᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ*

მეოცე საუკუნის ზღურბლზე ორი მნიშვნელოვანი მოვლენა აღინიშნება ქართველი ხალხის ისტორიაში – ქრისტეს დაბადებიდან ორი ათასი წელი და ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების სამი ათასი წელი. ქართველი ერი ერთი იმათთაგანია, ვინც ადრე ეზიარა ქრისტიანობას, საუკუნეების მანძილზე წმინდად გამოატარა და დღემდე შემოინახა იგი. განა ბევრია დღეს ქრისტიანი ერები, რომლებიც წმინდა მიწაზე მოღვაწეობით ქართველებს გაუტოლდებიან? სამწუხაროდ, დღეს თითქმის წაიშალა იქ ქართველთა დიდი მოღვაწეობის ნაკვალევი, მაგრამ დავიწყებას არ უნდა მიეცეს, თუ რა ადგილი ეკავა საქრისტიანოში ქართველ ერს.

ახალი წელთაღრიცხვის თითქმის მთელ მანძილზე ქართველმა კაცმა არ უღალატა ქრისტეს რჯულს, შეუბღალავად გამოატარა იგი მეტად მძიმე და რთულ ისტორიულ ვითარებაში. ქრისტეს სახელმა, ქართველი ერის შინაგან პოტენციასთან ერთად, განაპირობა ის, რომ საქართველო დღემდე მოვიდა და არ აღიგავა „პირისაგან მიწისა“ ისე, როგორც მასზე გაცილებით უფრო ძლიერი, დიდი ერები. ეს პოტენცია ქართველ კაცში თავიდანვე არსებობდა – თან სდევდა. ის მომავალს ყოველთვის იმედით შეჰყურებდა. საქართველომ, მადლობა ღმერთს, დღეს საბოლოოდ აღიდგინა დაახლოებით ორასი წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა, ჩადგა დამოუკიდებელი ქვეყნების რიგში და კიდევაც დაიკავებს საპატიო ადგილს ცივილიზებულ სამყაროში. დღეს, საბედნიეროდ, მსოფლიოში ისეთი ვითარება იქმნება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე აღარ ემუქრება და სულ მალე იგი თავის სახელმწიფოებრიობის არსებობის 3000 წლისთავს აღნიშნავს.

დღეს მსოფლიო ერებს შორის არცთუ ისე ბევრია ქვეყანა, რომლის სახელმწიფოებრიობას ასეთ შორეულ წარსულში ჩაეყარა საფუძველი. ქართველ ერს მართლაც დიდებული წარსული აქვს. წინა აზიის სხვა ხალხების გვერდით, სამი ათასი წლის წინათ, ჩვენშიც შეიქმნა პირობები სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა – წარსულის ცოდნისა და პატივისცემის გარეშე შეუძლებელია აწმყოს სწორი გაგება და ზრუნვა ბედნიერ მომავალზე.

ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველოს მიწა-წყალი ის რეგიონი იყო, სადაც ევრაზიის სივრცეში უძველესმა ადამიანმა პირველმა შემოდგა ფეხი. დმანისის განათხარი ადამიანის აღმოჩენამ სრულიად ახლებურად დააყენა საკითხი საქართველოს ისტორიის საწყისი ეტაპის შესახებ, რომელსაც თითქმის ორი მილიონი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე წარმოქმნილი საზოგადოება შემდეგში უწყვეტად განაგრძობს აქ არსებობას. მსოფლიოში, ალბათ, ძნელად მოიპოვება ხალხი, რომელთა დღევანდელი ადგილსამყოფელი უშუალოდ

---

* „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 მაისი, 1999.

უკავშირდება წინაპართა პირველსაცხოვრისს. ქართულმა მიწამ უძვირფასესი მასალები შემოგვინახა ჩვენი უძველესი და უმდიდრესი ისტორიისა. მრავალი ძეგლი, მიწას ამოფარებული, საქართველოს დიდ წარსულზე მეტყველებს. უკვე ძველი ქვის ხანაში, პალეოლითში, შემდეგ კი ახალი ქვის ხანაში, ნეოლითში, საქართველოს ბარი და მთა ინტენსიურად არის დასახლებული. ეკონომიკის ახალი ფორმების – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის – ჩამოყალიბებაში „ნეოლითურ რევოლუციის“ ხანაში ქართველ მეურნესაც უდევს გარკვეული წილი. არ არის, როგორც არაერთგზის აღინიშნა, შემთხვევითი, რომ არსად მსოფლიოში კულტურულ მცენარეთა ისეთი მრავალსახეობა არ გვხვდება, როგორც ამიერკავკასიაში, და, კერძოდ, საქართველოში. ეს უცილობლად ქართველი მიწათმოქმედის შორეული წინაპრის დამსახურებაა.

ლიტერატურული ტრადიციებით, რაც არაერთხელ აისახა ძველ მწერლობაში, და დაბადებაშიც აღინიშნა, ქართველთა წინაპრებს მიანერენ დიდ დამსახურებას ბრინჯაოსა და შემდეგ რკინის მეტალურგიის განვითარების საქმეში. სწორედ ბრინჯაოს ხანაში შეიქმნა ცივილიზაციის ზღურბლის გადალახვის საფუძველი. ბრინჯაოს პერიოდში საქართველოში ბრწყინვალე კულტურები იყო გავრცელებული, ჯერ მტკვარ-არაქსისა და შემდეგ კი – თრიალეთისა. ბრინჯაოს კულტურის ბოლო ეტაპზე, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს, შეიქმნა პირობები სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა. მართალია, ქართველ ტომებს უფრო ადრეც, თრიალეთის კულტურის ხანაშიც, ჰქონდათ ყველა პირობა ცივილიზაციის ზღურბლის გადალახვისა, მაგრამ იმ დროს წინა აზიაში დატრიალებული ამბების გამო, რამდენიმე საუკუნით გადაიდო სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის შესაძლებლობა. მაგრამ ეს მოვლენები უფრო მეტად დამაჯერებელი რომ იყოს, კარგი იქნება თვალნათლივ ჩვენება იმ დიდი გზისა, რომელიც ქართველთა წინაპრებმა განვლეს სახელმწიფოებრიობის ფორმირებამდე. აგრეთვე, იმის წარმოჩენა, თუ როგორ წარიმართა მათი შემდგომი ბედი. 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა ბრწყინვალე არქეოლოგიური გამოფენა მოაწყო, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი. იქ კარგად იყო ასახული ჩვენი დიდი წარსული. რა თქმა უნდა, დღეს ეს გამოფენა განახლებას და ერთგვარ გადახალისებას მოითხოვს. უკანასკნელ ათწლეულში, ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, ბევრი ახალი კოლექცია შეემატა მუზეუმს და სხვა სამეცნიერო დაწესებულებას. ბატონ ლალის ნატვრა იყო, არქეოლოგიური გამოფენის განახლება და გადახალისება, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ეს თავისი წადილი ვერ შეისრულა. მართალია, დღეს ახალი გამოფენის მოწყობის საშუალება არ არის, მაგრამ არსებული გამოფენის ახალი ექსპონატებით შევსება და ერთგვარი განახლება შეუძლებელი არ უნდა იყოს. კარგი იქნება, ამ საქმეს დროზე მივხედოთ. თვალით დანახული მაინც სხვაა, მეტ დამაჯერებლობას იძენს, ახალი გამოფენის მოწყობა კი სამომავლოდ გადავდოთ.

დღეს ჩვენი სიძველეები, ძირითადად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია თავმოყრილი. ამ მუზეუმების საგამოფენო დარბაზებშია წარმოდგენილი ჩვენი წარსულის ამსახველი მასალა. ექსპოზიციებში ზოგჯერ მეორდება მასალები და მსგავსი ხასიათის ექსპონატებია გამოფენილი. სრულ წარმოდგენას წარსულზე ორივე მუზეუმის გამოფენების დათვალიერება ქმნის. ეს კი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. რა თქმა უნდა, უმჯობესია არსებობდეს ერთი დიდი გამოფენა, სადაც თვალნათლივ იქნება წარმოდგენი-

ლი ჩვენი კულტურა. ამიტომ, სასურველია, თბილისში დაარსდეს მუზეუმი ლუვრის, ბრიტანეთის, ერმიტაჟის და სხვა მუზეუმთა მსგავსი, სადაც თავმოყრილი იქნება ჩვენი წარსულის ამსახველი კოლექციები. ქართული ოქრომჭედლობა, რომელსაც ოთხი ათას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ბედენისა და თრიალეთის კულტურების ბრწყინვალე საიუველირო ნაწარმი, ვანის, ახალგორის, არმაზისხევის და სხვ. შესანიშნავი კოლექციები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საგანძურშია დაცული. მომდევნო ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშები, ძირითადად, ხელოვნების მუზეუმის საგანძურში ინახება. თუმცა, აქაც გარკვეულ პარალელს ვხვდებით. ქართული ანტიკურობის დიდებული ნაწარმი, საირხის კოლექცია და სხვ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურშია გამოფენილი. ქართული ოქრომჭედლობის სრული სურათის წარმოდგენისთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს ექსპონატები ერთად იყოს გამოფენილი. მაშინ უფრო ნათელი გახდება, თუ როგორ მივიდა ქართველი ოსტატი ხახულის ხატამდე და სხვა შედევრებამდე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არსებობს პირობები დიდი გამოფენის გამართვისა, სადაც მეტ-ნაკლები სისრულით იქნება წარმოდგენილი ჩვენი დიდი წარსული კულტურა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე სავსებით შესაძლებელია ასეთი ხასიათის მუზეუმის ჩამოყალიბება. მთავარი ის კი არ არის, რომელ უწყებაში იქნება ეს მუზეუმი, არამედ ის, თუ საქმეს რა წაადგება, ყველამ უნდა დაიოკოს პირადი ამბიციები. საქართველო ახლო მომავალში, ჩანს, განვითარებული ტურიზმის ქვეყნად გადაიქცევა და მით უმეტეს საჭირო იქნება მისი წარსულისა და აწმყოს ღირსეულად წარმოდგენა.

უთუოდ გადასაწყვეტია ის, რომ დღეს საქართველოში არ არის სამხატვრო გალერეა და არც თანამედროვე მხატვრობის მუზეუმი არსებობს. ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში წარმოდგენილი ექსპოზიცია არ იძლევა სრულ სურათს ჩვენს მხატვრობაზე. ამიტომ სასურველია, რომ დაარსდეს მუდმივმოქმედი სამხატვრო გალერეა, სადაც გამოფენილი იქნება ჩვენი გამოჩენილი მხატვრების ნამუშევრები, ცალკეული მხატვრის სახლ-მუზეუმი კარგია, მაგრამ მთლიანობაში არ იძლევა წარმოდგენას სამხატვრო ხელოვნების დონის შესახებ. მეზობელ სომხეთში უკვე კარგა ხანია არსებობს სამხატვრო გალერეა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი.

ჩვენში კი, დღეს არც თანამედროვე მხატვრობის გალერეა არსებობს. საქართველო თითქოს მხატვართა ქვეყანაა. დღე არ გავა, მხატვრის გამოფენა არ ეწყობოდეს. ამიტომ, აუცილებელია თანამედროვე ხელოვანთა მუდმივმოქმედი გამოფენის მოწყობა, სადაც წარმოდგენილი იქნება მოქმედი მხატვრების ნამუშევრები (დღეს ძნელია შეიქმნა წარმოდგენა ჩვენში მხატვრობის დონის შესახებ). რომ არ გამოქვეყნებულიყო მხატვარ ელგუჯა ბერძენიშვილის ბრწყინვალე ალბომი, ძნელად წარმოიდგენდა ვინმე, თუ რა დიდი პოტენციის მხატვარი ყოფილა იგი. მაგრამ ალბომი არ იძლევა სრულ შთაბეჭდილებას და თვალით ნანახი სურათი სულ სხვაა. ამას წინათ, ბავშვთა გალერეაში ხელოვნებათმცოდნე ნინო მეტრეველმა დიდებული გამოფენა მოაწყო, რომელზეც წარმოდგენილი იყო კერძო კოლექციებში დაცული შესანიშნავი მხატვრების ნამუშევრები, მაგრამ ეს გამოფენა სულ ერთი დღე გაგრძელდა.

შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი დიდებული კულტურა – წარსულის და აწმყოსიც – დიდ ინტერესს იწვევს, იქნება ეს თეატრალური ხელოვნება, კინო, მხატვრობა და სხვ. არაერთმა გამოფენამ სხვადასხვა ქვეყნებში დიდი აღიარება პოვა, გამოიცა შესანიშნავი კატალოგები, ბევრ ექსპონატს სათანადო მკურნალობა ჩაუტარდა და სხვ.

ახლა იმ აურზაურს, ნივთების გატანასთან დაკავშირებით რომ არის ატეხილი, არავითარი საფუძველი არა აქვს. უცხოეთში გამოფენების მოწყობისაგან თავის შეკავებას არანაირი გამართლება არ მოეპოვება! თანაც ზოგჯერ ისეთი არამკითხე პიროვნებები გამოიდებენ თავს, რომლებსაც ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვთ და მხოლოდ პირადი ამბიციები აწუხებთ. პირად საქმეს არ უნდა გადააყოლო ქვეყნის ინტერესი. ცრუპატრიოტიზმს, სარგებლობის მაგიერ, ზიანი მოაქვს. განა დღეს ერთი თუ ორი მსოფლიო მნიშვნელობის შედევრი ინაცვლებს ადგილს და ამშვენებს სხვადასხვა მუზეუმების საგამოფენო დარბაზებს? დღეს, დამოუკიდებლობის პირობებში, საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა დიდხანს მიძინებული თავისი კულტურა ღირსეულად წარმოაჩინოს და დაამშვენოს არაერთი ქვეყნის მუზეუმი. ეს კიდევ უფრო გააღვიძებს ინტერესს ჩვენი ქვეყნისადმი. მით უმეტეს, რომ სულ მალე საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების თარიღი აღინიშნება და მსგავსი გამოფენების გამართვა კიდევ უფრო საშური უნდა იყოს.

ვინ რითი ცოცხლობს*

50-იანი წლების მეორე ნახევარში უნივერსიტეტს (მაშინ ერთი გვქონდა, სხვებში არ აგვერევა) პროფესორ-მასწავლებელთა ფეხბურთის გუნდი ჰყავდა და არცთუ ურიგო; ისე, ნამდვილი „ინტერნაციონალური“ ანსამბლი იყო: ისტორიკოსებით, ფილოლოგებით, ფიზიკოსებით, მათემატიკოსებით შეზავებული, თანაც შეხმატკბილებული; თავისი „საშუალო“ ასაკისა და წონის მახლობელ მოწინააღმდეგეებს ხვდებოდნენ სტუდქალაქის სტადიონზე. როგორც წესი და რიგია, ხან აგებდნენ, ხან იგებდნენ (ერთხელ ძიაპშიპას თაობის თბილისის „დინამოს“ ვეტერანებსაც შეჰბედეს)... კარს მორიგეობით იცავდნენ ნოდარ ლომოური და ოთარ ჯაფარიძე. ამ სტრიქონების ავტორი მარჯვენა მცველი გახლდათ, მეორე ნომერი.

ერთხელაც ვთამაშობთ, მეკარე ბატონი ოთარია, უკვე ორმოც წელს მიტანებული. დაურტყეს ერთ ეპიზოდში კუთხეში, გადახტა სხარტად ეს ფრენბურთში ნაცადი კაცი და ბურთი მოიგერია; ოღონდ ისევ ცქვიტად ვეღარ წამოხტა, იმ მოგერიებულ ბურთს კი მეტოქემ მიუსწრო და ბადეში შეაგორა; კაცმა რომ თქვას, გოლი ჩემი ბრალი იყო, მოწინააღმდეგისათვის ამდენი არ უნდა მეცლია, მაგრამ ცხელ გულზე შევამუნათე – ოთარ, დროზე ვერ ადექი-მეთქი. შე ასეთ-ისეთო, რომ დავწექი, იმაზე მითხარი მადლობა, ადგომაზე რომ მსაყვედურობო, – მიპასუხა...

ნეტავ იმ დროს...

თანაგუნდელები უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტში ვსხედვართ, ვსაუბრობთ, „მეკარე“ ახლა 76 წლის აკადემიკოსია, ერთობ საპატიო პიროვნება – არქეოლოგიის კათედრის საპატიო გამგე, თბილისის საპატიო მოქალაქე, ჩვენი ძველი კულტურის, ნივთიერი ძეგლების გამოჩენილი მკვლევარი ოთარ ჯაფარიძე. იგი სამი მეცნიერი შვილის მამა გახლავთ და სამი შვილიშვილის ბაბუა, თუმცა თბილისში ერთი ქალიშვილისა და ერთი შვილიშვილის ამარა დარჩენილა ცოლ-ქმარი: ვაჟი ჰოლანდიაში „გაქცევიათ“, უმცროსი ქალიშვილი – კანადაში; და კიდევ – ჰოლანდიაში მცხოვრებ ორ შვილიშვილთან, ბიჭებთან, ჯერჯერობით „საერთო ენა ვერ გამოუნახავთ“ – ამათ ქართული ენა არ იციან, ბაბუამ – იქაური...

– შენი სპორტული ცხოვრების ერთ მონაკვეთს, საუნივერსიტეტოს, ნაწილობრივ ვიცნობ. ბავშვობას გადავწვდეთ...

– ოცდაათიანი წლების დასაწყისის თბილისში ბიჭები უფრო ფეხბურთს ვთამაშობდით – ორი ჩანთა ან ორი ქვა „შტანგებად“ და მორჩა... სხვა სახეობებში ძნელი იყო: კალათბურთს ფარები სჭირდებოდა, ფრენბურთს ან ჩოგბურთს – ბადეები;

---

* „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 თებერვალი, 1989.

ფეხბურთს კი ადგილის მეტი არაფერი. ეს ადგილი ჩვენთვის ახლანდელი ვაკის პარკი იყო – „სპარტაკის“ პლაცი და პლანეროდრომი. ბავშვობიდან კარში ვიდექი, მერე „სპარტაკის“ ახალგაზრდულ გუნდში მიმიღეს, სექციაში. ლენინის სტადიონზე დავიწყეთ სიარული, „დინამოზე“. 30-იანი წლების თბილისის ფეხბურთის გუნდები – ეს იყო „ზიი“ – („ზაკავკაზსკი ინდუსტრიალნი ინსტიტუტ“), „ტსპო“ – „ლოკომოტივის“ წინამორბედი (რას ნიშნავდა, არ ვიცი) „დინამო“. კარგად მახსოვს ძმები ჩხატარაშვილები – ნესტორი და შალვა, შესანიშნავი მეკარე, ადრე გარდაცვლილი სალონინი („კოჩინია“), ჯორბენაძე, მინაევი, ბოლოტინი („პარავოზა“), სიხარულიძე (“სიხო“), ყალიჩავა, რამიშვილი, გაიოზ ჯეჯელავა, განსაკუთრებით ვაჩნაძე გამოირჩეოდა („ფსიშკა“), რომელზეც ანდრო ჟორდანიას უთქვამს: ქართულ ფეხბურთში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყოო (თავდასხმის ცენტრში თამაშობდა); გერმანიასთან ომის დროს საზღვარგარეთ დარჩა და, ბუნებრივია, დღემდე ბევრმაც არც იცის მისი სახელი.

– ჭადრაკი, ცურვა?

– ჭადრაკს ისე ვთამაშობდი, სხვათა შორის... ცურვა – მტკვარი იყო ჩვენი საბანაო. ბორნების, ტივების „რომანტიკას“ მოვსწრებივარ...

– უნივერსიტეტის ხანას მივადექით...

– უნივერსიტეტში კალათბურთის თამაში დავიწყე. იყო მართლაც დამსახურებული მასწავლებელი, კალათბურთის დიდი ენთუზიასტი შალვა დიასამიძე. ეს მისი წყალობითაც გახდა კალათბურთი ერთობ პოპულარული უნივერსიტეტში. სანამ დაუვიწყარი ნიკო კეცხოველი სპარტაკიადებს შემოიღებდა, ფაკულტეტების პირველობები ეწყობოდა კალათბურთში. ნოდარ ჯორჯიკიასთან ვმეგობრობდი, ერთი ასაკისანი ვართ. მის 75 წლისთავზე ტელევიზიით გამოვედი. იშვიათად მინახავს ასეთი ნიჭიერი სპორტსმენი. ფანატიკოსი გახლდათ. ღამღამობით ჩაიკეტებოდა ხოლმე უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში „ჩიფჩიფასთან“ – ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად, თავდავიწყებით ვარჯიშობდა ლამის მთელი ღამე; მაშინ გამოჩნდა მიხეილ კეკელიძეც, შემდგომში დიდებული მწვრთნელი, „ძია მიშას“ რომ ეძახდნენ ჭაბუკები.

ასპირანტურაში ჩემი სწავლისას ასე, 1945 წლიდან, ფრენბურთის „ერა“ დადგა უნივერსიტეტში, მასწავლებლებთან ერთად ვთამაშობდი. ჩვენი შეკრებების სულის ჩამდგმელი კოტე ბაქრაძე ბრძანდებოდა. მოდიოდნენ დავით დოლიძე, იოსებ ბარჯაძე, პაატა გუგუშვილი, ოთარ ჯინორია, ვენორი ქვაჩახია, ლევან ალექსიძე... კვირა დღეს, 2 საათზე, რა უნდა მომხდარიყო, რომ ვარჯიში გაგვეცდინა. კოტიკო ლომინაძეს „პროფესიული“ ფრენბურთი მომთავრებული ჰქონდა, მაგრამ მაინც მოდიოდა... კოტეს თაოსნობით, დილის 7 საათზე სანაპიროზე, „ბასეინზე“ დავდიოდით საცურაოდ, თუ წყალი არ იყო, მტკვარს მივაშურებდით.

მოგვიანებით მეცნიერებათა აკადემიაში გვყავდა ფრენბურთის გუნდი – ლევან ჯაფარიძე, არჩილ ძიძიგური, ლიონია ო-კლეი, ბიჭიკო ჭილაშვილი... ურიგოდ არ გამოგვდიოდა...

50-იანი წლების მეორე ნახევარში, ბატონმა კოტემ რომ „თავი დაგვანება“, ყველაფერი ჩაკვდა, სამაგიეროდ, უნივერსიტეტში მასწავლებლების ფეხბურთის გუნდა გამოჩნდა – ეს შენც კარგად იცი: ჩვენი კაპიტანი, ნახევარმცველი კარლო მეშველიანი, მარცხენა მცველი ნოდარ კაკაბაძე, განსვენებული ნახევარმცველი ომარ ჭეიშ-

ვილი, თავდამსხმელები ნოდარ ნაკაშიძე, ნიკუშა გიორგაძე, ცაცო ბახტაძე. ხომ გახსოვს, რა ხალისით, რა ენთუზიაზმით დავდიოდით, ვთამაშობდით...

– ოთარ, ბოლო „თემა“: „ამჟამინდელი ოთარ ჯაფარიძე და სპორტი“...

– ყოველ დილით, როგორც წესი, შინ 20-25 წუთი ვვარჯიშობ. დილის 7 საათზე ვაკის პარკში დავდივარ – გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე: ახლა რას ივლი – ბნელა და ძაღლებით არის იქაურობა სავსე. ძალიან მიყვარს სპორტული ტელეეკრანი; გამორჩევით – ფეხბურთი. სპორტის ამბებს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვკითხულობ, სხვა გაზეთებში ვერ ვახერხებ.

– სიგარეტი, ღვინო?

– სიგარეტს არც არასოდეს ვეწეოდი, ღვინო თუ „ჩამივარდება“, რატომაც არა...

... აი, ასე გაჯერებული გამოდგა სპორტით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ოთარ ჯაფარიძის ბიოგრაფია...

თამაზ ებანოიძე

ყველა ეძვთიმე თაყაიშვილი ვერ იქნება*

ინტერვიუ, რომელსაც ახლა გთავაზობთ, უნივერსიტეტზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა ერთგვარი გამოხმაურებაა. გაზეთ „ახალი ეპოქის“ კითხვებს უპასუხებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე. ბატონი ოთარი ის პიროვნებაა, რომლის ავტორიტეტიც დღემდე შეუბღალავია. მართალია, მის ზოგიერთ პასუხს ჩვენ ნაწილობრივ არ ვეთანხმებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ბევრი რამ საზოგადოებისთვის საგულისხმოა.

– ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან საქართველოს უპირველესი საგანმანათლებლო კერაა, სხვა უმაღლესი სასწავლებლებისთვის ოდითგან სამაგალითო „ცოდნის ტაძარი“. დღეს ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულება და რიდი. ბუნებრივია, უნივერსიტეტში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. ვერ დავიკვეხნით, რომ დალხინებული ქვეყნების მსგავსად ვვითარდებით, მაგრამ არც იმ ცვლილებების უგულებელყოფა შეიძლება, რომლებიც უმაღლესი განათლების სისტემაში შეინიშნება. პირადად თქვენ რა მიგაჩნიათ ამ მხრივ მნიშვნელოვან მოვლენად და რას გამოყოფდით?

– ივანე ჯავახიშვილის ხელდასმული უნივერსიტეტის წიაღიდან მოდის ეროვნული განათლების ყველა სათავე. მისი სანთელი თითქმის ყველა ქართველის ოჯახში ენთო, ამიტომ იყო იგი სწორედ ეროვნული, ამიტომაა ცოდნის ტაძრად შერაცხული. უკანასკნელ წლებამდე მართლაც უცვლელი იყო უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულება და რიდი. მაგრამ ბოლო წლების მწარე გამოცდილება გვიკარნახებს, რომ ზოგიერთმა თავისი მიზნებისთვის (და არა მხოლოდ ამბიციებისთვის) დაიწყო უნივერსიტეტით და მისი სიმაღლით სპეკულაცია. გაიხსენეთ ის აქციები, მის ეზო-შემოგარენში რომ ეწყობოდა. როცა წყალი დაიწმინდა, ნათლად გამოჩნდნენ პიროვნებები, უნივერსიტეტის მეშვეობითაც რომ იქმნიდნენ კარიერას და იმიჯს.

ეს სხვაზე კარგად მე ვიცი, იმ მძიმე წელს, 1991-ში, რექტორის მოვალეობას ვასრულებდი და პირდაპირი მნიშვნელობით – უნივერსიტეტის კარში ჩამდგარი ვიგერიებდი ათამდე პარტიის თუ „დარბაზის“ ხელმძღვანელთა შემოტევას. ზოგიერთი ისე გაკადნიერდა, აუდიტორიებში ცდილობდა შტაბებისა და ოფისების გამართვას.

უნივერსიტეტმა შეძლო მოეგერიებინა ეს შემოტევა. მისი წესდების მნიშვნელოვანი პუნქტი, რომ იგი აპოლიტიკურია და ყველა პარტიასა და მოძრაობაზე მაღლა დგას, უკანასკნელ ათწლეულში სამეცნიერო საბჭომ მისი რექტორის, როინ მეტრეველის თაოსნობით მტკიცედ დაიცვა.

---

* „ახალი ეპოქა“, 20-28 თებერვალი, 2002.

უკანასკნელ ხანს დაფარული ფორმით, სტუდენტთა გამოყენებით, ზოგიერთი ახალი პოლიტიკოსი კვლავ მოილტვის ჩვენი სასწავლებლისკენ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გონიერება ამჯერად გადაწონის.

ახლა – საკუთრივ უნივერსიტეტის პრობლემებზე. თქვენ კარგად შენიშნეთ, რომ ცვლილება არის და მათი უგულებელყოფა არ შეიძლება.

ჩვენი პრობლემა ერთია – განუხრელად და მიზანმიმართულად განვახორციელოთ სასწავლო პროცესში დანერგილი ის სიახლეები, რაც თბილისის უნივერსიტეტს დღევანდელი უმაღლესი განათლების მსოფლიო სისტემაში სრულუფლებიან წარმომადგენლად გახდის, ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების შესატყვისად მისი კურსდამთავრებულის დიპლომი აღიარებული და სრულუფლებიანი იქნება საერთაშორისო მასშტაბით.

სწორედ ამ მიზნით უნივერსიტეტში განხორციელდა ორსაფეხურიანი სწავლება – ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მსგავსად, ამჟამად ინერგება საკრედიტო სისტემა. ამ სიახლეებს გამოვყოფ მნიშვნელოვან მოვლენებად.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ როგორც მთელ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში, ისე უნივერსიტეტშიც, სხვადასხვა გარემოების გამო, არაერთი სასიკეთოდ ჩაფიქრებული საქმე წინ ვერ მიდის. განათლების საბჭოური მოდელი თითქოს უკუვაგდეთ, მაგრამ დასავლურამდე ვერ მივაღწიეთ. კერძოდ, თუ არ ვცდები, ევროპის უმაღლეს სასწავლებელში მაგისტრატურის დამთავრება თავისთავად გულისხმობს სრულყოფილი უმაღლესი განათლების მიღებას, ანუ მაგისტრატურა იგივე ასპირანტურაა. ჩვენთან კი მაგისტრატურა უნდა გაიარო და მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია იფიქრო ასპირანტურაზე, დასავლეთში ხარისხის მაძიებელი ნაშრომის დაცვის შემდეგ დოქტორის წოდებას იღებს, საქართველოში კი ორი საფეხურია – ჯერ კანდიდატი უნდა იყო და მხოლოდ შემდეგ თუ გახდები დოქტორი. ვერც მისაღები გამოცდებით მოვიწონებთ თავს, რადგან არსებითი ხასიათის ცვლილებები არც აქ მომხდარა. თქვენ რას იტყვით ყოველივე ამაზე?

– ვერ დაგეთანხმებით თქვენს გამონათქვამზე – იქმნება შთაბეჭდილება, რომ როგორც მთელ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში, ისე უნივერსიტეტშიც, სხვადასხვა გარემოების გამო, არაერთი სასიკეთოდ ჩაფიქრებული საქმე წინ ვერ მიდის. „არაერთის“ ნაცვლად თუ ვიტყვით „ზოგიერთი“, მაშინ სიმართლეს მივუახლოვდებით. ბევრი ცდება, როცა ხელაღებით ებრძვის საბჭოურ მოდელს. მას ჰქონდა ბევრი ღირსება, რომელსაც დღევანდელ ბაკალავრიატში ვითვალისწინებთ და ვიყენებთ. რაც შეეხება მაგისტრატურას, ამ თვალსაზრისით დასავლეთისკენ ჩვენი ლტოლვა კარგა ხნის წინათ დაიწყო. ამის არაერთი მაგალითია მსოფლიოს სახელგანთქმულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და კონტაქტები. ახლა – იმ „ზოგიერთის“ თაობაზე. გეთანხმებით, რომ ასპირანტურის როლი და მნიშვნელობა, უფრო სწორად, მისი ადგილი მეცნიერთა აღზრდის პროცესში, დასახვეწი და დასამუშავებელია. იქნებ იგი ზედმეტიც აღმოჩნდეს. ამას დრო სჭირდება, ყველაფერი ერთბაშად არ შეიძლება გაკეთდეს.

მისაღები გამოცდების თაობაზე უნდა ვთქვა, რომ დღესდღეობით, ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესაბამისად, მისაღები გამოცდების ორგანიზაციისა და პრინციპების შეცვლა გაუმართლებლად მიმაჩნია.

– ქართული საზოგადოებრიობა მტკივნეულად აღიქვამს იმ ტენდენციას, რომ დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში, სადაც სახელმწიფო ენა ქართულია, უმაღლეს სასწავლებლებში არათუ მცირდება, პირიქით, აშკარად მატულობს არაქართულ სექტორებზე მისაღებ აბიტურიენტთა რაოდენობა. რით აიხსნება ეს, თუ არა ანგარებით. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს დედა-უნივერსიტეტში?

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაქართულ სექტორებზე მისაღებ აბიტურიენტთა (კონკურსში მონაწილეობის მსურველთა) რაოდენობა სულაც არ მატულობს – ისეთივეა, რაც წარსულ წლებში. პირიქით, ჩვენთან არაქართული სექტორი ერთია – რუსული. თუ თქვენ მხედველობაში გაქვთ საზღვარგარეთის ქვეყნების ენების, ლიტერატურისა და კულტურის შემსწავლელი სპეციალობები, ისინი ქართულია და, უნივერსიტეტში მცირე ჯგუფებსაც კი ვქმნით იტალიურის, ესპანურის, იაპონურის, ჩინურის შესასწავლად.

– ბოლო ხანს სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებული ინციდენტი უსიამოვნოდ გახმაურდა. რით ახსნით ამ ფაქტს და როგორ შეაფასებთ მომხდარს?

– ეს ამბავი ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის ადეკვატურია. საერთოდ, სტუდენტობა ყოველთვის ვითარების სწორ ანალიზს აკეთებს. თუმცა მისი ნაწილი ზოგჯერ გარკვეული ადამიანების გავლენის ქვეშ ექცევა. ეს ვითარება აშკარავდება და, საბოლოოდ, მაინც საღი აზრი იმარჯვებს. მჯერა, რომ ახალგაზრდები საერთო ენას სხვათა დაუხმარებლად გამონახავენ. ეს რომ ასეა, 8 თებერვლის მაგალითიც კმარა: დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ საზეიმო წირვაზე სიონის საკათედრო ტაძარში „გუშინდელი მოშუღარნი“ გვერდიგვერდ იდგნენ და ერთად ლოცულობდნენ!

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ბოლო ხანს შეილახა უმაღლესი სკოლის პედაგოგის ავტორიტეტი და იმიჯი. ობიექტური გარემოებების გარდა, ვფიქრობთ, ამის ერთერთი მიზეზი თავად ლექტორ-მასწავლებელთა საქმისადმი დამოკიდებულებაც არის. ისინი მასწავლებლისთვის შეუფერებელ საქციელს თავიანთი ხელმოკლეობითა და ეკონომიკური სიდუხჭირით ხსნიან. ამას კი შეუძლებელია, გამართლება მოეძებნოს.

– მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ პედაგოგებზეც იმოქმედა. ის მწირი ხელფასი, რომელსაც ვიღებთ, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ სწვდება ჩვენს ყოფით პირობებს, მაგრამ ამ გაჭირვებას პედაგოგთა დიდი უმრავლესობა ღირსეულად იტანს. თუმცა, შეიძლება, ვიღაც სცოდავს. ამას ახსნა არ უნდა. ბუნებრივია, ყველა ექვთიმე თაყაიშვილი ვერ იქნება.

მძიმე პირობების გამო ჩვენი პროფესურა სამეცნიერო მოღვაწეობას, ფაქტობრივად, ველარ ეწევა. ამით დიდად ზარალდება სამამულო მეცნიერება. არ შეიძლება, ხელფასებში ასეთი დიდი სხვაობა იყოს ჩინოვნიკთა და იმათ შორის, ვინც ქვეყნის მომავალს და მისი მეცნიერების ხვალინდელ დღეს ემსახურება.

პირდაპირ ვიტყვი, სახელმწიფოსგან მიტოვებული ვართ.

– თავად თქვენ უნივერსიტეტის ძველი თაობიდან ვის მიიჩნევთ მისაბაძ ადამიანად, ერთგვარ იდეალად?

– გადახედეთ პირველი კორპუსის ეზოში ძვირფას საფლავებს – ივანე ჯავახიშვილით დაწყებული.

თეა მილორავა

ცხოვრება ხელახლა რომ დავიწყო, იმავე გზას გავუყვებოდი*

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, თავიანთ პედაგოგებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ჩვენი ქვეყნის წარსულის პრაქტიკული კვლევის საქმეში. წლების განმავლობაში მათი მონაწილეობით არაერთი დამოუკიდებელი და საერთო (არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან) არქეოლოგიური ექსპედიცია ჩატარდა. დღეს, ეკონომიკური პრობლემის გამო, სტუდენტები (იშვიათი გამონაკლისის გარდა) არქეოლოგიურ ექსპედიციებში ვეღარ დადიან.

წლების განმავლობაში სტუდენტური ექსპედიციების ხელმძღვანელი ოთარ ჯაფარიძე გახლდათ, ვის სახელსაც არაერთი უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენა უკავშირდება.

– რომელი იყო თქვენი პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია და პირველი მნიშვნელოვანი აღმოჩენა?

– ჩემი პირველი აღმოჩენა პირველ არქეოლოგიურ ექსპედიციასთან (რომლის ხელმძღვანელიც მე გახლდით) იყო დაკავშირებული. გათხრებს შიდა ქართლში, სამაჩაბლოში, სოფელ ოჟორასთან ვაწარმოებდით. ჩემი საკანდიდატო დისერტაცია კოლხურ ცულს ეხებოდა. ექსპედიციის დროს დისერტაცია უკვე დაცული მქონდა. ერთ-ერთ სამარხში სწორედ კოლხური ცული აღმოვაჩინე, ზემოდან ხარის ქანდაკებით. ეს იმ დროისთვის, ასე ვთქვათ, უნიკალური აღმოჩენა გახლდათ. მაშინ ჩვენთან მოღვაწეობდა ცნობილი არქეოლოგი ბორის კუფტინი, რომელმაც მითხრა, როგორ გაგიმართლათ – ის ცული იპოვეთ, რომელზეც მუშაობდითო.

– შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი მუშაობა?

– მერე მთელი ჩემი საქმიანობა უნივერსიტეტთან და სტუდენტების მონაწილეობით არქეოლოგიურ ექსპედიციებთან იყო დაკავშირებული. მე გარკვეული ინტერესები მქონდა ბრინჯაოს ხანის კულტურის მიმართ, ამ პერიოდს ვსწავლობდი და ექსპედიციები, შესაბამისად, ამ მიმართულებით ეწყობოდა.

ვთხრიდი ბევრგან. შეიძლება ითქვას, არ დარჩენილა ადგილი საქართველოში, სადაც არ ვყოფილიყავი. ყველა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, დმანისის რაიონში არის ზურტაკეტის პლატო, სადაც შუაბრინჯაოს ხანის, ეგრეთ წოდებული, თრიალეთის კულტურასთან დაკავშირებული დიდი ყორღანული სამარხები გავთხარე, რომლის მსგავსი ჩვენთან მანამდე არ გათხრილა. მართალია, კუფტინმა თრიალეთში ძალიან საინტერესო სამუშაოები აწარმოა, მაგრამ იმ ტიპის, რაც მე ზურტაკეტში ვნახე, მას არ უპოვია.

---

* „ქართული უნივერსიტეტი“, 2004.

– რას წარმოადგენდა ეს აღმოჩენა?

– ეს იყო უზარმაზარი, დაახლოებით, 8-10 მეტრი სიმაღლის ქვაყრილიანი ყორღანები, 100-მეტრიანი დიამეტრით, 40 მეტრი სიგრძის შესასვლელით, ეგრეთ წოდებული, დრომოსით, რომელსაც ფილაქვებისგან აგებული დასაკრძალავი დარბაზი მოსდევდა.

შემდეგ გათხრებს მესხეთში, ვარძიის თავზე ვაწარმოებდი. აქაც სწორედ თრიალეთის კულტურის ყორღანული სამარხები აღმოვაჩინე, რომლებიც იმითაც იყო საინტერესო, რომ თრიალეთური კულტურის თავისებურ ვარიანტს წარმოადგენდა.

გათხრები მქონდა აფხაზეთის ტერიტორიაზეც, სადაც ეგრეთ წოდებული დოლმენების კულტურას ვსწავლობდი და სადაც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ძეგლები აღმოვაჩინე.

შემდეგ ძალიან თავისებური კულტურა აღმოჩნდა ქვემო ქართლში, მარნეულის ველზე (სადაც სახელმწიფო მუზეუმთან ერთობლივი ექსპედიცია გვქონდა). ეს გახლდათ მანამდე უცნობი, ეგრეთ წოდებული ადრესამიწათმოქმედო კულტურა – ალიზისგან ნაგები ნამოსახლარი, რომელიც VI-V ათასწლეულით თარიღდება. ამ პერიოდის ძეგლები მანამდე ჩვენთან ცნობილი არ იყო.

– მონაწილეობდნენ სტუდენტები ექსპედიციებში?

– ისინი, ჩემთან ერთად, მონაწილეობდნენ ყველა ძეგლის გათხრაში. მაშინ ყოველწლიურად იმართებოდა არქეოლოგთა საკავშირო კონფერენციები, რომლებშიც ჩვენ მიერ წარგზავნილი სტუდენტები სწორედ ამ ახალ მასალებზე შექმნილი მოხსენებებით გამოდიოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მათი ნაშრომები სტუდენტთა საკავშირო ჟურნალში იბეჭდებოდა.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში, უსახსრობის გამო, ჩვენ ექსპედიციები არა გვაქვს და სტუდენტებიც კანტიკუნტად რომელიმე ექსპედიციას თუ შეეხიზნებიან. განსაკუთრებით ხშირად ნავთობსადენთან დაკავშირებით არის რაღაც გათხრები და სტუდენტებიც მასში მონაწილეობენ.

– ამბობენ, რომ არქეოლოგისთვის მთავარი ინტუიციაა. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

– კი, რა თქმა უნდა, ინტუიციაც არსებობს, თუ სად უნდა წახვიდე გასათხრელად. თუმცა, არიან იღბლიანებიცა და უიღბლონიც. შეიძლება ძალიან დიდი არქეოლოგი იყო, მაგრამ არ გაგიმართლოს და შეიძლება მაინცდამაინც არ გამოირჩეოდე და კარგი, დიდი აღმოჩენა გააკეთო.

ეს ისევეა, როგორც, ვთქვათ, ხანდახან თხრი, თხრი, ვერაფერს პოულობ და იქვე გვერდზე, შეიძლება ვიღაცამ შემთხვევით რაღაც აღმოაჩინოს. მშვენიერი მაგალითი იყო არმაზის ექსპედიცია, რომელიც იქ 1937 წელს მუშაობდა, მაგრამ აბანოს მეტი ვერაფერი უპოვიათ. მერე სხვაგან გადავიდნენ. იქვე კი ვიღაც სახლს აშენებდა და მშენებლობის დროს სწორედ ის ცნობილი პიტიახშთა სამარხები ნახა. თანაც, არქეოლოგის მუშაობა, ისტორიული დარგის სხვა დისციპლინებთან შედარებით, მაინც რთულია. ვთქვათ, თუ სხვებს უპირატესად მაგიდასთან უხდება მუშაობა, აქ, სანამ მაგიდას მიუჯდებოდე, ძალიან დიდი წინასწარი სამუშაოები უნდა ჩაატარო, მერე მასალები დაამუშაო, მერე მუზეუმს ჩააბარო და რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ...

ასე რომ, ამ მხრივ არქეოლოგია დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. თანაც ძეგლის გასათხრელად წინასწარ აკვიატებული აზრით არასოდეს უნდა მიხვიდე, რადგან ასეთ შემთხვევაში, რაც გინდა, იმას დაინახავ. მასალამ უნდა აგალაპარაკოს შენ და არა პირიქით, მასალას მოახვიო შენი აზრი.

ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის შლიმანის და ტროას ცნობილი გათხრების მაგალითი მოჰყავთ. მას ჰომეროსის დროინდელი ტროა აინტერესებდა და ამიტომ ყურადღებას სხვას არაფერს აქცევდა, მიდიოდა სიღრმეში, ყველაფერი დაარღვია და ჩათვალა, რომ ტროა ქვემოდან მეორე ქალაქი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ კი გამოირკვა, რომ ის ზედა, მეექვსე-მეშვიდე ფენებში მდებარეობდა. შლიმანი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ოცნება ვერ აისრულა. ეგონა, რომ ტროა იპოვა და სინამდვილეში, პირიქით, ჰომეროსის ეპოქის ქალაქი დაანგრია.

– როგორ ხდება საზოგადოდ რომელიმე ადგილზე არქეოლოგიური გათხრების დაწყება? რატომ მაინცდამაინც იქ და არა სხვაგან?

– შეიძლება შემთხვევითი აღმოჩენის გამო, იქ რაღაცას თხრიდნენ, რაღაც იპოვეს, რამაც შენ დაგაინტერესა. ან შეიძლება, ვთქვათ, რომელიმე რეგიონი გაქვს შესასწავლად აღებული, იქ არქეოლოგიურ დაზვერვებს ატარებ. ამისთვის ჯერ რეგიონს შეისწავლი, ეძებ, ხომ არ არის უკვე რაიმე აღმოჩენილი, თუნდაც შემთხვევითი და რაიმე სამუზეუმო მასალები ხომ არ არსებობს.

მაგალითად, ახლა არაჩვეულებრივი რამ აღმოჩნდა ხოვლეში, თუმცა მასალის დიდი ნაწილი მოსახლეობამ დაიტაცა, მაგრამ იმ მცირე მასალებითაც კი, რაც მოიტანეს, შეიძლება მივხვდეთ, რომ ესაა სამარხი, რომელიც არათუ ჩამოუვარდება, შეიძლება პიტიახშთა სამარხებზე უკეთესიც კი იყოს.

– თქვენ ბრძანეთ, რომ აფხაზეთშიც მუშაობდით. თუ გახსოვთ, 70-იან წლებში აფხაზებმა იმ ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის გადაცემა მოითხოვეს.

– ძალიან კარგად მახსოვს და ისიც მახსოვს, როგორ დათანხმდა ცენტრალური კომიტეტი ამ მოთხოვნას. მე ისიც მახსოვს, რომ 1978 წელს შევარდნაძე ისტორიის მუზეუმში სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიდა. მაშინ ლალი ჯავახიშვილმა უთხრა, ასეთი და ასეთი ამბებია, თქვენ არ იცითო... რა არ ვიცი, კიდევ რა არ ვიცით, აყვირდა შევარდნაძე. მაშინ ეს მასალები აფხაზეთისთვის არ გადაუციათ. ისე კი, სოხუმს მშვენიერი მუზეუმი აქვს, ძალიან კარგი ექსპონატებით.

– ალბათ აფხაზეთის ტერიტორიაზე ძალიან ბევრი რამ კიდევაა აღმოსაჩენი.

– რა თქმა უნდა. ეგ რეგიონი, ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, არქეოლოგიური თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა. იქ არის ძალიან ბევრი ძეგლი, რომლებიც, ასე ვთქვათ, ამ კუთხის თავისებურებაზე მეტყველებს. ცხადია, ბევრი ჩვენი არქეოლოგი მუშაობდა. მეც აფხაზურ დოლმენებთან დაკავშირებით ექსპედიციაში ორი წელი გავატარე. შემდეგ ადგილობრივი არქეოლოგებიც გაიზარდნენ, რომლებმაც ჩვენთან მიიღეს განათლება. მაგალითად, გიორგი ნიორაძის მოწაფე იყო ტრაპში, რომელმაც დისერტაციაც აქ დაიცვა და ჩვენი უნივერსიტეტის მუზეუმშიც ინახება მის მიერ აღმოჩენილი მასალები. მერე ისე წავიდა საქმე, რომ...

– ბევრი რამ მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე გაუთხრელია.

– ადრე, ახალ მშენებლობებთან დაკავშირებით, გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც მშენებლობის თანხიდან 10% არქეოლოგიური გათხრებისთვის უნდა გადაეცათ. დღესაც ასეა. მშენებლობის დაწყება არ შეიძლება არქეოლოგიური დასკვნის გარეშე. იყო დრო, როდესაც სწორედ ამ ახალი მშენებლობების წყალობით, საქართველოს ტერიტორიაზე, 70-მდე ექსპედიცია მუშაობდა.

რა თქმა უნდა, ჩვენი მიწა, ჩვენი წარსული ძალიან მდიდარია. მართალია, დღეს ფულის მოზიდვა ცოტა მძიმედ ხდება, მაგრამ რაღაც პროცესები მაინც მიდის და კანონიც ახალ მშენებლობებთან დაკავშირებით ისევ მოქმედებს. ნავთობსადენის მშენებლობა ძვირი იმიტომაც ჯდება, რომ არქეოლოგები ყოველ ნაბიჯზე აჩერებენ და ტერიტორიას სწავლობენ. ყოველ ნაბიჯზე რაღაც ჩნდება. რამდენიმე ექსპედიცია ახლაც მოქმედებს. მაგალითად, წალკაში, თეთრიწყაროში.

– შეიძლება ითქვას, რომ სწორედ თქვენმა თაობამ აქცია არქეოლოგია მეცნიერებად?

– იცით რა, ინტერესი კავკასიის მიმართ ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ძიებებს, ძირითადად, არაპროფესიონალები აწარმოებდნენ. პირველი პროფესიონალი არქეოლოგი გიორგი ნიორაძე გახლდათ, რომელმაც ჩვენი კათედრა და ჩვენი მუზეუმი შექმნა. არქეოლოგების პირველი თაობაც მისი მოწაფეები (ჩემზე ცოტა უფროსები) არიან. მეც მისი მოწაფე ვარ. შემდეგ ახალგაზრდა თაობები წამოვიდა, რომელთა შორის საკმაოდ კვალიფიციური არქეოლოგები არიან. ისინი სხვადასხვა ეპოქას იკვლევენ – ბრინჯაოს, ქვის, რკინის, შუა საუკუნეების ეპოქას.

სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში ორი დიდი ძალა დაგვაკლდა: ოთარ ლორთქიფანიძე, რომელიც ანტიკური არქეოლოგიის ბრწყინვალე სპეციალისტი იყო და მეორე, სულ ახლახან, ლევან ჭილაშვილი, რომელიც ფეოდალურ ხანაში მუშაობდა. მათ ნამდვილად ვერავინ შეცვლის, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

– თქვენ თქვით, რომ არქეოლოგია მძიმე პროფესიაა.

– რა თქმა უნდა, მით უმეტეს, რაც უცხოური ექსპედიციების მუშაობას გავეცანით, ვნახეთ, როგორ არიან ისინი მოწყობლი. ჩვენ პრიმიტიულად ვმუშაობდით. ოღონდ წავსულიყავით და აღარ დავეძებდით, რა იქნებოდა. ახლა ჩვენთანაც ნელნელა უკეთესი პირობები შეიქმნა და იმ რეგიონებში, სადაც ქართველი არქეოლოგები მუშაობენ, საკმაოდ კარგი ბაზებია.

– არასოდეს გინანიათ, რომ ეს პროფესია აირჩიეთ?

– ალბათ ახლა ცხოვრება ხელახლა რომ დავიწყო, იმავე გზას გავუყვებოდი.

ლელა ოჩიაური

თუ საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად გაიმართა, ვითარება არ გამოსწორდება*

მთავრობა გადახალისდა, მაგრამ ცვლილებები ძალოვან სტრუქტურებს არ შეხებიათ. რამდენიმე სამინისტრო კი აპოლიტიკურმა ადამიანებმა ჩაიბარეს. ოპოზიციამ ძალის მოსაკრებად მცირე შესვენება გადაწყვიტა, ხელისუფლების შეთავაზებაზე უარი განაცხადა. ასე რომ, მათი თანამშრომლობა არ შედგა, ამიტომ მთავრობა ოპოზიციის მონაწილეობის გარეშე დაკომპლექტდა.

ბოლო მოვლენები ცნობილმა არქეოლოგმა, აკადემიკოსმა ოთარ ჯაფარიძემ შეაფასა:

– თბილისში ხელისუფლების მიერ არჩევნების წაგება ნიშნავს, რომ მას საქმე მაინცდამაინც კარგად არა აქვს, – თბილისი ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული, ინტელექტუალური ცენტრია, ყველაფერი აქ არის თავმოყრილი. თბილისში სახელისუფლებო კანდიდატი ხმათა სათანადო რაოდენობას რომ ვერ მიიღებს, ეს მძიმე ვითარებას ადასტურებს. რამდენად გააყალბეს ეს არჩევნები, არ ვიცი, მაგრამ თბილისის შედეგებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მიხეილ სააკაშვილმა თბილისში რომ ვერ გაიმარჯვა, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 7 ნოემბერი იყო. ამ დღემ ხელისუფლების იმიჯი და რეიტინგი ძალზე შელახა. რამდენიც არ უნდა ამტკიცოს ხელისუფლებამ, რომ 7 ნოემბერს მთავრობის ძალით დამხობის მცდელობა იყო, ყველასთვის ცხადია, რომ მაშინ ამის მცდელობა არ ყოფილა. ეს მშვიდობიანი დემონსტრაცია იყო. კი მაგრამ, რიყეზეც ხელისუფლების დამხობის მცდელობა ჰქონდათ? ამ მოვლენებმა საზოგადოებრიობაზე ძალზე უარყოფითად იმოქმედა და თბილისში დამარცხებაც 7 ნოემბერმა განაპირობა. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ იქნებ რამე შეიგნოს და ხალხისთვის სასიკეთო ნაბიჯები გადადგას.

– ნოემბრის მოვლენების დროს ოპოზიციის რამდენიმე წევრი ხალხის მტრად და რუსეთის აგენტად გამოაცხადეს.

– კარგად გამოჩნდა, რომ ეს ხალხი არც ერთი ქვეყნის აგენტი არ ყოფილა. ბრალდება მოგონილი, თითიდან გამოწოვილი იყო.

– ამ ხელისუფლების კონკრეტულად რომელი ქმედებით დარჩით განსაკუთრებით უკმაყოფილო?

– ვფიქრობ, განათლების სისტემის რეფორმებმა სიკეთის ნაცვლად უარყოფითი შედეგი გამოიღო. ამის გამო, უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია და სხვადასხვა ინსტიტუტი დაინგრა. რეფორმა საჭირო იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ამ ფორმით? 60 წელზე მეტია უნივერსიტეტში ვმოღვაწეობ და კარგად ვიცი,

---

* „საქართველოს რესპუბლიკა“, 31 იანვარი, 2008.

რა უნდა გაკეთებულიყო. უნივერსიტეტს შეიძლება ამდენი კათედრა ან ფაკულტეტი უკვე აღარ სჭირდებოდა, მაგრამ სისტემის ასეთი ნგრევა და წამყვანი მეცნიერების უნივერსიტეტიდან გაყრა დაუშვებელია. ლამის ყველა წამყვანი სპეციალისტი სამეცნიერო ინსტიტუტების გარეთ დარჩა. თუკი საქმე უკეთესობისკენ შემობრუნდება, ვითარება ამ თვალსაზრისითაც უნდა შეიცვალოს.

– თქვენ გჯერათ, რომ ხელისუფლების პოლიტიკა შეიცვლება?

– კაცი იმედით ცოცხლობს. იმედი მაქვს, რაღაც მართლა შეიცვლება. ხელისუფლება სასიკეთო ცვლილებებს გეგმავს, რომლებიც არა მარტო ცხოვრების დონის ამაღლებაზე, უმუშევრობის შემცირებაზე, სიღარიბის დაძლევაზე უნდა აისახოს, არამედ ყველა სფეროზე.

– თვალნათლივ, თქვენც ადასტურებთ, რომ ამ მოვლენებმა საზოგადოებრიობა ორად გახლიჩა?...

– სამწუხაროდ, საზოგადოებრიობის ორად გაყოფა დაგვებედა. იგი ზვიად გამსახურდიას დროსაც გაიყო და ახლაც დაახლოებით ისეთივე ვითარებაა, რომელიც ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს. ვფიქრობ, გაზაფხულის საპარლამენტო არჩევნებზე ეს დაპირისპირება ისევ წამოტივტივდება. ასე რომ, ძალზე რთული ვითარებაა და როგორ გამოვალთ აქედან, ძნელი სათქმელია. საზოგადოებრიობის შიგნით დაპირისპირება ყველას დააზარალებს. ამის პრეცედენტი უკვე გვქონდა და ყველამ ვიცით, რითიც დამთავრდა.

– როგორ შეაფასებთ ოპოზიციის ბრძოლის ტაქტიკას და ქმედებებს?

– ოპოზიცია არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა და სამართლიანობის აღდგენას ყველანაირად ცდილობს. თბილისში მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, რასაც საპროტესტო მიტინგების მრავალრიცხოვნობაც ადასტურებს. არ ვიცი, საპარლამენტო არჩევნები როგორ წარიმართა, მაგრამ თუ საპრეზიდენტო არჩევნებს დაემსგავსა, ეს ვითარებას ვერ გამოასწორებს.

– მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რუსეთთან ურთიერთობას სუფთა ფურცლიდან დავიწყებო. ამაზე რას ფიქრობთ?

– რა სიკეთეც მოგვიტანა რუსეთმა, კარგად ვიცით, მაგრამ ასეთი მკვეთრი დაპირისპირებაც დაუშვებელია. რუსეთის სავაჭრო ბაზრის დაკარგვა ჩვენთვის ძალზე საგრძნობი პრობლემაა. საქართველო რუსეთთან კულტურულად იყო და არის დაკავშირებული. უნივერსიტეტში სტუდენტი რომ გეტყვის, რუსული არ ვიცი და საჭირო ლიტერატურას ვერ გამოვიყენებო, დასაფიქრებელია. არადა, სასწავლო ლიტერატურის დიდი ნაწილი რუსულენოვანი გვაქვს. რუსეთი ხელწამოსაკრავი ქვეყანა არ არის. რუსეთის მეცნიერებამ, კულტურამ, მწერლობამ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა. დღევანდელი პოლიტიკოსები ამ კულტურაზე აღიზარდნენ, ამიტომ რუსეთის უგულებელყოფა არ შეიძლება.

– როგორ ფიქრობთ, ინტელიგენციის ნაწილმა რატომ დაუჭირა მხარი ხელისუფლებას?

– ამ ვითარების მიმართ მეცნიერებისა და ხელოვნების წამყვანი სპეციალისტების უკმაყოფილება აშკარაა. ის სახეები, რომლებიც სამთავრობო წრეებში ჩანან, ინ-

ტელიგენციის ნაღები არ არის. ინტელიგენციის ნაღებმა, საკუთარი თავის მიმართ „ჩარეცხილობა“ მიიღო და ისინი ძალზე სკეპტიკურად და უარყოფითად არიან განწყობილნი. ეს უკმაყოფილება ნათლად ჩანს და ამას ვერ გავექცევით. რამდენიც არ უნდა შეალამაზონ მთავრობის მომხრეებმა ეს სიტუაცია ინტელიგენციით, ეს ის სახეები არ არის, რომლებიც მართლაც ქართულ ინტელიგენციას წარმოადგენენ. როცა წამყვანი მეცნიერები უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ინსტიტუტის გარეთ დარჩებიან, ამას ყველა დაგმობს. ინტელიგენცია, ამას, რა თქმა უნდა, კარგად ხედავს და განიცდის.

– როგორ უნდა გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან?

– სიმართლე გითხრათ, ამ ურთულესი ვითარებიდან გამოსავლის პოვნა მიჭირს. ოპოზიციაც იდეალური არ არის. ჩემი აზრით, ორივე მხარე კომპრომისზე უნდა წავიდეს. უფრო მეტად სამშობლოს მომავალზე ვიფიქროთ, ვიდრე – პირად ინტერესებზე. ამ ყველაფერს ძალზე განვიცდი და იმედი მაქვს, ეს ვითარება მალე განიმუხტება.

ესაუბრა ***მაია ხორგუაშვილი***

აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით*

გამოჩენილ მეცნიერს აკად. მარიამ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ვინ არის იგი. რა დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე, რა ღვაწლი დასდო ქართულ მეცნიერებას, ამაზე სხვები ისაუბრებენ. მე კი მინდა მარიკას ადამიანურ თვისებებზე, ადამიანებთან დამოკიდებულების, მეგობრებთან ურთიერთობის შესახებ ვთქვა ორიოდე სიტყვა და მოვიგონო ის განვლილი წლები, რომლებიც ჩვენ ერთად გავიარეთ. მოსაგონი კი ნამდვილად ბევრია.

ზუსტად 72 წლის წინათ, 1930 წლის 1 სექტემბერს, 25-ე შრომის სკოლის II[1] კლასში ჩვენმა დამრიგებელმა, შესანიშნავმა მასწავლებელმა, ნინო მიქელაძემ, დავით მეველეს ქალიშვილმა, შემოიყვანა გამხდარი, დალეული გოგონა. ჩვენ, უკვე პირველკლასგამოვლილნი, ცოტა ალმაცერად შევხვდით ამ ახალ გოგონას, მაგრამ სულ მალე იგი კლასის პირველი მოწაფე გახდა და ასეთად დარჩა სკოლის დამთავრებამდე. ცოტა რომ წამოვიზარდეთ და სწავლა უფრო გართულდა, ვცდილობდით მარიკას გვერდით ან მის უკან დავმსხდარიყავით, რომ მისგან გადაგვეწერა საკონტროლო დავალება.

კლასში რამდენიმე მოსწავლისგან შემდგარი ძალიან შეკავშირებული ვიწრო წრე შეიქმნა. ჩვენ სიახლოვეს, მეგობრობას ისიც აპირობებდა, რომ კარგად ვგრძნობდით, თუ რა ქვეყანაში, რა პირობებში გვიწევდა ცხოვრება. ჩვენ სავსებით გულწრფელნი ვიყავით ერთმანეთთან და სრულიად თავისუფლად გამოვთქვამდით შეხედულებას იმ წყობის შესახებ, რომელშიაც გვიწევდა ცხოვრება. რა თქმა უნდა, იმ დროს ეს არცთუ ისე უსაფრთხო იყო, მაგრამ ჩვენ ერთმანეთის იმედი გვქონდა. ბოლოს საქმე იქამდეც მივიდა, რომ დავიწყეთ რაღაც გამოსავლის ძიება არსებული რეჟიმიდან თავის დასაღწევად. აქაც თავი და თავი მარიკა იყო. ზოგი ჩვენი მეგობარი ემსხვერპლა კიდეც, მაგრამ მათმა ვაჟკაცობამ და უდიდესმა გამძლეობამ სხვები ხიფათს გადაარჩინა.

ხშირად ვიკრიბებოდით მარიკას ოჯახში, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვიწროდ ცხოვრობდნენ. სამაგიეროდ, აქ გვხვდებოდნენ დიდი სიყვარულით და სითბოთი მარიკას დიდებული მშობლები – შესანიშნავი დეიდა ნინო და არაჩვეულებრივი პიროვნება, ბრწყინვალე ქართველი დავით ლორთქიფანიძე, კაცი, რომელიც ვერაფრით შეეგუა არსებულ წყობას, კომუნისტური ცხოვრების წესს და რომელიც ამ რეჟიმის მსხვერპლი გახდა. მშობლებისგან გამოყვა ალბათ მარიკას ის კეთილი გრძნობები, რომლებსაც იგი ასე უხვად იჩენს თავისი ახლობლების, მეგობრების მიმართ.

1939 წელს დავამთავრეთ საშუალო სკოლა, მარიკამ, რა თქმა უნდა, ფრიადზე და უმაღლესისაკენ გზა ხსნილი ჰქონდა. მაგრამ მომავლის რა გზა აგვერჩია, მთლად გააზრებული არ გვქონდა. მაშინ მშობლები ნაკლებად ერეოდნენ შვილების პროფესიის

---

* „ლიტერატურული საქართველო“, 3.VIII, 5.IX, 2002.

შერჩევაში და ამიტომ თვითონ უნდა გადაგვეწყვიტა ჩვენი შემდგომი ბედი. ამ დროს თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გამოცხადდა მიღება ხელოვნების ისტორიის სპეციალობაზე. რამდენიმე მეგობარმა გადავწყვიტეთ ამ განხრით სწავლის გაგრძელება.

ისტორიის ფაკულტეტის II კურსს ვამთავრებდით, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. უმამოდ დარჩენილი მარიკას ოჯახი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მარიკას დედამ რაღაც არტელში დაიწყო მუშაობა, საიდანაც მარიკასთვისაც გამოჰქონდა სამუშაო. მე და მარიკა ერთად ვმეცადინეობდით. უპირატესად მე ვკითხულობდი, მარიკა კი ამ დროს ცხვირსახოცებს და კიდევ რაღაცას ქარგავდა. მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია და, ჩემგან განსხვავებით, გამოცდაზე ყოველთვის უმაღლეს ნიშანს იღებდა.

1943 წელს დავამთავრეთ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ისტორიის სპეციალობით. მარიკასთვის მომავალი უკვე ნათელი იყო. აკად. ს. ჯანაშიამ პირველი კურსიდანვე დაადგა თვალი მარიკას. დიდი გაჭირვების წლები იყო, მაგრამ მარიკა წარმატებით ამთავრებს ასპირანტურას და დროულად იცავს საკანდიდატო დისერტაციას და მუშაობას იწყებს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ამავე დროს მისმა ხელმძღვანელმა, ს. ჯანაშიამ, ანდო ლექციების კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც მას საკმაოდ რთული საგნების კურსი მიყავდა – აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, წყაროთმცოდნეობა და სხვა სპეციალური საგნები. ამიტომაც, როცა 1972 წელს საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის, დიდებული პიროვნების, პროფ. შოთა მესხიას გარდაცვალების შემდეგ, კათედრის გამგის დანიშვნის საკითხი დადგა, არჩევანი მარიკაზე შეჩერდა. ამიერიდან იწყება მისი უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა უნივერსიტეტში.

სკოლის წლები, უნივერსიტეტი, ასპირანტურა, შემდეგ ისევ უნივერსიტეტი და ცხოვრების ეს გრძელი გზა ჩვენ ერთად გავიარეთ. ბავშვობიდან წამოსულები, ღმერთის წყალობით, სიბერეშიც ერთად ვართ. ამ გრძელი ხნის მანძილზე ჩვენი ურთიერთობა არასდროს შენელებულა და ისეთივეა, როგორიც სკოლის წლებში ჩაისახა. მარიკა დღესაც, ამ სიბერის ჟამს, ჩვენი სამეგობროს ბურჯია. მას არასოდეს ავიწყდება თავისი მეგობრები, არც სიკეთეში და არც მწუხრის ჟამს. ძალზე სამწუხაროა, რომ ცხოვრების ამ დიდ გზაზე რამდენიმე მეგობარი უდროოდ გამოგვაკლდა – ღმერთმა აცხონოს მათი სულები ზეციურ საქართველოში. მარიკას რამდენისათვის გაუწვდია დახმარების ხელი და არა მარტო მახლობელისთვის. ყოვლად უშიშრად, როდესაც ეს არცთუ ისე უსაფრთხო იყო, წერილობით თუ სიტყვიერად გამოუთქვამს თავისი აზრი სხვის დასაცავად და ასეთი ნამდვილად არა ერთი და ორი შემთხვევა იყო.

მარიკას ამდენი სიკეთე ალბათ ნაღდად იქიდან მოდის, რომ იგი დიდებულ, მარიამობის დღეს მოევლინა ამ ქვეყანას. ღმერთმა კიდევ ბევრ მარიამობას მოასწროს, რაც მან თავისი შინაარსიანი ცხოვრებით და მოღვაწეობით უთუოდ დაიმსახურა.

ორნი არიან, სწორნი არიან...*

ჩვენი ყოველდღიურობისთვის უჩვეულოა „შეწყვილებული იუბილეს“ გამართვა. უჩვეულო კია, მაგრამ სავსებით შეეფერება ორი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ორი აკადემიკოსის ინტელექტუალური ცხოვრების გზას, ერთობ წარმატებულ სამეცნიერო კარიერას.

ერთ სკოლაში, ერთ კლასში სწავლა, უნივერსიტეტში ერთსა და იმავე ფაკულტეტზე ერთდროულად ჩარიცხვა, ასპირანტურაში სინქრონულად ჩაბარება, დიდი ომის უმძიმესი წლების გადატანა თანადგომით, ერთმანეთის ოჯახებში ხშირი სტუმრობით, სადისერტაციო შრომების დაცვა „პარალელურად“ და მეცნიერებათა აკადემიაში „პარალელურადვე“ არჩევა... ასე მოდიან ცხოვრების გზაზე 80 წლის განმავლობაში, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის ერთგული გამზიარებლები...

მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძე და ოთარ ჯაფარიძე, ორივე ისტორიკოსი, პირველი – „წმინდა“, მეორე – არქეოლოგი, პირველი – ჟამთა სიღრმეების მჩხრეკელი, მეორე – მიწის სიღრმეებისა. ეს მათ გაუმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ საიუბილეო სხდომა, რომელიც ორივეს დაბადების 85-ე წლისთავს მიუძღვნა.

სხდომათა დარბაზში სახელოვან იუბილართა ნიჭის, ნაღვაწის, მოქალაქეობა-პიროვნულობის მრავალი დამფასებელი და პატივისმცემელი შეიკრიბა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა და სხდომას წარუძღვა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. მან პატარა საიდუმლოც „გაგვიმხილა“.

– ძვირფასი იუბილარები 85 წელზე ცოტა მეტისანი არიან, მაგრამ ჩვენ ქართული მეცნიერების ამ ორ ვარსკვლავს 85-ე წლისთავს ვუხდით. ეს მხოლოდ მათთან ჩვენი საზეიმო შეხვედრის მიზეზია და მათი მეცნიერული მოხსენებების მოსმენისა.

ბატონმა თამაზმა მისალოცი ადრესები გადასცა ქალბატონ მარიამსა და ბატონ ოთარს, რომლებიც 60 წელზე მეტია, რაც ქართულ მეცნიერებასა და კულტურას თავდადებით, აღმავალი ხაზით, სასახელოდ ემსახურებიან და რომლებთანაც ნებისმიერი შეხვედრა ინტელექტუალური სიამოვნების მომგვრელი და სულიერების ზეიმია.

სანამ მეცნიერული მოხსენებების კითხვას შეუდგებოდნენ, იუბილარებმა გულითადი მადლობა გადაიხადეს და ერთმანეთსაც „წასწვდნენ“: ქალბატონმა მარიკამ – ოთარი ჩემზე ერთი წლით უფროსია, იმ ერთ წელს იკლებს და რას „მეტოლება“, ვერ გავიგეო. ბატონმა ოთარმა – 80 წლის წინათ გადავაბიჯეთ თბილისის 25-ე შრომის სკოლის ზღურბლს და მას მერე გვაქვს ამდენი ხნის მეგობრობა. დიდი მადლობა მარიკას ამ მეგობრობისთვის, თანადგომისთვის, რასაც მთელი ცხოვრება ვგრძნობ, მაგრამ უმაგისოდ მოგონება აღარ შემრჩა, არ უნდა შემეშვასო?...

---

* „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 მარტი, 2008.

„ქართლის ცხოვრება“ აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის შესახებ“ – ასეთი გახლდათ მარიამ ლორთქიფანიძის გამოსვლის თემა. „საქართველოს უძველესი კულტურული მემკვიდრეობის საკითხისათვის“ – ასე ერქვა ოთარ ჯაფარიძის მოხსენებას.

– არ მინდოდა დღევანდელ პოლიტიკაზე საუბარი, მაგრამ ტარას შამბას გუშინდელი გამოხდომის მერე მომიწევსო, – ბრძანა ქალბატონმა მარიკამ და თავშეკავებულად, ტაქტიანად და ამავე დროს პრინციპულად მიუჩინა ადგილი თავდაჯერებულ, დემაგოგ, გამოსკოვებულ აფხაზს... აკადემიკოსი ქალბატონის ერთი შთამბეჭდავი რეპლიკის მოყვანაც მინდა:

– ჩვენ, ქართველ მეცნიერებს, გვსაყვედურობენ, თითქოს წავაგეთ ინფორმაციული ომი აფხაზებთან და ოსებთან. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: ჩვენ ყოველთვის დროულად, ოპერატიულად, მეცნიერული არგუმენტაციით, ანალიზით, ფაქტებით, წიგნებით ვპასუხობდით სეპარატისტების ნებისმიერ გამოხდომას, მაგრამ გვაჩერებდნენ, გვამუხრუჭებდნენ, გვაჩუმებდნენ. ინფორმაციული ომი მეცნიერებმა კი არა, ხელისუფლებამ წააგო, ისე როგორც ბევრი სხვა ომიც!...

რასაკვირველია, იყო იუბილართა მოწაფეების, კოლეგების გამოსვლები. ითქვა, რომ ორივე მოხსენება იყო შესანიშნავი და ეხებოდა ურთულეს პრობლემებს, მნიშვნელოვანს კავკასიის ისტორიისა და მსოფლიო ისტორიისათვის; რომ მზადდება „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემა და მარიამ ლორთქიფანიძე ამის აქტიური მონაწილეა: რომ ქართული არქეოლოგია წარმოუდგენელია ოთარ ჯაფარიძის გარეშე; რომ ორივე იუბილარი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეცაა და ქვეყნის ცხოვრებაში ათეული წლების განმავლობაში არ ყოფილა მწვავე საკითხი, რომელსაც ისინი არ გამოხმაურებოდნენ; რომ თავიანთი ბიოგრაფიების ასეთ ნიშნულთან ამგვარი საღი გონებით, ენერგიით, შემართებით მოსულან და კიდევ ბევრს გააკეთებენ საზოგადოების სასიკეთოდ და ახალგაზრდობის სამაგალითოდ.

თამაზ ებანოიძე

მსახიობი და რედაქტორი მიხეილ (მიშაგო) ჯაფარიძე

საუკუნეგამოვლილ, ჟამთა სიავისგან გაცრეცილ საეკლესიო წიგნიდან ვგებულობთ, რომ მიხეილ (მიშაგო) სვიმონის ძე ჯაფარიძე დაიბადა 1888 წლის 4 ივლისს, რაჭის ერთ-ერთ თვალწარმტაც სოფელ ხირხონისში, შეძლებული აზნაურის, სვიმონ (სიმონ) გიორგის ძე ჯაფარიძის ოჯახში. იმავე წლის 31 ივლისს მოუნათლავთ მეზობლად არსებულ სხიერის IX-X საუკუნეების ცნობილ „უძრავი მირიანისელის წმინდა გიორგის“ დიდებულ ეკლესიაში, ამავე წიგნიდან ვგებულობთ, რომ მისი მიმრქმელი (ნათლია) ყოფილა თავადი კონსტანტინე ვახტანგის ძე წულუკიძე. საიდუმლო ნათლისღება აღუსრულებია მღვდელ იუსტინე მეტრეველს მედავითნე იორამ ხომასურიძესთან ერთად.

მიშაგოს მამა, სვიმონ (სიმონ) გიორგის ძე ჯაფარიძე, „დიდ სიმონად“ წოდებული, რაჭა-ლეჩხუმის თავადაზნაურთა მარშალი გახლდათ, ხოლო დედა – ივლიტე ივანეს ასული აბაშიძე იმერეთიდან – სოფელ სავანედან იყო. მიშაგოს ბაბუა გიორგი ჯაფარიძე თავის დროზე მეტად განათლებული, კულტურული, ერუდირებული, სხვებისგან განსხვავებული, კარგი მეურნე და მომჭირნე, დიდად შეძლებული თავადი ყოფილა. ამიტომაც იყო, რომ მას „გიორგი ჭკუად“ მოიხსენიებდნენ. ჯაფარიძეების ეს გამორჩეული შტო, „ნასყიდაშვილებად“ ცნობილი, სოფელ ხირხონისამდე, ადრე, შარდომეთში ცხოვრობდა. მათ მოყვრობა და ნათესაური კავშირი ჰქონდათ იმერეთის სათავადო შტოსთან – აბაშიძეებთან და წერეთლებთან. აღნიშვნის ღირსია მიშაგოს უფროსი ძმაც, ვალერიან ჯაფარიძე, ცნობილი პედაგოგი, ონის პირველი საშუალო სკოლის ღირსეული და ღვაწლმოსილი დირექტორი.

მიშაგო ჯაფარიძის მამაპაპისეული სახლი, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს მთელ ხეობას, წლების მანძილზე თანდათან დაკნინდა და გაპარტახდა, ხოლო ბოლო წლების რაჭის ცნობილმა მიწისძვრამ მთლად გაანადგურა. ჩემს ბავშვობაში კიდევ მახსოვს ამ სახლის – „ღია ცის ქვეშ მუზეუმის“ – ეთნოგრაფიული კარ-მიდამოს ჯერ კიდევ შემორჩენილი პენი და ხიბლი. ეს ისტორიული კარ-მიდამო მშვენივრად აქვს აღწერილი მიშაგოს თანამედროვეს, მის ნათესავს, ცნობილ ფილოლოგსა და პუბლიცისტს, მხატვარ უჩა ჯაფარიძის ძმას, ვლადიმერ ჯაფარიძეს. – „მათი კარ-მიდამო მთიანი ხირხონისის ყველაზე უფრო მაღალ ადგილზე იყო გადმოდგმული უზარმაზარი ძველებური სახლით და განიერ ეზოში კაკლის ხეებს შორის ცალ-ცალკე გაბნეული დამხმარე ნაგებობათა უამრავი რიცხვით (საჯალაბო, სახაბაზო, საჯინიბო, საბძელი, ბოსელი, თავლა) და სოფლის ცალკე უბანს მოგაგონებდათ. ლამაზი იყო ის ადგილი და დასასვენებლად გიზიდავდა, განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც ქვემოთ, რიონის ჭალაზე გაშენებულ ონს შუადღის სიცხის ალმური დააწვებოდა, ზევით, ხირხონისში ისეთი გრილი ნიავი შემოუბერავდა ხოლმე, რომ იქ სახლის აივანზე

---

* „რაჭა“, №10, სექტემბერი, 1998.

თუ მწვანე ეზოში მოსეირნე მიშას მამა სვიმონი – ახოვანი კაცი უნებლიეთ ქურქშიც კი ეხვეოდა სითბოს დანატრებული...“

ამ გარემოში გაზრდილ ჭაბუკს, ხელოვნების სიყვარული, პოეტური ხედვა, ინტელექტი, გარეგნობაც კი განსაკუთრებული ჰქონდა. იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა აქტიურად ებმება ონის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

როგორც ცნობილია, ონის თეატრალური ცხოვრება თავის ისტორიას 1892 წლის 9 თებერვლიდან მოითვლის, როდესაც ალ. და დ. გოცირიძეების თაოსნობით სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ პირველი და მეოთხე მოქმედება პიესის – „თამარ ბატონიშვილი“, მეორე განყოფილებაში შეუსრულებიათ ძველი რაჭული სიმღერები. 1897 წლის ზაფხულში ონის სამაზრო სასწავლებელში, ე.წ. „მიხაილოვის სახელობის საქალაქო სასწავლებლის“ დიდი საკლასო დარბაზის ამაღლებულ სცენაზე დაიდგა ვალერიან გუნიას პიესა – „და-ძმა“. ონის თეატრალური დასის პირველი წევრები იყვნენ ძმები არჩილ და სპირიდონ ჯაფარიძეები სოფელ ველთეთიდან და სხვები, მაგრამ წარმოდგენების წარმატება ხელს უშლიდა ის, რომ ქალის როლის შემსრულებელი არავინ იყო. „და-ძმაში“ მარინეს როლს ქალურად ჩაცმული ვაჟი თამაშობდა, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოსწორდა ეს მდგომარეობა, როცა სცენისმოყვარეთა რიგებში ჩადგნენ ერმილე და გიორგი ლობჯანიძეები და მათთან ერთად მათი დები: მარიამ (მწერლისა და დრამატურგის მიხეილ მრევლიშვილის დედა და რეჟისორისა და დრამატურგის სანდრო მრევლიშვილის ბებია), ბაბუცა, ნინო, გუგულა...

1903 წლის 29 ივნისს სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ ა. ცაგარელის კომედია – „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ამის შემდეგ ქუთაისის გიმნაზიის მოწაფის, გრიგოლ დვალის, ინიციატივით გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის შენობაში დაუდგამთ აწყურელის ვოდევილი – „ საცოლე ერთი საათით“. მთავარი როლი შეუსრულებია თვითონ გრიგოლ დვალს.

1906 წელი ონის თეატრალური ცხოვრების „ოქროს ხანაა“. ყალიბდება მუდმივმოქმედი დასი. ამ წლიდან თეატრი ახლებურ პროფესიულ იერსახეს იღებს და მას სათავეში ამ საქმისათვის დაბადებული, მშობლიურ კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებული მიშაგო ჯაფარიძე უდგება. ამ მოვლენას შესანიშნავად გადმოგვცემს თავის მოგონებაში ვლადიმერ (ლადო) ჯაფარიძე: „ეს იყო 1906 წლის ზაფხულს, – სოფელში გვეწვია ჩვენი ნათესავი და კარგი მეგობარი ბავშვობიდან, მეტად ინიციატივიანი და საქმის მოყვარული ახალგაზრდა მიშა ჯაფარიძე, რომელიც ხნოვანებით უმცროსიც კი იყო ჩვენზე, მაგრამ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და გაგვიცხადა, რომ აპირებს წარმოდგენის დადგმას ონში და სჭირდება ჩვენი დახმარება. მართლაც, ონში კარგა ხანი არ ჩატარებულიყო ასეთი რამ და საზოგადოება მოწყურებული იყო კულტურულ სანახაობას, სცენიდან ლამაზი ქართულის მოსმენას.

– ვინ უნდა ითავოს ონში ასეთი საქმე, თუ არა ჩვენ, ახალგაზრდობამ?! – თქვა მან.

– ჰოდა, ამაში თქვენ, ყველა ძმა უნდა დამეხმაროთ, – გვითხრა მიშაგომ თავისი მომხიბლავი ღიმილით. ის იშვიათი ლამაზი სახისა იყო და საუბარიც დამაჯერებელი იცოდა.

მართალია, იმ ხანად უკვე ბავშვები აღარ ვიყავით და მოსკოვის უნივერსიტეტში წასასვლელადაც კი ვემზადებოდით, მაგრამ ბუნებით მორიდებულნი ასე მოულოდნელად ქალაქის სცენაზე გამოსვლისთვის ჯერ კიდევ არ ვცნობდით თავს მომზადებულად, მაგრამ საქმით გატაცებული ჭაბუკი არც ისე ადვილად დათმობდა თავის პოზიციას და ჩვენც დაგვითანხმა.

მიშამ ჩვეული ენერგიით დაატრიალა საქმიანობის ჩარხი და მოსახლეობამაც გაიგო, რომ სულ მალე მათთან წარმოდგენა დაიდგმებოდა. ამ წარმოდგენაში რაიმე მონაწილეობის მისაღებად ბევრმა გაგვიცხადა სურვილი და მიშაც უარით არავის ისტუმრებდა... დიდ დახმარებას გვიწევდნენ ბავშვებიც კი, რომლებიც ჩვენს დავალებებს სიამოვნებით ასრულებდნენ და თავის თავს სპექტაკლის აქტიურ მონაწილედ თვლიდნენ და მათ შორის დიმიტრი ჯანელიძე (თეატრმცოდნე – გ.ბ.), ჩემი ძმა უჩა ჯაფარიძე (მხატვარი – გ.ბ.), გერცელ ბააზოვი (მწერალი, დრამატურგი – გ.ბ.)...

მიშა იმ დროს, როგორც ვთქვი, სულ ახალგაზრდა იყო, მაგრამ, თავის შესანიშნავ ოჯახში მიღებული დიდი გამოცდილების გამო, მეტად დახელოვნებული იყო პრაქტიკულ საქმიანობაში.

მიშა არა მარტო დასის ხელმძღვანელი და მისი მეთაური გახლდათ, არამედ კარგი მსახიობი და ჩინებული რეჟისორიც. მას ძალიან უყვარდა საზოგადო საქმიანობა და სცენის გულისათვის არაფერს იშურებდა, მთელ თავის დროს მასზე ზრუნვას სწირავდა, მშობლებთანაც კი, სოფელ ხირხონისს, იშვიათად ავიდოდა ხოლმე მოუცლელობის გამო, რითაც საყვარელ ადამიანებს გულს სწყვეტდა და ანაღვლიანებდა...“

სპექტაკლები იმ ხანებში დათა ბერუჩაშვილის სახლში იმართებოდა, ადრე ამ შენობაში სამაზრო სასამართლო იყო მოთავსებული და დარბაზიც გვარიანი ზომისა ჰქონდა, მიუხედავად ამისა, დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა, ამიტომ დასის ხელმძღვანელის, მიშაგო ჯაფარიძის ინიციატივით, იმ ზაფხულს და შემდეგ რამდენიმე ზაფხულს ქალაქის ბაღში, ე.წ. „ბულვარში“ საზაფხულო თეატრი ააშენეს. ბაღში იდგა გრძელ-გრძელი ფიცრული სკამები, ჩინებული სცენით და კულისებით.

მიშაგო ჯაფარიძის დასმა პირველ სპექტაკლად აკაკი წერეთლის „პატარა კახი“ აჩვენა. პატარა კახს პროფესიონალი გრიშა დვალი თამაშობდა, რომელსაც საკმაო გამოცდილება და არაერთი როლი ჰქონდა ნათამაშები ქუთაისში ოჯახში თუ სასკოლო სცენაზე. მეფე თეიმურაზს მიშაგო თამაშობდა, ლევარ ქვაბულიძეს – ლადო ჯაფარიძე, რევაზ ბებურიშვილს – გრიგოლ ჯაფარიძე. ამ სპექტაკლში თამაშობდნენ დები – ბაბუცა და ნინო ლობჯანიძეები.

რუდუნებით მომუშავე ენთუზიასტ დასის წევრებს კოსტიუმები და „რეკვიზიტები“ არ აკლდათ, თეატრით დაინტერესებული მოსახლეობა, მათი მეგობრები გვერდში ედგნენ და ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო სპექტაკლისათვის, გულუხვად მოდიოდა. „ოლონდ გაგვაგონეთ ერთი კარგი სიტყვა და ყველაფერი ასეთი რამ თავს შემოგევლოთო“. გრიმები მიშაგომ ქუთაისიდან ჩამოიტანა, დეკორაციები კი შპალერის ქაღალდზე დახატეს ძმებმა ლადო და გრიგოლ ჯაფარიძეებმა. აი, როგორ დარჩა მაშინდელი სპექტაკლი: – „სპექტაკლზე დიდძალი საზოგადოება დაგვესწრო დაწყებული მაზრის უფროსიდან. ტევა არ იყო. ყველას უნდოდა წარმოდგენას დასწრებოდა და სცენაზე წარმოსახული მხატვრული სინამდვილე საკუთარი თვალით ეხილა...“

იმ ზაფხულს კიდევ ერთი სპექტაკლი დაიდგა. ეს იყო ალ. ყაზბეგის – „არსენა“. არსენას როლს გრიშა დვალი თამაშობდა, პეტრეს – არსენას ნათლიმამას – ლადო ჯაფარიძე, გარსევან ამაყაძეს – მიშა ჯაფარიძე, ზაქარია მოურავს – გრიგოლ ჯაფარიძე. ეპიზოდურ როლებს ასრულებდნენ: ვლადიმერ გრძელიძე, პასკო ლანდია, ვიქტორ ელიავა, სერგო გამყრელიძე, დათიკო ჭიჭინაძე და სხვები.

მიშაგო ჯაფარიძის ინიციატივით საზაფხულო თეატრი აშენდა აგარაკ უწერაში, სადაც დამსვენებელთათვის დაიდგა რამდენიმე წარმოდგენა.

იმავე ზაფხულს (1906 წ.) თეატრალურმა დასმა ქვემო რაჭაშიც მოაწყო გასვლა.

მათ წაიღეს ორი სპექტაკლი და რამდენიმე ვოდევილი. სოფელ ხიდიკარში, „პატარა წერტის“ პატრონმა, მაგრამ კულტურის დიდმა ქომაგმა, რუბენ ჭიჭინაძემ, დასის წევრებს მშვენიერი ბინა უშოვა წარმოდგენებისათვის. თეატრალურ დასს ამ დროისათვის შეემატა ქუთაისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის უფროსი ასაკის მოსწავლეები, დები ლუბა და კატო გოცირიძეები უმცროსი ძმით აკაკით, და ვარლამ (ვალოდია) ერისთავი – როსტომ რაჭის ერისთავის შთამომავალი, რომელიც დიდი გავლენით და სიყვარულით სარგებლობდა ყველგან იშვიათი ადამიანობისა და კეთილი ხასიათის გამო. დასის წევრები ქვემო რაჭაში ყოფნის პერიოდში ღამეს როსტომ ერისთავის სასახლეში ათევდნენ.

ისევ ლადო ჯაფარიძეს მოვიხმობ: „ვარლამ ერისთავის დახმარებით მიშამ მალე იშოვა ფიცრები და ხელოსნები და რამდენიმე დღეში მშვენიერი ამაღლებული სცენა გვქონდა კულისებითა და სკამებით გაწყობილი მაყურებელთა დარბაზით. წარმოდგენის ამბავი უცბად მოედო მახლობელ სოფლებს და სპექტაკლებზე დაგვესწრნენ ისეთი შორეულებიც, როგორიც იყვნენ ნიკორწმინდელები, სხვაველები, კვაცხუთელები, ძირაგეულელები, წკადისელები, ბუგეულელები და სხვები. მხიარულად მოდიოდნენ ახალგაზრდები სხვადასხვა სოფლებიდან ჯგუფ-ჯგუფად და სასიამოვნო სიმღერებით ახალისებდნენ გარემოს. თითქმის ორ კვირამდე დავყავით ქვემო რაჭაში და დავდგით რამდენიმე სპექტაკლი: „არსენა“, „პატარა კახი“, „ძუნწი“, „ქართველი დედა“ და სხვადასხვა ვოდევილები. ხალხი მოდიოდა წარმოდგენებზე, როგორც დღესასწაულზე, როგორც რომელიმე პოპულარულ დღეობაზე. ერთ საღამოს, ძალიან ადრე სპექტაკლის დაწყებამდე, თეატრის შენობას მოადგა რამდენიმე ცხენოსანი, ერთი მათ შორის მოსკოვის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტი გრიგოლ მესხი (შემდგომში ცნობილი მხატვარი – გ.ბ.). ის არდადეგებზე იყო მოსული თავის სახლში სოფელ კვირიკეწმინდაში და, რომ გაეგო წარმოდგენის ამბავი, წამოსული რამდენიმე თავის თანასოფლელთან ერთად. ძალიან გახარებული იყო ჩვენი ასეთი კულტურული საქმიანობით და იმედს გამოთქვამდა, რომ განათლების წყურვილს გაზრდიდა ხალხში და აღმზრდელობით ზეგავლენას მოახდენდა მათზე...“ დასის მიერ სპექტაკლები გაიმართა დაბა ამბროლაურშიდაც.

მიშაგო ჯაფარიძე მთელი თავისი არსით ქველმოქმედი იყო, ამიტომაც სპექტაკლებიდან შემოსული მთელი წმინდა შემოსავალი საქველმოქმედო საქმეს ხმარდებოდა მუდამ, უმთავრესად კი ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, რომელიც ერთადერთი იყო ონში. წარმოდგენების აფიშებზე მუდამ მსხვილი ასოებით ჰქონდა წარწერა: – „ადგილობრივი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ“.

1908 წლის ზაფხულზე (უკვე მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტების) ტყუპი ძმების ლადო და გრიგოლ ჯაფარიძეების მოწვევით ხალხური სიმღერების შეგროვების მიზნით რაჭაში მოსკოვიდან ჩამოვიდა ცნობილი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი. მან პედაგოგ მალაქია ჯაფარიძესთან ერთად შემოიარა ზემო რაჭის რამდენიმე სოფელი. იმავდროულად ონის თეატრალურ დასსაც დაესწრო რამდენიმე წარმოდგენაზე და როცა მოსკოვში დაბრუნდა და ქართულ საზოგადოებაში მოხსენება გააკეთა თავისი მოგზაურობის შესახებ, ეთქვა: „ჯაფარიძეები დაუღალავ კულტურულ მუშაობას ეწევიან რაჭაშიო, ორღობეებშიც კი დგამენ წარმოდგენებსო.“ ეს ხუმრობა, დასის მიმართ თქმული, მარტო შექება კი არა, წახალისებაც იყო.

მიშაგო ჯაფარიძე ქართული ფოლკლორის დიდი ქომაგიც იყო. როგორც მისი მასპინძლები, ისიც ასევე გვერდში დაუდგა რაჭაში სიმღერების ჩასაწერად საგანგე-

ბოდ ჩამოსულ დიმიტრი არაყიშვილს. მიშაგომ თავისი სოფლიდან – ხირხონისიდან მეზობელი გლეხები ჩამოუყვანა და მათ მიერ საუცხოოდ ნამღერი სიმღერა – „ქვედრულა მოდიდებულა...“ ჩააწერინა.

ძნელია მოიძებნოს მიშაგოსნაირი, თავის კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, იგი ხომ თხემით ტერფამდე პატრიოტია. მისი ნიჭი და პატრიოტული სული თავის დროზე შეუნიშნავს და მის ღვაწლს განსაკუთრებული სითბოთი გადმოგვცემს მწერალი სერგო კლდიაშვილი თავის ნაწარმოებში – „პატარა ცხოვრება“. სერგო კლდიაშვილი ამ საუკუნის 10-იან წლებში დასასვენებლად იმყოფებოდა დაბა ონში დეიდამისის ქმართან, ლადო ნანუკაშვილთან (ეს სახლი დღესაც დგას ონის ცენტრში, დავით აღმაშენებლის მოედანზე – გ.ბ.), სადაც გაიცნო და დაუმეგობრდა მიშაგო ჯაფარიძეს. რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას მიშაგო ჯაფარიძის შესახებ, გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებიდან „პატარა ცხოვრება“. წინასწარ გიხდით ბოდიშს, ვინაიდან გაზეთი ამის საშუალებას არ იძლევა. ტექსტი მეტად შემოკლებულია.

„... მიშაგოს თეატრალური იერი გადაჰკრავდა ლაპარაკში, მაგრამ სიტყვას ისეთი კეთილი ღიმილი დააყოლა, რომ გულწრფელი მეჩვენა და უცბადვე ჩემი გული მოიგო. მიშაგოს თითქმის მხრებამდე წვდებოდა გადავარცხნილი გრძელი თმა. შესახედავად ლამაზი ახალგაზრდა იყო და რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი ჩანდა. ეს იგრძნობოდა აგრეთვე იმ მფარველურ და შემწყნარებლურ კილოშიც, რომლითაც გარშემო მყოფთ მიმართავდა. ისიც შევნიშნე, რომ ლაპარაკში ხან რაიმე აფორიზმს ჩაურთავდა, ხან ერთ ორ ფრაზას რომელიმე მონოლოგიდან: – თქვენ არტისტი ხართ? – გავიკვირვე მე. – არ ვიცი, როგორ გითხრათ, – მხრები აიჩეჩა მიშაგომ. – მოწოდებით, დიახ, მაგრამ... – წუთით გაჩუმდა, – სად გაშლი აქ ფრთებს? იძულებული ვარ მცირედით დავკმაყოფილდე...

მიშაგო, ალბათ, იმაზე ლაპარაკს განაგრძობდა, რაც აქამდე მხოლოდ რაღაც დუდუნად მესმოდა. სულ არ მაინტერესებდა, რას ამბობდა, მაგრამ იძულებული გავხდი მესმინა.

– თუ გნებავთ, ფუჭ ოცნებად ჩამითვალეთ. მაგრამ ეს ფიქრი ძალიან მიტაცებს. რას წარმოვიდგენ იმაზე უკეთესს, რომ ჩვენი პატარა დაბა ერთ დღეს დიდ ქალაქად იქცეს! დაე, აქაც ცხოვრება დუღდეს, სიცოცხლე ხმაურობდეს!

– კარგი ოცნებაა, – ვთქვი უფრო ზრდილობისთვის. – ვერც წარმოიდგენ იმ მოწყენილობას, რომელიც აქ გამეფებულია შემოდგომიდან გაზაფხულამდე. მხოლოდ ზაფხულობით გამოცოცხლდება ხოლმე აქაურობა, როცა თქვენ, ახალგაზრდობა, ჩამოდიხართ. თქვენი ახალგაზრდული ხმები სიცოცხლეს უბრუნებს დაბას. როგორ არ ვინატრო – ეს ხმა არასოდეს არ შეწყდეს და მუდამ მესმოდეს აქ.

– რატომ არ გადახვალთ დიდ ქალაქში?

– დიდ ქალაქში... – ოცნებამორეულად გაიმეორა მიშაგომ. – გამოგიტყდებით, მეძნელება აქ ყოფნა, მაგრამ ამის გამო გავექცე მშობლიურ ადგილს? მერე კიდევ საკითხავია, შევძლებ ახლად დავიწყო მეორედ ცხოვრება? როცა ჩემს თავს ჩავუფიქრდები, უნებურად მაგონდება სადღაც წაკითხული: მე ვარ გადატეხილი ღერო ყვავილისა და მეშინია, რომ მალე დავჭკნები...

ბოლო სიტყვები ისეთი პათოსით წარმოსთქვა, თითქოს სცენაზე ყოფილიყო.

– თქვენ ცხოვრების გეშინიათ, – ვუთხარი, – თქვენ ოცნებაც კი გაშინებთ.

– სრულიად არა, – ხმას აუწია მიშაგომ. – სრულიად არა, – ველოლიავები მას და მინდა გაბრწყინდეს ცისარტყელას მთელი ფერები, შუშხუნად ავარდეს ამ ბნელ ღამეში და გაანათოს აქაურობა!..

... მიშაგოს გამოჩენას ხმაურით შეხვდა ახალგაზრდობა. დიდხანს უკრავდნენ ტაშს და ჯერ ხმაც არ ამოელო, უკვე მისძახოდნენ: „ბრავო, ბრავო! ბის! ბის! „მიშაგოს ეცვა შავი ფრაკი და მწვანე ჟილეტი, თითებზე დიდთვლიანი ბეჭდები წამოეცვა და თვალები ისე მოესურმა, რომ ისინი თითქოს ბნელი ფუღუროდან გამოიყურებოდნენ. სიტყვას ამბობდა წამღერებით და ყველა მოქმედ პირს უღიმოდა.

– რა კურორტების გაშენება შეიძლება აქ, – გულაჩვილებულად ოცნებობს მიშაგო. – ეს კუთხე იმდენ სიმდიდრეს ინახავს მიწის გულში, რომ წარმოდგენაც ძნელია. როგორ გამდიდრდება ხალხი, აქ რომ კურორტები მოეწყობოდეს!.. აი, ამ ადგილებზე აღიმართებიან ნამდვილი სასახლეები და ქვეყნის რომელი კუთხიდან არ ჩამოვა ხალხი?... ა, რას იტყვი, განა ცუდი იქნება? – ვადასტურებ, რომ კარგი იქნება. – ამის შემდეგ ჩვენი დაბაც სწრაფად გადაიქცევა დიდ ქალაქად... ხუთსართულიანი სასტუმროები, მოკენჭილ-ქუჩებზე ახალი ეტლები, შუა მოედანზე მჟავე წყლის შადრევანი და მის გარშემო კი პალმები, პალმები, პალმები! – ამის წარმოდგენაზე აღტაცებაში მოდის მიშაგო და ხელებს ფრთებივით შლის.

... გოგოებმა სიმღერა დაიწყეს, რაღაც წარმართულ ძველ საგალობელს ამბობდნენ.

– ა? ხომ კარგად მღერიან? – ისევ გულაჩვილებული იყო მიშაგო. – ესენი ჩვენი ადგილების მოზიარე გლეხების შვილები არიან. მე რომ მკითხო, კონსერვატორიაში უნდა მიაბარო ყველა. აი, როცა ჩვენი დაბა დიდ ქალაქად გადაიქცევა, მაშინ ეს საქმეც ადვილად გაკეთდება“ (სერგო კლდიაშვილი, რჩეული მოთხრობები, თბ. 1977).

1902 წლის 13 აგვისტოს ონში გაიმართა ილია ჭავჭავაძის საღამო, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მიშაგო ჯაფარიძე. მას დიდი წვლილი მიუძღვის ასევე 1909 წლის დეკემბერში აკაკი წერეთლის იუბილის მოწყობაში...

1909 წელს მ. ჯაფარიძის ინიციატივით წამოადგინეს ა. ცაგარელის პიესა „ბაიყუში“. 1910 წლის 25 ივლისს მიშაგოს თაოსნობით დაიდგა 4-მოქმედებიანი დრამა „მეზობლები“. აი, რას წერს „სახალხო გაზეთი“ (№82, 1910 წ.): „პიესამ კარგად ჩაიარა, სცენისმოყვარენი კეთილსინდისიერად მოჰკიდებოდნენ საქმეს. სასურველია ხშირად გაიმართოს ხოლმე ასეთი წარმოდგენები. ხალხი უფრო მეტად დაინტერესდება და სცენისმოყვარენიც გააუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას... „მეზობლები“, როგორც ვთქვი, კარგად ჩაატარეს. კარგი იყო მიხეილ ჯაფარიძე – ეს სული და გული ონის სცენისა. კარგები იყვნენ აგრეთვე ბ. იაშვილი, ვ. გრძელიძე, დ. ბახტაძე, გ. ლობჯანიძე... ონის საზოგადოება მეტად მადლობელია როგორც მიშა ჯაფარიძის, აგრეთვე იმის ამხანაგ სცენისმოყვარეთა. ხშირად წარმოდგენებიდან შემოსულ ფულს ბედკრულ ონის სამკითხველოს სწირავენ“.

მიხეილ ჯაფარიძე ონიდან ქუთაისში გადადის. იგი იყო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების, ყოველდღიური გაზეთის „კოლხიდას“ რედაქტორ-გამომცემელი. მისი რედაქტორობით გამოვიდა 1912 წ. № №58-152; 1913 წ. №№-1-42 ნომრები. იგი აქტიურად მონაწილეობდა აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში ისტორიულ მოგზაურობაში. რაც ფართოდ იქნა გაშუქებული მის მიერ გამოცემულ გაზეთ „კოლხიდაშიც“.

ქუთაისიდან მოსკოვში მიდის. იქ დიდხანს არ ჩერდება. 1914 წლიდან ბაქოში, სამხედრო ლაზარეთში იწყებს სამსახურს... აქვე 1920 წელს ქორწინდება და ბრუნდება საქართველოში. საქართველოში ამ დროს მეტად არეული მდგომარეობაა. მიმდინარეობდა ბრძოლა მენშევიკურ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. იგი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, იბრძვის მენშევიკების ჯარში და ბათუმამდე მონაწილეობდა გააფთრებულ ბრძოლებში...

საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი ემიგრაციაში ვერ წავიდა. მის დიდბუნებოვნებას და კეთილ მეგობრებს უნდა ვუმადლოდეთ, საშინელ რეპრესიებს რომ გადაურჩა. იმდენად კეთილი და საყვარელი იყო, ვერავინ იკადრა „ჩაეშვა“. საბჭოთა რეჟიმში თითქმის მთელი ცხოვრება თბილისის № 2 (ყოფილი ალექსანდროვის) საავადმყოფოში იმსახურა სამეურნეო დარგში ცნობილ ექიმთან და დიდებულ ადამიანთან ალადაშვილთან. მათ ბოლომდე კეთილგანწყობილი და საუცხოო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

1956 წელს, თბილისში გარდაიცვალა მიშაგო ჯაფარიძე, კაცი, რომელმაც უმწიკვლოდ და უპრეტენზიოდ განვლო მთელი ცხოვრება, ემსახურა თავის ერს, მშობლიურ კუთხესა და ხალხს. გარდაიცვალა კაცი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი. მან სამარადჟამო ბინა ვაკის სასაფლაოზე დაიდო...

ღირსეული მონაგარი დარჩა მიშაგო ჯაფარიძეს, რომელნიც საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ღირსეულად იღვწიან. მე მათ ჩამოთვლას არ შევუდგები, გამოვკვეთავ მხოლოდ ოთარ ჯაფარიძეს – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგეს, ივანე ჯავახიშვილისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, თბილისის საპატიო მოქალაქეს...

ღმერთმა უმრავლოს ჩვენს კუთხესა და საქართველოს ასეთი „დინასტია“.

გია ბერიშვილი

ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიიდან

საქართველოში ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება მართლაც რომ უნიკალური მოვლენაა მსოფლიოს ისტორიაში. ებრაელმა ხალხმა სამშობლოს დაკარგვის შემდეგ სხვადასხვა ქვეყანას შეაფარა თავი და ზოგან მეტად რთულ, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. კარგადაა ცნობილი მათი შემდგომი ბედი თუნდაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელობას, თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით, დიდი წვლილი უდევთ სხვადასხვა ქვეყნის აღზევებაში, ზოგან მათი ცხოვრება არცთუ ისე იოლი და სახარბიელო იყო, მათი ღვაწლი სათანადოდ არ იყო დაფასებული. და მაინც, ებრაელმა ერმა უდიდესი ამაგი დასდო ცივილიზებულ სამყაროს. მაგალითისათვის მარტო რუსეთიც კმარა, სადაც ებრაელობა უდიდეს როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მაგრამ დროდადრო აქ ებრაელთა რბევა, „პოგრომები“, იმართებოდა. საქართველოში, რომელიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, მსგავს შემთხვევების არასოდეს ჰქონია ადგილი. არც ბოროტების იმპერიის ხანაში, სადაც თითქოს ხალხთა თანასწორუფლებიანობა სუფევდა, ულხინდა მაინცდამაინც ებრაელობას. აღარაფერს ვამბობ ებრაელთა გენოციდზე შუაგულ ევროპაში XX საუკუნეში.

საგულისხმოა, რომ ებრაელმა ხალხმა არ დაივიწყა ის სიკეთე, რომელსაც თავის მეორე სამშობლოში, საქართველოში, გრძნობდა მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე. სხვადასხვა ქვეყნებიდან თავის პატარა სამშობლოში, ისრაელში, თავმოყრილ ებრაელთა შორის, ალბათ, ცოტაა ისე მადლიერი იმ ქვეყნისა, საიდანაც ისინი გადასახლდნენ, როგორც ქართველი ებრაელობაა. მათ არ უღალატა მადლიერების გრძნობამ და სათუთად უფრთხილდებიან ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა მსოფლიოში შეუმჩნეველი არ დარჩა და ალბათ ებრაელი და ქართველი ხალხის ურთიერთობას სხვებიც მიბაძავენ, თუკი ამის მორალური უფლება ექნებათ. თუმცა, ებრაელ ხალხს თავისი ისტორიის მანძილზე არაერთი უმადურობა ახსოვს.

მე, როგორც არქეოლოგი, ისტორიის სიღრმეში ვიხედები: იმ მხარეებს შორის, სადაც ქართველები და ებრაელები ცხოვრობდნენ, ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა დამყარებულა. მაშინ, ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში, ამიერკავკასიის მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელთა შორისაც უთუოდ ქართველთა წინაპრები ერივნენ, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში, დღევანდელ სირიასა და ისრაელში გადასახლებულა. ამას უცილობლად მოწმობს მტკვარ-არაქსის კულტურის ნაკვალევი ამ ქვეყნებში. ჩანს, ურთიერთობას შორეულ წარსულში ეძებნება ფესვები. უფრო გვიან კი პირიქით, მოსახლეობის ერთი ნაწილი ისრაელიდან, თავის პირველსაცხოვრისიდან გადმოადგილებულა უფრო ჩრდილოეთით, ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში.

ქართულ-ებრაული ურთიერთობა უთუოდ მნიშვნელოვანია და სამაგალითო. ეს იმის დასტურია, თუ როგორაა შესაძლებელი შეიკედლო, მშვიდად და ტკბილად აცხოვრო უცხო ტომის წარმომადგენელი შენს მიწა-წყალზე საუკუნეების მანძილზე, რომელმაც არ დაივიწყა გაწეული სიკეთე. ებრაელობა ერთ-ერთი თუ არა, ერთადერთი ერია საქართველოში მოსახლე სხვა მრავალ ხალხთაგან, რომელმაც დაინახა ქართველი კაცის მადლი, სათანადოდ დააფასა და არ ივიწყებს თავის მეორე სამშობლოს. საქართველოში, რომელიც გამოირჩევა თავისი მოსახლეობის სიჭრელით, არავის უგრძვნია თავი დამცირებულად და უცხოდ. თუმცა, თანდაყოლილი ეს თვისება, სულგრძელობა ინტერნაციონალიზმისა, ცოტა არ იყოს გადამეტებული გრძნობა ქართველი კაცისა, ყოველთვის სათანადოდ დაფასებული და დანახული არ ყოფილა. ამ მხრივ გამონაკლისი ებრაელი ერია და, ალბათ, დაუვიწყარი იქნება კეთილი ურთიერთობა ჩვენს ხალხებს შორის.

ირაკლი აბაშიძე

ირაკლი აბაშიძეს პირადად პირველად 40-იანი წლების ბოლოს თბილისის რკინიგზის სადგურზე შევხვდი. ჩემი მეგობარი, ბატონი ირაკლის ნათესავი, ე. მოდებაძე, თავის დასთან და სიძესთან ამანათს ატანდა მოსკოვში. ამანათი საკმაოდ მძიმე იყო, ძლივს მივიტანეთ ვაგონთან და ბატონმა ირაკლიმ ბრძანებითი კილოთი მითხრა – აიტანე კუპეში. მაშინ, უკვე დოცენტს, ეს კილო, ცოტა არ იყოს, მეწყინა. ეტყობა, ბატონ ირაკლის მე „ნასილშჩიკი" ვეგონე. ომის შემდგომი პირველი წლები იყო და გარეგნულად, ტანსაცმლით ბევრით არ განვსხვავდებოდი ჩვეულებრივი „ნასილშჩიკისგან". შემდეგში ბატონ ირაკლის საკმაოდ ხშირად ვხვდებოდი მოდებაძეების ოჯახში. მაშინ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი, ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდებდა ჩემზე და ჩემს მეგობრებზე. სრულიად უბრალოს, მხიარულს, იუმორით სავსეს, ყოველგვარ მედიდურობას მოკლებულს, ძალიან სასიამოვნო მოსაუბრეს მართლაც აღტაცებაში მოჰყავდა ყველა.

ბატონ ირაკლის დავუახლოვდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად მისი მუშაობის დროს. იგი არქეოლოგიურ კომისიას კურირებდა და ხშირად ვხვდებოდ სხდომებზე. მაკვირვებდა მისი ალღო, სწორი დასკვნების გამოტანის უნარი, მისთვის, ასე თუ ისე უცხო, არქეოლოგიის საკითხებზე. რა თქმა უნდა, „რუსთაველის ნაკვალევზე" ავტორისგან არაფერია მოულოდნელი. ბატონ ირაკლის ძალიან უყვარდა ველად გასვლა, არქეოლოგიური გათხრების დათვალიერება, რა ინტერესით ადევნებდა თვალყურს სამუშაოებს. ხშირად გვიხდებოდა ერთად მოგზაურობა, მას ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი საქართველოს სიძველეებთან იყო დაკავშირებული და ჩვენს დიდებულ წარსულს ასახავდა.

ბატონი ირაკლი ქართული ენციკლოპედიის გამოცემას ედგა სათავეში. მეც მიხდებოდა იქ მუშაობა და არაერთხელ შევხვედრივარ მას. რა ხალისით და გატაცებით უძღვებოდა ამ უთუოდ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. მართალია, ამ მრავალტომეულში დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ბევრი რამ შესასწორებელი და ბევრიც ამოსაღებია, მაგრამ ქართულმა ენციკლოპედიამ თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია და, ალბათ, ერთხანს კიდევ გაუწევს ქართველ ხალხს. ქართული ენციკლოპედიის სრულად გამოცემა ბატონი ირაკლის, მისი მოადგილის, როინ მეტრეველის, და, საერთოდ, მთელი კოლექტივის შრომის ნაყოფია, მაგრამ ბატონი ირაკლი ამ საქმის ღირსეული მოთავე იყო.

ახლაც კარგად მახსოვს, როგორი აღელვებული იყო ბატონი ირაკლი 1978 წლის 14 აპრილს, როდესაც ქართული ენის ბედი წყდებოდა. იმ დღეს იგი მრგვალ ბაღთან

---

* ირაკლი აბაშიძე, 90, თბილისი, 1999.

შემხვდა და მითხრა, სახლში ვერ გავჩერდიო. ერთად წავედით უნივერსიტეტში. ვის, თუ არა ბატონ ირაკლის, აწუხებდა ქართული ენის ბედი? რექტორის, დავით ჩხიკვიშვილის, კაბინეტში შევიკრიბეთ, ყველანი ძალიან აღგზნებულები ვიყავით. ბატონი ირაკლი ღელავდა, შფოთავდა, ვერაფრით ვერ ეგუებოდა უსამართლობას. დიდი გამოცდილების წყალობით იგი ძალიან ჭკვიანურ, მართებულ რჩევა-დარიგებას იძლეოდა. ცნობილია, როგორ თავდადებულად იმოქმედეს მაშინ ჩვენმა სტუდენტებმა, რექტორატმა, პირადად რექტორმა და განსაკუთრებით პრორექტორმა სერგო ჯორბენაძემ. რარიგ გაიხარა ბატონმა ირაკლიმ, როდესაც ყველაფერი კეთილად დასრულდა.

იმ დროს, როდესაც არცთუ ისე უსაფრთხო და ადვილი იყო პატრიოტული გრძნობის გამომჟღავნება, ბატონ ირაკლის არასდროს დაუხევია უკან. თავისი ქვეყნის სიყვარულის გამო იგი ზოგჯერ საკუთარი მრწამსის წინააღმდეგაც მიდიოდა. ვინ მოთვლის, რამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული ბატონ ირაკლის თავისი ქვეყნისთვის. სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული, დღენიადაგ მასზე მზრუნველი იყო და რაოდენ დასანანია, რომ ეს დიდებული პიროვნება ვერ მოესწრო თავისუფალ საქართველოში მოღვაწეობას. რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლო თავისი საქმიანობით თუ პოეზიით, როგორ გაახარებდა გაჭირვებაში მყოფი ქართველი კაცის გულს.

ბატონ ირაკლის ხშირად ვხვდებოდი მრგვალ ბაღსა და ვაკის პარკს შორის, ბარნოვის (ახლა უკვე ირაკლი აბაშიძის) ქუჩაზე მოსეირნეს გვიან ღამით. რა სასიამოვნო იყო მის გვერდით ყოფნა და მოსმენა ჩვენი უახლესი წარსულის ამბებისა. იგი ხომ ბევრის მოწმე და ხშირად უშუალო მონაწილეც იყო. უკანასკნელად მას ავადმყოფობამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდი, გვიან ღამით ჩვეულებისამებრ ქუჩაში მოსეირნობდა. მომიყვა თავისი დამოკიდებულების შესახებ კონსტანტინე გამსახურდიასთან, მის ოჯახთან. თქვა რომ, ბევრი კარგი უნდა ხსომებოდა ამ ოჯახის ზოგიერთ წევრს მისგან. ბატონი ირაკლი ზოგჯერ ისეთ საქმეში ჩარეულა, რაც იმ დროისათვის არცთუ უსაფრთხო იყო. არავის არაფერს ამადლიდა, მაგრამ წყენა ეტყობოდა. მის მიმართ ერთგვარი გულგრილობა სტკენდა გულს. რომ განმემუხტა ეს უსიამოვნო საუბარი, სრულიად გულწრფელად შევბედე: ბატონო ირაკლი, „დედაო ენას“ გალაკტიონიც სიამოვნებით მოაწერდა-მეთქი ხელს. შევატყვე, ესიამოვნა პოეტების გენიასთან გატოლება...

ბატონი ირაკლი მხოლოდ პოეტისათვის მომადლებული ნიჭით კი არ ცხოვრობდა ამქვეყნად, არამედ სამშობლოს სიყვარულს, მისი ბედნიერებისთვის უანგარო ზრუნვას მიიჩნევდა აგრეთვე თავის უპირველეს მოვალეობად.

ლეო გაბუნია

ლეო გაბუნია ჩემმა თანაკურსელმა, ტარიელ ჩუბინიშვილმა, გამაცნო, რომელიც მისი ბავშვობის მეგობარი იყო, ერთად იზრდებოდნენ. ჩვენ შორის იმთავითვე საკმაოდ თბილი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ლეო კარგად ერკვეოდა ლიტერატურაში, ისტორიაში და საერთოდ ძალზე განათლებული იყო. იგი „გეპეიში“ სწავლობდა გეოლოგიის ფაკულტეტზე. ყოველთვის მიკვირდა, რომ ლეომ, ჰუმანიტარმა კაცმა, ეს სპეციალობა რატომ აირჩია. ჩანს, გეოლოგიისადმი სიყვარული ოჯახიდან გამოჰყვა. მამა ცნობილი მეცნიერი, გეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. ლეოს დედაც პროფესიით გეოლოგი იყო. იმ დროს გეოლოგია ძალიან მოდური სპეციალობა იყო და ახალგაზრდობა ძალიან ეტანებოდა ამ დარგს. ხშირად ვიკრიბებოდით ლეოს ოჯახში, სადაც ძალიან თბილად გვხვდებოდნენ და გატაცებით ვთამაშობდით ჭადრაკს. ლეო ყველას გვჯობდა, პირველთანრიგოსანი იყო. მონაწილეობდა ტურნირებში თბილისის პირველობაზე. მახსოვს ერთხელ მივედი ლეოსთან, ტარიელი და ლეო რაღაც პიესას წერდნენ ომის თემაზე. მიკითხავდნენ და თან იცინოდნენ. ეტყობოდათ, ძალიან მოსწონდათ. პიესას ჩემზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ტარიელის ბიძა, ალ. თაყაიშვილი, ცნობილი რეჟისორი, მსახიობი, მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფუძემდებელი იყო. ჩანს, ამ თეატრისთვის წერდნენ პიესას, მაგრამ კიდევ კარგი, რომ მან მზის სინათლე არ იხილა.

ლეოს ნამდვილად მწერლის ნიჭი ჰქონდა, რაც კარგად ჩანს მის არაერთ ნაშრომში. ომის წლები იყო, დიდი გაჭირვება. ლეოს ოჯახი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ავადსახსენებელმა 1937 წელმა მისი ოჯახი ძალიან დააზარალა. დედის მხრიდან – დუმბაძეებიდან – დააპატიმრეს ბებია, ბაბუა და ორი დეიდა თავისი მეუღლეებით. გარეთ მხოლოდ ლეოს დედა, დიდებული ქალბატონი, დეიდა ნადია, დარჩა. ამას ისიც დაერთო, რომ უეცრად გარდაიცვალა ლეოს მამა – 1938 წელს ოჯახში დატრიალებულმა ტრაგედიამ მოუსწრაფა ალბათ სიცოცხლე. ამ დიდი ოჯახის მთელი სიმძიმე დეიდა ნადიას დააწვა. მან შეიფარა თავისი დისშვილები და ყველა გზაზე დააყენა. არაფერი დააკლო თავის შვილებს. ლეოს ძმა, ნოდარ გაბუნია, ცნობილი მუსიკოსი, პიანისტი და დიდებული კომპოზიტორია, და, მანანა, წარმატებული არქეოლოგი, ქვის ხანის სპეციალისტი.

ლეომ წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში. უმეტეს დროს იგი მოსკოვში ატარებდა, სადაც დაუახლოვდა თავის მასწავლებელს, ლეო დავითაშვილს. მოსკოვში შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, ულამაზეს და უსათნოეს ლილი ასათიანს.

ლეო არა მარტო კარგი შვილი, არამედ კიდევ უფრო კარგი შვილიშვილი იყო. მან მოსკოვიდან ორჯერ ინახულა გადასახლებაში მყოფი ბებია. ეს მაშინ არცთუ უსაფრთხო იყო. ლეომ უშიშრად გადალახა ყველა დაბრკოლება და დიდად გაახარა უსამართლოდ დაჩაგრული მოხუცი.

დიდი ხნის განშორების შემდეგ თბილისს უბრუნდება ლეოს ხელმძღვანელი აკად. ლეო დავითაშვილი. იგი სათავეში უდგება მის მიერ დაარსებულ პალეონტოლოგიის ინსტიტუტს. ლეო გაბუნია აქტიურად მონაწილეობს ინსტიტუტის ორგანიზაციაში. სრულიად ახალგაზრდა ლეო იცავს სადოქტორო დისერტაციას და სულ მალე იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი ხდება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი სანატორიუმში დასვენების დროს

შეხვდა მოსკოვის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, აკად. ორლოვს, რომელმაც ძალიან მაღალი შეფასება მისცა ლეოს მოღვაწეობას. ნ. მუსხელიშვილმა მოსალოდნელ არჩევნებში საგანგებოდ გამოუყო ლეოს ადგილი. სულ მალე ლეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ხდება. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო.

ლ. დავითაშვილის გარდაცვალების შემდეგ ლეო სათავეში უდგება პალეონტოლოგიის ინსტიტუტს. იგი წლების მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი იყო.

ლეო არაერთი სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო, დაწყებული სათაფლიას დინოზავრების ნაკვალევიდან. და მაინც, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლებში მისი მოღვაწეობა დმანისში, სადაც ფეოდალურ ნაქალაქარის ტერიტორიაზე გადამარხებული ცხოველების ძვლებს შორის პირველყოფილი ადამიანის ქვედა ყბა აღმოჩნდა. ლეო გატაცებით მუშაობდა იქ და არც დმანისი რჩებოდა ვალში, სადაც გადამარხებული ადამიანის სხვა ძვლებიც აღმოჩნდა. ლეომ სწორედ განსაზღვრა დმანისელი ადამიანის სახეობა და ასაკი. ამ აღმოჩენამ ლეოს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. დღეს მისი მოწაფეები წარმატებით განაგრძობენ დმანისის სადგომზე მუშაობას და კიდევ უფრო შორს გაიტანეს დმანისელი ადამიანის სახელი.

ფერდინანდ თავაძე*

აკადემიკოს ფერდინანდ თავაძეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შევხვდი ომის შემდგომ პირველ წლებში. იგი მუზეუმის ხშირი სტუმარი იყო და უაღრესად დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის ძველი მეტალურგიის მიმართ. ამაში განსაკუთრებული დამსახურება აკადემიკოს ბორის კუფტინს მიუძღვის, რომელიც ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხებზე მუშაობდა და ამ სამუშაოში საგანგებოდ ჩართო ბატონი ფრედი. ისინი ერთობლივ ნაშრომს ამზადებდნენ სპილენძ-ბრინჯაოს უძველესი მეტალურგიის შესახებ.

ბატონმა ფრედმა იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ურეკის განძს. ურეკში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები – სხვადასხვა ტიპის ცულები, თოხები და სხვა. ბატონი ფრედი ამ ნივთების ქიმიურ, მეტალოგრაფიულ შესწავლაზე მუშაობდა და ძალიან დაინტერესდა სამუშაოთი. სწორედ აქედან იწყება მისი უაღრესად ნიჭიერი კვლევა-ძიება ძველ მეტალურგიაში. ბატონი ფრედი ძალიან სწრაფად გაერკვა მისთვის იმხანად ჯერ კიდევ უჩვეულო პრობლემებში. საერთოდ, მას ერთი მეტად ძვირფასი თვისება ჰქონდა – იგი უმალ ერკვეოდა და ითვისებდა ყოველივე ახალს. მან სწრაფად აუღო ალღო და შესანიშნავად გაერკვა არქეოლოგიისა და, საერთოდ, ძველი ისტორიის საკითხებში.

სამწუხაროდ, ურეკის განძთან დაკავშირებული ასე ნაყოფიერად დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ დასცალდათ აკადემიკოს ბ. კუფტინის უდროოდ გარდაცვალების გამო. მაგრამ ბატონი ფრედისთვის ამ ერთობლივი მუშაობის პერიოდს ფუჭად არ ჩაუვლია და მან წარმატებით განაგრძო მუშაობა ბრინჯაოს ძველი მეტალურგიის პრობლემებზე.

ჯერ კიდევ დაბადებაში და ძველ მწერლებთან არაერთი ცნობა გვხვდება კავკასიის, და კერძოდ, ქართველი ტომების მელითონეობის მაღალი დონის შესახებ. სწორედ ამ ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე იყო გარცელებული აზრი, რომ კავკასიის უძველეს მოსახლეობას უაღრესად დიდი ღვაწლი მიუძღვის ძველ სამყაროში ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების საქმეში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ბატონი ფერდინანდის დაინტერესება აღნიშნული საკითხებით. მან ამ სამუშაოში საგანგებოდ ჩართო თავისი მოწაფეები, პირველ რიგში, შესანიშნავი სპეციალისტი, უაღრესად სანდომიანი ქალბატონი თამარ საყვარელიძე, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი ამ საკმაოდ რთულ საქმეს, ბატონმა ფრედმა და ქალბატონმა თამარმა მეტად საინტერესო და საჭირო წიგნი გამოაქვეყნეს: «Бронзы древней Грузии». უაღრესად ნაყოფიერი იყო დიდად განსწავლული ქალბატონის, ეთერ გიორგიძის თანამშრომლობაც.

ბატონ ფრედს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა სახელმწიფო მუზეუმთან, კერძოდ, ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიასთან. მუზეუმის იმდროინდელი დირექტორი, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, ცდილობდა, გაეძლიერებინა ამ ლაბორატორიის სამუშაოები. მანამდე აქ უპირატესად კერამიკული მასალის აღდგენა მიმდინარეობდა.

ბატონი ფრედის წყალობით ლაბორატორიაში ფართო სამუშაოები გაიშალა. ლითონის ექსპონატების დაცვა-აღდგენის საქმის დაფუძნებაში მას უაღრესად დი-

---

* ლითონთა სამყაროში ფერდინანდ თავაძესთან, თბილისი, 2004.

დი ღვაწლი მიუძღვის. სწორედ ბატონი ფრედის რეკომენდაციით და ხელშეწყობით შეემატნენ ლაბორატორიას ახალი თანამშრომლები, უპირატესად ქიმიკოსები, მეტალურგები და სხვა სპეციალისტები, რომლებმაც დიდი სამუშაოები წამოიწყეს ლითონის ნივთების კონსერვაციისა და მათი შესწავლის მიზნით. თუ დღეს ჩვენამდე შესანიშნავ მდგომარეობაში მოაღწია მუზეუმის მთავარ საცავში – სეიფში – დაცულმა ძვირფასი ლითონების, განსაკუთრებით ვერცხლის, ნივთებმა, სწორედ მათი დამსახურებაა. ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, რუსუდან ბახტაძემ, მეცნიერ-თანამშრომლებმა – ცისანა აბესაძემ, თამარ დვალმა, ნათელა სარაჯიშვილმა და სხვებმა დიდი ამაგი დასდეს ბატონი ფრედის წამოწყებულ საქმიანობას. მათ არაერთი უაღრესად საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნეს, რომლებიც უძველესი მეტალურგიის, ლითონის დაცვა-კონსერვაციის და სხვა საკითხებს შეეხება.

ბატონი ფრედი საგანგებოდ იყო დაინტერესებული აგრეთვე რკინის უძველესი მეტალურგიის საკითხებით და მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად საყურადღებო ნაშრომი უძღვნა ამ პრობლემას.

საერთოდ, ბატონი ფრედი ყველანაირად ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სპეციალისტი დაეინტერესებინა ძველი მეტალურგიის საკითხებით. უთუოდ აღსანიშნავია შოთა მესხიასთან და ვალერიან ბარქაიასთან ერთად გამოქვეყნებული მისი უაღრესად საყურადღებო ნაშრომი[1] თრიალეთის ცნობილი ოქროს თასის დამზადების ტექნოლოგიის შესახებ. მან ძვირფასი ლითონების დამუშავებასთან დაკავშირებულ სამუშაოში სხვა თანამშრომლებიც ჩართო ტექნიკური უნივერსიტეტიდან და მეტალურგიის ინსტიტუტიდან.

ბატონი ფრედი თავმდაბალი და უაღრესად კეთილგანწყობილი პიროვნება გახლდათ. მასთან ურთიერთობა ძალიან ადვილი და ამასთანავე მეტად საინტერესო იყო. ყოველი შეხვედრისას ის უთუოდ რაღაც ახალ იდეას წამოაყენებდა, სულ ახლის ძიებაში იყო, სულ რაღაც ახალი პრობლემები აწუხებდა.

უთუოდ დიდია ბატონი ფრედის დამსახურება ძველი მეტალურგიის შესწავლის საქმეში. მას უაღრესად დიდი ამაგი მიუძღვის ძველი ლითონის ნაკეთობათა მოვლა-პატრონობაში, კონსერვაციაში, მათ გადარჩენაში. მან ეს საქმე ჩვენში მაღალმეცნიერულ დონეზე აიყვანა.

ზეციურ საქართველოში ნათელში ამყოფოს ღვაწლმოსილი მეცნიერი, თავის ქვეყანაზე უაღრესად შეყვარებული, დიდი პატრიოტი, ბატონი ფერდინანდ თავაძე.

---

1 თავაძე ფ., მესხია შ., ბარქაია ვ., ფურცლოვანი ლითონების ჩარხებზე დამუშავება ძველ საქართველოში, „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1954.

შოთა მესხია

შოთა მესხია გავიცანი, როდესაც იგი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან სამუშაოდ უნივერსიტეტში გადმოვიდა. სწორედ მას ანდო აკად. ს. ჯანაშიამ თავისი სალექციო კურსის წაკითხვა ისტორიის ფაკულტეტზე. ს. ჯანაშიამ ჯერ კიდევ სტუდენტობისას მიაქცია ყურადღება ნიჭიერ ახალგაზრდას. თავის გამოსვლაში, 1936 წლის მარტ-აპრილში, ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ გამართულ დისკუსიაზე, ს. ჯანაშიამ საგანგებოდ აღნიშნა: „მე ხშირად ისეთი შენიშვნები გამიგონია მათგან (სტუდენტებისაგან), რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში არ დამვიწყებია. მაგ. ამხ. მესხიამ მომცა სამი წლის წინათ მნიშვნელოვანი შენიშვნა". შოთა მაშინ, ალბათ, მეორე ან მესამე კურსის სტუდენტი იქნებოდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შ. მესხია სამუშაოდ თავის მშობლიურ კუთხეს უბრუნდება. მაგრამ ს. ჯანაშიას არ დავიწყებია ნიჭიერი სტუდენტი და, როგორც შოთა იხსენებდა, მან მიიღო შეტყობინება ისტორიის ინსტიტუტიდან ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების შესახებ. შოთამ გაამართლა თავისი დიდი მასწავლებლის იმედები და წარმატებით მოღვაწეობდა სამეცნიერო ასპარეზზე. მაგრამ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, შოთა ჯარში გაიწვიეს და, როგორც თვითონ იგონებდა, სასწაულებრივად გადაურჩა ქერჩში ქართველთა სასაკლაოს. იგი უბრუნდება თავის საყვარელ საქმეს და აგრძელებს მუშაობას ისტორიის ინსტიტუტში. 1946 წელს მეცნიერი, ს. ჯანაშიას წინადადებით, სამუშაოდ უნივერსიტეტში გადადის და ისტორიის ფაკულტეტზე იწყებს ლექციების კითხვას საქართველოს ისტორიის პირველ პერიოდში. რა თქმა უნდა, ისეთი ბრწყინვალე ისტორიკოსის, დიდებული ლექტორის შეცვლა, როგორიც ს. ჯანაშია გახლდათ, არც ისე ადვილი საქმე იყო. შოთა მესხიამ გაართვა თავი ამ უმძიმეს მოვალეობას და სტუდენტების საყვარელი ლექტორი გახდა. ის, რომ იგი ს. ჯანაშიას საქმიანობის გამგრძელებელი იყო უნივერსიტეტში, საგრძნობლად ზრდიდა მის ავტორიტეტს ისტორიის ფაკულტეტის მაშინდელ ახალგაზრდობაში. შოთამ მართლაც ღირსეულად შეცვალა თავისი მასწავლებელი და თავიდანვე ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მაშინ იგი, მართალია, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი მეცნიერი იყო. ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი, ურთიერთობაში არასდროს ამჟღავნებდა ამას, პირიქით, ძალიან ამყოლი, ვაჟკაცური ბუნების ადამიანი იყო, უყვარდა დროსტარება, მეგობრებთან ყოფნა და ყოველივე ეს, მეცნიერულ შესაძლებლობებთან ერთად, დიდად ამაღლებდა მის პიროვნებას ახალგაზრდებში. მას ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებში ბევრი მეგობარი ჰყავდა. შოთა ყოველთვის, ლხინსა თუ ჭირში, მათ გვერდით იდგა, ბევრს გაუმართა ხელი თავისი რჩევითა და დახმარებით და ცხოვრების დიდ გზაზე გაიყვანა. ამიტომაც სჯეროდათ მისი და უაღრესად დიდ პატივს სცემდნენ (მაგალითისათვის ისიც კმარა, თუ რა როლი შეასრულა შოთამ თავისი მეგობრის, ვიქტორ გუჩუას, შესანიშნავი პიროვნების და მეცნიერის ცხოვრებაში, როგორ შეუწყო მას ხელი მეცნიერების დიდ გზაზე გამოსვლაში და არ დაუკარგა საზოგადოებას, ქართული მეცნიერებას ეს ბრწყინვალე ადამიანი და მოქალაქე. შოთა მხოლოდ სიკეთისათვის ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე...).

---

* შოთა მესხია, 90, თბილისი, 2006.

ჩვენ შორის შოთას ყველაზე ადრე გივი კიღურაძე, ევროპის ახალი ისტორიის დიდი მცოდნე და უბადლო ლექტორი დაუახლოვდა. შოთას დახმარებით გივიმ, ჯერ კიდევ ასპირანტმა, დაიწყო ლექციების კითხვა ზუგდიდის ინსტიტუტში. ზუგდიდში ისინი თითქმის ყოველთვის ერთად იყვნენ და გივი გაოცებით გვიყვებოდა, თუ როგორ პატივს სცემდნენ, რა ავტორიტეტით სარგებლობდა ზუგდიდში სრულიად ახალგაზრდა კაცი. რა თქმა უნდა, შოთა მესხია სრულიად საქართველოს შვილი იყო, მისი დიდი წარსულის მესაიდუმლე და მკვლევარი და, მაინც, გამორჩეულად უყვარდა და ეთაყვანებოდა თავის მშობლიურ მხარეს.

შოთა მესხია ერთ-ერთი პირველი იყო იმ დროის ახალგაზრდებს შორის, ვინც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. მან დოქტორანტურის კურსი მოსკოვის უნივერსიტეტში გაიარა და იქვე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამის შემდგომ შოთა უბრუნდება უნივერსიტეტს და სათავეში უდგება საქართველოს ისტორიის კათედრას. მისი ცხოვრების ყველაზე სახელოვანი, წარმატებული წლები თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობას უკავშირდება. შოთა აღიარებული მეცნიერი, მაგრამ არანაკლებ წარმატებული პედაგოგი იყო, დიდხანს ედგა სათავეში ისტორიის ფაკულტეტს. მართალია, დეკანობა მას დიდ დროს ართმევდა, მაგრამ მაინც ხალისით მუშაობდა სწორედ იმის გამო, რომ ახალგაზრდობა უყვარდა, სტუდენტებთან ყოფნა სწყუროდა და მათი დიდი იმედი ჰქონდა. შოთამ ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ფაკულტეტის ღირსების ამაღლებისათვის...

...1972 წლის თებერვალში ერაყში მივდიოდი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. წასვლის წინა დღეს შოთა და მე ერთად წამოვედით აკადემიიდან და მაშინდელ ლენინის მოედანზე, ბავშვთა სამყაროში შევედით შვილიშვილებისათვის საჩუქრების საყიდლად. შოთამ თავის საყვარელ შვილიშვილს, სანდროს დიდი ორთქლმავალი უყიდა. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ეს ჩემი და შოთას უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა... მაისის ბოლოს დავბრუნდი ერაყიდან, მოსკოვში ცოლ-შვილი დამხვდა, მაგრამ შოთას ამბავი არ გამიმხილეს. მეორე დღეს სასტუმროში ერთ ქართველ კაცთან საუბარში შევიტყვე, რომ შოთა ამქვეყნად აღარ იყო... ძალიან ძნელია დაიჯერო, რომ სრულიად მოულოდნელად დაკარგე ახლობელი ადამიანი, რომელსაც ბოლო შეხვედრისას ამქვეყნიდან წასვლისა არაფერი ეტყობოდა.

სამწუხაროდ, შოთა მესხია ადრე გამოესალმა წუთისოფელს, სწორედ მეცნიერული შემოქმედების შუა გზაზე. მას კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო, ბევრ ახალს შემატებდა თავისი ერის დიდებული წარსულის კვლევას. მაგრამ ისიც კი, რაც მან თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მოასწრო, უთუოდ უდიდესი შენაძენია ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ზეციურ საქართველოში ყველასათვის საყვარელი, დიდებული პიროვნება – შოთა მესხია, რომელიც მხოლოდ სიკეთისათვის ცოცხლობდა ამქვეყნად და რომელმაც ქართველი ერის უდიდესი და უმდიდრესი წარსულის შესწავლას შეალია თავისი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი ცხოვრება.

დავით გვრიტიშვილი*

პროფ. დავით გვრიტიშვილი პირველად გავიცანი, როდესაც იგი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შოთა მესხიასთან ერთად გადმოვიდა სამუშაოდ. მათ უნდა შეეცვალათ ჩვენი მეცნიერების კორიფეები: შოთას – აკად. ს. ჯანაშია, დავითს კი – აკად. ნ. ბერძენიშვილი. ეს, თუ არ ვცდები, 1945–1946 წლებში უნდა ყოფილიყო. ამ ბუმბერაზი ისტორიკოსების შეცვლა არცთუ ისე ადვილი საქმე იყო.

ნიკო ბერძენიშვილი, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი მკვლევარი იყო, ამავე დროს, უბადლო ლექტორი იყო. ბატონი ნიკო ნამდვილად გამოირჩეოდა თავისი ორატორული ნიჭით. აი ასეთი ლექტორი უნდა შეეცვალა დავითს. მას მეტად რთული და უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობა დაეკისრა. დავით გვრიტიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ უმძიმეს საქმეს და სულ მალე სტუდენტების საყვარელი ლექტორი გახდა. მას მაღალ დონეზე მიჰყავდა საქართველოს ისტორიის მეორე პერიოდის კურსი – ეს მეტად დრამატული ხანაა ჩვენი წარსულისა.

დავით გვრიტიშვილი პირველი იყო ახალგაზრდა თაობიდან, რომელიც ისტორიის ფაკულტეტის დეკანი გახდა. ისტორიის ფაკულტეტს ყოველთვის გამორჩეული დეკანები ხელმძღვანელობდნენ. ჩემს მახსოვრობაში ისტორიის ფაკულტეტს უძღვებოდნენ: პროფ. ალექსანდრე ნამორაძე, პროფ. იასე ცინცაძე, პროფ. აბელ კიკვიძე, პროფ. გიორგი გოზალიშვილი, პროფ. იასონ ხუციშვილი; ერთხანს, როდესაც ისტორიის და ფილოსოფიის ფაკულტეტები გაერთიანდა, დეკანი ცნობილი ფილოსოფოსი, აკად. კოტე ბაქრაძე იყო, უნივერსიტეტის სტუდენტობის უსაყვარლესი პიროვნება.

დავით გვრიტიშვილი ნამდვილად ღირსეულად ედგა სათავეში ისტორიის ფაკულტეტს და შემდეგ კიდევ არაერთხელ გახდა ამ ფაკულტეტის დეკანი.

დათიკოს ძალიან უყვარდა ჭადრაკის თამაში, მაგრამ საშინლად არ უყვარდა წაგება. ერთხელ, მახსოვს, იგი პროფ. ვარლამ დონაძეს ეთამაშებოდა, რომელთანაც შეურიგებელი პაექრობა ჰქონდა. მე, რაღაც სვლა ვუკარნახე ბატონ ვარლამს, რომელიც დავითისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. იგი გაავებული მეტაკა და მე რომ შევეკამათე, განრისხებულმა მითხრა, რომ თქვენობით უნდა მიმემართა მისთვის. ამაზე ახლა მე გავბრაზდი და ნაწყენმა მივატოვე დეკანატი. მაგრამ, როგორც ყოველთვის, დათიკოს სიავემ მალე გაუარა და ჩვენ ისევ მეგობრებად დავრჩით. სრულიად უბოროტო, ყოველთვის კეთილის მსურველი, ყველას დამხმარე, გულში არასოდეს წყენას არ ჩაიდებდა.

დათიკო ნამდვილი მთის შვილი იყო. ძალიან უყვარდა ბუნებაში გასვლა. ყველგან, სადაც არ მივიდოდა, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ხვდებოდნენ. არც დათიკო რჩებოდა ვალში და ბრწყინვალე ლექციებს უტარებდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. დავითმა, პირველმა ჩვენ შორის, შეიძინა ავტომანქანა „პობედა“, რომელმაც ბევრი სიამოვნება მოგვიტანა. ჩავსხდებოდით მის მანქანაში და ხშირად გავდიოდით ქალაქგარეთ. თვითონ დავითს მანქანის მართვა მაინცდამაინც არ ემარჯვებოდა და ამიტომ საჭესთან უპირატესად პროფ. ვალიკო დათუკიშვილი იჯდა.

---

* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, №359, 2009.

ერთხელ კახეთიდან ვბრუნდებოდით და ცოტა ნასვამი დავითი ვალიკოს მანქანის ჩქარა წაყვანას სთხოვდა. ერთ ადგილას ვალიკომ მანქანა ძროხას დააჯახა და მანქანაც გვარიანად დააზიანა. ძროხის პატრონს ფული გადავუხადეთ. დათიკომ ვალიკოს უსაყვედურა – რატომ მიგყავდა ასე ჩქარა მანქანაო.

ხრუშჩოვის დროს, როდესაც საქართველო ორ ოლქად გაიყო, დათიკო დასავლეთის ოლქის ერთ-ერთ მდივნად დაინიშნა. მას მაინცდამაინც ამ თანამდებობაზე გული არ უწევდა, მაგრამ, პარტიის წევრისთვის უარის თქმა სასურველი არ იყო. ამიტომ, დავითი იძულებული იყო დათანხმებოდა ამ შემოთავაზებას და დროებით მოწყდა თავის საყვარელ საქმეს. მაგრამ ღვთის წყალობით, ეს ოლქები, ისევე როგორც სხვა არაერთი უგუნური გადაწყვეტილება, მალევე გაუქმდა და დავითი თავის სათაყვანებელ უნივერსიტეტს დაუბრუნდა.

დავით გვრიტიშვილი ჭეშმარიტად ნიჭიერი პიროვნება იყო. მისი „საქართველოს ისტორია“ დღესაც სამაგიდო წიგნად რჩება. მართალია, მისი შესაძლებლობის პიროვნებას გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, მაგრამ დავითი არასოდეს არ ყოფილა კარჩაკეტილი მკვლევარი, მოწყვეტილი ყოველგვარ ადამიანურ სიამოვნებას. იგი ყველაფერს ასწრებდა. მას ერთი მეტად საშური თვისება ჰქონდა, რაც არ უნდა დაღლილი ან ნასვამი ყოფილიყო, დასვენებისა და გამოფხიზლებისთვის მისთვის ოდნავ თვალის მოხუჭვაც საკმარისი იყო.

სამწუხაროდ, ეს უთუოდ ნიჭიერი პიროვნება ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. მას კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო თავისი ქვეყნისთვის, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა გარჩევა არ იცის და ადრე გამოასალმა წუთისოფელს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ყველასათვის საყვარელი, თავისი სამშობლოსათვის ამაგდარი, დაუვიწყარი დავით გვრიტიშვილი.

კაკო სურგულაძე

კაკო სურგულაძე უნივერსიტეტის საპროფესოროში 1948 წელს გავიცანი. ამ წელს ორივემ დავიწყეთ ლექციების კითხვა უნივერსიტეტში. კაკო ჯერ კიდევ სამხედრო ფორმას ატარებდა. სამხედრო გაზეთში მუშაობდა, ორივემ დაახლოებით ერთდროულად დავიცავით საკანდიდატო დისერტაციები და სულ მალე უნივერსიტეტში გადმოვედით სამუშაოდ. ჩვენს დიდებულ მასწავლებლებს ახალგაზრდა თაობა შეემატა. ცოტა ხნით ადრე უნივერსიტეტში დაიწყეს მოღვაწეობა შოთა მესხიამ და დავით გვრიტიშვილმა. საერთოდ, ისტორიის ფაკულტეტზე ნიჭიერმა თაობამ მოიყარა თავი. დროსტარებაც ვიცოდით და მეცადინეობაც. სტუდენტობასთან ახლო ურთიერთობა დამყარდა. სწორედ ამ პერიოდში ისტორიის ფაკულტეტის დეკანები რიგრიგობით შოთა, კაკო და დათიკო იყვნენ.

მე და კაკო საქართველოს ისტორიის სრულიად განსხვავებულ პერიოდებზე ვმუშაობდით – მე უძველესში, კაკო კი – უახლესში. ხშირად ვკამათობდით – ზოგჯერ ხუმრობით, ზოგჯერ კი უფრო სერიოზულად. უახლეს პერიოდზე მუშაობა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ყველაფერს ვერ იტყოდი, რასაც ფიქრობდი. კაკო ამას ძალიან განიცდიდა. მე ვეხუმრებოდი, რომ შენს ნაშრომში საქართველო რომ წაშალო და, ვთქვათ, უკრაინა ჩაწერო, მაინცდამაინც არაფერი შეიცვლება – ძველს აგინებ, ახალს აქებ. და მაინც თუ ვინმე ბედავდა იმ დროს ოფიციალურ შეხედულებისაგან გადახვევას, კაკო იყო და ამის გამო ბევრი უსიამოვნებაც შეხვედრია. რომ შევეხუმრებოდი, კაკო მეტყოდა: „ბარათაშვილი და მისი დრო“ ხომ ჩემი დაწერილია, ეს მართლაც საყურადღებო გამოკვლევა იყო იმ დროის საქართველოზე. საერთოდ, XIX საუკუნეზე წერისას იგი უფრო გაბედული იყო.

კაკო ნიჭიერი მკვლევარი იყო, მაგრამ ამავე დროს იგი უხვად იყო დაჯილოებული მწერლის თვისებებით. იგი ბევრს და ადვილად წერდა. მახსოვს პრორექტორის, სერგო ჯორბენაძის, კაბინეტში ექვთიმე თაყაიშვილზე ჩამოვარდა საუბარი და ითქვა, რომ იგი სათანადოდ დაფასებული არ არის. კაკომ სულ მალე ამ დიდებულ პიროვნებას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა.

ძალიან საინტერესო იყო კაკოს სადოქტორო დისერტაციის დაცვა. კაკო შესანიშნავი ორატორი იყო. კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო და კაკო ბრწყინვალედ იცავდა თავს არაოფიციალური ოპონენტებისაგან. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი ამგვარი სიტყვებით დააჯილდოვა – „მას შემოქმედებითი გვალვა აქვს“. კაკომ მართლაც დიდებული გამოსვლა იცოდა. მახსოვს მისი უბრწყინვალესი სიტყვა, რომელიც მან უდროოდ დაღუპული ნოდარ იაკობაშვილის საფლავზე წარმოთქვა. ეს მართლაც ნიმუში იყო იმისა, თუ როგორ უნდა დააფასო უფროსმა, ფაკულტეტის დეკანმა, უნიჭიერესი უმცროსი კოლეგა.

რა თქმა უნდა, კაკოს რომ დასცლოდა ამ ქვეყანაზე ცხოვრება, ახლა შეეძლო მას ეთქვა ის, რასაც თითქმის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გულში ატარებდა. მან თან წაიღო ბევრი ნაფიქრალი ჩვენი უახლესი ისტორიიდან.

გიორგი მელიქიშვილი

გიორგი მელიქიშვილის სახელი პირველად პროფ. გ. გოზალიშვილისაგან გავიგე, რომელიც სტუდენტებს ხშირად სახლში გვიბარებდა. მან გვითხრა, რომ აკად. სიმონ ჯანაშიამ ასპირანტურაში, მისი რეკომენდაციით, მიიღო ნიჭიერი სტუდენტი გიორგი მელიქიშვილი, რომელიც ურარტოლოგიაში აპირებს მუშაობას.

1943 წელს განაახლა მუშაობა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა გ. მელიქიშვილი. რამდენიმე ასპირანტი გათხრების სანახავად ჩავედით არმაზის ხევში. დაგვხვდა ექსპედიციის ყველა მონაწილე, გარდა გ. მელიქიშვილისა. ვიღაცამ მოიკითხა ბატონი გიორგი და გაირკვა, რომ მან მიატოვა ექსპედიცია. მიზეზი კი ის ყოფილა, რომ მას დაავალეს მუშებისათვის პურის დარიგება, რაზედაც მან უარი განაცხადა. ამან გაანაწყენა ექსპედიციის მესვეურები და ბატონმა გიორგიმ მიატოვა ექსპედიცია. მე მგონი ეს იყო არქეოლოგიურ ექსპედიციაში მისი პირველი და უკანასკნელი მონაწილეობა.

ბატონი გიორგი პირველად ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გავიცანი. მუზეუმის თანამშრომლები ხშირად ვესწრებოდით ინსტიტუტში ისტორიის განყოფილების სხდომებს, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. ეს მართლაც დიდი სკოლა იყო. თავიდანვე მე და ბატონ გიორგის შორის, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, საკმაოდ თბილი ურთიერთობა დამყარდა. დაახლოების მიზეზი კი ძირითადად ფეხბურთი იყო. არ ვიცი, დადიოდა თუ არა ბატონი გიორგი თეატრში ან კინოში, მაგრამ ფეხბურთს ნამდვილად არ აცდენდა. იგი კარგად ერკვეოდა ფეხბურთის ნიუანსებში და ეტყობოდა, რომ ახალგაზრდობაში თამაშობდა.

50-იანი წლების შუა ხანებში მისმა ნაშრომმა იმ ხანებისათვის ყველაზე პრესტიჟული, ლენინური პრემია დაიმსახურა. სწორედ ამ დროს თბილისში ჩამოსული იყო აკად. ბ. პიოტროვსკი, რომელმაც მითხრა, რომ ბატონმა გიორგიმ საკმაოდ მრისხანე კონკურენტს, ცნობილ მეცნიერს, აკად. სტრუვეს სძლია. ბ. პიოტროვსკი, თავად ურარტოლოგი, მაღალი აზრისა იყო ბატონ გიორგის ნაშრომებზე, განსაკუთრებით ურარტული წარწერების კორპუსზე.

50-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა ბატონი გიორგის ბრწყინვალე ნაშრომი „К истории древней Грузии“. ამ ნაშრომში იგი ფართოდ იყენებს არქეოლოგიურ არგუმენტებს. შეიძლება ითქვას, მან პირველმა განაზოგადა იმ ხანისათვის ცნობილი არქეოლოგიური მონაცემები. იგი ღრმად ჩახედული იყო საქართველოს და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიურ საკითხებში. ერთხელ შევბედე და ბატონ გიორგის ვკითხე, რატომ არ გაჰყვა არქეოლოგიას, რაზედაც მან მიპასუხა, რომ ნივთი არ უყვარს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია, რომელიც კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის უძველეს მოსახლეობას ეხება. ამ ნაშრომშიც ბატონი გიორგი ფართოდ იყენებს არქეოლოგიურ ფაქტებს და იგი არა მარტო საქართველოს და კავკასიის, არამედ ძველი აღმოსავლეთის არქეოლოგიის შესანიშნავ მცოდნედ გვევლინება. სწორედ ეს აძლევს მას საფუძველს, ეთნიკური კუთვნილება მოუძებნოს გარკვეული არქეოლოგიური კულტურების მატარებელ მოსახლეობას. ბატონი გიორგი ვარაუდობს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ინდოევ-

როპელები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ასიმილირებულნი იყვნენ სამხრეთიდან გადმონაცვლებული ქართველური ტომების მიერ და მათმა ინდოევროპულმა ენამ სუბსტანციის როლი შეასრულა. ქართველურ ენაში ინდოევროპული ენის ელემენტების არსებობა ამის შედეგი უნდა ყოფილიყო.

თრიალეთის კულტურის მატარებელ ტომებს ბატონი გიორგი ხურიტულ სამყაროს აკუთვნებს. შეიძლება ზოგიერთი ნააზრევი არ გაიზიარო, მაგრამ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები მეტად საყურადღებო და დამაფიქრებელია.

გივი ჟორდანია

ბატონმა გივიმ და მე დაახლოებით ერთ დროს დავიწყეთ მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თავიდანვე ჩვენ შორის საკმაოდ ახლო, თბილი ურთიერთობა დამყარდა. ბატონი გივი ძალიან საინტერესო პიროვნება იყო, ბევრი რამ იცოდა, ბევრი ჩემთვის საინტერესო და უცნობი ამბავი მოვისმინე მისგან. ჩვენი დამოკიდებულება სრულიად გულწრფელი და გულღია იყო, რაც იმ დროისათვის არც თუ უსაფრთხო იყო.

მე და ბატონმა გივიმ დაახლოებით ერთდროულად დავიწყეთ მუშაობა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ბატონმა გივიმ – სწავლულ მდივნად, მე კი –უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მან შესანიშნავი წიგნი უძღვნა საქართველოს და სრულიად კავკასიის მუზეუმის, ამ უძველეს სამეცნიერო დაწესებულების, ისტორიას.

ბატონი გივი შესანიშნავი ლექტორი იყო; მისი ლექციები ძალიან შინაარსიანი და საინტერესო იყო. აღსანიშნავია მისი საჯარო გამოსვლები სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

ბატონ გივის სიბერის ჟამს თითქოს მეორე სუნთქვა გახსნა. სხვა არ ვიცი, მაგრამ მან პაპიროსის წევა დაიწყო და როცა ვკითხე, რა დროს დაწყება იყო, მიპასუხა, რომ ახალგაზრდობაში დედის მეშინოდა, მერე ცოლის. ახლა კი არც ერთი ცოცხალი აღარ არის.

ბატონი გივი ბრწყინვალე ოჯახის შვილი იყო, თედო ჟორდანიას შთამომავალი, გივის მამა, დიდი პატრიოტი თავის ქვეყნისა, 1937 წლის მსხვერპლი გახდა. 1905 თუ 1907 წელს გამოცემული მის ბროშურაში კარგად ჩანს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ბატონი გივის ბიძა იყო ცნობილი მეცნიერი, რომლის სახელს ატარებს მის მიერ დაარსებული ინსტიტუტი. ცნობილია, რა პირობებში, ვაჟკაცურად დაიღუპა ეს დიდებული პიროვნება, რომელმაც ზღვაში დაასრულა თავისი სიცოცხლე. ბატონი გივის სიცოცხლეც ხომ ზღვამ შეიწირა.

ზურაბ ანჩაბაძე

ზურაბ ანჩაბაძე გავიცანი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. იგი იმ დროს მეორე კურსის ასპირანტი იყო. უფრო დავუახლოვდი 1946 წელს. მისი მეუღლე თინა ხახიშვილი მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის არქიტექტორი იყო. იმ წელს მე და თინა ერთ სახლში, გვერდიგვერდ, ვცხოვრობდით მცხეთაში. სადისერტაციო ნაშრომზე ვმუშაობდი და ანდრო აფაქიძემ დასავლეთ საქართველოს მუზეუმებში მიმავლინა მასალების შესაგროვებლად. ჩემთან ერთად წამოსვლის სურვილი გამოთქვა ზურაბმა და ერთად გავემგზავრეთ დასავლეთ საქართველოში: დავიწყეთ ოზურგეთის, მაშინ მახარაძის, მუზეუმიდან. შემდეგ გავემგზავრეთ ბათუმში, ფოთში, საიდანაც ზუგდიდში გამოვემგზავრეთ.

ზუგდიდში ზურაბმა მითხრა, რომ აქ მისი ახლო ნათესავები ცხოვრობენ. ზურაბის ბებია მამის მხრიდან დადიანი იყო, შალვა დადიანის და. კითხვა-კითხვით მივაგენით მის ნათესავებს და რომ გაიგეს, ზურაბის ვინაობა, ძალზე გაიხარეს – არაფრით არ გაგვიშვეს სასტუმროში და რამდენიმე დღე ნამდვილ სამოთხეში გავატარეთ თბილისიდან ჩასულმა მშიერ-მწყურვალებმა. ზუგდიდის მუზეუმში ბევრ საინტერესო მასალას მივაგენი და 3 თუ 4 დღე ინტენსიურად ვმუშაობდით. მაინცდამაინც არ ვჩქარობდით ზუგდიდის დატოვებას ზურაბის ნათესავების ძალიან გულუხვი მასპინძლობის გამო.

ბოლოს ჩავედით სოხუმში, ზურაბის მშობლიურ ქალაქში. სოხუმის მუზეუმში მდიდარი მასალა აღმოჩნდა და აქ საკმაო ხანს მომიხდა მუშაობა. ზურაბი სოხუმში დიდად პოპულარული იყო. უამრავი მეგობარი ჰყავდა ყველა წრიდან, სხვადასხვა ეროვნების – სომეხი, ბერძენი, რუსი და სხვ. ქართველ მეგობართაგან ქართული თითქმის არავინ იცოდა. ზურაბიც ქართულში თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გაიწაფა.

მთავრობის დავალებით შეიქმნა აფხაზეთის ექსპედიცია აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, არქეოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები. აფხაზეთის მხრიდან ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ არქეოლოგი მიხეილ ტრაპში და ეთნოგრაფი შალვა ინალიფა. ეს ის დროა, როდესაც აფხაზების გაქართველების კამპანია მიმდინარეობდა. მოვიარეთ თითქმის მთელი აფხაზეთი. ბატონი ნიკო, რომელიც ეტყობა, ამ მხარეში პირველად იყო, დიდად ნასიამოვნები დარჩა იმით, რომ ბევრ საერთოს ნახულობდა აფხაზების და ქართველების ყოფით რიტუალებში.

გუდაუთაში ვიყავით, როდესაც შალვა ინალიფა სასწრაფოდ დაიბარეს სოხუმში. სამი დღის შემდეგ მობრუნებულ შალვას ვეღარ ვცნობდი. ძალიან შეწუხებული, მოღუშული იყო. ზურაბს შევეკითხე, რა მოუვიდა შალვას და მიპასუხა, რომ შალვამ ამ საღამოს გუდაუთის თეატრში უნდა წაიკითხოს მოხსენება, სადაც აღნიშნული იქნება, რომ აფხაზები ქართველები არიან და სხვ. მე ვუპასუხე, რატომ განიცდის ამას შალვა? ზურაბმა ნაწყენმა მიპასუხა – შენ რომ გითხრან ქართველი არა ხარ, როგორი რეაქცია გექნება. მაშინ მივხვდი, რომ ჩემი შეკითხვა უტაქტო იყო.

ზურაბი საცხოვრებლად სოხუმში დაბრუნდა. ძალიან ინტენსიურად მუშაობდა და არაერთი საყურადღებო ნაშრომის შექმნა. იყო სოხუმის უნივერსიტეტის პირველი რექტორი. სამწუხაროდ, იგი უდროოდ გაეცალა ამ ქვეყანას.

ნაპო ზაქარაია*

მე და ნაპო ერთ უბანში, ვერაზე ვცხოვრობდით. მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ადრევე შემჩნეული მყავდა მისი გამორჩეული გარეგნობის გამო – მაღალი, გამართული, სასიამოვნო სახის ნაკვთებით, თანაც ყოველთვის კოხტად ჩაცმული. რა თქმა უნდა, ეს თავის დროზე შეუმჩნეველი არც მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს დარჩენიათ. ნაპო თავის ძმასთან, ცნობილ მეცნიერთან, პროფ. ეფრემ ზაქარაიასთან ცხოვრობდა, რომელიც მასზე საკმაოდ უფროსი იყო. ბატონი ეფრემის ერთსართულიანი სახლი ვერის აბანოს გვერდით იდგა. ვერისუბნელები ამ აბანოს ხშირი სტუმრები ვიყავით და ველოდებოდით, როდის ამოიძახებდნენ აბანოში შესასვლელ ნომერს. სწორედ აბანოსთან გამაცნო ნაპო მისმა მეზობელმა. ჩემი მეგობრებისაგან პროფ. ე. ზაქარაიას შესახებ ბევრი კარგი მსმენია, იგი მათ ზოგად ქირურგიაში უტარებდა ლექციებს. ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ თავისი ლექტორით, რასაც ცოტა არ იყოს ეჭვით ვისმენდი, რადგან არ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა ქირურგიაში წაკითხული ლექცია წარმტაცი ყოფილიყო. მაგრამ თურმე ძალიან შევმცდარვარ. ერთხელ ჩემს მეგობრებს წავყევი პროფ. ე. ზაქარაიას ლექციაზე, შემოვიდა მაღალი, გამხდარი, ოდნავ მოხრილი, მეტად მიმზიდველი გარეგნობის, რაფინირებული ინტელიგენტი. აღარ მახსოვს ადამიანის რომელ ორგანოს ქირურგიულ ჩარევაზე იყო ლაპარაკი, ის კი კარგად მაგონდება, რა დიდი ინტერესით ვუსმენდი ამ უთუოდ მეტად მიმზიდველ საუბარს. ასეთ გარემოში, ე. ზაქარაიას ოჯახში, უხდებოდა ცხოვრება ახალგაზრდობის წლებში ნაპოს და აქედან გამოჰყვა ალბათ დიდი გატაცება და სიყვარული თავისი საქმისადმი.

ნაპოს უფრო დავუახლოვდი საქართველოს მუზეუმში, რომლის ხშირი სტუმრები ვიყავით, მე არქეოლოგიის განყოფილების, ნაპო კი ქართული ხელოვნების სექტორის, რომელიც მაშინ მუზეუმის შენობაში იყო განთავსებული. ჩვენ დაახლოებით ერთდროულად დავიწყეთ მუშაობა მუზეუმში. კიდევ უფრო ახლო ურთიერთობა ჩვენ შორის დამყარდა მას შემდეგ, რაც ნაპო პირდაპირი საქმიანობის გარდა დიდად დაინტერესდა არქეოლოგიით. იგი უაღრესად მშრომელი, მუყაითი და მეტად ნაყოფიერი მკვლევარი იყო, ყოვლად უღალატო და ყოველ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. სწორედ ამიტომ ანდო მას აკად. გ. ჩუბინიშვილმა უმძიმესი და ურთულესი საქმე – ქართული ციხესიმაგრეების შესწავლა. ნაპომ ტიტანური შრომის ფასად ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ მეტად მძიმე დავალებას. ცნობილია, რომ ციხეების უმრავლესობა უპირატესად ძნელად მისადგომ ადგილებშია აღმართული, მაგრამ ნაპო არ შეუშინდა და ჩვეული სიბეჯითით შეუდგა საქმიანობას და შედეგად მივიღეთ შესანიშნავი სქელტანიანი მონოგრაფია, რომელიც მან თავის მასწავლებლის – გ. ჩუბინაშვილის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

მუზეუმში მუშაობისას ნაპო აქტიურად ჩაერთო აგრეთვე არქეოლოგიურ სამუშაოებში და გამოვლინდა მისი კიდევ ერთი უნარი, როგორც საველე მუშაკისა, არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელისა. ველზე ნაპო არქეოლოგიც იყო, არქიტექტორიც და პასუხისმგებელიც ექსპედიციის წარმატებულ მუშაობაზე. იგი არასოდეს აყოვნებდა ექსპედიციის შედეგების გამოქვეყნებას და ყოველნაირად ცდილობდა, რომ ამ საქმეში ექსპედიციის წევრებსაც მიეღოთ მონაწილეობა. მისი საექსპედიციო

---

* პარმენ (ნაპო) ზაქარაია, თბილისი, 2004.

მუშაობის მაგალითად ნოქალაქევის არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი ნაშრომებიც კმარა. ნაპოს დიდი სურვილი ჰქონდა ამ ძეგლის შესწავლის, ასეთივე სურვილი სხვებსაც გააჩნდათ და ამიტომ არქეოლოგიურ კომისიაზე გარკვეული დაბრკოლებების გადალახვა იყო საჭირო. კომისიაზე მე მხარი დავუჭირე ნაპოს და არც შევმცდარვარ, ვინაიდან ნოქალაქევის ექსპედიციის მრავალწლიანმა მუშაობამ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ნაპოს მოღვაწეობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი მრავალი წლის მანძილზე ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრას ედგა სათავეში. მის დროს საგრძნობლად გაიზარდა და გაფართოვდა კათედრა და ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ზეციურ საქართველოში ნაპო ზაქარაია, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თავისი ერის დიდი წარსულის შესწავლას შეალია.

ლევან ჭილაშვილი*

ლევან ჭილაშვილმა და მე დაახლოებით ერთ დროს დავიწყეთ მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ლევანმა, როგორც სტუდენტმა, მე კი როგორც ახალბედა ლექტორმა. ომის შემდგომი პირველი წლები იყო. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში საგარეო საქმეთა სამინისტრო დაარსდა. საბჭოთა კავშირი იმედოვნებდა, რომ მას ბევრი წარმომადგენელი ეყოლებოდა გაეროში. ამიტომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთცოდნეობის ფაკულტეტზე გამოცხადდა მიღება დიპლომატიის სპეციალობის შესწავლის მსურველთათვის. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შესანიშნავმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი, რომელთაგან მომავალში არაერთი ცნობილი მოღვაწე გახდა – ჩანს, ცდუნებას ვერც ლევან ჭილაშვილმა გაუძლო და მან სწავლა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე განაგრძო.

1949 წელს ამ ფაკულტეტზე არქეოლოგიის საფუძვლები ისწავლებოდა. ამ კურსის წაკითხვა მე დამევალა. მართლაც გამორჩეული სტუდენტობა იყო, საქმიანი, სწავლას მოწყურებული, მეცადინი. ისინი წარმატებით ეუფლებოდნენ საკმაოდ შრომატევად, რთულ სპეციალობას, დიდი დრო მიჰქონდა აღმოსავლური ენების შესწავლას. მე და სტუდენტებს შორის, იმთავითვე, საკმაოდ ახლო ურთიერთობა დამყარდა. განსაკუთრებულად დავუახლოვდი ლევან ჭილაშვილს. გარდა იმისა, რომ გარკვეული საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებდა, ჩვენ ერთ გუნდში ვთამაშობდით ფრენბურთს. ლევანი მართლაც შესანიშნავი ფრენბურთელი იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი მოთამაშე.

საბჭოთა კავშირს არ გაუმართლა და გაეროში მხოლოდ სამი რესპუბლიკა გაწევრიანდა – რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია. ამიტომ სხვა რესპუბლიკებში საგარეო საქმეთა სამინისტროებმა მხოლოდ ფორმალური ფუნქციები შეინარჩუნა. ქართველი დიპლომატები აღარავის სჭირდებოდა. მომავალ დიპლომატებს იმედი გაუცრუვდათ და საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ზოგმა სწავლა ასპირანტურაში განაგრძო. მათ ისტორიის სხვადასხვა დარგის შესწავლას მიჰყვეს ხელი. ლევანი საგონებელში ჩავარდა, ერთხანს გურჯაანში დაბრუნებას აპირებდა და იქ მასწავლებლად მუშაობას. მე ვურჩევდი, რომ არქეოლოგიაში ეცადა ბედი, მაგრამ უარს ამბობდა – ტყუილად შევალიე ამდენი დრო არაბულის შესწავლასო. ვუხსნიდი, რომ მას არაბულის ცოდნა შუა საუკუნეების არქეოლოგიაში მუშაობის დროს გამოადგებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავიყოლიე და, ვგონებ, არაფერი წააგო. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკად. ნ. ბერძენიშვილმა საგანგებოდ დაუშვა ადგილი ასპირანტურაში ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განხრით. ლევან ჭილაშვილმა წარმატებით გააგრძელა სწავლა. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციაში. თავდაპირველად რიგითი წევრი იყო, შემდეგში კი არაერთი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. მართალია, ლევანს დიდებული წინამორბედები ჰყავდა, მაგრამ ყველაზე სრულად ფეოდალრი ხანის ძეგლები მან გამოიკვლია.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ლევან ჭილაშვილმა მოღვაწეობა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმს დაუკავშირა. თავდაპირველად რიგითი მეცნიერი თანამშრომელი, ამ დიდებული დაწესებულების ხელმძღვანელი გახდა და მას 30 წლის განმავლობაში ედგა სათავეში. მან უდიდესი ამაგი დასდო ქართული კულტურის

---

* საქართველოს ეროვნული მუზეუმი I (46-B), თბილისი, 2010.

ამ უმდიდრეს საცავს. ცნობილია, თუ რა დიდი დრო და ენერგია სჭირდება სამუზეუმო საქმეს. ლევან ჭილაშვილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო, რომელიც გამოირჩეოდა უდიდესი პასუხისმგებლობით, კეთილსინდისიერებით, ღრმა ერუდიციით. მუზეუმში მძიმე და რთულ საქმიანობასთან ერთად, მეცნიერულ მოღვაწეობას განაგრძობდა. შესანიშნავი საველე მუშაკი იყო. ველად ყოფნა ლევანს დიდ სიამოვნებას გვრიდა. მან ფეოდალური ხანის არაერთი ნაქალაქარი გათხარა და შეისწავლა. ბოლო დრომდე არქეოლოგის ნიჩაბი ეჭირა და დიდი მონდომებით, ინტერესით იკვლევდა კახეთის ნაქალაქარ ნეკრესს. განსაკუთრებული გატაცებით სწავლობდა იქ აღმოჩენილ წარწერებს, რომლებიც, მისი აზრით, საუკუნეების სიღრმიდან მოდიოდა. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება მისი ბოლო ნაშრომი, რომლის გამოქვეყნებასაც ვეღარ მოესწრო. მართებულია თუ არა რიგ საკითხებთან დაკავშირებით მისი ნააზრევი, მას მომავალი გვიჩვენებს, თავად ეჭვი არ ეპარებოდა საკუთარი მოსაზრებების სისწორეში. საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ლევან ჭილაშვილი ყველა შესწავლილი ძეგლის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფუნდამენტურ მონოგრაფიებში აქვეყნებდა.

უთუოდ საგულისხმოა ლევან ჭილაშვილის საექსპოზიციო საქმიანობასთან დაკავშირებული მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ფეოდალური ხანის საქართველოს ამსახველი გამოფენა. ეს ამ ხანის პირველი გამოფენა იყო რუსთაველის ეპოქის გამოფენის შემდეგ. ექსპოზიციაში სრულად იყო წარმოდგენილი საქართველოს შუა საუკუნეების კულტურა. ეს შთამბეჭდავი გამოფენა წლების განმავლობაში ამშვენებდა მუზეუმის დარბაზებს. ლევან ჭილაშვილის მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით არაერთი გამოფენა მოეწყო საზღვარგარეთ. ამ გამოფენების საშუალებით ჩვენს უძველეს და უმდიდრეს კულტურას უცხოეთშიც ეზიარნენ.

და კიდევ, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ლევან ჭილაშვილისა და მუზეუმის თანამშრომელთა თავდადება, გმირობა. თბილისში ავბედითი ომის დროს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი უშუალო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რომ არა პირადად ლევან ჭილაშვილისა და მისი გუნდის წარმოუდგენელი თავგანწირვა, მამაცური ბრძოლა, შესაძლებელია დიდად დაზიანებულიყო მუზეუმი, საქართველოს საუნჯე.

სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობასთან ერთად ლევან ჭილაშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ისტორიის ფაკულტეტზე ფეოდალურ არქეოლოგიის კურსს, მუზეუმმცოდნეობასა და სხვა საგნებს კითხულობდა. მან არაერთ ახალგაზრდას გაუღვივა ინტერესი საქართველოს სიძველეებისადმი. მისი მოწაფეები და უკვე მოწაფეთამოწაფეები წარმატებით სწავლობენ უძველეს ქართულ კულტურას, მოღვაწეობენ მუზეუმებში და სხვ. მან მეტად საჭირო სახელმძღვანელო მიუძღვნა „მუზეუმმცოდნეობას“.

ლევან ჭილაშვილის სიცოცხლე უეცრად შეწყდა. არავინ ელოდა ასეთ დასასრულს. თითქოს არაფერი ეტყობოდა... მაგრამ სიკვდილი ულმობელია, კარგისა და ცუდის გარჩევა არ იცის და შემოქმედების აღმავლობის ჟამს ლევანი წუთისოფელს გამოასალმა. მას კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო. თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით უთუოდ დიდი ღვაწლი შეიტანა ქართული კულტურის შესწავლის საქმეში და ბევრი ახალი ფურცელი შემატა საკუთარი ქვეყნის წარსულს.

ლევან ჭილაშვილი უდიდესი მონდომებით იკვლევდა ქართულ მიწას ამოფარებულ ფეოდალური ხანის ძეგლებს, უტყუარ მოწმეებს ჩვენი უმძიმესი წარსულისა.

მალხაზ აბდუშელიშვილი*

მე და აზიკო (მე ასე მოვიხსენიებ იმიტომ, რომ არასოდეს დამიძახია მისთვის მალხაზი) ახლოს ვცხოვრობდით, ერთ უბანში – ვერაზე. ბავშვობიდან ვიცნობდი და ვიცოდი, რომ დიდებული ოჯახის წარმომადგენელი იყო. აზიკო ჩვენი უსაყვარლესი მასწავლებლის – ვასო აბდუშელიშვილის ძმისშვილი იყო, რომელსაც ბრწყინვალე წიგნი უძღვნა. ჩვენ შორის მაშინ ძალიან დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, მთელი ხუთი წელი, ამიტომ მე და აზიკო საკმაოდ გვიან დავმეგობრდით. ხშირად დადიოდა ჩემთან მუზეუმში, აინტერესებდა არქეოლოგიის საკითხები, რამაც ჩვენ მეტად დაგვაახლოვა. ერთხელ საუბარში ვუთხარი, სამთავროში გვიანბრინჯაოს ხანაში რაღაც ცვლილებები ხდება-მეთქი. გაუხარდა და მითხრა: ანთროპოლოგიურ მასალაშიც შეინიშნება ცვლილებები ამ პერიოდშიო და ეს ის არის, რასაც ჩვენ ვფიქრობდითო. უაღრესად განათლებული იყო აზიკო და ამიტომ მასთან ურთიერთობა ყოველთვის საინტერესო იყო.

მაგონდება აზიკოს სადოქტორო დისერტაციის დაცვა მოსკოვში, ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. დაცვამ მართლაც ბრწყინვალედ ჩაიარა. აზიკო თავისი შესანიშნავი რუსულით პასუხობდა ოპონენტებს. მაშინ პირველად მივხვდი, როგორ აფასებდნენ მას რუსეთში. და არც ის იყო შემთხვევითი, რომ ინდოეთ-რუსეთის ექსპედიციის ხელმძღვანელად სწორედ აზიკო შეარჩიეს. დისერტაციის დაცის შემდეგ ვ. ალექსეევმა დაგვპატიჟა რესტორანში «Русская кухня», გორკის ქუჩაზე. ცოტანი ვიყავით, ძირითადად ანთროპოლოგები და საღამოც ძალზე საინტერესოდ გავატარეთ. კავკასიონის ტიპის ჩამოყალიბების შესახებ დავობდნენ აზიკო და ვ. ალექსეევი.

ანთროპოლოგიაში ახალი ტიპის გამოყოფა მნიშვნელოვან წარმატებად ითვლება, აზიკომ პირველმა წამოაყენა აზრი კავკასიონის ტიპის ავტოქთონური წარმომავლობის შესახებ. ვ. ალექსეევი და აზიკო სრულიად სხვადასხვა შეხედულებებისა იყვნენ. მე მაშინ უფრო ალექსეევის ვერსიას ვემხრობოდი და რესტორნიდან რომ გამოვედით, ასეც ვუთხარი აზიკოს. ძალიან ეწყინა და მითხრა, „შენ არაფერი გესმისო“. დაავიწყდა, რომ ცოტა ხნის წინ მისი ოპონენტი ვიყავი.

ჩვენში აზიკომ დაუდო საფუძველი ეთნიკურ ანთროპოლოგიას და იგი ისტორიული მეცნიერების სამსახურში ჩააყენა. მის ნაშრომებში თვალნათლივაა ნაჩვენები, რომ კავკასიის თანამედროვე ანთროპოლოგიური ტიპები ადგილობრივადაა ჩამოყალიბებული. მის ამ საყურადღებო დებულებას არქეოლოგიური მონაცემებიც უჭერს მხარს.

ერთხელ სოლომონ მეორის საფლავის საძიებლად წავედით ტრაპიზონში. არავითარი ხელშესახები მონაცემი არ გვქონდა, გარდა აღმოჩენილი თავის ქალებისა, გვაინტერესებდა მათი ასაკი და სქესი. ამიტომ გადამწყვეტი სიტყვა აზიკოზე იყო. აიღო აზიკომ თავის ქალები და სამი დღე ხმა არ ამოუღია. ბოლოს „ამოშაქრა“ სქესიცა და ასაკიც, ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ.

---

* მალხაზ აბდუშელიშვილი 80, თბილისი, 2006.

დავით (დურსუნ) ხახუტაიშვილი*

სრულიად მოულოდნელად ისტორიულ მეცნიერებას და საერთოდ საქართველოს საზოგადოებრიობას გამოაკლდა დიდებული პიროვნება, გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი დავით (დურსუნ) ხახუტაიშვილი. მან თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლას შეალია. ღრმა მეცნიერული ალღო, ფაქტების ამეტყველების დიდი უნარი, დაუღალავი შრომა, უდიდესი სიყვარული და ინტერესი იყო ყოველთვის საწინდარი მისი კვლევითი მუშაობის წარმატებისა. მან წარუშლელი კვალი დააჩნია საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეს. დ. ხახუტაიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე მაშინ გამოდის, როდესაც მისი მასწავლებლის, აკად. ნ. ბერძენიშვილის მეთაურობით სრულიად ახლებური მიდგომა იწყება საქართველოს დიდი წარსულის შესწავლისადმი. ნ. ბერძენიშვილმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდა ისტორიკოსების გუნდი, რომელთა შორის დ. ხახუტაიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო. იგი გვერდით ამოუდგა თავის დიდ მასწავლებელს დ სხვებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იკვლევდა წინაპართა ნაკვალევს. დ. ხახუტაიშვილი თავდაპირველად ამ საქმეში ჩაერთო, როგორც საქართველოს ძველი ისტორიის უკვე საკმაოდ გამოცდილი და აღიარებული მკვლევარი. მაგრამ სულ მალე ბატონ დურსუნს უკვე აღარ აკმაყოფილებდა წერილობით წყაროებში შემონახული ცნობები და თანდათანობით მასში იღვიძებს ინტერესი ჩვენი წარსულის უფრო ღრმად შესწავლისა. ამან კი იგი არქეოლოგიასთან კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირა. ღრმა ერუდიციამ, ისტორიკოსის ალღომ, განზოგადების დიდმა უნარმა უთუოდ განაპირობა მისი, როგორც არქეოლოგის, ჩამოყალიბება და იგი თითქმის მთლიანად წერილობითი ძეგლების კვლევიდან მიწას ამოფარებული ძეგლების შესწავლაზე გადაერთო. საბედნიეროდ, ბატონ დურსუნს არქეოლოგის თითქმის ყველა თვისება გააჩნდა – უდიდესი პასუხისმგებლობა, არაჩვეულებრივი სიფრთხილე და მოთმინება, მასალის ღრმა ანალიზის უნარი, ფანტაზიის ზომიერი გრძნობა და სხვ. და კიდევ, რაც მთავარია, იგი არასოდეს აყოვნებდა მოპოვებული მასალის გამომზეურებას, მათ ანალიზს და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანას, რაც, სამწუხაროდ, არცთუ ისე ხშირია როგორც ძველი, ისე ახალი თაობის არქეოლოგიაში.

არქეოლოგიური ხასიათის პირველ ნაშრომებში უკვე კარგად გამოჩნდა მისი, როგორც არქეოლოგის, ფასი. დ. ხახუტაიშვილის მონოგრაფიები, რომლებიც უფლისციხის შესწავლას მიეძღვნა, დიდი ცოდნითაა დაწერილი და გამოირჩევა მასალის ღრმა ანალიზით.

დავით ხახუტაიშვილი სრულიად საქართველოს შვილი იყო და მის პირველ ნაშრომებში ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ძველი ისტორიაა ასახული. მაგრამ მაინც, მას გამორჩეულად უყვარდა თავისი მხარე – აჭარა, რომლის უძველესი ისტორიის შესწავლას დიდი ამაგი დასდო. მას შემდეგ, რაც დ. ხახუტაიშვილი სათავეში ჩაუდგა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, იქ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ამის შედეგად ინსტიტუტში,

---

* ღვაწლმოსილი მეცნიერი, ბათუმი, 2006.

დ. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით და ავტორობით, მომზადდა აჭარის ისტორიის ოთხტომეული.

და მაინც, განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ წლების განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები. მას თითქმის ერთნაირად აინტერესებდა ამ მხარის ყველა პერიოდი ადამიანის პირველი გამოჩენიდან მოკიდებული, შუა საუკუნეების ჩათვლით. უთუოდ საყურადღებოა მის მიერ შესწავლილი კოლხეთის დაბლობის უძველესი ნამოსახლარები – ისპანი, ნამჭედური და სხვ. სულ ბოლოს მან გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი მონოგრაფია „ქობულეთის ქვეყანა“. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს დ. ხახუტაიშვილის მიერ დაუღალავი, დიდი ინტერესით შესრულებული სამუშაოები კოლხეთში რკინის წარმოებასთან დაკავშირებით. იგი წლების მანძილზე იკვლევდა რკინის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ უძველეს ნაშთებს, მან არაერთი ძველი საწარმო გათხარა და შეისწავლა. თავისი მრავალწლიანი მუშაობის შედეგები შეაჯამა რუსულ ენაზე გამოცემულ საყურადღებო მონოგრაფიაში, რომელმაც საყოველთაო აღიარება პოვა. შეიძლება ამ საინტერესო ნაშრომში გამოთქმული ზოგი მოსაზრება გაიზიარო ან არ გაიზიარო, მაგრამ ეს წიგნი უთუოდ დიდი შენაძენია ქართული და არა მარტო ქართული არქეოლოგიისათვის.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს დ. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით გაწეული სადაზვერვო ხასიათის ექსპედიცია თურქეთში. იგი კარგად გრძნობდა, რომ აჭარის ისტორიის სწორი გაგება შეუძლებელია თურქეთში. მოქცეული ქართული პროვინციების გაცნობის გარეშე. მისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო საქართველოს ოდესღაც აყვავებულ მხარესთან შეხვედრა. მან მოინახულა ახლობლები, თავის გვარის შვილები. ბატონი დურსუნი ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება ახლოს გაცნობოდა ამ მხარის ძეგლებს, მუზეუმებს და სხვ.

წავიდა ჩვენგან თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება, მისი უძველესი კულტურის დაუღალავი მკვლევარი, ჩინებული ადამიანი და კეთილი მეგობარი. ქართულ მიწას ამოფარებული ძეგლების ძიებას შეალია მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი. იმედია, რომ ბატონ დურსუნის ასე წარმატებულად დაწყებულ საქმეს ღირსეულად გააგრძელებენ მისი აღზრდილი მოწაფეები, ნიჭიერი ისტორიკოსები და არქეოლოგები.

თ ა მ რ ი კ ო*

პირველად თამრიკო გამსახურდიას შევხვდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როდესაც იგი ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მანამდე მის და საერთოდ გამსახურდიების ოჯახის შესახებ ზოგი რამ ვიცოდი ჩემი მეგობრისაგან, რომელიც ქალბატონ მირანდას ახლო ნათესავი იყო. იგი განსაკუთრებით თბილად იხსენიებდა თამრიკოს. პირველი შეხვედრისას გარეგნულად არ მოახდინა ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც მქონდა, მაგრამ რაოდენ მაცდური გამოდგა ეს ჩემი პირველი შეხედულება. თამრიკოს მთელ სიმშვენიერეს, მის სათნოებას, სინაზეს, ქალურობას, ჭკუასა და გონებას იგრძნობდი მასთან დაახლოების შემდეგ. თამრიკოს მე და ჩემი მეგობრები ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის დროს დავუახლოვდით. ბევრს ვმოგზაურობდით და ამ მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი ყოველთვის თამრიკო იყო. ძალიან ხალისიანი, უბრალო, იუმორით სავსე, ყოველგვარი ქედმაღლობის გარეშე. თამრიკო ყველასთან ერთნაირი იყო.

კიდევ უფრო დავუახლოვდი თამრიკოს, როდესაც იგი ჯერ ასპირანტი, შემდეგ კი ჩვენი ფაკულტეტის თანამშრომელი გახდა. რა ხალისით მუშაობდა, როგორი თბილი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა თავის ხელმძღვანელთან, დიდებულ პიროვნებასთან, პროფ. შოთა მესხიასთან. ძალიან უყვარდა თავისი საქმე და აკი მშვენიერი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგინა საკმაოდ რთულ თემაზე საქართველოს ძველი ისტორიიდან. რა თქმა უნდა, რომ დასცლოდა იგი კიდევ არაერთი საყურადღებო ნაშრომის ავტორი იქნებოდა, ისე გატაცებით მუშაობდა თავის არჩეულ პრობლემაზე.

თამრიკო ხშირად იყო ფაკუტტეტზე. ჩვენი შეყრის ადგილი დეკანატის პატარა ოთახი იყო, რომელიც წისქვილივით სავსე იყო ხოლმე ხალხით: დეკანი შოთა მესხია, დეკანატის განუყრელი წევრი, თამრიკოს მეგობარი ნათელა ვაჩნაძე და ჩვენ ფაკულტეტის შედარებით ახალგაზრდა თანამშრომლები. თამრიკო რომ შემოცქრიალდებოდა თავისი ჩქარი ნაბიჯებით, დიდი ხალისი მოჰქოდა. რაღაც სხვანაირი სიარული იცოდა, გვერდული, ნაზი, ჰაეროვანი და სწრაფი.

მახსოვს ჩვენი ერთ-ერთი უკანასკნელი გასვლა დავით გარეჯის უდაბნოში. შესანიშნავი დრო გავატარეთ და უკანა გზაზე თბილისში გავიგეთ, რომ ექსკურსიის ერთ-ერთ მონაწილეს, არაჩვეულებრივ პიროვნებას, გულაგგამოვლილს, პოეტსა და მეცნიერს მირიან აბულაძეს ვაჟიშვილი შეეძინა. გზად ორთაჭალის სამშობიარო სახლში ვინახულეთ ახალშობილი. თამრიკო აღარ მოგვეშვა და ყველანი თავის ბინაში, სანაპიროზე წაგვიყვანა და თავის მეუღლე გურამთან ერთად მშვენიერი სუფრა გაგვიწყო და ბედნიერ მამას ძეობა გადაუხადა. რამდენი ამისთანა შემთხვევის გახსენება შეუძლიათ მის ახლობლებსა და მეგობრებს.

თამრიკომ არაჩვეულებრივი მეგობრობა იცოდა. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა და ყველამ ღრმად დაიტირა და განიცადა მისი უდროოდ წასვლა იმქვეყნად. და მაინც, თამრიკოს განსაკუთრებული სიახლოვე თავის ბავშვობის მეგობრებთან აკავშირებდა, რომლებთანაც ის განუყრელი იყო და რომლებიც მას უსაზღვროდ უყვარდა. მახსენდება ის გლოვის დღეები და თვალწინ მიდგანან უაღრესად დამწუხრებული თამრიკოს უახლოესი ადამიანები, რომლებთანაც მან თავისი ხანმოკლე ცხოვრება გაატარა.

---

* თამარ გამსახურდია, თბილისი, 2007.

თამრიკოს სიცოცხლის ბოლო წლები უაღრესად მძიმე იყო. როგორი თავგამოდებით უვლიდა თავის სნეულ დედას, შესანიშნავ ქალბატონ მირანდას, დიდხანს ვერც გასძლო დედის გარეშე. თამრიკო ნამდვილი წმინდანი იყო თავის მოქმედებით, ხალხთან ურთიერთობით, თავისი არაჩვეულებრივი გარეგნობით ნამდვილად კედლიდან გადმოსულ ფრესკას წააგავდა.

დაკრძალვის შემდეგ თამრიკოს რამდენიმე მეგობარი ჩვენი ფაკულტეტიდან წავედით, რომ შესანდობარი გვეთქვა და მოგვეგონებინა მისი ნათელი სახე, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ შევძელით, ისეთი დიდი იყო გლოვა თითოეული ჩვენგანის გულში. რამდენიმე ჭიქა შევსვით და ჩუმად დავიშალეთ. ყველა ვგრძნობდით, რომ წავიდა ჩვენგან ერთი ნათელი სახე, რომელმაც მეტეორივით გაიელვა ჩვენს ცხოვრებაში და წარუშლელი კვალი დაგვიტოვა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ზეციურ საქართველოში ამქვეყნად გაუხარელი, თავის სამშობლოზე უაღრესად შეყვარებული, ყველასთვის დაუვიწყარი, ძვირფასი თამრიკო.

ნოდარ კიკვაძე*

მოსკოვიდან დაბრუნებულმა ნოდარმა მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ახალი ისტორიის კათედრაზე დაიწყო. იმხანად ამ კათედრას სათავეში ედგა პროფ. ალექსანდრე ნამორაძე, ბრწყინვალე პიროვნება, დიდებული ინტელიგენტი, შესანიშნავი ლექტორი. ნოდარის ქება პირველად სწორედ მისგან მოვისმინე. თუმცა, ადრე უნივერსიტეტის ვესტიბიულში შენიშნული მყავდა ნოდარი, შლაპით, მუდმივად პაპიროსით ხელში. შლაპა მაშინ მოდური იყო და ძალიან შვენოდა მის ინტელიგენტურ გარეგნობას.

ნოდარი გამაცნო ჩემმა სიყრმის მეგობარმა, იმჟამად ახალი ისტორიის კათედრის დოცენტმა გივი კიღურაძემ, რომელიც ამ ახალბედა ლექტორზე ძალზე მაღალი აზრისა იყო. ნოდარი მართლაც უაღრესად განათლებული პიროვნება გახლდათ, შესანიშნავი მცოდნე არა მხოლოდ ისტორიისა, არამედ სახვითი ხელოვნების, მუსიკის, დიდებულად ერკვეოდა ლიტერატურის საკითხებში, პოლიტიკურ ვითარებაში; გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა, მსმენელს იზიდავდა. მის ირგვლივ ყოველთვის ხალხი ირეოდა, უმეტესად თვითონ ლაპარაკობდა, სხვისი მოსმენა მას მაინცდამაინც არ უყვარდა.

იგი ბრწყინვალე პოლემისტი იყო და ბოლო დრომდე გაზეთებში ხშირად ქვეყნდებოდა მისი საყურადღებო პოლემიკური ხასიათის წერილები. იმ დროს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე შესანიშნავმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი, რომელმაც საქმეც იცოდა და გართობაც. ხშირად ვიკრიბებოდით, ნოდარი გვართობდა თავისი სიმღერით და პიანინოზე დაკვრით. მას მხარს უმშვენებდა მისი ულამაზესი და უნაზესი მეუღლე, ყველასათვის საყვარელი მერი, რომელიც, სამწუხაროდ, ადრე გაერიდა ამ ქვეყანას.

ნოდარის შესაძლებლობები უყურადღებოდ არ დარჩენიათ პარტიულ ორგანოებს და იგი თავისკენ იხმეს. იგი, თავისი ცოდნით, შედარებით სწრაფად დაწინაურდა პარტიული ხაზით და მალე კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი განყოფილების გამგე გახდა. და მაინც, იმ გარემოში იგი უცხო სხეული იყო. ვერ აიტანა ის უმეცრება, რომელიც მის ირგლივ სუფევდა და აკი ვერც გაძლო დიდხანს პარტიის უმაღლეს ეშელონებში. იქიდან წამოსვლის შემდეგ სათავეში ჩაუგა და წლების მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა მის მიერ ჩამოყალიბებულ ინსტიტუტს, სადაც ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა. თუ არ ვცდები, ეს ინსტიტუტი დღემდე გადაურჩა იმ საოცარ რეფორმებს, რომელიც თავს დაატყდა მეცნიერებისა და განათლების დარგებს.

მძიმე დატვირთვის მიუხედავად, არასოდეს გაუწყვეტია კავშირი უნივერსიტეტთან და ჩვეული შემართებით განაგრძობდა სალექციო საქმიანობას, სტუდენტების უსაყვარლესი ლექტორი იყო. ნოდარი ძალიან განიცდიდა ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებს და ძლიერ წუხდა, რომ ის და მისი ბევრი მეგობარი იძულებით ჩამოაშორეს საუნივერსიტეტო საქმიანობას.

ნოდარის პარტიული მოღვაწეობით ყველაზე მეტად ალბათ მე ვისარგებლე. 1974 წლის ბოლოს ცეკადან მირეკავს: „გინდა იტალიაში წამოსვლა?“ რა შეკითხვა იყო, მთელი ცხოვრება იმას ვნატრობდი, რომ ამ ქვეყნიდან იტალიის უნახავად არ

---

* ნოდარ კიკვაძე, თბილისი, 2009.

წავსულიყავი! თურმე პარტიული დელეგაცია მიემგზავრებოდა იტალიაში, კერძოდ სიცილიაში. გაირკვა, რომ დელეგაცია... მხოლოდ ნოდარი და მე ვიყავით. ის არ შეუშინდა და კომპარტიის დელეგაციაში ჩამრთო ყოვლად უპარტიო კაცი. ამით მან სამაგიერო გადამიხადა: 1966 წელს პრაღისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის სტუდენტთა ჯგუფების გაცვლის ხელშეკრულება დაიდო. ჩეხოსლოვაკიაში გასაგზავნი ჯგუფის შედგენა მე დამევალა. მოადგილედ ნოდარი შევარჩიე, ვიმედოვნებდი, რომ შესანიშნავად წარმოაჩენდა იქ ჩვენს უნივერსიტეტს. ამ ვარაუდმა სავსებით გაამართლა, ნოდარი მართლაც შეუცვლელი იყო ჩეხეთში მოგზაურობისას. ეს ჩვენი პირველი გასვლა გახლდათ საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ, მაგრამ იტალია მაინც სულ სხვა დონე იყო.

რომში იტალია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე დაგვხვდა, იმავე დღეს გადაგვაფრინეს სიცილიაში, პალერმოში, სადაც რამდენიმე დღე დავყავით. იქაურმა კომუნისტებმა მაღალ დონეზე მიგვიღეს, დაგვათვალიერებინეს ღირსშესანიშნავი ადგილები, ბევრი ძალიან საინტერესო ძეგლი, ვესწრებოდით კომუნისტების მიერ მოწყობილ მიტინგებს, მათ თავყრილობებს. პალერმოში პირველად ვნახე მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგი, დიდი დემონსტრაცია, რომელშიც ძირითადად სტუდენტობა მონაწილეობდა: ისინი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის 100 პროცენტით გაძვირებას აპროტესტებდნენ. ნოდარი, როგორც ოფიციალური პირი, მოერიდა დემონსტრაციაში მონაწილეობას, მე კი ბოლომდე მივყევი დემონსტრანტებს, რომლებმაც რატუშასთან დიდი მიტინგი გამართეს. დაშლისას რატუშასთან მერის მისამართით პლაკატი გამოაკრეს – „მარკეტი კრეტინო“. საღამოს მე და ნოდარმა რატუშასთან გავიარეთ და პლაკატი ისევ ისე ეკიდა. არავის უცდია მისი მოხსნა. რა თქმა უნდა, დღევანდელი გადასახედიდან თითქოს არაფერია გასაკვირი, მაგრამ მაშინ, ამან ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ეს ჩვენთვის უჩვეულო მოვლენა იყო.

სამი დღის შემდეგ რომში დავბრუნდით. სიცილია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე პომპეო რომამდე ჩამოგვყვა. ვცდილობდით, რომში რაც შეიძლება მეტი გვენახა. ბევრი რამ ჩვენთვის, განსაკუთრებით ნოდარისთვის, ცნობილი იყო. ის კარგად იცნობდა იტალიურ ხელოვნებას და მაინც აღტაცებას ვერ მალავდა, განსაკუთრებით მიქელანჯელოს ქმნილებები იზიდავდა. ვატიკანში, პეტრეს ტაძარში „პიეტამ“ მოაჯადოვა. მონუსხულივით იდგა და ძლივს შევძელი მისი ტაძრიდან გამოყვანა. მეუბნებოდა, უყურე ხელს, თითქოს ცოცხალიაო. „პიეტა“ მართლაც საოცარი რამ არის.

ერთ საღამოს, იტალიის კომპარტიის მეორე მდივანმა ვახშმად დაგვპატიჟა. იგი რომის ცენტრში, პრესტიჟულ უბანში შესანიშნავად მოწყობილ ბინაში ცხოვრობდა. ჯერ ოჯახში მსუბუქად გაგვიმასპინძლდა. შემდეგ კი, მახლობელ რესტორანში, საკმაოდ გულუხვ სუფრაზე მიგვიწვია.

ვიყავით ფლორენციაში, შემდეგ ნეაპოლში. ნეაპოლში პირდაპირ პომპეის დასათვალიერებლად წაგვიყვანეს. იქ საკმაოდ დიდხანს დავყავით. გიდმა გვითხრა, რომ ჩვენი პროგრამა შეიცვალა და 8 საათის ნაცვლად, ნეაპოლი 4.30 საათზე უნდა დაგვეტოვებინა, რადგან 6 საათზე საბჭოთა კავშირ-იტალიის საზოგადოება ჩვენს პატივსაცემად ბანკეტს მართავდა. ისე ვიყავით გართულნი იტალიის სიმშვენიერით, მაღაზიაში ფეხი არ შეგვიდგამს. ნეაპოლში რომ დავბრუნდით, გაირკვა, რომ შესვენებაა და ყველა მაღაზია 4 საათამდე დაკეტილია. დასახარჯი ფული ხელზე გვრჩებოდა და

გამოვუტყდი გიდს, იტალიელ კომუნისტზე გათხოვილ რუს ქალს. მან კარგად გაიგო ჩვენი გაჭირვება და თავის ნაცნობის მაღაზიაში წაგვიყვანა, მაგრამ იქ მხოლოდ ქალებისათვის საჭირო საქონელი იყო. სხვა გზა არ გვქონდა, ვიყიდეთ ქალის კაბები და სხვა აქსესუარები და პირდაპირ სადგურში წავედით. მაგრამ გაირკვა, რომ გაფიცვის გამო ჩვენი მატარებელი იგვიანებდა. ბოლოს სხვა მატარებლით გამოგვამგზავრეს და რომში 11 საათზე ჩავედით. რა თქმა უნდა, ბანკეტი უკვე დაშლილი იყო. მეორე დილით მოსკოვისაკენ გამოვემგზავრეთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ყველასთვის საყვარელი ნოდარი, რომელიც მხოლოდ სიკეთისათვის ცხოვრობდა ამქვეყნად.

სერგო ჯორბენაძე*

მე და სერგო ჯორბენაძემ დაახლოებით ერთ დროს, 50-იანი წლების დასაწყისში, დავიწყეთ მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონმა სერგომ რამდენიმე წელი დაჰყო მოსკოვში და საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. იგი იმთავითვე სათავეში ჩაუდგა იურიდიულ ფაკულტეტზე სამოქალაქო სამართლის კათედრას. ერთხანს უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის სათავეში აღმოჩნდა, მაგრამ ბ-ნი სერგო თავისი ბუნებით სამდივნო კაცი არ იყო. იგი ვერ ეგუებოდა მაშინდელი მმართველობის წესს, ზემოდან მოსულ გაუთავებელ ინსტრუქციებს და ამიტომ სულ მალე გადადგა მდივნობიდან. პარტიული კომიტეტიდან მას, რა თქმა უნდა, დიდი კარიერის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ეს მას არ აინტერესებდა. იგი მოკლებული გახლდათ ყოველგვარ კარიერისტულ მისწრაფებას. მისი უპირველესი საქმე მეცნიერული მუშაობა და უნივერსიტეტის სამსახური იყო. შესანიშნავი მეცნიერი, უთუოდ დიდი ნიჭის პატრონი ბატონი სერგო მთლიანად გადაერთო სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობაში. ღრმა ცოდნა, შრომისუნარიანობა, მოვლენების სწორი ანალიზი, დიდი გამოცდილება, არაჩვეულებრივ ნიჭთან ერთად, განსაზღვრავდა მისი მეცნიერული მუშაობის წარმატებას. თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა, უანგარო შრომით ბევრი სიკეთე მოუტანა სამშობლოს. გასახსენებლად ისიც კმარა, როგორი შემართებით და გატაცებით, დაუღალავად მუშაობდა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის შექმნაზე, ჩქარობდა, თითქოს გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს. რა დიდებული ქმნილება დაუტოვა მან თავის ხალხს სამომავლოდ, რომელმაც საყოველთაო აღიარება პოვა.

ბატონ სერგოს ყველაფერი აინტერესებდა სპორტიდან მოკიდებული მსოფლიოს გლობალური საკითხებით დამთავრებული. იშვიათია ადამიანი, რომელსაც სხვადასხვა მოვლენისადმი ისეთი ღრმა ჩაწვდომის უნარი ჰქონოდა, როგორც მას. ამიტომ, მასთან ურთიერთობა, საუბარი და კამათი, რომლის დროსაც ბატონი სერგო ყოველთვის უფრო აქტიური გახლდათ (სხვას ლაპარაკს არ აცლიდა), მეტად საინტერესო და სასარგებლო იყო. თვინიერი ბუნების, რბილი და მოსიყვარულე, სიკეთით სავსე ბატონი სერგო სრულიად უკომპრომისო იყო, თუკი საქმე მის სათაყვანებელ ერს ეხებოდა. აქ იგი ყოვლად შეუვალი და უდრეკი გახლდათ.

სამოციანი წლების დასაწყისში ბატონი სერგო ინიშნება უნივერსიტეტის პრორექტორად ჯერ სასწავლო და შემდეგ სამეცნიერო დარგში. აქედან იწყება მისი ცხოვრების ახალი ერა და სწორედ ამ დროს გამოვლინდა ბატონი სერგო ჯორბენაძის ორგანიზატორული მუშაობის დიდი უნარი, რაც მან თავის დროზე პარტკომის მდივნად მუშაობისას ვერ გამოავლინა. ბატონი სერგოს სამუშაო ოთახი წისქვილს ჰგავდა, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო. თითქმის ყველა, დიდი თუ პატარა სერგოს მიმართავდა დახმარებისთვის, რჩევისთვის და იგი თითქმის არავის ტოვებდა უპასუხოდ. რამდენი სიკეთე მოუტანია მას ხალხისთვის.

სერგო ბუნებით ძალიან ემოციური პიროვნება გახლდათ. კარგს და ცუდს იგი ერთნაირად, მეტისმეტად ემოციურად აღიქვამდა. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სერგო სტადიონზე ფეხბურთის ყურების დროს, არასოდეს დაავიწყდება მისი რეაქცია ამა თუ იმ შექმნილ სიტუაციაზე.

---

* სერგო ჯორბენაძე 75, თბილისი, 2003.

სერგო ქვეყნის არა მარტო აწმყოზე ზრუნავდა, არამედ მისი მომავალი ბედ-იღბალიც აწუხებდა. იგი სრულიად შეუპოვარი გახლდათ უსამართლობის მიმართ. ამიტომ, იმ დროსაც, როდესაც არცთუ ისე უსაფრთხო იყო რაიმე ზედმეტი ინიციატივის გამოჩენა, სერგო განზე არასოდეს გამდგარა. მაგალითისათვის ისიც კმარა, როგორ განიცადა მან ქართულ ენასთან დაკავშირებული მოვლენები. თავის სამშობლოზე ზომაზე მეტად შეყვარებული, იმ საოცარ დროს იგი ყოველგვარი შიშის გარეშე ჩაუდგა სტუდენტთა მღელვარებას. თუ არა სერგო და რექტორი დავით ჩხიკვიშვილი და ცეკას მაშინდელი პირველი მდივნის მხარდაჭერა, ვინ იცის, როგორი დასასრული ექნებოდა ამ მოვლენებს. სამწუხაროდ, ეს დავიწყებას მიეცა და ამ ამბებს სრულიად დაუმსახურებლად სხვებს მიაწერენ.

სერგომ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა უნივერსიტეტის ისტორიას. მას ყველაფერი აინტერესებდა, რაც უნივერსიტეტს ეხებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბრწყინვალე მონოგრაფია, რომელიც მან ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დაწერა. არავის უკვლევია მანამდე ასე ღრმად და სრულად ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა სერგოს სიღრმისეული კვლევის უნარი. დიდი ალღო ისტორიკოსისა. სერგო ბუნებით ისტორიკოსი იყო. იგი მეტის-მეტი გატაცებით მუშაობდა ამ ნაშრომზე. მისი გონება მხოლოდ დიდ ივანესთან დაკავშირებული საკითხებით იყო დაკავებული და ყველასთან უპირატესად ამ ამბებზე საუბრობდა. მაგრამ ეს სერგოს ბუნება გახლდათ, გატაცება მისთვის საინტერესო მოვლენებით. იგი ასეთივე შემართებით უნივერსიტეტში მოღვაწე სხვა პიროვნებების ისტორიაზეც მუშაობდა. დიდი მონდომებით და ინტერესით იკვლევდა იგი გრიგოლ წერეთლის ღვაწლს მეცნიერების წინაშე და მის ტრაგიკულ აღსასრულს. იგი აგროვებდა მასალებს არქივებში, საგანგებოდ გაემგზავრა პეტერბურგში და იქ მოიძია ცნობები გრიგოლ წერეთლის შესახებ. სამწუხაროდ, ეს გამოკვლევა გამოუქვეყნებელი დარჩა. ეს ნაშრომი ალბათ ისეთივე ღრმა და საინტერესოა, როგორც ყველა მისი გამოკვლევა. იმედია, რომ იგი უთუოდ გამოქვეყნდება.

ბოლო დროს ასეთივე შემართებითა და გატაცებით მუშაობდა ტოლსტოიზე (არ ვიცი, რამ მიიყვანა ტოლსტოიმდე) და ყველას უზიარებდა თავის ნააზრევს. სამწუხაროდ, ეს ნაშრომი წავკისის აგარაკის ხანძარმა შეიწირა.

მართლაც, კაცი მოგზაურობაში უნდა გამოცადო. მე ბედნიერება მქონდა სერგოსთან ერთად მემოგზაურა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი ისეთივე იყო, როგორსაც ვიცნობდი – რბილი, ტკბილმოუბარი და მჭევრმეტყველი. მის გვერდით არავითარი უხერხულობა არ იგრძნობოდა. მახსენდება ჩვენი მოგზაურობა საბერძნეთში. რა ინტერესით ეცნობოდა სიძველეებს, როგორ იტაცებდა ძველი ბერძნული კულტურა, არ მალავდა თავის აღტაცებას. იგი დაინტერესებული იყო, აგრეთვე, საბერძნეთის აწმყოთი და სრულიად არ იტაცებდა ყოფითი ამბები, რაც ასე დამახასიათებელი იყო უცხოეთში საბჭოთა ადამიანისთვის.

სერგო ძალიან ყურადღებიანი იყო. რამდენს გაუწოდა მან დახმარების ხელი. მარტო ის რად ღირს, რომ თვითონ უმძიმეს საბინაო პირობებში მყოფი სხვებს ეხმარებოდა ბინის მიღებაში თუ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

სინანულით უნდა ითქვას, რომ სერგოს ამქვეყნიდან განშორება უთუოდ დიდი დანაკლისი იყო ქართული მეცნიერებისათვის და დიდი ტკივილია ერის. მას რომ დასცლოდა, თავისუფალი საქართველოს პირობებში ბევრ სიკეთეს მოუტანდა სათაყვანებელ ქვეყანას.

ნოდარ ამაღლობელი

მე და ნოდარი ბავშვობისას ვერის ერთ გამორჩეულ უბანში ვიზრდებოდით – ბაქრაძის ქუჩაზე, რომელიც ბელინსკისა და ყაზბეგის ქუჩებს შორის მდებარეობს. ადრე ამ ქუჩას აგურის („კირპიჩნი“) ქუჩა ერქვა. მე ნოდარზე რამდენიმე წლით უფროსი ვარ, რაც ახალგაზრდობისას საკმაოდ საგრძნობია. ამიტომ იგი უბნიდან არ მახსოვს, მას კი თურმე კარგად ვახსოვდი. „კირპიჩნი“ გამოირჩეოდა თავისი მოსახლეობის სიჭრელით. აქ, ქართველების გარდა, ცხოვრობდნენ სომხები, აისორები, რუსები, ქურთები და სხვ. ბაქრაძის ქუჩაზე ერთხანს აისორების სკოლაც იყო. ამ სიჭრელემ ქუჩას თავისი დაღი დაასვა – აქ სხვადასხვა რეპუტაციის პიროვნებები იყრიდნენ თავს. ამიტომ ძალიან ადვილი იყო ახალგაზრდა სწორ გზას ასცდენოდა. სამწუხაროდ, ეს საკმაოდ ხშირი იყო ამ უბანში. ბაქრაძის ქუჩაზე ჩვენი ერის არაერთი სასიქადულო მოღვაწე ცხოვრობდა – ზაქარია ფალიაშვილი, კოტე მაყაშვილი, ძმები ზდანევიჩები და სხვ. ამ ქუჩის მკვიდრნი იყვნენ ალექსი მაჭავარიანი, მხატვარი შალვა მაყაშვილი, კინორეჟისორები, მამა-შვილი მანაგაძეები, ისტორიკოსი თეიმურაზ (გული) მიქელაძე, ცნობილი მათემატიკოსები, მამა-შვილი მიქელაძეები და სხვ.

ნოდარი უნივერსიტეტში მუშაობისას გავიცანი და სწორედ „კირპიჩნიმ“ უფრო მეტად დაგვაახლოვა. ვიხსენებდით იქაურ ამბებს, ნეტარ ბავშვობის წლებს. მოსაგონარი კი ნამდვილად ბევრი გვქონდა. ვიგონებდით ჩემი დროის 25-ე სკოლას, რომელიც ნოდარის მოწაფეობის დროს ვაჟთა 7 სკოლად გადაკეთდა. ვიგონებდით საერთო ნაცნობებს, ახალგაზრდობის მეგობრებს, გზას აცდენილ და აუცდენელ ბაქრაძის ქუჩის ბიჭებს. ჩვენი სკოლა მართლაც სანიმუშო იყო, სადაც ჩვენი ქვეყნის არაერთი ცნობილი მოღვაწე აღიზარდა. დიდი სიყვარულით ვიგონებდით ჩვენს საერთო მასწავლებლებს. ნოდარს კიდევ უფრო დავუახლოვდი მისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად მუშაობის წლებში. არაერთხელ გაგვიმართია ხელი ყოფილ „კირპიჩნელებისათვის“ მათი შვილების უნივერსიტეტში მოწყობისას თუ სწავლის დროს. საკმაოდ ხშირი სტუმარი იყო და ყურადღებით ადევნებდა თვალყურს არქეოლოგიური გათხრების პროცესს.

განსაკუთრებით გაუჭირდა ექსპედიციას 1982 წელს, როდესაც ითხრებოდა მარტყოფის ველის ყველაზე მოზრდილი ყორღანი – სამუშაო რთული და მძიმე იყო, დროზე ვერ დავამთავრეთ. თანხა გამოგველია, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მუშების დიდი ნაწილი სკოლის უფროსკლასელები იყვნენ, რომლებსაც სექტემბერში სწავლა ეწყებოდათ და თითქმის მუშახელის გარეშე ვრჩებოდით. ნოდარმა ჩვენი გასაჭირი რომ გაიგო, დაგვამშვიდა და დახმარებას დაგვპირდა. ნოდარი უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ინსტიტუტის დირექტორი იყო და მან დარაზმა თავისი თანამშრომლები, რომლებმაც თავისი უანგარო შრომით საკმაოდ მძიმე და რთულ პირობებში ხელი გაგვიმართეს. ყორღანზე მუშაობა არ შეწყვეტილა და კეთილად დასრულდა.

ნოდარის რექტორობის დროს, მისი ინიციატივით, არქეოლოგიის კაბინეტში ახალი გამოფენა მოეწყო. ნოდარმა ბევრი სიკეთე მოუტანა თბილისის უნივერსიტეტს. როდესაც საქართველოში ცნობილი ამბები დატრიალდა და ნოდარი მოულოდნელად, სრულიად დაუმსახურებლად, გაუფრთხილებლად რექტორობიდან გადააყენეს, ჩემდა უნებლიეთ მე მომიხდა მისი შეცვლა. ჩემმა რექტორობამ მხოლოდ ერთ თვეს გასტანა, ამ ხნის განმავლობაში სულ ვცდილობდი ნოდარისთვის მიმებაძა და მის მიერ დასახული გზისთვის არ გადამეხვია.

მიშა (კუწა) კაკაბაძე*

მე და მიშა კაკაბაძე, ყველასთვის საყვარელი კუწა, ერთ დღეს – 1921 წლის 16 სექტემბერს ვართ დაბადებულები. ჩვენ თბილისის სხვადასხვა უბანში გავიზარდეთ – კუწა – სოლოლაკში, მე კი – ვერაზე. სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობდით, კუწა – პირველ საცდელში, მე კი – 25-ე შრომის სკოლაში (დღეს ეს 53-ე სკოლაა). პირველი საცდელი სკოლა მარტო სწავლით კი არ იყო განთქმული, არამედ სპორტითაც. აქ არაერთი ცნობილი სპორტსმენი აღიზარდა და ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ამ საქმეს სათავეში ედგა დიდებული პიროვნება, ქართული სპორტის დიდი ამაგდარი, ბატონი არჩილ ბაქრაძე. კუწას ალბათ სკოლიდან გამოჰყვა სპორტის სიყვარული. იმხანად ახალგაზრდობა უპირატესად ფეხბურთით იყო გატაცებული. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან სხვა სახეობებს სათანადოდ მოწყობილი მოედნები სჭირდებოდა. ფეხბურთში კი... დავყრიდით აქეთ-იქით სასკოლო ჩანთებს და კარი მზად იყო. თანაც ეს ის დროა, როდესაც „თბილისის“ დინამო ფეხბურთის დიდ ასპარეზზე გამოდის და საბჭოთა კავშირის მასშტაბით დიდ წარმატებებს აღწევს.

იმ დროს სხვადასხვა უბნიდან, განსაკუთრებით – ვერიდან, მთაწმინდიდან, სოლოლაკიდან – ფეხბურთის სათამაშოდ ვაკეში პლანეროდრომის მოედანს და მიმდებარე „სპარტაკის“ პლაცს ვიყენებდით (დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორია და „ლოკომოტივის“ სტადიონი), სადაც ვთამაშობდით, ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, ვმეგობრობდით. სწორედ იქ ჩაესახა მიშას განსაკუთრებული სიყვარული ფეხბურთისადმი. ყველას კარგად გვახსოვს ბრწყინვალე წერილები, რომლებსაც იგი უძღვნიდა სპორტის ამ სახეობას.

კუწას დამაახლოვეს მისმა კლასის მეგობრებმა, ტიტო საყვარელიძემ და გივი ბასიშვილმა, რომლებიც, სამწუხაროდ, ადრე წავიდნენ ამქვეყნიდან. ჩვენ საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მიშასთან ურთიერთობა ძალიან საინტერესო იყო. იგი თავის წლებთან შედარებით განათლებული, ნაკითხი იყო, ღრმად ჩახედული იმ დროის მიმდინარე ამბებში. დრო კი საკმაოდ მძიმე გახლდათ – ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარი. მიუხედავად ახალგაზრდობისა, უკვე კარგად ვერკვეოდით, რა ხდებოდა იმ საშინელ, ყოვლად უსამართლო წლებში ჩვენ ირგვლივ, როგორ ორთქლდებოდნენ, ქრებოდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, მშობლები და ახლობლები.

კიდევ უფრო დავუახლოვდი კუწას უნივერსიტეტში სწავლისას. მიშა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, მე კი ისტორიის ფაკულტეტის. ორივე კალათბურთმა გაგვიტაცა და ბრწყინვალე პიროვნების, დიდი ინტელიგენტის, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული შალვა დიასამიძის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდით. აქ დგამდნენ მაშინ პირველ ნაბიჯებს შემდეგში სახელგანთქმული კალათბურთელები ნოდარ ჯორჯიკია და მიშა კეკელიძე. უნივერსიტეტში იმ დროს ხშირად იმართებოდა შეჯიბრება კალათბურთში ფაკულტეტებს შორის. ყველას, რა თქმა უნდა, ფილოლოგები სჯობდნენ. თამაშობდნენ ნოდარ ჯორჯიკია, მიშა კეკელიძე, ზურაბ ჯაფარიძე, კუწა, ირაკლი ჩხიკვიშვილი და სხვები. მათი მომგები არც ერთი ფაკულტეტი არ იყო.

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, დამთავრდა ჩვენი ლაღი, სტუდენტური ცხოვრება. კუწა ჯარში წაიყვანეს. ჯარიდან რომ დაბრუნდა, კვლავ განაგრძო სწავლა ფილო-

---

* მიხეილ კაკაბაძე, მომავლის ქართველის გახსენება, თბილისი, 2003.

ლოგიის ფაკულტეტზე. მე მაშინ უკვე უნივერსიტეტში ვმუშაობდი და ვეხმარებოდი მას ზოგიერთი საგნის ჩაბარებაში. მიშამ თავისი ნიჭის წყალობით რამდენიმე თვეში დაფარა აკადემიური დავალიანება და უმაღლესი განათლების დიპლომი მიიღო. ამ დროიდან იწყება მისი, როგორც ჟურნალისტისა და მწერლის მოღვაწეობა.

რამდენად დასანანია, რომ დღეს ჩვენს შორის აღარ არის საყვარელი კუწა, ვერ მოესწრო თავისუფალ საქართველოში, თავისუფალი პრესის ხანაში მოღვაწეობას, რამდენ სიკეთეს მოუტანდა თავის ხალხს! მაშინაც კი, როდესაც დამოუკიდებელი ფიქრი და მოქმედება დათრგუნული იყო, მან შეძლო საფუძველი ჩაეყარა ჩვენში სპორტული ჟურნალისტიკისათვის. იგი სათავეში ჩაუდგა პირველ ქართულ სპორტულ გაზეთს – „ლელოს“ და ყველამ იცის, რა პოპულარობით სარგებლობდა მკითხველებს შორის ეს შესანიშნავი, შინაარსიანი გაზეთი. სტრიქონებს შორის ზოგჯერ ამოიკითხავდი ისეთ რამეს, რაც არცთუ უსაფრთხო იყო იმ დროს. „ლელოში“ იმ დროისათვის საკმაოდ ფართოდ შუქდებოდა საბჭოთა კავშირს გარეთ მიმდინარე ცხოვრება, თანაც შეძლებისდაგვარად – ობიექტურად. „ლელოში“ ხშირად ჩანდა, რომ საბჭოთა კავშირი სულაც არ იყო ყველაფერში პირველი, როგორც ქადაგებდნენ სხვა გაზეთები.

კუწამ ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერი ჟურნალისტები – ბიჭიკო ქორქია, გარუნ აკოფოვი, ზურა ჯაფარიძე და სხვები. მე საკმაოდ ხშირი სტუმარი ვიყავი „ლელოს“ რედაქციის, შევუვლიდი ხოლმე და ბევრ ახალ, საინტერესო ამბავს ვიგებდი. ჩვენ ყველანი მაშინ უპირატესად სპორტული მოვლენებით ვცხოვრობდით, სხვა ამბებზე ფიქრი მაინცდამაინც სასურველი არ იყო. გაზეთის რედაქტორი ყოველთვის დიდი თავაზიანობით და პატივისცემით იღებდა სტუმრებს, იყო კამათი და მსჯელობა. მიშას მართლაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი საქმე. იგი ხომ ბუნებით მწერალი იყო. ამიტომ, როდესაც სრულიად უსამართლოდ, დაუმსახურებლად, ვიღაცის კაპრიზით, ყოველგვარი სერიოზული მიზეზის გარეშე, შეთითხნილი საქმის გამო გაათავისუფლეს თავისი პირმშო გაზეთის რედაქტორობიდან, მან ეს ამბავი საკმაოდ მძიმედ განიცადა. შესაძლოა, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რამაც დააჩქარა მიშას შედარებით ადრე წასვლა იმქვეყნად. ასეთი მძიმე სტრესები ცხოვრებაში უკვალოდ არ იკარგება.

ნათელში ამყოფოს განგებამ ეს დიდი პიროვნება, შესანიშნავი მოღვაწე, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და ბევრი სიკეთეც მოუტანა მას.

წიგნი გამოსაცემად მოამზადეს:

ცირა ჯიშკარიანმა *(გამომცემლობის რედაქტორი)*

თინათინ ჩირინაშვილმა *(გარეკანის დიზაინერი)*

ლელა წიკლაურმა

ეკა თეთრაშვილმა

რუსუდან მიქენაიამ

მარიამ ებრალიძემ

ნათია დვალმა

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
0179 Tbilisi, Ilia Tchavtchavadze Avenue, 14
Tel 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.ge



ოთარ ჯაფარიძე – პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

დაიბადა 1921 წლის 16 სექტემბერს თბილისში. 1929-1939 წლებში სწავლობდა 25-ე შრომის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1943-1946 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის ასპირანტი. 1944-1950 წლებში მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში, 1950-1952 წლებში – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1962 წელს – სადოქტორო. 1952 წელს მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ კი დოცენტად. 1963 წლიდან უნივერსიტეტის პროფესორად ირჩევენ. 1967-1997 წლებში არქეოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა. 1997 წლიდან ამავე კათედრის პროფესორი, ხოლო 2004 წლიდან უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრია.

პარალელურად, 1968-1982 წლებში, იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო 1982-2006 წლებში არქეოლოგიის კვლევით ცენტრში წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. 2006 წლიდან დღემდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის მრჩეველია. გამოქვეყნებული აქვს 140-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 11 მონოგრაფია. 1979 წელს ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1970 წელს ნაშრომისათვის „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ქართველ ტომთა ისტორიისათვის ძვ. წ. II ათასწლეულში“ მას პირველს მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია. 2011 წელს მონოგრაფიისათვის „შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან“ იგი გიორგი ნიორაძის სახელობის პრემიის ლაურეატი ხდება. 1993 წელს ნაშრომისთვის „საქართველოს არქეოლოგია“ დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო პრემიით. წლების მანძილზე იყო ჟურნალის „Советская Археология“ რედკოლეგიის წევრი. 1982 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1997 წელს კი – თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. იმავე წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.